ქართული პროზა

ტომი XXII

მიხეილ
ჯავახიშვილი

კვაჭი
კვაჭანტირაძე

*

მოთხრობები

84 ბ-4
894. 631-31
შ 279

შ ე მ დ გ ე ნ ე ლ-რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი: ჯ. ღვინჯილია
ც. ჯავახაძე

კვაჭი კვაჭანტირაძე

კარი პირველი

აქა ამბავი კვაჭის დაბადებისა

იმ წელს, პირველ აპრილს, სამტრედიაში უცნაური და იშვიათი დარი დადგა. დილიდანვე დედამიწას კუპრივით შავი ღრუბელი დააწვა. ხან თოვლი მოდიოდა, ხან ხოშკაკალა, ხან წვიმა, ზოგჯერ კიდევ გაზაფხულის მზე ანათებდა, ხოლო დროგამოშვებით ისეთი გრიგალი ამოვარდებოდა ხოლმე, რომ მთელი დაბა ჭრიჭინებდა და ზანზარებდა, ხან კი ისეთი მყუდროება და სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რომ ცაში ღრუბელს არავითარი მოძრაობა აღარ ეტყობოდა.

ასე არეულ-დარეულად დაიწყო სამტრედიაში პირველი აპრილი — დღე ცბიერი, ყალბი და მზაკვარი.

იმ დღეს დილიდანვე სილიბისტრო კვაჭანტირაძის სახლში, რომელიც ხონის გზის ნაპირას იდგა, დიდი ალიაქოთი და ფაციფუცი ტრიალებდა: სილიბისტროს მეუღლე პუპი პირველ შვილზე იწვა მელოგინედ. მთელი ოჯახი ფეხზე იდგა. მელოგინეს თავთ დასტრიალებდნენ მისი დედა ნოტიო, ზებია და მეზობელი დედაკაცები, ხოლო მისი ქმარი სილიბისტრო და მამამისი ხუხუ ჩიჩია პირველ მემკვიდრეს გულის ფანცქალით ელოდებოდნენ მეორე ოთახში.

შუადღემ რომ მოატანა, თითქმის სულ დაბნელდა, დაღამდა. მიყუჩებული დედამიწა უცებ შეინძრა და აზანზარდა. საშინელი გრიგალი ამოვარდა. ქვეყანა ჰგმინავდა, ჰკვნესოდა და სჭექდა. კვაჭანტირაძის ფიცრული აიგრიხ-ჩაიგრიხა, აჭრიჭინდა, აიბურძგნა და აფრენას ლამობდა. მელოგინე ჰკიოდა, სხვები კი, თავზარდაცემულნი და დამფთხალნი, უგზო-უკვლოდ დარბოდნენ.

უცებ ისე გაიელვა, რომ ყველანი რამდენიმე წამით დაბრმავდნენ, და იმავე წამს ცის ისეთი საზარელი ჭექა და პუპის ისეთი კივილი მოისმა, ხოლო დედამიწა ისე შეინძრა, რომ ზოგი შიშით გაშეშდა, ზოგმა ჩაიკეცა, ზოგი კი კარებს ეცა

ერთი წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა და შემდეგ იქვე კუთხეში ახლად დაბადებულის წრიპინი მოისმა:

— მე-ე.. მე-ე.. მე-ე..

და სილიბისტრო კვაჭანტირაძის პირველი ვაჟი პირველად ჩაუვარდა ფეხებში პირველ დედაკაცს — თავისსავე დედას, ჭეპის.

ატყდა სიხარულის ჟრიამული, ქოთი და ფუსფუსი. იმავე წუთს სრული თორმეტი საათი შესრულდა. გრიგალსაც ენა ჩაუვარდა და სინათლემაც სიბნელეს დასძლია.

ბავშვის ხმაზე სილიბისტრო კვაჭანტირაძე და ხუხუ ჩაჩია მეორე ოთახიდან გამოცვივდნენ.

— ვაჟია! — მიახარა ბებიამ სილიბისტროს და ხუხუს.

— მადლობა უფალს! — სთქვა სილიბისტრომ.

— დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა! — საწოებით დაუმატა ხუხუმ: — ამინ!

— ამინ! — განიმეორეს სხვებმაც და ყველამ პირჯვარი გადიწერა.

— კვაჭი დამირქმევია! — საზეიმო კილოზე გამოაცხადა სილიბისტრომ და უმალვე ყველანი დაეთანხმნენ.

ცოტა ხნის შემდეგ დუქნის ბიჭი ბარდღა ქვემო წართულიდან ამოვარდა და ამბავი მოიტანა, რომ მეხი ალვის ხეს დაეცა, რომელიც კვაჭანტირაძის ბაღში იდგა, და შუაზე გახლიჩა, ხოლო გრიგალმა ჟონდიას დუქანი დაანგრია; რომელიც კვაჭანტირაძის „სასტუმროს" დიდ მეტოქეობას უწევდა. სილიბისტრო ჟონდიას დანგრეულ დუქნის სანახავად გავარდა და გზაში ვერცხლის მანეთიანი იპოვნა.

ერთი საათის შემდეგ ღრუბელი გაიფანტა და კვლავ გაზაფხულის მშვენიერი დარი დადგა. მზემ თავზე საუცხოვო რაშ სხივოსანი გვირგვინი დაიდგა. მთელი სამტრედია გარეთ გამოსულიყო და გაოცებით ათვალიერებდა იმ გვირგვინს, ჟონდიას ნადუქნარსა და კვაჭანტირაძის ვაჩეხილ ალვის ხეს.

ასე დაიბადა კვაჭი კვაჭანტირაძე.

იმავე საღამოს ქალბატონმა ნოტიამ კვაჭიკოს ხელისგული ძლივს გაუხსნა, გაუსინჯა, ჯერ ჩაფიქრდა და მერმე მოსულიერებულ პუპის თავმომწონე სილიბისტროს, დამშვიდებულ ხუხუს და ამპარტავან ბარდღას ასე უმკითხავა:

— ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი იმას ნიშნავს, რომ ახალ-

გაზრდობაში კვაჭის მრავალი გაჭირვება და თავგადასავალი მოელის, მარა ღმერთი დიდია. მჯიღი რომ ისთე ჰქონდა მოჭერილი, რომე ძლივს გავუშალეთ, ეს იმის ნიშანია, რომე რაც კვაჭიკოს ხელში ჩოუვარდება, მისი წართმევა კაცს არ შოუძლია. მზემ რომ გვირგვინი დეიდგა თავზე, ეს იმას ნიშნავს, რომე შემდეგში კვაჭის — ვენაცვალე მას პაწია თათებში! — ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოელის. ალვის ხეს რომ მეხი დაეცა და ჟონდიას დუქანიც რომე ეშმაკებმა წეიღეს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი და კვაჭის მტრებს — ჯვარი აქოურობას! — მეხი დაეცემათ და ისთე დოუსკდებათ გულები რავარც ალვის ხე გასკდა დღეს.

ყველას გული მოულბა და მოეფხანა. სილიბისტრომ სთქვა:

— ბოვშის ესეთი ტირილი ჯერეთ არ გამიგია. სულ „მემეს“ იძახის. ეტყობა სხვას აფერს შეარჩენს და ამ ქვეყანას დეიჩემებს.

ყველამ გაიცინა.

— ვენაცვალე ჩემს კვაჭიკოს! — ჩაიჩურჩულა ღიმილით პუპიმ და თავის გვერდით მიძინებულ კვაჭიკოს ალერსი დაუწყო.

რა იცოდნენ სილიბისტრომ, ან ბუპიმ, ან ბარდღამ, თუნდ ხუხუმ და თუნდაც ნოტიომ, რომ მათს მკითხაობასა და ოცნებაში სიმართლის ნატამალი იყო ჩაქსოვილი, და რომ წრიპინა და მჩხავანა კვაჭიკო მომავალში მათ სავსებით გაუმართლებდა იმედებს და კიდევაც გადააჭარბებდა.

ᲐᲥᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲙᲕᲐᲭᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ

ეხლა გთხოვთ სილიბისტრო კვაჭანტირაძე და მისი ოჯახი გაიცნოთ.

პატივცემული ბატონი სილიბისტრო იმ ხანებში დაიბადა გურიაში, როცა ბატონყმობა ისპობოდა. მისმა დედ-მამამ ანაპოდისტემ და ციუციამ ბაწია სილიბისტრო გასაზრდელად ციუციას დას ქალბატონ ნოტიოს და მის ქმარს ხუხუ ჩიჩიას მიაბარეს.

ხუხუმ და ნოტიომ პაწაწინა სილიბისტრო ხურჯინში ჩას-

ვეს, ცხენს აჰკიდეს და დიდის ტანჯვა-წვალებით გაიყვანეს სამეგრელოში, სოფელ ბანძაში, სადაც ხუხუ და ნოტიო ცხოვრობდნენ.

მეგრელებმა სილიბისტროს ქრისტიანული სახელი დაუწუნეს და ჰიპი დაარქვეს, რადგან მეორე ნათლობა უღვდლოდ მოხდა და მეორე სახელიც არც ერთ წიგნში არ იყო ჩაწერილი, ამიტომ მის პატრონს ორივე სახელი შერჩა — სილიბისტროც და ჰიპიც.

ათიოდე წელიწადი გავიდა. სილიბისტრო — ჰიპი დედმამის სანახავად ხან გურიაში გაჰყავდათ ხურჯინით ანუ გოდორით, ხან უკანვე მოჰყავდათ.

რუსეთ-ოსმალეთის ომი რომ დაიწყო, ანაპოდისტე ქართულ დრუჟინაში ჩაეწერა და ბათომის ასაღებად წავიდა, მაგრამ ციხისძირის ერთ-ერთი იერიშის დროს მოჰკლეს. ერთი წელიწადი ძლივს გავიდა, რომ ციუციაც მეორედ გათხოვდა და ქმარს ადესაში წაჰყვა.

ასე დაობლდა სილიბისტრო კვაჭანტირაძე. კიდევ კარგი, რომ მისმა დედიდამ ნოტიომ და ხუხუ ჩიჩიამ სილიბისტროს გაზრდა იკისრეს და იმის ერთ მუჭა ქონებას დროზე უპატრონეს.

სილიბისტრო მარტო არ იყო ჩიჩიას ოჯახში. ხუხუს ერთი ძმა ჰყავდა სამტრედიაში — ჯვებე ჩიჩია, რომელიც ადრე დაქვრივდა. ჯვებეს ჰყავდა ერთადერთი ქალი — პეპი. ჯვებე მოუცლელი კაცი იყო, ამიტომ პეპიც ხუხუს და ნოტიოს ოჯახში იზრდებოდა.

ამრიგად სილიბისტრო და პეპი დაძმასავით შეეზარდნენ ერთმანეთს და ერთიმეორე ბავშვობიდანვე შეიყვარეს.

სილიბისტრო რომ წამოიზარდა, მიწის მუშაობა ითაკილა და ბათომში წავიდა აზნაურობისა და ბედის საძებნელად. ხუხუ თავის ოჯახით ჯვებემ სამტრედიაში დაიბარა. ჯვებე ავად იყო, ამიტომ პეპის ბედი და პატარა დუქანი ხუხუს ჩააბარა, ხოლო სული ღმერთს დაულოცა.

ხუხუმ ამ დუქანს ვერ მოუარა, ამიტომ ბათომიდან სილიბისტრო დაიბარა და უთხრა:

— შვილო ჰიპი! საკუთარ პაწაწა ფაცხაში ცხოვრება სჯობია სხვის სასახლეში სამსახურს, საკუთარი ხმელა ჭადი — სხვის პურს. მარტო ქართულის წერა-კითხვით შორს ვერ წას-

ვალ. ბათომში ათასი განათლებული ხალხი დეიარება, შენ გასაქანს არ მოგცემენ, ამიტომ გირჩევ საკუთარი ოჯახი გე-ჩინო. ბედი კარზე გიცდის და ხელს ნუ ჰკრავ, თვარა ინანებ. პეპი დასაწუნი არაა. ლამაზი, წესიერი და ცოცხალი ქალია. ეს მომართული სახლი და ბაღიც ერთ რამედ ღირს. რაც მე და ნოტიოს გვაქვს, ესეც ხომ თქვენი იქნება. რას იტყვი, შვილო ჭიპი?

რას იტყოდა ჭიპი კვაჭანტირაძე? კარზე მომდგარ ბედს ხელგაშლილი გაეგება, პეპის თავის განთქმული გვარი აჩუქა და ამრიგად სხვის მიერ შემზადებულ ბუდეში ჩასახლდა.

აქა ამბავი აშორდიასგან აზნაურობის მიღებისა*

სილიბისტროს ორსართულიანი მიგრეხილ-მოგრეხილი ფიცრული სახლი ხონის გზაზე იდგა. სახლს ნახევარი ქცევა მიწა ჰქონდა, რომელსაც ბაღს ეძახოდნენ. „ბაღში" ათიოდე ხე იდგა — ბალი, პანტა და მაყალო ვაშლი. იქვე ხუთიოდე კვალი მწვანილი იყო დათესილი: ბოლოკი, ქინძი, წიწმატი, ტარხუნა და ნიახური.

ქვემო სართულში „სასტუმრო" იყო, სადაც ყოველთვის იშოვებოდა ხარჩო, სულუგუნი, კვერცხი, კუპატი, ხილი და მრავალნაირი ღვინო — კულაშური, სვირული და საჩინური ალადასტური.

ეზოში საქონელი და ფრინველიც ჰყავდათ: ათიოდე ქათამი, ბატი და იხვი, ორიოდე თხა, რამდენიმე გოჭი და ერთგული ძაღლი.

დუქნის უკანა ოთახში ოთხი ტახტი იდგა და ზედ ლოგინის მაგიერ ძონძები ეყარა. სახლი ძველი იყო და დანგრევას აპირებდა, სამაგივროდ ხონის გზაზე იდგა და მუშტარი ხშირად ჰხვდებოდა.

ზემო სართულში სამი ოთახი ჰქონდათ — თითქმის ცარიელი, მაგრამ სუფთა და მხიარული. თანდათან სილიბის-

* აშორდია თავის დროს განთქმული ავანტიურისტი იყო და ყალბი სიგელ-გუჯრების საშუალებით უხვად არიგებდა აზნაურობის საბუთებს.

ტრომ დანა-ჩანგალი, ჰურჭელი, მაგიდა, სკამები და ფარდე-
ბიც გაიჩინა.

ხუხუმ და ნოტიომ თავიანთი ხაბაკ-ხუბაკი ბანძაში გაჰყიდეს და საერთო ოჯახში თავიანთი წვლილიც შეიტანეს. ოთხივენი ხალხში გამოსულნი, ზრდილნი და თავაზიანნი იყვნენ, ამიტომ მალე გაიჩინეს მუშტარი, რომელსაც იმ „სასტუმროში" წყალწყალა ღვინის, გამხმარ სულუგუნისა და ბუზნაჭამ კუპატის გარდა ყოველთვის უხვად უხვდებოდა მასპინძლების ფლიდი ღიმილი, ცხელ-ცხელი ჭორები, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი, ათასი ბოდიში და მუდმივი დაპირება უკეთესი დახვედრისა შემდეგში.

სილიბისტრო და პუპი, რა თქმა უნდა, ყველა გამვლელ-გამომვლელს თავს არ უყადრებდნენ, მაგრამ თავად-აზნაურებს, ვაჭრებსა და საერთოდ სუფთა მუშტარს ისე არ გაატარებდნენ იმ გზაზე, რომ გამარჯვება მაინც არ ეთქვათ, არ მიეპატიჟათ, მათი ამბავი არ გამოეკითხათ და თავიანთიც არ ეთქვათ.

სილიბისტრო სადგურზე ან ბაზარშიც რომ ყოფილიყო, მაშინვე ალღოთი ან რაღაც მანქანებით გაიგებდა ასეთი მუშტრის მისვლას და უმალვე სახლში გაჩნდებოდა ხოლმე. თუნდაც იმისთვის, რომ სასურველი მუშტარი გაეცნო, გაღიმებით ან ორიოდე ტკბილი სიტყვით მისი გული მოეგო და შემდეგში მაინც გამოეყენებინა.

როცა ბონის გზაზე ეტლების მოძრაობის დრო გავიდოდა, სილიბისტრო სადგურზე და ბაზარში წავიდოდა და ათასნაირ წვრილმან საქმეს აკეთებდა. აქედანაც ყოველთვის ორიოდე გროში რჩებოდა, რომელსაც ისევ სასტუმროს და თავის ოჯახს აყრიდა. ერთიც და მეორეც თანდათან ივსებოდა, ფეხზე დგებოდა და ღონეში შედიოდა.

ასეთი იყო სილიბისტროს ცხოვრება და ოჯახი, როცა კვაჭი კვაჭანტირაძე დაიბადა.

კვაჭი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. სხვა ბავშვები დაახლოვებით ერთის წლისა აიდგამენ ხოლმე ფეხსა და ენას, ხოლო კვაჭიკო ექვსი თვისაც ძლივს იქნებოდა რომ პირველად წაილუღლუღა:

— ბაბა... დედა... ბაბუ...

და ფეხიც იმავ ხანებში აიდგა.

ნოტიომ სამარჯლიანად სთქვა ამის გამო:

— დეიჯერეთ, ბოვში რომე ასთე ადრე გეიზდება, ეს იმის ნიშანია, რომე სახელოვანი და დიდი კაცი გამოვა.

რა თქმა უნდა, ნოტიოს ისევ დაუჯერეს და კვაჭის მოვლა-პატრონობას მოუმატეს.

კვაჭის დაბადების შემდეგ სილიბისტროც მეტწილად სახლში ტრიალებდა და გროშის საქმეებს აღარ დასდევდა. ზედმეტ თუმანს რომ მოიგდებდა, აბრეშუმის პარკს ან კვერცხებს ჰყიდულობდა და ამაშიც კარგ ხეირს ჰხედავდა.

მხოლოდ ერთი საზრუნავი, იდუმალი ფიქრი და ოცნების ჭია ჰქონდა სილიბისტროს თავსა და გულში. იგი მას ღრღნიდა, აწვალებდა: სილიბისტრო კვაჭანტირაძე აზნაური არ იყო. არა, ბოდიშს ვიხდი: სილიბისტრო უძველესი და უნამდვილესი აზნაური იყო, ეს მთელმა ქვეყანამ იცოდა, მაგრამ აზნაურობა ჯერ დამტკიცებული არა ჰქონდა. ამ საქმის მოსაჭახრაკებლად სილიბისტრომ აუარებელი დრო და ფული დაჰხარჯა. მრავალჯერ იმგზავრა ოზურგეთსა და ქუთაისში, ვექილებიც აიყვანა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოაგვარა. დაპირებას და იმედს უხვად იძლეოდნენ, სამაგიეროდ ფულს უხვად იღებდნენ, ხოლო სილიბისტროს წინანდებურად ეწერა პასპორტში სამარცხვინო და სათაკილო სიტყვა: გ-ლ-ე-ხ-ი.

სილიბისტრო „მაძიებელი“ იყო, „იჩუჩი“*. ამის გამო ზოგნი მასხარობდნენ და სილიბისტროს ზურგის უკან დასცინოდნენ. ეს იცოდა სილიბისტრომ და გული ემღვრეოდა, მაგრამ მაინც ითმენდა, ეძებდა, ისევ დარბოდა და გამარჯვებას ელოდებოდა.

ბოლოს, ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა მიასწავლა:

— აშორდია!

სილიბისტრო უმალვე ზუგდიდში გაჩნდა. ბოლოს, ბევრი ღრეჭისა და ვაჭრობის შემდეგ, ძლივს მორიგდნენ.

კიდევ გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ სილიბისტროს ოჯახში დიდი ფაციფუცი და ალიაქოთი ატყდა: ყველანი დარბოდნენ და ჩურჩულებდნენ:

— აშორდია მოდის!.. აშორდია!..

საღამოზე უცხო ვინმე ადამიანი მოვიდა. კვაჭანტირაძე-

---

* წარმოსდგა რუსული სიტყვიდან ищущий.

ნი დიდი მოწიწებით და თავაზით დაუხვდნენ. შეიქმნა დიდი ლხენა, ზეიმი, სიხარული და აღტაცება. სანამ ღვინით არ შეხურდნენ, აშორდია მხოლოდ იღიმებოდა და სამახარობლოს თხოულობდა, მერმე კი წამოდგა და სთქვა:

— ჩვენს კეთილშობილთა საერთო ოჯახს ერთი პატიოსანი ოჯახი კიდო მოემატა. ყოველმა კაცმა იცის, რომე ჭიპი კვაჭანტირაძის პაპა აზნაური იყო, მარა მას ბედმა უღალატა, საცხა ისთე მოხთა, რომე ეს პატიოსანი კაცი რაცხა წიგნში არ ჩაწერეს. აწი მე გავასწორე ისტორიის უსამართლობა და შენ და შენს ოჯახს, ჩემო სილიბისტრო, აზნაურობა დაგიმტკიცე. მოვილოცავ დიდებულ ოჯახურ დღესასწაულს და გისურვებ, რომე ღირსეულად ატარო მეფის წყალობა. ვსვამ აზნაურის სილიბისტრო კვაჭანტირაძის სადღეგრძელოს. გოუმარჯოს ჩემს ახალ მოძმეს!

და სილიბისტროს ოჯახში შადრევანივით იფეთქა სასიხარულო კიჟინამ და ჟრიამულმა. აშორდიამ სილიბისტროს ზეიმით გადასცა მეფის უგრძესი სიგელი, რომელსაც მეორე დღეს მთელი სამტრედია ჰკითხულობდა და შენატროდა.

იმ დღიდან სილიბისტრო კვაჭანტირაძეს და კვაჭიკოს აზნაურობა დაუმტკიცდათ. ვახშამზე ხუთი წლის კვაჭიკომ სილიბისტროს დარიგება შეასრულა: აშორდის ხელზე აკოცა და უთხრა:

— ბიძია, მადლობელი ვარ.

აშორდიამ გაუღიმა, კვაჭიკოს შუბლზე აკოცა, მოუალერსა და უთხრა:

— ჩემო პატარავ! მე ვნა გავიკაფე, ყველა კარი გაგიღე და დანარჩენი შენ იცი. შენც ბედნიერი იყავი, შენი შთამომავლებიც და სამშობლოც გააბედნიერე და ასახელე. ვსვამ პაწია კვაჭიკოს სადღეგრძელოს, ვაშა!

ისევ ატყდა ჟრიამული, სიმღერა და ლხენა.

მეორე დღეს, აშორდია რომ წასასვლელად ემზადებოდა, კვაჭიკომ ერთხელ კიდევ აკოცა ხელზე და უთხრა:

— ბიძია! მეფესთან ლომ იქნები, უთხარი, კვაჭიკო კვაჭანტილაძე ალ დეივიწყებს-თქვა შენს სამსახურს და ლომ ევიზდები, შენც გადაგიხდი მადლობას.

ყველამ გაიცინა. აშორდიამ წააქეზა:

— აბა, შენი იმედით ვიქნები. არ კი დამატყუო, ბიჭიკო!

და წავიდა.

იმ საღამოს ნოტიო ამბობდა:

— ვენაცვალე ჩემს კვაჭიკოს! ახლა წინ აფერი არ დოუდგება. ქვეყანას გადაატრიალებს და ჩვენც გაგვაბედნიერებს. იქნება ისეთი დროც მევიდეს, რომ კვაჭიკომ ჭმორდიას მართლა მადლობა გადუხადოს და სამსახურშიც გაასწროს.

რა იცოდნენ მაშინ ნოტიომ ან პუპიმ, თუნდაც აშორდიამ, ან გაბლენძილმა სილიბისტრომ, რომ მომავალში პაწაწინა კვაჭიკო აშორდიას სახელს სრულიად დაჩრდილავდა, ქვეყანას მართლა ააფორიაქებდა და თავის გვარს ბრწყინვალე შარავანდედით შეამკობდა.

ძვირად დაუჯდა სილიბისტროს აშორდიას ხელით შეთხუპნული აზნაურობა. რაც აშორდიას დაახარჯა, ერთი იმდენიც სამტრედიელებსა და ხონელებს მოუნდათ, რომელნიც ერთი კვირის განმავლობაში ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ სილიბისტროსთან და წრფელის გულით ულოცავდნენ მეფის წყალობას და კეთილშობილთა ოჯახში შესვლას.

აქა ამბავი კვაჭის ყრმობისა

მას შემდეგ, რაც სილიბისტრო კვაჭანტირაძეს აზნაურობა დაიმტკიცა, მის ხასიათსა და ოჯახსაც ელფერი გამოეცვალა. ყველანი გაიბღინძნენ, გაამპარტავნდნენ და „გაკეთილშობილდნენ“. წინანდელ მეზობლებს ან აღარ ჰკადრულობდნენ, ან ისეთი მედიდურობით და მფარველობით იქცეოდნენ, თითქოს მათ შორის ძველი ხიდი ჩამტყდარიყო და ახალი კედელი აშენებულიყო.

სილიბისტრო ზოგჯერ ასე არიგებდა პატარა კვაჭიკოს:

— შვილო კვაჭი, აი ქვეყანა ასეა მოწყობილი: ზოგი უმფროსია, ზოგი უნცროსი; ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბი; ზოგი ძლიერია, ზოგიც გლახაკი; ზოგი თავადია ან აზნოური, ზოგი კიდო ყაზახია, გლეხია. შენისთანა აზნოურიშვილმა ყველას თავი არ უნდა გოუყადროს, არ უნდა აჰყვეს. ყაზახი და გლახა შენ ვეფერს მოგცემენ, პირიქით, გამოგრჩებიან რასმეს. აზნოურს და მდიდარს დოუმეგობრდი, დოუახლოვდი, აჰიამოვნე და ძმათ გოუხთი. მდიდარი და ძლიერი ყოველ-

თვის გამოგადგება: ერთი წინ წაგაყენებს, მეორე გაჩუქებს რასმე, მესამე ხელს მოგიმართავს. ასთეა, ჩემო კვაჭიკო, მოწყობილი ეს ქვეყანა, შენც უნდა მიჰყვე მას და გამოიყენო.

კვაჭიკო ჭკუამახვილი და გამგონი ბავშვი იყო, ამიტომ სილიბისტროს დარიგებას ადვილად ითვისებდა და მისდევდა.

ექვსიოდე წლისა ძლივს იქნებოდა, როცა ვაჭრობის საქმეში უკვე ენა აიდგა. როცა სილიბისტრო, ნოტიო ან ბარდღა გლეხებისაგან საქონელს ჰყიდულობდნენ, კვაჭიკოსაც უეჭველად უნდა ჩაერთო რამდენიმე სიტყვა:

— ალ ვალგა... ძვილია... დილას ოლ შაულათ გვაძლიენ...

მუშტარს ღიმილით და თავაზიანად უხვდებოდა:

— გამალჯვება, ბიძიავ... კვაჭი მქვია... ექვსი წლისა გახლავალ... სილიბისტლოს შვილი ვალ... ყოლიფელი გახლავთ: ხილი, კუპატი, სულუგუნი, ხალჩო, კვერცხი და ისეთი სვილის ღვინოც, რომე კახულს ზედაც არ შეხედავს.

და ბრძანების გასაცემად მირბოდა, თან ჰყვიროდა:

— ჩქალა! მოალთვი; ლაც კალგია! აალაგე! გაწმინდე! გალეცხე! აბა, დატლიალდი!

სწავლა დიაკვანმა დააწყებინა. რვა წლისა რომ შესრულდა, ქუთაისში ჩაიყვანეს და თან სილიბისტრო, პეპე, ხუხუ და ნოტიოც გაჰყვნენ. ასეთი დიდი, სუფთა, მდიდარი და ლამაზი ქალაქი რომ დაინახეს, გაოცდნენ და დაიბნენ. სილიბისტრომ რომ გაოცება შეამჩნია, ყველანი ასე დაარიგა:

— ყური მიგდეთ, გეიგონეთ და დეიხსომეთ: ძალიანაც რომ გეიკვიროთ რამე, გაკვირვებას ნუ შეიმჩნევთ, თვარა გამოუცდელობას შეგატყობენ და დაგცინებენ ან ხრიკს მოგდებენ, თუ ლაპარაკი ჩამოვარდა სადმე, სთქვით, ტფილისშიაც ვყოფილვარ-თქვა, ერთი წელიწადი მიცხოვრია-თქვა, ყოლიფერი მინახავს-თქვა, გამიგია და მიცდია-თქვა.

კვაჭიკომ ეს დარიგებაც კარგად შეითვისა და იმავე დღეს პეპეს შორეულ ნათესავთან, ბუდუ შოლიასთან, სადილის დროს, როცა ტფილისის შესახებ ჩამოვარდა სიტყვა, არხეინად და დინჯად ჩაურთო:

— არა უშავს რა, დიდი ქალაქია, მომწონს... დიახ, შარ-

შან ორჯელ გახლდით... მომწონს „ვოლოვინსკი", თეატრი, ვაგზალი... დუქნებიც კარგია...

არც გაწითლდა, არც ხმა აუკანკალდა, თან ისე გადაჰხედა ყველას, თითქოს ეკითხებოდა: აბა, ვინ გაჰბედავს და დამიმტკიცებს, რომ ტყუილს ვამბობო. ნამდვილად კი კვაჭიკო ქუთაისმაც კი გააკვირვა, გააბრუა და ცაში აიტაცა. მაგრამ რას იფიქრებდა მაშინ პაწია კვაჭიკო, რომ მომავალში, როცა კვაჭი კვაჭანტირაძე თავადიშვილის ფსევდონიმით დაივლიდა პეტერბურგს, პარიზს, ვენას, ბერლინსა და ლონდონს, ქუთაისის გახსენებაზე მწარედ ჩაიცინებდა და იტყოდა:

— თურმე საქათმეში დავბადებულვარ და საღორეში გავზრდილვარ, ეხლა კი ნამდვილ სასახლეში გადმოვსახლებულვარ.

ერთი კვირის შემდეგ, როცა კვაჭიკო ქუთაისში დაბინავდა, სილიბისტრო თავის ოჯახით სამტრედიაში დაბრუნდა. კვაჭიკოს რომ ეთხოვებოდა, სილიბისტრომ ასე დაარიგა უკანასკნელად თავის ერთადერთი ნუგეში და იმედი:

— აპა, შვილო, გეთხოვები. კარგა ხანს ველარ გნახავ. მივდივართ, მარა გული და სული აქანე გვრჩება. ჭკუით იყავი, სწავლას გული დოუდე, ბუდუს და მასწავლებლებს ყოლიფერი დოუჯერე. გაფუჭებულს და ყაზახ ბოვშებს ნუ აჰყვები. თუ ჭკვა იხმარე, ისეთი კაცი გახთები, რომ მთელ სამტრედიას, ხონს და ქუთაისსაც აალაპარიკებ, მტერს უნდა თვალი დოვუყენოთ და ნათესავი კი გავახაროთ. შენი იმედით მივდივართ, შვილო კვაჭიკო... აბა, შენ იცი...

და ცრემლი ძლივს დამალა.

კვაჭიკომ უპასუხა:

— თქვენ არხეინად იყავით... კვაჭანტირაძის გვარს არ შევარცხვენ.

ყველამ გაიცინა. მერე იტირეს, ერთმანეთი დაჰკოცნეს და წავიდნენ. კვაჭიკო კი ბუდუ შოლიას ოჯახში დარჩა ბალახვანის ქუჩაზე, სადაც შოლიას სამიკიტნო ჰქონდა, და ერთი კვირის შემდეგ გიმნაზიელის ახალ ფორმაში გამოწყობილი, გულმოდგინედ შეუდგა სწავლას.

აქა ამბავი კვაჭის ხასიათისა

რამდენიმე წელიწადი გავიდა. კვაჭი დაჭაბუკდა, გაიზარდა, გაიშალა. მაღალი, ჩასხმული, ლამაზი და ტანადი ჭაბუკი იზრდებოდა. ნიჭით კვაჭი პირველთა შორის ითვლებოდა, შრომით — უკანასკნელი, ხოლო საერთოდ — საშუალო. გაკვეთილების დასწავლა და დაზეპირება მისთვის ტანჯვა იყო, მაგრამ მაინც ადვილად ეწეოდა სიბრძნის უღელს, რადგან დიდი მეხსიერება ჰქონდა და კლასში გაგონილს ადვილად ითვისებდა. ვერც წიგნის კითხვას უდებდა გულს, თუმცა ვატაცებით ჰკითხულობდა მოგზაურობას, ყოველგვარ თავგადასავალს; მსხვილფეხა და წვრილფეხა ავანტურის აღწერას. ორჯელ-სამჯერ გადაიკითხა ჯერ მაინ-რიდი, კუპერი, გუსტავ ემარი, გორდონის მოგონებანი, ნატ პინკერტონი, შერლოკ ჰოლმსი და ათასგვარი დომხალი.

სილიბისტროს დარიგება კვაჭის მაგრად ჩაეჭედა ტვინში. ის სულ იმის ცდაში იყო, რომ ძლიერთათვის და მასწავლებელისთვის ესიამოვნებინა, მუდმივ მათს თვალწინ ეტრიალნა, თავი მოეწონებინა, შეეყვარებინა და მათგან წვრილ-წვრილი გამორჩენა და სარგებლობა ენახა. ამ მხრივ კვაჭი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა: მას საოცარი და იშვიათი ნიჭი ჰქონდა ადამიანის ხასიათის ცნობის, მასთან დაახლოვების, დამეგობრების, დაძმობილებისა და მისი სრული ნდობისა და სიყვარულის მოპოვებისა. თუ კვაჭი გულში ჩაიდებდა ვინმესთან დაახლოვებას, იგი კაცი ან ქალი ორიოდე კვირაში კვაჭის სულითა და გულით ეყოლებოდა დატყვევებული.

კვაჭი ჭკუიანთან ჭკუიანი იყო, დინჯთან — დინჯი, ხუმარათან — ხუმარა, დარდიანთან — დარდიანი, მხიარულთან — მხიარული; ძლიერთან — მორჩილი, პირმოთნე, ქლესა, თავაზიანი და მოღიმარი. მაგრამ თუ საჭირო იყო, მას შეეძლო უხეშთან და ჭირვეულთან — თავმდაბალი და მოქნილი ყოფილიყო, კუსტთან — კადნიერი, თავხედი, ცინიანი; პირდაპირთან — ორგული, ფლიდი და ორპირი; ორგულთან — ავგული და ათპირი; მუხასთან — ლერწამი, ლერწამთან — მუხა; რკინასთან — ბამბა და ბამბასთან — რკინა.

სადაც პირდაპირი გზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხევდა, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს იპოვ-

ნიდა; უკარო და უფანჯარო ოთხ კედელშიც რომ ჩავარდნილიყო, ათიოდე ხვრელს აღმოაჩენდა და ცხრაკლიტურ ციხეში ისე შეძვრებოდა და გამოძვრებოდა, როგორც ნემსი ბუმბულში.

კვაჭიმ ზედმიწევნით შეიგნო და შეითვისა გარდუვალი და უძლეველი ძალა ტკბილი სიტყვის, გულმოსალოკი ღიმილის, გამაცრუებელი ქებისა და ქლესობისა; მას იდუმალი რამ თილისმა ჰქონდა ნდობის მოხვეჭის, ადამიანის სულისა და გულის დაპყრობა-დამორჩილებისა, ათთა და ასთა დაბმა-მოწველის, მათი გაკრეჭისა და გამოყენებისა.

როცა ვინმეს შეჰკრეჭდა და მოსწველიდა, მახლობელთა შორის სინიდისის დასამშვიდებლად იტყოდა ხოლმე:

— ამქვეყნად ზოგი უნაგირით იბადება, ზოგი კი დეზებით და მათრახით. მე დეზი და მათრახი მირჩევნია, დეე სხვებმა უნაგირი ატარონ. ასე უთქვამს თურმე ვოლტერს.

ან:

— ამქვეყნად რომე ყველა გულმაგარი და უნდო იყოს და ყველას რომ ჯიბე მავთულის ძაფით ჰქონდეს პირმოკერილი, ჩემისთანა კაცი ან წყალში უნდა გადავარდეს, და ან მიწას უნდა ჰხნავდეს.

ან კიდევ:

— ძამიავ, დეიხსომე: ღმერთს ცხვარი მოსაწველად და საკრეჭად გოუჩენია.

კვაჭის ყნოსვა და ალღო ჯიშიან ძაღლსავით ჰქონდა გალესილი. იგი ცოცხალი ბარომეტრი იყო და გაავდრებას ან გამოდარებას ჯერ კიდევ მაშინ იგრძნობდა ხოლმე, როცა სხვები დარის გამოცვლას არც კი მოელოდნენ. ხოლო დარი ხშირად იცვლებოდა შოლიას დუქანსა და ოჯახში, გიმნაზიაში, ბულვარზე და საერთოდ ქუთაისის ცხოვრებაში. კვაჭი დარის გამოცვლას დროზე აუღებდა ალღოს და ახალ ტანისამოსსა და კანს უმალვე გადიცვამდა, საბრძოლველ იარაღს შეიცვლიდა, თავის ძალებს შესაფერად გადააჯგუფებდა, ჩამავალ მზეს მიაფურთხებდა, ამომავალს მიესალმებოდა, დავრდომილს ჩასწიხლავდა და წამომდგარს თამამად ამოუდგებოდა გვერდით.

„ყველაფერს თავისი ადგილი, დრო და ზომა აქვს“. ეს უბრალო ჭეშმარიტებაც კვაჭის ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისე-

ბული და ამ იარაღსაც საოცარი ოსტატობით ჰხმარობდა. ლაპარაკის კილო, სიტყვების რაოდენობა და შერჩევა, მათი მოხმარება თავის დროზე და შესაფერ პირობებში, ყოველი ნაბიჯი და მიხვრა-მოხვრა — ყველაფერი გამოანგარიშებული, დათვლილი, აწონ-დაწონილი და გამოზომილი ჰქონდა: თავის დროზე ჩრდილში შესვლა და თავის გარიდება, თავის დროზე გამომზეურება და თავის გამოჩენა, თავის დროზე მოთმენა და მოლოდინი, დროზე მოქმედება და დროზე ისევ უკან დახევა — ასეთი იყო მისი ჯადოსნური ნიჭი და ძალა.

კვაჭის ბადალი არა ჰყავდა ფულის შოვნაში, მაგრამ ან იშვიათად, ან არავინ არ იცოდა ნამდვილი წყარო და ხერხი ამ ფულების შოვნისა. უკიდურეს შემთხვევაში კვაჭი სესხსაც მიჰმართავდა და ამ უძნელეს ქართულ საქმეშიც, კვაჭს თავისებური ხერხი ჰქონდა — უბრალო და უებარი: ის მოულოდნელად, სხვათა შორის, გაკვრით და არხეინად ჩაურთავდა ხოლმე ბაასში: „სამი თუმანი მასესხეთ“, და ამას ისეთ კილოზე იტყოდა და ისეთ დროს შეარჩევდა, რომ უარს არასოდეს არ მიიღებდა. ხუთი წუთის შემდეგ ფულის გამსესხებელი ნანობდა და თავში ხელს იცემდა, ფულნაშოვნი კვაჭი კი არხეინად უსტვენდა და მიალაჯებდა.

კვაჭის ერთი ჩვეულებაც სჭირდა, რომელიც კანონად და წესად ჰქონდა მიჩნეული: „ნურავის ნურასოდეს ნურაფერზე უარს ნუ ეტყვი, მაგრამ დანაპირევი მხოლოდ მაშინ შეუსრულე, თუ იგი იმავე დღეს ან ხვალ მაინც მოგიტანს სარგებლობას. ამიტომ იყო, რომ კვაჭისაგან უარი არავის არ გაუგია და გულკეთილი, თავაზიანი და ზრდილი ახალგაზრდა უხვად აბნევდა მარცხნივ და მარჯვნივ ათასნაირ დაპირებას.

— მოვიკვდეს კვაჭი! ფული გინდა? რამდენი? ხუთი მანეთი? რატომ ერთი საათით ადრე არ მითხარი? მაინც გიშოვი, ახლავე გიშოვი.

გაძვრებ-გამოძვრებოდა და მიიმალებოდა, დაპირება კი ყოველთვის დაპირებად რჩებოდა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მოტყუებულთ იმედის გაცრუება არა სწყინდათ, რადგან კვაჭი ისე თავაზიანად, ტკბილად და ხელმარჯვედ გამოძვრებოდა ყოველგვარ გაჭირვებიდან, რომ მისი კრედიტორები ნასიამოვნებიც კი რჩებოდნენ და შემდეგშიც ახალ-ახალ სამსახურს უწევდნენ.

კვაჭიმ თავის ტოლ-ამხანაგებში თავიდანვე დიდი გავლენა დაიმსახურა. კლასში რომ შევიდოდა ან ბულვარზე რომ გავიდოდა, მაშინვე მის გარშემო დიდი ჯგუფი შესდგებოდა ხოლმე. ნაცნობ-ამხანაგები ისე ეხვეოდნენ გარშემო, როგორც ბუზი თაფლს. კვაჭის ყველასთვის და ყოველთვის ჰქონდა დამზადებული შესაფერი სიტყვა, აზრი, ღიმილი, რჩევა და დარიგება. მრავალნაირი გაუგებრობის მოგვარება, წვრილმანი შეხლა-შემოხლის მოწესრიგება და მოსწავლე-მასწავლებელთა შორის შუამავლობა მისი ხელობა იყო. ყველანი ამბობდნენ:

— კვაჭს რომ შრომა უყვარდეს, დიდი მომავალი ექნებოდა.

— ისედაც დიდი კაცი გამოვა. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა! — დაუმატებდნენ ხოლმე სხვები.

აქა ამბავი პირველ ოფლიან მანეთის შოვნისა

ბუდუ შოლიას სამიკიტნო ბალახვანის ქუჩაზე ჰქონდა, ხოლო ბინა — იმავე სახლის ეზოში. კვაჭიკო ამ სამიკიტნოში ხშირად დაძვრებოდა, ზოგჯერ დახლში და წვრილმანშიც შეელოდა, ცალკე კაბინეტში იჭყიტებოდა, ყველაფერს ყურს უგდებდა, აკვირდებოდა, ითვისებდა და გამოცდილებას ილესავდა. ამიტომ მოხდა, რომ შოლიას სამიკიტნო კვაჭისთვის ცხოვრების ნამდვილ სკოლად გადაიქცა. მან, ათიოდე წლისამ, იმდენი გაიგო აქ, იმდენი ნახა და შეითვის-შეისწავლა, რომ სხვას, ოცის წლის ჭაბუკსაც, არც ენახა და არც გამოეცადა.

ბუდუ შოლიას ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა, სახელად ცვირი, რომელიც კვაჭს საკუთარ შვილსავით ზრდიდა და უვლიდა, ქმარს კი ასე ამშვიდებდა:

— ბიჩა, რა გინდა ჩემგან! შენ ერთი შვილიც ვერ გამიჩინე და სხვის შვილიც არ მიყვარდეს? და სხვის ჭაბუკს ისე მიეკრა, როგორც მისი ქმარი თავის ქონიან დახლს.

ცვირის იმდენად დაუჩლუნგდა მორიდების გრძნობა და ეს უცხო ბავშვი ისე შეითვისა და შეიზარდა, რომ ცამეტ-

თოთხმეტი წლის კვაჭიკოს თვითონვე გაჰწდიდა და თვითონვე გააზანებდა ხოლმე.

კვაჭის საკუთარი პაწაწინა ოთახი ჰქონდა. მისი ოთახი და საერთო დიდი ოთახი თხელი ფიცრულით იყო გადაღობილი, ამიტომ ორივე ოთახში ყოველი სიტყვა, ჩრაჩუნი და ფუსფუსიც კი ისმოდა.

ის საღამოს კვაჭი ბულვარიდან დაბრუნდა, ცოტაოდენი გადიკითხა და დაწვა. ცვირიმ კვაჭიკოს ოთახში რაღაც მიაღავ-მოალაგა, მერმე ლამფა ჩაუქრო, სიბნელეში ტახტზე ჩამოუჯდა კვაჭის და ხუმრობა დაუწყო. ეს ხუმრობა ისე გათავდა, როგორც უნდა გათავებულიყო: ცვირიმ კვაჭის ისეთი რამ ასწავლა, რაც კვაჭიმ წინადაც იცოდა, მაგრამ საკუთარ თავზე ნამდვილ დედაკაცთან ჯერ სავსებით ნაცად-ნაგრძნობი არა ჰქონდა.

ბუდუ შოლია ბებერი და სნეული იყო, ამიტომ ცვირიმ იმ ღამეს მეორე მუდმივი მამალი იშოვნა, ხოლო კვაჭიკომ — პირველი ნამდვილი დედალი იგემა. რას იფიქრებდა მაშინ ცვირი, რომ თუ იგი კვაჭიკოსთვის პირველი დედალი მასწავლებელი იყო, იმის მეზობლის ქალიშვილი უცხო ვინმე ვარია — კვაჭის ტოლი — უკვე რამდენიმე წლის წინად — კვაჭიკომ ნამდვილ ვარიად გაიხადა.

მეორე დღიდან ცვირიმ ალერსი და მზრუნველობა გააათკეცა, კვაჭიკოს ხელში ვერცხლის მანეთიანი ჩაუდო და ჩასჩურჩულა:

— გენაცვალე ამ ხელებში! იყიდე რამე, მარა სიტყვა არსად არ დასძრა, თვარა ორივენი დევიღუპებით.

გაფრთხილება საჭირო არ იყო. კვაჭიკო რაღაც გაჩუმდებოდა ამ მანეთის შესახებ, თუმცა დანარჩენის გაჩუმებაზე არც კვაჭი და არც მისი ამხანაგები ნიძლევად ერთ შაურსაც არ დასდებდნენ.

ასე იშოვნა კვაჭი კვაჭანტირაძემ ოფლითა და შრომით პირველი მანეთი.

ის მანეთი ტკბილი, ადვილი და მსუბუქი გამოდგა. რაკი კვაჭიმ გზა გაიკვლია და ერთხელ იგემა ასე ადვილად ნაშოვნი მანეთიანი, მალე პირველს მეორეც მოჰყვა, მეორეს — მესამე და მესამეს — მეათე. ცვირი მალე დარწმუნდა, რომ საკუთარი მამლის გაზრდა და შენახვა ძალიან ძვირად უღირ-

და, მაგრამ გვიანღა იყო წინაწული და თითზე კბენანი. ცვირის ძილი გაუფრთხა და სულის სიმშვიდე დაეკარგა, რადგან მისი მამალი დაუდეგარი და გაუმაძღარი გამოდგა: ჭამით ცვირის ნაკმაზსა აჭამდა და იმავ დროს სხვა ეზოებშიაც დაეხეტებოდა და იქ სხვა დედლებსაც უწევდა მამლობას. ასე ჰფიქრობდა და ასე უსაყვედურებდა ცვირი კვაჭიკოს.

მაგრამ ცვირი ისევ სცდებოდა: სხვების საქათმეშიც ეყარა ვერცხლისა და ოქროს ნაკმაზი. ჯიბრი და ქიშპობა ძნელი იყო და მეტად ძვირადაც უჯდებოდა, ამიტომ ცვირიმ კვაჭის დასაკუთრებაზე მალე აიღო ხელი, ბედს შეურიგდა, სასიყვარულო რიგში ჩადგა და გაიფიქრა: ყვავს კაკალი გააგდებინე, ეგეც კარგიაო.

ან რა უნდა ექნა საწყალ ცვირის? ყველას თავის ჯერი და წილი ჰქონია. ნასუფრალი არც ისე დასაძრახისი ყოფილა, როგორც პირველად ეგონა, ხოლო ამქვეყნად ლამაზ ვაჟკაცსა და დედაკაცსაც თურმე ისე ინაწილებენ ძლიერნი, როგორც სხვა ქონებას და ბედნიერებას. არც ერთის და არც მეორის სრულ დაჩემებას ნურც ნურავინ იფიქრებს და ნურც დაიქადნის.

სამიოდე წელიწადი კიდევ გავიდა. ცვირიმ რაღაც გეში აიღო, შეშინდა და მეზობლის ვარინკა დროზე დააშორა კვაჭიკოს. ცვირი ორთა შორის გაუვალ კედლად აიტუზა, ეჭვით აივსო და კვაჭის უფრო მაგრად ჩაეჭიდა, თუმცა წინანდებურად ისევ ნასუფრალით იკვებებოდა. მამლის შენახვაც თანდათან ძვირდებოდა, რადგან კვაჭიც იზრდებოდა და ფასს იდებდა, ამიტომ სხვებთან ჯიბრი და ქიშპობაც ძნელდებოდა.

ერთხელ ცვირის და კვაჭის მცირედი უსიამოვნება მოუვიდათ. კვაჭი აიმრიზა, ბილეწა და ასეთი ოფლით ნაშოვნი ფულის აღება ნაგვიანევად იუკადრისა და საყვარელს თავის ბასრი კლანჭები პირველად აგემინა.

ცვირიმ გაიცინა და უთხრა:

— დიდი სულელი ყოფილხარ, ჩემო კვაჭიკო, თუ ჰფიქრობ, რომე ამ ფულს საჩუქრად გაძლევ. სწავლას გაათავებ, ფულს მეიგებ და დამიბრუნებ. ნუ ხარ ბალანა, ეიდე.

კვაჭიმ მოიფიქრა და უპასუხა:

— სარგებლით დაგიბრუნებ, თუ თანახმა ხარ...

— ჰოდა! უსარგებლოდ ფულს გავასესხებ?

ამაზე მორიგდნენ. ადამიანის გული ბნელია. ვინ იცის, გაახსენდა თუ არა სიმერემდის კვაჭი კვაჭანტირაძეს, რომ მას ქალაქ ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზე, ოდესღაც ცვირი შოლიას ვალი დაედო. ის კი მართალია, რომ ცვირი შოლიას კვაჭიკოზე დახარჯული ფული არასოდეს არ დაუთვლია, არც ჩაუწერია და არც ვალად ჩაუთვლია.

კვაჭი თავის ტოლ-ამხანაგებში არა მალავდა, რომ მას ქალების ბაზარში მრავალი მუშტარი ჰყავდა, მაგრამ ფასის შესახებ ლაპარაკს ერიდებოდა და მხოლოდ ზოგჯერ იტყოდა ხოლმე გაკვრით:

— ქალიზა ფულს მხოლოდ გიჟი ან მახინჯი ხარჯავს.

ან კიდევ:

— ნასწავლსა და ახალგაზრდა ქალიშვილებს მხოლოდ ტუტუცები და პოეტები დასდევენ. ეს ქვეყანა სავსეა გამოცდილ დედაკაცებით. ხიფათიც ნაკლებია, თავისუფლებაც შეგრჩება, არც ბევრი დრო დაგეხარჯება და არც ფული. პირიქით, ზოგჯერ...

და ერთხელ, როცა სამი ბოთლი ყურფიანური გამოსცალა, ასე ბუნდოვანად და ირიბულად დაარიგა კვაჭიმ თავისი ამხანაგები:

— ჭკვა მოიკრიფეთ, ცხოვრებას დააკვირდით, ყოველფერი ასწონდასწონეთ და გაზომეთ. არ მესმის, ქალმა რავა უნდა გამაგიჟოს და გამიტაცოს ისეთ, რომე გონება დავკარგო და ხუთმეტი წლის კაროჟნას შევწირო ჩემი თავისუფლება, ახალგაზრდობა, მომავალი და სიცოცხლეც? ჩვენს დროში ათი წლის ბალღმაც კი იცის, რომე ქალი წუთიერ სიამოვნებისთვისაა გაჩენილი. მიიღე მისგან რაიც მისაღები გაქვს და, თუ გინდა, მადლობა უთხარი და შენი გზით წადი. თუ თანასწორობაა — ყოლიფერში თანასწორობა უნდა იყოს. რით უნდა ვატარით ზურგით ოცი და ორმოცი წელიწადი ვიღაც სონია, ვარია ანუ მარუსია? ორივემ ვისიამოვნეთ, მერე ორივენი ჩვენის გზით წავედით, მორჩა და გათავდა! მეტსაც მოგახსენებთ: ცხოვრება ბრძოლაა. რასაც წაჰგლეჯ — შენია, რაც არა — დაკარგულია. ზოგს დედაკაცს, გარდა იმისა, რაც ყველა ქალებს აქვთ, ზოგი რამ კიდევ მოეპოვება. ჭკვიანი კაცი დედაკაცს ძირიან-ფესვიანად ამოსწურავს და თვითონ-

ვე მოაჯდება მას ზურგზე, ვინაიდან, დამიჯერეთ, სხვის ზიდვას მე მირჩევნია, რომ სხვა ვინმემ მზიდოს. ასეა ეს ქვეყანა მომართული. ვისაც თვალი აქვს, დეინახავს, ვისაც ყური აქვს, გეიგონებს, ვისაც ტვინი აქვს, შეიგნებს და გამოიყენებს.

ასე აზროვნებდა თვრამეტი წლის კვაჭუნი.

აქა ამბავი კვაჭის გამოცდისა

კვაჭმა თანდათან მთელი ქუთაისი გაიცნო და შეისწავლა. ქუთაისმაც მალე შეამჩნია და გამოარჩია ლამაზი, ნიჭიერი, ჭკუიანი, მხიარული, ხერხიანი და ხელმარდი ჭაბუკი, რომელსაც ყველანი და ყველაფერი დიდს დაწინაურებას და ბრწყინვალე მომავალს ჰპირდებოდნენ. თითქმის ყველა ოჯახის კარები ღია იყო კვაჭისთვის, რომელსაც ხელთ ჰქონდა ჟილისმა სამ დღეში გაშინაურების, ყველგან ნათესავების აღმოჩენის, ყველას შეყვარების, დამეგობრებისა და გამხიარულების.

ის ჯერ თავის ტოლ-ამხანაგებს აჰყვა და მალე ისე დასეირნობდა გოჭოურაში, სალორიაში, ჭომაში და აფიჩხიას სასაფლაოზე, როგორც საკუთარ ბაღში, სამტრედიაში რომ ჰქონდა, ხონის გზის ნაპირას. ნელ-ნელა დუქნებსაც შეეჩვია. ჯერ მიყრუებულ სამიკიტნოებში დადიოდა. სადაც გიმნაზიის ზედამხედველი ან პოლიციელი არ შეიჭყიტებოდნენ, ცერმე უფროსმა ამხანაგებმაც ჩაირიეს და უკეთესი ადგილები აჩვენეს.

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა რომ გახდა, ერთი საფეხურით კიდევ აიწია: ახალგაზრდა მოქეიფე თავად-აზნაურებმა თავიანთ წრეში მიიღეს და პირველად „ნოეს ვაზში" გამოსცადეს.

კვაჭმა ამ გამოცდას ბრწყინვალედ გაუძლო და არც სმას, არც ცეკვა-თამაშსა და სიმღერაში დავარდა. იქიდან ლაითაძის დუქანში გადავიდნენ, ხონის გზაზე რომ იდგა, სადაც თამადამ და მასპინძელმა ნიშნად მონათვლისა და დამობილებისა კვაჭს ერთი ხელადა ღვინო დაასხეს თავზე და შეუსვენებლივ სამბოთლიანი ჯიხვი დაალევინეს.

იქ დილამდის იქეიფეს ჩვენებური ქართული ქეიფით: ხუ-

ში ჩაფი ღვინო დაილია, უთვალავი სანოვაგე შეიჭამა, ორჯელ მეტი დაიღვარა და გაფუჭდა, მრავალი ჭურჭელი დაიმტვრა და ზეცა რევოლვერების ბათქაბუთქით დაიცხრილა, დილით შვიდი გალეშილი მუქთახორა თხუთმეტი ეტლით დაბრუნდა ქალაქში, ხოლო საღამოზე და მეორე დღესაც ქეიფი და კვაჭის ნათლობა განაგრძეს — ჯერ „ლევში“ და „ბორჯომში“, მერმე სალორიაზე — გაბერილ და ჩასუქებულ ერემოსთან, რომელსაც კვაჭი იმავე საღამოს დაუმეგობრდა, რადგან მათ შორის მჭიდრო სულიერი ნათესაობა აღმოჩნდა.

შუა ქეიფში დუქანს ეტლით ვიღაც აფიცერი და მოხელე მოადგნენ და თან ორი ქალიც მოიყვანეს. ერთი ქალი კვაჭის მახლობელი გამოდგა. ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს, გაუცინეს და ორიოდე სიტყვა გასცვალეს. აფიცერმა იწყინა. კვაჭის თავადი დადიანი წაესარჩლა. შეჰყვნენ, შეკამათდნენ და მიიწ-მოიწიეს. იძრეს ხანჯლები და რევოლვერები. ატყდა წივილ-კივილი და ალიაქოთი. დუქნისა და მედუქნის პატრონსან სახელს ხიფათი მოელოდა, ამიტომ ერემომ „შესაფერი ზომები“ მიიღო და თავის სახელი დაიცვა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ აფიცერს იარაღი აჰყარეს, ხოლო მოხელეს ორი კბილი დააკლდა. კვაჭი მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა ყველაფერი გათავდა, მანამდე კი ახალგაზრდა ვაჟი „ერთ პაწია საქმეზე“ ბუჩქებში იყო შემძვრალი. მოსწავლე იყო და აპატიეს. ყველამ პირობა დასდეს, თუ საქმე გამოაშკარავდა, კვაჭი არ გამოვაჩინოთ, რადგან ვიმნაზიელ კვაჭს მეტი ხიფათი მოელისო.

საქმე მაინც გამოაშკარავდა და მითქმა-მოთქმა, გამოკითხვა, გამოძიება და კალმების წრიპინი ატყდა არც კვაჭის ამბავი დაიმალა. მტრებმა უხელთეს და ჭორიც მოუგონეს: ვითომ კვაჭი ქალაღდის თამაშის მომწყობი ყოფილიყო, ვითომ ჩაწყობილი ქაღალდით დიდი ფული მოეგოს, ვითომ სერიოჟა ლონდუასთვის ფულიც დაეცინცლოს. ვითომ რაღაც ყალბი საბუთებიც შეედგინოს და მოეპარილი, შურიან ამხანაგების მიერ კიდევ რამდენიმე ზღაპარი და ცილისწამებაც მიაკერეს.

კვაჭის ბედი ბეწვზე ეკიდა. მაგრამ ბოქაულიც, გამომძიებელიც და დირექტორიც მოსტყუვდნენ. კვაჭს ისეთი იდუმალი მფარველები აღმოუჩნდა, რომ ყველამ უკან დაიხია.

ერთი მხრით წარჩინებული დედაკაცები ფუსფუსებდნენ, მეორე მხრით — გავლენიანი საზოგადო მოღვაწენი, ხოლო ცვირიმ წელზე ფეხი დაიდგა და ერთბაშად მეტად დიდი სესხი მისცა კვაჭს.

ბოლოს, რა თქმა უნდა, კვაჭმა გაიმარჯვა. რით და როგორ გადაუხადა კვაჭი კვაჭანტირაძემ მადლობა თავის მფარველ დედაკაცებს — არავინ არ იცის, რაც შეეხება საზოგადო მოღვაწეებს, ამის შესახებ ორიოდე ცნობა მოიპოვება და გთხოვთ მოისმინოთ.

აქა ამბავი პირველი ნაბიჯისა

უკანასკნელ ხანებში ქუთაისს რაღაც ცეცხლი ეკიდებოდა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. ხალხი შფოთავდა, ქირიანობდა. კვაჭის ამხანაგები იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, ჯგუფებს ადგენდნენ და ფარულად ემზადებოდნენ. ბევრი სცდილობდა კვაჭიც ჩაეთრია, მაგრამ მას კარგად ახსოვდა სილიბისტროს სიტყვები, რომელმაც იმ წელს კვაჭი ახე დაარიგა:

— შვილო კვაჭი! ალბათ შენც იცი, რომე ქვეყანა გედირია და გაგიჟდა. უნდა მოსპონ თავად-აზნაურობა, დაანგრიონ მეფის ტახტი და მთავრობა. ლაპარაკობენ: მემამულეს მიწები უნდა ჩამოვართვათო, მდიდარი და ღარიბი გავათანასწოროთ, ძმობა-ერთობა დავამყაროთ, თავისუფლება მოვიპოვოთ, შვილო, ჭკვით იყავი! არ დაკარგო აზნაურობა და ქონება, რომელიც დიდი შრომით და ტანჯვით მაქვს შეძენილი. გახსოვდეს, მეფეს და მთავრობას მაგენი ვერ მოერევიან. ნახევარი ციხეში დალპება, ნახევარი ციმბირში გეეყინება. თუ ჭკუა გაქვს და დედ-მამა გიყვარს, ფიცი უნდა მომცე, რომ აფერში ჩიერევი და აზნაურობას არ შეარცხვენ.

კვაჭმა ფიცი მისცა და სიტყვას დიდხანს ინახავდა მტკიცედ. მაგრამ მდგომარეობა შეიქმს, შეგნებასო. კვაჭმა არ იცოდა, საბოლოო გამარჯვება ვის შერჩებოდა, იმას კი ნათლად და ცხადად ჰხედავდა, რომ ძალთა განწყობილება დღითი-დღე იცვლებოდა: მთავრობა და გიმნაზიის ადმინისტრაცია უკან-უკან იხევდნენ და სუსტდებოდნენ, ხოლო ხალხი

წინ მიიწევდა და ძლიერდებოდა. კვაჭი მაინც რყევაში იყო. ქანაობდა, ჯამბაზივით ეგრიხებოდა, ორივეს ეპოტინებოდა და არც მწვადს სწვამდა, არც შამფურს.

ვინ იცის, როგორ გათავდებოდა ასეთი ჯამბაზობა, რომ ჟერემოს დუქანში მომხდარი ამბავი არ მომხდარიყო და იმავე დროს კვაჭის იდუმალ მტრებს საზიზღარი ჭორები და ზღაპრები არ მოეჩმახათ. დაყოვნება შეუძლებელი იყო. კვაჭმა შესაფერი ნაბიჯები გადადგა. რამდენჯერმე საიდუმლო კრებას დაესწრო და თავის ორატორობის უნარი სცადა.

აქაც დიდი ნიჭი გამოიჩინა. მას ცეცხლი, პათოსი, რიხი, უნარი მსმენელისა და თავის თავის გატაცებისა და აღგზნების ცხადი ნიჭი აღმოაჩნდა.

საქმე ადვილად და მალე გაკეთდა. ერთ კვირაში კვაჭმა მთელი ქუთაისი ალაპარაკა. მაგრამ ასეთი აზმაურება კვაჭს არც ძალიან მოეწონა. მან უნებურად გადააჭარბა და ყელამდის შესტოპა. ეს ძალიან სახიფათო იყო, ამიტომ მან ორიოდე შესაფერი ნაბიჯი გადმოსდგა უკანვე, და როცა ატეხილი საქმე მოასპობინა და მტრებს პირში ბურთი ჩასჩარა, კვაჭმა სრული სწორწონობა მოიპოვა: ის წელამდის ერთ ბანაკში იდგა, წელზევით კი მეორეში ჩაეფლო.

კვაჭი კვაჭანტირაძემ მაშინ ისწავლა სიბრძნე ბებერ თუთუყუშისა, რომელიც ხარიხზე იჯდა, მარცხნივ და მარჯვნივ ქანაობდა და თილისმურ ფორმულას იმეორებდა:

„არც მარჯვნივ, არც მარცხნივ... არც აქეთ, არც იქით... შენც მინდიხარ, ისიც მიყვარს“...

კვაჭის ჩარევას პოლიტიკაში კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: ცნობილმა და პატივცემულმა კოლია არევაძემ ერთხელ ჰკითხა მას:

— კაროპულის ოჯახს იცნობ?

— ძალიან კარგად ვიცნობ.

— შენ და კაროპულის ვაჟი კიპრიანე მგონი მეგობრები ხართ, არა?

— კარგი მეგობრები ვართ.

ამის შემდეგ კვაჭი და არევაძე რამდენჯერმე საიდუმლოდ შეჰხვდნენ ერთმანეთს და წაიჩურჩულეს. იმ დღიდან კვაჭმა კაროპულის ოჯახში სიარული მოუხშირა. კაროპულო ბერძენი იყო, შავიქვის მრეწველი, ნახევარზე მეტს ჭიათურაში

სცხოვრობდა, ხოლო მისი ოჯახი ქუთაისში ბინადრობდა, რადგან შვილებს გიმნაზიაში ზრდიდა. მისი უფროსი ვაჟი კიპრიანე კლასში კვაჭის გვერდით იჯდა. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა.

კვაჭი და კიპრიანე ხშირად დადიოდნენ ბულვარზე, თეატრში, საფიჩხიაზე, სალორიაზე, ჭომაში და სხვა სასეირნოსა და გასართობ ალაგებში. უკანასკნელ ხანებს კვაჭი ძალიან ცდილობდა კიპრიანე ჩაეთრია ქაღალდის თამაშსა, ქალებთან სიარულსა და ქეიფში, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან კიპრიანე თავის მამის შვილი იყო: თავდაჭერილი და მშიშარა.

წინა დღეს არევაძემ და კვაჭმა ერთად ივახშმეს. ორივენი აღელვებული და აფიცხებული იყვნენ და ხანგრძლივი ჩუში ბაასი ასე გაათავეს:

— მაშ, ყველაფერი გათავებულია? — ჰკითხა კვაჭმა.

— გათავებულია. მეხუთედი შენია.

— კეთილი და პატიოსანი, თუმცა მეტი მერგება, მარა რადგან საქვეყნო საქმეა, თანახმა ვარ.

— გეგმა ხომ კარგად გეიგე? ხომ აფერი აგერევა?

— არხეინად იყავით, სწორედ ათ საათზე იქ ვიქნებით. ყოლიფერი მზათ არის.

— მაშ, მშვიდობით!

— გამარჯვებით!

მეორე დღეს კვირა იყო. კვაჭი, კიპრიანე, სონია ხვიჩია და მარუსია ჩალიძე წინა დღეს შეთანხმდნენ, რომ კვირა დღეს სალორიას ტყეში პიკნიკს გამართავდნენ. სწორედ ათ საათზე ოთხივენი ერთად უნდა წასულიყვნენ ეტლით. კიპრიანე სონია ხვიჩიასგან ცეცხლმოკიდებული იყო, ამიტომ იგი მოუთმენლად ელოდებოდა გათენებას.

ასეთი იყო მორიგება, მაგრამ მეორე დღეს კვაჭმა კიპრიანეს უთხრა:

— წუხელი სხვებიც შემოგვიერთდნენ. ყველანი წავიდნენ. მე და შენ ერთად მივდივართ. დანარჩენები იქ დაგვხვდებიან. აბა, წავიდეთ.

ორივენი ეტლში ჩასხდნენ და წავიდნენ. ერემოს დუქანთან ეტლი გაისტუმრეს და გზა ფეხით განაგრძეს. კვაჭი მეგობარს ეუბნებოდა:

— აქეთ წავიდეთ... იქ დაგვიხვდებიან... აი აქ იქნებიან...: ეხლა მარცხნივ... მარჯვნივ... აჰა, მივედით... ათი ნაბიჯილა დარჩა!!!

მიდიოდნენ და ეძებდნენ. უცებ ტყეში ოთხ უცნობს წააწყდნენ. ოთხივენი კვაჭსა და კიპრიანეს შემოეხვივნენ და ოთხივეს ხელში რევოლვერებმა გაიელვა.

— ხმა, კრინტი! ხელი არ გაანძრიოთ, თვარა ვაგათავებთ! მოგვყევით!

კვაჭმა ბუჩქებისაკენ ისკუპა, მაგრამ მაშინვე კისერში რკინის ხელი დასწვდა. ასტყდა ჭიდილი, ბღლარძუნი და ბრძოლა ორთა შორის. კვაჭი გაუსხლტა ავაზაკს და ბუჩქებში შეერია. დიდხანს ირბინეს, თან ერთმანეთს უცინოდნენ და ჩურჩულებდნენ:

— კაია, გეყოფა, თვარა ალათ დამახიე ტანისამოსი...

— აფერი უშავს, კიდო, ცოტა კიდო ვირბინოთ.

ბოლოს ერთმანეთი დაჰკარგეს.

კვაჭს ტყეში გზა აერია, დიდხანს იხეტიალა და ორი საათის შემდეგ გაკაწრული, დაბღლარძილი და უქუდო, ერემოს დუქანს მიადგა. სწორედ იმავე ხანებში გამოჩნდნენ სონია, მარუსია და სხვებიც. ერთმანეთს გამოჰკითხეს და გამოარკვიეს, რომ კვაჭს კარგად ვერ გაეგო შესახვედრი ადგილი და კიპრიანე სხვა ბილიკით წაიყვანა.

შეიქმნა ჩოჩქოლი, სიცილი და დაკარგულ კიპრიანეს ძებნა.

რამდენიმე დღე გავიდა. კარომპულოს ოჯახში წივილ-კივილი, ტირილი და გლოვა ისმოდა. კვაჭი თმას იგლეჯდა, თავში ხელს იცემდა, სწუხდა. „ჭრილობას" ირჩენდა და კარომპულოს ოჯახს თავით დასტრიალებდა.

ბოლოს მოხუცმა კარომპულომ ორსიტყვიანი რადიოდეპეშა მიიღო:

— ოცი ათასი!

იმანაც ორი სიტყვით უპასუხა:

— ხუთი ათასი.

— თხუთმეტი!

— ათი!.

— თანახმა ვართ, გათავებულია!

შორიგდნენ და გაათავეს:

კიპრიანე კაროპული ქუთაისის ქუჩებში, ალარავის უნახავს.

ერთი თვის შემდეგ კაროპულოს მაღაროები საროპულოს ხელში გადავიდა, ხოლო კაროპული თავის ოჯახით გემზე ავიდა და სტამბოლისკენ გაცურდა.

მხოლოდ გემზე ამოიღეს ხმა კიპრიანემ და მისმა დედმამამ.

კვაჭი კვაჭანტირაძემ ბინა გამოიცვალა, ეტლი დაიქირავა თვიურად, ჩოხა-ახალუხი იყიდა, იარაღში ჩაჯდა, დედ-მამა გაახარა და მტერს თვალი დაუყენა.

ნეტა დაიჯერა ოდესმე კვაჭი კვაჭანტირაძემ, ვითომ მან და მის ამხანაგებს იმ ზაფხულს საღორიის ტყეში მართლა „საქვეყნო“ საქმე გააემასქნებინოს? ვინ იცის. ის კი ცხადია, რომ „თელ ქვეყანას“ სჯეროდა, კვაჭს კი ამაზე მეტი არა უნდოდარა. ასე იშოვნა კვაჭუნიამ თანხაც და დიდებაც.

აქა ამბავი გიმნაზიის გათავებისა და ქვრივის გადარჩენისა

კვაჭს რომ ჯიბეში ფული გაუჩნდა, ცხოვრების კიბეზე უცებ ათიოდე საფეხურით ახტა. თავში ახალი ეშმაკები ჩაუსხდნენ, გულში ცეცხლი უარესად აუპრიალდა, მეგობარნათესავები გაუმრავლდა, ცხოვრება და ეს ქვეყანაც უფრო გაეშალა, გაეფურჩქნა, გაუტკბა და გაუამდა. კვაჭმა თავისი ახალი ცხოვრება იმით დაიწყო, რომ ცვირისთვის ერთ უბედურ დღეს, თავისი ბარგი-ბარხანა ილლიაში ამოიდო, ტფილისის ქუჩაზე გადასახლდა და ვინმე რუსი დედაკაცის ვოლკოვას ბინაში შეძვრა. გაფრენილ მამალს ცვირი ტირილით დაედევნა, მაგრამ კვაჭმა შესაფერი გამძლეობა და ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და პირველ საყვარელს მშვიდად და დინჯად უთხრა:

— ყური მიგდე, ჩემო ცვირიკო, ყოლიფერს თავის დასაწყისი და დასასრული აქვს. არ უნდა ახირდე და ატირდე, თვარა ბუდუ გეიგებს, ქვეყანაც შეიტყობს და ორივეს თავი მოგვეჭრება. მე რა მიშავს, გამოუცდელი ახალგაზრდა ვარ, შენ შენს თავზე იფიქრე. ოცდათხუთმეტი წლის დედაკაცი ხარ,

ოჯახის პატრონი, გამოცდილი და დამჯდარი. სიკვდილამდე არ დაგივიწყებ სიკეთეს და სიყვარულს. ყოველფერს მალე ღოფიათად გადაგიხდი. გულისყურს ნუ აჰყვები. ჭკვა მოიხმარე და ორივე კმაყოფილი დავრჩებით. არხეინად იყავი, ოთახი არ დაგიცალიერდება. ბესო შიქიას ხომ იცნობ? კარგი ყმაწვილია, ხომ? ხვალვე გადმოვა იმ ოთახში. ალბათ ადვილად მოვრიგდებით. მაშ ასე: ჭკვა და სიდინჯე-მეთქი. მოკითხვა ბუდუს. მშვიდობით, ჩემო ცვირი!

და გული აუჩუყდა და ორიოდე ცრემლიც კი ჩამოაგდო.

ცვირმა გულიანად გამოიტირა თავის სიყვარული, მართალია უკუაგდო გულისყური, აჰყვა ქვაჭის რჩევას და არც ინანა. ორი დღის შემდეგ მან ბესო შიქიასაც „ასესხა" სამი მანეთი და უთხრა:

— როცა გექნება, დამიბრუნე. რაიო, სარგებლითო? რა თქმა უნდა! აბა უსარგებლოდ ფულს გავასესხებ? იყიდე, ჩემო ბესიკო, რაიც გინდა, ნუ მომერიდები, ბევრი არა მაქვს, ცოტას კი მუდამ მოგიხერხებ.

არც ბესო შიქიასთვის იყო საჭირო გაფრთხილება, რადგან „მორიდება" მას ქვაჭზე უფრო ნაკლებად ეხერხებოდა.

ასე დამშვიდდა და ასე მალე იწუგეშა თავი ცვირი შოლიამ.

ქვაჭმა მშვენიერი ოთახი დაიქირავა — დიდი, ნათელი და ლბილი ავეჯით მორთული. ვოლკოვის ქვრივს — მოხუცებულს, მშვიდს, უწყინარსა და გულდია რუსის „მატუშკას" — ქვაჭი მალე მოეწონა. გამოშტერებული, ყურუეტა და მორწმუნე მოხუცი თითქმის ყრუ იყო და ამ ქვეყნისა ბევრი არაფერი ესმოდა, თითქმის ბრმა იყო და ძლივს ჰხედავდა. ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ, თავაზიანად ექცეოდნენ, ტკბილად უღიმოდნენ და დედაშვილურად სცხოვრობდნენ.

მალე მოვიდა მერვეკლასელთა განკითხვის თვეც — დიდგა მაისი. იმ წელს ქვაჭი გიმნაზიას ათავებდა. დატრიალდნენ ქვაჭი და მისი მეგობრები. ეს იმ წელს მოხდა, როცა მოსწავლეები მასწავლებლებს კისერზე აჯდნენ და, საითაც მოინდომებდნენ, იქით გაირეკავდნენ. გამოცდის საქმე ყველასთან ადვილად მოარიგეს. რადგან ამ წელს უფრო მასწავლებლები იჭერდნენ გამოცდას მოსწავლეთა წინაშე, ამიტომ მასწავლებლები ისე ლბილი, ქედმოხრილი და მორჩილი იყვნენ,

ვითარცა საჭურისი მრისხანე ხონთქარის წინაშე. მხოლოდ ბერძნული ენის მასწავლებელი სირიადისი ახირდა და გააკაკერპდა. მას არც ძალთა ურთიერთობაში მომხდარი ცვლილება სწამდა, არც „გაზაფხული“ და არც კომიტეტები. ბევრი იფიქრეს. ბოლოს კვაჭმა სთქვა:

— სამი დღე მაცალეთ.

მესამე დღეს დილით სირიადისს წერილი მიუვიდა. იმ წერილის კუთხეში თავის ქალა, კუბო, ხანჯალი და დამბაჩა იყო გამოხატული. ეწერა:

„მერვე კლასის არც ერთი მოწაფე არ უნდა ჩაიჭრას. თუ თანახმა ხართ, დღეს საღამოს რვა საათზე ბულვარზე დაგვენახვეთ. თუ არ გამოჩნდით, აიბარგეთ და სამ დღეში ქუთაისს გამოეთხოვეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გირჩევთ ეხლავე დაიმზადოთ კუბო.

ანარქისტ-სინდიკალისტ-სოციალისტების მთავარი კომიტეტი“.

კვაჭმა მთელი საათი იარა ბულვარზე. მაგრამ სირიადისი არ გამოჩნდა. სამაგიეროდ შიქია, ჭიპუნტირაძე და ჩიკინჯილაძე მოვიდნენ.

— ამბავი?

მოკლედ მოსჭრეს:

— ვბრიგეთ. თვალი ვადევნეთ. პოლიციაში მიდიოდა საჩივლელად. იქამდე ვურტყით სანამ არ დაიყვირა: „არავინ არ ჩაიჭრება, არავინო“, შევთანხმდით და მოვრიგდით.

სირიადისმა პირობა შეასრულა და გამოცდაზე მართლაც არავინ არ ჩაუჭრია.

ასე გაათავეს გიმნაზია და ასე მიიღეს დიპლომები კვაჭანტირაძემ და მისმა მეგობრებმა.

სააღდგომოდ კვაჭი სამტრედიაში წავიდა. ყველანი აალაპარაკა, დედ-მამა, ნათესავები და მოყვარე გაახარა, მტერს თვალი დაუყენა, იქაური ქალები ააცქმუტა, ვაჟები დააღონა, ქმრები დააეჭვიანა, მერმე ისევ ქუთაისში დაბრუნდა და წამოიღო სილიბისტროს ასეთი დარიგება და გაფრთხილება:

— შვილო კვაჭი! ქვეყანა ეირია. მტერი ბევრი გვაქვს, გამიჩ... მეც ვბერდები. თუ საჭირო გახდა, ყოლიფერს გავყიდი, მა... ხოვრობას დევიწყებ და გოუნათლებელს კი არ დაგტოვებ. ახლა უდიპლომო კაცი თუნდ არ ყოფილა. აზნოურობა

გიშოვე. გიმლაზიაც გაგათავებიე, ორიოდე გროშს კიდო მოგაწვდი, მარა შენც უნდა ხელი გაანძრიო. აგერ ჩოლიამ და ღვიჩიამ ისთე გაათავეს რუსეთში რაცხა უვირსეტი, რომე შინიდან ორი ფარაც არ მიუღიათ. რას იტყვი, შვილო კვაჭ?

კვაჭმა პასუხად ხელში ასმანეთიანი ჩაუდო და წამოვიდა. სილიბისტროს ოჯახში დიდი გაკვირვება, სიხარული, ლხინი, გაბღენძა და თავისქება ასტყდა: ცხრამეტი წლის კვაჭი რუსეთში თავის ხარჯით მიდიოდა და დედ-მამასაც ეხმარებოდა. შვილიც ასეთი უნდა, მაშა!

იმ ხნიდან კვაჭი ჩაფიქრებული დადიოდა, ცხვირს დაგეშილი ძაღლივით ათამაშებდა, ჰაერს ჰსუნავდა და რაღაც ცნობებს აგროვებდა, ვოლკოვის ქვრივს დაუმეგობრდა, „კონჩინკას" ეთამაშებოდა. წვრილ-წვრილად აგებდა და ზოგჯერ კიდეც ეხმარებოდა: ხაზინიდან პენსიას მოუტანდა, ავდარში სასყიდელს უყიდდა, გაზეთს წაუკითხავდა და ვინაიდან იმ ხნებში ძალიან გახშირდა ავკაცობა, შარი, შური და მტრობა, ამ ავ ხალხთან მფარველობასაც უწევდა.

ერთხელ ქვრივს წერილი მოუვიდა. წერილის კუთხეში დახატული იყო კუბო, თავის ქალა, ხანჯალი და დამბაჩა. ეწერა:

„სამ დღეში დაგვიმზადეთ სამი ათასი მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეხლავე შეუკვეთეთ კუბო.

ანარქისტ-სინდიკალისტ-სოციალისტების მთავარი კომიტეტი".

დაფეთებული ქვრივი კვაჭს ეცა რჩევისა და დახმარებისათვის. ან ვისთან უნდა მისულიყო უპატრონო მოხუცი, ტამბოვიდან უცხო ქვეყანაში გადმოკარგული? კვაჭი ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა და დაიღონდა. ბოლოს უთხრა:

— როგორც დედას, ისე გელაპარაკებით. ხმა, კრინტი არსად არ დასძრათ, თორემ ქრისტე-ღმერთიც ვერ გიშველით. სასტიკი და ველური ხალხია. არც დედაკაცს ინდობენ, არც მოხუცს. ამ ერთ კვირაში ორი დედაკაცი მოჰკლეს, ერთი მოხუცი ხელით დაახრჩვეს და ერთიც რიონში გადააგდეს. პოლიციაც დაშინებულია. თავიც კი ვერავის გამოუყვია გარეთ. ხომ ჰხედავთ, ჩიტებივით ჰხოცავენ. აი გუშინწინ ბაზარში თქვენს თვალწინაც მოუკლავთ ერთი პოლიციელი.

კვაჭმა ზოგი მართალი სთქვა, ზოგიც წაუმატა. მართლა

ასეთი დრო იყო. უპატრონო ქვრივმაც იცოდა, რომ ქვეყა-
ნა უპატრონოდ იყო, ამიტომ თრთოდა და კვაჭს ჩურჩულით ემუდარებოდა დახმარებას და შუამავლობას, თან ხატზე და სახარებაზე ჰფიცულობდა, რომ ამ საიდუმლოებას სამარეში ჩაიტანდა.

კვაჭი ჯერ დიდ უარზე იდგა. თვითონაც ეშინოდა ხიფათის და ანარქისტ-სინდიკალისტებისა, რომელნიც „არავის ინდობდნენ და ყველას ჩიტებსავით ჰხოცავდნენ". ბოლოს, როგორც იყო, მოლბა და მოტყდა, რადგან საწყალი ვოლკოვის ქვრივი „დედასავით უყვარდა".

იმ დღიდან კვაჭი „მეტისმეტად რთულსა და სახიფათო" საქმეს შეუდგა.

— ჩვენ, ქართველებს, ასეთი ანდაზა გვაქვს: „არამკითხე მოამბეო მიტყიპე და მიაგდეო" — ეუბნებოდა ქვრივს. — მეორე ანდაზა კი ასეთია: „მოჩხუბარს ერთი მოხვდა, გამშველებელს — ხუთიო".

ბოლოს, მაინც მიაგნო კვალს და შიშისგან მილეულ-მიბნედილ მოხუცს ასეთი ამბავი მოუტანა:

— ღმერთმა იმ ხალხისგან თქვენც დაგიფაროსთ და თქვენი მტრებიც! რას მერჩოდით, რად ჩამრიეთ, რა გინდოდათ ჩემგან? ეხლა მეც ჩამჭიდეს ხელი და მემუქრებიან, თუ ორი ათას მანეთზე ნაკლებს მოგიტანია, შენც იმ დედაკაცს დაგაკლავთო. ვადა ხვალ საღამოზე თავდება, ღმერთო, მიშველე!

ქვრივს ენა დაება და გულის ფანცქალი დაემართა, ხოლო კვაჭი ისევ იხვეწებოდა:

— გთხოვთ ამ სახიფათო საქმისგან გამანთავისუფლოთ. ღმერთო ჩემო, ეს რა დღეში ჩავვარდი! მე რა შუაში ვარ, რა დავუშავე იმ მგლებს, რას მერჩიან?

იმ საღამოს ქვრივმა და კვაჭმა დიდხანს იჩურჩულეს და ბოლოს ასე გადასწყვიტეს: შესაძლო იყო ეს საქმე ათას ხუთასი მანეთით გაეთავებინათ. ქვრივს ხუთასი მანეთი აქვს შენახული, დანარჩენს კი კვაჭი ნათესავებისაგან უსესხებს თამასუქით, ან სახლს დაუგირავებს, ხოლო ამისთვის საჭიროა, რომ მას ვოლკოვის ქვრივისაგან რწმუნების ბარათი ჰქონდეს. ხვალ დილით ქვრივი ამ ბარათს მისცემს. კვაჭი საღამოზე დაბრუნდება და ყველაფერს გააიმასქნებს. თუ ფული ვერ

ამოვა, არ დაბრუნდება, იმ ყაჩაღებს თავს მოარიდებს და სამტრედიაში დაიმალება.

არც იმ ღამეს ეძინა დედაბერს. დილამდე ლოცულობდა, ოხრავდა და თავის ხნის ტახტს აჭრაჭუნებდა. კვაჭმაც რიყრიყზე მიიძინა, რადგან ქვრივის საქმე აფიქრებდა და აწუხებდა.

მეორე დღეს ორივენი ნოტარიუსთან მივიდნენ. კვაჭმა თამასუქი და სრული რწმუნების ბარათი ჩაიდო ჯიბეში და სადგურისკენ გაეშურა. ის დღე ქვრივ დედაკაცს ძლივს დაუღამდა. საღამოზე კვაჭი გახარებული დაბრუნდა. კვაჭის დაბრუნება ქვრივსაც ისე გაუხარდა, თითქო თვითონ კი არ ეხარჯებოდა ის ფული, არამედ იმის პატარა ქონებას კიდევ ემატებოდაო. კვაჭმა ქვრივისგან ხუთასი მანეთი მიიღო და ანარქისტ-სინდიკალისტების კომიტეტში გაიქცა.

კვაჭანტირაძემ იმ ღამეს ვოლკოვის მოხუცი ქვრივი უეჭველ სიკვდილისაგან იხსნა, ხოლო ანარქისტ-სინდიკალისტები — მეასე ცოდვისაგან: სწორედ დროზე მიუსწრო მათ, ათას ხუთას მანეთზე დააჯერა და ფულიც ჩააბარა. დროზედ რომ არ მიესწრო, სამი კაცი უკვე ნიღაბით იყო გამოწყობილი და წამოსასვლელად ემზადებოდა. მოხუცი დედაკაცი სიხარულისგან და შიშისგან ატირდა და ხელმეორედ აიშალა. მეორე დღეს ჯერ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, მერმე მადლობისა და დედაშვილობის ნიშნად კვაჭს ყელზე ოქროს ჯვარი ჩამოჰკიდა, ხოლო ჯიბეში სახსოვრად თავის განსვენებული ქმრის ვერცხლის საათი ჩაუდო და უთხრა:

— შვილო, თუ გაგიჭირდეს, ამ ჯვარზე ილოცეთ. სიკეთეს არც ღმერთი დაგვივიწყებს და ყველაფერში დაგეხმარება, არც მე დაგივიწყებ, შვილო, და თუ შევძელი, კიდევ გადავიხდი მადლობას, თუ არა და...

და გადაეხვია, აკოცა, ატირდა და კინაღამ კვაჭიც აატირა.

ასე გადაარჩინა სამტრედიელმა რაინდმა ტამბოველი „მათუშკა" უეჭველ სიკვდილს.

აქა ამბავი მუსიკის შესწავლისა

იმავე ხანს კვაჭი მუსიკამ გაიტაცა. მუსიკისა მას არაფერი არ ესმოდა და სმენაც სრულებით დახშული ჰქონდა. სხვა საკრავებს გულგრილად ითმენდა, ხოლო როიალის ხმაზე ტანში ჟრუანტელი უვლიდა და მეტის აღელვებისაგან სტოკავდა და შფოთავდა. ჯერ როიალის ყიდვა უნდოდა, მაგრამ ეძვირა და მისი დაქირავება გადასწყვიტა. მისი ნაცნობი მაიზელსონი საზაფხულოდ ბორჯომში აპირებდა წასვლას. კვაჭმა უთხრა მას:

— სხვათა შორის, თქვენ ბორჯომში მიბრძანდებით, არა? შემოდგომამდე არ დაბრუნდებით? იმ დრომდე მე ქუთაისში ვრჩები. ათასი საქმე მაქვს. უნდა მოგახსენოთ, რომ უკანასკნელი ჩემი ავადმყოფობა მუსიკა გახლავთ. ისე გამიტაცა, რომ ლამის გავგიჟდე. მინდა დაკვრა ვისწავლო. ისევ დაგვიანებით სჯობია, ვიდრე არასოდეს, ამიტომ გთხოვთ თქვენი როიალი მომაქირავოთ.

მაიზელსონს თავის სიცოცხლეში ანგარიშისა და გამორჩენის გარდა არაფერზე არ უფიქრია, ამიტომ ერთ წუთში ასე მოისაზრა: „სამ თვეში სამ თუმანს ავიღებ, გზის ფულს გამოვალ და ესეც კარგია“. მაშინვე მორიგდნენ და იმავე საღამოს კვაჭი თავის ოთახში მაიზელსონის როიალს გატაცებით არაკუნებდა ცალი თითით.

ზაფხული იწურებოდა. საცაა მაიზელსონიც უნდა დაბრუნებულიყო. კვაჭი აჩქარდა, აფაცურდა. ერთხელ მან და ბესო შიქიამ წაიჩურჩულეს. მეორე დღიდან ბესო მუსიკალურ მაღაზიას დასტრიალებდა და მაღაზიის მუშტარს ჩუმად ეკითხებოდა:

— უკაცრავად, თქვენ როიალი ხომ არა გნებავთ? სასწრაფოდ იყიდება. მშვენიერი როიალია, ბეკერის ფირმისაა, თითქმის სულ ახალია. აქვეა, შორს არ არის. ვისია? ჩემი ამხანაგის, თავად სევერიან დადიანისა გახლავთ. აქვეა, ტფილისის ქუჩაზე, ვოლკოვის სახლში.

ბოლოს ვინმე არუთინოვს წააწყდა. როიალი გასინჯეს და მოიწონეს. ფასი?

— შვიდასი მანეთი.

— ოთხასი.

— ექვსასი.

— ხუთასი.

— თქვენი ხათრით გითმობთ. ეხლავე მიგაქვთ?

— დღესვე უნდა გავგზავნო ფოთში.

კვაჭმა შუბლი დაიჭმუჭნა და ერთი წუთით ჩაფიქრდა. კომბინაცია თავისთავად გამოინასკვა:

— თუ გნებავთ, მე თვითონვე გაგიგზავნით...

— თუ მაგისთანა მადლს მიზამთ, დიდი მადლობელი ვიქნები. ზედმეტი დღე არ დამეკარგება. რას იტყვი, სირანუშ? — ჰკითხა არუთინოვმა თავის ცოლს.

— მაგაზე უკეთესი რაღა იქნება!

— მაშ ასე: როიალი ეხლავე შეაკვრევინეთ, სადგურზე გაჰგზავნეთ და ჩააბარეთ. საღამოზე „ფრანციაში" მობრძანდით, პირველ ნომერში მიკითხეთ. რკინის გზის საბუთი მომიტანეთ და დანარჩენი ფულიც ჩაიბარეთ, ეხლა კი სახარჯოდ და ბედ ორასი ინებეთ. გეყოფათ?

— რა თქმა უნდა. ბარათს ეხლავე მოგართმევთ. კიდევ ერთი თხოვნა და პირობა: არავის არაფერი უთხრათ, ჩემი გვარი და ეს როიალი არსად ახსენოთ. ჩემთვის მეტისმეტად უპერხულია მისი გაყიდვა, რადგან...

— ძალიან კარგი. სულ ადვილია. სიტყვას გაძლევთ, ქართველები ძალიან თავმოყვარე ხალხი ყოფილხართ.

— სრული სიმართლეა. ჩვენში სირცხვილად ითვლება ძველი ნივთის გაყიდვა, მით უფრო — თავად დადიანისთვის.

არუთინოვები წავიდნენ. კვაჭი სადგურისკენ გაექანა. იმავე დღეს საღამოზე „თავადი დადიანი" სასტუმროში ეწვია არუთინოვს.

— ყველაფერი მზად გახლავთ. ძლივს მოვასწარით შეკვრა და გაგზავნა. აი, რკინის გზის საბუთიც.

არუთინოვმა საბუთი გადაშალა და ვაშინჯა: საიდან? — ქუთაისიდან. სად? — ფოთში. რა იგზავნება? — როიალი. წონა? — ბრუტტო 50 ფუთი. ვინა ჰგზავნის — თავადი დადიანი. ვის ეგზავნება? — არუთინოვს.

— შეკაკვრელი და გასაგზავნი ხარჯი?

— 41 მანეთი და 35 კაპიკი. აი, ბარათებიც.

არუთინოვმა გამოიანგარიშა:

— სულ 559 მანეთი და 2 კაპეიკი ვერგებათ არა?

— სწორეა.

— მიღებული გაქვთ ორასი, კიდევ გერგებათ 359 მ. 2 კაპეიკი. ინებეთ.

— სწორეა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— საით მიეჩქარებით? დარჩით, ჩაი დავლიოთ! — დაჰპატიჟა ქალბატონმა სირანუშმა.

— დიდად გმადლობთ. მეჩქარება. მელოდებიან.

— მაშ, თუ ფოთში გამოივლით ოდესმე, გვეწვიეთ. ქალაქის ბაღის პირდაპირ ვცხოვრობთ.

— დიდი სიამოვნებით... უეჭველად გნახავთ. კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

მეორე დღეს ბესო შიქია წააწყდა ვინმე საროკინს:

— უკაცრავად, თქვენ როიალს ეძებთ, არა? საჩქაროდ იყიდება. მშვენიერი ბეკერის როიალია, თითქმის ახალია. აქვეა, შორს არ არის... წამობრძანდით.

ისევ გაშინჯეს და ისევ მორიგდნენ.

— თქვენ მგონი აქაური არ ბრძანდებით.

— აქაური არა ვარ, ჭიათურაში უნდა წავიდე,

— მაშ ჩვენვე გაგიგზავნით... თუ გნებავთ, ორ საათში რკინის გზის საბუთს მოგართმევთ...

ამაზედაც მორიგდნენ. კვაჭი ისევ სადგურისაკენ გაექანა. იმავე საღამოს კვაჭმა „ორიანტში" მიუტანა ინჟინერ საროკინს რკინის გზის საბუთი:

„ქუთაისიდან ჭიათურაში, როიალი, ბრუტტო 50 ფუთი. თავადი დადიანი უგზავნის ინჟინერ საროკინს, გადახდილია 11 მანეთი და 29 კაპეიკი".

იანგარიშეს და გაათავეს:

— ღამე მშვიდობისა!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ბესო შიქია კვაჭს ქუჩაში უცდიდა.

— აბა, ბესო, ხვალვე უნდა „გავაიმასქნათ" ყველაფერი. იშოვე?

— მოვაჭახრაკე. წავიდეთ.

— ვინ არის? არ გაბრიყვდე, აქაურს არავის უთხრა. — არც ვაჭარს და არც ურიას, თვარა...

— აბა, არ ვიცი თუ? გადასახადების ინსპექტორია, ვინცდა გერცოვი. ერთი თვის წინად შეურთავს ცოლი. გუშინ

დოუშერია ბინა და ეხლა ავეჯს ყიდულობს. ერთი კვირის ჩამოსულია ქუთაისში.

მეორე დილით გერცოვმა, ახალგაზრდა თავმომწონე მოხელემ, ექვსიოდე მუშა მოაყენა კვაჭის ოთახს და როიალი თავის ახალ ბუდეში გადაიტანა. იმავე დღეს კვაჭი კვაჭანტირაძე და ბესარიონ შიქია სტუდენტებად მოინათლნენ: ახალი სტუდენტური ფორმა ჩაიცვეს, დამშვენდნენ და თავიანთ თავისა, ერთმანეთისა და ნაცნობ-მეგობართა თვალში უცებ გაიზარდნენ, დაფეხდნენ და გადიდკაცდნენ.

ლაითაძის და ერემოს დუქანში ორ დღე და ღამეს ერთი ორომტრიალი, კორიანტელი და ჟივილ-ხივილი იდგა. ღვინო წყალივით მოდიოდა, ახლომახლო ქათამი და ინდოური გამოილია, რევოლვერების ჭექა-ქუხილმა ზეცა დააყრუა, მედუქნეები და მოსამსახურეები ოფლში იწურებოდნენ, მეზურნეებმა ყბები დაიხეთქეს, დანიელა ურიამ ხმა ჩაიხლიჩა, მეთარემ თითები დაიმტვრია, მეარღნემ არღანი დალალა, ოცმა მეეტლემ ჭენებით ცხენები დახოცეს, ხოლო მოქეიფე ქალები უძილობისგან და უილაჯობისგან ფეხზე ძლივსღა იდგნენ და დათხოვნას ახვეწებოდნენ.

გალეშილი და გაჟლენთილი კვაჭი კი ყველას ეუბნებოდა:

— რაო? ფული? არავინ არ გაბედოს ფულზე ლაპარაკი. ყველაფერი ჩემი ხარჯია. ხვალ დილით სწორედ ათ საათზე ყველანი შინ მეწვიეთ და ანგარიშს იქ გავისწორებთ. ხვალ ყველანი ჩემი სტუმრები ხართ: ერემოც, დანიელაც, ბიჭებიც, ქალებიც და „ფაიტონჩიკებიც". ერემო! კვირას შიქია გვპატიჟობს ყველას. დაემზადე, არ შემარცხვინო, დანიელა! შენც ხმა ჩაიწმინდე! ყმაწვილებო, ექსტრა! ერემო, ვსვამ შენს სადღეგრძელოს! — და გაბერილ-გაბლენძილ ერემოს ისეთი თბილი, მეგობრული და ძმური სიტყვა უთხრა, რომ თვითონაც ატირდა და ერემოც აატირა. ერემოს კოცნით ტუჩები და ლოყები გაუცვითეს, სარდაფი დაუცალეს, სანოვაგე გამოულიეს და ერთი ჭექა-ქუხილით, ღრიანცელით და ყიჟინით შემოცვივდნენ ქუთაისში, რომ უცხოს ეგონებოდა, მტერმა ციხე შემოანგრია და, გამარჯვებით დამთვრალი, ქალაქში შემოიჭრაო.

შუაღამე რომ გადავიდა, ქუთაისიდან ხონისკენ ერთი ეტლი გავიდა. შიგ ორი ახალგაზრდა იჯდა. ორივენი ისე იყვნენ

ყაბალახებით ახვეული, რომ ვერავინ მოახერხა მათი პირსახის დანახვა და ცნობა. ეტლმა ლაითაძის დუქანს გრიგალივით გაურბინა. მგზავრები მოიბუზნენ და თავიანთ ხაბაკ-ხუბაკში ჩაძვრნენ. დუქანს რომ კარგა მოშორებით გასცდნენ, ორივენი ისევ ამოძვრნენ და გასწორდნენ, პირსახიდან ყაბალახები აიხსნეს და შვებით ამოისუნთქეს. ბოლოს ერთმა მათგანმა წამოიძახა:

— მშვიდობით ქუთაისო!

— მშვიდობით! — გაიმეორა მეორემ: — ვინ იცის როდისღა ვნახავთ ერთმანეთს!

მეორე დღეს ათი საათიდან ვოლკოვის ქვრივი ძლივს ასწრებდა კარების გაღებას და პასუხის გაცემას:

— Уехали! Уехали, говорят вам! Совсем уехали, совсем! Вот надоели! Господи, вот замучили!

სახლის წინ ერემო, დანიელა და ლაითაძე კბილებს აკრაჭუნებდნენ, მეარღნენი ავლაბრულად იგინებოდნენ, ქალები რუსულად ილანძღებოდნენ, ხოლო მეეტლეებმა კვაჭანტირაძის ძებნაში ცხენები დაღალეს და ქუთაისი გადაატრიალეს.

სამი დღის შემდეგ ბორჯომიდან მაიზელსონი დაბრუნდა, იმავე ხანებში ფოთიდან არუთინოვი ამოვარდა, ჭიათურიდან საროკინი ჩამოვარდა. სამივენი ჯერ სირბილით გაიწურნენ ოფლში, მერმე ყველანი გერცოვს შეუცვივდნენ. სასტუმრო ოთახში ოთხივენი შეხვდნენ ერთმანეთს, ოთხივე ჩაეჭიდა იმ როიალს და ოთხივე გაჰკიოდა ერთხმად:

— ჩემია! ჩემია!

როცა ყვირილით და კამათით დაიღალნენ, დასხდნენ და ერთმანეთს თავიანთი ამბავი უამბეს და თავიანთი უფლება დაასაბუთეს. მაიზელსონი შედარებით არხეინად იყო, სხვებს დასცინოდა და მასხარად იგდებდა, დანარჩენები კი ილანძღებოდნენ და იმუქრებოდნენ. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ გერცოვმა იგივე როიალი ხელმეორედ იყიდა მაიზელსონისაგან, ხელცარიელი არუთინოვი ისევ ფოთში ჩავიდა, გამწარებული საროკინი ისევ ჭიათურაში ავიდა, კვაჭს კი თავი დაანებეს, რადგან ამ დროს ქვეყანა უპატრონოდ იყო და რუსეთში გადაკარგული კვაჭის დევნა ყველას ტყუილად ჩაუვლიდა...

ან რას ჩამოაცლიდნენ გაფხეკილ სტუდენტს?

რას იზამ! ამქვეყნად ყველაფერი ანგარიშის საქმე ყოფი-

ᲐᲥᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡᲐ

იმავე ხანებში ვოლკოვის ქვრივს ვინმე წუხუ ჩიჩიასგან ნოტარიული განცხადება მოუვიდა. ქვრივმა წაიკითხა და ელდა ეცა, თვალები შუბლზე აუვარდა, ენა მუცელში ჩაუვარდა, მუხლი მოეჭრა და გული წაუვიდა. მადლობა უფალსა, რომ სწორედ იმ დროს მეზობელმა ლადი ჩიკინჯილაძემ შეუსწრო და მოასულიერა. მოხუცებული ქვრივი მაინც გონზე ვერ მოსულიყო: თავსა და ხელებს აცანცარებდა, ტუჩებს აცმაცუნებდა და ლაპარაკს ლამობდა. ბოლოს ის განცხადება ხელმეორედ გადაიკითხა და ისევ გული წაუვიდა. ვიღაც ჩიჩია სწერდა:

„ამა წლის შვიდ ივლისს მე ვიყიდე თქვენი სახლი (ქალაქ ქუთაისში რომ მდებარეობს, ტფილისის ქუჩაზე) კვაჭი სილიბისტროს ძე კვაჭანტირაძესგან, რომელსაც თქვენგან სრული რწმუნების ბარათი ჰქონდა, დადასტურებული ამავე წლის შვიდ ივლისს ქალაქ ქუთაისის ნოტარიუსის ანჯაფარიძის მიერ. გარდა ამისა იმავე დღეს მე გასესხეთ ნაღდი ფული ოთხი ათასი მანეთი თქვენ მიერ ხელმოწერილი თამასუქით, რომელსაც ვადა გაუვიდა ამა წლის პირველ სექტემბერს. გთხოვთ შვიდი დღის განმავლობაში სახლი დამიცალოთ, რადგან მე თვითონ ვაპირებ ჩემს სახლში გადმოსვლას, ხოლო სამი დღის განმავლობაში გადმომიხადოთ ვალი თავის სარგებლით.

წ უ ხ უ ჩ ი ჩ ი ა

სამტრედია.

ხონის გზა, სახლი პეპე კვაჭანტირაძისა.

იმავე საღამოს ვოლკოვის ქვრივი განთქმულ ვექილ ტვიჩიასთან მიჩანჩალდა. ის ვექილი ქვრივის მდგმურმა ლადი ჩიკინჯილაძემ მიასწავლა, თორემ რა ესმოდა კანონების ან ვექილობის ავკარგობისა სამოცი წლის მოხუცს, რომელსაც

აქამდე მხოლოდ ის ჰქონდა გაგონილი, რომ სადღაც არსებობენ სასტიკი მოსამართლენი, უბედურთა მხსნელი ვექილები. ულმობელი ბრალმდებელნი, და „საწყალი, ღვთისგან და ხალხისგან დაჩაგრული „კატორღელები?“ ან ის რა იცოდა, ან საიდან და როგორ გაიგებდა გამოჩერჩეტებული მოხუცი, რომ იმავე დღეს შოლიას დუქანში ბალახვანის ქუჩაზე ერთად ისადილეს და იქეიფეს სილიბისტრო კვაჭანტირაძემ, ხუხუ ჩიჩიამ, ტვიჩიამ და ქვრივის მდგმურმა ლადი ჩიკინჯილაძემ, რომელიც იმავე საღამოს მეტის გულკეთილობით და თავაზიანობით იმ ჩაჩანაკ რუსის დედაკაცს განთქმულ ვექილის ტვიჩიას კარებამდის მიჰყვა? ან იმას როგორ იფიქრებდა, ან გულში როგორ გაიტარებდა მორწმუნე, გულუბრყვილო და უცოდველი ტაშბოველი „ბაბა“, რომ სწორედ ტვიჩია იყო სილიბისტრო კვაჭანტირაძის და ხუხუ ჩიჩიას ვექილი, და რომ ის წერილი, რომელმაც დილით ქვრივს გული შეუღონა, იმავე დღეს სწორედ ტვიჩიამ დასწერა და გაჰგზავნა?

ტვიჩიამ ვოლკოვის ქვრივი დიდი თავაზით, ღიმილით და ალერსით მიიღო. ტკბილმა ენამ, ცხელმა ჩაიმ და ვარდის მურაბამ ის დედაკაცი სულ დაატკბეს, მოჰხიბლეს და ტვიჩიას ხელში ჩაუგდეს.

ქვრივმა რომ ყველაფერი გადაუშალა და ცრემლით გული მოიჯერა, ტვიჩიამ დიდხანს იფიქრა და მერმე დინჯად და გულწრფელ კილოზე უთხრა:

— მენანება, ისე მენანებით, როგორც საკუთარი დედა. მაგრამ მარტო სიბრალული საქმეს ვერ უშველის. ჯერ ერთი: თქვენ ანარქისტებისთვის ფულით გაგიწევიათ დახმარება. მთავრობამ რომ ეს ამბავი გაიგოს, ან ჩამოგახრჩობენ, ან ციმბირს აქეთ დაგრჩებათ. ნუ ღელავთ, დამშვიდდით. მეც ვიცი, რომ ნებაყოფლობით არ მიგიციათ ის ფული, მაგრამ ეგ სულ ერთია, მათ თქვენგან ფული მიიღეს და ამით ხელი მოიმართეს. მადლობა შესწირეთ უფალსა, რომ მე წამაწყდით. სხვა, ჩემ მაგივრად, არ გაჩუმდებოდა, სადმე იტყოდა და დაგღუპავდათ. ერთ რჩევას მაინც მოგცემთ როგორც ჩემს დედას და ღვთისნიერ ადამიანს: ეგ ამბავი არსად, არასოდეს და არავის აღარ გაუზიაროთ. გირჩევთ იგი საფლავში ჩაიტანოთ, თორემ — ვიმეორებ — არასგზით არ აგცდებათ ან კატორღა, ან ჩამოხრჩობა. ეხლა მეორე: თქვენ კვაჭანტირაძესთვის სრუ-

ლი რწმუნების ბარათი, ე. ი. სახლის გაყიდვის უფლება მოგიციათ, მესამე: მისთვისვე მიგიციათ ოთხი ათასი მანეთის თამასუქი.. რაო, ათას მანეთზე იყო ლაპარაკი? თამასუქში არაფერი არ ეწერა? მოწმე არ გყავთ? მაშ ლაპარაკიც ზედმეტია. თუ მაგაზე დაიწყეთ დავა, ანარქისტების დახმარებაც ფეხს გამოჰყოფს, მაშასადამე, ისევ ჩამოხრჩობა ან ციმბირი მოგელისთ.

ვექილი კიდევ დიდხანს აწონებდა და აფეთებდა შიშისგან ენადაბმულსა და მიბნედილ დედაკაცს და ბოლოს უთხრა:

— ჩემი რჩევა და ღრმა რწმენა ასეთია: მე იმ ჩიჩიას ვიცნობ. იქნება მოვახერხო, რომ მან იმ სახლში ერთი ოთახი მაინც დაგითმოსთ საჭირო ავეჯეულობით. ცოტა პენსია გაქვთ, ცოტასაც კერვით ან სამსახურით იშოვით და მეტიც არ უნდა მარტოხელა დედაკაცს. დედაშვილურად გირჩევთ დასთანხმდეთ, თორემ სრულიად ხელცარიელი დარჩებით და მე ნუღარ დამაბრალებთ. მაშ მოიფიქრებთ? კეთილი, მოიფიქრეთ და მობრძანდით, ოღონდ ფრთხილად! არავის უამბოთ ის ამბავი, თორემ... ღამე მშვიდობისა! ძილი ნებისა!.. აქეთ მობრძანდით... — და ლასლასით მიმავალი დედაკაცი კარებამდი მიაცილა.

ქუჩაში ვილკოვის ქვრივს შემთხვევით ლადო ჩიკანჯილაძე შეჰხვდა, რომელმაც ძლივს მიიყვანა სახლში. ის საღამო და მეორე დღე ჩიკინჯილაძე არ მოშორებია ავადმყოფ დედაკაცს, რომელიც ხანგრძლივი ლოცვის, ფიქრის, ოხვრისა და ტირილის შემდეგ ისევ ტვიჩიასთან მივიდა და უთხრა:

— თანახმა ვარ, ოღონდ მომეხმარეთ, რომ ჩემივე სახლში ერთი ლუკმაპური და ერთი კუთხე მქონდეს.

ტვიჩიამ ადვილად და მალე მოუხერხა.

ერთი კვირის შემდეგ სილიბისტრო კვაჭანტირაძემ თავისი სასტუმრო გაჰყიდა, სამტრედიაში რომ ჰქონდა, ხონის გზის ნაპირას, ზოგი ხაბაკ-ხუბაკით ჩაიბარგა და ქუთაისში გადმოსახლდა საკუთარ სახლში, რომელიც მან, როგორც თვითონ ამბობდა, „მძიმე შრომით და საკუთარი ოფლით“ შეიძინა ერთ უპატრონო ქვრივისაგან, ის ქვრივი მან ისე შეიბრალა, რომ კიბის ქვეშ პაწაწინა ბნელი ოთახი მისცა მას და მცირეოდენი ავეჯიც დაუთმო.

ხუხუ ჩიჩიას მეუღლეს, კვაჭი კვაჭანტირაძის ბებიას, პა-

ტივცემულ ნოტიოს ახალ საკუთარ სახლში, ტფილისის ქუჩაზე, პირველსავე ღამეს გაახსენდა:

— გეიხსენეთ ჩემი სიტყვა, კვაჭიკოს დაბადების ღამეს რომ გითხარით. მზემ რომე იმ დღეს თავზე გვირგვინი დეიდგა, ეს იმის ნიშანი იყო, რომე კვაჭის ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოელისთქვა. იმ დღეს რომე ალვის ხეზე მეხი დეეცა და ყორნების დუქანიც ეშმაკებმა წეიღეს, ესეც იმის ნიშანი იყო, რომე კვაჭის მტრებს — ჯვარი აქაურობას! — მეხი დეეცათ და გულები ისე დოუსკტებათ, რავარც მეხმა ის ალვის ხე გახეთქა-თქვა. სილიბისტრომ რომე მანეთიანი იპოვა, აგიც კვაჭის გამდიდრება-თქვა. ასთე ვთქვი ცხრამეტი წლის წინეთ. არ გამართლდა ჩემი სიტყვა თუ?

ნოტიოს წინასწარმეტყველება ყველამ მოიგონა და ყველანი დაეთანხმნენ, რომ იგი მართლა გამართლდა. სილიბისტრომ ერთი რამეც გაიხსენა:

— გახსოვთ ჩვენი კვაჭიკო პაწაწობაში ტირილის დროს სულ „მე-მეს" რომ გეიძახოდა? მაშინ ვთქვი: ეს ბოვში არავის აფერს არ შეარჩენს და თელ ქვეყანას დეიჩემებს-თქვა. არ მართლდება ჩემი სიტყვაც?

სილიბისტროსაც დაეთანხმნენ.

— ვენაცვალე ჩემს კვაჭიკოს! — დაუმატა კვაჭის დედამ პუპიმ: — სიბერეში ქუთაისში დამახახლა.

— ისიც საკუთარი სახლი, — დაამთავრა კვაჭის პაპამ ხუხუ ჩიჩიამ და სილიბისტროს მიუბრუნდა: — ჰა, სილიბისტრო! რადა გაქვს აწი სანატრი? ერთი პრაპორჩიკის ჩინი, პოლეტები და... შენზე უკეთესი მარშალი კიდო იქნება საქართველოში თუ?

— ყოლიფერი ღვთის ხელშია, ვენაცვალე იმის მადლს! — დაამთავრა ბაასი პუპიმ.

იმ ღამეს სილიბისტრო ძილში შფოთავდა, იბღინძებოდა და იბერებოდა, რადგან სიზმარში თავად-აზნაურთა მარშალი გამხდარიყო, გულზე ათიოდე ვარსკვლავი და ჯვარი ეკიდა, მხრებზე ეპოლეტები უბრწყინავდა და ტანზე კამერ-იუნკერის თეთრი მუნდირი ეცვა, სულ ოქრომკედით მოქარგული, ხოლო უკან — ნიშნად მეფის ნდობისა და მაღალ ხელისუფლებისა — ოქროს დიდი გასაღები ჰქონდა დაკიდებული.

სწორედ იმავე ღამეს მისმა სასიქადულო და სახელოვან-

მა შვილმა კვაჭი კვაჭანტირაძემ ბათომში ბილეთი იყიდა და რუსეთისაკენ მოუსვა.

აჰა ამბავი საბედოს ქმნისა

კვაჭი სამტრედიის სადგურზე დილის ოთხ საათზე გამოვიდა. მას მოჰყვნენ სილიბისტრო, პუპი, ნოტიო და ხუხუ, რომელნიც ქუთაისში გადადიოდნენ საცხოვრებლად. კვაჭის გამოჩენამ სადგურის ძოხელენი გააკვირვა, რადგან ათიოდე წლის წინათ სამტრედიაში დაჟინებით ავრცელებდნენ ამბავს, კვაჭი ყაზანის სასულიერო აკადემიაში წავიდაო. სამტრედიელი ქალები თითქმის სტიროდნენ და მოსთქვამდნენ:

— უი, საწყალი! ასეთი ლამაზი ყმაწვილის დამარხვა ცოდვა არაა? კვაჭი და მონასტერი?! უი, საწყალი დედამისი პუპი! ნეტა თავათაც არ წევიდეს მონაზნად! აქ რაცხა ამბავი უნდა იყოს!

სილიბისტრომ რომ სახლი გაჰყიდა, სამტრედიაში ჭორი ნამდვილ ამბავად გადააქციეს.

სილიბისტროს ოჯახიც სადგურზე გამოკრებილიყო და მატარებლის მოლოდინში ყველანი ჩაის მიირთმევდნენ.

სილიბისტრომ სამიოდე ნაცნობს უთხრა:

— მომწყინდა აქაურობა. ქუთაისში მივალ სამუდამოდ. შეყო რაც პატივი მეცით აქაურებმა, აწი ქუთაისში მეწვიეთ... სახლი? დიაღ, ჩემო ბატონო, ქე ვიყიდეთ პაწია სახლი, მარა მეტად ძვირად დამიჯდა. მარშლობა? აჰ, მაგას არ ვფიქრობ. ქე მთხოვენ, მარა...

ტფილისის მატარებელი გრიალით და მხუილით მოვარდა. ყველანი დაფაცურდნენ, კვაჭის საბაკი ვაგონში აიტანეს და თვითონაც ავიდნენ. კვაჭს მოულოცესს, მრავალჯერ დაჰკოცნეს, იტირეს და ასი რჩევა-დარიგება მისცეს. ბოლოს სილიბისტრომაც ჩაიხუტა თავის ერთა და უუბეში:

— ჰა, შვილო, კვაჭიკო, ქე ვშორდებით ერთმანეთს. აწი სწავლაც ჩემზე მეტი გაქვს, გამოცდილებაც, მოხერხებაც, მარა ორიოდე სიტყვა ქე მეთქმის მაინც. დიდ ქვეყანაში მიხვალ, შვილო. იქნებ ორ დღეში აშენდე, მარა იქნება, ჭიდეც დეიღუპო, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მეიქცე. რუ-

სეთში ათას ვინცხას შეხვდები, ვინეც გაპარტახებული ყულიკი უფრო მეტია, ვინემ ჭკვიანი და პატიოსანი. დიდკაცებში გაერიე, გეეცალე და დიეთხოვე მოუსვენარ ამხანიკება, რაცხა ყიზილარებს, გლახა ყაზახებს, ჩამოეცალე ღვინოს, ქალებს და კარტს, თვარა გლახა საქმეს დაგმართვიან. არ დეივიწყო შენი დედ-მამა და ყოლიფერი მომწერე. აპა, შვილო, შენი იმედით... შენ იცი...

ყველანი ხელმეორედ ატირდნენ. მატარებელი დაიძრა და წყვდიადს შეერია. კვაჭმა თვალი მილულა.

ქობულეთთან გამოიღვიძა. გათენებულიყო. იქვე მარჯვნივ შავი ზღვა გადაშლილიყო, — უსაზღვრო, მტრედისფერი, მოლაპლაპე და ანკარა სარკესავით. მატარებელი ზოგჯერ ზედ ზღვის პირზე მიჰქროდა, ზოგჯერ ოდნავ მარცხნივ ასცდებოდა. ზღვა ყრუდ დრტვინავდა, საარაკო ვეშაპივით ოხრავდა, შიშინებდა, შხუოდა. მატარებელს ხან ერთის მხრით, ხან ორივე მხრით მისდევდა გვიმრის მწვანე ხეივანი. მარცხნივ პირაღმა მიჰქროდნენ სუროთი შემოსილი კლდეები, ტყით დაბურული გორები, სუფთა და კოხტა აგარაკები. ერთი ხნიერი სტუდენტი ელაპარაკებოდა ორ მგზავრს.

— აგერ ის უზარმაზარი მოთეთრო ხე ევკალიპტუსი გახლავთ. მას კოღო ძალიან ერიდება, რადგან მის სუნს ვერ უძლებს... აი ეს ხენი ვარდისფერად რომ აკუნწლულან, დეკა გახლავთ, ევროპულად როდოდენდრონი ჰქვიან. აგერ იქ რომ ხშირად და ტანადად აყრილა, ჩინურ-იაპონური ბამბუკია. ძალიან სასარგებლო რამ არის: ავეჯს, ქოხებსა და ათასნაირ ნივთს აკეთებენ... ეს ჩვენნებური სოჭი გახლავთ — ჰაბიჟს ნორდმანიანა... ეს იტალიური ფიჭვია... ეს ნაძვია... ამას ბიოტას უწოდებენ, ლამაზი და კოხტა მცენარეა, არა? ეს კვიპაროსია, გეცოდინებათ... ალბათ ამასაც იცნობთ, ჩვენნებური ჭანდარია... ეს ვერხვია... ეს არის იელი, ანუ შავფაფარა, სხვები აზალიას უწოდებენ... ეს კი ლიმნის და ფორთოხლის ბაღებია... ეს ჩაის პლანტაციები გახლავთ... აი ციხისძირიც. ამ ციხეს რუს-ქართველებმა 1871 წელს მრავალზე უმრავლესო ხალხი შეაწყვიტეს, მაგრამ ოსმალებმა ხელიდან არ გაუშვეს.... აი ჩაქვაც. აქ განთქმული ბოტანიკური ბაღია, მეორე ადგილი უჭირავს ქვეყანაზე... პირველი? პირველობა მელბურნის ბაღს ეკუთვნის, ავსტრალიაში გახლავთ... აი მახინჯაურშიც

შევედით. აი ფორტებიც. აგერ იქ, მთის წვერზე, ერეგეს ფორტია, იქით — ჰამიდიე, აქეთ მუგრული, მარჯვნივ ზღვის პირზე — ბარცხანა...

მატარებელმა შხუილით ჩაურბინა ბარცხანას. ქვაჩის თავბრუ დაესხა ამ სტუდენტის ყურის სმენით. ჯერ კიდევ ათასი რამ იყო [illegible] ქვაჩისთვის მისსავე სამშობლოში სამტრედიისა და ქუთაისის გვერდით უცნობი და უნახავი.

მგზავრები ვაგონის ფანჯრებს ეხვეოდნენ, მარჯვნივ და მარცხნივ გადაშლილ უცხო სანახაობას გადასცქეროდნენ და თავიანთ აღტაცებას და გაკვირვებას ხმამაღლა გამოსთქვამდნენ. ქვაჩსაც ძალიან მოსწონდა ის ბაღები და აგარაკები, მაგრამ მას ვერ გაეგო და ვერ ეგრძნო ზოგი მგზავრის გიჟური სიხარული და ბავშვური ყრიამული წინაშე თვალწარმტაც ბუნებისა და უთავბოლოს, მოუსვენარისა და მრისხანე ზღვისა. შორიდან ზღვა ლამაზი იყო, მაგრამ ქვაჩმა ალღო აუღო მის ვერაგობას, ცვალებადობას, და მის წინაშე წინდაწინვე აივსო შიშით, ძრწოლით და უნდობლობით.

მატარებელმა ბარცხანას ჩაუქროლა, მერმე სირბილს უკლო, და დინჯად მიცურდა ბათუმის სადგურზე. ქვაჩი ბაქანზე ჩამოვიდა, მიიარ-მოიარა და ათიოდე ქუთაისურ სტუდენტს შეხვდა. ტფილისელებიც მრავლად იყვნენ. ერთმანეთი გაიცნეს, ამბავი გამოიკითხეს და ბათომის დათვალიერება გადასწყვიტეს. ბარგი სადგურზე მიაბარეს და ქალაქს მიეშურნენ.

გემი შუაღამეს გადიოდა. ქვაჩს რამდენიმე ამხანაგი აჰყვა. ქუჩებში მიიარ-მოიარეს, ქალაქის ბაღი ნახეს, დიდხანს ისეირნეს ზღვის პირზე, აათვალიერ-ჩაათვალიერეს ბურუნტაბიე, ასწერეს მისგითი და ბოლოს ნავთსადგურში გავიდნენ, რომელიც სავსე იყო ნავებით, იალქნიან ხომალდებით და ორთქლის გემებით. იქვე გრძელი, მაღალი და კოხტა „პუშკინი" იდგა. მგზავრები უკვე ასულიყვნენ და ბაქანზე დასეირნობდნენ. გემი იტვირთებოდა, ირეცხებოდა, ჰბოლავდა და სამგზავროდ ემზადებოდა.

ზოგნი ყველაფერს აკვირდებოდნენ: სუფთა ქალაქს, კოხტა ბულვარს, უცხო მცენარეულობას, უსაზღვრო ზღვას, ხომალდებს და გემებსაც. ქვაჩი კი გულმშვიდად იყო და ისე არხეინად და ზედაპირულად ათვალიერებდა ყველაფერს, თითქოს მისთვის აქ უცნობი და უნახავი არაფერი არ ყოფილ-

ყო, საღამო ჟამზე მეორე კლასის ბილეთი იყიდა და გემზე ავიდა.

თბილი საღამო იყო. ზღვის პირი ელექტრონის ლარით იყო გაკაშკაშებული, ნავთსადგური წითელი, მწვანე, ყვითელი და მოთეთრო ცეცხლით იყო აჭრელებული. კუპრივით შავი ზღვა ამ ცეცხლის ზოლების ანარეკლით ლაპლაპებდა. ნავთსადგური ხშირად ისეირებოდა ნავებით და იქიდან ქართულ-რუსული სიმღერა, ჟრიამული და სიცილ-კისკისი მოისმოდა.

უცებ გემს სტუდენტებით გაჭედილი ათიოდე ეტლი მოადგა და მათ ისეთი ყვირილით, ყიჟინით და ჟივილ-ხივილით შეიტანეს იერიში ამ გემზე, თითქო იგი აბორდაჟით აიღესო. აცვივდნენ და ისე მოედვნენ ბაქანს, როგორც საკუთარს ეზოს. მალე ისევ შეიკრიბნენ გემის ცხვირზე, სალამური აასტვინეს, დოლი ააბრახუნეს, ტაში ასტეხეს და გიჟური ლეკური დაუარეს, თანაც ჰყვიროდნენ:

— ტაში-ტუში! ტაში-ტუში!

კაპიტანმა მათი შენელება სცადა, მაგრამ გაწბილებული დაბრუნდა, თანაც ჰბუტბუტებდა და მგზავრებს შესჩიოდა:

— ველურები არიან, ნამდვილი ველურები არიან! ვიცი, აქაურობას აიკლებენ. თუ ვეტყვი რამეს, შესაძლებელია მუცელში ხანჯალიც მატაკონ.

კვაჭმა გაიღიმა და კვერი დაუკრა:

— მართალს ბრძანებთ ბატონო კაპიტანო. ნამდვილი ველურები არიან. მე კარგად ვიცნობ მაგ ხალხს.

მგზავრები და კაპიტანი კვაჭს მოუბრუნდნენ.

— განა თქვენ ქართველი არა ბრძანდებით?

კვაჭს მზად არა ჰქონდა პასუხი, ამიტომ ოდნავ აირა და წაიბორძიკა.

— ჰმ... დიახ, მაგრამ... ქართველების ნათესავი ვახლავართ. მამით გურული ვარ, დედით — მეგრელი, აღზრდა-დაბადებით კი იმერელი. ნათესავები ვართ ქართველებისა, მაგრამ... მაინც... მეგრელებს და ქართველებს ერთმანეთის ენა არც კი ესმისთ.

კაპიტანმა და ერთმა მოხელემ კვაჭის ნალაპარაკევი სწორად გაიგეს: ენა აიხსნეს, დაიმკლავეს, მორიდების ტანისამოსი გაიხადეს, ზრდილობის პირბადე ჩამოიხსნეს და ერთი

საათით წუმპეში აგორავეს კვაჭის ამხანაგებიც და მათი ნათესავებიც, კვაჭი კი თანხმობის ნიშნად წამდაუწუმ თავს იქნევდა:

— დიაღ.., სრული სიმართლეა... ყველანი ლოთები, ყაჩაღები, ტერორისტები და შანტაჟისტები არიან... დიაღ, კარგად გცნობიათ. მაგდენ სტუდენტობიდან გიმნაზია ნახევარსაც არ ექნება წესიერად გათავებული. დიპლომები ან ყალბია, ან მუქარით აქვთ მიღებული, ან ფულით ექნებათ ნაყიდი... ვინ იცის რამდენია მათ შორის მძარცველი, ალფონსი და ბავშვების მტაცებელი!

და ხუთიოდე მაგალითი უამბო, ზოგი მართალი და ზოგიც მოჭორილი, და ბოლოს დაუმატა:

— ისიც მოგეხსენებათ, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, აღზრდას, ტრადიციას, მორწმუნეობას. მაგათ არც ოჯახი აქვთ, არც აღზრდა, არც ტრადიცია სწამთ, არც ღმერთი და არც ეშმაკი.

მსმენელებმა რომ თავიანთი ჭკუისა და რწმენის კაცი იპოვნეს, უფრო მიიწიეს კვაჭისკენ, უფრო მოუშვეს ენას, ერთმანეთი აიყოლიეს და ერთმანეთს გულნადები გადაუშალეს. ბოლოს კაპიტანმა ჰკითხა კვაჭს:

— ბოდიშს ვიხდი... მე მსურს უფრო ახლოს გავიცნო ასეთი ჭკუიანი და პატიოსანი ახალგაზრდა. მე სიდოროვი გახლავართ.

— დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, დიდად! თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ.

და სილიბისტროს შვილმა ყველას ნამდვილი თავადური მედიდურობით ჩამოართვა ხელი.

კვაჭს სიტყვა „მარშალი" კარგახანს უტრიალებდა ენაზე, მაგრამ რაკი არავინ გაუბედა მისი სოციალური მდგომარეობის შესახებ პირდაპირი გამოკითხვა, მან დრო იხელთა და გაკვრით ჩაურთო ლაპარაკში:

— მამაჩემმა ასეთს გახრწნილ ხალხს ვეღარ გაუძლო და რამდენჯერმე თავი დაანება თანამდებობას — თავად-აზნაურთა მარშალი გახლავთ — მაგრამ თითქმის ძალით დააბრუნეს. ეხლაც უსასყიდლოდ მსახურობს. პირიქით, ბევრი თავისიც ეხარჯება ამ სამსახურში. ეს კიდევ არაფერია: ყველა თხოულობს მისგან ათასნაირ სიყალბეს: სამხედრო ბეგარისგან გან-

თავისუფლებას, ყალბი მოწმობის მიცემას და ათასნაირ არამზადობას. მაგრამ მამაჩემი სხვანაირი ოჯახის შვილია და სხვანაირად ესმის მას მეფის, სამშობლოსი და თავად-აზნაურთა სამსახური. რამდენიმე შემთხვევა მახსოვს...

და „თავადმა" კვაჭმა რამდენიმე მაგალითი უამბო „თავად-აზნაურთა მარშლის" ერთგული სამსახურის, მისი რომაული სიმტკიცის, იშვიათი პატიოსნებისა და ქართველთა გახრწნილების, ზნეობრივ სიმდაბლის, გონებრივ ველურობისა და უსაზღვრო უმადურობისა. ბოლოს ვახშმის ზარმა ძლივს დაუბა ენა. ყველანი სასადილოსკენ დაიძრნენ და თან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩიოდნენ:

— საშინელი ხალხია, საშინელი!.. ერთი დღით რომ აუშვათ, მხეცებივით დასჭამენ ერთმანეთს... მაინც სახიფათო დროში ვცხოვრობთ... ღმერთო, გვიშველე! ღმერთო, გვიხსენი!

ვახშმად კვაჭს ერთი მხრით ახალგაზრდა, ტანადი, ქერა ადესელი ფარშევანგი ჰყავდა, მეორე მხრით კი კაპიტანი სიდოროვი. როცა მგზავრებმა გაიგეს, რომ თავადი კვაჭი ადესაში მიდიოდა, ყველას ძალიან გაუხარდა, ნამეტან კი ქერა ქალს და კაპიტან სიდოროვს, რომელმაც ბოლოს კვაჭს უთხრა:

— თუ პატივს დამდებთ, დიდი სიამოვნებით დაგითმობთ ჩემს ოჯახში ერთს ან ორ ოთახს, არ მიჭირს, მაგრამ თქვენნისთანა ჭკვიანი და ბრწყინვალე ოჯახიშვილისთვის ბევრ რამეს დავთმობ. ცუდი დროა, სახიფათო დროა. ოჯახში მამაკაცი არა მყავს და თქვენისთანა ვაჟკაცი რომ ჩამისახლდება, არხეინად ვიქნები.

აბა რა იცოდა მაშინ სიდოროვმა, რომ ოჯახში კვაჭის შემვებას მგლის შეყვანა ერჩივნა. მაგრამ ყველა რომ ყველას იცნობდეს, მაშინ ამქვეყნად ერთი ბედოვლათი კვაჭუნაც ველარ გასძლებდა.

კვაჭმა უცებ მოსპო ლაპარაკი თავის თავადობის, სილიბისტროს მარშლობისა და თავის ხალხის გარყვნილებაზე, რადგან მოვახშმეთა შორის ათიოდე სტუდენტიც ჩაერია, და მთელი ძალ-ღონით მახვილი ჭკუით, თავაზიანობით, თაფლიან ენით და მეტყველი თვალებით მიიტანა იერიში ქერა ფარშევანგზე და ერთ საათში უკვე აღო პირველი რიგი ადესელი ციხისა.

ვახშამი რომ გაათავეს, ისევ ბაქანზე ავიდნენ. გემმა მეს-მეჯერ დაიღრიალა. გამცილებელნი ჩავიდნენ, უკანასკნელი მგზავრები და დაგვიანებული მეზღვაურნი ამოვიდნენ, ტრა-პი აალაგეს, ღუზა ამოზიდეს და წვრილ სისქე ღვედებით დაბ-მული გემი აუშვეს.

გემის ბოლოს ბურღი ატრიალდა, წყალი აიჩქეფა და მან-ქანებმა რაკუნი ასტეხეს. გემი ფინჯად მოსწყდა ნაპირს, ნელ-ნელა გაცურდა ნავთსადგურის შუაგულში, იქ ძლივსძლივო-ბით მოტრიალდა და ცხვირი შუა ზღვას მისცა.

მანქანებმა რაკარუკს უმატეს. მერმე ბათქაბუთქი ასტე-ხეს: ცეცხლის ვეშაპივით ჰქშინავდნენ, იხრიალდნენ და ღუ-ღუნებდნენ. გემი ოდნავ თრთოდა, მედიდურად და ხარბად ლევდა წყვდიადსა და შხუილით სჭრიდა კუპრივით შავს, უძი-როსა და უსაზღვრო ზღვას, რომელიც სიბნელეში ოდნავ ჰკვნესოდა, შხაპუნობდა და შრიალებდა. ბათუმის ნავთსად-გურის ცეცხლის ლარი ოდნავღა მოსჩანდა. უკვე მიყუჩებულ გემის ბაქანს ორ ანძაზე ჩამოკიდებული ელექტრონის ორი დიდი ლამფა ანათებდა.

აღმოსავლეთით მარიხ ვარსკვლავი აციმციმდა. კვაჭი კვა-ჭანტირაძე მარტოდმარტო იდგა გემის ცხვირზე და ყურს უგ-დებდა ზღვის შხუილს, გემის ზანზარს, მანქანების ბაქაბუქს; გასცქეროდა შავსა და განუჭვრეტელ სივრცეს, უთვალავ ციმ-ციმა ვარსკვლავებით მოჭედილ ცის გუმბათს; და ეგონა, ჰფიქრობდა, მოელოდა და ჰგრძნობდა, რომ მისთვის, მხო-ლოდ და მხოლოდ მისთვის იყო გაჩენილი ეს უზარმაზარი და უსაზღვრო ქვეყანა; რომ იგი ქვეყანა მას, სამტრედიელ სილიბისტროს შვილს, კვაჭი კვაჭანტირაძეს, მოუთმენლად ელოდა; რომ საიდუმლო და თვალუწვდენელ რუსეთში ყველანი და ყველაფერი მისთვის იყო გამზადებული და ერ-თი უბედო ქალივით ნატრულობდნენ და მოელოდნენ სახ-ლაშვრო ბრწყინვალე თავადს: მარმარილოს სასახლენი, თავ-დახრილი მონა-მოსამსახურენი, ძველი საუკეთესო ღვინო-ლიკიორები, ფრანგი მზარეულები, ინგლისური და არაბული ცხენები, გაპრიალებული ავტომობილები, ყოველნაირ ტო-მის, ტანის და ფერის-ულამაზესი მზეთუნახავი ქალები და სპი-ლოს ძვლის საკუთარი ვაგონი ატლასით, ფარჩით და ხავერ-დით მორთული გემი — იახტა და ხარისხი ჰერცოგის, თანამ-

დებობა ჰოფმარშლის, ხელისუფლება მეფისა და... ფული, ფული და ფული, უთვალავი და გამოულეველი ფული; ვინაიდან სილიბისტროს შვილს მტკიცედ, ღრმად და ურყევად სწამდა, რომ ამ ქვეყნის ღირძი და დედაბოძი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, ხოლო დანარჩენი, რაც კი არსებობს — მთელი მსოფლიოს სული, გულიც და ხორციც — უკლებლივ ყველაფერი მხოლოდ ფულის მტვერია, მისი ყურმოჭრილი მონამორჩილია და ყოველივე ისევე იყიდება, როგორც ის ერთი წყვილი საცვალი, რომელიც მან იმ დღეს იყიდა ბათომში.

კვაჭმა ცისკარი დაინახა და იმ მნათობს თვალი გაუშტერა, მერმე ორივემ ერთმანეთს მეგობრული და ძმაბიჭური ღიმილით გაუღიმეს.

„აჰა, ჩემი ვარსკვლავი! აჰა, ჩემი მფარველი და თანამგზავრი!" — წამოიძახა გულში კვაჭმა და ხელი დაუქნია, სალამი მისცა თავის ციურ მეგობარს, რომელმაც კვაჭს თვალი ჩაუკრა, გული გაუქეთა, დააჯერა და დააიმედა, რომ მისი ოცნება და ნატვრა მალე ასრულდებოდა.

და კვაჭი კვაჭანტირაძეც ამ მტკიცე რწმენით და ღრმა იმედით მისცურავდა და მიჰქროდა თავის ახალ სამეფოსკენ, სადაც მას უხილავი, უცნობი, საარაკო საყვარელი და უმანკო მზეთუნახავი საბედო ელოდებოდა.

აქა ამბავი მეგობართა შეხვედრისა, ცოტაოდენი ფულის მოგებისა და პირველი საბედოს პოვნისა

დილით კვაჭი ისევ ბაქანზე ამოვიდა. გემი ფოთში იდგა. კვაჭმა მიიარ-მოიარა, მიიხედ-მოიხედა და უცებ ისევ კაიუტაში ჩავარდა და გემის წასვლამდე ჩაკეტილში იჯდა. მიზეზი კვაჭის დაფეთებისა უბრალო იყო: ნაპირზე თვალი ინჟინერ არუთინოვს მოჰკრა, რომელსაც მან ქუთაისში მაიზელსონის როიალი მიჰყიდა.

ხიფათი რომ აეცდინა, ისე ბაქანზე ავიდა. კოხტად იყო ჩაცმული. იქაურობას უხვად მიაბნ-მოაბნია მზიური სინათლე და საამური ღიმილი. კაპიტანმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი. მოხუცმა მოხელემ მოწიწებით მოუღრიკა კისერი, ქალებ-

მა სიამოვნებით გაუღიმეს, თვალის შუქი შეანათეს და მიიზიდეს.

კაპიტანმა ჰკითხა:

— ბოდიშს ვიხდი, თქვენი და თქვენი მამის სახელი?

კვაჭის მეტრიკაში ჩაწერილი ჰქონდა: „ანაპოდისტ სილვესტროვიჩ", მაგრამ ეს ქრისტიანული სახელი იშვიათად თუ იცოდა ვინმემ. კვაჭი დიდი ხანია იტანჯებოდა ამ პროზაული სახელით, რუსების ყურს „კვაჭიც" ეხამუშებოდა, ამიტომ მან უმალვე ახალი სახელი დაირქვა:

— ნაპოლეონ აპოლონოვიჩ.

ამ სახელის გაგონებაზე ყველანი გამხიარულდნენ. ქერა მზეთუნახავმა მოიწონა:

— ნაპოლეონისა რა მოგახსენოთ, აპოლონს კი ძალიან ჰგევხართ.

და ხარბად ჩაათვალიერა კვაჭი.

კვაჭმა მაშინვე გადაუხადა ვალი:

— მე აპოლონისა მხოლოდ ნეკი მაქვს, თქვენ კი თმის წვერებით ფეხის ფრჩხილებამდე აფროდიტე ბრძანდებით.

ასე შეჰყვნენ და ასეთი ქება-დიდება შეასხეს ერთმანეთს.

იმ დღიდან კვაჭს უცხოთა შორის სამუდამოდ შერჩა ეს სახელი. ზოგნი ნაპოლეონს ეძახდნენ, ზოგნი — აპოლონს, ქალებმა კი „აპოლონჩიკი" მიაკერეს.

გემის ბაქანი თანდათან აივსო გამოფხიზლებული სტუდენტებით. გუშინდელებურად აღარ ხმაურობდნენ და არ დახტოდნენ. გემზე მაინც მხოლოდ ისინი მოსჩანდნენ და მხოლოდ მათი ხმა ისმოდა. ჯგუფებად იკრიბებოდნენ, ოხუნჯობდნენ, ლაღობდნენ და ზღვასა და მზეს შესცქეროდნენ.

კვაჭი ერთ ჯგუფში ჩაერია, ნაცნობებს მიესალმა და უცნობნი გაიცნო:

— გთხოვთ მიცნობდეთ: კვაჭანტირაძე გახლავართ.

— ჰამე? კვაჭანტირაძე თქვენა ბრძანდებით? ვა, ქალაქში თქვენზე ათასი ქება გამიგია, რაღა! მეც სედრაკ ჰავლაბრიანი გახლავართ. მშვიდობაში ჩვენი გაცნობა!

— გაბო ჩხუბიშვილი ვარ! — ისე ამოიხრიალა ერთმა მოუხეშავმა, კამეჩმა, თითქო ქვევრის ძირიდან ამოიძახაო.

— საბახ ხეირ ოლსუნ, კნიაზ კვაჩანთირაძე! — გაუბედა-

ვად დაუძახა კვაჭს განზე გამდგარმა ახოვანმა ჯალილამ და ცხენივით გაკრიალა კბილები.

— ჯალილ, შენც აქა ხარ? სად მიდიხარ?

— ადესაში, სოტა ხილი და რახჰატ-ლუხუმი უნდა გავყიდო. იქნება სოტა ფული გავაქეთო.

— სად იყავი აქამდის, ჯალილ?

— ტიფლისში საველი, სოტა საქონელი სამოვიდე.

— როგორა ხარ, კვაჭი? — მოიკითხა ჩიკინჯილაძემ, რომელიც ფოთში ავიდა გემზე.

— ასთე, არც აქეთ, არც იქეთ.

— მაინც? ხომ ყოჩაღად დადიხარ?

— მადლობა უფალსა, არც ისთე ყოჩაღად დავდივარ, რავარც ჩემს მეგობრებს უნდათ, მარა არც ისთე ცუდად ვარ, რავარც ჩემს მტრებს უნდათ.

ის სტუდენტიც, — თედო ყორანაშვილი, — რომელიც ბათომის მიდამოებში რუსულ-ქართულ-ლათინურ ტერმინებს პანტასავით ისროდა, იქვე სტრიალებდა: ეხლაც იმან ჩაიგდო იმ ჯგუფში ლაპარაკის ძაფი.

— ეს ზაფხულიც კარგად გამოვიყენე. შარშანწინ არხოტის გადასავალი გადავლახე, შარშან — ყაზბეგისა, წლეულს — მამისონისა. გარდა ამისა სვანეთშიაც ვიყავი. ჩემი კოლექცია ერთიორად გამდიდრდა.

კვაჭი ყურს უგდებდა ახალგაზრდა მოგზაურის ლაპარაკს და სცდილობდა ბაასის ხასიათის შეცვლას, მაგრამ ჯერჯერობით იმ სტუდენტს სიტყვის ძაფი ვერ ჩამოართვა.

— ქვეყანაზე არსად არ მოიპოვება უშბასავით ლამაზი მთა. მისი სიმაღლე? ყველაზე მაღალი იალბუზია — 18410 ფუტი აქვს. მას მოსდევს დიხ-თაუ — 17054, მერმე არარატი, შემდეგ კაშთან-თაუ, მყინვარი მეხუთეა, მას გისთოლა მოსდევს, მეშვიდე კი უშბა გახლავთ, 15408 ფუტი აქვს, მაგრამ იგი კავკასიონის ქედის მშვენებაა, მისი გვირგვინია. თან შტაბის რუქა მქონდა და ზოგან შევასწორე... ვიპოვე სოჭის ახალი ჯიში, ლათინურად დავარქვი „ჰაბიეს ნორდმანიანა კეორუიკა“... მომავალ ზაფხულში გლუხორის გადასავალი უნდა გადავლახო... მოგზაურობა? არა, ეგ ჩვენი საქმე არ არის, სამი წელიწადია თანამგზავრებს ვეძებ და ერთი ქართველიც ვერ ვიპოვნე, ყველა უცხოელები გამომყვნენ... მაგიტომ მოხ-

და, რომ გერმანელებმა, ინგლისელებმა და რუსებმაც კი საქართველო ქართველებზე უკეთესად იციან. გურული სამეგრელოში არ დადის, მეგრელი — კახეთში, კახელი — იმერეთში, ხოლო ბორჩალოს, ჯავახეთს, მესხეთსა და აჭარა-ჭანეთში არც ამერელი შეიხედავს და არც იმერელი. ერთი მტკაველი მიწა გვაქვს, ერთი მუჭა ხალხი ვართ, ჯერ ჩვენი თავიც არ გვიცვნია, და მთელ ქვეყანას ვეჭიდებით, მის გადაბრუნებას ვლამობთ.

კვაჭის მოსწყინდა ამ ცოცხალი ენციკლოპედიის ყურისგდება. მისი სიტყვა და აზრი კვაჭის გულს არა ჰხვდებოდა და იმის ტვინს არ ეთვისებოდა, ამიტომ იგი მეორე ჯგუფში ჩაერია. აქ ხუთიოდე ახალგაზრდა მამლაყინწებივით დასტაკებოდნენ ერთმანეთს და ცხარედ, შხამით და გესლით ახლიდნენ და აყრიდნენ ერთიმეორეს სეტყვასავით:

— ფედერაცია... ავტონომია... სოციალიზაცია... ნაციონალიზაცია... მუნიციპალიზაცია... მონიზმი... მატერიალიზმი... იდეალიზმი...

სხვები განზე იდგნენ. ზოგნი ყურს უგდებდნენ, ზოგნი მუსაიფობდნენ. ბესო შიქიაც იქ იყო, ისიც ფიქრში ამოსულიყო ამ ვეშზე.

კვაჭმა აქედანაც მალე გადინაცვლა ფეხი და მესამე ჯგუფში ჩაერია. აქ მსუქან და მხიარულ სტუდენტებს მოეყარათ თავი. ნათი ლაღი სიცილი, ბოხი ხარხარი, თავდაუჭერელი ოხუნჯობა და ავლაბრული ლაზღანდარობა იქაურობას აყრუებდა. კვაჭმა უმალვე იგრძნო და იპოვნა თავისი შესაფერი კალაპოტი, ნაცნობები და ტოლ-ამხანაგები. უმალ ჩაერია, აჰყვა და აყოლა. სიდრაკ აელაპარაკნა პირი მოიხსნა და მრავალზე უმრავლესი ამბავი და იგავ-არაკი გადმოანთხია ქალ-ვაჟთა ურთიერთობაზე, კინტოებზე, ჯიბგირობასა და სალაბანოზე.

სასუმში რომ მიდიოდნენ, კვაჭი კვლავ მოესმა ყორანაზვილი ცნობები შესახებ აფხაზეთ-საქართველოს ისტორიის, ბიჭვინთის, „სინოპის" ბაღისა და სოხუმისა, რომელსაც უწინ დიოსკურია ერქვა.

ცხელი მზიანი დღე იდგა. ბუღით გაჟღენთილი და მოწმენდილი ცა თითქოს იწვოდა. ზღვას ეძინა. მარჯვნივ ცამდის ალმართულიყო კავკასიონის ქედი. მისი მუქი, დაბურული

მწვანე კალთები ზღვას დასწაფებოდნენ, შიგ იხედებოდნენ, თავიანთ თავს ათვალიერებდნენ. წყალიც მეტად მუქი და მომწვანო იყო. გემს თან მისდევდნენ ზღვის ღორები, რომელნიც წამდაუწუმ ჰაერში კამარას აჰკრავდნენ, მერმე ისევ ჩაიყურყუმელავებდნენ და გათლილი ცხვირით მარდად და რხევით სჭრიდნენ წყალს და თანაც გემიდან გადმოყრილ ნაყარნუყარს იჭერდნენ.

გემს მრავლად დასტრიალებდნენ ზღვის თეთრი ფრინველები — ალბატროსი, ტიფი და პელიკანი.

ტილიდან სტუდენტებში ერთი მგზავრი გაერია — შუახნის, შუატანის, ჩასხმული და შავგვრემანი.

ბესო შიქიამ კვაჭს ჩასჩურჩულა:

— იმ კაცს პრეფერანსის თამაში უნდა და შენც ითამაშე.

მერმე ისევ იჩურჩულეს, კაიუტაში ჩავიდნენ და ქაღალდი მოითხოვეს. ოთხნი თამაშობდნენ, თან ღვინოსა და ხილს შეირთმევდნენ. კვაჭი, ბესო და ლადი ჩიკინჯილაძე თამაშის დროს ხშირად ჩაურთავდნენ ხოლმე ქართულს:

— დიდი ყვავი... პატარა აგური... ჯვრის კიკო... მაცა!! არ გამომექიდო...

თან მაგიდის ქვეშ ერთმანეთს ფეხებითაც ანიშნებდნენ.

კოლია ყურიამ ცოტა ხნით კაიუტაში შემოიხედა, ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა და ამხანაგებს ქართულადვე უთხრა:

— ლადი, სირცხვილია!

— შენი საქმე არ არის... რა დროს სირცხვილია, ძლივს ჩავიგდეთ ხელში ორაგული... წადი, ძმაო, სხვის საქმეში ნუ ერევი. გეისეირნე, ან ლექსი წეიკითხე...

თამაში გათავდა. მოგება და წაგება დასთვალეს. მხოლოდ უცნობმა წააგო, სხვებმა კი მოიგეს. მან თავის წაგება ოცი მანეთი იანგარიშა, მოგება კი ხუთასი გამოვიდა.

— მოითმინეთ, ჩვენ რამდენიანს ვთამაშობდით?

— По пятой! — სთქვა უცნობმა.

— Не по пятой, а по пяти, — განმარტა ბესომ*.

სხვებმაც დაადასტურეს.

---

* პრეფერანსის თამაშში მოგება-წაგების რაოდენობა დამოკიდებულია წინასწარ შეთანხმებაზე. თუ შეთანხმდნენ კაპეიკის ერთ მეხუთედზე (по пятой), წაგებულის თითო ფიში უდრის 1/5 კაპ., თუ ხუთ კაპეიკზე (по пяти), იგი უდრის ხუთ კაპეიკს, ე. ი. 25-ჯერ მეტს.

— მაშ მოგება წაგებას უდრის — ინებეთ! — და უცნობმა ხუთი ასიანი ამოიღო. ის მოგება სამთავ დაიყვეს და აიშალნენ. სწორედ ამ დროს შემოვიდა ყორანაშვილი და იმ უცნობს ქართულად ჰკითხა:

— აქა ბრძანდებით? გაათავეთ? ვინ წააგო?

— დიახ, გავათავეთ. ცოტა წავაგე. უჩემობა მოგწყინდათ? — სუფთა ქართულით უპასუხა უცნობმა და წამოდგა. მერმე პირდაღებულ სტუდენტებს მიუბრუნდა:

— ყმაწვილებო, დიდი მადლობელი ვარ დროს გატარებისთვის. გთხოვთ მიცნობდეთ. ბაგრატ დავითაშვილი გახლავართ. — ყველას ხელი ჩამოართვა და დაუმატა: — გთხოვთ პატივი მცეთ და დღეს სადილად მეწვიოთ. დღეს ყველა სტუდენტები ჩემი სტუმრები ბრძანდებით. ნახვამდის, ბატონებო! — და გავიდა.

კაიუტაში სამი გაოცებული სტუდენტი დარჩა. ხან გაწითლდნენ, ხან გაფითრდნენ და თან ჰბუტბუტებდნენ:

— მე ურია მეგონა... მე რუსი მეგონა... გეიგო, ყოლიფერი გეიგო, მაგრამ ხმა არ ამეიღო... წაგებულიც გადიხადა... რა ვქნათ?.. როგორ მევიქცეთ?..

წაიკიდნენ და წაიკამათეს. ერთმანეთს აბრალებდნენ, თან სირცხვილის ოფლში იწურებოდნენ. ბოლოს სამივენი დავითაშვილთან მივიდნენ და მოგებული ფული ლუღლუღით შესთავაზეს:

— გაუგებრობა მოხდა... არ გვეგონა, რომ ქართველი ბრძანდებოდით... ცოტა უწესოდ ვთამაშობდით...

დავითაშვილმა ღიმილით და ალერსით დაამშვიდა:

— ნუ შესწუხდებით. თამაში წესიერად დასრულდა. ეგ ფული ჯიბეში ჩაიდეთ, დაგჭირდებათ. მე იმდენი მაქვს, რომ ეგ თანხა ჩემთვის ერთი წვეთია, თქვენ კი წიგნებს იყიდით... არა, არა, ნუ სწუხდებით... ნუ მაწყენინებთ. სადილის დროს, შემობრძანდით.

სასადილო გაიჭედა სტუდენტებით. დუდუკის ბუტბუტით, დოლის ბრახაბრუხით, „ტაში-ტუშის“ ყვირილით, „მრავალჟამიერის“ გუგუნით, ჭურჭლის ჭახაჭუხით, სიცილ-ხარხარით და მჭერმეტყველებით.

ბოლოს, კვაჭმაც მოითხოვა სიტყვა. მასპინძელს ხოტბა

შეასხა, ყველა აალელვა, ცეცხლი მოიკიდა და სხვებსაც მოუკიდა.

— ბატონებო! მეგობრებო! — მოუწოდა მან დასასრულს: — ცხოვრება ყველას მოგვერევა და დაგვჯაბნის, დაგვწვავს, გაგვთელავს, სისხლით და ცრემლით ვვატირებს, მაგრამ ერთში მაინც ვერ მოგვერევა, ვერ მოგვდრეკს: ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ დაბადებითვე რაინდობა და ვაჟკაცობა მოგვდევს, ჩვენს ძარღვებში კეთილშობილი სისხლი სჩქეფს, ჩვენ დედის ძუძუსთან ერთად მოგვიწოვია შეგნება და გრძნობა პატიოსნების, ძმობისა და ამხანაგობისა. ჩვენ ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი შეგნება წმინდა მოვალეობისა წინაშე ერთმანეთისა და ჩვენი ტურფა საქართველოსი. დუხჭირი ცხოვრება ყველაფერს წაგვართმევს, ჭაბუკობის ყვავილს დაგვიჭკნობს და მზესაც დაგვიბნელებს, მაგრამ რაინდობაზე, ვაჟკაცობაზე, პატიოსნებაზე და კეთილშობილებაზე ვერასოდეს ხელს ვერ აგვაღებინებს! ვერა-ასო-ოდე-ესმეთქი!!! მეგობრებო! ბატონებო! ამხანაგებო! გთხოვთ დასცალოთ სადღეგრძელო ამ პატიოსნების, ამ ვაჟკაცობის, რაინდობის და კეთილშობილების საუკეთესო წარმომადგენლისა, დღევანდელი ჩვენი მასპინძლისა, გულუხვის, პურმარილიანის და ხელგაშლილ ქართველისა — ბაგრატ დავითაშვილისა! ვაშა სასიქადულო მამულიშვილს! ვაშა მის კაცურ კაცობას! ვაშა საქართველოს, რომელმაც ასეთი შვილი გაგვიზარდა!

— ვაშა-ა! ვაშა-ა! — ჰგრიალებდა გაჭედილი დარბაზი.

დუდუკი ტუშს უკრავდა, ჭიქები ჭახაჭუხით ვაჰქონდათ. ყველანი აიშალნენ და აირივნენ. ზოგნი დავითაშვილს ჰკოცნიდნენ, ზოგნი — კვაჭანტირაძეს, ზოგნი კიდევ — ერთმანეთს. ტუშს ლეკური მოჰყვა, ლეკურს დავლური და ყველაფერი და ყველანი ერთმანეთში აირივნენ.

საღამოზე შავი ზღვის იმ კუთხეში განთქმული ნორდ-ოსტის ქარიშხალი ამოვარდა. მთვრალი გემი ჰქიჭინებდა, ჰკვნესოდა და ნაფოტივით ადიოდ-ჩადიოდა. მოკრიალებული „პუშკინი" ნასმევ-ნაჭმევით და ნაქარიშხალევით წაიბილწა და წაირყვნა. მოსამსახურენი ძლივს აწრებდნენ მის გარეცხვას და თან ნამდვილი რუსული გინებით იგინებოდნენ.

მეორე დღეს ყველანი იმ ღამის ფათერაკს მხოლოდ ქარიშხალს აბრალებდნენ.

დილით „პუშკინი" დიდი წვალებით, ქანაობით და ყირამალა ცეკვით შევიდა ნოვოროსიისკში. ტრაპი რომ მოადგეს, გემზე ქუთათელმა ჭიპი ჭიპუნტირაძემ ამოჰყო თავი. გაიკვირვეს, გაიცნეს და მაშინვე შემოეხვივნენ:

— გამარჯვება, ჭიპი!.. ჭიპი, რავა ხარ?.. ჭიპი, აქანე რა გინდა?

— დალახვროს და დასწყევლოს ამათი თავი და ტანი, აი, ეს მინდა! ეშმაკიც ვეღარ გაუგებს ამ უბედურებს!

— რაშია საქმე, ჭიპი? აქ რამ მოგიყვანა?

— აბა, მაშ ლვანჯითში წავსულიყავი? ბიჭო, გაგონილა სადმე, რომ ბერლინის უნივერსიტეტი პარიზში იყოს, პარიზისა კი ლონდონში?! რუსეთში ასე ყოფილა, რომ თურმე მოსკოვის უნივერსიტეტი კიევში ყოფილა, აბა კიევისა ალბათ ვარშავაში იქნება!!!

— რაშია, ბიჭო, საქმე? გაგვაგებიე!.. რა დაგემართა, რა მოგივიდა?

— ღმერთმა წურაფერი გააგებიოს, ვინცდამ აგი მოიგონა. ბიჭო, გაუგია ვინმე, რომ ნოვოროსიის უნივერსიტეტი ოდესაში იყოს?! ამიზა არ ვამბობ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი ალბათ ჩოხატაურში ან ბაღდათში იქნება-თქვა? ნოვოროსიის უნივერსიტეტი ნოვოროსიისკში იქნება-თქვა, ვთქვი და ამ ქალაქში წამოვედი*.

ორმოცი სტუდენტის ხარხარი გაღმა ქალაქს მისწვდა.

— რას იცინით, ფაზილარებო?! მართალს არ ვამბობ, თუ?

ხარხარის ხელახალმა გრიალმა გემი შეანძრია.

— იცინეთ, ბიძია, იცინეთ! მე გევიფსიკე, თვარა თქვენ რა გიჭირთ! რავა ხარ, კვაჭი? შენი იმედით ვიყავი აქინე, თვარა ზღვაში გადავვარდებოდი... რაიო, სასტუმროში იდექიო? აბა, მაიზა ფულს დავხარჯავდი? მივედი გიმნაზიის დირექტორთან. შემარცხვინა. რა დროს სირცხვილია, ფული მინდა-თქვა. მომცა ოცი მანათი, მეტი რა გზა ჰქონდა. ჩემი ადრესი ჩაიწერა... რაიო? ელოდის, ბაბუაჩემი გამოგზავნის რა-

---

* რომანოვებმა ნოვოროსია ეხლანდელ უკრაინას დაარქვეს, ხოლო ნოვოროსიის უნივერსიტეტი ოდესის უნივერსიტეტს ეწოდეს.

ვა იციმით, თქვე ყაზილარებო?! აქინე რომე დამკიდოთ, ორ მანეთს ვერ მიპოვნით. რომ მქონდეს კიდეცა, ჯერედ არ გავ-ყიქებულვარ რომე დოუბრუნო. მერმე რა იქნება — ვინ იცის!

ყორანაშვილი ერთ-ერთ ჯგუფს ანათლებდა:

— აი, აქვე თუაპსეა. უწინ ნიკოფსია ერქვა. საქართვე-ლოს საზღვარი აქ იყო. ისტორიკოსი სწერს: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდისო“... აქვეა ჰელენჯიკი, ტოლსტოველთა კო-ლონია... აი, ეს ცემენტის ქარხნებია... იქით აბრაუ-დიურ-სოს მამულია. მშვენიერი ღვინო და შამპანური აქვთ...

კვაჭი იმ ღამეს ისევ ადესელ ქერა ქალს აჰყვა. მისი სა-ხელი და გვარი? რებეკა ისაკის ასული იდელსონისა. საიდან მობრძანდება? ტფილისიდან. ვინაობა? რებეკა ჯერ ყოყმა-ნობდა. მერმე ენა ამოიდგა, რადგან კვაჭის ისეთი მომხიბლა-ვი და სანდო თვალები და ტკბილი ენა ჰქონდა, რომ ქვასაც კი გაუღეღავდა გულს და ენას გაუხსნიდა.

რებეკას ქმარი ჰყავს. ხნიერი და მდიდარი ადესელი ვა-ჭარია. ჟანდარმებმა იჭვი მიიტანეს, რევოლუციონერებს დიდ-ძალი ფული მისცაო. იდელსონი ტფილისში გაიპარა, მაგრამ გაიგეს და დაიჭირეს. ამის გამო იყო რებეკა ტფილისში. ეხ-ლაც იმის ქმარს ეტაპით ჰგზავნიან ადესაში, ხოლო რებეკა გემით ბრუნდება... არა, რებეკას არ უჭირს ფული, თვითონაც სამი დიდი სახლი აქვს ადესაში, მაგრამ... რებეკა მარტოა და გამოუცდელი. ის მრჩეველს, დამხმარეს, ნუგეშისმცემელსა და მეგობარს ეძებს... რებეკა ნუ სტირის? როგორ არ იტიროს მარ-ტოხელა დედაკაცმა, დაღლილმა და უნუგეშომ!.. ნუ, ნუ სტი-რის?! განა კვაჭი აქ არ არის, რაინდი უმწიკვლო და უშიშარი? ის დაეხმარება საწყალ ქალს, ის გაუწევს მას მეგობრობას, ის გაჰყვება ბოლომდის ამ საქმეს, ზედ გადაეგება და იქამ-დის მიჰყვება, სანამ დროებით დაქვრივებულს რებეკას თა-ვის საყვარელ ქმარს არ დაუბრუნებს. ნუ, ნუ სტირის რებე-კა!.. ნუ იღრუბლავს ვარსკვლავებივით მოციმციმე თვალებს, თორემ... თორემ კვაჭიც ატირდება... კვაჭსაც ელევა ძალ-ღო-ნე... კვაჭსაც ერევა თვალებზე ცრემლი... კვაჭიც სტირის.:: სტირის და თვალცრემლიანი რებეკას წელზე ხელსა ჰხვევს და თან ფაფუკ ხელებს უკოცნის და ანუგეშებს.

და მართლა ვაჟკაცურად ანუგეშა: ჯერ სიმაგრის მეორე რიგი აიღო, მერმე სასტიკი იერიშით შეანგრია უკანასკნელი კოშკი და უძლეველი ქერა ციხე საფეხებით დაიმორჩილა.

— აღა, მომილოცავს! — გაუღიმა მეორე დილით ჯალილამ ქვაჯს. — მაგისთანა „მათუშკას“ ზალიან ზნელად იშოვნის კაცი.

— შენ საიდან იცი, თათარო? — უკვირს ქვაჯს.

— ჯალილა იმასაც ხედავს, რაც ზღვის ძირში ხდება — იღიმება ჯალილა.

კარი მეორე

აქა ამბავი ამხანაგობის დაარსებისა და ახალ საბედლოსთან ჩასახლებისა

ოდესაში კვაჭი კაპიტან სიდოროვის ბინაზე დასახლდა. ხალვათი და კოხტად მორთული ოთახი მისცეს. სიდოროვი მუდმივ ზღვაზე სცხოვრობდა, მუდმივ მგზავრობაში იყო გართული. მისი გემი „პუშკინი“ ორ კვირაში ერთხელ ბრუნდებოდა ოდესაში და სამიოდე დღის შემდეგ ისევ ბათომში მიდიოდა.

სიდოროვს სამი ქალიშვილი ჰყავდა, სამივე მომწიფებული და გასაფრენად მომზადებული. მისი ხნიერი მეუღლე მხოლოდ ორი საზრუნავით იყო შებოჭილი — ოჯახის მოვლა-პატრონობით და ქალების გათხოვებით. კვაჭი ამ ოჯახში ისე მიიღეს და ჩაისახლეს, როგორც ოჯახის ერთგული მცველი და უფროსი წევრი.

სიდოროვის უნცროსი ქალიშვილი ვერა ტანდაბალი, სრული, ცისთვალა და ცუგრუმელა ქალი იყო. მუდმივ დაჰგორავდა, ჰფუსფუსებდა და უმიზეზოდ იცინოდა. დილით კურსებზე დარბოდა, მერმე დედას შველოდა, ხოლო საღამოობით სტუდენტებს მისდევდა.

ვერამ მართლა დაიჯერა კვაჭის უფროსობა ოჯახში და სამზარეულოში გაუშინაურდა: უცინოდა, ეხუმრებოდა და მაშინაც კი არ ერიდებოდა, როცა კვაჭი ჩაუცმელი იყო ან ლოგინში იწვა. ჩაის ან ყავას შეუტანდა, გვერდით მოუჯდებოდა, ცისფერ თვალებს შეანათებდა და უდარდელ ბედურასავით ჰიკჰიკებდა. კვაჭი ნამძინარევ თვალებს იფშვნეტავდა, იზმორებოდა და ხელებს უალაგო-ალაგას აფათურებდა, ვერა კვაჭს ხელებს უშშვიდებდა, „кавказский чорт“-ით აჯავრებდა, თვითონაც ცოდვილობდა, კვაჭსაც სტანჯავდა და, ბოლოს, აწითლებული და თმაგაბურძგნილი, იმ ოთახიდან ძლივს გავარდებოდა ხოლმე.

კვაჭს წინათვე გადაწყვეტილი ჰქონდა იურიდიული მეც-

ნიერება შეესწავლა. ეს ხელობა — ვექილობა, კანონები და ფინანსები — უფრო ეგებოდა და ეთვისებოდა კვაჭის ბუნებას და მიზანს. ბესომ კვაჭი მეორე დღესვე ამ ფაკულტეტზე ჩასწერა და იმდენი წიგნები აყიდვინა, რომ შემდეგში კიპუნტირაძე სამართლიანად ამბობდა ხოლმე:

— იმოდენა წიგნებს ზედაც ვერ გადავახტი, თვარა წაკითხვა და დასწავლას ვიღა ჩივა!

კვაჭის მეგობრებიც იმავე ეზოში დასახლდნენ, სადაც კვაჭი თვითონ ბინადრობდა. დღე არ გავიდოდა, რომ ტფილელნი და ქუთათელნი ერთმანეთს არ შეხვედროდნენ. ერთმანეთი მალე დაჰსუსნეს, ასწონეს, შეიგუეს და მალე რაღაც იდუმალმა ძალამ ექვსივენი შეაერთა და შეადუღა.

ჯალილაც თავის თაბახით ახლომახლო ტრიალებდა და ყვიროდა: „რაჭათ-ლუკუმ! რაჭათ-ლუკუმ“. როცა კვაჭს ან იმის მეგობრებს თვალს მოჰკრავდა, წვერს მოიშვლეპდა და ცხენის კბილებს გააელვებდა ხოლმე:

— სამახ ხეირ ოლსუნ, კნიაზებო! ქეიფზე როგორ ბძანდებით? მობძანდით, ნუღა მიირთვით!

მეგობრებიც ჯალილას ხეირს აძლევდნენ და იმდენ ტკბილეულობას მიირთმევდნენ, რომ მეორე დღემდე ჭამის მადა აღარა ჰქონდათ. მწვადის საჭმელად და კახურის დასალევად ქართულ დუქანში რომ წავიდოდნენ, ჯალილასაც გვერდით მოისვამდნენ, ოხუნჯობდნენ და თათარს შიქასტას და ბაიათს აღრიალებდნენ.

სწავლას ჯერ ყველანი გულმოდგინედ შეუდგნენ. დროზე მიდიოდნენ, ყველა ლექციებს ესწრებოდნენ და შინაც ცდილობდნენ საგნების ხელის დარევას. მაგრამ ქართველები იყვნენ და თანდათან შენელდნენ. ძალა გამოელიათ და ხალისიც ჩაუქრათ. მეცნიერების გზა მათთვის მეტისმეტად გრძელი და უძლეველი გამოდგა. ნელ-ნელა დაუკლეს ნაბიჯს, ჩამორჩნენ და იმ უსაქმო და მუქთახორა სტუდენტების ხროვაში გაერივნენ, ვინც დიპლომის ძიებაში ათიოდე წელიწადს ატარებდნენ სტუდენტის სახელს. წიგნები კუთხეში მიჰყარეს და თავი მისცეს ბულვარებს, ჩვენებურ დუქნებს, ევროპულ რესტორნებს, ფანკონის ყავახანას, ქალაქის თეატრს, ცირკს, ღვინოს, ლაზღანდარობას, სალხინობას და იაფ მეძავების დევნას.

მაგრამ კვაჭი ამ ფსკერს მხოლოდ კადრულობდა, თვალი კი მუდამ ზემო სართულებისკენ ეჭირა და ლამობდა ზედაპირზე ეცურავა.

როცა ქართველთა სათვისტომოს გამგეობის არჩევა ხდებოდა, კვაჭმა და მისმა ამხ-მა ცაიწ-გამოიწვიეს, ჩოჩქოლი ასტეხეს, აგიტაცია გასწიეს და ბესო შიქია ხაზინადრად აარჩევინეს. მას აქეთ ამხანაგებმა ოდნავ მოითქვეს სული. როგორ ახერხებდა ბესო თავისთვის და ამხანაგებისთვის ცალიერ სალაროდან ფულის გამოტანას, ეს საიდუმლოება მხოლოდ კვაჭმა და ბესომ იცოდნენ.

სილიბისტროს ვაჟი ხშირად იტყოდა ხოლმე: ღმერთს რომ ქართველისთვის იმდენი ჭკუა და შრომის უნარი მიეცა, რამდენიც მადა და წამბაძველობის ნიჭი მისცა, ეს ხალხი აქამდე ქვეყანას გადააბრუნებდა.

ეს თქმულება კვაჭზე და მის სამიოდე მეგობარზე იყო გამოჭრილი. განგებას მათთვის მართლა უხვად მიეცა მეძებრის ალღო, დაკვირვებისა და შეთვისების უნარი. კვაჭი ისე არ გაივლიდა ქუჩაში, რომ ახალი რამ არ შეემჩნია და მეორე დღესვე არ წაებაძა. თვალს რომ დაადგამდა ვინმე სნობს, უსაქმო დენდის, გათლილ არისტოკრატს, მეორე დღესვე ან ნიმუშის მშვენიერ ასლად გადაიქცეოდა. ისიც კი ზედმიწევნით შეითვისა, თუ როგორ უნდა დაეჭირა ოდნავ გაშვერილ თითებში პაპიროსი, პირიდან და ცხვირიდან როგორ უნდა გამოეშვა ბოლი, ჯოხი ხელში როგორ უნდა დაეტრიალებინა, როგორ უნდა მოეხადა სტუდენტური ქუდი, დაეხარნა თავი, მოხრილიყო, გაეღიმა, ფეხი ფეხზე გადაედო, ან ლაქიასთვის თითით დაეძახა და დაუდევრად ცხვირით წაელუღლუღა: ე-ე-ე, გარსონ!

ისედაც ლამაზი და თვალადი კვაჭანტირაძე მოკლე ხანში ერთი-ხუთად გაიზარდა და ადვილად შეერია და შეეგუა იმ ჯურის საზოგადოებას, რომელიც საკუთარი ცხვირის გარდა ვერავის ვერ ამჩნევდა და არავის არ ჰკადრულობდა.

აქა ამბავი ისაკას განთავისუფლებისა და პირველი საბეჭდოს გაფრენისა

კვაჭი რებეკას თავს ევლებოდა. ქალი მეტისმეტად ფრთხილობდა და სიყვარულს მალავდა. მას ბევრი ნათესავი და ნაცნობი ჰყავდა ადესაში, ამიტომ ჭორებსა და მითქმა-მოთქმას მეტად ერიდებოდა. ერთმანეთს ზოგჯერ კვაჭის ბინაზე ხვდებოდნენ, ზოგჯერ კი — რებეკასთან.

რებეკას ქმარი ისევ საპატიმროში იყო და დროებით დაქვრივებულ დედაკაცს ოციოდე ნათესავი სდარაჯობდა — ზოგი საკუთარი და ზოგიც ქმრისა. კვაჭმა მაინც პირველ დღესვე ხელთ იგდო ის უებარი გასაღები, რომელიც თუნდაც ცხრაკლიტულ ციხეს გააღებს ხოლმე: მან თითო მისვლაზე რებეკას პირფარეშისთვის და მეეზოვესთვის სამი მანეთი გადასდო და დამფრთხალი ქვრივიც ადვილად დაამშვიდა და მისი დარაჯების გულისყურიც გააყუჩა.

კვაჭს ძვირად უჯდებოდა ეს სიყვარული. ვახშამი, თაიგული, ტკბილეულობა და ათნაირი წვრილი ხარჯი ერთმანეთს მოსდევდა.

ბოლოს, ორი თვის შემდეგ, რებეკას ქმარი ისაკა იდელსონი ტფილისიდან ადესის ციხეში გადმოიყვანეს. კვაჭმა რომ ეს ამბავი გაიგო, გამოცოცხლდა და ერთხელ რებეკას უთხრა:

— ჟანდარმში პავლოვი გავიცანი. თურმე ძველისძველი ნაცნობები ვყოფილვართ. წინათ ქუთაისში მსახურობდა. თქვენი ქმრის საქმე იმას ჰქონია ჩაბარებული. გამოვკითხე... საქმე ძალიან ცუდად ყოფილა, თუმცა არც იმდენად უიმედოა...

რებეკა მაინც სიხარულით ცას დაეწია, რადგან კვაჭის და პავლოვის ნაცნობობამ მას გული გაუმაგრა, ხოლო მის ქმარს რომ დიდი ხიფათი მოელოდა, ეს ხომ წინათაც იცოდა... იმ დღიდან კვაჭმა ფრთხილი და ოსტატური თამაში დაიწყო. პავლოვი მართლა ხელახლად გაიცნო ადესელ ბოქაულის დვალიშვილის შემწეობით, მერმე ერთხელ-ორჯელ დაპატიჟა და წაკვრით უთხრა, ქეიფის დროს:

— მართლა, როგორ არის იდელსონის საქმე? რას აბრალებთ?

— პარტიის წევრობას და დახმარებას.

— რა მოელის?

— თუ დაუმტკიცდა, კატორღა, თუ არა და — უბრალო გადასახლება.

— მერმე, უმტკიცდება დანაშაული?

— არა მგონია.

კვაჭმა ბაასს კვალი გადაუგდო.

— ევროპისკენ ხომ არ აპირებთ გაცემრნებას?

— ჩემი ოცნებაც ეგ არის, მაგრამ სამგზავრო ფული ვინ მომცა!

— უფულობა რა მოსატანია!. ათასი მანეთი არ გეყოფათ?

— ათას მანეთად ნახევარ ევროპას მოვივლი და კარგადაც ვიქეიფებ.

— მაშ, ჩვენი მეგობრობის ნიშნად ჩემგან ათასი მანეთი მიიღეთ.

პავლოვმა არც გაიკვირვა და არც იუკადრისა. იმ ფულის წყაროსაც მაშინვე მიაგნო. ცოტა ხნის შემდეგ კვაჭმა ისევ იდელსონი ახსენა:

— ერთი პატარა თხოვნა მაქვს. მე მწამს, რომ იდელსონს გადასახლებას მიუსჯით, ამიტომ გთხოვთ გადასახლების ნაცვლად უცხოეთში წასვლის ნებართვა მოუხერხოთ.

— ადვილი საქმეა. პირობას გაძლევთ, რომ სამ დღეში გავუთავებ საქმეს.

— არა, არა. ჯერ ნუ გაანთავისუფლებთ. როცა დრო მოვა, მე თვითონ შეგატყობინებთ.

— კიდევ ერთი თხოვნა, — უთხრა კვაჭმა ერთი საათის შემდეგ, როცა ორივენი კარგად შეზარხოშდნენ: — ნურავის ნუ ეტყვით, რომ იდელსონი შესაძლებელია, ასე ადვილად გადარჩეს. პირიქით, დააშინეთ კატორღით და...

და კვაჭმა ყანყრატოზე ორივე თითით ანიშნა ყულფი. მერე დაუმატა:

— ჩემთვის ძალიან საჭიროა, დიდ მადლობას გადაგიხდით.

პავლოვმა ჩაიცინა:

— მესმის, კარგად მესმის. ეგეც ადვილი საქმეა, აგრე იყოს. ასე დავაშინებ იმის ქერა ლამაზს, რომ ახლოსაც აღარ მომეკაროს. დანარჩენი თქვენ იცით.

მეორე დღეს კვაჭმა უპასუხა რებეკას:

— ჩემო დედოფალო! ძალიან მეძნელება თქმა: ცუდი გული გაქვს და მეშინიან.

— თქვი, ნუ გეშინიან.

— მაშ, არ შეგეშინდება? პირობას მაძლევ? ეხლავე გაფრთხილებ, რომ შესაძლოა ხიფათი აიშორო, მაგრამ... ახა, ღმერთო ჩემო! რაღა მე დამაკისრა ბედმა ასეთი სათუთი საქმე?.. კარგი, კარგი... გეტყვი. საქმე ის არის, რომ... პავლოვს ერთი საბუთი აქვს, რომელიც შენს ქმარს ყველაფერს უმტკიცებს... რაო, შენ რომ მითხარი? ჰო, მგონი შენც მითხარი... სწორედ ის ქაღალდი ჩაუვარდა ხელში. ჯერ საქმეში არ ჩაუკვირებია... ჯერ მოვიცდიო... მეც მინდა იდელსონთან ერთად ევროპაში წასვლაო... დანარჩენი შენ იცი... რაო, დღეს იყავი პავლოვთან? დაგაშინა? რამდენია საჭირო? ოჰ, ღმერთო ჩემო! აბა რა ჩემი საქმეა შუამავლობა! ბოლოს და ბოლოს, ისაკას განთავისუფლება ძალიანაც არ მეჩქარება, რადგან... ხომ მიმიხვდი მიზეზს?.. კარგი, გენაცვა, კარგი, ნუ აღელდი... ნუ სტირი, თორემ მეც ვიტირებ... მაშ, გეტყვი. ძალიან ბევრს თხოულობს: ხუთი ათასიო... მაშ თანახმა ხარ?. ერთი შენი ქმრის ხელნაწერი მომეცი, იმ საბუთს უნდა შევადარო. ეს არის? ეს მისი მონაწერი სასიყვარულო წერილია, არა? ახა-ხა! აბა ვნახოთ როგორ უყვარხარ იმ ბებერს... ხუთი ათასი ბევრია, ძალიან ბევრია, მაგრამ რა ვქნა, რაკი შენ დასთანხმდი, მე რაღა მეთქმის!.. მაშ, ხვალამდე, ჩემო ძვირფასო!

კვაჭმა ისაკ იდელსონის წერილი ჯიბეში ჩაიდო და წამოვიდა. მეორე დღეს რებეკას ნათესავებს თათბირი ქონდათ. ამავე დროს კვაჭი ისაკას ხელნაწერს გულდასმით შინჯავდა, ჰბაძავდა და სცდილობდა მისი ხელი შეესწავლა.

იმავე ღამეს კვაჭი და პავლოვი ისევ შეთანხმდნენ და მორიგდნენ.

— კეთილი, ალვილია. ხვალ მოვიდეს. — სთქვა პავლოვმა: — ეგრე ვეტყვი...

მეორე დღეს რებეკა და კვაჭი ასე საუბრობდნენ:

— დიდი ჯენტლმენი ყოფილა პავლოვი. — ამბობდა რებეკა: — ძალიან თავაზიანად მიმიღო. მითხრა: ან სახჩობელა, ან პარიზიო. ერთ კვირაში გამოირკვევა, მის ბედს ერთი საბუთი გადასჭრისო. შენი სახელიც გაკვრით ახსენა: ნაპო-

ლეონ აპოლონიჩი ჩემი საუკეთესო მეგობარია, მეტად სანდო და ფრთხილი კაციაო.

— აკი გითხარი, ჩემო ტურფავ, საქმე გათავებულია-მეთქი! ეხლა მითხარი, ვისი ნაწერია ეს ბარათი? იცანი, განა! მიკვირს, როგორ მოუვიდა ეს სიბრიყვე ისაკას, ასეთს გამოცდილ ადამიანს?.. კარგი ხვალ დილით ჩავაბარებ ამ ბარათს... ათ საათზე სახლში დაგიხვდები... ნახევარს მაშინ გადაიხდი, როცა ისაკას გამოუშვებენ, დანარჩენს კი...

მეორე დღეს კვაჭმა თანხის ნახევარი მიიღო და ის საბუთი რებეკას თვალწინ დასწვა. ერთი კვირის შემდეგ რებეკა და ისაკა იდელსონი, რომელსაც ათი დღის ვადა ჰქონდა მიცემული, ქალაქში დარბოდნენ, პასპორტებს თხოულობდნენ და სამგზავროდ ემზადებოდნენ, თან ერთმანეთს და თავიანთ მახლობელ ნათესავებს პირზე ხელს აფარებდნენ, საიდუმლოებას მალავდნენ და შიშით ძრწოდნენ.

იმავე ხანებში კვაჭმა თავის მიმდინარე ანგარიშს აზოვის ბანკში რამდენიმე ათასი მანეთი კიდევ მიუმატა.

ის უკანასკნელი დღე კვაჭმა და რებეკამ ერთად გაატარეს.

აუწერელია ის დღე, შავი და იმავე დროს ცეცხლიანი, დღე გაყრის და განშორებისა, სიყვარულის ძაფების დაწყვეტისა, ორი ცეცხლმოკიდებულ გულის გახლეჩისა, ორი გაერთიანებულ სხეულის გაპობისა და ერთმანეთში არეული ორი სულის გაგლეჯისა!

დადგა ცრემლის გუბე, ატყდა ქვითინი და წივილ-კივილი, იყო გაავებული ხორცის გლეჯა, სიმწარისა და სიტკბოების კბენა, ბალღამიანი სევდა, ბნედობა, ნუგეში, დაპირება და ფიცი მარადიული სიყვარულისა.

იმ ღამეს კვაჭი ისაკას და რებეკას გასაცილებლად სადგურზე გავიდა, თუმცა, როგორც იმ დილით უთხრა რებეკას, ძალიან ეშინოდა თავის დარდისა და გულის კვნესის უნებური გამხილებისა.

სადგურის ბაქანზე ჟანდარმი პავლოვი და კვაჭი ერთმანეთს შეჰხვდენ.

— თქვენც უცხოეთში მიბრძანდებით? — ჰკითხა კვაჭმა.

— დიაღ, პარიზში გეახლებით.

— იდელსონის ფულით!“ — გაიფიქრა კვაჭმა და პავლოვს გაჰყვა.

რებეკა და ისაკა უკვე კუპეში ისხდნენ. შემთხვევით პავლოვისთვისაც იმ კუპეში მიეცათ ალაგი. ორივენი შევიდნენ და ოდნავ შეფერხდნენ.

— არა გიშავთ რა! — ჩაერია კვაჭი: — ბედმა გამომძიებელი და ტუსაღი ისევ შეგყარათ. ერთმანეთს არ წაეკიდებით, რადგან აი, ეს მშვენიერი მომრიგებელი გეყოლებათ.

და რებეკას ხელზე აკოცა. სამივემ ოხუნჯობაში ჩააჩრჩეს ბრაზი და უხერხულობა.

ცოტა ხნის შემდეგ ისაკამ კვაჭი ვაგონის დერეფანში გაიწვია და უთხრა:

— თქვენს სიკეთეს სიკვდილამდე არ დავივიწყებ. ბევრი არ შემიძლიან, მაგრამ... არა, არა! უნდა მიიღოთ, უეჭველად უნდა მიიღოთ!

ხელში პაკეტი ჩასჩარა და ისევ კუპეში შევარდა. იმავე წუთს რებეკა გამოვიდა, კვაჭს მარცხენა ხელი ჩამოართვა და შუა თითზე ალმასის დიდი ბეჭედი გაუკეთა.

— რებეკა!.. ჩემო დაუვიწყარო!., ჩემო ძვირფასო მეგობარო!

გულაჩუყებული რებეკა ცრემლს იწმენდდა და ჰბუტბუტებდა:

— სახსოვრად გქონდეს... არ დაივიწყო შენი რებეკა... შენი გულითადი მეგობარი რებეკა. მშვიდობით!

მიიხედ-მოიხედეს, დრო იხელთეს და ფიცხლავ, ცხარედ და უკანასკნელად გადაჰკოცნეს ერთმანეთი!.

მესამე ზარი ჩამოჰკრეს. კვაჭი და მიმავალთა ნათესავები მგზავრებს გამოეთხოვნენ და ვაგონიდან გავიდნენ. მატარებელი დაიძრა. რებეკა და კვაჭი იქამდე უქნევდნენ ერთმანეთს ხელსახოცებს, სანამ მატარებელი მეორე მატარებელს არ მიეფარებოდა.

აქა ამბავი მადამ ლაპოშისა

იმავ ღამეს, როცა კვაჭის ტურფას რებეკას მატარებელი მიაქროლებდა, კვაჭი თავის ამხანაგებთან ერთად შანტანში იქარვებდა სევდას.

— კარგი, შენი ჭირიმე, — ზლაზვნით, ზანტად და არისტოკრატული ენის მოკიბით, იცოხნებოდა კვაჭი: — ეგ „მეშჩანობაა“ მეტი არაფერი. რა არის ოდესა, რა უნდა იყოს აქ ცხოვრება! არაფრის სწავლა აქ არ შეიძლება... ან მოსკოვში წავალ, ან პეტერბურგში. მომწყინდა ამ ჭუჭყიან სოფელში ხეტიალი. ხელის გასანძრევი ალაგი არ იშოვება... ოდესა ჩემთვის ვიწრო ქურქია, შიგ ვეღარ ვეტევი... დაბალი კიბეა, ასაფრენი და ფრთის გასაშლელი არა მყოფნის... როდის წავალ? ერთ თვეში, ან უფრო ადრე. თქვენც წამოდით... კიშველით, რატომ არ გიშველით! რაო? ქუთაისი? ახა-ხა! ქუთაისი რა სახსენებელია! ჭაობია, მყრალი ჭაობი! თუნდაც საქართველო ავიღოთ... შენი ჭირიმე, ნუ ამიხირდები, აჰ, ეგ ტყუილია. ქვეყანაზე ასმა კაცმაც არ იცის საქართველოს სახელი. ან რა არის დიდი საქართველო? ბათომში რომ თავი მისდო დასაძინებლად, ფეხები ქიზიყს უნდა მიაბჯინო; სოხუმში რომ ცხვირი დააცემინო, სიღნაღიდან იძახიან: „ხეირიო“; ქუთაისში ლაითაძესთან ან ერემოსთან დანიელა ურიამ რომ „მრავალჟამიერ“ დაიწყოს, ყაზბეგიდან ბანს ეტყვიან, ხოლო თელავიდან დედას ლევანა „მადლობელს“ შემოსძახებს; ბორჯომში რომ პაპიროსი ამოიღო, ფოთიდან ოცი ხელი მაინც მოგწვდება — ჩვენც მოგვაწევინეო; მყრალი ხელსახოცი რომ იპოვნო, მთელი საქართველო მორბის ყვირილით: „ჩემია! წილი დამდე!“ აჰ, მაგას ნუღარ გამახსენებთ. გარსონ! კიდევ ერთი ბოთლი შამპანური ლუი რედერერისა. რაო? ბესო, შენ შარტრეზი გირჩევნიან? შენ, სერიოჟა, შიპრი გინდა? გარსონ! სამივე მოგვართვი, თან ომარები, ანანასი, ფორთოხალი და მანდარინი მოაყოლე.

და კვაჭი კვაჭანტირაძემ თავის სტუმრებს ოქროს პორტსიგარი გაუწოდა და თითის სისქე პაპიროსები შესთავაზა. პორტსიგარი აჭრელებული იყო მონოგრამებით. შუაზე ეწერა: „თავადს ნაპოლეონ აპოლონიჩ კვაჭანტირაძეს ნიშნად რებეკას მარადიული სიყვარულისა“, ხოლო პაპიროსებზე ოქ-

როს ასოებით იყო წარწერილი და დახატული თავადური ღერბი, კვაჭის ინიციალების ხლართი და მისივე დევიზი:

„მე... ისევ მე... მხოლოდ მე... ჩემი... ჩემთვის... ჩემზე...“

— რა აზრია ჩაქსოვილი აქ, კვაჭი?

— ვისაც როგორ ჰსურდეს, ისე გაიგოს. აი კიდო, აი აქაც.

და სტუმრებს ძვირფასი ბეჭედი, საათი და ოქროსთავიანი ჯოხი გაუწოდა. სამივ თვალ-მარგალიტით იყო შემკული და სამგანვე იგივე სახელმძღვანელო დევიზი იყო ამოჭრილი.

— გარსონ, შამპანური კარგად ვერ არის გაციებული... Безобразие! ამ რესტორანში არასოდეს არ მომართმევენ წესიერად. არც ანანასი—ვარგა, წვრილია... ბესო. წადი, გენაცვა, ეს ოცდახუთიანი ორკესტრს მიეცი და საყვარელი ვალსი „მარია ტერეზა!“ დააკვრევინე.

უცებ კვაჭმა თვალი მოჰკრა იმ სეზონის დედოფალს, იმ კაფეშანტანის პრიმადონას, ბრწყინვალე და მზეთა მზე პარიზელს, მადამ ლაპოშს, რომელმაც სწორედ იმ დროს შემოანათა რესტორანში.

— სედრაკ, ა ჩემი „ვიზიტნი კარტიჩკა“, ის ქალი მოიპატიჟე ჩქარა, თორემ სხვები მოიტაცებენ.

სედრაკამ მამაკაცების ალყა შეარღვია:

— პრინცი ნაპოლეონ აპოლონიჩ კვაჭანტირაძე და მისი მეგობრები გთხოვთ პატივი გვცეთ და გვეწვიოთ.

სხვები ბუზღუნით და შურით გაიფანტნენ.

კვაჭი მოდუნებული ზლაზვნით მიეგება მზეთუნახავს და მოწიწებით ემთხვია ხელზე.

— შარმე დე ვოტრ კონესანს... პრენს კვაშანტირაზე... სილ ვუ პლე, მადამ... გარსონ!.. შერ მადამ, ვულე ვუ შუაზირ*...

ჩაჰკრეს, ჩაამტვრიეს, წარყვნეს და შებღალეს კვაჭმა და სედრაკამ ნაზი და ფაქიზი ფრანგული.

თვალმილულული და მიბნედილი თავადი კვაჭანტირაძე ხანგრძლივი ტალღებში დასცურავს. მისმა მორჩილმა რებეკამ ერთი წუთით გაუელვა თვალწინ კვაჭს, საყვედურო ღიმი-

---

* აღტაცებული ვარ თქვენი გაცნობით... თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ... დაბრძანდით, ქალბატონო... ბიჭო!.. ძვირფასო ქალბატონო, გთხოვთ მოითხოვოთ,- აირჩიოთ...

ლით გაუღიმა და ცისფერი თვალებით მიანათა, მაგრამ ნის-ლოვანი მოჩვენება და წუთიერი ლანდი უმალვე გადნა, გაჰქრა და პარიზელ პრიმადონას ნაღვერდლიან თვალებში შთაინთქა, რომელნიც ნელ-ნელა სწვავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ ქვაჰის უკვე მიმქრალ გულს.

კვაჰიც მალე აჰყვა იმ თვალებს, მალე მოაჯდა პირსისხლიან მხეცს, შეცურდა ბანგის ტალღებში და თავგამწევ ცხენივით გადავარდა მრუშობისა და ვნების ხანძარში.

რიერაჟმა რომ მოატანა და მადამ ლაპოშმა თავის მესამე „ნომერი" რომ დაასრულა, დარბაზში ერთი ახმახი ფრანგი შემოვიდა და პრიმადონას დაესაკუთრა. მადამ ლაპოში გამოეთხოვა კვაჰს:

— ა დმენ, მონ შა!*.

კვაჰმა გაიკვირვა:

— რაო? იმას უნდა დავუთმო ჩემი თავი? არასოდეს!

— ილ ე მონ მარი, მონ შა!**.

კვაჰი ხახამშრალი დარჩა, მაგრამ იმ დღიდან ვერც იმ კაცის ქმრობას შეურიგდა და ვერც ის ქალი დაივიწყა.

შინ ბრაზმორეული დაბრუნდა და დაწვა. სადილად მოსამსახურემ გააღვიძა. სასადილოში მხოლოდ ვერა დაუხვდა. სხვები ნათესავებთან წასულიყვნენ.

კვაჰმა დრო იხელთა და სადილად ერთი ბოთლი შარტრეზი გაიტანა, რომელიც მეგობრებისთვის ჰქონდა შენახული. ვერა რომ პაწაწა ჭიქას გამოსცლიდა და დასდგამდა, ზედ დააყოლებდა ხოლმე:

— კმარა, მეტს აღარ დავლევ, თორემ დავითვრები.

კვაჰი რომ ერთსაც დაუსხამდა, ეტყოდა:

— ეს უკანასკნელია, მეტს აღარც მე დაგალევინებთ

ვერაც ერთს კიდევ გადაჰყლაპავდა და ისევ იტყოდა:

— კმარა, ეს უკანასკნელია. მეტს აღარ დავლევ, თორემ დავითვრები.

მაგრამ, „უკანასკნელი" მხოლოდ მაშინ გათავდა, როცა ბოთლი დაიცალა. ქალს ღვინო ძარღვებში გაუჯდა, თვალები აუკრიალდა, მრგვალი გოგონა მალე ამღერდა, აცქმუტდა.

---

* ხვალამდის, ჩემო კატუნი!

** ეს ჩემი ქმარია, ჩემო კატუნი!

პერში ენას ძლივსღა ამოძრავებდა და აბდაუბდას ჰროშავდა:

— შენი ჩემი ნაპოლეონი ხარ... ჩემი აპოლონიც შენა ხარ.

— შენ კი ჩემი ვენერა ხარ, ჩემო პატარავ! — მიუგო კვაჭმა და ფუნჩულა წელზე ხელი მოჰხვია.

— ლამაზი ხარ, მაგრამ ველურიცა ხარ... დაიცა, აგრე უცებ როგორ შეიძლება!.. ჰო, იმას გეუბნებოდი: მიყვარხარ-მეთქი, მაგრამ მეშინიან.

— რად გეშინიან, ჩემო გოგონი?

— არ ვიცი... მეშინიან.

და კვაჭისგან დაშინებულმა ქორფამ ისევ კვაჭის მკერდს შეაფარა თავის დაშინებული გულიც. და თავიც.

— რამ შეგაშინა აგრე რიგად? ჩემი ტყუილად გეშინიან, არც ვიკბინები და არც ყაჩაღი ვარ... აი ამ ტახტზე ჩამოვსხდეთ და დავიწყოთ.

ჩამოსხდნენ და დაიწყეს. კვაჭი მართლა არ იკბინებოდა, მაგრამ მის რკინის მკლავებში ვერას განიერი ტანი და თხელი ძვლები ჰკვნესოდა, ოხრავდა და იგრიხებოდა.

ორიოდე კვირა გავიდა. მადამ ლაპოშის დევნაში და დღედაღამის გაწვრთნაში კვაჭი ჯიბითაც დნებოდა და ხორცითაც. შავგვრემან მადამ ლაპოშის მიერ აშოტილ ქინძს გამწარებული კვაჭიკო პატარა ქერა ვერიკოზე ყრილობდა.

ერთხელ მისმა მეგობრებმა შიქიას თაოსნობით პირი შეჰკრეს და კვაჭს თავთ დაადგნენ. „ამხანაგობის ფილოსოფოსი" ლადი ჩიკინჯილაძე ზანტად სჭამდა მოთხე გირვანქა ყურძენს და თანაც ილოხნებოდა.

— კი მესმის შენი ჯიბი, ჩემო კვაჭი, მარა ზომიერებაც კია საჭირო. ადამიანმა თუ გულის ჯიბი არ ილაგმა, ადრე თუ გვიან დეიღუპება. გოუგონე შენს ამხანაგებს, შენთვის კარგის მეტი არაფერი უნდათ.

ჩიკინჯილაძეს ჰიპი ჰიპუნტირაძე მიეშველა, რომელმაც თავის თავად დაისაკუთრა მზვერავის თანამდებობა და „კვაჭის თვალის" სახელი. ჰიპუნტირაძე ჩვეულებრივ ცქმუტავდა და ცხარობდა:

— მე ყოლიფერი ჩაწერილ მაქვს. — სხაპუნით სთქვა მან — ამ ორ კვირაში შანტანში 723 მანეთი დახარჯე, ყვავილებზე — 88 მანეთი, ეტლებზე — 145 მანეთი და სხვადასხვა

საჩუქრებზე — 1242 მანეთი, სულ 2198 მანეთი. გაგონილა ასეთი ხარჯები?

— გაგონილა?! — გაიკვირვეს სხვებმაც.

— საიდან გაიგე ჩემი ჯიბის ხარჯები? — ჰკითხა კვაჭმა.

— შენი თვალი იმიზა მქვია, რომე ყოლიფერი გევიგო. მარა შენ ეს მითხარი: რას შობი, აწი მაი ქალიზა ასთე უნდა გედირიო! მაიზა გადავყრი ამოდენა ფულს?! იმე, დედა! სალიბისტრომე რომ გეიგოს, ხომ გედირია კაკალი კაცი!

— კბიააზ, ეს რა ამბავია? — გულწრფელად ჰკვირობდა ავლაბრიანიც: — კაცი არ ხაარ?! ვა, ქალი ვის არ უყვარს! ქალებიც მიყვარს და ვაჟებიც... ვაა, რას იცინით? რატომ არ უნდა მიყვარდეს, ყველანი ქრისტიანები არა ვააართ?! ქალზე ერთ მანეთზე მეტი როგორ უნდა გაიმეტოს კაცმა?! მზეთუნახავ რომ ყოს, ბევრი ბევრი — სამი მანეთი და იმის ჯანი! კაზირ ძმა-კაცებში დავხარჯო! ჩხუბიშვილისგან მაინც ასწავლე ჰკუა. საფანელი რომ შემოელევა, საღამოზე რიშელიეს ან დერიბასის ქუჩაზე გავა და თვალს წყალს ალევინებს. სულ დასტა-დასტად მოდიან, ერთიმეორეს სჯობიან. შენც ისე გამყევი უკნიდან, როგორც მგელი ცხვრის დუმას. გულს რომ მოიფხან, მე დამიძახე. შენ თვალები დახუჭე და გამომყე. თუ სამ მანეთზე მეტი დაგეხარჯოს... ვა, რას იცინით, თქვე ოხრებო, განა ჰკუიან სიტყვას არ ვამბობ?!

— ეეი, ჰკუაზე მოდი, კვაჭი! ვის აჭმევ, რომ აჭმევ, ამდენა ფულს?! ასთუმნიანი ბეჭედი რომ უფეშქაშე, ვის უფეშქაშე?! კარეტა რომ დაუქირავე თვიურად, ვის დაუქირავე?! თითო ვახშამზე რომ ოც თუმანს აძლევ, ვისთვის აძლევ?! დღედაღამ რომ იქა ჰგდიხარ, ვისთვისაო, რისთვისაო?! ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო: ჩვენ აქ არა ვართ, ჩვენ რაღას გვეუბნები? — ტეტიურად და პირდაპირ მიახალა გაბო ჩხუბიშვილმა.

იერიშის ავტორს კი — ბესო შიქიას — გაზეთში ცხვირი ჩაეყო და ენა მუცელში ჩავარდნოდა.

კვაჭი ოფლში იწურებოდა სირცხვილით და თავს იმართლებდა. ბოლოს თავის ამხანაგებს პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ ლაპოშს თავს დაანებებდა, მაგრამ იმავე საღამოს პადამ ლაპოშა ისევ თაიგული და ტკბილეულობა გაუგზავნა, ხო-

ლო შუაღამეს ისევ შანტანში მივიდა და დილამდე ისევ იმ ცეცხლში იწოდა.

ტალი კვესს წააწყდა, ალხანას თავის ჩალხანა დაუხვდა. კვესმა ტალს ნაპერწკლებიც დააყრევინა და კბილებიც დაუჩლუნგა, თვითონ კი არაფერიც არ დატყო. კვაჭი კვაჭანტირაძე სამტრედიელ სხლიბისტრის შვილი იყო. ხოლო მადამ ლაპოში — პარიზის მიერ ნაშობი და მონმარტრის რძით ნაზარდი; უკან კიდევ ბელვილელი აპაში ედგა, რომელსაც ზოგნი ალფონსს ეძახდნენ, ზოგნი — „კოტს“, ხოლო მადამ ლაპოში მას თავის ქმრად ასაღებდა*.

— მონ მარი ვიენ... მონ მარი ეტ ისი... ილ ე ლა... მონ მარი სე ფაშ,** — შიშით და თრთოლვით იმეორებდა პარიზელი პრიმადონა.

მისივე ლაპოშიც თავის დროზე გაჰქრებოდა ხოლმე; თავის დროზე გამოჩნდებოდა, დროზე იღიმებოდა, დროზე აბრიალებდა თვალებს და დროგამოშვებით კბილებსაც აკრაჭუნებდა.

კვაჭს მოთმინება დაეკარგა. გაფიცხდა და განერვიანდა. დაჟინებით და სიმტკიცით მიიწევდა საბოლოო მიზნისაკენ, თავის ხვედრს მოელოდა და ვალის გასწორებას მოითხოვდა.

ბოლო ხანებში მადამ ლაპოში ხან „შინ არ იყო“, ხან კიდევ თავის „მარი“ ჯაჭვით ჰყავდა მიბმული. ბოლოს თავად კვაჭანტირაძეს ვიღაც როტმისტრმა ბარონმა ფონდერშლიპენ ჰოგენშტაუფენმა გადაუჭრა გზა და კედელივით აეტუზა წინ.

ერთ საღამოს ამ ბარონმა, — ერთმა ახმახმა, რვაფუთიანმა და ერთი მტკაველის ოდენა ულვაშიანმა ბუმბერაზმა — დოინჯი შემოიყარა. კაკლისოდენა თვალები გადმოჰყარა. კვაჭს თავთ დაადგა და ზევიდან საყვირის ხმით ჰკითხა:

— ვინა გნებავთ? რაო? მადამ ლაპოში? ამაღამ მე მყავს დაპატიჟებული... რაო? ხვალაც ზეგაც, მაზეგაც... რაო? დიახ, ჩემია. სამუდამოდ ჩემია-მეთქი! რაო? ჯერ არა ვჯავრობ, მაგ-

* მონმარტრი პარიზის უბანია და შანტანებით არის ნაქები. ბელვილი ღარიბთა და მდაბიოთა უბანია, სადაც მრავლად ცხოვრობენ აპაშები — დაახლოვებით უწინდელი ჩვენებური კინტოები. ალფონსი (რუსულად კი კოტი) ქალის ხარჯზე მცხოვრები, მისი გამქირავებელი.

** ჩემი ქმარი მოდის... ჩემი ქმარი აქ არის... ჩემი ქმარი მიწყრება.

რამ თუ გამაჯავრეთ, ღმერთმა თქვენც დაგიფაროსთ და თქვენი მტერიც. რაო? არაფერიო? მაშ თანახმა ხართ? კეთილი, აგრე სჯობია... რაო? არა ვჯავრობ-მეთქი... რა ბრძანეთ? მშვიდობით ბრძანდებოდეთ? ძილი ნებისა!

მეორე დღეს სედრაკა ამბობდა:

— ვაა, ის დალოცვილი ბარონი ერთი თვით ადრე მაინც გამოჩენილიყო. ღმერთმანი, ღვთის გამოგზავნილი ყოფილა... ჰამე? დაიგვიანა? მეც მაგას არ ვამბობ! არა უშავს რა, ეხლა ხომ ისწავლის ჭკუას! კნიააზ; არც ამას იქით დაუჯერებ სედრაკას? შენზე ამბობენ, მოხერხებული კაციაო. შენ ხელი გაანძრიე, თორემ ფული ბაღდადიდან მოვა... ჰამე? ეეერიჰაა! ჩვენ რომ კნიაზს გეძახით, განა მართლა კნიაზი ხარ?! შენც დაიჯერე?! ჰამე?.. ათი თუმანი გასესხო? განა აგრეა საქმე? აგრე გაიფხიკე? ეერიჰაა! მაშ კარგი, დავტრიალდები და ვისესხებ... მე? სედრაკას რომ ათი თუმანი ჰქონდეს, ბაზაზხანაში დუქანს გახსნიდა... კარგი, კარგი, საღამოზე გნახავ. ეხლა კი წავიდეთ და თითო მწვადი შევჭამოთ. რას იტყვით?

— შევჭამოთ! — საჩქაროდ დაეთანხმენ ყველანი.

— კ ჩორტუ! — წამოიძახა კვაჭმა და კინაღამ მაგიდა ჩაამტვრია: — არუთინას დუქანი სჯობია იმ ვერანა შანტანს. კმარა! გათავდა!

— აი მომწოოონს! აქამდის მიაფურთხებდი რაღა ეშმაკსა! არუთინა რა არის, შენ ისვა იკითხე! ისეთი გვრიტები ჰყავს, რომ შენს მადამას სულ გააფასებენ. მართალია, ცოტა საპნის და არყის სუნი ასდით, მაგრამ არა უშავს რა, შენც ხუთი ნიმუტით ცხვირში ბამბა დაიცე, რაღა! „სამიი გლავნი" ის არის, რომ იქ ბარონს არ წააწყდები!

ერთი საათის შემდეგ ხუთნივე ნესტიან და ჩაბნელებულ სარდაფში ისხდნენ და „მრავალჟამიერს" გაიძახოდნენ. ნარევი განჯური ღვინო კახურად საღდებოდა. ჭუჭყიან სუფრაზე ობლად და მოწყენით ეყარა ქართული ყველი, დოში, ბოლოკი, შოთი და მწვანილი. იქვე მაყალზე მწვადი შიშინებდა, სარდაფი მისი სუნით და ბოლით იჟღინთებოდა. სიღნაღელი არუთინა-ჰფუსფუსებდა, სტუმრებს ასმევდა, თვითონაც სვამდა და სედრაკასაც ამშვიდებდა:

— ჰამე? მარუსია და კატინკა არა სთქვი? ჰო და ეხლავე მოვლენ რაღა! ერთი საათია ბიჭი გამიგზავნია. თქვენ ნუ მო-

იწყენთ, გენაცვალეთ. დალიეთ და დამალევინეთ... ჰაი-ჰუუიიი! ჰაი, ჯაან, კნიაზჯან, ჯაან!

— ჯალილ, ბაიათი! — შეუკვეთა კვაჭმა.

ჯალილამაც ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და შემოსძახა:

ითა მინდიმ ბაში იოხ,
ჩაილარი გეჩტიმ ტაში იოხ,
ორთი სარდიმ იანიმდა თაიდაშიმ იოხ*...

ალესილმა კვაჭმა მაინც ვერ შეინელა ჟინი. ღვინით გაბრუებული და „მარუსიას" სუნით გაჟღენთილი კვაჭიკო რიჟრაჟზე მადამ ლაპოშის ბინისკენ მილასლასებდა. სასტუმროს კარებში ისევ იმ ბარონს წააწყდა.

— რაო? რა სთქვით? მადამ ლაპოშთან მიდიხართ? კეთილი და პატიოსანი. რაო? რა ბრძანეთ? მიბრძანდით-მეთქი. ეხლა ნებას გაძლევთ. რაო, რა ბრძანეთ? მიბრძანდით და გამოეთხოვეთ. დღეს მიდის. რაო, რა სთქვით? მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

და ისიც ლასლასით გაუდგა თავის გზას.

— მონ შა! — წამოიძახა მოთენთილმა მადამ ლაპოშმა, როცა კვაჭს კარი გაუღო: — მოიცა... ეხლავე! მანდ მოიცა ცოტა ხანს. დღეს ჩემი ქმარი შინ არ არის.

კარი მიუკეტა და ოთახში შებრუნდა. კვაჭმა ჭუჭრუტანაში შეიხედა და ლაპოშის ქმარი დაინახა, რომელმაც იღლიაში ბალიში ამოიჩარა და მეორე ოთახში გაირბინა. მადამ ლაპოშმა ისევ გააღო კარები, კვაჭი შეუშვა და ერთხელ კიდევ უთხრა:

— მოდი, მონ შა, მოდი! დღეს ბედი გქონია. ჩემი ქმარი შინ არ არის. გაბედე...

კვაჭმა რომ გამოიღვიძა, ოთახში აღარც მადამ ლაპოში იყო, არც მისი „ქმარი" და არც მათი ბარგი. ჩაიცვა და ოთახიდან გამოვიდა. სასტუმროს მოსამსახურესთვის მანეთიანი უნდა ეჩუქებინა, მაგრამ ჯიბეში შაურიც ვეღარ იპოვნა. მეხსიერება მოიკრიფა და გაიხსენა, რომ გუშინ ჯიბეში ოთხასი

---

* ცხენს მოვაჯექი უთავოსა. წყალს გავედი ურიყოსა, ლოგინს ჩავწექი უქალოსა.

მანეთი ჩაიდო, მაგრამ სად დახარჯა ან სად დაკარგა, კვაჭმა ველარ გაიხსენა.

მადამ ლაპოში რომ ადესიდან გაქრა, კვაჭის გულიდანაც ამოქროლდა. დარჩა მხოლოდ მწარე მოგონება ზღვაში გადაყრილი სამი ათასი მანეთისა და კვაჭის მეგობართა გაუთავებელი ჩივილი, წუწუნი და საყვედური.

ბესო შიქია სდუმდა და სათვისტომო ხანჩაზე ზრუნავდა. ავლაბრიანი ვერ ისვენებდა და წამდაუწუმ ოხრავდა:

— ვაჰ, ვაჰ, ვაჰ! აი ნამდვილი ტუტუც ვრაცუა! სამი ათასად ნახევარ სიღნაღს ვიყიდდი ან სამი ათას ქალს მოგართმევდი. ნუ იცინით! ქალის ფასი ზაკონით ერთი მანეთია, ტაქსა არის დადებული, რაღა! ახლა მართლა პრინცესები რომ არ მოგართვათ, წითელ ფარანში* წაბრძანებას არ იკადრებთ?

— ეგრე იცის სიყვარულმა! — ჩაურთო ჩიკინჯილაძემ.

— მე ერთი ღამის სიყვარული მწამს,- მორჩა და გათავდა! — ამოიღო ხმა ჩხუბიშვილმაც.

ბოლოს ჯალილამაც თავი გაიქნია:

— ისი რა გითხრა, კნაზჯან? ძალიან ეშხიანი გოგო იყო, მაგრამ სამი ათასიც ძალიან სოდოა. სამი მანეთი — აი მისთ ყაიმათი.**

დავა ისევ კვაჭმა გადასჭრა:

— კმარა! — მტკიცედ განაცხადა მან: — რაც იყო, იყო, მორჩა და გათავდა! მადამ ლაპოში აღარავინ არ ახსენოს.

აქა ამბავი ორი სიყვარულის გათავებისა.

ვერა გახდა. გაიცრიცა. ნამალავი სიყვარული კვაჭისთვის ხელსაყრელი იყო. იმ ქალთან ხალხში გამოჩენა კვაჭის არაფერს არ შესძენდა, ამიტომ კვაჭი ვერას ერიდებოდა და მოზეზად ის მოჰქონდა, რომ კაპიტანი სიდოროვი ან მისი მეუღლე ან კიდევ მათი მრავალი ნათესავი ეჭვს აიღებენ და მათს სიყვარულს ნაადრევად გამოიტანენო. აპირებს თუ არა კვაჭი ვერას შერთვას? რა თქმა უნდა, აპირებს! ამაზე ლაპარაკიც

* სამეძაო სახლი.

** ფასი.

არ შეიძლება, მაგრამ... ვერა ქართველების გარდუვალ ადათსა და კანონს უნდა დაემორჩილოს, თორემ კვაჭი ვეღარც მშობლების ოჯახში შევა და ერთ მანეთსაც ვერ მიიღებს სილიბისტროს ჯიბიდან, რომელიც, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ერთი მილიონი მანეთი მაინც ეღირება. კვაჭმა უნდა მიიღოს მშობლებისგან თანხმობა და კურთხევა, რომელსაც დღე-დღეზე ელოდება. თანხმობა, რა თქმა უნდა, მოვა. სილიბისტრო და პუპიც ადრევაც ეხვეწებოდნენ კვაჭს, უეჭველად რუსის ქალი შეირთეო, ისიც უეჭველად ნასწავლიო. ნუ, ნუ შიშობს ვერა. დამშვიდდეს და არხეინად უცადოს სილიბისტროს წერილს.

ვერა მეათეჯერ დამშვიდდა და მოთმინებით მოელოდა ქართველ თავად-აზნაურთა მარშლისგან, სილიბისტრო კვაჭანტირაძისგან თანხმობას და კურთხევას.

ერთხელ ვერა დაფეთებული შემოვარდა კვაჭთან, ორივე ხელით ჩამოეკიდა კისერზე და შიშით და ცახცახით ჩასჩურჩულა:

— ყური მიგდე... უნდა გითხრა, რომ... რომ ეს-არის ეხლა გაიფაჩუნა. აი აქ...

ცახცახებდა, კვაჭს მკერდზე ეკვროდა და მისგან დარიგებას და ნუგეშს მოელოდა.

კვაჭს ცივმა ოფლმა დაასხა. გაბრუვდა, გახევდა და შიშმა აიტანა. ვერამ ისე მოაგონა:

— სთქვი რამე, როგორ მოვიქცე?

— დაიცა... დამაცა, მოვიფიქრო.

და შუბლის მოსრესვის შემდეგ მოიფიქრა:

— ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. ორივენი, თითქოს საპატიმროში ვიყოთო, ერთმანეთს ვერა ვხედავთ და თავისუფლად ვერ ვლაპარაკობთ. სხვაგან უნდა გადავიდე. შენ ხშირად ივლი ჩემთან... თუ საჭიროებამ მოიტანა, ჩემთან გადმოსახლდები... ასე ემჯობინება.

ვერას კვაჭის აზრი ჭკუაში დაუჯდა:

— დღესვე გადადი... ნუღარ აგვიანებ. მაგას რაღა სჯობია! ორ-სამ თთვეს დავიქირავებთ და, სანამ მშობლების კურთხევა მოგივა, ჩუმად ვიცხოვრებთ.

კვაჭი მეორე დღესვე გადავიდა, მაგრამ ვერას დრო ვერ აურჩია, რომ ერთმანეთი უმოწმოდ ენახათ და ან მომავალზე

მოელაპარაკნათ, ან ერთმანეთს მოჰწვეოდნენ და ათი წუთით მაინც დაევიწყათ ხვალინდელი შიში და ზრუნვა. კვაჭი ხან შინ არ იყო, ხან მასთან სედრაკა იჯდა, ხან ბესო, ხან ლადო, ზოგჯერ კი ყველანი ერთად იყრიდნენ თავს და წასვლას აღარ აპირებდნენ. ვერას დაძმურად მიიღებდნენ, გაართობდნენ და თავაზიანად გაისტუმრებდნენ.

ერთხელ ვერა კვაჭის მიერ დანიშნულ დროზე მოვიდა, მაგრამ კვაჭის ნაცვლად ბესო შიქია დაუხვდა. მეგობრულად მიესალმა, დასვა და ტკბილად დაუწყო:

— მე კარგად გიცნობთ, მეგობარო, დინჯი და გონიერი ქალი ბრძანდებით. ამიტომ თქვენთან გულახდილად ვბედავ ლაპარაკს.

— ღმერთო ჩემო! რა ამბავია?.. ხომ არაფერი არ მოხდა?..

— მოხდა, მაგრამ საშიში არაფერია. არხეინად ბრძანდებოდეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ... კვაჭს მშობლებისგან პასუხი მოუვიდა.

— მერმე?.. მერმე?

— საერთოდ თანახმანი და მოხარულნი არიან, რომ კვაჭმა თქვენისთანა განათლებული და პატიოსანი ოჯახიშვილი აირჩია. კურთხევასაც წინდაწინვე უგზავნიან, მაგრამ...

— მაგრამ?..

— მაგრამ იწერებიან: როცა უნივერსიტეტს გაათავებს, ცოლსაც მაშინ შეირთავო.

ქალი დაიბნა და ალუღლუღდა:

— კეთილი... მესმის, მაგრამ... მაგრამ მე..: მე რაღა ვქნა? მე როგორ მოვიცადო სამი თუ ოთხი წელიწადი? მე... მე ფეხმძიმედ ვარ და... და დღეს თუ ხვალ შვილი მეყოლება.

— მაგის დარდი ნუ გექნებათ. კვაჭი შეგინახავსთ, თვეში ხუთ თუმანს მოგცემსთ...

— არ ვიცი... ვერ მომისაზრებია.:: უნდა მოვიფიქრო... უნდა მოვისაზრო.

— აკი მოგახსენეთ, გონიერი ქალი ბრძანდებით-მეთქი! — გაეხარდა ბესოს: — მოიფიქრეთ, უეჭველად მოიფიქრეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ნუ აღელდებით, დინჯად მოისაზრეთ.

ფერწასული ქალი ბარბაცით წავიდა კარებისკენ, მაგრამ იქ შესდგა, რაღაც გაახსენდა და მოტრიალდა:

— მართლა, დამავიწყდა: კვაში სად არის? რატომ თვითონვე, არ მითხრა ეგ ამბავი?

კვაში თავის ბიძასთან არის. გუშინ ბიძა ჩამოუვიდა ტფილისიდან.

— კეთილი... კარგი

ისევ გატრიალდა, წაბარბაცდა, კარებს წააწყდა, კინაღამ წაიქცა და მოწყვეტილი ფეხები ძლივს გაიტანა.

ამის შემდეგ ვერა რამდენჯერმე მოვიდა კვაშის სანახავად, მაგრამ საქმრო შინ არ უხვდებოდა.

ერთხელ ერთმანეთს ქუჩაში წააწყდნენ. ვერამ კვაშის ხელი წაავლო, განზე გაიყვანა და ცრემლნარევი ჩურჩულით უთხრა:

— რასა შვრები, რას მპირებ? დედამ ყველაფერი გაიგო... გუშინწინ შინიდან გამომაგდეს. ერთმა მეგობარმა შემიკედლა. ლუკმა პური არა მაქვს.

— დამშვიდდი, ყველაფერი მოეწყობა. ქუჩაში ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აი ხუთი მანეთი მიიღე სახარჯოდ და დღეს შვიდ საათზე მოდი ჩემთან. აქ მოვილაპარაკოთ.

— ათჯერ მაინც ვიყავი, მაგრამ შინ არ დამიხვდი.

— რა ვქნა, გენაცვა, ვერ მოვიცალე. დღეს მოგელოდები, არხეინად იყავი, ნუ ღელავ!

იმ დღესაც ვერას კვაშის მაგივრად მისი მეგობარი ჭიპუნტერიძე დაუხვდა, რომელმაც ოთახში შეიპატიჟა და უმალვე იერიში მიიტანა:

— რას ჩააცივდით კვაშს? განა მე იმაზე ნაკლები ბიჭი ვარ? თქვენისთანა ლამაზს ყოველთვის შეუძლიან მამაკაცები კუდივით აიყოლოს და არხეინად იცხოვროს.

ჭიპიმ ხელი მოჰხვია ვერას და მიიზიდა. ვერამ პირი მიიბრუნა და უცებ ისტერიული ქვითინი ამოუშვა. ჭიპი დაფრთხა, საჩქაროდ წყალი მოარბენინა და გონმიხდილი ქალი ძლივს დაამშვიდა.

ასე მოიშორა კვაშმა „ხუმრობით აკიდებული“ ქალი. მაგრამ ორიოდე კვირის შემდეგ სტუდენტების სათვისტომოში გამოუცხადა მას, სიდორიოვის ქალმა შენზე საჩივარი შემოიტანაო. კვაში ჯერ ჩაფიქრდა, მერმე იკითხა:

— საქმე სასამართლოდ გაირჩევა?
— რა თქმა უნდა.
— თანახმა ვარ.
სადამოზე კვაჭი ბესოს მოელაპარაკა.
— აჰ, მაგას არ იზმენ არც ჭიპი, არც სედრაკა და არც გაიო.
— არ იზმენ რას მიქვიან! მაშ რის მეგობრები არიან, თუ გაჭირვებაში არ გამომადგებიან? თუ არიდნენ, მე მითხარი და მერმე მე თვითონვე ვიცი... წადი, სამივეს ყველაფერი აუხსენი და დაარიგე.
იმ დღეს ქართულ სათვისტომოში საამხანაგო სამართალი იყო გამართული. სიდოროვის ქალი არეულ-დარეულად უამბობდა ამხანაგებს თავის ამბავს და თან სირცხვილისგან წითლდებოდა, ფითრდებოდა და მორძიკობდა: კვაჭმა ამიყოლა, თავი მომაწონა, თავი შემაყვარა, შერთვის ფიცი მომცა და გამაბრიყვა.
და ბოლოს, კვაჭის ხვალინდელი შვილის დედა და გუშინდელი გასართობი, გულჩვილი ბავშვივით ატირდა.
— ამხანაგო კვაჭანტირაძე რას იტყვით?
— ყველაფერი მართალია, მხოლოდ ერთი შესწორება უნდა შევიტანო. მე არ ვიცი, ჩემია ეგ ბავშვი, თუ...
— როგორ თუ არ იცით! თუ ერთად სცხოვრობდით...
— მეძნელება თქმა, ძალიან მეძნელება, მაგრამ რაკი ამ ქალს თვითონ არ შერცხვა და ეს ამბავი ხალხში გამოიტანა, მეც იძულებული ვარ ყველაფერი ვთქვა.
— გვიამბეთ.
— საქმე ისე გახლავთ, რომ მაგ ქალს სხვებიც ჰყავდა...
ვერა გაფითრდა და წამოიჭრა:
— რაო, რა სთქვა?.. სხვებიც ჰყავდაო? ვინ? ვინ სხვები?
— დამაცადეთ, ქალბატონო, მოგახსენებთ. ჯერ მიბრძანეთ, იცნობთ თუ არა ჭიპი ჭიპუნტირაძეს და სედრაკ ავლაბრიანს?
— ვიცნობ... თქვენ თვითონ გამაცანით... თქვენთან ხშირად დადიოდნენ. მერე, რა გნებავთ?
— მერმე ის მნებავს, ქალბატონო, რომ ეს ვაჟბატონები უფრო ხშირად თქვენთან დადიოდნენ, ვიდრე ჩემთან. თქვენც მათთან მიბრძანდებოდით. ეხლა მე გავჩუმდები. ამხანაგო

თავმჯდომარე, დანარჩენი თქვენვე ჰკითხეთ ჩემს მოწმეებს.

— ჰამე? — ჩვენება მისცა ბედნიაკამ: — როგორ არა, მეც მივდიოდი, ეგეც მიდიოდა... ჰამე? მორცხვილია ამას თქმა, მაგრამ პირშავი ვერ გამოვალ და სიმართლე უნდა მოგახსენოთ... ჰამე? დიახ მოხდა, ყველაფერი მოხდა, რაღა!.. როდის? ბარემ რვა თვეც იქნება... საბუთი? ვაა, ხელწერილს ხომ არ გამოვართმევდი, თქვე დალოცვილებო!.. ნიშანს მოგახსენებთ: ამ ქალს აი ამ ალაგას მიხაკის ფერი დიდი ხალი აქვს. თუ გნებავთ, გაშინჯეთ...

ეგრევე განიმეორა ჭიპი-ჭიპუნტერაძემაც დინჯად, მტკიცედ და მოურიდებლივ.

სიდოროვის ქალი გაქვავდა. მერმე აცახცახდა, პაწია მუშტები დაუშინა მაგიდას და თან იხრჩობოდა და გაჰკიოდა:

— ტყუილია! ტყუილია!

შემდეგ კივილი და სიცილი ერთმანეთში აურია. სული შეუგუბდა, წაბარბაცდა და თავის დობილის ხელებზე მიესვენა. საქმე გათავდა. გამარჯვებული კვაჭი ერთგულ მეგობართა თანხლებით ჩვენებურ დუქნისკენ გაემართა.

აქა ამბავი კვაჭის გაკოტრებისა და ბზის კივზისა

კვაჭის გაუჭირდა, მეტისმეტად გაუჭირდა: ფული გამოელია.

ფულის გამოლევას ტოლ-ამხანაგებში ჩამორჩენა და გავლენის შემცირება მოჰყვა. მეგობრები წინანდელივით აღარ ელაქუცებოდნენ. ქალებიც შემოეფანტნენ. ჩანისიავებაც გაძნელდა. თერძი, მეჩექმე და მრეცხავი წუწუნებდნენ, მეეტლეც საჩივრით იმუქრებოდა, და უფულო კვაჭი უწყლო თევზივით ეგდო ნაპირზე და სულს ჰლაფავდა.

ბოლოს თავის გაჭირვება სილიბისტროს შეატყობინა. პასუხად ქუთაისიდან მხოლოდ თვრამეტი მანეთი და ამდენივე თაბახი დარიგება და საყვედური მიიღო.

ისევ სედრაკა მიეშველა.

— ვააა, გაგიჭირდაა? გინდა ფული მოგაგებინოო? მაშ ყური მიგდე და ყველაფერი დამიჯერე. ნადინკა არშელაძე და ვერიჩკა კალოშვილი შენი კარგი ნაცნობები არიან, არაა? ერთ

კარგ ვახშამზე დამიპატიჟე. ჰამ იქეიფებ, ჰამ ხუთ თუმანსაც გაიკრამ... ჰამე? დანარჩენი მე ვიცი.

მეორე დღეს ერთი ბერძენი, სედრაკა, კვაჭი და ორი ქალიშვილი „ოლიმპიის" მიყრუებულ კაბინეტში ვახშმობდნენ.

შუაღამეს რომ გადასცდა და მევახშმენიც რომ კარგად შეზარხოშდნენ სედრაკამ კვაჭს თვალი უყო და ფეხი ფეხში წაჰკრა. კვაჭი კაბინეტიდან შეუმჩნევლად გაიპარა, ქუდი დაიხურა და შინისკენ გასწია.

კარგად რომ გათენდა, ნადინკა და ვერიჩკა „ოლიმპიის" უკანა კარებიდან გამოვიდნენ და მიყრუებულ ქუჩებით თავთავიანთ ოთახებში დაბრუნდნენ.

— იმ ღამეს ძალიან ავად გავხდი, კიდამ გული წამივიდა და ამიტომ წამოვედი, — უთხრა კვაჭმა ორივე ქალს, როცა შემთხვევით შეხვდა ქუჩაში.

აჭარხლებულმა ნადიამ პირი მიიბრუნა და წაილუღლუღა:

— ჩვენც მაშინვე წამოვედით... ათი წუთიც აღარ დავრჩენილვართ... უშენოდ იმ უცხო ხალხში დარჩენა არ გვინდოდა.

კვაჭმა ხუთი თუმნით ოდნავ ამოისუნთქა, მაგრამ ისევ მალე ჩაიძირა.

სილიბისტროს შვილი „ევროპის" სასტუმროში სადილობდა. ერთხელ, სადილი რომ გაათავა, ჯიბეში მარდად ჩაიცურა ვერცხლის კოვზი და წამოვიდა. ეს ამბავი მეორე და მესამე დღესაც განმეორდა. რესტორატორმა მოთმინება დაჰკარგა: ყველა ლაქიებს თავი მოუყარა და გადაჭრით განუცხადა:

— ყოველ დღე თითო ვერცხლის კოვზი იკარგება. ჩემს რესტორანს ჯერ ასეთი სირცხვილი არ უნახავს. ან თქვენშია ქურდი, ან მუშტრებში. თუ სამ დღეში ქურდი არ გიპოვნიათ, ყველას დაგითხოვთ. წადით და ეძებეთ.

და დანაკარგი ლაქიებს გამოუბარა.

იმ დღიდან ლაქიები თავიანთ მუშტარს ერთი წუთითაც არ აშორებდნენ თვალს, კვაჭსაც სწორედ ეს უნდოდა.

ამ დღეს კვაჭი მეტისმეტად გათამამდა: სადილი რომ გაათავა, ვერცხლის კოვზს ხელი დაადო და ლაქიის თვალწინ უბის ჯიბეში ჩაიგდო. ლაქია გაოცდა და, გახარებული, რეს-

ტორნის პატრონთან გაიქცა. კვაჭმა დრო იხელთა და ის კოვზი ჩუმად ბესო შიქიას გადასცა და გადაჰკრა:

— ეხლა მიყურე, იმ დურაკის თავზე რა ამბავი დავატრიალო! ჩქარა გაიტანე ეგ კოვზი და სადმე გადამალე.

რესტორანის პატრონმა ერთი მსახური პოლიციელის დასაძახებლად გაჰგზავნა, თვითონ კი მოწიწებით მივიდა კვაჭთან და ღიმილით სთხოვა:

— პატარა სათხოვარი მაქვს და გთხოვთ ერთი წუთით მეწვიოთ კაბინეტში.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა პოლიციელიც შევიდა კაბინეტში, რესტორანის პატრონი კვაჭს დათვივით დაეძგერა:

— ქურდო! ავაზაკო! კოვზების ქურდო! ჯიბგირო! მოიტა ჩემი კოვზები! ეხლავე გაჩხრიკეთ ეს არამზადა! ათი კოვზი მომპარა... ეხლაც აი, ამ ჯიბეში უდევს ერთი კოვზი.

კვაჭმა ლანძღვა-გინების შადრევანი მოთმინებით მოისმინა და პოლიციელს მიუბრუნდა:

— გამჩხრიკეთ, თანახმა ვარ, მაგრამ...

პოლიციელმა ბოდიში მოიხადა, გაჩხრიკა და კვაჭს მარცხენა ჯიბიდან ბზის კოვზი ამოაცალა.

— ეს არის თქვენი კოვზი?

ყველანი პირდაღებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. კვაჭი არხეინად ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და დინჯად მიუბრუნდა პოლიციელს:

— გთხოვთ ეხლავე ოქმი შეადგინოთ. თქვენ კი, — მიუბრუნდა რესტორანის პატრონს, — ცილისწამებისთვის ექვსი თვით ჩაგსვამთ საპყრობილეში.

რესტორანის პატრონმა თმებში ხელი წაივლო და ამოიკვნესა:

— დამიჭირა ამ არამზადამ, დამიჭირა.

— გთხოვთ ეს სიტყვებიც ოქმში შეიტანოთ! — მიუბრუნდა კვაჭი პოლიციელს.

პოლიციელი უკვე სწერდა.

— რის ოქმი! რომელი ოქმი! — წამოიძახა რესტორანის პატრონმა და ლაქიებს მიუბრუნდა: — გაეთრიეთ აქედან, თქვე ბედოვლათებო, თქვენა! — და როცა ყველანი გაიკრიფნენ, პოლიციელს დანაწერი გამოჰგლიჯა, დახია და მორჩილებით

სთქვა: — ქაღალდს ნუ აფუჭებთ. აბა, მოკლედ მოსჭერით, რამდენს თხოულობთ?

კვაჭმაც მოკლედ მოუჭრა:

— სამი ათასი.

და დაიწყო ბაზრული ვაჭრობა და კინკლაობა. რესტორანის პატრონმა ოცი თუმნიდან დაიწყო და ას თუმანზე გაჩერდა. ბოლოს დიდი დავიდარაბის შემდეგ ბესოს დახმარებით ათას ხუთას მანეთზე ძლივს გაათავეს.

კვაჭმა ეს ფული წამოიღო, მაგიდაზე დაჰყარა და სთქვა:

— აი ოხრად ნაშოვნი ფული. ერთმა ბზის კოვზმა და კვაჭის ჭკუამ ათას ხუთასი მანეთი მოიგეს. ძალიან შეჭირდა, თორემ სამი ათასსაც ისე ადვილად ავიღებდი, როგორც სამ მანეთს.

ბესომ დამშეულ ამხანაგებს დაწვრილებით უამბო ბზის კოვზის ამბავი. ასტყდა ქრიამული და კიჟინი, ბელადის განდიდება და წაბაძვის ხურუში. მერმე ერთმანეთს ეცნენ და აყაყანდნენ. ავლაბრიანმა არუთინას ვალი და სარგებელი მოითხოვა, ჩიკინჯილაძემ — ასი მანეთი, ჭიპუნტირაძემ — ორასი. იანგარიშეს და გაინაწილეს.

ბესო შიქიამ ძლივს გადაარჩინა ხუთასი მანეთი, რომელსაც ორ კვირაში გამოსჭრეს ყელი.

მცირე ხნის შემდეგ კვაჭმა ისევ ენა გადმოიგდო.

ისევ სედრაკა მიეშველა: ერთი დასტა ახალი ფული მოუტანა, თან ჰკანკალებდა და თვალებს აბრიალებდა:

— ჰა, კნიაზჯან, ფრთხილად, თორემ დაიღუპები და მეც დამღუპავ. დიდ მაღაზიაში ან კარგ რესტორანში არ დაახურდავო. წვრილფეხა ვაჭრებში იარე, ხან „სემიჩკა“ იყიდე, ხან პაპიროსი, ხან ფაეტონით გაისეირნე. მეოთხედი შენია. ჰა, ფრთხილად იყავი, თორემ...

კვაჭმა ის ფული ორ დღეში დაახურდავა, მაგრამ კინაღამ დაიღუპა: ორ ალაგას ფული დაუბრუნეს. სედრაკა დაფრთხა:

— აკი გითხარი, კარგ ალაგას ნუ შეხვალ-მეთქი. შენ-კი თავი ვერ შეიმაგრე და ფანკონის ყავახანაში მიაჩეჩე ეგ ფული. მორჩა მეტი აღარ არის. ჰამე? აღარ არის-მეთქი, გათავდა!

კვაჭი ისევ წელში გასწორდა, მაგრამ მალე ისევ მოიღუნა.

— სეიდრაკ, მიშველე!

— ჰამე? მაშ გიშველო? გიშველი. ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო. მაგრამ იცი რას გეტყვი, კნიაზჯან? სახიფათო საქმე ფათერაკით თავდება. მოდი ერთი სუფთა ხელობას მოჰკიდე ხელი. ჭკუიანი და მოხერხებული კაცი ხარ. მაკლერობა ზედგამოჭრილია შენზე. ერთი საქმე მაქვს და ყური მიგდე...

აქა ამბავი კვაჭის აგენტობისა

ორიოდე დღის შემდეგ კვაჭი ოჯახიდან ოჯახში და მაღაზიიდან მაღაზიაში დადიოდა. მეტს ყბედობისაგან ყბები ასტკივდა, ენა დაება და თავი გაუბრუვდა. კვაჭი მაისის დამდეგს „ჰელიოსის" ახალ სისტემის ფეჩებს ჰყიდდა. საქონელს აქებდა, ჰბეჭავდა, აზვიადებდა და მყიდველს თერმოქიმიის ლექციებს უკითხავდა.

— მომითმინეთ, ყური მიგდეთ... აქ ნავთს ჩაასხამთ... ამას აუწევთ... ამას დაუწევთ.... ეს თერმოსკოპი გახლავთ... დღეში ნახევარი გირვანქა ნავთი ხუთ ოთახს გაათბობს... იანგარიშეთ ეკონომია...

— არ გვინდა! ბატონო, ხუთივე ოთახში მშვენიერი ბუხრები მაქვს... რა დროს ფეჩია მაისში!.. არა მცალიან!

— მოითმინეთ! ხუთი წუთიც მაჩუქეთ... იანგარიშეთ ეკონომია...

კვაჭის ანგარიშით საჭირო იყო მხოლოდ ფეჩის ყიდვა, რაც თითქმის უფასოდ, ხოლო მისი გამოყენება და ხუთი ოთახის გათბობა წლიურად რაღაც ორიოდე მანეთი ღირებოდა.

ერთ კვირაში ათიოდე ფეჩი მაინც გაჰყიდა.

ბოლოს ვინმე ჰოფშტეინს ეწვია. ერთმანეთს შეებნენ და შეეტაკნენ. ჰოფშტეინი ცივად დაუხვდა, მტკიცე უარზე დადგა, ქუდიც კი აიღო, ვითომ წასასვლელად ემზადებოდა და ბოლოს ყვირილიც კი მორთო:

— არ მინდა! არ მინდა-მეთქი!

კვაჭიც გაკერპდა. არც ჰოფშტეინის ქუდსა ჰხედავდა, არც მისი მოუთმენლობა ესმოდა და თითქოს ამბობდა: უნდა იყიდო ეს ფეჩი, მორჩა და გათავდა! სანამ არ მოგყიდი, აქედან

არ გავალო. დაუპატიჟებლად დაჯდა და მტკიცედ მოიკალათა.

ჰოფშტეინი მეორე ოთახში გასხლტა. კვაჭიც გაჰყვა.

ჰოფშტეინი გაზეთის კითხვას შეუდგა. კვაჭი მოთმინებით უცდიდა. ბოლოს, ჰოფშტეინი დაიღალა, მოლბა, გატყდა და —

— რამდენი გერგებათ? — მორჩილებით ჰკითხა.

— 17 მანეთი და 25 კაპიკი.

— ინებეთ, ოღონდ თავი დამანებეთ.

— აი, კვიტანცია. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ჰოფშტეინი კვაჭს კიბეზე დაეწია:

— მოითმინეთ... ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი. მობრძანდით... დაბრძანდით... ეხლა თქვენ მიგდეთ ყური. აი, ეს წიგნი აი, ამ კატას უფრო გამოადგება ვიდრე მე ეგ ფეჩი. ნუ გამომიგზავნით. თქვენვე დაიდგით, ან გაჰყიდეთ, ან გადააგდეთ, ან ღარიბს აჩუქეთ. ასეთი უვარგისი და ყოვლად გამოუსადეგარი ნივთი ჯერ არავის არ მოუყიდია ჩემთვის. ქება და პატივი თქვენს სიმტკიცეს, ჯიბსა და უნარს! თქვენ აგენტობის შნო და ნიჭი უნდა გქონდეთ. გესმით რამე დაზღვევის საქმისა? არა?.. არც საჭიროა. ერთი საათის შემდეგ ყველაფერი გეცოდინებათ. მაშ, კარგად დამიგდეთ ყური. მე დაზღვევის ინსპექტორი გახლავართ. „სალამანდრას" საზოგადოებაში ვმსახურობ. უდიდესი და უმდიდრესი კომპანია გახლავთ მთელს რუსეთში... ასი მილიონი ძირითადი თანხა... 10 მილიონი სუფთა მოგება... აქციის ნომინალური ფასი — ასი მანეთი, საბირჟო კურსი დღეს — 341 მ. აი, ჩაიხედეთ დღევანდელ გაზეთში... „სალამანდრა" იყიდის და გაჰყიდის „რუსეთს", „ლუზას", „ჩრდილოეთის საზოგადოებას", „ვოლგას" და „მოსკოვს"... თქვენ დაგნიშნავთ სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევათა დაზღვევის აგენტად... ჯამაგირი? არაფერი. საკომისიოდ იმუშავებთ... ზოგი აგენტი თვეში ორი ათას მანეთს აკეთებს... დიაღ, ორი ათას-მეთქი! ეხლა აგიხსნით დაზღვევის წესს, კანონებსა და ტეხნიკას.

იმ დღეს კი კვაჭმა ჰოფშტეინთან ისადილა, მერმე ერთი გაკვეთილი კიდევ მიიღო და საღამოზე ტარიფებით, პლაკატებითა და ცხრილებით დატვირთული დაბრუნდა.

სახლის პატრონი მეზღვაური კულიდისი შინ დაუხვდა.

— როგორ? აქამდის არა ხართ დაზღვეული? მეზღვაური და დაუზღვეველი! ყოველ დღეს დახჩობის ხიფათი დაგტრიალებს, ან ავადმყოფობა გადაგიტანთ, ან სიბერე... მერმე რას უპირებთ თქვენს ქვრივსა და ობლებს? რა პირით შეჰხვდებით ერთმანეთს საიქიოს?.. რაო, სიკვდილს არ აპირებთ? კეთილი და პატიოსანი. თუ ოცი ან თხუთმეტი წელიწადი იცხოვრეთ, თქვენს ფულს უკანვე მიიღებთ სარგებლით. დაზღვევა ერთადერთი საშუალებაა ფულის გადიდებისა და დაგროვებისა. მოკვდებით თუ იცოცხლებთ, მაინც მოგებაში იქნებით ...რაო, ათჯერ გირჩიეს და მაინც ვერ დაგითანხმეს? სიკვდილისა გეშინიანთ? უფრო კარგი, არხეინად მაინც მოკვდებით, ცოლშვილს სამათხოვროდ არ გაუხდით საქმეს... მაინც გეშინიანთ?! სისულელეა! წელიწადში ხუთასი მანეთის გადახდა გაგიჭირდებათ?! ტყუილია! თქვენ სხვებს ნუ შესცქერით, პირიქით, თქვენ უნდა მისცეთ სხვებს მაგალითი... მცირე ცნობა ინებეთ: ამერიკაში დაზღვეულია მოსახლეობის 99,7%; ინგლისში — 97,9% გერმანიაში — 94,3%, ხოლო რუსეთში — 0,01%. აი როგორ ჩამოვრჩით კულტურულ ქვეყნებს! აი ესეც ერთი ნიმუში ჩვენი გაუნათლებლობის და უკულტურობისა! არა, ბატონო ჩემო, მე თქვენს ოჯახს კეთილ ანგელოზად მოვევლინე და სანამ არ ჩაგწერთ, არ მოგეშვებით. გეჩქარებათ? ეგ არაფერია, არ დაგიგვიანდებათ... ფული არა გაქვთ? არა უშავს რა, ასი მანეთი მეყოფა, დანარჩენი კი მერმე იყოს, როცა პოლისს გამოგზავნიან პეტერბურგიდან, მაშინ მომცემთ. ექიმები? ხვალვე გაგშინჯავენ. აი ვწერ... თქვენი სახელი?.. გვარი?.. როდის დაიბადეთ?.. დაზღვეული იქნებით ათი ათას მანეთად... აი ქვითარიც. აქ მოაწერეთ ხელი... ეხლა ასი მანეთი მიბოძეთ... მადლობელი გახლავართ... ეხლა მიბრძანდით... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

კვაჭმა ნახევარ საათში „გაამასქნა" კულიდისი, რომელსაც სხვა აგენტები ათ წელიწადს დასდევდნენ.

კულიდისმა კვაჭი ივანოვთან გაჰგზავნა, ივანოვმა — პეტროვთან, პეტროვმა — პავლოვთან, პავლოვმა კი — სმირნოვთან.

— როგორ? აქამდე დაზღვეული არა ბრძანდებით? საკვირველია!.. საოცარია!.. აი კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი ჩა-

მორჩენისა!.. ამერიკაში დაზღვეულია 89,7%, ინგლისში — 81,3% საფრანგეთში — 79,4%, ხოლო რუსეთში — 000,7%....

დაიჟინებდა, ჩააცივდებოდა, სდევნიდა, დაჰქანცავდა და იქამდე არ მოასვენებდა თვალში ამოღებულ მსხვერპლს, სანამ არ ჩასწერდა და არ გააბამდა.

კვაჭი დატრიალდა, დაფაცურდა. დილიდან საღამომდე დარბოდა, ერთსა და იმავეს ჰყბედობდა, დაზეპირებულს ამეორებდა, ტყუილსაც მრავალს უმატებდა. ზოგს სიკვდილით აშინებდა, ზოგს ფულის მოგროვებას ახარბებდა. განცხადებებს და ქვითრებს სწერდა, ფულებს აგროვებდა, კლიენტებს პოლისებს აბარებდა და გზადაგზა თავის მოქიშპე აგენტებს და ფირმებს ლანძღავდა:

— „რუსეთის" საზოგადოება? დღეს თუ ხვალ დაიღუპება. „ვოლგა"? უკვე გაკოტრდა... „მოსკოვი"? დაზღვეულებს ფულს არ აძლევს. აგენტი კარპოვი? ჯიბგირია! კაცმანი? თაღლითია! სიხოვიჩი? მფლანგველია!.. არ ენდოთ! მოერიდეთ!! დამიჯერეთ, თორემ ინანებთ!

ყველგან გაშინაურდა და ყველას დაუნათესავდა.

— ა-ა-ა, ქნიაზ ნაპოლეონ აპოლონიჩს ვახლავართ! როგორ გიკითხოთ? როგორ ბრძანდებით? გვეწვიეთ, ქნიაზ, გვეწვიეთ.

და კვაჭიც ხან პეტრეს დასდებდა პატივს, ხან პავლეს; ხან ივანესთან ნადირობდა, ხან სიდორთან ვახშმობდა, ხან კუზმასთან ქეიფობდა და ორიოდე თვეში ისევ გასუქდა, გამოკეთდა და გადიდკაცდა.

ათიოდე სუბაგენტი გაიჩინა, ხელახლა თვითონ დაიქირავა ეტლი, სედრაკას ვალი დაუბრუნა და დანარჩენი ამხანაგებიც მუშაობაში ჩააბა.

მაგრამ კვაჭს მაინც ერთი სატკივარი ჰქონდა, ერთი აზრი აწუხებდა, ერთი საზრუნავი ღრღნიდა: ზედმეტი ფული მაინც არა ჰქონდა.

რასაც შოულობდა, დიდი შრომითა და ჯაფით იყო ნაშოვნი. გუშინ აღებული დღესვე ეხარჯებოდა, ხოლო ხვალ, ზეგ და მაზეგაც ისევ საჭირო იყო სირბილი, ახალი მუშტრის შოვნა, ახალი ყბედობა, დაჯერება და — ერთის სიტყვით — ყოველდღიური ზრუნვა, ვარჯა, მუშაობა, ოფლის დღვრა, შრომა და ბეჯითობა.

კვაჭი კი სულ სხვანაირ ცხოვრებაზე ოცნებობდა, ამ სოფლისგან მეტს მოითხოვდა: თავისუფლებას, ნებივრობას და განცხრომას მოელოდა. ხოლო ერთიც, მეორეც და მეხუთეც მხოლოდ ფულით, — ეს კვაჭიმ ძალიან კარგად იცოდა, — დიდძალ და უთვალავ ფულით იშოვებოდა, რომელიც ბანკში უნდა ინახებოდეს, კვაჭი კი მხოლოდ ჩეკებს უნდა სწერდეს და მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდეს. ამდენი ფული კვაჭს არა ჰქონდა და მისი საზრუნავი და სადარდელი სწორედ ეს იყო.

— რატომ თქვენ თვითონ არ ჩაეწერებით? — ჰკითხა ერთხელ კვაჭს ჰოფშტეინმა.

იმავე დღეს კვაჭმაც ჰკითხა თავის თავს:

— მართლა, რატომ არა ვარ ჩაწერილი? რატომ სილიბისტროს არ ჩავწერე?

და იმ დღიდან კვაჭს ტვინი აუდუღდა.

ხმა ამბავი სიცოცხლისა და სახლის დაზღვევისა

კვაჭი წინანდებურად დაძვრება და დარბის, დარბის და ჰფიქრობს, ჰფიქრობს და ზომავს, სწონავს, აფასებს და ანგარიშობს, იანგარიშა და დასწერა:

„ჩემო ძვირფასო მამა,
ჩემო კეთილო სილიბისტრო!

ეს დაბეჭდილი ბლანკი, წერილთან ერთად რომ გიგზავნი, სისწორით გაავსე, კოლია ცალიქაძეს დააწერინე. ათი ათას მანეთად უნდა „დაგსტრახო". მიზეზს ნუ მკითხავ, მალე გნახავ და ყოველისფერს გეტყვი. ქუთაისში „სალამანდრას" აგენტი ვალოდია შარიძე ცხოვრობს. მიდი მასთან და დანარჩენს იგი გაგიკეთებს. უთხარი, რომ კვაჭიც აგენტია-თქვა, ამიტომ საკომისიო არაფერი არ მისცე. გიგზავნი სამას მანეთს. ასი აგენტს მიეცი, ასი შენ მოიხმარე და დანარჩენიც მაშინ მიეცი, როცა პეტერბურგიდან პოლისი მოგივა. პოლისი რომ ჩაიბარო, დეპეშა მომეცი, პოლისი მოვიდა-თქვა. მერმე მეც ჩამოვალ და ყველაფერს გავარიმასქნებ. არაფერი არ არის და

ისე მოიქეცი, როგორც გწერ. გარდა ამისა, საჩქაროდ დაე-ტრახე „მოსკოვის საზოგადოებაში“ ჩვენი სახლები ძალიან დიდ ფასად. ჩემი დარიგება არ გინდა, ვიცი, რომ მოახერხებ, აგენტს გაამასქნეფ.

მე კარგად ვარ, ჩემი დარდი ნუ გექნება. მეწყინა ტვიჩიას სიკვდილი. ძალიან გამეხარდა, რომ შენ ძლივს მიიღე პრაპორჩიკობა*. მეტის ღირსი იყავი, მაგრამ არა უშავს რაა, დანარჩენი მერმე იყოს. ცოტა ვალი გამომყვა ერემოსი, ლაითაძესი და დანიელა ურიასი. ყველანი მომიკითხე და უთხარი, რომ კვაჭი მალე ჩამოვა და ვალს მოგცემთ-თქვა. აბა შენ იცი, არაფერი არიო.

ცხარე ცრემლით ვტირი, რომ მე აქამდე ვერ ვნახე ჩემი საყვარელი პუპი, ხუხუ და ნოტიო. გკოცნით ყველას. ვინ იცის, თუ ბედი მაქვს, შეიძლება მაგ ჭუჭყიან ქუთაისიდან ტფილისში გადაგასახლოთ. ღმერთი ილოცეთ და დაგვეხმარება.

შენი შვილი კ ვ ა ჭ ი.

P. S შემატყობინე, ცოცხალია თუ არა ვოლკოვის დედაკაცი, სახლი რომ მოგვყიდა. ორი კურსი გავათავე, და კიდევ ორი დამრჩა. არავის არ უთხრა ჩემი ჩამოსვლა.

შენი კ ვ ა ჭ ი“.

იმავ ხანებში კვაჭმა ჰოფშტეინს განცხადება წარუდგინა „სალამანდრას“ სახელზე შესახებ იმისა, რომ მას, კვაჭს, ჰსურდა თავი დაეზღვია უბედურ შემთხვევისაგან ოცი ათას მანეთად.

— სიცოცხლის დაზღვევას არ აპირობთ?

— მეშინიან... არ მინდა, ჯერ ახალგაზრდა ვარ. უბედური შემთხვევა კი შესაძლოა მეც დამემართოს... ბევრს დავდივარ და იქნება ვაგონი დამეჯახოს, ან ეტლმა გადამიაროს, ან სახლს აგური მოსწყდეს და დამეცეს.

ორი კვირის შემდეგ პოლისი ჩაიბარა და მერმე ქუთაისიდან დეპეშაც მიიღო. ეწერა: „პოლისი მივიღე. სილიბისტრო“.

---

* თუ თავადი ან აზნაური სამსახურში არ იყო და მთავრობის ყურადღებას დაიმსახურებდა, მას „პრაპორშჩიკობას“ მისცემდნენ და ნება ეძლეოდა სახეპურები ეტარებინა.

გავიდა რამდენიმე დღე და კვაჭმა მოულოდნელად განუცხადა თავის ამხანაგებს: მამაჩემი სილიბისტრო ავად გამხდარა და ხვალ ქუთაისში მივდივარო.

კვაჭი და ბესო საჩქაროდ ავიდნენ გემზე და მეხუთე დღეს მოულოდნელად შევიდნენ კვაჭის საკუთარ სახლში, სადაც კვაჭმა უკანასკნელი გიმნაზიური წელიწადი გაატარა და რომელიც კვაჭის ბიძამ ხუხუ ჩიჩიამ და სილიბისტრომ „ნეტად ძვირად იყიდეს".

სილიბისტროს ოჯახში ერიამული, მხიარული წივილ-კივილი, კოცნა, ხვევნა და ლხინი ატყდა. კვაჭის დედას პუპის მოულოდნელ სიხარულისგან კინაღამ გული შეუღონდა, დაბერებული ხუხუ და ნოტიო ატირდნენ, ხოლო სილიბისტრო იღიმებოდა და იბღინძებოდა, ვინაიდან მის მოსრულ მხარ-ბეჭს „პრაპორჩიკის" ბრჭყვრიალა ეპოლეტები ამშვენებდა.

ერთმანეთი რომ მოიკითხეს და გულის პირველი ფრიალი დაიმშვიდეს, კვაჭი, ბესო და სილიბისტრო კაბინეტში ჩაიკეტნენ. დიდხანს იჩურჩულეს, იბაასეს და იფიქრეს.

ის საქმე სამ დღეს ზომეს, სწონეს და იანგარიშეს. კვაჭმა სილიბისტროს სიცოცხლისა და მისი სახლის დაზღვევის პოლისები დაიზეპირა. მას ფრიად ეამა და ესიამოვნა, რომ ოთხი ათასიანი სახლი სილიბისტრომ ათი ათას მანეთად დააზღვია,

მეოთხე დღეს სილიბისტრო ლოგინიდან ვეღარ ადგა. წინგსნეულობას იტკიებდა, ჰკვნესოდა და ჩიოდა.

კიდევ ორი კვირა გავიდა. ექიმებმა სილიბისტროს ხან მალარია აღმოუჩინეს, ხან კუჭის ანთება, ხან დიაბეტი და ხან კიბო.

— აჰ, ქუთაისელ ექიმს რავა ღეეჯერება რამე? — ამბობდნენ სილიბისტრო და მისი ოჯახის წევრები: — მადლობა ღმერთს, კვაჭი ჩამოგვესწრო და ან ოდესაში წეიყვანს, ავადმყოფს და ან ტფილისში

კვაჭმა და ბესომ იმ ხანებში ერთხელ კიდევ გადაატრიალეს ქუთაისი, ერთხელ კიდევ მოიგიჟიანეს თავი, გაიხსენეს გაბერილი ერემო, ლაითაძე, დანიელა ურია და არც შოლია და არც მისი ერთგული მეუღლე ცვირია დაივიწყეს.

თვითონ შოლია კვაჭს შინ არ დაუხვდა, რაიც კვაჭის არა სწყენია, ხოლო ცვირი ამის გამო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ერთხელ კიდევ გაიხსენეს და მოიგონეს ცვირმა და კვაჭ-

მა უწინდელი დროება და ერთხელ კიდევ იგემეს დახავსებული და დაობლებული სიყვარულის ნაფხეკი.

არც ბესომ დაივიწყა ცვირი და იმანაც გაახსენა თავისს უწინდელ დიასახლისს წარსულნი დრონი საამურნი და სასარგებლონი.

ვოლკოვის ქვრივმა რომ კვაჭის ჩამოსვლა გაიგო, თავისს ბნელსა და ნესტიან ოთახში ჩაიკეტა და ლოცვა-მარხვაში გაატარა ის დრო, სანამ კვაჭი ქუთაისში ქეიფობდა. ისე ეროდებოდა და ეკრძალებოდა კვაჭს, თითქოს მას, უკვე გამოჩერჩეტებულ დედაკაცს მოეტყუებინოს, გაექურდოს და ხელცარიელი დაეტოვებინოს კვაჭუნი.

ბოლოს კვაჭმა დასუსტებული და მიბნედილი სილიბისტრო თბილად შეახვია და ტფილისში წაიყვანა.

იქ დიდუბეში ერთი მიყრუებული სამოთახიანი სახლი დაიქირავეს და მეორე დღიდანვე საქმეს შეუდგნენ.

კვაჭი ცხვირს ათამაშებდა, თვალებს აბეცებდა, ჰაერს ჰყნავდა, დარბოდა, ცნობებს აგროვებდა, რაღაცას ეძებდა და ბოლოს იპოვნა, ნაძებარს მიჰყვა და მიაგნო.

ერთ დღეს კვაჭი ოთხმოცი წლის რუსს ეწვია...

— ამ სახლის პატრონი თქვენა ბრძანდებით?

— დიაღ, მე გახლავართ.

— თქვენთან სცხოვრობს ოვანეს შაბურიანცი?

— ჩემი მეეზოვე გახლავსთ. ძალიან ავად არის.

— ავად არის? რა დაემართა?

— აგერ ორი კვირა იქნება, რაც დამბლად არის დაცემული. მარჯვენა ხელ-ფეხი და ენა აქვს წართმეული.

— ღმერთო ჩემო, რატომ აქამდე ვერ გავიგე?! იქნება მეშველნა რამე. ნუ გიკვირთ, ძველი მეგობრები ვართ ერთხელ დიდ წყალში ვიხრჩობოდი. ოვანესა მომეშველა და ამომიყვანა... სიკვდილს გადამარჩინა... კინაღამ თვითონაც დაიღუპა... მერმე ერთმანეთი დავკარგეთ. მხოლოდ ეხლა ჩამოვედი რუსეთიდან და შემთხვევით გავიგე, რომ ოვანესა თქვენთან ყოფილა.

— ღვთისნიერ საქმეს ჩაიდენთ თუ როგორმე მოუვლით. მთელ ქვეყანაზე არც ნათესავი ჰყავს, არც პატრონი, არც მომვლელი. ოსმალეთიდან არის გადმოხვეწილი.

— ვიცი, ვიცი, ვანელი სომეხია... ცოლ-შვილი ოსმალებ-

მა დაუხოცეს... ღმერთო ჩემო, ეს რა მომივიდა! როგორ დავიგვიანე! თუ ღმერთი გწამთ, ის უბედური მაჩვენეთ.

— წამობრძანდით. მე თვითონაც მოსავლელი ვარ და არ ვიცი, რა ვუყო და როგორ მოვუარო. დღეს ვაპირებდი საავადმყოფოში წასვლას და თხოვნას, იქნება მივაღებინო-მეთქი...

— არა, მაგას ნუ იზამთ. მე თვითონვე ვუპატრონებ.

ბნელს, ნესტიანსა და ჭუჭყიან სარდაფში თავთ წაადგნენ მწირალ ძონძებში გახვეულს უძრავ გვამს.

— ბარი ლუსტი, ოვანეს! როგორა ხარ? მიცანი, განა! აი მოვედი... ძლივს გიპოვე... ერთხელ შენ დამიხსენი სიკვდილისგან, ეხლა კი ჩემი ჯერია... აბა, უნდა წამომყვე... ნუ გეშინიან, ორ კვირაში ფეხზე წამოგაყენებ... აბა, სად არის ამის პასპორტი და ქაღალდები? თქვენა გაქვთ? მიბოძეთ.

მუშები მოიყვანეს, გაოცებული ოვანესა ეტლში ჩასვეს და კვაჭის ბინაზე წაიყვანეს.

სამივენი გახარებული და კმაყოფილი იყვნენ — კვაჭი კვაჭანტირაძეც, მოხუცებული რესიც და ოვანეს შაბურიანციც.

იმავე დღეს კვაჭმა ექიმი მოიწვია.

— ექიმო, მიშველეთ!.. თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ!.. ეს რა უბედურება დამატყდა! რა ღვთის წყრომა დამემართა!.. — წუწუნებდა და იცრემლებოდა კვაჭი.

— დამშვიდდით, ბატონო ჩემო, დამშვიდდით და მიამბეთ, რა მოხდა, როგორ მოხდა? ვინ არის ეს ავადმყოფი?..

— მამაჩემი გახლავთ, სილიბისტრო კვაჭანტირაძე... ერთი თვე იქნება, რაც ტფილისში დავსახლდით, ჯანმრთელი ადამიანი იყო, არაფერი არ ეტყობოდა... იქნება თქვენც გახსოვთ, რომ ათიოდე დღის წინათ ბაზარში ყუმბარა გავარდა?

— როგორ არა, მახსოვს, კარგად მახსოვს,

— მე და ეს საწყალი იქ ვიყავით. ის ყუმბარა თითქმის ფეხქვეშ გაგვივარდა. როგორ გადავრჩით, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ნამდვილი სასწაული მოხდა ჩვენს თავზე. იმავ წამს ჩავსხედით ეტლში და წამოვედით. დღევანდლამდე მამაჩემი სულ ცახცახებდა. მინდოდა ექიმი მომეწვია, მაგრამ არა ჰქნა, ჩემს დღეში ექიმთან არ ვყოფილვარ და არც ეხლა მინდაო, დღეს კი უცებ ყველაფერი წაერთვა და ენაც დაება. ღმერთო, დამიხსენ ხიფათისაგან! ღმერთო, მომკალი!

— დამშვიდდით, ნუ აღელდებით. ავადმყოფს გავშინჯავ, იქნება საიმისო არაფერი სჭირდეს.

ექიმმა ავადმყოფი გაშინჯა. ივანესა გაოცებული თვალებით ათვალიერებდა ორივეს, ტუჩებს აცმაცურებდა და თანაც გუნებაში ჰფიქრობდა:

„ასტვაც ტერ-ოღორმიან! ვინ არის ეს ახალგაზრდა? რაა უნდა ჩემგან? ან ამ სახლში რად მომიყვანა?“

კვაჭს შიშისგან თითქმის გული მისდიოდა: ეგონა, საცაა ავადმყოფი ენას ამოიდგამს და ალაპარაკდებაო.

ბოლოს ექიმმა სთქვა:

— არ დაგიმალავთ, ვაჟკაცი ბრძანდებით, უნდა გაუძლოთ და მოემზადოთ. შესაძლებელია, მამათქვენი მალე გათავდეს, თუმცა შესაძლოა კიდევ დიდხანს იცოცხლოს.

ექიმის ნუგეშმა კვაჭი დააფრთხო, შეაშინა, ჯიბეში ხელი წაივლო, ამოიკვნესა და სკამზე დაეცა:

— ღმერთო ჩემო!.. ღმერთო დიდებულო!..

ექიმმა რეცეპტი დაუწერა, დარიგება მისცა და წავიდა.

იმავე დროს გარედან სილიბისტრო შემოვიდა.

— რავაა საქმე?

— ძალიან კარგად. იქნება მალე გათავდესო. ვაჟკაცი ხარ, უნდა გაუძლო და მოემზადოო.

გაიღიმეს და ჩაიცინეს.

— აფერი აჭამო, არც წამალი მისცე.

— აბა, ამისთვის დავხარჯავ ფულს! თუმცა წამლის მოტანა საჭიროა, ექიმი კიდევ მოვა... აფთიაქში მივდივარ... ხვალ შენ წაგიყვან საავადმყოფოში და თავი მოიავადმყოფე, ენა დაიბი... მოითმინე ერთი კვირა...

— კაი, კაი! წადი წამლიზა და მალე დაბრუნდი.

მეორე დღეს ტფილისის ერთ დიდ საავადმყოფოში ჩასწერეს: „ოვანეს კარაპეტას ძე შაბურიანცი... 45 წლისა... ქალაქ ვანიდან... ოსმალეთის ქვეშევრდომი... ნიშნები სიდამბლოსა“...

ორი კვირის შემდეგ ერთ ქართულ გაზეთში შავ-არშინიანი განცხადება დაიბეჭდა:

ა/წ. 27 სექტემბერს ქ. ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა

სილიბისტრო კვაჭანტირაძე

რასაც უდიდესი მწუხარებით აცხადებენ მისი ქვრივი პუპი, დაობლებული კვაჭი (ანაპოდისტე), სიმამრი ხუხუ ჩიჩია და სიდედრი ნოტიო ჩიჩიასი. ცხედრის გამოსვენება მოხდება დღეს, 12 საათზე, განსვენებულის ბინიდან (დიდუბე, საგურამოს ქ. 84).

მცირე გაუგებრობა მოხდა: სამგლოვიარო განცხადება რედაქციის დაუდევრობის გამო მხოლოდ დასაფლავების დღეს დაბეჭდეს, ხოლო რადგან ის გაზეთი საღამოობით გამოდიოდა, ამიტომ განსვენებულ სილიბისტროს პანაშვიდს და გამოსვენებას ის ორიოდე შორეული ნაცნობიც არ დაესწრო, რომელნიც კვაჭანტირაძის ოჯახს ჰყავდა ტფილისში.

საწყალი „სილიბისტრო“ მეორე დღიდანვე მაგრად იყო კუბოში ჩაკეტილ-ჩალურსმული, რადგან, როგორც კვაჭი ამბობდა, უცნაური მიზეზის გამო სილიბისტრო ერთ დღეში გაიხრწნა და სუნი აუშვა.

მღვდელი და დიაკვანი მობეზრებულ სამგლოვიარო სავალობელს ზანტად და ცალის ყბით აჭიანურებდნენ:

— გაანუსვენე უფალო-ო-ო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისასა-ა...

— ა-აწ და მარადის და უკუნითი-ი, უკუნისამდე-ე, ა--ა-ამინ...

ძაძებით შემოსილნი პუპი და ნოტიო ნამტირალნი, ღრმად დამწუხრებულნი, მოსუსტებულნი და ჩაბნედილნი, [illegible] თმები გაწეწილი ჰქონდათ, „ლაწვნი — დაჭკნობილნი და [illegible] ვითარცა გუბე დაუშრეტელ“. ხუხუ და კვაჭი [illegible] იდგნენ. პირსახე მოღუშული ჰქონდათ, წარბები შეკრული, თვალები გაშტერებული და დაწითლებული მეტი [illegible]გან, ეილაჯობისგან, ცრემლისგან და უძილობისგან.

პანაშვიდი რომ გათავდა, „სილიბისტროს“ კუბო [illegible] დახურეს და ჩქარი ნაბიჯით გაუტიეს [illegible] ოსკენ.

ქირისუფლები წუწუნით, ოხვრით და კვნესით მი[illegible]-

დნენ, თან ჩუმ-ჩუმად ირგვლივ აცეცებდნენ თვალებს, მგზავრებს ათვალიერებდნენ, ზოგჯერ მიყუჩდებოდნენ და ზოგჯერ სამგლოვიაროს შესძახებდნენ:

— შვილო სილიბისტრო! რეიზა გამისწარი! რა გაწყვეტნეთ, რა დაგიშავეთ მისთანა, რომე ასთე ადრე დაგვანებე თავიიი! — გაჰკიოდა ნოტიო და პირისახეში ოდნავ ხელებს იშენდა.

— შვილო ჭიპიიი! — აგრძელებდა ხუხუ: — შენისთანა ვაჟკაცი რეიზა მეიტაცა უფალმა? ვილას დოუმშვენებს მხარბეჭს აწი შენი პრაპორჩიკის პაგონები? ვინღა გოუწევს აწი თავად-აზნაურებს მამობას და მარშლობას? რეიზა დაგვასხი ქერიაზე წყალი? რეიზა დამიფსე სანთელ-იიი?...

— უი მე უბედურსა! უი მე დაქცეულსა! — შესძახებდა პუპი: — ვინღა წავა აწი ბაზარში? ვინღა იყიდის სამწვადეს და მწვანილსა. შენ რომე ასთე გიყვარდა, სილიბისტრო-ო!.. ვინ დამიხუჭავს აწი ამ უბედურ თვალებს, შენ რომ ასთე მოგწონდა-ა-ა! ერთად ვიცხოვრეთ აქინე, ერთად წევიდოდით იქინე-ე-ეც... ასთე გვქონდა პირობა, სილიბისტრო, ჩემო ერთგულო!..

— ვაი მე საწყალსა! — იცემდა თავში ხელებს კვაჭი: — ვინ მომივლის ეხლა?! ვინ მომცემს სწავლის ფულსააა! ვინ გამათავებიებს უნივერსიტეტსა-ა-ა! დევიღუპე მე უბედური-ი!

ბესო შიქიაც თავჩაღუნული მისდევდა მგლოვიარე ოჯახს და პატარა ულვაშებში იცინოდა.

კუკიის სასაფლაოზე ჩქარი ნაბიჯით აირბინეს, კუბო სამარეში ჩაუშვეს, მიწა მიაყარეს და თავჩაქინდრულნი დაბრუნდნენ; იმავ საღამოს „ოვანეს შაბურიანცი“ სააკადმყოფოდან გამოეწერა და ნაძთლულის საგურზე გავიდა. კვაჭმა „ოვანესა“ გააცილა.

სიბნელეში დიდხანს იჩურჩულეს, მერმე ერთმანეთი დაჰკოცნეს და დაშორდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ კავკავის პოლიციაში გადაწერილი საპოლიციო წიგნში სწერდა:

„ოვანეს შაბურიანცი, 45 წლისა, ოსმალეთის ქვეშევრდომი... ამოვიდა ტფილისიდან. დასახლდა ბაზრის ქუჩაზე, № 16“...

აქა ამბავი დაზღვევის სარგებლობისა

დ ა კ ვ ე თ ი ლ ი
„სალამანდრას" დამზღვევ საზოგადოების საოლქო ინსპექტორს
ქ. ტფილისში, ვერის დაღმართი, № 21,
ბინა № 2

ქვაჭი (ანაპოლისტე) სილიბისტროს ძე

ქ ვ ა ჭ ა ნ ტ ი რ ა ძ ი ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პატივისცემით გაუწყებთ, რომ ა/წ. პირველ ოქტომბერს საღამოს ცხრა საათზე ველოსიპედით მოვდიოდი დიდუბეში. ეკლესიის მახლობლად რომ გამოვიარე, სიბნელეში ეტლი დამეჯახა და წამაქცია. შედგენილ იქნა შესაფერი ოქმი, რომლის ასლს ამასთან ერთად გიგზავნით. დაშავებული მაქვს მარჯვენა ხელი და მარჯვენა ფეხი. დაზღვეული ვარ უბედურ შემთხვევისგან თქვენს საზოგადოებაში პოლისით № 124392 ა/წ. 1 მარტის თარიღით.

გარდა ამისა, მწუხარებით გაუწყებთ, რომ ა. წ. 25 სექტემბერს დილის $4^1/_2$ საათზე ქ. ტფილისში ჩემს ბინაზე მოულოდნელად გარდაიცვალა ჩემი ძვირფასი მამა სილიბისტრო ქვაჭანტირაძე, რომლის სიცოცხლე დაზღვეული იყო აგრეთვე თქვენ საზოგადოებაში ათი ათას მანეთად პოლისით № 475663 ა. წ. 4 ივნისის თარიღით.

ამასთან ერთად გიგზავნით სამს მოწმობას შესახებ: 1) ავადმყოფობის წამლობისა, 2) სიკვდილისა და 3) დასაფლავებისა.

გთხოვთ მიიღოთ შესაფერი კანონიერი ზომები.

პატივისცემით
ქ ვ ა ჭ ი ქ ვ ა ჭ ა ნ ტ ი რ ა ძ ე

— თანახმად სამსახურის წესების და არსებულ კანონებისა, ამიერკავკასიის საოლქო ინსპექტორი მეორე დღესვე გავიდა საგურამოს ქუჩაზე და თვით წაადგა მელოგინე ქვაჭი ქვაჭანტირაძეს:

— ბატონი კვაჭანტირაძე თქვენ ბრძანდებით? თქვენი განცხადების გამო გიახელით..

ყველანი დაფაცურდნენ და დაფრთხნენ: ხუხუ ჩიჩიაც, მისი მეუღლე ნოტიოც და კვაჭის დედა პუპიკოც. თვითონ კვაჭი ლოგინში ატოკდა და აკვნესდა..

— დიდად სასიამოვნოა თქვენი მობრძანება, ბატონო..., დაბრძანდით, აქანე დაბრძანდით... არა, აქ გირჩევნიათ...

ხუხუმ ჩალის სკამი მოართვა, პუპიკომ პატარა ლბილი სკამი მიუდგა, ნოტიო კი სავარძლის მოთრევას ლამობდა.

— ნუ სწუხდებით, ბატონებო. დიდად გმადლობთ..

— შორიდან გიცნობთ, პატივცემულო ბატონო. თქვენზე მრავალი ქება გამიგია. ყოველი კაცი თქვენზე კარგს ლაპარაკობს. — დაიწყო კვაჭმა.

— მადლობა უფალსა! — ჩაურთო ხუხუმ: — ცუდს ხომ აფერს ლაპარაკობენ, კარგი უთქვამთ.

— სახელი სჯობია ყოლიფერს, შვილო! — ჩაიოხრა ნოტიომ.

— თუ ასეთ ახალგაზრდა ვაჟს ასეთი დიდი სახელი გიშოვიათ, სიბერეში ხომ მთელი რუსეთი თქვენზე ილაპარაკებს! — ჩაიკვნესა ქვრივმა პუპიმ.

ასე დაუხვდა კვაჭანტირაძიანთ ოჯახი ინსპექტორს: ქვეშ ბუმბული გაუშალეს, თავი მოუქონეს და სულში ნელსაცუნებელი ჩაუწვეთეს.

ინსპექტორმა თავაზიანობის მახვილს ასეთივე ფარი დაუხვედრა:

— არ დაუჯეროთ. თუ კარგი უთქვამთ ჩემზე, მოუჭორიათ და გაუზვიადებიათ. თუ ერთი ავი უთქვამთ, ასი დაუმალიათ. მეც შორიდან გიცნობთ, ბატონო კვაჭი! გაგახსენებთ: ორი წლის წინათ მე და თქვენ ერთად ვიმგზავრეთ ადესამდე.

— ომე, დამიდგა თვალი! — ერთი წუთით გამოცოცხლდა კვაჭი: — მახსოვს, კარგად მახსოვს, უცხოეთში მიბრძანდებოდით მაშინ, არა? მაშინაც მთელი გემი თქვენზე ლაპარაკობდა.. ამისთანა ინჟინერი მთელ რუსეთში ერთიც არ მოიპოვება! — იტყუა კვაჭმა, რადგან ინსპექტორს სწორედ იმდენივე გაეგებოდა ინჟინერობისა, რამდენიც კვაჭს ასტრონომიისა ან სანსკრიტულ ენისა.

ერთმანეთის მოკითხვა და ქონის მოსმა რომ გაათავეს, ინსპექტორმა სთქვა:

— ეხლა საქმეზე გადავიდეთ. რა დაგემართათ, რა მოგივიდათ?

ოჯახი აცრემლდა და აკვნესდა. ერთმანეთს აღარ აცლიდნენ:

— რაღა რა დაგვემართა, ბატონო. თქვენ მტერსაც ნუ მოუვა, რაც ჩვენს თავს მოუვიდა...

— რაცხა ღმერთი გაგვიწყრა, თვარა ასე უცებ რაღა ჩვენ მოგვივიდა ყველაფერი?!

— დევიღუპეთ და დევიფსეთ! დეიღუპა ყოლიფერით საფსე ოჯახი!

პეპე ატირდა და მეორე ოთახში გავიდა, ნოტიომ ცრემლი მოიწმინდა, ხუხუმ თავი ჩაჰქინდრა.

— ყველაფერით სავსე ოჯახი გვქონდა, — განაგრძო გულაჩუყებულმა კვაჭმა, — ავადმყოფობას ჩვენს ოჯახში რა უნდოდა! გუშინწინ მამა მომიკვდა. ისე უცებ გათავდა ის კაცი, რომ ხმაც ვერ ამოიღო. მეორე დღეს ქუთაისში სახლი დავეწვა, ეხლა კი მეც დამემართა უბედურება.

— სახლი დაზღვეული არ იყო?

— აჰ, მაგას ვინ ჩივა! შარშან იმ სახლში ორმოცი ათასი მაძლიეს, მაგრამ არ მივეცი, ეხლა კი მხოლოდ ათი ათასი უნდა ავიღო. მე მამას ვტირი, თორემ ეშმაკებს წაუღიათ სახლიც, ეს ხელიც და ეს ფეხიც.

— ძალიან დაშავდითა?

— აჰა, თვითონვე ნახეთ.

ნოტიომ დიდის სიფრთხილით გახსნა და გაშალა არტახებში გახვეული კვაჭი, რომელიც ჰკვნესოდა, სწუხდა და კბილებს აკრაჭუნებდა.

ხელის მაჯა და ფეხის კოჭი დალურჯებული და დასიებული ჰქონდა.

— აი საწყალი მამაჩემის პოლისი. რაღაც ათი ათასი გვერგება.

— ნეტა არ მომკვდარიყო და მაგ საზოგადოებას პირიქით დავუპატიებდი ასი ათასს! — წაიბურტყუნა ხუხუმ.

— აი ჩემი პოლისიც. რაღაც ოცი ათასში ვარ დასტრა-

ხული. არ მერჩოდა, არ მინდოდა, მაგრამ ადგილის ინსპექტორმა გამაბრიყვა. იცნობთ პოფშტეინს?

ინსპექტორი პოლისებს და სხვა საბუთებს პსინჯავდა.

— დიახ, ვიცნობ.

ყველაფერი თავის რიგზე და წესზე აღმოჩნდა.

— ვინ გწამლობთ: ვინ არის თქვენი ექიმი?

— ბელოვი. იმაზე უკეთესი ექიმი კავკასიაში არ მოიპოვება. არ იცნობთ?

— არ ვიცნობთ, არ გამიგია. საზოგადოებას აქ თავის ექიმები ჰყავს, ერთ-ერთს გამოგიგზავნით.

კვაჭმა თვალები გაიცოცხლა:

— რომელს? ვის?

— თუნდ როდენბაუმს, ცნობილი ექიმია.

— აჰ, შენი ჭირიმე, მაგას ნუ იზამთ.

— მიზეზი?

— უხერხულია, თქმა მეძნელება, მაგრამ...

— მაინც?

— იცნობთ როდენბაუმის ცოლს?

— მინახავს, ცნობით კი არ ვიცნობ.

— აბა მოგახსენებთ, მაგრამ პატიოსანი სიტყვა უნდა მომცეთ, რომ ერთი კაციც არ გაიგებს.

— კეთილი, სიტყვას გაძლევთ. ბრძანეთ.

— მინდოდა მაგ ექიმის დახმარება მამაჩემის საჩვენებლად. შინ არ დამიხვდა. მისმა ცოლმა მნახა. დავუტოვე ჩემი ადრესი და წამოვედი. ერთი საათის შემდეგ ექიმის მაგიერ მისი ცოლი მოვიდა და... ამაზე მეტს არაფერს გეტყვით... აჰ, ნუ მკითხავთ, მეტს არაფერს გეტყვით. ეხლა ბრძანეთ: როგორ უნდა გავანდო თავი ექიმს, თუ მისი პატივისცემა არა მაქვს? ლაბიძე გამოგზავნეთ, მგონი ისიც თქვენი ექიმია.

— იყო და აღარ არის... მიზეზი? არ ვიცი. იმის მაგივრად შაბოშვილია დანიშნული, იმას გამოგიგზავნით. ეხლა კი გეახლებით.

— აჰ ეგ რა სათქმელია!.. სად მიეჩქარებით, ბატონო ჩემო? მოითმინეთ; ყავა დავლიოთ... რატომ არ გვკადრულობთ?! მოითმინეთ კიდევ ხუთიოდე წუთი.

— უკადრისობა რა სათქმელია! მეჩქარება, თორემ დიდის სიამოვნებით გიახლებოდით.

— ბატონო მიხეილ! — შეეხვეწა კვაჭი: — ადრე გამითავეთ ეს საქმე, ნუ გამაწვალებთ, თორემ მივაფურთხებ მაგ ფულს და ჩემს გზას გავუდგები, რაღაც ორიოდე გროში მერგება და არ ღირს მისთვის გაწვალება და გაცდენა.

— ნუ შესწუხდებით, ბატონო კვაჭი! მამათქვენის გარდაცვალების საბუთებს დღესვე გავგზავნი პეტერბურგში და ერთი თვის შემდეგ ათი ათას მანეთს ჩაგაბარებთ. რაც შეეხება თქვენს ხელ-ფეხს, ჯერ უნდა მოითმინოთ. როცა მოგირჩებათ, დღიურად ოც მანეთს ვიანგარიშებთ და მაშინვე მოგართმევთ.

— თუ არ მომირჩა?

— აბა, ეგ რა საფიქრებელია? რა თქმა უნდა, მოგირჩებათ.

— მაინც, თუ არ მომირჩა? ბევრჯერ ყოფილა ძალიან შემთხვევა, რომ სულ უბრალო მიზეზის გამო ხელიც გაშხმობია ადამიანს და ფეხიც.

— თუ ხელიც გაგიშმათ და ფეხიც, რა თქმა უნდა მთელს დაზღვეულ თანხას მოგცემენ. მაშ, არხეინად და მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩვენო, მშვიდობით!.. გვნახეთ, ბატონო, კიდევ ვვნახეთ... ნუ დაგვივიწყებთ, ჩვენო ბატონო, კიდევ გვაკადრეთ თქვენი თავი...

ინსპექტორი რომ გავიდა, ერთმანეთს გადაჰხედეს და თვალებით დაეკითხნენ. ბოლოს, ხუხუმ წვერებში ჩაიბურტყუნა:

— აჰ, მაი კაცი ვეფერს გეიგებს.

— ვეფერს გეიგებს! — ჩუმის ხმით დაუდასტურა კვაჭიმ.

ექიმი შაბიშვილი ეუბნებოდა ინსპექტორს ჯავახიშვილს:

— არაფერი მესმის კვაჭანტირაძის ხელ-ფეხისა. რასაც მე ვაკეთებ, ვიღაც უცნობი აფუჭებს. წამალს რომ დავადებ და არტახებს შევკრავ, საიდუმლო ნიშანსაც გავუკეთებ ხოლმე. მეორე დღეს ნიშანი ხელუხლებელია, მაგრამ დაშავებული ხელ-ფეხი უფრო დამდნარია და მოკრუნჩხული. ცხადია, ჩემს გარდა სხვა ვიღაც უნდა მუშაობდეს.

— მე ცნობა მაქვს, კვაჭანტირაძესთან ღამღამობით ჩვენი წინანდელი ექიმი ღაბიძე დადის. გარდა ამისა, კვაჭის ბე-

მის წოტიო ჩიჩიძსაც ამ საქმეში ხელი ურევიაო. თურმე ამ დედაკაცსაც კარგად ესმის ტრავმატიული ავადმყოფობა. ეს დედაკაცი თურმე ძალიან დახელოვნებულია ხელ-ფეხის დამახინჯების საქმეში. მუშტარიც ბლომად ჰყავს, რადგან ბევრს ჰსურს სამხედრო ბეგარას აიცდინოს. ჩვენ უფლება გვაქვს კვაჭი საავადმყოფოში დავაწვინოთ და მუდმივი ზედამხედველობა გავუწიოთ, მაგრამ ჯერჯერობით ასეთს უკიდურეს საშუალებას არ მივმართავ, რადგან იგი მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. სხვა საზოგადოებათა აგენტები ამ ამბავს ხელზე დაიხვევენ, ყბად აგვიღებენ, განგაშს ასტეხავენ და პრესტიჟს დაგვიმცირებენ. ყოველდღე იარეთ და თვალყური ადევნეთ, ვნახოთ ამიერიდან საქმე როგორ წავა. კვაჭის როგორმე აგრძნობინეთ, რომ ჩვენ მიხვედრილი ვართ... უკვე იცის? გააგებინეთ? ძალიან კარგი გიქნიათ... კეთილი, ეგრე სჯობია.., ნახვამდის! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!..

ერთი კვირის შემდეგ ჰოფშტეინი, ინსპექტორი და ექიმი შაბიშვილი მოულოდნელად მიადგნენ კვაჭანტირაძეს. კვაჭი გაოცდა, აირია, გაფითრდა და გაწითლდა. იმ ხანებში უარესად გამხდარიყო, გაყვითლებულიყო და ჩამომდნარიყო.

— ნაპოლეონ აპოლონიჩს ჩემი სალამი! — მხიარულად მიაძახა ჰოფშტეინმა.

— ბატონს კვაჭის ვახლავართ. — დინჯად მიესალმა ინსპექტორი.

— გამარჯვება... დილა მშვიდობისა... დაბრძანდით... სკამი მოართვით...

დაფაცურდნენ და ისინიც აირ-დაირივნენ.

— როგორ ბრძანდებით?.. როგორ გიკითხოთ?..

კვაჭი ძველებურად აწუწუნდა. აიცრემლა და აკვნესდა:

— დევიღუპე, დევიფსე... მამა მომიკვდა... სახლი დამეწვა... ოჯახი დამენგრა... ეხლა მეც წავხდი!!!

— ვიცი, ყველაფერი ვიცი, უფრო მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ გგონიათ! — ხაზგასმით და გარკვევით მოუჭრა ჰოფშტეინმა: — ბატონო ექიმო, გაუხსენით დაშავებული ხელ-ფეხი.

კვაჭი ისევ აკვნესდა და აყვირდა. ხელ-ფეხი გაუხსნეს და გაუშინჯეს, ხელიც და ფეხიც დაუდნა, გაუხმა და ჩხირებივით დაელია.

— აჰა, ის არის!.. სწორედ ის არის!.. მინახავს, ვიცი, რაც არის! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესროდა ჰოფშტეინი: — შეუკარით! — მერმე მიბრუნდა და, სანამ ექიმი არტახებში ახვევდა კვაჭის ხელ-ფეხს, არხეინად აკაკუნებდა ფანჯარას და თვალს ადევნებდა ღრუბელს. მერმე მობრუნდა და ფოლადის ხმით დაიწყო:

— ეხლა საქმეს შევუდგეთ. მოკლედ, მკაფიოდ და პირდაპირ მოგახსენებთ: გავათავოთ კეკემალურობის თამაში. არ შეგვფერის, ბავშვები აღარა ვართ. თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სამივე საქმის ლიკვიდაცია მე მაქვს მონდობილი.

— სახლის საქმეც?

— დიაღ, სახლის დაწვის საქმეც. თავიდან დავიწყოთ. პირველი: ადესიდან თქვენ ისე გამოიპარეთ, რომ ანგარიში არც კი გაგისწორებიათ, ათას მანეთამდე გამოიყოლეთ... მოითმინეთ, ბატონო, მოითმინეთ. ჩვენ არც შიქიას ვიცნობთ, არც ჩიკინჯილაძეს, არც ავლაბრიანს, არც კაცმანს. ჩვენ მხოლოდ თქვენ გიცნობთ და მხოლოდ თქვენთან გვქონდა საქმე. მეორე: თქვენ იმდენი მუშტარი მოგიტყუებიათ, რომ ეხლა მთელი ადესა თქვენზე ლაპარაკობს... რაო, ვინ მოატყუეთ? აი სია, ინებეთ, წაიკითხეთ. თქვენს მაგივრად ყველას ჩვენ დავუბრუნეთ ფული, სულ 2.675 მანეთი. მესამე: თქვენი სახლი შარშან მამათქვენს ბანკში 1.400 მანეთად დაუგირავებია. ბანკს იგი ორი ათასად შეუფასებია, თქვენ კი ათი ათასში დააზღვიეთ. აგენტი ხელში მყავს. თქვენი ბიძა თუ პაპა — აი ეს მოხუცი ხუხუ ჩიჩიაც ვერსად წამივა... მოითმინეთ-მეთქი, ნუ სჩქარობთ და ნუ სცხარობთ! ეხლა მეორეზე და უმთავრესი: მე ექიმი გახლავართ, ძველი ინსპექტორი ვარ, დაზღვევის საზოგადოების სამსახურში ვავბერდი და ძნელია. შეუძლებელია ჩემი მოტყუება. ათასი რამე მინახავს და გამომიცდია. ბევრე დაშავებული ხელ-ფეხიც შემხვედრია. საკვირველი, იშვიათი შემთხვევაა! ერთი გამაგებინეთ, იმ კონტოდ როგორ წაიქეცით, რომ ფეხი შიგნითა კოჭთან დაგიშავდათ, ხოლო ხელი — მეორე მხრიდან? საკვირველია! გაუგებარია! გარდა ამისა, რა მიზეზია რომ ხელ-ფეხი დაგელიათ და გაგიხმათ? ამ მიზეზს საავადმყოფოში გამოგიკვლევთ. ხვალვე უნდა ვადმობრძანდეთ საკურნალოში... რაო, არა

გნებავთ? ნუ ჰღელავთ, დღე და ღამ ორი ზედამხედველი დაგადგებათ თავთ... რაო, არ მოგწონთ? არ კადრულობთ? ხომ იცით, რომ ამის უფლება გვაქვს... მაინც არ გნებავთ?.. რაო, სკანდალს ატეხავთ? ქვეყანას დაძრავთ და გაზეთებსაც აალაპარაკებთ? ეგ თქვენი საქმეა. თუ არც თქვენი სახელი გენანებათ, არც ეს მოხუცი, არც ქუთაისელი აგენტი, მაშინ ჩვენი აქ ყოფნა ზედმეტი ყოფილა და წავალთ.

ჰოფშტეინი წამოდგა.

— მოითმინეთ, მოვილაპარაკოთ... იქნება მოვრიგდეთ... — და კვაჭიკომაც წამოიწია.

— კეთილი, ვსცადოთ. მოკლედ მოვჭრათ. აი, ხომ ჰხედავთ ამ ფულს, — და ჰოფშტეინმა უბიდან ხუთასიანების ერთი დასტა ამოიღო: — ეს ფული ეხლავე თქვენს ჯიბეში გადმოვა თუ... თუ გონიერად მოიქცევით და ზომიერებას გამოიჩენთ...

კვაჭის თვალები დაეწვა, აუჩქროლდა, ყელში ნერწყვი გაუშრა; ატოკდა და აცქმუტუნდა:

— მე... მე ხარბი კაცი არა ვარ. არც დავა მიყვარს... აყალმაყალსაც ვერიდები, სკანდალისტი არა ვარ...

— მაშ ვიანგარიშოთ. ათი ათასი მამის პრემია გერგებათ, ეს უდავოა.

კვაჭის გული გაეხსნა, თითქოს ზედ ათფუთიანი ლოდი ედო და ჰოფშტეინმა მოხსნაო.

— თქვენი სახლი, ძალიან რომ გავაზვიადოთ, ოთხი ათასი ჰღირდა. ხუთი ინებეთ. ეს თხუთმეტი. შემდეგ: ხელ-ფეხი დაზღვეული გაქვთ ოცი ათასად. ამ თანხას გამოგვედავებით. თუ ხელ-ფეხი მართლა გაგიხმათ, მაგრამ პატიოსანს სიტყვას გაძლევთ და გარწმუნებთ, რომ არც ხელი გაგიხმებათ, არც ფეხი. ერთ თვეში ისე მოგარჩენთ, რომ ცალ ფეხზე იხტუნავებთ. ეს დაგვიჯდება ოთხასი-ხუთასი მანეთი. ათჯერ მეტს მოგართმევთ, — ხუთი ათასი ინებეთ.

— მაშ, ორმოცი ათასის მაგიერ სულ ოცი ათასს იძლევით, არა?

— დიაღ, ოცი ათასს. ან ეხლავე მიიღეთ ფული, ან სამკურნალოში წამობრძანდით, ან... აგერ პროკურორს მივმართავ.

— ცოტას უარს ვამბობ.

— მაშ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მოითმინეთ, ნუ ფიცხობთ! სამი დღის ვადა მომეცით მოსაფიქრებლად.

— არ შემიძლიან. თუ გნებავთ, ერთი საათი მომიცია. გადით, მუშტაიდში გავისეირნებთ და დავბრუნდებით.

— მეტი გზა-არა მაქვს და გემორჩილებით, მაგრამ პროტესტს ვაცხადებ.

— მაშ, ჯერჯერობით! არ გემშვიდობებით!

სამნი გავიდნენ, ოთხნი დარჩნენ. ასტყდა ჟრიამული, ფიცხელი კამათი, თითებზე ანგარიში. გავიდა ერთი საათი. წასულნი დაბრუნდნენ და —

— მოიფიქრეთ? გადაწყვიტეთ? — ჰკითხა პიფშტეინმა.

— ოცდახუთმეტი მაინც მერგება, მაგრამ თანახმა ვარ ოცდაათზე.

— ეს არის თქვენი უკანასკნელი პასუხი?

— ეს არის!

— მაშ, ვერ მოვრიგდებით. თუ ინებებთ, ნე ნუღარ დამაბრალებთ. მშვიდობით იყავით! — და ისევ გავიდნენ. კიბეზე რომ ჩადიოდნენ, პეპი გამოვარდა:

— მოითმინეთ!.. დაბრუნდით!.. ნუ ინებებთ ვაჭრობას და ჩვენს წყენას. ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ.

ისევ დაბრუნდნენ.

— ოცდარვას ერთი მანეთსაც ვერ დავაკლებ. — ხანწ-წრთ განაცხადა კვაჭმა.

— მაშ, საჭირო არ იყო ჩვენი დაბრუნება.

— მოითმინეთ, ხალ მიმბარხართ? ოცდახუთი!

— ოცი. ან ჰო, ან არა... ვიცი, ყველაფერი ვიცი, რა წაჭირობა — ზედმეტი ლაპარაკი! ჰო თუ არა?.. მაშ, მშვიდობით იყავით.

ისევ გავიდნენ. ქუჩის ბოლოში ნუნუ ჩაწჩილით დაეწია:

— ნუ ინებებთ, ბატონებო, ჩვენს წყენას... თუ გაწყენინეთ რამე, გვაპატიეთ... დაბრუნდით... კვაჭი დათანხმდება.

ისევ დაბრუნდნენ.

— იმედია, ვაჭრობა აღარ იქნება. ოცზე ვათავებთ?

— კეთილი, მაგრამ რაღაც ანგარიში რომ შეგიდგენიათ, მაგას ხომ არ გამომიკლებთ?

— ამას არ ჩავითვლით, მოვშალოთ. მელანი და კალამი!

— მაშ გაათავეთ, — და კვლავ აწრიპინდა და აწუწუნდა: — დევიდუპე... ძევიფსე... როგორ შეიძლება ამათთან საქმის დაკავშირება! არც პატიოსნება, არც სინდისი, არც პირობა! სად ვეთრიო, როგორ ვსდიო სამართალში ორი ან სამი წელიწადი, თორემ ორჯერ მეტს ავიღებდი.

ჰოფშტეინმა ვრცელი ბარათი დასწერა:

— ოთხივემ მოაწერეთ ხელი.

წაიკითხეს და მოაწერეს, მერმე თვალები დაიბრიცეს და დაიხეთქეს იმ ფულზე, რომელიც ჰოფშტეინმა ჩაუთვალა.

— დევიდუპე... დევიფსე! — ისევ წუწუნებდა კვაჭი, თან ის ფული ბალიშის ქვეშ ამოიდო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ ეგ ფული.

— მშვიდობით, ბატონო ჩემო, მშვიდობით!

კიბემდე ჩამოაცილეს. ჰოფშტეინმა წაიბურტყუნა:

— მოვტყუვდი, გადავაჭარბე: ხუთმეტსაც დათანხმდებოდა.

კვაჭის სახლში ყველანი ერთმანეთს დაეტაკნენ. ხუხუ და პუპი მეტად კმაყოფილი და გახარებული იყვნენ, ხოლო ნოტიო და კვაჭი მაინც იშმუშნებოდნენ და იგრიხებოდნენ. სწორედ ამ დროს ბესოც შემოვიდა.

— ბესო, სადა ხარ? სად დეიკარგე? რაღა გაჭირვების დროს დეიმალე, შე კაი კაცო?

— ჰოფშტეინი რომ პირველად გავიდა აქედან, მეც სწორედ მაშინ მოვედი, მაგრამ უკანვე გავბრუნდი, მუშტაიდში დავედევნე და მათს ლაპარაკს ყური დავუგდე. გავიგე, რომ ოცზე მეტს ერთ მანეთსაც არ მოგვცემდნენ, და აკი შემოგითვალე კიდეც პუპის პირით. რაო? ჩემი აზრი? ეკლესიას ხატი უნდა შევწიროთ, რომ დაპატიმრებას გადავრჩით.

ბესოს სიტყვების შემდეგ ყველანი სიხარულით და შვებით აყაყანდნენ. კვაჭს არტახები მოჰხსნეს, ხელ-ფეხი რაღაც

წამლით მოჰბანეს და ახალი მალამო წაუსვეს. ტკივილს აღარ იმჩნევდა და აღარც ჰკვნესოდა.

მერმე წამოჯდა და დეპეშა დასწერა:

„კავკავი, ბაზრის ქუჩა, 16
შამურიანცს

ოცად გავათავე. ხუთს გიგზავნი. სისხლი იყიდე. მალე ამოვალთ
ანაპოდისტე“.

— ეს ფული და დეპეშა სილიბისტროს გაუგზავნე, — უთხრა კვაჭმა ხუხუს — და ხვალისთვის ქუთაისში წასასვლელად მოემზადე. გაყიდე, რაც დაგვრჩა — ალაგიც და ავეჯიც... რაო, ვოლკოვის ქვრივს რა უყოთ? აჰ, ეხლა იმ დედაბერს ავითრევ სიკვდილამდე! ასი მანეთი მიეცი, ეყოფა. ყველას უთხარი, რომ ჩვენ ვარშავაში მივდივართ-თქვა... მოიცა, იყიდე მარტელის კონიაკი, რედერერის შამპანური, მარსალა, ხერესი ან პორტვეინი... ერთიც შიპრი ან შარტრეზი... სიგარები „ვიქტორია“... არ დაივიწყო სახელები. ბესო, ჩაუწერე. ხილიც მომიტანე, ანანასიც. რაო? კაცი დაბერდი და აქნობამდე არ იცი რა არის მარსალა, ხერესი, შიპრი, შარტრეზი და ანანასი? ბესო, შენ წადი, გენაცვა, და ყველაფერი მიყიდე. წამოიღე კაიეს ან შიუშარის შოკოლადიც. თუ ნამდვილი შიპრი და შარტრეზი არ იყოს, აბრიკოტინი და ბენედიქტინი მოიტა. თქვენც გერგებათ კაი-კაი საჩუქრები, მაგრამ მე თვითონ გიყიდით. რა სთქვი, ნოტიო? ათ დღეში ამაყენებ? მაშ მადლობა ჩემზე იყოს... ეხლა კი ცოტა დამასვენეთ... დავიღალე... უნდა დავიძინო.

და მძიმე შრომით დაღლილმა და სახიფათო საქმის დამთავრებით დამშვიდებულმა კვაჭმა ტკბილსა და არხეინ ძილს მისცა თავი.

ორი კვირის შემდეგ ინსპექტორმა ტფილისის სადგურზე თვალი მოჰკრა ერთ ლამაზს, ტანადს, კოხტად ჩაცმულ ახალგაზრდას.

— ბატონს კვაჭის ვახლავარ!

— სალამი პატივცემულ ბატონ მიხეილს! როგორ გიკითხოთ?! როგორ ბრძანდებით თქვენის მეუღლით?!

და კვაჭმა ინსპექტორს მაგრად ჩამოართვა ხელი, ის ხელი, რომელიც ორი კვირის წინათ დამდნარი და გამხმარი ჰქონდა.

— გმადლობთ. თქვენ როგორ გიკითხოთ?

— ასე... არც ისე კარგად ვარ, როგორც მე მინდოდა, მაგრამ არც ისე ცუდად, როგორც ჰოფშტეინს უნდოდა. არაფერი მიშავს, კიდევ შევხვდები სადმე და იმ ყაზირალს. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— გზა მშვიდობისა! — მიუგო ინსპექტორმა და მარდად მიმავალს „გაშტიკინებულ“ კვაჭს ღიმილით გააყოლა თვალი.

კარი მესამე

აქა ამბავი საბანკო საქმის შესწავლისა და ამხანაგის დაფეთებისა

სანამ ხუხუ ჩიჩია ქუთაისში სასახლე ადგილს და ხაბაკ-ხუბაკს გაჰყიდიდა, კვაჭი კვაჭანტირაძემ დრო იხელთა და ტფილისში დატრიალდა.

თუმცა ჯერ კოჭლობდა და ცალი ხელიც ახვეული ჰქონდა, მაინც ახერხებდა კლუბებსა, თეატრებსა და სხვა გასართობ ადგილებში სიარულს.

ცოტაოდენი ხალხი გაიცნო, თან ყველას ჰსუნავდა, სწონავდა და მათი მოხმარებისა და გამოყენების საზრისით ადგებდა ფეხს.

სანამ მარჯვენა ხელსა და თითებს მოირჩენდა და მოიმარჯვებდა, ქაღალდის თამაშში ბედი არა სწყალობდა. შემდეგ კი სამიოდე თალიით მოატრიალა ბედი, წაგებები დაიბრუნა და და ხუთიოდე ათასიც ზედმეტი წამოიყოლა.

მართალია, ბოლო ღამეს მცირე უსიამოვნება შეემთხვა: მორიგე მამასახლისმა თავის ოთახში შეიწვია და პირისპირ რამდენიმე სუსხიანი სიტყვა უთხრა, მაგრამ კვაჭი ამის გამო არც აირია, არც აცქაფდა. იმ დღეებში ისევ რუსეთში მიდიოდა და ამიტომ კვაჭისათვის სულ ერთი იყო, რას იტყოდა და რას იფიქრებდა ათიოდე ან ასიოდე კაცი იმ ქალაქში, სადაც კვაჭს თითქმის არ იცნობდნენ.

ქაღალდის თამაშში კვაჭმა ვინმე ნაზიმოვი გაიცნო — აზოვის ბანკის მოხელე, მოთამაშე, მოქეიფე, მფლანგველი და ლოთი, რომელიც ბანკის თამაშობაში გაიკოტრა და ვაინ-ავა. მან რამდენჯერმე ჩააწრიალა. მაგრამ ბოლოს ნაღდი მოსთხოვეს და ქაღალდი აღარ დაუჯერეს. მან მიიხედ-მოიხედა და კვაჭს მიმართა:

— ბატონო, ერთი თუმანი მასესხეთ ხვალამდე.

კვაჭმა ცივად მიუგო:

— თუმანი? უცნობს ფულს ვერ გასესხებ.

— თუ მართლა ეგ არის უარის მიზეზი, გთხოვთ გამიცნოთ: აზოვის ბანკის მოსამსახურე ნაზიმოვი გახლავართ.

ნაზიმოვმა კვაჭს ხელი გაუწოდა და კვაჭმაც ძალაუნებურად დაუხვედრა.

— დაბრკოლება გადალახულია, ეხლა ხომ მერგება ერთი თუმანი.

კვაჭს ისე მოეწონა ნაზიმოვის პასუხი, რომ ხალისიანად მიუგდო თუმნიანი და იმავე წუთს ერთმა აზრმა ელვასავით ჩაურბინა. ღიმილს ღიმილი მიჰყვა, სიტყვას — სიტყვა, თუმნიანს — თუმნიანები და იმავე ღამეს ახალი მეგობრობა ღვინით იკურთხა და ლამაზი ქალებით დაგვირგვინდა.

გულმა გული იცნო და სულმა სული იპოვნა. კვაჭმა ნაზიმოვი ორჯერ-სამჯერ კიდევ დაპატიჟა, ცოტაოდენი ფულიც ასესხა, დაიძმობილა და შეიჩვია. ერთხელ თუ ორჯერ წაიჩურჩულეს. ამის შემდეგ კვაჭი უცებ აჩქარდა და თავისიანებიც ააჩქარა. პუპიმ თვალებით მიზეზი გამოჰკითხა. კვაჭი კითხვას მიუხვდა და პასუხიც მისცა:

— საზვანაირი ქალაქი ყოფილა ეს ტფილისი. აქ ხეირიანი არაფერი გაკეთდება. გარდა ამისა, ჩვენი ქალაქია. წავალ, გადავიკარგები. ქვეყანა დიდია. იქიდან აქ ჭორი არ მოვა. ვინ იცის რა მომელის, როგორ გამიჭირდეს, როდის და როგორ დამჭირდეს და გამომადგეს ეს ქალაქი.

აზრს მიუხვდნენ. მალე ჩალაგდნენ და აიკრიბნენ.

კვაჭი და მისი სახლობა როსტოვის გზით წავიდნენ.

კავკავთან, ბესლანის სადგურზე, ევროპულად გამოწყობილი, წვერულვაშგაპარსული სილიბისტრო დაუხვდათ, ოვანეს შაბურიანცად მონათლული, ძლივს მოასწრეს ერთმანეთის მოკითხვა და მცირე ალერსი.

სილიბისტროს ოჯახმა კავკავში აუხვია, კვაჭმა და ბესომ კი პეტერბურგისაკენ გაუტიეს. კვაჭი, ბესო და ნაზიმოვი, რომელმაც შვებულება აიღო, მეორე დღეს დილით როსტოვში ავიდნენ. სადგურზე მცირე ბჭობა გამართეს, ყავა დალიეს და მერმე ბანკში შევიდნენ.

კვაჭი ჯერ შეყოყმანდა, შეშინდა, შემდეგ უცებ გასწორდა, ძალ-ღონე მოიკრიბა, გამხნევდა და პირსახეზე სიმტკიცე აღიბეჭდა. თავისუფლად შეაღო კარები დირექტორის კაბინეტში, პირდაპირ მივიდა მასთან და დაუდევრად უთხრა:

— გთხოვთ მიცნობდეთ: თავადი ორბელიანი გახლავართ. — და მაგიდაზე შესაფერი პასპორტი და ბანკის ბილეთი დაუდო. იმ ბილეთში ეწერა:

„აზოვო-დონის ბანკი... როსტოვის განყოფილებას.

გთხოვთ გადაუხადოთ თავადს ნიკოლოზ პავლეს ძე ორბელიანს 37.435 მანეთი ამავე ბანკის ტფილისის განყოფილების ანგარიშით.

დირექტორი N

ბუხჰალტერი B

მოლარე Z“

დირექტორმა მოსამსახურეს დაუძახა, ის ბილეთი გადასცა და უბრძანა:

— ავიზო მოსძებნეთ. — მერმე კვაჭის მიუბრუნდა: — პირველად ბრძანდებით როსტოვში?.. ვის იცნობთ?..

— გავლით მესამეჯერ თუ მეოთხეჯერ გახლავართ. ახლო-მახლო ადრევაც ვყოფილვარ. ჩემს მეგობართან სამიოდე დღით, — სენატორ დენისოვის შვილთან, გრაფ ნოტბეკთან. ბარონ ტიზენჰაუზენთან... ერთად აღვიზარდენით პაჟების კორპუსში... ესლაც ნოტბეკთან გეახლებით... კალინოვკა ჰქვიან იმის მამულს, არა? აქედან ოციოდე ვერსი იქნება... შესაძლოა ერთ კვირაში მათი სიძეც გავხდე.

მოსამსახურე დაბრუნდა და დირექტორს ქაღალდები დაუწყო. დირექტორმა იმ ქაღალდებს წააწერა: „გადაუხადეთ“, პასპორტი კვაჭს დაუბრუნა და პაჟებზე ჩამოუგდო ბაასი.

კვაჭმა ბაასი მოხერხებულად გადაიტანა ოდესაზე.

აჰყვნენ და იბაასეს. ბოლოს, კვაჭი წამოდგა:

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. გთხოვთ ნიშნობაში მეწვიოთ... წერილით შეგატყობინებთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

სანამ კვაჭი დირექტორთან საქმეს „აიმასქნებდა“, ნაზიმოვი კანკალმა აიტანა. დაფრთხა, და აცქმუტუნდა. ჯერ ბესო შიქიას ჩამოშორდა და განზე გადგა, თან ყურში ჩასჩურჩულა:

— თუ ვინიცობაა მოხდა რამე, მე ვითომ არ გიცნობთ.

მერმე მოსხლტა, ქუჩისკენ წავიდა და ბესოს გაკვრით მიუგდო:

— ქუჩაში მოგიცდით... არ დაგავიწყდეთ, არ გიცნობთ.

ხუთი წუთის შემდეგ კვაჭმა ფული უბის ჯიბეში ჩაილაგა და მიიხედ-მოიხედა. ნაზიმოვი არსად იყო.

— სად არის ის ლოთი? — ჰკითხა ბესოს.

— წავიდა. თუ რამე მოხდა, მე თქვენ არ გიცნობთო. ეხლა ქუჩაში იცდის.

კვაჭმა შუბლი შეიკრა და კარებისკენ წავიდა. კარებს რომ ხელი წაავლო, შესდგა, განათდა და გაიბადრა. უცებ მოტრიალდა და ბესოს ჩურჩულით მცირე დარიგება მისცა, ბესო უმალვე გარეთ გავარდა. ნაზიმოვი კარებთან ატუზული იყო.

— ჩქარა, თავს უშველეთ! — ჩასჩურჩულა ბესომ ნაზიმოვს, თვითონ კი თავი დაჰლუნა და ნაბიჯს მოუხშირა.

გაფითრებული ნაზიმოვი ჩანჩალით გაჰყვა:

— რა მოხდა?.. რა ამბავია?.. გაიგეს?..

ვიწრო ქუჩაში შეუხვიეს.

— ძლივს გადავრჩით... საქმე ცუდად არის, — სხაპასხუპით და ხმის კანკალით მიაყარა ბესომ: — ავიზო მოსულია, მაგრამ დირექტორი ყოყმანობს, ფულს არ იძლევა... არ გიცნობთ, შიფრი არეულია, უნდა ტფილისში დეპეშა გავგზავნოო... დირექტორი და ბუხჰალტერი მეორე ოთახში გავიდნენ და რაღაც იჩურჩულეს... ტელეფონით ილაპარაკეს... მე ვუცხარი, ხვალ შემოვივლი-მეთქი, და საჩქაროდ გამოვიქეცი, დავიღუპებით, თუ ახლავე არ დავიმალეთ. მაგრამ იცოდეთ, რომ არც მე გიცნობთ.

ნაზიმოვი ცახცახმა აიტანა და კბილების წკაპუნით ჰბოდავდა:

— ვაიმე ცოლო და შვილო!.. გზის ფულიც არა მაქვს... როგორღა დავბრუნდე?.. დამიჭირენ... დავიღუპე!

— გზის ფულს მე მოგცემთ, ოღონდ ეხლავე დაბრუნდით. აი ასი მანეთი, იმყოფინეთ. აბა, ჩქარა!

ხელცარიელი და დაფეთებული ნაზიმოვი სტავროპოლში წავიდა, სადაც მას მოხუცებული დედ-მამა უცდიდა, ხოლო გახარებული და მოღიმარე კვაჭი და ბესო ისევ პირველი კლასის ვაგონში ჩასხდნენ და ჩრდილოეთისაკენ მოუსვეს.

— თუ ნაზიმოვი დაიჭერს, მეძებონ კიევში... იმას მართლა დადიანი ვგონივარ... კარგად აურიე გზები!.. — ეუბნებოდა კვაჭი თავის ერთგულ მეგობარს და პირად მდივანს ბესარიონ შიქიას.

აქა ამბავი პეტერბურგში გადასახლებისა

ერთ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც კვაჭი და ბესო პეტერბურგში დასახლდნენ. კვაჭმა ადესიდან ჯალილა დაიბარა, რომელსაც ნელ-ნელა პავლაპრიანი, ჩხუბიშვილი და დანარჩენი ამხანაგებიც მოჰყვნენ. კვლავ აღსდგა და გამოცოცხლდა ადესური ოჯახი. ყველანი იშვიათად იხედებოდნენ მეცნიერების ტაძარში და სამაგიეროდ ხშირად მოსჩანდნენ ყველგან, სადაც კი ბლომად მოიპოვებოდა ახალგაზრდა მოქეიფე ხალხი, მეძავი და საეჭვო გასართობი.

კვაჭი დღიდაღამ იზრდებოდა, მწიფდებოდა, ფეურჩქნებოდა, რადგან იქ მუშაობის, დაკვირვების, წაბაძვისა და ფრთების გაშლის ასპარეზი გაცილებით უფრო განიერი იყო, ვიდრე ადესაში.

კვაჭი, ბესო და ჯალილა ერთ ბინაზე სცხოვრობდნენ, ხოლო დანარჩენნი ახლო-მახლო იყვნენ გაბნეულნი. ამხანაგების მუშაობაც თავისთავად ორ ნაწილად გაიყო. კვაჭი წვრილმანზე აღარ ახურდავებდა ნიჭსა და შემოქმედებას. თუ ზოგჯერ დიდ საქმეს „გააიმასქნებდა", ამხანაგებსაც მიიშველიებდა და ნადავლს სამართლიანად გაუყოფდა, ხოლო სხვა დროს, როცა ჩიკონჯილაძე და მისი ბანაკი წვრილ ნადირს გაჰყვებოდნენ, კვაჭი ფარიგებას აძლევდა და შორიდან უწევდა ხელმძღვანელობას.

თანდათანობით საერთო მუშაობაში ყველანი გაილესნენ და დაიხვეწნენ. შერჩევის კანონმა ყველას გაუღვიძა და გამოაჩინა ბუნებით თანდაყოლილი ნიჭი და გემოვნება, ხელობა და ალღო.

ბესო შიქია წინანდებურად დამუნჯებული იყო. თავის სიტყვას ან არ იტყოდა, ან ბოლოში იტყოდა და ჩურჩულით ნათქვამი ათიოდე სიტყვით ზოგჯერ საქმეს მოატრიალებდა, რთულ ხლართს გააშუქებდა და ბნელს გაანათებდა. ბესო სა-

ერთო საქმეში თითქოს არც კი მოსჩანდა, მაგრამ საქმის ყველა ძაფები მაინც მას ჰქონდა თავმოყრილი.

ჭიპი ჭიპუნტირაძე მუდმივ მასხრობდა და სედრაკას ჭორ-ანეკდოტებში ეჯიბრებოდა. ავანტიურის მოწყობისა და ზვერვაში მას ტოლი არა ჰყავდა, სამაგიეროდ არც სკანდალის და ალიაქოთის ატეხვაში ჰყავდა ბადალი. აჩრდილი რომ მოსჩვენებოდა, ან თავის წრიპინი რომ გაეგო, უდიდეს გამძლეობისა და გულცივობის მაგივრად უდროოდ მოსხლტებოდა და განგაშსა და ჭყვირილს ასტეხდა:

— ვიღუპებით!.. დავიღუპეთ!.. თავს უშველეთ!..

ბევრჯერ ჩაშალა უდროო განგაშით ჭიპიმ კოხტად დაგებული ბადე და ბევრჯერ დააფრთხო ზედ ანკესზე მოსული ორაგულები, ბევრჯერ მოხვდა მას კვაჭისგან და ამხანაგებისგან, მაგრამ მაინც თავისი ვერ მოიშალა და პანიკიორობას ვერ გადაეჩვია. ბოლოს, როცა კვაჭმა კარგად გაიგო მისი ხასიათი, იგი სახიფათო აქტიურ საქმეს ჩამოაშორა და მზვერაობა შეუნარჩუნა.

სედრაკა წინანდელზე მეტად ფრთხილობდა და სცაქცახებდა. საქმის დაწყობას, გეგმის შემუშავებას და ნადავლის გაყოფას არ დააკლდებოდა, მაგრამ ხიფათის დროს ან ავად გახდებოდა, ან გადაუდებელს რასმეს მოიგონებდა, ან დაიგვიანებდა და თავს მასხრობით იმართლებდა:

— ვაა, რომელი ვაჟკაცი მე მნახეთ, რომ გამოგდომოდით! ან რა საჭირო ვიყავი? თუ მოკრივე გინდოდათ, გაბომ ჩემზე ნაკლები კრივი არ იცის, და თუ ხანჯალზე მივიდა საქმე, ეგ ხელობაც ჩემზე უკეთესად გეხერხებათ. მე ხაზინადარი ვარ. მე ჩემი საქმე ვიცი, გაბომ კიდევ — თავისი.

ლადი ჩიკინჯილაძე ისევ ძველებურად იცოხნებოდა და ილმურძლებოდა, მუდამ რასმე სჭამდა და მაინც შიმშილს სჩიოდა. „საქმეში“ წინ არ გავარდებოდა, მოვლენას კუდში მისჩანჩალებდა, მაგრამ თუ გარემოება წინ წააგდებდა, ლადი უკან არ დაიხევდა, სხვებს არ ამოეფარებოდა და თავის ხვედრს პირნათლად შეასრულებდა.

გაბო ჩხუბიშვილიც ოდნავ გაითალა და გაშალაშინდა, მაგრამ მაინც წინანდებურად მოუხეშავსა და უდრეკ კამეჩს ჰგავდა. თავისი ტლანქი პირდაპირობით, უტაქტობით და თავგაწევით საერთო ოჯახში მას ხშირად შეჰქონდა არევ-დარევა და

ალიაქოთი. ის მუდამ ბუზღუნებდა და სჩიოდა, მაგრამ ერთგულად ეწეოდა თავის უღელს და კვაჭს ბავშვივით ემორჩილებოდა.

ჯალილა არაფერს თხოულობდა. მუდმივ ბედის მორჩილი იყო, კვაჭს მუდმივ თვალებში შესცქეროდა და ამბობდა:

— ალაჰ სანა ხეირ ვერსინ — ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კნაზჯან! ზალიან ყოჩაღი კასი ხარ, ზალიან დიდი ჩქუანი ხარ.

განგება რამდენსაც მეტს აძლევდა კვაჭს, ის იმდენს უფრო მეტს თხოულობდა, ბედს ემდუროდა და თანაც უჩხიკინებდა, ჰღრღნიდა და სამოთხის ახალ-ახალი კარების გაღებას ლამობდა.

ერთხელ მან კიდევ ერთი ამგვარი კარი შეანგრია და ის ვინმე იპოვა, ვისაც გაფაციცებით ეძებდა.

აქა-ამბავი ახალი „საქმის" დაწყებისა

ვასილიევის კუნძულზე კვაჭს შვიდოთახიანი ბელეტაჟი აქვს, — ძვირფასი ავეჯით, კოხტად და დიდი გემოვნებით მორთული. მის სასადილოს ამკობს მუქი მუხა, „ნატურმორტი" ძველი ჰოლანდიელთა და ფლამანდიელთა მხატვრებისა, მდიდარი კოლექცია კედლის უძველეს თეფშებისა, სევრის ფაიფური და ვენეციური ბროლი.

დიდი დარბაზი კრიალებს და ბრწყინავს. ოთხი სარკე ჭერს სწვდება. კედლების ძირში ოქროსვარაყიანი სკამებია ჩამწკრივებული. კუთხეში ურთხელის საკონცერტო როიალი სდგას. ფანჯარაზე და კარებზე აბრეშუმით ნაქარგი, სქელი, ატლასის ფარდებია ჩამოფარებული. ატლასით და აბრეშუმით არის აკრული კედლებიც, დარბაზს სეროვის, ლევიტანის, მაკოვსკის, რეპინისა და შიშკინის სურათები ამშვენებს და აქა-იქ რამდენიმე „ტიტველი" მოჩანს პარიზის „სალონიდან" წამოღებული.

კაბინეტი და ქვედა სადარბაზო ოთახები ზოგი სპარსულად არის მოწყობილი და ზოგიც ევროპულად. ოქროთი და ხორასნული ხალიჩები. ფრანგული გობელენი. ძველი ბურგუნდული ხავერდი, ქაშირი. ინდური ოქრონემსული. თაროლის მდიდარი კოლექცია და ათასი ხელოვნური ძვირფასი

წვრილმანი. ყველა ოთახში უხვად არის გაბნეული ბროლი, სარკე, ბრინჯაო, მარმარილო და ურთხელი, ბეწვეული და ფარჩა, ტყავეული და ვერცხლი. იმ ოთახებში მოიპოვება უკვდავი ჩელინი, კანოვა, რემბრანდი, ვან-დეიკი, რუისდალი და მრავალნი სხვანი.

ორ მიყრუებულ ოთახში გამართულია წიგნთსაცავი და ბილიარდი.

ზოგჯერ ოთახებში კაჭკაჭივით შავ-თეთრი ლაქია გასხლტება. შემოსავალ კარებში თუთიყუშივით ჭრელი და პირსუსხიანი მეკარე გაყინულა.

კაბინეტში ზის თავადი ნაპოლეონ აპოლონის ქვაჭანტირაძე ძვირფას ბუხარის ხალათში გახვეული და გაზეთის ათვალიერებს, თან ჰავანას სიგარას აბოლებს.

ვეფხის ტყავზე მის ფეხებთან ჩატყვიებული, საზარელი, შავი ინგლისური დოგი და თაფლისფერი უზარმაზარი სენბერნარი გაწოლილან.

დიდკუდა და გრძელბეწვიანი ანგორის თეთრი კატა ფანჯარაში ბუზებს იჭერს, მზეს ეთამაშება და საკუთარ კუდს დასდევს.

საწერ მაგიდაზე აბრეშუმის ფრაკ-ცილინდრში გამოწყობილი ციდისოდენა მაიმუნი ჩაკუნტულა, რომელიც მელნით ითხუპნის პირსახეს და კვაჭს ეპრანჭება.

იმ ოთახსა და კვაჭის გულში სრული მშვიდობა, სრული მყუდროება და სრული განცხრომა ჰსუფევს.

პირადი მდივანი და ერთგული ბესო შიქია ფეხაკრეფით შემოვიდა.

— ა-ა, ბესო შენა ხარ? — ზანტად აიცოხნა კვაჭი: — ამბავი?.. წვრილებია? რა უნდათ? ისევ მათხოვრობენ? გადაყარე კალათში.

— ქი, მარა, კნეინა გოლიცინისა თავის თავშესაფარისათვის დიდ მასკარადს მართავს და გთხოვს დირიჟორობა იკისრო.

— კარგი, მანდ დადე... ვნახოთ, მოვიფიქროთ. თუ არ წავედი, მადლობა გადაუხადე და ხუთასი მანეთი გაუგზავნე.

— პრინცი კობურ-ჰოტელი გპატიჟობთ ვახშამზე.

— აჰ. მომბეზრდა... მადლობა მისწერე, არ სცალია-თქვა.

— თავადი ვოლკონსკი თავის არაბს ჰყიდის და გთხოვს...

— გაანებე თავი. მაგისთანა არაბი ათი მყავს.

— ხვალ იახტ-კლუბში საზეიმო ვახშამია ოსმალეთის პრინცის მეხთარ აზიზის პატივსაცემად.

— კარგი, ხვალ მომაგონე.

— ხვალ ოპერაში სმირნოვას ქალი იცეკვებს და...

— შენ წადი, მომიკითხე და თაიგულიც წაუღე.

— აი კიდევ ერთი წერილი. ტანია პროზოროვისა გწერთ, რომ დღეს საღამოს ათ საათზე ჩემთან „ის" იქნებაო.

— ჩქარა მაჩვენე!

და ბესოს ვარდისფერი აბრეშუმის კონვერტი ხელიდან გამოსტაცა. წაიკითხა, გამოცოცხლდა, გაიღიმა და აღელდა:

— ძლივს, ბესო, ძლივს! ერთი წელიწადია ამას ველოდები. იცი, ბესო, ვისზეა ამ წერილში ლაპარაკი? არ იცი? მაშ გეტყვი: თუმცა მოიცა, მერე გეტყვი... მერე, მერე...

აღელვებული კვაჭი ბოლთას სცემდა. თვალები შემოქმედების ცეცხლით ჰქონდა ანთებული. ტვინი აუდუღდა და გული საგულეში აღარ უდგებოდა.

— კეთილი... კარგი... ახალი დრო დადგა... აბა, კვაჭი, ბედი კარზე მოგადგა და, თუ კაცი ხარ, არ გაუშვა... კაი, ძალიან კაი... ბუტბუტებდა კომბინაციების ცეცხლით გახურებული კვაჭი და თან რაღაც ბალეტს ჰქონდა და მომავალს უღიმოდა, მერმე ბესოს მიუბრუნდა: — დიუროკი, რომ პენცის ავტომობილი მოიმართვან...

— მშვენიერი დარია, ლანდო სჯობია.

— მაშ ლანდო იყოს. შავი ცხენები არ შეაბმევინო. დაფეთებულნი არიან, თეთრები ან წითლები შეაბან, აბა ჩქარა! კამერდინერსაც დაუძახე. — მერმე ტელეფონს დასწვდა: — ალო! ელენე, შენა ხარ?.. ჰო, მე ვარ კვაჭი... დილის კოცნით ვემთხვევი შენს ღვთიურ ხელებს... წუხელი?, რაცხა ოცი ათასი მოვიგე... აჰ, აჰ! მაი ტყვილა უთქვამთ შენთვის, ჩვენი წაჩხუბება უნდა ვინცხას და არ დიუჯერო... არა, ის ქალი მე კი არ გავაცილე, თავადმა ვიტგენშტეინმა წაიყვანა... მე? შენც არ მომიკვდე, არსად ვყოფილვარ, პირდაპირ სახლში წავედი... კარგი, მაგას თავი დავანებოთ. ელენე, დღეს შენთვის დიდი ამბავი მაქვს. გუშინღამ რომე მარგალიტის კოლიე მეიწონე, ხვალვე მოგართმევ. თუ ჭკუით-მოიქცევი... რაო, არავინ გეიგოს?! აპა, პეტერბურგში სწორედ ქართველს დას-

ვამეწ ტელეფონზე, რომ ჩვენი ქართული ლაპარაკი გეიგოს!.. კაი, კაი... მესმის... აპა, მომიცადე სახლში, ეხლავე მოვდივარ. მშვიდობით, ჩემო კარგო! — შემდეგ კამერდინერს ჯალილას მიუბრუნდა: — აბა, ჩემო ჯალილ, ჩამაცვი.

სანამ ჯალილა აცმევდა, კვაჭი გაუხედნავი კვიცივით სტოკავდა და ზოგს თავისთავს, ზოგს კი ჯალილას ეუბნებოდა:

— კარგი დღეა, მშვენიერი დღეა... ილოცე, ჯალილ, რომ ის საქმე კარგად დამისრულდეს... დიდებული დღეა... ვნახავ იმ მოხუცს, იმ წმინდანს და თუ კაცია, გამიჩერდეს!.. გოუძლოს ჩემს ელენეს... არ მინდა ეგ გალსტუკი, არც ეგ... აგერ, ის მომეცი.

ჯალილამ ხელები აღაპყრო და სასოებით სთქვა:

— ალაჰ ილ ალაჰ! ღმერთმა მოგცეს გამარჯვება ჩემს კნიაზს და ჯალილას!

ორი თეთრი ცხენი ინგლისურის ჯიშისა და ინგლისურად შეკაზმული თქარათქურით მიაქროლებს ლანდოს. მეეტლეს გვერდით ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და „გაშტიკინებული“ ჯალილა უზის. ჯერ საზღვაო ქუჩაზე გავიდნენ და მერმე ნევის პროსპექტს გაჰყვნენ. ხალხი თვალს ადევნებს კრიალა ლანდოს, თეთრს რაშებსა და ჭალმით ნახატ ახალგაზრდას, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ თავაზიან სალამს და ეშხიან ღიმილს აბნევს. ტროტუარზე ხშირად ისმის:

— როგორ, არ იცნობ?.. თავადი კვაჭანტირაძე, ნაპოლეონ აპოლონიჩი... მშვენიერი სახელია, განა!..

უთვალავი სიმდიდრე. აქვს: ნავთი, მარგანეცი, სპილენძი, ხუთასი ათასი დესეტინა მამული.

მეორე ჯგუფში ვიღაც ამტკიცებს:

— თურმე ისეთი მარმარილოს ციხე-კოშკი აქვს კოლხიდაში, რომ ამერიკიდან მოდიან სანახავად.

მესამე ჯგუფშიც ერთი ვინმე ირწმუნება:

— მეფის ჩამონავალია. ისეთი სუფთა სისხლი აქვს, როგორც ჩინეთის ბოგდიხანს.

— თურმე შინ ათი ულამაზესი ქალი უზის, სხედან და აქციების კუპონებს სჭრიან.

— სამი დღის წინათ სააქციო საზოგადოების „ანგლოროს“-ის საზოგადო კრება იყო. წარმოიდგინეთ, კვაჭანტირაძეს საკონტროლო პაკეტი მიიტანა და მთელი ის კომპანია

ხელში ჩაიგდო. რაო, აგრეთვე უყო „სალამანდრას“ და „კოსმოსს“? არ მიკვირს... დიდი ფინანსისტია, ამომავალი ვარსკვლავია.

— ამბობენ, სახელმწიფო ბანკის გამგედ მოიწვიესო, ნაგრამ ხომ არ გაგიჟებულა, რომ დათანხმდეს?! თვითონ თუნდ ხუთ ბანკს იყიდის.

— თურმე ერთი ლამაზი ქალიც არ გადარჩა პეტერბურგში, რომ... ხომ გახსოვს ჰერცოგინა კატალონიისა? იმაზე ლამაზი და პატიოსანი ქალი თურმე დედამიწაზე არ მოიპოვება. შარშან პეტერბურგში ჩამოვიდა. მერმე იცი, რა მოხდა? სამ დღეზე მეტი ვერ გაუძლო კვაჭანტირაძეს. დამიჯერე, ნამდვილად ვიცი. ქმარმა გაუგო... დუელი? არა, როგორ გაბედავდა! კვაჭანტირაძე გაფრენილ ბუზსა ჰკლავს...

— ამას წინათ სამი კაცი გაიწვია დუელში და სამივენი ფეხის კოჭებში დასჭრა.

ამ მითქმა-მოთქმაში და კვაჭის გაბერვაში დიდი ხანია მუშაობენ მისი მეგობრები და დაქირავებული აგენტები, რომელნიც კვაჭს გაწვრთნილი და დარიგებული ჰყავდა.

ლანდო სუვოროვის პროსპექტზე გაჩერდა და ხუთი წუთის შემდეგ კვაჭი ხელებს უკოცნიდა ახალგაზრდა ქვრივს, ქართველ მზეთუნახავს, ტანით და თვალით ნამდვილ დედოფალს.

— კარგი, გეყოფა, შე გიჟო... აბა, მიამბე, სად იყავი წუხელის?-მოღალატე, განა!

— გეფიცები, ელენე, რომ...

— ნუ ფიცულობ, არა მჯერა. ეხლა მითხარი, რა საქმე გაქონდა?.. რაო? ამას იქით შენი დედამშვილი უნდა გავხდე? შე ცელქო, ჩემი დედამშვილობა რაღად დაგჭირდა? განა ისედაც შენი არა ვარ?! ჰოოო, მესმის: შენი ნათესავი დავირქვა? მერმე?.. რაო, რა სთქვი? ღმერთო, დამიფარე!.. მაგას როგორ ვიკადრებ?!. იმ პირუტყვს, იმ ჭუჭყიან მუჟიკს უნდა შევუყადრო თავი?!

კვაჭმა ელენეს მოკლედ და ნათლად აუწერა თავის გეგმა და ბრწყინვალე მომავლის სურათი გადაუშალა. ელენე მოლბა და ოცნებას გაჰყვა.

— რა თქმა უნდა, ფული კარგია, საჩუქარიც... ზემო საროულში გარევაც... ძალიან კარგია; მაგრამ... ჰო, ამბობენ...

დიდი ვაჟკაციაო... წმინდანიაო, მაგრამ... განა შენ არ მეყოფი?.. რაო?.. შენზე უკეთესია? რით? როგორ?... კარგი, გაჩუმდი, ბილწო ნუ ხარ... აჰ-აჰ-აჰ!.. მართალს ამბობ? ჭორი იქნება, თორემ... აჰ-აჰა! გზა მაგით გაიკვლია მართლა?.. ღმერთო, დამიფარე! იჰი-იჰ! არ მეკადრება იმ წუნკალთან გავლაც კი, მაგრამ... რაკი მაგისთანა დიდ საქმეს აკეთებ... ვნახოთ.:. დღესვე?! მერმე ეგრე იაფად უნდა გადარჩე? თუ საქმე გაიჩარხა, ბარემ ის პატარა სახლიც მიყიდე, მე რომ მომწონს. ხომ გახსოვს ის სახლი?.. აბა, ეხლა ყურს გიგდებ და დამარიგე.

ქვაჭმა მთელი საათი მოანდომა ელენეს დარიგებას, მერე დარიგებული გამოჰკითხა. მცირე რეპეტიცია მოახდინა, ელენეს ნიჭით აღტაცებაში მოვიდა, კიდევ ათასი დაპირება მისცა და წამოვიდა.

აქა ამბავი წმინდა მოხუცისა და სხვათა ხელისუფალთა გაცნობისა

ნევის სანაპიროზე ერთი მორიდებული, პატარა და თალხი სახლი იდგა. ამ სახლში სცხოვრობდა ქვაჭის მფარველი ხანშესული ქვრივი, მეტად გავლენიანი სეფე-ქალი, „სტატს-დამა და კავალერი მრავალთა ორდენთა“ — ანასტასია პროზოროვისა.

ქვაჭი ამ ოთახში იმდენად გაშინაურებული იყო, რომ იმ დედაკაცს „ტანიას“ ეძახოდა და დაძმურად ეპყრობოდა, ხოლო ის დედაკაცი ქვაჭს „ჩემო აპოლონჩიკ“-ს უწოდებდა და ბედისგან ნამდვილ მფარველ ანგელოზად იყო მოვლენილი.

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გაიყვანა იმ ღვთისნიერმა ქვაჭიკო ბეწვის ხიდზე, რამდენჯერ ამოიყვანა ბნელი და მყრალი ორმოდან, რამდენი დაახარჯა, რამდენჯერ დაითხოვა და რამდენჯერ დაიბრუნა.

ზოგისთვის რომ ყური დაგვეგდოთ, ვინ იცის რამდენ ჭორს იტყოდნენ და გესლიან ენას როგორ მოიქავებდნენ! იმასაც კი ამბობდნენ, ვითომ ქვაჭი კვირაში ორჯერ მაინც უნდა შესულიყო თავის „დასთან“, ვითომ ტკბილეულობასთან და ყვავილებთან ერთად ქვაჭი ათასნაირ ანგარიშებსაც უგზავნიდა,

ვითომ „ტანიას" მოსწყინდა ამ ანგარიშების გასტუმრება და ამიტომ ყოველთვიური თანხა გადასდო „დამმობაზე", ვითომ ქვაჭის ბინაც ტანიას ხელით და ფულით ყოფილიყო მორთული, ვითომ...

ერთი სიტყვით, იმდენი „ვითომ"-და იმდენი „თითქოს" იყო გაბნეული, რომ მის აკრეფას უქმი ჭორიკანაც ვერ შესძლებდა.

ვინც იმ „სტატს-დამას" იცნობდა, იმ ჭორებისას, რა თქმა უნდა, მეასედსაც არ დაიჯერებდა. ისეთი ჩუმი, სათნო და მორწმუნე დედაკაცი იყო, იმდენად სასოიანი, მორცხვი, ლმობიერი და კარჩაკეტილი, რომ იმის გამხდარს, ხნიერს კნაჭა ტანში და ღვთის მადლით განათებულს სულში ვერასოდეს ვერ დაიბუდებდა ხორციელი ან სულიერი მანკი, მრუშობა.

იმ სახლში, ხატებით მორთულსა და სანთელ-საკმევლის სუნით გაჟღენთილს ოჯახში, მხოლოდ ორად მოხრილი სენატორები, უკბილო ჰოფმეისტერ-ჰოფმარშლები, სამოცი წლის ფრეილინები, სტატს-დამები და ისეთი ჩაჩანაკი ეპისკოპოს-არქიეპისკოპოსები შედიოდნენ, რომ იმ სახლის კიბეზე დაუხმარებლივ ვერც კი ახერხებდნენ ასვლას. მათ შორის მხოლოდ „აპოლონჩიკი" იყო ახალგაზრდა, მაგრამ... მაგრამ ეს ხომ ერთ-ერთი გამონაკლისი იყო და ამიტომ, რადაც სამართალი იყო, იმ კაცანეს ერთი ბეწო ჭუჭყიც არ უნდა მიეკარებოდა, მაგრამ...

იმ დღეს ქვაჭი და მისი „ღვთისმოშიში" ელისეს ... ნახევარზე დახურულ ლანდოთი მიდიოდნენ იმ ქუჩის ჩაბნელებულ სახლს და დიასახლისს ტკბილეულობა და ხვავილები მიართვეს, სტუმრები ჩაის მიირთმევდნენ, დიასახლისმა ანასტასიამ ქვაჭსა და მის ნათესავს სტუმრები გააცნო:

— მათი ყოვლად უსამღვდელოესობა მეფის მოძღვარი და სასულიერო აკადემიის ინსპექტორი... მათი მაღალღირსება ლავრის მონასტრის პერმონაზონი ილარიონი... სარატოვის ეპისკოპოსი ჰერმოგენი... გენერალ ლოხტინის ქვრივი... უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი ლუკიანოვი... მათი თანაშემწე საბლერი... სამხედრო მინისტრი გენერალი სუხომლინოვი... სტატს-დამა კუროპატკინისა... ბარონესა ნოლდენი... შინაგან საქმეთა მინისტრი მაკაროვი...

კვაჭმა და ელენემ ყველას ჩამოართვეს ხელი და ყველას დაუსახელეს თავიანთი გვარი. ზოგს ხელზე ემთხვივნენ, დანარჩენებს კი წელმოხრით და მოწიწებით მისცეს ღრმა სალამი. შემდეგ დასხდნენ და ახალ ნაცნობებს თვალი გადაავლეს.

სტუმართა შორის ზოგი ნამინისტრალი იყო, ზოგი — მინისტრი, ზოგიც მინისტრობის მაძიებელი; ზოგი — გუშინდელი, ზოგი დღევანდელი, ზოგიც ხვალინდელი ან ზეგინდელი.

ქვრივის ეკლესიურ სალონში ეპისკოპოსი არქიეპისკოპოსობას ეძებდა, არქიეპისკოპოსი — მიტროპოლიტობას, გენერალ-მაიორი — ლეიტენანტობას, ლეიტენანტი — ადიუტანტობას; პროვინციელი დედაქალაქისკენ იწევდა, ვაჭარი დიდ იჯარას დასდევდა, ბანკირი — კონცესიას, დედაკაცები ქმრებსა და საყვარლებს ჰშველოდნენ, ხოლო საერთოდ ყველანი ტახტისკენ მიილტვოდნენ და ლამობდნენ ერთი საფეხურით მაინც აეწივნათ ზევით.

ამ ხალხის გულის ჯურღმულში უხილავი, შმაგიანი, დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლა ტრიალებდა, ხოლო მათს პირსახეზე და ენაზე მხოლოდ სიტკბოება, დაძმობა, მეგობრობა, ღიმილი, ქრისტიანული სათნოება და ანგელოზური მორჩილება ჰსუფევდა.

„ღვთისმოშიშელმა“ — ლოხტინის ქვრივმა შეწყვეტილი ბაასი განაგრძო.

კვაჭი ამ უცნაურ ქვრივს გაოცებით შესცქეროდა და ყურს უგდებდა. ამას წინათ „ტანიჩკამ“ კვაჭს ამ საკვირველი დედაკაცის ვინაობა უამბო.

ლოხტინის ქვრივი ხნიერი დედაკაცი იყო, მეტად ამაყი, ჭკუიანი, განვითარებული და კარგი ოჯახისა და გვარის ჩამომავალი.

რამდენიმე წლის წინათ ეს ქვრივი „წმინდა გრიგოლის“ პირველ მოციქულად, მის ყურმოჭრილ და მორჩილ მონად გადაიქცა; ყველაფერზე ხელი აიღო — ოჯახზე, ქონებაზე, თავმოყვარეობაზე, ქალურ ქალობაზე, — და უანგაროდ გაჰყვა თავის ახალ მესიას, ბატონსა და ღმერთს. ეს დაავადებული დედაკაცი წმინდა გრიგოლის მოახლეც იყო, მხევალიც და მისი სულიერ-ხორციელი წმინდანობისა და ნამრუშნაბოდვარის საუკეთესო პროპაგანდისტიც. ბოლოს, იმ ხნეულმა დე-

დაკაცმა „მაცხოვარს“ უბედო მეფის უბედურს ოჯახშიც გზა გაუკვლია და ის მოხუცი უნებურად აიყვანა ტახტზე.

შემდეგში მან მეფის კარზე თავის ადგილი უფრო ახალგაზრდას, უფრო ლამაზსა და მოქნილ ვირუბოვას დაუთმო. მაგრამ მაინც არც კარზე აიღო ხელი, არც მხევლობაზე და არც მონობაზე. „წმინდა მოხუცს“ რასპუტინს ის დედაკაცი წინანდებურად მთელს რუსეთში კუდად დასდევდა და ყოველს მის ნაბიჯსა და სიტყვას დღიურში სწერდა.

ეხლაც ყველანი იმას შესცქეროდნენ. „ღვთისმშობელი“ ფეხშიშველი იყო, ტანთ უცნაური ყვითელ-თეთრი კაბა ეცვა, რომელიც ანაფორას უფრო ჰგავდა, ვიდრე დედაკაცის ტანისამოსს. იგი აჭრელებული იყო ათფერი აბრეშუმისა და ატლასის ჩვრებით და თავთ ზიზილპიპილოვანი უცნაური ქუდი ეხურა ოქროს წარწერით:
„ჩემში არს ყოველივე ძალა, ალილუია“.

დროგამოშვებით ქადაგად დაეცემოდა ხოლმე:

— გუშინწინ მესამედ ვნახე ჩვენი მაცხოვარი, — ამბობდა აგზნებული თვალებით და მთრთოლვარე ხმით. — თქვენც გეცოდინებათ, რომ გუშინწინ ღამე „ის“ ჯერ კიდევ გზაში იყო, — მოსკოვიდან მოდიოდა, — მაგრამ მისმა სულმა გასწრო და გამომეცხადა ჩვენი წმინდანი თავით ფეხებამდე თეთრებში იყო, თავზე ღვთის ნათელი ედგა, ერთს ხელში ჯვარი ეჭირა, მეორეში ცეცხლის მახვილი.

— უფალო შეგვიწყალე! — წაიჩურჩულა სამღვრმა და პირჯვარი გადიწერა. სხვებმაც წაჰბაძეს.

— გამომეცხადა და მითხრა: „მოინანიეთ ცოდვანი თქვენნი, მართლმადიდებელნო! მოდის დღე განკითხვის! სთრთოდეთ და ძრწოდეთ, ურწმუნოებო, ებრაელნო და ხალხის სულის ამრევნო!“ მე პირქვე დავემხე მის უწმინდეს ფერხთა წინაშე. მან თავზე ხელი დამადო და მომიტევა შეცოდებანი ჩემნი. თვალი რომ ავახილე, ჩვენი მაცხოვარი ზეცაში მიფრინავდა. მეორე დღეს ჩვენი წმიდანი ჩამობრძანდა მოსკოვიდან. ყველფერი ვუამბე. მითხრა: „დაო ჩემო, ჭეშმარიტად იმ დროს სულით შენთან ვიყავიო“.

ახლა პირჯვარი გადაიწერ... და დამშვენებულ-ჩაცვივნული ტუჩები აამაცუნეს. ყველანი შიშით და ძრწოლით სჩურჩულებდნენ:

— საკვირველი არიან, უფალო, საქმენი შენნი!

— მოსულ არს ჟამი განკითხვისა!..

— შეგვიწყალე, უფალო, და მოგვიტევე ჩვენ შეცოდებანი ჩვენნი!

— ალილუია! ალილუია! ალილუია!

დედაკაცი წამოდგა, თვალნი ზეცას მიაპყრო, კილოს აუმაღლა და აგზნებით და ზეშთაგონებით აბოდდა:

— ჭეშმარიტად გეტყვიან თქვენ: იგი არს წმინდა მაცხოვარი ჩვენი, ზეცით წარმოგზავნილი ხსნად ცოდვილისა ამა ქვეყნისა, ჩვენი წმინდა რუსეთისა. განკითხვად ცოდვილთა, შესამუსრად ურწმუნოთა და დასამყარებლად მარადიულ სანეტარო ცხოვრებისა. — მერმე ცარიცინის ბერმინაზონს ილიოდორს მიუბრუნდა: — ესე არს ძე „მისი" უცოდველი და წამებული, ხოლო მე ვარ ცოდვილი და უღირსი მოციქული მათი და ღვთისმშობელი მარიამი. ძრწოდეთ და მოინანებდეთ ცოდვათა თქვენთა, მართლმადიდებელნო!

ბერმონაზონი ილიოდორი აიმრიზა და ატოკდა, ხოლო სხვებმა იქვე ტუჩები აალმაცუნეს და თავნი თავისნი ჩურჩულით მოიდრიკეს „ღვთისმშობლის მარიამის" წინაშე.

საბლერი და მაკაროვი მას ხელზე ემთხვივნენ. ლვაჭი და ელენიც მიჰყვნენ, თან პირჯვარს იწერდნენ და მოწიწებით სჩურჩულებდნენ:

— უფალო, შეგვიწყალე!

„ღვთისმშობელმა" ოთხივენი გულში ჩაიკრა და ყველანი დაძმური და ქრისტიანული კოცნით გადაჰკოცნა.

— ჭეშმარიტად აღსრულდა წინასწარმეტყველება დოსტოევსკისა, — უთხრა იმ დედაკაცს თვალცრემლიანმა საბლერმა, — რომელიც ამბობდა, რომ რუსეთს დიდის აღრევისა და რღვევისგან იხსნის და ღვთის გზაზე დააყენებს მორჩილი, მცირე ვინმე მირონცხებული სალოსი მუჟიკი, რომელსაც უფალი მდაბიო ხალხიდან გამოარჩევს და მოგვივლენსო.

— ასეთი მუჟიჩოკის მიერ განწმენდილი რუსეთი ცხელის შანთით ამოსდაღავს მთელს ქვეყანას ურწმუნოებას, განკურნავს ეშმაკების იდეებისგან და მთელს მსოფლიოში მახვილით დაამყარებს ჩვენს წმინდა სარწმუნოებას. — დაუმატა გენერალმა სუხომლინოვმა.

— ორი რომი იყო, მესამე რუსეთია, მეოთხე აღარ იქნება! — გაიხსენა ახალი ბიზანტიელების ნაბოდვარი ლუკიანოვმა.

— ურწმუნო ურიები და მათი დაქირავებული სოციალისტები დღე და ღამე ცდილობენ და ოცნებობენ ჩვენი რომის დანგრევას. — აწუწუნდა ცარიცინელი ბერმონაზონი.

— მესამე რომი მარადიულია! მისი დანგრევა შეუძლებელია! ნუ შეშინდებით, მართლმადიდებელნო, ღმერთი ჩვენთან არს! — განაცხადა ცბიერმა ბებერმა მელამ, საბლერმა.

კვაჭმა დრო იხელთა:

— მისმა ბრწყინვალებამ ბრძნული სიტყვა ბრძანა. ნუ შეშინდებით, ნუ დაიჯერებთ მესამე რომის დანგრევას. იგი უკვდავია! კავკასიაშიც თავი წამოჰყვეს ურწმუნოებმა, მაგრამ...

— კავკასიელი ბრძანდებით? — ჰკითხა მაკაროვმა.

— დიახ, იქაური გახლავართ და იქიდან გახლებით. იქაც წაიბილწა და წაირყვნა წმინდა სახელი ჩვენი წმინდა რუსეთისა. რაც რუსეთმა ას წელიწადში ააშენა, უძლურმა და ჩერჩეტმა ვარანცოვ-დაშკოვმა ორიოდე წელიწადში დაანგრია; ძლივს მოვიშორეთ ის ჩუმი მტერნი. სწორედ ამბობენ ჩვენში: კავკასიაში ორი ვარანცოვია: ერთი მუდმივ ზეზეა, მეორე კი ლოგინშიო*. მაგრამ მწოლიარეც არ ისვენებს და ნელ-ნელა ანგრევს რუსულ საქმეს კავკასიაში.

დიდებულებმა უკბილო ღიმილით ჩაიხითხითეს, კვაჭმა კი განაგრძო:

— მადლობა უფალს, იმ უძლური საიდუმლო მასონის გარდა ჩვენს სათაყვანებელ მეფეს მრავლად კიდევ ჰყავს ჩვენში ერთგული მოსამსახურე: ალიხანოვი, ვოსტორგოვი, ტოლმაჩოვი, ნარტანოვი, გრიაზნოვი და ათასნი სხვანი. რევოლუციის ვეშაპს შეერთებულის ძალით მოვჭრით თავს. ეხლა უზრუნველად ბრძანდებოდეთ, არხეინად მოისვენეთ.

ტანიამ ორ თავის მეზობელს რაღაც წასჩურჩულა. ორივენი ერთი წუთით გამოცოცხლდნენ და გაოცდნენ:

— შეუძლებელია!.. მართლა? — მერმე კვაჭის მიუბრუნ-

---

* ნათქვამია თავად ვარანცოვის ძეგლზე და ავადმყოფ ვარანცოვ-დაშკოვზე, რომელიც დიდის ხნობით იყო ლოგინზე მიკრული.

დენემ: — გვიამბეთ, ყმაწვილო, ის ამბავი... თქვენ რომ დადაგჭრეს.

— სათქმელადაც არაა ჰღირს. ბევრი არაფერია, მაგრამ თუ თქვენ მაღალაღმატებულებას ნებავს... რადგან ურიებს და რევოლუციონერებს ხელი აღარ გავანძრევინე და პირი აღარ ამოვათქმევინე, ამიტომ ჩემი თავი ათიათას მანეთად დააფასეს. რამდენჯერმე ჩავუშალე უდიდესი ვერაგული საქმე. მეტისმეტად რომ გავამწარე, ჩემზე ნადირობა დაიწყეს, მაგრამ იმ წუნკლებზე უკეთესი მონადირე მე გამოვდექი. ერთხელ ყუმბარა მესროლეს. გადავრჩი, დავედევნე, სამი მოვკალი, ორი დავჭერი და ორიც დავიჭირე. მეორე ჯგუფმა თოფები დამიშინა. უარესი დღე დავაყენე. მერმე ჩემი მოწამვლა მოინდომეს და ლაქია მომისყიდეს. ვერც ამან გასჭრა. რაღა სიტყვა გავაგრძელოთ. უწყალოდ ვხოცეთ და ვჟლიტეთ ის უწმინდურები. მართალია, მეც დაჭრილი ვარ ფეხში, მაგრამ სამაგიერო ერთიათასად მაინც გადავუხადე.

ტანიამ კვაჭს კინაღამ დაუმოწმა ჭრილობა, რომელიც საამტრედიელი ძაღლის ნაკბილარი იყო, მაგრამ დროზედ იკბინა ენაზე და გაყუჩდა.

კიდევ დიდხანს ილაპარაკა კვაჭმა და იმ ხალხს ბაქიობით, ღიტინით და მალამოთი გული მოულბო და გაუხარა.

ლოხტინის ქვრივმა კვაჭის გვარი წიგნაკში ჩაიწერა, სხვებმა კი დაიხსომეს. ქუჩაში ავტომობილის შხუილი მოისმა.

— მობრძანდება! მობრძანდება ჩვენი წმინდანი და მაცხოვარი! — სასოებით დაიკივლა ღვთისმშობელმა და ფეხზე წამოიჭრა.

სხვებიც აიშალნენ. დიასახლისი და ლოხტინის ქვრივი სირბილით ჩაცვივდნენ კიბეზე.

ორი წუთის შემდეგ ოთახში „წმინდა მაცხოვარი“ გრიგოლ რასპუტინი შემოიჭრა. კვაჭმა თვალი გადაავლო იმ დროის უძლიერეს ადამიანს და გაიხსენა მისი დახასიათება, რომელიც მან ერთ საიდუმლო გაზეთში წაიკითხა იმ დღეს: „ბნელი, რეგვენი, ბრიყვი, ყოვლად უმეცარი, კადნიერი და თავხედი, სულით და ხორცით ჭუჭყიანი, მრუში და ბილწი ცოდვილი მუჟიკი“... „წმინდანი და უცოდველი მოხუცი“... „ზეცით მოვლენილი წინასწარმეტყველი“, „ღერძი, სინიდისი და

მეუფეური ბნელი რუსეთისა". „ყოვლისშემძლე, ნამდვილი პატრიარქი, თვითმპყრობელი და გულთამხილავი გასალოსებული ხალხისა".

ყველანი ზეზე იდგნენ — თავმოხრილნი და მორჩილნი, ყველამ პირსახეზე ღვთის მადლი, სასოება, უმანკოება და მამაშვილური ღიმილი ჩამოიფარა.

რასპუტინი ერთი წუთით შესდგა კარებში.

შუა ტანის კაცი იყო, ჩასხმული და ჩატყვიებული. შავი გრძელი ჯაგარა თმა, ღაუდევრად ნავარცხნი და ზეთნასომი, შუაზე ჰქონდა გაყოფილი. ტუჩები მსუქანი, მსუნაგი და ჩალურჯებული. შუბლი მაღალი, ცხვირი ბრტყელი. ცოცხივით გაცვეთილი შავი წვერი და ულვაში თითქოს განგებ ჰქონდა მიკრული. ტუჩისძირი — შიშველი, პირისკანი შავი, ნაცვეთი და ზეთიანი. ხელები გრძელი და ჩაყანგებული. თითები დაკლაკნილი, ფრჩხილები ჩაობებული და შავარშიანი, თვალები საოცარი და უცნაური: ღრმა, მოლურჯო, მოუსვენარი, ელვიანი და რაღაც იდუმალი და უჩინარი ძალით აღსავსე, მიმზიდველი, გამჭვრეტი, ალერსიანი, უმანკო და ამავე დროს ცბიერი, შორეული და ჩამცვევბელი.

ტანზე შინდისფერი ატლასის რუსული ხალათი ეცვა, „მისი დედის", დედოფლის ხელით შეკერილი და ლურჯი აბრეშუმით მოქარგული. წელზე აბრეშუმით და ოქროს ძაფით ხვეული დიდფოჩებიანი ქამარი ერტყა. ლაკის ნაოჭებიან ჩექმებში ხავერდის განიერი შალვარი ჩატანებული ჰქონდა.

წმინდანმა თითქოს ჩაიცინა:

— მშვიდობა და კურთხევა ღვთისა თქვენდა!

და კუნტრუშით, კლაკვნითა და გრეხვით ჩამოუარბინა ყველას, თან იღრიჭებოდა, სტოკავდა და მოშლილ ხელ-ფეხს „პეტრუშკასავით" იქნევდა. გაუგებარს, უცნაურ რუსულს ლაპარაკობდა და წამდაუწუმ უალაგო ალაგას სასულიერო სიტყვებს ისროდა.

არავინ არ გამოსტოვა: ყველანი გულში ჩაიკრა და ყველანი ძლიერი ტლაშა-ტლუშით დაჰკოცნა. ზოგს ერთხელ აკოცა, ზოგს ორჯერ. ელენე ჩაიბუზნა, წელში გადაზნიქა, სული შეუგუბა, ტუჩები კოცნით გაუცვითა და ხელიდან ძლივს გაუშვა.

ყველანი მოწიწებით და სასოებით ემთხვივნენ ხელზე.

გრიშკამ აკურთხა და ყველას ორიოდე სიტყვა გადაუგდო. სუხომლინოვს ჰკითხა:

— ღვთის მახვილი ხომ გალესილი გაქვს?

არქიეპისკოპოსს ჰერმოგენს მიუგდო:

— ჩვენთან არს ღმერთი! —

ცარიცინელ ბერმონაზონს ილიოდორს გადაუკრა:

— ურიები ვერ მოგვერევიან, დაიღუპებიან!

მაკაროვს მკვახედ მიუგდო:

— დრო გათავდეს!

ელენეს ნუგეში მისცა:

— ეძებე განკურნება ჩემთან, და ჩემო, და მე სადაც გყო შენ...

კვაჭმა ჩაიცინა. ბოლოს, იმის ჯერიც მოვიდა.

— ეძიე და იპოვნი! — გაამხნევა იგი წმინდანმა.

სინოდის ობერ-პროკურორს ლუკიანოვს პირი შეაქცია. პროკურორის თანაშემწე საბლერი ფეხქვეშ ჩაუვარდა, თან სტიროდა და ბუტბუტებდა:

— კურთხევა, წმინდაო მამაო! კურთხევა და სათნოება!..

მოციქულმა ღვთისმშობელმა ქადაგმა საბლერთან ერთად დაიჩოქა, წმინდანს მუხლებზე მოეხვია და ჩექმის წვერი დაუკოცნა. რასპუტინმა ორივენი წამოაყენა, ორივეს კოცნით მოუხოცა ცრემლი, ორივენი ანუგეშა, თვითონაც ატირდა და სხვებიც აატირა. ამ სურათის დანახვაზე ერთმა მეორეს ჩასჩურჩულა:

— ლუკიანოვს გადააყენებენ, სინოდის ობერ-პროკურორად საბლერი დაინიშნება.

მერმე ყველანი დასხდნენ და ტკბილეულობას და სულის საცხონებელ საუბარს მიჰყვეს ხელი.

წმინდანმა ცალ გვერდით თავის მოციქული მოისვა, მეორე გვერდით კი დედოფალის სწორი ელენე, რომელსაც ჯერ მუხლებზე დაუდო ხელი, მერმე თეძოებისკენ გაუშარა. კვაჭმა იმ ხელს თვალი მოჰკრა. ულვაშებში ჩაიღიმა და გაიფიქრა: „გასჭრა! დაიწყო!“

მოციქულმა მასწავლებელს წელზე ხელი მოჰხვია და მიბნედილი თავი მხარზე მიუსვენა.

ელენე ჯერ მორცხვობდა: თავი ჩაჰღუნა, თვალები მილუ-

ლა და გაინაბა. ზოგჯერ თავის შავს ნუშისოდენა თვალებს წმინდანს ლობიოსოდენა ლურჯ თვალებში გაუყრიდა, ელვასავით დაატაკებდა, მერმე ცუღლუტად მოაშორებდა და ხშირს წამწამებს ნისლის ფარდასავით ჩამოიბურავდა და ისედაც შავს თვალებს სულ დაადამებდა.

ბოლოს, თვითონაც გაჰბედა და თვისი ღვთაებრივი თავი წმინდა მასწავლებელს მკერდზე მიადო, თან თვალები მილულა და ჩასთვლიმა.

ყველანი სასოებით შესცქეროდნენ იმ სამებას და უმანკოდ იღიმებოდნენ. ყველამ გულში გაიხსენა და იგი სამება წმინდა სურათის შეადარა — მაცხოვარს, მარიამსა და მართას.

„ელენე უფრო ჰგავს მარიამ მაგდალინელს, ვიდრე ლოხტინას ქვრივი“. — გაიფიქრა კვაჭმა და საამურ კომბინაციებს მისცა თავი.

უცებ წმინდა მოხუცმა კვაჭისკენ დაკლაკნილი შავი თითი გაიშვირა და —

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა.

— თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ, წმინდაო მამაო!

— მაშ, კავკასიელი იქნები... არ მიყვარს... ველური ხალხია... სულ ხანჯალზე უჭირავთ თვალი, „ბასურმანები“ არიან.

კვაჭმა ტკბილად განუმარტა:

— მე ქართველი გახლავართ, წმინდაო მამაო, ქართველები კი მართლმადიდებელნი არიან.

გრიშკამ გაიკვირვა...

— Нешто хрестяне? შენი სახელი?

ნაპოლეონ აპოლონჩიკ.

— ნაპოლეონი? აპოლონი? — კვლავ გაოცდა გრიშკა.

მისმა მოციქულმა ლოხტინის ქვრივმა განუმარტა მას ორივე სახელი.

— მაშ, ორივენი წარმართები, ეშმაკები ყოფილან! ჯვარი აქაურობას! — წამოიძახა გრიშკამ და პირჯვარი გადასწერა ყველს. დიასახლისმა ყურში ჩასჩურჩულა:

— ეგ ყმაწვილი და ეს ქალი ელენე დეიდაშვილები არიან. თუ გახსოვს, ამ ვაჟის შესახებ რამდენჯერმე გვქონდა ლაპარაკი.

გრიშკა უცებ მოლბა:

— ა-ა-ა, აპოლონჩიკ! შენ იბრძოდი კავკასიაში მეფისა და

წმინდა რუსეთისათვის? მაშ გიცნობ, კარგად გიცნობ. დაჭრილიც იყავი, არა? Мне ндравится твое имя. Подь ко мне. Хатишь вина? — და ერთხელ კიდევ გადაჰკოცნა დეიდაშვილები.

კვაჭმა ღვინოზე უარი სთქვა, არა ვსვამო. ფხიზლობა მოუწონეს.

ბაასი რუსეთის ბედსა, ებრაელებსა, რევოლუციასა, მესამე რომსა და მის მსოფლიო ბატონობაზე გადაიტანეს.

ჭაბუკმა დრო მოიმარჯვა და წმინდა მამას თავის ჭკუა, განვითარება და ეკლესიისა და ტახტისადმი ერთგულება ხელისგულივით გადაუშალა.

სტოლიპინი და შჩეგლოვიტოვი ორი უდიდესი ლერძია წმინდა რუსეთისა... „კრამოლა“ ჯერ სავსებით არ არის აღმოფხვრილი, მისი ფესვები ჯერ არ არის ამოგლეჯილი... უწმინდურების ვეშაპი ჯერ კიდევ ჰფეთქავს! ალრევის გველი ჯერ კიდევ იკლაკნება! „ძვირფასი სამშობლო დაგვიუძლურეს... მთავრობაში კიდევ მოიპოვებიან ურიების საიდუმლო აგენტები... ეკლესიაში კიდევ მრავლად არიან ურწმუნონი, მწვალებელნი და წარმართნი... უნდა ეხლავე განიწმინდოს და გაირეცხოს ჩვენი ტურფა ქვეყანა და წმინდა ეკლესია, თორემ არხეინად ვერ დავიძინებთ“.

ბლომად ილაპარაკა ამ საგანზე. ანთებულ ცეცხლს ნავთი გადაასხა და ისედაც დაშინებულნი უარესად დააფრთხო.

„მაცხოვრის“ მოციქული ლოხტინის ქვრივიც კვაჭს აჰყვა, აპრიალდა, აქადაგდა, ისევ წმინდანს ჩაუვარდა ფეხებში და გაჰკიოდა:

— ვიღუპებით! გვიშველეთ!!. წმინდაო მამაო, გვიშველე!!.

საზლერიც აბუტბუტდა. სხვებიც აღელდნენ და აიშალნენ. ასტყდა კვლავ ხვევნა და ტლაშატლუში.

იმ საღამოს რამდენიმე მინისტრის, სენატორის, ელჩის, გუბერნატორის, ეპისკოპოსისა და არქიეპისკოპოსის ბედი გადასწყდა. ზოგნი ქვევით ჩამოგორდნენ, ზოგნი ზევით აცოცდნენ.

სტუმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ.

წმინდანმა ელენე მარჯვნივ ოთახში გაპარა, დიასახლისმა ტანიამ კი კვაჭი მარცხენა ოთახში შეაცოცა.

ერთი საათის შემდეგ ოთხივენი კვლავ შეჰხვდნენ ერთმანეთს. ყველანი უკვე დამშვიდებულნი და კმაყოფილი იყვნენ. ელენე ალანძულიყო და აწითლებულიყო. თმა გაწეწილი ჰქონდა, თვალები ზეთში ამოვლებული. დიასახლისმა და წმინდანმა ცოტაოდენი წაიჩურჩულეს.

— Подь сюда! — დაუძახა ამის შემდეგ გრიშკამ კვაჭის: — Ты мине ндравишся. Хатиш дружбу? Акромя таго будиш мине охранять, патаму жиды и люцинеры больно зло супротив мине имеют. Хатиш? Мотри мене харашо! Ганя, падай икону, клятву будим давать.

ჰკურს კვაჭს რასპუტინის მეგობრობა? რა საკითხავია! კვაჭის ერთი წლის ნატვრა მხოლოდ ეს იყო: ერთ წელიწადს აკაფავდა გზას ამ მოხუცისკენ და მთელ წელიწადს სანთლით დაეძებდა მას, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ იგი რუსეთის ნამდვილი მეფე-პატრიარქი იყო და ხელთ იმ თვალუწვდენ ქვეყნის სრული ძალაუფლება ეპყრა.

ხატი და სახარება მოიტანეს და ერთმანეთს სამუდამო ძმობა და მეგობრობა შეჰფიცეს. მერმე გრიშკამ მოიგონა:

— ურიებს და ლიუცინერებს სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეუტანიათ ჩემზე. მე ვაჩვენებ შეკითხვას!

აიშალა და გაბრაზდა. თვალებით ცეცხლს აფრქვევდა, ზოგჯერ ქალის ხმით წრიპინებდა, ფეხებს აბრახუნებდა და დორბლს ჰყრიდა:

— А, стервы! А, окаянные! А, подлые!

მერმე მელანი და ქაღალდი მოითხოვა, დაჯდა და ნახევარ საათს ოფლში იწურებოდა, ჰხვნეშოდა და ჰკვნესოდა. მეფეს და დედოფალს ყირიმში დეპეშა მისწერა:

Ливадиа, Царям.

Миленкай папа и мама! Вот бес то силу берет окаянный. А Дума ему служит: там много люцинеров и жидов. А им что? Скорее бы Божьего помазаннека долой. А Гучков гаспадин их прихвость, клевещет, смуту делает. Запросы. Папа! Дума твоя, што хошь, то и делаи. Какой там запросы о Григорий. Это шалость бесовская, прикажи. Да! Не каких запросов не надо. Да! Григорий. Да!*

---

* ეს დეპეშა ნამდვილია. სახელ. სათათბიროში შეკითხვა შეიტანეს რასპუტინის შესახებ და ამან გააბრაზა.

ეს ნაჯღაბნი, რომელიც ბატის ნაფეხურს ჰგავდა, კვაჭს გადასცა და უთხრა:

— დეპეშა დღესვე გაჰგზავნე. ეხლა კი ჰაიდა შინისკენ! Хозяюшка! красно солнышко! Пасибо тибе. Дай бох що хорошему! — დიასახლისს ჩაჰკოცნა და ელენეს მიუბრუნდა: — Леночка, сестрица! Подь ко мне, домой!

და კვაჭის ნაჩუქარი თითქმის ხელით ჩაიტანა კიბეზე. ელენე მაგრად მოეხვია წმინდანის კისერს და თავის დაღლილ-მიბნედილი პირსახე იმის გრძელ წვერებში ჩამალა.

სამივენი ავტომობილში ჩასხდნენ.

— Так не гоже, сестрица подь суда! садись сюды!

და ელენე მუხლებზე დაისვა, რადგან ავტომობილში „ვიწროობა" იყო. მოხუცის სახლში რომ მივიდნენ, წმინდანმა კვაჭს მიუგდო:

— აპოლონჩიკ, შენ აქ მოიცადე, შენ კი, ლენოჩკა, ჩემს ოთახამდე გამაცილე! ხვალ ორივენი მოდით, უნდა მოვილაპარაკოთ.

სანამ ზევით წმინდანი ელენეს „შინჯავდა", კვაჭი ქუჩაში იცდიდა. ერთი საათი მაინც გავიდა. ბოლოს ელენე გამოვიდა და ორივენი ავტომობილში ჩასხდნენ.

კვაჭი გულნატკენი და გაბუტული იყო. ელენე იღიმებოდა.

— სიდოური მოხუცია მაი გრიშკა, რომ ერთი თეთრი ბეწვიც არ ურევია თმაში? — ჩაიბუტბუტა კვაჭმა.

ელენემ პასუხი არ გასცა. ისე მივიდნენ შინ, რომ არც ერთს ხმა არ ამოუღია.

კვაჭმა ელენე ოთახში შეაცილა და ჩამოჯდა.

— მაი მეტისმეტია! — წაიბურტყუნა ბოლოს.

ელენე კვლავ იღიმებოდა.

— კარგად გაგშინჯა?.. რა სთქვა; რა გტკივაო? ბრაზით ამოისროლა კვაჭმა.

— სთქვა, მეთევზეს ფეხები სველი უნდა ჰქონდესო — მოუჭრა ელენემ და თან ტანისამოსს იხდიდა, სიამით იზმორებოდა და ისევ ეშმაკურად იღიმებოდა.

— კი მარა... ისთე მალე რავა გაგშინჯა? რა გითხრა?

— სხვა ექიმებს მაინც სჯობია. — გესლით გაჰკრა ელენემ.

— მეც მჯობია?

— შენა? ჰა-ჰა! შენ ჯერ ბავშვი ხარ, კვაჭუნიჯან!

კვაჭი აღელდა:

— აჰ, მაი ტყულია!

— ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს უამბობდაო, აჰა-ჰა! არ მოგწონს? საქმეც გინდა გააკეთო და ჩემი თავიც შეინარჩუნო? ორი კურდღლის მდევარი ორივეს დაჰკარგავსო... რაო? რა სთქვი?.. მაშ, არ სჯავრობ? ჰო, ეგრე სჯობიან. ჭკუიანი კაცი ხარ და უნდა გესმოდეს.

— უჩემოდ აფერი დეიწყო.

— არა, ნუ გეშინიან, ხელიდან ველარ წამივა. ერთად დავიწყეთ და ერთად ვიმუშაოთ, შენ ჭკუით, მე კი... მე თვალებით და ღიმილით. მაშ ხვალ მოდი და მოველაპარაკოთ. დაპირებული მარგალიტები არ დაგავიწყდეს... არა, არა, ეხლა არ შეიძლება!.. დღეს არ შემიძლიან-მეთქი! მეძინება... ხვალ იყოს... რაო?.. თუნდ ეგრეც იყოს: არც შემიძლიან, არც მინდა... თუნდ ეგეც იყოს: გამაძღარიცა ვარ... კარგი, ნუ სულელობ! წადი. დაიძინე, ხვალამდის ყველაფერი დაგავიწყდება... რა სთქვი? შენ გჯობნის თუ არა? დღეს დილით შენვე არ მითხარი, ჩემისთანას ბევრს აჯობებსო?! ჯერ ბავშვი ხარ-მეთქი. წადი, წადი... ძილნებისა!..

გაშმაგებული კვაჭი გარედ გამოვარდა. ბრაზი ახრჩობდა. ერთმა ხვალმა მეორეს ძუ წაართვა. მერმე როგორ! ელენემ კვაჭს — ახალგაზრდას, ლამაზ ჭაბუკს, ღონიერსა და ცეცხლიანს — შეგნებულად და გულწრფელად აჯობინა გრიშკა რასპუტინი!

„ნეტა ღირსი მაინც იყოს! — სჯავრობდა კვაჭი: — ბნელი, უბადრუკი, რეგვენი, ყოვლად უმეცარი, ჭუჭყიანი და ხნიერი მუჟიკი! როგორ მითხრა ელენემ? გჯობნისო! ბავშვი ხარ იმასთან შედარებითო! რაფერ? რით? რა აქვს მისთანა, რომე... ალბათ... — მერმე გაიფიქრა: — მე თვითონ არ წევიყვანე? მე თვითონ არ შევახვედრე? მე თვითონ არ დავარიგე? დღეს მომხდარიყო თუ ხვალ, განა სულ ერთი არ არის? რისა ვღელავ, რისა ვიმტროვ თავს? თუ ურჩევნია, — ერჩევნოს. ქვეყანაზე ლამაზი ქალების მეტი აფერია... ელენე ხელიდან მაინც არ უნდა გოუშვა, თვარა კარგად დაწყებული საქმე ამერევა და დევიღუპები".

მერმე თავის უსაზღვრო გეგმები მოაგონდა და მრავალის ახალს კომბინაციას გაჰყვა. კვაჭის თვალწინ ახალი ქვეყანა და თვალუწვდენი ხელუხლებელი მინდორი გადიშალა, რომელსაც კვაჭი გამოიყენებს, თავისებურად მოჰქარგავს და მოუხვნელს მოიმკის.

ელენე წყვდიადში ჩაიმალა და კვაჭიკოს წეღანდელი ბრაზისა და შელახული თავმოყვარეობის ნატამალიც აღარ დარჩა.

ერთხანს იბორგა, მერმე კი იმ ღამესაც ისე დაიძინა, როგორც ყოველთვის ეძინა — მშვიდად, უმანკოდ და არხეინად.

აქა ამბავი წმინდანის მღვდლისა და მეველისა

მეორე დღეს კვაჭმა ამხანაგები დაიბარა და ყველას ახალი დარიგება და დავალება მისცა. გაბო ჩხუბიშვილს ბესო შიქიას და ჯალილას წმინდანის მისამართი მისცა და უბრძანა, რომ სწორედ შუადღეს სამივენი იქ მისულიყვნენ და შესავალთან კვაჭისთვის მოეცადნათ. შემდეგ ბელადმა ნევის პროსპექტს ჩაუარა, ზოგი რამ სასყიდელი იყიდა და იქიდან ელენეს გაუარა, თან მარგალიტის საჩუქარი და ყვავილებიც წაუღო.

ელენე თითქოს უფრო გალამაზებულიყო, გაფურჩქნულიყო. ძვირფასი საჩუქარი მაშინვე ყელზე შეიბა. სიხარულისგან ფეხზე ვეღარ სდგებოდა, ხან სარკის წინ იპრანჭებოდა, ხან კვაჭს კისერზე ეხვეოდა, ჰკოცნიდა, იცინოდა, სცქმუტავდა და ტიტინებდა:

— მაშ, გეწყინა წუხელის? — შე ცელქო, შენ თვითონვე არ დამარიგე?.. მაშ, აღარ გწყინს? დამშვიდდი?.. ეგრე სჯობია, დაივიწყე. განგებ გითხარი და გაგაბრაზე, თორემ ის წუნკალი შენ როგორ გაჯობებს! სხვა რომ არა იყოს რა, ის მუჟიკი ორჯერ შენზე უფრო ხნიერია... ფიჰ! ჰუჰყიანი, პირდაუბანელი! ფიჰ! სანთლის და ზეთის სუნი ასდის... ეხლავე წავიდეთ? მზადა ვარ.

ათი წუთის შემდეგ კვაჭის „მერსედესი“ გოროხოვის ქუჩაზე გავიდა და წმინდანის ბინას მიადგა. ბესო თავის მხლებლებით უკვე კარებთან უცდიდა.

ყველანი ზევით ავიდნენ. კიბე ხალხით იყო გაჭედილი. ზოგიც თავის ჯერს ქუჩაში უცდიდა.

წმინდანი ვიღაც გენერალს სტუქსავდა. კვაჭის და ელენეს დანახვაზე მოსხლტა და ორივენი გულში ჩაიხუტა.

— Сиди и мотри, я чичас! — მიუგდო კვაჭს და ელენე მეორე ოთახში შეიტაცა, და როცა ალანძული გამოვიდა უკანვე, კვაჭს უთხრა:

— Сиклытарем будишь у мене. зави хто поважней да почище будит.

კვაჭი მდივნობას შეუდგა. ბესო შიქია თანაშემწედ დაიყენა, ჯალილა კარებში ჩააყენა, ხოლო ჩხუბიშვილს და დანარჩენ ამხანაგებს მზვერაობა მიანდო, ვინაიდან იმ წმინდა მოხუცს ათასი მტერი ჰყავდა და ხიფათი მუდმივ თავს დასტრიალებდა.

ასმა კაცმა და ქალმა მაინც გაიარა იმ დღეს გრიშკას კაბინეტში. ვინ, საიდან და რისთვის არ მოსულიყო ამ სასწაულთ-მოქმედთან! ვლადივოსტოკიდან და ვარშავიდან, ათონიდან და ტაშკენტიდან, სოლოვეციდან და უცნობ ჯურღმულებიდან — გენერალი და გუბერნატორი, ბერი და ვაჭარი, ბანკირი და ვექილი, გლეხი და მონოზანი, მღვდელი და მოხელე.

ზოგი წარმატებას ეძებდა. ზოგი სუფსიდიას. ზოგი გადაყვანას, რიგი სამართალს და რიგი განკითხვას. წმინდანმა ჯერ სუფთა ხალხი და ლამაზი ქალები გაისტუმრა, მერმე კიბეზე ჩაირბინა, ზოგს მანეთიანი ჩაუდო ხელში და ზოგს სამიანი, თან ჰყვიროდა:

— Молись за царей и меня!.. Некогда, некогда! Вот сыклытарь, скажи яму, ежели чаво надости. — შემდეგ ქანცგაწყვეტილი დაეცა ატლასის სავარძელზე და ამოიხვნეშა: — Уф! Черти полосатые! Стервы! Замучили!

კვაჭმა იმ დღეს ბევრი საოცარი სანახაობა ნახა. მოუხეშავმა მოხუცმა საკვირველი მოქნილება და გამოცდილება-გამოიჩინა. ძლიერსა და უძლურს, გამოსადეგსა და გამოუსადეგარს ერთი შეხედვით არჩევდა და ყველას თავის ხვედრს უძღვნიდა: ზოგს სიხარულით, პატივითა და ხვევნა-კოცნით უხვდებოდა; ზოგის წინაშე ქედს იხრიდა, ელაქუცებოდა და ეღრიჭებოდა; ზოგისთვის ორს უკმეხ სიტყვას ძლივს იმე-

ტებდა; ლამაზ ქალს უნუგეშოდ არ გაუშვებდა: დაძმურად ჩაიკრავდა და ჩაიხვევდა. თუ ქალი ავადმყოფობას იჩივლებდა, გრიშკა იმ ქალს გასაშინჯავად და სამკურნალოდ ცალკე ოთახში გაიყვანდა, ან იმ ქალის მისამართს კვაჭს ჩააწერინებდა. ზოგჯერ გრიშკა ათიოდე სიტყვის დაწერაზე ნახევარ საათს იწურებოდა და ბოლოს ისეთ გაუგებარს დასჯღაბნიდა, თითქოს იმ ქაღალდზე ფეხმელნიან ქათმებს დაევლოთ და თავიანთი ნაკაკანევი ჩაეწერნათ.

კვაჭის დარიგება ბესომ ზედმიწევნით გაიგო და ერთ კვირაში სავსებით შეასრულა: იმ დღეს კვაჭის სახლს „ზღვა ხალხი“ აწყდებოდა. ის „ზღვა ხალხი“ წმინდანის მუშტარი იყო.

კვაჭი ჭკუით მოიქცა: გრიშკას ბოსტანში მინადენი წყალი ერთ კვირაში მოსწყვიტა და თავის არხში გადმოაგდო.

იმ მუშტარმა გაიგო, რომ წმინდა მამასთან მიმავალი გზა კვაჭის ბინაზე გადიოდა, ამიტომ ბარათის ასაღებად ჯერ კვაჭთან მიდიოდნენ, სალოცავისა და შესანდობარის დიდს ნაწილს იმას სწირავდნენ და მისი უწმინდესობისგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად ბესოს ბარათით მიდიოდნენ რასპუტინის ბინაზე.

წმინდანის დასაცავად კვაჭის მეგობრები რიგრიგობით დადიოდნენ და მთავრობის აგენტებს ქიშპობას უწევდნენ. უნდობი და შიშნაჭამი წმინდა მოხუცი იმ დღიდან არხეინად იძინებდა და მადლობის საბაბს ეძებდა, რაც მიხვედრილმა კვაჭმა ორ კვირაში მიართვა.

აქა კვაჭმა ახალი დიდი საქმეები „გააიმასქნა“

კვაჭისა და რასპუტინის დამეგობრება რამდენიმე დღეში მთელს ქალაქს მოედო. ეს ამბავი ყველაზე ადრე ხელისუფლებამ და საქმის კაცებმა გაიგეს. კვაჭის ბინას ეზოდან „ზღვა ხალხი“ აწყდებოდა, ხოლო რჩეულნი და პატიოსანნი მარმარილოს კიბეზე ადიოდნენ და თავიანთ რიგს მოოქროვილ სკამებზე უცდიდნენ.

ბანკირმა განუსმა კვაჭის ბინას სხვებზე ადრე მიაგნო, ჯერ ბესოსთან იჩურჩულა და მერმე კვაჭთან შევიდა, შევიდა და მოკლედ მოუჭრა:

— მე საქმის კაცი გახლავართ და დროს მეტად ძვირად ვაფასებ. ვიცი, რომ არც თქვენ ბრძანდებით უსაქმო. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ. ათიოდე დიდი საქმე მაქვს. ვიცი, რომ თქვენ შეგიძლიანთ დახმარება გამიწიოთ და ეს საქმეები დაამთავროთ, რისთვისაც..., თავისთავად ცხადია... შრომა უეჭველად უნდა დაფასდეს.

მიჰყვნენ და ორ საათს მსხვილი და თავსატეხი საქმეები ზომეს და წონეს. მერმე შეთანხმებას ხელი მოაწერეს. ხელი ხელს მისცეს, ერთმანეთს გაუღიმეს, ქათინაურები უთხრეს და გამარჯვება უსურვეს.

ბესომ მეორე საქმის კაცი შემოიყვანა — თავის მიერ ნაპოვნი ვინმე გინცი, მოხუცებული ებრაელი, რომელიც კვაჭის ოთახიდან სამი საათის შემდეგ გავიდა.

ამის შემდეგ კვაჭმა დრო იხელთა და გრიშკას თურქესტანის არხებზე ჩამოუგდო სიტყვა.

— მე რამდენი მერგება? მიახალა კვაჭს გრიშკამ: — Три тыщи будит?

კვაჭს ასეთი იაფობა გაუხარდა. გრიშკა ტელეფონს ეცა. ჯერ ერთი მინისტრი გამოიწვია, მერმე მეორეს დაუძახა და ორივეს უთხრა:

— Мама и папа очинь жилают ефто святое дело. Аполончик будит у тебе, все скажит, а ты сделай, как он прикажит. Да! это хочу я! да!.. Чаво? на Капказ? Чичас об эфтом диле телиграм напишу папеньке и маменьке.

დაჯდა და ნახევარ საათს ჰხვნეშოდა და იწურებოდა. დეპეშა პირველი:

Ливадия. Царям.

Папа мои миленькаи и мама. Кого послать на Капказ, покою вам нетути. А вот дорогой епископ Тобольской Алексей хоть куда*. Ему и место на Капказ. Пошлите его. Это я очинь жилаю. Он мине ласкает. Понимаст подвиг. Честь ему нужну оказат. Верный везде верный. И на Капказе он будит нашим другом. Да, я! Григорий! Да!

დეპეშა მეორე:

---

* რასპუტინს თხოვნა შეუსრულეს და ეს ალექსი საქართველოს ეგზარქოსად დანიშნეს. 1908 წ. იგი ტფილისში მოჰკლეს.

Миленька! Бесы напали на отца Ивана**. Икону на него, А вы не слушаите. Хоша она и базарская, а всеровно святая. как принять и еще боле. А Восторгову награду на Капказ и Сибирь. Враги пусть плачут. Да, я! Григорий. Да!

ორივე დეპეშა კვაჭს ჩააბარა გასაგზავნად და დაუმატა:

— Вишь, как капкасских ласкаю. Только Воронцов пакостник, все люцинерам, жидам, жидам да ормяшкам тянит. Да, добирусь до ниго. А ты тилиграм ни покизывай, да ни болтай зря. А то мотри у мине!

გრიშკამ კვაჭს თითი დაუქნია და გააფრთხილა. კვაჭმა ერთხელ კიდევ შეჰფიცა ერთგულება, ვოსტორგოვი და ალექსი შეაქო, ადიდა და სუხომლინოვის და კრივოშეინის სანახავად წავიდა.

ელენე გრიშკამ არ გაუშვა, კიდევ უნდა ვუწამლოო.

მეორე დილით კვაჭი ჯერ ბანკირ განუსს ეწვია.

— მზად გახლავთ. აი წერილიც, ეხლავ მოვრიგდეთ.

მორიგდნენ, დასწერეს და შეთანხმებას ხელი მოაწერეს. კვაჭმა ტელეფონს დაავლო ხელი.

— ალო! ვინ ლაპარაკობს?.. მათი აღმატებულება? თავადი კვაჭანტირაძე გელაპარაკებათ... რა ბრძანეთ?.. არ მიცნობთ?.. როგორ არ მიცნობთ, გუშინ ჩვენი წმინდა მამა ტელეფონით გელაპარაკათ ჩემზე. მოგაგონდათ? წერილიც მაქვს თქვენთან ჩვენი წმინდა მამისაგან... დიაღ, დიაღ... კეთილი, ეხლავე გეახლებით.

ნახევარი საათის შემდეგ კვაჭი ფინანსთა მინისტრის კაბინეტში რუსეთის რუქასთან იდგა და გატაცებით ლაპარაკობდა:

— წინანდელი იმპერია თემურ ლენგისა დღევანდელი თურქესტანი, იდესღაც ჰყვაოდა და ას მილიონ ხალხს ჰკვებავდა. ეხლა კი იგი უდაბნოა და ხუთი მილიონიც ვეღარ გამოუკვებნია. აბა, გადაჰხედეთ ამ განუზომელს, თვალუწვდენელ უდაბნოს. ხუთი საფრანგეთი გამოიჭრება. იგი უნდა მოვრწყათ, გადავხნათ, ავაყვავოთ და ჩვენი ხალხი დავასახლოთ. რა არ მოდის აქ: თამბაქო, ბამბა, ბრინჯი, მშვენიერი

** ივანე ვოსტორგოვია ნაგულისხმევი, რომელიც იმ დროს ერთს მეტად ჭუჭყიან საქმეში ჩაერია — ყალბი ხატი განზრახ უძველეს ხატად გაანაღდა.

ხილი, საუცხოვო ღვინო, კანაფი ქანდირი, ქიშმიში და აბრეშუმი. ეხლა ზოგი ნედლი მასალა ამერიკიდან და სპარსეთიდან მოგვაქვს, მერმე კი ჩვენ თვითონვე გავიტანთ უცხოეთში. თურქესტანი ორას მილიონსაც ადვილად დაიტევს. დავასახლოთ იქაურობა, ავაყვავოთ, გავარუსოთ და გავანთლოთ. ორ-სამ წელიწადში ჩვენს სავაჭრო ბალანსს შევასწორებთ. რა იქნება ათი ან ოცი წლის შემდეგ — ამას ვინ მოსთვლის! ეხლა კი ეს ქვეყანა უნდა მოირწყას. ამისთვის საჭიროა ოთხასი მილიონი. ხაზინას იმდენი ფული არა აქვს. ჩვენ კი გვაქვს და უნდა ხვალვე შევუდგებით მუშაობას... მოვილაპარაკოთ, შევთანხმდეთ... დიაღ, ყველაფერი მზად გახლავთ, მოხსენებაც, გეგმებიც და ხელშეკრულების პროექტიც.

დიდხანს ილაპარაკა კვაჭმა და თავის მადლიანის ენით და გრიშკას ნაბლაჯნით თითქო დააჯერა ის ჭკუიანი, დინჯი და თავდაჭერილი მინისტრი. ბოლოს, მინისტრმა უთხრა:

— მომწონს, ძალიან მომწონს. დღესვე შევისწავლი მასალას და ზეგ დავნიშნავ სხდომას. ამ საქმეში მიწადმოქმედების და სამხედრო მინისტრებს დიდი გავლენა ექნებათ. თუ წინააღმდეგობა არ გაიწიეს...

— არხეინად ბრძანდებოდეთ, არ გაგიწევენ! — გააწყვეტინა კვაჭმა, რომელსაც უკვე ხელთ ჰყავდა იქაურობა.

— თუ მეფის ნებაც იქნება... — ფრთხილად მიუგდო მინისტრმა.

— იქნება, უეჭველად იქნება! — დაუბეჭდა კვაჭმა.

— მაშ, საქმე თითქმის გათავებულია. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მომიკითხეთ ჩვენი წმინდა მამა, ხელზე ემთხვიეთ ჩემს მაგიერ და გადაეცით, რომ მისი სურვილი კანონია.

— დღესვე ვნახავ და ყველაფერს გადავცემ. მართლა, — გაკვრით შეატყობინა კვაჭმა — გუშინ ერთ ოჯახში გახლდით მე და ჩვენი სულიერი მამა. ვიტეც იქ იყო. ჩვენ წმინდანს ძალიან გაუარშიყდა, მაგრამ... — თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ, — მე და ანასტასია პროზოროვსკიმ შესაფერი ზომები მივიღეთ და თქვენი პოზიცია საბოლოოდ გავამაგრეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— დიდი მადლობელი ვარ, თავადო, დიდი. ნუ დამივიწყებთ, თავადო, ოჯახში მეწვიეთ. დიდს პატივს დამდებთ.

ორივე ხელით ჩამოართვა ხელი და სილიბისტროს კვაჭიკო ღიმილით, ბოდიშით და მადლობით ჩააცილა კიბემდის.

აქა ამბავი წმინდანის დაშინებისა და სხვათა დაბეზღებისა

წმინდა გრიგოლის გაცნობის პირველივე დღიდან კვაჭმა ერთი ხერხი დაიჩემა: რასპუტინს ხანგამოშვებით ვინმე მგზავრს აჩვენებდა და ეტყოდა:

— ეს კაცი თქვენ თვალყურს გადევნებს და უფრთხილდით.

წმინდა მამაც დაფეთდებოდა, კვაჭს უარესად მოეჭიდებოდა და ზედ მიეკვრებოდა, ხოლო კვაჭი ამშვიდებდა და გულს უმაგრებდა:

— ნუ შესწუხდებით, მამაო, წმინდავ, ჩემს დაგეშილ მეძებრებს არაფერი არ გამოეპარებათ. მხოლოდ უმორჩილესად და მოწიწებით გთხოვთ, რომ თქვენი ნებით არსად წაბრძანდეთ და არც არავის გაჰყვეთ.

წმინდანი კვაჭის ნებას მისდევდა და იმის დაუკითხავად არც ვინმეს მიიღებდა, არც სადმე წაჰყვებოდა. კვაჭსაც სწორედ ეს უნდოდა. წმინდა გრიგოლს ივერიის ხატივით დაასვენებდნენ მთელს რუსეთში, რასაც შესაფერი შემოსავალი და გამორჩენა მოსდევდა, რომელიც კვაჭის ხელში იყრიდა თავს. თუ გრიგოლი მამაცობას ან ურჩობას გამოიჩენდა, ჭიპუნტირაძე იმის ბინას ასე აუვლ-ჩაუვლიდა და დაათვალიერებდა, თითქოს წმინდანს უთვალთვალებსო, ხოლო კვაჭი წმინდა მამას სარკმელთან მიიყვანდა, ჭიპუნტირაძეს დაანახვებდა და ეტყოდა:

— აი, ეს კაცი თქვენ გადევნებს თვალყურს, მაგრამ ნუ შეშინდებით, წმინდაო მამავ! საქმე ისე მაქვს მოწყობილი, რომ ამ ბინაში ბუზიც ვერ შემოფრინდება. ოღონდ დღეს ნურსად წაბრძანდებით, თორემ...

ის წმინდანიც ბავშვივით ემორჩილებოდა კვაჭს და იმის ქარნახით სცხოვრობდა.

ერთხელ კვაჭმა რასპუტინს ყოველდღიურ ულუფასავით ჩააწვეთა ყურში:

— ძვირფასო მასწავლებელო! ერთგულების ფიცი მაქვს დადებული, ამიტომ უნდა გაგაფრთხილო: ილიოდორი, თეოფანე, ჰერმოგენი და მრავალნი სხვანი გმტრობენ, შენი დაღუპვა უნდათ.

და აქა-იქ მონაგავი ბორი და ნაშდევილი მიართვა.

გრიგოლი აიმღვრა, აღუღლდა, ადუღთქდა.

— А, стервы! а, подлые! а, окаянные! а, гадина, Илиодоруша! Я те дам! — ეგ გველები მე გამოვიყვანე ხალხში, მეფის კარზედაც მე მოვიყვანე. რამდენი საჩუქრები მივაცემინე! ორჯერ ჰქონდათ გადაწყვეტილი უდაბურ მონასტერში გადასახლება-და ორჯერვე მე გადავარჩინე. ჰოი, უმადურნო! ჰოი, ქვემძრომნო! მაგათი გულისთვის სტოლიპინიც კი მოვიმდურე, ხალხიც გადავიკიდე!..

მერმე დაჯდა და დაიწერა:

Царское село. Царю и царице.

Миленькай папа и-мама! Вот миленькие владыки как беса то поразили. Бунтовчиков помазанека Божьяго покарали. Оно и правильно. Теперича нужно их паласкать. Награду им. Только не сразу всем, а так одому, а, опослядругому, а то собаки Гермоген и Илиодорка лаять будут. Да, нужно! Это пишу я, Григорий. Да! За подвиг надо ласкаты! Да.*

კვაში მიხვდა: გრიშკას უნდოდა სინოდის მორჩილი წევრების დასაჩუქრება და ურჩი მღვდელმთავრების დასჯა.

— ეს „ტილიგრამი“ ესლავე გაგზავნე. ეს ერთია, სხვა ათასი იქნება. ყველას უდაბნოში დავალპობ! ისე დავამშიო, რომ ძაღლის ხორციც კი ენატრებოდეთ! А ты, Апалончик, мотри в оба! — იარე იმათთან, ლაპარაკში ჩაითრიე, ყველაფერი გაიგე... რა სთქვი? ტაძარი უნდა ააშენო? А пять тыщи будит? კარგი, ხვალვე გავათავებ მაგ საქმესაც. მოემზადე, ხვალ მეფე-დედოფალს გაჩვენებ... აპოლონჩიკ, იფიქრებდი ოდესმე ასეთ ბედნიერებას? არა, განა! დაიხსომე და

* რასპუტინი ბერმა ილიოდორმა და ეპისკოპოსმა გერმოგენმა წასწიეს წინ, შემდეგ კი მოსისხლე მტრებად გადაექცნენ. რასპუტინმა აჯობა. გერმოგენი შორეულ მონასტერში აღკვეთეს, ილიოდორმა კი მოასწრო უცხოეთში გასვლა და რასპუტინზე წიგნი გამოსცა, რომელმაც ნიკოლოზ მეფეს და დედოფალსაც დიდად გაუტეხა სახელი.

დამაფასე. შენც ილიოდორივით უმადური არ გამოდგე. თორემ... мотри у меня!

კვაჭი მოწიწებით ემთხვია ხელზე, მერმე მთხოვნელები შემოუშვა.

დაიწყო ჩვეულებრივი ლაქუცი, ხვევნა-კოცნა, ფეხქვეშ ჩავარდნა, ქება და დიდება, ლოცვა და ცრემლი, კივილი და ქადაგად დავარდნა, შემოწირულება და... მკურნალობა ლამაზთა ქალთა, განძევება ეშმაკთა და სულთა სნეულთა.

შემდეგ კვაჭი შინ დაბრუნდა.

— ბესო, რა ამბავია?

— მშვიდობა, დღეს ორასი კაცი იყო ბილეთების საალებად.

— კიდო? განუსი ან გინცი ხომ არ იყვნენ?

— გინცმა ტელეფონით დაგირეკა. როცა დაბრუნდეს, დამირეკოსო.

— კიდო რა ამბავია?

— ჩვენი რეპორტიორი კნულმანი ვერ ასწრობს გაზეთებიდან ცნობების ამოღებას, აქციების და კუპონების მოჭრას.

— ერთი ლამაზი ქალი დეიქირავე. მართლა, წამკითხველიც მინდა. იგიც ლამაზი იყოს თვარა თუ მისი შეხედვა შემეზარა... კიდო?

— ადესაში რომ ყორანაშვილი იყო, ხომ გახსოვს? რაცხან წიგნი დოუწერია გამოცემას თხოულობს.

— გოუგზავნე ათასი მანეთი, მაგრამ წიგნს ჩემი გვარიც წააწეროს.

— ოთხი სტუდენტი სტიპენდიას თხოულობს.

— დოუნიშნე თითოს სამოცი.

— გელათის შესაკეთებლად თხოვილობენ...

— გოუგზავნე ათასი...

— „რუსკოე დელო" რაცხას ილანძღება. რაცხას გვემდურება. აი აქინე სწერია.

— არ მცალია ვინცხა ჟულიკის ნაჩხაბნის წასაკითხად, იპოვე მაი წერილის ავტორი და სამასი ან ხუთასი ჩასჩარე ბირში. თუ გაჯიკავდა, უთხარი, რომე ციმბირი აქეთ დავრჩენა-თქვა, ჯერ კი ათიოდეჯერ წოუთაქეთ.

— „დილა"-ში შენი სურათი დოუხატიათ და დიდი ქებაც დოუწერიათ.

კვაჭმა ის წერილი წაიკითხა. პირსახე აუთამაშდა და გული აუფანცქალდა, თუმცა უკანასკნელ დროს თავის სახელის ქებას და გაბერვას უნდა შესჩვეოდა, რადგან მოხერხებული კბულმანის თაოსნობით ასეთი განდიდება ყოველდღე იბეჭდებოდა. იმ წერილში უხვად იყო გაბნეული გულის მალამო და მოსაფხანი სიტყვები: „ამომავალი მზე“... „გენიოსი ფინანსისტი“... „დაუშრეტელი ენერგია“ და „გულუხვი, განათლებული მეცენატი, მფარველი და მეგობარი ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერებისა“.

— გაზეთს რაცხა განცხადება და ათასი მანეთი გოუგზავნე. ავტორს... რას იწერება?.. ჰმ, განათლებიზა პარიზში უნდა წავიდეო, გზის ფული მინდაო? იაფად დოუფასებია კალამი. სამასი. კიდო რა გაქვს ბესო?

— ტფილისიდან იწერებიან, ამხანაგობა უნდა დავაარსოთ ქართული გაზეთის და წიგნების გამოსაცემადო, ამიტომ...

— აჰ! აჰ! — გააწყვეტინა კვაჭმა და რამდენჯერმე ჩაიქნია ხელი. — გადააგდე კალათში! მოუცლიათ მკვდრებიზა!

— მამაშენი სილიბისტრო იწერება, აქინე ცხოვრება მომწყინდა, მუდმივ შიშში ვარ, ხალხში ვერ გავსულვარო...

კვაჭი წამოხტა, შუბლი შეიკრა.

— რა ვქნა, ბესო, რა ვქნა? მაშინ რომე მცოდნოდა... მაგრამ გვიანღაა აწი ლაპარაკი. რა ვქნა აწი? ერთი ორად დოუბრუნებ „სალამანდრას“ იმ ფულს. მარა აი მკვდარი სილიბისტრო რავა ვაჩვენო ხალხს?

— ხალხმა რაცხა იცის, რაცხას ლაპარიკობენ.

— ვიცი, რომე ლაპარიკობენ, მარა რავა დავანახო გაცოცხლებული მკვდარი? გამიცინებენ. თელი ქვეყანა დამცინებს. — და ჩაფიქრდა, ღრმად ჩაფიქრდა და ბოლოს, გადასჭრა: — აჰ, მაგი რავა შეიძლება! ქუთაისში დაბრუნება შეუძლებელია. მისწერე: თუ უნდათ, — თითქმის არავინ იცნობს აქინე, — შევიდნენ და იცხოვრონ, მარა სილიბისტრო მაინც მკვდარი უნდა იყოს, ისევ შაბურიანცის პასპორტით უნდა იცხოვროს. როცა ამოვლენ, ყოლიფერ დარიგებას მივცემ. შენ, ბესო, ხვალვე უშოვე ბინა მიყრუებულ უბანში. შეიარე „სალამანდრა“-ში და იქინე ვინცხა აგენტი გეიჩინე, რომე დროზე შემატყობიოს, თუ იქინე გეიგეს რამე, ავერი საქმე არ დეიწყონ... არ მეშინიან, მაშინვე დოუბრუნებ იმ

ფულს წარგებლით და გავაჩუმებ, მარა მაინც წინათვე რომ შევიტყობდე, უმჯობესია. ასთე ქენი: აწი მაცალე ცოტა ხანს.

თექვს ხალიჩით გადაკრულ სავარძელზე მიწვა, აზრები მოაკრიფა, ტვინი აამუშავა და ჯერ ერთი ძაფი გაჭიმა, მერმე მეორე, მეათე, და მალე გაიშალა და გაიფურჩნა რამდენიმე ახალი კომბინაციის ბადე.

— განუსისგან ზევ ერთ მილიონს მივიღებ... ბირჟაზე გავიტან, „ანგლოროსის“ აქციებს გავყიდი... ამავე დროს ჩუმჩუმად ისევ მე ვიყიდი... საკონტროლო პაკეტს შევივსებ... „კოსმოსს“ რაცხას მოვუგონებ, გაზეთს ავალაპარაკებ, აქციებს ავწევ, გავბერავ, გავყიდი... გრიშკასაც დავიხმარებ, ტანიასაც უნდა მივაჩეჩო ასე ათასის აქციები თორემ... ვანციც დამეხმარება, განუსიც, მენდელსონიც... ონკალის ანგარიშებს მომიმატებენ, მერმე თავში მივახლი იმ აქციებს... კავკავის გზა არ იქნება გამოსყიდული, ტანიამ ნამდვილად იცის... აქციები ფასდაცემულია გზის გამოსყიდვის შიშით... ხვალვე ვიყიდი ასიოდეს...

კიდევ მრავალი კომბინაცია მოიფიქრა და მოისაზრა, მოქმედების გეგმაც შეიმუშავა და ყველაფერი რიგზე დაალაგა.

— ალო! ვინ ლაპარაკობს? გინცი? ვახლავართ აბრამ მოისეევიჩს. ბრძანეთ... რაო? შეუძლებელია!.. მაშ ასი აქცია მაინც დამიტოვეთ, რაო?.. დაუჯერებელია! აჰა-ჰა! გამოაგდო?.. კიბეზე დააგორა?.. აჰა-ჰა!.. რაო? თავზე გადაასხაო? აჰა-ჰა! ხვალ არკადიაში? კეთილი, გეახლებით... ელენეც?.. როდის დაბერდებით, როდის დამშვიდდებით?! კარგი, კარგი, მოგიყვანთ, სამაგიეროდ კლავას დამითმობთ, არა? კეთილი... აბრამ მოისეევიჩ, ეკლესიებს არ აშენებთ?.. რაო, უკვე ოციც ააშენეთ!.. ებრაელი ეკლესიებს აშენებს?.. აჰა-ჰა! რაო? ხატების ქარხანასაც აშენებთ? ხატებით უნდა ივაჭროთ? ბარემ მირონიც დაამზადეთ, სასულიერო აკადემიაც გახსენით. ფულს მოიგებთ... რა ვქნათ, ასეთი ყოფილა წესი და კანონი ვაჭრობისა... ჰო, ძალიან დიდი ტაძარი უნდა ავაშენოთ. გარდა ამისა, ჯარისთვის საჭიროა ორი მილიონი წყვილი საცვალი, ერთი მილიონი საბანი და ათასი სხვა რამე... სულ ოც მილიონზე მეტი გამოვა... კეთილი, ხვალ მოვილაპარაკოთ. მომიკითხეთ ძვირფასი სუსანა მარკოვნა, ხელზე ემთხვიეთ ჩემ მაგიერ ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობარო!..

იმავე ხანებში კნუტმანისა და ბეკის მეუხვეობით გინცის და განუკის წრეებში, ჟურნალ-გაზეთებში და ყველგან კვაჭის გაბერვას ისე მოუხშირეს და მოუმატეს, რომ თვითონაც დაიჯერა თავის ფინანსიური გენიალობა.

ერთმა მასწავლებელმა ბუხჰალტერიის სახელმძღვანელო დაბეჭდა და ნაშრომს წააბეჭდა: „ამ შრომას ავტორი უღრმეს ფინანსისტს და გულუხვ მეცენატს თავადს ნ. ა. კვაჭანტირაძეს უძღვნის“. ამ მცირე წარწერის მეოხებით ამ მასწავლებელმა მეორე წიგნიც გამოსცა. ხოლო კვაჭმა ერთხელ კიდევ მოიფხანა ხარბი გული და ცუდმედიდობა.

ერთ ჟურნალში დაბეჭდილი იყო ნახევარადლიანი კვაჭის სურათი წარწერით: „ჩვენი მორგანი“,

მეორეში ეწერა: „უკანასკნელ ხანს საბირჟო წრეებში დიდი აღიაქოთი ასტყდა „გინცი და კვაჭანტირაძის“ აქციების უმაგალითო გაძვირების გამო. ნომინალური ას მანეთიანი აქცია გუშინ ხუთასად იყიდებოდა“.

მესამეში დაწვრილებით იყო აღწერილი თურქესტანის კონცესია. ხოლო წერილი ასე თავდებოდა: „ამ კონცესიას მხოლოდ კვაჭანტირაძის მტკიცე ხელი მოერევა. გულწრფელად ვუსურვებთ მას გამარჯვებას“.

ასეთი წერილების დაბეჭდვა კვაჭის ძვირად უჯდებოდა, მაგრამ რაც მან მცირე საბირჟო ცნობის დაბეჭდვის მეოხებით ერთ დღეში მოიგო, კვაჭი იმ ფულით მთელ გაზეთსაც იყიდიდა.

უკანასკნელ ხანს კვაჭი ნანობდა, რომ დღე და ღამე ას საათს არ შეიცავდა. იმდენ საქმეს მოჰკიდა ხელი, იმდენად იფხრიწებოდა სილიბისტროს შვილი, რომ ერთხელ ელენემ ხუმრობით უთხრა:

— შენ სულ გამოფიტულხარ. კვირაში ერთხელ გაგონდები და ისიც... წმინდა გრიგოლი რომ არ გეხმარებოდეს... თავს დაგანებებდი.

— კაი, ნუ სულელობ! — შეუტია კვაჭმა.

მაგრამ ელენეს ნათქვამში სიმართლის თესლი ერია. კვაჭიკო ნაჭარბევი სირბილისაგან, ფეთიან მუშაობისაგან და, უძილობისაგან მართლა დადნა და გამოიფიტა. თვალებში წინანდელი ცეცხლი აღარ ენთო და მისი სისხლის შადრევანიც უწინდელივით აღარ სცემდა. დაჭიმულ ძაფებს მართლაც ვერ

მოადუნებდა, სანამ სამიოდე დიდ საქმეს არ გააიმასქნებდა, დღეში რამდენიმე საათი წმინდა მასწავლებელისთვის უნდა მოენდომა, მერმე თავის ბინაზე მსხვილფეხა სტუმრები უნდა მიეღო, შემდეგ ბირჟაზე უნდა გაერბინა, განუსი და გინციც უნდა ენახა, ზოგჯერ მათს ოჯახშიც უნდა შემძვრალიყო და მათი ცოლებიც ენუგეშებინა, კვირაში ორჯერ მაინც ტანიას წინაშე დაძმური ვალი უნდა მოეხადნა, არც ელენე უნდა დაევიწყა და კიდევ ათასი წვრილმანი-ბრძანება უნდა გაეცა.

მაგრამ კვაჭი არ იღრიკებოდა და თავგამწევი ცხენივით დაოთხებული მიჰქროდა თავის საბედო ვარსკვლავისკენ, რომელიც თავის რჩეულს შორიდან უციმციმებდა, ამხნევებდა და თითის ქნევით უფრო შორს და შორს იტყუებდა.

აქა ამბავი წმინდანის გადარჩენისა

საბედო ვარსკვლავისკენ ამ ქროლვა-ჭენებაში კვაჭი უხილავ კედელს წააწყდა. თურქესტანის კონცესია ჭაობში ჩაწვა, წმინდა გრიგოლის ტაძრის საქმე არქივში დაობდა, ჯარის მომარაგება ვიღაცამ მოიტაცა და სხვა საქმეებიც გაიყონა და დაყანგდა.

ჟურნალ-გაზეთებში კვაჭის სურათები და ქება-დიდება აღარ იბეჭდებოდა.

განუსმა კვაჭს სუსხიანი საყვედური უთხრა, ხოლო მისმა ლამაზმა ცოლმა ისე მოიავადა თავი და ისე გამედიდურდა, რომ კვაჭი საწოლ ოთახშიც კი აღარ შეუშვა.

გინცი იღრინებოდა, ბირჟა ხელიდან მისდიოდა, ტანიამ განზე გაიწია და ელენეც კი აიმრიზა.

კვაჭი ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა. ცხადი იყო, რომ სილიბისტროს ერთა იძირებოდა. მაგრამ კვაჭუნია არც ისე ადვილად დუნდებოდა. ერთხელ მან ტვინის ნერვები დაიჭიმა, გაიჭინთა და ერთი მცირედი კომბინაციაც ჰშობა.

— კაი, აწი მე ვიცი! ბესო, მოდი აქ!

ერთგული ბესო გვერდით მოისვა და სულ ოციოდე სიტყვა ჩასჩურჩულა.

— კაი... მესმის... ეხლავე მივდივარ, მაგისთანა კაცი მყავს:

წავიდა და ერთ ნასტუდენტარ ბოგანოს ჰკითხა:

— გშიან? გწყურიან?

ის ბოგანო უკვე კარგად იყო გაქლენთილი, მაგრამ მაინც დაიფიცა:

— სამი დღეა არაფერი არ დამილევია, მუცლის ჭიამ მეტისმეტად შემაწუხა.

— მაშ წამოდი, გავაჩუმოთ.

ერთ სამიკიტნოში შევიდნენ და დალიეს. ბოგანო რომ კარგად გაიქლენთა და ყბედობითაც დაიღალა, ბესომ ჰკითხა:

— ვინდა ასიანი გაიკრა?

— ღმერთო დიდებულო! ასიანის გულისათვის ეხლავე ნევაში გადავვარდები.

— უფრო ადვილი საქმეა. შეგიძლიან ერთხელ ან ორჯერ ჰაერში რევოლვერი გაისროლო?

— რევოლვერს კი არა, ზარბაზანსაც დავაჭექებ.

— კეთილი და პატიოსანი. აი ოცი მანეთი. დანარჩენი მერმე იყოს. ეხლა კი მომყე.

ის ბოგანო კვაჭის ბინაზე მიიყვანა და უთხრა:

— აი სუფთა საცვალი და ტანისამოსი. აი, აბაზანაც. ჯერ იბანავე, მერმე საცვალი გამოიცვალე და კარგად გამოიძინე... დანარჩენს შემდეგ გეტყვი. ჯალილ! აქ მოდი. ამ კაცს კარგად მოუარე. ეხლავე აბანავე და დააძინე.

მერმე კვაჭთან შევიდა და უთხრა:

— მე მზადა ვარ.

კვაჭმა ტელეფონს დაავლო ხელი:

— წმინდაო მამაო, ერთი ავვეა ლოხტინის ქვრივი გეხვეწებათ. წყალობა მოიღეთ და ინახულეთ... დიახ, დღეს საღამოს... რაო? ხიფათი? არავითარი ხიფათი. ეხლავე მზვერავებს გავგზავნი... კეთილი, ერთი საათის შემდეგ გეახლებით.

კვაჭმა და ბესომ ცოტაოდენი კიდევ იჩურჩულეს და წავიდნენ.

კარგად რომ დაღამდა, გრიგოლი და კვაჭი ლოხტინის ქვრივის ბინიდან გამოვიდნენ და ეტლში ჩასხდნენ.

იმ ეტლმა მალე ერთ მიყრუებულ ქუჩაში შეუხვია. სიბნელეში ორი ლანდი გამოჩნდა და იმავე წუთს ორჯერ ზედიზედ დაიჭექა. კვაჭმა უმალვე ისკუპა ეტლიდან.

— შესდექ! გაჩერდი! შესდექი, თორემ გესვრი! — ყვირის კვაჭი და იმ ორ ლანდს მისდევს.

ერთი ლანდი უმალ შესდგა. იმავე წუთს კვაჭმა იმ ლანდს სამჯერ ზედიზედ დაახალა რევოლვერი და როცა იგი მიწაზე გაიშოტა, ერთიც საფეთქელში დააყოლა. გაშტიკინებული კვაჭი ისევ ეტლში ახტა და მიაძახა:

— გასწი!

ერთი საათის შემდეგ რასპუტინს უთვალავი წარჩინებული და დიდებული ულოცავდა გადარჩენას, ხოლო კვაჭს უდიდეს მადლობას უძღვნიდნენ. პოლიციის ბოქაული მოვიდა, იმ უცნობის პასპორტი მოიტანა და სთქვა:

— ვიცნობთ იმ ჰარამზადას. განთქმული ტერორისტია. ძლივს არ მოვიშორეთ თავიდან!

როდესაც დაფეთებული და შებნედილი გრიგოლი საბოლოოდ გამოფხიზლდა, კვაჭს დათვივით გადაეხვია, ატირდა და აღუღლუღდა:

— ჩემი სიცოცხლე შენი ნაჩუქარია. არ ვიცი, როგორ უნდა გადაგიხადო მადლობა... მთხოვე, რაც გინდა.

კვაჭმა დრო იხელთა და სათხოვნელი სთხოვა.

— უეჭველად... უეჭველად! — ბურტყუნებდა წმინდანი. — ზეგვე წავიდეთ „პაპასთან და მამასთან"... ყირიმიდან დაბრუნებაც მივულოცოთ და საქმეც გავაკეთოთ. მოდი ერთხელ კიდევ ჩაგიხუტო, ჩემო აპოლონჩიკ, ჩემო ერთგულო ძმაო და მეგობარო.

იმ დღიდან კვაჭი კვაჭანტირაძისთვის ყველა ზემოურთა ყველა კარები გაიხსნა და გაიღო.

საღამოზე კვაჭის ტელეფონი დაიღალა ჩრიალით და წკარუნით. თითქმის მთელ პეტერბურგს გაეგო, რომ მეორე დღეს კვაჭი უმაღლეს სამსახურზე უნდა ასულიყო. იმ საღამოს კვაჭისთან სადარბაზოდ რამდენიმე ახალი ბანკირი, მინისტრი, სენატორი, მღვდელმთავარი და გენერალი მივიდა. ოთახები და კიბე გაივსო და აჭრელდა ასნაირ მუნდირით, ანაფორებით, ცილინდრებით, კარტუზებით, შაპოებითა და უბრალო ქუდებით.

ზოგნი ულოცავდნენ, ზოგნი სათხოვარს აბარებდნენ, ზოგნი მადლობას უძღვნიდნენ და ზოგნიც რჩევას და დარიგებას აძლევდნენ.

მდივნები დაიღალნენ და ოფლში გაიწურნენ იმოდენა

ხალხის ჩაწერით, გამოკითხვითა და ფულის თვლით. კვაჭი ძლივსღა იდგა ფეხზე.

— ვაა, სურფ-სარქისის დღეობაა თუ თელეთობაა?! — უკვირდა პავლაბრიან...

— მოუსვი, სულიკ, სანამ დრო გაქვს! — ურჩია ჩხუბი-ნელმა, რომელსაც მორჩილის შავი ტანისამოსი ძალიან უხდებოდა.

— არავინ გეიპაროს, წინ წასწიე მაი ყულაბა. რამდენჯერ გაივსო? — იკითხა ჩიკინჯილაძემ.

— მეოთხე ივსება. დღეს ძალიან ბევრია ოქრო და ქაღალდის ფული. ზოგნი ბეჭდებს ჰყრიან, ზოგნი საყურეებს, ზოგნიც ძეწკვებს.

ბოლოს, როგორც იყო, დალიეს და დასცალეს ოთახებიც და კიბეც.

— აბა, დასთვალეთ!

დაღლილი კვაჭი ტელეფონს აწვალებდა:

— ალო! ელენე, შენ ხარ?.. შენც გეიგე? მანდ არის გრიშკა?.. როგორ, ფრეილინობას გპირდება? აპა, აშენებულხარ!.. კი, რა თქმა უნდა, მეც ჩავურთავ ორიოდე სიტყვას. რას მოესწარი!.. კაი, გენაცვალოს ჩემი თავი, ქე გიცნობ ვინცხა ბრძანდები... აჰა-ჰა! კვაჭანტირაძის ნააზნოურალი არა ხარ? ქე გიცნობ... აზნაური მეც ქე ვარ, მარა... რაო? კაი, გენაცვა, თავს ნუ იგდებ! შენ თვითონ ხარ აზორდიას აზნაური, თვარა კვაჭანტირაძე ბაგრატ მეფის სარდალი იყო!.. აჰა-ჰა! აპა, არ გცოდნია ისტორია და ეგ რის! აპა, დეიხსომე ჩემი სიტყვა: ხვალ თუ თავადიშვილობა არ გაგათამაშქნა, მაშ კვაჭი აღარ ვყოფილვარ. აწი მშვიდობით! აწი გრიშკა ეშმაკების განძევებაშია გართული?! იწამლე, იწამლე! კაი ექიმი გყავს, უკეთესი აღარ გინდა... მშვიდობით, ჩემო მტრედო, ჩემო ლამაზო მეგობარო! მშვიდობით! ნახვამდის! ხვალამდის!

აქა ამბავი უზენაეს საფეხურზე ასტომისა

გაკრიალებული მატარებელი შხუილით, ოხვრით და ქშენით მიადგა ცარსკოე სელოს სადგურს. ბაქანი და მოედანი ასნაირი მუნდირით აჭრელდა.

გრიშკა და კვაჭი ძლივს ასწრებენ სალამის მიცემას. იარაღში ჩამჯდარი ჯალალი თვალებს აცეცებს და ბურტყუნებს:

— ვაჰ-ვაჰ-ვაჰ! ყოლანი თუ ფადიშახთან სავიდნენ, სხენები არ ეყოპათ.

ოქროსღერბიანი ორმოციოდე ლანდო და ავტომობილი გაივსო მინისტრებით, სენატორებით და კარისკაცებით. გრიშკამ ავტომობილს მიაფურთხა:

— Фу, бесовская штука! Чортов кузов! В жисть не сяду туда! Эй, ты, попугайчик, давай суда хфаитон!

ჩასხდნენ, ბალიშებზე მიწვნენ და თქარათქურით გასწიეს სასახლისკენ. განიერ მარმარილოს კიბესთან და შესავალში კარის ხალხი ირევა: ჰულანები, ჰუსარები, კავალერგარდები, კამერ-იუნკრები, კამერპაჟები, კამერჰერები, ჰოფმარშალი, შტალმეისტერი და ასნაირი უცნობ-ნაცნობი თანამდებობისა და ხარისხის მოხელე.

კარის კომენდანტი გენერალი ვოეიკოვი ჩუმს ბრძანებას ისმენს კარის მინისტრისაგან და მარჯვნივ და მარცხნივ ჩუმადვე აძლევს შესაფერ განკარგულებას.

გრიშკა და კვაჭი სასახლეში შევიდნენ. კვაჭმა იმ უზარმაზარ დარბაზს გადაჰხედა. თვალი აუჭრელდა, გონება დაუბნელდა და აღარ იცოდა, რა გაეშინჯა, საიდან დაეწყო, რას დაჰკვირებოდა: ბროლს, ბრინჯაოს, მარმარილოს, ოქროს, ვერცხლს, აბრეშუმს, გობელენს, სურათს თუ ქანდაკებას.

ოქრონაკერ მუნდირებში გამოწყობილი დიდებულნი ძეგლებივით იდგნენ და იმ ცოცხალ ძეგლებს ათნაირი და ათფერი სარტყლები და თვალ-მარგალიტით შემოსილი ჯვრები, მედლები და ვარსკვლავები ეკიდათ.

გრიშკას დანახვაზე იმ ძეგლების თავები დაბლა იხრებოდნენ, მათს პირსახეზე ღიმილი და მოწიწება იბეჭდებოდა და მერმე ისევ უწინდელივით იყინებოდნენ. შემოდგომის მზეში იგი დარბაზი, ესოდენის თვალმომჭრელი ძვირფასეულობით აღსავსე, პატარა მზესავით ლაპლაპებდა და იწოდა.

ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, მაგრამ ყველანი მაინც სცდილობენ ერთი გოჯით მაინც წასწიონ წინ თავიანთი ცხვირი, რათა თავიანთი თავიც უკეთ დაანახონ და სხვებიც კარგად გაშინჯონ.

Што, Аполончик, небось ндравится? Глаза лупаешь? Ничаво, дяржись за мне, вывезу! — უთხრა გრიშკამ დაფეთებულ და დარცხვენილ კვაჭს.

ერთი კარები გაიღო.

— მეფე-დედოფალი მობრძანდებიან!

გვარდიის დარაჯებმა ხმლები წინ წასწიეს, მხედრებმა ხელი საფეთქელზე მიიდეს, სხვებმა თავები დახარეს და ყველანი მოიდრიკნენ და მოიკაკვნენ.

კარებში მეფე-დედოფალი და მემკვიდრე გამოჩნდნენ. შუაში მეფე მოდიოდა, მარცხნივ დედოფალი მოგოგავდა, მარჯვნივ მცირეწლოვანი უფლისწული ალექსი მოჰყავდათ, რომელსაც უკან მისი აღმზრდელი მეზღვაური დერევენკო მოსდევდა.

ყველანი უბრალოდ და მარტივად იყვნენ ჩაცმული, რამაც კვაჭი გააკვირვა და გააშტერა. სამივენი მარცხნივ და მარჯვნივ უკრავდნენ თავს და თან ოდნავ იღიმებოდნენ. უცებ გაუგებარი და უცნაური რამ მოხდა: აქეთ-იქიდან გამოხტნენ და გამოგორდნენ სალოსნი და ღვთის სულელნი — მახინჯნი, გონჯნი და მანკიანნი და პრანჭვით და გრეხვით, წივილით და კივილით, ბოდვით და ოშვით დაედევნენ მეფე-დედოფალს. გრიშკამ წაიჩურჩულა:

— А, юродливые блаженные черти! Опережать хотят? Нет, шалишь! Аполончик, при за мной! Да ни зивай! Чево рот то разинул?!

მოსხლტა და თან კვაჭიც დაითრია. მეფე-დედოფალი მობრუნდნენ და, თანახმად ძველი რუსული წესისა, იმ მასხრებსა და მახინჯებს, იმ უენო, უხელო და უფეხო ღვთისკაცებს და ღვთის სულელებს უღრმესი სალამი მისცეს. მერე ყველას გაუღიმეს, თავზე ხელი გადაუსვეს და მოუალერსეს.

ირგვლივ მდგომი ცოცხალი ძეგლები იღიმებოდნენ. ზალში კი ზოგნი ბრაზს იგუბებდნენ იმის გამო, რომ მეფის კარები ჯერ მასხარა ღვთისკაცებისთვის გაიღო, ხოლო შემდეგ მათთვის, მინისტრებისა, და სხვა დიდებულთათვის.

ცერემონმეისტერმა თავის საქმე კარგად იცოდა: მეფე-დედოფალი რომ გაბრუნდნენ, მან სალოსნი და გონჯნი ღიმილით და ალერსით შეაჩერა, ხოლო გრიშკას და კვაჭს მოწიწებით მისცა სალამი და კარი გაუღო. გრიშკამ კვაჭს ხელი

წაავლო და იმ ოთახში შეაგდო, სადაც მეფე-დედოფალი მიიმალნენ.

— წმინდაო მამაო!

— Мои миленькаи! Мама! Папа! Алеша!..

ჩაეხვივნენ, ჩაეხლართნენ და დიდხანს ჰკოცნეს ერთმანეთი.

— Вот, миленькаи то, возрадова мине и боха! Как лаша, манеько того! Дай Бох! Дай то бох! А я вот маво хранителя и спасителя княза Аполончика привез показать. Хаарош, о-о-о как харош! А как молится то круто, Хаарош, о-о-о как харош! А как молится то круто, как молится то прытко! Его надоти ласкать, миленькаи, ток так хочуя! я! Да, я! Да! — მერმე მემკვიდრეს მიუბრუნდა: — Алеша, додь до миня!

და პატარა ბატონიშვილი მუხლებზე დაისვა, ჩაჰკოცნა და და ჩაუღიტინა, გაიცინა და გააცინა.

მეფე-დედოფალმა კვაჭს ხელი გაუწოდეს და წმინდა გრიგოლის გადარჩენისათვის მხურვალე მადლობა გადაუხადეს. კვაჭი ორივეს მოწიწებით ემთხვია ხელზე. ნიკოლოზი ისე იღიმებოდა, თითქოს რაღაცას მორცხვობდა და რაღაც ეხამუშებოდა.

— თავადო, თქვენი გვარი?

კვაჭმა ერთ წუთში მოიკრიფა გამბედაობა:

— კვაჭანტირაძე გახლავართ, დიდო ხელმწიფევ!

— რა ამბავია კავკასიაში?

— დიდი რღვევა და არეულობა გახლდათ. ჩვენშიაც გაჩნდნენ ურიები და ეშმაკის მოციქულები, მაგრამ ჩვენ, შენი ერთგული მონები და ყმები, არ შევუშინდით: შევებით, ვაჯობეთ-და ვხოცეთ, ხოლო გადარჩენილნი ისეთ ჯურღმულებში ჩავყარეთ, რომ ეშმაკებიც ვეღარ იპოვნიან.

და კვაჭმა მეფე-დედოფალსაც აუწერა თავის საქმენი საგმირონი: თუ როგორ ესროლეს მას ყუმბარა, როგორ დაუშინეს სეტყვასავით ტყვია და როგორ განიზრახეს მისი მოწამვლა, მაგრამ კვაჭი — მადლობა ღმერთს! დიდება უფალსა! — განგებამ ყოველგვარ ხიფათს გადაარჩინა. რადგან უფალს ალბათ ჰსურს კიდევ გამოსცადოს მისი ერთგულება ტახტისა და რუსეთისადმი.

— აკი გუშინ ერთხელ კიდევ გამოგცადაო უფალმა!

— დიახ, დიდებულო მეფევ, მაგრამ მე მზად გახლავართ, თუნდ ყოველდღე, დაგიმტკიცოთ ჩემი უაღრესი ერთგულება და თავგანწირვა.

— მადლობელი ვარ, თავადო, დიდი მადლობელი. თქვენს სამსახურს არ დავივიწყებ. ეხლა მიბრძანეთ, თქვენის აზრით, კავკასია უკვე დამშვიდდა?

— სავსებით არა, მაგრამ... შიში ნუღარა გაქვს, მეფევ. ნუ შედრკება შენი გული, დიდო ხელმწიფევ! მრავალი ვართ წმინდა რუსეთში შენი და ღვთის ერთგულნი, მაგრად დაეყრდენ ჩვენს ძლიერ ზურგს. გამძლე და ძლიერია იგი. ვივლით და ბუმბულივით გატარებთ.

დაღვრემილმა და ჩამომდნარმა მეფემ კვაჭი გულში ჩაიკრა, ორიოდე ცრემლიც გადმოაგდო, თან თავის შემკრთალისა და დაშინებული გულის გამაგრებისათვის კვლავ მადლობას ეუბნებოდა:

— მადლობელი, თავადო, მადლობელი!.. კარგად მოუარეთ ჩვენს წმინდა მამას. გაუფრთხილდით. მტერი ბევრი გვყავს.

— აკი გითხარი, ნიკოლაშა, ალერსის ღირსია-მეთქი. — ჩაერია გრიშკა. — დაუბრუნე აპოლონჩიკს თავადობა, ნიკოლაშა. აპოლონჩიკს ეს არის ეხლა თავადი უწოდე. მეფის სიტყვა კანონია, უკან ვეღარ წაიღებ!

ნიკოლოზი გაწითლდა. კვაჭმა დაამშვიდა:

— დიდო მეფევ! თავადობა კვაჭანტირაძეებმა მეშვიდე საუკუნეში მიიღეს. მერვე საუკუნეში ჩემი წინაპარი საქართველოს ჯარის მთავარსარდალი იყო. მას აქეთ საქართველოს მეფეებს თოთხმეტი კვაჭანტირაძე ჰყავდათ ვეზირებად, მინისტრებად და კათალიკოსებად. მეთვრამეტე საუკუნეში ოსმალებმა ჩვენი ციხე და სასახლე აიკლეს, დაანგრიეს და დასწვეს... საბუთებიც მაშინ დავკარგეთ. მთელმა კავკასიამ იცის, რომ ჩვენ თავადები გახლდით და ამიტომ ჩემი მამაპაპებიც აღარ გაჰყვნენ საბუთებს. აზნაურობა შეგვრჩა, მეც ამაზე მეტი არ მიძებნია.

— კეთილი... ეგრე იყოს! — წაიბუტბუტა მეფემ და რაღაც ჩაიწერა.

„აშორდია გაფასდი!“ — წამოიძახა გულში კვაჭმა. მერმე ბაასი დაიწყეს სახელმწიფო საქმეებზე. მეფეც და დედოფალიც ისე შესცქეროდნენ თვალებში იმ წმინდანს, როგორც

ოდესღაც ებრაელნი მოსეს, ოდეს მან სინაის მთაზე თავის ხალხს ღვთის მიერ ნაკარნახევი ათი მცნება გამოუცხადა. რაც მოისურვა და სთქვა გრიშკამ, ყველაფერი გაიტანა და გაიყვანა. ერთგან მეფემ მორცხვად და მორიდებით ჩაურთო:

— გული ერთს მეუბნება, გონება კი მეორეს.

უცებ გრიშკამ მუშტი აწია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგიდას დაჰკრა. მთელი ოთახი შეინძრა და აზანზარდა. გაფითრებული დედოფალი წამოდგა, მემკვიდრემ ტირილი დაიწყო, მეფე შეკრთა და გაოცდა.

გრიშკამ მეფეს თვალში თვალი გაუყარა, დიდხანს უცქირა და სუსხიანად ჰკითხა:

— Ну, што? Где екнуло, здеся али туто? — და თითი ჯერ მკერდზე დაიდო და მერმე შუბლზე მიიტანა.

— აქ... აქ ამიტოკდა... გული ამიკანკალდა! — მთრთოლვარე ხმით უპასუხა ნიკოლოზმა და თითი გულზე დაიდო.

— То-то-же! როცა საქმეზე ჰფიქრობ, ჭკუას არ დაუჯერო; გულს ჰკითხე. ჭკუას გული სჯობია.

დედოფალი გრიშკას ხელს დაეწაფა:

— მადლობელი... მადლობელი ვარ, წმინდაო მასწავლებელო!

— კეთილი... ეგრე მოვიქცევი. — დაეთანხმა მეფეც.

დერევენკომ ატირებული უფლისწული ძლივს დაამშვიდა. კიდევ დიდხანს ჰზომეს, ჰსწონეს და ჰსჭრეს უდიდესი და ურთულესი სახელმწიფო საქმენი და ნაზირ-ვეზირნი. იმ დღეს ზოგი დიდებული ქვეით დასწიეს და ზოგნიც ზევით ასწიეს. ბოლოს, გრიშკამ მეფეს აუდიენცია გაუთავა:

— Ну, таперыча гайда отселева, Аполончик! Папа, а ты не плошай! Чаво пригорюнился то! Дай Бох! Сиди крепко, а жидам и бесам волю не давай. Да дави окаянных покрепче! Аш штоб чертям тошно было! То-то! Ну, здорово! А тебе, мамаша, опосля ишо скажу два слова. Я туточко буду, у цариц наших.

მეფე-დედოფალი კვაჰს ალერსით გამოეთხოვნენ, გრიშკას უძვირფასესი თავი მას ჩააბარეს და კვლავისთვისაც დაჰპატიჟეს: «Попросту, на стакан чаю и для божественных бесед».

გრიშკა და კვაჰი გამოვიდნენ. იმავ წუთს ღვთის სულელ-

ნი ქივილ-ხივილით, წკმუტუნით და სიცილით შეცვივდნენ მეფე-დედოფალთან.

— Туточко подожди, я чичас! — მიუგდო კვაჭს გ... მ-კამ, იორღით გაირბინა ის დარბაზი და მეორე ოთახში შესხლტა.

კვაჭს ნაცნობ-უცნობი მინისტრები, სენატორები, კარისკაცნი და დიდებულნი შემოეხვივნენ. მიულოცეს და ამბავი გამოჰკითხეს.

კვაჭი მიხვდა, რომ მან იმ ჟამს მეტად მაღლა აიწია. ამიტომ შესაფერი ცვლილება მოიხდინა თავის კილოსა და გარეგნობაში: გასწორდა, გაიბღინძა და იმ დიდებულებს ასეთი ინტერვიუ მისცა დაუდევარ კილოზე:

— ბედნიერი ვარ აღვნიშნო, რომ ჩვენი უძვირფასესი მეფე, დედოფალი და მემკვიდრეც ყირიმში ყოფნის დროს შესამჩნევად გამოკეთებულან, ყველანი მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებიან... პოლიტიკაში მოსალოდნელი ცვლილებანი? საიმისო არაფერია... ალბათ გაძლიერდება დევნა ურიებისა და სხვათა უწმინდურთა, რომელთაც უკანასკნელ ხანებში ოდნავ თავი წამოჰყვეს... ომი? ოსმალეთთან ომი ჯერჯერობით სასურველი არ არის, რადგან ჩვენი ძალ-ღონე მალე უფრო დიდ საქმეზე დაგვჭირდება... ვისთან? მაგას ჯერ ვერ მოგახსენებთ... მალე გაიგებთ... სახელმწიფო სათათბიროც ცოტა უკან უნდა დავწიოთ... მინისტრებს და დიდებულებსაც ოდნავ გავცხრილავთ.

მრავალს აუტოკდა გული ამ სიტყვების გამო — ზოგს შიშით და ზოგსაც იმედით.

იმ დღეს კვაჭმა რუსეთის ზემო საროსულის გაცნობა დაასრულა და იმ საფეხურზე ავიდა, სადაც ჯერ არც ერთ მდაბიო ქართველს არ შეედგა ფეხი.

ასე ჰფიქრობდა თვითონ კვაჭი და გრიშკას მოლოდინში უხვად უბნევდა წყალობას და იმედს იმ დიდებულთ და წარჩინებულთ, ვინც მას ელოლიავებოდა და კუდად დასდევდა იმ განზრახვით, რომ იგი როგორმე მოეშინაურებინათ და მეგობრად გამოეყენებინათ იმ რთულს და სახიფათო თამაშში, რომელიც კარის გარშემო განუწყვეტლივ იხლართებოდა გამარჯვების, წარმატებისა და კეთილი ცხოვრების მოსაპოვებლად.

ქვაჭმა ცხოვრების ეს ძირითადი დებულება ჯერ კიდევ მაშინ შეიგნო და შეითვისა. როცა უნიფხოდ დარბოდა სამტრედიაში, ამიტომ იმ უუზენაეს დარბაზშიც წინ მიიძღოლებდა ამ მცნებას, თავის ბუნებრივ ალღოს, დაგეშილ ყნოსვას და ყოველნაირი ხერხით სცდილობდა, რომ ყველასთვის ესიამოვნებინა, არავინ მოემდურა და მტერი არ გაეჩინა, თუმცა, ამავე დროს ისიც კარგად იცოდა, რომ მისმა გამოჩენამ სასახლეში და დიდმა წარმატებამ მრავალნი დასწყვა უკან და მრავალნი ალავსო შურით და მტრობით.

წარჩინებულთა და დიდებულთა წრე კარის მინისტრმა — ახოვანმა ლამაზმა მოხუცმა ბარონმა ფრედერიქსმა შემოარღვია და მოთაფლული ენით მოახსენა კვაჭს:

— თავადო! მათმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ მეფემ და დედოფალმა წყალობა მოიღეს და გთხოვენ დღეს სადილად ეწვიოთ.

კვაჭი ორად მოიხარა:

— ჩემი უუუქვეშევრდომილესი მადლობა და უუუზენაესი ბედნიერება უსაზღვროა და ენით გამოუთქმელი.

იგი უსაზღვრო პატივი და უზენაესი ბედნიერება ესოდენ დიდებულთა და წარჩინებულთაგან იმ დღეს მხოლოდ კვაჭმა და რასპუტინმა განიცადეს.

ეს იყო მართლა უზენაესი საფეხური კვაჭის საოცნებო კიბისა, რომელსაც მან უკვე მიაღწია.

აქა ამბავი ტახტისა და რუსეთის ხსნისა რღვევისაგან

ისტორია ყოველთვის სტყუის. მაგრამ ერთი ალილო მღვდელსაც შესცდება.

ასე დაემართა ჰორიკანა ისტორიასაც, რომელმაც შეცდომით წამოროშა სიმართლე და ოქროს ასოებით მიუჩინა და მიუძღვნა თავის ნაბოდვარში კვაჭი კვაჭანტირაძეს მისი აღგილი და წილი იმ უდიდეს საშვილიშვილო და სამარადისო საქმეში, რომელიც ჩაიდინეს იმ დაუვიწყარ დღეს გრიშკამ და კვაჭმა.

ეს საქვეყნო და საუკუნო საქმე, რომელმაც უკუღმა დაატრიალა ქვეყნის და რუსეთის ბედის ჩარხი, ოქროს ასოებით

არის ჩაწერილი რუსეთის ისტორიაში და კვაჭის საქვეყნო სამსახურიც შესაფერად არის აღნიშნული და დაფასებული, მაგრამ იმ საქმეში კვაჭი მოხსენებულია ფსევდონიმით, ერთი ასოთი — K-ით, რადგან კვაჭი, როგორც ათასჯერ აყო დამტკიცებული, მეტად მორიდებული და მორცხვი ყმაწვილი ბრძანდებოდა და ყოველთვის ერიდებოდა რეკლამას და აფიშას. თუმცა ახლაც კანტიკუნტად მოიძებნებიან კვაჭის მოშურნენი, რომელნიც ამტკიცებენ, ვითომ ის „K“. კვაჭანტირაძე კი არ ყოფილიყოს, არამედ დიდი მთავარი პოეტი კონსტანტინე, მაგრამ, — მადლობა უფალსა! — ცნობილმა ისტორიკოსმა ჟორიშვილმა ეს ვერსია საბოლოოდ გაჰფანტა და კვაჭანტირაძეს ღირსეული ადგილი მიუჩინა ქვემოაღნიშნულ საქვეყნო ამბავში.

იმ ისტორიულ სადილს, გარდა მეფე-დედოფლისა, მათი მემკვიდრისა და ოთხი სეფეწულისა, მხოლოდ გრიშკა, კვაჭი, კარისქალი ვირუბოვისა და სახლთუხუცესი ბარონი ფრედერიქსი დაესწრნენ.

სადილის შემდეგ, როცა სუფრიდან უწლოვანნი ადგნენ, როცა სასულიერო ბაასი და სულის საცხონებელი მუსაიფი გათავდა, დედოფალმა ღელვით და თრთოლვით ბრძანა:

— წმინდაო მამაო! — შენ ყოველთვის ჩვენი ერთგული მეგობარი და სამეფო მრჩეველი იყავი... ყოველი შენი ნათქვამი წინასწარმეტყველებად გადაიქცა, ყველაფერი გამართლდა: იაპონიის ომის წაგება, რევოლუციის დამარცხება, მემკვიდრის დაბადება და მრავალი სხვა ამბავი. ამიტომ უშენოდ, შენც კარგად იცი, ვერ ვბედავთ ვერაფრის გადაჭრას.

— ძალიან კარგად იქცევით! — მიარტყა გრიშკამ.

— საქმის გადადება ყოვლად შეუძლებელია. ყირიმში რომ იყავი, წმინდაო მამაო, ნიკას მაშინვე უნდოდა ეთქვა ჩვენი დარდი, მაგრამ მე გადავადებინე. ეხლა კი დადგა დრო უდიდესი საიდუმლოების გამჟღავნებისა, ოღონდ უნდა იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ ეს საიდუმლოება ექვსთა შორის უნდა დაიმარხოს. თუ ეს ამბავი ნაადრევად გამჟღავნდა, სახელმწიფოს საშინელი ხიფათი მოელის.

კვაჭმა ფიცის ნიშნად თითი აწია.

— ნუ სწუხდებით, თავადო! მიუბრუნდა მას დედოფალი: — ფიცი საჭირო არ არის. ყოვლად შეუძლებელია, რომ

ჩვენი წმინდანის რჩეული მეგობარი ყბედი გამოდგეს. ეხლა საქმეზე გადავალ... თქვენც გეცოდინებათ, რომ ხუთიოდე წლის წინათ, როცა რუსეთი მეტისმეტად აირია, ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ტახტიდან ჩამოსვლა და უცხოეთში გახიზვნა. მაშინ ჩვენი თავი და რუსეთიც ჩვენმა წმინდა მოძღვარმა გადაარჩინა, რომელმაც დაგვაჯერა და ტახტზე თითქმის ძალით დაგვტოვა.

— მერე, განა არ გამართლდა ჩემი წინასწარმეტყველება? — იკითხა გრიშკამ.

— გამართლდა, წმინდაო მამაო, სავსებით გამართლდა.. ამიტომ ვლოცულობთ შენს სახელს და ამიტომ ვფიქრობთ შენს სიცოცხლეშივე წმინდა გრიგოლის სახელობაზე ეკლესია ავაშენოთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ნიკამ ტახტიდან ჩამოსვლის აზრი აქამდის არ მოიშორა.

— რაო?.. როგორ?.. — ერთხმად წამოიძახეს გრიშკამ და კვაჭმა.

— ეხლაც სულ ამაზე ჰფიქრობს. დაიცინა და აიხირა: ჩვენ რუსეთში კეთილად ვერ ვიცხოვრებთ, უდიდესი ხიფათი მოგველის, ყველანი დავიღუპებით, რუსეთი თავზე დაგვენგრევაო... მარტო მე ვერაფერს გავხდი, ვერ დავაჯერე. მიშველეთ რამე, მამაო წმინდავ! თქვენც, თავადო! გვირჩიეთ, ღვთის ნება შეგვატყობინეთ. მამაო! ჩვენო მხსნელო, ჩვენო წმინდანო, გვიშველეთ! გვირჩიეთ!

და დედოფალი ატირდა, აქვითინდა. ნიკოლოზს თავი ხელებში ჰქონდა ჩამალული. გრიშკაც ჩაფიქრდა. ყველანი დიდხანს სდუმდნენ და გრიგოლს უცდიდნენ. ბოლოს, შუბლშეჭმუხვნილი წმინდანი წამოდგა და სასოებით სთქვა:

— უფლისა მიმართ ვილოცოთ!

ყველანი ადგნენ და ხატის წინ დაიჩოქეს. დიდხანს ილოცეს მეტანიით, სასოებით და გულმოდგინედ. მერმე ისევ წამოდგნენ და კვლავ გრიგოლს მიაჩერდნენ. გრიშკა წინ დაუდგა ნიკოლოზს და სუსხიანად ჰკითხა:

— ლოცვის დროს ღმერთმა რა ჩაგაგონა, რა პასუხი მოგცა?

თავჩაღუნული მეფე სდუმდა. მერმე თავი გაიქნია და ჩაიჩურჩულა:

— პასუხი არ მაღირსა.

— იმიტომ არ გაღირსა, რომ ცოდვილი და უღირსი ხარ, მოინანე ცოდვები შენნი, განიწმინდე გული შენი ბოროტისაგან და მაშინ ღმერთი უფალიც გაგიღებს სიბრძნის კარს.

დიდხანს აძლიეს რჩევა და დარიგება გარინდულს და იმედგადაწყვეტილ მეფეს. აშინებდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ტახტიდან გადადგომას საშინელი არეულობა, ანარქია, სახელმწიფო რღვევა, ომი, ცეცხლი და სისხლი მოჰყვებაო, რომ ღმერთი ამის პასუხს მხოლოდ მას მოსთხოვს, რომ მეფობას სხვა ვერავინ გასწევს და ტახტზე ვერავინ გამაგრდება.

კვაჰმაც მოკრიფა ჭკუა და მჭერმეტყველება, მაგრამ ვერაფერს შეაღწიეს. დაღვრემილი მეფე თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა, მხოლოდ ნიშნად უარისა დაღლილ თავს იქნევდა გამუდმებით.

გრიშკა უცებ გაფიცხდა, გამწარდა, უცნაურის ციებ-ცხელებით აკანკალდა. ხელები და ტუჩები აუთრთოლდა, პირსახე გაუფითრდა, ცხვირი გაუთხელდა და თვალები უცნაურის, ლურჯის ცეცხლით აენთო. უცებ ზედ მივარდა მეფეს და დაუწყო დატუქსვა და ყვირილი, თან ფეხებს უბარტყუნებდა და ხელებს ცხვირწინ უქნევდა:

— რაო?! აღარც ხალხს უჯერებ და აღარც უფალსა?!. დაივიწყე, რომ უფლის ურჩი უნდა ეკლესიისაგან შეჩვენებულ და განდევნილ იქნეს! „ანახთემა! ანახთემა“ იმ მეფეს, ვინც უფალიც დაივიწყა, სამწყსოც, ეკლესიაც და თავისი ვალიც!

მუქარისა და ანათემას გაგონებაზე მეფე წამოდგა, აცახცახდა, შეშინდა. გრიშკამ კი შექა-მუქარას მოუმატა:

— ვინ მოგცა ნება რუსეთის დანგრევისა? როგორ ჰბედავ ამდენი ხალხის დაღუპვას?! გესმის თუ არა, რომ შენ ეშმაკებს და ურიებს უთმობ ტახტს?! მაშ შენც ეშმაკები გაგჩენიან გულში! მაშ შენც ჯოჯოხეთის მოციქული ჰყოფილხარ! შენ მეფე კი რა, ანტიქრისტე ხარ! ანტიქრისტე! ანტიქრისტე!

— უფალო შეგვიწყალე! — დაიკვნესა მეფემ და მთრთოლვარე ხელით ფართედ გადიწერა პირჯვარი.

— Я тибе говорю, цит! Я, Григорий, тибе говорю, цит! — ჰყვიროდა გაშმაგებული გრიშკა. — დაიჩოქე! დაიჩოქე და შეავედრე უფალს ცოდვანი შენნი! ილოცე უფალი,

ილოცე, რათა გულიდან შენითგან განდევნოს სულნი ავნი და ეშმაკნი ჯოჯოხეთისანი!

და ხატის წინაშე პირქვე გამთხვეულ მეფეს თავთ დაუდგა და პირჯვარის წერით ევედრებოდა ხმამაღლა:

— წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ!.. სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, ამინ!

კვლავ დიდხანს იდგნენ ექვსივენი ხატის წინაშე და დიდხანს ილოცეს ხმამაღლა მხურვალედ, მეტანიით, ცრემლითა და ოხვრით. ბოლოს, გრიშკა წამოდგა და სთქვა:

— ადსდეგ, მეფევ! ადსდეგ და გვითხარი, რა წაგაგონა, რა გირჩია უფალმა?

მიბნედილ-მოსუსტებული მეფე უცებ მუხლებში ჩაუვარდა რასპუტინს. მეფის გვერდით დედოფალმა და კარის ქალმა ვირუბოვისამ წაიჩოქეს და სამივენი წმინდანის ფეხებს, კალთებს და ხელებს დაეწაფნენ, ხარბად უკოცნიდნენ, უხვად ულბობდნენ ცრემლით და ხელაპყრობილნი ჰბოდავდნენ და ჰყვიროდნენ ცახცახით:

— წმინდაო მამაო!.. შენ ხარ ჩვენი მაცხოვარი!.. შენ ხარ ჩვენი ქრისტე!.. შენ ხარ ჩვენი მხსნელი და უფალი!.. სათნო გვიყავ და შეგვიწყალენ ჩვენ, მამაო წმინდაო!

გაფითრებული რასპუტინი გაშეშებულივით იდგა, თავი უკან ჰქონდა გადაგდებული. გაყინული და გაკაშკაშებული თვალებით ხატს მისჩერებოდა. მთელის ტანით ჰკანკალებდა, მერმე მარცხენა ხელი მეფეს დაადო თავზე, მარჯვენა ხელით ფართედ იწერდა პირჯვარს და მთრთოლვარე ტუჩებით სჩურჩულებდა:

— გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ იხსენ წმინდა რუსეთი, მისი მეფე, მისი ოჯახი და შენი მართლმადიდებელი ეკლესია რღვევისა და ჯოჯოხეთისაგან... უფალო, შეგვიწყალენ, ჩვენ! ალილუია, ალილუია, ალილუია! ამინ!

მერმე დედოფალმა გრიშკას ხატის წინაშე მისცა ფიცი.

— ვფიცავ უფალსა ღმერთსა, წმინდა სერაფიმე საროველს, ჩემს შვილებსა და ქმარს, რომ არ დაგტოვებ არასოდეს! არასოდეს, თუნდა მთელი ქვეყანა აგიმხედრდეს. მე სიკვდილამდე და იმ ქვეყნადაც შენთან ვიქნები. გეფიცები ერთგულებას და მორჩილებას.

ნელ-ნელა დაიმშვიდეს და დაიწყნარეს ლოცვით აღშფოთებული სული და აფორიაქებული სისხლი. ბოლოს, გრიშკამ შიშნეული მეფე წამოაყენა:

— ადექი, მეფევ! ადექი და იმეფე რუსეთისა სადიდებლად, წმინდა ეკლესიისა გასახარებლად, ხალხის სანუგეშოდ და ჩვენი მტრების დასათრგუნად... და გაიხარონ ცასა შინა ანგელოზებმა და ქვეყანასა ზედა ყოველმა მართლმადიდებელმა... განვედ ჩვენგან, ეშმაკო! განვედ, ეშმაკო!

და ცრემლმორეული ნიკოლოზი გულში ჩაიხუტა.

— ამინ!.. — ამინ! განვედ, ეშმაკო! განვედ! განვედ! — შიშითა და ძრწოლვით ბუტბუტებდნენ სხვებიც.

მერმე რიგრიგობით სიხარულის ცრემლი ჩაიხუტეს და ჩაჰკოცნეს თავიანთი, ეკლესიისა და მთელი რუსეთის მხსნელი, წმინდანი და მაცხოვარი გრიგოლ რასპუტინი.

აქა ამბავი წმინდა გრიგოლის „პასპორტისა“ და ერთი მეძავის გაჯოხვისა

უკვე ღამის ორი საათია.

კაფეშანტანში გახურებული სმა-ჭამა, ცეკვა, სიმღერა, მუსიკა და არშიყობაა.

უზარმაზარი დარბაზი იწვის.

ბროლის ურიცხვი მძივებით აკუწწლული ჭაღები ალმასივით კრიალებს.

ისმის სევრის ფაიფურის წკარაწკური.

ვერცხლის კასრებში გაყინული და არტახებში გახვეული შამპანური ბროლის თასებში ოქროს წინწკლებით იწინწკლება.

გაბერილ სუროდან თაფლისფერი კიურასო-შიპრი ჩამოჩუხჩუხებს.

მუსკატი, მარსალა, ბენედიქტინი, ბორდო და ბურგუნდიული წითელ-ყვითლად ჰბზინავს და ჰქათქათებს.

პაკარას ჭიქებში ცეცხლმოკიდებული შარტრეზი ცისფერი ალით იწვის.

ათფერად იწურება მრავალნაირი ეკზოტიკური ხილი: ანანასი, ფორთოხალი და მანდარინი.

თავისთავად სდნება ფრანგული მსხალი — სენჟერმენი და დუშესი.

ბამბასავით თეთრ მაგიდაზე უხვად გაბნეულია ალანძული ატამი, კალვილი, მწვანე, ყვითელი, და შავი ყურძენი, იშვიათი ვარდი და ყვავილი.

ღადღადა კიბო და ომარი გაფარჩხულა და გაბობღილა.

შემწვარსა და მოხრაკულ ფრინველს ზევით აუყრიათ შეწითლებული გულმკერდი და ფეხები.

ათასნაირად შეზავებული საჭმელი ნაწიწკნი და ხელუხლებელი ჰყრია.

უხვად მოსჩანს ნაირ-ნაირი ფერის, მოყვანილობისა და ჯიშის ტიტველი ბეჭი, მკერდი, მკლავი და აბლაბუდაში გახვეული წვივი.

ერთმანეთში არეულია ასფერი ფარჩა, ატლასი, ხავერდი და ლეჩაქი.

თვალს იზიდავს ვენეტიკური, გენეტური, ვალანსური და აღმოსავლური ნაქარგი, ნაქსოვი და ოქრონემსული.

გიშრის, წაბლის, მიხაკის, ჩალისა და ოქროს ფერი თმები აპენტილა და აბულულებულა.

თვალს სჭრის ბრილიანტი, ალმასი, ლალი, ფირუზი, ზურმუხტი, ამეთვისტონი, მარგალიტი, ბადახში და ლაჟვარდი.

ლურჯი გველებივით დაკლაკნილი თამბაქოს ბოლი, ჭერისკენ ისვეტება და ისრუტება.

თილისმური ალერსით ასისინებს, ყნოსვას აღიზიანებს ნელსაცხებელი.

ესტრადაზე ერთმანეთს აღარ აცლიან ფრანგი, ტალიენი, ესპანელნი, ალჟირელი ურიები. ტუნისელი არაბები. იაპონელები და ქვეყნის ყოველი კუთხიდან წამოსული მოცეკვავენი.

გიჟობს და დაჰქრის აღვირაწყვეტილი ესპანური, უნგრული ჩარდაში და პოლონური მაზურკა. ურცხვად იკუზება კეკუოკი, ზომიერებას გადასცდა მატჩიში, იკლაკნება ქინაანი ტანგო და შიშვლდება ვნებიანი მუცლისცეკვა.

დაჰხტის ათნაირი ფერისა და ფორმის წვივი და ხარძაყი, შრიალებს ფარჩის კაბა და ელავს თეთრი საცვალი.

ქალ-ვაჟნი ერთმანეთში ჩახლართულან, ჩაწნულან და, ერთმანეთის სუნთქვით და ხორცით დამთვრალნი და თავზრუდახ-

ვეულნი, ლაღად და გატაცებით დასცურავენ და დაჰხტიან ცეკვის ტალღებში.

ისმის ტრფობის ჩურჩული, ნართაული ოხუნჯობა და აღგზნებული კისკისი.

დარბაზს სჭრის ხშირი ელვა სურვილით ანთებული თვალებისა.

ავის ღელვით ჰღელავს შიშველი მკერდი.

სისხლისფერ ტუჩებზე და ელვიან კბილებზე სთრთის ალმური აშლილი ჟინისა.

ნარკოტით ალესილი და მწვანე სასმელ-საჭმელით ალეწილი ხორცი დაცხრომას ეძებს და

აჩუხჩუხებული სისხლი დაჟინებით მოითხოვს შენელებას და ჩაქრობას.

გაჩაღებული დარბაზი ვნების ალში და ბანგში გახვეულა.

იღრინება და მძვინვარებს პირსისხლიანი, კბილალესილი, ფაფარაყრილი და აწურებული მხეცი სიძვის და მრუშობისა.

იწვის, სდნება და ინთქმის იგი დარბაზი გარყვნილებისა და ჟინიანობის აღვირაწყვეტილ ხანძარში.

ფარდებით ჩამოფარებულ დიდ ლოჟაში გრიშკა, კვაში, ელენე, ტანია ქეიფობს და ხანგამოშვებით ჩუმად სცენისკენ იყურებიან, სადაც რიგრიგობით მღერიან და სცეკვავენ რუსული დასი, ბოშები, ზანგები, ტიროლელნი, ფრანგები და ესპანელები. უკვე გალეშილი გრიშკა ხანგამოშვებით ბრძანებას იძლევა:

— აქ მომგვარეთ კეკ-უოკი! მაჩიჩიც!.. კიდევ იცეკვოს იმ გიშპანელმა!.. დაუძახეთ ბოშების ქალებს! ყველას ვპატიჟობ..: უთხარი, გრიშკა რასპუტინი ქეიფობს და გიბრძანებს-თქო!.. არ გამაჯავრონ, თორემ ამ ეშმაკების ბუდეს დავანგრევ!

გრიშკას აბრეშუმის ხალათის საკინძი ჩამოხეული აქვს, სახელოები დამკლავებული, თმები გაწეწილი და წარბებამდე ჩამოფხატული, თვალები ამღვრეული, პირი გახურებული და ნისლიანი.

მის ზეთიანსა და ნაღვერდლიან თვალებში მხეცი დასცურავს, გულში ცეცხლი უნთია, ვერ მოუსვენია და შფოთავს ვითარცა მხეცი გალიაში. ხელებს უწესრიგოდ აფათურებს და ყველაფერს სვამს, რაც კი ხელში მოხვდება: ღრიალით მღერის ბილწ სიმღერას და საეკლესიო საგალობელს; თითქოს ისვ-

რის გაუგებარსა და ქუჩურ სიტყვებს, რომლებიც ისარივით ჰხვდებათ გულში ტანიას, ელენეს და მომღერალ ქალებს.

წამლაუწუმ ხან ერთს და ხან მეორეს ჩააცივდება:

— რას იპრანჭები! რასა სტოკავ გაუხედნავი კვიცივით! თუ ქეიფია, ვიქეიფოთ ჩვენებურად, მუჟიკურად! გაიღეღეთ საკინძები! მაჩვენეთ თქვენი გულმკერდი! გაიხადეთ ტანისამოსი!

მერმე მსახიობ ქალებს დაერია, ბლარძუნი ასტეხა და ერთს საკინძი ჩამოჰგლიჯა.

იმ ქალებმა ყრიამული ასტეხეს. ზოგნი იცინოდნენ, ზოგნი ბრაზობდნენ და წასვლას აპირობდნენ, გრიშკა კი უარესად გაკაპასდა და გაცხარდა.

— Чаво кобенитесь то, стервы? Чаво брыкаетесь—то! თქვენისთანა ქალი ათასობით მინახავს შიშველი, თქვენზე უკეთესი ქალები ჩვენთან აბანოში დადიან ხუთ-ხუთნი და ათ-ათნი. დედოფალი მკადრულობს და თქვენ ვიღა ჰყრიხართ! აი, ეს ხალათიც ჩემი „ბებრუცანას“ ხელითაა შეკერილი. დიაღ, თვითონ დედოფალმა შემიკერა და თვითონვე მომიქარგა. აპოლონჩიკ, თავი დამანებე-მეთქი! ტანია, შენც გაჩუმდი! დღეს მეფეც და დედოფალიც ხელებს და ფეხებს მიკოცნიდნენ და თქვენ ვიღა ოხრები ჰყრიხართ-მეთქი?!.

კვაჭი გამხეცებულ გრიშკას ამშვიდებდა, ტანია და ელენე სირცხვილისაგან იწვოდნენ, სხვები პოლიციას და რესტორნის პატრონს ეძახდნენ. ლოჟის გარშემო ხალხი შეგროვდა.

— რაო?!. მაშ მე გრიშკა რასპუტინი არა ვარ? მაშ არა გჯერათ? თუ აგრეა, მიყურეთ! გამსინჯეთ! დარწმუნდით! — შალვარი გაიღეღა და პირადობის საუკეთესო საბუთი ამოიღო.

— არც ეხლა დაიჯერებთ?!. ეხლაც ვერ იცანით გრიშკა?! მაშ, აი, ჩემი პასპორტი! ნახეთ და დარწმუნდით! ნახეთ და დაიჯერეთ!.. გამსინჯეთ!

ტანიამ და ელენემ შეჰკივლეს და გარეთ გაცვივდნენ. მათ რამდენიმე ქალი გაჰყვა ლანძღვითა და წყევლა-კრულვით. დანარჩენებმა ხარხარი ასტეხეს. ვიღაცამ იმ ლოჟას ფარდა ჩამოჰგლიჯა და ხალხით გატენილ უზარმაზარ დარბაზს იგი პირუტყვი თვალწინ გადაუშალა. დარბაზში ყრიამული და ჩოჩქოლი ასტყდა, სცენაზე ცეკვა და სიმღერა შესწყდა და მუსიკაც გაჩუმდა. ვიღაცამ დაიძახა:

— დაიჭირეთ! გაათრიეთ!

მეორემ მიაძახა:

— ტყუილია! სტყუის! ეგ რასპუტინი არ არის! ჟერმე ყველანი და ყველაფერი ერთმანეთში აირივნენ.

— გაშინჯეთ! ნახეთ! აი, ჩემი პასპორტი! აი, ჩემი საბუთი!.. — ჰყვიროდა ლოჟიდან გადმომდგარი გრიშკა.

დარბაზი ჰზანზარებდა. ერთნი ხარხარებდნენ:

— ჰა-ჰა-ჰა! ჰო-ჰო-ჰო!

მეორენი ჰყვიროდნენ:

— გააგდეთ!.. დაიჭირეთ — ოქმი შეადგინეთ! პოლიციას დაუძახეთ! საგიჟეთში გაჰგზავნეთ!

და ყველანი იმ ლოჟას ფუტკარივით მიესივნენ, თან იმუქრებოდნენ, იცინოდნენ და ჰშფოთავდნენ.

ჯალილა ლოჟის კარებს კლდესავით მიჰყუდებოდა. ხელი ხანჯალზე აქვს დადებული. ცხენის თვალებს აბრიალებს და ხალხს ეხვეწება:

— პაჟალსტა, ბარინ, პაჟალსტა! ნე ხადი; ატო კროვ ბუდიტ.

ლოჟაში რესტორნის პატრონი და ბოქაული შეცვივდნენ. ცოლიცამ იმ ლოჟას ჩამოგლეჯილი ფარდა ისევ ააფარა და იშვიათი წარმოდგენა გაათავა. ხალხის დასამშვიდებლად და ყურადღების მისაზიდავად მომღერალია გუნდი ყელის ძარღვებს იწყვეტდა, ორკესტრი მძლავრად ჭყვიტინებდა.

გრიშკაც მოლბა, გონს მოეგდო და ბოქაულს ემუქრებოდა:

— ოქმი თუ დასწერე, კატორღაში დაგალპობ და შენს ხოროცს ძაღლებს შევაჭმევ. ჰო, ამას მე გეუბნები! მე, გრიშკა რასპუტინი! თავი დამანებეთ, მე თვითონვე წავალ, აპოლონჩიკ. ამ ძაღლებს ფული გადუყარე თითოს ასი მანეთი და ამათი ჯანი! ეხლა კი წავიდეთ. სად არიან ტანია და ელენე?.. გაიქცნენ? კისერიც მოუტეხიათ. მე შენ გეუბნები. ოქმი არ დასწერო-მეთქი, თორემ.

და გალეშილი გრიშკა კვაჭმა ძლივს გაიყვანა. უკან სიცილი, მუქარა, ყვირილი და სტვენა მიჰყვა. შუა გზაზე გრიშკამ გზა აურია:

— მარჯვნივ შეუხვიე! ეხლა მარცხნივ!.. ეხლა პირდაპირ!.. ზესდექი!

და ავტომობილი მეძავთა სახლს მიაყენა.

— მასწავლებელო, რას სჩადიხარ! გვიცნობენ; მეფე-დედოფალი გაიგებენ.

— აპოლონჩიკ, გაჩუმდი! ვინ გაიგებს? ჩემი ბებრუცანა? გაიგოს! შენ ჯერ პატარა ხარ და ჯერ არაფერი გესმის. გაიგოს, უფრო კარგი. უფრო მეტად შემიყვარებს... დედაკაცის სულის და ხასიათისა შენ არაფერი გაგეგება. მოდი, მომყე!..

მთვრალ დარბაზში შევარდა და დაიძახა:

— ვახლავართ მამზელებს!.. აბა, „კამარინსკუიუ!“

და როიალის ხმაზე მარდად, ყოჩაღად და კოხტად ჩამოუარა კამარინსკული, თან რამდენიმე ქალიც აიყოლია. მერმე ყველას ხუთ-ხუთ მანეთიანი დაურიგა და ოცი ბოთლი ღვინო და არაყი მოითხოვა. ასტყდა ჟივილ-ხივილი, კისკისი, ცეკვა. ხვევნა და ბღლარძუნი. ღვინო დალიეს. ჭურჭელი დაამტვრიეს და იქაურობა წაჰბილწეს.

ბოლოს გრიშკამ ხუთი ქალი აირჩია და წაიყვანა. ერთმა კვაში თითქმის დაითრია, ჯალილამ ქერა შვიდფუთიანი აირჩია.

ნახევარი საათი გავიდა. ერთი ოთახიდან განუწყვეტელი კივილი და რჩეული რუსული გინება ისმოდა. კვაში წამოსასვლელად დაემზადა და თავის მასწავლებელსღა უცდიდა. უცებ იმ ოთახიდან, სადაც გრიშკა ქეიფობდა, ქალის ხანგრძლივი კივილი მოისმა:

— მიშველე-ე-თ! მომკლე-ე-ეს!

კვაში ჯერ აივანზე გავარდა, მერმე ქუჩისკენ დაეშვა. ალაყაფის კარებთან სრულიად ტიტველი და თმაგაწეწილი ქალი შეეფეთა, რომელიც წივილ-კივილით მირბოდა ქუჩისკენ. უკან დიდი მასწავლებელი მისდევდა. ისიც ტიტველ-შიშველა იყო. მისდევდა და თასმის ქამრით ტიტველ ქალს ჰშოლტავდა, თანაც ჰყვიროდა:

— А; стерва! а; подлая! а оскаянная! На те! на те! на те!

ყოველ დარტყმაზე ქალი მეჰკივლებდა, აიკლაკნებოდა, გვერდით გაჰხტებოდა და ისევ მირბოდა:

— მიშველეთ! მომკლა!

ჯერ კვაში და ორი მეეზოვე დაედევნენ, მერმე სხვებიც მიეშველნენ. გულწასული ქალი ხელით წამოიღეს, სხვები გრიშკას მიესივნენ და შეუტიეს.

— დაჰკარით! დაიჭირეთ!

ჯალილა უმალვე იქ გაჩნდა, ხანჯალი ნახევრამდე ამოიღო და ბრბოს შეეხვეწა:

— პაჟალსტა, ხადი, პაჟალსტა...

პოლიციაც მოვარდა. გრიშკა არავის არ შეუშინდა და არავის არა დაუთმო რა.

— ჯერ ჩავიცვა და მერმე ვნახავ ვინ გაუბედავს წყენას გრიშკა რასპუტინს. გოროდოვოი, ეს ძაღლები გარეკე, თორემ კატორღაში დაგალპობ! აბა, ჩქარა!

გრიშკა რასპუტინის სახელის ხსენებაზე სიცილი და ყიჟილ-ხივილი ასტყდა.

— მართალია, მართალი! გრიშკა რასპუტინი უნდა იყოს; ერთი შეხედეთ, შეხედეთ!..

— დაიშალენით-მეთქი! — ყვიროდნენ პოლიციელნი.

ამასობაში გრიშკა ისევ სახლში შევიდა და ათიოდე წუთის შემდეგ ჩაცმული დაბრუნდა. წინ ბოქაული გადაეღობა.

— რაო, ოქმიო? სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდა? ცოლშვილი გყავს თუ არა?

— არა, ბატონო, მე... მე არაფერი... მხოლოდ მინდა ჩემი თვალით ვნახო ჩვენი წმინდა გრიგოლი... მეტი არაფერი... გაგაცილებთ თორემ...

— საჭირო არ არის. აპოლონჩიკ! მადლობა გადაუხადე ამ ბოქაულს. ოცდახუთი მიეცი... რა გვარი ხარ? ხვალ ან ზეგ მნახე.

აქა ამბავი წმინდანის ლოცვისა შეჩვენებისა და ბიწიერის აღიარებისა

გრიშკას ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, ხატებითა და სასულიერო ნივთებით სავსე. ეს იყო მისი სამლოცველო.

ტორტმანით და ბარბაცით შევიდა იმ სალოცავში. სანთლის შუქით სუსტად განათებული იესო სათნოიანი თვალებით ისე ჩასცქეროდა გრიშკას, თითქოს მას საყვედურს ეუბნებოდა.

პირქვე დაეცა და დაემხო იმ ხატის წინაშე მოწყვეტილი, მრუში და ცოდვილი რასპუტინი. დაეცა და შეჰბღავლა მას შეცოდებანი თვისნი:

— წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენ!.. უფალო ძლიერო და მოწყალეო, შემინდე მე უღირსსა და ბოროტსა უამრავნი ცოდვანი ჩემნი და მომივლინე მე განპატიჟება, რამეთუ ღირს ვარ!..

უკვე დილის ნათელმა შემოანათა. გრიგოლი ისევ ლოცვაზე იდგა. სულწაწყმედილი წმინდანი ისევ მეტანიით, ოხვრით, კვნესითა და მდუღარე ცრემლით ლოცულობდა, თან მკაფიოდ და გარკვევით ამბობდა სალოცველს, ზოგჯერ საგალობელსაც იტყოდა, მუშტით გულისფიცარს იმტვრევდა და მუხლისთავებს იქლეტდა.

შუადღე რომ გადავიდა, კვაჭმა თავის მასწავლებელთან შეირბინა. მოსამსახურემ უთხრა:

— მამა გრიგოლი ლოცვაზე სდგას. წუხანდელს აქეთ არ გამობრძანებულა სამლოცველოდან, არც არაფერი მიურთმევია, არც არავინ უნახავს.

კვაჭს გაუკვირდა, მაგრამ არ სწყენია, რადგან სწორედ იმ დღეს ათიოდე კომბინაცია ჰქონდა „გასაიმასქნებელი". მეორე დღეს ისევ შემოირბინა. მოსამსახურემ განუმეორა:

— მამა გრიგოლი ისევ ლოცვაზე სდგას. გუშინდელს აქეთ ჯერ არ გამობრძანებულა და არაფერი არ მიურთმევია, არც ვინმე უნახავს.

— რა ამბავია? — გაიფიქრა კვაჭმა და იმ ოთახში შევიდა, რომლის-გვერდით გრიგოლი უკვე მეორე დღე იდგა ლოცვაზე.

იმ ოთახში, სამლოცველოს კარებთან ათიოდე მუხლმოყრილი მამაკაცი და დედაკაცი იდგნენ და მხურვალედ ინანიებდნენ მასწავლებლის ცოდვებს. მათ შორის კვაჭმა მიბნედილი ტანია დაინახა. მის გვერდით დაიჩოქა. თავი ჩაჰქინდრა, ხელნი და თვალნი აღაპყრო ზეცად და ტუჩებიც ააცმაცუნა. სამლოცველოდან მასწავლებლის მისუსტებული ხმა მოისმოდა.

— „და შემოსეს მას ძოწეული და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გვირგვინი... და იწყეს მოკითხვად მისა და იტყოდეს: გიხაროდენ მეუფეო ურიათაო! და ჰსცემდეს მას თავსა ლელწმითა, და თაყვანისცემად მას. და ოდეს განჰკითხეს იგი, განჰსძარცვეს მას ძოწეული იგი, და შეჰმოსეს თვისივე სამოსელი, და განიყვანეს იგი, რათა ჯვარს აცვან".

სახარების კითხვა გრიგოლმა ქვითინით შესწყვიტა.

ტანიამ შეჰკივლა და იატაკზე გაენთხო. თან ქვითინით გაჰკიოდა:

— კმარა! გაათავოს! იმყოფინოს!

სხვებიც აიშალნენ და ატირდნენ. კვაჭმა მიბნედილი ტანია მეორე ოთახში გამოიყვანა, ძლივს დაამშვიდა და შემდეგ, რადგან კიდევ ორიოდე კომბინაცია ჰქონდა დასამთავრებელი, ავტომობილში ჩახტა და ბანკირ განუსთან წავიდა. საღამოზე ტელეფონით იკითხა:

— ალო! ჩვენი წმინდანი მამა როგორ ბრძანდება?.. რაო, ჯერაც არ ამდგარა ლოცვიდან?! არაფერი უჭამია?! არავის ნახვა არა ჰსურს? კარები ისევ დაკეტილი აქვს?! ღმერთო დიდებულო, ეს რა ამბავია!.. მაშ, კარგი, ხვალ ისევ შემოვივლი.

მესამე დღეს საღამოს ჟამზე კვლავ გრიგოლთან შეირბინა. სამლოცველოს კარები ისევ დაკეტილი დაუხვდა. წინა ოთახში უფრო მეტს შეგირდებს მოეყარათ თავი. ტანია აღარ სჩანდა. გრიშკას ერთგულნი მოციქულნი და მიმდევარნი კარების შენგრევას აპირებდნენ, მაგრამ ღვთისმშობელმა ლოხტინამ ყველანი დაამშვიდა:

— მივეცი მშვიდობა ძესა ღვთისასა და ილოცეთ სულისა მისისა. ნუ ჰგოდებთ, ვინაიდან ჩვენს წმინდა მაცხოვარს ძალუძს იმარხულოს თუნდ დღე ორმოცი.

ერთი კვირა გავიდა. გრიგოლის დიდი ოთახი წარჩინებულთა, დიდებულთა და მისთა „მოციქულთა“ მიერ იყო სავსე. ზოგნი ჩუმად ლოცულობდნენ, ზოგნი ქადაგად დაცემულიყვნენ და უცნაურს და გაუგებარს ჰქადაგებდნენ. უცებ სამლოცველოს კარი გაიღო. მოსამსახურემ წმინდანთან სხვებზე ადრე კვაჭი შეუშვა. მიბნედილი და მილეული გრიგოლი ცალიერ იატაკზე იწვა.

— ღმერთო დიდებულო! წმინდაო მასწავლებელო!

— აპოლონჩიკ! ჩემო ერთგულო ძმაო და მეგობარო! — ძლივს ჩაიჩურჩულა გრიგოლმა. — ნუ შეწუხდები, არა მიშავს რა. გაიგე და დაიხსომე: ღმერთი მხიარობს, როდეს ცოდვილნი მონანიებენ შეცოდებათა თვისთა. მაშასადამე, როცა ღმერთი ეშმაკს გვიგზავნის, უნდა ავყვეთ მას, უნდა ვიმრუშოთ და შევსცდეთ, რათა საბაბი გვქონდეს ცოდვების მონა-

ნიებისა. თუ ცოდვა არ ჩავიდინეთ, ვერც ვერაფერს მოვინანიებთ. იცოდე, წმინდანი ყოველთვის წაწყმედილია, რადგან ის უცოდველია, ხოლო უცოდველი ვერაფერს მოინანიებს, ვინაიდან მას ცოდვაც არა აქვს. გაიგე? მიმიხვდი?

— გავიგე და დავიხსომე. უძირო და უსაზღვრო არს სიბრძნე შენი, ჰოი წმინდანო!

გრიშკამ იყუჩა და შემდეგ განაგრძო:

— აპოლონჩიკ! შენ ბავშვივით უმანკო და უცოდველი ხარ, რადგან ჯერ ბევრი რამ არ იცი. ჯერ ადრეა, გაიზრდები და ყველაფერს გაიგებ. დღეს კი მხოლოდ ერთს გეტყვი: ჩემისთანა ცოდვილი ეშმაკიც არ მოიპოვება. შვიდი დღე ლოცვაზე დგომა არაფერია. მახსოვს, პირველად რომ ჩემს ოჯახს გამოვექეცი, ერთ გორაკში ღვიმე გამოვთხარე და სამი თვე იმ ღვიმედან არ გამოვსულვარ. ხმელი პურისა და წყლის გარდა ჩემს პირში არაფერი არ ჩასულა. ქეცი შემეყარა, მუნმა შემჭამა, გაუხდელი და დაუბანელი ვეგდე ხატის წინაშე. ერთხელ, მეტისმეტად რომ დავსუსტდი, თვალი ღვთისმშობლის ხატს მივაპყარი და ცხადად დავინახე: ღვთისმშობელი ცხარე ცრემლით სტიროდა. მერმე მითხრა: „გრიგოლ! გრიგოლ! განწმენდილი ხარ ცოდვათაგან. ქვეყანა იღუპება ეშმაკის კლანჭებში. აღდეგ და წარვედ ხალხისა ხსნად და განსაკურნავად“. მეც წამოვედი. მას აქეთ დავდივარ და ქრისტესა უფალსა ჩვენსა ვემსახურები. ვინ იცის, რამდენჯერ გავშორებივარ ამ ცოდვილ ქვეყანას ორი-სამი თვით! ეხლაც დადგა დრო ჩვენი განშორებისა, ჩემო აპოლონჩიკ!

კვაჭს გული გადაუბრუნდა:

— საით, წმინდაო მამაო? სად მიბრძანდებით?

— შორს, ძალიან შორს, იერუსალემს. უნდა თაყვანი ვსცე წმინდა ადგილებს, უფლის საფლავს ვემთხვიო. საბოლოოდ განვიბანო და მოვინანიო ურიცხვი ცოდვანი ჩემნი.

— წმინდაო მამაო, მე რაღას მიშვრები? მე ვიღასი იმედით მტოვებ?.. რაო? მეც წამოვიდე? მზადა ვარ ასეთი მგზავრობისათვის. მაინც მოვიფიქრებ. მამაო წმინდაო! ორი-სამი თვით მაინც გადასდეთ ეგ საშინელი მგზავრობა.

— არ შემიძლიან. წუხელის ხატმა გამომიცხადა: „გრიგოლ, სამ დღეში წარვედ აქედან იერუსალემს, ვინაიდან განუზომელ არიან ცოდვანნი შენნი“. ეხლა წადი, ჩემო აპოლონჩიკ, ელენე

ან ტანია გამომიგზავნე. ხვალ ღამის ათ საათზე აქ იყავით. ერთ ალაგას უნდა წავიდეთ. ისეთ რამეს გაჩვენებთ, რომ სიზმარშიც არ გენახოსთ.

დაღვრემილ კვაჭს შინ რამდენიმე უსიამოვნო ამბავი დაუხვდა.

ცარსკოე სელოდან დაბრუნების დღიდან კვაჭს თავის თავი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა, რადგან იმ დღეს ყველაფერს მიაღწია: თავადობას, კარისკაცობას, უდიდეს გავლენას, ხელისუფლებას და სიმდიდრეს, რომელიც დღეს თუ ხვალ იმის ჯიბეში უნდა ჩაცურებულიყო. ერთი ნაწილი ამ სიმდიდრისა უკვე გაინაღდა და მაშინვე ონკალს და ბირჟას დაეტაკა.

უკანასკნელ ხანს კვაჭის პირიდან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ისმოდა: ონკალი... ობლიგაციები... კუპონები... აქციები პუტილოვისა... ლენისა... სალამანდრასი... ლაჟი... გავყიდე... ვიყიდე!!! წავაგე... მოვიგე — და ამგვარი. მაგრამ საქმე ის იყო, რომ კვაჭი უფრო ხშირად „წავაგე“-ს ჰხმარობდა და ეს იყო მიზეზი მისი დაღვრემილობისა. ბესომ და მაკლერმა ხაინშტაინმა ეხლაც მეტად მწარე და სახიფათო ამბები დაუხვედრეს.

— ასოცი ათასი ონკალის ანგარიშის შესავსებად შევიტანე აზოვის ბანკში, — უთხრა მაკლერმა, — ლენის აქციები თითქმის განახევრდა. „ანგლოროსი“ განუწყვეტლივ ქვეით მიდის. „როსპერსი“ იღუპება. გუშინ „ურალოპლატინა“ ოთხასად გამაყიდვინეთ, დღეს კი ისევ ხუთასამდე ავიდა. ამ აქციების დასაწევად თითქმის სამასი ათასი წავაგეთ, ხოლო ასიოდე ათასი დავიბრუნეთ. თუ ხვალ ნახევარი მილიონი არ შევიტანეთ, დაგირავებული აქციები ჩალის ფასად გაგვეყიდება.

ბოლოს ძლივს შეამჩნია კვაჭმა, რომ ამ თამაშის დროს რაღაც უცნობი ერეოდა იმის ქაღალდში. ძლივს დაინახა და გაიგო, რომ ბირჟის ჩარხის დასატრიალებლად მას ძალა არ შესწევდა, რომ, პირიქით, თვითონ კვაჭი გადაიქცა სხვის სათამაშოდ და მსხვერპლად, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი. მას არ ჰყოფნიდა უკან დახევის ძალა, სიფხიზლე, სიმტკიცე, ნებისყოფა და ამიტომ, რაკი ერთხელ შესტოპა ბირჟის ჭაობში, კიდევაც გაჰყა და შუაგულ მორევში შესცურა. სადაც მას სრული გაკოტრება, ან დიდი სიმდიდრე მოელოდა.

— ხვალ დილით ინსტრუქციას მიიღებთ, ეხლა კი „ბირჟოვ-

კაში" შეირბინეთ და ეს შენიშვნა ფინანსიურ ქრონიკაში დააბეჭდვინეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

მერმე თავის მეგობარს და ბანკირს გინცს დაურეკა:

— ალო! შენა ხარ? ყური მიგდე. თუ მოვრიგდით, ფულს როდის ჩამაბარებ?.. ხვალვე?.. რაო? კონტრაქტიც მზადა გაქვს?.. თუ არ დავთანხმდი?.. რაო? კიდევ დამიკლებ?.. მაშ კარგი, თანახმა ვარ. ძვირად მიღირს შენი მეგობრობა, მაგრამ რა ვქნა, შენი გულისთვის წყალშიც გადავვარდები... კეთილი, ეგრე იყოს... მაშ დილამდის!

მერმე ბესოს მოუბრუნდა:

— აპა რა მექნა: ტაძრის აშენებას ხუთი წელიწადი უნდა ვუცადო? საცვლების ჩაბარებას კიდო ექვსი თვე? მართალია, ამ საქმეებს ბოლომდე რომ მივყოლოდი, სამჯერ მეტს ევიღებდი, მარა ახლა მჭირია ფული, თვარა... არა, არ დევიღუპები. ხვალ ერთ მილიონს რომ მივაყრი ბირჟას, ნახავ, რავა დავანგრევ და ავაფეთქებ იქოურობას. რასპუტინის საქმიზა. ადარავინ მიიღოთ. გადარეულა. სიბერისას იერუსალემში მიდის სულის საცხონებლად. კისერიც მოუტეხია! იმდენი ჭუჭყი და ცოდვა აქვს, რომ იერუსალემი კი არა, ათასმა ანგელოზმა და წმინდანმა რომ ხეხონ ერთი წელიწადი, მაინც ვერ გარეცხენ.— და ისევ ტელეფონს ეცა:

— მართლა, დამავიწყდა! ალო! ელენე, შენა ხარ? გრიშკა გელის, კიდო უნდა წევიწყმიდო სულიო, რომე მიზეზიც მომეცეს ცოდვის მონანიებისო. რაო? არა გცალია?.. რა ამბავია, ქალო? ცოტა ჩემთვისაც მეიცალე!.. რა სთქვი, ოპერეტაში გინდა?.. კაი, მოემზადე, ეხლავე მოვალ... აპა გრიშკას ტანიას გოუგზავნი... კაი, მოვდივარ!..

მეორე დღეს კვაჭმა ტაძრის აშენება და საცვლების საქმეც გინცს დაუთმო და მაკლერს მეტად რთული დარიგება მისცა „ბირჟის ასაფეთქებლად და დასანგრევად".

მაკლერმა ბირჟას კვაჭის ფულები და აქციები დაუშინა, მაგრამ ის იერიშებიც ისევ ისე ვათავდა; კვაჭს ჯიბე შეუთხელდა და შუბლი ვაებზარა, ხოლო გინცს და მის საიდუმლო აგენტს ხაინშტეინს, კიდევ მაეცათ და მიემატათ. მაგრამ განაღდებულ საქმის სიხარულმა წაგების ჩრდილი დასჩრდილა და ამიტომ კვაჭმა იმ დღის დანაკარგი არც შეიმჩნია. და წარბიც არ შეიკრა.

ბჟა ამბავი საიდუმლო სერობისა

იმ ღამეს საათის თერთმეტზე გრიშკა რასპუტინმა კვაში, ელენე და ტანია „ღვთის კაცთა“ საიდუმლო სერობაზე წაიყვანა.

გრიშკამ და კვაშმა თეთრი ხალათები ჩაიცვეს, ელენემ და ტანიამ — თეთრი კაბები, განიერი, ხალვათი და გრძელი. ასე მოითხოვდა მწვალებელთა წესი და კანონი, ვინაიდან თეთრი ფერი მათის მოძღვრების, ძმობის და უმანკოების ნიშანი იყო.

ქალაქის განაპირას, ერთ დაბალ სახლში უკვე „ხლისტების ნავი“ შეკრებილიყო. მოზრდილ დარბაზში სამოციოდე ქალსა და მამაკაცს მოეყარათ თავი, ახალგაზრდები და შუახნისანი სჭარბობდნენ. ყველანი თეთრებში იყვნენ. იქვე კუთხეში კვაშის ამხანაგები ატუზულიყვნენ, რომელთაც მათი ბელადის წყალობით გრიგოლისგან საიდუმლო სერობაზე დასწრების ნებართვა მიეღოთ.

დარბაზის თავში მაგიდასთან „ღვთისმშობელი“ ლოხტინის ქვრივი იდგა, ისიც თეთრებში ჩაცმული და ასნაირი ზიზილ-პიპილოებით აჭრელებული, ხოლო გაშლილ თმებზე განუშორებელი და უცნაური თავსახვევი ედო წარწერით:

„ჩემში არს ძალა ყოველი. ალილუია“.

როგორც ყოველთვის, ღვთისმშობელი იმ ღამესაც ფეხშიშველი იყო. წირვა უკვე დაწყებულიყო. ღვთისმშობელი ლოცვებს ჰკითხულობდა. რასპუტინი რომ დაინახა, მოსხლტა და წამოვიდა, თან გაჰკიოდა:

— აჰა, იგი ძე ღვთისა! აჰა, იგი იესო ქრისტე! აჰა, მოციქული ღვთისა! მობრძანდა ჩვენი წმინდანი, წინასწარმეტყველი და მასწავლებელი! ჭეშმარიტად ვეტყვით თქვენ: აღსდექით და თაყვანი ეცით მას, რამეთუ ღირს არს იგი ძე ღვთისა დიდებისა და თაყვანისცემისა.

და მუხლებში ჩაუვარდა, ხელ-ფეხსე ემთხვია და თეთრი ხალათის კალთები დაუკოცნა. ყველანი თავიანთ მოძღვარს შემოესივნენ. ზოგნი ფეხქვეშ ჩაუვარდნენ, ზოგნი ხელებსა და სხეულს უკოცნიდნენ. გრიშკამ ყველანი დაძმურად ჩაიკოცნა და დალოცა და მერმე ღვთისმშობელს მიჰყვა მაგიდასთან. ღვთისმშობელმა საგალობელი დაიწყო. ყველანი აჰყვნენ და ადიდეს უფალი ღმერთი და სული წმინდა, რომელიც, მათის რწმენით,

იმ დროს იმ დარბაზში იმყოფებოდა. ერთად სთქვეს მრავალი სხვა საგალობელი და ბოლოს „ქრისტე აღსდგა" დაიწყეს; მწყობრად, აღტაცებით და სასოებით გალობდნენ, თანდათან ხმას უმატებდნენ, ყელის ძარღვებს იჭიმავდნენ და მისტიურ აღგზნებაში შედიოდნენ. ლოცვა რომ გაათავეს, მათმა მოძღვარმა და ძე ღვთისამ ქადაგება დაიწყო.

კვაჭი კუთხეში იდგა და გრიშკას გულმოდგინედ უგდებდა ყურს. წმინდანის ენის გაგებას კვაჭი ძლივს შეეჩვია, ზოგჯერ კი არაფერი არ ესმოდა, რადგან რასპუტინის რუსული უხვად მეტად ბუნდოვანი მუჟიკურ-სლავიანურ სიტყვებით იყო აღვერადებული.

გრიშკამ იმ ეკლესიის შვილებს ჯერ თავიანთი მოძღვრების თორმეტი მცნება მოაგონა:

„მე ვარ ძე ღვთისა, კაცთა შორის მოვლენილი, მისატევებლად ცოდვათა და არა არს სხვა ღმერთი გარდა ჩემისა".

„რაზედაც ერთხელ შესდექით, აღარა დასტოვოთ იგი".

„ერთგულად მისდიეთ და შეასრულეთ ღვთისა მცნებანი".

„დასათრობი არ დალიოთ, ხორცეული ცოდვა არ ჩაიდინოთ, არა იმრუშოთ".

„ცოლს ნუ შეირთავთ, ცოლებიანი განქორწინდით. ვისაც ცოლი ჰყავს, ისე იცხოვროს მასთან, ვითარცა დასთან".

„ნუ ილანძღებით და ნუ ჰქურდობთ, ვინაიდან ქურდს იმქვეყნად სპილენძის შაურიანს დაადებენ კეფაზე და მხოლოდ მაშინ შეუნდობენ, როცა ის შაურიანი დადნება".

ის მცნება მერმე ჩიქორთულად განმარტა, უფრო კი იმ მცნებას დააწვა, რომელიც ცოლქმრობასა და სქესობრივ ურთიერთობას შეეხებოდა:

— სული კეთილია, ხორცი კი ბოროტი, ამიტომ იგი ბოროტი ხორცი უნდა ვსტანჯოთ, დავასუსტოთ და ჩავკლათ. ამისთვის მარხვა უნდა შევინახოთ, ხორცეული არა ვჭამოთ, დასათრობი არ დავლიოთ, თამბაქო არ მოვწიოთ, ქაღალდი არ ვითამაშოთ, არ ვიცეკვოთ და არც ვიმრუშოთ. ცოლქმრობა ცოდვაა, გარნა ჟამს და დღევანდელ ლოცვისასა სული წმინდა ყველას მისცემს სულიერ მეუღლეს. ასეთ მეუღლეთა შორის ხორციელი კავშირი ცოდვად ან მრუშობად არ ჩაითვლება; სხვა ცოლებთან ურთიერთობაც ცოდვად არ ჩაითვლება, ვინაიდან „ასეთი სიყვარული მხოლოდ ტრედთა კურკურია".

სული ჩვენი უკვდავია, მარადიული. იგი მუდმივ იყო, მაგრამ არ ვიცით, რამდენ ხანს და რომელს ცხოველში ჰბუდობდა;

შემდგომ ჩვენი სიკვდილისა, თუ „ღვთის კაცი“ ერთგულად ასრულებდა ღვთის მცნებას, მისი სული გარდაიქცევა ანგელოზად, ხოლო თუ იგი ცოდვილი იყო, მისი სული ჩაუდგება იმის ხასიათის მსგავს ცხოველს ან ბავშვს, რომელიც უწმინდურად ითვლება. სანამ ჩვენებურად არ მოინათლება;

ღმერთი ერთია, მაგრამ იგი და ძე მისი ქრისტე ხშირად განსახიერდებიან ერთს ან რამდენიმე წმინდა ადამიანში.

იესო ქრისტე ჩემისთანა მომაკვდავი იყო, იგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა და იერუსალემში იქნა დამარხული.

მერმე გრიშკამ თავიანთი ღმერთი უფალი, რამდენიმე წმინდანი, ქრისტე, მოძღვარნი და წამებულნი გაიხსენა: ფილიპოვი, რომელიც ვითომ ზეცად ამაღლდა, ივანე სუსლოვი, პროკოპი ლუპინი, ანდრეი პეტროვი, დედაკაცი ტატარინოვისა, ავვაკუმი, კოპილოვი, კატასონოვი და მრავალნი სხვანი, რომელთაც თავი დასდეს ღვთის კაცთა წმინდა და ჭეშმარიტ ეკლესიისთვის. ბოლოს, თავისი თავიც გაიხსენა:

— ერთხელ ვიხილე ცანი განხმულნი და სული ღვთისა გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა; და მოვიდა იგი და დამადგრა. და ხმა იყო ზეციდ, და სთქვა: გრიგოლ, შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო გიყავ, და მეყვსეულად სულმან გამიყვანა უდაბნოდ და ვიყავ მუნ დღესა სამიოცი, და გამოვიცადებოდე ეშმაკისაგან, და ვიყავ მუნ მხეცთა თანა, და ანგელოზნი მმსახურებდეს მე. „და ვჭამდი მუნ მკალსა და თაფლსა ველურსა“.

მერმე სულის წასაწყმედი ცდუნებანი. ეშმაკნი, ქალნი და ქაჯნი გაიხსენა, „რომელნი მისრულ იყვნენ წაწყმედად გრიგოლისა“, და მრავალი თავისი სასწაულმოქმედება:

— ყაზანში ვნახე მრავალი კეთროვანნი და ცოდვილნი, რომელთა სულსა შინა ეშმაკნი ბუდობდნენ, და ვრქვი ერთსა: პირი დაიყავ და განვედ ჩავისაგან! და დასცა იგი სულმან მან არაწმინდამან, და ხმა ჰყო ხმითა დიდითა და განვიდა მისგან.

და განჰხდა ამბავი ეშმაკთა განმდევნელის გრიგოლისა ყოველსა მას სოფელსა და ქალაქსა რუსეთისასა:

— სარატოვში ერთი მონაზონი დავრდომილიყო მხურვალებითა, და მითხრეს მე მისთვის. და მოვედ, და ვუპყარ ხელი

ჩემი, და აღვადგინეიგი, და მეყვსეულად დაუტოვა იგი მხურვალებამან მან, და აღზსდგა და გვმსახურებდა ჩვენ. და ვითარ შემწუხრდებოდა და მზე დაჰვიდოდა, მოჰყვანდნენ ჩემდა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი. და ყოველი ქალაქი, და ყოველნი დედაკაცნი შეკრებულიყო წინაშე ჩემისა და განვკურნე ყოველნი ბოროტთაგან სენთა, და თითო სახეთაგან სნეულებათა, და არა უტევებდი სიტყვათა ეშმაკთ მათ, რამეთუ იცოდეს ვითარმედ მე ქრისტე ვარ. და ვრქვი მოწაფეთა ჩემთა: მოვედით და წარვიდეთ მახლობელსა დაბნებსა და ქალაქებსა, რათა მუნ ვუქადაგოთ და განვდევნოთ სნეულთაგან ეშმაკნი, რამეთუ ამისთვის მოვივლინე. და ვქადაგებდი შესაკრებელთა მათთა და და ყოველსა რუსეთსა, და ეშმაკთა განვასხმიდი.

მერმე წმინდა გრიგოლი ასწავებდა მოწაფეთა თვისთა:

— ვითარმედ აღმსრულებულ არს ჟამი, და მოახლოვებულ არს სასუფეველი ღვთისა, შეინანეთ და გრწმენინ ჩემისა; მოვედინ და შემომიდეგით მე და გყვნენ თქვენ მესათხევლე კაცთა. და მე ნათელგცემთ თქვენ სულითა წმინდითა. და მე განჰკურნონ ყოველნი ბოროტთაგან სენთა, და განვხსცნა ეშმაკნი, და დავსცე სულნი არაწმინდანი, და დავამკვიდრო სულთა თქვენთასა — დედანო, ძმანო და დანნო ჩემნო! — მშვიდობა მარადიული, შვება სამოთხისებური, ლხენა ზეციური, სიყვარული დაძმური და ალერსი მამაშვილური.

და შემდგომად დუმილისა მიმოიხედა წმინდა მოძღვარმა გარემოს მისა მოწაფეთა თვისთა მსხდომარეთა, და ჰრქვა:

— აჰა, დედანი ჩემნი, და დანი ჩემნი, და ძმანი ჩემნი, რამეთუ რომელმან ჰყოს ნება ჩემი, მან ჰყოს ნება უფლისა ჩვენისა, და ესე არს ძმა ჩემი და დაი ჩემი, და დედა ჩემი ძვირფასო დედანო, ძმანო და დანნო ჩემნო! ილხენდეთ ვითარცა ცასა შინა, რამეთუ თქვენთან არს ძე ღვთისა და სული წმინდა! შეიყვარებდეთ ურთიერთ, ვითარცა სამოთხესა შინა, და კურკურებდეთ ვითარცა ტრედნი, რამეთუ ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ: არა არს სიყვარულსა მშობლიურსა და დაძმურსა შინა არცა ცოდვა, არცა მრუშვა, არცა სიძვა. განვედ ჩვენგან ყოველნი ეშმაკნი, კეთროვანნი, სნეულნი და სულნი ცოდვილნი!

— განვედ! განვედ! — ერთხმად უპასუხეს ღვთის კაცებმა.

წმინდა გრიგოლი უცნაურად აინთო, აისვეტა და ცას მისწვდა. მისმა შეგირდმა და ერთგულმა მეგობარმა კვაში კვაჭან-

ტირაძემ ის დღე გაიხსენა, როცა გრიგოლი მეფეს არიგებდა და მისთვის ლოცულობდა. გაიხსენა აგრეთვე გრიგოლის გულწრფელი სინანული, დააკვირდა დღევანდელს, ცაში გაფრენილ ღვთის კაცს, იმის ანთებულ ტანს, ცეცხლმოკიდებულ თვალებს, მქუხარე ხმას, და მიუხვდა წმინდანის უმაგალითო ძალას, უსაზღვრო გავლენას და მძლეთამძლეობას. წმინდა გრიგოლი კი ცეცხლის ენით განაგრძობდა.

— და დამყარდეს ჩვენთა სულთა და ხორცთა შორის სიყვარული ღვთაებრივი და ნეტარება მარადიული!

— ამინ! — კვლავ იგრიალა დარბაზმა.

— და ვიქმნეთ ერთხორც და ერთგულ, და ვილხენდეთ, და ვიგალობდეთ და ვადიდებდეთ უფალსა ღმერთსა ჩვენსა! — და გალობით დაამთავრა ქადაგება თავისი: — ა-ლი-ილუ-უ-ია-ა-ა...

და აიშალნენ ღვთის კაცნი.

და ჩაავლებდეს ურთიერთ ხელთა თვისთა.

და გამართვიდეს ფერხულსა და როკვიდეს როკვასა დაძმურსა.

და იგალობდეს სირინოზთა და ანგელოზთაებრ გალობასა წმინდასა ხმითა ციურითა, გულითა ტრედისათა და სულითა წმინდისათა:

— ალილუუ-ი-ა-ა!

ძე ღვთისას ერთი მხრით ელენე ჰყავდა ჩაბმული, მეორე მხრით — ღვთისმშობელი ლობტინისა.

კვაჭს მარცხნივ ტასია ამოუდგა, მარჯვნივ კი ვიღაც ფუნთუშა ქერა დედაკაცი.

კვაჭის ამხანაგებმაც თითო ჩაკიტრული ქალი აირჩიეს და საერთო ფერხულში ჩაებნენ.

„ჩახვეული“ ფერხული ჯერ დინჯად და წყნარად მიიზლაზნებოდა, საგალობელსაც შესაფერი ტემპით ჰგალობდნენ, მერმე კი თანდათან შეხურდნენ და სიფიცხეს უმატეს.

ფერხულის შუაგულში რამდენიმე ქალ-ვაჟი ცალ-ცალკე ფეხის აყოლებით სტრიალებდა ერთ ადგილზე, მერე „ჩახვეული“ წყება შეიცვალეს და „კედლით“ დაეწყვნენ, რამდენსამე ჯგუფად დაიყვნენ, თან რიტმსა და ხმის ძალას მოუმატეს. ცოტა ხნის შემდეგ „კედლურიც“ ჩაშალეს და „ხომალდური“ გააბეს, წეროებივით ერთმანეთს გაჰყვნენ, მეტი ცეცხლი შეაკეთეს და ნაბიჯიც აიჩქარეს. როცა კარგად მითილალნენ, ჯვარე-

დინად დაიყვნენ და „ჯვარული“ ჩამოუარეს, თან მეტად გაფიცხდნენ და გაკაპასდნენ.

ბოლოს, გრიშკამ დაიძახა:

— ტრიალით! ტრიალით!

ერთმანეთს ხელი გაუშვეს და ციბრუტივით დატრიალდნენ ერთს ადგილზე.

ღვთის კაცებსა და ღვთის ქალებს პირისახე აელეწათ და აუწითლდათ, თმები აეწეწათ და ჩამოეშალათ. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. თავბრუ ეხვეოდათ და გული მისდიოდათ, მაგრამ მაინც კორიანტელივით სტრიალებდნენ, თავსა და ხელ-ფეხს უგზო-უკვლოდ იქნევდნენ, გალობის მაგივრად სულშეგუბულნი ჩახლეჩილის ხმით გაუგებარს ჰროშავდნენ ნაწყვეტ-ნაწყვეტ და უცნაურ სიტყვებს ისროდნენ. ყველანი დარეტიანდნენ, გაიტიკნენ და გაბრუვდნენ. ჯერ ერთი წაბარბაცდა და მოჭრილი მორგვივით წაიქცა, მერმე მეორე, მეორეს მესამე მიჰყვა, მეხუთეს — მეექვსე და მეცხრეს — მეათე; წამდაუწუმ ხათქახუთქი ისმოდა. იატაკი თეთრის კაბებით, პერანგებით და ხალათებით აიპენტა.

ფეხზე მდგომნი იმ გიჟურ კორიანტელს ჯერ კიდევ უძლებდნენ, მაგრამ ისინიც მაინც ბარბაცებდნენ და გალობის მაგივრად ხრიალებდნენ და სისინებდნენ, ხოლო წაქცეულნი გასუდარებული ცხედრებივით ეყარნენ და უცნაურსა და გაუგებარს რასმე ჰბოდავდნენ და წინასწარმეტყველობდნენ. აქეთ-იქიდან მათი მილეული და უილაჯო როტვა, ბუტბუტი, კივილი, ჩურჩული და ბურტყუნი ისმოდა.

— ჩვენთან არს ძე ღვთისა!

— ღვთის კაცნო და ქალნო! ილხინდეთ და იშვებდეთ!

— ჩემი არს სული წმინდა, დნო და ძმანო!

— მე ვარ ტრედი ცისა და მშობელი ღვთისა! — ბურტყუნებდა „ღვთისმშობელი“ ლოხტინისა. — მოვედინ და სათნო მიყავ, საყვარელნო ძმანო ჩემნო! ჩემში არს ძალა ყოველი და სიყვარული უზღურბლო, რამეთუ ამისთვის მომივლინე...

ალილუია!.. ალილუია!.. ალილუია!.. წმინდაო მამაო, დავრდომილ ვარ მხურვალებითა. მოვედინ და მიპყარნ ხელნი შენნი და გამკურნე ბოროტთაგან სენთა...

— ვხედავ ცათა განხმულთა და სულთა ღვთისასა გარდამომავალსა, ვითარცა ტრედი მის ზედა. უფალო, შემიწყალე!..

— აღსრულებულ არს ჟამი, და მოახლოვებულ არს სასუფეველი ღვთისა. შეინანეთ, მამანო და ძმანო, და გრწმენინ ჩემისა.

— იესო ქრისტე! შენ ხარ ძმა ჩემი! მოვედ ჩემდა და დაამკვიდრე სულსა ჩემსა შინა სიყვარული ედემური, ალერსი ზეციური, ლხენა მარადიული და შვება სამოთხისებური. მოვედ, ძმაო, ჩემდა მოვედ! — ჰბუტბუტებდა ტანია და ხელებს კვაჰის კენ იშვერდა. კვაჰი ჯერ წაქცევას არ ჰბედავდა და ბარბაცით მარცხნივ მიიწევდა, სადაც გულაღმა ეგდო ის ქერა დედაკაცი, რომელსაც წეღან აედევნა.

ბოლოს კვაჰმა სედრაკას თვალი უყო. სედრაკა უმალვე ტანიას გვერდით წაიქცა. უცებ კორიანტელმა ლამფა ჩააქრო, და კვაჰიც მაშინვე დამიზნებულ ადგილს წაიქცა.

და დამყარდა მუნ წყვდიადი განუჭვრეტელი;

და იხილეს დათა და ძმათა, მამათა და დედათა ცანი განხსმულნი. და სული ღვთისა გარდამომავალი, ვითარცა ტრედი მათ ზედა.

და იყო დარბაზსა შინა სიყვარული ედემური, ალერსი ზეციური, ლხენა მამაშვილური და შვება სამოთხისებური.

და ვითარცა ზეცა ნათელ იღებდა და მზე ამოჰვიდოდა, ისმოდის მუნ კურკური ტრედთა, და გალობა სირინოზთა და ანგელოზთა, და ღრენა და ღმუილი მხეცთა, და ყმუილი და ღრიალი მაიმუნთა და წკმუტუნი და კვნესა ეშმაკთა და სულთა არაწმინდათა, რომელნი განსხმულ და განდევნილ იქნენ მშიერთა და სნეულთაგან ჯოჯოხეთსა შიგან უკუნითა უკუნისამდე.

და ღამესა მას დანი და ძმანი ოთახებსა შინა შევიდოდეს, და ძმანი დათა გამოსცვლიდეს, და დანი ახალთა ძმათა და ახალთა სიყვარულსა ჰპოვნიდეს და იგემებდეს.

ასე დასრულდა ღვთის კაცების საიდუმლო სერობა.

დილით კვლავ შეიკრიბნენ და კვლავ აირჩიეს გრიშკა რასპუტინი ძედ ღვთისად, ლოხტინის ქვრივი — ღვთისმშობლად და თორმეტი ღვთის კაცი და ქალი — თორმეტ მოციქულად, და მათ შორის კვაჰი, ელენე, ტანია და რამდენიმე წარჩინებული და დიდებული.

მერმე ყველანი ხატებით და გალობით გაემართნენ სადგურისკენ გასაცილებლად ძისა ღვთისა გრიგოლისა, რომელ

წარვიდოდა წმინდასა ქალაქსა და იერუსალემსა თვისთა საკუთართა და დათა მისთა, და ძმათა მისთა. და დედათა მისთა ცოდვათა მოსანანიებლად.

და გზადაგზა წმინდა მათ მლოცველთა მიეცის და მიემატებოდის მრავალნი თანამგრძნობნი, მიმდევარნი და მოწაფენი, რომელნი იგალობდის საგალობელთა წმინდათა და იხაროდის მომავალსა ცხონებასა ძისა ღვთისასა, ჰღვრიდის ცრემლსა მრავალსა, რამეთუ დადგა ჟამი განშორებისა.

და იყო სადგურსა შიგან ქვითინი და ოხვრა მრავალი, კვნესა და კივილი, წეწვა თმათა, ხოკვა ღაწვთა და ლოშნა უთვალავი.

და ჰქონდათ მოწაფეთა მათ ღაწვნი დაჭკნობილ და თვალნი ვითარცა გუბე დაუშრეტელი.

და გულისა შესაზარად დაიყივლის, და ხმა ჰყო ხმითა დიდითა მანქანებამან ეშმაკისამან.

და მოიტაცის მანქანებამან ეშმაკისამან ძე ღვთისა, წმინდა მოციქული, მოძღვარი, პატრიარქი და მეფე თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა — გრიშკა რასპუტინი.

და მეყვსეულად წარვიდნენ და დაიშალნენ მოწაფენი მისნი კვლავ წმინდისა მოძღვრებისა საქადაგებლად, საიდუმლო სერობისა განსამეორებლად და ძისა ღვთისა სადიდებლად.

ამინ!

კარი მეოთხე

აქა ამბავი ამხანაგობის ბუდის მოშლისა

რასპუტინი რომ იერუსალემში გაემგზავრა, კვაჭი კვაჭანტირაძემ და მისმა მეგობრებმაც ცხადად იგრძნეს დაობლება.

კვაჭს თითქოს საძირკველი გამოეცალა, თითქოს მარჯვენა მოსწყდა და ფრთამოტეხილ არწივს დაემზგავსა. დაობლება იგრძნო და თავის თავს ჰკითხა:

— აჰ, რა მემართება აი? ფული ბევრი მაქვს და ნაცნობმფარველიცა მყავს. მართლა გრიშკა ხომ არ მაცხოვრებდა! თუ მტრებმა გაიღვიძეს და მიჯიკავეს, აქ არ არიან მეფე-დედოფალი და ათასი წარჩინებული და დიდებული, რომელნიც გუშინლამ ჩემს ღიმილს ეძებდენ და კუდივით დამდევდენ?!.

კვაჭი ასეთი ფიქრებით იმშვიდებდა გულს, მაგრამ უხილავი შიში მაინც არ ჰშორდებოდა და გულს უღრღნიდა.

სადგურიდან რომ დაბრუნდა, შინ არავინ, აგენტის ხაინშტეინის გარდა, არავინ დაუხვდა.

— ამბავი?

— ცუდი ამბავი, ძალიან ცუდი ამბავი! ბანკები ისევ ონკალის შევსებას თხოულობენ და იმუქრებიან, აქციებს გავყიდითო. იმოდენა აქციები რომ ბირჟაზე გაიტანონ, უაროსად დაეცემა ფასი და ხვალ ხელმეორედ დაგვჭირდება ონკალის შევსება.

— გაჰყიდეთ „ანგლოროსის" აქციები და შეიტანეთ ბანკებში, მეტი რა გზა არის.

— შედეგი იგივე იქნება. აქციების ფასი დაიწევს.

— მაშ, რა ვქნათ? ამოდენა ნაღდი ფული სად ვიშოვო?

— აქციების პორტფელი განუსს ან გინცს დაუგირავეთ.

კვაჭი და ხაინშტეინი მთელი დღე ბანკებში, ბირჟაზე და ფულიან ხალხში სტრიალებდნენ, მაგრამ ყველგან იდუმალ და უძლეველ კედლებს აწყდებოდნენ.

ბოლოს იდუმალ ხაფანგში ფართხალითი დაღლილი კვაჭი თავის მრჩეველს, ხაინშტეინს გაჰყვა, რომელმაც იგი გინცის

მიერ ნაჩვენები გზით წაიყვანა. ზოგი აქციები დააგირავა, ზოგი გაჰყიდა, ზოგი გამოისყიდა და ზოგიც იყიდა, მაგრამ ბოლოს მაინც ფული შემოაკლდა, მაინც იხრჩობოდა, მაინც ვეღარ გამოსტოპა იმ ჭაობიდან და სამშვიდობოს ვერ გამოვიდა. გაყიდულ აქციებს მეორე დღიდანვე ფასი ემატებოდა, ნაყიდ აქციებს კი უფრო აკლდებოდა. დღე დღეს მისდევდა, წაგება — წაგებას და კვაჭიც უფრო მეტად იხლართებოდა უჩინარ ქსელში, რომელიც ბოლოს ხილულ გაკოტრებად უნდა გადაქცეულიყო. უკანასკნელ დღეებში მას უფრო ხშირად და ხშირად ესმოდა:

— განსხვავება შეავსეთ... შემოიტანეთ... გადაიხადეთ...

კვაჭიც უაზროდ და უმიზნოდ ფართხალებდა გაკოტრების ბადეში და თუთიყუშივით იმეორებდა:

— გაჰყიდეთ!.. დააგირავეთ!.. იყიდეთ გამოისყიდეთ!.. შეიტანეთ!.. გამოიტანეთ!..

ბოლოს, თვალები გაახილა, ყველაფერი დაინახა და გაიგო. გაიგო და დაიღრიალა:

— მიშველეთ! ვიღუპები! დამეხმარეთ!

მაგრამ გვიანღა იყო. დახმარების მაგიერ ყოველი მხრით უარესად დააყარეს და დააჭირეს.

კვაჭი ჯერ ელენეს ეცა, მერმე ტანიას, მაგრამ „არკადიაში“ მომხდარი საქვეყნო სირცხვილისა და წმინდა გრიგოლის წასვლის შემდეგ ორივენი უცხოეთში გაპარულიყვნენ და კვაჭისთვის მოკლე ბარათი დაეტოვებინათ: „ჩვენო ძვირფასო მეგობარო! მას შემდეგ რაც „არკადიაში“ მოხდა, ჩვენ აქ აღარ დაგვედგომება. დროებით ევროპაში მივდივართ და შენც გირჩევთ თავი მოარიდო აქაურობას. მუდმივი საცხოვრებელი ქალაქი ჯერ არჩეული არა გვაქვს. ნახვამდის! ღმერთმა ხელი მოგიმართოს, თუმცა... ორივეს ბევრი რამე გვაქვს სათქმელი, მაგრამ სხვა დროისთვის გადავდეთ. შენი ტანია და ელენე“.

გინცმა და განუსმაც ცივი წყალი გადაასხეს. კვაჭმა რამდენჯერმე კიდევ გაიფართხალა, რამდენჯერმე გაიქნია ხელ-ფეხი და მშვიდად გარდაიცვალა ბირჟისთვის.

კვაჭი საქმის კაცი, კვაჭი ფინანსისტი, კვაჭი ბირჟის მფლობელი — გახდილ და განაწილებულ იქმნა გინცის, განუსის და მათი აგენტების მიერ.

იჯდა დაღვრემილი სილიბისტროს ერთა და თავში ხელს იცე-

ემდა, თანაც ფიქრობდა: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა იყარეს წილი“.

იმავე დღეს კვაჭს თავთ წაადგნენ მისი ამხანაგები:

— სედრაკ, მიშველე!

— ჰამე? გაკოტრდი? ათი თუმანი გიშველის?

— დეიკარგე აქედან!

— მილიონები წყალში გადაგიყრია, ეხლა სედრაკამ როგორ გიშველოს?—უსაყვედურა ჩხუბიშვილმა.

ჩიკინჯილაძეც ჩაერია:

— აგია, აფხანიკებს რომ აფერს დოუჯერებ! გვითხარი, რა ვქნათ აწი?

— საქმე გართულდა, — სთქვა დინჯად ბესომ და კვაჭს გაზეთები გადაუშალა: — ა, წეიკითხე.

დასხდნენ და წაიკითხეს:

„რუსსკოე დელო“ ცეცხლს აფრქვევდა იმის გამო, რომ „მართლმადიდებელთა უდიდესი ტაძრის აშენება ვიღაც ველურ კავკასიელს K-ს მიანდეს, რომელმაც ეს საქმე ურიებს გადასცა“.

მეორე გაზეთი ირწმუნებოდა, ვითომ კ. კ-ძეს „ყალბი პასპორტით“ შეეყოს თავი მეფის სასახლეში, ვითომ კვაჭის აზნაურობაც კი საეჭვო ყოფილიყო, ხოლო თავადობა კვაჭს და „ერთ წმინდა მოხუცს“ მეფის მზაკვრული ოინბაზობით დაეცინცლოსთ.

მესამე გაზეთმა კვაჭის გაკოტრება გამოაცხადა, დაახლოებით ასწერა მისი ბიოგრაფია და მუქარაც დაუმატა: ამ დღეებში ამ ყმაწვილის სრულ ვინაობას, სახელს, გვარსა და თავგადასავალს გამოვაცხადებთო.

კვაჭი გაფითრდა, გამწარდა. ის გაზეთები ნაკუწ-ნაკუწად აქცია, სავარძელზე დაეცა და ამოიკვნესა:

— გათავდა!.. მორჩა!.. ყოლიფერი დეიწვა და დეიქცა!

ყველანი დიდხანს სდუმდნენ. მიბნედილი კვაჭი თვალდახუჭული იწვა და გაფითრებულ შუბლს ისრესდა, მერე უცებ წამოვარდა და „გაშტიკინდა“, თვალებით ცეცხლს ჰყრიდა, ხოლო იმის ხმაში ფოლადი და რკინა ისმოდა:

— აჰ, ყოლიფერი ტყუილია! კვაჭი კვაჭანტირაძე ასთე ადვილად არ დეიღუპება. სედრაკ!

ჰამე!

— წა ეხლავე და ათიოდე „გრანიცის“ პასპორტი მოამზადე. ერთი პასპორტი ავღანის ემირის მემკვიდრის სახელზე იყოს, დანარჩენი კი მისი მხლებლებისა. გვარები შენვე მოიგონე: ხვალ დილით ყოლიფერი მზად უნდა იყოს, გეიგე?

— ჰამე? გავიგე, მაშ!

— აპა, გასწი! ჭიპი, ლადი! ჯალილ! გაბო, ეხლავე წადით იმ გაზეთების რედაქციებში და ყოველი კაცი გააჩუმეთ, ზოგი მუქარით, ზოგიც ფულით. უთხარით: კაცი თლა ჩამოშორდა აქაურობას და პალესტინაში წავიდა რასპუტინთან-თქვა. თავი დაანებეთ, გაჩუმდით-თქვა, თვარა, თუ არ დეიშლით და კიდო რაცხას დაჩხაბნით, დაბრუნდება და ყოველ კაცს დედას გიტირებს-თქვა! სამიოდე ყოჩაღი ბიჭი წეიყვანეთ და, თუ საჭირო შეიქნა, თლა დოუმტვრიეთ იქაურობა და იქნობამდის სტყიპეთ, სანამ დეიღლებოდეთ. აპა, გატრიალდით! გეიგეთ ყოლიფერი?

— ვა, მაგაზე ადვილი რაღა იქნება! შენ სხვა ნურაფერს მომთხოვ, თორემ ჩხუბი ჩხუბიშვილის საქმეა.

— ბესო! აპა, დატრიალდი. ვინცხა მდიდარი კაცი იშოვე და ხვალვე ყოლიფერი გაყიდე. რა სთქვი? ტანიასია ყოლიფერიო? ვიცი, მარა რა დროს-ტანიაა, ლამის კაცი დევიწვა! კი, ავეჯიც, ცხენებიც, ავტომობილიც გაყიდე, ყოლიფერი, ყოლიფერი! დეიმზადე შორი გზისთვის... წასვლა არავის გააგებიოთ. აპა, დატრიალდი მეც ერთ პატარა საქმიზა წავალ... ჯალილ, ჩქარა ჩამაცვი! „ბერლიეს“ დოუძახე. აპა. ჩქარა! დატრიალდით!

და კვაჭი ჯერ ერთ მინისტრს ეწვია:

— მათს მაღალაღმატებულებას არა სცალიან.

კვაჭი მეორესთან გაიქცა.

— მათი ბრწყინვალება შინ არ გახლავთ.

კვაჭი მიტროპოლიტს მიადგა:

— მათი უწმინდესობა ავად ბრძანდება.

კიდევ ხუთიოდე დიდებულს და წარჩინებულს მიადგა, მაგრამ ყველა კარები დაკეტილი დაუხვდა. ყველამ ზურგი შეაქცია და მისი მადლი დაივიწყა.

— კაი! — წამოიძახა გამწარებულმა კვაჭმა. — რაკი ყველა გზები მომიჭრეს და ყველა კარები დამიკეტეს, უკანასკ-

ნელ კარებს მივაწვები და, თუ იგი ცხვირში მოხვდა ვინმეს, ეს ჩემი ბრალი ნუღარ იქნება.

და იმავე დღეს განუსის მეუღლეს აწვია და უთხრა:

— ყური მიგდე, ჩემო ტურფავ! ჩემმა მტრებმა ჩემი დამარხვა განიზრახეს. სამწუხაროდ, ამ ჭუჭყიან საქმეში შენი ქმარიც ჩაერია. მე კეთილშობილი და პატიოსანი კაცი ვარ, მაგრამ საფლავში ნებაყოფლობით მაინც არ ჩავალ. ყველა გზები მოჭრილი მაქვს და ჩემი უკანასკნელი იმედი შენა ხარ; შენ უნდა მომეშველო, თორემ... თორემ შენი წერილებით, აი ამ წერილებით შენს ქმართან მივალ და... ნუ აღელდი, დამშვიდდი და ყური მიგდე. ჩემი დახმარებით შენმა ქმარმა ხუთი ვაგონი ოქრო მოიგო. ეხლა კი ჩემი ჯერია, ეხლა მე მჭირდება დახმარება. რაო? როგორ უნდა დამეხმარო? ფული უნდა მასესხო... რა სთქვი? ამდენს ვერ იშოვნი? გაიჩეჩე და ადვილად იშოვნი. შენ დიდძალი საკუთარი ქონება გაქვს, ქმარიც ხელში გყავს. თუ გინდა, ეგ ფული მერმე ქმრის ჯიბიდან შეივსე. შევსება არ გინდა? მაშ, თუ გნებავს, ნუ შეივსებ. მე ჩემი მომეცი და შენ კი როგორც გენებოს ისე მოურიგდი შენს ბებერ ქმარს. მაშ, ხვალ მოვიდე? კეთილი და პატიოსანი. მაშ, ხვალამდის!

ამავე დროს გაბო ჩხუბიშვილის მეთაურობით ამხანაგები რედაქციებს მოედვნენ. ერთ გაზეთს ათასი-მანეთიანი განცხადება მისცეს იმის შესახებ, ვითომ ცარევო-კოკშაისკში რაღაც საჯარო ვაჭრობა იმართებოდა, და თან გუშინდელი შენიშვნაზე ისეთი განმარტება დააწერინეს, ვითომ ის შენიშვნა ჰგულისხმობდა ვიღაც არარსებულს თავადს კონსტანტინე კიმერაძეს. მეორესაც ადვილად მოურიგდნენ, მაგრამ მესამე გაზეთის რედაქტორი ახირდა და გაიპრანჭა.

— მაშ, თქვენი სეკუნდანტები დაასახელეთ.

— რაო დუელი? ჰმ! ეს ხომ ველურების საქმეა!

— მაშ, თქვენი ბრალი იყოს თუ სისხლი დავღვარეთ.

და ამხანაგებმა რევოლვერებზე გაიკრეს ხელი. რედაქტორი და მისი თანამშრომელნი დაუყვავდნენ და უმალვე მოლბნენ:

— რა ამბავია? ისეთი რა მოხდა, რომ თოფისწამალივით აფეთქდით?..

— საკვირველი ხალხი ხართ ქართველები, მაშინვე იარაღზე გაიკრავთ ხოლმე ხელს.

— ერთ უბრალო შენიშვნისთვის? ხა! რა არის ერთი უბრალო შენიშვნის დაბეჭდვა?! ხა! ოცი სტრიქონის მეტი ხომ არ გამოვა!

— აბა, დავწეროთ და გავათავოთ.

დასწერეს და გაათავეს, მერმე ერთმანეთს გაუღიმეს, მოუქონეს, ზურგზე ხელები დაუტყაპუნეს და დაშორდნენ.

სამ დღეში კვაჭმა ყველა საქმეები „გააიმასქნა“ და ვარშავის მატარებელში ჩაჯდა.

აქა ამბავი ემირის დახვედრისა და კვაჭის დამუნჯებისა

ბელადი ძვირფას აზიურ ხალათში იყო გახვეული. თავზე ჩალმა ჰქონდა მოკრული და ფეხებზე ძვირფასი ქოშები ეცვა; მეზობელ კუპეში მხლებელნი ჰყავდა. ისინიც უცნაურად იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი.

კვაჭის ჯიბეში ავღანელი პრინცის რაბიბულა აბდულ რაჰმან შეიხალის პასპორტი ედო, ხოლო პორტფელში — სხვადასხვა ეროვნების თავადთა, ბარონთა და პრინცთა კიდევ ხუთიოდე პასპორტი ჰქონდა მომარაგებული: „ვინ იცის, სად დამჭირდეს“.

კვაჭის მეგობრებსაც ასეთივე პასპორტი ჰქონდათ გამზადებული, ხარისხით და წოდებით უფრო მცირედი, როგორც შეეფერებოდათ დიდებულის მხლებლებს, ადიუტანტებს, მდივნებს და კამერდინერებს.

კონდუქტორმა კვაჭის ვინაობა გამოიკითხა და, მისი ემირობა რომ გაიგო, ეს ამბავი ჟანდარმს შეატყობინა. ჟანდარმმა შესაფერი დეპეშა გადასცა ვარშავაში, ხოლო მან გენერალ-გუბერნატორს მოახსენა.

ვარშავის სადგურს რომ მიადგნენ, ვაგონში ერთი ბრწყინვალე აფიცერი ამოვიდა და ჭიპი ჭიპუნტირაძეს თავაზიანად ჰკითხა:

— თქვენ ბრძანდებით მათ მაღალბრწყინვალების, ავღანის პრინცის მდივანი? მოახსენეთ პატივცემულ პრინცს, გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტს რომ მათი ნახვა სურს.

დაფეთებული ჭიპი კვაჭის კუპეში შევარდა:

— დევიღუპეთ!.. დაგვიჭირეს!.. გვიგეს!..

კვაჭი არ შეშინებულა, მხოლოდ შუბლი შეიჭმუხნა. ჩაფიქრდა და შემდეგ დინჯად უბრძანა:

— ნუ გედირევით, — გაშტიკინდით!“ იცოდეთ, მე რუსული არ ვიცი. სედრაკ, შენ ჩემი მდივანი და თარჯიმანი ხარ. შენ, ბესო, ჩემი ექიმი ხარ. ყოჩაღად იყავით. აქ რაცხა ამბავია. ფრთხილად! ქართულის მცოდნეს არ წავაწყდეთ. ჩვენი შიფრით ილაპარაკეთ. აბა, სთხოვე მობრძანდეს! — თვითონ სავარძელზე გაწვა და ქარვის ყალიონი გააბოლა.

ადიუტანტმა მოხდენილი სალამი მისცა:

— მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მათი აღმატებულება, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი პალამს გიძღვნით და გთხოვთ პატივი დასდოთ მათ და სადილად ეწვიოთ.

ყველას გულს მოეშვა. სედრაკამ ადიუტანტის თხოვნა და სალამი ქართული შიფრით გადაუთარგმნა:

— ხომწი, გაწი-გეწი, გპაწატიწიყოწიბენწი!

და გახურდა ვაგონში „იწიწიწინის“ და „აწაწაწას“ უმარტივესი სალაპარაკო შიფრი. კვაჭმა ოდნავ ჩაიცინა:

— აკი გითხარით, აქინე რაცხა ამბავია-თქვა? მადლობა გადუხადე და მოახსენე, რომ ჩემმა ექიმმა ვაგონიდან გასვლა ამიკრძალა, რადგან ავადა ვარ-თქვა.

სედრაკამ გადაუთარგმნა; ბესომ ქვერი დაუკრა. ადიუტანტმა სინანული გამოსთქვა ემირის მემკვიდრის ავადმყოფობის გამო და შეატყობინა, რომ სადგურის ბაქანზე მათს უბრწყინვალესობას სხვილფეხა მოხელენი უცდიან.

— სთხოვეთ მობრძანდნენ.

ბატებივით მოჰყვნენ ერთმანეთს გუბერნატორი, პოლიცმეისტერი, ქალაქის მაგისტრი და მრავალნი სხვანი ჯილდოს მაძიებელნი. ღიმილით და თავმოდრეკით წარუდგნენ კვაჭს და მშვიდობიანი მგზავრობა მიულოცეს, ერთმანეთი მოუკითხეს, ჩაათვალიერეს, გაუღიმეს და ამბავი გამოჰკითხეს, თანაც თავს უკრავდნენ და იკუზებოდნენ.

კვაჭმა ყველას თავის მადლი მოჰფინა, ყველას ობილი ღიმილი და უსიტყვო დაპირება დაურიგა მფარველობის და დახმარებისა, თავის მდივანს იმ მოხელეთა გვარები და ორდენები ჩააწერინა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ოდესმე, როცა პრინცი

დაბრუნდებოდა უცხოეთიდან, ის მოხელენი თავიანთ ორდენების სიას ალბათ ავლანის ორდენებით შეივსებდნენ, მერმე ისევ თავის ქნევით და ღიმილით გაიკრიფნენ ვაგონიდან. ხოლო ავლანის პრინცი და მისი მხლებელნი სიცილით იხოცებოდნენ.

— ჰა, აი მეტად სახიფათოა. აქინე რაიმე კვანტი არ მოგვდონ. გზა უნდა ავრიოთ, თვარა...

ჩუმად გადასხდნენ კრაკოვის მატარებელზე და ავსტრიისკენ ჩაუხვიეს.

კატტოვიცს რომ მიუახლოვდნენ, ჟანდარმმა მგზავრებს პასპორტები ჩამოართვა გასაშინჯად და უცხოეთში გასვლის ნებართვის მისაცემად. მოსაზღვრე სადგურზე მატარებლის დაძვრამდე ვაგონში ორი ჟანდარმი შემოვიდა. კვაჭი კუპეს კარებიდან ჰხედავდა, რომ ჟანდარმები ყოველ მგზავრს გვარსა და სახელს ეკითხებოდნენ, მერმე პასპორტების დასტიდან იმის გაშინჯულ პასპორტს ამოარჩევდნენ და ჩააბარებდნენ. ბოლოს, იმის კუპეშიც შემოვიდნენ.

— თქვენი გვარი და სახელი?

კვაჭს მეხი დაეცა და ცივმა ოფლმა დაასხა. აირია, გაფითრდა, გაწითლდა და ცახცახმა აიტანა. უცებ მოაგონდა, რომ ერთი საათის წინ ბესომ კვაჭის ექვსი პასპორტიდან ერთი პასპორტი ამოიღო, რომელიც ხელს მოჰხვდა, და გაუშინჯავად ჩააბარა იმ ჟანდარმს.

ჩემი გვარი? — ელვის სისწრაფით გაიფიქრა კვაჭმა. — რა ვიცი, რომელი პასპორტი ჩააბარა? ჩავუთათრულო? იქნება ბარონი ტიზენჰაუზენის პასპორტი მისცა? ჩავუქართულო? იქნება ჟანდარმს თავადი ტრუბეცკოის პასპორტი აქვს ხელში?

— თქვენი გვარი და სახელი? — ხელმეორედ ჰკითხა ჟანდარმმა.

კვაჭი ოფლში იწურებოდა და თვალებს უაზროდ ჰბლეტავდა, თან ბესოს მოლოდინში კარებისკენ იცქირებოდა. ჟანდარმი ეჭვით შესცქეროდა.

— თქვენი გვარი და სახელი-მეთქი! რა ამბავია, რა დაგემართათ? ხომ არ დამუნჯდით?

რაო, ხომ არ დამუნჯდითო?! რა თქმა უნდა, დამუნჯდა! დიდი, იმ ჟანდარმმა კარგად გაიგო და ვაშოიცნო: კვაჭი მუნჯია, დაბადებითვე მუნჯია!

და გულს მოეშვა, გაიღიმა და აყმუვლდა:

— მმმ... მმმააა... მმმიიი... წკმუტუნებდა კვაჭი, თან იღიმებოდა, ნიშნად მუნჯობისა პირზე ხელს იდებდა და პასპორტებს ეტანებოდა. ჟანდარმებმაც გაიღიმეს.

— მართლა მუნჯი ყოფილა. — სთქვა ერთმა და პასპორტების დასტა გაუშვირა: — აბა, თქვენვე მოსძებნეთ თქვენი პასპორტი.

კვაჭმა პასპორტების ხროვა აჰქექა.

„ძლივს! მადლობა ღმერთს!“ — წამოიძახა გულში და ერთი პასპორტი ჟანდარმებს გაუწოდა: აი, ჩემი პასპორტიო.

— თავადი ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი! — ხმამაღლა წაიკითხა ჟანდარმმა ის პასპორტი და გაიღიმა, თანაც დადნა და გალხვა. სწორედ ამ დროს კუპეში სედრაკამ და ბესომ შემოიხედეს.

— გამცემენ ეს ოხრები, უეჭველად გამცემენ! გაიფიქრა კვაჭმა და უმალვე მივარდა მათ და თავის პასპორტი მიაჩეჩა, თან ფეხებს აბარტყუნებდა, ხელებს მუნჯურად იქნევდა და ჰღმუოდა:

— მმმ... მმმააა... მმმუუუ!..

ორივემ თვალები დაჭყიტეს და პირები დააღეს:

— ვაა, დამუნჯებულა?! — გაიკვირვა სედრაკამ.

გახარებული კვაჭი ისე მძლავრად იქნევდა თავს, რომ კინაღამ კისრის ძარღვები დაიწყვიტა: ჰო, ჰო! დავმუნჯდი, დავმუნჯდი!

სედრაკამ ბესოს თვალი ჩაუკრა:

— დამუნჯებულა, რაღა!

— საბრალო თავადი! — ჩაურთო ერთმა ჟანდარმმა: — ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ლამაზი და მუნჯი?

— მეორეს რა გვარი აქვს! — დაუძახა მეორემ: „ბა-გრა-ტიონ-მუხრან-სკი ირაკლი გიორ-გი ე-ვიჩ.

— მაშ, მაშ! — დაუდასტურა მეორემ: — დაბადებიდანვე მუნჯია, ამიტომ მიგვყავს განთქმულ ექიმთან ვენაში.

ჟანდარმებმა სედრაკას და ბესოსაც ჩაიბარეს პასპორტები

და გავიდნენ, კვაჭმა და მეგობრებმა კი უმალვე ჩაიკეტეს კარები.

— რა ამბავია? რა მოხდა?

— ეშმაკმა წეიღოს ბესოს თავი და ტანი, აი ამბავია!

და ყველაფერი უამბო.

— აჰა-ჰა! ოჰო-ჰო! — ასტყდნენ სედრაკა და ბესო.

— რას იცინით, ყაზილარებო! — გასწყრა კვაჭი: — კინაღამ დევიფსე და დევილუპე კაკალი კაცი!

მერმე თავის დამფრთხების ამბავი მოაგონდა და თვითონვე გამხიარულდა. საზღვარს რომ გახცდნენ, ბოჩოლებივით ახტუნავდნენ და კვიცებივით აჭიხვინდნენ.

კარი მეხუთე

აქა ამბავი საიდუმლო ვალდებულებისა

ხანი გავიდა. კვაჭმა რამდენიმე წელიწადი დაჰყო ევროპაში და წვრილფეხურად კვაჭობდა. რუსეთმა და მან ერთმანეთი დაივიწყეს. სამაგიეროდ ბედმა კიდევ შეჰყარა იგი ელენეს, ტანიას, რების და მადამ ლაპოშს, რომელნიც სილიბისტროს შვილმა ერთხელ კიდევ გამოსწურა და გადაჰყარა.

ერთ დილას კვაჭუნიამ ჩვეულებრივ წაიკითხა გაზეთი. წაიკითხა და ბოლოთ დაჰკრა. დიდხანს ათამაშა ცხვირი და იბორგა, მერმე მეგობრებს მიუბრუნდა და ასე იწინასწარმეტყველა:

— ბესო, ლადი, ჰიპი! დეიხსომეთ ჩემი სიტყვა და გადაეცით ისტორიას შემდეგი: ორი კვირაც არ გაივლის, რომ რუსეთი გერმანიას უჯიკავებს და გერმანია რუსეთს. მერმე ომი ასტყდება და ღვთის რისხვა დატრიალდება. რუსეთს ინგლისი, საფრანგეთი, რუმინია და იტალია მიემხრობიან... კი, კი! იტალია გერმანიას გადუდგება და ინგლის-საფრანგეთს მიემხრობა-თქვა. გერმანიას ავსტრია, ბულგარეთი და ოსმალეთი მიუდგებიან. ბოლოს, ამერიკაც ჩაერევა და ქვეყანა თლათ სისხლით შეიღებება. თუ მე დევიღუპე, ჩემი ნათქვამი ისტორიას გადაეცით. აპა, ამხანაგებო, აწი გვჭირია ჩვენ ჭკუა, ფხიზლობა და სიფრთხილე.

სთქვა, ჩაიცვა და ბერლინის ბირჟაზე წავიდა. ბირჟა საგიჟეთს ჰგავდა. ზოგმა ომზე ჩამოჰკიდა თავის ბედი და ქონება, ზოგმა კიდევ მშვიდობაზე. აქციები, ობლიგაციები და ათასნაირი ფასიანი და უფასო ქაღალდები ყირამალა დატრიალდა, ზოგი უმაღლეს საფეხურზე ავარდა, ზოგი ორმოში ჩავარდა.

კვაჭი ომს დაეჭიდა და თვალი ლითონისა და იარაღის აქციებს დაადგა. დრო იხელთა, იდუმალ ჯგუფს გადაება, რომელიც ამ აქციებს ქვეით ეწეოდა, და იაფად იყიდა შნეიდერ-

კრეზოს, შკოდას, ამსტრონგისა და კრუპის აქციები. ნაღდი ფული თითქმის აღარ შეინარჩუნა.

მერმე სამასათასიან ბრბოს აჰყვა და ქუჩებსა, გაზეთებსა, ყავახანებსა და სალონებში გააფთრებით გაჰკიოდა:

— ნახ პარი! ნახ მოსკაუ! — პარიზისკენ! მოსკოვისკენ!

რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიიდან საფრანგეთში შეძვრა და იქაც ხმა ჩაიხლიჩა:

— ა ბერლინ! ა ბერლინ! ბერლინისკენ!

როცა შემდეგ რუსეთში დაბრუნდა, იქაც გაჰკიოდა, სადაც კი შეეძლო:

— ბერლინისკენ! კონსტანტინეპოლისკენ!

კიდევ გავიდა ხანი. სადღაც სარაევოში ერთი კაცისკან გამოკვესილი ნაპერწკალი მთელს ქვეყანას აგუზგუზებულ ცეცხლად მოედო. ვინმე პრინცის ტყვიამ ქვეყნის ყოველ კუთხეში ისეთი გრგვინვა და გრიგალი ასტეხა, რომ იგი ქუხილი ცას მისწვდა. ერთი წვეთი სისხლი ჯერ მდინარედ გადაიქცა, მერმე თვალუწვდენელ ზღვად გაიშალა. ოცი თუ ოცდაათი მილიონი დაგეშილი მეომარი გააფთრებით და გაშმაგებით ეკვეთა ერთმანეთს, დანარჩენებმაც ყველაფერს თავი მიანებეს, რამდენიმე ათას ვერსზე გაჭიმულ მეომრებს ზურგში ამოუდგნენ და ხელი მიჰყვეს სისხლიან მარიხის სამსახურს, თან ყველანი გაკაპასებით და სასოებით ჰყვიროდნენ:

— ჩვენთან არს ღმერთი!

თან პირჯვარს იწერდნენ სისხლიანი თითებით და სულიერ მეუფეს სამხედრო კავშირის შეკვრას ეხვეწებოდნენ.

— სიკვდილი ველურებს! გაუმარჯოს ცივილიზაციას!.. გაუმარჯოს ერთა თავისუფლებას, ძმობას, თანასწორობას!

სულთამხუთავმა ჯერ კოჭებამდე დაისველა ფეხი ხალხის სისხლში, მერმე მუხლამდე შესტოპა, შემდეგ იგი წითელ გუბეში შევიდა წელამდე და ბოლოს უძირო მორევში შეცურდა და შიგ ხუთი წელიწადი იჭყუპალავა.

ეს ქვეყანა და ჯოჯოხეთიც დაყრუვდა, დაბრმავდა და დაიჩრჩო უთვალავთა — თეთრთა და შავკანიანთა, წითელთა და ყვითელთა, გალმელთა და გამოღმელთა, მდიდართა და ღარიბთა, კაცთა და ქალთა სისხლით და ცრემლით, გოდებით და მოთქმით, ღმუილით და ღრიალით.

ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე თავისს ჰამქრით სისხლისა და

ცრემლის-ზღვაში, ცეცხლის გრიგალში, მპოფლიო დარდის მორევში დასცურავდა და დაძვრებოდა, დარბოდა და დაჰქროდა და გაკაპასებული, გაშმაგებული, ასე იბრძოდა თავგამოდებით:

— შნეიდერ-კრეზოს აქციები გაჰყიდეთ!.. კრუპი იყიდეთ!.. ამსტრონგი დააგირავეთ!.. შკოდი გადაყარეთ!.. კუნარლინი დასწიეთ!.. შაქარი მოაგროვეთ!.. ფქვილი ასწიეთ!..

ერთხელ ფრანგული კანონი მიადგა:

— კვაჭი, ჯარში წამობრძანდით!

კვაჭი ჯარში? კვაჭი ომში? ვერდენში ან არდენის მთებში? ხომ არ გაგიჟებულან! ვისთვის ან რისთვის? ფრანგებისთვის? გერმანელებმა რაღა დაუშავეს? რით სჯობია პარიზი ვენას ან ბერლინს? თუნდ ორივე დაინგრეს, ან ცამდის აშენდეს — კვაჭი რა შუაშია? ერთიც ვნახოთ, კვაჭის გვერდით ყუმბარა გავარდა, ან ტყვიამ გაიზუზუნა და მისი სისხლი დაიღვარა! ხომ არ გაგიჟებულან!

და რადგან ლონდონში წასვლა სახიფათო იყო, რადგან ერთ დროს იქაურებიც გაჰკვაჭა, ამიტომ მან და ამხანაგობამ სამ დღეში მანჩესტერში ამოჰყვეს თავი.

მალე ის კანონი ინგლისშიც წამოიჭრა:

— ქუდზე კაცი! ყველანი ჯარში!

— ბესო, აქინეც გაგიჟებულან. აბა, რომისკენ!

მაგრამ რიგრიგობით ყველანი გიჟდებოდნენ. მალე იტალიაც დაიძრა და კვაჭს ისევ გადარეულთა კივილი მოესმა:

— ქუდზე კაცი! ყველანი ომში!

ვერ მოგართვით! კვაჭი ჯერ არ გაგიჟებულა, რომ მაკარონისთვის* სისხლი დაჰღვაროს!

— ბესო, ჟენევისკენ!

კვაჭმა ძლივს მიაღწია სამშვიდობოს: ალპების კენწეროზე ავიდა და სამშვიდობო კუნძულიდან გულმშვიდად და არხეინად გადმოსცქეროდა აბობოქრებულ ომის ცეცხლს, თანაც ხოვჯერ იტყოდა:

— გეიხსენეთ ჩემი სიტყვები, ბერლინში რომ გითხარით. ყოლიფერი გამართლდა.

ბოლოს გრიშკა რასპუტინის მთელს ევროპაში ნამგზავრი წერილი დაეწია. მასწავლებელი სწერდა:

* მაკარონი იტალიელების ზედმეტი სახელია.

«Брат мои Аполончик!

Чаво шляйся то по иропе паганой?! Воротись суди, ато скушно биз тибя да дилов очин много. Здеся будит у тибе мир, покой, слава, деньгу и благадать Божиа. Да таши суди илену и таню. Так хочу я! Да, я! Григорий! Мотри, не опаздай. Да, Григорий!»

ამ წერილით შეშინებულმა და გახარებულმა რუსეთის ელჩმა მაშინვე მოუხერხა კვაჭს მშვიდობიანი მგზავრობა ხმელეთით და ზღვით, თანაც დაეღრიჯა:

ჩემზე ორიოდე სიტყვა ჩამოუგდეთ წმინდა მამა გრიგოლს და მინისტრს საზონოვს. ჩემი გულითადი სალამიც გადაეცით, ღმერთმა მშვიდობიანი მგზავრობა მოგცეთ.

ბესომ სადღაც ელენე იპოვნა და წამოიყვანა.

ვინ იცის, საგანგებო ხელის თუ განგების წყალობით მოხდა ის, რაც მოხდა კვაჭის გემზე ასვლის დღეს: ბაქანზე კვაჭს პირისპირ რებეკა შეეხეჩა.

— რებეკა! ჩემო რები!

— აპოლონ! ჩემო ძვირფასო!

ჩაეხვივნენ, ჩამქრალი ცეცხლი აინთეს და მინელებული სისხლიც აიდუღეს. მათი განშორების ამბავი არც კვაჭმა გაახსენა რებეკას და არც რებიმ მოიგონა. გემის ჯურღმულიდან ისაკა იდელსონიც ამოძვრა.

— გავკოტრდი და დავიღუპე! — აწუწუნდა ისაკა. — პეტერბურგში მივდივარ ჩემს ბიძა გინცთან

— გინცი! თქვენი ბიძაა გინცი? რატომ აქამდე არ გამახსენეთ?.. რაო, ვიცნობ თუ არა? როგორ არ ვიცნობ! ერთად ვმუშაობდით.

კვაჭმა რებეკას რამდენჯერმე წაატანა ხელი გემის ბნელ კუთხეებში, მაგრამ რები დაჟინებით გაიძახოდა:

— არა, არა... აქ არ შეიძლება... სტოკჰოლმში ჩამოვხტეთ ერთი დღით და... ნუ ხარ სულწასული, ხვალ ან ზეგ მივალთ და...

კრეისერების თანხლებით მიმავალი გემი ბერგენს მიადგა, ყველანი მატარებელში გადასხდნენ, ნორვეგია გადასჭრეს და სტოკჰოლმში ჩავიდნენ.

ძლივს მოასწრო კვაჭმა სასტუმროში ტანისამოსის გამოცვლა, რომ მის ოთახში იდელსონი და ერთი გერმანელი შემოვიდნენ, ის ოთახი დაჰსუნეს, კარები ჩაჰკეტეს, დასხდნენ, კვა-

შიც დასვეს და აჩურჩულდნენ. ორი საათი იჩიფჩიფეს, თან წამდაუწუმ ტალანში იხედებოდნენ. იქაურობას ათვალიერებდნენ და დაწყებულ „საქმეს“ განაგრძობდნენ. ძლივს მორიგდნენ, ერთმანეთი დარიგებით გაჰბერეს და დაჰშორდნენ. როცა ოთახიდან გადიოდნენ, იდელსონი შემობრუნდა და კვაჭს უთხრა:

— ამიერიდან მე და თქვენ ერთმანეთს აღარ ვიცნობთ და არც ოდესმე ვიცნობდით. თქვენ მხოლოდ თქვენს ფრანგული ენის მასწავლებელს რებეკას იცნობთ. არაფერი დაივიწყოთ, თორემ... ხომ იცით! შესათვლელს ერთმანეთს რების პირით შევუთვლით. მშვიდობით იყავით!

და იმავე საღამოს ისაკა იდელსონმა კვაჭს რების პირით ზოგი რამე შემოუთვალა. კვაჭმა ისეთი რთული და ძნელი საქმე იკისრა, რომ ისაკას შემონათვალის მოსმენას და რების დარიგებას მთელი ღამე მოანდომა. დილით სტოკჰოლმში კვაჭი ვიღაც ქართველებმა ინახულეს და საიდუმლოდ ჩასჩურჩულეს:

— ჩვენთვის გერმანიის გამარჯვება სჯობია.

— შეუძლებელია! ღალატია!

— მაშ, გაღმა იმუშავეთ, იქნება პოლონეთსავით ავტონომია მაინც მოგცენ.

— საქართველოს ავტონომია არ გამოადგება.

— მაშ, რისთვის იღვრება ესოდენი ჩვენი სისხლი?

— დიდი რუსეთისთვის. თუ მან გაიმარჯვა, ჩვენ მოვიგებთ. დანარჩენი კი — ენა, ეროვნული კულტურა, პოლიტიკური უფლება — ქიმერიონია! რას ჩააცივდით ერთ მტკაველ საქართველოს, ერთ მუჭა ხალხს! იმ ორმოში ჩავიხჩვებით, ფრთას ვერ გავშლით და სულს ვერ მოვითქვამთ. გადაჰხედეთ დიდ რუსეთს. მსოფლიოს მეექვსედია, ორას მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი, და ხალისი გაქვთ, ფრთები გაშალეთ და ამ ულევ სივრცეში ინავარდეთ

კიდევ დიდხანს იჩურჩულეს მიყრუებულ სახლში. ბოლოს კვაჭმა იმედიანი პასუხი მისცა:

— არც აქეთ, არც იქით. სიფრთხილე და მორჩილება. არავის აწყენინოთ და არავინ მოიმდუროთ. ამბებს მოგაწოდებთ. თქვენც ყოლიფერი გამაგებინეთ. პაროლი თვეში ერთხელ შესცვალეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

გულში კი სთქვა: „ვინ იცის, იქნება აქინეც გამოდნეს რა-მე“.

— ძმაო აპოლონჩიკ! დაო ელენე! — ჩაიხუტა გულში ორი-ვენი ერთი კვირის შემდეგ გახარებულმა გრიშკამ.

ორი წლის უნახავებმა ორი დღე მოანდომეს ერთმანეთის მოკითხვას და თავგადასავლის თხრობას. კვაჭმა მრავალი უამ-ბო გრიშკას დამპალ ევროპის გაგიჟების, უზნეობისა და გახრ-წნილების შესახებ. უფრო საეკლესიო და სასულიერო ამბებს დააწვა, თუმცა ერთის ან მეორის შესახებ ევროპაში ერთი სი-ტყვაც არ გაუგია და არც წაუკითხავს.

სილიბისტროს ოჯახში დიდი აურზაური და სიხარულის ჟრიამული ასტყდა.

— აგრე უნდა, ბოშოო? არ გცხვენია შეეენ? — უსაყვე-დურებდა სილიბისტრო კვაჭს.

— არ ვარგა, შვილო, დედის დავიწყება, თვარა. — აბობ-და პუპი და გაგარეულებულ შვილს გულში იხუტებდა.

— იციან შენი „სტრახის“ ამბავი? — ჰკითხა ბოლოს კვა-ჭმა სილიბისტროს.

— თელ ქვეყანას გოუგია. დევიღუპე კაკალი კაცი! — მო-იღრუბლა სილიბისტრო.

— გოდვუხდი „სალამანდრას“ ათი ათას მანეთს პროცენ-ტებით და აი იქნება! — გადასწყვიტა კვაჭმა.

სანამ გრიშკა და ელენე ერთმანეთს გააძღობდნენ და თავს მოაბეზრებდნენ, კვაჭმა ხელახლა შეჰკრა მრავალი გაწყვეტი-ლი ძაფი და ახალიც გააბა. ორიოდე კვირაში პეტერბურგში კოხტად დაწნული და მოქსოვილი ბუდე გაშალა, ძველი ბილი-კები და არხები გასთოხნა და ახლებიც გაიკვლია. სამხედრო-ბე-გარას თავი დააღწია, „ზემგუსარის“ სამხედრო ფორმაში გა-მოიწკიპა, ჩექმებზე დეზები აიკრა, სამხედრო ქუდზე ნიშანი გაიკეთა, მხრებზე ოქროს ეპოლეტები გაიწყო, ექსელბანტიც ჩამოიკიდა და გაშტიკინებული თავადი კვლავ პროსპექტებს, ცხენებს, ავტომობილებს, ბანკირებს, რესტორანებს, კარისკა-ცებს, ხელისუფლებას და მზეთუნახავებს დაუბრუნდა, რო-მელნიც ორ წელიწადში უფრო გამრავლებულიყვნენ და გა-ლამაზებულიყვნენ.

აქა ამბავი „კეთილი სამარიტელისა" და კვაჭის ახალ წარმატებისა

ერთ დღეს ნევის პროსპექტზე ახალი უზარმაზარი კანტორა გაიხსნა ოქროს ფირნიშით: ომში დაჭრილ-დახოცილთა დამხმარე საზოგადოება „კეთილი სამარიტელი".

მის თავმჯდომარეს და პატრონს კვაჭი კვაჭანტირაძეს ცხრა მდივანი ჰყავს, ამდენივე ადიუტანტი და ორასამდე მოსამსახურე — ისინიც დარჩეული ჯიშის „ზემგუსარები". ამოდენა ხალხში, ლამაზ მემანქანეთა გარდა, კიდევ ერთი ქალი ურევია — კვაჭის მდივანი და ფრანგულის მასწავლებელი რებეკა იდელსონისა.

კვაჭმა ყველა ძველი მეგობრები შემოიკრიბა გარდა ვაბოსი და სედრაკასი, რომელნიც უბრალო სალდათებათ წაეყვანათ სტამბოლის ასაღებათ.

შემდეგში კვაჭმა ორივენი დაიხსნა, რადგან ფრიად საჭირო სპეციალისტები იყვნენ მის რთულსა და „პატრიოტულ" საქმეში, და ორივეს დღე-დღეზე მოელოდა. ბოლოს დრო დადგა და ისინიც ჩამოვიდნენ.

— ვაა, კნიაზ, გადენერლებულხარ?

ერთმანეთს ჩაეხვივნენ და იმავე ღამეს ძველი ოჯახის აღდგენა „არკადიაში" გადაიხადეს.

კვაჭი დღეში ათას ბრძანებას იძლეოდა:

— მეორე კორპუსს ათასი ცხენი ჩააბარეთ... დონის ოლქში მესამე ლაშქარს ასი ვაგონი ქერი მიეცით... ვარშავაში ორასი ვაგონი ფქვილი ჩაიტანეთ... მეოთხე ლაშქარს ათი ათასი წყვილი საცვალი მიეცით... ინტენდანტ ივანოვს ორასი ათასი მიეცით... გაჰყარეთ! იყიდეთ!.. ვაჭრობა/ვამოისყიდეთ!.. დააგირავეთ!.. მოსთხოვეთ!..

კვაჭი მოგებით გაიბერა. მის ანგარიშებს ხშირად ემატებოდა თითო ნოლი. დღისით მუშაობდა, საღამოებს კი გრიშკას, მზეთუნახავებსა და წარჩინებულებს ანდომებდა.

ზოგჯერ რებეკას პაპიროსის ქაღალდზე შიფრით დაწერილს მცირეოდენ ცნობას მისცემდა და მისგანაც მცირეოდენ დავალებას მიიღებდა. მიღებულ ცნობას რებეკა ბულულა თმაში ჩაირჭობდა და წავიდოდა.

ზოგჯერ გრიშკა დაღონებული და დაღვრემილი იყო. ხში-

რად ლოცულობდა სასოებით, ოხრავდა, იგლეჯდა და იცრემლებოდა.

— დიდო მასწავლებელო! რაღაც გაწუხებს, რაღაც დარდი გაქვს — ჰკითხა ერთხელ კვაჭმა.

— ძმაო აპოლონჩიკ! გული ავს რამეს მეუბნება. ღმერთს არ უნდა ამ ომის კურთხევა. წავაგებთ, დავიღუპებით, დავინგრევით. ღმერთო, გვიხსენ ეშმაკისგან! ღმერთო, შეგვინდე შეცოდებანი ჩვენნი! აპოლონჩიკ! ილოცე, შენც ილოცე! მთელმა რუსეთმა უნდა ილოცოს. ეკლესიები დღედაღამ ღია უნდა იყოს, ყოველდღე წირვა უნდა იდგეს. უფალმა ღმერთმა აკურთხოს ჩვენი გამარჯვება, თორემ... თუმცა... აპოლონჩიკ! ომი რომ იწყებოდა, მეფეს მუხლებში ჩაუვვარდი, გავაფრთხილე და ცრემლით შევევედრე: «Николаша, не воюй! народ загубишь, россею разрушишь, трон потеряешь, сам погибнешь и нас погубишь!» პირველად უარი მითხრა. ჩემმა რჩევამ არ გასჭრა. უწმინდურნი და გაგიჟებულნი ჩვენზე ძლიერნი გამოდგნენ. ჩვენც განზე გავდექით, რადგან საყვედურისა გვეშინოდა; თავიანთ დამარცხებას და უნიჭობას ეხლაც ჩვენ გვაბრალებენ. საქმე ძალიან ცუდათ მიდის, აპოლონჩიკ! ჩვენი ჯარი მარცხდება. დამარცხებას კი საშინელი ამბები მოჰყვება: რევოლუცია, ანარქია, ხოცვა-ჟლეტა, შიმშილი, რუსეთის რღვევა და ტახტის დანგრევა. თავადი მეშჩერსკი, ბებერ მელას რომ ეძახიან, ყველაზე ჭკვიანი კაცია რუსეთში. ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის. ის რომ ლაპარაკობს, თითქოს საბედისწერო ყორანი სჩხავისო. ტანში ჟრუანტელი მივლის და თავი შავის ნისლით მევსება. ჯოჯოხეთის ეშმაკმა მოაწყო წმინდა რუსეთისა და ურწმუნო საფრანგეთის კავშირი: რა გვაქვს იმ ხალხთან საერთო? არც ღმერთი სწამთ, არც ზნეობა აქვთ და არც მეფე ჰყავთ. გახრწნილი, დამპალი და გადაგვარებული ხალხი ყოფილა. გუშინ მთელი დღე და ღამე ლოცვაზე ვიდექი და ერთხელ კიდევ შევევედრე უფალსა: „უფალო, უფალო! განმიწმინდე მე სული ბოროტი, მომიტევე მე შეცოდებანი ჩემნი და გამიხსენ კარნი მომავალისა“! ხატმა ისევ თვალები დახუჭა და ისევ ცრემლები გადმოაფრქვია. მუდამ სტირის ჩემი ხატი, აპოლონჩიკ, სტირის! ეს კი იმის ნიშანია, რომ რუსეთი დაიღუპება. აპოლონჩიკ, მე ერთი ბნელი მუჟიკი ვარ, ხეირიანი წერა-კითხვაც კი არ ვიცი, განათლება არა მაქვს,

მაგრამ ღმერთმა კარგი მუჟიკური ჭკუა, მჭრელი თვალი და გალესილი გულისხმენა მომცა და ამიტომ ამ ქვეყნისა ბევრ ნასწავლზე მეტი გამეგება. აპოლონჩიკ, დაიხსომე ჩემი სიტყვა: თუ ეხლავე არ გავათავეთ ომი, ჩვენც დავიღუპებით და რუსეთიც დაინგრევა. მოდი, აპოლონჩიკ, მოდი ისევ უფალი ვილოცოთ და ჩვენი რუსეთი შევავედროთ.

კვაჭი ყველაფერში დაეთანხმა გრიშკას და დაპირდა ზავისთვის მუშაობას. თუმცა კარგად ჰგრძნობდა და ჰხედავდა, რომ საადრევი და სახიფათო იყო ამაზე ზრუნვა, რადგან ქეციანმა, კბილალესილმა და სისხლიანმა ომის ძაღლმა იმდენი მოულოდნელი მომხრე და მოკავშირე იპოვნა და ისეთი გეზი აიღო, რომ გამწარებული და დაბრმავებული ზემო თაობა უფრო საკუთარ თავის მოკვლას ამჯობინებდა, ვიდრე ფიცის გატეხვას და საქვეყნო ღალატს.

გრიშკა ინგლისის სანაპირო ქუჩაზე გადასახლებულიყო. მისი გავლენა და ძალა გაორკეცებულიყო, თუმცა თვითონ მუდმივ წუწუნში იყო: აღარავინ არ მიჯერებს და აღარაფერს არ მეკითხებიანო.

ერთხელ, როცა გრიშკა და კვაჭი ფეხით მიდიოდნენ, სამ ალაგას რამდენიმე მგზავრი ფეხქვეშ ჩაუვარდა გრიშკას, ხელები დაუკოცნეს, იმის კალთას ემთხვივნენ და სასოებით შევედრეს:

— იესო ქრისტე, ჩვენო მაცხოვარო! ილოცე ჩვენდა ცოდვილთათვის. ღმერთი შეგისმენს. ილოცე, რამეთუ ვიღუპებით.

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისათა წმინდისათა. ირწმუნეთ ძმებო და დებო. რამე თუ მოახლოვებულ არს ჟამი ქრისტეს მოსვლისა. მოითმინეთ და გახსოვდეთ წამებანი მისნი. ამინ. მერმე ცრემლი მოიწმინდა და კვაჭს მიუბრუნდა: — ჩვენი საქმე გათავებულაა... ვიღუპებით...

რამდენიმე დღის შემდეგ გრიშკამ კვაჭს დეპეშა აჩვენა დედოფლის მიერ მონაწერი. რომელიც გრიშკას ციმბირში სწერდა, რომ მას, დედოფალს, უგრიშკოდ ერთი დღეც აღარ შეუძლიან გაძლება. მას განუწყვეტლივ ემართებოდა ბნედა და ნერვიული ციება, ხოლო უფლისწულს მეტად ხშირად დასდიოდა სისხლი ნატკენ ალაგიდან. საუკეთესო ექიმები უძალონი გამოდგნენ. გრიშკა რომ ციმბირიდან დაბრუნდა, დედოფალიც დასცხრა. გრიშკას მიერ მოყვანილმა ტიბეტის ექიმმა ბადმა-

ევმა უფლისწულს სისხლი შეუჩერა. იმ დღიდან მეფე-დედოფალი რასპუტინს სამუდამოდ ჩაუვარდნენ ხელში და არც გრიშკას და არც ბადმაევს აღარ იშორებდნენ.

იმავე ხანებში გრიშკას მტრებმა ერთხელ კიდევ სცადეს მისი ჩამოგდება. პასუხად რასპუტინი სასახლეში მივიდა და დაღებულთა დასწრებით მეფე-დედოფალს დაემუქრა:

— ვიცი, რომ ჩემი მტრები სამარეს მითხრიან. ყურს ნუ დაუგდებთ, ნუ მომიშორებთ, თორემ ექვს თვეში მემკვიდრესაც დაჰკარგავთ და ტახტსაც.

დედოფალმა რასპუტინს დაუჩოქა და წამოიძახა:

— არ შეგვიძლიან შენი მოშორება, წმინდანო! შენ ხარ ჩვენი ერთადერთი მფარველი და მეგობარი. კურთხევა, წმინდაო მამაო, კურთხევა!

ამიერიდან გრიშკას აღარავისგან არ მიუღია უარი. იშვიათად გავიდოდა დღე, რომ მას არ ეთქვა, ან არ მიეწერა დედოფლისთვის: ესადაეს კაცი გადააყენეთ... დანიშნეთ... გადაიყვანეთ... გადმოიყვანეთ... ასწიეთ... დაწიეთ...

თვითონ მეფე დედოფლის დაუკითხავად, ხოლო დედოფალი გრიშკას ნებადაურთველად, ნაბიჯს აღარ გადახდგამდნენ და ერთს მცირედ საქმესაც არ გადასჭრიდნენ.

ერთხელ რასპუტინი და გენერალი სუხომლინოვი კვაჭს კანტორაში ეწვივნენ და დიდი ზეიმით, მადლობით, ლოცვა-კურთხევით და ლოშნით ჩააბარეს მეფის წყალობა: კვაჭს—ერთი ჯვარი და ერთი მედალი, ხოლო მის ამხანაგებს — თითო ჯვარი.

სწორედ ამ დროს ბესომ ორი დიდი წიგნი შემოიტანა. საუცხოვოთ გამოცემული და უხვად დასურათებული. კვაჭმა ჯერ ცეცხლიანი და ცრემლიანი სიტყვა უთხრა რასპუტინს და სუხომლინოვს და მერმე თითოს თითო წიგნი ჩააბარა. გადაპფურცლეს და ერთ მათგანზე წაიკითხეს: „გენერალ სუხომლინოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“. მეორე წიგნსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „ცხოვრება და მოღვაწეობა წმინდისა მამისა გრიგოლისა“. ორივე წიგნზე გოჯისოდენა ასოებით იყო დაბეჭდილი: „შედგენილი და გამოცემული მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტის თ-დის ნაპოლეონ აპოლონის ძის კვაჭანტირაძის მიერ“.

ასტყდა კვლავ საზეიმო სიტყვები, მადლობა, ხვევნა და ტლა-

შატლუში. როცა გენერალმა სუხომლინოვმა გაიგო, რომ კვაჭმა ფრანგულ და ინგლისურ ენებზედაც გამოსცა ასეთივე წიგნები და რამდენიმე ათასი ცალი მოსდო ევროპას, კვაჭს ძმობა შეჰფიცა და სამაგივრო დაჰპირდა.

მერმე რასპუტინმა უთხრა კვაჭს:

— აპოლონჩიკ, ყური დამიგდე: ჩვენი მტრები არწმუნებენ ხფრანციას, ვითომ მე ეხლავე ომის შეწყვეტას მოვითხოვდე. მართალია, ჩემი რწმენა ასეთია, მაგრამ „პაპას“ და „მამას“ ჰსურთ, რომ მე ხფრანციის ელჩი დავამშვიდო. ეს წერილი ჭაუდე იმ ელჩს.

დაჯდა, გაიჭინთა და დასჯღაბნა:

«Давай Бох по примеру жить расси оне укоризной страны например нестожества сей минуты свит бох евленье силу увидите рать силу небес победа свами и вас распутин»:*

ეს მისტიური ნაბოდვარი კვაჭმა საფრანგეთის ელჩს მორის პალეოლოგს მიართვა. ვერც კვაჭმა, ვერც ელჩმა და ვერც სხვამ გაიგო ამ წერილის შინაარსი.

იმავე საღამოს კვაჭმა ჟურნალისტ კნულმანს რასპუტინისა და სუხომლინობის ბიოგრაფიის შედგენისათვის საბოლოო ანგარიში გაუსწორა.

რამდენიმე დღის შემდეგ გრიშკა და კვაჭი ერთი დიდი მთავრის სასახლეში შევიდნენ, რომელიც სამხედრო სამკურნალოდ იყო გადაკეთებული, და დაჭრილ სალდათებს საჩუქრები მიუტანეს.

დიდ პალატაში კვაჭი და საფრანგეთის ელჩი ერთმანეთს შეჰხვდნენ.

— გთხოვთ იცნობდეთ: გრიგოლ რასპუტინი..., ელჩი მორის პალეოლოგი.

გრიშკა უცებ აწითლდა და აშფოთდა:

— ძალიან მინდოდა შენი ნახვა. აპოლონჩიკ, გადაუთარგმნე: რუსეთი ინგრევა. ხალხი ჯვარს ეცვა. დროა გაათავონ, თორემ ან ჩვენ თვითონვე გავათავებთ და ან ხალხი გაგვათავებს. დიაღ, დროა! ამას მე ვამბობ, მე, გრიშკა რასპუტინი! დიაღ, მე!

მერმე მოულოდნელად ეცა პალეოლოგს, გულში ჩაიკრა,

* ესეც ისტორიული დოკუმენტია.

ფუცადა და გარეთ გავარდა, თან ხელების ქნე-

ам палитика! მე მუჟიკი ვარ და მუჟიკური იყვარს. რა დროს პოლიტიკაა, ლამის ხალხმა ი! ზავი ჩქარა, თორემ დავიღუპებით!

უდიდეს სამხედრო საქმის „გაიმასქნებისა"

გრიშკა ისევ ძალაში შედიოდა. კვაჭი სამხედ-სუხომლინოვის ხშირი სტუმარი იყო, რადგან სამარიტელი" მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბასთან, რომელსაც იგი აძლევდა უთვალავ სურ-საცვალს და მრავალ საომარ მასალას. გარდა ინოვის ბიოგრაფიამ და საერთო მეგობარმა აჭი და გენერალი მჭიდროდ შეჰკრეს და დაამ-

დებურად ეჭირა ხელში რამდენიმე გაზეთი, რო-საბაბით და უსაბაბოდაც ჰბერავდნენ მას და ისტრს, მათს ნიჭს, გენიალურ შემოქმედებას, ას და საარაკო ორგანიზატორობას.

და უაღრესი ნდობის ნიშნად ერთხელ სუხომ-ორი ჯვარი კიდევ ჩააბარა და უთხრა:

ონ აპოლონიჩ! ერთი უდიდესი სახელმწიფო სა-ავალოთ. თქვენზე მეტს არავის ვენდობი. ამე-წახვიდეთ და იქაურ ქარხნებს დიდძალი იარა-ლი და ყუმბარები უნდა შეუკვეთოთ. თანახმა

ება, ძალიან მეძნელება, მაგრამ სამშობლოს სამ-ე წაუვალ, მიმსახურეთ.

გახსოვდეთ, რომ თქვენ უდიდესსა და უხივა-ნდობთ. არავინ არ უნდა გაიგოს, თორემ...

у мене, Аполончик! — დაუმატა რასპუტინმა ი თითი კვაჭის ცხვირწინ დაუქნია.

ე დღის შემდეგ დარიგებით, ფულით და დალუ-პაკეტებით დატვირთული კვაჭი ამერიკაში წა-ლმის სადგურზე ნაცნობი გენერალი დაუხვდა

— თქვენ ამერიკაში მიბრძანდებით საიდუმლო დავალებით...

ისევ წაიჩურჩულეს. ხანგრძლივი დავა და ვაჭრობა ჰქონდათ. მერმე კვაჭის პაკეტებს გერმანელი კალიგრაფები ჩაუსხდნენ და ისე გადასწერეს, რომ დედანს და ასლს ერთმანეთისგან ვერავინ გაარჩევდა. მხოლოდ გადაწერილში მცირეოდენი შესწორება შეიტანეს: მათემატიკური რიცხვები ოდნავ შეამცირეს. მეორე დღეს კვაჭს ისევ ძველებურად დალუქული პაკეტები და ერთი ჩეკი ჩააბარეს, მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს და ბერლინისკენ მოუსვეს.

ერთი კვირის შემდეგ ინგლისის კრეისერმა კვაჭი ნიუ-იორკში მიიყვანა. კვაჭმა და რუსეთის სამხედრო ატაშემ მექარხნენი მოიწვიეს, ივაჭრეს და მორიგდნენ. როცა კვაჭმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და ერთი ჩეკი კიდევ გაიკრა, თავისუფლად ამოისუნთქა და საკუთარ საქმეებს შეუდგა.

მცირე ფულით ათიოდე გემი იყიდა, სურსათით და საომარ მასალით დატვირთული. ეს გემები რუსეთის სამხედრო უწყების სახელზე გაჰგზავნა არხანგელსკში და თვითონ მახლობელ ქალაქებს მოედო. შეირბინა ფილადელფიას, ვაშინგტონს, ბოსტონსა და ჩიკაგოში, ყველგან თითო-ოროლა საქმე გააჩაღა, ცივს ქალებს ცხელი ქართული სისხლი აგემინა, მერმე მთელი ამერიკა გადასჭრა, დიდი ოკეანე გადასვრა, იაპონიაშიც შეიხედა, გეიშები გაჰსინჯა და ციმბირის გაუთავებელი გზით პეტერბურგში დაბრუნდა.

გრიშკას, ელენეს, მეგობრებსა და დიდებულთ ძვირფასი საჩუქრები მოუტანა, ყველანი მოიმადლიერა და უფრო მეტად დაიახლოვა. გენერალ სუხომლინოვსაც ანგარიში ჩააბარა:

— იმ ზომის და ყალიბის იარაღი და ყუმბარები ბლომად ჰქონდათ დამზადებული სხვებისთვის. ცოტა მეტი მივეცი, სამაგიეროდ ნახევარს ეხლავე ჩამოიტანენ, მეორე ნახევარსაც კი სამი თვის შემდეგ. დრო მოვიგეთ.

ამერიკიდან წამოღებული უამრავი დამპალი საქონელი სამხედრო უწყებამ იყიდა.

ორი კვირის შემდეგ კვაჭი ცარსკოე სელოში დაიბარეს. მეფე-დედოფალმა სუხომლინოვის, რასპუტინის, ფრედერიქსის და მრავალთა დიდებულთა, მთავართა და წარჩინებულთა დასწრებით კვაჭს დიდი მადლობა გადაუხადეს, კამერ-იუნკერის

მუნდირი უბოძეს და კიდევ სამი სხვადასხვანაირი ჯვარი ჩამოჰკიდეს.

სადილად მეფემ კვაჭი გვერდზე მოისვა და ამბავი გამოჰკითხა. კვაჭმა პირი მოიხსნა და ცოცხლად, ჭკვიანურად, დალაგებით და დარბაისლურად უამბო ნახული და უნახავი, გაგონილი, გაუგონავი, და ბოლოს პაუზის შემდეგ ოდნავ ხმა დაიმდაბლა:

— ვიცოდი, რომ თქვენს უდიდებულესობას ესიამოვნებოდა წარჩინებული ამერიკელის აზრის გაგება ამ საშინელი ომის შესახებ.

— ძალიან მესიამოვნება, ძალიან.

— მრავალი მინისტრი და პრეზიდენტი ვნახე, ეხლანდელი და წინანდელი. ყველას კერძოდ და ინტიმურად შევხვდი: ტაფტს, რუზველტს, ვილსონს, იუზს, ედისონს, მორგანს, როკფელერს და მრავალ მინისტრებს, მილიარდერებს, სენატორებსა და წარჩინებულებს. მოკლედ მოგახსენოთ: ყველანი დიდი მოსურნენი არიან ჩვენი გამარჯვებისა, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ... ჩემს მეფეს ვერაფერს ვერ დავუმალავ, ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია სიმართლის თქმა, თუგინდ იგი უსიამოვნოც იყოს. თითქმის ყველანი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ეს საშინელი ომი ერთ-ორ წელიწადს კიდევ გასტანსო...

— ღმერთო დიდებულო!

— გამარჯვება უეჭველად ჩვენს კავშირს ერგებაო, მაგრამ თუ რუსეთი... თუ ბოლომდე ვერ გაუძლებსო...

ყველამ ხმა ჩაიკმინდა და შუბლი შეიკრა, გრიშკამ კი კვაჭს გამხნევების ნიშნად თვალი ჩაუკრა.

მეფე ღრმა საგონებელს მიეცა, თავი ჩაჰქინდრა და პირში ლუკმა ვეღარ ჩაიდო. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს სუფრაზე მიცვალებული დაასვენესო. მერმე უსიტყვოდ აიშალნენ. მხოლოდ დედოფალმა გადაჰხედა მადლიერი თვალით კვაჭს და ნატიფი ხელი გაუწოდა, რომელსაც შემკრთალი კვაჭი ხარბად დაეწაფა.

— ყოჩაღ, აპოლონჩიკ, ყოჩაღ! — მოუწონა გრიშკამ: — ეხლა ძალიან მოგიხდება წმინდა გიორგის ჯვარი. მენანება შენი მოშორება, მაგრამ რა ვქნა! მოდი ერთი კვირით „ხფრონ-

ტისკენ" გაისეირნე და გიორგის ჯვრით დაბრუნდი, რას იტყვი?

რას იტყოდა კვაჭი! მან კარგად იცოდა, რომ თუ გრიშკა და სუხომლინოვი მოინდომებდნენ, კვაჭი ბრძოლის ველიდან ასი ვერსის მანძილზე ერთხელ გაისროლიდა თოფს და გიორგის ჯვარს გაიკრავდა.

— ნუ შეშინდები, აპოლონჩიკ! — დაარიგა და დაამშვიდა კვაჭი რასპუტინმა. — გენერალი სუხომლინოვი მთავარსარდალს მისწერს, რომ შენ თვალისჩინივით გაგიფრთხილდნენ. შენც შორი-ახლოს დადექი. იქაურობა დაჰსუნე. ერთი თოფიც გაისროლე და დაბრუნდი.

კეთილი და პატიოსანი. ამ პირობით კვაჭი გაჰბედავს გიორგის ჯვრის მიღებას.

და სილიბისტროს იმედი საქართველოსკენ დაიძრა.

პეტერბურგის სადგურზე კვაჭს ექიმი ყორანაშვილი შეჰხვდა. ისიც ოსმალეთის ფრონტისკენ მოდიოდა. სამხედრო ექიმის ტანისამოსი ეცვა. ერთმანეთი მოიკითხეს. ყორანაშვილი კვაჭმა თავის კუპეში შეიპატიჟა. აზრუმამდის ერთი კვირა იმგზავრეს. ამ ერთ კვირაში ყარანაშვილმა ერთი სიტყვა არ დასძრა არც ექიმობაზე, არც სხვა საგანზე: შვიდ დღეში კვაჭი არქეოლოგიით და ისტორიით გაჰბერა. დილიდან საღამომდე კრაზანასავით ყურში ჩაჰბზუოდა:

— ურარტუელნი... ნაირები... ალაროდიელნი... ფაზისი.., კარნუ ქალაქი... ნიკოფსია... არხეოპოლი... ხეტნი... სუმერიელნი...!! ადარნასე... ლილივნი და მურმუკნი... ლენორმანი და შარდენი.., თარგამოსი და ქართლოსი... ოძრხე და გურჯიბოლაზი.

ბოლოს, კვაჭმა ყველა სახელები და ეპოქები ერთმანეთში აურია და გამოტყდა:

— აჰ, ვერაფერი გევიგე. ისტორია ჩემი საქმე არ ყოფილა.

აქა ამბავი კვაჭის საოცარი გარდაქმნისა და ერთი წაგებული ბრძოლის მოგებისა

ათი დღის შემდეგ კვაჭი ოსმალეთში ჩავიდა და შტაბში გამოცხადდა. დაგეშილმა შტაბელებმა უმალვე გაიგეს კვაჭის ვინაობაც და ორიოდე კვირით ჩამოსვლის მიზანიც.

ერთი კვირა ქეიფში გავიდა. შტაბის უფროსმა და კვაჭმა ერთი ანდაზა გაიხსენეს — ხელი ხელს ჰბანსო — და ერთმანეთს მხარი მისცეს, მერმე შტაბის უფროსმა კვაჭის თავი დივიზიის ერთ ლოთ გენერალს ჩააბარა, ორივეს ცალ-ცალკე მისცა დარიგება და ფრონტისკენ გაისტუმრა. კვაჭმა თან წაიყოლია დატვირთული ღვინით, კონიაკით, არყით და მრავალნაირი სანოვაგით სამი ორთვალა. უკან ერთგული მხლებელნი — გაბო ჩხუბიშვილი, ლადი ჩიკინჯილაძე და ორი ნაცადი რუსი მისდევდა.

ორი დღე იარეს ცხენებით.

გზა სავსეა ეტლებით, ფურგუნებით, ორთვალებით, ცხენოსანთა და ქვეითი ჯარით, ზარბაზნებითა და ყუმბარების ყუთებით, დაჭრილებითა და ავადმყოფებით.

ყველანი ზანტად და უგემურად მიიზლაზნებიან და ხშირად ისვენებენ გზის ნაპირას. მთვრალი გენერალი უხვად ისვრის ხუთსართულიან გინებას, ხანგამოშვებით ბრძანებას იძლევა და აქეთ-იქით შიკრიკებს ჰგზავნის.

საღამოზე ერთ დანგრეულსა და დამწვარ ნაქალაქევში ჩავიდნენ. შტაბში ყველანი გვიანობამდე მუშაობდნენ, ბრძანებას ისმენდნენ და იძლევდნენ. მერმე გაშლილ სუფრას მიუსხდნენ.

სასმელს ნელ-ნელა შეჰყვნენ და შეიკეთეს, შეხურდნენ და შეფიცხდნენ, „მრავალჟამიერი", „ალავერდი", „Последний нонешний денечек" და სხვა მრავალი საომარი და გამოსაშვიდობებელი სიმღერა დასძახეს, თან დროგამოშვებით უაილაგ ოსმალოს მუშტებს უღერებდნენ, მრისხანე სიტყვებს ამბობდნენ, იმუქრებოდნენ და ცალი ყბით ჰყიალებდნენ:

— სტამბოლისკენ!.. დავამტვრევთ!.. დავლეწავთ!.. დავჭამთ მიდი!..

შუაღამე რომ გადავიდა, კარგად შემთვრალმა დივიზიის გენერალმა გამოაცხადა:

— აბა, მეგობრებო, ეხლა კი ძილს მივცეთ თავი. უძილო მეომარი გროშად არ ვარგა. უკანასკნელ სადღეგრძელოს ვსვამ ხვალინდელი გამარჯვებისას, ურაა!

— ურაა! — ისევ ცალი ყბით იგრიალეს, ჭიქები დაამტვრიეს და დაიშალნენ.

კვაჭი გაუხდელი მიწვა. თვალები დახუჭა და თავი მომავალ ბრძოლას მისცა. გულში ერთი ეშმაკი ჩაუძვრა:

„ხვალ ბრძოლა იქნება... სისხლი დაიღვრება... ერთმანეთს დახოცავენ, დაასახიჩრებენ... ზოგს ხელს მოსჭრიან, ზოგს ფეხს, ზოგს კიდევ სხვა რამეს. შესაძლოა მე ბრძოლის ველზე დავრჩე დაჭრილი. არავინ არ მომეშველება, მშიერ-მწყურვალი მოვკვდები... იქნება ცხელი ყუმბარის ნაგლეჯი მეცეს მუცელში, იქნება ტყვიამ გამხვრიტოს, ან ხმლით ამჩეხონ, ან ფერდში ხიშტი მატაკონ“...

კვაჭს მართლა ჯერ ხიშტით შეხვრეტილი ფერდი ასტკივდა, მერმე ყუმბარის ნატეხით გაგლეჯილი მუცელი დაეწვა, ხმლით აჩეხილი თავი გაუბრუვდა და ტყვიით დაფლეთილი შიგნეულობა დაეხრაკა.

„არა, შე ოხერო ჩემო თავო, შე დასაბძელო და დამთხვეულო! — ეუბნებოდა კვაჭი თავის თავს. — ვინ მოგათრია ამ სიშორეზე რაცხა გიორგის ჯვარიზა?! ვის ან რისთვის უნდა შეაკლა თავი? გეიბერე, გასუქდი და შენს ქერქში ვეღარ დაეტიე? რა გაკლდა, რას დაეძებ? ფული თავსაყრელი გაქვს, ქალები უთვალავი, მუნდირი კამერ-იუნკრისა, წოდება თავადისა, ხელისუფლება უსაზღვრო, სასახლე და მოსამსახურენი, პატივი და კეთილი ცხოვრება, — ყოლიფერი სანატრელი შეგისრულდა და აგიცხადდა, მეტი რაღა გინდოდა, რას ეძებდევ, რას დაეძებ? თხა რომ გასუქდა, მგელთან ჭიდაობა მოინდომაო, ეს ანდაზა ჩემზეა გამოჭრილი. ამბობენ, კვაჭი ჭკუიანი კაციაო. სისულელეა! რომელი ჭკუიანი დაანებებდა თავს მეფურ ცხოვრებას და სასიკვდილოდ გაიმეტებდა თავს რაცხა მანეთიან ჯვრისთვის?! გრიშკა და სუხომლინოვი დამპირდნენ, თოფის ხმასაც არ გეიგებო, აქინე კი შუა ბრძოლაში მიკრეს თავი. კაია კიდო, თუ ტყვიამ ბარძაყი ან ლბილი ალაგი გამიხვრიტა. ერთიც ვნახოთ. ყუმბარამ ხელი ან ფეხი მომგლიჯოს, ან მუცელი გადამიტრიალოს...“

კვაჭის ყუმბარით დაფლეთილი მუცელი არ დაუცხრა და

ტკივილმა უფრო მოუმატა. თავში ეშმაკებმა ფერხული ჩააბეს, ჯოჯოხეთის ჭიაკოკონა აანთეს, და დამდნარი რკინა ჩაუსხეს; კვაჭმა დიდხანს იტრიალა გახურებულ ლოგინში, ბოლოს წამოხტა და აივანზე გავარდა.

ნაქალაქევში ძაღლები საზარლად ჰყმუოდნენ. ქვეიდან ცხენების ჭიხვინი, ურმების ჭრიალი და ზარბაზნების რახარუხი ისმოდა. ბანაკი ილვიძებდა და სადღაც გადადიოდა.

უცებ ერთი თოფი გავარდა, მერმე მეორე, მესამე და მეხუთეც.

— რა მოხდა, რა ამბავია? — ეცა კვაჭი თავის რუს მხლებელს, რომელმაც სწორედ ამ დროს წამოიწია.

— Ничевоо! — დაამშვიდა მხლებელმა კვაჭი. — აქაური ნანგრევები უპატრონო ძაღლებით არის სავსე. დღისით იმალებიან და ღამ-ღამობით კი სანადიროდ გამოდიან და სალდათებს აწუხებენ. მკვდრებსა და დაჭრილებსაც ეტანებიან. შეწუხებული სალდათებიც ამ ძაღლებს ჰხოცავენ. ამაზე მეტი არაფერია.

ირიჟრაჟა. ბანაკი წამოიშალა და დაიძრა. შტაბიც უკან გაჰყვა. უცებ სადღაც შორს ზარბაზანმა დაიქუხა და ის ქუხილი მთელ ხეობას მოედო და რამდენჯერმე განმეორდა.

— დაიწყო! — სთქვა ვიღამაც.

კვაჭს ისევ ეშმაკები ჩაეპარნენ გულში. მიიხედ-მოიხედა: სხვები გულმშვიდად იყვნენ. ზოგს პირსახეზე ღიმილიც უთამაშებდა. სალდათები ისე გულმშვიდად მიჩანჩალებდნენ, თითქოს ბრძოლაში კი არ მიდიოდნენ, არამედ ყანიდან სახლში ბრუნდებოდნენო.

— ალბათ, არც ისე საშიშოა, როგორც ზოგნი ამბობენ.— მიუბრუნდა კვაჭი ჩხუბიშვილს.

— შენ ყოჩაღად იყავი, იმ ჩემა ნალა თათრები ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ, — გაამხნევა კვაჭი გაბომ. — ჰასან-ყალაშიც მივცხეთ, აზრუმშიც, ვანშიც და სხვაგანაც. პირველად მეც მეშინოდა, მერმე კი ადვილად შევეჩვიე.

ერთ ტაფობზე ავიდნენ. სარდლის ბანაკი ერთ პატარა ღელეში გაჰშალეს, ცხენებიდან ჩამოსხდნენ და სერზე აცოცდნენ.

კვაჭის თვალწინ ბრძოლის ველი გაიშალა.

სერის გაყოლებაზე თხრილები და სანგრები უსწორ-მასწო-

როდ მიიკლაკნებოდნენ. ქედის ჩრდილო კალთების ნაოჭებში რუსის ჯარები ჩამალულიყვნენ. სერის გაყოლებაზე ამტვერებული და თვალუწვდენელი გზაც შემავალი ჯარებით იყო სავსე.

ღრმა ხევის რიყეზე ცხენოსანი რაზმი უზარმაზარ შავ გველივით მიიკლაკნებოდა მარჯვნივ. ერთ ბექობზე ცხენები და სალდათები დიდი გაჭირვებით მიათრევდნენ ზარბაზნებს. მინდორზე კანტიკუნტად გაფანტული შიკრიკები დაოფლებულ ცხენებს დააჭენებდნენ.

პირველი ქედის გასწვრივ, სამხრეთით, მეორე ქედი იყო გაჭიმული, ოდნავ დილის ნისლით შემოსილი, ისიც მოტვლეპილი და ხრიოკი. ორივე ქედის შუაში ვიწრო და გრძელი მინდორი ჩაწოლილიყო: ხუთიოდე ნაოფლარით, ბუჩქნარით, ხევხევებით და ნაბალნარით დასერილი.

ამ ქედის თავზე კვაჭმა ჭიანჭველასავით აფუსფუსებული მოპირდაპირე დაინახა დურბინდით.

უცებ ჰაერში კრაზანას ბზუილი მოისმა. ერთ წამში ის ბზუილი უცნაურ ჟუილად, რკინის გრიგალად გადაიქცა. ის გრიგალი ბექობის თავზე მეხივით გადაიკლაკნა და რკინის ცეცხლის რკალივით გაიელვა.

იმავე წუთს იმ მეხის წინაშე ყველამ თავი მოიდრიკა. ზოგმა იმ ღვთის რისხვას ოდნავ დაუკრა თავი, ზოგი წელში მოიხარა და ზოგიც ჩაკუნტდა.

კვაჭი უნებურად დაეცა პირქვე და მიწას გაეკრა. იმავე დროს ბექობის ძირში ბანაკის გვერდით იმ მეხმა საზარლად იფეთქა. ალის, ბოლის, მიწისა და ქვების სვეტი მაღლა ავარდა, [illegible] და ზეცას ასწვდა.

ირგვლივ ზოგნი უკვე იცინოდნენ. ზოგნი კი შიშნაჭამ თვალებს აფეთებდნენ.

გაფითრებული კვაჭი ძლივს წამოდგა. დარეტიანებული იყო, აქეთ-იქით იცქირებოდა და გაუგებარს რამეს ლუღლუღებდა:

— გაუწყრა ღმერთი... კილამ შემშინა... კილამე დევიფსე კაკალი კაცი!

— ეს ერთი და სხვა ათასი! — ანუგეშა კვაჭი გაბომ. შენ ამას იქით ნახე, რა მოხდება, თორემ ეგ მხოლოდ სალამი იყო.

— მოგვაგნეს! — წამოიძახა ერთმა.

— არა, შემთხვევით შემოფრინდა! — მიუგო მეორემ.

— თუ შემთხვევით შემოფრენილი ყუმბარა ასეთი ყოფილა, ნამდვილი რაღა იქნება! — თავისთვის წაილაპარაკა კვაჭმა.

— დაიწყეთ! — ბრძანა სარდალმა.

შიკრიკები დაიძრნენ. მიწაზე გაშლილი ტელეფონი აჟღარუნდა.

მთის კუდრაჭა ზარბაზანი ფინიასავით ჰყეფავს.

ველისა — ჰგმინავს და ღრიალებს.

მორტირი ბღავის და ჰსჭექავს.

ჰაუბიცი ჰქუხს და დრტვინავს.

მირალეზი დედალივით კაკანებს.

თოფი იატაკზე გადაყრილ მუხუდოსავით რაკრაკებს.

ცა იცრემლება თეთრი, ყვითელი და ვარდისფერი შრაპნელის ქულებით.

დედამიწა იპენტება ყუმბარების ალით, ბოლით, ქვისა და მიწის სვეტებით. ჰაერი გაჟღენთილია ჭექით და ქუხილით, დრტვინვით და ზანზარით, ბზუილით და სისინით, მომაკვდავთა და დაჭრილთა გმინვით და კვნესით, ხრიალით და კრუნჩვით, მებრძოლთა კიჟინით, გამოქცეულთა ვაებით, ქრიამულით, თქარათქურით, ჰიხვინით და ასნაირი უცნაურ კივილითა და ხმით.

იმ მინდორში ხანგამოშვებით ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან ვიწრო ზოლებს გრძელი ტალღებივით იერიშები მიაქვთ ერთმანეთზე, ხან ერთმანეთს შეეჯახებიან და ერთიმეორეს მოსდრეკენ, ხან შუა გზიდან პირს იბრუნებენ და სადღაც ხვრელებსა და ხევ-ხუვებში ინთქმებიან.

შუადღეს გადასცდა. გინებით და ღრიალით დაღლილი დივიზიის გენერალი კლდის ჩრდილში სადილს შეექცევა. სხვებიც ნაყრდებიან.

— დემირ-თეფეს პოზიცია დიდ გაჭირვებაშია. — მოახსენა მას შტაბის გამგემ. — მეოთხე ბრიგადა თითქმის გასწყდა.

— მესამე გაჰგზავნეთ. — მოკლედ და არხეინად უპასუხა გენერალმა.

— ისიც განახევრდა.

— მეორე ნახევარს კიდევ ორი პოლკი მიაშველეთ და შეუთვალეთ, რომ ბრძოლის ბედი დემირ-თეფეს სერზეა.

შუაში ბრძოლა შენელდა, ხოლო მარჯვნივ უარესად გა-

ფიცხდა და დემირ-თეფედან განუწყვეტელი და გაბმული ქუხილი ისმის.

უცებ გაღმა მთის ნაოჭებიდან და ხევ-ხუვებიდან რამდენიმე შავი ტალღა წამოვიდა.

— იერიშით მოდიან! ცხენოსანი ჯარი იერიშით მოდის!— წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ყველამ დურბინდები მოიმარჯვეს და მტერს ჩააცივდნენ. სოროებიდან გამოსული შავი გველები დიდ მინდორზე შეერთდნენ და ერთ უზარმაზარ გველვეშაპად გადაიქცნენ.

— გააჩუმეთ! — ბრძანა გენერალმა და იმ გველვეშაპს აღტაცებული ღიმილით და მუშტრის თვალით მიეგება.

ზარბაზნები, მიტრალეზნი და მეთოფურნი თანდათან გაჩუმდნენ. მეთაურნი ფუსფუსებდნენ, დაწყვეტილ ძაფებს ჰკვანძავდნენ, ჩაშლილ რიგებს ერთმანეთზე აბამდნენ და მომხდურთა დასახვედრად ემზადებოდნენ.

შავი გველვეშაპი იზმორებოდა, ხელ-ფეხს იჭიმავდა და ნახტომისთვის ძალ-ღონეს იკრეფდა.

შტაბის გამგემ კვლავ მოახსენა სარდალს:

— დემირ-თეფე უდიდეს ხიფათშია.

გენერალმა გველვეშაპისკენ გაიშვირა ხელი:

— ხომ ჰხედავთ რა მეხი უნდა დაგვატყდეს. აქედან ერთ კაცსაც ვერ მივაშველებ. მარქაფი ჯარი უფრო წინ წამოსწიეთ, ხოლო დემირ-თეფეს ასეთი ბრძანება გაუგზავნეთ: გიბრძანებთ ყველას, დემირ-თეფეზე შეაკლათ თავი მტერს. ვინც უკან დაიხევს, იქვე დახვრიტეთ.

— გენერალო, ასეთი ბრძანება...

— მე ვთქვი და გავათავე!

მოტრიალდა და კვლავ ოსმალთა საიერიშო რაზმებს გადმოჰხედა. გადმოჰხედა და აღტაცებით აიშალა, აიბურძგლა და აბოკდა:

— ყოჩაღ! ყოჩაღ, ოსმალებო!.. ვაშა თქვენს ვაჟკაცობას! აი, სანახაობა, აი. უმაღლესი ხელოვნება! მაინც შეგმუსრავთ ნახევარ საათში, დაგლეწავთ, მოგსპობთ და გაგაქრობთ! მაგრამ მაინც მომწონხართ, თქვე ჰარამზადებო, თქვე ურჯულოებო!

გიჟივით ჰყვიროდა, ხელებს იქნევდა, დაჰხტოდა, მტერს

მუშტებით ემუქრებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ იძლეოდა ბრძანებას:

— ყველა ზარბაზნები დაუმიზნეთ! კარტეჩი ბლომად დაამზადეთ!.. სანამ ახლოს არ მოვლენ, ერთი თოფიც არ გავარდეს!.. დამშვიდდით! დალაგდით, ჩასაფრდით!

ოსმალთა ცხენოსანი დივიზია გაიშალა, შუაში თეთრი ბურნუსიანი არაბები და თავისებურად ჩაცმულ-დახურული ქურთები ჩააყენეს. წინ ულემები გამოვიდნენ, მწვანე დროშა-ალმები გამოიტანეს და ჯარი ლოცვა-კურთხევით გამოისტუმრეს. მერმე უცებ ჰაერი იმ გველვეშაპის ოხვრითა და გმინვით შეიძრა:

— ალაჰ ილ ალა-ა-აჰ!

დაიძრნენ და ნელ-ნელა წამოვიდნენ. თანდათან ნაბიჯს მოუმატეს, მერმე დაითხდნენ და ქარივით წამოვიდნენ. წინ მწვანე ალმებსა და დროშებს მოაფრიალებდნენ. უთვალავ მახვილს მზეზე ლაპლაპი გაჰქონდა. უკანანი მტვრის კორიანტელში გაეხვივნენ. დედამიწა ზანზარებდა. წამოსულთა ყმუილი და კიჟინა ზეცას სწვდებოდა.

— ალაჰ ილ ალა-ა-აჰ!

უცებ დამხდურთა ყველა ზარბაზნებმა ერთხმად დაიჭექეს და წამოსული თამამი გველვეშაპი მყისვე ბოლის, ქვიშისა და მტვრის კორიანტელში გაეხვია. იგი ოდნავ აირია, აიკლაკნა და შეფერხდა. მერმე დახოცილ-დაჭრილებს გადმოალაჯა, ბოლისა და მტვრის ბურუსიდან გამოვარდა და ისევ წამოვიდა.

ყოველნაირი ჯურის ზარბაზნების, მიტრალეზებისა და რამდენიმე ათასი თოფის გრიალი, კაკანი და ჭახაჭუხი ერთ განუწყვეტელ ქუხილად და ჭექად გადაიქცა.

ზეცა გასკდა და დედამიწას საშინელ მეხად დაეცა.

უცებ ის გველვეშაპი გრიგალივით ამოვარდა ბექობზე და კბილებით დასწვდა თხრილებსა და სიფრებს.

— დაჰკა! მიდი! ასჩეხე!

— ალაჰ ილ ალა-ა-აჰ!

— დაუმიზნეთ! ესროლეთ! გასტენეთ!

ყველანი და ყველაფერი ერთმანეთში აირია: ზარბაზანი და თოფი, ხმალი და ხიშტი, ცხენოსანი და ქვეითი, მტერი და მეგობარი.

— დავიღუპეთ! დავმარცხდით! თავს უშველეთ! ჰბოდავდა

დარეტიანებული ქვაჭი და თან უგზო-უკვლოდ დარბოდა და თავის სოროს ეძებდა. მაგრამ ცხენი არსად სჩანდა და არც გზა იცოდა. ხან ბუჩქს ეფარებოდა, ხან თხრილში ვარდებოდა და ხანაც უნებურად ერეოდა მებრძოლ ჯგუფში.

— თავადო ქვაჭანტირაძე! — ჩასჭყვირა ყურში გაქვავებულსა და დამბლადაცემულ ქვაჭს გენერალმა. — ეს ბრძანება ქვეით ჩაიტანეთ. და აგერ, იმ ღელეში ჩამალულ შტაბს გადაეცით. ხომ ჰხედავთ იმ გორაკს. დემირ-თეფე ჰქვიან. გადაეცით სიტყვიერადაც, რომ ის გორაკი ბრძოლის გასაღებია. თუ მტერს ის გორაკი დაუთმეს, ერთი კაციც ვეღარ გავა ამ ჯოჯოხეთიდან. ყველანი ტყვეთ ჩაუვარდებით ოსმალებს. ტელეფონი გაწყვეტილია. აბა, ჯარის ბედი თქვენს ხელშია. ჩქარა! მშვიდობით!

ქვაჭმა თავის მხლებლებს ძლივს მიაგნო. ცხენებს მოასხდნენ და გამოჰქუსლეს. შორიდან გზაზე ცხენოსანთა საეჭვო რაზმი შეამჩნიეს.

— გზა მოგვიჭრეს! ოსმალები არიან. მარჯვნივ!

და ცხენები მოატრიალეს. ხევში საექიმო რაზმს წააწყდნენ. თეთრებში გახვეული და დამკლავებული ექიმები — ყორანაშვილი და სხვებიც — ხერხებით და დანებით გულმოდგინედ სჭრიდნენ და ჰხერხავდნენ დაჭრილებს. იქაურობა სისხლით იყო მორწყული. იქვე ეყარა მოჭრილი ხელები და ფეხები, დაჭრილნი და დასახიჩრებულნი, ზოგი უკვე შეხვეული და ზოგიც შეუხვეველი.

ქვაჭმა რომ ესოდენი სისხლი დაინახა, თავბრუ დაესხა, თვალთ დაუბნელდა, გული შეუღონდა. ერთმა მხლებელმა ილდიაში მქლავი შეაშველა და იმ ჯოჯოხეთს მოაშორა.

ქვაჭი მოსულიერდა. კვლავ ცხენს მოახტა და გაჰქუსლა. უგზოუკვლოდ მიჰქროდა და უკნიდან ბრძოლის ქუხილი მისდევდა.

გაქანებულმა ცხენმა ერთ წვეტიან კლდეს მოუხვია და უცებ ოსმალთა რაზმის შუა გულში შევარდა. მოულოდნელმა თავდასხმამ ოსმალები დააფრთხო და დაჰფანტა, მაგრამ მარჯვნივ სალი კლდე იყო აყუდებული, მარცხნივ კი უძირო ხევი იყო ჩაჭრილი, ამიტომ დაფეთებული ოსმალები კლდეს აეკვრნენ, ქვაჭის გზა გაუხსნეს და თოფები მოიმარჯვეს.

„წინ წევიდე, დევიღუპე, უკან დავიხიო და მაინც დევი-

ღუპე!“ — ელვის სისწრაფით გაიფიქრა კვაჭმა და უმალ ისე მძლავრად მოსწია ცხენის სადავეს, რომ ცხენმა უკანა ფეხებით ჩაიკეცა.

კვაჭმა იმავე წამს ნაგანი იძრო და უკან მოიხედა. მისმა მხლებლებმაც იმავე დროს კლდის წვერს შემოუხვიეს და გამოჩნდნენ.

— შესდექით! — დასჭყივლა მგრგვინავი ხმით კვაჭმა თავის მხლებლებს. — პირველი ესკადრონი კლდის უკან გააჩერეთ, მეორემ ამ კლდეს ზევიდან მოუაროს და უმალ გადაებას მესამე ესკადრონს, რომელიც წინ არის ჩასაფრებული. აბა, მარდად! სწრაფად! — და იმავ წუთს ოსმალო აფიცერს ფრანგულად უთხრა:

— ბატონო კაპიტანო! თქვენს მამაცობას და სისხლის დაღვრას რომ მცირეოდენი აზრი მაინც ჰქონდეს, დამორჩილებას არ გირჩევდით, მაგრამ... ხომ ჰხედავთ, ხაფანგში გაებით. აქედან ერთი კაციც ვერ გავა ცოცხალი. მაშ იარაღი დაჰყარეთ!

კაპიტანმა უპასუხა:

— ვხედავ, რომ ხაფანგში გავები. რამდენიმე ესკადრონთან რას გავხდები? ისე ჩაგვისაფრდით, რომ არც კი ვიცით, ვის ვესროლოთ. აი ჩემი იარაღი.

და თავის იარაღი გზაზე დაჰყარა. სხვებმაც ტყაპატყუპით დაჰყარეს თოფები.

— იარაღი ერთ ალაგას დააგროვეთ! — უბრძანა კვაჭმა ოსმალო კაპიტანს.

მან ეს ბრძანება თავის ასკერებს გადასცა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ასიოდე თოფი შუაგზაზე ეწყო.

— გაბო, წამეიყვა ეგ ორი რუსი და ამ ტყვე თათრებს გაუძეხით. ლადო, მე და შენ უკანიდან მივყვეთ.

ას ასკერს სამი კაცი გაუძღვა და ორი კი უკნიდან გაჰყვა.

— აბა, კაპიტანო, დასძარით თქვენი ჯარი!

— ეხლავე, მაგრამ თქვენი ჯარი... თქვენი ესკადრონები სადღაა?

— ესკადრონები რომ მყოლოდა, მარტო თქვენ კი არა, თქვენს კორპუსსაც ტყვედ ჩავიგდებდი.

ოსმალებმა თავში ხელები წაიშინეს, თანაც მწარედ ბურტყუნებდნენ:

— ჰაი ქოფა ოღლი! დონღუზ! შაითან! შაითან კაპიტან!

კვაჭი და თათარი კაპიტანიც იცინოდნენ, ერთი — გულიანად და მოლხენით, ხოლო მეორე — ცრემლით და ბალღამით.

კვაჭის რაზმი უცებ სალდათების დიდ ჯგუფს შეეფეთა. ქუდმოგლეჯილნი და დაფეთებულნი მორბოდნენ და გაჰკიოდნენ:

— მოგვიარეს! გზა მოგვიჭრეს! თავს უშველეთ! გაიქეცით!

იმ ჯგუფიდან თავშეხვეული, გაფითრებული უცნობი გენერალი გამოლასლასდა და კვაჭს წარუდგა:

— კაპიტანო, მიშველეთ! აგერ ის გორაკი ოსმალებმა აიღეს, ჩვენი შტაბიც დაატყვევეს და თითქმის ყველა ოფიცრები გაგვიჟლიტეს. მარტო მეღა დავრჩი. თუ ის გორაკი ეხლავე არ დავიბრუნეთ, მთელი ჯარი ტყვედ ჩაუვარდება ოსმალებს. თქვენი იმედიღა გვაქვს. გაიხსენეთ ჩვენი სამშობლო, მეფე, მოვალეობა. სცადეთ... გვიშველეთ!.. — და დაჭრილმა გენერალმა მტვერში ჩაიკეცა.

რა მოხდა იმ წუთში კვაჭის გულში? რომელი ეშმაკი ჩაუჯდა? ვინ ან როგორ გარდაჰქმნა ისე ანაზდეულად, ეს ვერავინ ვერ გაიგო — ვერც თვითონ კვაჭმა და ვერც უცხომ.

— შესდექით! შესდექით-მეთქი, თქვე ჰარამზადებო! —დასჭყივლა კვაჭმა იმ ფარას და გზა უყელა, ცხენი ზედ მიაგდო.

— მოგვიარეს! თავს უშველეთ!

— შესდექით-მეთქი, თორემ...

და მოწინავეს გულზე რევოლვერი მიაბჯინა.

მხლებლებმა ტყვე ოსმალები უმალ სხვებს გადასცეს, გახელებულ კვაჭს გვერდით ამოუდგნენ და იარაღი იშიშვლეს.

გაუგებარი და უცნაური რამ მოხდა. იმ წუთს კვაჭის სიცოცხლე და ხასიათი გადიზნიქა, გადასტყდა და ამ ქვეყანას უცხო რამ სასწაული მოევლინა: წინანდელი კვაჭი მოკვდა და იმავე წუთს მეორე კვაჭი იშვა — უცნობი და ახალი, თამამი და უდრეკი, გულადი და შეუპოვარი, ვითარცა ლეონიდე თერმოპილელი, ან ალექსანდრე მაკედონელი, ან ერეკლე კახელი, ან ნაპოლეონ არკოლელი.

კვაჭს უცებ არწივის ფრთები გამოესხა, იმ ფრთების ქვეშ მიქელ გაბრიელი შეუჯდა და თავის ცეცხლიანი მახვილი კვაჭის ხელში ჩაუდო. საგულეს ლომის გული ჩაუვარდა, სულში ჯოჯოხეთის მთავარ-ეშმაკი ჩაუძვრა და თან ათასი ჭინკა ჩაიყოლა. ისედაც მაღალი კვაჭი უცებ კიდევ ერთი მტკაველით

აისვეტა, დამფრთხალი ცხვრის ფარა ცეცხლის თვალებით დას-წვა და ქუხილით დააყრუა.

— შესდექით! მოგროვდით!

ასიოდე გონებადაკარგული ისევ გარბოდა. კვაჭმა იმ მინ-დორს არწივივით ჩამოუქროლა და შვიდი კაცი შვიდი ტყვი-ით მიაწვინა. მერმე არხეინად გაიჭიმა ცხენზე, დანარჩენებს ღიმილით გადაჰხედა და ღვთიური ცეცხლით დასწვა:

— ძმებო, ჯარის ბედი თქვენს ხელშია. გზა მოჭრილი გვაქვს. ყველანი ტყვეობაში ჩავლპებით და სირცხვილით თვალში თვალს ვერავის ვეღარ გავუსწორებთ. ძმებო! რამდენიმე ათასი თქვენი ამხანაგი, მეფე და სამშობლო თქვენ შემოგცქერიან და თქვენგან თხოულობენ ძმურს, ამხანაგურსა და მამულიშვილუ-რი ვალის მოხდას. ჩვენს შორის ლაჩარი არავინ არ არის. ვინც გიღალატებთ და გამოიქცევა, აგერ იმ ძაღლების ბედს წააწყ-დება, რომელნიც ეს არის ეხლა ჩემი ხელით დავხოცე. მე წინ გაგიძღვებით, თქვენ კი ნუ ჩამომრჩებით. წავიდეთ და ჩვენი ვალი მოვიხადოთ.

— წავიდეთ! გაგვიძეხი! წაგვიყვანე! — იგრიალა ორმ ათასმა ნაცადმა და დაგეშილმა ვაჟკაცმა.

— უნტერ-აფიცრებო, წინ წამოდექით! ამ წუთიდან თქვენ აფიცრები ხართ. დააწყეთ და გაშალეთ თქვენი რაზმები!

ნახევარი საათის შემდეგ ორი ათასეული ოთხ-ათასეულად გადაიქცა და სამ რიგად გაიშალა.

— მობრუნდით!.. მომყევით!..

და დინჯი ნაბიჯით გასწია იმ გორაკისკენ.

— მწყობრად! მარდად! ერთად!

ლადო ჩიკინჯილაძე მარცხენა ფრთას მიუძღოდა, გაბო ჩხუბიშვილი მარჯვენას. სამივეს უკან რკინის მოძრავი კედე-ლი, მოუხეშავი, უდრეკი და უშიშარი ხიშტის ტყე მისდევდა. ყველანი წელში მოხრილიყვნენ და ყველას მარცხენა მხარი და ხიშტი წინ წაეწია.

— მწყობრად! მარდად! ერთად!

იმ გორაზე ჯერ ჩოჩქოლი ატყდა, მერმე კი ტყვია სეტყ-ვასავით წამოვიდა. მაინც არავინ არ შესდგა, არავინ არ ჩამორ-ჩა, არავინ ჯერ ერთი თოფიც არ დასცალა.

სიჩუმემ და გააფთრებულმა სიარულმა მტერს თავზარი

დასცა და ძარღვები აუბურძგნა. გაფიცხებული ოსმალები ჩურჩულებდნენ:

— შერთან გელიერ! ალაჰ ილ ალაჰ! — და მართოლკარე ხელებით თოფებს ჰაერს ესროდნენ.

წელში გასწორებული, მაღალი და აშოლტილი ქვაჩი ისევ წინ მიუძღოდა რკინის კედელს, ზოგჯერ უკან მოიხედავდა, ცეცხლის თვალით იმ კედელს ერთხელ კიდევ შეახურებდა, მერმე ხმალს აიქნევდა და ერთხელ-ორჯერ დასძახებდა:

— მწყობრად! მომყევით!

და რკინის კედელი გორაკს უსიტყვოდ მიადგა, დათვივით ზედ აფოფხდა, მიაწვა და ოსმალთა თავზე გადაინგრა.

— მიდი! დაჰკა! ასჩეხე! — ჰყვირის საამქვეყნო სიგიჟით გაგიჟებული ქვაჩი და ბრძოლის ცეცხლის შუაგულში სტრიალებს.

მისი ხმალი ელვასავით ლაპლაპებს და მისი ცეცხლიანი თვალები ყველას ზევიდან დასცქერის.

ხანმოკლე და მძაფრი ბრძოლა დატრიალდა. იბრძვიან ხმლით, ხიშტით, ხანჯლით, რევოლვერის ტარებით, თოფის კონდახებით, ხელებით, ფეხებით და კბილებით.

— ასირამ! — გნებდებით! — უკვე მოისმის აქეთ-იქიდან ოსმალთა ასკერთა ხმა.

— ვაჯობეთ! გავიმარჯვეთ! დაჰკარით! მიდით! — ჰქუხს ქვაჩი და ერთ ოსმალოს მკლავი მოსწყვიტა, მეორეს კისრის ძარღვები დაუწყვიტა, მესამეს მკერდი გაუპო, მეოთხეს ყური ასხიპა და მეხუთეს, ახოვან არაბს, ხმლის წვერი შუბლში გაუსწორა. გაუსწორა, მაგრამ...

უცებ ქვაჩს თვალებში ცეცხლმა გაუელვა, ყურებში ზარმა ჩამოჰკრა და გონება შავმა ნისლმა დაუბურა. მარცხენა ხელი უცებ მკერდზე მიიდო, მარჯვენა ხელი განზე გაიქნია, ხმალი პრიალ-ზრიალით გასტყორცნა და მოჭრილი ბოძივით გაიშოტა გულაღმა.

აჰა ერთი უცნაური ბიჭის ამბავი

უპატრონო ქვაჩი ქვაჩანტირაძე გულაღმა ჰგდია ტრიალ მინდორზე. ირგვლივ მხოლოდ ყვითელი ქვიშა მოსჩანს. უდაბ-

ნის ალმური ასდის. ჰაერი გახურებულ ბუღით არის გაჟღენთილი.

ჰგდია მარტოდმარტო კვაჭი ცხელ ქვიშაზე და სიცხით და უწყლობით იხრჩვება. სისხლიან მკერდზე შავი ყორანი აზის და სადგისის ნისკარტით უკორტნის ჭრილობას, ცხელი ჭანგებით უწიწკნის შიგნეულობას და გულ-ღვიძლს უქექავს. ზოგჯერ ყორანი იმ ნისკარტს კვაჭს თვალში ჩაჰკრავს, მერმე არხეინად ისვენებს და იმ უდაბნოს ამაყად გასცქერის.

შორიახლოს აბურძნილი, პირშავი და საზარელი მგელკაცა ატუზულა. იგი ბინდს ელის, რადგან იცის, რომ ღამით კვაჭი მისი კერძი გახდება და რიჟრაჟზე იმ ქვიშნარზე კვაჭის ნაცვლად მხოლოდ გამოხრული ძვლებიღა დარჩება.

ციდან ოქროს ჯაჭვი ჩამოეშვა. იმ ჯაჭვზე ერთი ჭინკა ჩამოცოცდა და ბროლის დოქით წითელი ღვინო ჩამოიტანა. ჰკიდია ის მასხარა იმ ჯაჭვზე და კვაჭს ზევიდან წითელ ღვინოს ასხამს. ღვინო კვაჭის პირის გარშემო იღვრება. კვაჭი შონიასავით აღებს პირს და ცდილობს. ღვინის ერთი წვეთი მაინც ჩაიგდოს ყელში, მაგრამ დადუნებული ხელ-ფეხი ვერ გაუქნევია და ცეცხლმოკიდებული თავი ადგილიდან ვერ დაუძრავს. ჭინკა დიდხანს აწამებს კვაჭს: მასხრობს, იცინის, იკრიჭება, იპრანჭება და უცებ ისევ იმ ჯაჭვზე ცაში აცოცდება.

უცებ ის უდაბნო უცნაურად გამოცოცხლდა. კვაჭი ნათლად ჰხედავს პარიზის ბულვარებს, ხეივნებს, ბაღებს, ყავახანებს, მოედნებსა და ნაცნობ-უცნობ ხალხს.

მთვრალი გრიშკა გულგაღეღილ ელენეს კუნტრუშით მიარბენინებს.

ფარშევანგივით მიგოგავს ლედი ჰარვეი — კვაჭის ლონდონელი საყვარელი.

მადამ ლაპოში იქაურობას ნაკვერცხლიანი თვალებით სწვავს.

მოხდენილი რხევით მისცურავს ცისთვალა რებეკა.

არხეინად, ლაღად, სიცილით და ბედნიერი ღიმილით მიდიან ტანია, სუსანა, ისაკა, ვერა, სედრაკა, ბესო, ლადი, ჭიპო და კვაჭის ათასი ნაცნობი ქალ-ვაჟი.

კვაჭისკენ კი არავინ არ იხედება, არავინ არ ამჩნევს.

პირშავი მგელკაცა ისევ ბინდს ელის, შავი ყორანი კვაჭს ისევ გულს უკორტნის და თვალებსაც ეტანება.

— წყალი! წყალი! — ჰყვირის გულში კვაჰი, მაგრამ მისი ხმა არავის არ ესმის.

კვაჰი უარესად იჰიმება, ძალას იკრებს და დაყვირებას ლამობს, მაგრამ ხმა ვერ ამოუღია და ერთი კუნთიც ვერ გაუნძრევია.

ქალაქი გაჰქრა და ხალხიც მიიმალა. შავი ყორანი კი ისევ სჩხავის და პირშავი მგელკაცა ისევ ბინდს ელის.

უცებ კვაჰს უცნაურად გამოწყობილი, მშვილდ-ისრით შეიარაღებული და აბჯარ-მუზარადში ჩამჯდარი ყორანაშვილი წაადგა.

— კვაჰი, ადე მომყე.

ორივენი ფროსან მერნებს მოახტნენ და გაჰფრინდნენ.

შავი ყორანი უკან დაედევნა და მგელკაცაც მიწაზე მოჰქროდა.

— მირბის, მიგვაფრენს უგზო-უკვლოდ ჩვენი მერანი, უკან მოგვჩხავის თვალბედითი შავი ყორანი! — მღერის ყორანაშვილი და შემდეგ კვაჰს ეუბნება: — აჰა, აჰა, ჯულამერკის მწვერვალი. აი გიავარის ქედი... რავანდუზა... ხანიკინი... სამარა...

ირგვლივ ჯარები დაფუსფუსებენ. დახოცილნი გულაღმა ჰყრიან. გვამებს ყორნები ჰკორტნიან და ნადირები სჭამენ. ბევრი იცნეს კვაჰმა და ყორანაშვილმა ცოცხლებსა და დახოცილებში.

— ძმებო, აქ რას ეძებთ? ამ სიშორეზე რამ მოგიყვანათ?

— არ ვიცით. ბედს მივდევთ, ბედს ვეძებთ.

ირანშიც იცნეს ცოცხალნი და მკვდარნი, პაპათა პაპები და წინაპარნი.

— ძმებო, თქვენი სამშობლო ამ უდაბნოზე რად გასცვალეთ?

— საწუთრომ გაგვაცვლევინა.

ავღანისტანში გერათისა და ყანდარის ზღუდენი მორწყეულნი იყვნენ. ჰინდიყუშის კალთებიც მშობლიური სისხლით იყო მორწყული. მათი წინაპარნი საფლავებიდან აღსდგნენ.

— ძმებო, ვინ მორწყო შუა აზია თქვენის სისხლით?

— ბედმა. ნადირ-შაჰს გამოვყევით. გერათისა და ყანდაარის გალავანზე პირველნი ჩვენ ავცვივდით.

გადასჭრეს სოლიმანის ქედი, პენჯაბი, წმინდა განგი და მი-

ადგნენ ინდოეთის დედაქალაქს დელის — უწინდელ შახჯანაბადს. ყველგან ნათესავების სულები და ჩონჩხები უხვდებოდათ, რომელნიც მათთან ერთად მიჰქროდნენ, მათს მერნებს ძვლის თითებით ებღაუჭებოდნენ და ევედრებოდნენ:

— წაგვიყვანეთ! დაგვაბრუნეთ! შეგვიერთეთ!

— ვინ მოგიყვანათ ამ სიშორეზე?

წინ პატარა კახი წამოიჭრა:

— ზოგი მე მოვიყვანე. ზოგიც სხვებმა მოიყვანეს.

— რას ეძებდით? ვის მისდევდით?

— ბედს მოვდევდით. ზოგნი სახელსა და ულუფას ვეძებდით, ზოგნიც სხვის ქალამ წამოიყვანა.

დაჰქრიან კვაჭი და ყორანაშვილი არაბეთს, ეგვიპტეს, ასურეთს, ბაბილონს და ძველსა და ახალ ქვეყნებში. ყველგან მკვდრეთით სდგებიან უთვალავი მოსოკებ, და ტიბარენები, მაკრონები და მოსონიკები, ნაირები და კოლხიდელები, მამელუკები და იანიჩრები, მახლობელთა და ნათესავთა სულები და ჩონჩხები, სდგებიან და ჟივილ-ხივილით, კვნესით და გმინვით, ხვეწნით და მუდარით მისდევენ უკან, ვითარცა ასი ათას სკიდან ერთად გამოსული ფუტკარი.

ჩონჩხების სირბილმა და ჟივილ-ხივილმა დაჰქანცა და დააყრუა კვაჭი და ბოლოს, გაწამებულმა, ყორანაშვილს შეჰბღავლა:

— რა გინდა ჩემგან? რად დამათრევ ამ ჯოჯოხეთში? გამიყვანე! მაკმარე ეს წამება!

ყორანაშვილი ეკითხება:

— კვაჭი, შენ რაღა გინდოდა შორეულ ოსმალეთში? ვინ მოგიყვანა? რას ეძებდი?

— ღმერთმა ნუ იცის ჩემი თავი და ტანი, აი მინდოდა! წყალი, წყალი მომეცით! ერთი წვეთი მაინც მომეცით!

ციდან ისევ ჭინკა ჩამოცოცდა და კვაჭის პირთან ერთი დოქი ღვინო დაუღვარა, მაგრამ ენას ერთი წვეთიც არ მოხვდა. კვლავ ყველაფერი გაჰქრა.

მოშორებით აუარებელი ხალხი სტრიალებს: კვაჭის მშობლები და მეგობრები, ნაცნობები და ნათესავები, გრიშკა და ტანია, ელენე და გინცი, წარჩინებულნი და დიდებულნი, სალოსნი და ღვთის ცოდვილნი, უბრალონი და კარის კაცნი. ყველანი კვაჭისკენ იშვერენ თითებს და ჰფუსფუსებენ.

— დამარხეთ! კუბოში ჩასდეთ! მიწაში ჩაუშვით! — ჰყვირიან ზოგნი და კვაჭის მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს კვაჭისკენ ერეკებიან.

მეორენი იმ სალოსებს უძალიანდებიან, ტირილით ეხვეწებიან და შებრალებას სთხოვენ. ბრძოლა დიდხანს გრძელდება. ბოლოს, მეფე-დედოფალიც გამოჩნდა და ბრძანეს:

— დამარხეთ!

ყველანი დაიძრნენ და კვაჭისკენ გაცოიქცნენ. — ზოგნი გამარჯვების კიჟინით და ზოგნიც ვაებით და მოთქმით. მეფე-დედოფალმა, დიდებულებმა, წარჩინებულებმა და უმაღლესმა სამღვდელოებამ კვაჭს ანდერძი აუგეს. მერმე გრიშკამ, მიტიამ, სალოსებმა, ღვთის ცოდვილებმა, გონჯებმა და მახინჯებმა კვაჭის გარშემო გიჟური ფერხული ჩააბეს. ყველანი დახტოდნენ, იგრიხებოდნენ, იკრიჭებოდნენ, იფურთხებოდნენ და გაჰკიოდნენ:

— სამოთხეში წავიყვანოთ, სამოთხეში!

— არ მინდა სამოთხე, არ მინდა! — ჰკივის კვაჭი, მაგრამ მისი ხმა არავის არ ესმის.

მერმე საშინელი ორიანცელი ასტყდა. ყველანი კვაჭს მისცვივდნენ და დიდ კუბოში ჩააწვინეს.

— დედა! მამა! თქვენ რაღა გემართებათ? ცოცხალი ვარ! ბესო! სედრაკ! მიშველეთ!

ზოგნი სტირიან და ზოგნი იხარიან. უკანანი მოწინავეთ ძალას ატანენ და ჰყვირიან:

— კვაჭიკო სამოთხეში მიდის, სამოთხეში!

— დედა! მამა! — ევედრება კვაჭი. — თუ ვერ მიშველით, განზე მაინც გასდექით. თქვენი შვილის ცოდვაში მაინც ნუ ჩასდგებით.

პუპი სტირის და ეჩურჩულება:

— აფერი გიშავს, შვილო, აფერი. ასთე უკეთესი იქნება, დამიჯერე მე.

ყორანი ისევ თავზე დააჯდა, მგელკაცა ისევ მუხლებზე დააწვა. შავი გველი კუბოში ჩაცურდა და კვაჭს ყელზე შემოეხვია. კუბოს თავი დაადგეს და ლურსმებით დასჭედეს. ერთი ლურსმანი კვაჭს შუბლში ჩაერჭო და კეფასთან გავიდა. სულშეხუთული კვაჭი უძირო საფლავში ჩაუშვეს, თან გამარჯვების კიჟინა და სიხარულის ჟრიამული მიაყოლეს და მერმე მიწის

რახარუხი ასტეხეს. ხმაურობა თანდათან მინელდა და მისწყდა.

კვაჭი შავს მიწაში წევს. საკუთარი სუნთქვა ესმის, ყორანი თვალებს უჩიჩქნის, გველი სასაში უძვრება, მგელკაცა გულმკერდს უღრღნის და სველი ჭიები იარებში ჰფუსფუსებენ. წევს კვაჭი შავ მიწაში და უღვთოდ იხრაკება, იხრჩება, წევს და ჰფიქრობს:

— აჰ, მაი ტყვილა გიქნიათ... არ მოვკვდები, რადგან არც მინდა სიკვდილი და არც ბედის წიგნში მიწერია. ვაი თქვენ!— და ერთხელ კიდევ წამოიწია.

უცებ ასი დევის ღონე მიეცა.-გაიჭიმა. ასწია, უზარმაზარი კლდით დაქოლილი საფლავი თივის ბულულივით აჰშალა და წამოვარდა, გასწორდა და სიმაღლით მთებსაც კი ასცდა.

მის ფეხქვეშ ჯიანჭველისოდენა მესაფლავეებს უთავბოლო სუფრა გაეშალნათ და ქელეხად დამსხდარიყვნენ. კვაჭი რომ დაინახეს, შემზარავი კივილი, წივილი და წრიპინი ასტეხეს. კვაჭმა სუფრის თავს ფეხი დაადგა და გრიშკა, მიტია კოლიაობა, სალოსნი და ასიოდე წარჩინებულნი ჭიებივით დასჭყლიტა.

იმავე წამს მკლავებსა და ფეხებში რაღაც უხილავი ძალა წასწვდა.

— გამიშვით! — ჰყვირის, ჰბორგავს და წევს თვალებგახილული კვაჭი.

— დამშვიდდით, კვაჭი, დამშვიდდით! — ტკბილის ხმით ეუბნება ექიმი ყორანაშვილი.

სანიტარები კვაჭს მაგრად დასჭიდებიან მკლავებსა და ფეხებში.

— მომკლეს! დამმარხეს! მაგრამ გავცოცხლდი! წამოვდექი! დავამტვრიე! დავლეწე! დავანგრიე! — კიდევ ჰბოდავს კვაჭი.

ყორანი ფანჯარაში გაფრინდა, კუდამოძუებული მგელკაცა კარებში გაიძურწა და შავი გველი კედლის ხვრელში შესძვრა. ოფლში გაწურული და ღონემიხდილი კვაჭი ბალიშზე მიესვენა და მიბლეტილი თვალები იქაურობას მოავლო.

— წყალი... თუ ღმერთი გწამთ, წყალი!..

ექიმმა ყორანაშვილმა კვაჭს პირში ერთი ყლუპი ღვინო ჩაუსხა და მტკიცე ხმით სთქვა:

— მორჩება! — და პალატიდან გავიდა.

გაფითრებული და გაკაპასებული სუხომლინოვი დორბლსა ჰყრის:

— ეს რა ამბავია, თავადო?! თქვენი ყუმბარების იმედით ახალი დიდი ბრძოლა დავიწყეთ. ყუმბარები სხვა ყალიბისა გამოდგა. ზარბაზნები დასკდა, ბრძოლა წავაგეთ, უთვალავი ხალხი გაიჟლიტა. ყუმბარები აღარა გვაქვს. ეხლა უკან ვიწევთ და ქვემძლებით ვიგერიებთ მტერს. გეკითხებით, ეს რა ამბავია-მეთქი?

— არ ვიცი, მე საარტილერიო საქმისა არაფერი არ მესმის, — გულმშვიდად უპასუხებს კვაჭი და მკერდზე ჩამოკიდებულ წმინდა გიორგის სამს ჯვარს ღიმილით ათამაშებს.

— ღალატის სუნი მომდის თავადო! დაგაპატიმრებთ! დაგხვრეტავთ!

კვაჭი გაიჭიმა და აიმრიზა:

— გენერალო, ფრთხილად!

კვაჭსა და გენერალს გრიშკა ჩაუდგა შუაში და ორივენი დააშოშვიდა. კვაჭმა გენერალს ცხვირწინ თითი დაუქნია:

— თქვენ რომ მეფის მინისტრი არ ყოფილიყავით, უკანვე ჩაგჩრიდით მაგ სიტყვებს. როცა მინისტრობიდან დაგითხოვენ, გირჩევთ მომერიდოთ, თორემ დაგცხრილავთ!

და გამწარებულმა ისე მიაჯახა კარები, რომ ფანჯრებს კინაღამ მინები ჩამოსცვივდა.

საქმე გართულდა. სამხედრო პროკურორმა კვაჭი დაიბარა და დაჰკითხა:

— რაო? კვაჭმა საბუთები ვაჰყიდა? გერმანელებს გადასცა? სად? სტოკჰოლმში? რასა როშავენ, რა ჭორებს იგონებენ?! სტოკჰოლმში, კვაჭს არავინ არ უნახავს, არავის არ შეჰხვედრია. აჰა-აჰა! სასაცილოა და მეტი არაფერი! რაო, კვაჭი ნუ ხუმრობს და ნუ იცინის? კვაჭი კი არა, ალბათ ბატონი პროკურორი ხუმრობს. არა, ასეთი საბუთებით კვაჭის დაღუპვა ვერ მოხერხდება!

პროკურორმა ოქმი შეადგინა და უთხრა:

— ვისაც ასეთი დიდი ბრალი ედება, ის საპატიმროში უნდა იჯდეს, მაგრამ ჩვენი წმინდა მამა გრიგოლის ხათრით და თავადებით ჯერჯერობით თავისუფალი ბრძანდებით. ხელი მო-

აწერეთ ამ ვალდებულებას, რომ პეტერბურგიდან არ გგახვალთ.

კვაჭმა ხელი მოაწერა, გამოვიდა და გრიშკასთან გაიქცაა.

— წმინდაო მასწავლებელო, ეს რა ამბავია? როგორც ეეტყობა არ ხუმრობენ. მიშველეთ რამე, თორემ ჯერ მე დამღუპავენ ჩვენი საერთო მტრები და მერმე თქვენი ჯერიც მოვა.

გრიშკა აწუწუნდა:

— ყური მიგდე, აპოლონჩიკ! შენ ჩემი ნაფიცი ძმა ხხარ, არაფერს არ მოვერიდე, ყველაფერი შეგისრულე. სიმდიდრე, თავადობა, მუნდირი, ჯვრები, კარის კაცობა, პატივი და ხელისუფლება გიშოვნე, ეხლა კი დროება გამოიცვალა. მე ძალა აღარ შემწევს. ჩვენი მტრები იმარჯვებენ. მთელ ქვეყანას პირზე შენი სახელი აკერია, ყველანი შენს დახვრეტას მოითხოვენ, რადგან ჩვენი უკანასკნელი დამარცხების ბრალი შენ გედება. არ ვიცი, ვინ არის მართალი და ვინ სტყუის. მაგას სამართალი გამოარკვევს. რამდენიც შევძელი, გიშველე. საანამ ახალ საბუთებს არ იშოვნიან, არ დაგაპატიმრებენ. ქვეყანას მოერიდე, ნურსად ნუღარ დადიხარ, გაჩუმდი და ცოტა ხხანი ჩრდილში იცხოვრე. აი ჩემი რჩევა. მეტს ნუღარაფერს მთხოვ.

კვაჭი მართლა შინ ჩაიკეტა. ლადის დაგეშილმა ცხვირმაა და ხელმა ინფორმაციის საქმე ბრწყინვალედ მოაწყეს. ყოველდღე ათიოდე მხრიდან უტყუარი ამბები მოსდიოდა. ყოველ შემთხვევისთვის „კეთილი სამარიტელი“ და მრავალი უძრავ-მოძრავი ქონება გინცს მიჰყიდა და ნაღდი სილიბისტროსთან შეინახა, რომელიც ისევ პეტერბურგში სცხოვრობდა.

რამდენიმე გაზეთმა კვაჭს ოდნავ გაჰკრეს და მისი სახელი უდიერად მოიხსენიეს. კვაჭმა თავის გაზეთებს შესაფერი პასუხი გაუგზავნა. სამიოდე გაზეთმა შენიშვნებით და შემოკლებით დაბეჭდეს, დანარჩენებმა კი უარი შემოუთვალეს.

„მართლა ცუდად ყოფილა საქმე“. — გაიფიქრა კვაჭმა.

იმავე დროს ბესომ, ლადიმ და აგენტებმაც სანუგეშო ვერაფერი მოუტანეს.

— საქმე კარგად ვერ მიდის. — მოკლედ მოუჭრა ძუძნწმა ბესომ.

— გეიპარე. — ურჩია ჩიკინჯილაძემ.

— აჰ, მაი არ ვარგა. ჯერ სამაგისოდ არ გამხდარა საქმე. —

უპასუხა კვაჭმა და ერთხელ კიდევ სცადა ბედი: ნაცნობ მინისტრებს, წარჩინებულებსა და დიდებულებს დაუარა. ყველგან მოკლედ მოუჭრეს:

— შინ არ გახლავთ! — ან: — არ სცალიან. — ან კიდევ: — ავად ბრძანდება.

გრიშკამაც წინანდელი პასუხი გაუმეორა:

— ამაზე მეტი არარაფერი შემიძლიან.

ყველანი ჩამოსცილდნენ, ყველამ კარები მოუკეტა და ხელები დაიბანა.

— გეიპარე. — კიდევ ურჩია ბესომ და ლადომ.

— აჰ, არასოდეს! — გადასჭრა კვაჭმა და მუქარაც წამოისროლა: — მალე ვნახავ, ვინ ვისთან მივა სახვეწნელად. არ დასცალდებათ კვაჭის დაღუპვა, უმალ თვითონვე დეიღუპებიან.

მეორე დღეს ჭიპი ჭიპუნტირაძე ქუდმოგლეჯილი შემოვარდა:

— დევიღუპეთ! დევიფსხეთ! იდელსონები დეიჭირეს.

— ორივენი?

— ორივენი! ისაკაც და რებეკაც! ჩქარა, თავს უშველეთ! დეიმალეთ! გეიქეცით! ჩქარა!

კვაჭმა დინჯად და მოკლედ მოსჭრა:

— აწი კი მართლა დრო დადგა.

მერმე ეპოლეტები დაიგლიჯა, ჯვრები ჩამოიხსნა, გადაჰყარა და განრისხდა:

— კმარა რაც მაგათგან უსამართლობა ვნახე! ეხლა ჩემი შურისძიებაც იგემონ.

და იმავე დღეს 90 გრადუსით შეიცვალა ფრონტი.

აქა ამბავი კვაჭის წინასწარმეტყველებისა და ხაფანგში გაბმისა

ერთი ხანია, რაც გადაცმული და გრიმაკრული კვაჭი სამიოდე ღარიბ ბინას შეეჩვია. ზოგჯერ ის ღარიბნი და საეჭვონი მიყრუებულ უბნებში შეჰხვდებიან კვაჭს და ხანგრძლივ ჩურჩულს გააბამენ ხოლმე.

— ჯარში გაახურე მუშაობა, ჯარში! — დაჟინებით მოითხოვს კვაჭი. — დანარჩენები დიდი ხანია მზად არიან.

კვაჭმა პატიჟობას და ნადიმებსაც მოუხშირა. სტუმრად მხოლოდ აფიცრები ჰყავს. უხვად აბნევს ფულსა და ჩიქორთულს რაიმეს ლაპარაკობს. რამდენიმე ხელქვეითი ადიუტანტი ყოველდღე ანგარიშს აძლევენ მას და მისგან ახალ-ახალ დარიგებას და დავალებას ღებულობენ.

კვაჭმა იდუმალი საქმე დაატრიალა. ბესო, ლადი, ჭიპი, ჯალილა, სედრაკა და კვაჭის მრავალი ახალი და ძველი ნაცნობმეგობრები ძილს ვეღარ ასწრებენ, მთელს ქალაქში დაჰფუსფუსებენ, ყაზარმების გარშემო და განაპირა უბნებში დაძვრებიან, საიდუმლო კრებებს მართავენ, იარაღს ჩალის ფასად ჰყიდულობენ და საბოლოო ბრძოლისათვის ემზადებიან.

— ყველაფერი მზად არის და ყველანიც მზად ვართ! — გადასჭრა ბოლოს სამხედრო საიდუმლო სინკლიტმა, რომელიც კვაჭის მეთაურობით შესდგა. გეგმაც შეიმუშავეს და დროც დანიშნეს.

ერთ საღამოს ელენემ ბესოს პირით შეატყობინა კვაჭს: ეხლავე მოდი ჩემთან. არ ინანებ. იქნება შენს საქმეს ეშველოს რამეო. ნახევარი საათის შემდეგ კვაჭი ელენესთან ავიდა.

— გთხოვთ გაიცნოთ. — წარუდგინა ელენემ კვაჭს შავწვერა და მელოტი პურიშკევიჩი.

კვაჭს გაუკვირდა, გაუხარდა. გაიფიქრა: იქნებ მართლა ამან მიშველოსო.

ერთმანეთი გაიცნეს. გასჩხრიკეს, ასწონეს და დიდხანს აბაასეს და იჩურჩულეს.

მეორე დღეს პურიშკევიჩმა კვაჭი დიდ მთავარს დიმიტრის, თავადს ფელიქს იუსუპოვს, კაპიტანს სუხოტინს და ექიმ ლაზოვერტს გააცნო. ვახშამმა და ჩურჩულმა რიჟრაჟამდე გასტანა. გეგმა შეიმუშავეს, ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს და დაიშალნენ.

კვაჭმა მაშინვე შეჰყარა სინკლიტი, ყველაფერი უამბო და უბრძანა:

— გადასდეთ!

და, როცა ყველანი დაიშალნენ, ბესოს და დანარჩენ ამხანაგებს შხამიანი ღიმილით უთხრა:

— მონადირე ნადირს დასდევდა, ნადირი კი მონადირეს

თვითონვე წააწყდაო. ამ ტუტუცებსაც ასთე ემართებათ. თუ თლა გაგიჟებულან აი სულელები! თვითონვე სჭამენ თავიანთ თავს, საკუთარ შენობას თავზე ინგრევენ და გულმოდგინედ სჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც სხედან. თევზი თავიდან აყროლდებაო. ეს ანდაზა ამ ხალხზე ყოფილა ნათქვამი. ქვეიდან ვაპირებდით ქვეყნის გადატრიალებას და ამ საქმეს თურმე ზემოიდანაც შესდგომიან, ხა-ხა! მეხვეწებიან: თავი უნდა მოვიკლაათ და გვიშველეთო. კი, ბატონო, მაგისთანა კეთილ საქმეში ქე გიშველით, უეჭველად გიშველით! ის კი არ იციან გადარეულებმა, რომ მაგათი ხელით დაღვრილი საკუთარი ერთი წვეთი სისხლი მერე წყაროვნად გადაიქცევა და სხვებზე ადრე თვითონვე დაიხრჩვებიან, არ იციან, რომ მათი ხელით აშვებული ნიავი გრიგალად გარდაიქმნება და ისე აღგვის მაგათს ხსოვნას, როგორც შარშან ქარმა თოვლი ააშრო და აღგავა. ხა-ხა! ბესოჲ, განა სასაცილო სასწაული არ არის, რომე შენი მტერი, რომელსაც მოსაკლავად დასდევ, თვითონვე იდებს პირში დამბაჩას და შენც დახმარებას გეხვეწებოდეს?! იესო ქრისტეს ბრძანა: გაჭირვებაში მოყვასსა შენსა დაეხმარეო. ჩემი ადამიანური მოვალეობაც ამასვე მასწავლის, ანგარიშიც ამას ამბობს და შეგნებაც ამასვე მიკარნახებს. ხა-ხა! კი ბატონებო, კი! დაგეხმარებით ამ საქმეში, ხალისით და სიხარულით დაგეხმარებით.

და სივრცეში ვიღაცას თითით დაემუქრა და ყორანივით იწინასწარმეტყველა:

— მეიცათ! დამაცადეთ! დრო მოვა და მწარედ ინანებთ, თავს კედელს მიახლით, საკუთარ სისხლს დალევთ და საკუთარ ხორცს დაიგლეჯთ, მარა ყოვლიფერი თქვენივე თავს დააბრალეთ! გვიანღა იქნება თითზე კბენანი, კისრის ტეხანი და კბილთა ღრჭენანი!

უცებ გასწორდა, გაიჭიმა და ისევ ისე ამაღლდა, როგორც ერთხელ დემირ-თევეს გორის ძირში აშოტა. ხმა უთრთოდა და თვალები უბრწყინავდა:

— ამხანაგებო! ჩემი სიტყვა დეიხსომეთ და თუ ადრე დევიღუპე, მთელს ქვეყანას და ისტორიას გადაეცით, რომ მე, კვაჭი კვაჭანტირაძე, ათას ცხრაას თექვსმეტ წელს, ოცდაშვიდ დეკემბერს ვამბობ: ათას ცხრაას თოთხმეტ წელს, თოთხმეტ ივლისს, დღევანდელმა რუსეთმა მსოფლიო ომის გრიგალში

რომ ჩაერია, თვითონვე გამეიჭრა ყელი, ეს ერთი. რამდენიმე დღის შემდეგ წარჩინებულთა და დიდებულთა ერთი ჯგუფი რუსეთის დედაბოძს მოსჭრის. — ეს ორი. ორიოდე თვეში ეს ჯგუფი უკმაყოფილო და საიდუმლო ძალებს მხარს მისცემს და მათთან ერთად ათი წლით დაგუბებულს უძირო და უსაზღვრო გუბეს პირს მოურღვევს. — ეს სამი. — იგი გუბე მრისხანედ დაიძვრება და ჯერჯერობით დღევანდელ ხელისუფლებას წალეკავს, — ეს ოთხი. მერე იგი ძალას მოიმატებს და ახალ ხელისუფლებას შხუილ-გრიალით მოარღვევს და მოჰგლეჯს ნახევარ თავს, რომელიც ამჟამად გუბეს პირს ურღვევს და საკუთარი ქოხის დედაბოძს უჩხიკინებს, — ეს ხუთი. მერე დრო მოვა, — საშინელი და მრისხანე, დაუნდობელი და სასტიკი, მკაცრი და შეუპოვარი. — დრო იმ თავის მეორე ნახევრის მოწყვეტისა. ეს საზარელი ჟამი ათი თვის შემდეგ დადგება — ეს ექვსი. ნიაღვარი წარღვნად გადიქცევა, ქარიშხალი — გრიგალად. უცოდველი წმინდანი — გაკაპასებულ მხეცად, ვარდი — ლენცოფად, ანგელოზი — ჯოჯოხეთის მაშხალად და უწყინარი აბრეშუმის ჭია — შხამიან გველად. ძმა ძმაზე წავა-მამა-შვილზე და ერთმანეთის სისხლით და ხორცით ვეღარ გაძღებიან. ცეცხლის ალი ცას ასწვდება, მდინარენი გაწითლდება და მომაკვდავთა გმინვა ქვეყანას დააყრუებს. დაიბადება ახალი ქვეყანა — უცხო და უჩვეული, უცნობი და საოცარი. იმ ქვეყანას შინაურნი და გარეულნი დაესევიან. ატყდება საშინელი და დაუნდობელი ომი. კაპასი და ბრაზიანი, ცოფიანი და შმაგიანი. მთელი რუსეთი სისხლის გუბედ გადიქცევა, თეთრი ტალღა წითელ დედაქალაქს მისწვდება, მაგრამ... წითელნი დასძლევენ, თეთრებს გაჟლეტენ, ზღვაში გადაჰყრიან და ხელისუფლებას დაიმკვიდრებენ. ესეც შვიდი და უკანასკნელი.

კვაჭი სივრცეში ლაპარაკობდა. თვალები იდუმალი ცეცხლით ჰქონდა ანთებული, ხმა — უცნაური ზეშთაგონებით აღგზნებული. არაფერს ამჩნევდა და არავის ჰხედავდა. მედიუმივით ტრანსით იყო მოცული და უხილავ ძალას ჰყავდა შებოჭილი.

— ამხანაგებო! — განაგრძო კვაჭმა. — მე ძალიან ბევრი მტერი მყავს. ვიცი, რომ იგინი ეცდებიან ჩემი ღვაწლი წაშალონ და ისტორიიდან ამომფხიკონ, მარა თქვენისთანა მეგობრებიც ბლომად მომეპოვება, ვინ იცის, იქნება მე დევიღუპო;

მარა თქვენ ჩემი სახელი ისტორიკოსებს დავიწყების სანაგვეზე არ გადააგდებიოთ.

კიდევ დიდხანს იბოდა და იროშა, მაგრამ მისმა ამხანაგებმა ზემოხსენებულის გარდა ველარაფერი დაიხსომეს და ისტორიას დაუფასებელი საგანძური დაუკარგეს.

აკი ერთხელ უკვე მოგახსენეთ: ჭორიკანა ისტორია ყოველთვის სტყუის-მეთქი. ეს უბრალო ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დამტკიცდა კვაჭის თავზე. რაც ათიოდე წელიწადში რუსეთის შესახებ წიგნი დაწერილა, ორასი ურემიც ვერ დაიტევს. ზოგმა მკითხველმა თავით ბოლომდე გადიკითხა ესოდენი ნაწერი, მაგრამ — დახე ქვეყნის უმადურობას! — ერთხელაც ვერსაც ამოიკითხა კვაჭის სახელი. მისი დიადი საქმე, განუზომელი ღვაწლი და დაუფასებელი ამაგი სხვებმა მიიწერეს, მიითვისეს და გაინაწილეს.

მაგრამ — მადლობა უფალსა! — კვაჭს მრავალი ცოცხალი მოწმე ჰყავს: აი, თუნდაც ბესარიონ შიქია, სედრაქ ჰავლაბრიანი, ლადი ჩიკინჯილაძე, გაბო ჩხუბიშვილი, ჭიპი ჭიპუნტირაძე, თუნდ ჯალილ ემინ ოღლიც და მრავალნი სხვანი, რომელნიც ადასტურებენ ზემო და ქვემო ნათქვამს. მოდი და ნუ დაუჯერებ!

ერთ დღეს მეფის რუსეთს პირველი მეხი დაეცა: რასპუტინი მოჰკლეს! — ამინ! ეგ ერთი და სხვა ათასი! — აღტაცებით შესძახა კვაჭმა და იმავე საღამოს თავის სინკლიტს ასე მიმართა:

— აღსრულდა! რუსეთის ღედაბოძი გამოვაცალეთ. შენობა გაიბზარა და გასკდა. ნუ აჩქარდებით, დანარჩენი თავისთავად შესრულდება. თუ ვინიცობაა დამაპატიმრეს, ცეცხლს შეუკეთეთ, ხოლო თუ ჩემი დახვრეტა განიზრახეს, ეს მყრალი, დამპალი და დახავსებული ქვეყანა ცეცხლს მიეცით და ააფეთქეთ. ჩემი უკანასკნელი სათხოვარი კი ეს არის: ჩემი თავი არ მოაკვლევინოთ, დროზე ააფეთქეთ, რადგან მინდა ერთხელ კიდევ გავიხარო და ჩემი თვალით ვნახო იმ ხალხის დაღუპვა, ვინც ასე უმადურად ჰყრის სანაგვეზე თავის... (კვაჭს უნდოდა ეთქვა: ჩემისთანა) ერთგულ შვილებს.

— კვაჭი, რასპუტინის სისხლი შენც ხომ არ დაიდე? — ჰკითხა ჰავლაბრიანმა.

— მე? ვინ იცის... მერმე გამოირკვევა. — მიუგო სილიაბისტროს ერთამ და ორპირულად ჩაიღიმა.

კვაჭის ასეთი საშვილიშვილო საქმის შესრულება მიულოცეს და მისი დიადი ხასიათისა და თავგადადებული პიროვნების წინაშე ქედი მოიდრიკეს.

მესამე დღეს გრიშკას გვამი ნევაში იპოვნეს. ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. რუსეთი ყალყზე ადგა, პეტერბურგი აიშალა. სიხარულისგან ერთმანეთს ულოცავდნენ და ჰკოცნიდნენ: მორწმუნენი პარაკლისებს იხდიდნენ და კელაპტრებს სწვავდნენ. ყველას პირზე გრიშკას სიკვდილი დაეკერა.

მკვლელებმა პურიშკევიჩმა, ლაზოვერტმა და სუხოტინმა ფრონტს შეაფარეს თავი; დიდი მთავარი დიმიტრიც სპარსეთის ფრონტზე გაჰგზავნეს, ხოლო თავადი იუსუპოვი თავის მამულში გადაასახლეს.

კვაჭი სილიბისტროსთან იმალებოდა.

გრიშკას გვამი დედოფალმა დაისაკუთრა. იგი ჩესმის თავშესაფარში გადაიტანეს და გრიშკას მეგობარს, — მონაზონს აკილინას ჩააბარეს.

რასპუტინის ცოლი, ქალიშვილები და მახლობლები ჰლამობდნენ ცხედრის ნახვას და გამოთხოვებას, მაგრამ დედოფლის ბრძანებით ახლო არავინ მიუშვეს.

აკილინამ ცხედარი განბანა, იარები ნელსაცხებელით აუვსო, ძვირფასი ახალი ტანისამოსით შემოსა, კუბოში ჩაასვენა, მის მკერდზე ჯვარი დაასვენა და ხელში დედოფლის წერილი ჩაუდო. იმ წერილში ეწერა:

„ჩემო ძვირფასო წამებულო! მადირსე კურთხევასა შენსაა, რათა იგი იყოს თანამგზავრი ჩემს ეკლიან გზაზე, რომელიც უნდა განვვლო ამქვეყნად, და მოვიგონებდე ცათა შინა შენსს წმინდა ლოცვებში“.

მეორე დღეს, სწორედ იმ დროს, როცა რუსეთი მკვლელის მარჯვენას ლოცავდა და უფალს მადლობას სწირავდა, ჩესმის პატარა სამლოცველოში გასიებულ გრიშკას თავს ადგნენ დედოფალი და მისი პირველი მეგობარი კარის ქალი ვირუბოვისაა.

სასოებით, მეტანიით და ცხარე ცრემლით ლოცულობდნენ და ჰგლოვობდნენ თავიანთ იმედს, წმინდანს, ბურჯს, მეგობარსა და ქვეყნის მხსნელს.

ტირილითა და დარდით რომ დაოსდნენ და მოიღალნენ,

გრიშკას სისხლიანი პერანგი წაიღეს და წავიდნენ. იგი პერანგი, ვითარცა პალლადიუმი, უწმინდესი სახსოვარი და მეფის გვარეულობის დამცველი, დედოფალმა სალოცავ ხატად გაიხადა.

კვაჭი ელაგინის კუნძულზე იმალებოდა. მას მრავალი ძაფი ჰქონდა გაბმული გარეშე ქვეყანასთან, რომელიც (კვაჭი ამას ნათლად და მკაფიოდ ხედავდა) დღითი დღე სივდებოდა და საცაა უნდა გამსკდარიყო. ამბების წამღები და მომტანი ისევ ბესო იყო. დანარჩენებმა არც კი იცოდნენ კვაჭის ბინა. კვაჭი ერიდებოდა მათ და მათი დაუდევრობისა ეშინოდა. ამბობდა: უნებურად ჯაშუში არ მოიყოლონ, არ მომაგნონო. ამბობდა.

მაგრამ ხიფათს მაინც ვერ გადურჩა.

გადაცმული და გრიმიანი კვაჭი ერთხელ სინკლიტის წევრის სანახავად და დარიგების მისაცემად ოხტას უბანში გავიდა. საქმე გაათავა და კმაყოფილი შინისაკენ მოდიოდა. ბესო ოდნავ ჩამორჩა.

უცებ ვიღაცამ საფეთქელზე ცივი ლითონი მიადო და დაცინვით მიესალმა:

— თავად კვაჭანტირაძეს ჩემი სალამი! როგორ ბრძანდებით? რა მოგივიდათ? ენა წაგერთვათ? არა უშავს რა, ჩვენ ამოგიდგამთ. აბა, წამობრძანდით.

და პავლოვმა კვაჭს მკლავში ხელი გაუყარა და წაიყვანა, ხოლო მისი აგენტი უკან მისდევდა.

ოცი წუთის შემდეგ კვაჭი გაჩხრეკილი პავლოვის წინ იჯდა და ცივ ოფლში იწურებოდა.

— საიდან სად შევხვდით! — ამბობდა პავლოვი და კვაჭს პაპიროსსა და ჩაის სთავაზობდა. — ათი წლის წინათ ოდესაში კარგი მეგობრები ვიყავით, ეხლა კი...

— ეხლა კი? — ჰკითხა კვაჭმა და პავლოვს თვალით გაუსწორა. — განა არ შეიძლება ეხლაც დავმეგობრდეთ?

— არა, შეუძლებელია. — ყინულოვანი ხმით მიუგო პავლოვმა.

— მე კი მგონია, რომ შეიძლება [illegible] ასჯერ უფრო მჭიდროდ დავმეგობრდეთ.

— ასჯერ?! ჰმ! მესმის, მაგრამ... არ მოგატყუებთ: ეხლა ჩვენი დამეგობრება ყოვლად შეუძლებელია. თქვენი საქმე სასახლეშიაც კი იციან. გარდა ამისა, ისეთი საბუთები გვაქვს, რომ თქვენი საქმე დასრულებულად მიგვაჩნია. აბა, ეხლა საქმეს შე-

ვუდგეთ. თავიდანვე გირჩევთ: ნუ გაჯიუტდებით, სულ ერთია, უარი ვერაფერს გიშველით. მაშ დავიწყოთ.

დაიწყეს. ორ საათს ერთმანეთი ოფლში სწურეს და აწამეს. კვაჭი ჯორზე შეჯდა, ახირდა და „არას" გარდა ყველა სიტყვები დაივიწყა.

— ისაკა იდელსონი და მისი ცოლი მომიყვანეთ. — ბრძანა ბოლოს პავლოვმა.

კვაჭი გულის ფანცქალით ელოდა იდელსონების შემოსვლას. ათი წუთი ათ საათად გაიჭიმა.

კარებში რებეკა და ისაკა გამოჩნდნენ. კვაჭმა ძლივს იცნო ოდესღაც ქერა ჰხეთუნახავი. ორივენი გაცრეცილიყვნენ და ათი წლით დაბერებულიყვნენ. ისაკამ და რებეკამ კვაჭს არ შეჰხედეს, თავჩაღუნულებმა გვერდით გაუარეს, დასხდნენ და კედელს მიაჩერდნენ.

— იცნობთ თუ არა ერთმანეთს? — ჰკითხა კვაჭს პავლოვმა.

— ძალიან კარგად! — ფიცხლად და მტკიცე ხმით უპასუხა კვაჭმა. — ისაკა იდელსონი და მე მოსისხლე მტრები ვართ, ხოლო რებეკა ჩემი წინანდელი საყვარელია, რომელიც ღალატისთვის გავაგდე.

და უმალ ისეთი კოხტა ისტორია გამოაქანდაკა, რომ ხუთიოდე წუთს ყველანი ერთმანეთს პირდაღებულნი შესცქეროდნენ.

— აღარ გახსოვთ პარიზი? — ეკითხებოდა კვაჭი იდელსონებს. — ასე მალე დაივიწყეთ? რები, მართალი სთქვი, იყავი თუ არა ჩემი საყვარელი? სთქვი-მეთქი, თორემ, სულ ერთია, დაგიმტკიცებ.

— ჰო... ვიყავი... დიაღ, ვიყავი, მაგრამ... — ჰბუტბუტებდა რებეკა. სიტყვა ვეღარ დაამთავრა და აქვითინდა, ხოლო ისაკა ხუთ წუთში უარესად დაბერდა და გაიცრიცა.

კიდევ ორ საათს აწამეს და დაჰღალეს ერთმანეთი, მაგრამ კვაჭს „ჰო" ვერ ათქმევინეს.

— წაიყვანეთ! მომაშორეთ! — დაიძახა ბოლოს პავლოვმა და სამივენი ცივსა და ბნელ საკნებში ჩაჰგზავნა...

საღამოზე პავლოვმა კვლავ დაიბარა კვაჭი და კვლავ ჩასწვდა პირში მარწუხებით, მაგრამ კვაჭს ფესვმაგარი კბილი მაინც ვერ ამოჰგლიჯა. მერე ხან დაუყვავა, თავზე ხელი წაუსვა,

გაუღიმა და პატივზა აღუთქვა, ხან კიდევ მრისხანედ შეუტია, ფეხები დაუბაკუნა და სახრჩობელა მოაგონა, მაგრამ კვაჭმა „არა“ თუთიყუშივით დაიზეპირა და „ჰო“ სამუდამოდ დაივიწყა.

— კეთილი, ეგრე იყოს! — უთხრა პავლოვმა, — მიბრძანდით. სულ ერთია, ზეგ დილით ჩამოგახრჩობთ და თქვენს გვამს ძაღლებს გადავუგდებთ.

— ზეგ დილით? — გაიღიმა კვაჭმა — ზეგ დილით? კეთილი, ვნახოთ, ზეგ ვინ ვის ჩამოახრჩობს.

— რაო? იმუქრებით კიდევაც?! რის იმედით?

— მაგაზე ზეგ მოვილაპარაკოთ. ოღონდ ზეგ ათ საათამდე მაცოცხლეთ და მერე თქვენ თვითონ ნახავთ. ეხლა კი გეახლებით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

პავლოვს ზრდილობიანად დაუკრა თავი და საკანში ღიმილით დაბრუნდა.

მეორე დღეს ჩვენება აღარ ჩამოართვეს. მესამე დღეს, შუადღემდე რომ მოატანა, სამივენი სამხედრო სამართლის წინაშე წააყენეს და ვექილად ვიღაც კაპიტანი მიუჩინეს.

ხუთ წუთში ოქმი წაუკითხეს და სამივეს ურჩიეს:

— დანაშაულში გამოტყდით.

— არასოდეს!.. — მკვახედ უპასუხა კვაჭმა.

ისაკამ და რებეკამ ყველაფერი გადმოალაგეს, მერე ატირდნენ და შუღლის ადაიწყეს.

— აქედან რომ სტოკჰოლმში ჩახვედით, ვინ დაგიხვდათ სადგურზე? — ჰკითხეს კვაჭს.

— არავინ.

— ვისგან მიიღეთ მეორე დღეს ჩეკი № 137429 ერთი მილიონი კრონის?

— არავისგან.

— აი, თქვენი ხელმოწერილი ჩეკი, გამოტყდით.

და ჩეკის ფოტოგრაფიული სურათი წარუდგინეს წარწერით „მივიღე. თავადი კვაჭანტირაძე“.

კვაჭი აილეწა. მაინც თამამად შესძახა:

— ყალბია!

ნახევარ საათში ყველაფერი გათავდა. უკბილო გენერალმა, თავმჯდომარემ, განაჩენი წაიკითხა:

— თავად კვაჭანტირაძეს, ისაკა იდელსონს და რებეკა იდ-

ელსონს ღირსება-უფლება აეყაროს და ჩამოხრჩობა მიესაჯოს.
წაუკითხეს და მაშინვე დარბაზიდან გაიპარნენ. რებეკამ შეჰკივლა და ჩაიკეცა. ისჯას ხმა არ ამოუღია. კვაჭანტირაძემ ფერი შეიცვალა, მაგრამ წარბიც არ შეიხარა. დარბაზს თვალი გადაავლო, თავის ამხანაგებს და ელენეს გაუღიმა და დაუძახა:
— ნახვამდის! მეგობრებო! ზეგ დილით გნახავთ!
— მეგობრებს იმ კედლების ფერი ედოთ.
კვაჭი პეტრე-პავლეს ციხეში გადაიყვანეს და ნესტიან საკანში შეაგდეს. რკინის სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.
ამ ფიქრში ერთი დღე-ღამე გავიდა და მეორე ღამეც მიიწურა.
რაო, რა სთქვა უკბილო გენერალმა? თავადი კვაჭანტირაძე უნდა ჩამოახრჩონ? სილიბისტროს შვილი კვაჭი?! კვაჭიკო?!
„აჰ, მაი სისულელეა, მეტი აფერი!“
მაინც გულში ჭინკა ჩაუჯდა, შიგანური დაუკაწრა და ჩაიხითხითა:
— ვითომ რაო, ვერ გაგიბედავენ?
— მე გამიბედავენ?! მეფის ნათლულს, ტახტის მარჯვენას!
— იხი-ხი! — გულიანად აწრიპინდა ჭინკა: — ერთხელ მაინც სთქვი მართალი შენივე სინდისის წინაშე, ეხლა ვიღას ერიდები? აბა, გაბედე: დაიწყე. შენა ხარ მეფის ნათლული? შენ ემსახურებოდი ტახტს ერთგულად?
— დემირ-თეფეს გორა? ვინ გადაარჩინა იმდენი ხალხი სიკვდილსა და სირცხვილს?
— მე, მე გადავარჩინე! დიაღ, მე! ხორცი შენი იყო, სული კი ჩემი. ქუდმოგლეჯილი მორბოდი. შიშისგან გული მიგდიოდა. მე ჩაგიჯექი სულში და მე აგიყვანე დემირ-თეფეს თავზე შენი გმირობა მთელმა ქვეყანამ გაიკვირვა, რადგან კარგად გიცნობდნენ და შენგან ასეთ თავგანწირულებას არ მოელოდნენ. სხვებზე უფრო შენვე გაოცებდა შენი ნამოქმედარი.
— ვინ ოხერი ჰგდიხარ, რომ ჩემს გმირობას იჩემებ?
— ხი-ხი! აქამდის არ მიცნობ? გთხოვთ მიცნობდეთ: მე გახლავართ კვაჭი კვაჭანტირაძე, სილიბისტროს შვილი.
— ნუ სულელობ! კვაჭი მე ვარ.
— მეც კვაჭი გახლავარ. არც აშორდიას ნაზნაურალი ვარ, არც ნათავადარი, არც ნაკამერ-იუნკრალი, არც ჯიბგირი, არც ალფონსი და არც მოღალატე. ნამდვილი კვაჭი მე ვარ, მე!

— რას ჩამაცივდი? რა გინდა ჩემგან?

— მინდა შენგან ერთხელ მაინც გავიგონო მართალი სიტყვა. საცაა ჩამოგახრჩობენ, ეხლა მაინც ნუ ორპირობ.

— რა ოხრად გინდა სიმართლე? მართლის თქმა ყველას შეუძლიან, — ტუტუცს, ველურს და ძუძუმწოვარსაც.

— წრფელი გული?

— წმინდანი ხომ არ ვარ!

— ერთგულება?

— ნიკოლოზის და გრიშკას ერთგულება?! ჯერ არ გავგიჟებულვარ.

— ეხლა ხანს რომ პირი იბრუნე, იმ ხალხს ერთი გული მიუტანე?

— ხმა! კრინტი! დამეკარგე აქედან!

და გამწარებული კვაჭი თავის ორეულს დაეძგერა, მაგრამ მხოლოდ ჰაერს დაეტაკა.

— ხი-ხი! — გულიანად ჩაიხითხითა ჭინკამ და კარების ვიწრო ნაპრალში გაიძურწა.

კვაჭიც კარებს ეცა და ორივე მუშტი დაუშინა:

— Чаво тебе? Чаво стучишь? — რა გინდა, რას არახუნებ?

— პაპიროსი! ჩქარა ერთი პაპიროსი!

— Чавоо?

— ერთი პაპიროსი-მეთქი, ერთი მაინც!

დარაჯი უსიტყვოდ მიტრიალდა და არხეინად აბაკუნდა.

კვაჭიც მოტრიალდა და გრიშკა რასპუტინს წააწყდა. წმინდანი სისხლიან თავს აცანცარებდა და აზრობდა:

— ეგრე გადამიხადე მადლი?....

გაფითრებული კვაჭი ჯერ კედელს მიეხეთქა, მერე წმინდანს ეცა, მაგრამ კვლავ ჰაერს დაეტაკა. საკნის ჯურღმულიდან ვერა სიდოროვამ ამოანათა, მერმე ვოლკოვის ქვრივმაც გამოჰყო თავი, მათ მოჰყვნენ ტანია, ელენე, სოფიო შივაძე, ინსპექტორი ხოფშტეინი, ნადია არმელაძე, ვერა კალოშვილი და კვაჭის მრავალი უცნობ-ნაცნობი მსხვერპლი. ყველანი მიესივნენ მას — ჯერ ცალ-ცალკე და მერმე ერთად. ზოგნი აქეთ ეწეოდნენ, ზოგნი იქით, ზოგნი აფურთხებდნენ, სწეწავდნენ, ხარხარებდნენ და გაჰკიოდნენ:

— ეგრე გინდა! ეგრე გინდა! დღეს ჩამოგახრჩობენ! ჩამოგახრჩობენ! ახია შენზე, ახი!

ქვაჭი ხან ერთს ეცემოდა, ხან მეორეს გამოუდგებოდა, ხან მესამეს აქცევდა და ზედ აჯდებოდა. მერმე ციბრუტივით დატრიალდა და ხელებისა და ფეხების ქნევით აყვირდა და აღრიალდა:

— მიშველეთ! მიშველეთ!

— Чаво орешь? — ჰკითხა საკანში შემოსულმა დარაჯმა. — რასა ბღავი?

პირგათეთრებული და ხელებდასისხლიანებული ქვაჭი უგონოდ ეგდო რკინის საწოლზე. ცივმა წყალმა და ყურების დასრესამ მოასულიერეს.

— ნუ ჰყვირი, ყვირილით ვერაფერს ვერ გაიტან. ერთი საათიც მოითმინე და მერე ყველაფერი გათავდება... — დინჯად ურჩია დარაჯმა და გავიდა.

ქვაჭს აზვირთებული სული თანდათან დაუმშვიდდა და მოულბა, კვლავ ჰფიქრობდა:

„მაშ უნდა ჩამომახრჩონ? ამხანაგები არ მიშველიან? ნუთუ დროზედ არ დაიწყობენ? იქნება დაიგვიანონ? მაშ... ნუთუ?.. სისულელეა! ვერ დავიჯერებ! როგორ გაჰბედავენ! ალბათ მაშინებენ... ჩემი მოდრეკა უნდათ, თვარა... თუმცა ვინ იცის,— იქნება ესლა სახრჩობელასაც აშენებენ... ღმერთო დიდებულო! მერმე ისევ კარებს დაეძგერა:

— პაპიროსი! თუნდაც ერთი პაპიროსი მომეცი და რაც გინდა, მომთხოვე!

დარაჯმა მხოლოდ ერთი სიტყვა გამოსწურა თავის უკბილო ორმოდან:

— Чичас. — ეხლავე.

და ისევ არხეინად აბაკუნდა.

ათი წუთის შემდეგ რკინის რაზამ დაიჭახუნა და ნაჭედმა კარმა დაიჭრაჭუნა.

ბებერ დარაჯს, უბრალო და უთვალო ინვალიდს, ერთ ხელში პაპიროსი ეჭირა, მეორეში მარწუხი. შავი ორმო-პირი ააცმაცუნა და ძლივს წამოაგდო:

— ჯერ კბილი მომეცი.

— რაო?

— კბილი მომეცი-მეთქი.

ქვაჭმა საკანი მოათვალიერა.

— კბილი? რა კბილი?

— შენი კბილი, შენი ოქროს კბილი.

— ხომ არ გაგიჟებულხარ!

— მე? სულაც არა. მე სრულ ჭკუაზე ვარ.

და ორმო-პირი ისე დაღრიცა, თითქოს გაიღიმაო, და ლობიოსოდენა ნაცრისფერი თვალიც ჩაბჟუტა.

— ახალი ტუსაღი ხარ და იმიტომ არ გესმის. რად გინდა ეგ ოქროს კბილი? თან ხომ არ წაიღებ? სულ ერთია, ერთი საათის შემდეგ ჩამოგახრჩობენ.

— მერმე?

— რად გინდა-მეთქი ეგ ოქროს კბილი? საიქიოში ხომ არ წაიღებ? ი-ი-იჰ, ვინ იცის, რამდენს დავაძრე ოქროს კბილი აი, ამ მარწუხით. ჯერ გაოცდებიან ხოლმე, მერმე კი მნებდებიან. ნუ შეშინდები, კბილის დაძრობაში გამოცდილი ვარ და ისე ამოვგლეჯ, რომ ვერც კი გაიგო.

— ერთ პაპიროსს აგრე ძვირად ჰყიდი?

— ზოგს პაპიროსს ვაძლევ, ზოგჯერ კი უკანასკნელ წერილს გამოვართმევ და მშობლებს ვაუგზავნი.

— გამოართმევ და დაჰხევ, არა? სულ ერთია, ვერავინ ვერ გაიგებს.

— Ни-ни-ни! — შიშით წაიჩურჩულა მოხუცმა, და პირჯვარი გადაიწერა: — ღმერთმა დამიფაროს! უკანასკნელი წერილი ისეთი წმინდა რამ არის, რომ...

— მაშ ჩემ წერილსაც გააგზავნი?

— მაშა! დაგმარხავთ თუ არა, ჯერ ეკლესიაში შევალ, შენთვის ვილოცებ და შემდეგ ამ წერილს ფოსტის ყუთში ჩავაგდებ!

ქვაჭს თვალები უბრწყინავდა. იმის აქაფებულ ტვინში რაღაც აზრი ელვის სისწრაფით აშუშავდა.

— კეთილი... თანახმა ვარ... წერილი მენვე მიუტანე მამაჩემს, აი მანეთს გაჩუქებს. ახლოს სცხოვრობს. საწერ-კალამი და ქაღალდი მომეცი.

— Чичас... чичас... — აქოშმეტუნდა მოხუცი.

ქვაჭი ტახტზე წამოწვა და გაინაბა. მოხუცმა ფანქარი და ქაღალდი შემოიტანა.

— მაგიდაზე დადე — ბრძანება უთხრა კვაჭმა.

მოხუცი საკანში შემოვიდა და კუთხისკენ წავიდა, სადაც კედელზე რკინის პაწაწა მაგიდა იყო მიკრული.

იმავე წამს ტახტიდან ვეფხვმა იხტუნა და საკანში მოკლე ხრინწი გაისმა. კვაჭმა ნაცადი ბანდიტური ხერხი იხმარა:

მან მოხუცი თვალის დახამხამებაზე ზურგით ზურგზე მოიგდო, მარჯვენა ხელი უკან გადაიგდო და დარაჯს ყელზე გადააჭდია, მარცხენაც უკან გაიტარა და მოხუცის ატლინკებული ფეხები მობღუჯა. კარგა ხანს იდგა წაკუზული კვაჭი, კარგა ხანს ეკიდა ზურგზე წელში გადაზნექილი გაგუდული მოხუცი; მერმე ტახტზე ჩამოუშვა და ფოლადის თითები ყანყრატოში წაუჭირა.

გატიკნული მოხუცი გაყინულ ლობიოს თვალით ჩაციებით შესცქეროდა კვაჭს, თან კვაჭის უმადურობას მოღრეცილი ორმო-პირით ჰკვირობდა.

ხუთი წუთის შემდეგ დარაჯის ტანისამოსში გადაცმული კვაჭი ფეხაკრეფით მივიდა ეზოს კარებთან. შორს კუთხეში სახრჩობელა გალაჯულიყო. „ჩემია" — გაიფიქრა სილიბისტროს ძემ და შეთრთოლდა.

ბინდი უკვე გატეხილიყო. ჰყინავდა. ეზოში ავტომობილი შემოცურდა, გაჩერდა და გუგუნი ასტეხა. ავტომობილიდან ქურქში გახვეული სამხედრო კაცი ჩამოხტა და ციხის კანცელარიაში შევიდა.

კვაჭმა ჭუხანდელი ბრალმდებელი იცნო, რომელიც კვაჭის სიკვდილს მოითხოვდა.

ავტომობილი მოტრიალდა და ისევ იქვე გაჩერდა.

შოფერიც ჩამოხტა და ყაზარმაში შევიდა. კვაჭმა თავი დაჰლუნა და ეზო სირბილით გადასჭრა.

ერთი წუთის შემდეგ ის ავტომობილი ჭიშკარისკენ დაიძრა. ნამძინარევმა დარაჯმა მაშინვე გააღო კარი და მხოლოდ შემდეგ მოიფშვნიტა თვალები.

ეზოში ჩოჩქოლი ასტყდა. ქუდმოგლეჯილი შოფერი ხელების ქნევით და ყვირილით მორბოდა:

— დაიჭირეთ! ესროლეთ!

ავტომობილმა თვალის დახამხამებაზე გადაირბინა სამების ხიდი, მერმე ისარივით გადაჭრა მარსის მოედანი, ახლო-მახლო ხვეულებში შეერია და ერთ კუთხეში გაჩერდა. კვაჭი გადმოხ-

ტკა, სირბილით მიუხვ-მოუხვია, ამხანაგების ბინაში შევარდა და დაიძახა:

— ამხანაგებო! ადექით! წამოდექით! ჩქარა, ჩქარა-მეთქი!

ჩაუცმელი, დაფეთებული და დარეტიანებული მეგობრები ჟუმალ გარს შემოეხვივნენ დედაბოძივით აშოტილ ბელადს, რომელიც იმ წუთში ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც დემირთქეფეს სერზე.

— მე ჩემი დაპირება შევასრულე და დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილზე მოვედი.

— მოვიდა დღე განკითხვისა! იარაღი აისხით!

ათ წუთში ყველანი ყელამდე იარაღში ისხდნენ.

— დანარჩენებსაც დაუძახეთ!

ნახევარ საათში კვაჭის სინკლიტმა ბელადის გარშემო მოიყარა თავი. ერთ ხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კვაჭმა ჯერ საზარელი ჩურჩულით ერთადერთი სიტყვა გადმოაგდო:

— და-იწ-ყეთ!

ეს ამბავი 1917 წ. 26 თებერვალს მოხდა.

აუსტერლიცის დილა იყო.

ორი მარადიული მტერი პირისპირ შეჰხვდნენ ერთმანეთს.

იმ დღეს კვაჭმა საქმითაც სავსებით გაამართლა თავის ღირსეული წინამორბედი ნაპოლეონი, რომელსაც ათიოდე წლის წინათ უნებურად მოჰპარა სახელი.

არასოდეს არც ერთ სარდალს არ გაუცია ისეთი მოკლე, მრისხანე და მკაფიო ბრძანება:

— დაიწყეთ!!!

ეს იყო და ეს. მეტი არაფერი.

მაგრამ ამ ერთ სიტყვას უმალვე უმაგალითო კატასტროფა მოჰყვა. იმავე დღეს დახავსებულს, დამპალს და ფუტურო იმპერიას თავს დაატყდა უმაგალითო რისხვა და მეხი.

ის უზარმაზარი შენობა, რომელიც ათას წელიწადს ათასი მილიონი კაცის ოფლით და სისხლით აშენდა, უცბად შეირყა, საზარელი შექა-ქუხილით ჩამოინგრა და მისი ბინადრები, მცველნი და დარაჯნი ქვეშ მოიყოლა.

ასე დააფასა კვაჭმა შავი მადლი და ასე გადაუხადა ვალი უმადურ იმპერიას, რომელმაც თავის ბედოვლათობა და დამარცხება კვაჭს დააბრალა იმ საბაბით, ვითომ მას რუსეთის

ჯარისთვის ამერიკიდან უვარგისი, ყალბი ყუმბარები ჩამოეტანა-ნოს.

ასე ადვილად დაივიწყეს ზემოურებმა კვაჭის დაუფასებელი და განუზომელი ღვაწლი: კავკასიონის დამშვიდება, გრიშკა რასპუტინის გადარჩენა, ჯარების შემოსევა, უზარმაზარი ტაძრის აშენება, ხუთიოდე კონცესიის განაღდება, მეფის გამაგრება ტახტზე, „კეთილი სამარიტელის" უსაზღვრო ღვაწლი, დეშირ-თეფესთან რუსეთის დროშის გასხივოსნება, უიარაღო და უყუმბარო ჯარის შეიარაღება და ათასი უთვალავი მადლი, რომელიც კვაჭმა მომაკვდავსა და უმადურ რეჟიმს დასდო.

მაგრამ უმადურობა მარტო გარდაცვალებულთა სენი არ ყოფილა. ეს სენი თურმე დღევანდელ თაობასაც სჭირვებია..

წაიკითხეთ ახალი დროის ისტორია — დაბეჭდილიც და დაუბეჭდავიც. ვერც ერთ წიგნში, გაზეთშიან ხელთნაწერში ორიოდე სიტყვასაც ვერ ამოიკითხავთ კვაჭი კვაჭანტირაძის ღვაწლის შესახებ, რომელიც მან რუსეთის დიდ რევოლუციას დასდო. მართალია, ისტორიკოსები ადასტურებენ — ისიც მხოლოდ კერძო ბაასში — კვაჭის დახმარებას ფულით და რჩევით, მაგრამ გადაჭრით უარყოფენ უმთავრესს: ვითომ აჯანყების ნიშანი კვაჭს მიეცეს და დაუვიწყარი ბრძანება გაეცეს:

— დაიწყეთ!

მაგრამ პირუთვნელი მომავალი თაობა აღმოაჩენს ასეთ შავს უმადურობას, მოსპობს საარაკო უსამართლობას და ღირსეულ ადგილს მიუჩენს 26 თებერვლის ნამდვილ ავტორს, რომელმაც შეამზადა იგი და ამიერიდან დაუვიწყარი ბრძანება სწორედ თავის დროზე გასცა. დიახ, თავის დროზე; ვინაიდან ის ბრძანება ერთი წუთითაც არ დააგვიანა და არც ნაადრევად წამოროშა.

დღევანდელ თაობისგან კვაჭი აღარ ელის თავის ღვაწლის მიუდგომელ დაფასებას, რადგან ბევრი პირადი მტერი ჰყავს და ისიც მართალია, რომ ნამდვილი უკვდავი დაგვიანებით ცოცხლდება.

მაინც, რამდენიც უნდა ილაპარაკონ კვაჭის მტრებმა, ერთი რამ მაინც ცხადია და უეჭველი: 1917 წელს 26 თებერვალს დილით კვაჭმა ლაკონური და კატეგორიული ბრძანება მისცა თავის შტაბს:

— დაიწყეთ!!!

და დაიწყეს.

ამას ადასტურებს ყველგან და ყოველთვის კვაჭის შტაბი: ბესო შიქია, ლადი ჩიკინჯილაძე, ჭიპი ჭიპუნტირაძე, ჯალილ ომონ-ოღლი, სედრაკ ჰავლაბრიანი და გაბო ჩხუბიშვილი.

ისტორია კი მაინც უმადური ვინმეა.

ჰარი მეექვსე

ხმა ამბავი ახალი პარტიის დაარსებისა და ახალი ხიდის აშენებისა

დაიწყეთ! — ბრძანა კვაჭანტირაძემ 27 თებერვალს დილით, მერმე სავარძელში ჩაჯდა და ტელეფონს დასწვდა.

იმ სავარძელს და ტელეფონს ორ დღე-ღამეს არ მოჰშორებია. მისი ამხანაგები ქვეყნის რღვევას და სისხლის ღვრას ხან ჭიშკრიდან უყურებდნენ, ხან ფანჯრიდან გასცქეროდნენ, ხან ცხვირს ქუჩაში გაჰყოფდნენ და ხანაც — როცა ახლო-მახლო სადმე ჩამოვარდებოდა — ქუჩის კუთხემდის მიიპარებოდნენ, მგზავრებს გამოჰკითხავდნენ, ჰაერს დაჰსუნავდნენ და ბელადს ახალ ამბებს მოუტანდნენ.

ჭიპუნტირაძე წამდაუწუმ კვაჭთან შევარდებოდა, ქუდმოგლეჯილი და თმების გლეჯით ჰკიოდა:

— დევიღუპეთ! გვაჯობეს! თავს უშველეთ!

ბესო ღიმილით შემოვიდოდა და დინჯად იტყოდა:

— ნუ სცხარობ, ჭიპი! ყოველივე კარგად მიდის, ალბათ გავიმარჯვებთ.

ჯალილა ფანჯარას არა ჰშორდებოდა და ზოგჯერ კვაჭს ეტყოდა:

— ძალიან ბევრი ჯარი მიდის, ყველანი იარაღიან. ალბათ ფადიშაჰის საქმე სუდათ არის.

— ვაა, აღარ გათავდა?! — გული მისდიოდა სედრაკას: — მე კი ჩემი დამემართა და! აფსუს ეხლა, ჩემო სიღნაღო!

მესამე დღეს ბესომ თავი ჩაჰღუნა, ნახევარი ქალაქი მოირბინა, მერმე დაბრუნდა და კვაჭს მოახსენა:

— ყოლიფერი გათავდა. გევიმარჯვეთ.

კვაჭმა ორი დღის ნასაზრი გეგმა უამბო ამხანაგებს და ახალად მოქსოვილი ბადე გადაუშალა. მერმე წამოდგა და სთქვა:

— აბა, აწი ნამდვილად დევიწყოთ. მომყევით!

წავიდა და თავით-ფეხებამდე იარაღში ჩამსხდარი ამხანაგებიც გაიყოლა. ჯალილა წინ მიდიოდა და უზარმაზარსა და უცნაურ დროშას მიაფრიალებდა. ამხანაგებიც მარდად და მტკიცედ მიაბიჯებდნენ და ჰკიოდნენ:

— მოქალაქენო, მოგვყევით! შეასრულეთ თქვენი ვალი! გაუმარჯოს რევოლუციას! ძირს ტირანია და მონობა!

კვაჭმა თავის რაზმში უცებ აგენტს ბეკარევს-მოჰკრა თვალი, რომელმაც ხუთი დღის წინად კვაჭი დააპატიმრა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ისე გაუღიმეს, როგორც საუკეთესო მეგობრებმა. კვაჭმა მაშინვე შენიშნა, რომ ბეკარევი ყვითლით ყელს იხლეჩდა.

ერთი საათის შემდეგ კვაჭანტირაძის მეთაურობით თავრიდის სასახლეს ორი ათასი კაცი მიადგა. ქუჩაში მოგროვილ ბრბოს წინ დარაჯები გადაეღობნენ, მაგრამ ამხანაგებმა ცილინდრიან დარაჯებს შეუტიეს, შეჰკივლეს, იარაღი აქედარუნეს, „რევოლუცია" ახსენეს, ხალხის სახელიც მოიშველიეს და თეთრ დარბაზში ფეხით, რიხით და მუქარით შეცვივდნენ.

— წამებული ხალხისა და წმინდა რევოლუციის სახელით ავედი თავისუფლების საკურთხეველზე. — დაიწყო კვაჭმა და ისეთი ცხარე სიტყვა სთქვა, რომ მთელ სასახლეს ცეცხლი მოუკიდა და ცრემლი დააღვრევინა. ბოლოს ის სიტყვა ასე დაასრულა: — რევოლუციამ ამ დარბაზს შეაფარა თავისი წმინდა თავი და ჩვენც აქ უნდა დავბინავდეთ. ჩვენ მას თავს ვერ დავანებებთ და იმის დაცვას ვერავისაც ვერ მივანდობთ. ამხანაგებო, მართალს ვამბობ თუ არა? — მიუბრუნდა კვაჭი თავის პარტიას.

— მართალია! მართალი! — გვრგვინვით დაუდასტურა ორმა ათასმა ყანყრატომ.

ერთი საათის შემდეგ ის ბრბო როგორც მოგროვდა, ისევ დაიშალა, ხოლო კვაჭმა და ამხანაგობამ თავრიდის სასახლეში ხუთი ოთახი დაისაკუთრეს და აქა-იქ თითით ნაჯღაბნი განცხა-

დებანი გააკრეს: „რევოლუციის დამცველთა და დამხმარეთა საზოგადოება. მიღება წევრთა. და შემოწირულებათა“. დიდი კაბინეტის კარებზე კი წააწერეს: „გამგეობის თავმჯდომარე“: მეორე ოთახში შიქიას მაგიდის თავზედაც გააკრეს: „მანდატებისა და ნებართვის განყოფილება“, ხოლო აქა-იქ ხელისმწერლისოდენა წარწერებიც მისჯღაბნეს: „თავისუფალი სოციალისტების პარტიის მთავარი კომიტეტი“.

სედრაკა სალაროს მიუჯდა, ჭიპუნტირაძემ საზვერავი თანამდებობა იკისრა, ჩიკინჯილაძემ მდივნობა დაიჩემა, გაბო ჩხუბიშვილმა— საწყობების გამგებლობა აირჩია, ხოლო თოფით, მაუზერის რევოლვერით და ხანჯლით შეიარაღებული ჯალილა კვაჭის კაბინეტის შესავალში გაიჭიმა. ბეკარევმა ჯერ პაწაწა საქმე იკმარა: პარტიის მაგიდას მიუჯდა და წევრების ჩაწერა ითავა.

რამდენიმე დღის შემდეგ მუშაობა ისე გახურდა, რომ ამხანაგები ოფლში აწურებოდნენ, დღე და ღამეში თხუთმეტ საათს მუშაობდნენ და ძლივს ასწრებდნენ უცნაურ და ასნაირ მანდატებისა და ნებართვების წერას, შემოწირულებათა მიღებას და ფულის თვლას. ცხრა კლიტით დაკეტილი მინისტრების კარები კვაჭისათვის მუდმივ გაღებულია. როცა კი მოინდომებს, დაუკითხავად შეიჭრება დიდებულთა ოთახში, თამამად ჩამოჯდება, ფეხს ფეხზე გადაიდებს და დაუდევრად, მაგრამ მტკიცედ მოჰყვება:

— რევოლუციის დამცველთა და დამხმარე საზოგადოება თავისუფალი სოციალისტების პარტია, რომელსაც უკვე ოთხასამდის განყოფილება აქვს და ორ მილიონამდე წევრი ჰყავთ, დღე და ღამ ფხიზლობენ და ხალხის ბედნიერებას დარაჯად უდგანან. მაგრამ ჩვენ ტანსაცმელი, საკვები, იარაღი და ფული გვაკლია. საზოგადოება დაჟინებით გთხოვთ, მოქალაქე მინისტრო, რო-ო-ომ...

და სწორედ ამ დროს წინ მოხსენებას დაუდებს, თანაც ისეთას რიხით იტყვის „რომ“-ს და ისე გადაჰხედავს მინისტრს, რომ ის ხელისუფალი ქაღალდს წაუკითხავად წააწერს: „მიეცით“.

კვაჭსა და ამხანაგობასაც დღითიდღე მიეცის და მიემატებოდის, საზოგადოება და პარტია მალე გაიბერნენ. წევრთა რიცხვი „ხუთ მილიონამდე ავიდა“, გამგეობის კანცელარიაში

სამოცი მოსამსახურე მუშაობდა, ხოლო საწყობებში — ორასამდის. სალაროსთან ფულის შემტანთა კუდი ოთხჯერ იყო შემოხვეული, ხოლო მანდატების განყოფილების კარებთან ზოგჯერ ასი კაციც მოსჩანდა.

კვაჭის მარცხენა ფრთა-მალე არხანგელსკს მისწვდა, ხოლო მარჯვენა ტფილისს მიებჯინა, მისი ნისკარტი ვისლას სწვდებოდა, ბოლო კი ვლადივოსტოკში ჰქონდა. ქვეყნის ყოველ კუთხიდან შემოწირულებათა ნაკადულები დაიძრა, რომელნიც დიდ მდინარეებად შეერთდნენ, ხოლო იმ მდინარეებმა პეტერბურგში მოიყარეს თავი და ისეთი ღვარქაფიანი ნაკადივით დაეტაკნენ კვაჭის სალაროსა და ჯიბეს, რომ ისიც და ამხანაგობაც კინაღამ დაახრჩვეს.

აგენტმა ბეკარევმა მეორე საქმეც იკისრა: ისევ თავის ადრინდელ ხელობას გაჰყვა და ჭიპუნტირაძეს თანაშემწედ დაუდგა.

— ყოლიფერს ნუ ანდობ, მარა ნურც ძაან მოერიდები. შესანიშნავი ჯაშუშია. თუ საჭირო გახთა, კოხტა პროვოკაციასაც გააიმასქნებს. მეიხმარე, — უთხრა კვაჭმა ჭიპის და ბეკარევი გადასცა.

ჟანდარმი პავლოვი სწორედ იმ საკანში ჩამჯდარიყო, სადაც კვაჭმა საზარელი და დაუვიწყარი ღამე გაატარა.

ერთხელ კვაჭმა რებეკა და იდელსონი გაიხსენა და ბეკარევს მათი ბედი გამოჰკითხა.

— ისევ სხედან. — მიუგო ბეკარევმა. — სხედან და თქვენს წყალობას ელიან.

— რაო? მე იმ ჰარამზადებმა გამცეს და ისევ მე უნდა დავეხმარო?

— არა, ეგრე არ არის. — გაიღიმა ბეკარევმა. — აქამდე უნდა მეთქვა, მარა დრო ვერ ვიხელთე. თქვენ სხვამ გაგცათ. გამოიცანით.

— გინცმა?.. კნულმანმა?.. ხაინშტეინმა?.. მაშ ვინ, ვინ გამცა?

— ან გინცმა ან სხვებმა თქვენი საქმისა რა იცოდნენ? მოგახსენებთ. აქ ერთი ბანკირია, გვარად... განუსი. თქვენი ამხანაგია, რომელიც თურქისტანის კონცესიით გაამდიდრეთ.

— მერმე?

— ადვილად იმის ცოლთან, როგორც თქვენი... ისა... რა ჰქვიან...

— საყვარელი ჰქვიან, საყვარელი! მერმე?

— დიახ.., თქვენ თურმე ცოტაოდენი ფული ისესხეთ იმისგან და...

— და არ გადავიხადე. მერმე იმ ბებერმა რა იცოდა, საიდან გაიგო?

— ჰმ! ის ბებერი გერმანელთა აგენტად ითვლებოდა პეტერბურგში და იმავე დროს ჩვენი აგენტიც იყო. აქედან სტოკჰოლმში ხშირად დადიოდა და ჩვენს მტრებს ჩვენი დავალებით ყალბ ცნობებს აძლევდა, იქიდან კი ნამდვილი ცნობები მოჰქონდა.

— ვითომ?

— რა თქმა უნდა. ნამდვილად კი მგონი პირუკუღმა ხდებოდა.

— აჰა, მესმის, ეხლა კი მესმის. ბებერო განუს,- ვაი შენი ბრალი თუ ხელში ჩამივარდი! მაშ კეთილი... მადლობელი ვარ. მეცოდინება. ისაკა და რებეკაზე რაღას მეტყვით?

— ისინიც განუსმა დააბეზღა. რებეკას და ისაკას თქვენი სახელი ჩვენ ვათქმევინეთ. ნუ გაუწყრებით. რკინაც რომ ყოფილიყო, პავლოვი მაინც გასტეხდა.

— კეთილი... მოვიფიქრებ. მადლობელი...

იმავე დღეებში კვაჭის კაბინეტში ბებერი მელა განცი შემოძვრა და დაწრიპინა:

— ვინც ძველი ჩხუბი გაიხსენოს, ორივე თვალი დაეთხაროს. თავადო, შევრიგდეთ!

— შევრიგდეთ, — ღიმილით მიეგება და დაეთანხმა კვაჭი. — დაბრძანდით, ჩემო ძველო მეგობარო, და მიამბეთ, რად გადაკიდებიხართ? თქვენ ხომ უსაქმოდ არ გამიხსენებდით?

— რა თქმა უნდა! საწყალი განცი მხოლოდ საქმისთვის დარბის. შენც გეცოდინება, რომ ეხლა ძალიან დიდი კაცი ხარ (განცმა სწორედ იმ დღეს შეაპარა კვაჭს „შენ“ „თქვენ“-ის მაგივრად).

— ვითომ? მართლა?

— ვითომ არ იცის, უწინდელზე უფრო დიდი ხარ,- იყოს წყეული ყოველივე უწინდელი! შენთან ერთი საქმე მაქვს.

თუმცა, დაიცა, ჯერ გაჩვენო. — და კვაჭს კვირეული დასურათებული ჟურნალი გადუშალა.

მთელ პირველ გვერდზე კვაჭის სურათი იყო დახატული ასეთის წარწერით: „რევოლუციის ერთგული მცველი და დაუძინებელი გუშაგი ნ. ა. კვაჭანტირაძე“. იქვე ორ თაბახზე გაჭიმული იყო კნულმანის მიერ მოხერხებულად დაწერილი კვაჭის ბიოგრაფია. კვაჭმა იმ წერილს თვალი გადაავლო და გაიღიმა. ჯერ ერთი: იმ წერილში აღარც კვაჭის თავადობა იყო მოხსენებული, აღარც ფლიგელ-ადიუტანტობა, არც გრიგოლ რასპუტინი და არც ისეთი საქმე, რომელიც დღეს ავნებდა. მეორე: ხაზგასმით იყო გამოკვეთილი კვაჭის „რევოლუციური წარსული“, „რისთვისაც კვაჭი უცხოეთში გაიქცა“. მესამე: კვაჭი რომ უცხოეთიდან დაბრუნდა, „კვლავ საიდუმლო მუშაობას შეუდგა, სოციალისტური პარტია დააარსა, შემდეგ საქმე იქამდის მივიდა, რომ კვაჭს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, მაგრამ „კავკასიის ლომმა“ პეტრე-პავლეს ზღუდენი გამოარღვია, შვიდი მოკლა, ათი დასჭრა და თავის საყვარელ საქმეს— რევოლუციას — დროზე მიეშველა“.

— ეს წერილი ჭკვიანი კაცის დაწერილია. — სთქვა კვაჭმა. — ვისია ეს ჟურნალი?

— ჩემია, მაგრამ ამიერიდან ჩვენი უნდა გახდეს. შენ შენი პარტიის და საზოგადოების სახელი მომეცი, მე კი...

— შენ კი (კვაჭიც „შენ“-ზე გადავიდა) მოგების ნახევარს მომცემ, არა?

— მიმიხვდი. გათავებულია?

— გათავებულია.

— კეთილი. ამიერიდან ჟურნალს ასე წავაწერ: „თავისუფალი სოციალისტური პარტიისა და რევოლუციის დამცველთა საზოგადოების ორგანო“.

ხელშეკრულება დასდეს და ჟურნალს განცხადებანი, ტანი და ტირაჟი მოუმატეს.

დღე არ გავიდოდა, რომ კვაჭთან ნამინისტრალნი და ნადიდებულარნი არ შესულიყვნენ, წელში ორად არ მოღუნულიყვნენ, შეწირულება არ გადაეხადათ და კვაჭისთვის მფარველობა და დახმარება არ ეთხოვნათ. კვაჭმა ის დრო გაიხსენა, როცა რასპუტინის იერუსალემს წასვლის შემდეგ იგი ენაგადმოგდებული დადიოდა და ამ დიდებულებს მფარველობას სთხოვდა, მაგრამ

მაშინ ზოგს კვაჭისთვის აღარ სცალოდა, ზოგი ვითომ შინ არ იყო და ზოგიც მას ვითომ აღარც კი სცნობდა. გაიხსენა კვაჭმა და ის დიდებულნი სხვებთან შედარებით ისე დაჰბეგრა „რევოლუციის სასარგებლოდ", რომ ზოგნი კინაღამ გაკოტრდნენ, ზოგმა კი ლამის ცოლ-შვილიც დააგირავა. ხოლო განუსთან ანგარიშის გასწორება კვაჭმა სხვა დროისთვის გადასდო.

სილიბისტრო, პუპი, ხუხუ და ნოტიო ისე შესჩვეოდნენ პეტერბურგს, როგორც უწინ სამტრედიას და ქუთაისს იყვნენ შეჩვეულნი. ოთხივე ევროპულად იყო გამოწყობილი, უწინდელზე უარესად იბერებოდნენ და ასე ბაქიობდნენ:

— გეიბერა ჩემი კვაჭიკო. მეტისმეტად გეიბერა — ამბობდა სილიბისტრო. — მეშინია, ქე არ გასკდეს კაკალი კაცი, თვარა სხვაფრივ აფერი უშავს.

— აჰ! არ იცნობ შენ კვაჭიკოს! — ამშვიდებდა სილიბისტროს ნოტიო.

— ვენაცვალე ჩემს კვაჭუნიას. — კვლავ იტყოდა უკვე ორმოცდაათი წლის პუპი, რომელსაც კვლავ პუპიკოს ეძახდნენ.— მაგის დამღუპავი კაცი ჯერ არ დაბადებულა, და მერე რა იქნება, აი ღმერთმა იცის.

— ვენაცვალე ღმერთის მადლსა, — ამთავრებდა ხუხუ. — იგია კვაჭის და ჩვენი მფარველი, თვარა აქამდის ათჯერ დევიღუპებოდით.

იმჟამად უკვე მორღვეულ უზარმაზარ შენობას პაწაწინა კაცუნები დასტრიალებდნენ, ჰფუსფუსებდნენ, ხელებით დადიოდნენ, ფეხებით აზროვნებდნენ და დასანგრევად წამოწეულ მყინვარის მთას ხელის თითებით ამაგრებდნენ. მაგრამ მას არც სწორად დგომა ჰსურდა და არც მარჯვნივ გადასხრა. მას მარცხენა ფერდი ეფხანებოდა და დაჟინებით სცდილობდა მარცხენა თეძოზე გადაბრუნებულიყო. უჯიათი ბავშვი — ისტორია — თითქოს ვერც კი ჰხედავდა კაცუნების ზღვას, მათი ლეშების ცამდე აღმართულ მთებს და სისხლის უძირო ღვართქაფს. ის ვერც კი ჰგრძნობდა თავის ფერდებში მიბჯენილ თითებს და მას არც კი ესმოდა ხალხთა ჟრიამული, კვნესა, გოდება, შიში, იმედი და სიხარული. იგი ბრმად და ყრუდ მიაბიჯებდა კუპრისფერ სივრცეში და არავინ არ იცოდა იდუმალი გზები მისი მსვლელობისა.

კვაჭი იდუმალის ალღოთი ჰგრძნობდა, რომ ბრმა ხელისუფ-

ლება და უჯიათი ისტორია სხვადასხვა გზით მიდიოდნენ, რომ ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ და რომ ეს უგუნური ბრძოლა გაგიჟებული კაცუნების გასრესით უნდა გათავებულიყო.

ჰგრძნობდა კვაჭი ამ ბრძოლის ყოვლად გარდუვალსა და უძლეველ დასასრულს და დროგამოშვებით ასე მოუთხრობდა თავის შეგირდებს:

— ამხანაგებო! გიჟს მხოლოდ გიჟი დაებღაუჭება და თვითონაც გაგიჟდება. ვინც ლეშს აეკიდება, თვითონაც გალეშდება. ვინც წყალწაღებულს დაეჭიდება, თვითონაც დეიღუპება; მამზელი კერენსკი რამდენიმე თვეს კიდევ იფართხალებს და მერმე ისტორიის ორმოში ჩავარდება. დღევანდელი ხელისუფლება განწირულია. მას დოუჟინია, კავკასიონის ქედი ცხვირით უნდა გავხვრიტოო. ქედს ვერ გახვრეტენ, ცხვირს კი მოიტეხენ. ჩვენ ასეთ გიჟებს ვერ გავყვებით. მარა მამზელების სიკვდილი არც ისთე ახლოა, რომე მას დღესვე თავი დავანებოთ და ახალს მივეკედლოთ. როცა დრო მოვა, ახალ დარიგებას მოგცემთ. ეს კი იცოდეთ ეხლა, რომე რუსეთი ტყუპით იყო ორსული. თებერვლის ვაჟი უდღეური გამოდგა; დღეს თუ ხვალ ფეხებს გაფშიკავს, ხოლო მისი დედა მეორე შვილს ჰშობს. ჩვენ უნდა პაწაწა ძაფი გავაბათ მეორე შვილთან, რომელიც აწი ისთე ფართხალობს დედის მუცელში, რომე ლამის ნაადრევად გამოვარდეს. აი საქმე მე მომანდვეთ. თავის დროზე ის ძაფი ხიდად გადაიქცევა, რომელიც ხიფათს აგვაცდენს და მეორე ნაპირზე გაგვიყვანს.

— იარე და გაგვიძეხი! — შესძახეს შეგირდებმა. — საცა ბელადი, ჩვენც იქ ვიქნებით.

იმ ხანებში კვაჭმა ერთ მინისტრს მეათეჯერ მოსთხოვა რევოლუციის დამცველი ჯარისთვის ათი ათასი წყვილი ტანისამოსი, სურსათი და ოცი მილიონი მანეთი; მინისტრი გუნებაზე არ იყო, ამიტომ ნათხოვნი ორჯერ შეამცირა.

ეს კიდევ არაფერი; კვაჭი ამას ადვილად მოინელებდა და დანაკლისს ორიოდე კვირაში სამჯერ მაინც შეივსებდა, მაგრამ როგორ უნდა მოეთმინა კვაჭანტირაძეს ამგვარი შერცხვენა: მას რევოლუციის დასაწყისიდან ხელისუფლების მოპოვების გაუძლისი ხურუში აუვარდა და აქამდე ბრძანებლობისთვის აქავებული გული ვერ მოიფხანა. ბევრი უტრიალა უმაღლეს ხელისუფლებას და ჯერ რომელიმე მინისტრის ამხანაგის სკამზე

დაჯდომა სცადა, მერმე რომელიმე სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორობა ითხოვა, მაგრამ საქმე ვერ გაიჩარხა. ბოლოს ისე დახურდავდა, რომ პროვინციაში გადასახლებასაც დაათანხმებდა თავის თავს, ოღონდ იმ პირობით, რომ ფინლანდიის, თურქისტანის ან საქართველოს გენერალ-გუბერნატორად დაენიშნათ. კვაჭმა მთავრობას პროექტიც კი წარუდგინა — ვინ იცის, ვის მიერ დაწერილი! — იმის შესახებ, რომ რუსეთის განაპირა პროვინციებს ავტონომია მიეცესო, ხოლო ასეთი აბრუნდი ბესო შიქიას ასე განუმარტა:

— ეს ტაქტიკის საკითხია, ჩემო ბესო. ორმოცდაათი მილიონი კაცი ჩვენ მოგვემხრობა. ამ გზით ჩვენ დროებით მთავრობას დავასუსტებთ და ჩამოვაგდებთ, მერმე კი აი ტაქტიკა ისევ შეიცვლება.

იმ დღეს, როცა მინისტრმა ნათხოვნი საქონელი და ფული შეუმცირა, კვაჭმა ისიც გაიგო, რომ მისი გენერალ-გუბერნატორობაც ჩაიფუშა.

— კაი! — დაემუქრა მთავრობას ნაწყენი კვაჭი და გულში ერთ წვეთ შხამს ერთი ხელადაც დაამატა. იმავე დღეს კვაჭმა მეათეჯერ გადასცა განცს მინისტრისაგან მიღებული საქონელი და აღებული მილიონებით კვლავ თვალ-მარგალიტი იყიდა, ხოლო საღამოს კრებაზე წავიდა და გულში ასე იძახოდა: „წაბარბაცებულს უჯიკავე, წაქცეულს თავი გაუჭყლიტე, მაღლია, გაწრთნილი დაახჩე, ბალღს სიკვდილს მოუტანე! ახია!“

კრებაზე კვაჭმა სიტყვა მოითხოვა და ჯარისადმი მიმართული პირველი ბრძანება წაიკითხა. ისედაც აღელვებული კრება უარესად აჩუხჩუხდა. ეს ბრძანება მოითხოვდა, რომ ჯარისკაცებს ოფიცრებისთვის წინანდელივით პატივი აღარ ეცათ და თავიანთი კომიტეტები დაეარსებინათ. კვაჭმა და მისმა მიმდევრებმა კარგად იცოდნენ და ისიც ესმოდათ, თუ ჯარის საძირკველის გამოთხრას რა უნდა მოჰყოლოდა. აუწერელი აურზაური და ჩოჩქოლი ატყდა. ჯერ მარტო დეპუტატების კრებაზე ათასი კაცი სამ დღე-ღამეს იწყვეტდა ყელის ძარღვებს, გააფთრებულნი იბრძოდნენ, აღარ იძინებდნენ, არც სჭამდნენ და ოფლის აბანოში ბანაობდნენ. გამარჯვებას ნაჩვევმა კვაჭმა ბოლოს აქაც გაიმარჯვა და მეორე დღეს ამ ბრძანებამ ძველ რუსეთს რღვევის ელვასავით დაუარა.

— მიიღონ ეს საწამლავი, — უთხრა კვაჭმა თავის მეგობ-

რებს, — და შედეგს უცადონ. ეს ერთი და სხვა ათასი. ძველი ჯარი ხვალვე დამბლად დაეცემა. აწი ნუღარ მომცემენ ფულს რევოლუციის დასაცავად და ნუღარც საწყალ ფინებს, ქართველებს, უკრაინელებს და თათრებს გაანთავისუფლებენ!

იმ დღიდან კვაჭი მარცხენა ბანაკის თვალში ერთი ადლით გაიზარდა, ხოლო ხელისუფლება მისი ძლევამოსილების წინაშე შიშით მოიღუნა.

ამასობაში ივლისიც მოახლოვდა. დაუბადებელი გიჟმაჟი ბავშვი დედის მუცელში ვეღარ ითმენდა, გიჟურად ჰბორგავდა და გამოვარდნას ლამობდა. ჰაერი გრიგალის სუნით გაიჟღინთა, ცა ტყვიის ღრუბლებივით გაიჭედა და დღეს თუ ხვალ გასკდომას და ქვეყნის წარღვნას აპირებდა. მთელი რუსეთი დაბნელდა. აქა-იქ საზარლად ჰქუხდა და დაგრაგნილი ელვა ხანგამოშვებით ცას და დედამიწას სასიკვდილო ისრებით ჰსერავდა.

ერთ საღამოს კვაჭის მფარველმა მინისტრმა კვაჭი დაიბარა და მთრთოლვარე ხმით მიმართა:

— რევოლუციას მარცხენა მხრიდან უდიდესი ხიფათი მოელის. ზეგ ბოლშევიკები იარაღით გამოვლენ. რევოლუციის დამცველმა საზოგადოებამ ქვეყნის წინაშე თავის წმინდა ვალი უნდა მოიხადოს და მასზე დახარჯული უთვალავი ფული და ქონება გაამართლოს. ზეგ დილით თქვენი ჯარი ორი მხრით უნდა წამოვიდეს საზამთრო სასახლის დასაცავად.

კვაჭმა მარჯვენა ყურით მოისმინა, მარცხენა ყურით გამოუშვა და წამოვიდა. იმავ საღამოს თავის სინკლიტი შეაგროვა და უთხრა:

— ზეგ ბოლშევიკები ნაადრევად აპირებენ გამოსვლას, ბევრი ვურჩიე, ოქტომბრამდე გადასდეთ-თქვა. ვუთხარი, რომე ბოვში დედის მუცელში ცხრა თვეს უნდა იჯდეს-თქვა, რომ თებერვალს ჩასახული მეორე რევოლუცია ოქტომბრამდე უნდა მწიფდებოდეს-თქვა, მარა არ დემიჯერეს. იქინე სათავეში ისეთები ჯილარიან, რომე თავისს გარდა სხვას არავის უჯერიან და, თუ ზეგ დამარცხდნენ, მე ნუღარაფერს დამაბრალებენ. მე ჩემი ვთქვი და გავათავე, აწი თვითონ ინანონ. ეს კიდო აფერია, ჩვენი საქმე ოდნავ გეიხლართა. ამას წინეთ მთავრობას მოვახსენე, რომე რევოლუციის დამცველ საზოგადოებას

აქინე ოცი ათასი კაცი ჰყავს თქვა. დღეს დამავალა მთავრობამ, რომე ზეგ ოცი ათასი კაცი გევიყვანო ქუჩაში.

კვაჭმა ამხანაგობას გადაჰხედა. ყველანი დაბურულნი იყვნენ.

— ნუ მეიწყენთ, ამხანაგებო! ყური მიგდეთ და რასაც გიბრძანებთ შეასრულეთ, დანარჩენი მე ვიცი.

ყველას დაწვრილებით უამბო თავისი საქმე, ყველას დაურიგა მანდატი, ფული და სამუშაოდ გაისტუმრა.

დანიშნულ დღეს პეტერბურგში ისე ჩამობნელდა და ისე შეიხუთა ჰაერი, რომ მტერ-მოყვარენი ერთმანეთს ვეღარ არჩევდნენ. ხალხი აზღვავდა და ორი მოპირდაპირე ტალღა ერთმანეთს დაეტაკა.

— ომი ბოლომდის! წესი და კანონი! დამფუძნებელი კრება და დემოკრატია! — გაჰკიოდნენ ერთნი.

— მიწა, პური და ზავი! ხელისუფლება მთლად სოვეტებს! ძირს ღალატი, სპეკულაცია და საიდუმლო დიპლომატია! რევოლუცია საფრთხეშია! — ჰყვიროდნენ მეორენი.

ქუჩებში რომ ელავდა და ჰქუხდა, ამ დროს კვაჭი და მისი მეგობრები მყუდრო თავშესაფარში ისხდნენ და ლუწუ-კენტით მკითხაობდნენ, ქალბატონი კერენსკი გაიმარჯვებს თუ ბოლშევიკებიო. ჭიპი ჭიპუნტირაძე კვლავ ქუდმოგლეჯილი დარბოდა და გულწასული გაჰკიოდა:

— დევიღუპეთ! თავს უშველეთ! ჩქარა მარცხნივ გედიხარეთ! არა, შევცდი, მარჯვნივ გადმოიწიეთ, მარჯვნივ!

— ნუ სცხარობ, ჭიპი! — ამშვიდებდა აფორიაქებულ ჭიპუნტირაძეს კვაჭი. — ვინც უნდა დამარცხდეს, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ. ერთი ფეხი მარჯვენა ბანაკში მიდგია, მეორე კი მარცხენაში. თუ კერენკამ გაიმარჯვა, მაშინვე მარცხენა ფეხსაც მარჯვნივ გადავდგამ და მეც გავწითლდები. ამას ბევრი დრო და ფიქრი არ უნდა. ხუთ წუთში პირსახიდან თეთრ საღებავს ჩამოვირეცხავთ და წითელს წავისვამთ, მორჩა და გათავდა!

საღამოზე ბესო შიქია შემოვიდა და არხეინად განაცხადა:

— კერენკამ გეიმარჯვა.

— ხომ ვთქვი, წითლებმა ოქტომბრამდე უნდა მეიცადონთქვა. ბოლშევიკებმა არ დამიჯერეს და მე ნულარაფერს დამაბრალებენ, — სთქვა კვაჭმა და წამოდგა. — აპა, ამხანაგებო!

თქვენ თქვენი საქმე და ალაგი-გაქვთ დანიშნული, ეხლა წადით და იმ ალაგზე მეიყარეთ თავი.

ამხანაგები სამ ჯგუფად გაიყვნენ და სამი მხრივ საზამთრო სასახლისკენ დაიძრნენ.

— მოქალაქენო! — ჰყვიროდნენ ყოველ ჯგუფში და ტროტუარებიდან ხალხს შუა ქუჩისაკენ ერეკებოდნენ. — მოქალაქენო! მხარი დაუჭირეთ დროებითს მთავრობას! შემოგვიერთდით! მოიხადეთ თქვენი ვალი!..

ხალხიც გამარჯვებულთა ჯგუფებს უერთდებოდა და საერთო მდინარეს მისდევდა. თითო ჯგუფში ოც კაცს ორი მიემატა, სამასს — სამასი, ათასს — ათასი და ხუთი ათასს — ხუთი ათასი. ნაკადი ნაკადს შეუერთდა, მდინარე მდინარეს ჩაეხლართა და სასახლის გარშემო ზღვად გადაიქცა. კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი საზოგადოების თეთრ-წითელი დროშა, ზღვის შუაგულში კუნძულივით აღმართულიყო, ხოლო იმ კუნძულიდან საზოგადოების ბელადის ხმა ჰრგვინავდა:

— მოქალაქენო! ამიერიდან თქვენ გულმშვიდად დაიძინებთ. თქვენს ძილს ერთგულად სდარაჯობს რევოლუციის დამცველთა საზოგადოება და თავისუფალი სოციალისტური პარტია, რომელმაც დღეს წითელი ეშმაკებისგან გიხსნათ და საშინელი ხიფათი საკუთარ ზურგზე გადაიტანა. მოქალაქენო! ჩვენი საზოგადოება და პარტია კვლავაც მზად არიან სისხლი დაანთხიაონ რევოლუციის სამსხვერპლოზე, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენც მზრუნველობას გაგვიწევთ და ოდნავ მაინც დაგვეხმარებით. მოქალაქენო! — დაამთავრა მქუხარე და ცეცხლიანი სიტყვა კვაჭმა. — ჩვენ წინდაწინვე გიხდით უდიდეს მადლობას შემოწირულებისათვის, რომელსაც ყოველ დღე მივიღებთ თავრიდის სასახლეში.

კვაჭი შეგირდებმა ხელთ აიტაცეს და ის უბანი „ურას“ ყვირილით დააყრუეს. ათი წუთის შემდეგ ქუდმოგლეჯილი ბელადი სასახლეში ავარდა, მინისტრის კაბინეტში შევარდა და დაიძახა:

— მომილოცავს გამარჯვება! ურა-ა-ა!

დიდებულნი ყიჟინით და ბავშვური სიხარულით დაუხვდნენ. თავმჯდომარემ კვაჭს საზეიმო სიტყვა უთხრა და რევოლუციის მხსნელი უწოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭის დაუვიწყარი ღვაწლი და

მადლი ასე დააფასეს: მთავრობის დადგენილებით მას მადლობა გამოუცხადეს და... მეტი არაფერი. კვაჭი უმალ შეუვარდა მთავრობას და ჰკითხა:

— მეტი არაფერი?

— არაფერი.

— მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ეხლა თქვენ გამარჯვებულის კილოზე მელაპარაკებით, მაგრამ სამი თვის შემდეგ მე ოქტომბრის ენაზე მოგიგებთ პასუხს.

— რა სთქვით?

— რაც ვთქვი, ამას მხოლოდ ოქტომბერში გაიგებთ. მშვიდობით!

მეორე დღეს ინფორმაციის გამგემ ჭიპამ შეატყობინა კვაჭს:

— დევიღუპეთ!... გევიქცეთ! ზეგ რევიზორები მოვლენ.

— დამიძახე გაბოს! — უპასუხა კვაჭმა და გაბოს და შიქიას ყურში მხოლოდ ორიოდე სიტყვა წასჩურჩულა.

იმავე დღეს ოცი საბარგო ავტო საზოგადოების საწყობებიდან საღამომდე სადღაც ეზიდებოდნენ სურსათს და საქონელს, ხოლო იმავე ღამეს მოულოდნელი დიდი უბედურება მოხდა: გაუგებარი მიზეზის გამო საწყობებს ცეცხლი მოედო, რომელიც მაშინღა ჩაქრა, როცა უკანასკნელი ნაფოტიც კი დაიწვა. რევიზორებმა იქაურობა დაჰსუნეს, გაზომეს და ცხვირჩამოშვებული დაბრუნდნენ.

იმავე ღამეს დამწუხრებულ ამხანაგობას მისი ბელადი ასე ანუგეშებდა:

— ნუ შედრკება თქვენი გული, ამხანაგებო! ოქტომბერი მიდის, თქვენს ერთგულებას მომავალნი უფრო დააფასებენ, ვიდრე მიმავალნი. წითლებს ძმობა, თანასწორობა და სამართალი მოაქვთ, ამათ კი საფლავში მიაქვთ თავიანთი უმადურობა. ეხლა კი სანამ არ დაგვიანებულა, საქმეს შევუდგეთ.

სედრაკას და ბესოს წყალობით შავი ფული უდიდესი მანქანა მეორე დღეს დილიდანვე ამუშავდა. ორი ათასი ქალი, ამდენივე ვაჟი, და ამდენივე ყულაბა და ფურგონი დედაქალაქს მოედო. ბესო მაინც შესცდა: მის მიერ დაქირავებულმა სამმა უდიდესმა საწყობმა ერთ დღეში მოგროვილი შემოწირულება ვერ დაიტია, ხოლო ფულის თვლას ამხანაგობის ხუთი მოსამსახურე ნაანგარიშევი სამი დღის მაგივრად ერთ კვირას მოუნდა.

იმავე ხანებში კვაჭი სმოლნის ინსტიტუტს შორიდან მიუახლოვდა. იქ წითლების მთავარი შტაბი იყო დაბანაკებული. დიდხანს უვლიდა გარშემო, დიდხანს აგროვებდა ამბებს და იქაურობას ჰსუნავდა, მერმე თავი დაჰლუნა და მებრძოლი ყოჩივით დაეტაკა.

— კუდი პრიოშ?! — შეაჩერა ბანჯგვლიანმა მეზღვაურმა კარებში.

— რა?! — ფახით გაიკვირვა კვაჭმა. — ძმა და მტერი ვეღარ გაგირჩევიათ?

სწორედ ამ დროს კვაჭის ერთი ნაცნობი წითელი გამოჩნდა — ივან ივანიჩ ივანოვი, — გულით და კანით ალისფერი, თვალბრუტიანი, მორიდებული და გულმავიწყი.

— შემოუშვით, ამხანაგო. მე ვიცნობ მაგ ადამიანს.

კვაჭი ივან ივანიჩს ისე მიეკრო, როგორც ბუზი თაფლს, თან თავზე ქონი წაუსვა, გულში ნელსაცხებელი ჩაუწვეთა, წითელ თავზე შემოევლო და ათიოდე წუთის შემდეგ ის გულდია ადამიანი თითზე დაიხვია.

— მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ კერენსკი პროლეტარიატს ჰღუპავს. მხოლოდ თქვენი გზა გაიყვანს სახელმწიფოს შემოქმედებისა და აყვავების ასპარეზზე. ამიტომ მე, ჩემი პარტია და ჩემი უზარმაზარი საზოგადოება თავითფეხამდე თქვენთან გადმოვდივართ. გვიმსახურეთ და გამოგვიყენეთ.

— ძალიან გამახარა თქვენმა საქციელმა, ამხანაგო კვაჩი. ჩემს ამხანაგებსაც გავახარებ.

— ამიერიდან ჩვენი საზოგადოების იმედი გქონდეთ და... თუ არ მოგვერიდებით... ჩვენგან მცირედი წვლილი მიიღეთ.

და ივან ივანიჩს შენაწირების სია გადასცა.

იმავე საღამოს კვაჭმა თავის საზოგადოების ყველა წარწერას და განცხადებას ერთადერთი სიტყვა მიუმატა და ამროგად მეორე დილიდან იგი საზოგადოება „წითელი რევოლუციის დამცველთა და დამხმარეთა საზოგადოებად“ გადაკეთდა, ხოლო პარტია ასე მოინათლა: სოციალისტური პარტია „მიწა, სოვეტი, ზავი და შინისკენ!“

—

აქა ამბავი ამხანაგობის გაწითლებისა და ოქტომბრის მომზადებისა

— ამხანაგებო! — ასწავლიდა კვაჭი თავის შეგირდებს ჟამსა ოქტომბრის მოახლოვებისასა, — პოლიტიკა ძლიერ წააგავს ძროხას, ზოგნი მას აძოვებენ, ზოგნი კი სწველიან. ჭკვიანი კაცი არც ხისხლს გეიმეტებს და არც ოფლს დაღვრის ძროხის დევნაში. დეე გიჟებმა სდიონ მას და აძოვონ, ჩვენ კი მისი კალაქით გავსუქდეთ. ხოლო ძროხის მოწველას ბევრი აფერი უნდა: დოუყვავე, გოუცინე, გეიშინაურე. აი, ეს არის ერთადერთი ჭკვიანი პოლიტიკა. ნურც ძროხის ფერს იკითხავთ: თუნდ შავი იყოს, თუნდ თეთრი, თუნდ წითელი. ნურც გააბრაზებ, თვარა დაგწიხლავს და აღარ მოგაწველიებს. თუ სხვებმა იმ ძროხას უჯიკავეს, განზე გადექით და ბრძოლის ბუმბული და დავლა აკრიფეთ. ორნი რომ ჩხუბობენ, მესამე მოგებაშია. მარა თვალი უნდა გეჭიროთ, რომე დროზე გადახვიდეთ გამარჯვებულის მხარეზე, დროზე მიაფურთხოთ დაძლეულს და მძლეველსაც დროზე მიულოცო. დაუკვირდით აწი რუსეთის ამბავს. რუსის ინტელიგენცია ისე იცნობს ხალხს, რავაც ჭიპი ჭიპუნტირაძე ზულუსებს. მათ ეიღეს ევროპული საჭმელი და ძალით ჩასტენეს რუსულ კუჭში. აპა მეიფიქრეთ, რა მოხთება, რომე მგელს თივა შეაჭამო? მგელი იმ თივას უკანვე ამოაგდებს. დამიჯერეთ, რომ რუსის ხალხიც ასე მეიქცევა. დღეს თუ ხვალ იგი უცხო საღეჭავს უკანვე ამოანთხევს და თან მამშვენ კერენსკის, პარლამენტს და დემოკრატიასაც ამოაყოლებს. მთის წვერიდან დაგორებულ უზარმაზარ ლოდს უძვლო მწიგნობარნი, ბეცი ინტელიგენტები და ჭაჩალი აბლაკატები ვადაელობნენ. გადაელობნენ და თითები შეუშვირეს. მე კი გეუბნებით, რომე დაგორებული კლდე ყველას იმ თითებს დაამტვრევს, მწიგნობრებს ჭიებივით დასჭყლეტს და დავიწყების სანაგვეში ჩაჰყრის, დეიხსომეთ ჩემი წინასწარმეტყველება და თუ იგი არ გამართლდეს, კვაჭი კვაჭანტირაძეს ბელადობა ჩამოართვით და ჯალილას ან გაბოს გადაეცით. მე ერთხელ გითხარით და ეხლაც ვიმეორებ, რომე რუსეთი ტყუპით არის თქო ორსული, პირველი შვილი თებერვალა — უდღეური ქალბიჭა გამოდგა. მეორე კი ეხლავე ისეთი აბეზარი, უკმეხი, ჟინიანი და მოურიდებელი ვინმე მოსჩანს. რომ უნცროსი და

გოუთლელი მუჟიკი ხვალინდელ ბრძოლაში თავის უფროს ევროპელ ძმას უეჭველად დასცემს და ფერდებს ჩაუმტვრევს. ერთ მხარეზე არიან თავად-აზნაურები, ვაჭრები, ხუცები, ჩინოვნიკები, ყაზახები და ქალაქელი ინტელიგენტები, მეორე მხარეზე კი თავს იყრიან რუსის მუშები და გლეხები, რომელთაც უკვე კბილებამდე ყელში სხედან. ნუ დაიჯერებთ, ვითომ ოდევაანდელი ხელისუფალნი რუსის ხალხს ესარჩლებოდნენ, ჭოლეები კი ღალატობენ. დაუჯერეთ კვაჭს, რომ ნამდვილად პირუკუღმა ხდება: ანტანტამ თავის საქმისა რუსეთი სისხლისაგან დასცალა და სამარემდე მიიყვანა. ვინც ჰყვირის „ომი ბოლომდის“. ის რუსეთის შეგნებული ან შეუგნებელი მოღალატეა, ხოლო წითლებისთანა ეროვნული და მშრომელი რუსის ხალხის ერთგული ძალა რუსებს აქამდე არ ჰყოლიათ. ამას გეუბნებით მე, კვაჭი კვაჭანტირაძე, და ვისაც ჩემი სიტყვა არ სჯერა, ის ეხლავე გავიდეს ჩვენი პარტიიდან. მარა, მეგობრებო, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს ამხანაგობას ადრინდელივით ძვალ-რბილში გამჯდარი აქვს ჩვენებური ერთობა, ძველებური ძმა-ბიჭობა და დიდი ბრძოლით და მრავალი საქმით შექმნილ-შედუღებული ტრადიცია. რომელიც მომავალშიც გვიშველის და ხიფათს და დაშლას გადაგვარჩენს. ჰოდა ასე, მეგობრებო, თუ კეთილი ცხოვრება და სამშვიდობოს გასვლა გინდათ, წინანდებურათ მომყევით და დამიჯერეთ. სადაც მე, იქაც თქვენ! რაც მე, ისიც თქვენ!

— წაგვიძეხი და წაგვიყვანე!.. მოგდევთ!.. გაუმარჯოს ჩვენს ბელადს და წინამძღოლს! — შეჰყვირეს შეგირდებმა და სარდალს ფიცით გაუმაგრეს გული. ბელადისგან დირექტივები მიიღეს, დაიმკლავეს და დასანგრევად წამოწეულ შენობას კვლავ გაათკეცებული ძალ-ღონით. ხვნეშით, ოფლითა და კვნესით დაეტაკნენ.

უკანასკნელ დროს კვაჭმა წითლების შტაბში სიარულს მოუხშირა. ხან ისევ შესაწირავს მიუტანდა, ხან ჭიპუნტირაძის და ბეკარევისგან მოგროვილ ცნობებს მიაწოდებდა, ხან რჩევას მისცემდა და ხანაც მათს დავალებას შეასრულებდა.

სმოლნის ინსტიტუტი საარაკო წითელ სკასავით ფუსფუსებდა და უზარმაზარ ქვაბივით სდუღდა. ის შენობა, სადაც აქამდე ზემოურები თავიანთ ქალებს ზრდიდნენ მეფისა და მამულის სადიდებლად და სასარგებლოდ, ეხლა გლეხურ-მუჟი-

კურასასახლეც იყო გადაქცეული. იმ სასახლეს აურიცხელ ნელსასუნებელის მაგივრად ეხლა კუპრის, ოფლის, მწნილისა და ბორშჩის სუნი ასდიოდა. გაკოპიალებულ იატაკებს ჟანგისფერი დასადგმელი ჰქონდათ, ხოლო კარები და კედლები უცნაურად ნახატი პლაკატებით, ცეცხლის ენით დაწერილი პროკლამაციებით და თითებით დაკაწნილი გაზეთებით აეჭრელებინათ. უთავბოლო შენობა და მისი ბაღი გადავსებული იყო ხალხის ამღვრეულებულ ტერიტორიით, ღონიერ ტანით, ყუმბარებით, აჭყლეტილი ცხვირებით, ათგივანქიანი ქუდებით და ქერა წვერ-ულვაშით. სუფთად დავარცხნილ ნაცრისფერ ადამიანს იმ სკაში ისე უხვდებოდნენ, როგორც საქმეებით შემოსულ თაგვს. ამიტომ კვაჭიც, როცა შტაბში შევიდოდა, მუშტიან მაზარას ჩაიცვამდა, პირსახეს და ხელებს შეითბუნდა და ლაპარაკისა და მიხრა-მოხვრის იერს ისე შეიცვლიდა, რომ იგი ყველას თხრილიდან ამოსული სალდათი ეგონა.

— გამარჯვება, ამხანაგო! — რიხით მიახლიდა ხოლმე ივან ივანიჩს. — როგორ არის ჩვენი საქმე?

— ცუდად, ძალიან ცუდად. — უპასუხებდა ივან ივანიჩი. — გვაპატიმრებენ, ღალატს გვაბრალებენ, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენი იქნება.

— ჩვენი იქნება! — ამხნევებდა კვაჭი. — დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა: ოქტომბრის დამლევს ძალაუფლება ჩვენს ხელში გადმოვა.

— ძალიან სჩქარობთ.

— ვეუბნებით, გადმოვა-მეთქი!

— ვნახოთ, ეხლა კი პატარა საქმე უნდა დაგავალოთ. დღეს სალდათების პატარა მიტინგია და თქვენც ორიოდე სიტყვა უნდა სთქვათ.

კვაჭს თხოვნა არა სჭირდებოდა. ყბედობის საბაბს თვითონვე ეძებდა. ენამჭევრობა არც წინათ აკლდა, ეხლა კი ენა აუქავდა, ლაყბობის ხოში შეიძინა და აჯანყების ცეცხლი შეიკეთა. ძან მეძებრის ალღოთი ადვილად უპოვნა რუსის მუშებსა და მუჟიკებს ნატკენი ალაგი და ახლა დაუწყო იმ ალაგს ფხანა და მალამოს მოსმა:

— უკვე ორმოცი თვე შესრულდა რაც მაყლაჯუნა ანტანტა რუსის მუშებსა და გლეხებს სისხლსა სწოვს. რაც ჩვენ უცხოელ ბურჟუებისთვის სისხლი დავღვარეთ, მთელი რუსეთის

მინდვრები მოირწყვებოდა. ვისლა, ნემანი, ბუგი, დნესტრი და ეფრატი დღესაც ჩვენი სისხლით არის შეღებილი, ამხანაგებო, ვისთვის ვიბრძვით? ვისთვის იღვრება ჩვენი ძვირფასი სისხლი? უცხოელ და ჩვენებურ ბურჟუებისთვის, რომელნიც ჩვენ თავებს გვახოცინებენ, თვითონ კი თბილად მოკალათებულან, მილიონებს იგებენ და ჩვენს ცოლ-შვილს შიმშილით ჰხოცავენ.

— მართალია, მართალი! — ადასტურებდა ომით დაქანცული და ბრაზით ალესილი ხალხი.

— თქვენი რისხვა სამართლიანია. — განაგრძობდა კვაჭი ცეცხლის შექეთებას. — ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ ზავს უანექსიოდ, უკონტრიბუციოდ და ხალხთა თვითგამორკვევის უფლებით.

— ზავი! ზავი! — ჰგვრგვინავდნენ მშვიდობის მოლოდინით მობეზრებული მხედრები.

— ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე მიწასა და თავისუფლებას!! —ახურებდა კვაჭი ხალხს.

— მიწა გვინდა, მიწა! — აენთებოდნენ ხოლმე საუკუნოებით მოხიბლული, მიწით დამშეული გლეხები.

— მაგრამ იცოდეთ, ამხანაგებო, რომ ზავს, პურს ცხოვრებას, თავისუფლებას და მიწასაც მხოლოდ ბრძოლით და საკუთარი ხელით მიიღებთ. ამხანაგებო! რევოლუცია საფრთხეშია და იარაღით და სისხლით უნდა დავიცვათ. მაშ გაუმარჯოს პროლეტარიატს და იმის მთავრობას — მუშათა, გლეხთა და სალდათების სოვეტებს!

— გაუმარჯოს! — ჰქუხდა აფორიაქებული ხალხი.

— ძირს დღევანდელი ბურჟუაზიული მთავრობა! ძირს მოდალატენი, სპეკულანტები და ანტანტის ლაქიები!

— ძირს! არ გვინდა! გაუმარჯოს!

მეორე დღეს მუქარით და ცეცხლით სავსე რეზოლუციას კვაჭი ივან ივანიჩს წარმოუდგენდა, ხოლო ახალ ერთ მიმალულ გერმანელს გაუგზავნიდა და მისგან სამადლობელს მიიღებდა. ივან ივანიჩი ძალიან აფასებდა კვაჭს, რადგან ის პირნათლად ასრულებდა ნაკისრ საქმეს და იშვიათი ნიჭით ანთებდა და იტაცებდა ომით დატანჯულ ხალხს.

კარგა ხანია, რაც კვაჭმა ქაღალდის ფულის დაქვეითება შეამჩნია, ამიტომ დროზედ გასცა განკარგულება, რომ ამხა-

ნაგობას რუსული ქაღალდის ფული არ დაეგროვებინა. ბირჟის აგენტი ხაინშტეინი კვაჭის ყოველდღიურ შემოსავალს ოქროზე ახურდავებდა, ხოლო როცა ოქტომბერი მოახლოვდა, კვაჭმა უბრძანა სედრაკას, რომ ამხანაგობის ქონებაც და ოქროც თვალ-მარგალიტად ექციათ, რაც რამდენიმე დღეში იქნა შესრულებული.

ერთხელ კვაჭი ელენეს სანახავად წავიდა. შევიდა თუ არა, პირისპირ პავლოვს შეეფეთა, რომელიც გამოსვლას აპირებდა.

— აა, ნაპოლეონ აპოლონიჩ! სალამი და მოკითხვა!

გაოცებულმა კვაჭმა თავის დამღუპველი ჩაათვალიერა, უინებურად გაუწოდა ხელი და ჰკითხა:

— ვინ გამოგიშვათ საპყრობილიდან?

— რევოლუციამ, ჩემო მეგობარო. აი, ხომ ჰხედავთ, ევროპულად მაცვია, მაგრამ ისევ იქვე ვმუშაობ.

— განა თებერვლის რევოლუციამ მხოლოდ ტანისამოსი გამოუცვალა ძველ რეჟიმს? — გაიღიმა კვაჭმა.

— ძველ რეჟიმს და... შენც! — დაუმატა ელენემ.

— კისერიც მოუტეხიათ თებერვალსაც და მარტსაც. ჩემის ღრმა რწმენით ჩვენ ისევ ვილჰელმი გვიშველის, მხოლოდ მისი უნტეროფიცრები მოგვიტანენ მშვიდობას, პურს და კანონს.— სთქვა პავლოვმა.

— კანონს, პურს და მონობას. — დაუმატა კვაჭმა.

— ისევ ვილჰემის კანონი, პური და მონობა სჯობია დღევანდელ უკანონობას და შიმშილს! — ისევ ჩაერია ელენე. —

— თუ ვილჰემი ვერ მოვიდა? — ჰკითხა კვაჭმა.

— მაშინ ისევ ბოლშევიკები გვირჩევნიან. — უპასუხა ელენემ და პავლოვმაც თავის კანკურით დაუდასტურა.

— მართლა, არ იცით, სად არიან ოლდენბურგები? — ჰკითხა კვაჭმა პავლოვს.

— თქვენი გაქცევის გამო მათი ჩამოხრჩობა მეორე დღისთვის გადავდეთ. ამან უშველა ორივეს, რადგან იმავ დღეს რუსეთი გადატრიალდა. ეხლა ორივენი ისევ პეტრე-პავლეს ციხეში სხედან.

— როგორც ვატყობ, გადატრიალებამ არც თქვენ დაგაზარალათ. — კვლავ უკბინა პავლოვს კვაჭმა

— მე არ დამაზარალა, თქვენ კი აგაშენათ.

— საიდან? როგორ?

— თქვენ ალბათ გგონიათ, ვითომ მე მეძინოს. თქვენი ცხოვრებისა ყველაფერი ვიცი. აი, მაგალითად... — და მისი ბოლო ხნის ცხოვრება ხელის გულზე გადაუშალა.

— თქვენს ცნობებს არც ვადასტურებ არც უარვყოფ. მე მხოლოდ ეს მინდა გავიგო: თუ ეგ ცნობები მართალია, რატომ არ დამაპატიმრებთ?

— იმიტომ რომ... მიზეზი თქვენთვისაც ცხადი უნდა იყოს. ვინ დააფასებს ჩემს ერთგულებას? რუსეთს პატრონი აღარ ჰყავს, ამიტომ მადლობასაც არავინ მეტყვის. ტყუილად რად გადაგიმტეროთ? ვინ იცის, სად შევხვდებით და როგორ გამოვადგებით ერთმანეთს!.

— ჭკვიანი კაცი ყოველთვის ჭკვიანად მოიქცევა. თუმცა ჩემი დაჭერისათვის დასახრჩობი ბრძანდებით, მაგრამ დღევანდელ სიკეთეს მაინც გადაგიხდით ოდესმე.

— დღესვე გადამიხადეთ.

— მიბრძანეთ.

— თქვენ ყოველ დღე სმოლნის ინსტიტუტში დადიხართ და ივანოვის ხელმძღვანელობით მუშაობთ.

— მართალია.

— გადაეცით მას, რომ ამაღამ თორმეტი ბოლშევიკი უნდა დავაპატიმრო. ყველას საიდუმლო ბინები აქვთ, მაგრამ მათი ახალი ბინების სია ჯიბეში მაქვს. ეხლავე ჩაიწერეთ ეს სია. თუ თქვენ ეს თხოვნა შეასრულეთ და ივანოვს ორიოდე სიტყვა უთხარით ჩემზე, ჩემი ვალი უკვე მოშორებული გექნებათ. ეს არის ეხლა ბეკარევი უნდა გამეგზავნა, მაგრამ რაკი თქვენ შემხვდით...

— ბეკარევთან ეხლაც კავშირი გაქვთ?

— არა... არავითარი... ათასში ერთხელ შემხვდება ხოლმე... ივანოვისთვის შემდეგშიც მექნება ზოგი ცნობა, ამიტომ კარგს იზამთ თუ იმ კაცს საიდუმლოდ შემახვედრებთ.

კვაჭმა სია ჩაიწერა, პავლოვს გამოეთხოვა და გულში სთქვა: „ივანოვს ვერ შეგახვედრებ. ისევ მე ვიქნები ხიდად. ასე ემჯობინება, რადგან ორივენი ხელში მეყოლებით".

პავლოვი გავიდა. ელენე კვაჭს გულცივად დაუხვდა, მათი ხიდი დროს მეოხებით თანდათან იშლებოდა. კვაჭი ისე გაიტაცა ახალი წითელ-ყვითელი ხიდების აშენებამ, რომ თვეში ერთხელ ძლივს მოიცლიდა ხოლმე ელენესთვის, რომელმაც

თავის მხრივაც ახალი ხიდები და ბოგირები აიშენა ახალი კვაჭეჭებისკენ.

— ელენე, დიდი ხანია იცნობ პავლოვს?

— ექვსი თვე იქნება

— შენი გულითადი მეგობარია, არა?

— მერე, შენ რა გეკითხება?

— განა ამის კითხვის უფლებაც მომესპო?

— შენვე მოუსპე შენს თავს.

— მართალს ამბობ. თვეში ერთხელ ძლივს გნახავ ხოლმე. რა ვქნა, ასე დატრიალდა ჩვენი ბედი. ეს მშვენიერი სურათები... სადღაც მინახავს.

— ტანიასია. გახსოვს ტანია? — გესლით ჰკითხა ელენემ.

— მართლა, ტანია! საწყალი დედაკაცი! რავა დეიკარგა!

— მე არ დამკარგვია. ეხლაც აქ არის. საცაა უნდა მოვიდეს, ველოდები.

— მართლა? — შეშფოთდა კვაჭი. — ხუთი წელიწადი იქნება, რაც აღარ მინახავს. ძალიან სასიამოვნოა მისი ნახვა, მარია...

— ვითომ სასიამოვნოა? ნუ სჩქარობ წასვლას, ტანია ხუთ წუთში აქ იქნება.

კვაჭმა საათს დაჰხედა.

— აჰ, ძალიან დამიგვიანდა. მშვიდობით, ჩემო კარგო. მართლა, ერთი რჩევა უნდა მოგცეთ. რაც გაქვთ, ყოლიფერი გაყიდეთ, თვარა... დღეს თუ ხვალ დეიჭექებს და ყოლიფერი დაგეკარგებათ.

— დიდი ხანია გავყიდე და დავახარჯე კიდეც. ტანიაც ასე მოიქცა.

— ძალიან კარგი გიქნიათ, რომ გაგიყიდნიათ. მაშ მშვიდობით, ჩემო ძვირფასო.

კვაჭი კიბეზე ისე ჩამორბოდა, თითქოს ვიღაცას გაურბოდაო. ქუჩაში რომ გავიდა შორიდანვე ტანიას ეტლს მოჰკრა თვალი. კვაჭი მაღაზიაში შევარდა და იქიდან გამოიხედა. ორმა შავმა ცხენმა ლანდო გააქროლეს. ტანია შავებში იყო. დაბერებულიყო, უარესად გაცრეცილიყო. კვაჭს ერთი წუთით ჭრელმა წარსულმა გაჰკრა, მაგრამ უმალ დაიკეტა მეხსიერების კარები, ეტლს დაუძახა და ნახევარ საათში წითელთა შტაბს მიადგა.

— გამარჯვება, ამხანაგო! — მიახალა ივან ივანიჩს, — დიდი საიდუმლო საქმე მაქვს თქვენთან. უცხო აქ არავინ არის? კეთილი. მაშ მომისმინეთ. აი სია. ამაღამ ამ ხალხს დაპატიმრებენ... არა გჯერათ? გეუბნებით, მათი საიდუმლო ბინებიც იციან-მეთქი... საიდან ვიცი? მაგას კი ვერ გეტყვით.

კვაჭის ნათქვამი გამართლდა. იმ ღამეს პავლოვმა ოციოდე ბინა გადაატრიალა, მაგრამ ვერც ერთი დასაჭერი ვერ დაიჭირა. მეორე დღიდან კვაჭის სახელმა და ნდობამ წითლების თვალში ათჯერ მაინც იმატა.

ოქტომბერი რომ მოახლოვდა კვაჭმა სილიბისტროს უთხრა:

— დღეს ან ხვალ ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდება, რომ აქიდან ეშმაკიც ვეღარ გავა. ამიტომ გირჩევ ხვალვე საქართველოში გადასახლდე.

ყველანი დასთანხმდნენ პუპის გარდა, რომელსაც არ უნდოდა შვილის მოშორება, მაგრამ, ბოლოს ისიც დაემორჩილა კვაჭს, რომელმაც სამი დღის შემდეგ თავისი მშობლები მატარებელში ჩასვა და სამშობლოსკენ გამოისტუმრა.

აქა ამბავი ჩიქორთულ საქმეთა

კვაჭმა იმოდენა იყბედა და მოისმინა, რომ ნელ-ნელა შეუმჩნევლად თვითონაც დაიჯერა და გაიზიარა ცეცხლიანი ლოზუნგები და სისხლიანი დევიზები. მაგრამ იმავ დროს მაინც კვაჭობდა და დროგამოშვებით თავის ამხანაგებს ასე არიგებდა და ამხნევებდა:

— ხელი გაანძრიეთ! მოუსვით! პირი ნუ დაგიღიათ! ნუ ხართ დოყლაპიები და ბედოვლათები, თვარა ამისთანა დღეს მეორედ ვეღარ მოესწრებით!.

და ამხანაგებიც ბელადის ხელმძღვანელობით ხელებს ანძრევდნენ, მოსახვეტელს უხვად იხვეტდნენ.

ერთხელ კვაჭი ივანოვს შეუერთდა და შესძახა:

— თეთრები და იუნკრები სასახლეს სძარცვავენ, იქ სასახლეში აუარებელი განძი და ნახელოვნევი ინახება. ჩქარა, მანდატი!

ივან ივანიჩმა ხუთ წუთში კვაჭს მრისხანე მანდატი და ათიოდე გააფთრებული მეზღვაური ჩააბარა. კვაჭი თავისი რაზმით

ერთ სასახლეს მიადგა, სადაც წითლებს თეთრები მოემწყვდიათ. კვაჭი და მისი ამხანაგები შეიარაღებულ მუშებს და მეზღვაურებს ჩამოეკიდნენ და სასახლეში შევიდნენ. იგი სავსე იყო იარაღიანი და უიარაღო ბრბოთი. ერთი სამოვარს მოათრევდა, მეორე მარმარილოს ძეგლს ეჭიდებოდა, მესამე სავარძელს ტყავს აძრობდა, მეოთხე გობელენის ხალიჩას წელზე იხვევდა, ხოლო მეხუთენი და მეათენი უძველეს სურათებით, ფაიფურის ლარნაკებით, იშვიათი ჭურჭლით და ათასნაირი წვრილმანით იტვირთებოდნენ და გასასვლელ კარებს ეძებდნენ.

— მუშების, გლეხების და სალდათების დეპუტატთა საბჭოს სახელით.... შესდექით! — დასჭყივლა კვაჭმა და თავის მანდატი ხმამაღლა წაიკითხა. მერმე წითელ მუშებს და მეზღვაურებს ბრძანება მისცა: — ყველანი დიდ დარბაზში შეჰყარეთ, გაჩხრიკეთ, ყველაფერი დააყრევინეთ და გაჰყარეთ.

ნახევარ საათში მძარცველებს ყველაფერი დააყრევინეს. კვაჭმა აქა-იქ თავის მეგობრები ჩააყენა და წითლებს უთხრა:

— ძმებო, გმადლობთ სახალხო ქონების გადარჩენისთვის. ეხლა ჩვენვე მოვუვლით ყველაფერს. თქვენ საჭირო აღარა ხართ. მშვიდობით იყავით.

კარები ჩაიკეტეს და დღე და ღამის მუშაობით ხელები დაიწყვიტეს. განძეულობა გადაარჩიეს, ყუთებსა და სკივრებში ჩაალაგეს და „შესანახად“ კვაჭის სარდაფში გადაზიდეს. იმ დღიდან იმ სარდაფს გინცი და ერთი ანტიკვარი ურია შეეჩვივნენ.

კვაჭი შეეჩვია სახალხო განძეულობის ძებნას, გადარჩენას და დაცვას. რაკი იმ მანდატმა გასჭრა, ვითომ სხვაგანაც რატომ არ უნდა გაეჭრა? მან სცადა თავის ხერხი და იმ მანდატის ძალა, რომელიც ჯადოსნური აღმოჩნდა. ყველანი ისე სთრთოდნენ იმ ქაღალდის დანახვაზე, როგორც გატენილი ყუმბარის წინაშე. კისრები თავისთავად იდრიკებოდა და ყოველი კარებიც თავისთავად იღებოდა. კვაჭი მალე გაოცდა იმ აუარებელი და უთვალავი განძეულობით, რომელიც ასე უხვად იყო გაბნეული პეტრეს ქალაქში.

ერთხელ კვაჭმა სინდისი გაიხსენა და ბესოს წინაშე ასე მოიფხანა აქავებული სული:

— სულ ერთია, ჩემო ბესო, პატრონებიდან აფერი გამო-

დის. ირგვლივ ყველანი სძარცვავენ და იტაცებენ, — ძველებიც და ახლებიც, — პატიოსანი კაცი კი მშრალზე რჩება და მშიერი კვდება. ახალი რევოლუცია იმ გზით მიდის, მე რომ მგონია. იგი სისხლში დაიხრჩობა და ჩვენც წაგვიღებს. ჩვენ ძალიან სახიფათო გზას დავადექით, მაგრამ უკან დაწევაც აღარ შეიძლება. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენი წილი მივიღოთ და ამ ჯოჯოხეთს თავი დავაღწიოთ. რუსეთი მთელ ქვეყანას ეშიდება. ამ ჩხუბის დროს ყოლიფერი უნდა ავკრიფოთ, რაც კი შეგვიძლიან, მაგრამ არ უნდა დავიგვიანოთ და დროზე მოვშორდეთ აქაურობას, თორემ...

„წითელი რევოლუციის დამცველთა საზოგადოება“ უფრო გაიშალა. ახალ ხელისუფალთ მისი გასაჩხრეკი დრო არა ჰქონდათ, ამიტომ კვაჭის ბუნაგში ყოველივე ისევ კვაჭური გზით მიდიოდა.

მაგრამ დრო დადგა და სმოლნის ინსტიტუტში ეს საზოგადოებაც გაახსენდათ. კვაჭი უმალვე მიუხვდა ხიფათს და თავის შტაბი ასე დაარიგა:

— აქინე ჩვენ კისერს მჭვიტეხთ. დროა ნელ-ნელა მოვშალოთ ჩვენი ბუდე, რომელმაც ერთი წელიწადი შეგვინახა და გვათბო. თუ შენობა გეიბზარა, იქინე დგომა აღარ შეიძლება; აწი სამსახურის დრო დადგა. ვინ იცის, იქნება სჯობდეს სამსახურს შევაფაროთ თავი. მანდატს აწი ისეთი ძალა მიეცა, რომე იმის გულისთვის თუნდ უჯამაგიროდ ვიმსახურებთ.

დაადგინეს და შეასრულეს. ერთ კვირაში კვაჭმა ყველანი ახალ სკამზე დასხა. თავის თავი ერთ დიდი ბანკში კომისრად დანიშნა, ჰაჯლაბრიანი იმავე ბანკში მთავარ მოლარედ ჩააყენა, გაბო ჩხუბიშვილი წითელი ჯვრის საწყობებში შეაძვრინა, ლადი ჩიკინჯილაძე ფულის სტამბაში შეჩხირა, ხოლო ჭიპი ჭიპუნტირაძე, პავლოვი და ბეკარევი ისევ ზვერვის და ჩხრეკის გზით გაუშვა.

ბესო შიქია „წითელი რევოლუციის საზოგადოებაში“ კვაჭის ხელმძღვანელობით კვაჭის მაგივრობას ასრულებდა: საზოგადოებას არღვევდა და მის ქონებას ჰყიდდა, „რაც ერთ თვეში ბრწყინვალედ შეასრულა“.

მაგრამ კვაჭმაც იმ ერთ თვეში თავის გეგმაც შეასრულა. თითქმის ყოველდღე მასთან ბესო, ჭიპი, ან ლადი შედიოდნენ და რამდენიმე მილიონიან „ასსიგნოვკებს“, ჩეკებს ან სხვა

საბუთებს წარუდგენდნენ. კვაჭი არხეინად წააწერდა: „მიეცით“, ხოლო ჰავლაბრიანი, რომელიც ყველას ეუბნებოდა „ფული არ არისო“, მთელ დაგროვილ ფულს ამხანაგობას უთვლიდა. ის ფული ხაინშტეინს ბირჟაზე გაჰქონდა და საღამოზე ოქროთი და თვალ-მარგალიტით ბრუნდებოდა.

დიდი ხანია რაც კვაჭმა თავის რაზმს ბრძანება გასცა:

— ისე მოიქეცით, რომ ყოველ ჟამს ქალაქიდან გასასვლელად მზად ვიყოთ. ფრთხილ ვაჟკაცს ასეთ დროს ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა ჰყავდეს.

ისაკა და რებეკა გაეთავისუფლებინათ და ადესისკენ წასულიყვნენ. თუმცა კვაჭმა ორივეს აპატია სისუსტე, ისინი მაინც მოერიდნენ კვაჭს და ზეკარევის პირით მოკითხვა და ბოდიში შემოუთვალეს.

აღარც ელენე სჩანდა.

მთავრობა მოსკოვში გადავიდა. კვაჭიც უნდა გაჰყოლოდა თავის შტაბით, მაგრამ ოდნავ დაიგვიანა, რადგან ორიოდე საქმე ჰქონდა გასაიმასქნებელი.

— გაბო, როგორ არის ჩემი მეგობარი განუსი? — ჰკითხა იმ დღეებში გაბო ჩხუბიშვილს.

— ეს არის ეხლა მოკვდა.

— თვითონ მოკვდა? — გაიკვირვა კვაჭმა.

— ოდნავ მივეშველე. — გაიღიმა გაბომ და ზედ დაიხედა. კვაჭი მიუხვდა. გაბოს ოქროს საათი ეკიდა, ხელში ოქროს სათუთუნე ეჭირა და თითებზე რამდენიმე ძვირფასი ბეჭედი უკრიალებდა.

— ყოჩაღ! — მოუწონა კვაჭმა. — მადლობა ჩემზე იყოს.

ამხანაგებმა ხელის ფოსმას მოუხშირეს, ნაჭარბევად გაჰკრეს, გამოჰკრეს და ერთ კვირაში უფრო მეტი გაიჩინეს, ვიდრე მანამდე ჰქონდათ.

იმავ ხანებში კვაჭის ცა შავად მოიღრუბლა. ჰაერში მუქარის სუნი დატრიალდა. აქა-იქ გაიელვა. ბოლოს ერთ საღამოს ქუდმოშვლეპილი ჭიპა ჭიპუნტირაძე შემოვარდა და აკივლდა:

— დევიღუპეთ! ყოლიფერი გეიგეს! თავს უშველეთ! აი, წეიკითხეთ.

საღამოს გაზეთი გადაშალეს და წაიკითხეს: „რევოლუციას აგრეთვე თავადი კვაჭანტირაძეც მიეკრო. რასპუტინის მეგობარი და მეფის ერთგული მსახური, რომელმაც...“

— ზმებოჯან, დროა სავიდეთ! — გააელვა ცხენის კბილები ჯალილამ.

ჭიპს პავლოვი მოჰყვა, რომელმაც მოკლედ და მშვიდად განაცხადა:

— ყველაფერი გაიგეს. ეხლავე უნდა ავიბარგოთ, თორემ დაგვიგვიანებთ.

— მაშ, ერთ საათში ყველანი სადგურზე გამოდით! — გასცა მობილიზაციის ბრძანება კვაჭმა.

ყოველივე წესიერად აღმოჩნდა. ერთი საათის შემდეგ მეხანაგები სადგურზე შეხვდნენ ერთმანეთს.

— დევიდუპეთ! — კვლავ აკივდა ჭიპი. — არც ერთი მატარებელი არ ყოფილა.

— ნუ ყვირი, ჭიპი! — გააჩუმა აშლილი მზვერავი კვაჭმა. — ბესო, წადი და მატარებელი იშოვე. ხარჯს ნუ მოერიდები.

ბესო ათ წუთში დაბრუნდა:

— ეხლავე ორი ვაგონი იქნება. მგონი ასი ოქრო ძვირი არ უნდა იყოს.

— ძვირი არ არის. — დაეთანხმა კვაჭი.

ნახევარი საათის შემდეგ ორვაგონიანი მატარებელი მოსკოვისკენ მოჰქროდა. სალონ-ვაგონში ცხრანი იხხდნენ, ცხრა წევრი „წითელი რევოლუციის დამხმარეთა და დამცველთა საზოგადოების გამგეობისა“, რომელთაც დავალებული ჰქონდათ „რევოლუციური სალდათების მატარებელთა მოძრაობის მოწესრიგება“.

— მერმე, გასჭრის ეს მანდატი-ი-ი? — შიშით იკითხა სადრაკამ.

— გასჭრის კი არა, ყოლიფერს ააფეთქებს. — უპასუხა ლადო ჩიკინჯილაძემ.

— ვინ აწერს ხელს? — ჰკითხა კვაჭმა ბესოს, რომელსაც ალილიანი მანდატი ეჭირა.

— სარევოლუციო-სამხედრო კომიტეტი. აი, ნახე, ბეჭედიც და ყოლიფერიც თავის ალაგზეა. წეიკითხე: „რე-ვო-ენ-სო-ვე-ტი!!“

— ალაჰ,—წამოიძახა ჯალილამ,—რა დიდი ზალა აქვს ქაღალდს ურუსის ქოყანაში!

— აბა, ჯალილ, ვახშამი! — მოითხოვა კვაჭმა, — ამეილეთ ყირიმული ღვინო და შამპანური

ნახევარი საათის შემდეგ ქართულმა „მრავალჟამიერმა“ მატარებლის დგრიალი და რახარუხი დაჩრდილა. „მრავალჟამიერს“ ჯალილას ბაიათი მოჰყვა და ბაიათს „ვნიზ პო მატუშკე პო ვოლგე“ დაედევნა.

დილით მატარებელი ერთ სადგურს მიუახლოვდა. ამხანაგები პირს იბანდნენ, არხეინად იზმორებოდნენ და საუზმესთვის ემზადებოდნენ. რუხი ფარაჯებით შეკუნწლული სადგური ფუტკარივით აიშალა და აღმუვდა:

— მოდის! მოდის!

მატარებელი რომ ბაქანს მიადგა, ფარაჯების ზღვაც აიფურთქა და აყმუვდა:

— მიდი! აიღე! გადმოყარე!

იარაღით, ყუთებით, ბგებით და ბოხჩებით დატვირთულმა სალდათებმა მთელი მატარებელი ჩაყლაპეს, ყვირილით და მუქარით შეცვივდნენ ვაგონებში და მოიკალათეს.

ზოგნი კარებიდან შედიოდნენ, ზოგნი კი ფანჯრებიდან მისძვრებოდნენ. უკნიდან აყირავებულ სალდათებს სხვები ებღაუჭებოდნენ და ჩექმებს ხდიდნენ, ან ბარგს ჰპარავდნენ.

— ამხანაგებო! — ჰყვირიან კვაჭი და მისი მეგობრები. — შესდექით! არ შეიძლება! დელეგატების მატარებელია. ჩვენ დავალებული გვაქვს მოწესრიგება... აი მანდატიც!

მაგრამ მანდატის ნახვა და მისმენა არავის უნდოდა. კვაჭის ყვირილს და მუქარას სიცილით და მუქარით უპასუხეს. ვიღაცამ დაიძახა:

— ამხანაგებო! კმარა რაც ამ ბურჟუებმა ჩვენი სისხლი სწოვეს! აბა, ფანჯრებიდან გადაჰყარეთ!

კვაჭი და მისი ამხანაგები ფანჯრებიდან ტყაპატყუპით გადმოჰყარეს და თან დედ-მამის ლანძღვა, ხარხარი და დახვრეტის მუქარა მიაყოლეს.

— ჩქარა, ბარგს უშველეთ! — ბრძანა კვაჭმა.

ბევრი იტრიალეს მატარებლის გარშემო და ბევრს ეხვეწნენ, ფულსაც დაჰპირდნენ და არაყსაც, მაგრამ ვაგონებს ვერც კი მიუდგნენ. ბოლოს შეკუნწლული მატარებელი ყიჟინითა და ღრიალით დაიძრა და თან ამხანაგების ქონება — ტანისამოსი,

სანოვაგე, ფული, თვალ-მარგალიტი,— წარსული ნაშრომი, იმედი, წყევლა და ცრემლი გაიყოლა.

ამხანაგები სადგურის დარბაზში ჩამოსხდნენ, ცხვირები იატაკს დააბჯინეს და ასე აწუწუნდნენ:

— დევიღუპეთ! — გაჰკიოდა თვალცრემლიანი ჭიპი.

— სად დაგვეწია ღვთის რისხვა! — ოხრავდა გაბო.

— Д-а-а. плохи дела. — ეთანხმებოდა საკუთარ თავს პავლოვი.

— ეხლა კი ჩონი საქმე სავიდა. ვალაჰ, სავიდა! — თავის ქნევით ამბობდა ჯალილა.

ბესო თითებს იმტვრევდა, ჭიპი ჭიპუნტირაძე იფხრიწებოდა. ბეკარევი პაპიროსის ბოლში იხრჩობოდა, ხოლო გამწარებული კვაჭი გალიაში დამწვდეული მხეცივით დარბოდა და დროგამოშვებით შეჭმუხნულ შუბლს ისრესდა. ბოლოს ყველანი დადუმდნენ და ბელადს შეაშტერეს თვალები. დიდხანს სდუმდნენ და კვაჭისგან თავიანთ ბედის განაჩენს მოელოდნენ.

— როგორა ხარ, კვაჭი? — გაჰბედა ბოლოს ბესომ.

— ძაღლურად.

— რას იტყვი?

— აფერს. რა გძდაარჩინეთ მაგ საკვოიაჟით?

ბევრი აფერი. ბეჭდები და შტამპებია.

— ბევრი აფერიო-ო! მაშ ყოლაფერი გადაგირჩენია შე კაი კაცო!

კვაჭმა შუბლი გაიშალა, გაიღიმა და ამხანაგები მტკიცე ხმით გაამხნევა:

— ნუ დაღონდით, ამხანაგებო! რაც დავკარგეთ, ერთ თვეში დაგვიბრუნდება. თუ ბედმა არ მიღალატა და ღმერთმაც კიდო ხელი მომიმართა. აბა, წამოდექით! გამაგრდით! მომყევით!

აქა ამბავი სამტრედიძისა

გუბაღმასკომის ბინაში გახურებული მუშაობაა. სამი კაცი თამამად მიადგა თავმჯდომარის კაბინეტს. წინ დარაჯი გადაეღობათ.

— შესვლა არ შეიძლება. კომიტეტის სხდომა გახლავს.

წინაურმა ერთი ხელით დარაჯი მოიშორა, მეორე ხელით

კარი შეაღო და შევიდა. ორნიც მიჰყვნენ. კრება შესწყდა. მოლაპარაკემ სიტყვა შესწყვიტა. ყველანი შემოსულებს მიაჩერდნენ.

— ბოდიში, ამხანაგებო! — ცივი ხმით სთქვა კვაჭანტირაძემ. — გთხოვთ მიცნობდეთ: მე სარევოლუციო სამხედრო საბჭოს წევრი პავლე სამტრედიძე გახლავართ. ესენიც ჩემი შტაბის წევრები არიან — პანოვი და შიქიანცი.

და პავლოსა და შიქიაზე მიუთითა. ყველანი წამოიშალნენ და გაიჭიმნენ. კვაჭმა პირსახეზე უფრო მეტი სუსხი აისახა და განაგრძო:

— თქვენს ქალაქში საზიზღრობა ხდება, თქვენ კი არხეინად გაჭიმულხართ და ბაასობთ. აი, მავალითიც: მე ჩემი შტაბით საგანგებო მატარებლით მოვდიოდი. გზაში შემატყობინეს, რომ მოღალატე ბურჟუებს უცხოეთში თვალ-მარგალიტი და ოქრო მიაქვთო. მატარებელი გავჩხრიკე. ცნობა მართალი გამოდგა. განძეულობა, რა თქმა უნდა, ჩამოვართვი, ხოლო საზიზღარი მოღალატენი იქვე დავხვრიტე. მაგრამ თქვენ ცხვირწინ, სადგურზე, გაბატონებული სალდათები დამეცნენ, მატარებლიდან გამოგვყარეს, ყველაფერი წაგვართვეს და ჩვენი მატარებლით თვითონ წავიდნენ. ამხანაგებო, რას იტყვით ამაზე?

ამხანაგები შეშფოთდნენ. ასტყდა ხმაური, ტელეფონების ჟღარუნი და ავტომობილების ღრიალი.

— ჩეკას თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებით? — ეკითხება კვაჭი ერთს. — ჩვენ ცხრანი ვართ. მე აქ დავრჩები. დანარჩენი წაიყვანეთ. ეხლავე დეპეშა მიეცით, რომ ის მატარებელი სადმე პატარა სადგურზე გააჩერონ, ორთქმავალი მოხსნან და გაისტუმრონ, თორემ სალდათები მატარებელს ძალით წაიყვანენ. გესმით ჩემი გეგმა?

— დიაღ, მესმის, ამხანაგო! ამავე დროს ასიოდე შეიარაღებული კაცი იმ მატარებელს დავეწევით, ალყას შემოვარტყამთ და...

— ეგრე. გამარჯვებას გისურვებთ. მართლა, ჩვენი მანდატები ინებეთ. — და კვაჭი კვაჭანტირაძემ ხუთიოდე გრძელი მანდატი გადაუშალა.

იმ მრისხანე მანდატების წინაშე ყველანი გაიჭიმნენ და ათ-

რთოლდნენ. ვერავინ გაჰბედა ის მანდატები ხელში აეღო და წაეკითხა. კვაჭმა ისევ ჯიბეში ჩაილაგა და სთქვა:

— მაშ საქმეს შეუდექით. მშვიდობით იყავით, ამხანაგებო!

მერმე ბესო გაიყვანა განზე და უთხრა:

— აბა, ბესო, ჩვენი სიცოცხლე შენს ხელშია. სანამ თქვენ დაბრუნდებოდეთ, აქ მე ყველაფერს გავაკეთებ.

კაბინეტში ორნიღა დარჩნენ — გაბღენძილი კვაჭი და გაჭიმული გუბაღმასკომის თავმჯდომარე.

— დაბრძანდით, ამხანაგო! — ნება მისცა კვაჭმა. — დაბრძანდით და მომახსენეთ, რა ხდება თქვენს გუბერნიაში?

გუბაღმასკომის თავმჯდომარე ლაპარაკით დაიღალა. ორი საათის განმავლობაში კვაჭს ანგარიშს აძლევდა გუბერნიაში საქმის ვითარებისა და ხელისუფალთა მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კვაჭმა გუბაღმასკომის თავმჯდომარეს პატივი დასდო და მისი პურ-მარილი იგემა. მერმე იმის ოთახში მიწვა და მიიძინა.

მზე ჩასავალს იყო, რომ ბესომ და ჯალილამ კვაჭი გააღვიძეს.

— ადექი, კვაჭი. ყოლიფერი დევიბრუნეთ. ღვინის გარდა ერთი ნემსიც არ დაკარგულა. სალდათებმა თლა დასცალეს არაყი, კონიაკი, ღვინო და შამპანური.

— ღმერთმა შეარგოთ.

აღმასკომის მუშაკები შეაქო, მფარველობას შეჰპირდა და საღამო ჟამს საგანგებო მატარებლით დაიძრა.

მატარებელი ერთ დაკარგულ სადგურზე გაიხირა. ორთქლმავალი გაიპარა. დილით საგანგებო მატარებელი დაეწია. რამდენიმე ოქრომ კვაჭის ვაგონი იმ მატარებელს მიაბა და წაიყვანა.

კვაჭი მოწყენით იყო. უსაქმოდ ჯდომა მოჰბეზრდა. იფიქრა, შუბლი მოისრისა და გადასწყვიტა: „ამ მატარებელს გავჩხრეკავ", და ვაგონებს ჩამოუარა. პირველივე ვაგონში თავით ფეხამდე იარაღში ჩამსხდარ ნამდვილ ამხანაგებს წააწყდა. მათ შორის ივან ივანიჩი იჯდა — ბეცი, დაბნეული და გულმავიწყი. კვაჭს ელდა ეცა. ერთმანეთს დააცქერდნენ. კვაჭი უმალვე მიხვდა, რომ ივან ივანიჩმა ვერ იცნო.

— ამხანაგო! — ზრდილობიანი და მტკიცე ხმით ჰკითხა კვაჭმა. — აკრძალული ან ზედმეტი სანოვაგე ხომ არა გაქვთ?

— არაფერი. — მიუგო ერთმა. — ცოტა კონიაკი გვაქვს, მაგრამ...

ამხანაგები სადილზე ისხდნენ. წინ შავი პური, კიტრის მჟნილი, მყრალი თევზი და ცივი კარტოფილი ეწყოთ. იქვე ერთი ბოთლი კონიაკი იდგა.

— ეგ ბოთლი მიბოძეთ, — სთქვა კვაჭმა — აკრძალულია.— და ხელი ბოთლისკენ გაიშვირა.

— ამხანაგებო, ჯერ არც კი დაგვილევია... — დაეღრიჯა კირილე.

— ეგეთი სასტიკი ნუ ხართ.—შეეხვეწა მეორე.

— ინებეთ. — სთქვა მესამემ და ბოთლი მიაწოდა. — კანონი კანონია, მორჩა და გათავდა! გემორჩილებით.

— ყოჩაღ, ამხანაგო! — უთხრა მეოთხემ. — რაც მართალია, მართალია! დეკრეტი ჩვენ მიერ არის გამოცემული. მაშასადამე ამ დეკრეტს სხვებზე ადრე ჩვენ უნდა დავემორჩილოთ.

ივან ივანიჩი კვლავ შესცქეროდა კვაჭს, შუბლს ისრესდა და ჰფიქრობდა: „რა ვქნა, სად მინახავს ეს კაცი?“

მატარებელი წავიდა. ამხანაგები დიდხანს ჰაობდნენ კვაჭის საქციელის შესახებ. ზოგნი ლანძღავდნენ, ზოგნი კი იმის სიმტკიცეს იწონებდნენ.

— ძალიან დავაშავეთ, რომ გვარი არ გამოვკითხეთ, — სთქვა ერთმა. — მაგისთანა მტკიცე და ერთგული კაცი აქ არ უნდა ლპებოდეს.

— ვიცნობ მაგ კაცს, ვიცნობ, მაგრამ, — წაიბუტბუტა ივან ივანიჩმა. — არ მაგონდება, სად ან როდის გავიცანი. მგონი...

და მოსკოვამდე ისრესდა შუბლს და იგონებდა. მატარებელი რომ მოსკოვს მიადგა, ივან ივანიჩი უცებ წამოხტა, შუბლზე ხელი დაირტყა და წამოიძახა.

— გამახსენდა!

— რა იყო? რა მოხდა? — ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— ჩქარა ქაღალდი, დეპეშა! დაიჭირეთ ის ჰარამზადა, თორემ ქვეყანას გადაატრიალებს! ჩქარა!..

— ივან ივანიჩ, ვინ გადაატრიალებს? ვინ არის დასაჭერი?

— ის, ის! კონიაკი რომ წაგვართვა. კვაჩანტირადზეა მისი გვარი. სამი თუ ხუთი სახელი აქვს: კვაჩი, აპოლონი, ნაპოლე-

ოსი და... ეშმაკმა იცის მისი თავი და ტანი! ჩქარა მომეცით ქაღალდი! გამახსენდა!

გვიანღა გაახსენდა.

აჰა ამბავი კარაპეტ შულავრიანცისა

ათიოდე წუთის შემდეგ ივან ივანიჩი მრისხანე დეპეშას სწერდა, ხოლო იმის ზურგს უკან პესო ჩიქია იდგა. ეს დეპეშას მხრიდან კითხულობდა და ძალიან იღიმებოდა. მერმე ერთაზის ორი დეპეშაც ჩააბარა — პავლოვის და ლადის სახელზე — და მეორე მატარებელზე ავიდა. სადაც მას კვაჭი და ამხანაგები უცდიდნენ, და კვაჭს უთხრა:

— ივან ივანიჩმა ძლივს მოგვიგონა და ჩვენს დასაჭერად დეპეშა გაგზავნა. ეს არის ეხლა წავიკითხე.

— ხა-ხა! — გაიცინა კვაჭმა. — დეიგვიანა ჩემმა ივან ივანიჩმა, დეიგვიანა! მეძებონ აწი. სედრაკ, წეიკითხე ეს ქაღალდი და სთქვი, დაგვეწევიან ჩეკელები?

სედრაკამ გრძელი მანდატი წაიკითხა. ეწერა: კარაპეტ მინასიჩ შულავრიანცს და ამხანაგებს (ჩამოთვლილი იყო ათიოდე გვარი) დავალებული აქვთ პოვნა და დაპატიმრება ცნობილი კონტრრევოლუციონერის, საბოტაჟნიკისა და ბანდიტის კვაჭი კვაჭანტირაძის (იგივე ანაპოდისტე, იგივე აპოლონი, იგივე ნაპოლეონი, იგივე პავლე სამტრედიძე).

— ვა-ა-ა! — დააღო პირი სედრაკამ. — მაშ, შენვე დასდევ შენს თავს?..

თავის თავს დასდევს კვაჭი კვაჭანტირაძე. რომელიმე ქალაქს ან სადგურს რომ მიადგება, მაშინვე ხელისუფლებას ეწვევა, ადლიან მანდატებს გადაუშლის და ჰკითხავს:

— ეს კაცი (კვაჭი კვაჭანტირაძე) ხომ არ გეგულებათ ახლო-მახლო?

მერმე ბინას, ტელეფონს და ავტოს მოითხოვს და გასაძრომ ხვრელის ძებნას შეუდგება. გზები შეკრულია. როსტოვი და სხვა ქალაქები თეთრების ხელიდან წითელთა ხელში გადადის და ისევ თეთრებს უბრუნდება. სისხლიანი კადრილი* აღარ თავდება.

* ერთგვარი მასიური ცეკვა. ორ რიგად დაეწყობიან, ერთიერთისკენ მისცეკვავენ, ხან უკანვე გაბრუნდებიან, ხან, ალაგებს ინაცვლებენ.

კვაჭი მალე წააწყდა საკუთარ კვალს. ჩეკლები ფეხდაფეხ მისდევენ. ხან კუდში მოექცევიან, ხან წინ გაუსწრებენ. ამხანაგებმა რამდენიმე ალაგას მოინდომეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ყველგან ხაფანგებს წააწყდნენ.

ერთხელ ჯალილამ უთხრა კვაჭს:

— ეფენდი, ჯალილამ სუხელი ზალიან სუდი სიზმარი ნახა. მე სისხლში ვცურაობდი.

— ნუ გეშინიან, ჯალილ! დაამშვიდა კვაჭმა. — ალაჰია ჩვენი შემწე.

ალაჰი მართლა მათს მხარეზე იყო, მაგრამ ერთი წუთით იმანაც მილულა თვალები.

კვაჭმაც მილულა და უცებ, როცა ერთი ხვრელით დაამპირეს ფრონტში გაძრომა და ერთ ქოხში ისვენებდნენ, ამხანაგებმა დაიძახეს:

— კვაჭი, ადექი! ჩქარა ადექი!

კვაჭი უმალვე წამოხტა.

— დევიღუპეთ! აწი კი დევიღუპეთ! — გაჰკიოდა ჭიპუნტირაძე და თმებს იგლეჯდა. — მოგვაგნეს!

— რა ამბავია? რა მოხდა?

— მოდიან! მოდიან!

— ვინ? საიდან? რამდენნი არიან?

— ორმოცი ცხენოსანი მაინც იქნება. ხევ-ხევ მოიპარებიან. ათიოდე კაცი მარცხენა მხრიდან გვივლის

— აბა, გარეთ გამოდით, თორემ ეს გალია ნამდვილი საფლავია! — დაიძახა კვაჭმა და ქოხიდან გავარდა. მიიხედ-მოიხედა და უმალვე ასწონა და გაზომა საქმის ვითარება — აბა, მეგობრებო! დადგა ჟამი განკითხვისა. დახვრეტას ისევ ვაჟკაცური სიკვდილი სჯობია. პავლოვ, შენ, ბეკარევი და ლადი აგერ იმ კლდეს ამოეფარებით და იმ გზას შეჰკრავთ. მანდედან ვერავინ მოგვივლიან. ერთი ტყვიის მფრქვეველი თქვენ წაიღეთ. დანარჩენები მე გამომყევით. ტყვია გამოიზოგეთ. ნუ აჩქარდებით. დინჯად და ყოჩაღად!

სამნი მინგრეულ კედელს ამოეფარნენ, დანარჩენები ღობის ძირში ჩასაფრდნენ და გაშლილი მინდორი და განიერი ხევი ხელში დაიჭირეს.

წითლებს ცხენები ხევში დაეყენებინათ, თვითონ კი ბი-

ლიკზე ჩამწკრივებულიყვნენ და ნელი ნაბიჯით მოიპარებოდნენ.

— ოცდაშვიდი... ოცდარვა. — სთვლის კვაჭი. — სულ ოცდათორმეტია, ჩვენ კი ექვსნი ვართ

— ცხრანი ვართ. — უთხრა გაბომ.

— იმ სამს არა ვთვლი, იმათ თავიანთი მტერი ჰყავთ. ოღონდ დაღამებამდე გავძლოთ, თორემ მერმე აღარაფერი არ გვიშავს. აბა გაბო, ტყვიის მფრქვეველს მიუჯექი, შენ გცოდნია მისი მოხმარება.

— დევიღუპეთ, კვაჭი! — დაიკნავლა ჭიპიმ.

— სუ, ქოფა ოღლი! — გააჩუმა ჭიპი ჯალილამ.

— ვა-ა, ეს რა მემართება? — კბილების წკაპუნით წაიბუტბუტა სედრაკამ. — ალბათ გაციებული ვარ. თოფი მიკანკალებს.

— ნუ შეჯგუფდით! — მიუბრუნდა კვაჭი ამხანაგებს.. — გაიშალენით. ერთმანეთს ათ ნაბიჯზე დაშორდით.

კვაჭის მარჯვნივ ჯალილა ჩაწვა. მარცხნივ ჩხუბიშვილი გაიშოტა. ბესო ერთ ფრთაზე მოექცა. სედრაკა მეორეზე ჩაცუცქდა.

წითლები შეჩერდნენ და ჩასაფრდნენ. მათი ბელადი წინ წამოვიდა და დაიძახა:

— ჰეი, ჰეი! კა-ჩან-ტი-რაზე! ბანდიტო! დაგვნებდი!

კვაჭმა გაიღიმა და დაუმიზნა. თოფი გავარდა. წითელმა ორივე ხელი აიქნია, თოფი გვერდით მოისროლა და გულაღმა გადავარდა. იმავ წუთს ხევიდან ოცდაათმა თოფმა იგრიალა. ღობეს თითქოს მუხუდო მოაყარეს.

დაიწყო ბრძოლა ფიცხელი და დაუნდობელი.

— უგზო-უკვლოდ ნუ ისვრით! — ბრძანებს ხანგამოშვებით კვაჭი. — დაუმიზნეთ!.. ესროლეთ!.. გასტენეთ!..

— ჰაი, ქოფა ოღლი! ღონღუზ! ყირმიზ შაითან — წითელო ეშმაკო! — ბურტყუნებს ჯალილა.

— ერთი კიდევ გავაგორე! — ხარობს ჩხუბიშვილი. ეს ერთი და სხვა ათასი!

— ვაიმე! — უცებ მოისმა მარჯვენა მხრიდან.

კვაჭმა მიიხედა. სედრაკა წაკუზულიყო, ცხვირ-პირი თოვლში ჩაეყო და ერთი ხელით თითქოს თოვლს ჰხვეტავდა. ჭიპის თავი დაბლა დაეღუნა და გაცხარებით ესროდა ცას.

— ჰიპი! — დაუყვირა კვაჭმა. — ვის ესვრი? საით ისვრი? გასწორდი! დაუმიზნე!

ჰიპიმ უარესად დაჰლუნა თავი, და იმავე წუთს დაიგმინა და გულაღმა გადავარდა.

— ჯალილ! — დაიძახა კვაჭმა. — ორივეს თოფები და პატრონები აართვი და აქ მოიტა. ჩემი თოფი ისე გაცხელდა, რომ ხელსა მწვავს.

წითლები უცებ წამოიშალნენ და ურას ყვირილით გამოიქცნენ.

აბა, კვაჭი მედგრად! არ შედრკე! მარდად! მტკიცედ! ზურგი არ უჩვენო მტერს, თორემ შენც, შენი მეგობრებიც და შენი ნადავლიც დაიღუპებით!

— აბა, მეგობრებო! — ჰკივის გაცხარებული კვაჭი. — გასტენეთ! დაუმიზნეთ! ესროლეთ!

— კა-კა-კა! აკა-კა! — ქათამივით კაკანებს გაბოს ხელში იარაღი!

— ტრახ-ტა-რახ! ატრახ-ტრახ! — ჰქუხს ხუთიოდე თოფი.

კვაჭს ისევ დემირ-თეფეს ეშმაკები ჩაუსხდნენ გულში. მაშინ კვაჭი ისე მოიტაცეს ეშმაკებმა, რომ მას არც კი ესმოდა გახელების მიზანი, ეხლა კი შეგნებით და დაჟინებით იბრძოდა სიცოცხლისთვის. არა, კვაჭი ჯერ არ მოკვდება! არ მოკვდება ასე უდროოდ და უბრალოდ სადღაც უკრაინის მიყრუებულ სოფელში! არ მოკვდება კვაჭი სანამ ერთხელ კიდევ არ ჩაეხუტება სილიპისტროს! და პუპის, სანამ ერთხელ კიდევ არ მოიპარავს ქუთაისს და ტფილისს, სალომეას და მუშტეიდს, ფერნის და მთაწმინდას, სანამ ერთხელ კიდევ არ გადაატრიალებს [illegible] და ლაღიძის დუქნებს ქუთაისში, „ედემს“ და „ფანტაზიას“ ვერის ბაღებში, სანამ არ ჩაჰკრავს ერთ თალიას ბა-[illegible]ს ქართულ კლუბში და ისე არ ააფორიაქებს იქაურობას, რომ ათიოდე წელიწადს მაინც არ ივიწყებდნენ კვაჭანტირაძის სახელს.

— გასტენეთ! დაუმიზნეთ! ესროლეთ!

ურას ყვირილი ღობის ძირში შესწყდა. წითლები უცებ მიბრუნდნენ და გაიქცნენ. ბექობზე ათიოდე დაჭრილი და მოკლული დასტოვეს. იმავე დროს ტყვიის მფრქვევლის კაკანიც შესწყდა. კვაჭმა მოიხედა. გაბო ჩხუბიშვილი თავის იარაღს ზედ დაჰკვდომოდა. ორივე ხელი გაცხელებულ იარაღისთვის

მოეხვივნა და ისე საყვარელ ქალსავით ჩაჰხუტებიყო. თოვლიივით გაფითრებული ბესო შიქის დობეს მიჰყუდებიყო და დაპქრილ წვივს ისვევდა. ჭიპი ჭიპუნტირაძე აღარსად ჩანდა.

— ჯალილ, ბესოს უშველე!

თვითონ კვაჭი პავლოვისკენ გაიქცა. ლადი ჩიკინჯალაძე გულაღმა ეგდო. კვაჭმა მკერდზე ყური დაადო და ჭრილობა გაუშინჯა. მკვდარია! ბეკარევი პირქვე წაქცეულიყო. ისიც მკვდარია. კვაჭი პავლოვს მივარდა. ის ჰსუნთავს და ჰკვნესის. ცოცხალია, ცოცხალი! კვაჭმა პავლოვი ქოხში შეიტანა და ჭრილობები შეუხვია. ჯალილამ ბესო შემოიყვანა და დაიძახა:

— ალაჰ ილ ალაჰ! სითელი შაითანები სავიდნენ, კვაჩი-ბეგ! გამარჯობა ჩონია.

ბესო ტკივილისგან იღმიჭებოდა, კვაჭი კი თავჩაქინდრული იჯდა და დახოცილ მეგობრებს სტიროდა. გამარჯვების სიხარული დაავიწყდა. ხუთი ამხანაგი აკლდა, ხუთი ერთგული და ერთად შეზრდილი ამხანაგი!..

ისინი ველარ დაუბრუნდებიან თავიანთ დედ-მამას, ნათესავებს, მეგობრებს! საწყალი ლადი! საწყალი ჭიპი! საბრალო სედრაკა! ბეკარევი! გაბო! ყოველივე გათავდა მათთვის და ისინიც გათავდნენ ყველასთვის! გაბო და სედრაკა ველარ იქეიფებენ კაკლების ჩრდილში, ველარ იბანავებენ ლიახვის და ალაზნის სუფთა წყალში, ველარ ჩაეხუტებიან თვალეუეუნა ქალებს, ველარ ჩაიტკბარუნებენ პირებს მოთალით და კახურით, ჩახოხბილით და ჩიხირთმით, დოშით და მწვადით! მათი მოხუცი დედ-მამა გულის ფანცქალით ელოდება დაკარგულ შვილებს და წინანდებურად სწერენ ცრემლიან წერილებს.

— ჯალილ! — ოხვრით ამბობს კვაჭი. — სოფელში წადი და ათიოდე გლეხს დაუძახე. საფლავი გაუთხარონ.

კვაჭიც გავიდა და დახოცილებს ერთხელ კიდევ გადაჰხედა. გადაჰხედა და ეხლაღა მოაგონდა, რომ წეღან ჭიპის თვალი ვერ მოჰკრა. გაცხარებულ ბრძოლის დროს ჭიპი ისე წაიქცა, როგორც მოკლული ან მძიმედ დაჭრილი, ახლა კი... კვაჭმა ის ალაგი დაათვალიერა, სადაც ჭიპი წაიქცა და ერთი წვეთი სისხლიც ვერ იპოვა, თოვლში ნაფეხარი მოსჩანს. ალბათ დაიმალა სადმე.

— ჭიპი, სადა ხარ? ჭიპი!

პასუხი არ ისმის. უცებ კვაჭს ეჭვის ეშმაკი შეუძვრა გულ-

ში. უმალვე ქოხში შევარდა და განძეულს ეცა. ბარგი აქოთებული იყო. განძი აღარსად ჩანდა. სანამ გლეხები საფლავს სთხრიდნენ, კვაჭი სიბრაზით იხრჩობოდა:

— ჰოი, უმადურო! ორგულო!.. მოღალატევ! შერცხვეს კვაჭი თუ დედაშენი შენს საფლავზე არ ვატირო.

— დონდლუზ! — ბურტყუნებდა ჯალილა: კასი კი არა, ზალლია, ზალლი.

უცებ სოფელში თეთრების დიდი რაზმი შემოიჭრა. კვაჭი ეხლაღა მიხვდა წითელი მდევრის გაბრუნების მიზეზს: შორიდანვე დაენახათ დიდი რაზმის მოახლოვება და მორიდებიყვნენ.

— რა იყო, რა მოხდა? — ჰკითხა კვაჭს ყაზახთა ხარუნჟიმ.

— ვიბრძვით მეფის და დიდი რუსეთისთვის! — ოხრით მიუგო სილიბისტროს ერთამ და ძველებურად გაეჭიმა.

აქა ამბავი სამშობლოში დაბრუნებისა და ერთი კუბოს წამოღებისა

მეორე დღეს კვაჭმა თეთრების სარდალს დაწვრილებით უამბო თავის თავგადასავალი, ნანახი და გაგონილი. ოთხივენი ერთ პატარა ქალაქში გადაიყვანეს და სამკურნალოში დააწვინეს. კვაჭი და ჯალილა ერთ კვირაში მოკეთდნენ და სასტუმროში გადასახლდნენ, ხოლო დაჭრილი პავლოვი და ბესო იგვიანებდნენ: კვაჭი უფულობას სჩიოდა და ჭიპის სახელს ენიდან ვეღარ იშორებდა. ხშირად ამბობდა:

— ბესო! ჯალილ! დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: ვფიცავ ღმერთსა და ჩემს პატიოსნებას, რომ ვერ მოვისვენებ სანამ ჭიპის დედას შვილის საფლავზე არ ვატირებ.

ხანი გავიდა. ბესო და პავლოვიც მოსულიერდნენ, სამკურნალოდან გამოვიდნენ და ოთხივენი ოდესაში ჩავიდნენ. კვაჭმა უმალვე გაიხსენა შორეული წარსული, ჭაბუკობის ტკბილი დღეები, ორი უდარდელი წელიწადი, ჰოფშტეინი, რებეკა, ისაკა, სიდოროვი, მისი ქალიშვილი ვერა და მრავალი იმდროინდელი ნაცნობი და მეგობარი. ამ მოგონებამ კვაჭი ქალაქს მოსდო. იქაურობა მოირბინა, დაჰსუნა და საქმის ვითარება გა-

ზოძა. მაგრამ მას ლაღობა არ ეტყობოდა. მოკაკული და დაბნეული დადიოდა, რადგან ღრიური სახარჯოც გამოელია. როდესაც კვაჭს უფულობით გული მისდიოდა, ბესო გვერდით ამოუჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაშალა. ოთახს, ბესოს და კვაჭსაც სინათლე დაედოთ. ბესოს ხელზე ბეღურას კვერცხის ოდენა სხივმოსილი ათიოდე ბრილიანტი ედო.

— ეს განძი ამ დღისთვის გადავარჩინე,— აიღე, გამოგადგება. — სთქვა ბესომ.

— ბესო! ბესიკო! — წამოიძახა კვაჭმა და მეგობარს გადაეხვია. — მე რომ კვაჭი არ ვყოფილიყავი, უეჭველად ბესოობას ვინატრებდი. ჩემო ბესიკო!.. ბესია! — სიხარულისგან გაბალღდა, აიშალა, სასტუმრო აიკლო და რესტორანები გადაატრიალა. როდესაც დამშვიდდა, იქაურ ერთ სარდალს ეწვია და ასეთი ბაასი გაუბა:

— წითლები ჩვენი საერთო მტრები არიან. დღეს თქვენ დაგჯაბნიან, ხვალ საქართველოს ჯერიც დადგება. ჩვენ ბუნებრივი მოკავშირენი ვართ.

— მართალია. — დაუდასტურა „მოკავშირემ“.

— თქვენ სალდათები, აფიცრები, ნავთი, ბენზინი და ათასი რამე გჭირდებათ, ჩვენ კი, ფქვილი და სურსათი გვინდა, მაშასადამე...

იმ სარდალმა ჯერ კვაჭის ვინაობა გაიგო და მესამე დღეს მოურიგდა. სანამ ბესო კარგად მოკეთდებოდა, კვაჭი დღე და ღამეს გარეთ ატარებდა, თავისუფლად სუნთქავდა, რესტორანებში ისვენებდა, ყავახანებში ითენთებოდა და ძველ ნაცნობთა ამბებს აგროვებდა. ინსპექტორი პოფშტეინი ისევ ინსპექტორობდა, კაპიტანი სიდოროვი კაპიტნობდა, ხოლო მისი ქალიშვილი ვერა...

ოჰ, რა ძნელი ყოფილა ძველი ჭრილობის გაღიზიანება!

ერთ საღამოს კვაჭმა სათნოების დის ფორმაში გამოწყობილ ქალს მოჰკრა თვალი და უმალვე იცნო როდესღაც თავისი ვერა — დაბალი, ქერა და ფუნჩულა. ვერას გვერდით ათი წლის შავგვრემანი ბავშვი მისდევდა. კვაჭის შვილი! პირწავარდნილი კვაჭიკო! „ვინ არის მომავალი ბავშვის მამა, — კითხულობდნენ ათი წლის წინათ ადესელი სტუდენტები, — კვაჭი კვაჭანტირაძე თუ ჰავლაბრიანი?“ ეს საიდუმლოება მაშინ ვერ გამოარკვიეს, კვაჭმა კი მაშინაც იცოდა და ეხლაც ძალიან კარ-

გად იცის, რომ ის შავგვრემანი ბიჭი მისი სისხლი და ხორცია. პირსახეში ალმური აუვარდა და თავში სისხლი აუდუღდა. უმალვე დაღუნა თავი და ბარბაცით შევარდა მაღაზიაში.

რამდენიმე დღე გავიდა. მეგობრები წამოსასვლელად ემზადებოდნენ. კვაჭი მარტო იყო ოთახში. უცებ კარებში ჭიპის თავი და ჯალილას ხელი გამოჩნდა. ჭიპი ძალადობდა და კარებს ებღაუჭებოდა, მაგრამ კისერში წავლებულმა ხელმა ქიმუნჯი წაჰკრა და მობუზული ჭიპი შუა ოთახში შეაგდო. მერმე თვითონ ჯალილაც შემოვიდა. დინჯად ჩაჰკეტა კარები და დინჯადვე სთქვა:

— ქვაჩი-აღა, ჩიპი მოგიხვანე. ფისი რომ დასდე, ეხლა გააკეთე შენი საქმე.

— ჭიპი! — დაიღმუვლა კვაჭმა და ორი ნახტომით ზედ მიადგა.

— კვაჭი! — დაიკნავლა ჭიპიმ და ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა. — მე... მე დამნაშავე ვარ... მარა აფერი დამრჩა, ღმერთმანი, აფერი დამრჩა... წამართვეს, ყოლიფერი წამართვეს. მე... შენ... მე...

— მეც ნამდვილად გავიგე, რომ საართვეს, მაგრამ ჩიპი ნაინც დონღუზია, ამიტომ... — დაუმატა ჯალილამ და დაიმქლავა.

— კვაჭის რკინის მკლავები თავისთავად მოსხლტა და ჭიპის ყელზე ტკაცუნი მოიღო. იმავე წუთს ჯალილამაც ისკუპა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ორივენი მოშორდნენ ჭიპს, რომელიც, გაგუდული და თვალებამოცვარდნილი, გაჭიმული იწვა ისტაკზე.

— აბა, ჯალილ, შეახვიე

— უნდა სავილოთ ყურჯისტანში. — სთქვა ჯალილამ. — ფისი მიესი ალაჰსა, რომ დედამ უნდა ჩიპის საფლავზე იტიროსო, ამიტომ..

— ვიცი. შეახვიე. დედას უნდა ჩავუტანოთ.

ორი დღის შემდეგ კვაჭი, ბესო და ჯალილა „პუშკინ"-ზე ავიდნენ, რომელმაც ცხვირი საქართველოსკენ იბრუნა. კაპიტანმა სიდოროვმა და კვაჭმა თითქოს ერთმანეთი ვერ იცნეს. პავლოვიც განკურნების შემდეგ უნდა ტფილისში ჩამოსულიყო — ასე მორიგდნენ კვაჭი და თეთრი სარდალი.

ერთი კვირა კიდევ გავიდა. ერთ ღამეს გემმა ცხვირი ბათომს მოაბჯინა.

ქვაჭი, ქალალა და აკოჭლებული ბესო ბაქანზე იდგნენ და ცეცხლის ლარს გამოსცქეროდნენ.

ქვაჭს ის საღამო მოაგონდა, როცა თორმეტი წლის წინათ ახალგაზრდა ქვაჭი გემის ცხვირზე იდგა და ჩრდილოეთისკენ მისცურავდა. რა არ გადაჰხდა თორმეტ წელიწადში ქვაჭს! რამდენი ქვეყანა მოიარა! რამდენჯერ დაიჭრა და ისევ გაუშვა მოწყალე ბედი! მას, ძლევამოსილ რაინდს. ათჯერ და ოცჯერ შეეძლო გამარჯვების რაშზე შემჯდარიყო და ალმით, ზეიმით და ზათქით დაბრუნებულიყო თავის პატარა და ღარიბ სამშობლოში, სადაც ის ადვილად დაიჩემებდა პირველობას. მაგრამ მან უცხოთა შორის მეორე ალაგი, მუდმივ ხიფათთან ბრძოლა და ახალ-ახალი ლანდების დევნა ამჯობინა.ოჰ, რატომ არ დაუჯერა ხუთი წლის წინათ ქვაჭმა საწყალ გაბოს და სედრაკას! რატომ არ ალაგმა მაშინ თავაგლეჯილი ბედი! რატომ არ დაუბრუნდა მაშინ მდიდარი და ჯანსაღი ქვაჭი თავის პატარა ქერას! ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა მისი ცხოვრების ჩარხი, მისი და დანარჩენ მეგობრებისაც, რომელნიც ეხლა, ამ სიცივეში... შორს, სადღაც მინდორში... შავ მიწაში წვანან. ქვაჭი კი უკვე მოდუნებული, შერცხვენილი და ხელცარიელი, ეხლაღა უბრუნდება ხელცარიელსა და მოხუცებულ მშობლებს. თორმეტი წლის წინათ, როცა ფრთიანი ქვაჭი აი ამ ზღვაში მოსცურავდა, საბედო მარიხვარსკვლავი ქვაჭს უღიმოდა და გამარჯვებას ჰპირდებოდა. ეხლა კი იგი მკრთალად ციმციმებს და ოდნავლა ჰბჟუტავს. ქვაჭის გული იდუმალი მიზეზით ჰკვნესის. უცნაური სირცხვილის ჭია ჰღრღნის უძლებ შვილს, რომელმაც თავის ახალგაზრდობა და ძალ-ღონე სადღაც გაფლანგა და ეხლაღა მოიგონა ბებერი ძიძამიწა, რომელმაც აღზარდა და გამოკვება.

— ქვაჭი, რა დაგემართა? — ეკითხება ბესო, რომელმაც მთვარის შუქზე ქვაჭის შეჭმუხვნილი შუბლი და მთრთოლვარე ტუჩები დაინახა.

— არაფერი. — ეუბნება ხმის კანკალით ქვაჭი. — წავიდეთ, ბარგი შევკრათ.

ქვაჭს ჯერ მშობელ ქუთაისში უნდოდა ჩასულიყო და დედმამა ენახა, მაგრამ დილით სასტუმროში გაიგო, რომ სილიბისტროს ტფილისში მშვენიერი სახლი ეყიდნა და საბოლოოდ დედაქალაქში დასახლებულიყო.

— ალბათ იმ ფულით იყიდდა, შარშან რომ გამოვატანე პეტერიდან. — სთქვა კვაჭმა და ჯალილს მიუბრუნდა.— ჯალილ, ბარგი მოამზადე, ხვალ ქალაქში მივდივართ.

ჯალილმა ბარგი შეჰკრა, მერმე კვაჭს წინ აეტუზა, წაიფორხილა და ღიმილით უთხრა:

— ალა! ჯალილას სოტა ხნით სასვლა უნდა.

— საით, ჯალილ? სად მიდიხარ?

— მე ერთი ზმაზიჩი ვნახე. აქ არის. სტამბოლში მიდის. მეს მინდა სავიდე. სოტა უნდა მივუსარო, ბევრი ვსადო და ისევ თქონთან მივიდე,

კვაჭი დაღონდა.

— ბესო, ორნივა ვრჩებით! — მერმე ჯალილას მიუბრუნდა. — უშენობა გამიძნელდება, მაგრამ... რაკი ევრე მოგიფიქრებია... წადი, ჯალილ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.

— ჩოხ საღოლ, აღა! ჩოხ რაზიამ. ალაჰ იყოს თქონი შემსე. სალამათ, კნიაზჯან. მალე ისევ გაპოვნით, ეხლა კი სავალ, სალამათ!

ერთმანეთი გადაჰკოცნეს და დაშორდნენ.

ქუბოში ჩაჭედილი ჭიპი კვაჭმა წინა ღამითვე გაუგზავნა ბათომში გადმოსულ მშობლებს, ხოლო მეორე დღეს დასაფლავებას დაესწრო.

— კვაჭი, ნუ წახვალ. — მორიდებით უთხრა ბესომ.

— ფიცი ბოლომდე უნდა შესრულდეს, ბესო! — ცივად უპასუხა კვაჭმა. — დედის ტირილი უნდა ვნახო.

წავიდა და ნახა. ნოხუცებული დედ-მამა დარდისგან ფეხზე ძლივს იდგნენ. დედის კივილი ცასა სწვდებოდა. მამა გაუგებარს რასმეს ლუღლუღებდა.

— ხულიგნებმა დაახჩეს, — უთხრა კვაჭმა ჭიპის მშობლებს. — გვამი ძლივს ვიპოვე და წამოვიღე.

როდესაც ანდერძი აუგეს, კვაჭმა ლაპარაკი დაიწყო. ეს იყო მისი პირველი სიტყვა ახალ საქართველოში ნათქვამი.

— ძმაო ჭიპი! — ეძახოდა მეგობარს კვაჭი: — შენ მუდამ ქართველი იყავი სულით და გულით. ქართველი იყავი და სამშობლოსთვის იბრძოდი. და ამ ბრძოლაში დაიღია შენი უსაზღვრო გული და ჯვარცმული ცხოვრება. ვერაგმა მტერმა მუხთლად მოსპო შენი ლამაზი სიცოცხლე, მაგრამ შენი წმინდა ხსოვნა უკვდავი იქნება შენი მეგობრების და ხალხის გულში,

ხოლო მადლიერი სამშობლო ოქროს ასოებით ჩასწერს შენს სპეტაკ სახელს თავის მატიანეში და შენ გმირულ სიკვდილს საშვილიშვილო მაგალითად გადააქცევს. შენ კი, დაუვიწყარო ძმაო, მოისვენე შავს მიწაში, რამეთუ მიწა ხარ და მიწად იქეც! ჩვენ კი...

სიტყვა ქვითინით დაასრულა და ბარბაცით შეერია ხალხში.

იმ დღეს კვაჭმა ბათომი დაირბინა, ნაცნობები იპოვნა და ახალიც მრავლად შეიძინა. ხოლო მეორე დღეს დილით კუპეში შევიდა, გაზეთი გაშალა, ჭიპის ნეკროლოგი წაიკითხა და თავის სიტყვაც ჩაახულბულა. ბესოს ოდნავ გადაეჭარბებინა. დაეწერნა: ჭიპის გვამი ერთგულმა კვაჭმა შუა ზამთარში კიევიდან ადესამდე ზურგით და მარხილით გადმოიტანაო.

მარჯვე კაცი იყო ბესო შიქია!

კარი მეშვიდე

აქა ამბავი საკუთარ მიწაზე განავარდებისა

რაც უფრო ღრმად შედიოდა მატარებელი საქართველოს გულში, კვაჭსაც იმდენად ემატებოდა მღელვარება და მოუსვენრობა.

— აი ნატანები... საჯევახო... ზესტაფონი, სამტრედია, ჩემი სამტრედია! ისე მიცემს გული, თითქო დიდი ხნის უნახავ საყვარელთან მივდიოდე!

სამტრედიაში ჩამოხტა, სადგური შემოირბინა და ათიოდე ძველ ნაცნობს წააწყდა. ყველას გადაეხვია და ყველანი მოიკითხა:

— გამარჯობა, ბონდო!.. ვახლავარ ძალუა ძაბულის!.. რავა ხარ, ისიდორე?.. მე? აი დავბრუნდი, სამუდამოდ დავბრუნდი. მეც უნდა წევიმუშაო საქართველოსთვის. აწი ქალაქში მივდივარ, მარა მალე გნახავთ სამტრედიელებს და ქუთათურებს... მომიკითხეთ ყველანი, აბა, მშვიდობით! და მიმავალ ვაგონს შეახტა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ აიმაღლა:

— ზესტაფონი, აი ჩვენი რიონი! აგერ ქუთაისიც! ჩვენი პაწია ქუთაისი! თურმე დაცალიერდა საწყალი! თურმე მთელი ქუთაისი ტფილისში გადასახლებულა. მხოლოდ ერემო ლორთაძე და დანიელა ურია დარჩენილან. რა ლამაზი ხალხია ქართველი!.. რა ლამაზი ქვეყანაა საქართველო!

და „ქართველსა“ და „საქართველო!“ წარამარაც ისროდა, რომ ეპოქის შვილი იყო და ხარკს უხდიდა.

უკვე დაღამდა კვაჭმა შორიდან ტფილისის შუქს მოჰკრა თვალი და უარესად აღელდა. არსად და არასოდეს არ უგრძვნია მას ასეთი იდუმალი გულისღელვა და სულისშფოთვა. სადგურის ბაქანი გახარებულ ბავშვივით გაირბინა, ეტლში ჩაჯდა და მიაძახა:

— სოლოლაკისკენ! ნაბიჯით იარე.

რუსეთის მკვდარი ქალაქების შემდეგ დედაქალაქი პარიზად მოეჩვენა. უხვი შუქით მოფენილი ქუჩები ხალხით არის

გატენილი. ისევ მხიარული ლაყბობა და ჟრიამული. ცეცხლის ზღვაში უზარმაზარი ნავი კანდელივით აღმართული მამადავითი, რომელსაც ჯიღასავით დაუდგამს თავზე ელექტრონის ვარსკვლავების გვირგვინი.

გაიარეს კუკიის გრძელი ქუჩები, ვერის ხიდი, აღმართი და რუსთაველის ფართო ხეივანზე გავიდნენ. კვაჭი ვეღარ ისვენებს:

— ბესო, შეხედე! აი „ნოეს“ სასტუმრო... აი სახალხო სახლი!.. აგერ, ჩვენი მტკვარი!.. აი ოპერა... დრამა... ქაშვეთი... ჩემი „ორიანტი“... აი სასახლეც... მუზეუმი!... ჩვენია აწი ყოლიფერი, ბესო, ჩვენი!

ათიოდე წუთის შემდეგ კვაჭი დაფეთებულივით შევარდა საკუთარ სახლში და კინაღამ დაახრჩო სიხარულით აკივლებული მშობლები — სილიბისტრო, პუპი, ხუხუ და ნოტიო, რომელნიც ხან სტიროდნენ, ხან იცინოდნენ, გზადაბნეულივით დაბორიალებდნენ, გაუძლის სიხარულისაგან შტერდებოდნენ, ისევ კაკანებდნენ, ფუსფუსებდნენ, ყაყანებდნენ.

მეორე დღეს კვაჭმა მინისტრებს და ხელისუფლებს ჩამოუარა:

— გთხოვთ მიცნობდეთ: კვაჭი კვაჭანტირაძე გახლავართ, ეს-არის ეხლა დავბრუნდი წითელი ჯოჯოხეთიდან.

მისი სახელის ქუხილი შორეულ ჩრდილოეთიდან თურმე საქართველოშიც ისმოდა. ეს ქუხილი ვერცხლის ხმებით იყო შეზავებული. კვაჭის სახელი, შორეულ რუსეთში ოდნავ შეთხუპნული, საქართველოში უკვე პირმობანილი და გაკრიალებული ჩამოსულიყო.

სანამ კვაჭი დედ-მამის ალერსით დნებოდა და ხელისუფლებას თავის თავს აცნობდა, ჭკუამარჯვე შიქია ქალაქში დაძვრებოდა და კვაჭის სახელს ენიდან არ იშორებდა. კვაჭის ჩამოსვლის ამბავიც ელვასავით მოედო ტფილისს. ყველას და ყველგან მისი ჩამოსვლა ეკერა პირზე.

ერთი ჯგუფი ასე ჭორიკანობდა:

— ახალი ამბავი გაიგე? კვაჭი კვაჭანტირაძე ჩამოსულა.

— მართლა?.. მადლობა ღმერთს!

— თურმე ევროპის ბანკებში ორმოცი მილიონი ნაღდი დაუგროვებია.

— ორმოციც იქნება და ასიც!

— თურმე ის ფული აქ უნდა დაატრიალოს.

— მე ნამდვილს გეტყვით. თურმე ორი მილიონი მთავრობას უნდა ასესხოს, ოცი მილიონი გზებზე დახარჯოს, ორმოცი — ელექტრონ სადგურებზე. ოციოდე — ქარხნების მოწყობაზე, ათიოდე — სტიპენდიებზე და ორმოციოდე — ჯარზე. დამიჯერეთ, ეს ამბავი უეჭვო წყაროდან გავიგე.

მეორე ჯგუფშიც დაახლოვებით იგივეს იმეორებდნენ და კვაჭის წარსულს იგონებდნენ.

— კვაჭმა რუსეთი დღევანდელ ბედისგან ათი წლის წინათ გადაარჩინა. მეფეს გადადგომა უნდოდა. ვერავინ გადააჯერა. ბოლოს ეს საქმე კვაჭმა იკისრა და მეფე ტახტზე დასტოვა.

— ლონდონის და პარიზის ბირჟები ერთ კვირაში ყირამალა გადაატრიალა.

— ენვერ-ფაშამ რუსის მთელი ჯარი ტყვედ ჩაიგდო, მაგრამ კვაჭანტირაძემ ერთი მუჭა ქართველებით ბედი მოატრიალა, ოსმალთა ჯარი დაატყვევა და კინაღამ ენვერიც ხელში ჩაიგდო.

— ეგ არაფერი. ამერიკამ რუსეთს რამდენჯერმე გამოუგზავნა იარაღით დატვირთული გემები, მაგრამ გერმანელებმა ჩასძირეს. ბოლოს კვაჭანტირაძემ ეს საქმე იკისრა და ორმოცი გემი უვნებლად ჩამოიყვანა.

— ამბობენ ძალიან ნიჭიერი ფინანსისტიაო.

— ნიჭიერი კი არა, გენიოსია, გენიოსი!

— ბოლშევიკები თურმე ძალიან ამუშავებდნენ. კვაჭს ბრაზი მოუვიდა და ისე წაიყვანა საქმე, რომ მოსკოვის მთავრობა კინაღამ ერთ კვირაში დაიღუპა. გაუგეს, მაგრამ მაგანაც გაუგო და გამოიქცა. თან ხუთასი შეიარაღებული გამოჰყვა. მერმე მისი რაზმი ხუთი ათასამდე გაიზარდა. ზარბაზნებით იკაფავდნენ გზებს. წითლებს სამჯერ თუ ხუთჯერ წაართვეს კიევი, ხარკოვი და როსტოვი. მოსკოვზედაც მიდიოდა, მაგრამ დენიკინს ვერ მოურიგდა.

დენიკინი მონარქისტი იყო, კვაჭანტირაძე კი პირსუფთა რესპუბლიკანელი ყოფილა. თუ ეგრეა, უთქვამს კვაჭანტირაძეს, თეთრებსაც კისერი მოვიტეხიათ და წითლებსაცო, მოტრიალდა და წამოვიდა. წითლებსაც მუსრი გაავლო და

თეთრებსაც. ადესაც ძალით აიღო და თხუთმეტი გემი წამოიყვანა. ეხლა ის გემები ბათომშია.

— თურმე ის გემები, აუარებელი ფქვილით და იარაღით დატვირთული, საქართველოს შესწირა.

— მაშ, მალე თეთრი პურიც გვექნება!

ახალი იმედების ცეცხლი თანდათან ღვივდებოდა და მთელ კავკასიონსაც ედებოდა. სანამ ბესო ამ ცეცხლს გულმოდგინედ ჰბერავდა, კვაჭი ხელისუფლებს თვალებს უბამდა და წითლების და თეთრების ამბებს უამბობდა:

— რუსეთი დეიღუპა, ბატონო, დეიღუპა! ამ ქვეყანას ქრისტე ღმერთიც ველარ წამოაყენებს. წითელი რუსეთი ჩვენთვის ღვთის რისხვაა, თეთრი კი ღვთის კრულვაა.

სჯეროდა კვაჭის რუსეთის დაღუპვა? არა, არ სჯეროდა. „კუდი რომ მეიქნიოს, ესეც გვეყოფაო“, ამბობდა გულში. ხმამაღლა კი ამის თქმას ვერ ჰბედავდა, რადგან უმალვე წითელთა აგენტის სახელი გაუვარდებოდა, ეს კი ყველა გეგმებს ჩაუფუშავდა.

საღამოზე მან და ბესომ ქალაქი დაირბინეს.

ქართულ კლუბში საქველმოქმედო საღამო იყო. კვაჭმა უხვად გასცა წყალობა. „ძმური ნუგეშის“ ყავახანაში ლამაზი მოსამსახურე ქალები, — განათლებულნი და კეთილშობილნი, — უმალვე მიიზიდა დაძმური ბაასით და რაინდული ყოფაქცევით.

„ქიმერიონში“ პოეტების საღამოს წააწყდა, რომელნიც ყანწებით, ლექსებით და მოსაწვევ ქება-დიდებით დაუხვდნენ. ერთმანეთს ტკბილი სიტყვით მოუქონეს თავი, ჭრელი ხოტბა შეასხეს და ხელგაშლილი ღიმილით გაუღიმეს. მართალია, ერთმანეთის ცნობა არა ჰქონდათ, მაგრამ შორიდან პოეტების ფხიზელ ყურამდისაც მისულიყო ქართული რაინდის შექა-ქუხილი. მათ იქვე შეჰკრეს ხუთიოდე ტაეპი, მქუხარე ხმით წაუკითხეს, ასწიეს, გაჰბერეს და ოსტატი კვაჭი ისე გააბრუეს ქება-დიდების ლექსით, რომ მან აღტაცებით გაიფიქრა: „გაფასდი, კვაჭუნი, გაფასდი და ამ ჭაბუკებისგან ისწავლე გულის მოგების უძნელესი ხელოვნება“.

დაბნედილმა კვაჭმა უხვად გაიღო შესაწირავი, და თითო სტრიქონი თითო ნადიმის ფასად დაუჯდა.

გათენდა. ერთმანეთი ძლივს ამოიყვანეს ლანდების სარდაფიდან. ვინ ვის მიჰყავდა, ვინ ვის გაჰყვა და გააცილა, აღარავის ახსოვდა — არც პოეტებს და აღარც კვაჭანტირაძეს.

მეორე დღეს კვაჭი გაზეთებში კითხულობდა ბესოს ნაცოდვილარს: „განთქმული ფინანსისტი, ჩვენი თანამემამულე კვაჭი კვაჭანტირაძე საქართველოში დაბრუნდა. უკანასკნელ წელს მან წითელ ჯოჯოხეთში საოცარი და საშინელი ამბები განიცადა. ამის შესახებ ჩვენ ცალკე წერილს დავბეჭდავთ. ეხლა კი გულწრფელად ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან მოძმეს დედის კალთაში მოსვენებას და ნაყოფიერ შრომას ჩვენი ხალხის სასარგებლოდ და მამულის სადიდებლად“.

ასეთი მილოცვა შესაფერ პასუხს ელოდებოდა. იმავე დღეს კვაჭმა რედაქციები დაიარა, პრესის მუშაკები გაიცნო და თავის თავიც გააცნო. იმ დღიდან კვაჭი და გაზეთები ერთიმეორეს იდუმალი და ძმური სიმებით გადაებნენ, რომელნიც კვაჭის მიერ დროგამოშვებით საიდუმლო მალამოთი ლბებოდა, იწმინდებოდა.

კვაჭმა ერთ კვირაში ათასი ხილული და უხილავი ძაფი გააბა. ძველი ნაცნობები და ახალი მეგობრები თაფლიან კვაჭს ბუზებივით მოეხვივნენ. ყველანი თვალებსა და ჯიბეში შესცქეროდნენ და რაღაც სასწაულს მოელოდნენ. კვაჭი კი გაცხარებით ჰქსოვდა ბადეებს, ქვეყანას თვალს უხვევდა და ხელისუფლებისა და ფულისკენ მიაბიჯებდა.

ყორანაშვილი მას ქართული საქმეების გაკვეთილებს აძლევდა, ბესო შიქია უტყუარ ცნობებს აწვდიდა და კვაჭის ყოველდღიურ დარიგებას ასრულებდა, ხოლო დანარჩენნიც ერთგულად და თავგანწირვით ემსახურებოდნენ საერთო საქმეს, რომელიც დღეს თუ ხვალ უნდა გაზრდილიყო და ყველასთვის მეწველ ფურად გადაქცეულიყო.

კვაჭმა თვისი ხერხი და მუშაობის მეთოდი ძირფესვიანად შესცვალა. წითელ რუსეთში ნიშადურამოსმულივით დარბოდა და გამალებული ყბედობდა, აქ კი ჯერჯერობით პირზე კლიტე დაიდო და გარეთაც იშვიათად გამოდიოდა. სამაგიეროდ ბესო შიქიას და სხვათა წყალობით კვაჭანტირაძეზე დილით დილამდე სხვა ათი ათასი ლაპარაკობდა. ვინ მოუტანს საქართველოს თეთრ პურს? კვაჭი კვაჭანტირაძე.

ვინ ჩამოიტანს ევროპიდან ათასნაირ საქონელს? რა თქმა უნდა, კვაჭანტირაძე. ვინ გაამაგრებს ჩვენს ფულს, რომელსაც დღითი დღე ეკარგება ფასი? ისევ კვაჭანტირაძე. ვინ გაიტანს კავკასიიდან ხუთ წელიწადში დაგროვილ ნავთს, შავ ქვას, მატყლს, ბამბას, თამბაქოს, აბრეშუმის პარკს, ხე-ტყეს, ღვინოს და უამრავ სხვა საქონელს? კვაჭი, კვაჭი და მხოლოდ კვაჭი. ევროპასა და ამერიკაში ქალაქი არ არის, რომ იქაური ბანკირები, ვაჭრები და მრეწველნი კვაჭს არ იცნობდნენ და ძმასავით არ ენდობოდნენ. კვაჭმა ყველაფერი იცის! კვაჭი ყველაფერს მოახერხებს! კვაჭის ყველაფერი შეუძლიან!

ქართველი კრეზი* სოლოლაკის უბანში ცხოვრობს, საკუთარ სახლში, მეორე სართულში. ნუ მოერიდებით, მიდით და მიუტანეთ თქვენი ნდობა, ფული და საქონელი. კვაჭი ჯადოქარია. ერთ მანეთს ერთ თუმანს ასარგებლებს. ნუ მოერიდებით! მიდით! მიბრძანდით!

და კვაჭის კარლის სახლში ყოველდღე მიდიან და მიაქვთ, თვითონ კვაჭი საქმეზე ცოტას ლაპარაკობს, ისიც ბინდბუნდად. ის საქართველოში ახალი კაცია. აქაურ ეკონომიკაზე ბევრი არაფერი იცის, მაგრამ ის მტკიცედ იცის, რომ უცროდასარობის გამჟღავნება არ შეიძლება. საქონლის პატრონს ის ჰპირდება საქონლის გაყიდვას უმაღლეს ფასად, ფულის პატრონს — უდიდეს მოგებას. მხოლოდ სავაჭრო და საბანკო სააქციო საზოგადოების დაარსება და ფულის შეტანაა საჭირო. დანარჩენს კვაჭის მდივნები უტყვიან და ყოველგვარ ცნობასაც მისცემენ. ამისთვის დაიქირავა კვაჭმა სამი ახალი მდივანი — სომეხი, თათარი და ქართველი.

ბოლოს, როგორც იყო, ის ნადირიც მოვიდა, რომელსაც კვაჭი მოელოდა. ერთხელ მას ერთი ინგლისელი ეწვია — პირწითური ჯონ რაულინსონი. კვაჭმა და ჯონმა ერთ საათში გაათავეს საქმე. ფული და საზოგადო ხელმძღვანელობა ჯონისა იქნება, ხოლო ნდობა, ქსელი ტეხნიკა და აპარატი — კვაჭანტირაძისა.

არც კვაჭს და არც ჯონს საქმის გაჭიანურება არ უყვარდათ.

---

* ლეგენდარული ლიდიელი მეფე (VII ს. ქრ. დაბ-მდე). მისი სიმდიდრე ანდაზად გადაიქცა.

ამის შემდეგ ორი კვირა არც კი გავიდა, რომ თავისუფლების მოედანზე ერთი სახლის ზემო სართული ადლიანი ოქროს წარწერებით დამშვენდა: „სიბუნიონ ლიმიტედ კომპანი“, ხოლო ქვემო სართულში „ინგლის-კავკასიონის“ ბანკი გაიხსნა.

მოკლე ხანში კავკასიონი „სიბუნიონით“ მოიფინა და საქმეც ადუღდა. „სიბუნიონი“ ნაღდზე არ ჰყიდულობს საქონელს. მიეცით ნისიად თქვენი მატყლი და ბამბა, თამბაქო და ნავთი, ღვინო და პარკი. „სიბუნიონი“ გენდობათ თქვენ. ის გაიტანს თქვენს საქონელს ევროპაში გაყიდის და მერმე... ანგარიშს მერმე გაგისწორებსთ.

საქონლის დატვირთვას ძლივს ასწრობენ. საწყობები გატენილია. ასიოდე მოსამსახურე ფაცხლავ მუშაობს. ჯონ რაულინსონი ტფილისიდან ბაქომდე და ბაქოდან ლონდონამდე დაჰქრის. გაზეთებში ყოველდღე იბეჭდება: კვაჭანტირაძემ გაიტანა ოცი ათასი ფუთი მატყლი... გაჰყიდა სამოცი ათასი ფუთი თამბაქო... მოიტანა ასი ათასი ფუთი ფქვილი... იკისრა განაღდება სახელმწიფო ქონებისა... შესწირა ასი გირვანქა სტერლინგი... წავიდა... მოვიდა... თქვა... გამოთქვა... მიირთო... ეწვია... ნადიმი გამართა...

განკურნებული და თეთრეულ მანდატით აღჭურვილი პავლიკო მალე ჩამოვიდა ტფილისში და მუშაობა გააჩაღა. კვაჭმა თავის დაპირება პირნათლად შეასრულა. მან ათხოვა პავლიკოს თავისი ნდობა, გავლენა და აპარატი. „სიბუნიონი“ მხოლოდ ვაჭრებსა და კომერციულ დავალებას ასრულებს. ის ჰგზავნის ყირიმისკენ აფიცრებს, ნავთს, ბენზინს, ზეთს, ტანისამოსს და ასნაირ წვრილმანს და მსხვილმანს. რა ეპატ-ნავცემა კვაჭს, რომ ეს მასალა თეთრ ჯარს მისდის! რა მისი საქმეა პოლიტიკა! სამაგიეროდ მას თეთრი ფქვილი და მრავალნაირი სურსათი მოაქვს, რომელსაც სულაც არ ასდის სისხლის სუნი. არა, კვაჭი აღარ ერევა პოლიტიკაში.

ბძა ამბავი კვაჭის ომიანობისა

კვაჭი გასაფრენად იყო გამზადებული. მაგრამ სწორედ ამ დროს ორი ამბავი გაიგო: ხრხრიანცი თავის სასახლეს და ათი ათას ფუთ მატყლს ჩალის ფასად ჰყიდდა. კვაჭს ეშმაკები შეუჩნდნენ. დიდხანს იქნევდა ხელებს და დიდხანს ებრძოდა ცდუნების ეშმაკს, მაგრამ ბოლოს მაინც გაბრიყვდა. სთქვა: თუ თუშეთიდან მალე ჩამოვიტანე მატყლი და გავიტანე, ერთ-სამჯერ მაინც მოვიგებო, ხოლო სასახლე... უჰ, ის სასახლე! სამსართულიანი კოხტა სასახლე, კარიატიდებით მორთული, ბრინჯაოს აივნიანი, მოწითალო სვეტებიანი და მარმაროს კიბიანი! კვაჭს არასოდეს არ უვლია სხვის ჭკუაზე, მაგრამ მაინც გააბრიყვეს: ბესოს, პავლოვს, სილიბისტროს და პუპის დაუჯერა, ის სასახლე და მატყლი იყიდა და... ორივე ხელი დაიწვა.

კვაჭი და მისი ოჯახი უკვე სასახლეში გადასახლდნენ და ერთი ისეთი ნადიმი გამართეს, რომ იგი ეხლაც კი ახსოვთ კვაჭის მეგობრებს. მატყლის მოსატანად სამი კაცი წავიდა თუშეთში. ხრხრიანცმა კვაჭის ოქრო ჩაიჯიბა და მეორე დღესვე დაოთხილი გაიქცა საქართველოდან. გავიდა ერთი კვირა. ერთ დილას ბესო შევარდა კვაჭის საწოლში და უთხრა.

— კვაჭი, ადექი! წუხელს ომი დაწყებულა წითლებთან.

— ომი? მაშ დევიღუპე!

დიახ, კვაჭო, შენი შიში გამართლდა. ერთხელ კიდევ გიკარნახა სიმართლე შენმა დაგეშილმა ალღომ, ერთხელ კიდევ გასჭრა მომავლის წყვდიადი შენმა ნაცადმა თვალმა და ერთხელ კიდევ გაიგო შორიდან თოფისწამლის სუნი შენმა კალესილმა ცხვირმა. მაგრამ მაინც მოტყუვდი, რადგან სხვებს დაუჯერე. რა ოხრად გინდა ეხლა ეგ სასახლე? როგორ გაიტან ამ არევ-დარევაში თუშეთიდან ბათომამდე იმოდენა მატყლს? ტყუილად დარბიან ბესო და ათი დალალი. არავის არ უნდა შენი სასახლე, აღარც მატყლის მუშტარი იშოვება. კვაჭუნი, დაანებე თავი მატყლსაც და სასახლესაც. რაც ხელთ შეგრჩა, ეგეც თავსაყრელია შენთვის. დაანებე თავი შენს ჩოხუც დედ-მამას, კვაჭიკო! ეგენი როგორმე გაიტანენ თავიანთ დათოვლილ თავებს. ხუხუ და ნოტიოც უკვე სამარეში ჩადიან და დღეს თუ ხვალ უშენოდაც წაიყრიან მიწას.

შენი სამშობლო? საქართველო? რა მოგცა სამშობლომ? ვინ არის შენთვის იგი, ან რა ხარ შენ იმისთვის? „სიბუნიონი“? კონცესიები? საკომისიოდ გატანილი საქონელი და ათიოცდე გაიმასქნებული საქმე? ამას ხომ სხვაგანაც აკეთებდი, ასეთს ლუკმებს ხომ უცხოელნიც გაჩეჩებდნენ. აქ კი უბნის კომისრობაც არ შეგთავაზეს, რადგან შენ არ ეკუთვნოდი ხელისუფალთა მართლმადიდებელ ეკლესიას. შენ განსჭვრიტე მომავალი, შენ გააფრთხილე ხელისუფალნი და პირნათლად მოიხადე შენი ვალი. მაგრამ არავინ არ დაგიჯერა. მუქარაც კი შემოგითვალეს და კინაღამ საკუთარ ბუდიდან გიაფრინეს. გაიყოლე ბესო, წაიყვანე პავლოვი და ისევ მიეცი შენი თავი უცხოთა შორის ხეტიალსა და საქმეთა საგმიროთა გაიმასქნებას. აბა, წადი! წადი, სანამ დრო და გზა გაქვს, თორემ დაიგვიანებ და ინანებ! გასწი! გაფრინდი! ჩქარა, კვაჭი, ჩქარა!

რად დაეხეტები დაკარგული ბატივით ქუჩებში, კვაჭი? რას დაეძებ? რას აკვირდები? რა გაკვირვებს, რა გაოცებს? პირველსავე ბრძოლაში გამარჯვებული გვარდიელები დაიშალნენ და ქალაქს მოედვნენ? შინისკენ გზას ეძებენ? ეს გაკვირვებს განა! მაშ, რომ დამარცხდნენ, მაშინ რაღას იზმენ?

ზოგს ახალი ფეხსაცმელი აცვია და მაინც გაიძახის: სანამ ერთ წყვილს კიდევ არ მოგვცემთო, ომში არ წავალთო. თითო წყვილიც მიიღეს, ბაზარში გაიტანეს და გაჰყიდეს. ეხლა მესამე წყვილსაც მოითხოვენ. გიკვირს განა, კვაჭიკო! ნუ გიკვირს, ძმობილო, ნუ! შენ უფრო მეტი თანაზიარი გყოლია, ვიდრე აქამდე გეგონა. ფეხსაცმელი, ბრძოლის ველიდან წამოსვლა და შინ დაბრუნება მხოლოდ საბაბია გაწითლებულთათვის. იმიტომ არ იბრძვიან, რომ არა ჰსურთ, იმიტომ არა ჰსურთ, რომ თვითონაც წითლები არიან და თეთრ პურს, უფასო შაქარს, უბაჟო საქონელს, გადასახადების მოსპობას და წითელ სამოთხეში შესვლას ელოდებიან.

— სად არის ჯარი? სად არის ჩვენი სამოცდახუთი ათასი მხედარი?

ნურც ეგ გიკვირს, კვაჭი! სამოცდახუთი ათასი ქაღალდზე იყო დაწერილი ხაზინიდან ათჯერ მეტი ფულის გასატანად და შენისთანა გულუბრყვილო ხალხის დასამშვიდებლად.

— ჩვენ ინგლისურ თოფებს ვერა ვხმარობთ. რატომ აქამდე არ გვასწავლეთ ამ თოფების მოხმარება?

— ჩვენი ჰაეროპლანები ვერ აფრინდნენ, გარგოილი გვაგვიფუჭესო!

— წითლებმა ყველა ჩვენი საიდუმლოება იციან! საიდანა? როგორ? ვისგან?

დამშვიდდი, კვაჭი, გვიანღაა ყვირილი და თმების გლეჯა. შენ ჭკვიანი თქმულებანი გიყვარს. მაშ გაიხსენე: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“. ან კიდევ: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ან კიდევ: „ურემი რომ გადაბრუნდება...“

იცის კვაჭმა ეს ანდაზები, იცის! მაგრამ მისი ფიცხი გული მაინც ვერა სძლებს:

— ეს კი მეტისმეტია! ამოდენა სიყალბე! ამოდენა ტყუილი, ქვეყნის ასეთი გამასხარავება! საკუთარი თავის და ხალხის ასეთი უსირცხვილო მოტყუება! ჰოი, არამზადებო, სალახანებო! ფარისეველნო! ორგულნო და ორპირნო!

ნუ, კვაჭი, ნუ გაცხარდი მაგრე რიგად! კვილის მაგიერ თოფი აიღე, თავი დაჰლუნე და შენებურად ბრძოლის ველისკენ გასწი! რაღად ჰყოყმანობ? რამ გაგარინდა? გეშინიან? დემირ-თევზს სული გაგიქრა? უცხოსთვის სისხლი დაღვარე და შენიანებისთვის კი გენანება? თუ აგრეა, გუდა-ნაბადი აიკარი და საღგურზე გადი, გადი და აღარ მოიხედო, თორემ ვაი შენი ბრალი!

მორჩა! გათავდა! კვაჭი ვერ გაიქცევა! კვაჭი სირცხვილს ვერ ზიდავს სამარემდე! კვაჭმა თავის წმინდა ვალი უნდა მოიხადოს სამშობლოს წინაშე და მტერს პირში ბურთი უნდა ჩასჩაროს. კვაჭი აჩვენებს მხდალ ქალაჩუნებს, თუ როგორ კვდება კვაჭანტირაძე სამშობლოსათვის! აბა, ბესო, მოიტა თოფები და ვაზნები! ქურქიც! ყაბალახიც!.. დაუძახე ავტომობილს! სილიბისტრო, მშვიდობით! პუპი ნუ სტირი! ნოტიო, ხუხუ, გაჩუმდით! კვაჭმა ვალი უნდა მოიხადოს. ან გამარჯვებული დაბრუნდება, ან ცოცხალს ვეღარ ნახავთ. ჩააწყეთ ავტოში ღვინო და ჩაი, შაქარი, პური და ნამცხვარი; სიგარები და შამპანური, ძეხვი და ლორი! აბა, მშვიდობით! ბესო, ჩაჯექი! კოჯრისკენ! გასწი!.. მოუმატე!.. მიდი!

თოვლიან ზეგანიდან ყრუდ მოისმა ზარბაზნების ქუხილი,

ტყვიის მფრქვეველთა კაკანი და თოფების ჭახაჭუხი. კვაჭის ავტო გრეხილებიდან გადავიდა და ბრძოლის ველს უახლოვდებოდა. დაჭრილნი, დაღლილნი და სნეულნი თავდაღმა მოლასლასებენ. ზოგნი ორთვალაში წვანან, ზოგნი ცხენებს მოაჭენებენ, ჭრელად ჩაცმული ჭრელი ხალხი ზევით მიიწევს. ზოგნი ავტომობილით მიჰქრიან, ზოგნი ფეხით მიიჩქარიან. ნახევარი საათის შემდეგ კვაჭი ტაბახმელას პოზიციებს მიადგა.

სად არის ბრძოლის ველი?

აგერ, კვაჭი, მანდვეა, შენს თვალწინ... ასიოდე ნაბიჯზე. ყველანი იქით მირბიან, სადაც თოფის გრიალი, ხიშტების ჩახაჩუხი, ზარბაზნების ქუხილი და გახურებული ყიჟინი ისმის. კვაჭი, ნუ ჩამორჩი! ფეხი აგტკივდა? აკოჭლდი? ამ ბუჩქებს ამოეფარები და აქედან გაისვრი? კეთილი ეგრე იყოს. ოღონდ ჩვენებს არ მოახვედრო. აბა, დაუმიზნე!

— რახ-რახ-რახ!... რახ-რახ!

ხუთივე ვაზნა დასცალე? მერმე, რათ შესდექი? აქედან ვერა ჰხედავ? მაშ, მიდი! ახლოს მიდი! დასწყევლოს ღმერთმა როგორ აცივდა! კვაჭს ისე დაამძრა თითები, რომ თოფიც ვერ გაუტენია. კვაჭმა არ იცოდა, რომ აცივდებოდა, თორემ... კვაჭიკო, მებრძოლი ბრძოლაში გახურდებათ. თუ თოფი ვერ გაისროლე, ხიშტი მაინც მოუქნიე! ბუჩქებიდან გადი და ამხანაგებს მიეშველე. აბა, შედი! ათიოდე ნახტომით ბრძოლის შუაგულში ჩაერევი... ძაბრები ზარბაზნებს მიეტანნენ. აგერ, ერთი წაიქცა. მეორეც, მესამეც, მეათეც. აგერ, ერთი ხიშტით ჰოსდევს მეორეს. აი, აქეთაც: ორმა მებრძოლმა ხმლები გადააჭდიეს. აჰა კიდევ: ორმა მეომარმა ერთ დროს დაახალა ერთმანეთს რევოლვერი და ორივე გულაღმა დაეცა აგერ, ერთ მხედარს სამნი შემოეხვივნენ. კვაჭი უშველე! გადახტი! მანდედან მაინც ესროლე! გვიანღაა: ერთი მხედარი უკვე შოლტივით გაიშოტა.

რა დაგემართა, კვაჭანტირაძევ! რომელმა ბოროტმა სულმა აგიჩქროლა შიშით ეგ გული? ვინ შეგიკრა ეგ ხელ-ფეხი? მოიგონე დემირ-თეფე! სად არიან ის ღვთაებრივი ეშმაკები, მაშინ რომ ილდიზში შეგისხდნენ და ზეცამდე აგაფრინეს? სად არიან ის ალქაჯები, უკრაინის მინდვრებში რომ დაგაფრენდნენ? რად დაგანებეს ეხლა თავი? სწორედ მაშინ დაგ-

ტოვეს, როცა შენს საკუთარ მიწაზე საკუთარი თავისთვის იბრძვი? ეეჰ, კვაჭო, შენი სული დაცარიელებულა, შენნს გულში ურწმუნოების ყინული ჩაყრილა და შენი ტვინნი იჭვის ჭიას დაულრღნია. აგერ, შენი ავტო. ჩაჯექი და სილიბისტროს დაუბრუნდი, გულწასული პუპიც მოაბრუნე, სუხყუ და ნოტიოც დაამშვიდე. წადი, კვაჭი, გაბრუნდი. შენ შესცდი. არ უნდა ამოსულიყავი. აქ საშენო საქმე არ კეთდება.

წადი კვაჭიკო, წადი!

აქა ამბავი 25 თებერვლისა და კვაჭის ხელმეორედ გაწითლებისა

კვაჭო, ნუ გძინავს! ნუთუ არ გესმის თავჩაღუნული ჯარის ბაკაბუკი, ცხენების თქარათქური, ავტომობილების გუგუნი და ურმების ჭრაჭუნი? კვაჭო, გაიღვიძე! დედაქალი იცვლება. ყველანი მიდიან.

დილმისა და ავჭალის გზები გატენილია. მატარებელი მატარებელს მისდევს. ბავშვები და დედაკაცებიც დაფრთხიალან, ზურგზე ბოხჩები აუკიდიათ, იღლიებში ძონძები ამოუჩრიათ და თოვლ-ჭყაპში ძლივს მიძუნძულებენ. კვაჭუტი, გაიღვიძე!

მთელი ქალაქი ფეხზეა. ერთმანეთს აღვიძებენ, ურაკუნებენ ფანჯრებს და სამგზავროდ უძახიან. კვაჭის სასახლე მიყრუებულ ქუჩაშია, მაგრამ ის ქუჩაც აფუსფუსდა. უკვე ქათენდა. ცხრა დაჰკრა, ათიც. საცაა ტფილისში წითელი ჯარი შემოვა. ვისაც წასვლა შეეძლო, უკვე გაიქცა. ქუჩები ცარიელია. მხოლოდ კანტიკუნტად მოსჩანან თავჩაღუნული მშავალეპი, რომელნიც შეშინებულ თვალებს აცეცებენ და დამალვას ისწრაფვიან.

— კვაჭო, ადექი!

— რა ამბავია?? რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ ჩვენი მთავრობა და ჯარი ქალაქიდან გასულან.

— რას ამბობ, ბესო? როდის? რატომ ჩვენ არ გავიგეთ? რატომ არავინ შეგვატყობინა?

— ჩქარა ავტომობილს დაუძახეთ! ჩაჰყარეთ შიგ ტანი-

სამოსი, საცვალი, საბუთები! სილიბისტრო, აი ფული. ნუ შეშინდებით, პუპი, გაჩუმდი! კვაჭი მიდის, მაგრამ მალე მოგეშველებათ. არა, კვაჭი ეხლა ვერ წაგიყვანთ. მერმე, მერმე! აბა, მშვიდობით, ბესო, პავლე, წამოდით! სადგურისკენ!

უკანასკნელმა მატარებელმა კვაჭის თვალწინ გაიარა. კვაჭმა დაიგვიანა.

— შოფერო, ავჭალისკენ!

ღრმა ღელესთან წითელი ცხენოსნები სდგანან!

— მობრუნდი! მოაბრუნე! დიღმის გზით გასწი! გაუტიე! მოუმატე!

მიჰქრის კვაჭის ავტო, ისარივით გავარდა ვერის ხიდზე და სამხედრო გზით ჩქარივით გასრიალდა. თეთრ დუქანთან წითლები გადაეღობნენ:

— შოფერო, შესდექი! გაბრუნდი!

ავტო მოტრიალდა და უკანვე წამოვიდა. კვაჭი გაშტერებულია:

— საკვირველია! რატომ აქვე არ დაგვხვრიტეს! რად დაგვაბრუნეს?

— მაგასაც მოვესწრებით. — ანუგეშა პავლოვმა. — ეგენი არ ჩქარობენ. სულ ერთია, ყველა გზები მოგვიჭრეს.

სანამ შინ შევიდოდნენ, ხმა ალაოავის ამოუღია. ყველანი გაფითრებულნი იყვნენ და რაღაც უხილავ საშინელებას მოელოდნენ. ხოლო შინ რომ შევიდნენ, ყველას ენა დაექცა.

— კვაჭო, რას იტყვი? — ჰკითხა ბოლოს ბესომ ღრმად ჩაფიქრებულ კვაჭს, რომელიც ცხარე ბოლთას სცემდა.

— სთქვი რამე, გვირჩიე. — ჩაიკნავლა პავლოვმაც.

— ამეილე ხმა, შვილო კვაჭო, რეიზა გაჩუმებულხარ? — გამოაღვიძეს ფიქრებში წასული კვაჭი სილიბისტრომ და პუპიმ.

კვაჭი გამოფხიზლდა.

— ერთი თაბახი სქელი ქაღალდი და წითელი მელანი მომეცით.

უმალვე მიუტანეს.

— ბესო, მსხვილი ასოებით ქართულად და რუსულად დასწერე: „წითელ საქართველოს მეგობართა კავშირი"... გაათავე? ეხლა გაიტანე და გარედან ჩვენს კარებს გააკარი... დაიცა მევაახსხმდეთ. თუ ვინიცობაა სთქმელი იყოს, ყვე-

ლამ ასე სთქვით: კავშირი ერთი თვის წინად დაარსდა. მე თავმჯდომარე ვარ, ბესო და სილიბისტრო გამგეობის წევრები არიან, სხვებიც კავშირის წევრები ხართ. სულ სამასი წევრი გვყავს. ბესო, შენ დღესვე დაწერე წესდება. ხომ გახსოვს რევოლუციის დამხმარე საზოგადოების წესდება? ვინც შეგხვდესთ, ყველანი მოიყვანეთ და აი ამ ქაღალდზე მოაწერეთ ხელი. სამ დღეში სამასიც მოაწერს ხელს და სამი ათასიც. შენ წადი, ბესო, ეგ ქაღალდი გააკარი და ავტომობილსაც დაუძახე. პუპი!

— აქანე ვარ, შვილო.

— ჩემს საბანს წითელი პირი წააძვრე და მეიტა. აბა, ჩქარა! ნოტიო!

— მეც აქინე ვარ, შვილო.

— მეიტა ჩვენი დროშა, ჩვენი დიდი ეროვნული დროშა. აბა, დააჩქარეთ! სილიბისტრო!

— რა გინდა, შვილო?

— მეიტა შენი გრძელი ჯოხი.

სილიბისტრომ ჯოხი მიაწოდა. პუპიმ წითელი საბნის პირი. კვაჭმა აბრეშუმის საბმის პირი სიგანით ჯოხს მიაზომა და სთქვა:

— გამოდგება. აბრეშუმის დროშა არც მაგათ აქვთ. აბა, პუპი ამ ჯოხს მიაბი. ბესო, დაბრუნდი? აბა, შეხედე, ამისთანა დროშა მაგათაც არ ექნებათ. მგონი საცხა ოქროს ქაღალდი გვქონდა.

— რამდენიმე თაბახი გვაქვს.

— გამოსჭერი ხუთსხივიანი ვარსკვლავი და ამ დროშას შუაზე მიაკერე. დააჩქარე! ნოტიო, ქართული დროშა მონეცი.

ორი ადლის სიგრძე ეროვნული დროშა გამოართვა, ზემო კუთხეს თეთრი და შავი ამოხია, ამოხეულში წითელი ნაჭერი ჩააკერა და ეროვნული სამ ფეროვანი დროშა იმ დღის შესაფერ ფერად გადააკეთა.

— პუპი, ეს დროშა აივანზე გაიტანე და გამოჰფინე. ჰერმე მე დამჭირდება. ვინ არის, ზარს რომ აწკარუნებს? ბესო, კარი გაუღე.

კვაჭის მეზობლები იყვნენ — კოლია ცალიქაძე, გრიშა კალიძე და ვალოდია ჩორიშვილი. სამივე გაფითრებული და დამუნჯებული შემოვიდნენ და კვაჭს ჩამოეკიდნენ.

— გონს მოდით, რას დაფეთებულხართ! — გაბრაზდა კვა-ჭი. — ჭორებს ნუ აჰყვებით,. არაფერიც არ იქნება: კარგად ვიცნობ მაგ ხალხს. ასეთ დროს გამარჯვებულს უნდა დაუყ-ვავო, თავი იქნიო, „ბალი ალა“ იძახო, „ინტერნაციონალი“ იმღერო და პირსახე წითლად შეიღებო, მორჩა და გათავდა! აბა, მომყევით და მომბაძეთ.

ექვსივენი ავტომობილში ჩაიჭედნენ.

— ნავთლუღისკენ!

ბესო შიქია შოფერის გვერდით სდგას და ხელში საზ-ნისოდენა წითელი დროშა უჭირავს. ციციშვილის აღმართს რომ ასცდნენ, კვაჭის მიერ დარიგებულმა ბესომ ყვირილი დაიწყო:

— მოქალაქენო! მოგროვდით!.. მომყევით!.. დავუხვდეთ!.. ახალ მთავრობას მივესალმოთ!

ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილი ხალხი, დაშინებული და დაბ-ნეული, ნელ-ნელა გაჰყვა კვაჭის ავტოს. ავტო ნაბიჯით მი-დის. ხალხი თანდათან ემატება. ნავთლუღის მხრით ცხენო-სანთა მზვერავი რაზმი და წითელი ალამი მოსჩანდა. ის ალა-მი და კვაჭის უზარმაზარი დროშა ერთმანეთს უახლოვდე-ბიან.

— ამხანაგო! — ეკითხება კვაჭი რაზმის თავს. — ჩვენ დე-ლეგატები ვართ და გვინდა ახალ მთავრობას, ჯარის სარ-დალს და შტაბს მივესალმოთ. გვითხარით, სად არიან?

— მთავრობისა არაფერი ვიცი, შტაბი კი უკან მომდევს.

— ხალხო, დაირაზმეთ! — ბრძანებლობს კვაჭი — აქეთ მოიტათ ჭურ-მარილი! ჰამქრებო, წინ წამოიწიეთ! ვაჭრებო, თქვენ აქეთ დადექით... მეკურპანენო, ცოტა იქით მიიწიეთ. ბესო, ეგ დროშა მეტა, მოდიან. აბა, ურა-ა-ა-ა!!!

ურა-ა-ა! ურა-ა-ა! ისმის ზინზაჭაში ყვირილი.

— ამხანაგებო! — ჰქუხს ავტოზე შემდგარი კვაჭი. — მშვი-დობაში თქვენი მოსვლა. უკანონობით და შვიათით დატან-ჯული ქართველი პროლეტარიატი სამი წელიწადია ელოდე-ბოდა მაგ წითელ დროშას, რომელიც დღევანდელ დღიდან აქაც დაამყარებს მშრომელთა ბატონობას, ეროვნულ თავი-სუფლებას, სამართალს და მშვიდობას. მას მოაქვს მიწა გლე-ხისათვის, ძალაუფლება მუშისათვის და ძმობა ყველასათვის. სოციალ-მოღალატენი და კაპიტალის მინისტრები წავიდნენ

და აღარ დაბრუნდებიან. მობრძანდით, ამხანაგებო! მიიღეთ ჩვენგან ძმური სალამი და პურ-მარილი. თქვენი სტუმრობა და ჩვენი დახვედრა. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ურა-ა-ა-ა!!!

ერთხელ კიდევ იხუვლეს ურა, ერთხელ კიდევ ჰკრეს ცას ქუდები და ქალაქისაკენ მობრუნდნენ.

რამდენიმე დღეს კვაჭი ავტოს დააგრიალებდა. ძველის-ძველი მეგობრები და ნაცნობები გაიხსენა და არც უცნობებს მოერიდა. ახალმოსულებს ხან სადგურზე დაუხვდებოდა, ხან ბინას ეძებდა მათთვის, ხან ავეჯს შოულობდა, ხან სადილ-ვახშმებს აწყობდა და წვრილმანებსაც კადრულობდა.

სული კბილით ეჭირა. ნეტა არავინ გაიგოს, ან არავინ გაიხსენოს კვაჭის საქმენი საგმირონი, წითელ რუსეთში გაიმასქნებული. შორეული წარსულისა კვაჭს არ ეშინიან, რადგან იგი საქმიანობის ფარდით და თებერვლის გმირობით არის გადაფარებული.

მაგრამ ფრთხილად, კვაჭო, ფრთხილად, თორემ ხუმრობის დრო აღარ არის! შენი თავი კიტრის ფასადაც აღარა ღირს. ქუდმოგლეჯილი ნუ დარბიხარ, ყველას თვალში ნუ ეჩვენები, ქვეყანას შენის სახელით ნუ აყრუებ, თორემ ინანებ!

— მართალი ხარ, ბესო, — უთხრა მან ბესოს რამდენიმე დღის შემდეგ. — ჩრდილში უნდა შევიდე და გავჩუმდე, თორემ შარს მომდებენ. ჩუმად ვიმუშაოთ, თავი კისერზე შევინახოთ და ქონი დავიგროვოთ — აი, ეს არის ეხლანდელი ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი.

კვაჭმა ჩუმად წაიმუშავა და რამდენიმე დღის შემდეგ წინანდელ წარწერას ახალი წარწერა მიუმატა: „ხორცი წითელი ჯარისთვის".

ნაცნობებში ორი წითელი ხელისუფალი აირჩია და თავის გვერდით ჩაისახლა. ყოველ შემთხვევისათვის ორიოდე პაწაწა კომისიაშიც ჩაეწერა, ორიოდე პაწაწა მანდატი ჩაიდო ჯიბეში და დროებით დამშვიდდა. პავლოვი ტფილისს მოერიდა: თუშეთში წავიდა და კვაჭის მატყლს დააჯდა. ბესო შიქია ერთ კომისარიატში შეძვრა და სამეურნეო ნაწილის გამგებლობა იტვირთა.

ორიოდე დღეში ქალაქის იერი და მაჯისცემა გამოიცვალა. მუშები ხან მუშაობდნენ, ხან წითელი დროშებით დადიოდ-

ნენ. მოლაპარაკენი ლაპარაკობდნენ, მეეზოვენი ქუჩებს გვიდ-ნენ, მეეტლეები ეტლებს დააგრიალებდნენ, შოფრები გიჟე-ბივით დაჰქროდნენ, ქალაქს საყვირით აყრუებდნენ და დაყ-რუებულებს არხეინად სჭყლეტდნენ.

ასიოდე სახლი ახალი კანცელარიებით გაიტენა, ტფილი-სი ახალმოსულებით გაძღა და ყელამდე გაივსო. ქალაქი უზარმაზარს აშლილ სკას დაემსგავსა, სადაც უთავბოლო სუფრა იყო გაშლილი, ხოლო ფუტკრები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ კარგი ალაგები ეშოვნათ და მყუდროთ დამსხ-დარიყვნენ.

ყველგან ახალი ხალხი გაჩნდა. სარდაფიონი ზევით მიცო-ცავდა, ხოლო ზემოურნი ქვეით ჩადიოდნენ. რაც ქალაქში ლუქი მოიპოვებოდა, მაღაზიების, საწყობებისა და გაქცე-ულთა ბინების კარებებზე დაიხარჯა. აქაქები ახალი შტამპე-ბის და ბეჭდების გაკეთებით დაილივნენ, მეკურტნეხი, ცხე-ნები და ხარ-კამეჩებიც ბინებიდან ბინებში ავეჯეულობის ზიდვით დაიქანცნენ. უთვალავი ამწერი და გადამწერი საწ-ყობებსა და მაღაზიებში დაფუსფუსობდა და ცრემლმორეულ პატრონის თვალწინ მის საქონელს თვლიდა და იბარებდა. დიდი სახლები ქალაქის და მუშების ხელში გადადიოდნენ. აღრიცხვას დასასრული აღარა ჰქონდა. უამრავ ხალხს კაპა-ციცებით შეჰქონდა აღრიცხვის დავთრებში ქალაქში დაგრო-ვილი ქაღალდი, წიგნები, მანქანები, ნავთი, შაქარი, ფქვილი, მავთული, რკინეულობა, ხელოსნები, ექიმები, ინჟინრები, ცხენები, ძროხები, ფრინველი და ათასი წვრილმანი და მსხვილ-მანი საქონელი, ნივთი ოთხფეხი და ორფეხი.

კვაჭი ნიბლიასავით გატვრინდა. მისი სახელი, სახლი და ქონება თითქოს ყველას დაავიწყდა. „წითელ საქართველოს შეგობართა კავშირის“ პლაკატი ჯერჯერობით სჭრიდა და კვა-ჭის ბინის კარებში მფარველი ანგელოზივით იდგა „ხორცი წითელი ჯარისთვის“ სილიბისტროს წყალობით და ჭსნეობი-ისევ ხორცობდა. მაგრამ ერთხელ „ხორცის თავმჯდომარე“ კვაჭი ყაზარმაში დაიბარეს და მის მიერ დაკლული საქონელი აჩვენეს:

— ეს რა არის, ხარია თუ კამეჩი?

— ხარია, თუმცა...

— თუმცა კამეჩია, არა? აბა, ოქმი!

რას ჩააცივდით კვაჭს? დაანებეთ თავი და თვითონაც თავს დაგანებებსთ! ჯარიმა? კეთილი, ინებეთ და მშვიდობით ბრძანდებოდეთ! კვაჭის მაგივრად სხვა მოსძებნეთ! ის მოგიტანთ კამეჩის მაგივრად ძროხას და ძროხის მაგივრად ბატკანს. როგორ არა!

და იმ დღეს სხარტი კვაჭი ერთხელ კიდევ გამოძვრა ყულფიდან.

ხანი გავიდა. კვაჭის სახელი მთელმა ქვეყანამ დაივიწყა. მაგრამ ერთხელ ისევ გაიხსენეს. ვიღაც მუშები შინ ეწვივნენ და მოკლედ მოუჭრეს:

რამდენნი სცხოვრობთ ამ სართულში? ცხრანი? ცხრა ოთახში ცხრა სული? არ გეკუთვნით. უნდა შემოკლდეთ.

ბინა გაზომეს, იანგარიშეს, ცხრა სულს ხუთი ოთახი მიუჩინეს და ზედ დააყოლეს:

— ეგეც ბევრია ბურჟუებისთვის. გეყოთ რაც ჩვენი სისხლი სწუწნეთ!

— იყოს ნება თქვენი. ამისთვისაც დიდი მადლობელი ვარ, ამხანაგებო! — თავმდაბლად ჩაიკნავლა კვაჭმა, ხოლო გულში კბილები დააკრაჭუნა და დაიღრინა: „ჰოი ავაზაკებო! ყაჩაღებო! ღმერთმა ერთი დღით მაინც მომცეს ძალა და მაშინ გაჩვენებთ მადლობას!“

იმავე ხანებში პავლოვი ქალაქში შემოიპარა და კვაჭს უთხრა:

— მორჩა! მატყლი წაიღეს.

კვაჭმა ეს ამბავი ჯერ ვერც კი მოინელა და ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ პავლოვს ვიღაც მუშები მოჰყვნენ და რიხით განაცხადეს:

— ამ სახლში მუშები უნდა ჩასახლდნენ და ხვალვე დასცალეთ.

ღმერთო დიდებულო! ეს რა რისხვა დაატყდა კვაჭს! ხვალვე დასცალოს? მერმე, სად უნდა გადავიდეს?

— ძაღლის ხევში. იქ კოხტა ბინა დაგიმზადეთ.

იმ მყრალ სოროში? იმ ქოხებში? მართლაც რომ ძაღლის ხევია! მერმე რამდენ ოთახს აძლევენ ცხრა სულს?

— სამი ოთახი გეყოფათ. ეგეც ბევრია. გეყოთ, რაც ჩვენი სისხლი სწუწნეთ! ავეჯს ხელი არ ახლოთ, თორემ...

ეს კი მეტისმეტია! სახლიც, ბინაც და მატყლიც! ბარემ ვხავიც გაეხადნათ მისთვის, ესღა აკლდა კვაჭანტირაძეს.

— მე ორი მანდატი მაქვს, კომისიებში ვმუშაობ.

— შეინახეთ. მაგით თვალებს ვერ აგვიხვევთ.

რა დრო დადგა! მანდატებსაც ძალა დაეკარგა! არა, ამას ვერ მოითმენს კვაჭი! ოჰ, ხრხრიანც! როგორი გვარ-ჯიშიანია, სულიც ასეთი გექნება! გაიძვერავ! ჰარამზადავ! ჯამბაზო! იქნება ეხლა კვაჭის ფულით პარიზში ან სტამბოლში დაეხეტები? შხამად ის ფული, შხამად!

მართლა! ეს ბინა ხომ „წითელ საქართველოს მეგობართა საზოგადოებას“ ეკუთვნის! კინაღამ დაავიწყდა.

და ბესოს ნაჯღაბნი დავთრები და ოქმები ფარივით აიფარა:

— მე გამგეობის თავმჯდომარე გახლავართ. აი, სილიბისტრო კვაჭანტირაძე, აი, ბესარიონ შიქია. ესენი გამგეობის წევრები არიან. ჩვენ საბჭოთა მთავრობას განუზომელი სამსახური გავუწიეთ, მაგალითად...

ერთმა მუშამ კვაჭს შადრევანი დაუკეტა:

— ეგ ქაღალდები აქ მომეცით. იქ გაშინჯავენ.

ეს კი მართლა მეტისმეტი მოუვიდათ! კვაჭი ამას ვერ მოითმენს. ახლა მისი სანელებელი ფანჯრებს დატრიალდება, იჩივლებს, და თავისას გაიტანს. მაგრამ ვის ჩივის? ვისი ხელი წვდება? ბინძურ ორმოში, სადაც მხოლოდ ქათმები, ბაყაყები, ცხენები, ძროხები და ღორები ბინადრობენ! ეს კიდევ არაფერი. კვაჭი იქიდან მეორე დღესვე ამოძვრება, მაგრამ რას თუ ეწვევა კვაჭი? რაღა ღვთის წყრომაა! ბესო, შენ ხომ ჯანსაღი ხარ, სისხლი და იქაურობა გადაატრიალე! სილიბისტრო, შენ იცნობ ქუთაისელ მჟავაძეს? ეხლავე მოსძებნე და ძველი ვალი მოაგონე. პუპი, შენ შირაძის ცოლი ძაბული ინახულე და ამუშავე. მეც დავტრიალდები. აბა, ჩქარა! ხელი გაანძრიეთ, ნუ იცახნებით, თორემ ქუჩაში დარჩებით

სადამოზე ყველანი დაიმედებული დაბრუნდნენ. ყველამ რაღაც მოისხა და სილიბისტრომ ბარათი და დახმარების დაპირება მოიტანა. მეორე დღეს კვაჭის ბინას ხელმეორედ მიადგნენ.

— აბა, გამობრძანდით!

ვერ მოგართვით! აი, კომისრის წერილი! აი, კომუნისტის ბარათიც! აი, ბოლშევიკის ბრძანება! კვაჭმა ვუშინვე გაითავა საქმე. აბა, თქვენ თვითონვე გაბრძანდით აქედან!

ის ბარათები და წერილები კვაჭს თავზე გადააფხრიწეს და ყველანი პანტაპუნტით გამორეკეს, თან მცირეოდენი ხაბაკ-ხუბაკიც მიაყოლეს. ის ხაბაკი სწორედ ავტოში ჩაჰყარეს და მიაძახეს:

— აბა, ძაღლის ხევისკენ!

ბრძოლა გათავდა. კვაჭმა წააგო. სასტიკად დამარცხდა. მაგრამ მას უფრო დიდი ლოდი აწევს გულზე და ის ლოდი ეხლავე უნდა მოიხსნას, თორემ სამუდამოდ დაიღუპება! არა, ახირების ხერხი ვეღარ გასჭრის. კვაჭმა სხვა იარაღი უნდა ამოიღოს ქარქაშიდან.

და ამოიღო. უცებ ამაყი ქედი მოიდრიკა, ბამბასავით მოლბა და მელასავით თავი მოიკატუნა:

— კეთილი, ამხანაგებო, კეთილი. იყოს ნება თქვენი. მე დისციპლინის კაცი ვარ. მუშის სურვილი ჩემთვის უზენაესი კანონია, მაგრამ, ამ კაცს, ამ უბედურ მუშას რაღას ერჩით? — და განგებ გაჩანჩურებულ და გასაწყლებულ პავლოვზე მიუთითა, რომელიც კუთხეში ატუზული იდგა. ყველამ პავლოვს გადახედა. ერთმა ჰკითხა:

— თქვენ ვიღა ხართ? აქ რა გინდათ?

— მე? მე... კავშირის დარაჯი ვარ.

— დიაღ, ეს კაცი ჩვენი კავშირის დარაჯია. — დაუმოწმა კვაჭმა. — ძალიან გთხოვთ ამხანაგო, ეს ოთახი დაუთმოთ კავშირს. იგი დანარჩენ ბინას მოწყვეტილია, ჩვენ და თქვენ ერთმანეთს არ დავუშლით.

— ძალიან კარგი ოთახია, მაგრამ...

— დიაღ, კარგი ოთახია, ჩემი კაბინეტია.

— მაგრამ ავეჯს წაგართმევთ.

— იყოს ნება თქვენი, ოღონდ, — დაეღრიჯა კვაჭი, — ეს, პაწაწა ხალიჩაც მაპატიეთ, აი, ამ კედელზე რომ ჰკიდია... არ შეიძლება? ამის სანაცვლოდ ორ ასეთ ხალიჩას გიყიდით. ნუ გიკვირთ, ეს ხალიჩა ჩემი... ჩემი დანიშნულის სახსოვარია. ამის მეტი იმ უბედურისაგან არაფერი შემრჩა... ნადრევად მოკვდა საწყალი ამ ნოხზე. დიაღ, ამ ნოხზე მომიკვდა. ჩემი სათხოვარი ეს არის: ორი დღით დასტოვეთ ეს ნოხი ამ კედელზე. თუ ხვალ ან ზეგ სწორედ ასეთივე ან ამაზე უკეთესი არ მოგართვათ, ეს ნოხიც წაიღეთ, ეს ოთახიც და მეც შემარცხვინეთ.

— ადვილი საქმეა. მაშ ეს ხალიჩაც სიაში შევიტანოთ. თქვენ კი, ამხანაგო, — უთხრა მობუზულ პავლოვს, — ამ ოთახში დარჩით. აბა, გავათავოთ! ეხლა აქედან გაბრძანდით და თქვენი ფალას-ფულასიც გაიტანეთ.

და იმავე დღეს კვაჭი და მისი ჯალაბ-ჯულაბი ისეთ მყრალ სოროში შეაგდეს, რომ პუპის გული წაუვიდა, ხოლო ნოტიო გულსაკლავად აკივდა.

აქა ამბავი კვაჭის ერთგული სამსახურისა და ქალბატონ ნევის მოშველიებისა

კვაჭმა თავის ახალ „მდგმურებს“ მეორე დღესვე უკეთესი ხალიჩა მიუტანა, ხოლო კედლის ხალიჩა ისევ კედელზე დასტოვა. უთხრას კვაჭმა პავლოვს, რომ იმ ხალიჩის უკან, კედელში, რკინის სალარო ჩატანებული? უთხრას, რომ სალაროში ინახება კვაჭის განძი? არა, კვაჭი არაფერს არ ეტყვის. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. ვინ იცის იქნება პავლეს სულმა წასძლიოს. არა, არა! კვაჭი ჯერჯერობით გაჩუმდება, ხოლო ხშირად ივლის ამ ოთახში და განძს უთვალთვალებს.

ბესო ბინების აგენტებთან დარბის. დარბის და კოხტა ბინის საქმეს კოხტად აიმასქნებს. კვაჭი კბილებს აკრაჭუნებს, სილიბისტრო ბურტყუნებს, პუპა ცხარე ცრემლით იცრემლება, ხოლო ნოტიო შავი წყევლით იმუქრება.

ნუ იღრინები, კვაჭო! შენ რუსეთში მოინათლე წითელი მირონით. და რა გაკვირვებს? აღშფოთების მაგივრად გარემოებას შეეგუე; ლანძღვის მაგივრად ახალი შეითვისე და შენც შეეთვისე, მორჩა და გათავდა! აბა, დატრიალდი! შესძვერი და გამოსძვერი! გაიცინე, როდესაც გეტირება! იტირე, როცა გეცინება! აბა, შუბლი გაიშალე, ტუჩებზე ღიმი დაიბეჭდე, ენაზე შაქარი დაიყარე, კისერ დაღუნე და უმცროსი მღვდლის უფროსი თანაშემწის უღელში შეები!

ორი დღის შემდეგ კვაჭი არჩევანში იყო არ იცოდა, რომელი ადგილი მიეღო, — პირველი, მეორე თუ მეხუთე. ბოლოს სთქვა:

— ვიცნობ რა შვილებიც არიან. დიდ ალაგს მოგაჩეჩე-

ბენ და ხუთ ჯაშუშს მოგიყენებენ. ჩემისთანა პატიოსანი კაცკი ასეთ ალაგზე, ძალიან რომ გავჭიმო, ორ თვესაც ვერ გასძლებს. მერმე ჩეკა და... გათავდა! არა, ძამიავ, ვერ გამაბრიიყვებთ. მე პაწია კაცი ვარ და პაწია ალაგი მირჩევნია.

და პაწია კვაჭიკომ მართლა პაწია ალაგი აირჩია: ერთ მიყრუებულ უბნის მილიციაში ჩაჯდა და უჩინარ მოქალაქედ გადაიქცა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭი ისეთ ბინაში გადასახლდა, რომ არც წინათ დაიწუნებდა.

ზანტად, ფრთხილად და უგემურად მსახურობს კვაჭანტირაძე. ლბილი, თავაზიანი და გულკეთილი კომისარია. უფლების საზღვარს არ გადასცდება, აურზაურს ერიდება, ჩრდილში იმალება და თავისივე აღვირი მაგრად უჭირავს ხელში.

ძალიან ფრთხილობს კვაჭანტირაძე. ფეხის თითებზე დადის, ჩურჩულით ლაპარაკობს და ჯამბაზივით იკლაკნება. ორის თვალის ნაცვლად ოცი გამოიბა და ორი ყურის მაგივრად ათი წყვილი მიიბა. მისი ფხიზელი გონება საათივით მუშაობს. მხოლოდ ზოგჯერ, როცა გაუფრთხილებელ ნადირს მოიასწრობს წყვდიადში, ინდოელ მონადირესავით ისკუპებს და ისე კოხტად გაჰყვლეფს, რომ ის ნადირი დაწრიპინებასაც ვერ მოასწრებს. მაგრამ ირგვლივ მხოლოდ წვრილფეხა ნადირი მოსჩანს. ჭიჭყინაზე კვაჭი ხელს არ ისვრის, ორაგული კი ძალიან იშვიათად ჰხვდება.

— ფრთხილად იყავი, ბესო. ფრთხილად! — ხშირად ეუბნება კვაჭი თავის მეგობარს, რომელიც ყველაფერს ასწრობს: „ხავხოზობას", შუამავლობას და ათას წვრილმანსაც და მსხვილმანსაც.

„მეგობართა კავშირი" აღარ არსებობს. პავლოვი კი კავშირის ოთახს და კვაჭის განძს კვლავ სდარაჯობს. კვაჭმა რამდენჯერმე მოინდომა მისი გადმოტანა, მაგრამ ვერ გაჰბედა. სთქვა: „ამ ხალხს კაცი არ გადაურჩება გაუჩხრეკავი. ერთხელ მეც მომიგონებენ და გამატიტვლებენ. ისევ იქ იდოს, იქ ვერავინ მიაგნებს".

ფრთხილი ბესო დროგამოშვებით ეუბნება:

— კვაჭი, უცხოეთში წავიდეთ, თორემ გაგვაბამენ.

— მეიცა, ნუ ჩქარობ. ის განძი, სოლოლაკში რომ გვაქვს,

საცხოვრებლად გვეყოფა, მაგრამ ცხოვრებაც არის და ცხოვრებაც. ორიოდე საქმე გვაქვს დაწყებული. გავათავოთ და...

და ორიოდე საქმეს ახალი ოთხიოდე მოსდევდა, კვაჭი კი კვლავ იმეორებდა:

— ესეც გავათავოთ... ისიც გავაიმასქნათ.

ორი თვე ძლივს გაუძლო კვაჭმა კომისრობას. ერთხელ ვიღაც ალღო აუღეს, მის საქმიანობას დაჰსუნეს და უთხრეს:

— შემოკლდით!

კვაჭი „შემოკლდა": მეორე ადგილი იშოვნა — ხაზინაში ჩასახლდა.

ერთი თვე ძლივს გავიდა და —

— შეამცირეთ!

კვაჭი „შემცირდა": ქარხნის დირექტორობას მოჰკიდა ხელი და —

— გააგდეთ!

„გააგდეს": კვაჭი დიდ საწყობებს დააჯდა.

— დაითხოვეთ!

ათჯერ მაინც დაითხოვეს, მაგრამ მაინც მსახურობს და კვირაში ერთ ან ორ უზარმაზარ ანკეტას სწერს. ეკითხებიან:

„თქვენი მამის წინანდელი ხელობა?" პასუხი: „მიწის მუშა".

„წოდება"? — „გლეხი".

„თქვენი რევოლუციური წარსული?" — კვაჭი ერთ გვერდს ავსებს.

„სად იყავით 1917 წ. თებერვალში?" — „რევოლუციის შუაგულში".

„ოქტომბერში?" — „პეტერბურგში, წითლების გვერდით".

„რომელ პარტიაში მსახურობდით" — „არც ერთში. ოქტომბრის რევოლუციას ვეხმარებოდი".

„ეხლა რომელ პარტიას ეკუთვნით?" — „არც ერთს".

„რომელ პარტიას თანაუგრძნობთ?" — „მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტებს".

სწერს კვაჭი ერთგულების ანკეტებს და წერილებს, მაგრამ ისევ ასეთ პასუხს აძლევენ:

— გააგდეთ!.. დაითხოვეთ!.. ახლოს აღარ მიიკაროთ!..

რა ამბავია? რა მოხდა? რას ჩააცივდით კვაჭი კვაჭანტირაძეს! რად დასდევთ მეძებარივით! რად ერეკებით ყველგან

ჭირიან ძაღლსავით? თქვენს მეტს ამქვეყნად ცხოვრება აღარავის უნდა? პირში მაინც უთხარით დევნის მიზეზი!

კვაჭი თავადია? ტყუილია!

აზნაურია? ჭორია!

ვის გაუგია კვაჭანტირაძის თავადობა ან აზნაურობა? კვაჭი გლეხია, ნამდვილი გლეხი!

აშორდია? ეგეც ჭორია! თქვენ იანგარიშეთ, მაშინ კვაჭი ხუთი წლისაც არ იყო.

მეფის ნაბოძევი თავადობა? არც ეს არის მართალი. რუსეთში ყოველ ქართველს „კნიაზს" ეძახიან და კვაჭსაც აქეთ-ტომ მიაკერეს თავადის სახელი.

კამერ-იუნკრობა? რასპუტინის მეგობრობა? უმადურნო! განა კვაჭმა ათჯერ არ მოიხადა ეს ცოდვა? განა კვაჭმა ცოტა იმუშავა რევოლუციისთვის?

საბუთები? მოწმე? კეთილი და პატიოსანი. კვაჭი თუნდ ათას საბუთს წარმოადგენს და დაამტკიცებს, რომ...

ფრთხილად, კვაჭო! თავი დაანებე საბუთებს და დამტკიცებას, თორემ, თუ გამოძიება დააწყებინე, სადაც ხუთს კაიგებენ, იქ მეექვსესაც გამოსჩხრეკენ. თუ ერთ ოთახში შეიხედეს, მეორეში და მესამეშიც შეჰყოფენ თავს და მაშინ... თუ ტანთ გაგხადეს, პერანგსაც გაგაძრობენ და ისე გაგვატიტვლებენ, რომ ერთი წერტილიც არ დაგრჩება დამალული. დაანებე თავი წარსულს. ნუ გაუღებ გულს, ნუ გააბრაზებ ტანისამოსს, ნუ მისძვრები ბედის ყულფში, თორემ იგი აღარ გამოგაძვრენს და ისე შემოგიჭერს კისერზე, რომ შენი კვაჭობაც ვეღარ გიშველის!..

მაშ თქვენც დაანებეთ თავი კვაჭს და ისიც მოგშორდებათ. აღარ უნდა მას არც თქვენი სამსახური, არც თქვენი მადლობა, არც კომპარტიის კანდიდატობა და არც რევოლუციონერის სახელი. კვაჭი მოკვდა. კვაჭი აღარ არსებობს! მოსპეთ მისი საქმე! დახიეთ მისი განცხადებანი! ბუხარს შეუკეთეთ ეგ ქაღალდები! აი ეგრე... სწორედ ეგრე... მადლობელი. დიდი მადლობელი. ეხლა სამუდამოდ დაივიწყეთ კვაჭი და მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.

გამარჯვება, ქალბატონო ნეპ! მშვიდობაში შენი მოსვლა! კურთხეულ იყოს შენი დაბადების დღე. ძლივს არ განიბინა შავი წყვდიადი! დაბრძანდით, ქალბატონო ნეპ! გააღეთ მა-

ლააზიები! დაამტვრიეთ დუქნების დარაბები. ისეირნეთ დილით დილამდე და იქეიფეთ საღამოთ-საღამომდე! დაატრიალეთ რულეტი, გაშალეთ ცხრა და ბანჩოკი! იყიდეთ!.. გაჰყიდეთ!.. წააგეთ!.. მოიგეთ!.. დალიეთ, სჭამეთ! იცოცხლეთ და სხვაც აცოცხლეთ!

კვაჭი კვაჭანტირაძევ, მოგილოცავ აღდგომას! დაგიბრუნდა წარსული დრო. ხელ-ფეხი გაგიხსნა. აბა გადი და გაინავარდე! კვლავ აჩვენე ბედოვლათებს შენი ხერხი და კბილები, შენი რკინის კუნთები და მარდი ფეხები! გაშალე მძლავრი მკლავი, აიდუღე სპეტაკი ტვინი, გააბი აბრეშუმის ძაფები, დაავე ოქროს ხაფანგები და გადააგდე ჩიქორთული ბადე! აბაა, დატრიალდი! გაინავარდე! მაშ მარდად! ხელმარჯვედ! მიდი! დაჰკა!

და კვაჭი კვაჭანტირაძეც ისე ტრიალებს და მუშაობს, რომ იმის ნაფეხარს და ნახელარს კორიანტელი ასდის. კვლავ გაიცოცხლდა „სიბუნიონი", კვლავ გაიხსნა ხუთიოდე განყოფილება, კვლავ დაუბრუნდა კვაჭს მოსამსახურეთა ლაშქარი.

პავლე, შენ ბაქოში გადსახლდი და იქაური მატყლი, ნავთი, ხიზილალა, პარკი და ბამბა იყიდე. სილიბისტრო შენ პავლიოვის ოთახში გადადი და კვაჭის განძს მიეკარი, რომელსაც ხშირად მიეცემი და მიემატების, კოლია, შენ ბათომში წადი. ის ეხლა ნამდვილი ოქროს ორმოა. აბა, დატრიალდით! მობვევტეთ! მარდად! ყოჩაღად!

— ჯალილ, ჩემო ჯალილ! მადლობა ღმერთს, რომ დაბრუნდი. მოდი ჩავიხუტო.

— ალა კაჩი, მუქურ ალაჰა, ზალიან მიხარიან, რომ სოსხალი გნახე.

.. — სად იყავი, ჯალილ?!

— იქით იყავი. სოტა ფული ვიშოვნე.

— სად იქით, ჯალილ?

— იქით... სოტა სტამბული ვნახე სოტა სხვაგასაც დავიარე. მაშ სოსხალი ხარ, კნიაზ? მუქურ ალაჰა!

— ჯალილ, გინდა ისევ ჩემი ამხანაგი იყო?

— ჯალილა შენი ყარდაშია.

— მაშ მშვიდობაში შენი დაბრუნება. ხელი მოიტა. ეხლა კი დროა კლუბში წავიდეთ. მომყევი!

ერთხელ ბესო დაღვრემილი შემოვიდა კვაჭის ოთახში და დინჯად განაცხადა:

— ეხლა კი დევიღუპეთ.

— რა ამბავია, ბესო?

— პავლოვი გაიქცა.

— რას ამბობ, ბესო?

— გაიქცა მეთქი. გუშინწინ ჩაულაგებია ბარგი და წასულა.

— ის... ის განძი?

— რკინის სალარო გოუღია და ყოლიფერი წოუღია.

კვაჭმა ხმა ვეღარ ამოიღო. ბესო სდუმდა. ჯალილა თვალებს აბრიალებდა და საქმის განმარტებას ელოდებოდა; ბოლოს კვაჭმა წამოიწია და კრიჭაშეკრულმა სთქვა:

— მოემზადეთ. ჯალილ, შენ ბათომში წახვალ. ბესო, შენ კავკავში აიარე და იქიდან როსტოვში ადი. მე ბაქოში მივდივარ. აბა, ჩქარა! დღესვე მივდივართ. ჰეი, სალახანავ, თუ დაგიჭირე!

და სამივენი სამი გზით დაედევნენ პავლოვს, რომელიც მიწას ჩაეყლაპა.

ერთი კვირის შემდეგ კვაჭი ტფილისში დაბრუნდა. იმავე ხანებში ჯალილაც ჩამოვიდა და სთქვა:

— ის მამაძაღლი ვერ ვიპოვნე.

კიდევ ერთი კვირის შემდეგ ბესოც ჩამოვიდა.

— კვალიც კი ვერ მოვძებნე.

იმ დღიდან კვაჭი დღითი დღე ქვეითდებოდა. დარდმა ხელი დარია და ნაღველმა დაადნო. იმის თვალში ფულს ფასი დაეკარგა და ცხოვრებას მადა გამოელია. ზოგჯერ ჰარდით ნახტომით ერთ ქისა ოქროს შოულობდა, მაგრამ მეორე დღეს ერთი ოქროც აღარ რჩებოდა. მის ნაშუშევარს წინანდელი ნატიფობა აღარ ჰქონდა. კვაჭის უწინდელი მოქნილება, სხარტობა და სინათლე დააკლდა. გონება ხშირად ებურებოდა, თვალიც ვეღარ უჭრიდა და მის მიერ გამოსქნებულ საქმეს უხეში ხელი ემჩნეოდა.

პოლიტიკაზე ხმას ვეღარ იღებდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ მისი წარსული არ გამოჩხრიკა. ბოლოს სილიბისტროს შვილი ისე დადნა და დაძაბუნდა, რომ ჭარჯვ-

წინ და მარცხნივ თითო ოქროს სესხულობდა და ხვალინდელ დღეზედაც აღარ ჰფიქრობდა.

აქა ამბავი კვაჭის ნიშნობისა

— Ну, залетай! — შეფრინდი!

— მოითმინეთ, ამხანაგო, ძალიან ბნელა.

— Заходи, говорят тебе! — შედი-მეთქი!

ალექსი ირემაძემ ღრმად ამოიოხრა, გამბედაობა მოიკრიფა და წყვდიადში შეალაჯა. იმავე წუთს მის უკან კარები მიიხურა და კლიტის ჩხარუნი და მიმავალი დარაჯის მძიმე ჩექმების ბაკუნი მოისმა. მერმე ყველაფერი მიწყდა და მიჩუმდა.

უცებ სიბნელიდან მოისმა:

— ჰეი, რომელი ხარ მანდა?

ირემაძეს გაუხარდა. ჩავარდნილი ხმა ისევ იპოვნა და შებრალად დაიჩხავლა:

— მე ვარ, ტუსაღი. თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ, გზა მასწავლეთ.

— არც ღმერთი მწამს და არც ეშმაკი.

— თუ ღმერთი გწამთ — ჩაიბრიალა ისევ ირემაძემ.

— აქი გითხარით, ღმერთი არა მწამს-მეთქი, მაგრამ, თუ თამბაქო გაქვთ, გიშველით.

— თამბაქო წამართვეს.

— არ წაართვეს მათ ეშმაკმა... ჰმ... ვინც უნდა იყო, ყური მიგდე. კედელს ჩამოჰყევი და ოცი ნაბიჯი ჩამოთვალე. წელა, კიბე სველია. არ დაგორდე, თორემ ორმოში ჩავარდე-ბი., ჰა, მოდიხარ?

— მოვდივარ... — თან სთვლიდა: — ხუთი... ათი... თხუთ-მეტი!!. ოცი! ეხლა, პირდაპირ წამოვიდე?

— მანდ გაჩერდი. არ წამოხვიდე, თორემ ჭაში ჩავარდები.

— რას ამბობ, ძმობილო, აქ ჭას რა უნდა?

— არ. გაბედო-მეთქი, თორემ დეიღუპები. შუა სარდაფში ორმოა ამოთხრილი. ორმო გველებით, ხვლიკებით, ბაყაყებით და ჭინკებით არის სავსე. მარჯვნივ მოუარე და კედელ-

კედელ წამოდი. ხელი არ მოაცილო კედელს, არ დაიღუპო! აჰა, მეც მოვდივარ, სადა ხარ?

— აქა ვარ! — ჩაიკნავლა ირემაძემ და აცახცახებული ტანით სველ კედელს აეკრო, თან ჰბუტბუტებდა: — ღმერთი არა სწამთ? ეს რა უბედურებაა! ცოცხალი ადამიანის ჩაგდება უძირო ორმოში? გველების და ხვლიკების შესაჭმელად! ღმერთო დიდებულო, რა ბნელა!

და ფეხაკრეფით მიცოცავდა სიბნელეში, ხელ-ფეხს აფცათურებდა, ყოველ გოჯს ზომავდა და შინჯავდა.

— ფრთხილად, ძმობილო, ფრთხილად-მეთქი, თორემ უბედურება დატრიალდება. დღეს დილით ერთი სომეხი ჩავარდა. ჰა, სადა ხარ?

— აქა ვარ... მოვდივარ.

ბოლოს სიბნელეში ერთმანეთს დაეტაკნენ და ხელი ხელს მისცეს.

— გამარჯვება!

— ღმერთმა გაგიმარჯოს!

— აბა, მომყევი. ფრთხილად, კედელს ხელი არ მოაშორო.

ათიოდე ნაბიჯი გადასდგეს.

— სამშვიდობოს მოვედით. ეხლა დაჯექი და გვიამბე.

— დიდი მადლობელი ვარ. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. რა ბნელა!

— დაჯექი, შეეჩვევი. ეხლა გვიამბე, რა ამბავია ქალაქში? ერთი თვეა ცა არ დამინახავს.

— მაცალე, გენაცვა... წეღან რომ სთქვი, დილას ორმოში სომეხი ჩავარდაო...

იქვე ვიღაცამ ჩაიხითხითა.

— აქ კიდევ ვიღაც ყოფილა.

— რას იცინი, შე თათარო! — შეუტია პირველმა. — ერთი ვინმე თათარია, ჯალილა ჰქვიან. რას იცინი-მეთქი?

— თოგი... თოგმა ფეხი შეჯამა. ღმერთმანი შეჯამა.

— თათარო, ჩვენს ღმერთს ნუ ფიცულობ. თუ ფიცი გინდა, მაჰმადი დაიფიცე. ვირთაგვამ ფეხი მოგჭამა? გუშინ მე ქუდი მომპარა. სოროში შეეტანა.

— ვაიმე! — დაიკნავლა ამ დროს ირემაძემ და წამოხტა. — მუხლებზე უშველებელი ვირთაგვა შემახტა.

ორმა ტუსაღმა ისე გადიხარხარა, რომ კედლებმა ზანზა-რი დაიწყეს.

— თქვენ გეცინებათ, — შეჩვეულები ხართ, ზოგი კი მე-ცა მკითხეთ. — ჰბუტბუტებდა ირემაძე.

— დაჯექი, ძმობილო, დაჯექი. უნდა შეეჩვიო. ვირთაგვა ბულბულია გველებთან შედარებით! რაო? შეგეშინდა, განა! არა უშავს რა. შუაში ჩაგვიწექი. აი აგრე! ჯალილ, ახალ სტუმარს მანდედან გუფრთხილდი. ჩვენ მოგვლით. რაო, სომეხი? ჰო, მართლა, დილას ფეხი დაუცდა და ჩავარდა. კედელს მიეკარი, ქვეით არ დაცურდე, თორემ... ჩავარდა და გათავდა. ეხლა იმის ლეშს გველები და ჰინკები სჭამენ. რა სთქვი? ღრმა არისო? გეუბნები, უძიროა-მეთქი. აბა ყური დაუგდე. აი პატარა ქვა უნდა ჩავაგდო. ერთი, ორი, სამი! გადავაგდე.

ყველანი გაინაბნენ და ყური მიუგდეს. ათიოდე წამის შემდეგ ისეთი ყრუ ხმა მოისმა, თითქო კენჭი უძირო ორმო-ში ჩავარდაო.

— ღმერთო დიდებულო! — ამოიკვნესა ირემაძემ.

თათარი კვლავ ხითხითებდა.

— მაშ ასე, ძმობილო. კედელს რომ სამი ნაბიჯით მოს-ცილდე, სამ წუთში პაპაჩემთან გადასახლდები. ლეშის სუ-ნით ვიხრჩობით.

ირემაძემ ცხვირი აათამაშა.

— მართლა, ლეშის სუნი ტრიალებს. ვინ იცის, რამდენი გაუბედურდა!

— ვინ დასთვლის! ყური მიგდე, ბიძავ! აქაური კანონი უნდა ისწავლო, გამოგადგება. კარგად დაიხსომე: რასაც აქ ნახავ და გაიგებ, უდიდეს საიდუმლოებად უნდა შეინახო. თუ სადმე ხმა ამოიღე, შენი საქმე გათავდა: მაშინვე დაგი-ჭერენ და ამ ორმოში გიკრავენ თავს. გაიგე? კარგა დაიხ-სომე?

— ღმერთო, მიშველე! გავიგე და დავიხსომე. დიდი მად-ლობელი ვარ დარიგებისათვის. ქალაქშიც გამიგონია, ვითომ, თუ ვისმეს წამოსცდა რამე... ერთი სიტყვით, ბევრს ლაპა-რაკობენ აქაურობაზე.

— მართალი უთქვამთ. აქ ნანახი და გაგონილი სახელმ-წიფო საიდუმლოებად ითვლება. ყბედს ისე სჯიან, როგორც

მოღალატეს და ჯაშუშს. ეხლა შენ იცი, ბიძიავ, დანარჩენი შენი საქმეა.

— დიდი მადლობელი, გენაცვა. სამადლობელი ჩემზე იყოს. არც წინათ ვყოფილვარ ყბედი და ამ სიბერეში რაღა ღმერთი გამიწყრება!

— მართლა, ბიძიავ, ვინ ბრძანდები და რისთვის გარჯილხარ? დროა ერთმანეთი გავიცნოთ.

— ირემაძე ვარ, გენაცვა, ალექსი ირემაძე.

— ალექსი ირემაძე! დამიდგა თვალი! რატომ აქამდე არ მითხარით, გენაცვალოს ჩემი თავი! უი ჩემს შერცხვენას! ალექსი ირემაძე ამ სარდაფში?! ჩემი სილოვანის მამა! უიმე ჩემს თავს! ვაიმე, უბედურს!

და უცნობი ყბედი სიბნელეში დატრიალდა, დაფაცურდა: ხელებს აფათურებდა, თათარს უყვიროდა და უბრძანებდა:

— ჯალილ, ჩქარა! შენი პალტო მოიტა. აი ჩემი პალტოც. ქვეშ დაიგეთ, ბიძია ალექსი, თორემ გაცივდებით და რა ვუთხრა მერმე სილოვანს! აქეთ, ბიძიავ, აქეთ მოიწიეთ. უიმე, დამიდგა თვალი! რატომ აქამდე არ მითხარი, ბიძია! კიდამ ბიძია ალექსი ორმოში არ ჩავაგდე! ჯალილ, პური და წყალი მოიტა. რაო, პურიც გაათავე? ბოდიშს ვიხდი, ბიძიავ, პურიც ვერ მოგართვით. ვაი, სად შევხვდი ჩემი სილოვანის მამას! მე ვინა ვარ? სილოვანის საუკეთესო ძმა და მეგობარი, კვაჭი კვაჭანტირაძე გახლავართ. დიაღ, სწორედ ის კვაჭანტირაძე გახლავართ. შორიდან მიცნობთ? მე და სილოვანი ხუთ წელიწადს ერთად ვცხოვრობდით პეტერბურგში. ვენაცვალე სილოვანს! იმისთანა ძმაკაცი ქვეყანაზე არ მოიძებნება. ეხლა გერმანიაშია, არა? ვიცი, ბიძიავ, ვიცი. რომ მიდიოდა, ქალაქში არ ვიყავი, თორემ უჩემოდ ერთ საათს ვერ გასძლებდა. მეც გერმანიაში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ვერ მოხერხდა. ვენაცვალე სილოვანს, რა ყმაწვილია! რა ვაჟკაცია! საქართველოში ტოლი არა ჰყავს. ისეთი მეცნიერი გამოვა, რომ მთელ ქვეყანას აალაპარაკებს. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, ბიძია ალექსი. თუ გავმტყუნდე, ახლოსაც ალარ მიმიკაროთ. ვენაცვალე ჩემს სილოვანს!

კვაჭმა ათიოდე წუთში სხაპასხუპით აუწერა ირემაძეს თავის და სილოვანის საერთო ცხოვრება, სწავლა, არშიყობა, ბრძოლა, ციხე, გადასახლება, დაბრუნება და ათასი თავგა-

დასავალი. ვინ იცის, რამდენჯერ დასდო კვაჭმა თავი სილოვანისთვის, რამდენჯერ იხსნა სილოვანი სასიკვდილო ხიფათისგან! მართალია, სილოვანს მისი გროშები გაჰყვა, მაგრამ ასეთ წვრილმანზე ლაპარაკიც არა ღირს. რამდენია? სულ სამასი მანეთია. ნუ შეწუხდება ბიძია ალექსი. როცა სილოვანი დაბრუნდება, კვაჭი და სილოვანი გასწორდებიან.

მერმე შემდეგი გამოირკვა:

ალექსი ირემაძე, პატივცემული პედაგოგი, ათი დღის წინათ გაჩხრიკეს და რაღაც პროკლამაცია უპოვნეს. ალექსი გაჯიუტდა: ეს პროკლამაცია ვიღაცამ შემომიგდო, ხელში ავის მოუციაო, ამიტომ არავინ არ დაასახელა. გამომძიებელი დარწმუნებული იყო, რომ ალექსი პროკლამაციებს ავრცელებდა და, რადგან ალექსი არ გამოტყდა, სასჯელად ბნელ და ნესტიან სარდაფში ჩასვა. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი ყოფილა.

— ნამდვილად როგორ იყო საქმე?

— სულ უბრალოდ:

ხუთ აპრილს ალექსის გასათხოვარ ქალის ელენეს დაბადების დღე იყო. ალექსიმ ეხლაც ვახშამი გაუმართა. ათიოდე სტუმარი ჰყავდა. დრო კარგად გაატარეს. დილის ექვს საათზე დაიშალნენ.

ალექსი დაიხარა და კვაჭს ჩასჩურჩულა:

— ვიღაცამ მიჯაშუშა, ან იყბედა სადმე. მაბრალებენ: იმ ვახშამზე ის პროკლამაცია წავიკითხეთ.

— აბა რა უნდა დავუმალო ჩემი სილოვანის ძმა-მეგობარს! მართალია წავიკითხე, რამდენიმე ცალი მქონდა. სტუმრებსაც დავურიგე. ვიღაცამ დამღუპა.

კვაჭანტირაძემაც უამბო ალექსის თავის საქმე — უფრო მარტივი და უბრალო, ვიდრე ალექსისა იყო. გაზაფხულზე, ღამის ორ საათზე, წყნეთის ქუჩაზე ვიღაც სომეხი გაძარცვეს. ერთი თვის შემდეგ კვაჭს „[illegible]" სტაცეს ხელი და ამ სარდაფში ჩააგდეს. ეკითხებიან, ხუთ აპრილს ღამის ორ საათზე სად იყავიო. კვაჭს რა ახსოვს. ბავშვი ხომ არ არის, რომ დღიური სწეროს! ერთი თვე ჰფიქრობს და ვერ მოუგონია. სიკვდილით დასჯას ემუქრებიან. კვაჭის ბინის პატრონი, მისი ცოლი და მეგობრები ფიცით იმეორებენ: ძალიან კარგად გვახსოვს, რომ ხუთ აპრილს კვაჭანტირაძე

შინ არ ყოფილა. ალბათ პირი შეჰკრეს, კვაჭანტირაძეს დაღუპვა გადასწყვიტეს, რადგან სამივენი რეაქციონერები არიან, კვაჭი კი — მთელმა ქვეყანამ იცის, — რევოლუციონერია. ციხეშიც იჯდა, გადასახლებულიც იყო. აი, ნამდვილი მიზეზი მათი გადამტერებისა.

სასაცილოა! კვაჭი კვაჭანტირაძეს კაცის გაძარცვას აბრალებენ! ალბათ მთელი საქართველო იცინის. როგორ არა, სილიბისტრო კვაჭანტირაძემ იმიტომ დაახარჯა კვაჭს ერთი ურემი ოქრო და იმიტომ შემოატარა მთელი ქვეყანა, რომ კვაჭი ყაჩაღი გამოსულიყო! ვინ? კვაჭი კვაჭანტირაძე? ახახა! რატომ ქვეყანა არ გადაბრუნდება, ოხო-ხო!

კვაჭი უცებ გაჩუმდა. ალბათ ფიქრმა გაიტაცა. ალექსიმ ჯალილას გაუბა ლაპარაკი დამწყვდეულთა ბედ-იღბალზე, იქაურ წესრიგზე და ორმოზე. უცებ კვაჭი ალექსის სწვდა ხელში და თითქმის ატირდა:

— ბიძია ალექსი, მიშველეთ, დამეხმარეთ.

— როგორ, შვილო, როგორ გიშველო?

— ვენაცვალე სილოვანს, ბიძიაჯან. მის გულისთვის დამეხმარეთ, გადამარჩინეთ. მოხუცებული დედ-მამა და ათიოდე ნათესავი მყავს შესანახი. მეც ახალგაზრდა ვარ, თქვენი სილოვანის ტოლი. რა დროს ჩემი სიკვდილია! ვიცი რომ არ ამცდება. თქვენ შეგიძლიათ მიშველოთ, შეგიძლიანთ, შეგიძლიანთ... ბიძიავ, ბიძიაჯან...

თან ცრემლით უსველებდა და უკოცნიდა ხელებს.

ალექსის გული აუჩუყდა. ჩუმად აკოცა შუბლზე და თმაზე ხელი გადაუსვა.

— მითხარი, შე უბედურო, მითხარი. თუ შემიძლიან, გიშველი, როგორ არ გიშველი... ქრისტიანები ვართ, ძმები ვართ. სთქვი, როგორ გიშველო?

— თქვენ ხუთ აპრილს გქონდათ ვახშამი, არა?

— ჰო. ხუთ აპრილს, მერმე?

— მეც ხუთ აპრილს ჩავიდინე... ვითომ ხუთ აპრილს ღამის ორ საათზე გავძარცვე ის სომეხი. აქ უნდა მიშველოთ, ბიძიავ, მოწმედ უნდა დამიდგეთ. სთქვით, რომ მეც დავესწარი იმ ვახშამს. ბიძიაჯან. ვენაცვალე თქვენს ჭაღარას ასე სთქვით და მერმე ყმად გამიხადეთ.

— კეთილი, მაგრამ... ვახშამზე ათიოდე სტუმარი მყავდა.

— ეგ არაფერია, ბიძიაჯან. თუ მოინდომებთ, ყველაფერი გაკეთდება. ყური მიგდეთ... თქვენ დღეს თუ ხვალ გაგიშვებენ, უეჭველად გაგიშვებენ... მშველელი და დამხმარე ბევრი გყავთ. როცა გახვალთ, თქვენს სტუმრებს დაუარეთ და დაარიგეთ. ნუ დამღუპავენ, მიშველონ. სიკეთეს ყველას გადავუხდი... თქვენ რომ გახვალთ, ერთი კვირის შემდეგ მოვიგონებ და გამომძიებელსაც განვუცხადებ, — ხუთ აპრილს ირემაძესთან ვიყავი-თქვა.

— კეთილი, მაგრამ...

— მოითმინეთ, ბიძიავ, მოითმინეთ. სტუმრები ასე დაარიგეთ: სთქვან, ვახშამს კვაჭი კვაჭანტირაძეც დაესწროო. ოცდახუთმეტი წლისა ვარ, მაღალი, შავგვრემანი, თმახუჭუჭა, წვერმოპარსული ულვაშშეკრეჭილი. ნიკაპზე ჭრილობის დაღი მაქვს. ნუ გეშინიანთ, ვერავინაც ვერ გაიგებს, რომ ჩვენ აქ შევთანხმდით. ჩვენ ორივეს სხვადასხვა გამომძიებელი გვყავს. არხეინად ბრძანდებოდეთ. ეხლა მიბრძანეთ, ვინ გყავდათ სტუმრად?

— ვანო კალიაშვილი, ძუკუ ფიფია... ბესო გუგულია.

— გუგულიას და ფიფიას ვიცნობ. სხვები?

— პუპი ლომიძე, დარისპან შელიძე.

— ორივეს ვიცნობ, ბიძიაჯან, ვიცნობ! მერმე, მერმე?

— სილოვან შირაძე... მიხა ბეროშვილი... ტასო ალავიძე...

— ვიცნობ, ბიძიაჯან, თითქმის ყველას ვიცნობ! — იმეორებდა გახარებული კვაჭანტირაძე.

— კარგი, შვილო, კარგი. თუ გამიშვეს, ორ დღეში დავუვლი ყველას და დავარიგებ.

— კვაჭი სიხარულით ცას ეწეოდა, ალექსის თავს დასტრიალებდა და არ იცოდა როგორ ესიამოვნებინა. ჰყვიროდა:

— ჯალილ, შე თათარო, არ იცი ვის ელაპარაკები? ამისთანა განთქმული და ნასწავლი კაცი საქართველოში არ მოიპოვება. თათრებს რომ ასეთი კაცი ჰყოლოდათ, სულთანის ტახტზე აიყვანდნენ. ჯალილ! აქეთ მოიწიე, ბიძია ალექსი ორმოში არ ჩავარდეს, თორემ შენც თან მიგაყოლებ ბოლოში. ბიძიაჯან, დიდი ბოდიში! ვერაფრით გასიამოვნებ. ვაი ჩემს თავს! სად შევხვდი ბიძია ალექსის! არც საჭმელი, არც სასმელი, არც თამბაქო! რა ვქნა, ბიძიავ, თუ მიშველეთ და გავედი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

— [illegible]
მოვითმენ. თაგვები და ვირთაგვები მაწუხებენ, თორემ...

— ჯალილ, დატრიალდი! ერთიც არ მოუშვა, თორემ ვაი შენი ბრალი., აბა!

— თით! თით, თქვე ოხრებო! — იძახოდა ჯალილა, მიწას ხელს უტყაპუნებდა და კნაოდა: — მიაუ... მიაუ... მიაუ...

თან ყველანი გულიანად იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ.

— ჯალილ, შენი მარუსიას ამბავი უამბე ბიძია ალექსის! — სთქვა კვაჭანტირაძემ და წინდაწინვე დაიწყო სიცილი.

ჯალილაც ხან იცინოდა, ხან ოხრავდა, თავის თავს დასცინოდა, სინანულის ნიშნად შუბლზე ხელს იტყაპუნებდა და ამბობდა:

— ვაი ტუტუს! ტუტუს, დალი ჯალილ! ვაი, ვაი, ვაი!
ბოლოს თავის ამბავსაც მოჰყვა.

ჯალილა საქართველოში გაიზარდა, ხან მსახურობდა, ხან ვაჭრობდა, ხან აბანოს მოიჯარადრე იყო, თან ჩუმ-ჩუმად რევოლუციას ჰშველოდა და ოსმალებსაც რაღაც დახმარებას უწევდა. სპარსეთშიაც იყო, სათთარ-ხანის რაზმში, „უხელო ვლასა მგელაზემ“ წაიყვანა. იქ დიდხანს იხეტიალა და ნადავლით დაბრუნდა. მერმე ადესაში „სავიდა“ სავაჭროდ. გზაში „ალა კვაჩანტირაზეს“ შეხვდა და აეკიდა. მას აქეთ ერთად დადიოდნენ ამქვეყნად. ზოგჯერ ჯალილა კვაჭს ჩამოჩრჩებოდა ხოლმე და თავის გზით მიდიოდა, მაგრამ შემდეგ სადაც უნდა ყოფილიყო, მაინც კვაჭს მოსძებნიდა და ისევ აჰყვებოდა. ადრიანოპოლშიც იყო, ჩატალჯაშიც იბრძოდა, ტრიპოლელ არაბებსაც მიეშველა. მაგრამ იტალიელებმა დაატყვევეს. ისევ ნადავლით დაბრუნდა და ვაჭრობას მიჰყო ხელი. სად იყო ჯალილა მსოფლიო ომის დროს? კარგად არ ახსოვს. მოკლედ სჭრის:

— ქიით ვიყავი, სოტა ფული ვიშოვე.

საით იყო „ქიით“, — რუსეთისაკენ თუ ოსმალეთისკენ, — ან როგორ იშოვა „სოტა ფული“ — ჯალილა ამის გახსენებას ერიდება.

ჯალილა, როცა რუსების ჯარი შინ მიდიოდა, ყარსში გაჩნდა. ოსმალებმა რომ ბათომი აიღეს, ჯალილა ბათომის „ახლო“ იყო. ბაღდადის გმირი ხალილ-ფაშა რომ ტფილისში

ჩამოვიდა, ჯალილა წინ დაუხვდა და „ყულუღი" — სამსახური გაუწია. ნური ფაშასაც კარგად იცნობს, ქიაზიმ-ბეისაც, ყველას „სოტა ყულუღს" უწევდა. ყოჩაღი „ბიჩია" ჯალილა: ახალგაზრდა, ღონიერი, მარდი, გამრჯელი. ღვინოს არ სვამს და ქაღალდს არ თამაშობს. მხოლოდ კონიაკს სვამს „სამლად", რადგან „სიებ-სხელება" სჭირს. მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს: მეტისმეტად უყვარს რუსის ქერა ქალები. ვინ იცის, ქერა ქალებმა რამდენჯერ წააგებინეს „ჩკუა" ჯალილას, რამდენი ანანეს, რამდენჯერ გაფხიკეს და გაძარცვეს! ბევრჯერ დასდო „ფისი", ახლო აღარ მივეკარებიო, მაგრამ ვერ შეინახა. ბოლოს მაინც ქერა ქალმა მოსტეხა ჯალილას შავი კისერი.

ერთხელ, ორი კვირის წინათ, ჯალილა რომ ქუჩაში გამოვიდა, „კარების სინ" მზეთუნახავი ქერა ქალი დაუხვდა. ქალმა ჯალილას „ზალიან კარგი ფარსული" შალი შესთავაზა. ჯალილამ ქერა მზეთუნახავი შინ შეიპატიჟა, შერბეთი და ტკბილეულობა მიართვა. ყველაფერი მოხდა: „სისილი", „კოსნა", რხუნჯობა, დევნა-სირბილი, ალიაქოთი და აყალმაყალი. ტამბოველი მზეთუნახავი მაინც არ დანებდა. ჯალილამ ორი ოქრო „აშლია" ვერც ამან „გასჭრა". ქალმა „სისილ-ხარხარით" თითხები გადაუბრუნა ჯალილას, იქაურობა აუქოთა, სისხლი აუდუღა, დასწვა, დაღალა, თვალში გასწორა და.. „გაიქცა". იმავე დღეს ჯალილა ბნელ სარდაფში გადაასახლეს. თურმე ბულვარებში და ხვევნა-კოცნაში ტამბოველმა მარუსამ ჯალილას ერთი ქაღალდი ააცალა. ის ქაღალდი ჯალილას ხალილ-ფაშამ მისცა. წიგ „ესერო": ჯალილა „ჩინი კაცია", მან იცის „ზალიან უკეთ ყულუღი უყო" და „ქომაგი მეგობარი". ახლა რაგვარად ჯალილა და ეხლა „ქომაგი" ელის, მაგრამ მშველელი არსად არის ხჩანს. „ბიჭია ზალიან კარგი ქალია", იქნება მ რთლა დღეს-ხვალ გაუშვან... ჯალილა ბევრს არაფერს სთხოვს: ისეთი დეპეშა რომ გაგზავნოს ბაქოში — „ყების ქერა, მაშინდე ემინ-ალლის... ჯალილა „ზალიან" ავად არის" — ჯალილა ამას სიკვდილამდე არ დაივიწყებს.

ჯალილა თან სთხოვს და თან ემუქრება. ეთაკილება „უსინობი ბიჭის შეხუხება". ბოლოს ამბობს:

— ბიჭიკ, ფისი გაძლევ: თუ ალაჰმა კიდო მაჩონა სა

და დედამისა, ჯალილა ყულულს არ დაივიწყებს. ეხლა მეტი არაფერი, ფისი მოგესი.

ალექსი თხოვნის შესრულებას ჰპირდება. ჯალილა გუნებაზე მოდის. ოხუნჯობას პირი მოხსნა, მოლა ნასრედინას ამბები გადმოალაგა. ჩუმი და ტკბილი ხმით შიქჰასტა დაა ბაიათი სთქვა, გული აიჩუყა და ცოტა ცრემლიც გადმოღვარა.

მარუსას გახსენებაზე სარდაფში ისევ სიცილი, მასხრობაა და მხიარული ოხუნჯობა გაისმა. ბოლოს ჯალილამ ღრმად ამოიოხრა და სთქვა:

— ჩონ ვისინით, ალაჰ კი ყოლაფერს ხედავს. იქნება ეშმაკი გამოგზავნა: სადიკ-ოხერი ჯალილას სული მოიტანეოა. იქნება ამაღამ ჯალილა ალაჰთან სავიდეს... ალაჰ!

ჯალილას სიტყვებზე ყველას პირში ნერწყვი გაუშრა, შესცივდა, ქრუანტელმა დაუარა, ყველანი მიყუჩდნენ და თავ-თავიანთ ნაქარაში ჩაძვრნენ.

დიდი ხანი გავიდა. არავინ იცოდა, შუადღე იყო თუ საღამო, გარეთ ციოდა თუ ცხელოდა, წვიმდა თუ მზიანობდა. ხანგამოშვებით ისმოდა კვაჭის ცრემლიანი ხვეწნა-ჩურჩული:

— ჩემო ბიძიავ, გენაცვალე, შენი იმედით ვრჩები... თუ მიშველი, შენი ყმა ვიქნები.

და ბიძა ალექსის ბუტბუტი:

— ჰო, შვილო, ჰო! პირობას შეგისრულებ. რაკი მაგისთანა მეგობარი ყოფილხარ სილოვანის, ეგრე მოგივლია მისათვის და ძმად გაგიხდია...

კვაჭანტირაძეს აგონდებოდა ახალ-ახალი თავგადასავალი. სილოვანის გაჭირვება და მისი ძმური დახმარება.

უცებ კარების რახარუხი მოისმა. ყველამ ყური სცქვიტა.

— ალექსეი იოემაზე!

— აქა ვარ! აქ არის! — ზდეს!

— Вылетай!

ყველანი დაფაცურდნენ.

— ბიძია, შენი იმედით ვრჩები, მხოლოდ შენი იმედით....

— ჰო შვილო, ჰო! არხეინად იყავი. პირობას შეგისრულებ. მშვიდობით იყავი, ჩემო კვაჭი! მშვიდობით, ჯალილ!

— მშვიდობით, მშვიდობით. ჯალილ, ვუშველოთ. ფრთხილად, ბიძიაჯან, ორმოში არ ჩავარდე, თორემ დავიღუპებით.

ორივემ ალექსის ხელი წაავლეს დიდის სიფრთხილით გა-ნაცურეს კედლის ძირში და კიბეზედაც აიყვანეს.

— მშვიდობით! — ერთხელ კიდევ ამოიკვნესა კვაჭანტი-რაძემ და ტუჩები ალექსის ხელს მიადო.

— მშვიდობით, ბიზია... არ დაგავიწყდეს: ყუბის ქუჩა, მეჰმედ ემინ-ოღლის... ჯალილა ძალიან ავად არის.

— Ну вылетай! чаво еще там разлюнились-то! — აბა გამოფრინდით! რას აწუწუნებულხართ!

— მოვდივარ, ამხანაგო, მოვდივარ.

ირემაძე გავიდა. კარები ისევ ჩაიკეტა. კვაჭანტირაძემ და ჯალილამ ჯერ სიცილით აიკლეს სარდაფი ორმოსი, გველე-ბისა და ჭინკების ამბავი, რომელნიც ირემაძემ ასე ადვილად დაიჯერა, მერმე ისევ მიწვნენ თავიანთ კუთხეში და ისევ გააყვნენ ტუსაღების ოცნებას: თბილი მზე, მხიარული ქუჩა, იალხი, ლამაზი ქალები, მორთული ბინა, მეგობრები, ნათე-სავები, კარგი სადილი, რბილი საწოლი...

ალექსი ირემაძე კი ჩქარის ნაბიჯით მისცუნცულებდა. ქურდივით შეიპარა თავის სახლში. მისი ოცდაათი წლის ქალიშვილი ელენე სიცილ-ტირილით დაუხვდა ერთმანეთს ისე ჩაეხუტნენ. თითქოს ალექსი საიქიოდან დაბრუნდა. მამამ უამბო ელენეს, როგორ ის მთელ დღეს მშვენიერ ოთახ-ში მჯდარიყო, და დაუმატა.

— შვილო, ერთი ღვთისნიერი ადამიანი უნდა ვიხსნათ სიკვდილისგან. ჩვენს სილოვანს გულითადი მეგობარი ჰყო-ლია. ცნობილი კვაჭი კვაჭანტირაძე. ხუთი წელიწადი ერთად უცხოვრიათ მოსკოვში, საპყრობილეში და ციმბირში. ამ კვაჭანტირაძეს ჩვენი სილოვანი მრავალჯერ დაუხსნია დიდი ხიფათისგან. ის კვაჭანტირაძე, რომ არ დამხვედროდა, მე ცოცხალი ვეღარ დავბრუნდებოდი „იქიდან“. ეხლა თვითონ კვაჭანტირაძე ჩავარდა ხიფათში. დიდი ხიფათი მოელის. პა-ტიოსანი და ღვთისნიერი ადამიანია. კარგად დამიგდე ყური, შვილო! თუ ვინიცობაა გკითხოს ვინმემ, უთხარი ვიცნობ-დითქო. ხუთ აპრილს, შენი დაბადების დღე რომ იყო, კვაჭან-ტირაძე ვახშმად ჩვენთან იყო და დილამდე არ წასულა-თქო. მაღალი, 35 წლისა, შავგვრემანი, ულვაშგაკრეჭილი. ნიკაპზე ჭრილობა აქვს. კარგად დაიხსომე?

— კეთილი. მამაჯან, ვიტყვი. სხვა სტუმრები რაღას იტყვიან?

— ახლავე დავუვლი ყველას და დავარიგებ. თუ გინდა, ერთად წავიდეთ.

— წავიდეთ.

წავიდნენ. იმ საღამოს და მეორე დღეს ყველას ჩამოუარეს და დაარიგეს:

— მაღალი... შავგვრემანი... ნიკაპზე ჭრილობა აქვს. პატიოსანი და ღვთისნიერი ადამიანია.

იცნობენ კვაჭს? როგორ არ იცნობენ! მთელი ქვეყანა იცნობს: მაღალია, შავგვრემანი...

ყველამ თანხმობა მისცა. მერმე ალექსიმ ასეთი დეპეშა გაჰგზავნა ბაქოში: „...ჯალილა ძალიან ავად არის“.

რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭი კვაჭანტირაძე გამომძიებელმა დაიბარა. კვაჭი გახარებული შევარდა მის ოთახში და მიაძახა:

— მომაგონდა! მომაგონდა!

— რა მოგაგონდათ?

— ძლივს მომაგონდა, რომ ხუთ აპრილს საღამოს ცხრა საათიდან დილის ექვსამდე ვახშამზე ვიყავი ალექსი ირემაძესთან. — და დაწვრილებით აუწერა ის ვახშამი და ჩამოუთვალა ყველა სტუმარი: — ვასახელებ ალექსი ირემაძეს, იმის ქალიშვილს ელენეს და ათ სტუმარს. გთხოვთ ყველანი დაიბაროთ და გამოჰკითხოთ. ოქმიც დასწერეთ.

ეს ამბავი კვაჭანტირაძემ ისეთი სიცხარით, გულწრფელობით და სიცხადით აწერა, რომ გამომძიებელი შეყოყმანდა და აირ-დაირია. ოქმი დაიწერა, ხოლო კვაჭანტირაძე ისევ ბნელ სარდაფში ჩავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ალექსი, ელენე და მათი სტუმრები მართლა დაიბარეს. ყველამ შეთანხმებული ჩვენება მისცა, თითქოს კვაჭანტირაძეს ღამე მართლა იმ ვახშამზე გაუთენებინოს.

კვაჭი კვაჭანტირაძეს? ვინ არ იცნობს! ოცდათხუთმეტი წლისა, მაღალი, შავგვრემანი. ნიკაპზედაც ჭრილობა აქვს, არა?

— დიახ, ჭრილობაც აქვს.

— დილამდე ჩვენთან ერთად იყო. იმის მეტი აღარავინ

სჩანდა იმ საღამოს. იქაურობა აიკლო. იცეკვა, იმღერა, იქეფა და გამხიარულდა.

თორმეტმა კაცმა დაიფიცა, დაადასტურა და ოქმს ხელი მოაწერა.

ორი კვირის შემდეგ კვაჭი კვაჭანტირაძე ბარგი-ბურხანით შინ მიადგა ორემაძეს. ატყდა დიდი სიხარული, ლხენა და ზეიმი სიმღერით, ხვევნა-კოცნით და ვაი-ვუის ყვირილით. ალექსი და ელენე ისე დაუახლოვდნენ კვაჭანტირაძეს, როგორც ღვიძლ შვილსა და ძმას.

— ძალიან კარგი გიქნია, ჩემო კვაჭი, რომ იქიდან პირდაპირ ჩემთან მოსულხარ.

— რა ვქნა, ბიძიაჯან, ბარემ არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ ვეღარ მოვითმინე. მადლობის გადადება რა საკადრისია!

მრავალი მოკითხვისა და საუზმის შემდეგ კვაჭანტირაძემ გაბედულად და რიხით უთხრა ალექსის:

— ბიძიავ, რომ გამაგდოთ მაინც ვერსად წავალ. ოთახი წამართვეს. ბინა უნდა მომცეთ ერთი კვირით და ცოტა ფულიც უნდა მასესხოთ. დედაჩემი სოხუმში წასულა სახლის გასაყიდად.

— კეთილი, ჩემო კვაჭი, დამითმია ჩემი კაბინეტი. ფული რამდენი გინდა?

— ლირებით ან ოქროთი მიანგარიშეთ. ტანისამოსი შემომელპა. ბინის პატრონმა გამქურდა. ყველაფერი დავკარგე. ორი ათასი მანეთის ზარალი მომივიდა. ვიჩივლე, ცოლ-ქმარი დაიჭირეს. თითქმის ყველაფერი იპოვეს, მაგრამ, ხომ იცით, რა ხალხი აქვთ ბოლშევიკებს. დაგვიმტკიცე, საიდან და როგორ შეიძინეო.

ისეც რომ არ იყოს, კვაჭანტირაძეს მრავალი სიმდიდრე აქვს: დიდი სასახლე სოლოლაკში... ალექსიმაც იცის ის სასახლე, განა! გარდა ამისა კვაჭს ოთხი მშვენიერი სახლი ჰქონდა ბათომში და სოხუმში. ორი ჩამოართვეს, ორი კი შერჩა. გარდა ამისა გურიასა, სამეგრელოსა და სოხუმში სამი ბაღი აქვს, ორი სამხერხავო და მრავალი სხვა ქონება, მაგრამ...

— ხომ მოგეხსენებათ დღევანდელი ამბები: სამი მოსამსახური და დედაჩემი — საწყალი მოხუცი! — ამოდენა ქონ-

ნებას დასდევენ. ხახევარზე მეტი დავაბრუნეთ, დანარჩენსაც მალე დავაბრუნებთ.

გარდა ამისა ამხანაგებში ოცი ათასი მანეთი აქვს გასესხებული.

ერთი სიტყვით, კვაჭი კვაჭანტირაძეს „ჯერჯერობით“ არ ილირაც ეყოფა. ალექსიმ ჯერჯერობით ორმოცდაათი მისცა, დანარჩენს საღამოზე ისესხებს და მისცემს.

საღამოზე კვაჭანტირაძემ ალექსი და ელენე ჯერ სასტუმროში დაპატიჟა, მერმე ბაღში წაიყვანა და ვახშამი აჭამა. იმ დღიდან კვაჭი მათი ოჯახის წევრი გახდა. ერთმანეთს აღარ ერიდებოდნენ და გასაყოფიც თითქოს აღარაფერი არა ჰქონდათ.

კვაჭანტირაძე სხვებზე ადრე დგებოდა, ოჯახში უსაქმოდ ერთ საათს არ გაჩერდებოდა, სულ ტრიალებდა, ფუსფუსებდა. გატეხილი თუ რამე იყო — შეაკეთებდა, დააკოწიწებდა. ალექსის დიდის მადლობით გადაუხადა ვალი, თან უცაბედად ერთი დასტა ლირები გამოაჩინა და დაუმატა:

— ცოტა ვალი დამიბრუნეს, დანარჩენი საქმეში მოვიგე.

და ეს ცოტა იმდენად გამოაჩინა, რომ ირემაძეს თვალები შუბლზე აუვარდა.

კვაჭი და ელენე ხშირად სხდებოდნენ კუთხეში განმარტოებით, ხან სასეირნოდ დადიოდნენ. მალე ხანში შესულ ელენეს დიდი ცვლილება დაეტყო. დაბნეული დადიოდა, ყველაფერს ივიწყებდა, შფოთავდა და, როცა კვაჭანტირაძე შინ არ იყო, მთელი საათობით განმარტოებით იჯდა და რაღაცას ფიქრობდა.

კვაჭმა მალე სხვა ბინაზე გადასვლა დააპირა, მაგრამ არ გაუშვეს. ერთხელ ალექსის უთხრა:

— ბიძიავ, თქვენი სახლი უწინ ოცი ათასი მანეთი ღირდა, ეხლა კი სამ ათასსაც ძლივს მოგცემენ.

— სამი კი არა, ორიც რომ მომცენ, მივცემ. შენჯავრდა ეს სახლი. სისხლი გამიშრო და დამაბერა. ხუთი წელიწადია ერთი მანეთიც არ მოუცია, ჩემი ჯამაგირის მესამედი სახლზე მეხარჯება. დიდი ხანია დავაპირე გამეყიდა, მაგრამ ელენეს არ უნდა. რა ვქნა, მაგის მზითევია და...

— ეხლა ორი ათასი მანეთი თვეში. სულ ცოტა, ათას მანეთს მაინც მოიგებს.

— მეც მაგას ვამბობ, მაგრამ რა ვქნა, ვაჭარი არა ვარ და არც სილოვანი მყავს აქ.

კვაჭანტირაძემ ნელ-ნელა მოამზადა ალექსი. კვაჭმა კარგად იცის ვაჭრობის საქმე, გამოცდილება დიდი აქვს სოხუმში საუკეთესო საქმე ჰქონდა, მაგრამ არ დააყენეს. ეხლაც ხშირად სხვის საქონელს ჰყიდის, ყიდულობს და მაინც დიდ ფულს იგებს. ამხანაგი ჰყავს ქვემო ბაზარში. გაკოტრდა. ნახევარ ფასში ჰყიდის საქონელს, რადგან ჩქარობს. რომ ჩაიბარო და შეინახო, კარგი იქნება.

ჩავიდნენ და ნახეს. ალექსიმ ერთი ნაცნობი ვაჭარი წაიყვანა. საქონელი და დუქანი მართლა ნახევარ ფასში იყიდებოდა

ალექსი ჩაფიქრდა. გაკოტრებული ვაჭარი ჩქარობდა. კვაჭანტირაძე ამბობდა:

— გადასწყვიტეთ, ბატონო, მე ორი ათასი ლირა შემაქვს ამ საქმეში. ამხანაგი ბევრი მყავს, მეხვეწებიან, აღარ მისვენებენ.

ელენე კვაჭანტირაძეს მიემხრო და ჯერ გაუბედავად, მერმე კი დაჟინებით მოითხოვა სახლის გაყიდვა, ელენე მოლარედ დადგება. კვაჭი ივაჭრებს, ალექსი კონტროლს გაუწევს, კვირაში ერთხელ წიგნებს გადაათვალიერებს.

წინათ ელენე ებღაუჭებოდა სახლს, ეხლა კი ალექსი ჩაფიქრდა. ერთი კვირის შემდეგ ალექსი და ელენე კვაჭანტირაძემ ხელმეორედ წაიყვანა შუა ბაზარში და აჩვენა წინანდელი მაღაზია, რომელიც საქონლით იყო სავსე, და გამოუცხადა რომ კვაჭი მონაწილეა ამ საქმეში. მაღაზიაში ორი კაცი ვაჭრობდა.

სახლი შიქრიამ დაუდასტურა კვაჭანტირაძეს და დაუმატა:

— აბა, კვაჭი, შეიტანე ბანკში. აქ სწორედ სამი ათასი ლირაა. გზაც იქითა გაქვს, არ დაიზარო! — და გატენილი კონვერტი გადასცა.

კვაჭმა კონვერტი უბეში ჩაიდო.

ალექსიმ ჰკითხა:

— დღიური ვაჭრობა რამდენი გაქვთ?

— ზედიზედ რომ ვიანგარიშოთ, ხუთასი ლირა გამოვა.

— მოგება?

— სუფთა მოგება მესამედი მაინც იქნება.

უკან რომ ბრუნდებოდნენ. ალექსი ჩამორჩა. ჩაფიქრე-

ბული ძიდიოდა და ანგარიშობდა: „...ეს ვეალგეის დღეში 150 ლირას, თვეში შესდგება დაახლოებით ოთხი ათასი ლირა მოგება. ოთხი ათასი! ჩემ წილად 1300 ლირა მოვა. ბანკებზე რომ გადავიტანოთ, გამოვა... გამოვა“...

და ოცი ან ორასი მილიარდი მანეთი გამოიყვახა.

„თავნს რომ ჩემი ორი ათასი მივუმატოთ, ვაჭრობა ერთი მესამედით მაინც იმატებს, ე. ი. წმინდა მოგება თვეში ექვსი ათასამდე ავა. ჩემ წილად ორი ათასი მოვა, ე. ი. დღეში 70 ლირა... ღმერთო დიდებულო! ამოდენა ფული როგორ უნდა დავხარჯო!“

ეხლა ალექსი თვეში სამოც ლირას ხარჯავს. ხარჯი რომ გაახუთოს და სამასი დახარჯოს, 1700—1500 ლირას მაინც გადაარჩენს. ეს დაიჭერს წელიწადში ოცი ათასს, ე. ი. ერთი წლის შემდეგ ათ სახლს იყიდის იმისთანას, როგორიც ეხლაა აქვს. ყოველთვიური მოგება რომ ისევ საქმეში ჩაჰყაროს, წლის ბოლოში ორმოცი-სამოცი ათასი გახდება.

ანგარიშები აერია ალექსის. ზეპირად სწორი ანგარიში შეუძლებელია. საჭიროა ფანქარი, ქაღალდი, განმარტოვება.. ალექსის ეშმაკები ჩაუსხდნენ და ტვინი აუდუღეს. ნაბიჯსა უპატა. ჩქარობდა ნამდვილი ანგარიში გამოეყვანა. შინ რომ მივიდნენ, მაშინღა შეამჩნია, რომ კვაჭანტირაძე ჩამორჩა.. გაიფიქრა:

„ალბათ ბანკში შეივლიდა ფულის შესატანად“.

კაბინეტში ჩაიკეტა და გამოანგარიშებას შეუდგა. ძალიან ფრთხილად ანგარიშობდა: ხარჯს მოუმატა, შემოსავალს დაუკლო. მოგება მაინც ორმოცი ათასი ლირა გამოდიოდა. თავის თავს არ ენდო. ქუჩაში გამოვიდა და რამდენიმე ნაცნობს გამოებაასა, ყველა ამბობდა, ეხლა ვაჭარი ფულში 25—300 პროცენტს აძლევსო, მაშასადამე, ვაჭრობა თვეში 40-50 პროცენტს იძლევაო.

ალექსი უფრო მეტად დაჯერებული და შეხურებული დაბრუნდა და მოუთმენლად ელოდა კვაჭანტირაძის დაბრუნებას. ელენეს ლაპარაკი ჩამოუგდო.

— ეხლა მხოლოდ უსაქმო ბედოვლათი ინახავს სახლსაც და ფულს! — სთქვა ელენემ. — ყველანი ამბობენ, რომ თვეში მანეთს მანეთი მოაქვსო. კვაჭის შესახებ კი სთქვა: ჰაგისთანა პატიოსანი და გამრჯელი კაცი მე ჯერ არ შემხვედრია.

მთელ ღღეს ტრიალებს, ქვას წვენს აცენს, ამოღენა ფულს იგებს.

კიდევ დიდხანს აქეს კვაჭანტირაძე. მერმე ორივენი დაწვნენ.

ალექსის ძილი გაუფრთხა. მთელ ღამეს შამფურივით ტრიალებდა და ხან უზარმაზარ მოგებას ანგარიშობდა, ხან ქოგების დახარჯვაზე ფიქრობდა, ხან კიდევ ეშმაკების დასაფრთხობად და ძილის მოსაყვანად იმეორებდა:

„ორჯერ ორი — ოთხი... ორჯერ სამი — ექვსი — რვა... ორჯერ რვა — ექვსი".

იმ ღამეს კვაჭანტირაძე არ დაბრუნდა. ალექსიმ რომ ჩაიძინა, მამლებმა მეორეჯერ იყივლეს.

მეორე დღეს ალექსი მოუთმენლად ელოდებოდა კვაჭანტირაძეს. სადილად მოვიდა. კარები ელენემ გაუღო და ისეთი საყვედურით ჰკითხა სად იყავიო, როგორც ცოლი ეკითხება ხოლმე ქმარს. კვაჭმა ელენეს ხელზე აკოცა. მერმე ჩურჩული მოისმა და ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა.

ალექსიმ ჩაახველა და კვაჭანტირაძეს გააგებია. გაწითლებულმა ელენემ დაუხვედრა:

— მამა, კვაჭის დედა ჩამოსულა.

გაუხარდათ. კვაჭანტირაძეს არა სურს მათი შეწუხება, ამიტომ მისი დედა ნათესავთან ჩამოხტა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ხვალვე მოვა გასაცნობად და მადლობის გადასახდელად.

სადილი რომ გაათავეს, კვაჭანტირაძემ მოკლედ და მკაფიოდ მოსჭრა:

— ბიძია ალექსი, დროა ჩვენი გულისნადები მოგახსენოთ. ელენე, ნუ მიდიხარ, შენც უნდა დაესწრო ჩვენს ლაპარაკს. რაღა დაგიმალოთ, მე და ელენეს ერთმანეთი გვიყვარს. დაგვლოცე!

ალექსი მოულოდნელობამ არია. ჯერ სდუმდა, მერმე წამწამები აახამხამა, თვალები მოიწმინდა და აბუტბუტდა:

— ელენეჯან... ჩემო კვაჭიკო... ჩემო შვილებო... ღმერთმა გაგაბედნიეროთ. — და ხან ერთს ეხვეოდა, ხან მეორეს ეხუტებოდა.

ელენეც ატირდა. კვაჭანტირაძე გაჭიმული და გაბღენძილი დადიოდა: მან ერთხელ სიკვდილს გადაარჩინა ალექსი, ეხლა

კი ამ ოჯახში განუზომელი სიკეთე და ბედნიერება შემოიტანა.

ცოტა ხნის შემდეგ კვაჭი და ალექსი კაბინეტში გავიდნენ. კვაჭმა სთქვა:

— პატიოსანი სიტყვა უნდა მომცეთ, ბიძია ალექსი, რომ ამ ამბავს ორი კვირით მაინც უდიდეს საიდუმლოებათ შეინახავთ. ელენეც გაჩუმდება. ნიშნობას მერმე გავმართავთ. არც მე ვეტყვი დედაჩემს. მიზეზს ნუ მკითხავთ. მერმე მოგახსენებთ.

ალექსიმ პატიოსანი სიტყვა მისცა და დაგუბებული დარდი მოუშვა. მან გადასწყვიტა სახლის გაყიდვა, რადგან „ჩვენს დროში მხოლოდ ბედოვლათი ინახავს ფულს და სახლს". კვაჭმა ალექსი სავაჭრო საქმეში უნდა შეიამხანაგოს.

კვაჭანტირაძე ჩაფიქრდა და შემდეგ ღობე-ყორეს მოედო: მართალია, საქმე ძალიან კარგად მიდის, მაგრამ... დედამ კვაჭს ხუთი ათასი ლირა ჩამოუტანა. ამ ფულსაც საქმეში ჩაჰყრის. ოქრო — საქმეა. მისი გაფართოვება კარგია. მაგრამ... კვაჭანტირაძეს ეშინიან. ძალიან ფრთხილი და ანგარიშის კაცია. ვაითუ... ერთი სიტყვით, მოიფიქრებს.

ბოლოს კვაჭანტირაძემ თითქმის უარი უთხრა. ალექსი კი თითქმის ეხვეწებოდა. მართალია, სახლი მზითევია. მაგრამ სანამ ალექსი ცოცხალია, იმასაც უნდა ცხოვრება და დასვენება. კვაჭანტირაძე მოლბა. თავის ამხანაგს ჰკითხავს. დღესვე? კეთილი, რაკი ასე ეჩქარება ალექსის, დღესვე მისცემს პასუხს. სახლის უკანასკნელი ფასი? რაო? სამი ათასი? არა, ეს სახლი ეხლა სამი ათასად არ გაიყიდება... კეთილი. კვაჭანტირაძე მყიდველს მოსძებნის. ეცდება თუნდ ხუთ ათასში გაასაღოს. მაშ ასე: უკანასკნელი ფასი ორი ათას ხუთასია.

დანიშნულთა სადღეგრძელო დალიეს. იყო მხიარულება სამთა შორის, ზეიმი და ბედნიერება. ალექსი ისევ ატირდა, ელენე სიხარულისაგან იწვოდა და იცინოდა, კვაჭანტირაძე კი ისევ იღიმებოდა და იბლინძებოდა.

მეორე დღეს სიძე-კვაჭმა სახლის გასაშინჯად ვიღაც თათარი მოიყვანა. დიდი ვაჭრობა, სახლის ქება, ძაგება, განდიდება და დამცირება გაიმართა. სამი დღის შემდეგ ნოტა-

რიუსთან წავიდნენ. საღამოზე ალექსიმ ორას ორმოცდაათი ოქრო ჩაუთვალა კვაჭანტირაძეს და ხელწერილი გამოართვა.

— ყოველ შემთხვევისათვის... ვინ იცის, კაცნი ვართ...

„კვაჭი კვაჭანტირაძე მოვალეა დაუთმოს ალექსი ირემაძეს მესამედი სავაჭროსი და ნაღდი მოგებისა“.

„ალბათ ასე იწერება სავაჭრო ამხანაგობის ხელშეკრულება“. — ფიქრობდა ალექსი, როცა კვაჭი კვაჭანტირაძეს ხელწერილს ინახავდა საბუთების ყუთში.

მეორე დღეს კვაჭი სხვა ბინაზე გადავიდა. უხერხული იყო სიძესთვის ალექსის ოჯახში დარჩენა. სამ დღეს არსად არ სჩანდა. პირმოლუშული ელენე ალაგს ვეღარ პოულობდა. ალექსი სამჯერ იყო ქვემო ბაზარში, მაგრამ ვერც კვაჭანტირაძე ნახა და ვერც მისი ამხანაგი შიქია. ბოლოს ალექსის უთხრეს.

— ჩვენ კვაჭი კვაჭანტირაძეს არ ვიცნობთ.

— როგორ? მაშ ვისია ეს დუქანი? რაო?! შველიასი!? მაშ შიქია მისი ნოქარი იყო?. არც იცით სადა ცხოვრობს შიქია? რუსეთში წავიდაო! ღმერთო დიდებულო!

დარეტიანებული და გაბრუებული ალექსი ბარბაცით მოდიოდა, თან გულში ეჰკრის ვველი მოჰქონდა და გაფითრებული ტუჩებით ჩურჩულებდა:

— ღმერთო, მიხსენ სირცხვილისა და უბედურებისგან!.. ღმერთო ძლიერო!.. ღმერთო დიდებულო!..

სამჯერ აიარ-ჩაიარა ვარდისუბნის ქუჩა. კვაჭანტირაძე ამ ქუჩაზე გადმოვიდა. ყველგან ეუბნებოდნენ:

— აქ არა სცხოვრობს... არ ვიცნობთ... არ გაგვიგია.

კვაჭი ყოველ ღამეს ატარებს „არტოში“. რულეტს თამაშობდა. ამ კლუბის დიდი მუშტარია ძალიან დიდ ფულს ატრიალებს. თან ებრაელი ქალი რახილ დასდევს. მაგრამ ალექსმა არ იცის, ვინ არის რახილი? მთელმა ქალაქმა იცის. კარ ჯანთიანის საყვარელი იყო. მერმე მამულოვისა, შემდეგ ნეპმანისა. ეხლა ყველას კვაჭანტირაძემ წაართვა. მოთამაშენი მაშინ გაცოცხლდებიან ხოლმე, როცა კლუბში კვაჭანტირაძე გამოჩნდება. ვახშმად ისე არ დაჯდება, თუ ათიოდე კაცი და ქალი არ მოისვა.

საღამოს ცხრა საათიდან ალექსი „არტოს“ კარებთან ტრიალებდა. საათის თერთმეტზე კვაჭანტირაძე ავტომობი-

ლით. მიადგა კლუბის კარებს. ოთხნი გამოვიდნენ: ორი ქალი და ორი კაცი. ოთხივე ისე იყო კოხტულ-მოკაზმული, რომ შერცხვენილი ალექსი განზე გადგა და გზა დაუთმო. მერმე უცებ ქუდი მოიხადა, ამაყად მომავალ კვაჭანტირაძეს დაეწია და მორიდებული ღიმილით წაიბუტბუტა:

— კვაჭი... ძვილო კვაჭი...

კვაჭანტირაძემ ძლივს მოიხედა და მკვახედ გადმოუგდო:

— არა მცალია. — და ხალხში შეერია.

არც იმ ღამეს ეძინათ ალექსის და ელენეს. გამწარებული და გაბრაზებული ალექსი ბოლთას სცემდა, მუშტებს უღერებდა კვაჭანტირაძეს და იმუქრებოდა:

— მაშ თუ ეგრეა, მე შენ გაჩვენებ, შე ჰარამზადავ! შე სალახანავ! ჯიბგირო! დამაცა... დამაცადე!

მეორე დღეს ალექსიმ კვაჭანტირაძის ბინას მიაგნო და სახლის წინ ორ საათს უცადა.

კვაჭი, როგორც იყო, გამოვიდა. ალექსი წინ გადაეღობა. ერთმანეთს სალამი არ მისცეს.

— ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი, ვაჟბატონო. ეს რას ნიშნავს.

— არაფერს. — დინჯად და გულმშვიდად მიუგო კვაჭანტირაძემ, თან ოდნავ იღიმებოდა. — დაპირებულ სავაჭროს მალე გავხსნი.

— როგორ თუ გახსნი? აკი აქამდე მეუბნებოდი, სავაჭრო შიქიასი და ჩემიაო!

— ტყუილია! მე ვთქვი, მე და შიქია ვყიდულობთ-მეთქი!

კვაჭი კვაჭანტირაძეს არ ესმის ალექსის პრეტენზიები: ალექსიმ კვაჭანტირაძეს ასესხა ორი ათას ხუთასი მანეთი, მაშასადამე, კვაჭანტირაძეს ჰმართებს ალექსისა ამდენივე, მორჩა და გათავდა! როდის დაიწყებს კვაჭანტირაძე ვაჭრობას? მალე... ნამდვილს ვერ იტყვის. შიქია სტამბოლში წავიდა საქონლის მოსატანად. თუ ალექსის არ შეუძლია მოიცადოს, ის უკანვე მიიღებს თავის ფულს... როდის? როცა შიქია საქონელს ჩამოიტანს და ეს საქონელი გაიყიდება, მორჩა და გათავდა! რატომ აღარ მოდის კვაჭანტირაძე ალექსის ოჯახში? ძალიან ფაქიზი საკითხია... კვაჭანტირაძეს ამაზე ლაპარაკი ეჩოთირება. მაგრამ რაკი ალექსის დაჟინებით უნდა მიზეზის გაგება, კვაჭანტირაძე ეტყვის:

— მაშინ არ ვიცოდი, რომ ელენეს წარსულში რომანი ჰქონია ვანო ხრამელთან.

— რაო? თორმეტი წლის წინად იყო ეს ამბავი? გიმნაზიელების უბრალო გატაცება? შორით ოხვრა, შორით კვნესა, არა? კვაჭანტირაძემ არ იცის, დარწმუნებული არ არის. შესაძლებელია მეტიც იყო... არავინ არ იცის. კმარა! კვაჭი კვაჭანტირაძეს ისეთი ოჯახი არა აქვს, რომ შიგ ფეხმოტეხილი ავეჯი ან გაბზარული ქანდაკება შეიტანოს.

— კიდეც მემუქრებით? რით, როგორ? ნუ გავიწყდებათ, რომ მე თქვენთან ვახშამზე ვიყავი ხუთ აპრილს, რომ თქვენ სადღეგრძელოს ნაცვლად პროკლამაცია წაიკითხეთ და კონტრრევოლუციური სიტყვა სთქვით. თორმეტმა კაცმა დაადასტურა წერილობით, რომ მეც იქ ვიყავი, დიახ! რაო, პროკლამაციას არ წაიკითხავდით? სიტყვა არ გითქვამთ? ოოხმა თქვენმა სტუმარმა თავიანთი ხელმოწერით დაადასტურა ეს ამბავი. ათორმეტი მოწმე არაა კმარა? თქვენ თვითონ არ მითხარით იქ, სასადილოში? ჯალილა არ გახსოვთ? ისიც მოწმეა.

კვაჭანტირაძე ურჩევს ალექსის გაჩუმდეს, თორემ... ახლავე ალექსის ინტერესი მოითხოვს. კვაჭანტირაძე დიდ პატივს სცემს ალექსის, მის სახელს, ოჯახს და პატიოსნებას, თორემ აქამდის... ერთი სიტყვით, სჯობია ორივენი გაჩუმდნენ. ეხლა კვაჭანტირაძეს არა სცალიან. საჩქარო საქმეები აქვს. ისედაც დაიგვიანა, ამიტომ —

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ჯალილ, წავიდეთ!

და მედიდური იერით ჩაჯდა ავტომობილში, სადაც შოფერს ახოვანი თათარი უჯდა გვერდით, რომელიც ალექსის უღიმოდა.

ალექსი ცოცხალ-მკვდარი გაბრუნდა.

ელენე თითქმის ღღარაფერს სჭამდა და შინიდან აღარ გამოდიოდა. სტიროდა და მამას საყვედურით ავსებდა. ყოველი მისი სიტყვა, მისი დარდი და ცრემლი ალექსის ტყვიასავით ჰხვდებოდა გულში. ალექსი ერთ თვეში ორად მოიხარა, დაბერდა, გათეთრდა, გახდა და დაპატარავდა. ხანგამოშვებით დაკარგული სახლი და გულგატეხილი ელენე რომ მოაგონდებოდა ხოლმე, აცეცხლდებოდა, აპილპილდებოდა: გიჟივით დარბოდა ოთახში, კვაჭანტირაძეს მუშტებს უღერებდა და იმუქრებოდა:

— დაიცა... დამაცა... მე შენ გაჩვენებ, შე ჰარამხადავ!
დაიცა... დამაცა...

ერთხელ ალექსის ოთახში ვინმე ახოვანი თათარი შემოვიდა.

— გამარჯობა, ბიზია! ჯალილა გახლავართ, — თან კაკლისოდენა თვალებით იღიმებოდა და ცხენის კბილებს თეთრად აელვარებდა.

— ჯალილ, შენა ხარ? — გაუხარდა დაღონებულ ალექსის.

— ჯალილა ვარ. ვერ მისანით? „იქ" ზალიან ბნელოდა.

— დაჯექი, ჯალილ, დაჯექი. მიამბე, როგორა ხარ?

— ჩოხ რაზიამ — მადლობელი ვარ. ბიზიაჯან. ჩემმა ხმამ მიშოლა. შენი ტელეგრამი აიღო. ჩოხ რაზიამ, ჩოხ! ეს ფეშქაში აიღე, ბიზიაჯან. — ჯალილამ გახსნა პაწაწა ბოხჩა და ერთი ადლიანი მშვენიერი ხალიჩა გადმოშალა.

— ჯალილ, რად გაისარჯე, რისთვის, რა საჭირო იყო?

— ბიზიაჯან, შენი ტელეგრამი ზალიან მიშოლა. აიღე, შენი ჩირიმე, თორემ ზალიან მესხინება.

ჯალილა იხვეწებოდა, იღიმებოდა. ალექსიმ დიდი მადლობა გადუხადა, კონიაკით ჩაი დაალევინა, ხილი მიართვა.

— ისევ კოჩანთირაზესთან ვარ. კარგი ბატონია. ბოკოპ გული აქვს. ხუმარა კასია. თქონც სუდი ხუმრობა გიყოთ „იქ", სხობიც მოატყუა. ბევრი ვისინეთ. ერთხელ თით აწ ჩავარდა ორმოში.

— ჩავარდა? მერმე, როგორ ამოვიდა?

ჯალილამ გადიხარხარა.

— ბიზიაჯან, კოჩანთირაზე ხუმრობდა. იქ ორმო არ იყო, ხა-ხა-ხა!

ალექსიმ ძალუნებურად შეადარა ერთმანეთს გათლილ-განათლებული კვაჭანტირაძე და ეს გაუთლელ-მოუხეშავი თათარი და გული დაეწვა, აუშფოთდა.

ჯალილა რომ წავიდა, ალექსიმ ისევ მუშტები მოუღერა სივრცეს და წაიბუტბუტა:

— დაიცა... დამაცა, შე ჯიბგირო, შე ჰარამხადავ!.. დაიცა... დამაცა...

მალე მოვიდა ალექსის შურისძიებისა და კვაჭანტირაძის განკითხვის დღე. კვაჭანტირაძე ისევ დააპატიმრეს და იმავე ბნელ სარდაფში ჩააგდეს „გველებთან, ხვლიკებთან, ბა-

ყაყებთან და ჭინკებთან“. რამდენიმე დღით ადრე კვაჭან-ტირაძის ამხანაგი ბილაძეც დაიჭირეს, რომელიც გამოტყდი-ლა და უთქვამს, ვითომ ხუთ აპრილს, ღამის ორ საათზე, მას და კვაჭანტირაძეს ვერაზე ვიღაც სომეხი გაეძარცვათ.

ალექსი აღელვებული დარბოდა თავის ოთახში და ქინის მოგებით ბუტბუტებდა:

— ღმერთი ჰარამზადას ურმით დასდევს, მაგრამ მაინც დაეწევა ხოლმე... ღმერთო მაღალო! საკვირველ არიან საქ-მენი შენნი და ულმობელ არს სამართალი შენი! ეხლა რა-ღას იტყვი, შე ჰარამზადავ? ეხლა ვიღა გიშველის? ალექსი ირემაძის იმედი ხომ არა გაქვს? გიშველი, კარგად გიშველი! ერთ ლოდს მეც მოგაყოლებ!

ალექსი შურისძიებისთვის ემზადებოდა, მაგრამ...

გამომძიებელმა ალექსი, ელენე და ძათი ათი სტუმარი მეორეჯერ და მესამეჯერ დაიბარა. მას აქეთ ირემაძე აღარ ეძუქრება. აგერ მესამე თვეა, რაც დალეულ-დაქანცული ალექსი დაცუნცულებს თავის სტუმრებთან და ჩაკეტილ ოთახში შიშით და ფრთხილად ჩურჩულებს:

— მე ისევ ვაჩვენე, რომ იმ ღამეს კვაჭი კვაჭანტირა-ძე... ერთი სიტყვით, ჩვენება არ შემიცვლია... არ გაბრიყვ-დეთ, არაფერ გაღასთქვათ, არ გამოტყდეთ. თორემ... ხომ იცით, ყალბი ჩვენებისთვის რა მოგველის. გარდა ამისა, გამჟ-ღავნდება პროკლამაციის ამბავიც. მართალია, პროკლამაცი-ები მე დაგირიგეთ, მე წაგაკითხეთ, სიტყვაც ვთქვი, მაგრამ თქვენც ხომ ყურს მიგდებდით, თქვენც ლაპარაკობდით და პროკლამაციებიც წაიღეთ!

თორმეტმა მოწამემ ისე შეჰკრა პირი, რომ ეს ამერიკე-ლი კლიტე ვერ იქნა და ვერ გააღეს -- ვერც მარწუხებით, ვერც გასაღებით, ვერც მუქარით და ვერც ალერსით. ალექსი დღეღამ ამ კლიტეს დასტრიალებდა, ყოველდღე მასზე ზრუ-ნავდა, ათვალიერებდა, ზომავდა, ყველას არიგებდა, აშინებ-და და გაშმაგებით, დაჟინებით. მტკიცედ და თავგანწირვით ებრძოდა გამოძიებას.

ბოლოს საქმის გარჩევის დღეც მოვიდა. ყველა მოწმე, როგორც ერთი კაცი, ერთნაირად იმეორებდა — მტკიცედ, დაჟინებით, და რიხიანად:

— კვაჭი კვაჭანტირაძეს ძალიან კარგად ვიცნობ. ხუთ

აპრილს ჩვენთან ერთად ვახშმად იყო ალექსი ირუბაქიძე...
სწორედ ცორა საათზე ძოვიდა და დილის ექვსზე წავიდა.
ძალიან მთვრალი იყო. ოთახიდან ერთხელაც არ გასულა. რას
აკეთებდა? რას აკეთებენ ხოლმე ვახშამზე! მუსაიფობდა,
მღეროდა, არშიყობდა, ცეკვავდა, სვამდა, ქხიარულობდა...
დიახ, ამას ვფიცავ და ვამტკიცებ.

და მართლაც დაამტკიცეს. შილაძის ჩვენებამ არ გასჭრა.
ცხადად დამტკიცდა, რომ მას კვაჭანტირაძის ჯავრის ამოყრა
და მისი ფულის მითვისება ჰსურდა. ოციოდე მოწმემ ცხად-
ჰყო, რომ მათ დიდი ხნის ანგარიშები ჰქონდათ, რომ შილა-
ძემ კვაჭისგან ათასი ლირა მიიღო სტამბოლიდან საქონლის
მოსატანად, მაგრამ ეს ფული გაფლანგა. ამიტომ მოინდომა
მან კვაჭანტირაძის ჩათრევა ამ საქმეში და დაღუპვა, მაგ-
რამ...

— მაგრამ სამართალი კიდევ არსებობს ამქვეყნად! — ყვი-
როდა ვექილი. — ნემეზიდამ რკინის ხელი ჩაავლო კისერში
შილაძეს, რომელიც ტყუილადღა ფართხალობს და უდანა-
შაულო კვაჭანტირაძის გაჭუჭყიანებით ჰფიქრობა თავის შა-
ვი სახელი გაათეთროს! დაე, ეხლა მარტო მან აგოს პასუხი!
ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე უნდა დაუბრუნოთ თავის პატი-
ოსან დედას, მის უმწიკვლო დანიშნულს და ამოდენა მეგობ-
რებს, რომელნიც თქვენს პირუთვნელ განაჩენს უცდიან.
სამართლის ღმერთი თვალახვეულია, მაგრამ ბრმა არ არის.
მან უკვე ასწია სასწორი. მოსამართლენო! დაგვიბრუნეთ ეს
ახალგაზრდა და ყოვლად პატიოსანი ყმაწვილი, ეს ნიჭიერი,
ჭკვიანი, ხერხიანი და სასარგებლო წევრი საზოგადოებისა.
ვერა, თქვენ ვერ დასჯით მას! ხელი აგიკანკალდებათ! გული
აგიტოკდებათ!

ასე დაამთავრა კვაჭის ვექილმა თავისი სიტყვა.

მოსამართლეებს მართლა გული აუტოკდათ და ხელები
აუკანკალდათ. შილაძე დაიღუპა, ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე
მხიარული ღიმილით და უმანკოების იერით ჩამოდიოდა სა-
სამართლოს კიბეზე. მარცხნივ მისი „უმწიკვლო დანიშნუ-
ლი“ რახილი მისდევდა, მარჯვნივ — დედა, უკან ვექილი.
კვაჭანტირაძე მარჯვნივ და მარცხნივ ხელს ართმევდა ნაცნობ-
ნათესავებს და ეუბნებოდა:

— გმადლობთ, მეგობრებო, დიდად გმადლობთ. ღმერთ-

მა დიდი ხიფათისგან მიხსნა. გმადლობთ... ათასჯერ გმადლობთ...

კარებთან ყველანი შემოეხვივნენ. უცებ კვაჭანტირაძე ალექსის და ელენეს შეეჩეხა.

— ბიძია ალექსი! ქალბატონო ელენე!.. ღმერთო ჩემო!.. — ალექსის გადაეხვია და ელენეს ხელზე აკოცა. — გმადლობთ, ბიძია ალექსი, გმადლობთ, ქალბატონო ელენე... სულით და გულით გმადლობთ. დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უკვე მაპატიეთ. ჩემს დღეში ჩავარდნილ ადამიანს ყველაფერი ეპატიება. ბიძია ალექსი! — და ალექსი ცოტა გვერდით გაიყვანა. — ხომ ხედავთ ამ ჰარამზადა შილაძემ რა მიყო. რაც დასთესა, იგივე მოიმკო. იმოდენა ფული გაგვიფლანგა და კინაღამ თან გადამიყოლა. ნუ შესწუხდებით, ბიძია ალექსი. ღმერთი დიდია. თქვენს ვალს მაინც გადაგიხდით... მალე, ძალიან მალე გადაგიხდით...

ძერომე სჩვეპს მიუბრუნდა

— მეგობრებო! ხუთი აპრილის ვახშამი დღეს უნდა გადავიხადოთ. გთხოვთ ყველას ათ საათზე „არტოში“ მეწვიეთ. თქვენც უნდა პატივი მცეთ, ბატონო ალექსი, თქვენც, ქალბატონო ელენე! კიდევ ერთხელ მადლობა და გამარჯვება! მაშ ასე: საღამოს ათ საათზე ყველას გელოდებით.

ხუთი აპრილის ვახშმის ხსენებაზე ზოგმა გაიღიმა, ზოგმა გაიცინა. ჯადოსნურმა ავტომობილმა მოაგრიალა. კვაჭანტირაძე, მისი „უმწიკვლო“ რაინდი, დედა და ვაჟიშვილი წავიდნენ. დანარჩენებიც ნელ-ნელა დაიშალნენ. იმ ვახშამმაც დილის ექვს საათამდე გასტანა. კვაჭმა ასი მილიარდი დანახარჯი გადაიხადა.

მას აქეთ, ელენეს რომ დაკარგული სახლი გაახსენდება, სიმწრით თითებს იკვნეტავს. საჭმელს არ ეკარება, კარჩაკეტილში სტირის და დარდობს, ხოლო ალექსი თავის ოთახში დარბის, დალეულ მუშტებს უღერებს დაკარგულ სიძეს და იმუქრება:

— დაიცა... დამაცა, შე ჯიბგირო. ჰარამზადავ! ღმერთი დიდია, გადაგიხდის... დაიცა... დამაცა...

— ლა-აზათ! — იტყოდა ხოლმე ჯალილა, როცა ამ ამბავს მოიგონებდა.

აქა ერთი სასწაულის ამბავი

ეს საზარელი ამბავი იმ ღამეს მოხდა, იმ საზარელსა და დაუვიწყარ ღამეს, ოდეს მთა მთას არ შეხვდა, სამაგიეროდ კვაჭი რახილს მოსწყდა და თავის კიბეზე ერთს დავიწყებულ ადამიანს წააწყდა.

— შესდექით! ხელები ასწიეთ! არ გაინძრეთ, თორემ აქვე გაგათავებთ!

დამშვიდდით, მოქალაქენო! კვაჭი შესდგება... ხელებსაც ასწევს იარაღი არა აქვს, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ დამბაჩები იქით მისწიოთ, თორემ შესაძლებელია უცაბედად...

— მაინც, ვინ გნებავთ?

— კვაჭი კვაჩანტირაძე ბრძანდებით...

— მე გახლავართ. რა გნებავთ ჩემგან? მე თქვენ არ გიცნობთ.

— სამაგიეროდ მე გიცნობთ. თუმცა... ვითომ არ მიცნობთ? აბა დამაკვირდით.

ღმერთო დიდებულო! ხუთი წლის წინათ მოსკოვში ეს ჩეკელი ისე დასდევდა კვაჭს, როგორც კატა თაგვს, ბოლოს კოდეკაც დაიჭირა, მაგრამ კვაჭმა „აბრუნდი“ ჰქნა და ეს კატა თვითონვე ქვეშ მოიგდო. პავლოვმა და ბესომ მაშინ ვენიალური „ნომერი“ გააკეთეს: კვაჭი მოიტაცეს და ეს კატა ხალანგში გაახვიეს. მერმე ეს ჩეკელი გზაში გაეპარათ... მერმე ცხარე ბრძოლა... დახოცილები... სისხლი.

„ახია ჩემზე, ახ! — ილრინება კვაჭი და მისდევს ჩეკელებს — აქამდე ასჯერ შემეძლო გაპარვა და ასჯერვე გა[illegible]“.

გაჩხრიკეს, ჩასწერეს და ერთი საათის შემდეგ ისევ გაიყვანეს. ერთის მაგიერ სამი გამომძიებელი მიესია. ის ჩეკელიც აქვე იჯდა და იღიმებოდა. ღმერთო ჩემო! ყველაფერი სცოდნიათ! მისი ცხოვრება ისე წაუკითხეს, როგორც კარგი რომანი. გვერდს გვერდი მოსდევდა და ფურცელს ფურცელი. ბოლოს უთხრეს:

— გამოტყდით.

პასუხის ნაცვლად კვაჭმა გაიღიმა და ჰკითხა:

— ერთი მიბრძანეთ, საიდან და როგორ მოაგროვეთ ამ ა-
დენა ამბები?

— მართალია თუ არა ეს ამბები?

— მართალზე უარესია. მე რომ დღიური მეწერნა, მაგაზე უკეთესს ვერ დავწერდი.

— მაშ! — წამოიძახა კვაჭის მდევარმა. — ასე სუფთად ვმუშაობთ ჩვენ.

— ამხანაგებო, არ ვაჭარბებ: ასეთი კოხტა ნამუშევარი [illegible] არ მინახავს და რომანიც არ წამიკითხავს.

— მაშასადამე...

— მაშასადამე, ათი წელიწადიც რომ ვიჯდე აქ და ვიფიქრო, ერთ ამბავსაც ველარ მოვიგონებ. მანდ ყველაფერი სწერია, საკვირველი ნამუშევარია, საკვირველი! ინებეთ, ამხანაგებო, ძალიან კარგი თამბაქოა.

— მაშ დავწყოთ?

— დაიწყეთ.

სამი საღამო და სამი დილა სწერეს. ბოლოს, როცა გაათავეს, კვაჭმა სთქვა:

— ეხლა თქვენთვის საჭირო აღარა ვარ. თითო პაპიროსი კიდევ ინებეთ და მეტეხში გადამიყვანეთ. კარგი თამბაქოა, განა! მას ერთი ბებერი გენერალი ჰყიდის. იაფიც არის, კარგიც. ის გენერალი მამადავითის ქუჩაზე სცხოვრობს, № 4. მეტეხში გადამიყვანეთ-მეთქი. რამდენიმე დღის ცხოვრებაღა დამრჩენია.

— ვითომ ეგრე გათავდეს თქვენი საქმე?

— რა თქმა უნდა! მე მზადა ვარ. მე ჩემი გზა დავლიე და ჩემი უკანასკნელი თხოვნა ეს არის: მეტეხში გამგზავნეთ.

— კეთილი. მოვიფიქრებთ

ერთი კვირა იფიქრეს, მერმე დაუძახეს და მეტეხის ციხეში გაჰგზავნეს. კვაჭი იმ შენობაში შეიყვანეს, რომელიც მტკვარს და აბანოებს გადასცქერის. ერთი საკანი გაუღეს და კარები მიუკეტეს. კვაჭი ელდანაკრავივით შესდგა. იმის წინ ტახტზე პავლოვი იჯდა და პირდაღებული შესცქეროდა.

— პავლე, შენა?.. აქა?

პავლემ პირი მიიბრუნა, მერმე ისევ მოუბრუნდა და წაილუღლუღა:

— მე... შენ... მე... — წვერ-ულვაში ცრემლით დაისველა. მეტი ვეღარაფერი სთქვა, ადგა და თვალებს იწმენდავდა.

— დაჯექი და მიამბე.

კვაჭმა ძალით დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა. პავლე ისევ სტიროდა და ჩურჩულებდა:

— ახია ჩემზე! მოღალატეს ასე უნდა! შენ... მე ნამდვილი არამზადა ვარ... დღეს თუ ხვალ გამათავებენ... მეტის ღირსი არცა ვარ.

დიდხანს იყუჩეს. კვაჭმა მხარზე ხელი დაადო და ტკბი-ლად უთხრა:

— დამშვიდდი და მიამბე, როგორ მოხდა ის ამბავი?

— უბრალოდ. ათჯერ და ასჯერ გითხოვეთ აქედან წავი-დეთ, ხიფათს თავი გავაშოროთ-მეთქი.

— მართალია.

— შენ არ დაგვიჯერე.

— ეგეც მართალია, არ დაგიჯერეთ და მკუაც წავაგე.

— მარტო მე ვერ წავედი. ფულიც არა მქონდა.

— რატომ არა მთხოვე?

— იმიტომ რომ... უშენოდ არც წავიდოდი. მერე კე-დელში ჩაჭედილ სალაროს შემთხვევით წავაწყდი. ვაცალე და... სულმა წამძლია. ახია ჩემზე, ახი!

— მერმე?

— მერმე... ის განძი ამოვალაგე და ბათომისკენ წავედი. გზაში ვიღაცამ თვალი დამადგა. ის კაციც ბათომში ჩამომ-ყვა. სასტუმროში შევედი. ისიც მომყვა. ერთი ოთახი მომ-ცეს. ის განძი საჩქაროდ რკინის მაღალ ფეჩში დავმალე. ნა-ცარი მივაყარე და მაშინვე მეორე ოთახში გადავედი. ერთი საათის შემდეგ დამიჭირეს.

კვაჭმა ეხლაღა მიაქცია ყურადღება მეორე ტუსაღს, რო-მელიც მეორე ტახტზე იწვა და ფშვინავდა.

— ნუ გეშინიან, — დაამშვიდა პავლოვმა. — მაგ ტუსაღს ისე სძინავს, რომ ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს. არც რუსუ-ლი იცის.

— განაგრძე.

— სადაც მომასწრეს, ის ოთახი გაჩხრიკეს, მეორე ოთახ-ში კი არ შეუხედნიათ.

— მაშ ის განძი...

— ალბათ ეხლაც იქ ინახება. ზაფხულია, ცეცხლს არავინ დაანთებს. არც იმ ნაცრის გაქექვას იფიქრებს ვინმე. მე დააპატიმრეს. ორი თვე ბათომში ვიჯექი. მერმე აქ გადმომიყვანეს. მინდოდა შენთვის შემომეთვალა, მაგრამ... მოცხენილად ესეც არ ყოფილიყო, ვის ვენდობოდი? ვისაც ვეტყოდი, თვითონვე წავიდოდა ბათომში და იმ განძს მიითვისებდა. ვიჯექი, ვიტანჯებოდი და რაღაცას ველოდებოდი. რას მოველოდი, მე თვითონაც არ ვიცი.

— ალბათ დღევანდელ დღეს ელოდებოდი.

პავლოვს გაუხარდა:

— ჰო, დღევანდელ დღეს. შენ გახვალ, მალე გახვალ და...

— დამშვიდდი, პავლე. მეც ისე გავალ აქედან, როგორც შენ. ერთმანეთს ნუ ვატყუებთ. ჩვენი საქმე გათავებულია.

— გათავებულია. — დაეთანხმა პავლოვი.

— ეგ ამბავი სილიბისტროს ან ბესოს უნდა შევატყობინო. ისინი მაინც გამოიყენებენ. ეხლა მითხარი, ეს კაცი ვინ არის?

ესა? ვიღაც სულელია. შემთხვევით დაუჭერიათ. დღეს ან ხვალ გაუშვებენ. ავად არის?

— რა სჭირს?

— ძილის სენი სჭირს. მხოლოდ საჭმელად ადგება ხოლმე. აკი გითხარი, ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს-მეთქი.

ზის კვაჭი სარკმელთან და ქალაქს გადასცქერის. დაბლა კლდის ძირში მტკვრის ზოლი მოსჩანს. გაღმა თათრები და დაბახანის მუშები დაფუსფუსებენ. ღრმა ხევში, სადაც აბანოების თბილი წყალი ჩამოდის, დაბარძაყებული დედაკაცები სარეცხს რეცხავენ. მარჯვნივ ნარიყალას ციხე მოსჩანს. კოშკისა და კლდის ძირში ბოტანიკური ბაღი ჩაწოლილა. მარცხნივ და პირდაპირ მთის ბილიკებით ვირებს ნახშირი და მაწონი მოაქვთ. მტკვრის ნაპირზე. ვანიერ აივანზე თათრის ოჯახი ჩაის შეექცევა. მეორე სახლში ვერ.მათიანი ბანათს გაჰკრის. სადღაც დანჯღრეული არღანი ხრიალებს.

ზის კვაჭანტირაძე და თავის ბედზე ფიქრობს. მაშ ასე: აი, სად და როდის დაეწია ბედი მდევარი! აი, როგორ თავდება მისი ჭრელი სიცოცხლე! მერმე როგორ! ასე, უკაცურად, ასე ჩალურად?! ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გამოვარდა გასაპნულ ყულფიდან! მთელი ქვეყანა ნადირობდა კვაჭან-

ტირაძეზე, მაგრამ მას უჩინმაჩინის ქუდი ეხურა. დემირთეფეს ზეგანზე ხიშტებით დაცხრილეს და ხმლებით აჰკუწეს, მაგრამ მაინც წამოდგა და „გაშტიკინდა“. პეტრე-პავლეს ციხეში საჩრჩობელა აუგეს, მაგრამ იქიდანაც გამოფრინდა. უკრაინის მინდვრებში ცხრა კაცით ორმოცს სძლია და ჭრილობებიდან ათჯერ მაინც ამოიგლიჯა თავი. ეხლა კი... აქ, სამშობლოში... ნუთუ? ნუთუ ერთხელ კიდევ ვერ გაანგრევს კვაჭი სქელ კედელს და ერთხელ კიდევ ვერ გაადნობს რკინის გალიას?!

ღმერთო დიდებულო, შენ უშველე კვაჭანტირაძეს! ღმერთო ძლიერო, ერთხელ კიდევ მოეხმარე შენს ურწმუნო კვაჭს! ღმერთო ზეციერო, ერთხელ კიდევ მოახდინე სასწაული და შენი უძღები კვაჭი სამუდამოდ დაუბრუნდება შენს წმინდა სამეფოს. სამს ეკლესიას აგიშენებს, პირნათლად ადიდებს შენს წმინდა სახელს და ერთგულად ემსახურება შენს უკვდავ ეკლესიას. ღმერთო, შეისმინე კვაჭის ლოცვა! მოუვლინე მას შენი სასწაული და მიეც მონასა შენსა კვაჭსა თავისუფლება, სიცოცხლე და ბედნიერება.

სასოებით ლოცულობს კვაჭი კვაჭანტირაძე. მძაფრად ფიქრობს სილიბისტროს შვილი. მისი ტვინი ცეცხლზე იწვის. შუბლზე ათი ნაოჭი შეჰკვრია. თვალებში ელვა დაურბის. გული უჩქროლავს და სული უდუღს.

ბოლოს შესდგა და გაშეშდა. მაგრად მოკუმულ ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა და დაჭმუჭნული შუბლი გაეშალა. უცებ მძინარე ტუსაღს ეცა და დაანჯღრია.

— შენ პეი, ძმობილო! ადექი! გესმის? გაიღვიძე-მეთქი!

რამდენჯერმე გადაატრიალა. გადმოატრიალა. ფეხით დაითრია, ყურები დაუსრისა და თვალები ძლივს გაახელინა.

— გაიღვიძე-მეთქი! შენი სახელი? ივანე? პავლე, ჩასწერე. მამის სახელი? გვარი? ჩილიკაშვილი? პავლე, ჩასწერე! რამდენი წლისა ხარ?.. სადაური ხარ? პავლე, არ შესცდე! რა საქმეზე ხარ დაჭერილი? კეთილი. მეტი არაფერი. ეხლა ისევ დაიძინე. — მერმე პავლეს მიუბრუნდა: — გესმის, პავლე, დღეს ან ხვალ გავალ... გავალ-მეთქი! დიაღ, გავალ, გავალ! აგიხსნა? რა თქმა უნდა, აგიხსნი. შენც უნდა მიშველო. ერთი მითხარი, იცნობენ თუ არა ამ ტუსაღს ზედამხედველნი?

— არავინაც არ იცნობს. გუშინწინ მოიყვანეს და ეზოშიც არ გასულა.

— ძალიან კარგი. ეხლა მითხარი, რა დროს ანთავისუფლებენ ხოლმე ტუსაღებს?

— საღამოობით, ცხრა საათის შემდეგ.

— ძალიან კარგი. ეხლა მასწავლე, როგორ შეიძლება ვიშოვნო ბრომი?

— ბრომი მე მაქვს, ექიმმა მომცა

— მართლა? მაშ ღმერთს ჩემი ლოცვა შეუსმენია. ეხლა სამი საათია. შენ ჰეი, ივანე ადე, ადექი! მარტო შენ ხომ არა ხარ ამ ციხეში! პავლე, შენს ტახტზე დაწექი, და ეს ტლეტუცი ახლოს არ მიიკარო. რამდენიც უნდა გეხვეწოს, მაგ ტახტზე არ დააწვინო. ივანე, ადექი-მეთქი! აქ ორი ტახტია, ჩვენ კი სამნი ვართ. ორი დღეა რაც თვალი არ დამიხუჭნია. მე დღისით დავიძინებ, შენ კი ღამით დაიძინე. აბა, წამოდექი! წელი ნუ გწყდება! პავლე, სწორედ შვიდ საათზე გამაღვიძე.

კვაჭი ივანეს ტახტზე მიწვა, ივანე კი თვალების ბლეტით და ფშვნეტით მთვრალი დათვივით დაბარბაცებს საკანში. საღამოს შვიდ საათზე პავლემ კვაჭი გააღვიძა.

— ძმობილო, ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა კვაჭმა ტე-[illegible].

— მაშა! კუჭი მტკივა.

— კუჭი? მე კაი კაცო, რატომ აქამდე არ უთხარი კვაჭს? კვაჭი ექიმია, განთქმული ექიმია. შენისთანა ათი ათასი მაინც მომირჩენია. აი, წამალიც აქ არის. პავლე, ეგ ბრომი მიეცი. აბა, დალიე და დაწექი.

ოთხი წუთის შემდეგ ივანე მადიანად აბვრინდა, კვაჭი ნეტარულად დარბის. ცხრა საათია... ათი... თერთმეტი... გამოსაშვებში ტუსაღებს გამოუშვეს. ციხეში დუდუნი და ბზუილი თანდათან მისწყდა.

არც თვითონ კვაჭს სძინავს და არც საწყალ ივანეს აძინებს. წევს ივანეს ტახტზე და ჭერს შესცქერის. მხოლოდ საღამოობით აძლევს ჩილიკაშვილს „კუჭის წამალს“ და აძინებს. თვითონაც რიჟრაჟზე სდგება და ივანესაც აღვიძებს. ივანე ზოგჯერ იატაკზე გაწვება, მაგრამ კვაჭსაც სწორედ იმ დროს მოუნდება ხოლმე ვიწრო საკანში სეირნობა. ივანე

რომ ტახტზე გაიშოტება, კვაჭსაც სწორედ იმ დროს მოუნდება ძილი. არც კვაჭი გადის სასეირნოდ და არც ჩილიკაშვილს აძლევს ამის ნებას. კვაჭანტირაძე რაღაცას ელის, ელის და ჩილიკაშვილს სული უდგულს და გული მისდის.

მეოთხე დღეს ძლივს მოიღუშა. კვაჭი მეათასეჯერ ზომავს საკანს. წელში მოკუნტული ივანე კი, კედელს მიჰყუდებია. ვერა ბედავს ტახტზე ჩამოჯდეს თითქოსდაც ქაქუ მოუკვდებიანო.

უცებ რაღაც შენიშნა. კვაჭმა ბრჭყალით ნაჩხრები მიაწოდა ივანეს და უბრძანა:

— ჩაწერე და წაიღე

ივანემ ჩაილია და მიწვა. ისე სძინავს ჩილიკაშვილს, როგორც ჩარეების ასასრულამის, რომელიც გაღმა კორაკის ძირ-ში მოსჩანს.

რვა საათია. ცეცხლმოკიდებული კვაჭი მეუჩვეველ ფე-თარივით სტრიალებს საკანში. ცხრის ნახევარია... ცხრა.... ათის ნახევარი გახდა! კვაჭი ტალანშია და იმ ფანჯარასთან სდგას, რომელიც ეზოს გადაჰყურებს. ეზოში ციხის ზოსამ-სახურე ჰყვირის:

უკვე ოთხი გვარი ამოიკითხეს... ხუთი... ექვსი... შვიდი....
უცებ ეზოდან მოისმა:

— ივანე ჩილიკაშვილი!

— ივანე ჩილიკაშვილი! ივანე ჩილიკაშვილი! — ხმა მის-ცეს აქეთ-იქიდან მამასახლისებმა

— აქ არის, აქა! ხდეს, ხდეს! — ჰყვირის კვაჭი — ავ-ლე, მშვიდობით!

— მშვიდობით... სამუდამოდ!.. — ბუტბუტებს პავლოვი, კვაჭს ეხუტება და პირსახეს ცრემლით უსველებს.

ივანე ჩილიკაშვილს კი ისევ რიყის ქვასავით სძინავს. კვაჭმა სწრაფად ყბები, ნიკაპი და ტუჩები ხელსახოცით აიკ-რა (კბილები სტკივა კვაჭს), ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა, ბოხჩა იღლიაში ამოიჩარა და ტალანში გავარდა.

სირბილით გაირბინა ტალანი, კიბეზე ჩასხლტა და ეზო-ში გავიდა. მოეშვა, მოიბუზა, თავი მკერდზე ჩამოიყუდა და ეზო გადასჭრა. ალაყაფის კარების გვერდით პატარა ოთახია.

— თქვენი გვარი და სახელი? — ეკითხება ციხის ზოსამ-სახურე და სქელ დავთარს ჰფურცლავს.

— ივანე ჩილიკაშვილი ვარ, შენი ჭირიმე. — ტეტიურად უქცევს კვაჭი.

— რამდენი წლისა ხართ?

— მგონი, ოცდაათისა ვარ, შენი ჭირიმე.

— ოცდაათისა? — ეკითხება ციხის მოხელე და კვაჭს აცქერდება.

— მგონი... აბა, რა ვიცი, იქნება მეტისაც ვიყო, იქნება ნაკლებისა.

— ეგ რა დაგემართა? — ახვეული რადა გაქვს?

— კბილები მტკივა, შენი ჭირიმე. — ჰკნავის კვაჭანტირაძე-ჩილიკაშვილი.

— როდის მოგიყვანეს მეტეხში?

— ერთი კვირა იქნება.

რას ჩააცივდა კვაჭს ეს კაცი? რად უხვრეტავს ბუღლივით თვალებს? რა უნდა კვაჭისგან?

— რად დაგიჭირეს?

— ზარი მომდეს. შენი ჭირიმე, ვითომ მე...

ზედამხედველი ყურს აღარ უგდებს, რაღაც ქაღალდს სჩრის მას ხელში და ეუბნება:

— ეს ქაღალდი თან წაიღე, თორემ ხელმეორედ დაგიჭერენ. ეხლა კი წადი და აქ აღარა გნახო, თორემ...

— აქ რაღა მომიყვანს, შენი კვნესამე!

ჭიშკარი ჭრაჭუნით იღება. აი, მეორე კარებიც, მესამეც... კვაჭს თავბრუ ეხვევა. ღამის გული გადმოუვარდეს. კარის დარაჯები ისე ათვალიერებენ, თითქო ყველაფერი იციანო. აი, ჯარისკაცსაც გაუარა გვერდით, ვიწრო ქუჩა გადასჭრა და თავდაღმა დაეშვა. ციხის ძირშიც სდგანან დარაჯები, კვაჭი თითქმის მირბის. ციხეს გასცდა, პატარა მოედანი გადასჭრა. ავლაბრის ხიდი გაირბინა და ეტლში ახტა:

— ჩქარა, სიონისკენ!

ეტლი თითქო მისცოცავს. გაიარა სიონი, ანჩისხატი, ვანქი. მტკვრის ნაპირით საპიორების ყაზარმებთან ავიდა, მარცხნივ მიუხვია და რუსთაველის ხეივნის ბოლოზე გავიდა.

დაწყევლილი ალაგია! ნამდვილი ხაფანგია! კვაჭი ვერაზე უნდა გავიდეს. ვერის დაღმართისა და მოსკოვის ქუჩის კუთხეს ვერ ასცდება. აქ ყოველ ნაბიჯზე თითო აგენტი მაინცა სდგას. ხაფანგია, ნამდვილი ხაფანგია!

— ძმობილო, გარეკე!

კვაჭი მოიბუზა, დაპატარავდა, კისერი მხრებში ჩაიძვრინა, ქუდი ცხვირამდე ჩამოიფხატა, ხელსახოცი ტუჩებამდე აიკრა, გაინაბა და ცივ ოფლში გაიწურა.

— ჩქარა! გასწი! გარეკე!.. მარცხნივ აუხვიე!.. ეხლა მარჯვნივ მოუხვიე... შესდექი!

ეხლა კვაჭი ფეხით წავა. გაძვრება და გამოძვრება, კვალს არევს, თორემ ვინ იცის...

ვალიკო! ძმაო ვალიკო! მადლობა უფალსა, რომ სახლში დაუხვდი. აბა, ჩქარა დატრიალდი! ეხლავე მოსძებნე ბესო და ჯალილა. ბესო იმალება? იცის ბესოს ბინა? ახლოა? ძალიან კარგი. აბა, დაუძახე, ჩქარა! — და ნახევარი საათის შემდეგ — ბესო! ჩემო ბესიკო! ჩემო ერთგულო მეგობარო!... როგორა ხარ?.. ჯალილა როგორ არის? ფული რამდენი გაქვთ?

ყოჩაღ ბესო! აი მეგობარიც ასეთი უნდა! მაშ მუშაობდი კვაჭის გამოსაშვებად? უნდა ციხიდან გაგეპარებინა კვაჭი? ყველაფერი მზად გქონდა! კვაჭი უშენოდაც გამოვიდა, მაგრამ მისი სიცოცხლე მაინც შენია, საძუდამოდ შენია! კვაჭის ქონება გაჰყიდე და ფულად აქციე, განა! უკვე მზად ხარ წასასვლელად, განა! თუნდ დილაზე? მიდი, ბესო, მიდი კვაჭისთან. ერთხელ კიდევ უნდა ჩაგიხუტოს შენმა უფროსმა ძმამ. აბა, ეხლა გაიქეცი და ჯალილაც გაახარე.

— მაშ ასე: ხვალ რიჟრაჟზე შენ და ჯალილა ავტოს მოიყვანთ. მატარებელში მცხეთაში ჩასხდებით. ყველანი ფშაურ-გლეხურად ჩაიცვამთ. ყველას წვერი გავიზრდიათ ცულებს და პირსახეს ნუ დაიბანთ, პირიქით, კარგადაც შეითხუპნეთ. ევროპული ჩემოდნები გადაყარეთ და უბრალო კალათებით და ტომრებით წაიღეთ ჭუჭყიანი საცვალი და უბრალო ხაბაკხუბაკი. აბა, დილამდე!

ბესო, იყავ კურთხეულ ერთგულებისთვის აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

აქა ამბავი უმადურ სამშობლოდან გარდახვეწისა

მუშურ-გლეხურად მორთული კვაჭი, ბესო და ჯალილა ბათომის ერთ სასტუმროს მიადგნენ.

— ოთახი გაქვს?

— არის, ბატონო, რავა არ არის!

მეშვიდე ნომერში ვიღაც ჩასახლებულა, ამიტომ მეექვსეში დასახლდნენ. ბესო დასძვრება და მეშვიდე ოთახს და მის მდგმურს ჰსუნავს. ჯალილა ნური ბაზარში კონტრაბანდელებს ეჩურჩულება. კვაჭი კი დიდხანს ელოდება საბოლოო პასუხს და ნადირივით მფოთავს, დარბის და ზრუნვის ოფლში იწურება.

ბოლოს ბესომ ათიოდე გასაღები მოიტანა. ჯალილაც დაბრუნდა და სთქვა:

— აღა, ყოლაფერი გავაკეთე, ნეიხლება ღამე სავიდეთ.

სადილის დრო რომ მოვიდა, ბესომ სთქვა:

— დროა, კვაჭი. ის მდგმური სადილად წავიდა.

ჯალილა კიბესთან დადგა. ბესომ ადვილად გააღო მეშვიდე ნომერი. კვაჭი ფეჩს ეცა. ნაცარი გაჩქექა და წამოიძახა:

— კიპოვე, ბესო, ვიპოვე!

ხუთი წუთის შემდეგ სამივენი სასტუმროდან გამოვიდნენ, ხოლო ერთი საათის შემდეგ აჭარულად გადაცმულნი, ბათომიდან გავიდნენ.

კვაჭის წინ ნამდვილი აჭარელი მიუძღოდა — ჩუმი, მარდი და თვალმჭრელი. ოთხივეს მხრებზე თითო ჯოხი გაედო, ხოლო იმ ჯოხებზე პატარა ბოხჩები ჰქონდათ ჩამოკიდებული.

სტეპანოვის ფორტს მარჯვნივ მოუარეს, ბუჩქნარი გადასჭრეს, ჭოროხის ხიდზე გავიდნენ და მარცხნივ აუხვიეს. კარგახანს იარეს უხმოდ და ქურდულად. ბოლოს სოფელ სიმონეთს მიადგნენ, ერთ პატარა ოდაში შეიპარნენ და დასხდნენ.

აჭარელი გაჰქრა. მზეც მიიწურა. კარგად რომ დაღამდა, აჭარელი ქოხში შემოიპარა და სთქვა:

— წავიდეთ, ბატონო.

მგელივით მიძუნძულებს ფეხმარდი და თვალმჭრელი აჭარელი. უკან კვაჭი, ბესო და ჯალილა მისდევდნენ. სასიმინდე

ოლოგური სწრაფად გადაიქცა, უეცრად — დაბურულ ტყედ, გზა ჯერ გაბილიკდა, მერმე ის ბილიკიც დაიკარგა. აღმართი თანდათან მატულობდა. დაბურულ ტყეში მთვარე აღარ მოს-ჩანდა. სიბნელეში ერთმანეთის ჩრდილებს ბორძიკით მის-დევდნენ.

შუაღამემ მოატანა. ქედი გადალახეს და ტყის ნაპირზე გავიდნენ.

— აქ მოგვიცადეთ, ძამია. — სთქვა აჭარელმა და ბუჩქებ-ში მიიმალა.

ერთი საათის შემდეგ ისევ დაბრუნდა და ერთიც თან მო-იყოლა. ისევ გზას გაუდგნენ. ისევ მიდიოდნენ, ბორძიკობდ-ნენ და ოფლში იწურებოდნენ. ბოლოს, შეისვენეს და შემ-დეგ კლდიანსა და ბუჩქიან მთას შეუდგნენ. ფრთხილად და ფეხაკრეფით მიდიოდნენ მეორე აჭარელი ხშირად განზე გა-დიოდა, იქაურობას ათვალიერებდა, ყურს უგდებდა, მერმე ბრუნდებოდა და სიფრთხილეს უმატებდა. ერთ ალაგას ყვე-ლანი დაწვნენ და ერთი საათით ფოფხვით და ტაატით იია-რეს. ბოლოს ერთ მინდორზე რომ გავიდნენ, აჭარელი მობ-რუნდა:

— ძამია, ჩონ ოსმალების მიცაზე ვართ, ურუსის მიცა გათავდა.

ლტოლვილნი სიხარულით ახმაურდნენ. ერთმანეთს მიუ-ლოცეს. შიში აღარა ჰქონდათ, ამიტომ ხალვათად მიდიოდ-ნენ.

ერთგან შუქი გამოჩნდა. იმ შუქზე წავიდნენ და პაწაწა ყავახანაში შევიდნენ. ერთი აჭარელი წყვდიადში მიიმალა. რიერაჟზე კვლავ დაბრუნდა და ორი ლაზი მოიყვანა. აჭა-რელებმა ლტოლვილნი ლაზებს ჩააბარეს, ფული მიიღეს, ყველას მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს, კონტრაბანდა აიკიდეს და წავიდნენ.

მალე ყავახანაში ახალმა ხალხმა იყმოჰყო თავი. ერთი ჩაუში იყო, დანარჩენები ასკერები იყვნენ. ჩაუშმა მგზავ-რები დაათვალიერა და ჯალილას ოსმალურად გამოელაპა-რაკა. ვინ არიან? საიდან მოდიან? აქვთ თუ არა პასპორტე-ბი და ოსმალეთში შემოსვლის ნებართვა? ჩაუში ხშირად ახსენებდა „ბოლშევიკს".

— გელ, გედაჰ! — წამომყევით!

ყველანი გავიდნენ. უკვე გათენდა. ერთ სახლთან ორ საათს ისხდნენ და იცდიდნენ. გვერდით თოფიანი ასკერი ედგათ. ბოლოს სამივეს დაუძახეს.

— პარლე ვუ ფრანსე, მესიე,? — ჰკითხა კვაჭმა ახოვან აფიცერს.

— ნონ, ნონ, ბილმერამ. — არა, არ ვიცი — უპასუხა აფიცერმა და ჯალილას გრძელი ბაასი გაუბა ოსმალურად. მერმე აფიცერმა ჩაუშს რაღაც უთხრა. ჩაუშმა სამივენი თავით ფეხებამდე გასჩხრიკა და ნაპოვნი განძეულობა და საფულეები მაგიდაზე დააწყო, თვითონ კი განზე გადგა და თვალები აელვა.

აფიცერი იღიმებოდა, ფულს სთვლიდა და თვალ-მარგალიტს თვალებით სჭამდა. ჯალილა სთარგმნიდა:

— ალი ბეი ბრზანებს, რომ კნიაზები ზალიან მდიდარი კაცები არიანო.

კვაჭმა იცოდა, რომ ბეი უდასტუროდაც ინებებდა, რასაც მოიწონებდა, ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა:

— მოახსენე ალი ბეის ჯალილ, რომ აირჩიოს და ინებოს.

ალი ბეიმ ჯერ ერთი ნივთი აირჩია:

— ალი ბეი ზალიან მადლობელია.

— მოახსენე ალი ბეის, რომ მისი მადლობა ათჯერ სჯობია მაგ საჩუქარს. — გადასცა კვაჭმა.

ალი ბეიმ მეორე და მესამე განძიც გადაარჩია.

— ალი ბეი ბრზანებს, თქონ ბოლშევიკები ხომ არ ბრზანდებითო?

— მოახსენე ალი ბეის, ჯალილ, რომ ბოლშევიკებმა ჩვენი თავები ასი ათას ლირად დააფასეს-თქო.

ჯალილამ მოახსენა. ალი ბეიმ ორი დიდი მარგალიტი კიდევ მიაცურა.

— ალი ბეი ბრზანებს, რომ ჩონ დღეს ალი ბეის სტუმრები ვართო.

— მოახსენე ალი ბეის, ჯალილ, რომ ღირსეულ მადლობას მხოლოდ ალაჰი გადაუხდის.

— ალი ბეი ბრზანებს, სოტა ფული მასესხეო.

— ინებოს ჯალილ, — ბრაზით ხრიალებს კვაჭი, — მაგრამ ისიც მოახსენე, რომ სამივენი სტამბოლში მივდივართ

და, თუ გზის ფული არ გვექონ, ალი ბეიმ ისეთი ვინმე გაგვაცნოს, რომ იმისგან ჩვენ გზის ფული ვისესხოთ.

ჯალილმა გადუთარგმნა. ალი ბეიმ კაიცინა და კვაჰს ასეთი პასუხი შემოუთვალა.

— ალი ბეი ბრძანებს, რომ ალი ბეი ასეთ კაცს იცნობს.

— ვინ არის ასეთი კაცი, ჯალილ?

— ალი ბეი.

კვაჰმა ჩამოხრჩობილის სიცილით გაიცინა:

— ჯალილ, მოახსენე ალი ბეის, რომ მე სარგებლით დავუბრუნებ ფულს. მაგრამ თუ ალი ბეი სტამბოლში ჩამოვა და ჩემს ყონაღობას იკადრებს, ერთ არაბულ ცხენს და ისეთ დამასკურ ხმალს მივართმევ, რომ მთელ ოსმალეთში იმის ბადალს ვერ იშოვნის.

ჯალილმა ესეც გადასთარგმნა. ალი ბეიმ ოდნავ შუბლი შეიკრა.

— ალი ბეი ბრძანა, თუ ჩემი ყონაღი არ გინდათ, ისევ მოსკოვიაში სადილით.

— ჯალილ, ალი ბეიმ ტყუილად იწყინა ჩემი სიტყვა მე სიმართლე მოვახსენე. მოსკოველებს კი ეშმაკის ყონაღობაც კი აჯობია. ჩვენი თავებიც. ეს ფულიც და ეგ თვალ-მარგალიტიც ალი ბეის ფეშქაში იყოს.

— ბუიურ, ეფენდი! — ინებეთ, ბატონებო. სესხად ვაძლევთ. არ იცოჭავოთ.

იმ დღეს კვაჰი ალი ბეის სტუმარი იყო. ერთიმეორეს ისე დაუახლოვდნენ, როგორც ათი წლის უნახავი ღვიძლი ძმები. ერთმანეთს მოუალერსეს, თავები მოუქონეს, თავიანთი ამბები უამბეს, მისამართები მისცეს და პირობაც დადეს, რომ იმ დღიდან სამუდამო ძმები გახდებოდნენ და მიწერ-მოწერასაც არ მოაკლებდნენ.

მეორე დღეს ალი ბეიმ კვაჰს ხელუხლებლობის ბარათი მისცა, ცხენები უშოვნა, ასკერი გააყოლა და გაისტუმრა. იმ ასკერმა კვაჰი მეორე ასკერს გადასცა, მეორემ მესამეს და მეხუთემ მეექვსეს.

რამდენიმე დღის შემდეგ კვაჰი ტრაპიზონში ჩავიდა. იქაურმა ვალიმ კვაჰი ალი ბეისავით მიიღო: მეგობრულად და თავაზიანად, მაგრამ არც ალი ბეისავით ასესხა ფული

და არც თვითონ ისესხა კვაჭისგან. სამაგიეროდ ერთ თვეს აცდევინა და მერმე მისცა სტამბოლში წასვლის ნებართვა.

— მადლობა უფალსა! — სთქვა კვაჭმა როცა გემზე ავიდა. — ფული ძალიან ცოტა დაგვრჩა, მაგრამ...

— სამაგიეროდ თავები შევგრჩა! — ჩამოართვა ბესომ.

— შუქურ ალაჰ! — ანუგეშა ორივენი ჯალილამ. — სტამბოლი სჯობია საბურთალოს.

აქა ამბავი ძველის განახლებისა

გემი ბოსფორს მიუახლოვდა. სამივენი ბაქანზე იდგნენ. კვაჭს გვერდით ერთი ამერიკელი ედგა, ვინმე ვატსონი, რომელსაც კვაჭმა იმ ღამეს ბრიჯის თამაშში სამი ათასი დოლარი მოუგო.

— აქაურობა ფეხით მაქვს დავლილი. მე ისიც კი ვიცი, რომ აგერ იმ ციხეს, მარცხნივ რომ მოსჩანს, ქართული სახელი ჰქვიან: კარიბჭე.

— კარიბჭე? — წამოიძახა კვაჭმა — მართლა ქართული სახელია, მაგრამ საიდან, როგორ?

— ბიზანტიელების დროს ქართველებს მანდ მონასტერი აუშენებიათ და კარიბჭე დაურქმევიათ. მერმე ციხედ გადაუკეთებიათ.

გემმა ბოსფორის სრუტეში შეუხვია. ვატსონი მალიმალ ათის ხან მარცხნივ იშვერდა, ხან მარჯვნივ და განუწყვეტლივ ლაპარაკობდა:

— აგერ, რუმელის კანდელი... აი ანადოლის კანდელი... აგერ, მარჯვნივ ბეიუქ-დერე მოსჩანს... მარცხნივ ანადოლი ჰისარი გამოჩნდა.

კვაჭს მთელი ქვეყანა დავლილი ჰქონდა. ამიტომ ოსმალეთში გასაკვირალს არაფერს მოელოდა, მაგრამ ბოსფორის მშვენებამ კვაჭიც და ბესოც გაიტაცა.

— რა მშვენიერია!.. რა ლამაზია!. რა უცხო სანახაობაა! — წამდაუწუმ იძახოდნენ ორივენი.

— აგერ, რუმელი ჰისარი! — განაგრძობდა ამერიკელი. — ორთაკიოი... ვანიკიოი.

გემი კონსტანტინოპოლს მიუახლოვდა.

— აი ჩირაგანის სასახლე... აგერ, დოლმა-ბაღჩეს სასახლეც ეს გერმანელების საელჩოა... მერითი ბაქჩუდიე... თოფ-ხანე... გალათა!!!

გემი ნავთსაყუდელს მიადგა. ყველანი პერას უბანში გავიდნენ და საუკეთესო ევროპულ სასტუმროში დაბინავდნენ.

კვაჭმა ახალი ცხოვრება დაიწყო, მაგრამ ეს ცხოვრება ისევ წინანდელს ჰგავდა. იმ წინანდელს, როდესაც არც თებერვალი იყო, არც მამზელი კერენსკი, არც ოქტომბერი და არც „წითელი ჯოჯოხეთი“.

სამი ოთახი საუცხოო სასტუმროში, ათიოდე ხელი ტანისამოსი კარგი სმა-ჭამა, სეირნობა, ყავახანები, უხეში გასართობი და... ქალები, ქალები და ქალები: ებრაელები, ბერძნები, სომხები, ოსმალები, არაბები, სირიელები და საერთოდ ყოველის აღმოსავლეთისა კუთხეთა მზეთუნახავნი. დასავლელებს კვაჭი დიდი ხანია იცნობს. მან დიდი ხანია იგემა მათი გემო, ფერი, სიყვარულის იერი და ასნაირი სამაკინტლო ხერხი. მას ეხლა აღმოსავლელნი მოსწონს: დიდთვალებიანი, მუქნი, დაბინდულნი და დასიცხულნი, ანგორის კატასავით ლბილნი, სამხრელი გველივით მოქნილნი, ზოგჯერ არაბულ ცხენივით ფიცხნი, ზოგჯერ კი მაძღარი ვეფხვივით ზანტნი: მათი თვალები ბნელი ზღვაა, სადაც სთროთის მარიხ ვარსკვლავი, მათი კანი ძველ სპილოს ძვალსა ჰგავს, ხოლო ტუჩები — ოდნავ გაჩეჩილ ბროწეულს. თვითონ კვაჭიც წინანდელ კვიცს აღარა ჰგავს. იგი ხანში შესული ულაყია, — დინჯი, ნაცადი და გამოქნილი. ეხლა ესმის კვაჭის ისაკა იდელსონის დარიგება, რომელიც მან მიიღო ბულონს ბაღში ათი წლის წინათ. რა უთქვა მაშინ გაქნილმა იდელსონმა?

ახალგაზრდა ქალი სიყვარულის ხელოვნებაში ჯერ მოუნათლავია, გაუხედნავი, უფესვო მცენარეა. ხანში შესული დედაკაცი კი ფესვიანი მუხაა. ქალი სთესავს, დედაკაცი კი იმკის; ერთი თვითონ სწავლობს, მეორე კი ასწავლის; ერთი მორცხვად იღიმება, ან კისკისებს, ან ნაზად იცრემლება, ხოლო მეორე ხარხარებს, ჰღმუის, ჰყმუის. ზღავის; ქალის ალერსი ნიავია, დედაკაცისა კი გრიგალია; ქალის ვნება ალია, დედაკაცისა კი ნაკვერცხალი; ქარაფშუტა ქალებს ვარდის და იის

სუნი ასდით, ღაღუღებულ დედაკაცებს კი — მწნილისა და და როკფორის ყველისა.

ესმის ეხლა კვაჭს ისაკას გემოვნება, ესმის და ყველგან დაძვრება, ჰსუნავს და ეძებს. ეძებს და უხვად პოულობს.

მაგრამ — ღმერთმა დასწყევლოს ფულის მომგონი! — ლირები და დოლარები წყალივით ილევა. კვაჭმა რამდენჯერმე კიდევ ააგლიჯა თხელი ტყავი ამერიკელ ვატსონს და ორიოდე ევროპელ ბედოვლათს, მაგრამ — კვაჭს ბედი აღარ სწყალობს! — სტამბოლში ევროპელი ბედოვლათები ან დაილივნენ, ან კვაჭივით გაეშმაკდნენ.

ოსმალები კვაჭს ახლოსაც არ იკარებენ, ხოლო, იქაური სომხები, ბერძნები, ურიები და ლევანტელები თვითონვე ნადირობენ კვაჭის თხელ ჯიბეზე. რა ხალხია, ღმერთო ჩემო, ეს ბერძნები, სომხები, ურიები და ლევანტელები! კვაჭი თითქოს ხელის გულზე ჰყავთ. სანამ პირს დააღებს სამტრედიელი, ამ გაიძვერებმა უკვე იციან მისი აზრი და პასუხს წინდაწინვე აძლევენ. კვაჭს ხაფანგი ჯერ არც კი ამოუღია, ისინი კი მას ყოველ მხრიდან ხუთიოდე უკეთეს ხაფანგს უგებენ. კვაჭი ჯერ ბადეს ჰქსოვს, თვითონ კი უკვე ხუთიოდე ქსელშია გაბმული.

კვაჭის ტვინი მათთვის გახსნილი წიგნია, რომელსაც სიაპასუხით კითხულობენ. მისი ხრიკები გამხმარი ჩხირებია, რომელსაც ორის თითით ამსხვრევენ, ხოლო მისი ჯადო დამპალი ლეჩაქია, რომელიც თავისთავად იფხრიწება.

არა, აქ არც ერთი საქმის „გარემასქნება“ არ შეიძლება! ამ დაწყევლილ ქალაქში ცხოვრება შეუძლებელია! ისევ პარიზისკენ, ლონდონისკენ, რომისკენ! მაგრამ... ევროპაში კვაჭს არ უშვებენ, ვიზას არ აძლევენ. ალბათ იცნობენ კვაჭანტირაძეს, ალბათ მისი მტრები აქაც უჩხიკინებენ კვაჭს.

— მახლას! — სთქვა ბოლოს კვაჭმა და ახალ ბედს შეურიგდა.

მაგრამ უფულოდ ცხოვრება არც სტამბოლში ყოფილა შესაძლებელი, ამიტომ კვაჭმა სწორედ იმ დროს აილაგმა თავი, როდესაც მეეტლეს უკანასკნელი ლირა მიუგდო.

სტამბოლი ემიგრანტების დედაქალაქია. პერაზე რუსული ოსმალურზე უფრო ხშირად ისმის. ყავახანები, რესტორანე-

ბი და ღამის გასართობები სავსეა რუსის კნეინებით და ნაკაცარებით.

კვაჭი ამ ალაგებს და ნაკაცრებს შეეჩვია. დადის ერთი რესტორნიდან მეორეში, ყავახანიდან ყავახანაში და რაღაცას აკეთებს, ვიღაცას დაეძებს, რაღაცას ჰქსოვს. ზოგჯერ ნაძებნარს პოულობს და მცირე საქმეს „აიმასქნებს“. ნარჩევ ქალს გაიცნობს. აიყოლიებს და ვატსონს ან სხვა მუშტარს ჩააბარებს. ვატსონების სუფრიდან კვაჭისთვისაც გამოდის ცოტაოდენი მწარე ნასუფრალი. ვატსონმა ერთ ექიმს გააცნო კვაჭი. ექიმმა კი კვაჭი ერთ დედაბერს ჩააბარა. იმ დედაბერმა კვაჭი კარგად გაშინჯა, გამოსცადა და ერთხელ უთხრა:

— ქალაქში ძალიან ბევრი უშვილო ქალია. ქმრები ჰყავთ. მაგრამ... გესმით?

ესმის კვაჭს, როგორ არ ესმის! კვაჭმა უნდა უშვილო ცოლქმარს უშველოს. კეთილი და პატიოსანი. ფასი?

— მოვრიგდებით. ოღონდ არასოდეს არ უნდა აჰხადოთ მუშტარს ნიღაბი.

კეთილი. კვაჭი ამ პირობასაც მიიღებს. მიიღო და ასრულებს კიდევაც, პირნათლად ასრულებს და დღითი დღე სცხოვრობს.

ერთხელ კვაჭმა ერთ პაწაწინა ეზოში შეიხედა.

— აქა სცხოვრობს მისტერ დერბლი?

— არა, მისტერ დერბლი ამ სახლში არა სცხოვრობს.

ღმერთო დიდებულო! ეს ვისი ხმა არის? ეს ვინ სდგას პაწაწინა აივანზე? ვისია ის თმა, ოქროსფერი ბულულა თმა? ვისია ის თვალები, ცისფერი, ღრმა და ჟუჟუნა თვალები? ეს ტუჩებიც, ოდნავ გაცრეცილი და მთრთოლავი? მაგრამ!...

მცირე ხანს უცქირეს ერთმანეთს. მერმე იმ ტუჩებზე ღიმილმა აითამაშა.

— რებეკა, შენა ხარ?

—მე ვარ, მე! ვეღარ მიცანი?

— ჩემო რებეკა... ჩემო რები!

კვაჭმა რამდენიმე ნახტომით გადასჭრა ეზო და რები მკერდზე მიიხუტა. ალეწილმა რებეკამ ცხარე კოცნაზე მორცხვი კოცნით უპასუხა, დაიბნა და უკან მიიხედა. პატარა კარებში მეორე დედაკაცი იდგა.

— ღმერთო დიდებულო! ელენე! შენც აქ ყოფილხარ!

და ელენეც ჩაიკრა და აზუტზუტდა:

— ორივე ერთად.. ორივე ერთ დღეს, ერთ ბინაზე... ორნაირი ბედნიერება!

— შინ შემოდი. — შეიპატიჟა ელენემ.

სამივენი ოთახში შევიდნენ. ოთახი დაბალი, ბნელი და პატარაა. ელენეს და რების სადგომი სილარიბით, ნესტით და სევდით იყო შემოსილი.

კვაჭმა ორივე აათვალიერა. იაფი ჩითის კაბები ეცვათ, ისიც დაკერილ-დაკონკილი. ხელები დაჩხვლეტილი ჰქონდათ ნემსისგან და თვალები დასიებული უძილობისგან.

რებეკას ლოყაზე დაპატიჟებით ჩამოსდიოდა ცრემლი.

— რები, რა გატირებს? რა დაგემართა?

რები, უთხარი შენი ლოლი შენს აპოლონს. უამბე შენი ცრემლის მიზეზი შენს წინანდელ აეგობარს. ნუ მერიდები კვაჭს. მან დაივიწყა შენი უმადურობა და სისუსტე — რომელსაც პავლოვის წამებას ვერ გაუძელი და ისეთი რამე სთქვი, რაც არ უნდა გეთქვა. გული მოიჯერე და სხამი მოიბანე. პავლოვმა თავის ხვედრი მიიღო.

—ამ ერთი თვის წინათ ტფილისში დახვრიტეს.

რებეკას ეს ამბავი არ უხარიან. ელენე ოდნავ გაფითრდა. „ჰო, მართლა, — აგონდება კვაჭს, — პავლოვს და ელენეს ერთ დროს ერთმანეთი უყვარდათ. სას აქეთ ბარემ ოთხი წელიწადიც გავიდა. ელენეს მაინც მოსვლა ეს ისარი. რაც უნდა იყოს, პავლოვი ლამაზი და შამაცი კაცი იყო. საწყალი!

ბოლოს, როცა გული იოიჯერეს და ერთმანეთი უგულოდ მოიკითხეს, რებეკამ და ელენემ კვაჭს თავიანთი ამბავი უამბეს.

ხუთი წლის წინათ პეტერბურგიდან ერთად წამოვიდნენ ისაკა, რებეკა, ელენე და რამდენიმე მათი ნაცნობი. მოსკოვის მახლობლად ერთ პატარა სადგურზე გაიხირნენ. სამივენი გაძარცვეს და ულუკმაპუროდ დასტოვეს. ადესაში ხელცარიელნი ჩამოვიდნენ, ხუთ თვეს იყვნენ გზაში. მათხოვრობით და შავი მუშაობით იკვებებოდნენ. კიევში ვ. ტგანშტეინი შეხვდათ. ახსოვს კვაჭს ეს ვაჟბატონი, პარიზში რომ უხეირო მეტოქეობას უწევდა ბედნიერ აპოლონჩიკს?

— მახსოვს, კარგად მახსოვს.

ვიტგენშტეინი ელენეს ეხმარებოდა, მაგრამ მალე დახვრიტეს.

— ვინ დახვრიტა?

ვინ იცის! მაშინ ყველანი ხვრეტდნენ ერთმანეთს.

მერმე ადესაში ჩამოვიდნენ. ისაკას და რებეკას ნათესავები გაშიშვლებულნი იყვნენ. ქალაქს რომ წითლები მოადგნენ, სამივენი კონსტანტინოპოლში გამოიქცნენ. ისაკა მოხერხებული კაცი იყო.

— როგორ თუ იყო? სად არის ისაკა? — ეხლადა იკითა ქვაჭმა.

— მოკვდა საწყალი. — სთქვა ელენემ.

რებეკა ხელმეორედ ატირდა.

ელენემ განაგრძო:

— ისაკა მოხერხებული კაცი ყო. რესტორანი გახსნა, კარგი მოგება ჰქონდა. მე და რებიც იმ რესტორანში ვმუშაობდით. ჯამაგირი გვყოფნიდა. ასე ვცხოვრობდით. ექვსი თვის წინათ ისაკა გაცივდა და მოკვდა.

— საწყალი! — წამოიძახა ქვაჭმა.

— რესტორანს ვალი ჰქონდა. გავყიდეთ და ხელცარიელი დავრჩით. ეხლა საცვალს ვკერავთ და ისე ვცხოვრობთ, მაგრამ... ვაი ამ ცხოვრებას!.

მერმე ქვაჭმა უამბო თავის თავგადასავალი.

— ბრძოლაში დამიხოცეს ჩხუბიშვილი, პავლიაშვილი, ჩიქინჯილაძე, ჭიპუნტირაძე და ბეკარევი.

— საწყალი!.. საწყალი! — ისმოდა წამდაუწუმ.

— ახია ბეკარევზე! — წამოიძახა რებიმ. — იმან დამპატიმრა.

— მართლა, ტანია როგორ არის? — მოაგონა ელენემ.

— შიმშილით მოკვდა. — ცინჯად უპასუხა ქვაჭმა.

ელენე აღელდა:

— მერმე, შენ ვერაფერი უშველე?

— ვერაფერი არ შემეძლო, [illegible] გავუწოდე, არ მიიღო.

— გახუსი და მისი ცოლი?

— გახუსი დახვრიტეს, იმის ცოლი კი სარეცხს რეცხავს.

კიდევ მრავალი მოიკითხეს და მოიგონეს. ზოგი [illegible] მოკვდა შიმშილით და ჯავრით, ზოგი ციხეებში დაპხოცეს, ზოგ-

ვიც სადმე ან სარეცხს რეცხავდა, ან ფეხსაცმელს სწმენდავდა, ან რესტორნებსა და ყავახანებში მსახურობდა და ათასნაირ მძიმე მუშაობით იხოცებოდა.

კვაჭმა ორივენი რესტორანში დაპატიჟა, მაგრამ მადლობა მიიღო, რადგან არც ელენეს და არც რების სარესტორანო კაბა არა ჰქონდა. ბოლოს მაინც შეთანხმდნენ: თვითონ კვაჭი გაჰყვა ქალებს ისეთ სასადილოში, რომელიც მათს ღარიბ კაბებს შეეფერებოდათ.

საღამოზე ძლივს დაშორდნენ ერთმანეთს.

რა გზას დაადგეს კვაჭი? როგორ მოიქცეს? როგორ მოუაროს, ან მოუაროს თუ არა შვიდიოდე წლის წინათ თავმინებებულ საყვარლებს? მოვალეა თუ არა კვაჭი, რომ ორივენი აიკიდოს და ზიდოს? რა თქმა უნდა, მოვალე არ არის. ერთ დროს სამივემ მისაღები მიიღო. მისაცემიც მისცა და შერმე თავისთავისი გზით წავიდნენ.

— მაგრამ მაინც... კაცნი ვართ... ვინ იცის!

კვაჭმა მეორე დღეს ორივენი ჭუჭყიან სალამურში დაპატიჟა. ამ სალამურში სტუმრები უკვე გალეშილიყვნენ. მუსიკა ჰყვირინებდა. ფოქსტროტი, ტანგო და მუცლის ცეკვა ისე ილაქებოდნენ და ბუქნაობდნენ, რომ ერთი იქ დამსწრე ძაღლიც კი წითლდებოდა. მუშტარს ქალები ემსახურებოდნენ, რომელნიც დროგამოშვებით ქალიშვილ მუშტარს სადღაც ეზოში მიაპირებდნენ და უკანვე დაგვიანებით ბრუნდებოდნენ.

დასხდნენ და მოითხოვეს. კვაჭი თავის სტუმრებს თვალს არ აშორებდა და მათს პირისახეზე სარკესავით ირეკლებოდა. იხედებოდა და ნათლად ჰხედავდა სალამურის შთაბეჭდილებას. ნეტა რები და ელენეც მუშაობდნენ რომელიმე რესტორანში? როგორი იყო ის რესტორანი, სუფთა თუ ჭუჭყიანი? გახდილი თუ ჩაცმული? ქალებით თუ უქალოდ? შეჩვეულნი არიან თუ ხამნი, ნაცადნი თუ უცდელნი? კვაჭმა უმალვე ამოიკითხა პასუხი მათს პირსახეზე: მათ ოდნავ ეხამუშათ ამ სალამურის იერი. კეთილი და პატიოსანი. მაშ თითქმის გახედნილნი ყოფილან.

— ეს ქალები დიდ ფულს შოულობენ. — ამბობს კვაჭი.

— მანამდე შოულობენ, სანამ არ დაბერდებიან. — პასუხს აძლევს რები.

— შოულობენ, მაგრამ ვაი ამ შოვნას! — უმატებს ელენე.

— რა თქმა უნდა, ამ ჭუჭყიან ხალხთან საქმის დაჭერა ადვილი არ არის, — აგრძელებს კვაჭი. — მაგრამ სხვა ადგილებიც მოიძებნება. იქ ბინაც მშვენიერია, ხალხიც სუფთაა და ზრდილობიანი. მიირთვი, ელენე, ნამდვილი შარტრეზია. იქაური ქალები კნეინებივით სცხოვრობენ. ბოლოც კარგი აქვთ: თითქმის ყველანი საბედოს პოულობენ და თხოვდებიან.

რებიმ ამოიოხრა... ელენემ იდუმალი ღიმილით გაიღიმა; კვაჭმა კი განაგრძო:

— ბოლოს და ბოლოს, მართალი რომ ვთქვათ, ეს ქალები არც ისე უბედურნი არიან, როგორც რომანისტები ჰბერავენ. რები, რატომ არა სვამ? დალიე. ადამიანი ყოველივეს ეჩვევა. ეს არის მისი მთავარი იარაღი და ბედნიერება. ამ ქალებს ნაჭარბევად აქვთ ისეთი რამე, რასაც მილიონი ხალხი ნატრულობს: ხორცის სიტკბოება და სიამე, ესეც ანგარიშში უნდა ჩავაგდოთ. ამათ არც კი იციან შრომის წამება, რომელსაც მთელი კაცობრიობა გაურბის. ყველაფერი მუქთად მოსდისთ: მშვენიერი ბინაც, უხვი ჭამა-სმაც და საუცხოვო ტანსაცმელიც. თუ ასეთმა ქალმა ჭკუა მოიხმარა, ცოტაოდენი მოითმინა და ყალბი თავმოყვარეობა დროებით მაინც გადასდო განზე, ის ადვილად განვლის თავის გზას და ბედნიერად დაბერდება. რები, დალიე, ელენე, ნუ ჩამოგვრჩი.

— მაგრამ ქალს, ჯერ ერთი, საჭიროა სილამაზე. — სთქვა რებიმ და ერთხელ კიდევ ამოიოხრა.

— რა თქმა უნდა! — უმალვე დაეთანხმა კვაჭი.

— მერე — ახალგაზრდობა.

— ეგ კი მართალი არ არის. ან რა არის ახალგაზრდობა? ზოგი ორმოცი წლის ქალი ოცდახუთის წლისაზე უფრო ახალგაზრდაა.

— მართალია. — ამოიოხრა ელენემაც.

— გარდა ამისა, დამიჯერეთ, რომ გამოცდილ ხალხის თვალში ოდნავ ხნიერი დედაკაცი უფრო ფასიანია, ვიდრე გასათხოვარი ქარაფშუტა.

— ეგეც მართალია. — დაუდასტურეს რებიმ და ელენემ.

— ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კარგ... კარგ სახლში, კარგ ოჯახიშვილს და ზრდილობას უფრო აფასებენ, ვიდრე

სილამაზეს და ახალგაზრდობას. ელენე, ჭიქა დასცალე. რები, ნუ ჩამოგვრჩი.

რები და ელენე უკვე იწვოდნენ ლიკიორით. ქალ-ვაჟნი ირგვლივ ისე თამამად და ურცხვად ალერსობდნენ, რომ მათი ვნებიანობით ჭურჭელი და ავეჯიც კი გაიჟღინთა და გაიტენა.

„ორივენი მზად არიან, ორივენი მომწიფებულან“. — უხაროდა გულში კვაჭს და სასმელ-საჭმელს უმატებდა. — „გარსონ! შამპანური, კიბო და ხილი. მერე ყავაც მოაყოლე“.

როცა სამივენი იმ ნესტიან ოთახში დაბრუნდნენ, უკვე ცისკარმა მოატანა. კვაჭმა თავი მოიმთვრალა.

კვაჭი ვეღარ წავა აქედან. ძალა აღარ აქვს. აქ დაიძინებს. ერთმანეთს მიაკარით ორივე ტახტი. აი ესე. რას იცინით?! რა არის სასაცილო?! ერთ დროს ორივენი სწყალობდით კვაჭს. ეს ამბავი მაშინვე იცოდით. ვითომ რა დაშავდება, რომ წარსული სიტკბოება სამივემ ერთად გავიხსენოთ? გცხვენიათ? ერთმანეთს ერიდებით? აქამდე თავიდან ვერ მოიშორეთ ეგ „მეშჩანური“ ზნეობა?! აქამდე ვერ ჩამოირეცხეთ ბურჟუაზიული ჩვეულებანი?! გეძნელებათ? კეთილი და პატიოსანი. კვაჭი ლოგინში ჩაწვება და დაიძინებს, თქვენ კი ხეზე დაიძინეთ. ან სულაც ნუ დაიძინებთ. ახა-ხა! მეტი გზა არ არის? მაშ თქვენც გაიხადეთ... აი, აგრე... ელენე, სანთელს ნუ აქრობ! ხომ იცი კვაჭის ჩვეულება, დაგავიწყდა, განა! აბა. მობრძანდით... ღმერთმა აკურთხოს საქმეული!

იმ ღამეს კვაჭმა ვაჟკაცივით გაშინჯა ორივე ქალი. მეტისმეტად ხომ არ დასრულდა ელენე? ხომ არ გახდა რები? კანი ხომ არ დაუჭკნათ? მოქნილება ხომ არ დააკლდათ? ხომ არ დამძიმდნენ? ხომ არ გახელდნენ?

ოდნავ დამძიმდნენ, ხოლო სხვაფრივ ყოველივე რიგზე აღმოჩნდა. მაშ, კარგი, კეთილი და პატიოსანი!

აქა ამბავი ძველი სიყვარულის განადგებისა, კვაჭის დაოჯახებისა და ამბავთა დასრულებისა

კვაჭმა ჯიბეები მოიფხიკა და ორივე ძველი საყვარელი მდიდრულად შემოსა. შემოსა და ერთ ღამეს ხელშეკრულ მიიყვანა იმ „სახლში“, რომლის მშვენება და დიდება წინა ღამითვე აჩვენა. ბესო და ჯალილაც თან წაიყვანა.

დიდი და სუფთა სახლი გაჩაღებულია. მარმარილოს კიბე ხალიჩებით, ქანდაკებებით და ტროპიკული მცენარეულობით არის მორთული. ტიტველი ქალებით ნახატი და მძიმე ფარდებით დაბურული გრძელი დარბაზი ქალებით და სტუმრებით არის გავსილი.

დარბაზის ბოლოში წითელი ოთახი მოსჩანს. იმ ოთახში ოსმალური ტახტი სდგას. იმ ტახტზე ფეხმოკეცილი დედაკაცი ზის — ისე დინჯად და მშვიდად ზის, როგორც ღვთისსწორი ბუდა.

კვაჭმა ორივე ქალი იმ ოთახში შეიყვანა.

—ლიზა-ხანუმ, გთხოვთ ჩემი დები გაიცნოთ.

თვითონ ლიზა-ხანუმის ხელს დასწვდა და მოწიწებით ემთხვია.

ლიზა-ხანუმი მეტად სქელი და ჩატიკნული ორმოცდაათი წლის დედაკაცია. შავად შეღებილ ბუღულა თმაში ბრილიანტების მძივი აქვს გახლართული, ფაფუკ ყელზე მოთვალული მანიაკი აქვს შემოხვეული. იმ მანიაკს ორსართულიანი ღაბაბი დასწოლია. გოლიათურ მიშველ მკერდსაც, განიერ მაჯებსაც და შუშაკისტრისოდენა თითებსაც უხვად აყრია ლალი, ფირუზი, ზურმუხტი და აჩეთვისტონი.

ლიზა-ხანუმმა მუშტრის თვალით გაშინჯა ორივე ქალი. — ისე გაშინჯა, როგორც დალალი შინჯავს გასაყიდ ცხენებს. ბოლოს ძლივს ამოიღო ბოხი და გაბზარული ხმა:

— ჩემო დაო, — უთხრა ჯერ ქლეხეს, — შენი თვალები გიშერზე უფრო შავია. შენ ვარსკვლავის ანარეკლი [illegible], შენს [illegible] [illegible] ვხედავ. შენი მკერდი [illegible] არ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] თეთრი [illegible] [illegible] [illegible]
ბა, [illegible]

[illegible]

— შენი თმა ნამდვილი ოქროა. შენი თვალები ცისკარს მაგონებს. მაგ ცაზე ორი მარგალიტი ბრწყინავს. ტუჩები სისხლიან იარას მიგიგავს. ჯეირანივით მოქნილი და სხარტი ტანი გაქვს. მაღალი და წვრილი ბარძაყები ჩვენს დროში იშვიათია. ფეხებსა და ხელებზე გეტყობა, რომ შენს ძარღვებში ცხარე სისხლი სჩქეფს. თქვენც დაბრძანდით. თავადო, — მიუბრუნდა ქვაჰს, — თუ ჩემის გვერდით იკადრებთ, ამ ტახტზე ჩამოჯექით.

დინჯად აიღო ვერცხლის ზარი, დინჯად დააწკარუნა და უმალვე გაჩენილ არაბს დინჯად უთხრა:

— ჰუსეინ, ოთხი ყავა და შიბუხი.

ისხდნენ, სვამდნენ და ტკბილად საუბრობდნენ.

— მე ქრისტიანი ვარ, — ღიმილით ამბობდა ლიზა-ხანუმი. — ჩემს ბერძნულ სისხლში უცხოთა სისხლის ერთი წვეთიც არ ურევია. ჩემი ქალები — ოცდარვა ქალი მყავს — ჩემზე ლოცულობენ და დღედაღამ მეძახიან. ამ სახლიდან ჯერ ერთი საჩივარიც არ გასულა. ყველა რჯულის ქალი მყავს, მაგრამ ყველა თავისებურად ლოცულობს. მე ამ საქმეში არ ვერევი. ჩემი ქალების საჩუქრებით ერთი ოთახი გავსო. ათასმა დამანება თავი და ათასი გათხოვდა, მაგრამ ლიზა-ხანუმს მაინც ვერ ივიწყებენ, ყველასგან ხშირ-ხშირად წერილი მომდის. ამ ოჯახში ჭამა-სმა თავისუფალი აქვთ, ტანთსაცმელი — ფუფუნებიანი, გასართობი — დაუვიწყებელი. ექიმი, წამალი და მასაჟ-აბანოც უფასოა. მეტი რა უნდათ? არაფერი. სიყვარულს და საქმროს ელიან. ბოლოს უეჭველად პოულობენ, თხოვდებიან, შვილებს აჩენენ და ბედნიერად ცხოვრობენ. ასეთია ლიზა-ხანუმის ოჯახი.

ასე ტკბილად გალობდა ლიზა-ხანუმი, რომელმაც ათასი ქალი გაათხოვა და ათასი ბედნიერი ოჯახი ააშენა. გალობდა, სვამდა და სტუმრებსაც ასმევდა. ბოლოს სთქვა:

— ჩემო ვაშერო! ჩემო ოქრო! მიბრძანდით და ისიამოვნეთ. დღეს ჩემი სტუმრები ბრძანდებით. ხვალ კიდევ ვიკურკუროთ.

ქვაჰმა რები და ელენე დარბაზში გაიყვანა, ბესოს ჩააბარა და ისევ ლიზა-ხანუმს მიუჯდა, ისე ახლოს მიუჯდა, რომ ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმოდათ. მიუჯდა და ჰკითხა:

— *რას იტყვი, ლიზა-ხანუმ?*

ლიზა-ხანუმი დიდხანს სდუმდა, მერმე პასუხი ძლივს ბღირსა:

— თვალგიშერა სქელია, ოქროსთმიანი ხნიერია.

— ლიზა-ხანუმ, — ჩასჩურჩულა კვაჭმა — შენ ოქროსთმიანზე თხუთმეტი წლით უფრო ხნიერი ხარ, ხოლო თვალგიშერა, შენ რომ შეგადარო, გამხდარი ბავშვია. მაგრამ, ვფიცავ ჩემს მზეს და ღმერთს, რომ შენ ყველა ქალებს მირჩევნიხარ.

და ვანიერ გავაზე მქლავი მოუცაცუნა. ლიზა-ხანუმმა კვაჭს თვალებში შეხედა, ბებრულად გაუღიმა, სქელი სალოკი თითი ოდნავ აჭკრა ნიკაპზე და უთხრა:

— ეფენდი, ნუ დამცინი.

— მე რომ შენს საწოლში ვიყო, უმალვე დაგიმტკიცებდი, რომ თავადი კვაჭანტირაძე ლიზა-ხანუმს დაცინვას არ ბკადრებს.

— როდის დამიმტკიცებ?

— თუნდ ეხლავ.

ლიზა-ხანუმი წამოდგა და ბატის ნაბიჯით წავიდა კარებისკენ, ხოლო არაბული ცხენი იმ ბატს ნელი ნაბიჯით გაჰყვა.

„დამტკიცების“ შემდეგ ორივენი დაბრუნდნენ და თავთავიანთ ალაგებზე დასხდნენ. კვაჭს ჯიბეში ახალი დასტა ფული ედო, ხოლო ცერზე ახალი უზარმაზარი ბეჭედი ჰქონდა წამოცმული. ეს იყო ორი ქალის და „დამტკიცების“ სასყიდელი.

ლიზა-ხანუმმა კვლავ ბუდასავით მოიკეცა და ზეთიანი თვალები დარბაზს მიაპყრო. მერმე სთქვა:

— აპოლონ, შენი ურუსის ქალები კარგი გამოდგა. ვერიჩკა ძალიან მხიარულია. შეხედე, როგორ ცქმუტავს. არც კატინკა ჩამოუვარდება. მუშტარს ბლომად ახარჯვინებს.

— ნადინკა როგორი გამოდგა, ლიზა-ხანუმ?

— მაგისთანა ცეკვა იშვიათად მინახავს. კარგი ხელი გქონია. ეხლა წადი, თორემ შენი მეგობრები აქეთ იხედებიან. ორივენი ხვალვე ჩემთან გადმოასახლე, აგერ იმ სახლში, პირდაპირ რომ სდგას. ჯერ იქ იცხოვრონ. ნელა-ნელა შეეჩვევიან და მერმე ამ სახლში გადმოვლენ. დანარჩენი მე

ვიცი. მშვიდობით, ჩემო ლომო. წასვლა რომ დააპიროთ ერთხელ კიდევ შემოიხედეთ ჩემს ოთახში. ხვალ კი უფრო ადრე მოდი.

ასე გაანაღდა იმ ღამეს კვაჭმა ორი დაობებული სიყვარული და ასე შეიძინა ახალი მეგობარი ლიზა-ხანუმი, ისიც დაობებული და ჟანგიანი, მაგრამ მსუქანი და მომავლიანი.

გავიდა ხანი. კვაჭი ლიზა-ხანუმის „ოჯახის“ წევრი გახდა. მისი „დები“ — რები, ელენე და ხუთიოდე სხვებიც — ლიზა-ხანუმის შვილებად გადაიქცნენ. კვაჭი ყოველ ღამეს „ამტკიცებდა“, რომ ხნიერისა და დაგეშილი დედაკაცის ღმუილი და ხარხარი ახალგაზრდა ქარაქუცას წკმუტუნსა და კისკისს სჯობდა, ხოლო ლიზა-ხანუმის სუნი — როკფორის ყველის სუნი — ვარდის და იის სურნელსაც კი აქარწყლებდა.

კვაჭი და ლიზა-ხანუმი ოსმალურ ტახტზე სხდებოდნენ, ყავას, ლიკიორს და ტკბილეულობას მიირთმევდნენ, ეგვიპტურ თამბაქოს აბოლებდნენ, ტკბილად მუსაიფობდნენ და ამძუვნებულ დარბაზისკენ იხედებოდნენ.

ერთხელ ლიზა-ხანუმმა უთხრა კვაჭს:

— ჩემო აპოლონ, დროა ჩვენი საქმე გამოვარკვიოთ. ყური მათხოვე და დაფიქრდი. მე ორი დიდი სახლი მაქვს, მესამე ახლად ნაყიდი აგარაკია კადიკიოში. გარდა ამისა, პაპანდოპულოს ფირმის ნახევარიც მე მეკუთვნის. დანარჩენი შენც იცი: მდიდრულად მოწყობილი ბინა, ეტლი, მრავალი სამკაული და ორას ათასამდე ნაღდი ფული. ჩემი წლიური შემოსავალი სამოც ათასზე მეტია. ჩემი ქმარი შარშან გარდაიცვალა, — ეს შენც იცი. უშვილო ვარ, — ესეც იცი. ნათესავები ჩემს სიკვდილს ელიან, — ესეც გიამბე. მაგრამ მე არც სიკვდილს ვაპირებ და არც ჩემს საქმეზე ხელის აღებას. მე მიყვარს შრომა და ეს საქმე, რომელსაც შევეჩვიე. მაგრამ უმამაკაცო საქმე, ისიც ამისთანა, სამფეხა ცხენს ჰგავს. ასეთი საქმე ცოცვით ივლის, მაგრამ ვერ გაიქცევა. გარდა ამისა, მე გლოვის ვადა გამითავდა. პარტონობას შეჩვეული

არა ვარ. შენც ხედავ, რომ მამაკაცები — ახალგაზრდებიც და მდიდრებიც — ბუზივით მეხვევიან და ჩემგან პასუხს ელიან.

ორივენი დიდხანს სდუმდნენ და აბოლებდნენ.

— მიმიხვდი? — ჰკითხა ბოლოს ლიზა-ხანუმმა.

— ლიზა-ხანუმ, — უპასუხა კვაჭმა. — სირცხვილით ვიწვი იმის გამო, რომ შენ დამასწარი. ხვალ მე თვითონვე ვაპირებდი ამ საქმეზე ლაპარაკს, მაგრამ რაკი დამასწარი, სხვა გზა აღარ არის, დღესვე უნდა გავათავოთ. ლიზა-ხანუმ, ჩემი ვინაობა და თავგადასავალი უკვე გითხარი. მე თავადიშვილი ვარ, ეს ერთი. ოცდაჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა, ეს მეორე. ორი უნივერსიტეტი მაქვს გათავებული, ეს მესამე. რადგან პრინცის სასახლეში ვარ გაზრდილი, ამიტომ თან დამყვა ჩემი გემოვნება და ჩვეულებანი, ესეც ოთხი. რაც მქონდა, წითლებმა წამართვეს, მაგრამ მე მაინც ფულს ვშოულობ და ჩემებურად ვხარჯავ, ესეც ხუთი.

კვლავ იყუჩეს და გააბოლეს. ბოლოს, კვაჭმა ჰკითხა:

— ლიზა-ხანუმ პასუხს მიმიხვდი?

— მიგიხვდი, ჩემო აპოლონ. მამაკაცს ჯიბის ფული სჭირდება. ჩემი უკანასკნელი ქმარი თვეში ორას ლირას ხარჯავდა.

— ლიზა-ხანუმ, — ჩამოართვა სიტყვა კვაჭმა, — შენი ქმარი თავადი არ იყო, ის შენზე ხნიერიც იყო და გაუთლელიც. ამიტომ...

— ამიტომ შენ ათასი ლირა უნდა იხმარო.

— ლიზა-ხანუმ, მე სამი ათასს ვხარჯავ.

— ათას ხუთასი გეყოფა.

— ლიზა-ხანუმ!

— გავათავოთ. ორი ათასი ლირა თავსაყრელი გეყოფა. გარდა ამისა, შენს მეგობრებს სამსახურში მივიღებ და ეტლის მაგივრად ავტომობილს გიყიდი. ორი საჯდომი ცხენიც შენი ფეხქვეშ იყოს. გავათავოთ, ხელი მომეცი.

ერთმანეთს ხელი მისცეს, ჩაეხუტნენ და ერთხელ კიდევ „დაამტკიცეს" სამუდამო მეგობრობა და კავშირი.

* * *

კნეინა ლიზა-ხანუმ კვაჭანტირაძის „სახლში“ ყოველივე თავისი რიგით და წესით მიდის.

კარგად რომ დაღამდება, ლიზა-ხანუმის ოცდაათი ქალიშვილი შიშველ-ტიტვლად მოირთობა და დიდ დარბაზში გამოფინება. სტუმრებიც ნელ-ნელა იკრიბებიან.

ბოლოს კნეინა ლიზა-ხანუმიც ბატივით გამოგოგდება, ოსმალურ ტახტზე ძეგლივით გაიყინება და თავის შვილების ბედნიერებით სტკბება.

ბესო სალაროს მისჯდომია. იარაღში ჩამჯდარი და გულხელდაკრეფილი ჯალილა კარებთან ასვეტილა.

ლიზა-ხანუმის მეუღლე და „სახლის“ მოურავი კვაჭი კვაჭანტირაძე დაკარგული ინდოურივით დაბორიალებს. ხან თავის კნეინას მიუჯდება, ხან ბესოს გამოეხმაურება, ხან ჯალილას მიუგდებს ორიოდე სიტყვას, ხან სტუმრებს მიესალმება და ხანაც სამზარეულოში შეიხედავს.

დაბორიალებს კვაჭი კვაჭანტირაძე და გულში იღრინება. ზოგჯერ გულის დარდს ბესოს გადაუშლის და ქვრივ დედაბერივით აწუწუნდება, ზოგჯერ კი ქურდულად კუთხეში მიიმალება, აკვნესდება და ჩუმად იცრემლება.

რა გატირებს კვაჭი კვაჭანტირაძევ? რად გიკვნესის ეს ჭრელი გული? რად გებურება ეგ ჭრელი თვალები? რად გეჭმუხნება ეგ გაშლილი და ნათელი შუბლი? რა დაგემართა, კვაჭუნი? ჭამა-სმა — თავსაყრელი, ტანისამოსი — ყოველგვარი, ფული — გამოულეველი, ქალები — შერჩეული, ცხენები და ავტო. მსახური და მეგობარი, ძველი და ახალი, — კიდევ რა გაკლია, კვაჭი კვაჭანტირაძევ?

დაბოცილი მეგობრები? დიდი ხანია მოინელე.

სილიბისტრო და ბეშო? ძალიან კარგად არიან.

ფიქრები და საქმე? ყქონდა და შენც გაქცი.

ემიზბული ცა და ლურჯი წა? [illegible] მიეჯელის.

მაშ რა გინდა კვაჭანტირაძევ? ქალაქები ხელისუფლება? მარადიული დიდება ბედისა? უთავბოლო სიმდიდრე და ქრილა უსაზღვრო ქვეყანაში? ოქროს კარის დამსხვრევა და გაფრენა? მაშ რა გინდა, რა?

შენც არ იცი.
მესმის შენი, კვაჭი კვაჭანტირაძევ!
— მესმის შენი, კვაჭიკოვ!
მესმის და ვიცი.
მაგრამ ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს შენს ღირსეულ
და ნამდვილ საქმეს მიაგნი.
მაშ არხეინად დალპი მაგ ორმოში და მშვიდობით იყავი;

[1923—1924?]

მოთხრობები

ჩანჩურა

I

ბოლოს, ბევრი წვალებისა და ლაპარაკის შემდეგ, პოლიციის ბოქაულმა აღმოაჩინა, რომ ოცდასამი წელიწადია, რაც პოლიციელი პეტროვი ბაზარში მსახურობს, იქვე სცხოვრობს და აქამდის არც კი სცოდნია ჩანჩურას ნამდვილი გვარი და სახელი.

მუნჯი ჩანჩურა იქვე იდგა და ჰფიქრობდა:

— რა ვქნა, ეს სად მომიყვანეს, ან რა უნდათ ჩემგან!

ჩანჩურას წლოვანება, სარწმუნოება, ტომი და ხელობა ბოქაულისა და პეტროვისათვის საუკუნო საიდუმლოებად დარჩა.

როდის და რომელ ქალაქიდან ან სოფლიდან გადმოსახლდა? უცოლოა თუ ცოლიანი? იქნება შვილებიც ჰყავს? იქნება ჯერ სამხედრო ბეგარაც არ მოუხდია ერთადღიან ჩანჩურას? ან იქნება ჯერ შარშანდელი ხარჯიც არ გადაუხდია წონით ფუთ-ნახევრიან გლახას?

აბა საიდან უნდა გაეგო ეს საიდუმლოება პეტროვს, როდესაც ამისთანა სიბრძნე მხოლოდ ყოვლად ძლიერსა და ყოვლის მცოდნე პასპორტს უნდა სცოდნოდა, რომელიც ჩანჩურას არ აღმოაჩნდა!

ეს კიდევ არაფერი: ის როგორღა მოხდა, რომ ოცდასამი წელიწადია, რაც ჩანჩურა ქალაქში სცხოვრობს და პოლიციის დავთრებში ჯერ ჩაწერილიც არ ყოფილა?!

და ასეთის უკანონობით გაბრაზებულმა ბოქაულმა დაადგინა: „უცნობის ტომისა, გვარისა და სარწმუნოების კაცი — „ჩანჩურა" — გადასახლებულ იქნას თავის სამშობლოში.

მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, როცა თვითონვე გაიგო თავის დადგენილების უაზრობა, წარწერა წაშალა და ისევ პეტროვს მიუბრუნდა:

— გაანთავისუფლე, მაგრამ თვალ-ყური ადევნე. და თუ კიდევ მოიტაცოს ხორცი, მაშინვე აქ მომიყვანე. შენ კი ფრთხილად იყავი, თორემ... ეგრე როგორ შეიძლება! ეს სამსახური კი არა, ეგ... ეგ... ოცდასამი წელიწადი! წადი, მაგრამ გაფრთხილდი!

ჩანჩურამ ერთი საათის წვალებისა და ბოქაულის ლაპა-რაკიდან, რასაკვირველია, ვერაფერი გაიგო.

მოღიმარე და გახარებული ჩანჩურა პაწაწინა და ჩქარის ნაბიჯით ისევ ბაზრისკენ მიცუნცულებდა, პეტროვი დიდისა და ნელის ნაბიჯით წინ მიუძღოდა და თან ჰფიქრობდა:

— გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ, ან უარესს უბან-ში გადამიყვანენ. — და მაშინვე გადასწყვიტა: — რაც უნდა მიყონ, თუნდაც მომკლან, სულ ერთია, ამაღამ უეჭველად ერ-თი ქურდი ან „სოციალისტი“ უნდა დავიჭირო. არ დავიძი-ნებ, ორ დღე-ღამეს არ დავიძინებ და დავიჭერ.

II

როდის და საიდან გაჩნდა ბაზარში ჩანჩურა — არც ერთ-მა ბებერმა ყასაბმა არ იცის, მაგრამ მთელი ბაზარი იცნობს მუნჯ ლილიპუტს.

ჩანჩურას ცემა-ტყეპა, მისი დილიდან საღამომდე ბაზარ-ში ხეტიალი, თორმეტის წლის არტუშასთან და იმის მეგო-ბარ ძაღლ მურასთან მუდმივი ჩხუბი-ყასბებისთვის ისეთივე ყოველდღიური ამბავია, როგორც სალდათები, დედაკაცები, მჩარეულები, მათი სიტყუება წინაში და პოლიციელ პეტ-როვის ყვირილი.

ყველა ყოველდღე ჰხედავს მობუზულ ჩანჩურას.

მას მუშტის ოდენა მელოტი თავი აქვს; უწვერ-ულვაშო, დანაოჭებული, ნაოჭებიანი და მიწის ფერი პირისახე; პატარა, ლობიოს ოდენა, ღრმად ჩამჯდარი, ზოგჯერ ნატირალი, უფრო ხშირად კი მოღიმარე თვალები; მაჯისსისქე, პირსახე-ზე უფრო შავი და გამხმარი კისერი; სამი გოჯის სიგრძე და ყავისფერი ტიტველა ფეხები და ათნაირი ფერის ძონძე-ბისგან შეკერილი შალვარი, რომელიც იმდენად მოკლეა, რომ ისედაც ჯუჯა ჩანჩურას მუხლებამდე ძლივსა სწვდება.

[illegible] მეგობარი მურა-ძაღლი ჩანჩურას შალვარის სა-[illegible] ემსგავსება. ამიტომ შალვარის პატრონს იმის [illegible] [illegible] ეკარგება. ჩანჩურამ ძალიან კარგად იცის, რომ [illegible] გარეთ [illegible] არ შეიძლება, [illegible] გან მისი მეორე და მურაზე უარესი მტერი პოლიციელი პეტ-როვი მათრახით დაედევნება და ბაზრიდან გააგდებს. ეს კი

ჩანჩურასთვის უდიდესი სასჯელია, რადგან, ჯერ ერთი, ვინ იცის, ბაზრის იქით არის რამე თუ არა, და თუნდაც იყოს, უეჭველია, ყასბები მაინც არ იქნებიან, და რომ იყვნენ კიდევაც: ისინი ჩანჩურას არ იცნობენ და, მაშასადამე, არც გულ-ღვიძლის ნაჭრებს მისცემენ.

ერთხელ ჩანჩურას ვიღაცამ ორი დაგლეჯილი და დამბალი ქალამანი აჩუქა, მაგრამ იმავე საღამოს მურამ წაართვა. მას აქეთ ჩანჩურასთვის არავის არაფერი უჩუქებია. თუმცა არა: ერთ დროს ჩანჩურას ქუდის მსგავსი ტყავის ნაგლეჯიც ჰქონდა, ისიც ნაჩუქარი, მაგრამ... არა, ის საძაგელი მურა, რადა სულ ჩანჩურას ტყავეულობას, კანჭებსა და შალვარს ემტერება!

არც მურა და არც პეტროვი ასე ძლიერ არ აწუხებენ ჩანჩურას, როგორც ერთი ბებერი ყასაბის — დარჩოს თორმეტიოდე წლის ბიჭი — ეშმაკი არტუშა.

ერთხელ — ჩანჩურამ, რა თქმა უნდა, არ იცის, რამდენი წლის ან დღის წინათ მოხდა ეს ამბავი, — ერთხელ ჩანჩურამ ჩვეულებრივად ცხვრის ფილტვის მოტაცება განიზრახა. ბებერი ყასაბი დარჩო დახლთან იდგა და პურსა სჭამდა. ჩანჩურამ ფილტვი აიღო, უბეში ჩაიდო, მობრუნდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ დროს... სწორედ ამ დროს საიდანღაც საძაგელი არტუშა ამოძვრა, ჩანჩურას გზა გადაუღობა, დიდი საყასბო დანა მოუქნია და...

მას შემდეგ ჩანჩურას ათის მაგივრად რვა თითიღა დარჩა.

III.

ბაზარში ყველაზე ადრე ჩანჩურა გამოდის და ყოველდღე მხოლოდ იმას ჰხედავს, რომ დუქნებში დილით აუარებელი ხორცი აწყვია. მერე ყასბები ამოდენა ხორცს ნაჭერ-ნაჭრად სჭრიან და ვიღაც-ვიღაცეებს ურიგებენ. საკვირველი ის არის, რომ ყასბები ჩანჩურასავით კი არ უტყაპუნებენ თავში, არამედ თავაზიანად დუქანში შეჰყავთ, ხორცის უშველებელ ნაჭრებსაც აძლევენ და ზრდილობიანადაც ისტუმრებენ.

მართალია, ვიღაც-ვიღაცეები ყასბებს სამაგიეროდ შავსა და თეთრს „ქისტის“ ნაჭრებს აძლევენ, მაგრამ მაინც საკ-

კვირველია, რად უნდათ ყასბებს ეს „ქესტის“ ნაჭრები? ჩანჩურას კარგად ახსოვს, რომ ერთხელ იმანაც იპოვნა ქუჩაში ასეთი თეთრი, მრგვალი ნაჭერი, მაგრამ მეპურე სიმონამ წაართვა და სამაგიეროდ თეთრი პურის დიდი ნაჭერი მისცა.

ოჰ, ის თეთრი პური! მას აქეთ ჩანჩურას მისი გემო აღარ უნახავს.

საკვირველი არ არის, რომ არტუშაც სწორედ ისე იქცევა, როგორც სხვები, მაგრამ მურას რაღა ღმერთი გაუწყრა, რომ ჩანჩურას გარდა ათავის ფეხებსა და შალვოებს არ ეშ-[illegible]. ჩანჩურას რაღაცნაირად უნახავს, რომ ვიღაც-ვიღაცებს მურასთვის კარგებიც წაუთაქებიათ, მაგრამ ძაღლს [illegible] კბილები არ [illegible]. პირიქით, ისეთ [illegible] მოჰმართავს, რომ მისი [illegible] ჩანჩურაც კი [illegible] ბოლმე და [illegible] მასთან [illegible]. მაგრამ სხვის [illegible] ძაღლური მურა ყოველთვის ისევ ჩანჩურაზე ამოიყრიდა ჯავრს.

სანამ ბაზარში ხალხი ირევა, ჩანჩურა ქუჩის თავში დადის. ბაზარში გასვლა საშიშია, რადგან პეტროვი ყოველთვის იქა სდგას, და თუ ჩანჩურა დაინახა, უეჭველად გამოუდგება, მათრახის ქნევას დაუწყებს და ყვირილ-წყევლით [illegible] ალიაქოთს ასტეხს.

— Я те покажу! Я-а-а те покажу-у-у! — და მათრახის ქნევით ნასვამ საათობით დასდევს მშიერ ჩანჩურას. მაგრამ არშინნახევრიანი ჩანჩურას, მადლობა უფალსა, მარდი ფეხები აქვს!

ჩანჩურას ტროტუარზე გავლა პეტროვისაგან სასტიკად აკრძალული აქვს. ჩანჩურამ ისედაც იცის, რომ ხალხში გავლა არ შეიძლება, ამიტომ ყოველთვის შუა ქუჩაზე დადის. ამის გამო მეეტლეებისა და მედროგეებისაგან ყოველდღე მრავალი შოლტი ჰხვდება, მაგრამ ამას ჩანჩურა ყურადღებას არ აქცევს, რადგან, ალბათ, მას შოლტიც ისევე ესაჭიროება, როგორც ყასბების მუშტები, პატარა ბიჭების სილები, პეტროვის მათრახი, მურას კბილები და არტუშას ათასნაირი ოინები.

როცა შუადღე გადადის და ყასბები ხორცის „დარიგებას“ ათავებენ, მაშინ ჩანჩურას დროც მოდის.

ჩანჩურას ერთი მსხვილი და წვეტიანი მავთული აქვს.

ყასბებმა ამ შამფურის წართმევა რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ ამაოდ: ჩანჩურა თავს მოიკლავს და ამ შამფურს არავის დაუთმობს. ეს შამფური ჩანჩურას შუადღემდე სადღაც აქვს დამალული, შუადღის შემდეგ კი ბაზარში გამოაქვს, რომელიმე დუქნის წინ აიტუზება და დამნაშავის ღიმილით, მუდარასებურის წკმუტუნით ყასაბს თავის მოსვლას ატყობინებს. თუ ღიმილით და წკმუტუნით ვერას გახდა, შამფურს ნელნელა ფანჯარაში შეაპარებს, ხორცის რომელსამე ნაჭერს ჩხვლეტას დაუწყებს და თანდათან წკმუტუნსაც მოუმატებს.

თუ ყასაბი კარგ გუნებაზეა, ჩანჩურას კისერში ხელს წაავლებს, ციბრუტივით დაატრიალებს, ორიოდესაც წაუთაქებს და სამაგიეროდ ფილტვის პაწაწინა ნაჭერს მიუგდებს.

ჩანჩურა ამ ნაჭერს დამპალ ჩვარში გაახვევს, უბეში ჩაიდებს და მეორე ყასაბს ეწვევა. თუ კარგი დარია და კარგი ვაჭრობაც იყო და, მაშასადამე, ყასბებიც კარგ გუნებაზე არიან, ყველანი მუშტით ან სილით მიესალმებიან, სამაგიეროდ ფილტვის ნაჭრებსაც მისცემენ და გაისტუმრებენ. მაგრამ, რადგან ერთსა და იმავე დროს კარგი ვაჭრობაც და კარგი დარიც იშვიათია, ამიტომ ჩანჩურაც თავის პატარა მუცელს ძალიან იშვიათად აძღობს.

როცა ჩანჩურა ათიოდე ფილტვის ნაჭერს შეაგროვებს, მაშინვე შინისკენ წასასვლელად გაემზადება, მაგრამ...

არა, რადა სწორედ ამ დროს გადუდგებიან ხოლმე წინ გაპარებულ ჩანჩურას არტუშა და მურა! ჩანჩურამ, რასაკვირველია, კარგად იცის რა განსაცდელიც მოელის იმის დღევანდელ სადილს, ამიტომ არტუშას და მურას დანახვაზე მაშინვე ქვეით გაიქცევა. მაგრამ საშინელი სისწრაფით მოელვარე ფეხის ვულებს კვალდაკვალ მისდევენ არტუშა, მურა, მათი მხიარული წკმუტუნი, ყასბების რახრახი და პეტრიკის ჭექა:

— Я те искажу! Я-а-а те покажу-у-у!

ჩანჩურამ იცის, რომ არტუშას და [illegible] [illegible], ან [illegible] ცოტა ხნის [illegible] [illegible] ქუჩაზე [illegible] [illegible]მა და იქვე [illegible] ჩვარში [illegible] [illegible] [illegible] [illegible], მაგრამ [illegible]: არტუშა ზურგზე [illegible] [illegible]რა — კიდევ ერთ ცოტა ხანს შეისვენებენ. შემდეგ [illegible] სულგანაბული ჩანჩურას [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] და თავის მეგობარს განკარგულებ[illegible] [illegible]

— მურკა, იჩქი! იპოვე!

მურაც ჩანჩურას პირდაპირ უბეში ეცემა, დაუწყებს კბენას, კაწვრას და, ცოტა ხნის შემდეგ, გამარჯვების ნიშნად, ჩვარში გამოხვეულ ხადავლს ზევით ქოარბენებს.

ყასბები გამარჯვებულსა და ამაყად მომავალ მურას სიცილ-ხარხარით და ტაშით აჯილდოებენ, ხოლო დაღონებულსა და თვალცრემლიან ჩანჩურას აქეთ-იქიდან უყვირიან:

— ჰაი, შე მართლაც და ჩანჩურავ, შენა!

— ი პატარა ძაღლმა როგორ გაჯობა, მე საწყალო, შენა?

ჩანჩურა მტვერსა და ცრემლებს იწმენდავს და მეორე დღემდის ხორცის თხოვნას ვეღარ ბედავს.

არტუშა ჩანჩურას დიდ ცბიერებაც ძალიან ემტერება. ხშირად მოღიმარე ჩანჩურას ცხვირში ულს წაავლებს, დუქნიდან დუქნამდე დაჰყავს და [illegible] აქით გაჰკივის:

— ნოყუალება მოიღეთ!.. ღმერთმა დღეხანს გაცოცხლოთ, გაგახაროთ... ღმერთმა გადაგიხადოთ, ღმერთმა ჩანჩურას ხსნისა მოგყაროთ... მოწყალება მოიღეთ! საწყალ ჩანჩურას სამი დღეა არაფერი უჭამია. [illegible] მოიღეთ!

— ღმერთი მოგცემს, ღმერთი! — უპასუხებენ ზოგიერთები. ზოგნი კი ისევ ფილცვის ნაჭრებს აძლევენ, მაგრამ რა ჰქნას საწყალმა ჩანჩურამ: [illegible] იქვე დარბის და არტუშას კოტა ხნითაც არა [illegible]

ზოგჯერ კიდევ ჩანჩურას [illegible] გამოაბამს ყელზე, ბაზარში დაჰყავს, ტაშს უკრავს და [illegible]:

— ჰაი მაიმუნ, მაიმუნ! [illegible] მაიმუნ!

ჩანჩურაც თამაშობს: [illegible] ძაღლი იშვერს, ერთ ადგილზე ტრიალებს, პატარა ფეხებს აქეთ-იქით იქნევს და განუწყვეტლივ ილიმება. მურა კი ჩანჩურას გარშემო უვლის, მხიარულად წკმუტუნებს, ჰყეფს, უკანა ფეხებზე სდგება და „სლუქს“ აკეთებს.

ყასბები ტროტუარზე დგანან, პატარა ბიჭები „ცირკს“ დასდევენ, ყველანი ხარხარებენ და ჰყვირიან:

— მალადეც, ჩანჩურ! მალადეცა, მალადეცა!

ჩანჩურას ესმის ქება და უფრო ხალისობს: ჰხტის, წკმუტუნებს და თავის პაწაწა ხელ-ფეხს უფრო მეტის სიფიცხით იქნევს.

„ცირკი“ რომ გათავდება, გახარებული მურა წითელი

ხორცის ნაჭრებს შეექცევა, დაღონებულ-დაღლილი ჩანჩურაკი იქვე სდგას, მურას შურით შესცქერის და ტუჩებს აცმაცუნებს.

IV

ჩანჩურას მტრების გარდა მეგობრებიცა ჰყავს. აი, მაგალითად, მეპურე სიმონა ჩანჩურას მეგობარი რომ არ ყოფილიყო, განა თავის თბილ სათონეში ყოველღამე დასაძინებელ ადგილს მისცემდა? განა დღეში რამდენჯერმე თბილ წყალს დაალევინებდა და ქვასავით გამხმარ პურს აჭმევდა?

ჩანჩურას კარგად ახსოვს ის დრო, როცა სიმონამ ერთი დაგლეჯილი ტომარა აიღო, თავისა და ხელების ამოსაყოფად ორივე კუთხე და შუაგული ამოუჭრა, შიგ ჩანჩურა ჩასვა და ახალი ტანისამოსით ბაზარში გაისტუმრა.

მართალია, ჩანჩურასაგან ნაშოვნი ხორცის უმეტესი წილს სიმონა სჭამს, მაგრამ სად ათიოდე ფილტვის ნაჭერი და სად ფიცრულ სათონეში ღამის გათევება!

ამ ცოტა ხანს ბაზარში დიდი სასწაული მოხდა. ერთი კვირა იქნება, რაც არტუშა და მურა ჩანჩურას დაუმეგობრდნენ. არტუშას ყოველ საღამოს მურა და ჩანჩურა სადღაც მიჰყავს და უკან მხოლოდ ერთი ან ორი საათის შემდეგ ბრუნდებიან. მურა ყოველთვის წინ მიდის და პირით ხელსახოცში გამოკრული ფილტვი მიაქვს. უკან არტუშა და მოღიმარე ჩანჩურა მისდევენ.

არტუშას არავინ ეკითხება, სად ან რად დაჰყავს თავისი მეგობრები. ყველამ კარგად იცის, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ახალ „შუტკას" ჰნახავს და ამიტომ მოთმინებით უცდის არტუშას „ცირკს".

სამი დღეა, რაც ჩანჩურა აღარც ხორცსა თხოულობს და აღარც სიმონას გამხმარ პურსა სჭამს მხოლოდ ჩვეულებრივად ქუჩაში დახეტიალობს და საღამომდე ახალ მეგობრებს უცდის.

V

ზაფხულის ცხელი დღე იყო.

ყასბებმა ისადილეს, იქაურობა მოჰგავეს, ტროტუარები

მორწყეს და მოსვენებას მიეცნენ. ზოგი დუქანში სთვლემს, ზოგი ისევ მუშტარს ელოდება, ზოგნი კი დუქნების წინ დამსხდარან და ცალი ყბით მოპირდაპირე ყასბებს ელაპარაკებიან. მთელ ბაზარში მოძრაობა შესწყდა. ყველა ისვენებს, იხლართება და მაღრად ამთქნარებს.

უცებ ქუჩის ბოლოს რაღაც ხმაურობა და სიცილი გაისმა. დუქნების წინ რამდენიმე ყასბის ბიჭმა გაირბინა.

— ცირკი! ცირკი! — დაიძახეს აქეთ-იქიდან და ეს ამბავი უმალვე მთელ ბაზარს მოედო. ხალხი ქუჩდება.

ცოტა ხნის შემდეგ ბევრი ყასბიც დაიძრნენ. ქუჩის ბოლოს ხმაურობამ და სიცილმა იმატა. ყველა იქით გარბის, სადაც უკვე ასიოდე კაცი შეგროვილა. შუაში ჩანჩურა, ყურა და არტუშა ჩაუყენებიათ და იცინიან, ხარხარებენ, ჰყვირიან.

გაცხარებული არტუშა აქეთ-იქით დარბის, შამფურს იქნევს და გაჰკივის:

— განი! განი! განი!

როცა ხალხმა განი მისცა, არტუშამ ქუდი მოიხადა და ყველას ჩამოუარა.

— თითო შაური! თითო შაური! აბა, ჰა, მოწყალება მოიღეთ, თორემ ორი დღეა ჩანჩურა მშიერია. თითო შაური ჩააგდეთ.. თითო შაური!

აქეთ-იქიდან შაურიანები და ორკაპიკიანები ბლომად სცვიოდა არტუშას ქუდში.

ჩასუქებული და სიცხისგან გაწითლებული ყასბები ტროტუარზე იდგნენ და, თუმცა ჯერ არავინ იცოდა ახალი „შტუკა", მაინც ყველანი წინდაწინვე იცინოდნენ და ჰყვიროდნენ:

— აბა, ჰა, არტუშ, შაური მოგვეცი და შენ იცი როგორ ცირკსაც მაჩვენებ, ჰა!

— არტუშ, იმედი არ გამიცრუო, თორემ, ღმერთმანი, შენ მაგივრად ჩანჩურას ვცემ, აი!

არტუშამ ჯიბიდან წითელი სისხლიანი ფილტვი ამოიღო, ორად გასჭრა. ქუდში ჩაიწყო და [illegible] ტროტუარზე ჩამოჯდა.

სანამ არტუშა ფილტვსა სჭრიდა, ყურა იმის წინ იდგა, ტუჩებს ილოკავდა, კუდს იქნევდა, მოუთმენლად ტოკავდა და წკმუტუნებდა.

ჩანჩურას ორივე ხელით პატარა და ღრმად ჩამძვრალი

მუცელი ეჭირა, ტოკავდა, ჰკანკალებდა, იცინოდა და თავის წვრილსა და სრულიად მისუსტებულ ხმას ათასნაირად უქ-ცევდა. მისი სიცილის მაყურებლებიც თავს ვერ იმაგრებენ და გულიანად ხითხითებენ.

არტუშამ ფილტვის ერთი ნახევარი აიღო და დაიძახა:

— აბა, მურა, ყოჩაღად იყავი, თორემ თავდაყირა დაგ-კიდავ!

მურა ერთი ნახტომით ჩანჩურას გვერდით ამოუდგა და უფრო უარესად დაიწყო ტოკვა, კუდის ქნევა, წკმუტუნი და ყეფა.

ჩანჩურამ დაიმკლავა. სიცილი შესწყვიტა, ერთი ფეხი წინ წასდგა და არტუშას ისე ჩააცქერდა, თითქო საცაა გა-დახტება და მოპირდაპირეს ერთი დარტყმით ძირს დასცემსო.

ხალხი მიხვდა „შტუკას", დაიძრა და ყვირილ-ხმაურით წამოვიდა.

— ჩანჩურ, მაგრა დადექ! მაგრა დადექ!

— ყოჩაღად იყავ, ყოჩაღად, შე დალეულო, შენა!

— ჩანჩურ, არ შემარცხვინო. თორემ ვაი შენი ბრალი!

ჩანჩურამაც, თითქო წაქეზება გაიგოო, თავის მოძმე-ებს კბილები დაუკრიჭა, თავის დაქნევით გამარჯვების იმედი მისცა და ფეხი შეიცვალა.

— მურა, შე პატრონძაღლო, შენა!

— პირდაპირ ცხვირში ეცი მაგ ჩანჩურას, მაგას!

— ისე სითეთქვა ეგ ჩანჩურა, რომ სულ თავსედ[illegible]-ლოს!

მურამ გაიგო, რომ იმას ჩანჩურაზე მეტი მოსურნე ჰყავ-და და უფრო გაგულადდა.

— შენი ჩემი ფალავანო! — დაიძახა არტუშამ.

არტუშას ფალავანი ერთ ადგილზე შეხტა.

— ჩანჩურა ჩემი ფალავანია!

— მურა ჩემია! მურა ჩემია!

[illegible] ჩემია, ჩანჩურა! — [illegible]

ლა [illegible] და [illegible] ქნევით [illegible] და [illegible]

თავის [illegible]. [illegible]

[illegible] დაიძახა არტუშამ და [illegible]

ფილტვი ეჭირა [illegible] აწია.

მურა უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა, არტუშას დააცქერდა და გაშეშდა.

ყვირილი და სიცილ-ხარხარი ერთი წამით შესწყდა.

არტუშამ ხელი აიქნია, ფილტვის ნაჭერი ჰაერში ააგდო და დაიყვირა:

— მურა, შეხტი!

მურამ ისკუპა, თვალის დახამხამებაზე ჩანჩურას მხარზე მოახტა, მერე იქიდანაც ნახევარ ადლის სიმაღლეზე შეხტა, მაგრამ უკანვე გადმოვარდა.

ფილტვი, ჩანჩურა და მურა ერთად დაეცნენ მიწაზე, იმა-ვე წამს ბრბომ ჰაერი შეანძრია.

მურა და ჩანჩურა მტვერში გორაობენ, ფართხალებენ და გაცხარებით იბრძვიან. ფილტვის ნაჭრის ერთი ნახევარი მუ-რას უჭირავს პირში, მეორე ნახევარი და თვითონ მურა კი ჩანჩურას, რომელსაც ერთი ხელი მურასთვის ყელში წაუ-ჭერია და მის დახრჩობას ცდილობს, მეორე ხელით კი ფილტვს თავისკენ ეწევა.

— არიქა, ჩანჩურ, არიქა!

— დაახჩე, ჩანჩურ, დაახჩე, დაახჩე!

— ზეზე ადექი, შე ჩანჩურავ, შენა!

— ა-აბა-ბა-ბა! ადგომა არ შეეძლება, არ შეეძლება!

— მურა, შე პატრონძაღლო, შენა!

— არ გაუშვა, არ გაუშვა!

ყველანი ჰკივიან, წინ მიიწევენ, იგინებიან, ხელებს იქ-ნევენ, ერთმანეთზე იწევენ და ერთმანეთს იჭერენ. ერთ ბიჭს პირში ორი თითი ჩაუდვია, ჰაერში ამოგორებულ ჩანჩუ-რას და მურას გარშემო ურბენს და რაც ძალი და ღონე აქვს, უსტვენს.

— განი, განი, განი! — სჭყივის არტუშა, თან ციბრუტი-ვით ტრიალებს, ბურთივით დახტის და ჩანჩურას მომხრეებს შამფურით ფეხებში სცემს.

— ნუ იცემები, თორემ სუ კბილებს ჩაგამტვრევ!

— ნელა, შე ვირთაგვა, შენა!

— არტუშ, დაჰკა! არტუშ, დაჰკა! — აქეზებენ მურას მომხ-რენი და არტუშაც გაორკეცებული სისწრაფით დარბის, შამ-ფურს ელვასავით იქნევს და ხრინწიანი ხმით ჰყვირის:

— უკან, უკან, უკან! აბა, განი, განი!

მურა თანდათან სუსტდება. ყვირილმა იმატა. ყასბებს მეტის სიცილისაგან თვალები დაეხუჭათ, ჩვრებივით ჩამოშვებული ლოყები აუწითლდათ, ძარღვები დაეჭიმათ და მთელი ტანი უფამფალებთ. მთელი ბაზარი ჰგრგვინავს და ხანზარებს. პატარა ბიჭი მებრძოლთ ისევ გარშემო ურბენს და უსტვენს. იქვე ჩანჩურას და მურას პომხრენი იღუბებიან. გამარჯვებამ თითქოს ჩანჩურასკენ გადაიწია.

— არ გაუშვა! არ გაუშვა!

— ჰა-ა-აი შე საძგლევ, შენა!

— ჰარიქა, ჩანჩურ, ჰარიქა, ჰარიქა!

მურამ ფილტვის ნაჭერს პირი გაუშვა. ძაღლის მომხრეებმა კიჟინა დასცეს და წინ წაიწიეს. ჩანჩურამ მტვერში ამოსვრილ ხორცს ხელი დასტაცა და თავის პირისკენ გააქანა.

მურა გაკაპასდა, გაცეცხლდა, გაწიწმატდა. ერთი ნახტომით ჩანჩურას ზედ თავპირზე დააჯდა და ხორცის მეორე ნახევარს ეცა.

— უ-უჰ, შენი ჭირიმე, შენი!

— ჩანჩურ, შეჭამე, შეჭამე, შე უბედურო, შენა!

— ცხვირში ეცი, ცხვირში, მაგ ჩანჩურას, მაგას!

მურამ თავის მომხრეთა ბრძანება ვაიგო, ფილტვს პირი გაუშვა და ჩანჩურას ეცა. ჩანჩურას ფილტვი ისევე პირში ეჭირა და გორაობდა, ხან პირქვე და ხან გულაღმა წვებოდა, ორივ ხელით თავპირს იფარავდა და მხიარულად წკმუტუნებდა. მურა გარშემო ურბენდა. კბილებს აწკაპუნებდა, წინა ფეხებით თავპირს აკაწრავდა და ჰყეფდა

მალე მურა და ჩანჩურა თავიანთ გორაობით და ფართხალით აყენებულ მტვერში გაეხვივნენ. ყასბებმა სიცილს ვეღარ გაუძლეს.

— ვაიმე, დე-და!

— მოვკვდი... მიშველეთ!..

— ო-ო-ო, შე ეშმაკო, შენა!

— ჩანჩურ, შენ გაგიწყრეს ჩემი გამჩენი, აჰა!

— განი, განი!

— მურა, შენ გენაცვალე, შენა!

— ჩანჩურ, შე უბედურო, შენა! დაიჭირე რაღა ეგ წუწკი, ეგა!

ყველანი აირივნენ, აწოკდნენ, შეჯგუფდნენ და მებრძოლთ ერთი ადლი ადგილიღა დაუტოვეს.

მტვერი გაიფანტა და ფალავნები ისევ გამოჩნდნენ. ჩანჩურა გულაღმა იწვა, ორივე ხელი მურასთვის ყელში წაეჭირა, ფეხებს იქნევდა, ფართხალებდა, ჰლმუოდა. მურა ჩანჩურას გულზე აჯდა და მისი დიდი ცხვირი კბილებით ეჭირა; ფილტვი იქვე მტვერში ეგდო. ხალხმა კიჟინა დასცა და წინ წაიწია.

— აჯობა! აჯობა! გააშველეთ! — დაიყვირა უმეტესობამ და გასაშველებლად გაიწია.

— ჯერ არა! ჯერ არა!

— ვერ აჯობა, ვერა! — ჰყვიროდნენ ჩანჩურას მომხრენი, მაგრამ ვიღაცამ მურას ხელი დაავლო, ჩანჩურას ცხვირს ძლივს ააგლიჯა, პირსისხლიანი ფალავანი ჰაერში აისროლა და შეიძახა:

— მურას გაუმარჯოს! ურა-ა-ა-ა!

— ურა-ა-ა-ა-ა! ურა-ა-ა-ა! — ჰგრავინავდა ხალხი და შიშისაგან შეშლილ მურას ზევით ისროდა, ჰაერშივე იჭერდა და ისევ ისროდა.

გამარჯვებულნი ზევით წამოვიდნენ. წინ პატარა ბიჭები მირბოდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ყირამალა სდგებოდნენ და ხელებზე დადიოდნენ. ზოგნი კიდევ ძაღლზე მოქუსულიყვნენ, პირში თითები ჩაედოთ, ხალხში თავგზებივით დაძვრებოდნენ და უსტვენდნენ. იმათ ერთი პატარა ბიჭი მისდევდა, რომელსაც ტალახში ამოსვრილი ფილტვი ნაღავლივით თავზე დაედო და ნელი და ამაყი საბიჯით მიდიოდა. გამარჯვებული არტუშა წინ მიუძღოდა, ლოტბარივით შამფურს იქნევდა და ხრინწიანი ხმით მღეროდა:

— მოვდივართ, მოგვიი-ხარიან, მოგვყავს წითელი უფა-აარო-ო.

VI

ბოლოს დამარცხებული ჩანჩურაც წამოდგა ყურიდან, შუბლიდან, ცხვირიდან და ხელებიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა. მტვრით და სისხლით შეთხუპნილი სახე უფრო დაღრმიჭა. თვალებიდან ცრემლის მსგავსი სითხე რამ წამო-

ედინა და ყელიდან ტირილის მაგვარი წკმუტუნიც ამოჰხდა..

ჩანჩურას ერთმა ხელი ჰკრა, თავში ჩაარტყა და ზიზღით მიაძახა:

— ჰაი, შე უბედურო, შენა!

— ერთი კიდევ, ერთი კიდევ ჩაარტყი ჩემ მაგივრადაც მაგ ჩანჩურას, მაგას! — მიაძახა მეორემ.

პირველმა ჩანჩურას ერთი კიდევ წაუთაქა, მერე კისერში ხელი მოავლო, ციბრუტივით დაატრიალა და გაუშვა.

თავბრუდახვეული ჩანჩურა ხუთიოდე ნაბიჯზე გადავარდა..

მერე ხელმეორედ წამოდგა, თვალებიდან და ტუჩებიდან სისხლისა და ცრემლის ტალახი მოიწმინდა და ყვირილ-ხარხარით და სიმღერით მიმავალი ხალხი რომ დაინახა, თავის სიცოცხლეში პირველად ამოიოხრა ადამიანურად.

— ურა-ა! ურა-ა! — ისმოდა ქუჩის ბოლოში.

ურას ძახილი, არტუშას სიმღერა, ბიჭების სტვენა და გამარჯვების კვინა ჩანჩურას მომხრეებს შურსა და ჯავრს ჰგვრიდა. ჩანჩურა კი ცრემლებს იწმენდავდა და მურასავით წკმუტუნებდა.

ქუჩის კუთხიდან უცებ პეტროვი გამოვარდა და იმოდენა ხალხი რომ დაინახა, საჩქაროდ ისევ სახლს მიეფარა და ხანგრძლივი, ძლიერი სტვენა ასტეხა. ცოტა ხნის შემდეგ ასეთივე სტვენა მეორე მხარეს გამეორდა. მერე მესამე და მეოთხე ადგილიდანაც პასუხი გასცეს. რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციელნი პეტროვის წინამძღოლობით ხალხისკენ მირბოდნენ. ხალხი ჯერ გაჩუმდა, მერე ალაპარაკდა და ისევ სიცილ-ხარხარი ასტეხა.

— Господа, расходись, расходись! — ჰყვიროდა შეშინებული პეტროვი და როცა ერთ ადგილზე გაშეშებული ჩანჩურა დაინახა, მათრახის ქნევით და მუქარით პირდაპირ მისკენ წამოვიდა.

— Я те покажу, я-о те покаж-у! Это ты накуралесил, шут окаяный!

ჩანჩურა გასაქცევად მიბრუნდა, მაგრამ იმისკენ მომავალი მეორე პოლიციელი რომ დაინახა, ქუჩის მეორე მხარეს გადაირბინა, თავი დაჰლუნა და იქით გაიქცა, საცა ლაპარაკით და სიცილით ხალხი იშლებოდა

პეტროვი ჩანჩურას გამოუდგა. ხალხმა რომ გამოქცეული „ფალავანი“ დაინახა, კიჟინა დასცა და ხარხარით წინ გადაეღობა.

— ჰარიქა, მურა! ჰარიქა, მურა! — დაიძახა ვიღაცამ და ჩანჩურამ ერთხელ კიდევ იგრძნო მურას გამარჯვებული კბილები.

ჩანჩურამ თავი უფრო დაბლა დაჰღუნა, თავპირზე ხელები აიფარა და შიგ შუა ხალხში შევარდა, მაგრამ ყასბების მუშტებმა მაშინვე გამოატრიალეს. ჩანჩურამ უკან გამობრუნება სცადა, მაგრამ იქვე რომ პეტროვი და მისი მათრახი დაინახა, უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, მუშტების შუაგულში შევარდა, წრე გაარღვია და, თავდახრილი, პატარა ქუჩაში შეგორდა, მაგრამ...

მაგრამ იმავე დროს მკერდში ისეთი ძლიერი ტკივილი იგრძნო, რომ...

შემდეგ რა მოხდა — ვეღარაფერი გაიგო.

ხალხმა ერთხმად დაიგმინა. ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ყველანი იქით გაიქცნენ, საცა ორი დიდი ცხენის ქვეშ ჩანჩურა შავი კუნძივით გორაობდა.

ცხენები ჯერ შესდგნენ, შემდეგ ერთ ადგილზე ტოკვა დაიწყეს, მერე გაიწიეს და ფქვილით სავსე დროგი ჩანჩურას გადაატარეს.

ხალხი ერთ ადგილას შეკუმშულიყო და სდუმდა. მათ შუა ჩანჩურა [illegible] და [illegible], [illegible] და [illegible].

დამარცხებულ ჩანჩურას გვერდით გამარჯვებული მურა ჩაცუცქებულიყო და თავის მტერს გაოცებით დასცქეროდა.

შემდეგ ხალხიც ალაპარაკდა და აყაყანდა.

ცოტა ხნის შემდეგ პეტროვიც მოვიდა.

— Господа, расходитесь, расходитесь! Ну что тут интересного? Ну, расходитесь, что стоите! — [illegible]

[illegible]

ეტლიდან ცოტა ხანს კიდევ მოისმოდა ჩანჩურას მისუსტებული წკმუტუნი, შემდეგ ყველაფერი მიწყდა.

ათი წუთის შემდეგ პეტროვი მშვიდობიანობის ნამდვილ დამრღვევს — მურას დასდევდა. ნამდვილი დამნაშავე პეტროვს გარშემო ურბენდა, ეთამაშებოდა, მხიარულად ჰხტოდა, ჰყეფდა და პეტროვის გასაჯავრებლად ზოგჯერ წინ უცუცქდებოდა, „სლუჟს“ უკეთებდა. პეტროვი დამნაშავეს ზანტად დასდევდა, მათრახს უქნევდა და ღიმილით ემუქრებოდა:

— Ну, поймаю же тебя, поймаю же я тебя! Тогда берегись! И отдую же я тебя! Вот отдую!

ხალხი ისევ გულიანად იცინოდა და თავის საყვარელ ფალავანს უფრო და უფრო აქეზებდა.

— ყოჩაღ, მურა! მალადეც, მურა!

— უკბინე, უკბინე, მურა! ცხვირში ეცი, ცხვირში!

მურაც დახტოდა, ჰყეფდა და ისევ „სლუჟს“ აკეთებდა.

VII

მეორე დღეს პეტროვი ბოქაულმა დაიბარა და უთხრა:

— გუშინ საავადმყოფოში ვიღაც ჩანჩურა მოკვდა. ამბობენ, ვითომ ის კაცი შენს უბანში ცხოვრობდა, ამიტომ შენი მოვალეობაა, დღესვე გაიგო ჩანჩურას ნამდვილი გვარი, სახელი, ხელობა, სარწმუნოება, ტომი და... ცოლიანი იყო თუ უცოლო, ან... დარჩა რამე თუ არა, ისიც გაიგე, საიდან და როდის ჩამოვიდა ის ჩანჩურა ჩვენს ქალაქში და... არც მისი წლოვანება დაგავიწყდეს. ყველაფერი დაწვრილებით დაწერე და დღესვე მომიტანე. წადი.

დაღონებული პეტროვი ბაზრისკენ მოდიოდა და ჰფიქრობდა:

— ახლა კი ნამდვილად გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ, თუ ამაღამვე ორი ქურდი ან ერთი „სოციალისტი“ არ დავიჭირე, დილაზე ნამდვილად გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ.

190. წ.

ტყის კაცი

I

ტყის მცველი პავლე სასაფლაოდან მოდიოდა. ხელში ოთხი წლის ვაჟიშვილი გოგია ეჭირა, ხოლო უკან ლასლასით და ბარბაცით მისი მეორე ვაჟი, ხუთმეტი წლის ნიკა მოსდევდა, — თავჩაქინდრული, ნამტირალი და გაფითრებული. ცოტა მოშორებით შავი ყორნებივით აბუზული სოფლის დედაკაცები მოდიოდნენ, სულ ბოლოს კი ათიოდე გლეხი მოიზლაზნებოდა.

პავლეს ეზოში მეზობელი გლეხები და დედაკაცები ტრიალებდნენ და ქელეხს ამზადებდნენ. პავლემ მათკენ არც კი მიიხედა და შინ შევიდა. მას შეჰყვნენ ნიკა, მოხუცი მღვდელი ლავრენტი და რამდენიმე გლეხი. მღვდელი პავლეს გვერდით მოუჯდა, გლეხები აქა-იქ აიტუზნენ.

— კაცო, პავლე! — მშვიდად უთხრა მღვდელმა, — რა დაგემართა, შე კაი კაცო! ერთი ხმა ამოიღე, თორემ საძაურია. სამი დღეა შენგან სიტყვა არავის აღარ გაუგონია.

— ცოლი მეც მომიკვდა, შვილოსან. მაგრამ არ დავმუნჯებულვარ, — სთქვა ერთმა გლეხმა.

— შენ რა, ჩემი იკითხე, — დაუმატა მეორემ, — ერთ წელიწადში ცოლიც დავმარხე, დედაც და ორი ვაჟიც. ჰეეე, ძნელია, ძალიან ძნელია, მაგრამ რა მექნა! ჭირს გაძლება უნდა და აკი გავუძელ კიდეცა.

პავლე მაინც ხმას არ იღებდა, კარებს უაზროდ ჩააცქერებოდა და ვერავის ვერ ჰხედავდა, არავის ლაპარაკი არ ესმოდა.

— გაიგე, პავლე? გაიგე, რა სთქვა ნასყიდამ? — ისევ მიუბრუნდა პავლეს მღვდელი, თან მკლავში ხელი წაავლო და ოდნავ შეანჯღრია, — გაათავე, შე კაი კაცო, სთქვი რამე.

პავლემ მღვდელს გადმოჰხედა და უზარმაზარი მკლავები ისე აქნია, თითქო ფრინველს აფრთხობდაო და ბოხი ხმით წამოიღრიალა:

— გავათავე, მაშა! დავმარხე და გავათავე!.. აკი გავათავე....

— ღვთის ნება იყო, ჩემო პავლე, — დაიწყო მღვდელმა, მაგრამ პავლემ აღარ გაათავებინა: წამოვარდა და ხელების ქნევით ალაპარაკდა:

— ღვთის ნება! ღვთის ნება! რად უნდოდა ღმერთს ჩემი დაქვრივება?! რად უნდოდა ამ ბავშვების დაობლება?!.. ვის რა დავუშავეთ?! რა ვერჩოდეთ?!.. რას გვერჩოდა?!..

მერმე ისევ ტახტზე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩამალა და ისევ დაიწყო ქშენა, თითქოს საბერველი უბერავდა

— ღმერთს ნუ ჰგმობ, შვილო, — ურჩია მღვდელმა.

— ღმერთს ნუ გაიმწყრალებ, თორემ უარესს გიზამს, — გააფრთხილა სიმონამაც.

თითქმის ყველანი ქელეხის საჭმელად გაიკრიბნენ. მღვდელი, დიაკვანი და ორიოდე მოხუცი კი პავლეს ჩააცივდნენ, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრეს.

სვეს, სჭამეს, გაძღნენ და დაიშალნენ. მღვდელი, სიმონა და ნასყიდა ისევ შინ შევიდნენ. პავლე გლეხური ნუგეშით გაამხნევეს და ისინიც წავიდნენ

პავლე სათვალეში გაბმულ ძაღლივით ტრიალებდა საღამომდე და დაჭრილ დათვივით ჰგმინავდა. ღმუოდა. ოხრავდა. ერთხელ ბავშვებმა ზემოისხედეს, მაგრამ გამხეცებული მამა რომ დაინახეს და გმინვა და ოხვრა რომ გაიგონეს, ისევ გარეთ გაცვივდნენ, დერეფანში მიწვნენ და მეტის დათრგუნვილობისაგან და ულაჯობისაგან მალე მიიძინეს

ნასყიდას ცოლმა მიძინებული ყმაწვილები რომ დაინახა, თავის საბანი გამოიტანა და გადააფარა.

როცა დაბინდდა, ნასყიდამ ბავშვები გამოაღვიძა, შინ შეიყვანა, ბუხარში ცეცხლი აუნთო, პავლე ორიოდე სიტყვით გაამხნევა და წავიდა.

მამამ შვილები გვერდით მოისვა, დიდხანს აქნევდა გარეტიანებულ თავს და, გაშტერებული, ბუხარს ჩასცქეროდა, მერმე წაილუღლუღა:

— გავათავეთ, შვილებო... დავმარხეთ... ოხრად დაგვრჩა ყველაფერი... სახლ-კარი დაგვენგრევა, ქერა გაგვიცვივდება, მეც დავქვრივდი, თქვენც დაობლდით... ვიღა მოგვივლით, ვიღა გვიპატრონებს?.. ვაი, ჩვენს! უბედურებას! ვაი, დაქცეულ ოჯახს!

და თავში ხელები წაიშინა და ატირდა, ატირდა ვაჟკაცის პირველი ტირილით — გულამოსკვნით, მოთქმით და შვებით, ატირდა და შვილებიც აატირა.

II

პავლე იმ სოფელში ოცი წლის წინათ სხვა სოფლიდან ჩამოსახლდა. ჯერ მოჯამაგირედ დაუდგა იქაურ მემამულეს და სხვის სახლკარზე ოთხ წელიწადს სწია ჭაპანი.

მუყაითი, ერთგული, ბეჯითი და ჩუმი მუშაკი იყო, ამიტომ მემამულეც და ნაცნობ-მეგობრებიც აფასებდნენ და დიდს პატივსა სცემდნენ. ახოვანი ვაჟკაცი იყო — ძარღვიანი, ჩაკირული, წელში მოხრილი, დათვივით ღონიერი და მოუხეშავი. სიტყვა-პასუხსა და ურთიერთობაში — ჩუმი, გულჩახვეული, პირდაღვრემილი და წარბშეკრული, მაგრამ პირდაპირი, პირიანი და სამართლიანი.

იმ მემამულეს თვრამეტი წლის მოახლე ჰყავდა — პელო — ისიც ჩუმი, უწყინარი, მორცხვი და მშრომელი, — ერთადერთი ქალიშვილი მარტოხელა ქვრივი დედაკაცისა, რომელსაც იმავე სოფელში პატარა სახლ-კარი და ერთი კალთა მიწა ჰქონდა. პელო პავლეს გულში ჩაუვარდა. დიდხანს ჯერ ვერაფერს ვერ უბედავდა, ბოლოს ერთ საღამოს სამზარეულოში მიასწრო, გულის სათქმელი უთხრა და სამაგიეროც მოისმინა.

იმავე შემოდგომას ქორწილი გადაიხადეს და პელოს სახლში დასახლდნენ. ორივემ მოჯამაგირეობას თავი დაანებეს. სოფელმა ზედსიძედ შესული პავლე ძმურად მიიღო, რადგან პატიოსანი, მშვიდი და მშრომელი ადამიანი ღირსი იყო ძმობისა და პატივისცემისა.

პავლე ხაზინის ტყის მცველი დასჭირდა. წინანდელი პატრონის, მამასახლისისა და მღვდლის დახმარებით ეს ადგილი პავლემ მიიღო. მას შემდეგ პავლეს პატარა ოჯახი ძლიერდებოდა და ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა. მისი ოჯახური ცხოვრება ერთ დონეზე იდგა, მშვიდობიან კალაპოტში ივლიდა და [illegible].

პავლეს დაოჯახების შემდეგ ოთხი-ხუთი წელიწადი გავიდა. ცოლ-ქმარს წინანდელივით უყვარდათ ერთმანეთი და უყვარდათ თავისებური, ჩუმი, სოფლური სიყვარულით უბრალ-

ვოდ, უცვლელოდ, უცრემლოდ და უტყვად, მაგრამ მტკიცედ, ღრმად და ერთგულად.

ერთი წლის შემდეგ პელოს ვაჟი ეყოლა. ნიკა დაარქვეს. ოთხი წლის წინათ მეორე ვაჟი დაებადა, — ფუნჩულა და ბუთხუზა გოგია, ხოლო შარშან თვითონ პელო დაობლდა: მისი დედა სახადმა გადაიტანა.

პავლე ხან შინ მუშაობდა, ხან მთელი დღით ტყის დასათვალიერებლად და სანადიროდ მთებში ადიოდა. შინ ხელცარიელი არ ბრუნდებოდა: ხან კურდღელს მოიტანდა, ხან მგელს, ხან მელას, ხან ჯიხვს, შველსა და ფრინველს. ხშირად მოუკლავს პავლეს ირემიც, ფოცხვერიც, აფთარიც. რამდენჯერმე დათვიც ჩამოუტანია. ერთხელ დათვი ხანჯლით მოჰკლა, მაგრამ თვითონაც ისე იყო ნაკბენ-ნათელავი, რომ თავითონ ვეღარ იარა, გზაში შეხვედრილმა მეურმეებმა ჩამოიყვანეს. მას აქეთ შეშინებული პელო ხშირად ევედრებოდა თავის ტოლდასადებ მეუღლეს, ნადირობას თავი დაანებეო, მაგრამ პავლემ არ მოიშალა, რადგან ნადირობის ხალისიც დიდი ჰქონდა და შემოსავალიც ხეირიანი.

პავლეს ახლომახლო მომდურავიც ბევრი ჰყავდა, რადგან მტკიცე და ერთგული მოსამსახურე იყო, უბარათოდ და უწესოდ ტყეს არავის გააფუჭებინებდა. თუ უბარათო ვინმეს მოასწრებდა, ცულს, ულელს, ჯამბარას წაართმევდა და საჩივარს აძრავდა. მოსისხლე მტერი პავლეს მაინც არა ჰყავდა, რადგან დინჯი და სამართლიანი ადამიანი იყო.

პელო წყალზე გაცივდა და დასნეულდა. დაღონდა, ჩაინგრა და დაიჩაგრა პავლე. დარდმა ხელი დაჰრია და მოთელა. გულზე თითქოს წისქვილის ქვა დააწვა და სიცოცხლის უნარი გაუტეხა. ორ წელიწადს ეჰიდებოდა სულთამხუთავს, რომელიც დღე-და-ღამე პელოს დასტრიალებდა. ისედაც დაბურული პავლეს გული უარესად ჩაკეტა და დაიხურა, ტყეში სიარულს უკლო, ბაღ-მინდვრის მუშაობაზეც გული აიყარა, მუდმივ შინ ტრიალებდა და ავადმყოფს თავს ევლებოდა. ბოლოს სულთამხუთავმა მაინც სძლია პავლეს, მაინც თავისი გაიტანა და ისედაც გატეხილ ოჯახს მილეულ-დაშლნარი დედაბოძი გამოაცალა.

მას აქეთ პავლე სულ დაბნელდა, წელში უარესად მოიხარა, ორ თვეში გაჰაღარავდა, ენა მუცელში ჩაიგდო და

დაამუნჯდა. სალაპარაკოდ აღარავის არ იკარებდა, წოფელში აღარ გადიოდა და ნანადირევიც თითქმის აღარ მოჰქონდა. ტყეში რომ მიდიოდა, ზოგჯერ ნიკასაც წაიყვანდა და სახლს დაჰკეტავდა, ხოლო გოგიას და საქონლის პატრონობას ნასყიდას მიაბარებდა.

უპატრონო ოჯახი დღითიდღე უკან-უკან მიდიოდა და ნიავდებოდა. პავლეც თვალნათლივ ამჩნევდა ოჯახის დაქვეითებას, მაგრამ არ იცოდა რა ექნა. სამსახურს თავს ვერ ანებებდა, რადგან კარგი შემოსავალი ჰქონდა, ხოლო ორივე საქმეს — სამსახურსაც და ოჯახის მოვლასაც მარტოხელა ადამიანი ვერ ერეოდა. ბოლოს, ბევრი ფიქრისა და ტორტმანის შემდეგ, ტყეში გადასახლება გადასწყვიტა.

პეტრე დოლენჯაშვილი საკუთარი სახლ-კარის აშენებას აპირებდა. პავლე სიმონას მოელაპარაკა. სიმონამ შუაკაცობა იკისრა და პეტრეს სიტყვა გადაუკრა: რად გინდა ახალი სახლ-კარი, აიღე და პავლეს სახლიც იყიდე, ბაღიც და სახნავი მიწებიცაო. პეტრე შეძლებული კაცი იყო. დასთანხმდა. მისვლა-მოსვლამ და ლაპარაკმა დიდხანს გასტანა, ბოლოს ორმოც თუმანზე მორიგდნენ. სახნავ-სათესი მიწები მაშინვე ჩააბარა, ხოლო სახლ-კარი მაისში უნდა დაეცალა.

პავლემ ხაზინიდან იფნიანის ტყეში დასახლების უფლება გამოიტანა და მაშინვე საქმეს შეუდგა. თედო ბირთველაშვილს იფნიანში სამოცი მოჭრილი ხე ჰქონდა. პავლემ ეს ხეები იყიდა და ტყეში რომ თოვლი აიკრიფა, მხერხავები, დურგლები და მეზობელი გლეხკაცები წაიყვანა და უღრან ტყეში ცულების ჩახაჩუხი, ხერხის ჟივილ-ხივილი, ჩაქუჩების რახარუხი, შალაშინების შრიალ-ფრიალი ასტყდა ტყეშიც ცისმარე დღეს ცეცხლი ენთო და მისი ბოლი შორიდანვე მოსჩანდა. ნადირი დაფრთხა და იქაურობას მოშორდა. ნიკა დღივს ასწრობდა სოფლიდან საგზლის ზიდვას.

სააღდგომოდ ყველაფერი მზად იყო. აღდგომა პავლემ ძველ სახლში გაატარა, მერმე კი სახლ-კარი პეტრეს ჩააბარა და თვითონ თავისი ორი შვილით იფნიანში გადასახლდა, თან ოჯახის მოწყობილობა წაიღო და საქონელიც წაიყვანა.

იმ ხანებში პავლეს ვიღაცამ ტყის კაცი დაარქვა და მას აქეთ ეს სახელი დაჩემდა.

III

იფნიანის უზარმაზარი ტყე ერთი დღის სავალზეა გადაჭიმული. ამ ტყის შუა გულში სამი წოწოლა გორა აღმართულა, სამივე უღრანი ტყით შემოსილი. ერთი გორის ძირში დიდი ჭაობია გაჭიმული, ისეთი მაღალი ბალახით და ათასნაირი ყვავილებითაა დაფენილი, რომ ადამიანს მკერდამდე სწვდება. შუაგულ ტაფობში სამი დევი, სამი უზარმაზარი, დაბურული, დაბერებული, შვიდ ადლიანი მუხა აღმართულიყო და სამივენი ისე გაჩერებულიყვნენ და გაწოლილიყვნენ, რომ მათს ჩრდილში თუნდ ორასი კაცისათვის გაიშლებოდა სუფრა. ერთი გორიდან ტაფობში მოზრდილი წყარო ჩამოჩუხჩუხებს, ბალახ-ბულახში მოსცოცავს, მერმე ტყეში შედის და იქიდან შხუილით გადადის ღრმა ხევში.

პავლეს ამ გორაკის ძირში, ტაფობის ნაპირად წამოეჭიმა ახალი ორსართულიანი სახლი. ქვემო სართულში გომური გაემართა, ზემო სართულში — საცხოვრებელი ბინა. სამიოდე მუშა კიდევ ჰყავდა. იმ ტაფობს მაგარ ღობეს ავლებდნენ, სასიმინდეს აშენებდნენ, საბოსტნეს ჰბარავდნენ.

მაისის დამდეგს ძველმა მეზობლებმა იფნიანში გუთნეული ამორეკეს და ხუთ დღეში ტაფობი თითქმის მთლად გადაჰხნეს, დასთესეს და დაფარცხეს. მერმე ყველანი წავიდნენ და პავლე, ნიკა და გოგია ბნელსა და თვალუწვდენელ ტყეში მარტოდმარტო დარჩნენ.

ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო ჰქონდათ პავლეს და ნიკას. რიჟრაჟზე ადგებოდნენ, იქვე წყაროზე პირს დაიბანდნენ, ძროხებსა და ცხვარს მოსწველიდნენ, რძეს აადუღებდნენ, მერმე დილის ძილში წასულ გოგიას სადარაჯოდ ერთგულ ძაღლს — ბოლოიას ან ყურშას — კიბესთან მიუბამდნენ და თვითონ კი ცულით, წალდით, ბარით და თოხით სამუშაოდ გავიდოდნენ, თან საქონელს გარეკავდნენ, იქვე მინდორზე გაუშვებდნენ და მერმე მეორე ძაღლს მიუჩენდნენ. ის ძაღლები ისე იყვნენ დაგეშილები, რომ სახლთან არავის არ მიუშვებდნენ, ნიადაგ ტაფობს დასტრიალებდნენ, მუდმივ საქონელს გარს უვლიდნენ, თუ ხარი, ძროხა, კამეჩი, ან ცხვარი ნახირს მოსწყდებოდა და ტყისკენ წავიდოდა, ძაღლი ღრენით და ყეფით მოუჭრიდა გზას, ფეხებში მივარდებოდა,

ჰკბენდა და იქამდე არ მოუსვენებდა, სანამ ნახირში არ დააბრუნებდა.

პავლე და ნიკა წელზე ფეხს იდგამდნენ, დღე-ღამეს ასწორებდნენ და იფნიანის უღრან ტყეში ახალ ოჯახს იშენებდნენ. ჯერ ლობე დაამთავრეს, მერმე საქათმე ააშენეს, შემდეგ წყარო რუში ჩააყენეს; ხან სთოხნიდნენ, ხან მარგლიდნენ, ხან ქირნახულს რწყავდნენ, ხან კიდევ, როცა ძალიან წამოცხებოდა, იმ გოლიათ მუხების ჩრდილში სკებსა და გოდრებს სწნავდნენ.

სამხარი რომ მოატანს, შინ მოვლენ, გოგიას ააყენებენ, პირს დაჰბანენ, მოუვლიან, თვითონაც შენაყრდებიან და ისევ მინდორში გავლენ. თან გოგიასაც წაიყვანენ და სანოვაგესაც წაიღებენ.

მუხების ქვეშ ცეცხლს გააჩენენ, ზედადგარზე ქვაბს შესდგამენ და სადილს იქ მოჰხარშავენ. კეცსაც გაახურებდნენ და ხმიადს ან მჭადს გამოიცხობდნენ. დასაკერებელსაც თვითონ დაიკერებდნენ და გასარეცხსაც თვითონ გარეცხავდნენ.

პავლე არც სამსახურს ივიწყებს. ზოგჯერ, უფრო კი ავდარში, თოფს აიკიდებს და ტყეს დაათვალიერებს. ზოგჯერ ნანადირევსაც მოიტანს, მაგრამ შორს წასვლას მაინც ვერა ჰბედავს, რადგან დიდი ხნით ბავშვების დატოვებისა ეშინიან.

ზოგჯერ გორაკზედაც ავიდოდა და იქიდან ყურს მიუგდებდა — ცულის ხმა ხომ არსაიდან ისმისო, ან ტყე ხომ არ იწვისო.

ნიკასთვის და გოგიასთვის საუცხოო, უჩვეო, საშინელი საარაკო იყო იმ ტყეში ცხოვრება, უკაცოდ, უმეზობლოდ და უტოლ-ამხანაგოდ.

უთავბოლო, უსარმაზარი, უღრანი და ბნელი ტყე ათასი იდუმალებით იყო სავსე. ზოგჯერ ტყეში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რომ საკუთარი სუნთქვაც კი ისმოდა. უფრო ხშირად კი ტყე ხმაურობდა, დუდუნებდა, შრიალებდა, ჰფუსფუსებდა.

მაისის ღამეს მოულოდნელად გაიელვებდა, დაიჭექებდა და მთელი ღამე შხუილით წვიმდა. ზოგჯერ უცებ გრიგალი ამოვარდებოდა, იქაურობას ღრიალით დააყრუებდა და ისევ უცებ ჩავარდებოდა.

დიდ ქარში ღამ-ღამობით ტყე ჰღმუოდა, ჰკვნესოდა, ზან-ზარებდა და გრიალი გაჰქონდა, მერმე კი საამური, მოლხენილი და მზიანი დილა გათენდებოდა. ასეთ დღეში ნიკა და გოგია ტაფობს დარბენდნენ და ახლო-მახლო ტყეშიაც შე-ერეოდნენ, თან ყურშას და ბოღრიასაც წაიყვანდნენ.

ნამიანი ტყე და ტაფობი ათას ფერად ბრწკინავდა. ფრინველების ჟრიამული იქაურობას აყრუებდა; კვერნა, ციყვი, თრითინა, დედოფალა და კატუნი მხიარულად დანავარდობდნენ. გრიგალის შემდეგ ტყე წაქცეულ და გაჩეხილ ხეებით ივსებოდა, და იგი ამ დროს დახოცილი ვაჟკაცებით დაფენილ ბრძოლის ველს ჰგავდა.

ცაში არხეინად დასცურავდნენ ცის მეფენი — არწივი, ქორი, სვავი და ძერა. ზოგჯერ რომელიმე ონავარი ფრინველი ისარივით დაეშვებოდა დაბლა. წვრილფეხა ფრინველებში ერთი ჟრიამული და ყივილ-ხივილი ასტყდებოდა ტუტუცი და მშიშარა ოფოფი უმალვე გულაღმა გაწვებოდა, ნისკარტს ზევით აიწევდა და ვითომ თავს იცავდა. კრუხები აიბურძგნებოდნენ, კუხკუხს ასტეხავდნენ და წიწილებს დაუვლიდნენ; გოგია „ჰაი-ჰაის“ გაჰკიოდა, ხოლო ნიკა თოფს უმიზნებდა და ხან ძერას და ხან ქორს ჩამოაგდებდა.

შროშანა ცხვარს ჰხილავდა; შაშვი ხილით ჭახჭაბებდა; მოლაღური მუდმივ „ბიჭო გოგიას“ კაჰკიოდა; ბუბული ჰგუგუნებდა; კოდალა აკაკუნებდა და მემატლიეს, ჩხიკვის, ყაპყაპის, ღალღის, ანკარისა და ასნაირ ჩიტების ყივილ-ხივილი იქაურობას ავსებდა.

შუადღე რომ მოატანდა, სიცხისგან დათენთილი ფრინველი და ცხოველი მიყუჩდებოდა; ტყეც თვლემას მიეცემოდა; გვრიტი მაინც დვრინავდა, კოდალა ისევ აკაკუნებდა, ქედანი ღუღუნებდა, ანცი ციყვი ისევ დახტოდა.

როცა დაღამდებოდა, ღამის ფრინველი და ნადირიც მაშინ გაიღვიძებდნენ, სორო-ბუნაგებიდან და ბუდეებიდან გამოვიდოდნენ, ახმაურდებოდნენ და ამ უღრან ტყეს ღამის ჩამუნით, ფუსფუსით და კივილ-წრიპინით აცოცხლებდნენ.

ერთი ოლოლა მეორეს გადასძახებდა:

— იპოვე-ე-ე?

მეორე უპასუხებდა:

— ვერა, ვერა-ა!

ასიდამა წვრილ ხმაზე გაიძახოდა:

— კლიპ-კლიპ! კლიპ-კლიპ!

პოტი კი ისევ თავის ობლურს გაჰკიოდა.

ზოგჯერ ხევში სადმე მიკიოტი საზარლად დაიყივლებდა. მის ყივილზე ძაღლები ყმუილს ასტეხავდნენ. პავლე პირჯვარს იწერდა და ბურტყუნით იწყევლებოდა. ძაღლები დილამდე იღრინებოდნენ, ჰყეფდნენ და ხილულსა და უხილავ ნადირს იგერიებდნენ.

ღამის წყვდიადში ხან ახლო-მახლო და ხან მოშორებით მგლის ყმუილი, ტურის ყეფა, მაჩვის ჩხავილი, ზოგჯერ აფთარის გოდება, მელიის წრიპინი და დათვის ბურტყუნიც გაისმოდა.

ნიკა ზოგჯერ ფუტკარს ეძებდა: ცვილს დასწვავდა და სუნით მოიზიდავდა. მერმე ფუტკარს გამოუდგებოდა და ბუდემდე მიჰყვებოდა. კვალს რომ მიაგნებდა, ჯერ იმ ხეს დაჰმორავდა წალდით, სადაც ფუტკარი ბუდობდა და მერმე მამას დაუძახებდა. ორივენი ფუტკრის ამოსაყვანად წავიდოდნენ, თან დაწნულ სკას წაიღებდნენ. ფუტკარს რომ შეუბოლებდნენ და ხის ფუღუროდან გამოაფრენდნენ, იმ ხეს მოსჭრიდნენ, თაფლს ამოიღებდნენ, სკაში ჩასდებდნენ, შიგ ფუტკარს ჩაჰყრიდნენ — წამოიღებდნენ და ცაცხვის ქვეშ დასდგამდნენ.

ბუთხუზა გოგოც ახლო-მახლო დაცოცავდა და ბილილას, ლელის, შროშანას, სამყურას, ნასარისა და ასნაირ უცხო ყვავილს აგროვებდა და მაყვლოს, პანტას, სვინტრს, სატაცურს, მჟაუნას, სოკოსა და ტყემალსაც ჰკრეფავდა.

პავლეს საქონელი შვილივით უყვარდა და მისი მოვლაც იცოდა. სხვა მშველელი რომ არავინ არა ჰყავდა, სადღვებელი და ხის კასრები თვითონვე გააკეთა, მამა-შვილი კარაქსაც თვითონვე დღვებავდნენ, ერბოსაც თვითონვე ადნობდნენ, ყველსაც აკეთებდნენ და გუდებსა, კასრებსა და ქილებში ინახავდნენ.

ზაფხულში სიმინდს მაჩვი და დათვი შემოეჩვია. მაჩვი ღეროებს სჭრიდა და ისე ჰფრუტუნებდა, თითქო იფურთხებაო. პავლემ დათვს კვალი აუღო და ღამით ჩაუსაფრდა. ნიკაც თან ჰყავდა. ნელი ნიავი იქით უბერავდა, საიდანაც დათვი უნდა გამოსულიყო, ამიტომ დათვმა ჩასაფრებულთა

სუნი ვერ აიღო, გამოვიდა და თან ორი ბელი, ორი პატარა ბოკვერი გამოიყვანა.

შუაღამე გასული იქნებოდა, როცა ღობის ლაწუნი მოისმა, მამაშვილი ბუჩქის ძირში იდგნენ. თოფები შემზადებული ჰქონდათ. მთვარე ჩასავალს იყო და იქაურობას მკრთალად ანათებდა.

დათვმა თითქო საფრთხე იგრძნოო, შესდგა და გაინაბა. მამაშვილიც გატვრინდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ლაწუნი მოისმა. დათვი ღობეზე გადმოვიდა და ორივე ბელიც გადმოჰყვა.

პავლემ ნიკას ჩასჩურჩულა:

— ბელს თავი დაანებე, დედას ესროლე...

ისევ მოისმა ფაჩუნი. თავჩაღუნული დათვი ჰაერს ჰსუნსავდა და ფრთხილად მოჰბობღავდა. პავლემ ნიკას ნიდაყვი წაჰკრა. ორივემ დაუმიზნეს. ორმა ცეცხლმა გაიელვა, ორმა თოფმა იგრიალა და ის გრიალი ტყეს ქუხილად მოედო. იმავე წამს დათვის ღრიალმაც გააყრუა ტყე. დაჭრილი დათვი უკანა ფეხზე ატორტმანდა და ბღავილით და ხრიალით წამოვიდა. პავლემ ნიკას მიაძახა:

— გასტენე თოფი! — და თვითონ მარცხენა ხელით ბეწვიანი ქუდი დათვს პირში მისცა, ხოლო ადლიანი ხანჯალი მარჯვენა ხელით ყელში გაუყარა.

იმავე წამს ნიკამ დათვს ხელმეორედ დაახალა თოფი და დათვმა ერთხელ კიდევ დაიღრიალა, მერმე ზურგზე გადავარდა და ხრიალი დაიწყო. პავლემ ხანჯლით ყელი გამოსჭრა და წაიბურტყუნა:

— გათავდა. აბა ეხლა ბელებს გავყვეთ.

სიმინდის ლაწალუწს გაჰყვნენ. ღობის კუთხეში ორი პატარა ბელი აბუზულიყო. ბურტყუნებდნენ და იკაწრებოდნენ. ორივენი ხელით დაიჭირეს. დათვის ღრიალზე ძაღლებიც მოვარდნენ და ულრანი ტყე მხიარული ყეფით და წკმუტუნით გაავსეს.

იმ დღიდან პატარა გოგიას გასართობი მოემატა.

შემოდგომაც მოვიდა. ბოსტნეული მოჰკრიფეს. ზოგი წნილად ჩასდეს და ზოგიც ნედლად შეინახეს. ბოლოს სიმინდიც მოსტეხეს.

ყველაფერი რომ აიკრიბა და დაბინავდა, პავლემ ნასყიდა

დაიბარა და რამდენიმე დღით თავის მაგივრად დასტოვა, თვითონ კი ქალაქში ყველი, ერბო და თაფლი წაიღო, მალე დაბრუნდა და საზამთრო მარაგიც მოიტანა.

იფნიანში ისევ სიჩუმე და მყუდროება დამყარდა. პავლემ შვილებს თბილი ტანისამოსი უყიდა, ნიკას ჩოხა და ქურქი ჩააცვა, ხოლო გოგიას, ტანისამოსის გარდა, ხმელი ხილიც მიუტანა, მაგრამ დაუმალა და ყოველ დღე უზოგავდა, თან კელაპტრისოდენა კაკიან თითებს ფუნჩულა ლოყებზე უსვამდა და ჰბურტყუნებდა.

— შენ ჰეი, გოგიავ, ჭკვიანად იყავი, თორემ... მე ვიცი შენი, შე დათვის ბელო, შენა!

გოგია მართლა დათვის ბელსა ჰგავდა, რადგან თავის მამის შვილი იყო და დათვის ბელებთან იზრდებოდა: შავთვალწარბა, თმაჯაგარა, ფუნჩულა და ისეთივე მრგვალი, როგორც მისი ორი ახალი მეგობარი, რომელნიც ხშირად ჰბღაოდნენ და გოგიასაც აბღავლებდნენ.

ნიკაც თავის მამის შვილი იყო. თხუთმეტი წლისა ძლივს შესრულდა, მაგრამ თითქმის დაეწია მამას და მისებრ მაღალი, მხარბეჭიანი, ტლანქი, ჩუმი და მოუხეშავი გამოდგა.

ზოგჯერ ისე დამთავრდებოდა დღე, რომ მამა-შვილი ერთმანეთს ხმასაც არ გასცემდნენ ან ორიოდე სიტყვას ძლივს ეტყოდნენ; არც პავლეს და არც ნიკას ლაპარაკი არ უყვარდათ, არც ეხერხებოდათ. ორივემ თავიანთი საქმე იცოდნენ, ერთმანეთს უფრო თვალებით ელაპარაკებოდნენ, ვიდრე ენით და დარდსაც და სიხარულსაც გულში იხვევდნენ და ერთმანეთს არ უზიარებდნენ. ან რა საჭირო იყო სიტყვა, რაკი ერთმანეთის აზრი ყოველთვის იცოდნენ და გულისნადებიც ესმოდათ?

პავლე მაინც ნაღვლობდა და ნაადაგ მომავალზე ჰფიქრობდა, რადგან მისი აწმყო და მომავალიც ორივე დიდი სადარდელ-საფიქრებელი იყო.

— უქალო ოჯახი, ისიც ამ ვერანა ტყეში, თუნდაც არ ყოფილა. — ჩაუკრა სიტყვა ნასყიდამ, როცა პავლე ქალაქიდან დაბრუნდა.

პავლემ მოკლედ მოუჭრა.

— მაგას ნუღარ მეტყვი, ქალს ნუღარ გამახსენებ.

ნასყიდამ იცოდა პავლეს ხასიათი და ამიტომ ცოლის შერთვაზე ხმა აღარ გაუცია.

პავლეს მაინც არ უცხრებოდა გული, გონება არ უყუჩდებოდა. ოცდაჩვიდმეტი წლისა იქნებოდა: ჯერ ისევ ახალგაზრდა, ძაგარი და ჯანიანი კაცი იყო და ამიტომ ბუნება თავისას მოითხოვდა, მაგრამ ტყის კაცი მეორე ცოლის შერთვას აზრადაც არ იტარებდა, რადგან განსვენებულ პელოს თავის გულში ფიცი მისცა: შენ არავისზე არ გაგცვლი, არავის არ განაცვლებო.

პავლეს მაინც ერთი რამ უწუხებდა გულს, ერთი რამ აფიქრებდა: როდემდის უნდა იცხოვრონ ამ ვერანა ტყეში გავარდნილი ნადირივით მისმა შვილებმა? რანი გაიზრდებიან უქვეყნოდ და უხალხოდ? ვინ მიიღებს, ვინ დაუმოყვრდება? ქალს ვინ მიათხოვებს ამ უდაბნოში ნიკას, რომელიც ალბათ მალე მოინდომებს დაოჯახებას? ვთქვათ, ან პავლე ან ნიკა ავად გახდნენ: ვინ მიჰხედავს საქონელს? ვინ მოუვლის ტყეს? ვინ გააკეთებს ამოდენა საქმეს?

გოგია ორი დღით ავად გახდა. პავლე ექიმის მოყვანას ჰფიქრობდა, მაგრამ ვის მოიყვანდა? ვინ ავიდოდა იმ სიშორეზე, იმ უდაბურ ტყეში? ნიკა უნდა გაეგზავნა, მაგრამ ტყე? საქონელი? ბოსტანი და სიმინდი? ორ-სამ დღეს მოითმენდა პავლე, მაგრამ როგორ დაენებებინა თავი ერთი კვირით ან ერთი თვით?

ჰფიქრობდა პავლე და სწუხდა, მაგრამ გზა ვერ ეპოვნა, ამიტომ ყველაფერი ისევ ძველებურად, ისევ თავის გზით მიდიოდა.

IV

შემოდგომამ ტყე ათასფერად შეღება: ჩალა, მიხაკი, ოქრო, რუხი, ლურჯი, ალი, მწვანე და წითელი — ყოველნაირი ფერები აირივნენ და გაითქვიფნენ.

ფრინველებიც გაფრინდნენ. დარჩნენ მხოლოდ კაჭკაჭი, კოდალა, ჩხიკვი, შაშვი, წიწკანა, ბეღურა, ჟივჟივა და ყვავი, რომელნიც ჩხავილით და ჟივილ-ხივილით იკლებდნენ იქაურობას.

ზოგჯერ ტყეს მთელი კვირით ნისლი დააწვებოდა, და

ღრუბლიანი ცა წვიმით იცრებოდა. ასეთ დროში პავლე და მისი შვილები ვერ ისვენებდნენ, გალიაში მომწყვდეულ მხეცებივით დაბორიალებდნენ პატარა სახლში და უფრო ხშირად საქონელს, დათვის ბელებს და ძაღლებს ელაპარაკებოდნენ, ვიდრე ერთმანეთს. მერმე ქურა გააკეთეს და ნახშირის წვა დაიწყეს. ცაში ასვეტილი ბოლი ერთი დღის სავალზე მოსჩანდა. ბარში გლეხები ამბობდნენ:

— იფნიანში ტყის კაცი ნახშირს სწვავს. ალბათ ის კაცი სულ გამოყრუვდა და განადირდა.

ნადირობას მოუხშირეს. რიგრიგად დადიოდნენ. თან კუნელს, ზღმარტლს, სოკოს, წიფლის თესლსა და რკოს ჰკრეფავდნენ.

ზამთარიც უცებ მოვიდა. ერთ ღამეში ერთი ადლი თოვლი დასდო და ირგვლივ მხოლოდ თეთრი ფერიღა მოსჩანდა. ნადირი გათამამდა, იფნიანს მიეტანა და მგლების ღმუილი და ტურა-მელას ჩხავილიც გახშირდა.

საღამოობით პავლე ორ-სამ ალაგას ხაფანგს დააგებდა. ხაფანგში გაბმული ნადირის მოსაკლავად დილით სამივენი თოფებით გადიოდნენ. უფრო ხშირად მგელსა და მელას აწყდებოდნენ, უფრო იშვიათად — აფთარსა და ფოცხვერს. თუ ნადირი ხაფანგში ადრე გაებმებოდა, ხშირად გაბმულ ფეხს საკუთარი კბილით მოიჭამდა და წავიდოდა, და თუ დილით გაებმებოდა — მონადირეებს ცოცხლად ჩაუვარდებოდა ხელში. ზოგჯერ კი ნადირი მახეს აიწყვეტავდა და დიდს მანძილზე გაათრევდა, მაგრამ ბოლოს იმ მახეს სადმე აჩიქს გამოსდებდა და თავს ხელმეორედ დაიბამდა.

ნადირის ხორცით ძაღლებს ასუქებდნენ, ხოლო ტყავს აწარილებდნენ და აშრობდნენ.

ბოლოს, გაუთავებელ ზამთარში სამივენი თვითონაც განადირდნენ, ჰუჭყით აივსნენ და დამუნჯდნენ.

ზამთარი ძლივს დაილია. ბარში თოვლი გადნა. თბილმა სიომ დაუბერა და ტყეში ლილო გამოაჩინა, თოვლი გაალღო, აჰკრიფა და შეჭამა. კვირტიც გასუქდა და გაიბერა.

ცაში წეროების ჟივილი გაისმა. ოფოფი, მერცხალი, გუგული და ლაგლაგი მოფრინდნენ. ტყე ახმაურდა, აიშალა და ნელ-ნელა აჰყვავდა. ჯერ შინდი აყვითლდა, მერმე პანტა, მაჟალო, კუნელი და ტყემალი აიპენტნენ. ათეთრდნენ და შე-

ვარდისფერდნენ. შემდეგ იფნი, ნეკერჩხალი, წიფელა, თელა, რცხილა, მუხა და ცაცხვიც ამწვანდნენ და შეკუნწულდნენ. ბოლოს ერთ დღეს დაიქუხა და გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმაც წამოვიდა.

პავლე და ნიკა ისევ მიწას დაეძგერნენ და გაშმაგებულნი, გაავთრებულნი, დილიდან საღამომდე ოფლში იწურებოდნენ.

ერთხელ გოგიას ხველა აუვარდა და სიცხეც მისცა. პავლემ ჯერ ყურადღება არ მიაქცია. საღამოზე ბავშვს ხმა ჩაუწყდა და გონება დაეკარგა. პავლე აიშალა და აიმღვრა. გათენებამდე თვალი არ დაუხუჭავს. ხან გამგელებული დარბოდა ოთახში და ბურტყუნებდა:

— ჰა? ექიმი აქ არ მოვა?.. მაშ მე თვითონვე წავალ და გოგიას წავიყვან... არა, სჯობია შენ წახვიდე, შენ წაიყვანე....

ხან კიდევ გოგიას მიუჯდებოდა. ანთებულ ლოყებსა და შუბლზე ტლანქ თითებს უსვამდა და ეკითხებოდა:

— შვილო, გოგია, ვერა მცნობ? გოგიავ, ხმა გამე. ბიჭო! რა დაგემართა?.. რა გემართება?..

რიჟრაჟმა რომ მოატანა, გოგიამ ხრიალი დაიწყო. პავლემ ბავშვი ჯერ სველი ტილოთი დაზილა, მერმე ერბო წაუსვა, ყელში ძმარი ჩაასხა, მაგრამ ავადმყოფს ვერაფრით ვერ ეშველა.

მამა გაფითრდა და კინაღამ გაგიჟდა. მეტის სიმწარისაგან თავს ბოძს ახლიდა და ღმუოდა:

— შვილო, გოგია!.. შვილო, გოგია!..

— კარგი, გაათავე! — დაუყვირა ნიკამ, მკლავში ხელი წაავლო და ბოძს ძალით მოაშორა. — მაგით რას უშველი? ექიმთან წავიყვან, ჩქარა, ფული მომე.

პავლე უცებ გამოფხიზლდა და დაფაცურდა.

— აბა, შენ იცი... ეხლავე წაიყვანე... დღესვე ამბავი მომაწოდე. აი ფულიც წაიღე... სულ წაიღე... აბა, ჩქარა, არ დაიგვიანო.

და გონებადაკარგული გოგია თბილად შეახვია, ხელში აიყვანა, ჯერ დააცქერდა, მერმე პირველი კოცნით აკოცა შუბლში და ნიკას გადასცა.

ორივენი გამოვიდნენ. თენდებოდა. პავლემ ნიკა დიდ მან-

ძილზე გააცილა, გოგიას ერთხელ კიდევ აკოცა და გაისტუმრა, თან უკნიდან მიაძახა:

— აბა, ნიკავ, შენ იცი და შენმა ბიჭობამ! ცოცხალი აღარ დაბრუნდე თუ... შენი იმედითა ვარ. გესმის, ბიჭო!

და ძუნძულით მიმავალ ნიკას თვალი გააყოლა. ნიკა მაშინვე მიიმალა ტყეში.

პავლე დიდხანს იდგა გაშტერებული და გაოცებული. მერმე შინ დაბრუნდა და მარტოობა რომ იგრძნო და გოგიას სიკვდილი რომ წარმოიდგინა, ისევ გამწარდა და ისევ ბოძს დაეძგერა, თან ღმუოდა:

— შვილო, გოგია!.. გოგიაჯან!.. ჩემო გოგინო!..

შემდეგ თოფს ხელი მოავლო, საქონელი ბოღრიას ჩააბარა, ყურშა თვითონ წაიყვანა და ნიკას გამოუდგა უნდოდა დასწეოდა, ნიკა დაებრუნებინა და გოგია თვითონვე წაეყვანა. ხევში რომ ჩავიდა და ბლომა მანძილი გაიარა, ჭილათაევიდან ცულის რაკუნი მოესმა. გზას გადაუხვია ღარიბ-ღატაკ მიხა ნარიკაშვილს მიეპარა მგლის ნაბიჯით.

სხვა დროს ულელს, ცულსა და ჯამბარას წაართმევდა, ეხლა კი რაღაცა დაემართა: იქვე მორზე ჩამოჯდა და მიხას კამარჯვება უთხრა და ოჯახის ამბავიც გამოჰკითხა.

მიხას შარშან ხუთი წლის ვაჟი მოუკვდა. პავლემაც იცოდა ეს ამბავი, მაგრამ არ იცოდა, ის ბავშვი რისგან და როგორ მოკვდა. ეხლა მიხამ დაწვრილებით უამბო თავის ვაჟის სიკვდილი და ბოლოს დაუმატა:

— შენ მტერსა, რაც მე სიმწარე ვნახე, ღმერთმა გაშოროს, ძნელია, ძალიან ძნელია შვილის სიკვდილი. დედაკაცი რომ არა მყოლოდა, ან გავგიჟდებოდი, ან თავს მოვიკლავდი. ერთმანეთს მხარი მივეცით და ერთმანეთი გავიტანეთ.

დიდხანს იჯდა პავლე დაფიქრებული. მან კარგად იცოდა, რომ მიხას ბარათი არა ჰქონდა, მაგრამ არც მოსთხოვა, ხმაც არ ამოიღო. ნიკას ველარ დაეწეოდა, ამიტომ უკანვე დაბრუნდა. ადამიანის ნახვამ და ლაპარაკმა დაამშვიდა, გაცხარებული ტვინი დაუამა.

ნიკამ ავადმყოფი ძმა მღვდელს მიუყვანა. მღვდელმა ავადმყოფს ვერაფერი გაუგო და ნიკას ქალაქში წასვლა ურჩია. სადგურამდე ურმით ჩავიდნენ და საღამოზე უკვე ქალაქში იყვნენ. მღვდელმა ნიკას წერილი გაატანა თავის ბიძაშვილთან, რომელმაც მაშინვე დაუძახა ექიმს.

მეორე დღეს ბავშვი გონს მოვიდა. ორი დღის შემდეგ ექიმმა უთხრა, ერთ კვირაში მორჩებაო. ეს ამბავი მღვდელს მისწერეს, მღვდელმა კი ტყეში მიმავალი გლეხის პირით გაახარა პავლე. ტყის კაცი გამოცოცხლდა. გამხიარულდა და, სხვა რომ არავინ არა ჰყავდა მოლაპარაკე, სიხარული ძაღლებს გაუზიარა:

— შენ, ჰეი, სამგლევ! ჭკუით იყავი, თორემ მე ვიცი შენი!.. ყურშავ, მოისვენე, თორემ გოგიას ვეტყვი და ის ამოვა შენს ოხტში!

მერმე დათვებს გაუღიმა და გაეთამაშა:

— ჰაი თქვე ციმფიებო, თქვენა! ნუ იკბინები, შე მაიმუნო!.. ბოღრიავ, მიშველე!.. ყურშავ, მომაშორე ეს სამგლე! ახა-ხა! ოხო-ხო!

და უღრან ტყეში პირველად გაისმა გაველურებული პავლეს ხუმრობა და სიცილი.

ყველანი ჰგორაობდნენ, ერთმანეთს ჰბუბნიდნენ, ჰბღანძღლაობდნენ, ახრჩობდნენ, ხუმრობით ჰკბენდნენ და ჭიდაობდნენ.

— ბიჭო, გოგიავ, მიშველე!.. ნიკავ, სადა ხარ, ბიჭო, მიშველე! — ხრიალებდა და ხარხარებდა პავლე.

შემდეგ კი, როცა დაიღალა და მოიქანცა, ძაღლებს მიჰმართა:

— ბოღრიავ! ყურშავ! აბა ეხლა საქონელს მივხედოთ.

ღობეზე კაჭკაჭი ჩხავის.

— შენ ჰეი, ტუტრუცანავ, რასა ჰყბედობ მანდა!

და გოგიას და ნიკას ამბავს საქონელსაც ატყობინებს:

— ლაბავ, შე ზანტო, შენა! ნიკას სახრეს გადაეჩვიე, განა! დაიცა, მოვიდეს!.. შვინდა, გოგიას ნახვა მოგინდა? მოდის, შვილოსან, მოდის... შენ ჰეი, ცერცეტავ! — ეძახის

თხას, — რას აცანცარებ მაგ წვერსა! გოგია რომ ამოვა და თითო-თითოდ დაგაგლეჯავს, მაშინ რაღას იზამ?

ასე აყბედდა და ალაპარაკდა იმ დღეს ტყის კაცი.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკასგან ამბავი მიიღო, სამშაბათ საღამოზე უეჭველად იფნიანში ვიქნებითო. პავლე შვილების დასახვედრად მოემზადა: ნადირი მოჰკლა, სამწვადე გამოსჭრა, ხმიადი გამოაცხო, გასარეცხი გარეცხა და სახლი დაალაგა, თან ყველას ატყობინებდა და ემუქრებოდა — ბოღრიას, ყურშას, დათვებს, კაჭკაჭებს, ლაბას, შვინდიას და ცანცარა თხასაც:

— გოგია და ნიკა დღეს მოდიან... მოიცადეთ... დაიცადეთ... ისინი ამოვლენ თქვენს ოხტში...

VI

სამშაბათს ნიკამ გოგია სადგურზე ამოიყვანა ნაცნობ მეურმეს შეხვდა. შეუსხდნენ და წავიდნენ. ერთი ხარი კოჭლობდა, ამიტომ ნელა იარეს.

სოფელში რომ ამოვიდნენ, უკვე შებინდებული იყო. მღვდელმა სვიმონამ და ნასყიდამ ნიკას ურჩიეს, ამაღამ სოფელში დარჩიო, მაგრამ ნიკამ წასვლა დაიჟინა, რადგან იცოდა, რომ პავლე შვილების მოლოდინში იყო და ის ღამეს არ მოისვენებდა. ორივენი პავლეს შვილები იყვნენ, ტყესა და ღამეს ნაჩვევნი და ამიტომ სიბნელეს არ მოერიდნენ და წამოვიდნენ.

ნიკამ გოგია ზურგზე აიკიდა და გზას გაუდგა. პეტრეს ვენახს რომ გასცდა, რიყეს გვერდი აუხვია და ეკლესიასთან გავიდა.

გალავანს რომ აჰყვა, უცებ რაღაც ბღუილი მოესმა და იმავე წუთს ნიკას თვალწინ რამ ლანდი აეტუზა და მკერდში შავი რამ დაეტაკა. ჭაბუკს თვალებიდან ცეცხლი წამოსცვივდა, თავბრუ დაესხა, წაიქცა, გული შეუღონდა და გონება დაჰკარგა.

თავზარდაცემული გოგია წამოხტა, შავს რამეს გაუსხლტა და სიბნელეში თავდაღმა დაეშვა ყვირილით:

— მამილო, მიშველე!.. მამილო!.. მამილო!.. — და უცებ მისი ხმაც შესწყდა.

ეკლესიის დარაჯს მათეს და მის ცოლს ბავშვის ყვირი-
ლი მოესმათ, ერთმანეთს გადახედეს. მათე გარეთ გამოვარდა
და წყვდიადს გასძახა:

— რომელი ხარ?.. ვინა ჰყვირის მანდა?..

რაკი პასუხი არ მიიღო, ჯოხი აიღო და ეკლესიას შემო-
უარა. აქ რომ ვერავინ ვერა ნახა, ეზოდან გამოვიდა და
გალავანს ჩაუარა, თან ნელის ხმით ჰკიოდა:

— რომელი ხარ?.. ვინა ხარ?..

სიბნელეში შავს რამეს წააწყდა.

— რომელი ხარ მეთქი?

პასუხი არავინ არ მისცა.

— ჯვარი აქაურობას!.. ქვა ეშმაკსა! — წაიბუტბუტა მა-
თემ, პირჯვარი გადაიწერა, უფრო ახლო მივიდა და მიწაზე
გაშხლართულს კაცს წააწყდა. ხელი წაავლო, თან ანჯღრევდა
და ეკითხებოდა:

— კაცო, რომელი ხარ?.. გესმის, ხმა ამოიღე!

მთვრალი ეგონა, ამიტომ წაიჩოქა და პირსახეზე დაჰხედა.

მერმე მღვდელთან გაიქცა, ათიოდე კაცი შეჰკრიბა. გულ-
წასული ნიკა ასწიეს და მღვდლის სახლში შეიტანეს, ნიკა
მხოლოდ იქ იცნეს. გოგიაც მოაგონდათ. ახალგაზრდები სა-
ძებნელად გაიქცნენ და მეზობლებს ეკითხებოდნენ:

— პავლეს ბიჭი გოგია ხომ არ გინახავთ?

ეკლესიის მიდამოები, ბაღები და ხევ-ხუვები შემოირი-
ბინეს და შუაღამემდე ხან აქედან, ხან იქიდან მათი ყვირილი
ისმოდა:

— ბიჭო, გოგია! გოგია!

გოგია თითქოს მიწამ ჩაჰყლაპა. მას აქეთ, რაც ნიკა და
გოგია სოფელს გასცდნენ, არც ერთი და არც მეორე არავის
აღარ ენახათ. მათე ყველას მეათეჯერ უამბობდა:

— მე და ჩემმა დედაკაცმა ჩვენის ყურით გავიგონეთ,
რამდენჯერმე დაიძახა: „მამილო, მიშველეო“... იმის მეტი
ეკლესიასთან იმ დროს სხვა ვინ იქნებოდა?

მღვდელმა გულწასულ ნიკას გულისპირი გაუხსნა და
მკერდი გაუღეღა. შეჰკრთა და ენაზე იკბინა, თითქო რაღა-
ცას მიაგნო, რაღაც ენიშნაო. მერმე აჩქარებით ისევ შეუკრა
ღილები და გატვრინდა. ნიკას ზედ მკერდზე, ძუძუებთან,
ორი დალურჯებულ-დასისხლიანებული დაღი ამოაჩნდა.

— ალბათ მკერდი დაჰკრა ქვას, — სთქვა ერთმა.

— აგრე თუ იქნება...

— აგრე მაგრა როგორ დაჰკრა, რომ ასე ჩაიმტვრია მკერდი? — დაეჭვიანდა მესამე.

მღვდელი კი სდუმდა.

ტყეში მიმავალი გლეხი იპოვნეს და იმის პირით პავლე [illegible]აოეს. ხოლო მეხრეებსა და სხვებსაც სთხოვეს, რომ დაკარგული გოგია დილიდანვე კარგად მოეძებნათ.

მეორე დღეს ერთი გლეხი იფნიანში ავიდა და პავლეს ჰკითხა:

— ი შენ შვილებს რაღაც დაემართათ, ჩადი, დახედე.

პავლე ისედაც არეულ-დალონებული იყო, რადგან წინა ღამეს შვილებს ელოდებოდა და დილამდე თვალი არ დაეხუჭა.

კვერნაკბენივით წამოხტა. ენა დაება, ელდა ეცა და ძლივს წაილუღლუღა:

— რა... რა დაემართათ?.. რომელს?

პასუხი რომ მიიღო, სახლი არც კი დაჰკეტა, თოფი ჩერგზე გადაიგდო და მგლის ნაბიჯით დაეშვა სოფლისაკენ. ძუნძულით მიდიოდა, თითქოს მირბოდა და თან ჰბუტბუტებდა:

— ვაიმე!.. ვაიმე, შვილებო!.. ვაიმე, ჩემო თავო!..

როცა პავლე სოფელში ჩამოვარდა, ნიკა ის იყო გონს მოსულიყო. ტყის კაცი მღვდელსა და ნიკას დაეტაკა:

— რა იყო?.. რა მოხდა?.. გოგია სად არის?

ნიკამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად უამბო, მერმე მკერდი გადაიღეღა და დასიებულ-დალურჯებული გული უჩვენა.

— გოგია სად არის, გოგია? — ისევ წამოიძახა პავლემ.

— გოგია დილამდე ვეძებეთ, — უპასუხა მღვდელმა, — ეხლაც ათიოდე ბიჭი დარბის, ყველაფერი გადავაბრუნეთ: ვენახები, ბაღები, ჭალები და ხევები, მაგრამ...

— ვაიმე, შვილო! — წამოიძახა პავლემ და გარეთ გავარდა. მათეც გაჰყვა.

მათე ძლივს მისდევდა. იმ ადგილს რომ მივიდნენ, საცა ნიკა იპოვეს, მათემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო და დაბალი ხმით დაუმატა:

— მღვდელს ერთი გიჟი ბუღა ჰყავს. ვერც ნახირში უშვებს და ვერც სოფელში. კინაღამ დაგვიხოცა ბავშვები და

დედაკაცები. ამას წინათ მღვდლის მოჯამაგირეს, თედოს, გულ-მუცელი ჩაუნგრია. ი ბუღას ამ გალავანში შეაგდებს ხოლმე და დაღამებამდე აქა ჰყავს. ალბათ ი ვერანა თუ დაეტაკა სიბნელეში ნიკას. ეხლაც აქ არის, წამო, გაჩვენებ.

ეკლესიის ეზოში შეიხედეს, იქ შავი ბუღა იდგა თოკით დაბმული. პავლე და მათე რომ დაინახა, ჯერ თვალები გაუშტერა, მერმე თავი დაღუნა, წინა ფეხებით მიწას ბრდღვნა დაუწყო, თან ბღაოდა და მოიწევდა.

პავლე გამობრუნდა და სირბილით დაეშვა ქვეით.

— კაცო, სად მიხვალ? — მიაძახა მათემ, — მთელი სოფელი იმას დაეძებს, შენ რაღას გაჰხდები?

პავლეშ არც კი მოიხედა და შუაღამემდე ქვემო ჭალიდან, ხან გაღმა-ჭალიდან, ხან ჭილათხევიდან, ხანაც ვენახებიდან მისი ხრინწიანი ხმა მოისმოდა:

— შვილო, გოგია-ა-ა! ბიჭო, გოგია-ა! სადა ხარ, გოგია-ა-ა!

შუაღამე რომ გადავიდა, ნასყიდა და სიმონა პავლეს აირხის თავზე წაეწივნენ ტყის კაცს და თითქმის ძალით ჩამოიყვანეს.

თვალებში აზრი აღარა ჰქონდა და თითქო ვერავის ვეღარა სცნობდა. ხმას აღარ იღებდა, თრთოდა და ძაგძაგებდა. მხოლოდ რიერაჟზედა მილულა თვალები. დილით ისევ წამოხტა, ისევ ჭალებისაკენ დაეშვა და ვისაც დაინახავდა, მიაძახებდა:

— ჩემი გოგია არ გინახავს? — და ისევ მირბოდა.

შუადღემ რომ მოატანა, მიხა ნარიკაშვილმა მღვდელს გადმოსძახა:

— იპოვეს! გოგია იპოვეს!

ეს ამბავი უკვე მოსდებოდა სოფელს და ყველანი ეკლესიისკენ გარბოდნენ.

ეკლესიის გვერდით, გზის გადაღმა, ქვრივ დედაკაცს თინას ერთი ნაჭერი მიწა ჰქონდა — ძველი ნავენახარი, ღობე და უპატრონო. იმ ნავენახარში ერთი დანგრეული საწნახელი იყო, საწნახლის გვერდით კი ნაწვიმარი და ბაყაყებით სავსე ქვევრი იდგა.

მათე იმ დღეს იმ ნავენახარს და ჯაგნარს დასტრიალებდა და ბოლოს ქვევრშიც ჩაიხედა. აყროლებულ წყალში რა-

ლაც საეჭვო შენიშნა. სარი მოიტანა და წყალში მიურ-მოუ-რია.

უცებ დაბინდულ ქვევრში ბავშვის თავი ამოტივტივდა. მათეს კინაღამ გული შემოეყარა.

გასიებული და ტალახში ამოსვრილი გოგია წყლიდან ამოეღოთ და ქვევრის პირზე დაედოთ. გარშემო ხალხი ეხვეოდა. აქეთ-იქიდან კვნესა და ოხვრა ისმოდა:

— ნეტავი დედაშენს, შვილო, რომ შენ არა გხედავს! — წუწუნებდა ერთი.

— ვაი მამაშენს, შე უბედურო, შენა! — ჰკვნესოდა მეორე.

— ეს უბედურება აკლდა რაღა იმ საწყალს, იმას! — ოხრავდა მესამე.

— პაკლეს შეატყობინეთ ვინმემ, თორემ ჭალებიდან ამაღამაც არ დაბრუნდება.

მიხამ ითავა და ჭალებისკენ დაეშვა. გოგიას გვამი ფარდაგში გაახვიეს და მღვდლის სახლში წაიღეს. მღვდელი ჰგრძნობდა უნებურ დანაშაულს და ამიტომ მკვდრის მოვლა-პატრონობა იკისრა.

სანამ პავლე მოვიდოდა, გოგიას გვამი გაჰბანეს, შემოსეს, შუა ოთახში დაასვენეს და სანთლები აუნთეს.

ნიკამ რომ მკვდარი ძმა დაინახა, ტახტიდან კლაკვნით და გრეხვით წამოიწია. ძმას კარგა ხანს დასცქეროდა. მერმე თავში ხელები წაიშინა, ატირდა და სხვებიც აატირა. პატარა გვამს თავთ მოუჯდა, განუწყვეტლივ ჩასცქეროდა პირსახე-ში და თავზე ხელს უსვამდა.

პავლე დაჭრილი დათვივით შემოგორდა, ცხედრის წინ გა-შეშდა. უზარმაზარი ხელები ისე აიქნია, თითქო ფრინველს აფრთხობდაო, და ჩახლეჩილი ხმით წამოისროლა:

— ჰა, გოგია, გიპოვეს, განა! ჰა, ბიჭო, ქვევრიდან ამო-გიღეს? ესეც ხომ გავათავეთ!.. ესეც ღმერთმა მომცა და ისევ ღმერთმა წამართვა, განა!..

დიდხანს იქნია მორკვის ხელები, იყვირა და იბოდა. მერ-მე გაჩუმდა, მოეშვა, მოლბა და ბავშვური სევდით და მწუ-ხარებით დააცქერდა შვილის გვამს.

მღვდელმა ხელი წაავლო და ტახტისკენ წაიყვანა. ტყის კაცი არ გაუძალიანდა: ჩამოჯდა, თავი მკერდზე ჩამოიგდო,

თითქო კისრის ძარღვი გაუწყდაო, მკლავები თოკებივით ჩამოჭყარა და აბღვრეული თვალები თავის ფეხებს გაუშტერა.

პავლე მთელ ღამეს გაშეშებული და გარინდული იჯდა. მხოლოდ დროგამოშვებით ჰქშენდა სახერხველივით, ხელებს არწივის ფრთებივით იქნევდა და დათვივით ბურტყუნებდა.

ნიკა ახველებდა, ჰკვნესოდა და სისხლს აღებინებდა.

იმ ღამეს პატარა კუბო შეჰკრეს და დილით გალავანში პატარა საფლავი ამოთხარეს. შემდეგ ცხედარი გაასვენეს, წესი აუკეს და საფლავში ჩაასვენეს.

ნიკა ფეხზე ვერ იდგა. ნასუყოდა და მუხა იღლიები ჩაუსხდნენ. მთელ სოფელს იქ მოეყარა თავი. პავლე არა ტიროდა, მხოლოდ ძაგძაგებდა, ბორთოდა და კუბოს აბღვრეულ თვალებს არ აშორებდა.

საფლავი რომ ამოავსეს, პავლემ მარჯვნივ გაიხედა. თითქოს შეჰკრთა, გაშეშდა, გაჰხმა. პირსახეზე სიმტკიცე, სიმკაცრე და უსაზღვრო მწუხარება აღებეჭდა. კარგა ხანს ჩაციებით და დაჟინებით გასცქეროდა ერთ წერტილს. სხვებმაც პავლეს თვალს თვალი გააყოლეს და გალავნის მეორე კუთხეში შავი, მოზრდილი ბუღა დაინახეს. ბოხვერი რკინის ძეგლივით იდგა და ისიც ჩაციებით მისჩერებოდა ტყის კაცს.

პავლეს პირსახე დაელმიჭა და რაღაც უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა. მიიხედ-მოიხედა და ხუთიოდე ნაბიჯზე იასაული დაინახა. იმ იასაულს მგელივით მივარდა, ზურგზე გადაგდებული თოფი ჩამოჰგლიჯა, ხალხის ჯგუფიდან გავარდა და თოფი უმალვე ბუღას დაუმიზნა.

— პავლე, რას შვრები!.. პავლე, გონს მოდი!..

— კაცო, რა დაგემართა! — მიაძახეს აქეთ-იქიდან და იმავე წუთს თოფმაც იგრიალა.

სედო ბირთველაშვილმა თოფს ხელი აჰკრა. ტყვიამ კედელს მტვერი ააყრევინა. ბუღამ ხიფათი იგრძნო, შეჰკრთა, მერმე კუდი გაიფშიკა და თავი ჩაჰღუნა. წინა ფეხებით მიწას ბრდღვნიდა, ჰბუღრაობდა, ჰბღუოდა, თან თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და ისევ პავლეს გამოსცქეროდა.

პავლე მოტრიალდა, უნდოდა თოფში მეორე ვაზნა ჩაეგდო, მაგრამ იასაული გაუძალიანდა. მაშინ ტყის კაცმა თოფი მიწაზე დააგდო, ადლიანი ხანჯალი იშიშვლა და ხალხს მიაძახა:

— ხელი არავინ არ მახლოს, თორემ ვაი იმისი ბრალი!.. დედას ვუტირებ, დედასა!

ხალხი უმალვე გაიფანტა. დედაკაცები და ბავშვები კივილ-ყვირილით გაცვივდნენ გალავნიდან, მოზრდილები კი ეკლესიის და გალავნის კედლებს აეკვრნენ და მებრძოლნი პირისპირ დასტოვეს.

ყველანი კარგად იცნობდნენ პავლეს და იმიტომ ყველანი ჰაჩუმდნენ და გულის ფანცქალით, შიშით და ძრწოლით ადევნებდნენ თვალყურს გაგიჟებულ მოზვერსა და გამხეცებულ ადამიანის ბრძოლას.

ტყის კაცმა ჩოხის კალთები აიკრიფა, მორგვისებური მკლავები დაიმკლავა, წელში მოიხარა, ბუღას თვალი თვალში გაუყარა და ნელი ნაბიჯით გაემართა მისკენ. დათვივით ჰბურტყუნებდა:

— გოგიას ზედ უნდა დავაკლა... ზედ უნდა დავაკლა მეთქი! — დედას გიტირებ, დედასა!

— მამა! მამილო! — იძახოდა გაფითრებული ნიკა.

— დაიცა... დამაცა... დამაცადე...

ბუღამ თავი გააქნია და თოკი ისე აიგლიჯა, თითქო ძაფი გაწყვეტილაო. მერმე თვითონაც წამოვიდა. ჯერ ნელი ნაბიჯით მოდიოდა, შემდეგ კი თავჩაღუნული და დაოთხებული გამოექანა.

პავლე გაშეშდა, მიიკუნჭა და მოზვერის მოახლოებას უცდიდა.

ბუღა ზედ მიახტა პავლეს. ხალხში კივილი გაისმა. იმავე წუთს პავლე გვერდზე გასხლტა. ჰაერში ფოლადმა გაიელვა და ბუღას კისერზე გაიჩახუნა.

ბუღა ჰაერს დაეტაკა, მიწას მტვერი აადინა. ჯერ წინ გამოხტა. მერმე უკანვე მიტრიალდა, გაჩერდა და თავის კანკური დაიწყო.

მიწა ბუღას წინა ფეხებთან მუქი სისხლით შეიღება. პავლე გაშტერებულ ბუღას იმავე ფრთხილი ნაბიჯით მიეპარა, თოკის ყურს დასწვდა, ის თოკი მარცხენა მაჯაზე დაიხვია, ბუღას გარს შემოუარა და იგი გოგიას საფლავისკენ მიატრიალა. ბუღამ ჯერ უკან დაიხია, თან პავლეც დაითრია და მერმე ხელმეორედ გაექანა. ისევ კივილი და ყვირილი გაისმა. ბუღა ისევ ჰაერს დაეტაკა, პავლე კი ისევ რქებთან გა-

უსხლტა და სწორედ იმ დროს, როცა ბუღა მესამეჯერ მოტრიალდა, ტყის კაცმა ხანჯალი ტარამდე მისცა ფაშვებში.

პირუტყვმა გულსაკლავად დაიბღავლა და მის ბღავილში ადამიანური სასოწარკვეთილება, უიმედობა და შებრალების კილო მოისმა.

პავლემ რომ ეს ხმა გაიგო, სიხარულის კიჟინა დასცა, თვითონაც დაიბღავლა და გაშმაგდა, გამხეცდა: ხანჯალს ორივე ხელით უტრიალებდა მუცელში და ჰბურტყუნებდა:

— ესეც შენ!.. ესეც! ესეც!..

მაგრამ გამარჯვების კიჟინა ნაადრევი გამოდგა: ბუღა ისევ მიუტრიალდა და გამოუდგა, თან გამოყრილ ნაწლავებს მიათრევდა. პავლე ხალხისკენ მირბოდა და უცებ ისევ მობრუნდა. ტყის კაცი და პირუტყვი სწორედ გოგიას საფლავზე შეხვდნენ უკანასკნელად და ერთხელ კიდევ დაეტაკნენ ერთმანეთს: ერთსადაიმავე დროს პავლემ მოზვერს გაუყარა ყელში ხანჯალი, ხოლო ბუღამ პავლე რქებზე აიგდო და ჰაერში შეატრიალა.

ერთი წუთის შემდეგ ორივენი გოგიას საფლავზე ეყარნენ: ერთი — უსულო, ყელში მახვილგაყრილი, ხოლო მეორე — მკერდჩანგრეული და გულ-წასული.

VII

ორი კვირის შემდეგ ხელი-ხელ გადახვეული მამა-შვილი ბარბაცით და ზლაზვნით ავიდნენ იფხიანში. მალე ქვემოდან გლეხებიც ამოვიდნენ და ტაფობი ისევ გადახნეს, დათესეს და დაფარცხეს.

ტყის ჰაერმა პავლე მალე გამოაცოცხლა, ხოლო ნიკას მაინც არაფერი ეშველა: ისევ ახველებდა, ყელიდან სისხლს ანთხევდა და დღითიდღე დნებოდა და ილეოდა.

ქვეით სოფელში ნიკა ექიმს აჩვენეს. ექიმმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი. შორიდან მეორე ექიმი მოიყვანეს. იმანაც ვერაფერი უშველა და მხოლოდ ურჩია: ისევ ტყეში აიყვანეთ, წამალს ნუ მისცემთ, თუ მოარჩენს რამე, ისევ კარგი ჭამასმა და ტყის ჰაერიო.

მარტო პავლე რომ ვერ გასწვდა საქმეს და ავადმყოფის

მოვლას, ოცი წლის დათა ვარდუაშვილი აიყვანა მოჯამაგირედ.

დილით ნიკას მუხების ან ცაცხვის ქვეშ გაიყვანდნენ და ჩრდილში დააწვენდნენ, საღამოზე კი ისევ შინ შეიყვანდნენ, პავლე ნიკას მიუჯდებოდა, ჭრაქს მიიდგამდა და მილეულ პირისახეში დიდხანს ჩასცქეროდა ჩუმად და მეასეჯერ ჰკითხავდა:

— ერთი მითხარი, ნიკაჯან, ი ოხერი მოზვერი როგორ დაგეტაკა?

ნიკაც მეასეჯერ უამბობდა.

— შენ რომ გული წაგივიდა, გოგია სოფლისკენ გაქცეულა, არა? თურმე ჰყვიროდა: „მამილო, გვიშველეო!“ ი სიბნელეში ქვევრი ვერ დაუნახავს და ჩავარდნილა... ოოჰ, დედი შენის ღმერთსა, პავლევ, სად იყავი მაშინ?!

ნიკა ეხვეწებოდა, გოგიას ნუღარ იგონებ, ნუ დამტანჯეო, მაგრამ პავლე არ სცხრებოდა და მუდმივ გოგიაზე, ბუღაზე და ნიკას ჩანგრეულ მკერდზე ჰფიქრობდა, ლაპარაკობდა, რიჟრაჟამდე ჰგმინავდა, იხრავდა და ჰქშენავდა.

პავლეს გაუგებარი ჩვეულებანი დასჩემდა. უცნაური რამ ემართებოდა: მეხსიერება დაუჩლუნგდა და საქონელსა და ძაღლებს ვეღარ არჩევდა ერთმანეთში. ტყის ჩამოვლასაც თავი მიანება. ხანდახან ყელში რაღაც მოაწვებოდა და ახრჩობდა: თავის ტკივილს სჩიოდა, გოგია ელანდებოდა და მასთან ლაპარაკს აბამდა ხოლმე:

— ბიჯო, გოგიავ აქამდე სად იყ ვი, ბიჭო? რატომ შენი ამბავი არ შემატყობინე?

ზოგჯერ გოგიას ძველ ტანისამოსს, ქუდსა და ფეხსაცმელს ბალახით გასტენავდა, იმ ტიკინას იქ მიაწვენდა, სადაც უწინ გოგია იწვა და სიბნელეში გაუგებარსა და არეულდარეულს ეჩურჩულებოდა. ბოლოს ნიკამ ეს ტანისამოსი გადამალა და მამას ეს ლანდიც გაუფანტა.

ტყის კაცი მუშაობასაც გადაეჩვია. ბარზე ან თოხზე დაეყრდნობოდა და იქამდე ჩასცქეროდა ერთ წერტილს, სანამ ვინმე არ გამოაფხიზლებდა. აღარც პირსახეს იბანდა, არც თმასა და წვერ-ულვაშს ივარცხნიდა და უწინდელ ულუფის ნახევარსაც კი აღარა სჭამდა.

ერთხელ თავის მოზვერს ამღვრეული თვალებით ჩაცქე-როდა და მერე ამოღებული ხანჯლით გაექანა მისკენ.

— მამა, რას შვრები?.. რა მოგდის, რა გემართება? — მიაძახა ნიკამ, რომელიც ამ დროს ჩრდილში იწვა და პავლეს თვალს ადევნებდა.

მოზვერი გაექცა. პავლემ რომ ნიკას ხმა გაიგო, შესდგა, თვალები მოიფშვნიტა და, შერცხვენილი, ბუტბუტით გაბრუნდა.

— დასწყევლა ღმერთმა, ეს რა მემართება?

მეორეჯერ ტყის კაცმა თავის მოჯამაგირეს დაჰკრა ჯერ დიდხანს უთვალთვალა, მერმე ქურდულად მიეპარა და ორივე ხელით კისერში ეცა, თან ღმუოდა და ხრიალებდა.

ნიკამ დათა ძლივს გააგდებინა. იმ დღიდან დათო პავლეს თავის ზურგს აღარ უჩვენებდა, მუდმივ თვალყურს ადევნებდა და იფნიანიდან თავის გარიდებას ჰფიქრობდა.

VIII.

ერთ ღამეს ნიკა ძალიან ცუდად გახდა. ბევრი სისხლი წამოანთხია და მეტისმეტად მისუსტდა. ხელს ვეღარ ანძრევდა, თვალები ჩაუშავდა, ჩაუცვივდა, ცხვირი დაუწვრილდა, ყბებიც ჩაუვარდა და ენაც დაება.

თვალამღვრეული და აშლილი პავლე ოთახში მგელივით ტრიალებდა, ბოძს თავს ახლიდა, წამდაუწუმ ნიკას მიუჯდებოდა, ანჯღრევდა და ეკითხებოდა:

— ბიჭო, ნიკა, რა მოგდის?.. ბიჭო, ერთი ხმა გამე რაღა!.. ნიკა!.. ნიკაჯან!..

ბნელი, თბილი და წყნარი ღამე იყო. ტყე ოდნავ ფუსფუსებდა. შორს ხევში ჭოტი გაჰკიოდა, დაბლა კიბის ქვეშ დათვები ჰბურტყუნებდნენ და ძაღლები იღრინებოდნენ.

ერთი ოლოლი მეორეს გადასძახოდა:

— იპოვე-ე-ე-?

მეორე შორით უპასუხებდა:

— ვერა, ვერა-ა-ა.

პავლე სულგანაბული უგდებდა ყურს ტყის ხმაურობას, ფრინველთა კივილს, ძაღლების ღრენას, დათვების ბურტყუნს, და უცებ მას იმ ხმაურობაში უცბად რაღაც ნაცნობი,

მშობლიური, სანატრელი ხმა მოეჩვენა და მოელანდა. წა-მოჯდა და სმენად გადაიქცა. მერმე ფეხაკრეფით გავიდა. ამ დროს იქვე სახლის ჭერზე მიკიოტმა საზარლად დაიყივლა.

პავლე შეჰკრთა, აჟრჟოლდა, კარებს ეცა.

მიკიოტის ყივილზე ძაღლებმა ყმუილი ასტეხეს, დათ-ვებმა ხმა გაჰკმინდეს. დათა ბუტბუტით გავარდა გარეთ:

— აი ამოსწყვიტოს ღმერთმა შენი ჯიში!.. შენი თავი ამერ ჭამე, შენი!

ტყისკენ ფეხაკრეფით მიმავალი პავლე რომ დაინახა, გა-მოუდგა, ხელში ხელი წაავლო და ჰკითხა:

— სად მიხვალ, პავლე?

ტყის კაცმა დათას არც კი შეხედა. ხელი გაითავისუფ-ლა და ტყეში შეერია, თან ჰბურტყუნებდა:

— დაიცა... დამაცა... მოვალ, ეხლავე მოვალ...

ხუთიოდე წუთის შემდეგ ხევში პავლეს მძლავრი და ჩახლეჩილი ღმუილი გაისმა:

— ბიჭო, გოგია-ა! ბიჭო, გოგია-ა-ა!

ძმის ხმა ნიკას ყურში ჩასწვდა. თვალები გაახილა, წა-მოიწია და სმენად გადაიქცა. ხევიდან ისევ მოისმა ღმუილი:

— ბიჭო, გოგია-ა! ბიჭო, ნიკა-ა!

მიკიოტმა ერთხელ კიდევ დაიყივლა და გაფრინდა. ძაღ-ლებმა ისევ ყმუილი გააბეს — ხანგრძლივი და შესაზარი.

დათა დაფრთხა, შეშინდა ისევ, კიბეზე ავარდა:

— ნიკა!.. ნიკაჯან!..

პასუხი რომ არ მიიღო, დაიხარა, ჩააცქერდა, მთრთოლ-ვარე ხელი შუბლზე დაადო და თავზარი დაეცა:

ნიკა უკვე ცივდებოდა.

დაფეთებული დათა ისევ გამოვარდა, ხარხარით დაეშვა კიბეზე და ხეების ჩრდილში შეერია.

პავლეს ღმუილი და ბურტყუნი ახლოვდებოდა. ბოლოს მისი ქშენაც მოისმა.

თავზარდაცემული დათა მოსხლტა და ცაცხვებისკენ გა-იქცა, თან ბალახ-ბულახი აიშრიალა და ბუჩქებში ლაწალუ-წი ასტეხა.

კუდამოძუებული, თავჩაღუნული ძაღლებიც უკან დაე-დევნენ.

თვალამღვრეული, თმაგაწეწილი, წვერაშლილი პავლე ნიკას თავთ ადგა, ძაგძაგებდა და ჩურჩულებდა:

— გძინავს, ბიჭო?.. გძინავს თუ?.. ბიჭო, ნიკა! ერთი ხმა გამეც, ნიკა!..

მერე მუხების ქვეშ დამალულ დათას მომაკვდავი ნადირის ხანგრძლივი, უიმედო და სასოწარკვეთილი ღმუილი მოესმა და იმ ღმუილს თან მოჰყვა იმავე ნადირის კვნესა, ბურტყუნი, ხრიალი და ყმუილი.

უცებ სიბნელეში ალის ენა ავარდა, — ჯერ ერთი, მერმე ორი და ათი. ის ალი სწრაფად გაიზარდა, გაიშალა და მთელს სახლს მოედო.

ძაღლებმა კვლავ ყმუილი ასტეხეს! გომურიდან საქონლის საცოდავი ბღავილი და დათვების ბღუილი მოისმოდა.

ცამდე ავარდნილი ალი იმ ტაფობს და ტყის პირს დღესავით ანათებდა. ხმელ სახლს ჭახჭახი, ჭრიჭინი, ლაწალუწი და ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა.

უქუდო და გაწეწილი პავლე სახლის გარშემო დარბოდა, გრძელ ხელებს იქნევდა, მუხლებზე იცემდა და ჰყვიროდა:

— ბიჭო, გოგიავ! ბიჭო ნიკა-ა-ავ! მიშველეთ, ბიჭებო! სადა ხართ, შვილებო-ო-ო!

დათა ტყე-ტყე მიეპარა გომურს და, როცა პავლე სახლს მიეფარა, გომურის კარს ეცა და დროზე გააღო. საქონელი გამოცვივდა და, კუდაყრილი, ბღავილით გაიფანტა ტყეში. დათვებმაც თავს უშველეს და ბნელ ხევში გადაცვივდნენ.

დათაც ტყეს შეერია და, ქუდმოგლეჯილი, სოფლისკენ დაეშვა. დაგეშილმა ბოღრიამ და ყურშამ დაფანტულ საქონელს თავი მოუყარეს და ერთგული პატრონივით დაუდგნენ დარაჯად.

IX

პავლე მეორე დღეს სოფელში ჩაიყვანეს.

დადის მას აქეთ კარდაკარ, ჭალებში, ვენახებში, ხევხევში, — დაგლეჯილ-დაფლეთილი, გაბურძგვნილი, ფეხშიშველი, უქუდო და ჭუჭყისგან შეჭმული; დადის და, ვისაც დაინახავს, ზედ მივარდება და ჩახლეჩილი ხმით მიაძახებს:

— ჩემი ბიჭები ხომ არ გინახავს?

ზოგი მარცხნივ მიუთითებბს, ზოგი — მარჯვნივ.

ტყის კაციც ხან აქეთ გარბის, ხან იქით, და დღე-ღამით თავის შვილებს დაეძებს.

ზოგჯერ ღამის მეხრეებს ფეხაკრეფით წაადგება, ან დაგვიანებულ მგზავრს გზას გადაუღობავს, ან ვინმე გლეხს ეზოში მიუვარდება, ლანდივით თვალწინ აეტუზება და პირში მიახლის:

— ჩემი ბიჭები ხომ არ გინახავს?

ხოლო ზოგჯერ, როცა დაღამდება და ყველაფერი ძილში შევა, ხან გაღმა ჭალიდან, ხან ჭილაანთ ხევიდან, ან რომელიმე ვენახიდან სოფელს მგლის ღმუილივით მოსწვდება ხოლმე პავლეს უიმედო, სასოწარკვეთილი და სევდიანი მოწოდება:

— ბიჭო, ნიკა-ა-ა! ბიჭო, გოგია-ა-!

1923 წ.

[illegible] და [illegible]

I

ღმერთსაც და კაცსაც დაუწყევლიათ ურმიის უცნაური ტბა.

სქელი და მლაშე წყალი არც თევზს აცხოვრებს, არც ადამიანს იზიდავს. მისი ნოყიერი ნაპირები, ალაგ-ალაგ გაპარსული, ხრიოკი და უდაბური, სამხრეთის ფერთა თამაშის გამო მუდამ თვალს სჭრიან ადამიანს: ზაგროსის და საჰენდის მთების შიშველი სარტყელი, შუაში ასვეტილი კუნძულები — შაჰ დაღი, გუნდაგი და უამრავი მცირე კუნძულაკები. — დილითდილამდე ათჯერ იცვლიან ჭრელ სამოსელს: მუქი და თალხი ფერები, ლილა და ლურჯი, ლაჟვარდი და ფირუზი, ჩალა და ფორთოხალი, შინდი და ბროწეული, რუხი და მიხაკი, ვარდი და სპილენძი — ყველა ფერი ასნაირად ეზავება ერთმანეთს და დღეში ათჯერ მაინც იცვლის იერს და ხაზებს.

თოთხმეტ მდინარეს ისრუტავს მეწამული ზღვის ღვიძლი ძმა — მკვდარი ურმია, მაგრამ შენავალს ვერ ინელებს. დროგამოშვებით ზღაპრული ბაყაყით გაიბერება, მოწამლულ წყალს უკანვე გადმოანთხევს, სოფლებს წალეკავს და ბაღ-ვენახებს მყრალ ჰაობად გადააქცევს. ზოგჯერ მისი შხამიანი დორბლი ისე შორს წამოვა, რომ ნაპირებიდან მოყოლებული მეათე სოფელსაც კი შეაფურთხებს ხოლმე.

იცნობს ხალხი ამ ჭრელს, ლამაზსა და გესლიან გომბეშოს, იცნობს და მის მეზობლობას ერიდება. ამ ტბის სეხნია ქალაქი ურმიაც შეშინდა ტბის ორგულობით და ნახევარი დღის სავალით მოსწყდა დახაშმულ მოძმეს.

ამ მზაკვრულ ტბას პტოლომეი „მატხანუს ლაკუსს" უწოდებდა. სტრაბონი — „სპაუტას", სომხები — „ძოვ კაპუტს" (ლაჟვარდ ტბას), სპარსნი „შახუშს" ეძახიან, ხოლო დანარჩენნი — ურმიას ან ქებუდს.

ვერც ურმიის მიდამოებმა შეინარჩუნეს ერთი მარადიული სახელი. ვისის, რამინისა და ზარატუშტრას სამშობლო ათ-

ჯერ მაინც იყო მონათლული: მიდია, ასურეთი, პართია, ადარ-ბადაგანი, ადარბაგანი, აზერბაიჯანი, ადერბაიჯანი და კიდევ რამდენიმე სახელი ჰქონდა — დღეს უკვე დაკარგული და მი-ვიწყებული.

ოდესღაც, ოთხიოდე ათასი წლის წინათ, ამ ტბის ნაპირებ-ზე „ბებერმა აქლემმა" ზარატუშტრამ ბეხმარის საღმრთო ცეცხლები დაანთო. მერმე მისი წმინდა სჯული „ზენდავესტა" ბონბეის და ქირმანის მიდამოებში გადავიდა და ერთი მუჭა პარსების სულში დადნა, აქ კი, ბებერი აქლემის სამშობლო-ში, ავესტას მორწმუნე სანთლით საძებნელი გახდა.

ოღონდაც, რომ აქაც არა არის წინასწარმეტყველი ქვეყა-ნასა თვისსა შინა!

იყო დრო, ოდეს ურმიის მიდამოებს მიდიელების განთქმუ-ლი რაშები, აშურბანიპალის ლომკაცები, პერსიდელები, პარ-თიელები და გირკანელები სთელავდნენ.

ახემენიდები რომ მოდიოდნენ, მიდიელების ისარს კვლავ ძველი შემაძრწუნებელი სახელი ჰქონდა შერჩენილი. ხოლო ავესტას ქუხილი კიდით კიდემდე ისმოდა! მაგრამ რაც მიდიელ-თა რაშებს და მშვილდ-ისარს ვერ დააკლეს ასურელებმა, იგი პერსიდელებმა და გირკანელებმა ადვილად შეუსრულეს. ბა-რის განათლებამ და ფუფუნების ბანგმა ნებიერობის ძორხე-ბით მოდუნებული მიდია შუაზე გახლიჩა: სამხრეთით ეკბატა-ნა დაარსდა, ხოლო ჩრდილოეთით ატროპატენა და მისი დე-დაქალაქი ფრაასპი, ანუ ვერა (ნეტა საიდან მოდის ჩვენი უბა-ნი ვერა: მიდიიდან, ესპანეთიდან თუ ვეროს ხევიდან!).

ბედი-მდევარი უკვე სთვლიდა მიდიელთა დღეებს. ასუ-რელმა სალმანასარმა სასიკვდილო მახვილი დასცა მას. მო-ჰაკვდავმა ერთხელ კიდევ წამოიწია: ბაბილონს ხელი მისცა და ორივემ ჯვარზე ასწიეს მძლეთა მძლე ასურეთი. იმ დღი-დან ვერც ერთი ველარ წამოდგა. მიდია ბრძოლაში გატეხილ ოქროს თასივით გადადიოდა ხელით-ხელში: ალექსანდრე მა-კედონელი, მისი მემკვიდრე პარმენიონი და პიფონი, სელევ-კიდები, სირიელნი, ანტიოხი და მიტრიდატი — ყველამ გას-თელა და გასწიწკნა წაქცეული რაინდი და მის უზარმაზარ საფლავს თითო მუჭა მიწა მიაყარა. მერმე იმ საფლავს ირანი და ოსმალეთი დაასხდნენ და მისი სამარის წარწერაც კი წა-შალეს.

მისი სახელი და მიმქრალი დიდება ქურთებმა დაიჩემეს, მაგრამ დღევანდელი მწიგნობრები ამ მემკვიდრეს უბრალო სახელსაც კი არ უმტკიცებენ.

კათოლიკე მისიონერმა დეკრომ მიამბო: როდესაც ურიათა მეფის იესოს დაბადების ამბავმა ურმიის ტბას მოაღწია, აქედან სამი პართიელი მოგვი წავიდა იესოს თაყვანისცემისათვის. მეოთხე — მიდიელი ართაბანი — უკან ჩამორჩა. ამბობენ, ის მოგვი იერუსალემს სწორედ იმ დღეს ჩავიდა, როცა ქრისტე უკვე ჯვარზე ასწიესო. სხვები კი იტყვიან: ართაბანი სულაც ვერ ჩავიდა და გზაში დაიკარგაო, და ამ ლეგენდას ასე ამთავრებენ ხოლმე: „დაკარგული მოგვი უკანასკნელი მიდიელი იყოო".

ასე იყო ოდესღაც, ხოლო ათიოდე წლის წინათ, როცა დიდი ომის ტალღამ ურმიის ქალაქში გამიტანა, არც ტბის მიდამოებსა და აღარც ქალაქში შორეულის ნატერფალიც კი აღარ დარჩენილიყო, არც ბებერი აქლემის ზენდავესტა და აღარც მიდიელთა თესლი, არც გირკანელნი და აღარც მაკედონელნი.

ჯმუხე სამხრელთა მაგივრად მიდიელთა სასაფლაოზე გოგი და მაგოგი მოსულიყვნენ, ხოლო ბებერი აქლემის ავესტას გვამზე მაჰმადის ყურანი და „ისსას" სახარება გადაეშალნათ.

საარაკო რაშებზე მიდიელთა აჩრდილები შესხდნენ და უკუნეთს გადაიკარგნენ, ხოლო მათ ნაცვლად ურმიის ტბას დონის ცხენები და ტამბოველი ჩექმები დასტრიალებდნენ. და იმ ჩექმებს, ნებსით და უნებლიეთ, ჩანჩალით მისდევდნენ აშურბანიპალის, ტიგრან დიდისა და ვახტან გორგასლანის მემკვიდრენი.

და გოგსა და მაგოგს, პაიკანელებს და ქარდუელებს, დონის ცხენებსა და ტამბოვურ ჩექმებს, ქეთევან წამებულის სოფელს და თამარ მეფის მწვერვალს*. ხანტახტის კლდიდან გადმოვირევებით დასცქერიან ქვის ფიცარზე გამოჭრილი მაკედონელის ლეგიონერები, მათი ფრაკიელები ბუცეფალები და სამი გადარჩენილი ბერძნული ასო, „ა....ოს" — ალექსანდროს.

დანარჩენი ასოები კი ან ჟამმა შესჭამა, ან სპარსელებმა ჩამოათალეს.

---

* სოფლისა და მთის სახელებია. ურმიის ტბის მახლობლად შერჩენია.

ასიოდე წლის წინათ იმ კლდეზე ჯერ კიდევ იწოდა თურმე შვიდიოდე სიტყვა.

„მე ალექსანდროს... ყოველივე აქაური ემორჩილების ნებასა ჩემსა“.

ახლა კი იმ კლდის მკერდიდან ის სამი ასო ისე მოისმის, როგორც წყალწაღებულის უიმედო ძახილი:

— ააა....ო-ო-ო-ო-ოს!

II

მატარებელი ტბის ნაპირს მიადგა. მე ერთი ვაგონიდან გადმოვედი, ხოლო მეორედან დიდი ამალით და ფახით ურმიის ახლად დანიშნული გენერალ-გუბერნატორი — ვალი ითიმად უდ დოულე გადმოვიდა. თურმე თავრიზიდან მოდიოდა და ღამით სოფიიანში ჩვენს მატარებელში გადმოსულიყო. მას ამალის გარდა საკუთარი ჰარამხანაც მოსდევდა და შავ ჩადრებში გახვეული ათიოდე დედაკაცი და ერთი ცალრეჯილი საჭურისი.

რუსების მიერ გაყვანილი რკინის გზა ურმიის ტბას ებჯინებოდა. შერიფხანე ახალი ქალაქი და ახალი ნავთსადგური იყო, ისიც რუსებისაგან ორიოდე წელიწადში გაშენებული. ირგვლივ ერთმანეთს აწვებოდნენ ხისა და თიხის ახალი სახლები, ტილოსი და ნაბდის კარვები, სანოვაგისა და ხე-ტყის გორები, გაუთავებელი საწყობები, უკვე წყალში ჩაშვებული და დაუმთავრებელი ნავხომალდები. კომენდანტურა, წითელი ჯვარი, ქალაქთა და ერთობათა კავშირები. სალდათები. მეზღვარები, მუშები და რიცხვით ყველაზე მეტი მოხელენი.

ერთი საათის შემდეგ ზღვის საყვირმა იქაურობა შეარყია. მე პატარა გემზე ავედი ცოტა ხნის შემდეგ უკანვე მიმავალმა მატარებელმა დგრიალით გაგვიარა გვერდით. გემმაც სამჯერ დაიბღავლა, მერმე გმინვით, ოხვრით და ჭრაჭუნით მოსწყდა ფიცრულ ნაპირს და მუქი ლაჟვარდი წყალი თეთრად ააქაფა.

გადამწვარ მინდორზე გრძელი მატარებელი წითელი ვეელივით მიიკლაკნება. ნაპირისკენ მეორე გველი მოხოხავს. — ისიც გრძელი და ყვითელი, — ასიოდე აქლემის ქარავანი, — უდაბნოს გემი, დინჯი, ნელი და ბებერი.

მერმე ვნახე და გავიგე, რომ რუსებს გამოუცდელობით ათი ათასობით დაუხოცავთ უდაბნოს ძალლიანი პირუტყვი: აქლემების ქარავანს თურმე სიცხეში ატარებდნენ და სიგრილეში ასვენებდნენ, ხოლო სამხრეთის სიცხეში აქლემს დღისით ასვენებენ და ღამით ამუშავებენ.

სუფთა ჰაერი დონის ნაპირისა და ბაქოს ნავთის ბოლით მოიქარგა. ერთმანეთში არეული რუსულ-სპარსული სოფელი და სამხედრო ბანაკი შეირიფხანე ნელ-ნელა გვშორდებოდა. გემს თეთრი ფრინველი დაესია.

უცებ უზარმაზარ ფრინველს გავაყოლე თვალი. დაბლა მიფრინავდა. ჰაერში ლარივით გაჭიმულიყო. ორი ადლის სიგრძე იქნებოდა მკერდი თეთრი, ხოლო ფრთები წითელი და შავი, ფეხები და ყელი — მეტად წვრილი და გრძელი. უცხო ფრინველი ისარივით წავიდა შაჰდაგის კუნძულისკენ.

— ფლამინგო. — მომესმა უკნიდან.

მივიხედე ჩემს წინაშე მოღიმარე ითიმად უდ დოულე იდგა.

— ბოდიშს ვიხდი, მესსიე. პარლე ვუ ფრანსე? — მკითხა.

— დიახ, მესსიე ვალი, ფრანგული ვიცი. — ვუპასუხე.

— ბედნიერი ვარ, დიდად ბედნიერი. გთხოვთ გამიცნოთ. მე ურმიის ვალი ითიმად უდ დოულე გახლავართ, თქვენ კი მგონი ექიმი უნდა ბრძანდებოდეთ, არა?

— დიახ, ექსელანს, ექიმი გახლავართ.

ხელი ჩამოვართვი და ჩემი გვარიც მოვახსენე.

— ექიმი, ისიც ქართველი! ჟეორჟიენ?

ითიმად უდ დოულეს სიხარულმა არ გამაკვირვა. ადრევაც ვიცოდი, რომ იმ დროს სპარსელები ქართველებს „ყარდაშ-იოლდაშებად“ სთვლიდნენ. მაგრამ თურმე წეღანდელი მისი გაბლენძილი იერი და რუსის გენერლის საბეჭურებით გაამპარტავნებული გამომეტყველება ჩემმა საექიმო ნიშანმა ჩამორეცხა. ვალიმ ფლამინგოს თითი გააყოლა და მითხრა.

— საუცხოვო ფრინველია, ნეს პა?

— დიახ, ექსელანს, იშვიათი ფრინველია.

— მხოლოდ წინა აზიაში გადარჩა. ასობით და ათასობით ცხოვრობენ ერთად. როგორც ეტყობა, ეს ფრინველი დანარჩენებს ჩამორჩენილა და ეხლა... მაგრამ ჯერ ერთი რამ უნდა გთხოვოთ. ვუ სავე, მესსიე დოქტორ, ძალიან ცუდად გავხდი.

იქნება მომშველოთ რამე, ზღვაზე პირველად ვარ და გული მერევა.

— კეთილი, ექსელანს. წამობრძანდით.

ჩემმა მხლებლებმა მოხევემ ბექაურმა უწვნო სადილი გაგვიშალა: ხიზილალა, დოში, ორაგული, ზურგიელი, მოხრაკული ინდაური, მოხარშული ქათამი, ხილი, კახური ღვინო და სარაჯიშვილის სამვარსკვლავიანი კონიაკი. კუჭის გავსება ერთადერთი წამალი იყო ითიმა დუდ დოულესთვის, რომელსაც კონიაკი დავუსხი და მივაწოდე.

— ციებ-ცხელება მჭირს, ბატონო ექიმო. — თავი იმართლა ვალიმ, როცა კონიაკი დაინახა.

— წამალიც ეს არის. მიირთვით, ექსელანს.

— ვსვამ, როგორც წამალს, თორემ... ა ვოტრ სანტე, მესიე ლე დოქტორ, ალაჰმა დღეგრძელობა და სულიერი მშვიდობა მოგცეს.

ციების გახსენებამ და კონიაკის გემომ მართლმორწმუნე მუსულმანს მაშინვე დაუმშვიდეს სინდისი და ყურანიც დაავიწყებინეს.

ნახევარი საათის შემდეგ ითიმად უდ დოულე პირნათლად ასრულებდა სპარსულ ზრდილობას: მადლობის და კმაყოფილების ნიშნად ორივე ხელს მუცელზე ისვამდა და გულიანად აბოყინებდა.

ასე შეათავსა დღევანდელმა ირანელმა ფრანგული ზრდილობა და სპარსული ჩვეულება. კახურმა და კონიაკმა ჩემს „კამარადს“ პირი გაუხსნა და აალუღლუღდა:

— თუ სავე, მონ ამი. — იცით, მეგობარო, რა დღე დააყარეს საწყალ სპარსეთს ურუსმა და ინგლისმა? ბულდოგი და დათვი ჩვენს კისერზე მორიგდნენ. ჩვენ არ გვინდოდა ამ ომში ჩავრეულიყავით, მაგრამ ვინ გეკითხება! ომი ჩვენს ქვეყანაში გადმოიტანეს, ჯარი შემოიყვანეს და აგვიკლეს. ოკუპაცია გამოაცხადეს, სამ აბაზიან იონჯას სამ შაურად გვართმევენ, ორმანეთიან ქერში ორ აბაზს გვითვლიან.

— სამაგიეროდ, სპარსეთი ფულით გაივსო. — ნუგეში ვეცი მე.

— ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ფულისგან! ურუსის ფული წინანდელის ნახევარიც აღარა ღირს და საცაა სულ და-

ფოლდება. ურუსებს ნავთი, ქსოვილები, შაქარი და მრავალი სხვა საქონელი შემოაქვთ და სპარსულ ყრანებზე ჰყიდიან, თავიანთ ფულს კი თვითონაც აღარ იღებენ. ხალხი ჰგმინავს. ახლა მე ძნელი საქმე დამაკისრეს, ლაშქრის სარდალი ჩერ-ნოზუბოვი ლომია, რომელსაც ალაჰმა მელიის ეშმაკობა მისცა. ურუსები ჩვენს შინაურ საქმეში ერევიან და ანგარიშს აღარ გვიწევენ. ისე მიჰყავთ საქმე, თითქო მოსკოვში არიან. თითქო შაჰინ-შაჰ „ცარის ჩინოვნიკი“ ყოფილიყოს. ვიღუპებით. მძიმე ყოფილა ურუსის ჩექმა, სამაგიეროდ, — ითიმად უდ დოულე გაიბადრა, — ურუსებს ლამაზი ქალები ჰყოლიათ და კონიაკიც საუცხოვო ჰქონიათ, ეხე-ხე!

ჩემი ახალი „იოლდაში“ კარგა ხანს ურევდა ერთმანეთში ბორძიკით და ლუღლუღით მელა ჩერნოზუბოვსა და იონჯას, ყრანებსა და ქერა ქალებს, მოსკოვურ ფარჩასა და შაჰინ-შაჰს, ისმალებსა და ნავთს, საბზა-ქიშმიშსა და რუსულ შაქარს. და ზოგჯერ ამ დომხალს კონიაკსა და წუწუნსაც უმატებდა:

— ვიღუპებით... სპარსეთის ლომი დაბერდა... ურუსი და ენგლიზი საბოლოოდ გაიყოფენ ირანს...

მე უძლეველი მიდია მომაგონდა. მომაგონდა იმ საარაკო ხალხის მომდუნებელი განათლება და ფუფუნება, გამახსენდა მიდიელთა საარაკო რაშები, რომლებსაც ასე უბრალოდ ძლეული რაინდები ძლივს მოასხდნენ და უკუნეთს შთაინთქნენ.

ითიმად უდ დოულემ უმანკო ფშვინვა გააბა.

მოშორებით მისი ამალა საუზმობდა. მაფრაშებისა და სკივრებისაგან აღმართულ ღობის უკან ჩადრებში გახვეულნი ვალის ცოლები, გაბუტული ინდაურებივით ისხდნენ. უზარმაზარად ასვეტილი შაჰდაგის კუნძული ისე დაჰყურებდა ჩვენს ორთქლიან კიდობანს, როგორც ცხრათავიანი სპარსული დევი წყალში ჩავარდნილ კაკლის ნაჭუჭს.

მერმე ითიმად უდ დოულემ ფშვინვის ნაცვლად როყიო ხვრინვა ამოუშვა, მე კი გემის ქიმს გადავეყუდე და თვალი ტივებსა და უცხო სამხრეთ ფრინველებს ავადევნე.

III

მზე მიწურული იყო. დასავლეთით სპარსეთ-ოსმალეთის მოსაზღვრე მთაგრეხილი ლილისა და იის ჩადრით შეიმოსა, ტბა მკრთალი ვარდივით შეწითლდა. აღმოსავლეთით ყოუნდაგი და ორმოციოდე სხვა კუნძული და კუნძულაკი ფირუზის საარაკო მთებს და გორაკებს ჰგავდნენ, მათი მწვერვალები თითქო სისხლით მოერწყოთ და ცეცხლის ღვარებით დაესერიათ.

გულმან ხანეს ნავთსადგური უბეში ჩაეჩარნა თიხის უზარმაზარ კონცხს, რომელიც წყალში ჩაძირულ დევის მუზარადს ჰგავდა.

ნავთსადგური სანაპირო დამხდური ხალხით გავსებულიყო და ერთმანეთში არეულიყვნენ რუსი და სპარსელი მოხელენი: ინტენდანტები, მოიჯარადრენი, ვაჭრები, სალდათები, სეიდები და მოლები, ახალი ვალის დასახვედრად მოსულ დელეგატებს სახელმწიფო და მუსლიმანური დროშები ეჭირათ. მოშორებით ასიოდე სპარსი ყაზახი ჩამწკრივებულიყო. ეტლების კუდი აქლემთა ქარავანში იკარგებოდა.

სანამ ვალი და დამხდურნი ერთმანეთს სალამს აძლევდნენ, მე ჩემი ეტლი ვიპოვე.

— გამარჯობა, აღა! — მომაძახა ქართულად თათარმა მეეტლემ და მუსლიმანურ ადათს უღალატა: შუაზე გადაპარსული თავი მუხლამდე დაღუნა, მხიარულად გაჰკრიჭა კბილები და მოტკლეპილი თავი კიდევ რამდენჯერმე დამიკრა.

— გაგიმარჯოს. შენი სახელი?

— მაშადი ჰასან, აღა.

— ქართული სად ისწავლე?

— მე და შემაჩემი ქალაქში იყავი, ბორჩალოშიც იყავი, იქ ისცავლე ჰასანმა.

— რამდენი წლისა ხარ? — ვკითხე სუფთა თათრულით.

მაშადი სიხარულისგან აილანძა:

— ოცი წლისა, აღა ექიმბაშო.

კითხვა და პასუხი სეტყვასავით დამაყარა. უკვირდა, რომ მე თათრული ვიცოდი, და მას აქეთ ქართული აღარ გაუხსენებია.

მაშადი ჰასანმა ცხენებს სადავეები აუკრიფა და უცებ დაის-ჭყივლა:

— ლამბალო!

— აბა, გასწი, თათარო! — უბრძანა ბექაურმა და დაუმატა:

— აქაც ურჯულოები ყოფილან.

თათარმა მსუბუქი ეტლი მტვრის კორიანტელში გაჰავია. დაოთხებულ ცხენებს შოლტს უტრიალებდა, უცნაურად უსტვენდა და გაჰკიოდა:

— ჰეი, ჰეიი! ხაბარდა-ა-ა! ლამბალო.

ვინმე საწყალ მგზავრს კოფოდან შოლტს გადაუქნევდა და მიაძახებდა: — იოლ ვერ, გზა მომეცი, ლამბალო!

— მაშადი ჰასან, ნუ ჩქარობ, არავინ გაჰყლიტო.

მაშადი არ მეთანხმება: ახალ გუბერნატორს უნდა დავასწროთ, თორემ დაგვეწევიან და მტვრით დაგვახრჩობენ. მაშადის არ უნდა, რომ მის ალას ვინმემ გაუსწროს, თუნდ ოთიბად უდ დოულემაც. მე ახალი კაცი ვარ ურმიაში და აქაური ჩვეულებისა არაფერი მესმის, მაშადი კი აქაურია და კარგად იცის აქაური წესრიგიც და ადათიც, ამიტომ მე ისღა დამრჩენია, რომ ჩემი ნებისყოფა მაშადი ჰასანს დავუმორჩილო და [illegible]მა-სავით მივყვე.

მაგრამ ერთ რამეში მაინც ჩემი გავიტანე: ცხენებმა სარბილს დაუკლეს, სამაგიეროდ მაშადიმ კბილთა ღრჭენას და მხიარულ ლაყბობას უმატა. გაბადრული პირისახე უფრო ხშირად ჩემსკენ აქვს მობრუნებული, ვიდრე ცხენებისკენ. და ნაკუწ-ნაკუწ მიამბობს თავის ვინაობას.

მაშადი იმიტომ დაარქვეს, რომ ბავშვობაში მისმა მამამ წმინდა ქალაქ მეშხეთში წაიყვანა. თვითონ მაშადი ჰასანი მეეტლე კი არ არის, მებაღეა, ჩვენი მებაღე. წითელ ჯვარის ურმიის მახლობლად სოფელ ასკერაბადში იჯარით ბაღი და ბოსტანი აქვს აღებული. მაშადი ჰასანიც იმ სოფლელია, თვითონაც იქვე აქვს სახლ-კარი და ბაღი. მაშადი ჰასანი და [illegible]მა მაშადი იზათი ორივე მამულს უვლიან. გარდა ამისა, მაშადი იზათს კიდევ რამდენიმე ხელობა აქვს: [illegible], ურმები გაჰყავს, ჭებსა და „ილანებს“ იჭერს.

— ილანებს, — გველებს?

— ბალი აღა, გველებსაც იჭერს. თუ ვინმეს ბაღში ან

სახლში ბევრი მცურავი შეეჩვია, მამაჩემი შეულოცავს და გველებს იმ ალაგიდან განდევნის, და თუ იშვიათი მცურავი შეხვდა, დაიჭერს და გაჰყიდის.

ჰასანის მამა მაშადი იზათი ერთ დროს შეძლებული კაცი იყო, მაგრამ გაღარიბდა. მას შემდეგ ჰასანსა და იზათს ყველაფერი გამოუდით ხელიდან. ერთ დროს ქალაქ „თიფლისშიც“ იყვნენ. საუცხოვო ქალაქია, „ლამბალო“ ქალაქია! ჩოხ იახში ქალაქია! მაშადი ჰასანი ტფილისში ხან მღებავი იყო, ხან ქიშმიშ-ლაბლაბოს ჰყიდდა, ხან „ბატიბუტი“ დაჰქონდა და კალატოზობაც ისწავლა. ერთი „გურჯი იოლდაში“ ჰყავდა — ნიკო თოხლიშვილი ნიკოს არ ვიცნობ? მაშ კუკიის საუქეთესო მოჭიდავეს და მოკრივეს ნიკო თოხლიშვილს არ ვიცნობ! კუკიელია, ხარაზია, ისეთი ბიჭია, რომ... ნამდვილი „ლამბალოა“, ნამდვილი! ჰაი გიდი, რა „იგითი“, — რა ვმირი ხალხია გურჯი!

— ლამბალო ხალხია, ლამბალო!

— მაშადი ჰასან, რას ნიშნავს თქვენებურად ლამბალო?

მაშადი ჰასანის ხარხარმა ზარივით დაიწკრიალა. „ლამბალო“ ჰასანის მიერ მოგონილი სიტყვაა. სხვამ არავინ არ იცის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა, თუმცა ურმიაში უკვე ბევრნი ხმარობენ მას. მაშ რას ნიშნავს ეს სიტყვა? ყოჩაღს, შაირიანს, კოხტას.

— მერმე, საიდან მოიგონე ეს სიტყვა?

ჰასანმა ბავშვივით გაიღიმა.

— ერთხელ მამაჩემს [illegible] ჰქონდა...

მე სიტყვა გავაწყვეტინე:

— დაიცა, ბოსტანი სოფელ ლამბალოში? [illegible] ქალამა, სუმბათაშვილის მამულში არა?

— ბალი აღა, ბალი. — გაეხარდა ჰასანს. — ტკბილი სიტყვაა — შაქარ სიოზედი, შაქარ! გულში ჩამრჩა, ენაზე მომეკერდა და აღარ მომეშვა. — აბა ყური მათხოვეთ:

და მკვეთრად წამოიძახა:

— ლა-ამბა-ალო-ო-ო-ო...

მერმე წვრილი, მძლავრი და სუფთა ხმით ერთ კილოზე გააბა ოპერის მომღერალივით:

— ლა-ამბა-ალო-ო-ო-ო...

ჰასანის სმენამ და იშვიათმა ხმამ გამაცოცხლა.

— მაშადი ჰასან, აბა ერთხელ კიდევ დასძახე ეგ სიტყვა.

და მაშადი ჰასანის ვერცხლის ხმამ ერთხელ კიდევ შეაჟღრიალა ჰაერი:

— ლა-ამბა-ალო-ო-ო-ო...

და ისე დაუმდაბლა თანდათან, რომ ვერც კი გავიგე, როდის შესწყდა ზარი. ასეთი სუფთა ტენორი, ასეთი წრფელი კილო, ამგვარი მძლავრი ხმა და იშვიათი პიანო აქ, მივარდნილ უდაბნოში, ქურთისტანის სამზღვარზე, მიყრუებულ აზერბაიჯანში?!

— ერთხელ თიფლისში ყურძენს ვყიდდი, — მომიბრუნდა ჰასანი.

— დავდიოდი და ვიძახოდი „ვი-ინოგრა-ა-ად!“ ერთს რომ დავიძახებდი, მთელი ქუჩა ფანჯრებს გააღებდა ხოლმე. ყველანი ჩემგან ყიდულობდნენ. ჩემს უბანში ვეღარავინ ვაჭრობდა. მალე გავმდიდრდებოდი, მაგრამ კინტოები შურით დაიხოცნენ. ბნელ ქუჩაში მომეპარნენ და ბებუთი დამცეს. კინაღამ მოვკვდი. თავი დავანებე და წამოვედი.

უცებ უკანიდან კიჟინი და თქარათქური მომესმა. მივიხედე. ჩაფრები ოფლში გავლებულ ცხენებს მოაჭენებდნენ და ჰყივილით ემუქრებოდნენ ჰასანს:

— იოლ ვერ, იოლ ვერ! — გზა! გზა, ქოფა-ოღლი, ჯორემ... და მათრახების ქნევით ჰასანზე მოდიოდნენ. მე ბრაზი მომივიდა და უმალვე ნაგანი შევაპრიალე ჰაერში:

— ხელი არ ახლოთ, თორემ...

ბექაურმა თოფი მოიმარჯვა და მოხევურ კილოზე შეუტია.

— ახლავე მაგკლავ, ურჯულოვ!

გულგახეთქილმა ჩაფრებმა ნაძალადევად გამიღიმეს და ცხენები უკანა ფეხებში მოდრიკეს. მერმე რუსული სამხედრო სალამი მომცეს და წინ მომავალ თათრებს დაედევნენ. გაფეთებული თათრები ვირებიდან გადმოცვივდნენ, სახედრებს თავი მიანებეს, ქუდები მოიშვლიპეს და გზიდან პანტაპურით გადაცვივდნენ შამბიან ჭაობში.

იმავე წუთს გვერდით გრიგალმა გაშრიალა. მე და [illegible]მად უდ დოუდგმ ერთმანეთს ძლივს მოვკარით თვალი, გალენძილი და მრისხანე სპარსელი ისე გაჭიმულიყო ეტლში, თითქო იმ ქვეყნის ბატონ-პატრონი გენერალი ჩერნოზუბოვი კი არ ყოფილიყო, არამედ შაჰინშაჰის მიერ წამოგზავნილი ვა-

ლი ითიმადი. ჩემს ხელში რევოლვერს მოჰკრა თვალი და ოდნავ შეკრთა. მის გაქანებულ ეტლს დგრიალით და კიჟინით ორმოცოდე ეტლი და ორიოდე ასეული იასაული, სარბაზი, ჩაფარი და სპარსელი ყაზახი მოსდევდა. ისეთი კორიანტელი დააყენეს, რომ კარგა ხანს მაშადი ჰასანის ზურგსაც ძლივსღა ვარჩევდი.

როდესაც თქარათქური მისწყდა და მტვერიც გაიბნა, ჰასანმა შეშინებული თვალები შემომანათა, გაპარსული თავი გააქნია და სთქვა:

— ალა, ცუდად არის ჩემი საქმე.

— რა ამბავია, ჰასან? რამ შეგაშინა?

— ვალი არ მაპატიებს. გზა ვერ მივეცი. ტყუილად ამოიღე ეგ რევოლვერი. ვალაჰ, ისევ ის სჯობდა, რომ ჩემთვის რამდენიმე მათრახი დაეკრათ.

— ნუ შეშინდი, მაშადი ჰასან. — ვალი ხელსაც ვერ გახლებს, თუ დაგიპირა რამე, შემატყობინე. ვალი ჩემი „ოლდაშია".

ვამშვიდე, მაგრამ ვერ დავამშვიდე. ვეღარც „ვინაგრადი" ვათქმევინე და ვეღარც „ლამბალო" ვამღერე. დაღონდა და ცხენებს სადავე მოსწია. ეხლა მე ვაჩქარებდი. ჰასანი კი თითქო განგებ იგვიანებდა.

ერთ სოფელში შევედით. გზა დიდ მანძილზე სისხლით იყო მორწყული. ვალის პატივსაცემად იქაური ხელისუფალნი ითიმადის ფეხთა წინაშე შუა გზაზე ცხვრებს ჰკლავდნენ და დახოცილ საქონელს გზის ერთ ნაპირზე ჰყრიდნენ, ხოლო თავებს — მეორეზე. გზა და მოედანი მორჩილი გლეხებით და ვალის ამალით იყო სავსე. ითიმად უდ დოულე მედიდურად ებაასებოდა სოფლის ქეთხუდებსა და გლეხებს. მაშადი ჰასანმა ცხენები შეაყენა.

— ჰასან, მეჩქარება ვარეკე!

ჰასანმა თვალებით მთხოვა შებრალება.

— გარეკე-მეთქი!

— ალა, ვალის რისხვას ვერსად წაუვალ.

— შენ გარეკე, დანარჩენი მე ვიცი.

მაშადი ჰასანი ერთხელ კიდევ შეიშმუშნა, მერმე ხანტად მოსწია სადავეები და ცხენები ნაბიჯით დასძრა.

— ჰასან, გარეკე-მეთქი! — შევუტიე შეშინებულ მეეტლეს.

გზა ძლივს გავიკვლიეთ. ყველანი გვიბღვეროდნენ, მე კი შაჰინშაჰის მოხელეებს გულგრილად შევსცქეროდი. ვალის ეტლს რომ გავუსწორდით, ითიმად უდ დოულემ მაშადი ჰასანი თვალებით განგმირა, მე კი ტუჩებით გამიღიმა და რუსული სამხედრო სალამი მომცა. მეც ღიმილით და ასეთივე სალამით ვუპასუხე.

მაშადი ჰასანმა ისე გარეკა ცხენები, რომ ვეება კორიანტელი ააყენა და თანაც უკან იხედებოდა.

ქალაქში რომ შევდიოდით, უკვე დაღამებული იყო. ითიმად უდ დოულე ერთხელ კიდევ წამოგვეწია.

უცხო სანახავს წავაწყდი: ვალის ასიოდე მაშხალა — ყინჟღალი მოსდევდა ორ რიგად. სამიოდე ათასი ქალაქელიც ყინჟღლებით და ფერადი ფარნებით გამოეგება. ათნაირი შეშხუნა ტკაცუნით და შხუილით სერავდა ცას. გზის ორივე ნაპირზე ცეცხლის ორი ლარი იყო გაჭიმული.

თვალწარმტაცი ფარშევანგები ნელ-ნელა იფურჩქნიან ცეცხლის კუდებს; ცეცხლისავე ველოსიპედისტები წინ და უკან დასრიალებენ. ასეთივე ყოჩები რქებით ჭიდაობენ. ზემოთ ორი წარწერა კამკამებს: „იცოცხლოს მარადის ირანის შაჰინ-შაჰმა“ და „მშვიდობაში შენი მობრძანება, ვალი ითიმად უდ დოულე“. მოედანზე სპარსელი სალდათები — სარბაზები ცეცხლმოკიდებული ლანდებივით დარბიან ანთებულ რომაული სანთლებით. უცებ ჯერ ერთ ცოცხალ მაშხალას მოეკიდა ცეცხლი, მერმე მეორეს, მესამესაც და სამივენი ისე ჩაცვივდნენ დიდ აუზში, როგორც გადასროლილი მუგუზლები

— ვალი-ი-ი, ხოშ გელდი-ი-ი! — გრიალებდა ხალხი.

დამხდურთა შორის ერთ ახოვან გენერალს მოვკარი თვალი. ზიზილ-პიპილოებით იყო მორთული და ითიმად უდ დოულეზე უარესად იბღინძებოდა. ლაშქრის სარდალი ჩერნოზუბოვი არსად არა სჩანდა, ხოლო იმ გენერლის იქ ყოფნა ამბობდა: „მე რუსეთი, — გენერალი ჩერნოზუბოვი, — ამ ქვეყნის ნამდვილი ბატონი, აქა ვარ და აქვე დავრჩები, შენ კი, ითიმად უდ დოულე, ჩემი პატარა სტუმარი ხარ და მეტი არაფერი. პირველად შენ უნდა მეწვიო. ჯერჯერობით მცირე პა-

ტივი და თავაზიანობა არაფერს გვაწყენს, მერმე კი, როცა ომი გათავდება... მერმე ვნახავთ დანარჩენს“.

ურმიელებმა ასე გაიგეს ჩერნოზუბოვის უსიტყვო სიტყვა და არც მოტყუებულან.

IV

მეორე დღეს გრძელმა და საამურმა შეძახილმა გამაღვიძა:

— ლა-ამბა-ლო-ო-ო. — და უმალვე დააყოლა. — ვი-ინაგრა-ა-ად...

ხალათი გადავიცვი და ფანჯრიდან გავიხედე.

— საბახ ხეირ ოლსუნ, — დილა მშვიდობისა, აღა!

— გაგიმარჯოს, მაშადი ჰასან!

— ნეჯასიზ? ქეიფინ, ჰალინ? — როგორ ბრძანდებით? ქეიფზე როგორა ხართ? როგორ გეძინათ?

— მადლობელი ვარ, ჰასან. მაგ ყურძენს ჰყიდი?

— არა, არა ჰყიდის. მაშადი ჰასანმა ეს ნობათი თავის ახალ „ყონაღს“ მოართვა. არ შეიძლება, უნდა მიიღო. სულ ოციოდე გირვანქა იქნება: მშვენიერი ფერადი ყურძენი, ბროწეული, ლეღვი, ვაშლი, მსხალი, ატამი, თხილი და ერთი კოჭობი ხალვა. მე ფული ამოვიღე. უარმა და ურთიერთის თავაზიანობამ ხუთიოდე წუთს გასტანა. ბოლოს მაინც მომტეხა, ძღვენი მივიღე. ეს ხილი ჰასანის ბაღისაა. ხოლო დანარჩენი ოთხი კალათი სამკურნალოს ბაღიდან მოაქვს ავადმყოფთა და [illegible].

უცებ იასამანის ბუჩქებს შუა უცნაური ვინმე გამოვარდა და ჯოხის ქნევით, ღრიალით და უშვერი ლანძღვით დაეტაკა მაშადი ჰასანს. თათარმა კალათები დაჰყარა, გაიქცა და ბუჩქებს მოეფარა, უცხო ვინმე ჰასანს დასდევდა და ჰყვიროდა:

— შენ ისევ აქა ხარ? მურდალო, ღორო, მაჰმადის ძაღლო! ქოფაკო! დონღუზ!

ორივენი ბუჩქებს გარშემო ურბენდნენ. ჰასანი მოქნეულ ჯოხს გაუსხლტა და ჩემსკენ გამოიქცა. უცნობიც დაედევნა.

— შესდექით! ხელი არ ახლოთ, თორემ... — რუსულად შევძახე მე. უცნობმა მოქნეული ჯოხი ჰაერშივე შეაყენა და მე მომაჩერდა: სტაფილოსფერი სახე, ამავე ფერის წვერ-ულ-

ვაში და თმა არწივის მოშლილ ბუდესავით აბურძგნული და გაფანტული; ჩაყვითლებული და ჩამტვრეული კბილები; ხახვის მსგავსი მოლურჯო ცხვირი, ლობიოსოდენა ბოროტი თვალები და ავაზაკური, დაბალი შუბლი. მოსრულსა და მოგრეხილ ტანზე გახუნებულ-დაგლეჯილი ანაფორა ეცვა, რომელიც ქუსლამდე სწვდებოდა.

— ვინ ბრძანდებით? ამ ბაღში რა გნებავთ? — შევუტიე უცნობს.

სტაფილოს პირსახე ნელ-ნელა გაიბადრა. ყოველივე ასომ ტკბილად გამიღიმა: თვალებმა, შუბლმა, ცხვირმა, ღია პირმა და წვერ-ულვაშმაც. მერმე ნელი ჩიფჩიფით და დაშაქრულად მიპასუხა:

— ჯერ არ მიცნობთ? სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა. მე კი გიცნობთ. თქვენ ამ სამკურნალოს ახალი გამგე ბრძანდებით, არა?

— ჩემთვის სულ ერთია, მიცნობთ თუ არა. გეკითხებით, თქვენ ვინ ბრძანდებით-მეთქი?

პასუხის ნაცვლად სტაფილო დადნა. მოშლილი ბუდე გაჰქნივ-გამოაქნია და მისაყვედურა: — Ай-ай-ай! Вот строоогий то доктор, ვაა, რა მკაცრი ექიმი ყოფილა!

— მასხრობა გაათავეთ! ერთხელ კიდევ შევუტიე სუსხიანად, — ან პასუხი მომეცით, ან აქედან მიბრძანდით. უცნობის მაგივრად მაშადი ჰასანმა მიპასუხა:

— ყაშა ლაზარე გახლავთ, აღა.

ყაშა ლაზარემ ისე შეუტია და შესძახა, რომ დავეჯიებული ჰასანი სამ ადლზე გადახტა, მერმე ქვას დასწვდა და შესძახა:

— ლამბალო, ქოფა-ოღლი! მაგ წითელ თავს გაგიჭეჭყავ!

— ჰასან, კაჩუმდი, — დავამშვიდე გულმოსული თათარი და ყაშას მიუბრუნდი: — მეტყვით თუ არა თქვენს ვინაობას?

— გეტყვით, რატომ არ გეტყვით! — იპრანჭებოდა ყაშა, — მე ყაშა ლაზარე გახლავართ, ესე იგი, აისორი მღვდელი ლაზარე ვარ.

— მერმე აქ რა გნებავთ?

— მე რა მნებავს? — გულწრფელად გაიკვირვა უცნაურმა მღვდელმა და პასუხის მაგივრად ისე ამაყად მიმითითა თავის მკერდზე, სადაც წითელი ჯვრის ნიშანი ეკიდა, თითქო თეთრ

გიორგის ჯვარს იკვეხნიდაო. ის ჯვარი ანაფორის ნაოჭებში წეღან ვერ შევამჩნიე, ახლა კი დავინახე და ვკითხე:

— რა საქმეს ასრულებთ სამკურნალოში?

— აგენტი გახლავართ.

— კეთილი. ეხლა კი ამ თათარს თავი დაანებეთ და მიბრძანდით. ყაშა ლაზარემ მაშადი ჰასანს მძულვარებით გადახედა, ჯოხით დაემუქრა. მერმე ანაფორა აიკრიფა, ამოიხვნეშა და ვესლიანი მუქარით წავიდა.

— დამაცადე, შე უწმინდურო, შენა! განანებ, ხვალვე ვანანებ, შე წუნკალო, შე წუწკო!

— ლამბალო! — ყუმბარასავით მიახალა ჰასანმა აისორ ყაშას და მხიარულად გადიკისკისა.

ეხლაღა გამახსენდა წითელი ჯვრის მთავარი რწმუნებულის გოლუბევის სიტყვები, რომელმაც წამოსვლის დღეს მითხრა:

— ურმიის სამკურნალოს გამგე იქაურ ხელისუფლებას ვერ მოურიგდა, ჩვენი ეპისკოპოსის პავლეს გული ვერ მოინადირა, იმ ექიმის მაგივრად თქვენ გგზავნით და გთხოვთ ისე წაიყვანოთ საქმე, რომ ჩვენი ხელისუფალნიც და სპარსელებიც მოიმადლიეროთ. ნურაფერს მოერიდებით, დაურიგეთ, რაც გექნებათ: შედედებული რძე, ღვინო, კონიაკი და... ერთი სიტყვით, თქვენი თავაზიანობის იმედი მექნება. უფრო ჩვენს მართლმადიდებელ მისიას მიეშველეთ. ისინი ათასობით ინახავენ ლტოლვილ სომხებს და აისორებს. ჰო, მართლა: სამკურნალოში ვიღაც მღვდელი მსახურობს. მათი უსამღვდელოესება პავლე მწერს: უპატიოსნესი ადამიანი, წმინდანია, თავმდაბალი, მშრომელი და ჩვენი ერთგულიო. სამკურნალოს გამგე იმ ღვთისნიერს თურმე ძალიან აწუხებს. გთხოვთ იმ მღვდელს მფარველობა გაუწიოთ... ძალიან მასიამოვნებთ. მაშ თქვენი იმედით ვიქნები. გზა მშვიდობისა! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

ღმერთმა თუ სხვა ვინმემ მართლა ხელი მომიმართა და ის „ღვთისნიერი ყაშა" პირველივე დღეს წინ დამიხვედრა. ლაზარეს ზურგს თვალი გავაყოლე და გავიფიქრე:

„აი ვინ გადააყენა ჩემი წინამორბედი. ამ სიშორეზე ამ ხუცესმა ჩამომიყვანა? ამასთან მექნება საქმე? მაშ, ამას უნდა გავუწიო მფარველობა? კეთილი და პატიოსანი. ერთმანეთი გავიცნოთ, გავზომოთ და მერმე გამოჩნდება".

ნახევარი საათის შემდეგ ჩემმა წინამორბედმა სამკურნალოს სასადილოში შემიყვანა. დიდი დარბაზი საექიმო და საადმინისტრაციო პერსონალით იყო სავსე — სათნოების დებით, ექიმებით, ლალებით, აგენტებით და მრავალი სხვა მოხელით.

ერთმანეთი გავიცანით და ჩაიზე დავსხედით. ყაშა ლაზარე მოუსვენრად იჯდა, უშნოდ იღრიჯებოდა, საიდუმლოდ ჩურჩულებდა და უსაქმოდ ჰფუსფუსებდა. უცებ ერთ დას მიუბრუნდა და ხმამაღლა მიაძახა:

— დაო სოფიო, თქვენი ავადმყოფები ჩივიან. კარგად ვერ გვივლისო. უკანასკნელად გაფრთხილებთ.

მაშინვე მოსხლტა და დარბაზიდან გავარდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ჩემს ახალ თანამშრომლებს გაკვირვებით გადავავლე თვალი. აქა-იქ ჩუმი ფრუტუნი გაისმა. ჩემმა წინამორბედმა თავი ჩაღუნა. იმავე წუთს ეზოში ყაშას გრგვინვამ იფეთქა:

— ლოთოვ, შე მამაძაღლო, სად მიათრევ მაგ შეშას?!. კალიჩენკო, შე ჰარამზადავ, ეგ ძაღლი გააგდე მანედან, თორემ კბილებს დაგამტვრევ!

და სანამ დილის საუზმეს გავათავებდით, ყაშას როხვა და ლანძღვა ხან ერთი მხრიდან ისმოდა, ხან მეორედან:

— გაეთრიე-მეთქი აქედან!.. რას დაეხეტები ამ ეზოში! გადადგი ეგ ფეხები, წელი ნუ გწყდება!.. აბა, კარგად მოუსვი ეგ ცოცხი!.. შენ, ჰეი, მუქთახორავ, წყალი მომართვი!

თან ყოველ შეძახებას ისეთ უწმაწურ სიტყვას დააყოლებდა ხოლმე, რომ ხელზე მოსიახლე რუსი სალდათიც კი ჭარხალივით წითლდებოდა.

დარბაზი დაცარიელდა. მარტო მე და ჩემი წინამორბედი დავრჩით. იმ ექიმს ჩემთვის სამკურნალო უნდა ჩაებარებინა და ტფილისში დაბრუნებულიყო. მე ვკითხე:

— ერთი მიბრძანეთ, ეს ყაშა რა კაცია?

ექიმმა გაიღიმა.

— ყაშა ლაზარე ამ სამკურნალოს გამგეა.

— მართლა? ნამდვილი გამგეა?

— ნამდვილზე უნამდვილესი. პასუხისმგებელი მე ვარ, პატრონი კი ეგ არის. ორ თვეში ამ სამკურნალოდან თხუთმეტი სათნოების დაი, შვიდი ექიმი და ოციოდე ლალა და ია-

[illegible]
ჯასვლა მეც მიხარიან, მაგრ
გმადლობთ თანაგრძნობის
ედი, მაგრამ ნაგვიანევ სი
გავბრიყვდი, უნდა ბოლომ
ამე.
ჯევ მიამბო:
მოკლედ მოგახსენებთ, —
ქურდობდა, კონტრაბანდ
რმე მამა შემოაკვდა.
მამა? ვისი მამა?
თავის ღვიძლი მამა მოჰკ
ჯრა და მერმე ჩვენს მისი
ეინახეს, მერმე რუსეთში გ
უქანი გახსნა. დუქნის უკ
ოში სამი კახპა გაიჩინა.
საროსკიპო?
დიაღ, ნამდვილი საროსკი
რო სემინარიაში შინაურ
რიელები და ყაშა ერთმანე

დიროზენ. აქ სხვებიც არიან: კათოლიკები, ნესტორიელები, იაკობიტები, ამერიკელები და ინგლისელები. აგერ, იმ მთების გადაღმა ნამდვილი ომია გაჩაღებული, მაგრამ აქაური ომი კი სიმძაფრით და კაპასობით იქაურსაც არ დაუვარდება.

— რით იბრძვიან?

— ყველაფრით: ფულით, ხორბლით, მკურნალობით, მფარველობით, დაშინებით, დაპირებით და... ტყუილით. მაგრამ ჩვენებმა ყველას გადააჭარბეს. რუსი ვარ, მაგრამ არა ვმალავ: ჩვენი რუსობისა მრცხვენიან.

— ყაშა ალბად მძლავრი მებრძოლია.

— ძალიან. სოცარი შხამით, ათასი ხრიკით, კბილებით და ფრჩხილებით იბრძვის. იბრძვის თავგამოდებით, გულმოდგინედ, მძაფრად და დაუნდობლად. არაფერს არ ერიდება. პავლემ რომ უთხრას, შენი დაწინაურებისთვის საჭიროა ყველა აისორი ამოხოცოო, ერთსაც არ გადაარჩენს: არც აისორთა პატრიარქს — მარშიმუნს და არც საკუთარ ცოლ-შვილს.

ცოლიცა ჰყავს?

— მონათლული ურია ჰყავს. ცოლის მონათვლით დაიწყო ნათლისმცემლობა და მოძმეთა სულის ცხონება. სარწმუნოება ცხრაჯერ გამოიცვალა. მართლმადიდებელ ეკლესიას ეხლა ჯაჭვითა ჰყავს დაბმული. მაინც ცუღლუტობს. ცოლი რუსეთში მუშაობს: ყაშას ფულით ჰყიდის, ყიდულობს და ჩარჩობს. ყაშას აქ ათიოდე ერთგული აგენტი ჰყავს. იმ აგენტების შუამავლობით საკუთარ მრევლს ხან კათოლიკეთა ეკლესიას ჩიჰყიდის ხოლმე, ხან ანგლიკანურს, ხან კიდევ ეპისკოპოსს პავლეს.

— და ყველგან ფულს იგებს, ოხო-ოხ!

— რა თქმა უნდა. აკი მოგახსენეთ: აისორები ისე ჰყიდიან თავიანთ სულს, ხოლო მისიონერებიც ისე ჰყიდულობენ, როგორც ქათმებს, ყველსა და ბრინჯს. ყაშა ლაზარეც ყოველთვის მაჭანკლობს და ფულებს აგროვებს. ტფილისში სახლიც კი იყიდა.

— რამდენჯერ შეიძლება რჯულის გამოცვლა?

— წელიწადში გინდ თორმეტჯერ.

— მაშ, აისორებს მოსაგები ხელობისათვის მიუგნიათ.

— არც ვამტყუნებ. გავაბრიყვეთ, ავაჯანყეთ და ოსმალებს

და ქურთებს უამრავი გავაჟლეტინეთ. თუ ომი წავაგეთ, აქაური თათრებიც მრავალს მიუძღვნიან.

— ყაშა სამსახურში ვინ მიიღო?

— ბრძანება ტფილისიდან მოვიდა. ეპისკოპოსმა პავლემ მოახერხა. ეხლა ეს სამკურნალო უფრო პავლეს ეკუთვნის, ვინემ წითელ ჯვარს. სამკურნალოში ზოგჯერ დაჭრილი სალდათებისთვისაც კი არ არის ხოლმე ადგილი, ავადმყოფ აისორს კი უარს ვერ ვეუბნებით.

— მერმე? ჩერნოზუბოვი რას ამბობს?

— იღრინება, მაგრამ კისერს იდრეკს, ვინაიდან ეპისკოპოსს დიდი გავლენა აქვს ზემოურებში, ეშინიან, არ გადამაყენონო.

კიდევ დიდხანს ვიბაასეთ. ეზოში რომ გამოვედით, ყაშას ყვირილი და დედაკაცების წივილი მოგვესმა. ყაშა ლაზარეს ანაფორა აეკრიფნა, დამკლავებული დასდევდა დედაკაცს ჯოხით და გაჰკიოდა:

— მომპარა! საპონი მომპარა! ლაჯებში ვუპოვნე. ჰაი, შე ქურდო, კახპავ, ჰარამზადავ!

ყაშა ლაზარეც და მრეცხავი დედაკაციც სირბილით მიეფარნენ შენობას.

ორივემ გულიანად გავიცინეთ.

— ორივენი იპარავენ. — სთქვა ექიმმა. — ალბათ დღეს ვერ მორიგდნენ. ყაშა ლაზარემ სამკურნალო გაძარცვა, სულ გაძარცვა. საცვალს, ქერს, საბნებს და სანოვაგეს ურმობით ჰყიდის.

— ამ რამოდენიმე დღეში მოვიშორებ მაგ ავაზაკს, ან მეც ტფილისში გაგყვები. — ვუთხარი მე ჩემს წინამორბედს და ცხენს მოვაჯექი. ურძიელ დიდებულებთან და წარჩინებულებთან საღამბაზოდ მივდიოდი. ჯერ კორპუსის ექიმი ვინახულე და, მერმე ორივენი გენერალ ჩერნოზუბოვს ვეწვიეთ.

ჩემი გვარი რომ გაიგო, შუბლი შეიკრა და წაიბუტბუტა:

— თქვენც ქართველი ხართ?

— დიაღ, მეც ქართველი გახლავართ. — მტკიცე ხმით ვუპასუხე და საბრძოლველად მოვემზადე. მაგრამ ბებერმა, გამოქნილმა და ჭკვიანმა მელამ დროზე დაიხია და მიყუჩდა.

ძცირე ბაასის შემდეგ ვკითხე:

— თქვენო მაღალაღმატებულებავ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ყაშა ლაზარე სამკურნალოს ჩამოვაშოროთ?

— თუნდ კისერიც მოსტეხეთ, რა ჩემი საქმეა!

— მაგაზე მეტი არა მინდა რა. გმადლობთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მშვიდობით იყავით. ეცადეთ საქმე გამოასწოროთ, თორემ ეგ სამკურნალო კი არა, მეძავების და ქურდების ბინაა.

ეს სიტყვა გულში მომხვდა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რადგან გენერალი ამ საყვედურს მე ვერ დამიმიზნებდა.

სამკურნალოში რომ დავბრუნდი, სამნეო ნაწილის გამგე დავიბარე და ვუბრძანე, რომ გენერალ ჩერნოზუბოვისთვის და იოიმად უდ დოულესთვისაც ეხლავე გაეგზავნათ ღვინო, კონიაკი, გალეტები, შედედებული რძე, მოცვის წვენი და სხვა გემრიელი სანოვაგე. ასე მქონდა დაბარებული ტფილისიდან: არავის აწყენიოთ, ყველანი მოიმადლიერეთ და არაფერს ნუ მოერიდოთ. მეც კარგად ვიცოდი გემრიელი სასმელ-საჭმელის ძალა იმ ქვეყანაში და ეს თილისმა უმალვე მოვიხმარე. მერმე ისევ ცხენს მოვაჭექი და ოციოდე წუთის შემდეგ მართლმადიდებელ მისიის მეთაურის ეპისკოპოსს პავლეს საკანში შევედი.

წესი შევასრულე: მაღალს, პრანჭიასა და მეტად ლამაზ ეპისკოპოსს ფაფუკ ხელზე ვემთხვიე, კურთხევა ავიღე და მივიხედ-მოვიხედე. საკანი სასახლის ოთახს ჰგავდა. კუთხეში ყაშა ლაზარე უმანკო კრავივით მობუზულიყო.

უკვე გაფრთხილებული ვიყავი: პავლე მეტად ზრდილობიანი კაცია, მაგრამ თუ ოდნავ მაინც საკუთარი უფლება და აზრი გამოიჩინეთ, მაშინ ენატკბილი ბერი დაუნდობელი და მოურიდებელიაო. მისი თხოვნა ბრძანებაა. ხოლო აზრი — უდაო ჭეშმარიტებაო.

— დაბრძანდით, ბატონო ექიმო, როგორ იმგზავრეთ? როგორ მოგეწონათ აქაურობა? — ალერსით გამომკითხა ეშმაკმა ვაჟკაცმა და ბოლოს მკითხა: — თქვენ ქართველი ბრძანდებით, არა?

— დიაღ, ქართველი გახლავართ. — ხაზგასმით ვუპასუხე.

მან თანაგრძნობით და ნუგეშით მიპასუხა:

— ქართველობა დიდი უბედურება არ არის, რადგან ქარ-

თველიც ადამიანია და კეთილი ქრისტიანი ქართველებშიც მოიპოვება.

მე თვალებში შევხედე, მაგრამ ამარიდა.

— მართალს ბრძანებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, — ეპისკოპოსის ლმობიერ კილოზევე დავუდასტურე მე. — კეთილი ადამიანი მარტო ქართველებში კი არა, რუსებშიც კი მოიძებნება.

ახლა ერთმანეთი თვალებით დავხვრიტეთ. ჩემმა „რუსებშიც კი“ გაკრავებული მგელი შიგ გულში დასჭრა.

— ისიც უდიდესი ჭეშმარიტებაა, რომ „ქართველიც ადამიანია“, — თავმდაბლად დავუმატე მე.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — წაიბუტბუტა წაბლისფერ წვერში მართლმადიდებელ მისიის მთავარმმოძღვარმა. — მე მოგახსენეთ, ქართველობა...

— თქვენ ბრძანეთ, — ჩამოვართვი სიტყვა, — თქვენ ბრძანეთ, ქართველობა დიდი უბედურება არ არისო.

— მართალია, მაგრამ...

— მაგრამ, — ხელმეორედ ჩამოვართვი სიტყვა და ხმაში ფოლადი ჩავისხი, — გულწრფელად მოგახსენებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, რომ ქართველობა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება გახლავთ.

— ვოტ კა-ა-ა-კ? — მაშ აგრე? — წრფელის გულით გაოცებულმა ბერმა და ლამაზი წვერი მარმარილოს ხელით მოიალერსა.

— დიახ! — ცულით გადავკვეთე ერთი სიტყვა. და მერე დუმილის შემდეგ ერთხელ კიდევ მივუმატე: დი-ა-ახ!

მეუფეს პირისახეს არეულობა დაეტყო: იისფერი ფარჩის ანაფორა გადაიკეცა, ჯიბიდან უზომო მსხვილი ქარვის კრიალოსანი ამოიღო და ნერვიულად ათამაშა.

მე წამოვდექი.

— თქვენო უსამღვდელოესობავ, ნება მიბოძეთ... გეახლებით.

ეპისკოპოსმა ჩემს რისხვას უმაღლეს თავაზისა და ზრდილობის ფარი შეუშვირა.

— მოითმინეთ, ბატონო ექიმო, მოითმინეთ. დაბრძანდით. თუ გაწყენინეთ რამე, მაპატიეთ. ქართველები მეტისმეტად ამაყები არიან.

. — არა, ამაყი კი არა, თავმოყვარე გახლავართ.

— შესაძლოა აგრეც იყოს. არ გედავებით. დაბრძანდით, ცოტა კიდევ ვილაპარაკოთ.

მისი ბოდიში ვიკმარე და ისევ დავჯექი. ცხადი იყო, რომ გაბერებული მგელი არაფერს მაპატიებდა, არც „ქართველობის ბედნიერებას" და არც თავის ბოდიშს დაივიწყებდა, ხილული იარაღი დავყარეთ და უხილავით აღვიჭურვენით.

ეპისკოპოსი მოთქმას და ჩივილს მოჰყვა: მართლმადიდებლებს ყველანი სდევნიან: ნესტორიელი პატრიარქი „მარშიმუნი" ბენიამინე, — ცრუ, ფლიდი და უსახლკარო ლტოლვილი, რომელსაც რუსეთი ინახავს; ამერიკელი მისიონერი — მჰაკვარი დოქტორი შედი, რომელიც დოლარებით ყიდულობს აისორების საცხონებელ სულებს; რუსეთის მოკავშირე ფრანგი იეზუიტი მონსინიორი დეკრო, რომელსაც გაიძვერობაში მუსლიმანებიც კი ვერ დაეწევიან; ინგლისელი მისიონერი ბრაუნი, — ორპირა და გამოქნილი ფარისეველი, რომელმაც სტერლინგებით გაავსო ურმია. ეს კიდევ არაფერი: სპარსელებიც, — წუნკალი, ველური „პერსუკებიც" კი ჩუმ-ჩუმად სდევნიან მართლმადიდებელ აისორებს და ათასი ხრიკით იბრძვიან თავიანთი „უწმინდური" მუსლიმანების დასაცავად! არა, სად გაგონილა, რომ ურმიაში, „წმინდა რუსეთის განუყრელ აზერბეიჯანში", აქვე, თავრიზში, სპარსეთის ტახტის მემკვიდრე „ვალიაგდი" იჯდეს და ჰფიქრობდეს, ვითომ თავრიზი და ურმია სპარსეთს ეკუთვნოდეს! როგორ არა! ვერ მივართვით! რუსებმა აქ იმიტომ კი არ დაღვარეს ესოდენი სისხლი, რომ მერმე ბარგი აიკრიფონ და უკანვე დაბრუნდნენ. სანამ ეპისკოპოსი პავლე ცოცხალია, „პერსუკები" ამას ვერ მოესწრებიან!

მართლმადიდებელთა მისიის მეთაური უვარგისი დიპლომატი გამოდგა. ალბათ ეგონა, ეს ექიმი თანამებრძოლად გამომადგებაო, ამიტომ მოურიდებლად გაიღეღა გული და შიგ ჩამახედვინა.

მინდოდა მშვიდობიანი მეზობლობა გამეწია, მაგრამ ჩვენი გზები თავიდანვე გაიყარა. აუცილებელი შეტაკების გადასადებლად მობაასეს სიტყვა გავაწყვეტინე:

— მამაო, — ვუთხარი, — მე, რა თქმა უნდა, დაგეხმარებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ტფილისიდან შესაფერი დარიგე-

ბა ვერ წამოვიღე. მე კამერჰერ გოლუბევს ხვალვე მოვთხოვ დარიგებას, მაგრამ სანამ პასუხი მოვიდოდეს, გთხოვთ მიბრძანოთ, როგორ შემიძლიან ვემსახურო ჩვენს „საერთო საქმეს“?

— როგორ უნდა ემსახუროთ? წითელ ჯვარს მრავლად აქვს ფული, საცვალი, სასმელ-საჭმელი და ათასნაირი ქონება.

— სახაზინო ფული და ქონება. — მოვაგონე მე.

პავლე თითქო ვერ მიმიხვდა. როგორ, განა ერთი ჯიბიდან არ მოდის მისიის, წითელი ჯვრისა და ლაშქრის ქონება? ვინ არის დამთვლელი, ვინ არის პასუხის მომთხოვი? ბოლოს და ბოლოს ჩემს სამკურნალოში საქმე ისედაც კარგად არის დაყენებული. ოღონდ დღევანდელს ნუ შევცვლი და ახალს ნურაფერს ნუ დავადგენ.

— მეტი არაფერია საჭირო. ყაშა ლაზარეს გაჰყევით და ყველაფერი რიგზე წავა.

მეტი არაფერია საჭირო! ოღონდ ეს მცირედი დარიგება უნდა შევუსრულო პავლეს.

ყაშა ლაზარეს ხსენებაზე კუთხეში მიკუნჭული სტეფილოს თავი შეინძრა, ყურები სცქვიტა და თვალები ააცეცა.

— ყაშა ლაზარე წმინდა კაცია. — განაგრძო პავლემ.

„წმინდა კაცმა“ თავი მკერდზე ჩამოიგდო და ხელები მკლოდზე დაიკრიფა.

ბერს თვალი თვალში გავუყარე. ეპისკოპოსი მიმიხვდა:

— ნუ დაიჯერებთ, თუ ავი რამ გითხრეს.

— ქვეყანა შურით არის სავსე. — იკნავლა ყაშა ლაზარემ.

— ავი არაფერი გამიგია, — ვიყალბე მე, — მაგრამ ყაშა ლაზარეს თავის საქმე აბარია.

— რა თქმა უნდა, მაგრამ... — გააგრძელა პავლემ და აღარ დაამთავრა.

არც იყო საჭირო. ერთმანეთისა კარგად გვესმოდა. ბერმა ბაასის საგანი განმარტა:

— აი, მაგალითად, დღევანდელი ამბავი. ვინა ჰგდია „ახლად მოთრეული წუწკი პერსუკი“ — ურმიის გენერალ-გუბერნატორი, რომ იმოდენა საჩუქარი გაუგზავნეთ?

— თქვენო უსამღვდელოესებავ, ჩვენ სპარსეთში ვიმყოფებით. — გავახსენე მე.

— ტყუილია! — წამოიძახა ეპისკოპოსმა და მაგიდას ხელი

დაჰკრა. — ტყუილია-მეთქი! თქვენ ალბათ გენერალმა კულებიაკინმა დაგარიგათ.

— არც ვიცნობ და არც მინახავს.

— სულ ერთია. ისიც მაგას ამბობს. გენერლებიც გაგიჟდნენ. რუსული საქმისა არაფერი არ ესმით. ის კულებიაკინი მეფის ამალის გენერალი რომ არ იყოს, ორ დღეში გავაგდებდი აქედან. თუმცა, — ეპისკოპოსმა ღმობიერი ზიზღით გაიღიმა, — თუმცა პოეტ გენერალს ბევრი არაფერი მოეთხოვება.

ეპისკოპოსი ისევ რუსულ რაშს მოაჯდა.

— თუ ჩვენი საქმე ასე წავიდა, უნდა აქედან ავიყარნეთ. ყველანი გვიბრიყვებენ და დაგვცინიან. „წუწკი თათრებიც კი“ იმარჯვებენ მართლმადიდებელ ეკლესიაზე.

„წმინდა რუსეთის საქმეებმა“ ნახევარ საათში გამაბრუა. იქიდან დაღლილი წამოვედი და ჭეშმარიტი რუსული საკმევლით გატენილი თავი ძლივს გავიგრილე.

V

ცხენი ნელი ნაბიჯით მიმყავს დახურულ ბაზარში. უჰარმაზარი ქარვასლა დაყრუებულია ასნაირი ხმებით, ისმის ცხენების ჭიხვინი, ვირების ყროყინი, აქლემების ბღავილი, მეჭურჭლეთა რახარუხი, გამყიდველთა კივილი და ჭრელი ხალხის კიჟინა, ფუსფუსი და ჩოჩქოლი.

ჩადრებში გახვეული დედაკაცები დუქნებში ჩაცუცქულან და საქონლის არჩევანში არიან. ზოგჯერ პირსახვევს ოდნავ გაიხსნიან და მამაკაცს უჩინარ თვალის ელვას სტყორცნიან. იქვე ცის ქვეშ ხრაკავენ, სწვავენ. ხარშავენ და სჭამენ მწვადს, ხინკალს, ყაურმას, ფლავსა და მრავალნაირ მწვავე აღმოსავლურ შეჭამანდს.

ცხენმა მცირე ფორნე გამიყვანა. ერთ ალვის ხეს ხალხი ეხვევა. ხეს თათრის გადაპარსული თავი მიჰკვრია. გვერდით გავუარე და ჩემი ლამბალო ვიცანი.

მაშადი ჰასანი ერთი ყურით იმ ხეზე იყო მილურსმული და ცალი მკლავით ხეს შემოჰხვეოდა. მეორე ხელი მათრახივით ეკიდა. ყურიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა. ნაც-

რისფერი პირსახე ჯვარცმულს მიუგავდა. თვალები მილულული ჰქონდა. გაცრეცილი ტუჩები უთრთოდა.

ტანში ბრაზისა და ძრწოლის ჟრუანტელმა დამიარა. ცხენი შევაყენე და აკანკალებული ხმით დავუძახე ლამბალის:

— მაშადი ჰასან!

ლამბალომ თვალები ძლივს გაახილა, უაზროდ შემოჩანათა და ისევ მილულა.

— მაშადი ჰასან! — დავუძახე კიდევ ერთხელ. — მაშადი ჰასან, მიცანი?

ლამბალოს ტუჩებზე დაგრეხილმა ღიმილმა გადაჰკრა. მიცნო. უძირო ოხვრით ამოიოხრა და ჩურჩულით გადმოაგდო:

— აღა, აკი მოვახსენეთ, ვალი არ მაპატიებს-მეთქი.

— მაშ კეთილი, — ძლივს ამოვიხრიალე. — ეხლავე ითიმად უდ დოულეს ვნახავ.

ხალხში კმაყოფილების ჩურჩულმა გაირბინა. უცებ სტაფილოს თავს მოვკარი თვალი. ყაშა ლაზარე ვიღაცას ამოჰფარებოდა და მეფისტოფელის ღიმილით იკლაკნებოდა.

— ყაშა ლაზარ, — დავუძახე, — ამ საქმეში თქვენი ხელიც ხომ არ ურევია?

ლამბალო მიმიხვდა. ოდნავ თავი დამიქნია და ყაშა ლაზარეს თვალები დაუბრიალა.

ცხენი მოვატრიალე. ჯერ გაქანებული ჩორთით მივუშვი და მერმე ნავარდზე გადავიყვანე.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ვალის დარბაზში შევედი.

ვიღაც მოხელე და ერთი წვერშეღებილი, ლაბალი, წელმოხრილი და მოხუცებული მდაბიო თათარი ერთმანეთს ჩურჩულით ევაჭრებოდნენ. არ მომერიდნენ და ვაჭრობა განაგრძეს. ალბათ იფიქრეს, ამ ურუსს თათრული არ ეცოდინებათ. მოხუცი ტიროდა:

— შემიბრალეთ... მაპატიეთ... ათი თუმანი ვინ მომცა!

— ამაზე ნაკლები არ შემიძლიან, — მტკიცედ უპასუხა მოხელემ.

— ხუთიც ძლივს ვიშოვნე, შვილი მიპატიეთ. ბაზარში ყურით გაკვრა ჩემი სირცხვილია...

უცებ მივხვდი. მოხუცებულს ზედ მივადექი და თათრულად ვკითხე:

— თქვენ მაშადი ჰასანის მამა ხომ არა ხართ?
მოხუცი აცქმუტუნდა და მიპასუხა:
— დიაღ, აღა, დიაღ... მაშადი იზათი გახლავთ.
— ვაჭრობას თავი დაანებეთ. ერთი კრანიც არ მისცეთ. საქმეს ეხლავე გაგითავებთ.
— ალაჰმა ხეირი მოგცეს, ღვთისნიერო! — და მოულოდნელად ხელზე დამწვდა ტუჩებით.
მოხელემ ბრაზით გადმომხედა, მაგრამ ჩემს თვალებს რომ წააწყდა, მოიკაკვა და იმ ოთახიდან თაგვივით გაცუცუნდა.
მალე მეორე მოხელემ მეორე დარბაზში შემიყვანა.
ითიმად უდ დოულე ხალიჩებში და აბრეშუმის ბალიშებში იყო ჩაფლული. ფეხზე წამოდგა, ორივე ხელი გამომიშვირა და მხიარულად მომაძახა:
— აა, მონ ამი, მონ შერ ამი, — ჩემო ძვირფასო მეგობარო! თქვენი საჩუქარი მივიღე. გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ჩემო „იოლდაშო“.
ჩემი პირსახის სუსხმა სიტყვა გააწყვეტინა და ფერი აურია.
— ვალი, მადლობა მერმე იყოს. — მშრალად მოვუჭერი თავაზიანობა. — მე სხვა საქმისათვის გეახელით.
— დაბრძანდით, მესიე დოქტორ, ჯერ დაბრძანდით.
მისი პატიჟი არ მივიღე და გავაგრძელე:
— გმადლობთ, მესიე ვალი. გთხოვთ გამაგებინოთ, რისთვის დასაჯეთ ასე სასტიკად მაშადი ჰასანი?
— ვინ არის მაშადი ჰასანი? დღეში მე ორმოციოდე კაცს ვსჯი და ყველას სახელს ვერ ვიხსომებ.
— მაშადი ჰასანი ჩემი მებაღე და მეეტლეა. გუშინ გულმანხანედან მომიყვანა. თქვენც დაინახეთ ის კაცი... გაიხსენეთ.
ვალიმ თავი მოიკატუნა, მხრები შეიშმუშნა, თვალები ჭერს მიაპყრო და წაიბუტბუტა:
— არ ვიცი... არ მახსოვს. იმოდენა მეხსიერება სადა მაქვს, რომ ერთხელ ნახული ვიღაც მეეტლე დავიხსომო.
— თქვენს მდივანს მაინც ჰკითხეთ, იმას ეცოდინება.
— მდივანი უკვე წავიდა.
წელანდელი ვაჭრობა გამახსენდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს თირაღი შევინახე!

ვალი გულგრილობის და ოფიციალობის ნიღაბში გაეხვია, მაგრამ მე ჩემი დავიჟინე.

— მესიე ვალი, ის კაცი დღეს არის დასჯილი. გაიხსენეთ ყაშა ლაზარე, ქერა მღვდელი.

— ააა, — მოიგონა დოულემ, — მახსოვს, მახსოვს! მე და თქვენმა მუშტეჰიდმა, ეპისკოპოსმა პავლემ, უკვე გავიცანით ერთმანეთი. ჯერ პირისპირ არ შევხვედრივართ, მაგრამ დღესვე მოციქული გამომიგზავნა და პირველი მსხვერპლი მომთხოვა.

— თქვენც დაუთმეთ, არა?

— კე ვულე ვუ, — მაშ რა ვქნა? რუსის ჯარი აქვეა.

— რა ბრალი დასდეს მაშადი ჰასანს?

— სამკურნალოდან დღეს დილით ცული მოიპარაო.

— ექსელანს, სამკურნალოს გამგე მე გახლავართ. ეს გუშინვე მოგახსენეთ, მე ცულის მოპარვა პირველად მესმის.

— ურმიაში რამდენიმე სამკურნალო ყოფილა. მე არ ვიცოდი, რომ მაშადიმ თქვენ მოგპარათ ცული.

— მაშადის ცული არ მოუპარავს. ყაშა ლაზარე ჩემს სამკურნალოში მუშაობს, მაშასადამე, ეს ამბავი მეც უნდა მცოდნოდა და საჩივლელადაც მე უნდა მოვსულიყავი, მაშასადამე...

— მაშასადამე, ურუსმა მუშტეჰიდმა მომატყუა?

— ყაშა ლაზარე მაშადი ჰასანის მოსისხლე მტერია.

— ეხლა კი მესმის. გამოვიძიებ და...

— მაშადი ჰასანი უბრალოა, გთხოვთ საჩქაროდ გაანთავისუფლოთ.

ითიმად უდ დოულემ გაკვირვებით შემომხედა:

— რად ჩქარობთ, მესიე დოქტორ? ვიღაც ჰამბალისთვის აგრე რიგად თავი არ უნდა შეიწუხოთ. გუშინ პირველად დაინახეთ ის უნიფხო და დღეს უკვე მაგრე ცხარედ ესარჩლებით?

— ექსელანს, მე უცხოელი ვარ. სპარსეთს იმოდენა ჰმართებს გურჯებისა, რომ ასი ათასმა თქვენისთანამ რომ ჩამოიხჩოს თავი და სპარსელის ხსენებაც მოისპოს, ჩვენი ვალიდან მაინც ვერ ამოხვალთ, მიუხედავად ამისა, მე, თქვენი ისტორიული მტერი და რუსეთის ქვეშევრდომი, თქვენს ქვეშევრომს

ვესარჩლები, ხოლო თქვენ, სპარსეთის გენერალ-გუბერნატორი, თქვენს უცოდველ ქვეშევრდომს ოდნავადაც არ იცავთ.

— ტრე ბიენ, მონ ამი. — კეთილი, ჩემო მეგობარო. მერსი ბიენ. მაგრამ... არ შემიძლიან... ძალა არა მაქვს. — ბურტყუნებს შერცხვენილი ვალი.

ტყუილად ვცდილობ მომაკვდავის წამოყენებას. მაინც ვეუბნები:

— მე უბრალოს ვესარჩლები, ვალი.

— თუნდ აგრეც იყოს. ყველა მართალს რომ გამოუდგეთ, სიცოცხლე ჩაგიმწარდებათ.

მე და ვალის — ფიცხსა და სიმართლის მდევარს ქართველსა და მოშლილი ირანის ლაჟუ შვილს, ერთმანეთისა არ გვესმის, ამიტომ მალე შევიცვალე კილოც და გეზიც:

— ვალი, მე ვიღაც მაშადის კი არ ვესარჩლები, არამედ რუსეთის უფლებას და სახელს ვიცავ.

ითიმად უდ დოულემ მაშინვე გაიგო ჩემი ნათქვამი:

— ჰოო, ეხლა კი მესმის. ეგ სულ სხვა საქმეა, თქვენ სამკურნალოს დირექტორი ბრძანდებით. ყაშა ლაზარე თქვენი ხელქვეითია. ცული თქვენ მოგპარეს, თუ რა თქმა უნდა, მართლა მოგპარეს, მაშასადამე...

— მაშასადამე, გთხოვთ დარღვეული სამართალი დაუყოვნებლივ აღადგინოთ.

— ახლა კი მესმის. მაგრამ ყაშა ლაზარეს ჩემი მოწყალებისათვის რა ვუყოთ.

— თქვენს მაგივრად სამაგიეროს მე მივუზღავ.

— დიდი მადლობელი ვარ მონ შერ ამი, დიდი მადლობელი გახლავარ.

ვერცხლის ზარი დააწკარუნა და იმ მოხელეს, რომელიც წელან მაშადი იზათს ევაჭრებოდა, მოკლე ბრძანება მისცა.

მე და ის მოხელე ერთად გამოვედით. მაშადი იზათი კვლავ ატირდა და ისევ ხელზე დამწვდა.

— აჰა, დააჩქარეთ! — ვუთხარი მოხელეს და ცხენს მოვაცტი.

— ვერ მოგყვებით. მე ნაბიჯით უნდა ვიარო.

პასუხად ხელში სამმანეთიანი ჩავუდე. მან მოლა ნასრედინის ნიშადურივით გასჭრა და სპარსელი ისეთი სირბილით გამომედევნა, რომ კინაღამ ცხენიანს გამასწრო.

დუქნის წინ ცხენი იყო მიბმული. ამ მოხელემ ვიღაცას რაღაცა მიაძახა, იმ ცხენს მოახტა და გვერდით ამომიდგა.

უკან მივიხედე. მაშადი იზათი ქაქანით და ჩანჩალით მოგვდევდა.

ხუთი წუთის შემდეგ იმ მოხელემ მიბნედილ მაშადი ჰასანს გაზით ლურსმანი ამოუღო ყურიდან და გაათავისუფლა.

მოხუცი მამაც სწორედ ამ დროს მოლასლასდა და მოწყვეტილი შვილი მკერდზე მიისვენა.

ვიღაცამ წყალი მოარბენინა. მეორემ მიბნედილ ლამბალოს პირში პაპიროსი ჩასჩარა. ხალხი აჩოჩქოლდა და სამართალს შეუჩვეველი თათრები სიხარულით აჩურჩულდნენ:

— გურჯი აქიმბაშია, გურჯი! — ქართველი ექიმია, ქართველი!

— ალაჰმა მშვიდობა მისცეს... ალაჰ იყოს მაგის შემწე... ალაჰ ონა ხეირ ვერსინ.

ზოგნი ხელს მართმევდნენ:

— ჩოხ საღოლ, აღა, ჩოხ! — მადლობელი ვართ, ბატონო, დიდი მადლობელი!

მაშადი ჰასანს ჩემი ხელსახოცით შევუხვიე ყური და ვუთხარი:

— ლამბალო, წამომყე, მე უნდა მოგარჩინო.

ლამბალომ ძლივს გაიღიმა. აქა-იქ სიცილი ასტეხეს:

— ლამბალო... ლამბალო... რა კარგი სახელია! ზედ გამოჭრილია!.. ლამბალო, რისთვის ხარ?.. ლამბალო, გურჯი ექიმს გააყე.

მაშადი იზათმა ვიღაც თათარი ჩამოსვა ვირიდან, ზედ ლამბალო შესვა, სადავე ხელში დაიჭირა და გზას გაუდგა. მივდიოდით და უკნიდან წამდაუწუმ გვესმოდა:

— გურჯიდი, გურჯი! — ქართველია, ქართველი!

დიდი სახელი ჰქონდათ მაშინ გურჯებს სპარსეთში.

— ლამბალო, ყოჩაღად იყავი! ლამბალო, მადლობა არ დაგავიწყდეს!.. ლამბალო, ალაჰს მადლობა შესწირე! — არიგებდნენ უკანიდან მაშადი ჰასანს მისი მოძმენი.

და იმ დღიდან ყველამ იმ თათრის ნამდვილი სახელი დაივიწყა და ზედმეტი „ლამბალო“ დაიხსომა.

ცულის მოპარვა ტყუილი გამოდგა

VI

მეორე დღიდან სამკურნალოს ჩაბარებას და მოწესრიგებას შევუდექი. ჯერ აუარებელი ქონება ავწერეთ და მერმე ყველას თავის საქმე მივუჩინე.

რამდენიმე დღის შემდეგ ყველანი თავიანთ სკამებზე ისხდნენ. ყველგან სასტიკი სამართლიანობა დამყარდა. მოშლილი საათი გაიწმინდა, ხრიალის მაგივრად რიგიანად აკაკუნდა.

ჩემმა წინამორბედმა მითხრა:

— ერთი დიდი სათხოვარი მაქვს და იქნება შემისრულოთ.

— ბრძანეთ.

— დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ მე საქმის გამგედ არ ვვარგივარ. ადმინისტრატორის ნიჭი მაკლია. პატივი არ მიყვარს და პასუხისგებასაც გაურბივარ. მე უფრო მშვიდობიანი მუშაობა და თავისუფლება მომწონს, ამიტომ გთხოვთ ამავე სამკურნალოში უმცროს ექიმად დამტოვოთ.

— დიდის სიამოვნებით.

იმავე დღეს თბილისში დეპეშა გამოვგზავნე და სამი დღის შემდეგ თანხმობა მივიღე.

ყაშა ლაზარეს საჯინიბე, საცვლები და სანოვაგის საწყობი ჰქონდა ჩაბარებული. აღწერის დროს ნაღდი დავთრებს შევადარეთ. დიდძალი ქერი, თივა, საცვალი და საკვები აკლდა. ოქმი შევაყენე და ყაშას განგებ ისევ წინანდელი საქმე ჩავაბარე, თან თვალყურის დევნას ვუმატე.

ერთ კვირაში ცხენები მოსუქდნენ, საცვალიც უკეთესად ირეცხებოდა და საკვებიც გაუმჯობესდა.

ყაშა ლაზარე მოიკუნტა, მოიბუზა, იშვიათად მოჩანდა შერიდებოდა, აღარც მისი ჭყვირილი და ქუხილი ისმოდა.

ასიოდე ცხენს დიდძალი საკვები უჭირდებოდა. რადგან ინტენდანტი საკმაო საკვებს არ გვაძლევდა, ამიტომ ყაშა ლაზარე ბაზარზედაც ყიდულობდა.

ერთხელ მაშადი ჰასანმა მითხრა:

— აღა, შენი ჭირიმე, მე იაფად მოგიტან ქერს. იონჯას და თივას.

ფასი ვკითხე. ლამბალომ ბევრად უფრო იაფად შემომაძლია, ვიდრე ყაშა ყიდულობდა. მოვურიგდი.

იმ დღიდან ყაშა ლაზარე თვითონაც იხერხებოდა და არც მე მასვენებდა. წამდაუწუმ მორბოდა და წუწუნებდა:

— წამობრძანდით და ნახეთ, რა ქერი მოიტანა იმ წუნკალმა „პერსუკმა“, ქერი კი არა, ნაგავია, ნაგავი.

მეც მივდიოდი და ვსინჯავდი. „ნაგავი“ მშვენიერი ქერი იყო, ხოლო „ჭაობის დამპალს თივას“ ცხენები მადიანად აბრამუნებდნენ.

საქმე რომ გაჭირდა, ყაშა ლაზარე საჯინიბოს ჩამოვაშორე და სამაგიეროდ ნავთი და შეშა ჩავაბარე. და იმ დღიდან სამკურნალოს მეზობლებმა ჩვენს ნავთს უფასოდ დაუწყეს წვა, ხოლო ყაშა ლაზარე იმათგან შეშას ერთიორად ყიდულობდა.

ჯერჯერობით ვდუმდი და ვიცდიდი.

სამკურნალოს წყალი აკლდა, ხოლო უწყლო სამკურნალო სამფეხა ცხენზე უარეს დღეშია.

ლამბალო ყოველდღე მოდიოდა ყურის შესახვევად და თან უამრავი ბოსტნეულობა და ხილი მოჰქონდა.

— ლამბალო, — ვუთხარი ერთხელ, — ჭის მთხრელი მიშოვნე.

— მამაჩემმა ეგ ხელობაც იცის. — მიპასუხა.

— მაშადი იზათმა? მაშ დამიძახე.

მეორე დღესვე მოვიდა. მოვრიგდით. მაშადი იზათმა ჯერ სამკურნალოს ეზოები მოიარა და ყოველი ნაბიჯი დაჰსუნა. მერმე ერთ ადგილს დაჰკრა ფეხი და სთქვა:

— ბურდა, — აქ უნდა გავთხარო.

— დაიწყე.

იმ ადგილზე დაჯდა და „ნამაზი“ შეასრულა, მერმე ჭრელი ხელსახოცი გაშალა და ისაუზმა. ორი საათის შემდეგ იზათი წელამდე იჯდა მიწაში, საღამოზე კი აღარც მისი თავი მოჩანდა. იგი მიწაში ჩამძვრალ თხუნელას ჰგავდა, რომელიც დროგამოშვებით თავის სოროდან მიწას ჰყრის ხოლმე.

მეორე დღეს მაშადი იზათი და ლამბალო მოვიდნენ. მამა ისევ ორმოში ჩაძვრა სათხრელად, შვილს კი საბელზე მიბმულ რკინის ბადიით ამოჰქონდა მიწა.

ყაშა ლაზარე ჭას შორიახლო უვლიდა. ულვაშებს იკვნეტდა და რაღაცას ფიქრობდა. მეც იქვე ბაღში ვიჯექი. ყაშა

ლამბალოს მიუახლოვდა. ლამბალო გახევდა, ჯერ ეჭვიანად შესცქეროდა ყაშას, მერმე ქვას დაავლო ხელი და შეუტია:

— ლამბალო, ქოფა-ოღლი! აქედან დამეკარგე, თორემ...

— ყაშა ლაზარ! — დავუძახე მე. — მაგ ჭას მოშორდით. თქვენ მაგ ხალხთან საქმე არა გაქვთ.

თავჩაღუნულმა ყაშამ გვერდით გამიარა და წვერებში ჩაიბურტყუნა:

— უწმინდური „პერსუკის“ წყალი ქრისტიანს არ დაელევა. ცოდვაა, დიდი ცოდვა.

მე გულში გამეცინა. ლამბალომ მითხრა:

— ალა, ეს ყაშა სახეიროს არაფერს ჰფიქრობს. რაღაცას გვიპირებს.

— რას უნდა გვიპირებდეს, ლამბალო?

— არ ვიცი, მაგრამ... მაგის ხელიდან და თავიდან უწმინდურობის მეტი არაფერი არ გამოდის. აი ნახავთ, ბილწ რასმეს დაგვმართავს.

მესამე დღეს ჭის თავზე ხარიხა გასდეს და მიწის ამოსაზიდი ორი ბადია მიაბეს. საღამოზე მაშადი ჰასანმა მომაძახა:

— ლამბალო, სუ გეთრი! — წყალი წამოვიდა!

მაშადი იზათმა დაუმატა:

— დილამდე ჭა გაივსება. ხვალ ისევ მოვალთ და მიწას ავალაგებთ. ისე მოხდება, როგორც თავიდან მოგახსენეთ: გაზაფხულამდე წყალი ცოტა გექნებათ. აპრილში გეახლებით, ამ წყალს დავაშრობ და ერთ ადგილზე კიდევ გავთხრი. მაშინ ბევრი წყალი წამოვა. ჭას ზამთარში სთხრიან, მაგრამ დიდი წყალი მხოლოდ გაზაფხულიდან წამოვა ხოლმე.

— ალა, შენი ჭირიმე! მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— გამარჯვებით იყავი. ლამბალო!

შუაღამე რომ მოვიდა, მთელი სამკურნალო და მისი მიდამო აყროლდა. იმ დღეს ფეხსალაგი არ გაუწმენდიათ, ამიტომ იმ სიმყრალემ გამაკვირვა, დილით ყოველივე გამოირკვა.

— ლამბალო! — ყუმბარასავით იფეთქა ჩემი ფანჯრის ძირში მაშადი ჰასანმა. — ლამბალო, ქოფა-ოღლი! ით! დონღუზ! ძაღლო! ღორო!

— რა ამბავია, ლამბალო? — გადავძახე ფანჯრიდან.

იმავე წამს თვალი მოვკარი ყაშა ლაზარეს ანაფორას. რომელმაც ბუჩქებში გაიფრიალა.

— აბრძანდით, აღა! აბრძანდით და ნახეთ „დონლუზის“ ნაქნარი.

ავდექი და ვნახე: ჭიდან განავალის ძლიერი სუნი ამოდიოდა.

— აი, უყურეთ, აღა, უყურეთ, — მიმითითა ლამბალომ ნაკვლევზე.

ჭიდან ეზოს კუთხისკენ ნაფეხარი მიდიოდა. ჭის ერთი ნაპირი მიწისაგან იყო გაწმენდილი. მაშინვე მივხვდი: ფეხსალაგიდან თვლებზე დადგმული დიდი ყუთი გამოეგორებინათ, უწმინდურება ჭაში ჩაესხათ და ყუთი უკანვე შეეგორებინათ. ასეთი ბინძური საქმე მართლა მხოლოდ ყაშა ლაზარეს ბინძური ხელიდან თუ გამოვიდოდა.

— ყაშა ლაზარეს დამიძახეთ! — ვუბრძანე სანიტარს.

სამი წუთის შემდეგ სანიტარი დაბრუნდა:

— ყაშა ლაზარემ კარები ჩაიკეტა. ავად ვარო, ვერ მოვალო.

მაშინ მე თვითონვე წავედი მხეცის ბუნაგისკენ. ლამბალოც გამომყვა.

— ყაშა ლაზარ, კარი გააღეთ.

— არ შემიძლიან, თავი მტკივა. — დაიკნავლა ყაშამ.

— ექიმიც მე ვარ, მოგარჩენთ.

— ექიმისა მე არაფერი არა მწამს. მე ლოცვაზე ვდგევარ და გთხოვთ ხელს ნუ მიშლით.

ყელში ბოღმა მიტრიალებდა, მაგრამ მოვერიდე. მხოლოდ ვუთხარი:

— თუ დღეს არ აპირებთ ლოცვის დათავებას, გასაღები მაინც მომეცით. მაგრამ გაფრთხილებთ, რომ დღესვე რევიზია უნდა მოვუხდინოთ თქვენს საწყობებს.

მცირე დუმილის შემდეგ კარი ოდნავ გაიღო, გასაღები გადმომიგდო და ისევ ჩაიკეტა.

— დონლუზ!.. ოო!.. ანასინი!.. — ცხარობდა ლამბალო.

— მაშადი იზათ, — ვუთხარი დაღვრემილ მოხუცს, — ეგ ჭა გაავსე და ახალი ამოთხარე, ნუ შეშინდები, შენ შენსას მიიღებ.

მაშადი იზათი ეზოს მეორე კუთხეში ჩაჯდა. წრე შემოივლო, ალაჰს ლოცვა შესწირა, ისაუზმა, ყალიონი გააბოლა და მერმე ნელ-ნელა მიწა აჩიჩქნა.

ყაშას საწყობს მაშინვე დარაჯი მოვუჩინე და კომენდან-

ტის წარმომადგენელი დავიბარე. მეორე კაცი სამხედრო გამომძიებელთან გავგზავნე, რომელიც სამიოდე დღის წინათ ვნახე. გამომძიებელი დამპირდა, თუ საჭირო იქნება, ყაშა ლაზარეს საქმეს გათხოვებთ ახლის გადასაღებადო. მე ყარგუზართან წავედი და ვუთხარი:

— მე დანამდვილებით ვიცი, რომ ამა და ამ სახლში წითელი ჯვრის ქონება ინახება, ამიტომ გთხოვთ გაჩხრეკის ნება მომცეთ და თქვენი წარმომადგენელიც გამოგზავნოთ.

ყარგუზარი — საგარეო საქმეთა მოხელე — შეჩვეული იყო პირუკუღმას: თუ ქრისტიანის გაჩხრეკა ან დაპატიმრება დასჭირდებოდა, მას თვითონვე უნდა აეღო ნებართვა ჩერნოზუბოვისაგან ან რუსეთის კონსულისგან, ეხლა კი მასვე სთხოვდნენ ნებართვასაც და დასწრებასაც.

ერთი საათის შემდეგ იზათი წელამდე იჯდა მიწაში. ლამბაქით მუქარით და ლანძღვით წავიდა. ყაშა ლაზრემ დაინახა, რომ მისმა ხრიკმა ვერ გასჭრა და ამიტომ ბუნავიდან გამოსვლა იკადრა. სტაფილოს თავი საბნისოდენა ჭრელი ძონძით ჰქონდა შეხვეული.

— აჰა, ლოცვა გავათავე და გეახელით. რა გნებავთ?

მე ხმა არ გავეცი. კომენდანტის მოხელემ ჰკითხა:

— ამ ჭაში უწმინდურება თქვენ ჩაასხით?

— მე? მე ჩავასხი? — გაიოცა ყაშამ და უკბილო პირი დააღო.— მე? რა ბრძანებაა, რა საკადრისია! ღმერთმა შეგინდოთ და მოგიტევოთ შეცოდებანი თქვენნი, უგნურნო!

მაგრამ მელიის ფიცმა ვერ გასჭრა. ათიოდე სანიტარი დაადგა პირში. ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ:

— მთვარიანი ღამე იყო. ყაზარმიდან ოთხი აისორი დავინახეთ. ჩეჩმიდან ყუთი გამოათრიეს და ჭისკენ გააგორეს. ყაშა ლაზარეც მისდევდა. ჩვენი ჭა მაგათ წაჰბილწეს.

— მე? მე მივდევდი? ღმერთო, დიდებულო! მოინანიე ეგ ცოდვა, მართლმადიდებელო, თორემ ძე ღვთისა იესო ქრისტე პასუხს მოგთხოვს, მოახლოვებულ არს ჟამი განკითხვისა!

ბოლოს მაინც გამოტყდა:

— ჩეჩმა გავაწმენდინე, ყუთი უნებლიედ გადაუბრუნდათ და...

— ჯერ ერთი, ჩეჩმის გაწმენდა ვინ დაგავალათ? — ვკითხე მე. — მაგ საქმეს ყოველთვის თათრები აკეთებენ. მეორე:

თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ყუთი აგერ იმ კარებში გააქვთ, თქვენ კი ჭისკენ წამოღებინეთ. მესამე: ჭის გარშემო ერთ ადლზე მიწა ეყარა, ეხლა ის მიწა აკრეფილია, მაშასადამე... გამოტყდით.

გამოტყდა. ერთი საქმე გავათავეთ. მჩხრეკავნი დაბრუნდნენ და ორი ურემი საქონელი მოიტანეს. საცვალი, საბნები, კარვები, სანოვაგე, იარაღი და ათასი მსხვილმანი და წვრილმანი. გაჩხრეკილი სახლის პატრონიც მოიყვანეს. მან ყაშა ლაზარეს დაადო ხელი და სთქვა:

— მე ყაშას მივაქირავე ის ოთახი, სადაც ეს საქონელი იპოვნეს. ის ოთახი მაგან გაავსო, მე კი არაფერიც არ ვიცი.

— მოინანე, შე უბედურო, მოინანე! მოახლოვებულ არს ჟამი განკითხვისა! — გაჰკიოდა ყაშა და თან მკერდს იბაგუნებდა და მეორედ მოსვლით იმუქრებოდა, მაგრამ ამ საქმეშიც მალე გატყდა და ოქმს ხელი მოაწერა.

საწყობის აღწერა საჭირო აღარ იყო.

ყოველივე რომ გავათავეთ. მე და ყაშა ლაზარე მარტო დავრჩით. ვუთხარი:

— ყაშა ლაზარ! ორში ერთ-ერთი აირჩიეთ: ან ეხლავე მიბრძანდით სამხედრო სასამართლოში, ან თქვენი ნებითვე გაბრძანდით საზღვარგარეთ.

ყაშამ, რა თქმა უნდა, მეორე გზა აირჩია.

— მაგრამ, — დავუმატე, — მე მაინც ხელს ვერ დაგაფარებთ. ამ ოქმებს ტფილისში გავგზავნი. თქვენ კი ეპისკოპოსს პავლეს სთხოვეთ, რომ ვადაგარჩინოს. ხელმარჯვე და [illegible]-ნიანი კაცია და ადვილად მოახერხებს.

— აგრე ვიზამ. — ამოიკნავლა მობუზულმა ყაშამ.

მაინც მშიერი მხეცივით იბღვირებოდა, რომელსაც [illegible]-დან ხორცის ნაჭერი გამოსტაცეს.

— ვაფრთხილებთ, მეორე ჭას თქვენი ჯამაგირით ვა[illegible]-ვინებ.

— როგორც გნებავდესთ.

ანგარიში გავუსწორე და ვუთხარი:

— ყაშა ლაზარ, მშვიდობით იყავით. იმედია, მე და თქვენ ერთმანეთს არსად აღარ შევხვდებით.

— იმედი არ გამიმართლდა: ყაშა ლაზარე ბედმა კიდევ რამდენჯერმე შემახვედრა.

VII

ომის ჩარხი უნდილად ტრიალებდა. დასავლეთით და სამხრეთით — გიავარის ზეგანზე და სოუჯბულაღის ხეობაში ოსმალების და რუსის ჯარი ერთმანეთს მოსწყდა. თოფი იშვიათად გავარდებოდა, ზარბაზანი აღარ ჰქუხდა და სისხლის მდინარეც თითქოს დაიწრიტა.

სამაგიეროდ მისიონერები უწინდელზე უფრო ანჩხლად იბრძოდნენ. ეპისკოპოსი პავლე კვლავ ჰქუხდა და ხუთივე მხარეს ებრძოდა: ნესტორიელთა პატრიარქს ბენიამინეს, „წუნკალ პერსუკებს". დოლარებით გატენილ დოქტორ შეედს, ინგლისელ ბრაუნს და ფრანგ კათოლიკებს, რომელნიც აისორთა საცხონებელ სულებს პავლეს ხშირად ჰპარავდნენ და მრევლს იმრავლებდნენ.

მებრძოლი პავლე არც თავიანთებს ინდობდა:

— ღმერთი დაივიწყეს, — ღაღადებდა კვირა-უქმე დღეობით ცარიელ ეკლესიაში, — ქრისტე ფუფუნებაზე და სამსახურზე გასცვალეს, სირცხვილი და დამარცხება მოელის. მოინანიეთ. მართლმადიდებელნო!

ინტენდანტები იძულებით ჩამორთმეულ სამაბაზიან ითნჯას სამშაურად ყიდულობდნენ, ხოლო ორმანეთიან ქერში ორ აბაზს აძლევდნენ. თათრები და სპარსელები ჩუმად ჰგმინავდნენ, გარეთ რუსის ჯარს კი მაინც პირში უღიმოდნენ

რუსეთის კონსულის ნერატოვის ბინა ნოტარიუსის კანტორად გადაიქცა. ის დილით საღამომდე სავსე იყო ბუღალიან-მინასიან-ჯამგარიანებით, თავრიზელ მუჟიკებით და აფიცრებით. თათრებისაგან და ქურთებისაგან სარწყავ მინდვრებს სამიოდე მანეთად ათი-ათას დღიურობით ყიდულობდნენ და მოუთმენლად ელოდნენ თავრიზის გუბერნიის დაარსებას, რათა თითო დღიური სამ თუმნად მაინც გაეყიდნათ.

ითიმალ უდ დოულე კვლავ თავისას წუწუნებდა:

— ვუ საგე, მონ ამი, ურმიაში, მე უძლური ვარ. ნამდვილი ვალი და სარდარი გენერალი ჩერნოზუბოვია, ხოლო თავრიზში ვალიაგდის — სპარსეთის მემკვიდრის — მაგივრობას ურუსის გენერალური კონსული ბელიაევი ასრულებს. ურუსებმა დაფოლებული ქაღალდის ფულით გაავსეს სპარსეთი.

საბრალო სპარსელნი!.. საწყალი სპარსეთი!.. ვიღუპებით!.. ირანის ლომი დაბერდა... ირანის ლომი სულსა ღაფავს.

მე გულგაშავებულ და გარინდულ ვალის ვამხნევებდი, ნამდვილად კი ისევ უკუნეთს წასული მიდიელნი მაგონდებოდნენ. ოდესღაც ამ ტბის გარშემო მათი რაშები დაჰქროდნენ. იყო დრო, როდესაც ურმიის მიდამოებში ქართული რაშები, ტაიჭები და ქურანებიც ჰიხვინებდნენ და ჩვენი ალმებიც ჰბიბინებდნენ. ეხლა კი ამავე გზებს დონის ცხენები სთელავენ და სამფეროვანი ბაირაღები აჭრელებენ. მარადიულობისთვის და მსოფლიოს ტრიალისთვის განა სულ ერთი არ იყო?!

და ზოგჯერ უკვდავი რუსთაველიც მაგონდებოდა:

„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

VIII

ფეხმარდი ქურთული რახსი ცხენი მყავდა. ალიონზე ავდგებოდი, ცხენს მოვაჯდებოდი და ორიოდე საათით ხან დილმანისკენ წავიდოდი, ხან გულმანჭანესკენ გავისეირნებდი, ხან კიდევ სოუჯბულაღის გზას დავადგებოდი.

ერთხელ დიდ გზას გადავუხვიე და მოლა თოჯასარის მთის კალთებზე გავედი.

ერთ ფერდობზე ვირი და ორი კაცი დავინახე. დავაკვირდი და მაშადი იზათი და ლამბალო ვიცანი.

— ხოშ-ხოში! — წყნარად იძახის იზათი.

ფერდობის გარდიგარდმო ვირი ნელი ნაბიჯით მიდის. ზედ ხურჯინი ჰკიდია. ლამბალო იმ ხურჯინიდან დროგამოშვებით თეთრ ქვებს ილაგებს კალთაში და ვირის ნაკვალევზე ჰყრის. მე ხის ძირში ვდგევარ და ვუთვალთვალებ.

— სალამ ხეირ ოლსუნ, მაშადი იზათ! — დავუძახე ბოლოს შორიდან. მიცნეს, ვირი გააჩერეს და თავ-თავქვე დაეშვნენ.

— ლამბალო! — დაიძახა მაშადი ჰასანმა. — ჩემი ყარდაში. ჩემი ძმა აქიმბაშია!

— სალამ ხეირ, აღა! — დილა მშვიდობისა, ბატონო საიდან? აქ რამ მოგიყვანათ? როგორ ბრძანდებით?

ერთმანეთი მოვიკითხეთ. ისე დამხვდნენ, როგორც დიდი ხნის უნახავ ძმას. მერმე ვეკითხები:

— თქვენ რაღას აკეთებთ აქ?

— რუ გაგვყავს.

— წყალი? ეგ ვირი და კენჭები რაღად გინდათ?

— აი, მობრძანდით და ნახეთ.

ავედი და ვნახე.

— ეს ქვები არხის კვალია. — მეუბნება მაშადი იზათი. — არხი სწორედ ამ კვალზე უნდა გავჭრათ.

— სადაური კვალია? — მიკვირს მე. — ვირი თავის ნებით მიდის. ან აღმა აუხვევს, ან დაღმა ჩამოვა.

მაშადი იზათი იღიმება.

— არა, აღა, ვირი ლარივით სწორედ მიდის. მხოლოდ ქვე-ზის ტვირთს იგი ოდნავ თავდაღმა მიჰყავს. მეც ეს მინდა არ დავუჯერე:

— შეუძლებელია, რომ ვირი არ შესცდეს. თუ ვირი ძლიერ დაქანდა, მანძილს წააგებ. თუ ამ პირუტყვმა ერთი ნაბიჯი მაინც გადასდგა თავაღმა, მაშინ წყალი ვერ ავა.

მაშადი იზათი ისევ ტკბილად იღიმება.

— არა, აღა, ვირი არ შესცდება. ასე მუშაობდნენ სპარსელები მაჰმადისა და შაჰ აბასის დროსაც. ასე მუშაობდა მამაჩემიც. ასე ვმუშაობ მეც. არასოდეს ერთი გოჯითაც არ შევმცდარვართ. ათიოდე გრძელი არხი მაქვს გაყვანილი. ყველგან ისე მიდის წყალი, რომ მოურწყავი ერთი ადლიც არ დაკარგულა.

მინდორზე გავედით. ვირი შესდგა. ლამბალო ორმოციოდე ნაბიჯით გაიქცა წინ და ერთ ალაგზე სარი ჩაარჭო. მაშადი იზათმა ფეხთ გაიხადა, ვირი გვერდით მოიყენა და იმის ნაფეხარზე გულაღმა დაწვა, ფეხები და პირი ლამბალოსკენ გაიშვირა.

ცხენზე ვზივარ და უცნაურ ჰიდრავლიკებს შევცქერი. იზათმა ფეხის ცერა თითები ერთმანეთს მიაბჯინა და დარჩენილ ჭუჭრუტანაში გაიხედა. იზათის თვალი პირველი წერტილია, ეს ჭუჭრუტანა — მეორეა, ლამბალოს სარი — მესამე. მე კი ჩემთვის ვფიქრობ:

„გაკოტრდა ევროპული გეოდეზიაც და ჰიდროტექნიკაც".

იზათი ლამბალოს რაღაცას ანიშნებს ხელით. ლამბალოც ხან წინ წამოვა, ხან მარცხნივ მიუხვევს, ხან მარჯვნივ მიდგება. ბოლოს, როგორც იყო, იზათმა საძებნელი წერტილი იპოვნა, წამოდგა და იმ სარისაკენ წავიდა.

— ხოშ-ხოშ! — უთხრა ვირს და თან გაიყოლა.

მეც ავედევნე.

გაგონილი მქონდა, რომ უბრალო სპარსელები ევროპელებს ირიგაციის საქმეში პროფესორებად დაუდგებიანო. ურმიაში სპარსელი მირაბის საკვირველი საქმიანობა მქონდა ნახული. უსაათოდ მუშაობდა, მაგრამ ისე ანაწილებდა წყალს, რომ არავის ერთი წუთითაც არ დაუგვიანებდა და არც ერთ წვეთს არ დააკლებდა, არც მოუმატებდა. მზე და ალღო მათი საათი იყო. წყლის კანონდებულება და განაწილების სისტემა ბაბილონის მეფის ჰამურაბისგან შეითვისეს. მაგრამ არ მეგონა, რომ უსწავლელი თათარი ასეთი მარტივი გეოდეზიური იარაღით — ფეხის თითებით და ვირის ნაბიჯით — ნიველირის მავივრობას გასწევდა და ურჩ წყალს ასე ადვილად დაიპყრობდა.

მაშადი იზათი სარის ალაგზე დაწვა, მაშადი ჰასანის გზას დააცქერდა და უცებ წამოიძახა:

— ლამბალო, ყაშა ლაზარეს ვხედავ!

ქვემოთ, უგზო-უკვლოდ, ცხენზე შემჯდარი წითელი მაიმუნი მოჰქრის. გახუნებული ანაფორის კალთები ფრთებივით აქვს გაშლილი. მხედარი ისე მოკუნტულა, თითქო ორივე ხელით ცხენის ფაფარს ჩაებღუჯაო.

ლამბალომ სარი მოიმარჯვა და სირბილით დაეშვა თავქვე. ფეხმარდი თათარი მიჰქრის და გაჰკივის:

— ლამბალო, ქოფა-ოღლი!.. ით!.. დონღუზ! იავაშ! ტუურ! — მოიცა! შესდექი!

ყაშა ლაზარემ ლამბალოს მოჰკრა თვალი და ცხენს გეზი შეუცვალა. ლამბალომ დაატყო, რომ გზას ვერ მოუჭრიდა, და მქროლავ მაიმუნს ჯერ სარი ესროლა და მერმე ქვებიც მიაყარა. ერთი ქვა ყაშა ლაზარეს ზურგში მოხვდა და კინაღამ გადმოაგდო.

— ლამბალო-ო-ო! ურა-ა-ა! — ძლევამოსილი კიჟინით იძახის თათარი და მადიანად ხარხარებს.

ცხენიანი მაიმუნი კი ბაღს მიეფარა. ლამბალო სიცილით დაბრუნდა.

— ზურგი ხომ ავუქავე წითელ ღორს! მე ამაზე მეტიც არა მინდარა. არა, დაინახეთ, როგორ მოიფხანა?! ოხო-ხო! იხიხი!

მეც მეცინება. მაშადი იხათი წითელ წვერში ხითხითებს. მერმე ჩაფიქრდა და სთქვა:

— მაინც... აქ რაღაც ამბავია. მიკვირს, რად მოაჭენებს წითელი ყაშა უგზო-უკვლოდ? აქ რაღაც ამბავია-მეთქი...

IX

„რაღაც ამბავი" ერთი საათის შემდეგ გამოირკვა, სამკურნალოში ტელეფონოგრამა დამიხვდა: „გიბრძანებთ დაუყოვნებლივ გამოჰყოთ წითელი ჯვრის მოწინავე რაზმი ოცი საკაცით".

ერთი საათის შემდეგ მზად ვიყავით: სამოცამდე ცხენი, ამდენივე სანიტარი, ოცი საკაცე, ბარგი, სანოვაგე და ლოსტაქრის მასალები. რაზმის მეთაურობა მე თვითონვე ვიკისრე. წინ წითელი ჯვრის უზარმაზარი ბაირაღით გოლიათი „მახევე" ბექაური მიმიძღოდა.

ქვეითი და ცხენოსანი ჯარი წინ წავიდა, ჩვენც ნაბიჯით მივყევით.

ძველი ნაცნობი ასისთავი, გიორგი მინდიაშვილი, დამეწია. ვკითხე:

— გიორგი, ერთი მითხარი, შენი ჭირიმე, სად მივდივართ?

— სოფელ მავანაში.

— სად არის ეგ სოფელი?

გიორგიმ დასავლეთის მთებისაკენ გაიშვირა ხელი:

— სად არის ეგ სოფელი?

გიორგიმ დასავლეთის მთებისაკენ გაიშვირა ხელი:

— იქით არის.

— მალე ჩავალთ?

— შუადღეს იქ ვიქნებით.

— რა ამბავია, რა მოხდა?

— იქაური ქურთები აჯანყებულან, ამბობენ, ქრისტიანებს თავს დაესხნენ და მრავალი გაჟლიტესო. მშვიდობით, ჩემს ასეულს უნდა დავეწიო.

— მშვიდობით იყავი.

ცხენს მათრახი გადაჰკრა და მიიმალა.

იმავე დროს გვერდით ერთმა ჯგუფმა ჩამოგვიარა: ოთხ ცხენოსან ყაზახს ხელშეკრული ლამბალო მიჰყავდა. თავჩაღუნუ-

ლი მაშადი იზათი ჩანჩალით მოსდევდა. ლამბალომ გამიღიმა და თავი ისე ჩაიქნია, თითქო ამბობდა: ეჰ, არ მასვენებენ. ისევ შარი მომდესო.

მე ცხენი შევაყენე:

— მაშადი იზათ, რა ამბავია? რა მოხდა?

მოხუცებულმა თათარმა ჩემს უზანგს ორივე ხელი ჩასჭიდა და მუხლი ცრემლით დამისველა, თანაც ძლივს ამოიოხრა:

— ბილმერამ, ვალაჰ ბილმერამ, — არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი.

მე წითელი მაიმუნი გამახსენდა:

— ყაშა ლაზარეს ოინი იქნება.

— ალბათ... მეც აგრე მგონია.

— წადი, ნუ ჩამორჩი. ეხლა ვერაფერს ვერ გიშველი. საღამოზე ან ხვალ დავბრუნდები. ნუ გეშინიან, ყაშას მოჭორილი იქნება. ვერ გასჭრის. მშვიდობით იყავი.

— სალამათ ოლ, ალა, სალამათ!

აცრემლებული თვალები ერთხელ კიდევ შემომანათა და ჩანჩალით გამოუდგა ლამბალოს.

ქედი გადავლახეთ და ნახლუ-ჩაის ხეობაში ჩავედით.

ქურთების სოფლები — ბარაკენი, არზინი და ოთხიოდე სხვაც — ბოლსა და ცეცხლში იყო გახვეული. აქეთ-იქიდან თოფის ხმა ისმოდა. გზადაგზა აისორნი ჰფუსფუსებდნენ: აწიოკებულ ქურთების სოფლებიდან ნადავლი მოჰქონდათ: ვარცლები, ქვაბები, კასრები, ქოთნები და ასნაირი წვრილმანი. ზოგიც მოტაცებულ ოთხფეხს მოერეკებოდა, რომელიც იმ ხეობას გულსაკლავი ბღავილით ავსებდა.

მე სოფელ მავანაში დავბანაკდი. ნახევარ საათში ჩემი ბარგი გავშალე და დაჭრილთა მისაღებად დავემზადე. შივეზიშლის და ზოიტის მთებზე — სპარსეთ-ოსმალეთის საზღვარზე — ბრძოლა გახურდა. ათასი თოფი კაკანებდა, რამდენიმე ზარბაზანი ჰქუხდა. მალე დაჭრილებიც მოიყვანეს. ჩვენ ჩვენს საქმეს შევუდექით: დაჭრილებს ჭრილობებს ვბანდით, ვუხვევდით და ვუვლიდით.

სანამ ჯარი იბრძოდა, აისორებმა ქურთების უპატრონო სოფლები მოჰპარსეს.

ნამდვილი ამბავიც მალე გავიგე. მავანელ აისორებს და მეზო-

ბელ ქურთებს თურმე მიწის, საძოვრებისა და წყლის გამო უბრალო ჩხუბი მოსვლოდათ. ერთმანეთს მეათასეჯერ თითოოროლა ცხვარიც მოსტაცეს და შეახრამუნეს. ყაშა ლაზარეშ არც აცივა, არც აცხელა: რუსული თოფი ათიოდეჯერ დასცალა, ირგვლივ ქოთი ასტეხა და საომარი ცეცხლი დაანთო. მერე ცხენს მოაჯდა და ურმიისკენ მოჰკურცხლა.

სანამ ჯარი მოვიდოდა, აისორები და ქურთები თავთავიანთ სოფლებში ისხდნენ და ერთმანეთის დასაშინებლად ცასა და კლდეებს სცხრილავდნენ, მერმე კი, როცა რუსები გამოჩნდნენ, ქურთები დედაბუდიანად აიყარნენ, წინ საქონელი გაირეკეს და მიუვალ კლდეებს შეეხიზნენ. რუსის რაზმის მეთაურმა იარაღის აყრა მოუნდომა. თავმოყვარე ჭკუა-ნასწავლი ქურთები არ დანებდნენ და ძალას ძალა დაუხვედრეს. ასე დაიწყო უსახელო „ომი".

სანიტრებმა ერთი საკაცე კიდევ მომიდგეს. ზაფხულის წამოსასხამი ავხადე და შევკრთი: საკაცეზე გაფითრებული და გონდაკარგული გიორგი მინდიაშვილი იწვა. მკერდი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. მე მის საგულეს დავაკვდი და გულის ფეთქვა ძლივსღა ვიგრძენი. მიმქრალ სიცოცხლეს კბილებით ჩავებღაუჭე და ძლივს მოვასულიერე.

— გიორგი, მიცანი?

ოდნავ გაიღიმა და წაიჩურჩულა:

— მივდივარ... ყაშა ლაზარეს ბრალია... უბეში წერილი მაქვს... გაგზავნე.

გაცრეცილი ტუჩები კიდევ კარგა ხანს აცმაცუნა, მაგრამ სათქმელი ვეღარა სთქვა. შემდეგ თვალები მიჰბლიტა. პირსახე გაიყინა და თვითონაც გახევდა. ისევ საგულეს და მაჯას დავაკვდი. დიდხანს ვეძებე სიცოცხლის ნიშანი, მაგრამ ვეღარ ვიპოვნე.

მეტი მუშაობა აღარ შემეძლო. გიორგის გვამი კუთხეში გავიტანე და ზეწრით შევსუდრე. ჩემი ხელსაწყო უმცროს ექიმს დავუთმე და გარეთ გამოვედი.

უცებ ეზოში ჩოჩქოლი და ყვირილი ატყდა. გადავიხედე და ისევ ყაშა ლაზარეს წავაწყდი. წითელი მაიმუნი და ბაიკალელი ყაზახი ერთ ვრძელ ხალიჩას ჩასჭიდებოდნენ და თავთავიანთკენ ეწეოდნენ.

— Пушааай, рыжий дьявол, а тооо... ბურტყუნებდა ყაზახი*.

— Пускай окаянный! Кавер мая... я купила — გაჰკიოდა ყაშა**.

სანიტარები და დაჭრილები იცინოდნენ და ორივეს აქეზებდნენ.

ყაზახმა იცუღლუტა: ხალიჩა ჯერ მძლავრად დასჭიმა, მერე ანაზდად ხელი გაუშვა და ყაშა ყირამალა გადაატრიალა. სანამ ის წამოდგებოდა, ყაზახმა ნოხს ხელი დასტაცა და ჭისკარს ეცა. ყაშა ლაზარე ანაფორაში გაიხლართა. მაინც დროზე წამოხტა და კარს სწორედ იმ დროს მისწვდა, როცა ყაზახმა იგი მძლავრად მიიჯახუნა. სანიტრების ხარხარი ყაშას ბღავილმა შთანთქა.

წითელმა მღვდელმა ოთხი თითი მოიწეწკა. სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. ბღაოდა, წკმუტუნებდა და რეტიანივით დაჰბორიალებდა. ბოლოს ტრიალ-ბზრიალით მე მომაწყდა, შესდგა, მომაჩერდა და გაოცდა. ალბათ ნამეტანი რისხვა და ელვა ეწერა ჩემს პირსახესა და თვალებში. მხიარული ხარხარი თითქოს მახვილით მოსხიპესო, ყველანი ჩვენ მოგვაჩერდნენ. იმ ეზოში მეხის სუნი დატრიალდა.

— თქვენ... ჩემს სახლში ხართ? — გაოცდა ყაშა.

მე გამიკვირდა და ძლივს ამოვიხრიალე:

— არ ვიცოდი, თორემ... სანამ თქვენ მარადიორობდით და ქურთების სახლებს სძარცვავდით, მე თქვენს მრავალ მსხვერპლს იარებს ვუხვევდი... აგერ იქ სხედან და წვანან. ზოგმა უფალს უკვე სულიც მიაბარა... მინდიაშვილიც მოჰკლეს.

— მე არ ვიცი, ვინ არის მინდიაშვილი. — გესლით გამკრა ყაშამ, თუმცა ძალიან კარგად იცნობდა ურმიელთა საყვარელ გიორგის.

— ძალიან კარგად იცნობთ. დღევანდელი სისხლი თქვენის ხელით დაიღვარა. წამობრძანდით, ასისთავს მინდიაშვილს გაჩვენებთ.

ვთქვი, მაგრამ ნათქვამისა მე თვითონვე შემეშინდა. ოთახში რომ შემოსულიყო, იმ ყაშას ალბათ გიორგის გვამზე მივახრჩობდი, ან ზედ დავაკლავდი.

* ხელი გაუშვი, წითელო ეშმაკო, თორემ...

** ხელი გაუშვი, შეჩვენებულო! ხალიჩა ჩემია, ჩემი ნაყიდია.

— მე თქვენი დაჭრილებისთვის და მკვდრებისთვის არა მცალიან. ეხლავე გაეთრიეთ ყველანი ჩემი სახლიდან, თორემ...

ყაშამ სიტყვა ვეღარ დაამთავრა. მე ორივე მუშტი აღვმართე, მაგრამ მოქნევა აღარ დამცალდა: ბექაურმა გაგიჟებული ბუღასავით გაიელვა ჩემს წინ და გესლიანი მაიმუნი ბურთივით ააგდო ჰაერში.

დაჭრილებმა წამოიწიეს. ზოგი ზეზეც წამოვარდა და ყველას ჟინიანი სიხარული აღმოხდა:

— ბეი ევო!.. ლუპიიი!.. — დაჰკა!.. მიდი!.. აგრე!.. ერთი კიდევ, ერთიც!

ხუთიოდე წუთს იმ ეზოში მხოლოდ ბაგუნი, კვნესა, ჰახუნი, ოხვრა და ხრიალილა ისმოდა. ბექაური გაგიჟდა და გაჰხეცდა. ყაშა პირველივე დაკვრით გააბრუა და დაარეტიანა, მერმე სულიც აღარ მოათქმევინა: წაქცეული მღვდელი ძლივს წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ მუშტი და ქუსლი სეტყვასავით ჰიდიოდა.

— ბე-ე-ეი! ბე-ე-ეი! — ისტერიულად გაჰკიოდა ერთი დაჭრილი რუსი და თვითონაც ყაშასკენ იწევდა.

ბოლოს გაანჩხლებული მოხევე დარეტიანებულ ყაშას იღლიებში შეუძვრა და ისე მძლავრად მოსწურა რკინის მარწუხებით, რომ ნეკნებს ლაწალუწი დააწყებინა. ყაშა ახრიალდა, თვალები შუბლზე გადმოჰყარა და კბილებიააელვა.

უცებ ავი მაიმუნის მკერდმა კნაწუნი მოიღო და ყაშას ტუჩებზე სისხლმა გადმოჰხეთქა. დაჭრილებს სისხლის დანახვაზე და კნაწუნის გაგონებაზე უცნაური საერთო ოხვრა აღმოხდათ და ის ოხვრა შიშსაც ჰგავდა და სიხარულსაც.

— ბექაურო, გეყო!.. — მეც წამოვიძახე იმავე წუთს.

ბექაურმა ორივე ხელი გაუშვა. ყაშა ლაზარე მოჭრილი წამორივით გაიშალა.

— რაღაც ჩასწყდა შიგნეულობაში. — მითხრა ოციოდე წუთის შემდეგ უმცროსმა ექიმმა, რომელმაც გულწასული ყაშა ჩაიბარა.

მძიმედ დაჭრილები ოცი საკაცეთი გავგზავნე ურმიაში.

ქურთები ბარადოსტის მთებში გაიხიზნენ.

ჯარი მაღლობიდან დაბლობში ჩამოვიდა. სალდათები ჰბურტყუნებდნენ:

— აკი გვითხრეს, ოსმალები მოდიანო. ასკერის მაგიერ კი უიარაღო ქურთებზე მიგვისიესო.

ბანაკი დაჰკრეს, ასიოდე ცეცხლი დაანთეს და აკლებულთა საქონელი დაჰკლეს. აისორებმა არაყითა და ქალებით ივაჭრეს. ვახშამი ლხინად გადაიქცა. სალდათური სიმღერები გააბეს, გარმონი ააჭყვიტინეს და რუსული „კამარინსკი“ ჩაჰბუქნეს.

პატარა ეკლესიაში პაწაწა ზარი ჩამოჰკრეს და ძლევის პარაკლისი გადაიხადეს, მერმე ძილის საყვირი დაჰკრეს, ცეცხლი ჩააქრეს და ბანაკი წყვდიადსა და სიჩუმეში ჩააწვინეს.

შუაღამემ მოატანა. მთების კალთებზე რამდენიმე ჭიაკოკონა კიდევ ენთო. ქურთების სოფლებში ხანძარი თანდათან შენელდა და მერმე გადამწვარი სოფლების ხსენებაც კი გაჰქრა.

უპატრონოდ დარჩენილი ძაღლები ხევხუვებში ჩავიდნენ. ჯერ ერთმა დაიყმუვლა, მეორემ და მესამემ უპასუხეს. შემდეგ კი მთელი ხეობა ისეთი სასოწარკვეთილი და უიმედო კვნესით აღმუვდა, თითქო ათასი ჩაცუცქებული ძაღლი თავიანთ უბედურებას და დაობლებას ზეცას შესტიროდა. დღევანდელ დღიდან ის ძაღლები აისორთა სოფლებს მიეტანებიან და ლუკმა პურისთვის ახალ პატრონებს დაუწყებენ ძებნას. მაგრამ ახალი ხალხი ქურთების ძაღლებს არ შეიკედლებს და საცაა იმ ძაღლებზე ნადირობასაც დაიწყებენ.

აგერ, დაიწყეს კიდევაც; ჯერ ერთი თოფი გავარდა, მერმე მეორე და მეათეც მოჰყვა. დაჭრილი ძაღლების გმინვა და წკმუტუნი ზეცას მისწვდა.

მაგრამ ზეცაში ურღვევი მყუდროებაა. სრული მთვარე კიდევაც იღიმება. ჩამუქებულ ცის გუმბათზე გაფანტული უთვალავი ვერცხლის მანეთიანები ისევ ისე ჰკაშკაშებენ და თრთიან, როგორც „ბებერი აქლემის“ პართიელებისა და მიდიელების მოსვლისა და წასვლის დროს ციმციმებდნენ.

ღმერთიც სდუმს, როგორც მაშინ სდუმდა.

X

მეორე დღეს გამარჯვებულ აისორთა და ქურთების ნასოფლართა ფერფლის დასაცავად მანავაში ერთი ასეული დარჩა,

ხოლო დანარჩენები მოკლულთა გვამებით, დაჭრილებითა და სამარცხვინო ნადავლით ისევ ურმიაში დავბრუნდით.

მე გიორგის გვამს მოვდევდი.

გზაში აკლებულთა მეზობელი ქურთები და იქაური თათრები დაგვიხვდნენ. წინ ასკერაბადელი კაიდარ-მოლა მოუძღოდათ. მე და მოლამ ერთმანეთი ვიცანით.

ჯერ საზეიმო სალამი მოგვცეს და მორჩილების ფიცი დასდეს. მერმე დახოცილთა გვამები ჩამოგვალებინეს, პირსახეებიდან ზეწრები მოხსნეს და და თავიანთებური პანაშვიდი გადაუხადეს.

— ალაჰ, ილ ალაჰ... ბისმილაჰ... — ჰბუტბუტებდა მოლა.

მუსლიმანები რომ ხელებს ალაჰისკენ აღაპყრობდნენ ხოლმე, მათი ამკლები ქრისტიანი სალდათებიც განიერ პირჯვარს იწერდნენ, ხოლო გაფითრებული ყაშა საკაცედან გულს აფურთხებდა და დათვურად ჰბურტყუნებდა:

— ჯერ ხალხი დაგვიხოცეს და ახლა კი ლოცულობენ? უწმინდურები! წუწკები! ფუ! ღმერთო შეგცოდე, ფუ! ესენი ალაჰს ლოცულობენ, ეს ბრიყვები კი პირჯვარს იწერენ და ქრისტეს სახელს ახსენებენ. ღმერთო, შეუნდე, ფუ, ფუ!

ასკარაბადელი კაიდარ-მოლა და თათრები ურმიამდე მოგვყვნენ და წამდაუწუმ გიორგი მინდიაშვილის სახელს ახსენებდნენ.

გენერალი ჩერნოზუბოვი, შტაბი და გარნიზონი ზეიმით და ზათქით დაგვიხვდნენ.

იმავე საღამოს ჩერნოზუბოვმა დამიბარა. ვეახელი და ჩემი რაზმის ანგარიში მივართვი. სასწრაფოდ გადაავლო თვალი, შუბლი შეიკრა და მკვახედ მკითხა:

— თქვენ თქვენი ვალი პირნათლად შეგისრულებიათ, მაგრამ... ასეთი მშრალი კილო... რატომ არავის არ ასახელებთ? თქვენ ჯილდოს მოგცემთ, მაგრამ სხვები?

— მადლობელი ვარ, გენერალო. ნუ ირჯებით. ღირსი არა ვარ, რადგან მანავაში ბრძოლა არ ყოფილა.

— როგორ თუ არ ყოფილა?

მე ჩემი ვუთხარი: იყო ყაშა ლაზარეს პროვოკაცია. იყო უბრალო ხალხის აკლება, იყო ცეცხლი, ძარცვა და საქმის კაზირვა, მაგრამ ბრძოლა არ ყოფილა-მეთქი.

გენერალმა დამიბღვირა. მე მივუხვდი: გუშინდელი ამბა-

ვი ომის ისტორიაში და გენერლის სამსახურის სიაში საგმირო საქმედ უნდა ჩაწერილიყო და ამ „სასტიკ ბრძოლაზე" ასიოდე თაბახი უნდა დაწერილიყო. ათიოდეს თუ ასიოდეს სამხედრო ჯილდო უნდა მიეღო, მე კი გამარჯვების სიმღერას ხმა ვერ შევუწყე.

მის ბღვერას პასუხი მივაგებე:

— თუ გნებავთ, რამდენიმე სანიტარს დავასახელებ ჯილდოსთვის.

— დანარჩენი? ექიმები? სათნოების დები? ყაშა?

— ყაშა წითელი ჯვრის სამსახურში არ ითვლება, ხოლო დანარჩენები ვეცდებით, რომ პირველივე დიდ ბრძოლაში თქვენი ყურადღება და ჯილდო დავიმსახუროთ.

— კეთილი, აგრე იყოს. ეხლა მიბრძანეთ, ვინ იყვნენ ის ქურთები, გუშინ დილით რომ ელაპარაკებოდით?

— მე? ქურთებს? გუშინ დილით?

— დიაღ, თქვენ, ქურთებს, დილის შვიდ საათზე.

— სად, გენერალო?

— აგერ იმ მთის კალთაზე.

— არაფერი არ მესმის.

— მე კი მესმის. ერთი ქურთის სახელიც ვიცი.

— სახელიც?

— დიაღ. მოგახსენებთ: აბდულ რეზაკი, ბარადოსტიდან გადმოსული ქურთების ბელადის ისმაილ აღა სიმკოს კაცი იყო. არ გაგონდებათ?

— ჩემს სიცოცხლეში ჯერ ერთ ქურთსაც არ დაველაპარაკებივარ.

— სად იყავით გუშინ დილით?

უცებ გამახსენდა: დილის სეირნობა, მაშადი იზათი, ლამბალო, ცხენზე შემჯდარი წითელი მაიმუნი და ლამბალოს ხუმრობა.

— ყაშა ლაზარ! — წამოვიძახე ღიმილით.

— დიაღ, ყაშა ლაზარემ დაგინახათ.

გენერალი არ ხუმრობდა. მეც ავღელდი და ავშფოთდი. ცხადად და გულწრფელად ვუამბე ყოველივე: ყაშას ოინები, ქურდობა, თვითნებობა, ჭის წამურტვლა, ბაასი ეპისკოპოსთან და გუშინდელი სეირნობაც.

— ვიცი... ვიცი. — ხშირად მაწყვეტინებდა გენერალი. თან-

დათან მოლბა და გამოტყდა: — საზარელი ადამიანია: მავნე, ფლიდი, მკვლელი. არ ვიცი, რა მოვუხერხო. ძლიერი მოსარჩლე ჰყავს. გუშინ განცხადება შემოიტანა. საქმე შედგა. უნდა გამოვიძიოთ... ეხლა კი გამომძიებელთან მიბრძანდით, ჩვენება მიეცით და ისევ თქვენს საქმეს დაუბრუნდით.

ლამბალო გამახსენდა:

— ამ საქმეზე უდანაშაულო თათარია დაპატიმრებული.

— ვიცი, გამომძიებელს სთხოვეთ.

შტაბიდან ორი საათის შემდეგ იმ იმედით გამოვედი, რომ იმავე საღამოს ლამბალოსაც გამოუშვებდნენ.

მაგრამ იმავე დღეს ლამბალოს განთავისუფლების მაგიერ ბექაურიც დააპატიმრეს. დაჭრილები და სანიტარები აღელდნენ და დაკითხვის დროს ერთხმად წაესარჩლნენ ამხანაგს, რომელმაც მათი და საკუთარი შეურაცხყოფა მუშტით ჩამოარეცხა.

საქმეს სხიფათო გეზი მისცეს: ბექაურმა ბრძოლის დროს სახელმწიფო მოხელეს სცემაო. ამ ბრალდებას დახვრეტის სუნი ასდიოდა. ყველას გვიკვირდა — ბრალმდებელსაც და გამომძიებელსაც — რომ ყაშა ლაზარე, ბერების ბაღლინჯო, მოხელედ ჩასთვალეს და ქურთების ხაბაკ-ხუბაკის მოტაცებაც უზენაეს ვალის მოხდად გაანაღდეს.

ასე მოისურვა ეპისკოპოსმა პავლემ და ამიტომ ლაშქრის სარდალი ბერის ბრძანებას ვიღაც მოხევეს გულისთვის არ დაარღვევდა.

ჩერნოზუბოვმა მითხრა:

— თქვენი საქმე მოვსპე. ის თათარი გავათავისუფლე, მაგრამ იმ სანიტარისთვის სხვა გზით იზრუნეთ. მე კი ამაზე მეტი არაფერი შემიძლიან.

გენერალ კულებიაკინს შევჩივლე. მოიფიქრა და დარიგება მომცა.

— თუ ახირდით, იმ სანიტარს დაჰლუპავთ. ასე მოიქეცით: ჯერ ყაშა ლაზარეს უჩივლეთ ცილისწამებისათვის, მეორე მხრივ პავლეს მოელაქუცეთ. მერმე თქვენ ყაშა დაუთმეთ, ის კი სანიტარს დაგითმობთ. გაიგეთ?

ამ დარიგებას გავყევი. ან რა უფლება მქონდა, რომ ბექაური დამეღუპნა და ჩემი თავმოყვარეობა კი შემენარჩუნებინა?

შაბათი დღე იყო. თავი მოვიდრიკე, მისიის ეკლესიაში შევედი და საღამოს ლოცვა ბოლომდე მოვისმინე. მთავარმღვდელმთავარი პავლე წირვის დროსაც ბალერინასავით იპრანჭებოდა და ხშირად იხედებოდა ჩემსკენ...

ცისკრის ზარი რომ ჩამოჰკრეს, მე ისევ ეკლესიაში ვიყავი. ვილოცე, დავბრუნდი და ეპისკოპოსს ერთი ურემი საჩუქარი გავუგზავნე: საცვალი, სურსათი, კონიაკი, წამლები და მრავალი მსხვილმანიც და წვრილმანიც.

წირვა საზიარებლად გამზადებულ ბერივით მოვისმინე. ჯვარს და ფაფუკ ხელს რომ ვემთხვიე, პავლემ წამჩურჩულა:

— მოითმინეთ, თქვენი ნახვა მინდა.

ანაფორა რომ გადაიცვა, ხელი მკლავში გამიყარა და მისაყვედურა:

— თქვენ თურმე მორწმუნე ყოფილხართ. რატომ აქამდე არ დადიოდით ეკლესიაში?

— ცოდვა შემინდეთ, მამაო, არ მეცალა. სამკურნალო დანგრეული იყო. ამიერიდან კი მოცლილი ვარ და გეახლებით ხოლმე.

— მოინანიეთ და ღმერთიც შეგინდობთ, შვილო. მეც შემინდვიხართ.

სადილად დამპატიჟა, საუბარი შორიდან დავიწყეთ. ძველი შხამი დავივიწყეთ და ენები მოვითაფლეთ. ჩემმა კონიაკმა, კახურმა და პორტვეინმა გულში მამაშვილური სათნოება აღგვიძრეს და ბექაურსაც უშველეს. საღილი ტკბილი ჩაასით დამთავრდა, ვუთხარი:

— თქვენი ყაშა შხამიანი კაცია.

— მართალია, მაგრამ არ დაგითმობთ.

— არცა გთხოვთ. ღმერთმა დამიფაროს, რომ ეკლესიის შინაურ საქმეში ჩავერიო.

— არც თქვენი ბექაური ყოფილა ანგელოზი. ველურია, წარმართია.

— ბექაური ქართველია, ესე იგი ქრისტიანია.

— აგრე იყოს. მაინც ველურები ხართ. მუდამ მუშტსა და ხანჯალზე გიჭირავთ თვალი. ეხე-ხე!

— ეგეც მართალია. ჩხუბი ძალიან გვიყვარს, მაგრამ არც ყაშა ყოფილა ღვთის კაცი. თუ ვინმე თითს გაჰკრავს, ყაშა ორივე ყბას მოამტვრევს, ოხო-ხო!

— ოხო-ხო! აბეზარი კაცია ყაშა! იხი-ხი!

— აბეზარი, გესლიანი და ფლიდი. ცილი დამწამა. საპყრობილე არ ასცდება, საჩივარი შევიტანე.

ჩვენი ბაასი მტკიცე ზავით დასრულდა. შევთანხმდით: პავლე ქრისტეს გაიხსენებს, ჩერნოზუბოვსაც გაახსენებს, და ბექაურის თავს მაჩუქებს, მე კი საჩივარს დავიბრუნებ და სამუდამოდ დავუბრუნდები ეკლესიას.

პირობა ორივემ შევასრულეთ: ბექაურს დახვრეტა ხუთი წლის პატიმრობით შეუცვალეს, მე კი საჩივარი მოვსპე და.... ეკლესიაც და პავლეც დავივიწყე.

მაგრამ ბედმა არც ღვთისმმოსავი პავლე და არც მისი ჩსახური ყაშა დამავიწყა.

XI

დღე არ გავიდოდა, რომ დილით მაშადი ჰასანის წვრილს, ძლიერსა და მშვენიერ ძახილს არ გავეღვიძებინე:

— ლა-ამბალო-ო-ო-... ვი-ინოგრა-ა-ა-ად!..

— გამარჯვება, ლამბალო! — გადავსძახებდი ხოლმე ფანჯრიდან.

— საბახ ხეირ ოლსუნ, აღა! — შემომხაროდა მხიარული თათარი.

— აი რა მოგიტანე.

და საუცხოვო ხილს, გემრიელ ნაღებს, კარაქს, საბზას, ნუღას და რაჰათლუხუმს გადმოალაგებდა ხოლმე.

ერთხელ კბილები ჩვეულებრივზე მეტად გააღრიჭა და მითხრა:

— აღა, ლამბალოს ქორწილი აქვს.

— შენი ქორწილი? მართლა, ცოლს ირთავ?

— ვირთავ. ერთი „ყიზი“ ვიშოვნე, ისეთი ლამაზია, როგორც „ურუსის კუკლა“.

და გაბრწყინებულმა თათარმა საკუთარ ტუჩებს საჩის თითით მოსწყვიტა კოცნა და ზადიანად დააყოლა:

— ლამბალო! ლა-ა-ზათ!..

მერმე პირსახეზე ხვეწნა და მორცხვობა აისახა:

— აღა, ლამბალო „ბალაჯა ადამიანია“, — პატარა კაცია. ღარიბია, მაგრამ... ვალაჰ, ტკბილი გული აქვს.

ლამბალოს ისე ვუყვარვარ, როგორც ღვიძლი ძმა. ვალაჰ, ძმაზედაც მეტად ვუყვარვარ და მამაზედაც. ჩემთვის თავს გასწირავს, თუნდ ურმიის ტბაში გადავარდება, თუნდ ურუსის ხიშტზე აეგება. თუნდ...

— თუნდ ყაშა ლაზარეს გაჰყვება ყმად, არა?

არა, არა! ყაშას მეგობრობას ურუსის ხიშტიც კი ურჩევნიან. ნუ ვეხუმრები ლამბალოს. ყაშას სახელსაც ნუ გავახსენებ. ყაშას ღიმილს გველის შხამიც კი სჯობიან, ხოლო ლაზარეს რისხვა უფრო სანდოა, ვიდრე მისი ძმობა. მაშ ასე: ლამბალოს ჩემსავით ჯერ არავინ შეჰყვარებია, ვკითხე:

— არც რუსული კუკლა?

— აღა, ნუ სტანჯავ ლამბალოს! რას ჩააცივდი ყაშა ლაზარეს და რუსულ კუკლას? — თუ მართალი გინდა, ლამბალო შენი გულისთვის დღესვე თავს დაანებებს „ყიზის".

— ლამბალო, მართლა არ დაანებო თავი, თორემ მე მოვიტაცებ.

— ინებე, აღა, ინებე, მოიტაცე. ოღონდ შენ ისიამოვნე, თორემ იმ ქალის მოტაცებაში ლამბალოც გიშველის და ნოქრადაც გაგყვება. ღმერთმანი, გაგყვება, ახა-ხა! იმ ქალს მოიტაცებს და მოგიყვანს, ოხო-ხო!

— იოლდაშ, ლამბალო, ის „ურუსული კუკლა" შენთვის დამითმია, მაგრამ ერთი პირობით: მე მეორე თათრული „კუკლა" უნდა მიშოვნო, შევირთავ, მაჰმადის სჯულსაც ვიწამებ და აქ დავრჩები.

ლამბალო ჰყვირილ-ხარხარით ამოცოცდა ფანჯარაზე და წელი კეტივით ამოფშიკა: ახა-ხა! გურჯი იოლდაშო, ხელი მიეცი ლამბალოს, ხელი! „ალ ვერ ალ!" დღესვე მოგიყვანს ლამბალო პირველ მზეთუნახავს, თუნდაც ორს, ხუთს, ათსაც და ასსაც, იხი-ხი! მოლაც აქვეა, ხუთ წუთში მოგნათლავთ. კაიდარ-მოლა გალესილ დანას აიღებს, ერთხელ დაიქნევს, ჩიკ! და გათათრდება ექიმბაში, იხი-ხი! ოხო-ხო! აღა, ხელი მიეცი ლამბალოს, ხელი!

ლამბალომ ვერ მოისვენა, სანამ არ მათქმევინა:

— კარგი, ლამბალო, კარგი, პირობას გაძლევ, რომ ხვალ შენი სტუმარი ვიქნები.

ხტუნვით გაიქცა, ვირს მოაჯდა, ერთხელ კიდევ მოიბრუ-

ნა გაზაღრული-გრუზა პირსახე. თავი დამიქნია და ვირი ტორ-ღით დასძრა:

— ხოშ! ხოშ-ხოშ!

და ზარის ხმით თავისებური გააბა:

— ლა-ამბალო-ო-ო-ო!.. ვი-ინოგრა-ა-ად!..

XII

სოფელი ასკერაბადი ურმია-დილმანის გზაზეა გაშენებული. მაშადი იზათი და ლამბალო იქაურები არიან. სუფთა სახლკარი და კოხტა ბაღი აქვთ.

იმ ბაღს გვერდით ორი ბაღ-ბოსტანი აკრავს. ერთი წითელ ჯვარს აქვს აღებული იჯარით, მეორე კი ეპისკოპოსს პავლეს..

ჩვენს ბაღს მაშადი იზათი და ლამბალო უვლიან, მისი ონერებისას კი — ყაშა და ვიღაც აისორი.

იმ ბაღს და ასკერაბადს შევეჩვიე. ხშირად წავალ ცხენით, იქაურობას მოვივლი, მერმე მაღლა აივანზე ჩამოვჯდები და ახალ ხილს შევექცევი ხოლმე.

ლამბალოს და იზათს მუდამ მოაქვთ იმ აივანზე მცირე ნობათი: ჩაი ფინჯნით, ნაღები და სპარსული ტკბილეული არც მე ვიღებ ვალს: ურმიის ბაზრიდან მცირე საჩუქარი მიმაქვს და იზათის ჯალაბ-ჯულაბს ვუგზავნი.

მე და ლამბალო „იოლდაშები" ვართ. ისე დამტრიალებს თავთ, რომ ბუზიც ვერ მიახლოვდება ხოლმე. ლამბალო მანებივრებს. მრავალჯერ დავუშალე, მაგრამ იწყინა. რა მექნა! ასე ესმოდა თათარს ჩვენი იოლდაშობა.

ზოგჯერ იქვე ჩამოჯდება, ყურს ხელის გულზე დადებს და აღიღინდება:

— აი ბალამ, ბალამ... ნა ტურუვსან, ტალ ბაშინა ნაითაქი, მამალარინ ვერიფ ეივან ყართაქი, აი ბალამ, ბალამ...

როცა ცხენს მოვაჯდები და წამოვალ, ჩემი იოლდაში უეჭველად მომაყოლებს უკნიდან:

— ლა-ამბალო-ო-ო!.. ვი-ინოგრა-ა ად!..

მეორე დღეს ასკერაბადში ადრე წავედი. ლამბალოს „თოი" — ქორწილი იმ დღისათვის იყო დანიშნული.

სტუმრად მისვლა ჯერ ადრე იყო. ჩვენი სახლის მაღალ აივანზე გავედი და იქაურობას გადავხედე.

დიდი გზაზე ქარავანი მოსჩანს. ოციოდე თათარი მოდის — ზოგი ფეხით, ზოგი ვირით და ზოგიც ცხენით. საზეიმო ნაბიჯით მოაბიჯებდნენ და თან ჭრელი სკივრები, ბალიშები, საბნები, ჭურჭელი და მრავალი ახალი ნივთი მოაქვთ. მივხვდი: დედოფლის მზითევი ლამბალოს სახლში გადმოჰქონდათ.

უცებ ქვემო ბაღიდან ვირზე შემჯდარი ყაშა ლაზარე გამოვიდა. ცალ ხელში უზარმაზარი გაშლილი ქოლგა ეჭირა, ხოლო მეორეში — გადაფურცვლული ლოცვანი.

ქარავანი რომ დაინახა, ვირი შეაყენა და ლოცვანი დაჰკეცა. მომავალნი რომ გაუსწორდნენ, ყაშამ უცნაური პრანჭვა დაიწყო: წითელ თავს და გრძელ ხელებს იქნევდა, ღრიჭებოდა, გაუგებარ რამეს ჰბოდავდა და ხითხითებდა. ხან ქოლგას აიქნევდა საქონლის დასაფრთხობად, ხან დაუსტვენდა, ხან პრუწუნებდა და ხანაც იმ თათრებს ცოფიან მაიმუნივით აფურთხებდა.

ალბათ თათრებიც კარგად იცნობენ ყაშა ლაზარეს. წინამავალმა თათარმა დანარჩენებს რაღაც გადასძახა. მისი ბრძანება ერთმანეთს გადასცეს და ისე გაუარეს გვერდით, რომ ზედაც არ შეხედეს, თითქო დორბლიანი ქრისტიანის ნაცვლად იმ ალაგზე ნეხვი ეგდო.

ყაშა ამან უფრო გააცხელა. პრანჭვას, დორბლსა და პრუწუნს უმატა. მგზავრები — მუსლიმანები და აისორები შესდგნენ. მუსლიმანები იცინოდნენ, აისორები კი დაღონდნენ. სამი მათგანი ყაშასთან მივიდა, შეარცხვინეს და დამშვიდება სცადეს, მაგრამ ამაოდ. ქარავნის კუდს კიდევ რამდენჯერმე მიაფურთხა, მუქარა მიაყოლა და შესტვინა, მერმე ვირი მიაბრუნა, ქოლგა გაშალა, ლოცვანი ისევ გადაჰფურცლა და წავიდა.

ქარავანი ლამბალოს ეზოში შევიდა. მას მაშადი იზათი და ჯალაბ-ჯულაბი მიეგება.

მეც ჩასავალს იყო. მაშადი იზათი და ხუთიოდე მოხუცი ჩემ ბაღში გადმოვიდნენ, შუაში ჩამიყენეს, წამიყვანეს, და დიდი პატივით შემიყვანეს მოზრდილ დარბაზში.

კაიდარ-მოლა და პატივცემული თავი-კაცები ფეხზე ამიდგნენ და ღრმესი სალამი მომცეს. მეც ასეთივე სალამით ვუპასუხე.

აგურით ნაგები იატაკი ხალიჩებით და ფარდაგებით არის

დაფენილი, შუა დარბაზში გრძელი ლურჯი სუფრაა გაშლილი. ზედ მრავლად ჰყრია ყვავილები, მწვანილი, ლავაშები, მრავალნაირი ყველი და ჩემთვის ჯერ უნახავ-უჭმელი მშრალი სანოვაგე. ჭამა-სმას ჯერ არ შესდგომიან. ჯერ დედოფალი არ მოუყვანიათ.

სტუმრები კედლების ჩაყოლებაზე დგანან და ჩემს დაჯდომას ელოდებიან. მაშადი იზათი საპატიო ალაგს მთავაზობს. მე სანამდის არ დავჯექი, მანამ ჩემს გვერდით მდგომი მოხუცი მოლა არ დავსვი. ჩემი ზრდილობა ესიამოვნათ. მერმე ყველანი მუხლის თავებზე ჩაცუცქდნენ და გახევდნენ.

ლამბალო „კუკლას“ მოლოდინით და ჩემი სტუმრობით არის აშლილი და აღარ იცის, როგორ მასიამოვნოს, ჰფუსფუსებს, თავს მევლება და იძახის:

— აღა, აქ დაბრძანდი. აღა, ხომ არაფერი გნებავს? აღა, როგორ ბრძანდები? აღა, შენ გენაცვალე, არ მოიწყინო.

კაიდარ-მოლამ მანავას „ბრძოლა“ და მინდიაშვილი გამახსენა.

მალე გარედან ზურნის ჰყვიტინი და კიჟინი მოისმა და ეზო ხალხით გაივსო. ჩადრში გახვეული დედოფალი ცხენიდან ჩამოსვეს, დარბაზში შემოიყვანეს და მისი ფუნჩულა ხელი ლამბალოს თათში ჩაუდეს.

დილითვე მცირე საჩუქარი გამოვგზავნე — ტკბილი ღვინო და კონიაკი, ხოლო წედან ლამბალოს მაჯის საათი და ლალის ბეჭედი გადავეცი. ეხლა ის საათი ლამბალოს ჰქონდა მაჯაზე, ხოლო ბეჭედი იმის „კუკლას“ ფუნთუშა ხელს უმშვენებდა

სანამ კაიდარ-მოლა ყურანიდან შესაფერ სურას კითხულობს, მე შავს ფარჩაში გახვეულ „კუკლას“ შევყურებ და ვფიქრობ:

აი აღმოსავლეთი, აი მაჰმადის მსხვერპლი. ვიღაც უცნობი და უხილავი შავს კუბოში ჩასვეს, ეს კუბო „კუკლა-ყიზიმ“ სიკვდილამდე უნდა ატაროს. ვინ არის შიგ? მახინჯი თუ მშვენიერი? ქერა თუ შავგვრემანი? ავი ალქაჯი თუ კეთილი ანგელოზი? რა უწერია თვალებსა და გულში — ღიმილი თუ ქუში, სიხარული თუ დარდი, სევდა თუ შვება? არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. არც სხვებმა იციან. ჩემთვის ეს ქალი და ქალებიც, „კუკლას“ რომ შემოეხვივნენ, ჩადრში გახვეული მოძრავი ჩონჩხებია და სხვა არავინ. თითქო ქალი მხოლოდ ერ-

თისთვის ცოცხლობს, ისიც მხოლოდ ოთხი კედლის შუა, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა იქ უცხოს თვალი არ მოსჩანს.

კაიდარ-მოლამ ლოცვა გაათავა და ვერცხლის სურიდან ნეფე-დედოფალს ხელებზე ერთი მუჭა წყალი გადაასხა. მერმე ლამბალო და „ყიზი კუკლა“ მეორე ოთახში შეაცილეს. მე კი ისევ ვფიქრობდი:

იქ, იმ ოთახში, ის უცნობი პატარა ქალი იმ შავი კუბოჩადრიდან გამოვა და, ვინ იცის, რა ცეცხლით, რანაირი თვალებით, ტუჩებით, მკერდით და ტანით მიეგებება ფაფარაყრილ ლამბალოს. ვინ იცის... მაგრამ სულ ერთია: იყავ ბედნიერი, მაშადი ჰასან! მისაცემი მიუძღვენ პატარა „ყიზის“ და შენი ხვედრიც მიიღე. მშვიდობაში და გახარებაში, ჩემო „იოლდაშო“ ლამბალო!

დედაკაცები თავიანთ ოთახში — „ენდერუნში“ — გავიდნენ, მამაკაცები კი „ბირუნში“ სუფრას შეუდგნენ. ყველანი ჩოქით ისხდნენ. მე ბალიშზე მოვიკეცე. კაიდარ-მოლამ და მაშადი იზათმა შუაში ჩამისვეს.

ერთმა მოხუცმა მოლას რაღაც ჩასჩურჩულა. კაიდარ-მოლამ წვერ-ულვაშში ჩაიცინა და განაცხადა:

— ვისაც აცივ-აცხელებს, იმას ნება აქვს შეითანის სასმელი დალიოს. კარგი წამალია.

„კარგი წამალი“ ჩემი ღვინო და კონიაკი გამოდგა, ხოლო იმოდენა ხალხში ერთიც არ აღმოჩნდა, რომ ციებ-ცხელება არ ჰქონებოდა.

შერბეთი, კონიაკი და ტკბილი ღვინო ერთმანეთში აირია. თაოს ჰიანური მოსდევდა. ჰიანურს ზურნა, სალამურს ბაიათი.

ღვინომ ნელ-ნელა შუბლი გაგვიშალა, გული გაგვიხსნა და ერთმანეთის „იოლდაშ“ „ყარდაშ“-ებად გადაგვაქცია. აქეთიქიდან წამდაუწუმ მესმოდა:

— გურჯი ალა... გურჯი აქიმ... გურჯი ყონაღ.

მალე გამოირკვა, რომ მე, შორეული გურჯი, და ის მდაბიო თათრები, თურმე ღვიძლი ნათესავები ვიყავით; რომ მე და ინით შეღებილი ჯალილები, თავმოპარსული რაზახები და სუნიანი ჯებრაილები სადღაც და ოდესღაც ერთად შევიზარდენით და იდუმალი მეგობრული ჯაჭვებით შევიჯაჭვენით. ვინ, როდის, რად ან როგორ გააბა ეს უხილავი სიმები — არც ეხ-

ლა მესმის. რას ელოდნენ დაშრეტილი სპარსები. და თარაქამა თათრები ოდესღაც თავიანთივე ხელით დაწრეტილი ერთი მუჭა გურჯებისაგან? შველას? არ შეგვეძლო. დაჩაგრულთა იდუმალ კავშირს? აგრე მგონია. თანაგრძნობასაც? ვგრძნობდი, მესმოდა.

დიდი დრო იყო. გულში დიდი იმედები გვქონდა და დიდ მომავალს მოველოდით.

XIII

ნადიმი გაგვიგრძელდა. მზე ამოვიდა. კარებში ლამბალომ თავს მოვკარი თვალი. ღიმილით და თითით მანიშნა გავსულიყავი. მეც ავდექი და ეზოში გავედი.

— აღა იოლდაშ, — მითხრა ლამბალომ ჩურჩულით, — მუსლიმანს აკრძალული აქვს ქალის ჩვენება, მაგრამ შენ ჩემი იოლდაში ხარ და ძმასავით მიყვარხარ, ამიტომ... აქეთ წამოდი, არავინ დაგვინახოს

ეზო გამატარა და ბაღში შემიყვანა. დაბურულ შამპიანში შავს სუდარას მოვკარი თვალი.

— ზეკია ყიზი, — უთხრა ჩადრში გახვეულს ლამბალომ, — აი ჩემი ძმა და მამა. შენი პირით გადაუხადე მადლობა. ეგ ჩადრი მოიხსენი, ნუ გრცხვენიან... არავინ არ გვხედავს.

შავი ფარჩიდან ნელ-ნელა ჯერ შავი თმა გამოჩნდა, მერმე თეთრი შუბლი გადაიშალა, შემდეგ ორმა თვალმა — დიდრონმა, შავმა და ბავშვურმა თვალებმა შემომანათეს.

ლამბალო მიეშველა: თითი ჩადრს გამოსდო, ჩამოსწია და სუდარაკუბოდან თოთხმეტიოდე წლის პირსახემ მორცხვად გამიღიმა. მართლა „კუკლას" „ჰგავდა, მაგრამ უფრო თათრულს, ვინემ რუსულს.

— ზეკია ხანუმ, — წრფელი გულით გავახანუმე ზეკია ყიზი, — დაქორწინებას გილოცავ. ძალიან კარგი ქმარი გიშოვნია. მაშადი ჰასანი პატიოსანი, მხიარული და მშრომელი კაცია. ერთგულად ემსახურეთ ერთმანეთს და თქვენს ბედნიერებას დასასრული არ ექნება.

— მეც აგრე ვუთხარი, აღა, — ჩაერია გაბადრული ლამბალო და „კუკლას" მიუბრუნდა: — ყიზი, მადლობა მოახსენე აღას.

— ჩოხ რაზიამ... ჩოხ საღოლ, აღა, ჩოხ! — მადლობელი ვარ აღა, დიდი მადლობელი, — წაიჩურჩულა ზეკია ყიზიმ. მერე უცებ ხელზე მაკოცა, შალში გაეხვია და ბუჩქებიდან გავარდა. მე თვალი დავადევნე პაწაწინა ფეხებს, რომელნიც პატარა ქალს მარდად მიარბენინებდნენ.

უკვე ჩამოცხა, როცა „იოლდაშ“ მასპინძლებს მხურვალე მადლობა გადავუხადე და ჩვენს ბაღში გადმოვედი. სანამ ცხენს მომიყვანდნენ, მაღალ აივანზე გავეშოვდექი და ურმია-დილმანის დიდ გზას გადავხედე.

გზა სავსეა მგზავრი თათრებით და აისორებით. აქა-იქ რუსული სამხედრო ურმები და ყაზახ-სალდათებიც მოსჩანან. ქვეიდან გრძელი სამხედრო ალალი მოდის. ზევიდან აქლემის ქარავანი მოაბიჯებს.

იმ გზაზე თვალი კაიდარ-მოლასაც მოვკარი, რომელსაც წელან გამოვემშვიდობე. მისი თავჩაღუნული ვირი მარდად მიაბიჯებს. კაიდარ-მოლაც თავჩაღუნულია. ცალ ხელში გადაშლილი ყურანი უჭირავს და კითხულობს, მეორეში კი გაშლილი ქოლგა აღუმართავს.

ქვეიდან მეორე ვირი გამოჩნდა. ზედ წითელი ყაშა ზის. იმასაც ქოლგა და ლოცვანი უჭირავს. ორივე ღვთის მსახური ისეა გართული ქრისტესი და მაჰმადის ნაქადაგარით, რომ ვერც ირგვლივ ამჩნევენ ვინმეს და ვერც ერთიმეორეს ხედავენ.

აქლემების ქარავანი და რუსული „აბოზი“ ერთმანეთს შეხვდნენ და გზა გასტენეს. ყაშასი და მოლას ვირები დარჩენილ ვიწრო ბილიკს გაჰყვნენ, ბოლოს ერთმანეთს თავებით დაეტაკნენ და შედგნენ.

ყაშამ და მოლამ ერთსა და იმავე დროს მოსწყვიტეს თვალები წმინდა წიგნებს და ერთმანეთს შეაჩერდნენ. მერმე, როგორც მორწმუნენი ამბობდნენ, ასეთი პაასი გააბეს:

— რატომ გზას არ მაძლევთ? — გაიკვირვა ყაშამ.

— რატომ თქვენ არ მაძლევთ? — გაოცდა მოლაც.

— მე წმინდა სახარებას ვკითხულობ. — რიხით გაახსენა კაიდარ-მოლას მართლმადიდებელმა.

— მე კი წმინდა ყურანს ვკითხულობ. — [illegible] ყაშას საბუთი მუსლიმანმა.

— რომ კიდევაც დამენახვეთ, ქრისტიანი ყაშა წარმართ

მუსლიმანს გზას არ დაუთმობდა. — შეუტია წითელმა მღვდელმა.

— ყაშა ლაზარ! თქვენი პირიც ისეთივე უწმინდურია, როგორც თქვენი ფეხი, რომელსაც წელიწადში ერთხელაც ძლივს დაიბანთ ხოლმე, ხოლო თქვენი სიტყვაც ისეთივე უწმინდური, როგორც თქვენი ვირის ყროყინი. — დინჯად მოუჭრა ჭაღარა მოლამ.

— ჩემი კი არა, თქვენი ვირია უწმინდური. — გაკაპასდა ყაშა.

— ჩემი ვირი თავრიზის მუშთეჰიდის საჯდომი ვირის ჩამონავალია, — გაახსენა თურმე ყაშას კაიდარ-მოლამ ერთი ვირის ჯიშიანობა, — ხოლო თქვენ და თქვენი ვირიც ერთი უწმინდური სულიერის ნაკეთები ბრძანებულხართ.

აივნიდან დავინახე: ყაშა ლაზარემ ქოლგა დაჰკეცა და მისი წვერი მოლას ვირს დაატაკა. კაიდარ-მოლამაც დაჰკეცა თავის ქოლგა და მისი წვერი ყაშას ვირს უჩხვლიტა. ეხლა კი მკაფიოდ მომესმა მათი მუქარა და კივილი:

— გზა მომეცი, შე უწმინდურო! — აფეთქდა ყაშა — Давай дарог, басурман паршивый-й-й!*

— დოღუზ! ით! — გაცხარდა კაიდარ-მოლაც.

ყაშა ლაზარემ ქოლგა მოიქნია და კაიდარ-მოლას დინჯად დაჰკრა შუბლში, თანაც დააყოლა:

— Вот тебе, чорт окаянный!**

კაიდარ-მოლამ ქოლგის წვერი ყაშას წაჰკრა და აჭრელი ქუდი მტვერში გადმოუგდო.

ყაშა გაცხარდა და გავიდა; ვირიდან გადმოხტა, მოხეცი მოლა ვირიდან გადმოიღო და მტვერში აგორავა. მუშტით და ფეხით სცემდა და იმეორებდა:

— Вот тебе! Вот тебе! — ესეც შენ! ესეც შენ!

რუსი სალდათები იცინოდნენ და იძახოდნენ:

— Ай да по-оп! Ай-да Мулла-а!*

ქარავანს ხუთიოდე თათარი მოსწყდა. კაიდარ-მოლას გაგიჟებული ყაშა ააგლიჯეს და აბურთავეს.

ყაშას ათიოდე მგზავრი აისორი მოეშველა. მოლასაც ათიო-

* გზა მომეცი, შე წუწკო მუსლიმანო!

** აჰა, შე შეჩვენებულო!

* შეხე, რა მღვდელია! რა მოლაა!

დე თათარი წაესარჩლა. ყოველი მხრიდან კივილით და მუქარით მორბოდნენ. ჰაერში ჭობი ტრიალებდა. მოჩხუბარნი მტვრის კორიანტელში გორაობდნენ.

უცებ მარჯვენა მხრიდან ნაცნობი კიჟინი მომესმა:

— ლამბალო, ქოფა-ოღლი!

მაშინ ჰასანი მტვერში შეერია. განზე ყაშა ლაზარე ერთ თათარს სჯიჯგნიდა, ლამბალო ყაშას წაადგა და შესძახა:

— ყაშა ლაზარ, ლამბალო! მობრუნდი!

ყაშამ ანაფორა გაიძრო, ერთმანეთს ეცნენ და წესიერი კრივი გაიმართა, არც ძიძგილი, არც ჭიდილი. ყაშას კრივი ალბათ რუსეთში ჰქონდა ნასწავლი, ლამბალოს კი ტფილისში, ავლაბარში ან ვერაზე. მათი მუშტების ბაგაბუგი მეც მკაფიოდ მესმოდა. რუსები და ზოგი მოჩხუბარი გარს შემოეხვივნენ და წესიერ კრივს ხალისით, კიჟინით და წაქეზებით უცქეროდნენ.

ყაშა უფრო ღონიერი იყო, მაგრამ ლამბალო უფრო მარდი აღმოჩნდა. მუშტი და სილა სეტყვასავით დააყარა. როცა სავსე მუშტს ფერდში მისცემდა ან გაშლილ სილას ყბაში გაულაწუნებდა, ზედ მხიარულ ყიჟინასაც მიაყოლებდა:

— ლამბალო, ქოფა-ოღლი!

— Так его, так его!** — ამხნევებდნენ სალდათები, — ოხო-ხო! ყაშა რამდენჯერმე წაბორტმანდა და წაიქცა. ლამბალო წაქცეულს ხელს არ ახლებდა, მაგრამ წამოწეულს სულსაც არ მოათქმევინებდა. ყაშა უკვე ლასლასებდა და ხელებს ჰაერშიღა ასავსავებდა.

— ლამბალო! — მიაძახა ერთხელ კიდევ თათარმა და ისე მძლავრად დასცა ორივე მუშტი, რომ გულაღმა გადაქცეული ყაშა ველარ წამოდგა.

— ოხო-ხო! — იფეთქეს რუსებმა.

კრივი გათავდა. დანარჩენი მოჩხუბარნი სალდათებმა გააშველეს და მალე ლანძღვა-გინების ნაცვლად სიცილიღა ისმოდა, ხოლო საერთო სიცილს ჰასანის გულუბრყვილო ხარხარი ჰფარავდა. დოინჯშემოყრილი ფალავანი შუა გზაზე იდგა და იძახოდა:

— ლამბალო, ყაშა ლაზარ!.. ახა-ხა! თქვენ ჰეი, კურტანჩი,

** აგრე უნდა, აგრე!

ქვას და ჯოხს თავი დაანებეთ და ვაჟკაცურ კრივში გამოდით. ისე გაკოტრიალოთ, როგორც ბურთი, ოხო-ხო!

ნელ-ნელა დაიშალნენ. აღალი და ქარავანი თავიანთ გზას გაჰყვნენ. კაიდარ-მოლამ ისევ გაშალა ქოლგა, ყურანიც გადაჰფურცლა და თავრიზის მუშთეჰიდის ვირი თოხარიკით წაიყვანა.

ლამბალომ ლიტრით მოარბენინა წყალი და ყაშა მოასულიერია. მერმე მისი ქოლგა, ანაფორა და სახარება იპოვნა და ჩააბარა. ბოლოს ვირიც მოუყვანა, ზედ შესვა და გაისტუმრა, თანაც ლმობიერი და „იოლდაშური" დარიგება მიაყოლა:

— ყაშა ლაზარ, გული არ გაიტეხო, ვალაჰ, კარგი კრივი გცოდნია. ალაჰმა სხვებთან მოგახმაროს, მე კი თავი დამანებე.

მერმე ჩემსკენ მოიხედა, კბილებით გამიცინა, ორივე ხელიყურებთან გაიშალა და ჩემი საყვარელი ჰანგი ზარის ლარივით გააბა:

— ლამბალო-ო-ო-ო!.. ვინოგრა-ა-ად!..

XIV

ერთი საათის შემდეგ ქალაქში დავბრუნდი. სამკურნალოს მახლობლად უცნაური ქარავანი შემხვდა. სისხლით შეთხუპნილი, ვირზე შემჯდარი ყაშა ასიოდე ჩამოფხრეწილ აისორს მოუძღოდა. დაკეცილი ქოლგა იღლიაში ამოეჩარნა, ხოლო მეორე ხელში გაშლილი ლოცვანი ეჭირა.

მრავალი აისორიც დასისხლიანებული იყო. წუწუნით და ოხვრით მილასლასებდნენ. თათრები და სპარსელები უცნაურ ქარავანს ღიმილით შესცქეროდნენ და ჩუმ-ჩუმად ოხუნჯობდნენ.

ჩემი თანაშემწე ექიმი შემხვდა და ღიმილით მითხრა:

— ყაშას ლაშქარს თურმე სისხლიანი ბრძოლა ჰქონია თათრებთან. სასტიკად დამარცხებულან. აი რამდენი დაჭრილი ჰყოლიათ.

— ეხლა სად მიდიან?

— საჩივლელად, თავიანთ მთავარსარდალთან, ეპისკოპოს პავლესთან მიდიან.

— მერმე, ამოდენა დაჭრილი?! საიდან, როგორ? ის „საზარელი ბრძოლა“ მეცა ვნახე, მაგრამ...

ჩემმა თანაშემწემ ბრძოლის აწერილობა მოისმინა და ისევ გაიცინა:

— პატარა ბიჭებს ასეთი სურათი უნახავთ: ყაშამ ერთ ეზოში თანამებრძოლნი და ხუთი იმდენი მათხოვარი შეჰკრიბა, ხუთიოდე ქათამი დააკვლევინა და მათი სისხლით თვითონაც მოისვარა პირსახე და ოციოდე აისორიც შეთხუპნა. შემდეგ ვირს მოაჯდა და ნაბრძოლ აისორებს ქრისტესავით წარუძღვა. შემდეგსაც მალე ვნახავთ. „დაჭრილები“ დახმარებას მიიღებენ. ეს კიდევ არაფერია: აირევა მონასტერი.

მონასტერი მართლა მალე აირია. მართლმადიდებელ რუსულ მისიაში „დაჭრილებს“ მოუალერსეს: გაცვეთილი საცვალი და თითო მუჭა თამბაქო დაურიგეს და შემდეგისათვისაც მრავალს დაჰპირდნენ, თუ „დაჭრილები“, რა თქმა უნდა, უკან არ დაიხევდნენ და საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ:

ეპისკოპოსი პავლე თურმე ლამაზ წვერს იგლეჯდა და ჰგრგვინავდა:

— მაშ ქრისტიანი არა ვყოფილვარ, თუ უწმინდურებს ასეთი თავხედობა შევარჩინე. ჩამოვახრჩობ! ციხეში დავალპობ! აქაურობას ავიკლებ და შევმუსრავ!

მერმე თურმე ყაშა ლაზარე დაარიგა:

— ყველანი ითრიმალე. უდ ლოპულესთან წადით და საჩივარი შეიტანეთ. თუ ის წუწკლები არ დასაჯა, ყველაზე მეტი მაგას მოხვდება.

„დაჭრილები“ ვალისთან წავიდნენ, ხოლო ქრისტიანი ეპისკოპოსი იმავე დღეს, წირვის დასასრულს, ასე უქადაგებდა კორპუსის სარდალსა და ავიცრებს:

— წმინდა რუსულ საქმეს ამ დაწყევლილ ქვეყანაში ლამის აღსასრულის დღე დაუდგეს: უწმინდური მუსლიმანები ისე გათამამდნენ, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანებს გზაზე გავლაც კი აღარ შეუძლიათ. უმანკო აისორებს თავთ ესხმიან და ქვებით ჰქოლავენ. მერმე სად და როდის ხდება ასეთი თავხედური ამბები? იგი ხდება ჩვენს ქვეყანაში, ურმიაში. დღეს ძლევამოსილი რუსის ჯარი წმინდა სისხლით რწყავს აქაურობას, ხოლო აქვე, ჩვენს თვალწინ, ამავე დროს, თავგასული „პერსუკები“ ჩვენი ერთმორწმუნე ხალხის სისხლს

ღვრიან. ჩვენი ხელისუფალნი კი თითქოს ვერაფერს ხედავენ. მართლმადიდებელნო! ხელისუფალნო, მეფისა და რუსის ერთგულნო, როდემდის უნდა ვითმინოთ ასეთი სირცხვილი?! როდემდის უნდა ვზიდოთ ასეთი დამცირება დიდისა და წმინდა რუსეთისა?

როცა წირვა გათავდა, სარდალი ჩერნოზუბოვი მრისხანე ეპისკოპოსს გაეპარა. სამაგიეროდ მეომარ ბერს ხელში კონსული ნერატოვი ჩაუვარდა. დიპლომატმა თურმე ასე იმართლა თავი:

— ომი ჯერ არ გათავებულა, ვითარება მეტად რთულია. ჩვენი მოკავშირენი აქვე სხედან და თვალყურს გვადევნებენ. ცოტაც უნდა მოვითმინოთ. ჯერჯერობით სპარსეთში ვართ.

— სპარსეთში?! — იფეთქა თურმე მოუთმენელმა ბერმა. — სპარსეთში კი არა, რუსეთში ვართ, რუსეთში! სადაც რუსის სისხლი დაიღვრება და სადაც რუსის სამხედრო დროშა ჰფრიალებს, ის ქვეყანაც ჩვენია-მეთქი!

ჭკვიანი და მომთმენი კონსული თურმე ძლივს მოსწყდა სულწასულ ბერს.

იმავე დღეს მითხრეს: თურმე პავლემ ექვსი მრისხანე დეპეშა გაუგზავნა სინოდს, სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრებს, მეფის ნაცვალს ტფილისში, რუსეთის გენერალურ კონსულს თავრიზში და რუსეთისავე ელჩს თეირანში.

აღვირაგლეჯილმა ბერმა თაგვების კინკლაობა მუსლიმანების აჯანყებად და ქრისტიანების ამოწყვეტად გადააქცია და ყველას აბეზღებდა: ჩერნოზუბოვს, ნერატოვს, ითიმად უდ დოულეს და ურმიის კომენდანტს ბერეზოვსკის. ყველამ თურმე პირი შეჰკრეს ქრისტიანების ამოსაჟლეტად და მაჰმადის მწვავე დროშის ასამაღლებლად.

საღამოზე ითიმად უდ დოულეს სანახავად წაველი და დიდ ქუჩაზე ისევ მოხეტიალე ქარავანს წავაწყდი. ვირით მომავალი ყაშა დაღვრემილიყო და არც იმის ჯარს ეტყობოდა მხნეობა და ძლევამოსილება.

ითიმად უდ დოულემ მომჩივნები რუსეთის კონსულს გაუგზავნა. ნერატოვმა საჩივარი მოისმინა და იმოდენა ბრბო ისევ ვალის დაუბრუნა. ვალიმ ორი საათი აცდევინა და ისევ ეპისკოპოსთან გამოჰგზავნა, ხოლო მისიის მთავარმოძღვარმა ჩერნოზუბოვს მიუსია.

— ირანი იღუპება. — ატირდა ჩემი მასპინძელი, თან სა-რაჯიშვილის კონიაკს ციებ-ცხელების წამლად მიირთმევდა და მეც მასმევდა. — აი დღევანდელი მაგალითი. ერთმა ყაშამ ლა-მის მთელი სპარსეთი აიკლოს. მის წვრილმან გაიძვერობას თა-ვი დავანებოთ. ჯერ ურუსის ჯარს ქურთების სოფლები დააწ-ვეინა და რამდენიმე ათასი ჩვენი ქვეშევრდომი ოსმალეთში გადახიზნა. ეხლა კი ოციოდე მამლაყინწის კინკლაობა ლამის აჯანყებად გადააქციოს.

— ყოველივე პავლეს ბრალია. — ჩავურთე მის წუწუნს სამი სიტყვა.

— ვიცი. ვუ სავე. მონ შერ ამი, თქვენი მუშთეპიდი პოლი ცხვარივით მშვიდს მუსლიმანებს ბოლოს მართლა ააჯანყებს. ვინ იცის, იქნება საბაბსაც ეძებდეს. მთელს ქვეყანას დეპე-შები გაუგზავნა და ისე ასწერა საქმე, თითქო...

— ვიცი, როგორც ასწერა.

— ნამდვილად კი აი თურმე როგორ ყოფილა.

— ეგეც ვიცი, თავით-ბოლომდე ჩემივე თვალით ვნახე.

— მართლა? — გაუხარდა ვალის. — მიამბეთ, მონ შერ ამი, სრული სიმართლე მიამბეთ.

თხოვნა შევუსრულე. ვალის იმედი მიეცა:

— მაშ მოწმედ გამოდგებით?

— დიდი ხალისით, მონ შერ ვალი.

— თქვენი მოწმობა დანარჩენ მოწმეებს ათჯერ მაინც სჯო-ბიან, ვინაიდან თქვენ ურუსის ჯარის ექიმი და ქრისტიანი ბრძანდებით.

— მესმის. იქ რუსის სალდათებიც იყვნენ. იპოვნეთ და დაამოწმეთ.

ვალი დაიმედებული დავტოვე, მაგრამ მეორე დღეს ორი-ვე იმედი გაგვიცრუვდა. პავლე ბერმა რუსეთის სარდალსაც და კონსულსაც მტკივანი ალაგები უპოვნა და ზედ დააჭირა. სარდალიც და კონსულიც ოთიმად უდ დოულეს მიაწვნენ. იმა-საც ასეთი ალაგი უპოვნეს და ორმოციოდე თათარი საპყრო-ბილეში ჩააყრევინეს.

მაშადი იზათი ისევ ჩემს კარებთან აიტუზა.

— მაშადი ჰასანს დიდი ბორკილები დაადეს. შენ მეტი მშველელი არავინა გვყავს. ჰასანის „არვადიც" — ცოლიც გეხ-ვეწებათ.

საწყალი ზეკია ყიზი! მხოლოდ ორი დღე-ღამე გაატარა თავის ქმართან. ადრე გაჰყარეს. ვინ იცის როდისღა შეეყრება ხელმეორედ მხიარულ ლამბალოს? სპარსული საპყრობილე ადვილად გააღებს ხოლმე შავ პირს ტუსაღის ჩასაყლაპავად, უკანვე კი ძალიან ძვირად გადმოაგდებს.

მაშადი იზათი დავამშვიდე და ვექილობას შევუდექი. თავდაპირველად გენერალ ჩერნოზუბოვს ვეწვიე და ვუთხარი:

— თქვენო აღმატებულებავ! მაშადი ჰასანი ჩვენი მებაღეა. გარდა ამისა, ის ჩხუბი თავით-ბოლომდე ჩემი თვალით ვნახე.

დაწვრილებით ყოველივე ვუამბე.

— მესმის... მაგრამ... საკვირველია, რაღა ყველგან თქვენ შეეხეჩებით ხოლმე ყაშა ლაზარეს?

— ყაშა ჩემი მოსამსახურე იყო, გენერალო, ამიტომ...

— ვიცი, მაგრამ... რადგან... ვინაიდან...

ერთი სიტყვით, ეს ჩემი საქმე არ არის. რუსეთის მოხელე „პერსუკებს" არ უნდა ესარჩლებოდეს, ისედაც მთელი ქალაქი ჩემზე ლაპარაკობს. ბაზარში ისე არ გავივლი, რომ თათრებმა ჩურჩული არ ასტეხონ: გურჯი მოდის, გურჯიმ სთქვა, გურჯი წავიდა.-რა არის ამის მიზეზი? რა კავშირი მაქვს „პერსუკებთან"? რუსებს და სომხებს უბღვერენ, ქართველებს კი ულიმიან და შეხარიან. აქ რაღაც საეჭვო ამბავია. ჩერნოზუბოვმა კარგად იცის იდუმალი სარჩული იდუმალი მეგობრობისა, მაგრამ... ერთი სიტყვით, სჯობია საეჭვო ვექილობას თავი დავანებო, ხოლო თუ ჩემივე ნებით წავალ სპარსეთიდან, უკეთესიც იქნება ჩემთვის.

— მოიფიქრეთ, — დაასრულა ჩერნოზუბოვმა ჩემი დატუქსვა.

— გმადლობთ დარიგებისათვის, გენერალო, მოვიფიქრებ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ნახევარი საათის შემდეგ კონსულს ვეწვიე.

— ა-ა-ა, ესკულაპ, — მხიარულად გააბა კონსულმა. — ჩემი ძვირი სტუმარი!

— მე იმისათვის გეახელით, რომ...

— ვიცი, ვიცი, — გამაწყვეტინა კონსულმა. — ყველაფერი ვიცი, მაგრამ მეგობრულად გთხოვთ ჩვეულებას ნუ შემაცვლევინებთ. ჯერ კონიაკი, სიგარები, ჭორები, ქალები და მერმე...

მერმე ჭუჭყიანი ყაშა ლაზარე. ჭუჭყი ბოლოსთვის დავტოვოთ, სმა-ჭამაში მწარე სჯობია დასაწყისში, ბაასში კი პირუკუღმა მირჩევნიან.

სპარსულ ოთახში მოვიკეცეთ. ჩემი კონიაკი ვსვით, ძველი სიგარები გავაბოლეთ, ქალებს სიტყვით ტანთ გავხადეთ და ბოლოს ჭუჭყიანი ყაშა გავიხსენეთ.

ჯერ მე ვთქვი სათქმელი და მერმე კონსულმა ჩამომართვა სიტყვა:

— თქვენი ქართული გული მშურს. სიმართლე გწამთ და დაეძებთ. მე კი ურწმუნო ვარ. ტან პი პურ მუა, — ბრალი ჩემი! — ჩაურთო ფრანგულიც. — ეხლა მოკლედ მოვჭერი: პეტერბურგი გადასჭრის, თეირანს უკარნახებს, თეირანი ითიმად უდ დოულეს უბრძანებს და ითიმადიც ათიოდე თათარს დასჯის. ასე დასრულდება ეს სამარცხვინო საქმე. ვერც მე და ვერც თქვენ ვერაფერსაც ვერ შევცვლით, ამიტომ გირჩევთ, თავი დაანებეთ თათარსაც, ყაშასაც და პავლესაც, ხვალ დილით ავტომობილში ჩავსხდეთ და დილმანში წავიდეთ. შუადღეს ჩავალთ. იქვე აისორთა სოფელ ხოსროვაში წითელ ჯვრის სამკურნალოა. მისი გამგე ჩემი მეგობარია. რაც ქვეყანაზე ლამაზი ქალები იყვნენ, ყველამ იქ მოიყარა თავი. თურმე სათნოების დები კი არა, იმ ექიმის ოდალისკები არიან.

— პარამხანა გაუხსნია.

— ოღონდაც! ის ექიმი თქვენ კი აღარ გვავნებიათ. სამკურნალო მონასტრად გადააქციეთ, ხოლო თქვენი სათნოების დები, რომელთაც ყოველ მწყურვალს სათნო უნდა ჰყონ, მონაზნებად შესულან. არც საკვირველია: რაც წითელ ჯვარში ჯოჯო მოიძებნებოდა, ყველანი თქვენ გამოგიგზავნეს.

— მიზეზიც ცხადია: ტფილისშიც იცოდნენ, რომ იმ ქალებს თქვენისთანა მეზობელი ეყოლებოდა და იმიტომ შეგირჩიეს.

საღამო ოხუნჯობაში გავატარე, მაგრამ გულდათუთქული წამოვედი. კონსულმა დამაჯერა, რომ ლამბალოს სასჯელი არ ასცდებოდა.

წითელმა მაიმუნმა ჯერ ბექაური გამომგლიჯა და ახლა ლამბალოც ჩაიგდო ხელში.

ისევ იმ გზას დავადექი, რომელმაც ბექაური გადაარჩინა სიკვდილს. თავმოყვარეობის სამოსელი გავიხადე, თავი დავ-

ღუნე და ისევ ეპისკოპოსის წინაშე მოვიდრიკე კისერი, მაგრამ ვერა მოვიგერა. ყაშას ხელით ანთებული ავი ცეცხლი ცირმიაში ვეღარ ჩაჰქრებოდა. იგი თურმე შორეულ პეტერბურგსა და თეირანში გადაიტანეს.

ლამბალოს ერთი მედუქნე ჩემის ხარჯით უგზავნიდა სადილის ნარჩენს.

ერთხელ მოვიცალე და ვალის ნებართვით სპარსულ საპყრობილეში შევიხედე.

მყრალსა და ბნელ სარდაფში სანთლით ძლივს გავიგენი გზა. დარაჯმა კარი გამიღო და ერთ გვირაბში შემიყვანა. ისეთი სუნი მეცა, რომ კინაღამ გავიგუდე. ძალ-ღონე მოვიკრიფე და ძირეს ძლივს გადავაბიჯე.

ჭრაქის მკრთალ შუქზე ოდნავ გავარჩიე პატიმრები. ათიოდე ტუსაღი პირისპირ ისხდა ორ რიგად. შუაში ორი სქელი ფიცარი ჰქონდათ გადებული, რომელნიც ერთმანეთზე რკინით იყვნენ მიჭედილი. ფიცრებში ორი მრგვალი ნახვრეტი იყო ამოჭრილი. პატიმრებს ამ ნახვრეტებში კოჭებამდე ეწყოთ ფეხები. გარდა ამისა, ხელები ჯაჭვით ჰქონდათ იმ ფიცრებზე მიბმული, ქვემო ფიცარი უძრავი იყო. როცა დარაჯები ზემო ფიცარს ახსნიდნენ ხოლმე, პატიმრებიც მხოლოდ მაშინღა წამოდგებოდნენ ზეზე.

— აღა, სანსან? — შენა ხარ? — მომესმა ნელი ხმა.

დავაცქერდი და მიბნედილ-მილეული ლამბალო ძლივსღა ვიცანი. ლამბალო მეორე ჯგუფში იყო ჩაბმული. მათ ფეხები თავისუფალი ჰქონდათ, სამაგიეროდ ყველანი ერთმანეთზე ისე მოკლედ იყვნენ გადაბმული ხელებით, რომ მხოლოდ ერთად შეეძლოთ ადგომაც, დაჯდომაც და მოძრაობაც.

— მაშადი ჰასან, ავად ხომ არა ხარ?

— არა, აღა, მაგრამ...

მაჯა გავუსინჯე. მეტისმეტად დასუსტებულიყო. გული ყალბი სიტყვებით გავუმაგრე:

— მალე გაგიშვებენ... ნუ შეშინდებით... გამაგრდით... აი, ცოტაოდენი ფულიც მოგიტანეთ. ერთად დახარჯეთ.

ტუსაღებმა მადლობის ნიშნად კნავილი და ბღავილი ასტეხეს.

ქალალდის გული ლამბალოს ჩავუყარე კალთაში, ერთი ქა-

ღალდიც დარაჯს მივაჩეჩე ხელში და ითიმად უდ დოულეს მიუვარდი:

— სირცხვილია, ვალი!.. ასეთი საპყრობილე... მეოცე საუკუნეში... თქვენ ევროპაში ბრძანდებოდით...

— დამშვიდდით, მონ შერ ამი, ჯერ ერთი, რაც სხვაგან სირცხვილად ითვლება, ის ჩვენში სამარცხვინო არ არის. მეორე: დღეს ევროპაში მეოცე საუკუნეა, სპარსეთში კი მეშვიდე ან მეთორმეტეა. მესამე: ევროპულ საპატიმროს შენახვა მდიდარ ევროპელებს შეუძლიათ, ჩვენ კი...

— ბოდიშს ვიხდი, მონ შერ ვალი, მე თქვენს შინაურ საქმეში არ ვერევი, მაგრამ ლამბალო... მაშადი ჰასანი მაინც შემინახეთ კარგად.

— კეთილი, ტრე ბიენ, მონ შერ, ბრძანებას გავცემ.

ალბათ დანაპირევი არ შემისრულა, თორემ ორი კვირის შემდეგ ლამბალო ადვილად აიტანდა იმ განსაცდელს, რომელიც წითურმა მაიმუნმა შეუმზადა.

XV

ერთი კვირის შემდეგ რამდენიმე დღით წითელი ჯვრის მოწინავე რაზმის სანახავად წავედით ქალაქ უშნუეში ურმიაში რომ დავბრუნდი, მეორე დღეს ასეთი ტელეფონოგრამა ჩამაბარეს:

„დღეს თორმეტ საათზე რუსულ ძართლმადიდებელ მისიის ეზოში უნდა გაჯოხილი იქნეს თხუთმეტი მუსლიმანი ქრისტიანების დარბევისათვის. თითო დამნაშავეს უნდა დაჰკრან ორმოცდაათი ჯოხი. გიბრძანებთ აღნიშნულ ეგზეკუციას დაესწროთ და, თუ გარემოებამ მოითხოვა, დასასჯელებს საექიმო დახმარება აღმოუჩინოთ.

კორპუსის სარდალი ჩერნოზუბოვი“.

უკვე თერთმეტი საათი სრულდებოდა. წამლები და არტაშანები ფელდშერს გავატანე მისიაში, მე კი ათი წუთის შემდეგ ითიმად უდ დოულეს შევუვარდი. დაღვრემილმა სპარსელმა ძლივს წამოიწია:

— ვუ სავე, მონ შერ ამი. — დაიწყო ირანის გლოვა ითიმადმა. — ხედავთ, როგორ დაეცა ოდესღაც მრისხანე ლომი?..

— შველა შეუძლებელია? — გავაწყვეტინე მე.

— დაგვიანებულია. ყოველივე გათავებულია. გუშინ კონსულსაც და სერდარსაც ბრძანება მოუვიდათ პეტერბურგიდან, ხოლო მე თეირანიდან: ყველა დამნაშავე გაჯოხეთო.

— მერმე?

მერმე ვაჭრობა დავიწყეთ. თქვენს მუშთეჰიდ პოლს თვითონვე რომ მოენდომებინა ჯალათობა, არ გამიკვირდებოდა. ჯერ ორმოცი მსხვერპლი მოითხოვა, ძლივსძლივობით ჩამოვიყვანეთ თხუთმეტამდე. შემდეგ გაჰბედა და სთქვა, თხუთმეტში ის მოლაც უნდა გავრიოთო.

— კაიდარ-მოლა? — გავიკვირვე მე. — მოხუცი კაიდარ-მოლაც უნდა გაეჯოხნა?

— დიაღ, მონ შერ ami, დიაღ. მოხუცებული კაიდარ-მოლაც მოგვთხოვა. ძლივს გავაგებინეთ და დავაჯერეთ, რომ ამის გამო ხალხი აჯანყდებოდა, სისხლი დაიღვრებოდა.

— მხეცი, ანაფორაში გახვეული მხეცი!

— მერმე დაიჟინა: თითოს ასი უნდა დავარტყათო. თქვენი ლაშქრის უფროსმა ექიმმა ძლივს დაარწმუნა, რომ მეტად მისუსტებული ტუსაღებისათვის ორმოცდაათიც ბევრიაო. ესეც დაგვითმო და შემდეგ ადგილის გამო ახირდა. ან მისივე ეზოში უნდა გავჯოხოთ, ან დიდ მოედანზეო. მე დავუთმე. ჩვენს შერცხვენას მთელ ქალაქს ვერ ვაჩვენებდი. მუსლიმანები ძალიან შფოთავენ.

პატრულები გამახსენდა. ქალაქი რუსის ჯარით იყო სავსე. გორაკებზე ზარბაზნები აეტანათ.

— რაღა მე დამავალა ჩერნოზუბოვმა იმ ჯოჯოხეთში წილის მიღება?! — ამოვიკვნესე მე. — რა ჩემი საქმეა! გამოცდილი არა ვარ...

— თქვენ დაგავალათ? — მკითხა ითიმად უდ დოულემ და მწარედ გაიღიმა. — მესმის. არშივეკ პოლის ნაკარნახევი იქნება. დაე მუსლიმანებმა გაიგონ, რომ მათი მოსარჩლე ყურჯიც ურუსის სალდათიაო.

— მართალია, აგრე იქნება, მაგრამ მაინც...

მაინც გალიაში დამწყვდეულ და შეუჩვეველ მხეცივით ვეშებდი გასაძვრენს, მაგრამ ვერ ვიპოვე. თავი მომეავადმყოფებინა? უშნუედან მხიარული დავბრუნდი. „გარდა ამისა, — ვეკითხებოდი ჩემს თავს, — იქნება სჯობდეს კიდევაც, რომ მე

დავესწრო? მე რომ უარი ვთქვა, იქნება ისეთი მხეცი დანიშნონ, რომ უბედურება რამ დაატრიალოს“.

— ვალი, ბრძანების შესრულება მიმძის, მაგრამ მეტი გზა არ არის.

ასე გავიმაგრე გული და ვალიც დავამშვიდე.

— ვალი, ქომაგ ელა-ა-ა, — ვალი, გვიშველე! — მოისმა ამ დროს ქუჩიდან რამდენიმე ხმა.

ვალი გაფითრდა.

— ვალი, ქომაგ ვე-ე-ერ! — იგრიალა რამდენიმე ასეულმა ხმამ.

ითიმად უდ-დოულე თრთოდა. გაფითრებული შემომცქეროდა, თითქო ჩემგან მოელოდა რჩევას და შველას. მე აივანზე გაველი.

ქვეით თხუთმეტი ტუსაღი იდგა, სპარსულ სარბაზებსა და ყაზახრუსების რკალით შემორტყმული. ფორზე ათასმადე თათარი და სპარსელი შეკრებილიყო და აქეთ-იქიდან კიდევ მორბოდნენ ჯგუფ-ჯგუფად.

ტუსაღთა შორის ლამბალის მოვკარი თვალი და ძლივს ვიცანი. ოცი წლის პირტიტველი ლაჟღაჟა თათარი ყვითელი სანთელივით დამდნარიყო. დიდრონ თვალებს ანათებდა და თეთრ კბილებს ელვებდა. უნდილად გაიღიმა. მერე ისე ჩაიქნია გრუზა თავი, თითქო მეუბნებოდა: ვაი დედასა, რა ბედი ერგო შენს „იოლდაშს“ ლამბალის! შემდეგ კელაპტრებივით აჰომიშვირა ხელები და ამომძახა:

— გურჯი ყარდაში, ქომაგ ვერ, — ძმაო ქართველო, მიშველე! და ასიოდე ხმამ მაშინვე გაიმეორა:

— გურჯი აქიმბაშ, ვე-ე-ერ!

უძლურების ნიშნად მე ხელები გავშალე.

გვერდით ვალის თანაშემწე ყარგუზარი ამოიდგა. ისიც თრთოდა და თვალთაგან ცრემლს იწმენდავდა. შემდეგ ათასთა ბღავილი და გრგვინვა აღარ შეწყვეტილა:

— ვალი, ქომაგ ელა-ა-ა!.. ვალი, ქომაგ ვე-ე-ერ!

— დაიშალენით... გაჩუმდით... ასეთია შაჰინ-შაჰის ბრძანება... წადით... დამშვიდდით... — სლუკუნით ჩიფჩიფებდა აცახცახებული ყარგუზარი.

მე დარბაზში დავბრუნდი.

— აი, ხომ ხედავ, მონ შერ ამი, — ბორძიკით წაიბუტბუ-

ტა ვალიმ, — ამოდენა ხალხს ხომ ხედავთ... ხომ გესმით მათიი რისხვა და მუდარა... მაგრამ რა ვქნა?.. მირჩიეთ, რა ვქნა? ნონნ, სე ტრო პურ მუა, სე ტრო, — არა ეს ჩემთვის მეტისმეტიაა, მეტისმეტი!

ორივე ხელი პირსახეზე აიფარა და ლასლასით მეორე ოთახში გავიდა.

მეც თავჩაღუნული წამოვედი. უკნიდან კიდევ დიდხანს მომდევდა ხალხის ბღავილი და მუდარა:

— ვალი, ქომაგ ელა-ა-ა-... ვალი, ქომაგ ვე-ე-ერ!

ნაბიჯს მოვუმატე. თითქმის მოვრბოდი.

XVI

მართლმადიდებელ მისიის დიდი ეზო სავსეა მორეკილ ქრისატიანებით, ყაზახებით, სარბაზებით და ჩაფრებით: შუაში დიადი მოედანია დატოვებული. იქვე ერთ ჯგუფად დგანან ითიმად უდ დოულესი, კონსულისა და ჩერნოზუბოვის წარმომადგენელნი, სისხლიან თამაშის მეთაურსა და მასპინძელს მართლმადიდებელ ეპისკოპოსს თავის მხრივ იმ გოლგოთის მთავარი ავტორი — წითელი მაიმუნი, წითელ ჯალათად გადაქცეული ყაშა ლაზარე დაენიშნა.

ყაშას ანაფორა გაეხადნა. ნიდაყვამდე დაემკლავებინა და მთავარ ჯალათს პირველობას ეცილებოდა: ბრძანებას ბრძანებაზე გაჰკიოდა, გრძელ ხელებს წარამარად იქნევდა, იორღით დარბოდა და იძახოდა:

— გახადეთ!.. აქ დააწვინეთ!.. ზედ დაასხედით! მაგრად დაიჭირეთ!..

— არ დაიწყოთ, სანამ ყველას გულს არ გავუსინჯავ, — განვუცხადე მე ეგზეკუციის გამგეს, ურმიის კომენდანტს ბერეზოვსკის.

პასუხი ჯერ ყაშამ მომახალა:

— „ბარიშნები“ ხომ არ არიან, რომ არშიყობაც დავუწყოთ.

— საჭირო არ არის, — დაუდასტურა ბერეზოვსკიმაც.

— თქვენ რას იტყვით? — ვკითხე წარმომადგენლებს.

— სულ ერთია. საჭირო არ არის. დაგვიანდება. — სთქვა კონსულის მდივანმა ბაბალიანცმა.

— ვაცხადებ, რომ მე პასუხს არ ვაგებ, თუ რამ უბედურება დატრიალდა, — განვაცხადე მე.

გაშიშვლებული თათრები შუა მოედანზე გამოიყვანეს და ერთ რიგზე პირქვე დააწვინეს. თითოს სამი აისორი მიუჩინეს: ორნი კისერზე და ფეხებზე დაასხდნენ, მესამემ კი ჯოხი მოიმარჯვა.

ლამბალო ისევ იღიმებოდა. სანამ პირქვე დაწვებოდა, მანამ რამდენჯერმე შემომხედა, მაგრამ თვალი ვერ გავუსწორე და ზურგი შევაქციე.

— ჯალათობა რაღა აისორებს დაავალეს? — ვკითხე ვალის მოხელეს.

— ასე ინება ურუსების მუშთეჰიდმა. ურუსებმა იკადრეს, მუსლიმანებს კი არ ენდნენ, მაგრამ არ დაჰკრავთო. მუსლიმანებს კი არ ენდნენ, მაგრამ არ დაჰკრავთო.

— ჯალათები ყაშამ დაარჩია, — ჩავიბუტბუტე მე, — მათი დაკვრა ორ ჩვეულებრივს უდრის.

რა თქმა უნდა, თითქო ორმოცდაათი აპატიეს, მაგრამ ნაპატიევები სხვანაირად აინაზღაურეს. კომენდანტმა ბერეზოვსკიმ დაიძახა:

— აბა დავიწყოთ!

ერთი თათარი მოხელე მიწაზე გაწვენილ თათრებს თავთ დაადგა. ჯალათებმა ჯოხები აღმართეს.

— ბი-ი-ირ! გრძლად შესძახა იმ თათარმა და აშვერილი ხელი დაიქნია. იმავე წუთს მიწიდან თხუთმეტის გმინვამ და ყმუილმა ამოხეთქა.

— ბი ი-ირ! — ერთხმად გაიმეორა თხუთმეტმა ჯალათმა და თხუთმეტი ჯოხი კვლავ აღიმართა.

— იქი-ი! — დაიძახა თათარმა და აწეული ხელი მეორეჯერ დააქნია.

გმინვამ და ღრიალმა კვლავ გასტენეს მართლმადიდებელთა ეზო და შენობები.

— იქი-ი! — გაიმეორეს ჯალათებმაც.

მერე ერთმანეთში აირია ჯოხების სისინი, ლაწუნი, კივილი, გმინვა, მთვლელის კარნახი და ჯალათების გამოძახილი:

— უ-უჩ!.. დო-ო-ორთ!.. ბე-ე-ეშ! ალთი-ი-ი!

თათრები თევზებივით ფართხალობენ. მათი ხორცი ჯერ წითლად იზოლება, მერმე ლურჯდება, იბურცება და სკდება.

ზურგები, გავები და ბარკლები სისხლით ირწყვება და იკეპება.

კომენდანტი ბერეზოვსკი პაპიროსს აბოლებს და ისე არხეინად სცემს ბოლთას, თითქო საკუთარ ბაღში დასეირნობსო.

ვალის მოხელე ულვაშებს იკვნეტავს და შენობების კედლებს ათვალიერებს.

კონსულის მდივანი ბაბალიანცი ფრჩხილებს იპრიალებს.

ჩერნოზუბოვის მხლებელი გალაკებულ ჩექმების წვერებს იშინჯავს.

თხუთმეტის გმინვა-ყაშა ლაზარეს ძლევამოსილმა კიჟინმა შთანთქა, პირველივე დაკვრაზე თვითონაც ისე აიგრიხა, თითქო თხუთმეტივე ჯოხი იმ თათრების მაგივრად წითელ ყაშას მოხვედროდა. მერე აცქმუტუნდა—და ახტუნავდა. გრძელ ხელებს და მოგრეხილ ფეხებს უცნაურად იქნევდა, წითელ წვერს აცანცარებდა და გრჟივით ხითხითებდა. ჯალათები რომ ჯოხებს აღმართავდნენ ხოლმე, ყაშა მარჯვენა ხელს ჯოხივით აჰფშეკავდა, თვითონაც აისვეტებოდა და უცნაურად გაიზრდებოდა. ჯალათები რომ ჯოხებს დაიქნევდნენ, ყაშა აშვერილ ხელს ჯოხივით წამოიღებდა და ისე მძლავრად დაუშვებდა მიწამდე, თითქო ერთი დაკვრით მთელ მუსლიმანობას თავს უჭეჭყავდაო, მერმე ისევ გასწორდებოდა და ჯალათებთან ერთად დაიქუხებდა ხოლმე:

— ბირ!.. იქი!.. უუჩ!.. დოჰკუზ!.. ოოონ!..

ყაშა უფრო ლამბალოს დასტრიალებს. მას ახოვანი ჯალათი მიუჩინა და მანვე ჩასჩარა ხელში იმ ჯალათს სქელი და მაგარი ჯოხი, რომელსაც თავიდანვე ისე მძლავრად სცემდა, რომ ერთი მისი დანაკრავი სხვების ორსაც უდრიდა.

მე კომენდანტს იმ ჯალათზე მივუთითე და განვუცხადე;

— ის კაცი მეტად მძლავრად ურტყამს. ჯოხიც მეტად სქელი აქვს. ის თათარი ვერ გაუძლებს.

— კისერიც მოუტეხნია, თუნდ ახლავე გაფშიკოს ფეხები. — მომიგდო ბერეზოვსკიმ.

— მე მოვითხოვ, რომ იმ ჯალათს ჯოხი გამოვუცვალოთ. — ამოვიხრიალე მე.

— ეს თქვენი საქმე არ არის. როცა მოკვდება, მერე მოუ-

ხრეთ. — მომიჭრა გესლით, გატრიალდა და არხეინად გააბოლა.

უცებ მეორე სართულის სარკმელში იისფერ ანაფორას მოვკარი თვალი. მართლმადიდებელ კიაფას მკლავები მკერდზე დაეწყო და ფაფუკ ხელს თავის ლამაზ წვერს უცაცუნებდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. არ მახსოვს, რა ეწერა ჩემს პირსახეზე, ეპისკოპოსი პავლე ელდანაკრავივით მოსწყდა სარკმელს.

თათრები წელანდელივით აღარ იგრიხებიან. მათი ფართხალი თანდათან კლებულობს. ყვირილისა და ბღავილის შემდეგ ჯერ აგმინდნენ, მერმე აკვნესდნენ, ბოლოს ხრიალი ამოუშვეს. მათი ხორცის ნაფლეთები და სისხლის წვეთები აქით-იქით იფანტება.

— ონ საჰკიზ!.. ონ დოჰკუზ!.. იგირმი! — სთვლიან თათარი ჯალათები და ყაშა.

ლამბალო სხვებზე ადრე ახრიალდა. მერმე გაჩუმდა. ყვითელი კუნძივით ეგდო და ერთ კუნთსაც აღარ ანძრევდა.

— შესდექი! — მივაძახე ლამბალოს ჯალათს და მაჯაში მივწვდი.

იმავე წამს ორივეს ყაშა ლაზარე დაგვეჯახა. ჯალათს ჯოხი გამოჰგლიჯა, ორივე ხელით აღმართა და დაფლეთილი ლამბალოს სეტყვასავით დაუშინა. თავსა, კისერსა და ხერხემალში სცემდა და გაავთრებით ღმუოდა:

— ვოტ ტებე! ვოტ ტებე! — ესეც შენ, ესეც შენ!

— ბატონო კომენდანტო, — შევძახე ბერეზოვსკის, — ეს გიჟი გააჩერეთ, თორემ ამ ადამიანს მოჰკლავს!

კომენდანტმა გაიღიმა და ყაშას უთხრა:

— ყაშა ლაზარ, გეყოფათ, აკმარეთ.

ყაშამ ბერეზოვსკის დარიგება ვერც კი გაიგო. მის ჯოხს ლამბალოს თავზე კვლავ ჩახუნი გაჰქონდა.

თვალთ დამიბნელდა და გონება დამებურა. ორივე მუშტი მძლავრად დავატაკე ყაშას მკერდს და გაჯალათებული მღვდელი მიწაზე გავშოტე. ის მაშინვე წამოდგა და ჯოხი მომიღერა. აღარ დავაცადე: ჯოხს ხელი შევაშველე, გამოვგლიჯე და შორს ვისროლე.

გამგელებული ყაშა ისევ გამოქანდა, მაგრამ ჩაფრებსა და

სარბაზებს ჩაუვარდა მკლავებში. ჩემსკენ იწევდა და გაჰკიოდა:

— გამიშვით!.. დაჰკარით!.. ესეც მუსლიმანია!.. უწმინდურია!.. პერსუკია!..

— იგირმი დორთ... იგირმი ბეშ. — სთვლიდნენ ჯალათები.

— ტურ! იეთარ! — შესდექით კმარა! — დაიძახა მთვლელმა.

ჯალათებმა გაათავეს. მე ლამბალოს დავსწვდი. ფელდშერი დანარჩენების მოსულიერებას შეუდგა.

აისორები რკინის სარწყულებით წყალს ეზიდებიან და კულწასულ თათრებს ასხამენ.

ლამბალოს გულისცემა ძლივსღა მესმის. მისი მაჯა ოდნავ ჰფეთქავს. პულსი ორმოცსაც ვეღარ აღწევს.

გავიდა ხანი. ლამბალოს გარდა დანარჩენები მოსულიერდნენ.

— აბა, დავიწყოთ! — განაცხადა ბერეზოვსკიმ.

— ეს მუსლიმანი ოცდახუთ დაკვრას ვეღარ აიტანს, — ვუთხარი კომენდანტს და ლამბალოზე მივუთითე.

— სტყუის, სტყუის! — ჰკივის ყაშა, — ეგ თათარი აქ ექიმის მეგობარია და ამიტომ ესარჩლება. მე ნებას არ გაძლევთ, ბატონო ექიმო, ნებას არ გაძლევთ!

— ყაშა ლაზარ, მე თქვენ არც გეკითხებით. მე ხელისუფალთა წარმომადგენლებს ველაპარაკები.

— მე კი მათი მაღალღირსების წარმომადგენელი გახლავართ და რადგან ეს უწმინდურები ამ წმინდა სახლში ისჯებიან, ამიტომ აქ ბატონ-პატრონიც მე ვარ. ნებას არ მოგცემთ-მეთქი!

ვალის მოხელემ პირი ძლივს გააღო. სხვებმაც ხმა ამოიღეს და ლამბალოს სასჯელის შესრულება მის მოსულიერებამდე გადასდეს.

— ბირ!.. იქი!.. უჩ!.. — დაიწყო ხელახლა თათარმა.

— ბირ!.. ი!.. !.. — მიჰყვნენ ჯალათებიც.

კვლავ აბღავლდა თოთხმეტი თათარი. ბღავილს ისევ გმინვა მოჰყვა და გმინვა კვლავ კვნესად გადაიქცა.

— ტაკ ევო! ტაკ ევო! — ისევ გაჰკივის ყაშა და კვლავ უცნაურად იკლაკნება, დაჰხტის და ხითხითებს.

ექიმი ვიყავი და ყაშას სენი მალე გავიგე: უეჭველია, წითელი ყაშა სადისტი იყო.

— ონ ბეშ!.. ონ ალთი!.. ონ იედდი!.. — ითვლიდნენ ჯალათები.

თათრებმა ჩრიალი ამოუშვეს.

საუბედუროდ, ლამბალომ თვალები გაახილა. ჯერ გონს ვერ მოსულიყო. მერმე მიცნო და გამიღიმა.

— ლამბალო, თვალები დახუჭე, — ჩავჩურჩულე ჩემს იოლდაშს, — თვალები დახუჭე-მეთქი... გონს ნუ მოდიხარ, თორემ...

ლამბალომ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო.

— უბედურო, არ გესმის? თვალები დახუჭე-მეთქი, არ გაინძრე, თორემ...

— მოსულიერდა! მოსულიერდა! — ყურში ჩამძახა ყაშამ. — ურაა, მოსულიერდა! აბა, ჯოხი!

— იგირმი დორთ... იგირმი ბეშ... ტურ, იეთარ! ყურთულდი, — შესდექი, კმარა, კმარა, გათავდა! — შესძახა მთვლელმა.

მეც მივეშველე ფელდშერს. რამდენიმე თათარი ხიფათშია. დასჯილთა ნათესავები ეზოს კარებთან დგანან. მოსულიერებულნი თითო-თითოდ გააქვთ და ნათესავებს აბარებენ. ქუჩაში ღრიალი და წყევლაკრულვა ისმის.

ყაშა გაკაპასებულ მუსლიმანურ ბრბოსკენ მიიწევს, მჯიღს უქნევს და ემუქრება:

— ღონღუზლარ! ითლარ! — ღორებო! ძაღლებო! ურუსების და ქრისტიანების ძალას არც ეხლა დაიჯერებთ?! ეს ერთი ხომ მიიღეთ, ათასი კიდევ იქნება. დაიკარგეთ აქედან, თქვე წუწკლებო. ძაღლებო, მურდლებო!

სანამ ყაშა იგინება და იმუქრება, მე ლამბალოს გადარჩენას ვლამობ და კომენდანტს და სხვებსაც ვაჯერებ:

„მართალია, მოსულიერდა, მაგრამ მეტისმეტად დასუსტდა. აი, შეხედეთ, რამდენი სისხლი დააკლდა. ოცდახუთ დარტყმას ვერ აიტანს მოკვდება.

— მოკვდეს. — არხეინად აცხადებს ბერეზოვსკი და მერმე უმატებს: — ნიძლავს დავდებ, რომ ადვილად აიტანს. სხვებზე ჯანმრთელი მოსჩანს. თუ ყაშას მოერია.

— მართალია, მართალი! — მორბის ამ დროს ყაშა. — ეს

ძაღლი მაშინ იმიტომ მომერია, რომ დაღლილი და დასუსტებული ვიყავი. მაინც ღონიერი დორია, ამიტომ მე ნებას არ მოგცემთ, რომ...

— მე ექიმი ვარ და საქმე მე უნდა გადავწყვიტო. მე ხმამაღლა ვაცხადებ, რომ შესაძლოა ეგზეკუცია უბედურად დასრულდეს.

ყაშამ და კომენდანტმა თავიანთი დაიჟინეს და კონსულის მდივანი ბაბალიანციც მიიმხრეს.

— აბა, დაიწყეთ! — ბრძანა უკვე მთვლელმა.

— ბატონებო, მე გიცხადებთ, რომ ამ საბრალოს სიცოცხლისთვის პასუხს თქვენ აგებთ ღვთისა და კანონის წინაშე.

— კეთილი. მეთანხმება ბაბალიანცი, — აგრე იყოს.

— ღვთის წინაშე? უკვირს ყაშას. — ხო-ხო-ხო! მე ვაგებ პასუხს, მე! ამ ურჯულოს სული არა აქვს და ამიტომ ღმერთი არც კი გაიხსენებს მას. აბა, დაიწყეთ!

— მე ცხარე გულისწყრომას ვაცხადებ იმის გამო, — ერთხელ კიდევ მივმართე უგულო ჯალათებს, — იმის გამო, რომ თქვენ ექიმის საქმეში ჩაერიეთ. არ მესმის, მაშ რისთვისა ვარ აქ გამოგზავნილი?

— დაიწყეთ-მეთქი! — უბრძანა მთვლელს ბერეზოვსკიმ და მერმე მე მომიბრუნდა: — არ მესმის, რისთვის მოსულხართ ამ ეზოში?

რა უნდა მექნა? ეხლაც ხშირად ვეკითხები ჩემს სინდისს, რა უნდა მექნა-მეთქი? ლამბალოსთვის თავი დამენებებინა? მშიერ ჯალათებისთვის მიმეგდო და წამოვსულიყავი? ასეთი საქციელი არც სინდისს დამიმშვიდებდა და არც განწირულ ლამბალოს გადამირჩენდა. მაშ რა უნდა მექნა, რა? არაფერი. დავა გათავებული იყო. გზები მოჭრილი მქონდა. ბრძოლა წავაგე. ისევ ის უნდა მექნა, რაცა ვქენი: დავრჩი და ექიმის ვალი ბოლომდე მოვიხადე.

— ბიიირ!.. იქი-ი-ი!.. უ-უჩ! — ითვლიდნენ მთვლელი, ყაშა და ჯალათი, რომელსაც ყაშამ ისევ წელანდელი ჯიხი ჩასჩარა ხელში. იისფერი ანაფორა ერთხელ კიდევ გამოჩნდა სარკმელში.

ვალის მოხელე ეხლა ერთ ფანჯარას მისჩერებია.

კონსულის მდივანი ბაბალიანცი ფრჩხილების მაგიერ კბილებს იჩიჩქნის.

კომენდანტი ისევ ბოლთას სცემს და აბოლებს.

ყაშა დასაბმელია: სიხარულისაგან ფეხზე ვეღარ დგება და წვრილი ხმით წკმუტუნებს: — Ничавооо, голубчик, ничавоо! сладко, а? Потерпи, миленкай, потерпиии.*

— ონ ბირ... ონ იქი... ონ უჩ... — კვლავ ითვლიან მთვლელი და ჯალათი.

უცებ შორეული და მივიწყებული სურათი გამახსენდა.

ბავშვი ვიყავი, ოთხი თუ ხუთი წლისა ვიქნებოდი. ჩემს მეზობელ გლეხს ბოძზე საბელით ძაღლი მიება და სქელ ჯოხს უწყალოდ ურტყამდა. სისხლით მოსვრილი და ძვალდამტვრეული ძაღლი საზარლად ჰყმუოდა, წკმუტუნებდა და თან მილეული თვალებით შესცქეროდა ჯალათ გლეხს და უძირო მუდარით ევედრებოდა შენდობას. მაგრამ გლეხი ბრმა და გულდახშული იყო. არც ძაღლის თვალებს ხედავდა, არც მისი ხვეწნა-წკმუტუნი ესმოდა, კვლავ ბრაზით სცემდა და უცნაურ რაშეს ჰბოდავდა.

უცებ იდუმალმა ძალამ ძაღლზე მიმაგდო. ზედ დავეცი, ჩემი ტანით დავუფარე ჩამტვრეული ნეკნები, ორივე ხელი მოვხვიე კისერზე და მეც გლეხს შევღაღადე:

— ეყოფა, ძია, ეყოფა!.. ეყოფა!.. ეყოფა!..

გლეხი შედგა, ძაღლმა წკმუტუნი დაალბილა. სისხლიანი ენით მლოკავდა და ბავშვივით სლუკუნებდა. მეც ვტიროდი და ისევ ჩემსას გავიძახოდი:

— ძია, ცოდოა, ცოდო!.. ეყოფა-მეთქი!

გლეხმა ჯოხი დააგდო და მოგვშორდა. ჩვენ კი, მე და ძაღლმა, ერთმანეთის ალერსსა და ტირილში ჩავიძინეთ, და როცა გავიღვიძე, ძაღლი უკვე მომკვდარიყო. ჩვენს ბაღში გადმოვათრიე, მიწა გავათხრევინე და დავმარხე. ყოველდღე ლიტრით წყალი მიმქონდა და ძაღლის საფლავს ვრწყავდი. მოკლულის წყურვილს ვუქრობდი და ვიცრემლებოდი.

— ონ ბეში!.. ონ ალთი!.. ონ იედდი!..

ორმოცი წლის წინათ დამარხული ამბავი სამარიდან წამოდგა და განმეორდა. ეხლაც ვიღაცამ თუ რაღაცამ წამკრა ხელი. უცებ ლამბალოს გადავეფარე და ჯალათის ჯოხს შევწვდი.

---

* არა გიშავს რა, ჩემო სულიკო. ტკბილია განა! მოითმინე, ჩემო ტურფავ, მოითმინე.

— კმარა!.. გეყოფათ!.. ლამბალო კვდება!..

ჯალათი შედგა. მთვლელიც გაჩუმდა. მაგრამ ყაშამ ჯალათს ჯოხი გამოსტაცა და მიხრწნილ ლამბალოს წელანდელივით დაუშინა, თან გაჰკიოდა:

— იგირმი!.. იგირმი ბირ!.. იგირმი იქი...

გამწარებული ისე დაჰკრა ყაშას, რომ ხუთ ნაბიჯზე წატორტმანდა და გაიშალა. ბერეზოვსკი და ჯალათები შემომეხვივნენ.

— დამშვიდდით, გოლუბჩიკ, დამშვიდდით. — მაწყნარებდა კომენდანტი. მერმე ყაშას მიუბრუნდა: — ყაშა, გაათავე!

ყაშამ ერთ წუთში გაათავა:

— იგირმი უჩ!.. იგირმი დორთ!.. იგირმი ბე-ე-ეშ! გათავდა! ეხლა წაიყვანოს და უწამლოს!

დოინჯი შემოიყარა და ძლევამოსილმა ჩაიხითხითა.

ლამბალოს მაჯის ფეთქვას და გულისცემას დიდხანს ვეძებდი, მაგრამ ვეღარ ვიპოვე. ვიღაცამ სარკის ნატეხი მომაწოდა. ლამბალოს პირზე დავადე და გავსინჯე. ნაორთქლი აღარ მოსჩანდა.

ლამბალო მოკვდა.

წელი ძლივს ავითრიე და მკვლელებს თვალი გადავავლე. ჩემს განაჩენს მოელოდნენ.

— ნუ-უ? — მკითხა ბერეზოვსკიმ.

— მოკვდა. — ამოვიხრიალე.

— კიდევ კარგი, რომ ჩემი ნიძლავი არ მიიღეთ, თორემ წავაგებდი. — წაიბუტბუტა კომენდანტმა, თან გატრიალდა და ენო დინჯად გადასჭრა.

— Ах, чорт! — ამბობს ბაბალიანცი და კომენდანტს მისდევს.

ყაშა წითელ თავს იფხანს და თავისთვის ჰბუტბუტებს:

— Вот свинья? — ღორი! თავის სახლში მაინც მომკვდარიყო, — მერე გასწორდა და გული გაიმაგრა: — თუმცა, наплевать! ძაღლს ძაღლური სიკვდილით.

ტვინში თითქო ნაკვერცხალი ჩამიგდეს.

— ყაშა! ყაშა ლაზარ! — ვიფეთქე და ყაშას წავეტანე, მაგრამ არ დამიხვდა: უცბად ზურგი მაჩვენა და მახლობელი კარი შეანგრია.

აისორებს გადავხედე. ყაშას გაქცევის გამო ყველანი იღიმებიან.

— მხეცია, — ჰბუტბუტებს ერთი.

— ამ თათრების ჯავრს ჩვენზე ამოყრიან. — ეშინიან მეორეს.

— ძალიან დავაშავეთ, რომ გამოვყევით. — ნანობს მესამეც.

აქეთ-იქით ვიხედები. არც კონსულის მდივანი სჩანს, არც კომენდანტი და აღარც ჩერნოზუბოვის მხლებელი. ვალის მოხელე კი ისევ ულვაშებს იკვნეტავს. გადავხედე მას და ერთხელ კიდევ გამახსენდა უკუნეთს მიმავალი რაში, მაგრამ ეხლა იმ რაშზე მიდიელის მაგიერ მილეული, მიხრწნილი სპარსელი იჯდა.

მეორე დღესაც ყოველდღიური ჩვეულება გავიმეორე: რიქრაქზე მოვაჯექი ცხენს და დილმანის დიდ გზას დავადექი.

მარძივანის, შიხანის და ალ-დაგის მთების ნაოჭებში მკრთალი ლილისფერი ნისლი წევს, ხოლო მწვერვალებს მოწითალო ლეჩაქები წამოუბურავთ.

ურმიის ტბა ღვინონარევ რძესა ჰგავს. მაღლა ასვეტილ ყოუნდაგის და შაჰ-დაგის კუნძულებს თავზე ცეცხლის გვირგვინები დაუდგამთ, ხოლო მცირესა და დაბალ კუნძულაკებს სქელ ბურუსში ძინავთ.

სოფლები ჰფუჩუნებენ. ისმის ქათმების კაკანი, ბატების ყიყინი, საქონლის ბღავილი, აქლემებისა და ვირების ყროყინი.

გზაზე მოდიან თათრები და აისორები, ბაზარზე გასასყიდი სანოვაგე მიაქვთ.

მარტო მივდივარ, მხლებელი არ წამომიყვანია. დასვენებული ცხენი ლაგამს ღრღნის, მხიარულად ჰფრუტუნებს და ლაშობს ჩორთზე გადავიდეს, მაგრამ მე თავს ვუჭერ და ნაბიჯით მიმყავს.

ერთ ალაგას უკნიდან ჭიხვინი მომესმა. ჩემმა ცხენმა ხახვინით უპასუხა. მივიხედე და დავინახე მოსახვევში თეთრი ცხენი მორბის თოხარიკით. წითელი ცხენი ხუთიოდე ნაბიჯზე მოსდევს. ცხენებს შუაში გრძელი და კუზის მსგავსი საკაცე ჰკიდიათ, ტილოთი შეხვეული და კანაფით შეკრული. წინა ცხენს ჩანჩალით და ფართფატით მოსდევს წვერშეღებილი მო-

კუზული თათარი. მორბის ბებერი თათარი და ცრემლნარევი ხმით ხრიალებს.

— ჰა, ჰა!.. ჰა, ჰა!

მეორე ცხენი პატარა ბიჭს მოჰყავს.

ცხენებს მოშორებით ორი დედაკაცი მისდევს — ერთი მათგანი ლასლასით, მეორე კი — უფრო მარდად. ფარფატით მომავალ დედაბერს ჩადრი მხრებზე ჩამოვარდნია, მეორე კი შუბლამდე შავ მანდილშია გახვეული.

მორბიან დედაკაცები, ქვითინებენ და გაჰკივიან:

— ჰასააან!.. ჰასაან!..

დედაბერი წატორტმანდა და დაეცა. ქალი მიეშველა და ძლივს წამოაყენა.

— ჰაი ქიში, იავაშ! — კაცო, მოიცა! — ხრინწიანი ხმით იძახის ჩამორჩენილი მოხუცი დედაკაცი.

— ჰასაან, დამიცადე! — ჰკივის ჰასანის „ყიზი კუკლა".

მაშადი იზათმა ცხენები შეაყენა და ორივე ხელით ოფლი მოიწურა. ლამბალოს „ანა და არვადი" — დედა და ცოლი, ძლივს მოაბიჯებენ და კვლავ ხრიალებენ:

— ჰასაან!.. ჰასააან!..

— თეზ ელა, — დააჩქარე! — უყვირის მაშადი იზათი და ცხენებს კვლავ თოხარიკით მოარბენინებს, ვინაიდან იქაური წესით ცხედარი ერთი ალაგიდან მეორემდე სწრაფად უნდა გადაიტანონ...

„ანა" და „კუკლა-ყიზიც" ისევ სირბილით მისდევენ შესუდრულ ლამბალოს, რომელიც ეხლაც ისევე იგრიხება, როგორც გუშინ მართლმადიდებელთა ეზოში იგრიხებოდა.

მე ცხენი შევაყენე და ქუდი მოვიხადე.

მოხუცი დედაკაცი ერთხელ კიდევ წაიქცა:

— ჰაი ქიში, იავაშ!

მაშადი იზათმა ცხენები და ლამბალოს ცხედარი ჩემი ცხენის წინ შეაჩერა.

— მაშადი იზათ, — დავიწყე ათრთოლებული ხმით და გავჩუმდი. ენა პირში ჩამივარდა, სიტყვა ვეღარ ვიპოვნე ან რას ვეტყოდი? რა უნდა მეთქვა?

თავჩაღუნული იზათი მიწას დასცქერის, მძიმედ ქვნეშის, მჯიღით ცრემლს იწმენდავს, მერმე იმავე მჯილს გადღლელილ-

სა და ჩაშავებულ მკერდზე იბაგუნებს და გაუგებარ რამეს ჰბურტუნებს.

ვეღარ მოვითმინე და მაინც წავიბუტბუტე:

— მაშადი იზათ, ალაჰმა უწყის, რომ მე ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერ გადავარჩინე.

— ბილეამ, აღა, ბილეამ, — ვიცი, ბატონო, ვიცი, — სალამათ ოლ. ალაჰ სანა ხეირ ვერსინ. — მშვიდობით იყავი, ბატონო. ალაჰმა ხეირი მოგცეს.—

ცხენები დაიძრა და თვითონაც ჩანჩალით გაჰყვა, ორი დედაკაცი კი იქვე დარჩა.

ლამბალოს დედა დაღუნულია და წინდას ან ჩუსტს ისწორებს, ხოლო ზეკია-ყიზის ჩადრი ჩამოეხსნა და ისე შემომცქერის ცრემლით სავსე ბავშვური თვალებით, თითქოს მეკითხებოდეს: ხომ არაფერი იცი? სათქმელი ხომ არაფერი გაქვსო?

ბევრი ვიცოდი, სათქმელიც მრავალი მქონდა, მაგრამ... რა უნდა მეთქვა ბავშვი ქვრივისთვის შარაგზაზე, ისიც ამ დროს?

— გედახ, — წავიდეთ. — სთქვა დედაბერმა და ლასლასით გაიქცა.

ზეკია-ყიზიმ ნამტირალევი შველის თვალები ერთხელ კიდევ შემომანათა, მერმე ჩადრი მოიბურა და დედამთილს გაჰყვა.

დიდხანს ვუცქირე ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ცხენებსა და ფრიალა ჩადრებს. დედაბერი ერთხელ კიდევ წაიქცა. ცხენები ერთხელ კიდევ შედგნენ და მერმე ყველანი ღობეს მიეფარნენ.

მეც დავსძარი ცხენი. მოვდიოდი და ყურებით და გულით კიდევ დიდხანს მომქონდა ლამბალოს დედისა და ქვრივი ზეკიას ქვითინი.

„ჰასა-ა-ან!.. ჰასა-ა-ან“...

ასკერაბადში მივდიოდი. ჩვენი ბანი უკვე ახლოს იყო, მაგრამ მე ცხენი მოვატრიალე და გაქანებული ჩორთით უკანვე წამოვიყვანე.

XVII

ერთი კვირა გავიდა. მე ასკერაბადში ავედი. ლამბალოს მაგიერ ბაღსა და ბოსტანს მაშადი იზათი უვლის, მაგრამ ლამ-

ზალოსავით სამკურნალოში არ დადის და ხილი არ მოაქვს.
ყოველდღე სანიტარი ამოდის და ბოსტნეულობა და ხილი ორთვალათი ჩამოაქვს.

ახლა მაშადი იზათი არსად მოსჩანს. სახლი დაკეტილია.

შუადღე გადასულია. ცხელა. ნიადაგს ალმური ასდის. ყოველი სულდგმული ჩრდილს ეძებს. აქა-იქ დაყრილი საქონელი სთვლემს.

ძაღლებიც აღარ ჰყეფენ. წითელი ენები გადმოუყრიათ და ქაქანებენ.

მეც ჩრდილი მოვძებნე: აივანზე გავედი და ბანამდე აცოცილ ვაზებს მოვეფარე. მე დამალული ვარ. ჩემ თვალწინ დიდი მანძილია გაშლილი: გზა, მთის კალთები და სოფლები. სამივე ბაღიც კარგად მოსჩანს: მაშადი იზათის, მართლმადიდებელთა მისიისა და ჩვენი.

მაშადის შენობები სპარსულ წესზეა აგებული: მეტად მაღალი თიხის გალავანი აქვს შემორტყმული, რომელიც ალიზის სახლებსაც და პატარა ეზოსაც მალავს.

მისიონერთა ბაღის ძველ შენობას ხელის გულსავით ვხედავ. დაბალი ბუჩქნარი ქამარივით აკრავს გარშემო. ყაშა ლაზარე აქაც ცხოვრობს და ურმიაშიც. ეხლა სად არის არ ვიცი.

ხის სკამზე დავეშვი და პაპიროსი გავაბოლე. ირგვლივ ცხელი დღის სიჩუმე დგას. მხოლოდ ხანგამოშვებით ზემო მხრიდან სალამურის სტვენა ისმის — მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სევდიანი.

კარგა ხანმა გაიარა. ბოლოს მაშადი იზათიც გამოჩნდა.

ღობის დაყოლებაზე ფეხაკრეფით მოდის და აქა-იქ წნორის წკეპლას უჩხიკინებს, თითქოს რაღაცას ეძებსო. ზოგჯერ თავს მაღლა აიღებს ხოლმე და იქაურობას ისე ათვალიერებს, თითქო ვინმეს ემალებოდეს.

შემდეგ შედგა და მიბრუნდა. უბიდან სალამური ამოიღო და ააკაკანა. წელანდელი კილო ვიცანი — უცნაური და გაუგონარი, თითქო ერთი ფრინველი მეორეს უძახისო. მერმე სალამური ისევ უბეში ჩაიდო, ხელები წინ გაშალა და ისე დაიწყო ქნევა, როგორც ჰიპნოტიზიორი იქნევს ხოლმე, როცა ვისმეს აძინებს, თან უკან უკან მოდიოდა და გაუგებარ სიტყვას ჰბუტბუტებდა. მოხუცის ბოდვა არ მესმოდა, მაგრამ ერიოდე სიტყვას და ხმას მაინც რამდენჯერმე მოვკარი ყური:

— ა-ა-ქ, ილახ, ილახი!.. ჰა-ა-აბათი... თიბა თიბათი... ააათი ბათი...

სიტყვა „ილანი“ — გველი რომ გავიგე, ბუნდოვანს რამეს მივაგენი. საწყალი ლამბალო გამახსენდა. ერთხელ სამკურნალოს ბაღში სანიტარმა გველი მოჰკლა. ლამბალოს მოკლული გველი ენახა, მოვიდა და მითხრა:

— ალა, აქ გველი გყოლიათ. თქვენი დიასახლისი „სესტრა“ ჩივის, დაკეტილ ოთახიდან რძე იკარგებაო. გველები სჭამენ. მამაჩემი „ილან ოჯახია“ და მცურავის წამალი იცის. თუ გნებავს, მოგიყვან.

ლამბალოს ნათქვამს მაშინ ყური არ ვათხოვე. ეხლა კი მისი სიტყვა გავიხსენე: მამაჩემი „ილან-ოჯახლოდი“, — გველის ოჯახელიაო.

გავიფიქრე: „ალბათ გველი გახშირდა ამ ბაღში და“... მინდოდა გამოვჩენილიყავი, მაგრამ უცებ შევდექი და უფრო მეტადაც დავიმალე: გამახსენდა მაშადი იზათის სიფრთხილე და თვალების ცეცვა. ცხადი იყო, რომ „ილან ოჯახელი“ უცხო თვალს ერიდებოდა.

მოხუცი თათარი ისევ სალამურს უკრავდა და ნელ-ნელა მოდიოდა. ბოლოს ეზოში შემოვიდა და სამკედლიან დაწნულ ფარდულში შეიპარა. აქამდე რა ხდებოდა მაშადი იზათის გარშემო ამას ვერა ვხედავდი, რადგან მაღალ ბალახში მოდიოდა, ეხლა კი ცხადლივ დავინახე და სმენაც და თვალიც გავიმახვილე.

ბალახებიდან მოწმენდილ ადგილზე ჯერ ერთი გველი გამოცოცდა — წვრილი, მოკლე, ნაცრისფერი. პირველს მეორე მოჰყვა — მაჯის სისქე, სამაღლიანი, შავ-წითელი და ყვითელხალებიანი. მერმე ლურჯი, ყვითელი, შავი, წითელი და ჭრელი მცურავები გამოვიდნენ და გამოლაგდნენ. თავები მაღლა აეწიათ და ისე ჩაციებით უყურებდნენ სალამურს, თითქო უცხო ჰანგით მოხიბლულ-დაბანგულები იყვნენო.

ფარდულის შუაში ვარცლი და სელის ტომარა დავინახე. ვარცლში რძე იდგა. მაშადი იზათი ცალი ხელით სალამურს უკრავდა, ხოლო მეორე ხელით ჯიბიდან რაღაც ნაფხვენს იღებდა და ვარცლის გარშემო ჰყრიდა. ხუთიოდე ადლის სიგანეზე იდუმალი წრე შემოავლო, თვითონ კი იმ წრეში ჩადგა და ჰანგი გამოცვალა.

წელანდელ სევდიან კილოს მაგიერ ეხლა სწრაფს, ძყვიოცლ-სა და მოუსვენარ რამეს უკრავდა, თითქოს ვველებს აღიზია-ნებდა და რაღაც ბრძანებას აძლევდარ.

მცურავები გამოფხიზლდნენ, აღელვდნენ და გაკაპასდნენ. წრეს შემოეხვივნენ, ყალყზე ადგნენ, ატორტმანდნენ, ჰაერში იგრიხებიან, სისინებენ, ენებს აქაქუნებენ, ტალღასავით ქანაო-ბენ და მაშადის ეტანებიან, მაგრამ წრეს ვერ გადადიან, თით-ქოს იმ რკალზე, რაღაც უცნაური და იდუმალი ძალით არიან მიბმულიო.

მაშადი იზათისათვის შიშით ვთრთოდი. დგას შხამიანი, გაშმაგებული მცურავებით გარშემორტყმული მოხუცი და თვი-თონაც იგრიხება. ხან ერთ გველს უბერავს თავში სალამურს, ხან მეორეს, ხან მეათეს.

უცებ ისევ პირველი ჰანგი დაუკრა — სევდიანი, წყნარი და ელეგიური,- მცურავები ნელ-ნელა დაწყნარდნენ, მაშადი იზათი ხელებით სალამურს უკრავს, ხოლო ფეხით ვარკლს თანდათან საიდუმლო ხაზისკენ მიაცურებს. ბოლოს ვარკლი წრეს გადასცდა. სალამურის ხმა შეწყდა. მცურავები ვარკლს შემოეხვივნენ და რძეს ხარბად დაეწაფნენ.

მაშადიმ ტომარა აიღო, იღლიაში ამოიჩარა და პირი გაუხსნა, მერმე დაიხარა, ერთ გველს კისერში დასწვდა და მარდად ჩააგ-დო ტომარაში, შემდეგ შავ-წითელი ამოიღო, მერმე სპილენძის-ფერი, ლურჯი ყვითელი, ნაცრისფერი და ხუთიოდე სხვადა-სხვა ფერისა და ტანისა. შემდეგ ტომარას ბაწრით შეუკრა პი-რი და იქვე დასდო. ტომარა ალაგ-ალაგ ისე იბერება და იგ-რიხება, თითქოს შიგ ცოცხალი მსხვილი თევზები ჰყრიაო.

ეხლა მაშადი იზათმა მესამე ჰანგი დაჰბერა, მეორეზე უფ-რო მოუსვენარი, ველური და აბურძგვნილი. დანარჩენი მცუ-რავები ვარცლთან ამოცოცდნენ, ფარდულიდან გამოცოცდნენ და ბალახს შეერივნენ. ერთი მეორეს ისე მისდევდნენ, რო-გორც გაწაფული მწევრები და ორ წუთში იქაურობა დაცა-რიელდა.

მაშადი იზათი ფარდულიდან იხედება და არე-მარეს ათვა-ლიერებს. მერმე ტომარა მოიკიდა და თავის სახლისაკენ ძუნ-ძულით გაიქცა. მე იმ სახლს დავადგი თვალი. ორიოდე წუ-თის შემდეგ იქიდან პატარა ბიჭი გამოვიდა. ვიცანი. სწორედ

ის ბიჭი მოსდევდა ლამბალოს გვამს, როცა იგი ურმიიდან ასკერაბადში გადმოჰქონდათ.

ბიჭმა ქურდივით გადმოირბინა მაშადის ბოსტანი, ჩვენი ბაღიც გადასჭრა და ყანის ბუჩქნარში შეძვრა.

ხუთიოდე წუთმა გაიარა. მე მომეჩვენა, თითქო ბუჩქებიდან პატარა თავი ყაშას ფანჯარამდე ამძვრალიყო, შიგ შეეხედნა და ისევ ბუჩქებში ჩამოვარდნილიყო.

ბიჭი ისევ გამოჩნდა. ფეხაკრეფით მოიპარა. უცებ რაღაც მოეჩვენა. შეშინდა. ბადრიჯნის კვალში ჩაწვა და გამოცოცდა. მერმე წამოიწია, თავი ხელის გულზე დაიდო და ისე დაიქნია, თითქო ამბობდა: დაიძინეო, ან მეძინება, ან სძინავსო.

თვალი მარჯვნივ გადამაქვს. თიხის გალავნის პატარა კარებში მაშადი იზათი სდგას და ბიჭს თავს უქნევს — გავიგეო. მაშინვე ეზოში შებრუნდა და მალე გამობრუნდა. ზურგზე წნორის გოდორი ეკიდა და იმ გოდორში მგონი გველებით სავსე ტომარა ედო.

ისევ ფეხაკრეფით მოდის. ხეწლის ძირში და ბადრიჯნის ბუჩქებთან რამდენჯერმე შედგა და ხელები მაღლა ასწია, თან დაბლა იხრება და ფათურობს, ვითომ ხილს ან ბადრიჯანს ვკრეფავო.

ყაშას ბუჩქნართან რომ მივიდა, თავი დაღუნა, რამდენჯერმე ისკუპა და ბუჩქებში მიიმალა.

კარგა ხანი გავიდა, უცებ საიდგანღაც დამწვარი გოგირდის სუნი წამოვიდა. ნელი ნიავი ყაშას ბაღიდან მოდის და ის სუნიც მგონი იქიდან უნდა მოდენილიყო.

მაშადი იზათი ისევ ბუჩქებიდან გამოძვრა, ფოფხვით წამოვიდა და ბადრიჯნის კვლებში შეძვრა. გოდორი ისევ ზურგზე ეკიდა, მაგრამ შიგ გველები აღარ ეყარა. მერმე წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და ბადრიჯანს დაუწყო კრეფა. მოუსვენრად ჰკრეფდა და გოდორში ჰყრიდა.

უცებ მისიონერთა სახლიდან გაწმული, საზარელი, სასოწარკვეთილი ბღავილი მოისმა.

— მიშველეთ! მიშველეთ!

მაშინვე ყაშა ლაზარეს ჩახლეჩილი ხმა ვიცანი.

„უეჭველია, ყაშას ყელსა სჭრიან. — გავიფიქრე მე, თან საფარიდან გამოვვარდი და იმ სახლისაკენ გავიქეცი. ბღავილი

ყმუილად გადაიქცა — აღა! აღა, სად მიხვალთ? მომაძახა მაშადი იზათმა.

შევხედე. დაზწეული იყო. სახეზე შიში და გაოცება ეწერა. მე მივაძახე:

— მაშადი იზათ, მომყევი! კაცსა ჰკლ[redacted]ვენ! — და ისევ გავიქეცი.

— აღა, იავაშ!.. გეთმა! — ბატონო, მოიცადეთ! ნუ მიდიხართ! — მომაძახა მაშადიმ, მაგრამ მაინც დამედევნა.

კედელს შემოვურბინე და დაბალ ფიცრულ კიბეს მივადექი. იმავე წუთს ზემო კარებმა დაიჩხარუნა, წელამდე ტიტველი ყაშა მძლავრად ნაკრავ ბურთივით გამოვარდა და ერთი ნახტომით ზედ მომვარდა.

— მიშველე-ე-ე! — ბღავილით მომაძახა მან და ორივე ხელი ჩამჭიდა.

იმავე წუთს უკნიდან მკლავში მაშადიც მომწვდა და ყაშას ხელებს მომგლიჯა. მე კინაღამ წავიქეცი. ყაშამ ჩემს ფეხს ვეხი წაჰკრა და პირქვე დაეცა.

უცებ წამს შავ-წითელი უზარმაზარი გველი დავინახე, რომელიც ყაშას კისერს მოსწყდა და სწრაფად შეცურდა ბალახში.

— აღა. ფრთხილად! — მომაძახა მაშადიმ და ერთხელ კიდევ გამკრა ხელი.

მივიხედე და რამდენიმე ნაბიჯით უკან გადავხტი. ფიცრულ კიბეზე სისინით და კლაკვნით მცურავები ჩამოდიოდნენ და მარცხნივ ბალახბულახში იმალებოდნენ.

— ყორხმა, აღა, გეთტლარ, — ნუ შეშინდები, აღა, წავიდნენ და აღარ დაბრუნდებიან. — ჩამჩურჩულა მაშადიმ.

ყაშა მტვერში გორაობდა და ღმუოდა:

— მიშველეთ!.. მიშველე-ე-ეთ!

ორივე ხელი დასისხლიანებულ პირსახეზე ჰქონდა აფარებული.

— მაჩვენე. — უკმეხად უთხრა მაშადი იზათმა და მისი ხელები თითქმის ძალით მოჰგლიჯა პირსახეს.

ყაშა საზარელი სანახავი იყო. ცხვირის კეხიდან სისხლი წვრილი ზონარივით ჩამოსდიოდა. მეორე ნაკბენი მარცხენა ფერდში ჰქონდა, მესამე — ფეხის კოჭთან.

— ყურთულდი! — გათავდა! — ჩაიქნია მაშადიმ ხელი.

„ილან-ოჯახლის“ შევხედე. მოჭუტულ თვალებში სიხარულის ნაპერწკლები დაუხტოდნენ. ტუჩი ოდნავ უთრთოდა.

მე გამახსენდა მისიის ეზო და სისხლით მოსვრილი ლამბალო... სიხარულით გაგიჟებული ყაშაც. მეორე დილა. თოხარიკით მომავალი ცხენები... გასუდრული ლამბალო, მაშადი იზათის ხვნეშა, რამდენჯერმე წაქცეული დედაბერი და ზეკია-ყიზი — ლამბალოს „ურუს კუკლა“, და კვლავ მომესმა მაშინდელი წივილი: „ჰასანნ“! ჰასაან!..

გამახსენდა ყოველივე და ყაშას გადავხედე, თეთრი ტანი და ნარმის ნიფხავი აქა-იქ სისხლის ზოლებით ჰქონდა აჭრელებული. აღარ ბღაოდა. მხოლოდ ნაცემ ძაღლივით წკმუტუნებდა, იგრიხებოდა და მემუდარებოდა:

— ექიმო, მიშველე! — პამაგაი!

ყაშას ხმაში და თვალებშიც ისევ იმ ძაღლის ხმა და თვალი მომელანდა, რომელმაც ორმოცი წლის წინათ ხელი წამკრა და სისხლიან ოთხფეხს ჩამახუტვინა.

მაშინ ვტიროდი, ძაღლი მლოკავდა. ღელვით და ცრემლით დათენთილი, მომაკვდავ პირუტყვს მოვეხვიე და მის სისხლიან თათებში ჩავიძინე.

ათიოდე დღის წინათ იქ, ურმიაში, იმ ეზოში, ამავე იდუმალმა ძალამ მიმაგდო ლამბალოს ჯალათზე. მაგრამ მაშინ ვერც ძაღლს ვუშველე — ვერც ლამბალოს. ეხლა ვერც ყაშას ვუშველიდი, რადგან ვერც მაშინდელი ხელწამკრალი ძალა ვიგრძენი ჩემს სულში.

— ყურთულდი! — გათავდა! — ულმობელ კილოზე გამეორა მაშადი იზათმა და ეს ერთი სიტყვა ცივი სუსხით გ..ყინა.

ხელმეორედ დავაცქერდი მაშადის. მან თვალი მომარიდა და ოდნავ გაიღიმა. ჰაერი დავყნოსე. ისევ დამწვარი გოგირდის სუნი მეცა. ახლა მაშადიმ თვითონ გამიყარა თვალი თვალში და ერთმანეთის სათქმელი უსიტყვოდ გავიგეთ.

მეც უნებურად გავიღიმე. რა მექნა? მე თავდაპირველად ადამიანი ვარ, მერმე ექიმი და ბოლოს ქრისტიანი, ან ჯერ ქრისტიანი და შემდეგ ექიმი.

ათიოდე თათარი და აისორი მოვარდა. ყაშას დასცქეროდნენ და ჩემს განაჩენს ელოდებოდნენ.

ჩემ მაგიერ ისევ მაშადიმ უპასუხა:

— ყურთულდი, გათავდა, არ მორჩება!

ჩემი საქმის ვალი მაინც მოვიხადე — მჩატედ და ცალი ყბით, მაგრამ მაინც მოვიხადე:

— ვის შეუძლიან ეს შხამი გამოსწოვოს? — ვკითხე ყაშას თანამოძმე აისორებს. — ვის აქვს ჯანსაღი კბილები და პირი?

იქვე ოციოდე აისორი მაინც იდგა. მაგრამ ყველამ თავი გააქნია და განზე გადგა. ყაშა შეჰპირდა: ვინც მიშველის იმ აქაც გამდიდრდება და საიქიოშიც ცხონდებაო. მეც დავუდასტურე, მაგრამ არც სიმდიდრე მოიწადინეს და არც ცხონება მოისურვეს.

— მაშ არაყი გაათბეთ და თითო ყლუპი ასვით ხშირ-ხშირად, შემდეგ ურემზე დააწვინეთ და წითელ ჯვარში მოიყვანეთ. იქ მოუვლიან. მეც მალე ჩამოვალ. — ვუთხარი მათ და გამოვტრიალდი. მაშადი იზათიც გამომყვა.

კუთხეს რომ მივეფარეთ, მაშადის მივუბრუნდი:

— მაშადი იზათ, წეღან რომ მითხარით, გველები წავიდნენო, ყველანი წავიდნენ?

— ყველანი, ალა, ყველანი. ერთ წელიწადზე ადრე ამ ბაღებში არც ერთი აღარ შემოვა.

მაშ ვნახოთ.

და იმ ბუჩქებში შევედი, სადაც წეღან მაშადი და პატარა ბიჭი დაცოცავდნენ.

ყაშას ოთახის ფანჯრის ძირში შევდექი. ქვევით კედელში ხვრელი იყო დატანებული და იმ ნახვრეტში სელის ტომარა იყო შეტანილი. დაჭმუჭნილ სელზე წითელი ნაწილი მოსჩანდა ჩვენი ნიშნის — წითელი საღებავით გამოსული წითელი ჯვარი.

— მაშადი იზათ, — მივუბრუნდი მოხუცს, რომელმაც ამ დროს ბუჩქებიდან გამოჰყო თავი. — ეს ტომარა ჩვენია.

— ბალი, ალა, თქვენი გახლავთ.

— მგონი ლამბალოს ვაჩუქე.

— სწორედ ის არის.

— მერმე?

მაშადიმ ტომარა გამოიღო, ნახვრეტიდან გოგირდის სუნი და ბოლი გამოვარდა. ეხლა კი უკეთ გავიგე: იმ ხვრელში შეყრილი მცურავები ძველ ოთახში სხვა ხვრელებით აძვრენ

და გოგირდის ბოლით გამწარებულნი, მძინარე ყაშას დაეტაკნენ. მე მოვბრუნდი და წამოვედი. მაშადიმ ტომარა უბეში ჩაიჩარა და წაიბუტბუტა:

— ისიც საკვირველია, რომ ჩემი ხნის ადამიანმა ამ ნახვრეტში ტომარის მაგივრად საკუთარი თავი არ შესდო და შიგ არ დაავიწყდა.

ცხენს რომ მოვაჯექი, მაშადი იზათმა უზანგს ხელი ჩამჭიდა, კარამდე გამომყვა ჩანჩალით და, კარი რომ გამიღო, ღრმად ამოიოხრა და სთქვა:

— აღა, ოცი წლის სიბერე მომწყდა კისრიდან.

— ალაჰმა ოცი კიდევ მოგწყვიტოს, მაშადი იზათ. შენი ზეზერი ხანუმი და ზეკია-ყიზი მომიკითხე.

— მადლობელი ვარ, აღა, დიდი მადლობელი, ჩოხ საღოლ! ჩოხ!

— მშვიდობით იყავი, მაშადი იზათ!

— სალამათ, აღა, სალამათ ოლუნ!

XVIII

ყაშა ლაზარე კვდებოდა, მაგრამ სანამ მოკვდებოდა, ერთხელ კიდევ მიკპინა.

ასკერაბადიდან რომ დავბრუნდი, შინ ახალი ბრძანება და ახალი ექიმი დამიხვდა. სამკურნალო იმ ექიმისათვის უნდა ჩამებარებინა და მე ცხრა მთას იქით სადღაც ბაიბურთში უნდა გადავსულიყავი. წითელი ჯვრის კიბეს ისევ ისე ვათავებდი, როგორც დავიწყე; მოწინავე პოზიციებზე ხეტიალი, კარვებში ცხოვრება, დათვის ტყავში ძილი, ყინვა, წვიმა, ჭუჭყი, მუნი, მკბენარი და შიმშილი.

მაგრამ არ მეწყინა. ახალ ექიმს კი ვუთხარი:

— ბედი გქონიათ. ყაშა ლაზარე მაინც აღარ გეყოლებათ.

და დაახლოებით ისეთივე ბაასი გავმართეთ იმავე სასადილოს დარბაზში, რანაირიც ზაფხულში მე და ჩემს წინამორბედს გვქონდა.

ახალმა ექიმმა გადმომცა, რომ ეპისკოპოსმა პავლემ მეფისნაცვალს, საქართველოს ეგზარხოსს და წითელი ჯვრის მთავარრწმუნებულს კამერჰერ გოლუბევს თქვენი განწირვა მოსთხოვაო.

— გადაეცით, — დააბარა თურმე ახალ ექიმს ჩემდამი გადმოსაცემად გოლუბევმა, — რომ გულით და სულით იმის მხარეზე ვარ, მაგრამ...

მაგრამ თურმე გოლუბევსაც ეშინოდა პავლეს ძლიერი ენისა.

მისიის მღვდელმთავარი დიდი ზეიმით მოვიდა ყაშა ლაზარეს საზიარებლად. ერთმანეთს მოვერიდეთ. აზიარა, დიდი ეზო შავი ფარშევანგივით გადასჭრა და წავიდა.

საღამოზე მომაკვდავის სანახავად შევედი.

ყაშა კვდებოდა, გულაღმა იწვა. წითელი თავი და პირსახე უზარმაზარ გოგრასავით გასივებოდა. ცხვირი სიმსივნეში ჩამალულიყო და მის მაგიერ რაღაც ლურჯი ღილი მოსჩანდა. პირი აპრუწული ჰქონდა, ერთი თვალი წითელ ცომში ჩაფლულიყო, ხოლო მეორე თვალის მაგიერ მოლურჯო ლობიო უბრწყინავდა და თვითონ ყაშაც იმ გველივით გასიებულიყო, რომელსაც ყელში ვირთაგვა გაეხირა.

ლობიო თვალით მიცნო და მომაჩერდა.

— ყაშა ლაზარ, როგორა ხართ?

პასუხი არ გამცა. მხოლოდ აიმრიზა და აიღმიჯა. მე კვერდით მივუჯექი და განვაგრძე:

— ყაშა ლაზარ, მე აქედან მივდივარ, დამითხოვეს.

ლაზარეს ლობიო თვალში სიხარულის ელვამ გაირბინა.

— გიხარიანთ, განა! თქვენი მადლობელი უნდა ვიყო მაგრამ ახლა, ასეთ დროს... ერთი სიტყვით, არა გზრახავთ. თქვენ ქრისტიანი ხართ და ამიტომ ღმერთსა ვთხოვ, რომ მოკიტევოს ყოველი შეცოდებანი თქვენი. მეც შემინდვიხართ მეც მიპატიებია თქვენი ბოროტებანი, რომელნიც მეც და სხვებსაც უხვად გვიძღვენით.

ყაშას მოჭუტულ თვალიდან ბოღმის ალი ამოვარდა. აპრუწული პირი ააცმაცუნა და ახლად მიღებულ ზიარებასთან ერთად თავის სულის შხამიც ამოანთხია:

— к чорту! — ჯანდაბას! — ძლივს ამოიხრიალა ბლუ ენით წითელმა მხეცმა. — შენი ჯავრი საფლავში ჩამაქვს. წუწკი „პერსუკი“ ჰასანი ხომ მაჰმადს გავუგზავნე. შენ კი... შენ კი გადამირჩი, თურმე ბედი გწყალობს.

ისედაც გასიებული ლოყები ბაყაყივით გაიბერა და გესლიანი დუჟი ძლივს ამოაფურთხა გალურჯებულ ტუჩებზე:

— ფუჰ, окаянный! — შეჩვენებულო!

მე წამოვდექი. ბრაზის და ზიზღის მაგიერ გულში სიბრალული დამიგუბდა. ვუთხარი:

— ყაშა ლაზარ, მებრალებით. საშინელია, ოდეს ქრისტეს მსახური სიცოცხლის უკანასკნელ წამშიც კი წმინდა მოძღვრის მთავარ მცნებას ვერ გაიხსენებს. ალბათ ამიტომ გიძნელდებათ სიკვდილი. მაინც ღმერთმა შვება მოგცეთ.

კარები რომ გამოვაღე, უკნიდან ერთხელ კიდევ მომესმა გომბეშოს ამონახეთქი:

— ფუი, Идол проклятый! — წყეულო კერპო!

XIX

მხოლოდ ახლახან გავიგე, რომ ლამბალოს ჯავრი ბედმამდევარმა ამოიყარა.

გასვების ეთიკი უკვე ჰყოლდა მთაზედა, ვინც „ყარდაში" დამიღუპა და უხილავი თითი უკვე სწერდა ეტლსა, როდესაც თხუთმეტი კაცი გააკრეს მიწაზე და თხუთმეტი ჯოხი აღმართეს მათზედა.

1918 წელს გოგი და მაგოგი საბოლოოდ წამოვიდნენ ურმიიდან.

როცა ქალაქში ერთი სალდათიც აღარ დარჩა, ხოლო იქვე გორაკებიდან უკვე ოსმალები და ქურთები ჩამოდიოდნენ, მრისხანე და ქინიანი ეპისკოპოსი პავლე ისევ თავისას გაიძახოდა:

— არ წავალ! სადაც რუსის წმინდა სისხლი დაიღვარა, რუსეთის გულიც იქ არის. არ წავალ! ვერ გამიბედავენ!

გაუბედეს. მართლმადიდებელთა კლდეს მუსლიმანთა ადუღებული ზღვა მიადგა. მიადგა, შეანგრია და შევიდა. ფარჩის ანაფორაში გამოწყობილი ამაყი და ლამაზი ვაჟკაცი თხუთმეტ წამებულთა ეზოში გამოიყვანეს და კაიდარ-მოლას წინ დააყენეს.

— ალაჰ, ილ ალაჰ! — სთქვა კაიდარ-მოლამ და ერთ მოხუცებულ თათარს მიუბრუნდა: — მაშადი იზათ, ეს მხეცი შენია. — და იისფერ ანაფორაზე მიუთითა.

მაშადი იზათმაც ახსენა ალაჰ, დაიმკლავა და ის ანაფორა

იმავე ალაგზე დაჰკლა, წადაც იმავე ანაფორამ მის ლამძალოწ სული ამოართმევინა.

იმავე დროს ასი ათასი გადარჩენილი აისორი დოქტორ შეედის წინამძღოლობით უზარმაზარ დაგლეჯილ ურჩხულივით მიიკლაკნებოდა ჰამადან-ბაღდადისკენ, რათა განრისხებულ მუსლიმანთა კლანჭებისათვის დაეღწიათ თავი და უკვე ერაყში დამჯდარ ინგლისელებს შეხიზნებოდნენ. მიჩოჩავდნენ უდაბნოში ასურელები, ვითარცა ეგვიპტიდან გამოსული ურიები, და გზაში შიმშილის, ქურთების მახვილისა და მრავალნაირი სენის მეოხებით დილით-დილამდე რამდენიმე ასეულ დავრდომილსა და დახოცილ თანამოძმეს ჰკარგავდნენ. დოქტორი შეედი სხვებზე ადრე წააქციეს. მკვდრებს არც კი მარხავდნენ, დავარდნილებს ვერ შველოდნენ და არც უკან იხედებოდნენ. ნახევარი გასწირეს, სამშვიდობოს გავიდნენ და „ურიათა გამოსვლა“ განიმეორეს, მაგრამ ვაი იმ გამოსვლას!

ბედი-მდევარი სხვებსაც ურმით დაეწია და ახალი რუსეთის წითელ ქინძღალზე დასწვა:

გენერალ ჩერნოზუბოვს ულმობელმა ბედმა კავკავში ჩასჭიდა ბასრი კლანჭები.

კომენდანტი ბერეზოვსკი ხარკოვში გახვრიტა წითელმა ტყვიამ.

კონსული ნერატოვი ციმბირში გაიყინა, ხოლო მისი მდივანი ვოლგაში დაიხრჩო.

საზარელ არს ყივილი განგების ეთიკისა!

დიდ არს ძალა ბედი-მდევრისა!

1925 წ.

ყბაჩამ დაიგვიანა

I

რკინის გზის ნაპირას სადარაჯო ქოხი დგას. ქოხის კედელთან გრძელ სკამზე დარაჯი თომა და მისი თვრამეტი წლის ქალიშვილი ბრმა თინა სხედან. თინას თომასთვის ზურგი შეუქცევია და თავის ტევრი გაწეწილი თმა მამის მკლავებსა და მუხლებზე დაუყრია. თომა ხის სავარცხლით უვარცხნის თმას და ეუბნება:

— ამისთანა ლამაზი შავი თმა ჯერ არ მინახავს. გეზრდება და გეზრდება.

— მართლა, მამილო? ლამაზი თმა მაქვს განა! მიხდება?

— გიხდება, მაშა!

თინა წითელი ტუჩებით იღიმება, თეთრად ჩამწკრივებულ კბილებს აელვებს და უჩინო თვალებს საამურად ჰკიჟავს. კალთაში ბებერი კატა უზის და ორივე ხელით უალერსებს მას. ფეხებთან მგლის მსგავსი ძაღლი გაწოლილა და, სიცხისგან ვეება წითელი ენა გადმოუგდია, ალაქლაქებს და დროგამოშვებით პირის წკაპუნით ბუზებს იჭერს. თინამ ოდესღაც კატას „ნანუ" დაარქვა, ძაღლს კი „გრენა" და ორივე ეს სახელები შერჩათ.

— ნანუ, გესმის რას მეუბნება მამაჩემი? მაშ ლამაზი თმა მაქვს, მამილო? — ერთხელ კიდევ ეკითხება თინა თომას და კატას გულში იხუტებს.

— ძალიან ლამაზი თმა გაქვს, შვილო, ძალიან, თმაც ლამაზი გაქვს, თვალებიც, პირიც და ცხვირიც. შენც ლამაზი ხარ, გენაცვალოს მამაშენი, ძალიან ლამაზი ქალი ხარ.

— თმა რა ფერისა მაქვს? — მეათასჯერ ეკითხება თინა, და თომაც უგულოდ უპასუხებს მეათასჯერვე:

— თმა კუპრივით შავი გაქვს.

— რა არის კუპრი? როგორია შავი?

— შავი ის არის, შვილო, რასაც ჰხედავ.

— მე ვერაფერს ვერა ვხედავ, მამილო.

— ჰო და შავიც სწორედ ეგ არის, რასაც ჰეედავ, ცუ უგი, ბინდი, ბნელი, არაფერი, შავი.

— ბნელი! არაფერი! შავი! მაშ შავი არაფერი ყოფილა.... მაშ არაფერიც შავი ყოფილა... მაგრამ რა არის და რა ფერისაა არაფერი? ნეტა რა ფერისაა ფერი? ან რა არის ფერი?

ფიქრისაგან თინას მალე თავი ასტკივდა და გულმაც ფართხალი დაუწყო. ფიქრი უმალვე ამოიგდო თავიდან. აღარც კითხვას უფიქრდება, აღარც პასუხის გაგებას ატანს ძალას და მაინც შეჩვეულს იმეორებს:

— თვალები რა ფერისა მაქვს, მამილო?

— თვალებიც შავი გაქვს, გენაცვალოს მამაშენი, მხოლოდ ზედ თეთრი გაქვს გადაკრული.

— ტუჩები?

— წითელი.

— კბილები?

— თეთრი.

— პირსახე?

— პირი პირისფერისა გაქვს, გენაცვალოს ჩემი თავი.

— მაშ ბალახი მწვანეა?

— მწვანეა.

— ჩალა?

— ჩალისფერი.

— ცა?

— ცისფერი.

„პირისფერი პირსახე!.. ჩალისფერი ჩალა!.. ცისფერი ცა! ოოჰ, ღმერთო, დიდებულო!“

თომამ მაჯის სისქე ნაწნავი დაუწნა, ბოლო ჩვრის ნახევით შეუკრა და უთხრა:

— გავათავე, შვილო, ადექი.

თინა გასწორდა, ნაწნავი ათქვირებულ მკერდზე გადმოიგდო, იდაყვები მუხლზე დაიწყო და ნიკაპი ხელის გულებზე დაიბჯინა. ოდნავ წინ და უკან ქანაობს, თან სივრცეს უღიმის და თხოულობს:

— მამილო, ეხლა ზღაპარი მითხარი.

— ზღაპარი? რაც ვიცოდი, ბარე ათჯერაც გიამბე. ჰეტი აღარ ვიცი.

— ერთხელ კიდევ მითხარი.

— იყო და არა იყო რა, — უგულოდ იწყებს მოწყენილ ზღაპარს თომა, — ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. ი ხელმწიფეს ერთი შენისთანა ლამაზი ქალი ჰყავდა. ერთხელ ი ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირები დაიბარა...

— რა ერქვა იმის ქალს? — აწყვეტინებს თინა.

— თინა ერქვა, გენაცვალოს მამაშენი.

— ჩემზე უფრო ლამაზი იყო?

— შენზე ლამაზი როგორ იქნებოდა, მაგრამ...

— მაგრამ ჩემსავით ბრმა არ იყო, განა!

— არა, გენაცვა, ბრმა არ იყო. დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უთხრა: ჩემ სამეფოში ცხრათავიანი დევი გაჩენილა. ი დევმა ბევრი ხალხი გამიფუჭა. ვინც იმას მოჰკლავს, ლალის ციხეს ვაჩუქებო.

— რა არის ლალის ციხე, მამილო?

— ი ციხე სულ ლალისაგან იყო აშენებული.

— ლალი რაღა არის?

— ძვირფასი ქვა არის. შენი ნეკისთავისოდენა ლალი რო მოგვცა, ავშენდებით.

— რა ფერისაა ლალი?

— წითელი, შენი ტუჩებივით წითელი.

— მერე? ი ციხეს შიგნით რის კედლები ჰქონდა?

— ფირუზისა.

— ფირუზი ცისფერია, არა?

— ჰო, გენაცვალე. ჭერი ზურმუხტისა ჰქონდა, მწვანე, ფოთლისფერი. ლალის ციხეს მივცემო და თინასაც მივათხოვებო.

— რა არის გათხოვება?

— ათჯერ თუ ოცჯერ გითხარი, შვილო.

— კიდევ, მამილო, კიდევ მითხარი.

— გათხოვება ის არის, რომ ქალი და ვაჟი... ერთ სახლში დასახლდებიან.

— თინა აღარ იღიმება. პირში ნერწყვი მოსდის და ხმაც ეცვლება.

— რითვინა? რითვინ დასახლდებიან?

— იმითვინა რომა... რომა ცოლ-ქმარი არიან, ქალი ცოლია და ვაჟი ქმარია. აი ამითვინა.

— რა არის ცოლი და ქმარი? რითვინ შეიყრებიან ერთადა?

— იმითვინა რომა... რომ ერთმანეთი უყვართ, შვილო.

— რად უყვართ?.. რა არის სიყვარული?

და სიჩუმის შემდეგ კვლავ ათრთოლებული ხმით განიმეორა:

— მამილო, რა არის-მეთქი სიყვარული?

თომა შეიშმუშნა. ბევრჯერ მოარიდა თინას ნამდვილი პასუხი, მაგრამ შვილი მარწუხებით ეწეოდა მამის პირიდან სიმართლეს.

— სიყვარული ის არის, გენაცვა, რომა... ქალი და ვაჟი ერთმანეთს... ჰო, ერთმანეთს შეიყვარებენ. აი ეს არის სიყვარული... სწორედ ეს არის და მეტი არაფერი.

— როგორ შეიყვარებენ-მეთქი? — ქინიანად წამოიძახა თინამ და თომას მისწვდა ორივე ხელით მკლავში. — როგორ შეიყვარებენ-მეთქი, მამილო, როგორ?.. რა უნდათ?.. რას სჩადიან? რას? გამაგებინე.

და მამა ღონიერი ხელებით შეანჯღრია. თინას ხმაში კვნესა და ბრაზი მოისმა.

— გეტყვი, გენაცვა, გეტყვი. ოღონდ დაწყნარდი, ნუ ჯავრობ.

— მითხარი, მამილო, მითხარი. — და ბრაზის მაგივრად თინას ხმაში მუდარა გაჩნდა. — მითხარი, აი აღარა ვჯავრობ... სთქვი.

თავი თომას მხარზე მიადო და გაინაბა.

— ქალი და ვაჟი რომ ერთმანეთს შეიყვარებენ, ერთმანეთს... მიუსხდებიან.

— როგორც მე და შენ. — განმარტა თინამ და თომას გვერდს აეკრა. — აი ასე, არა? მერე?

— ჰო, გენაცვა, აგრე.

— მერე? მერე?

— მერე, გენაცვალე... მერე არაფერი.

— როგორ თუ არაფერი! მამილო, სტყუი, ნუ მატყუებ, მამილო! მითხარი, გენაცვალოს თინიკო, მითხარი.

— ღმერთმანი, არაფერი.

— ერთი დახე, ღმერთსაც ფიცულობს!

— მე კი არ ვიცი და...

— მაშ მე ვიცი, ვიცი!

— თუ იცი, რაღას მეკითხები.

— ვიცი-მეთქი, ვიცი! — სიხარულით და დაჟინებით იძახოდა თინა და ტაშს უკრავდა, — ვიცი, ვიცი! კეკემ მიამბო.

— რა გიამბო კეკემ?

— ის მიამბო, რომ ქალი და ვაჟი ერთმანეთს ჩაეხუტებიანო და... თინა გაწითლდა, თომას მკლავებს მოჰხვია და გაინაბა.

— მერე, რომ ჩაეხუტებიან?

— ჩაეხუტებიან და...

თინა თითქოს აჟრჟოლდა, ცოტა ხანს სდუმდა, მერე თომას მკერდს ჩასჩურჩულა:

— ჩაეხუტებიან და... ერთმანეთს ჰკოცნიან.

„იცის, — გაიფიქრა თომამ, — იცის, აწ კი დრო არ არის გაიგოს? თვრამეტისა შესრულდა. მართალია, კაცი არავინ მოჰკარებია ჩვენს სახლს, მაგრამ ბუნება ყოველთვის თავისას გაიტანს ხოლმე“.

— მამილო! — მთრთოლვარე ჩურჩულით ეძახის თინა.

— რა გინდა, გენაცვალოს მამა?

— რაღაც უნდა გკითხო.

— მკითხე, გენაცვა, მკითხე.

— არ გამიჯავრდები?

— რათა, გენაცვა, რად უნდა გაგიჯავრდე?

— ქალი რომ ჩემი ხნისა შესრულდება, გათხოვდება ხოლმე, არა?

— ჰო, გენაცვა, გათხოვდება.

— მე... მე როდისღა გამათხოვებ?

თომას ხმა აუტოკდა:

— შენა?.. მალე, გენაცვალოს მამაშენი, მალე. ერთ ისეთ ბიჭს გიშოვნი, რომა... გინდა, განა, ერთი ყოჩაღი ბიჭი?

— ჰო, მამილო... მინდა... მეც მინდა ბიჭი.

— თინამ უჩინო თვალები მილულა და სული შეიგუბა. მერე თითქო თავის თავს ჰკითხა:

— ყბაჩა? ნეტა ყბაჩა სად არის?

— მოჯამაგირედ დაუდგარა. მოგწონს, ყბაჩა?

— ძალიან მომწონს, ძალიან! კარგი ბიჭია... ძალიან კარ-

გი ბიჭია. მაგრამ ვინ იცის, ის კი მოინდომებს ბრმა თინიკოს შერთვას?

თომას გული აუჩქროლდა. თინას პირდაპირმა და გულუბრყვილო თხოვნამ მამის გულს ცეცხლი მოუკიდა და კვლავ აუშალა მინელებული დარდი.

ვინ შეირთავს თინას? ვის რად უნდა თითქმის უკაბო ქალი? ვის გამოადგება ბრმა ცოლი? არავის, არავის! გასათხოვარი დარჩება თინა და ისე დაბერდება, რომ სიყვარულის სიხარულს ვერც კი გაიგებს და ტიალ ქვეყნის ერთადერთ სიტკბოებას ვერ იგრძნობს. ი დალოცვილი ღმერთი, ბედია თუ ბუნება, ერთს ყველაფერს მისცემს და თავსაყრელ სიკეთეს მიუძღვნის, მეორეს კი ტიტველ-შიშველს გააჩენს და ზოგჯერ თვალისჩინსაც წაართმევს. ვის შესცოდეს, ვის დაუშავეს უწყინარმა თომამ და უცოდველმა თინამ ისეთი შეუნდობარი, რომ ორივენი ამ ქვეყნიდან გამოითიშნენ და ჭირიანებივით მოსწყდნენ თავიანთ ტოლებს და მეზობლებს?! არავისთვის არაფერიც არ დაუშავებიათ, არავითარი ცოდვა არ ჩაუდენიათ, მაგრამ თომას თავის თავზე და თინაზე უბედური და გულჩაბნელებული ამქვეყნად არავინ არ ეგულება. დარჩება თინა გასათხოვარი! დარჩება დაუნიშნავი, უქმრო, უსიყვარულო და... უბიჭო!

— მაშ მალე გამათხოვებ, მამილო? — კვლავ სუფთა გულით და ხმის კანკალით ეკითხება თინა.

— ჰო, გენაცვალოს მამაშენი. — ჰკვნესის თომა და ცრემლებს იწმენდავს. — მალე გაგათხოვებ... სულ მალე.

თინა გასწორდა და გამხიარულდა.

— ნანუა, ახტი! ნანუ, ახტი-მეთქი!

და ხელი მხარზე დაიკრა. ნაჩვევი კატა უმალვე ბეჭებზე მოექცა.

— ღრინა, სადა ხარ? მოდი, მოდი!

შეჩვეულმა ძაღლმა ზანტად წამოიწია, გაიზმორა, გაიჭიმა და წინა ფეხებით თინას მუხლებზე აეტორტმანა. უსინათლო ქალი ორივე ხელით მოეხვია ღრინას და აჭიკჭიკდა:

— ღრინა, ვთხოვდები!.. ნანუა, მალე ერთი ბიჭი მეც მეყოლება!

დიდი ქორწილი გვექნება. თქვენც მობრძანდით, გენაცვა-

ლოთ თინაი, მობრძანდით და იქეიფეთ. ბუზიკა და დაირაც იქნება. მამილო, ჩქარა მომეცი დაირა!

თომამ თეფშისოდენა დაირა გამოუტანა. თინა წამოდგა და ნანუაც თან აიყვანა. დაირას მძლავრად ჩამოჰკრა და პაწაწინა ეზოს ჩამოუარა. მხიარული ღიმილით უვლიდა, დაირას აბრახუნებდა და იძახოდა:

— დიპტიპიტო, დიპტიპიტო! დიპტიპიტო, დიპტიპიტო! ტაში, მამა, ტაში!

თომაც გაიშალა და გაიბადრა. ტაში დაჰკრა და დაირას ლექსიააყოლა:

თინიკო, თინიკო,
გუშინ შენთან ვინ იყო?
ლოთები, ლოთები,
დაგიმტვრიეს ბოთლები!
ბოთლები, ბოთლები!
ბოთლები, ბოთლები!

ნანუა თინას ისევ მხარზე უზის და შეშინებული თვალებს აცეცებს, ღრინაც თინას დასდევს და ბოხის ხმით მხიარულად ყეფავს:

— ჰავ-ავ! ჰავ-ავ!

თინა ერთ ალგზე რამდენჯერმე მოტრიალდა მარდად, კაბის ბოლო ააფრიალა და ტიტველი წვივები გამოაჩინა. მერმე შეწითლებულ პირსახეზე ბედნიერი ღიმი გაიშალა, შერუჯული მკლავები წინ გაიშვირა და უჩინოს უნდო ნაბიჯით წავიდა წინ.

— მამა, სადა ხარ?.. მამილო!

— აქა ვარ, შვილო, აქა!

და ერთი წუთის შემდეგ ბრმა თინამ თავის ალეწილი პირსახე მამის ბანჯგვლიან მკერდს მიაკრა.

თომამ თინას მატყლი და თითისტარი გამოუტანა, თვითონ კი გზის დასათვალიერებლად წავიდა. მიდის თომა და ასჯერ ნაფიქრავს ერთხელ კიდევ ჰფიქრობს: „თინა გაუთხოვარი დარჩება. ბრმა ქალს არავინ წაიყვანს. თინას ტანჯვა გაუათკეცდება, ქალმა ქმრისთვის უნდა შეინახოს თავი, მაგრამ თუ ქმარი არ ეყოლება? მაშ თავი უნდა დაიბეროს? სად არის სამართალი? არა, თინას ისეთი ბედი ერგო, რომ სხვებსავით ვერ მო-

იქცევა. თინას ნება აქვს მამაკაცი შეიყვაროს და თუნდ ერთი თვით გაჰყვეს, თუნდ ერთი კვირით, თუნდაც ერთი საათით! იყბედონ სხვებმა რამდენსაც მოინდომებენ! სოფელი შორს არის. იყბედონ და ენა მოიფხანონ. ოღონდ თინა იყოს ბედნიერი, თორემ დანარჩენი ქვეყანა თომასთვის აღარ არსებობს, რადგან აღარც თომა არსებობს ამ ქვეყნისთვის.

II

ოც წელიწადზე მეტია, რაც თომა რკინის გზას სდარაჯობს ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც თავის მშობელ ლეჩხუმს და იქაურ ნაცნობ-ნათესავებს მოსწყდა. როცა დავაჟკაცდა, სურამში ერთი თავისთანა უპატრონო ქალი იშოვა და შეირთო. თომა და მარიამი რკინის გზის ნაპირას დასახლდნენ და გამოყრუებულ ცხოვრებას შეუდგნენ. ერთი წლის შემდეგ თინა გაუჩნდათ.

წელიწადი წელიწადს მისდევდა. ერთხელ ექვსი წლის თინა ავად გახდა. გონება დაჰკარგა და ორი კვირა სულთამხუთავის ხელში ფართხალობდა. მერე მოსულიერდა, მაგრამ თვალისჩინი აღარ დაუბრუნდა. თომა და მარიამი სიმწარისგან ხან ლოცულობდნენ და იმედოვნებდნენ, ხან კიდევ ღმერთსა და ქვეყანას სწყევლიდნენ.

პირველ ხანს ორივენი დაჟინებით ცდილობდნენ, რომ თინასთვის გაეგებინებინათ შავი და თეთრი, წითელი და მწვანე, ლურჯი კი ყვითელი. მაგრამ თანდათან დარწმუნდნენ, რომ თინას ფერის გარჩევის უნარი სამუდამოდ დაეკარგა, რომ ეს ქვეყანა მათის ერთასთვის ღამესავით დაბნელდა, რომ თინა განუჭვრეტელ წყვდიადში ჩავარდა და მისი ამოყვანა იმ ბნელ ორმოდან აღარავის არ ძალუძდა, — არც მკითხავს, არც ხატს, არც ღმერთს, არც სულიერსა და არც უსულოს.

პირველი სიმწვავე თანდათან გაუნელდათ და გამოფიტულ გულში მხოლოდ სევდა და ბედის ჩივილიღა შერჩათ

თინა მაინც იზრდებოდა. დედის დახმარებით წინდებს ჰქსოვდა, მატყლს ართავდა, წყალზე დადიოდა, იქაურობას ჰგვიდა და სარეცხსაც რეცხავდა. დრო მიდიოდა და თინასაც ძველი ქვეყანა თანდათან ეკარგებოდა, ხოლო იმის ნაცვლად ახალი უცნაური მსოფლიო ებადებოდა.

დგრიალით მომავალი მატარებელი საარაკო ფრინველს ჰგავდა, რომელსაც რკინის ათასი ფრთა ჰქონდა გამობმული და იმ ფრთებზე ხალხი ფუტკარივით იყო აკუნწლული.

ქოხის გვერდით ერთი მთა იდგა. იმ მთაზე ცხრათავიანი დევი იჯდა და იმ დევს უზარმაზარი მუგუზალი ეჭირა, რომელიც ქვეყანას ათბობდა და ანათებდა. ის დევი რომ დასაძინებლად წავიდოდა, ჭალა უთვალავ ალქაჯებით, როკაპებით, ქუდიანებით, ჭინკებით და მიონებით გაივსებოდა. უცნაური სულიერები უცნაურად ფუსფუსებდნენ, ჩურჩულებდნენ, კისკისებდნენ და გაუფრთხილებელ მგზავრებს თავიანთი თმებით იჭერდნენ.

მტკვარში დევები ჭყუპალაობდნენ და გაუგებარს რასმეს ბურტყუნებდნენ.

ის ჭოტი, ღამ-ღამობით რომ იმ ჭალაში გაჰკიოდა, ფრთოსან ღრინას ჰგავდა, ხოლო ტურა და მაჩვი, რომელნიც სიმინდებში სჩხაოდნენ და წრიპინებდნენ, უზარმაზარ ნანუას ემსგავსებოდნენ.

მთაზე წამომჯდარი დევი ზოგჯერ ქოხისოდენა პირს დააღებდა და ქვეყანას უბერავდა. ზოგჯერ იგი მუგუზალ-მზეს სადღაც გადამალავდა, ერთ დიდ საცერს აიღებდა და იმ საცრით ქვეყანას რწყავდა, ზოგჯერ კი იქაურობას ცივის ბამბით ჰპენტავდა.

მარცხნივ და მტკვრის გაღმაც ორი სოფელი იყო გაშენებული. იმ სოფლებში საქონელი ბღაოდა, ძაღლები ჰყეფავდნენ და ხალხი ყვიროდა. ზოგჯერ პატარა ბიჭები და ქალები ან მენახირენი იმ საქონელს და ფრინველს სადარაჯოსთან მორეკავდნენ. მწყემსების ხმაურობა რომ სადარაჯოს მისწვდებოდა, ხელებგაშვერილი და მოღიმარე თინა ნახირისკენ გასწევდა და თან უხილავ მეგობრებს ეძახდა:

— ბიჭებო! ქალებო! სადა ხართ? ყბაჩა, მიშველე!.. შენი ჭირიმე, მიშველე! მოვდივარ, ბიჭო, მოვდივარ!

გოგო-ბიჭები თინას მიეშველებოდნენ, იქვე სადმე დასხდებოდნენ და უცნაურ ამბებს უამბობდნენ. ზოგჯერ კი რაიმე თამაშს აჰყვებოდნენ, თინასაც აიყოლიებდნენ და იქაურობას კივილით, სიცილით და ჟრიამულით ავსებდნენ. თამაშის დროს თინას ხან მხარს გაჰკრავდნენ, ხან დაეჯახებოდნენ და ზოგ-

ჯერ წააქცევდნენ კიდევაც, ხან კიდევ ხელს წაავლებდნენ, ჩხორიალებდნენ და თავიანთ თავს აძებნინებდნენ.

თინა უწინ რომ ვინმეს წააწყდებოდა ან ხელს წაავლებდა, ქალს და ვაჟს ერთმანეთისგან ძლივს არჩევდა. მაგრამ შემდეგ, როცა წამოიზარდა, მოზრდილ ვაჟს და ქალს უმალვე იცნობდა. ვაჟს რომ ხელით მიეკარებოდა, ტანში რაღაც ნაპერწკალი გაჰკრავდა.

თინას ერთი ბიჭი ჰყავდა არჩეული — კეკეს შვილი ყბაჩა. სხვებზე უფრო მოზრდილი, ღონიერი და მხიარული ვაჟი იყო. ყბაჩა თინას სხვებზე ადრე მიეგებებოდა, ხელში ხელს წაავლებდა, აახორიალებდა, ათასნაირად ართობდა, აცინებდა, ჰშველოდა და ესარჩლებოდა.

თინა და ყბაჩა მალე დამეგობრდნენ.

თამაშობაში და ერთმანეთის დევნაში ყბაჩა უჩინო ობოლს ხშირად ორივე ხელს მოჰხვევდა, გულში ჩაიკრავდა და კარგა ხანს ხელს აღარ გაუშვებდა. თინას ტანში იდუმალი ჟრუანტელი უვლიდა, საამური ცეცხლი ეკიდებოდა, ინაბებოდა და გაშვერილი ხელებით თვითონაც იმ ვაჟს დასდევდა.

ერთი ხანია რაც იმ მენახირეებში თინას ტოლი ქალები აღარ ერეოდნენ, ამიტომ მარიამმაც აუკრძალა თინას ბიჭებთან სიარული.

ყბაჩა ათასში ერთხელ რასმეს მოიმიზეზებდა, თინასთან შემოირბენდა, დროს მოიხელთებდა და თავის მეგობარს ხუმრობით ჩაიხუტებდა ან მკლავში უჩქმეტავდა, ან ანთებულ ტანზე გაეხახუნებოდა. ხელცარიელიც არ მოვიდოდა: ხან ხილს მოუტანდა, ხან ფრინველს მოუყვანდა, ხან კიდევ რამე საკრავს ან სათამაშოს მოართმევდა.

ერთხელ ყბაჩაც დაიკარგა: სურამში მოჯამაგირედ წასულიყო. თინა დაღონდა, ყბაჩა ცხადლივ აღარ მოდიოდა, მაგრამ თავის მეგობარს სიზმარში ხშირად ელანდებოდა, უწინდელივით ეხუტებოდა და ადრინდელზე უარესად სწვავდა და სტანჯავდა.

სანამ თინას დედა ცოცხალი იყო, თავის ბრმა ქალიშვილს მუდამ თავს დასტრიალებდა, უვლიდა, ამუშავებდა და ზოგს რასმეს ასწავლიდა. თინა ბუზიკას უკრავს და დაირასაც კოხტად აჟღარუნებს. თინამ წინდების ქსოვაც იცის, მატყლის

დართვაც, კარმიდამოს დაგვაც, სარეცხის და ჭურჭლის გარეცხვაც, ლოგინის გაშლაც და ალაგებაც.

სადარაჯოს ახლო-მახლო ისე დადის, როგორც თვალხილული. მატარებელი რომ მოდის, თინა სადარაჯოსთან წითელი ბაირაღით სდგას, რკინის ფრინველს უღიმის, უცნობ მგზავრებს უყვირის და ხელს უქნევს:

— გამარჯობა, ბიჭებო! გოგოებო! მშვიდობით იყავით, მშვიდობით!

ზოგჯერ ცელქის ან გულქვას მიერ ნასროლი რამ მოხვდება: დახვეული ქაღალდი, გამოხრილი ძვალი, პურის ნაჭერი ან სხვა რამ გადასაგდები.

— ძაღლო! ოხერო! უნამუსო! — ემუქრება სივრცეს ბრმა თინიკო და ზოგჯერ ნატკენისგან ცხარედ სტირის და ავად იწუხებს.

სადარაჯოს უკან, ასიოდე ნაბიჯზე, მინდორი თავდება და ხევი იწყება. თინა კოკას აიკიდებს, წკეპლას აიღებს და გზას გაუდგება. უკან თავჩაღუნული ღრინა მისდევს, იმ ხევში თინა ადვილად ჩადის, პატარა წყაროს პოულობს, კოკას ავსებს და ისევ სახლს უბრუნდება.

ერთხელ დედა ავად გაუხდა: თინასაც ხშირად ჰქონდა ნაცადი ავადმყოფობა. თინას ეგონა, დროგამოშვებით ყველას უნდა გაიაროს, მერმე უნდა გაცხელოს, სამიოდე დღე ლოგინში იწვეს და შემდეგ ისევ წამოდგესო.

მაგრამ მარიამი აღარ დგებოდა. დღეს დღე მისდევდა და კვირას კვირა. თინას მარიამის კვნესა, ოხვრა და ქშინვა ესმოდა და მუდამ თავს დასტრიალებდა: გვერდით მიუჯდებოდა, რამდენიმე საათით გაშეშდებოდა, პირსახეს და ხელებს უცაცუნებდა და წამდაუწუმ ეკითხებოდა:

— დედილო, როგორა ხარ?.. დედილო, ხომ არაფერი არ გინდა?.. დედილო, როდის ადგები?..

მაგრამ მარიამი აღარ ადგა. ერთხელ, როდესაც თომა გზის დასათვალიერებლად წავიდა, მარიამი მეტისმეტად აღშფოთდა. ქშინვას მოუმატა, ახრიალდა და ბორგავდა. სულთმობრძავმა მარიამმა თინას ორივე ხელი ჩაიბღუჯა და აღარ უშვებდა.

— დედილო, რა გემართება? დედილო, რა მოგდის? დედი, ხმა გამე... რა ვქნა. რატომ არაფერს არ მეუბნები? — ში-

შით ეკითხებოდა პატარა მომვლელი, მაგრამ პასუხი აღარ ისმოდა.

უცებ მარიამმა მძლავრად ამოიხვნეშა და გაჩუმდა. თინამ ძლივს გამოართვა თავისი ხელი. რამდენჯერმე კიდევ დაუძახა და პირსახეზე ხელი მოუსვა. „ჩაეძინაო", — გაიფიქრა და დედის ლოგინს ფეხაკრეფით მოშორდა. დიდხანს იჯდა თუთის ჩრდილში და უგულოდ ეალერსებოდა ნანუას. მერმე ისევ ავადმყოფს დაუბრუნდა და შუბლზე ხელი დაადო. ხელში ყინული მოხვდა. ორივე ხელი დედას პირსახეზე მოუსვა. ისევ ყინული. თინას უცნაური ელდა ეცა. მთელ ტანში ჟრუანტელმა ჩაურბინა და გულში უცდელი, საზარელი შიში ჩაუვარდა.

— დედი!.. დედილო!.. დედილო!.. — მთრთოლვარე ხმით გაჰკიოდა და გაყინულ დედას ანჯღრევდა. მერმე დედის პირსახეს ორივე ხელი მოჰხვია, ზედ დაეკრა და ყური მიუგდო. აღარც ქშენა ისმოდა და აღარც სუნთქვა, თინამ იდუმალ ალღოთი სიკვდილის საიდუმლოებას მიჰკვლია და, თავზარდაცემული, გარეთ გამოვარდა.

— მამა-ა-ა! მამილო-ო! მიშველე-ე! მიშველე-ე-ეთ!

ზემოსოფლელ კეკეს სადარაჯოს მახლობლად პატარა ბაღი ჰქონდა. კეკემ კივილი გაიგო და მოეშველა. შემდეგ თომაც მოვარდა. იმ დღეს თინამ პირველად გაიგო მამის ქვითინი და ბღავილი. მესამე დღეს მარიამი გაიტანეს. იმ დღიდან თინა და თომა ხშირად დადიოდნენ სასაფლაოზე, იტირებდნენ, ილოცავდნენ, მერმე ისევ ერთმანეთს წამოიყვანდნენ და ერთმანეთს ნუგეშით გულს უმაგრებდნენ.

იმ დღიდან კეკე ხშირად ჩამოდიოდა სოფლიდან და მარიამის მაგივრად თომას ოჯახს უვლიდა, მაგრამ სიარულს თანდათან დაუკლო და ბოლოს თვეში ერთხელაც ძლივს გამოჩნდებოდა ხოლმე.

III

შუა ზაფხულია. მზე ჩასვლას არის, მაგრამ მაინც ცხელა, თომას თეთრი ქოხი გადახრუკულ მინდორზე ობლად ატუზულა.

რკინის გზის ლიანდაგს ერთი მუშა მოსდევს. ტანდაბალია სრული, ხნიერი და გონჯი. დამახინჯებულ ფეხებს ისე მოათ-

რევს განიგან, თითქოს ორივე ფეხით ლიანდაგს ჰგვისო. ცალი ხელით ზურგზე გადაგდებული ტომარა უჭირავს. გრძელი, მათრახივით ჩამოკიდებული. მეორე ხელი მუხლის თავამდის სწვდება. ჩაქანგებული და ხნიერი პირსახე მაიმუნს მიუგავს, რომელსაც ცალი ყბა და ტუჩი გაჰპარსეს. გაპარსული ყბა ცეცხლით ან ცხელი წყლით აქვს დამწვარი, ხოლო მეორე ყბა და ზემო ტუჩის მეორე ნახევარი ხნაცვიანი წვერ-ულვაშით აქვს შემოსილი.

მიდის და დროგამოშვებით გრძელი თათით ოფლს იწმენდავს. ერთ ალაგას შესდგება, მერმე მარცხნივ გადაუხვია და მტკვრისკენ წავიდა.

პატარა ბილიკმა ჭალაში ჩაიყვანა. ის ბილიკი მტკვრის პატარა ტოტს მისდევდა. მუშაც იმ ბილიკს გაჰყვა, ხნარცვში შეერია და ცოტა ხნის შემდეგ პატარა მინდორზე გავიდა. მინდორი მწვანე ბალახით არის შემოსილი და ირგვლივ ბებერი ვერხვებით არის დაბურული. ერთ გვერდზე მაყვლიანი ბექობი აკრავს, ხოლო მეორე გვერდზე მტკვრის პატარა ტოტი ჩამოდის.

უცებ ის მაყვლიანი აფაჩუნდა. ბექობზე ჭრელმა კაბამ ჩამოირბინა. მერმე ხნარცვიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. მხარზე კოკა ჰკიდია. ერთ ხელში წკეპლა უჭირავს. ქალი უცნობი მგზავრისკენ მიდის. წინ წკეპლას ასავსავებს და სივრცეს შავი თვალებით ზომავს. შორით თავჩაღუნული დიდი ძაღლი მოსდევს.

ქალმა რამდენჯერმე მიიხედა იმ მუშისკენ, მაგრამ ის თითქოს ვერ დაინახა. წყლის ნაპირზე შესდგა, კოკა ჩამოიღო და მიწაზე დადგა. შემდეგ ორივე ხელი საკინძზე წაივლო, გაინაბა და იქაურობას ყური მიუგდო.

— ალბათ ბრმა არის, — გაიფიქრა მუშამ და ფეხაკრეფით გამობრუნდა და ბუჩქებში დაიმალა.

ქალმა სწრაფად ჩაიხსნა ღილები, ორჯერ აიქნია ხელები და ჩითის კაბა ფეხების გარშემო რგოლივით ჩაიგდო. ლანდივით იდგა ტიტველი თინა წყლის ნაპირზე და საამურად იზმორებოდა. მერმე ლამაზად აიგრიხა. გაიჭიმა, მრგვალი გავა უკან გაიგდო და მაღალი მკერდი რკალივით წინ წამოიგდო. კვლავ იზმორებოდა და სივრცეს უღიმოდა. შემდეგ გრძელი და სქელი ნაწნავი გაიშალა, ხშირი თმა სავსე ბეჭებზე შავ ჩან-

ღილსავით წამოიხტა, ფეხების ცაცუნით შევიდა წყალში, თეძოებამდე შეტოპა და აჰყუპალავდა. ღრინა ნაპირზე ჩაცუცქდა და კუდის ქნევით თინას შესცქეროდა. ქალი ხან ყელამდე ჩაცუცქდებოდა წყალში, ხან ისევ გასწორდებოდა, ხან დაიხრება, სველ თმას ხის სავარცხლით ივარცხნის, მკერდს იზელავს და ტანს იბანს.

გოხჯმა მუშამ ბუჩქებში გამოჰყო თავი, სული შეიგუბა, ზეთიანი თვალები შუბლზე აიყარა და ტიტველა ქალს მშიერ ნადირივით დაუწყო ჭამა. თინა წყლიდან ისევ ნაპირზე გამოვიდა და წყლით გაჟღენთილი თმები გაიწურა. ტანს ხელებით იმშრალებდა. ჩამავალი მზის სხივები თინას ტანზე გაბნეულ წინწკლებში მრავალ ფერად ბრწყინავდა. ლანდალი კიდევ რამდენჯერმე გაიზმორა, მოქნილი ტანი ერთხელ კიდევ აიგრიხა და კაბას დასწვდა.

სწორედ ამ დროს გაღმა სოფელში ეკლესიის ზარი ჩამოჰკრეს. თინა ჯერ შესდგა, მერე კაბას ხელი გაუშვა, გასწორდა და გაიბადრა.

დი-ი-ინ! დი-ი-ინ! დი-ინ! — თანაბარი რითმით ჰრეკავს ზარი. უცებ თინამ ერთი ხელი წინ აიქნია, მეორე უკან გამოიშვირა, ცალი ფეხი წინ გადასდგა, მოქნილი ტანი კოხტად აიგრიხა და ზარის ხმას აჰყვა.

გაღმა ზარი ჰრეკავს. გამოღმა თინა ცეკვავს. ღრინა წკმუტუნით ურბენს გარშემო და დროგამოშვებით ბოხის ხმით ჰყეფავს:

— ჰავ-ავ! ჰავ-ავ!

ქალის მოქნილი ტანი იკლაკნება, მოხდენილად იგრიხება და შოლტივით იზნიქება. ხან ალვის ხესავით აისვეტება და ხელებს ისე გაიშვერს განზე, რომ ჯვარცმულს ემსგავსება: ხან მოტრიალდება და ცალ ხელ-ფეხს წინ წამოიგდებს, ხოლო მეორე ხელ-ფეხს უკან მიიგდებს. ხან კიდევ თავს უკან გადააგდებს და მობიბინე მკერდსა და გაბადრულ პირსახეს ისე აუშლის ცას, თითქოს ვიღაცას შეჰხარის და უცინისო; ხან მიწამდე დაიხრება და ყვავილებს ჰკრეფავს. ხან თხას სწველის, ხან თითისტარს ატრიალებს და მატყლს ართავს, ხან ჰგვის და ხან კიდევ კოკას ავსებს. იმის ალანძულ პირსახეზე ხან ვნება ისახება. ხან წყენა. ხან მუდარა, ზოგჯერ სევდა და ზოგჯერ უსაზღვრო სიხარული.

დიდხანს ეთამაშება უხილავ ლანდებს ტყის ლანდალი და დიდხანს სჭამს მშიერი თვალებით ტიტველ ქალს ბუჩქებში მიმალული მახინჯი ღვირღვა.

— დი-ი-ინ! — დაჰკრა უკანასკნელად ზარმა.

ხელგაშვერილი და გადმოზნექილი თინა გახევდა და კიდევ მოელოდა ზარის ხმას. მერე თავისთვის ჩაიცინა, კაბა გადაიცვა, იქვე წყაროზე კოკა გაავსო და აღმართს შეუდგა. ადუღებული ღვირღვაც გამოვიდა ბუჩქებიდან და უცხო მოჩვენებას ფეხაკრეფით დაედევნა.

IV

საღამოზე ის მუშა, თომა და თინა გრძელ სკამზე ისხდნენ და მუსაიფობდნენ.

მუშას სოლო ერქვა. წინათ კახეთის გზაზე მუშაობდა, ეხლა კი აქ გადმოიყვანეს. სოლო მარტოხელა კაცია, არც სახლკარი აქვს და არც ცოლ-შვილი ჰყავს.

— სტუმარი ღვთისაა, — ამბობს თომა, — ღამე ჩვენთან გაათენე და დილაზე შენს გზას გაუდექი.

თევზი, კიტრი, ყველი და ღვინო გამოიტანეს. ნელ-ნელა შეაყოლეს და შუაღამეზე ძლივს მიწვნენ. თომამ მალე ამოუშვა ხვრინვა. თინა და სოლო კიდევ დიდხანს ჰბორგავდნენ. ოხრავდნენ და მოუსვენრად ტრიალებდნენ ლოგინში.

სოლომ რომ გაიღვიძა, თომა უკვე საქმეზე იყო წასული.

— მიშველე, სოლო, — უთხრა თინამ, — წყალი ამიდუღე. ისეთი ჩაი დაგალევინო, რომ იქნება კახეთშიაც არ დაგელიოს.

ორივენი დატრიალდნენ. ცეცხლი გააჩაღეს და ჩაი დაამზადეს.

— რა ვქნა, თითქოს ვერაფერს ვერა ჰხედავსო! — გაიკვირვა სოლომ. — შენ ისე ხელმარჯვედ აკეთებ ყველაფერს, რომ თვალხილულიც ვერ გაჯობებს.

— შეჩვეული ვარ, გენაცვალოს ჩემი თავი, შეჩვეული.

— მაშ მეც მალე შემეჩვევი.

— შეგეჩვიე და კიდევაც გავათავე. — გაიღიმა თინამ. — ახლა დაბრძანდი და ჩაი დაასხი, თორემ მე ცხელი წყლის მეშინიან

დასხდნენ და ალაპარაკდნენ. სოლომ თავის მოტეხილი

ფეხი თინას წვივებში გაუყარა, თინას ტანში უცნაურმა ჟრჟოლამ დაუარა და სისხლი აუჩუხჩუხდა. ფინჯანი დასდგა ალეწილ პირსახეზე ხელები აიფარა და გაინაბა.

დიდხანს იყუჩეს. სოლომ ალაგი გადაინაცვლა. თინას გვერდით მოუჯდა, წელზე გრძელი მკლავი მოჰხვია და მიიზიდა. მერმე დამწვარი ლოყა თინას ალანძულ ლოყას მიადო და ჯერ მორცხვად აკოცა, შემდეგ ხარბად დაეწაფა, ბოლოს კი ქალი მუხლებზე გადმოიწვინა, ორივე ხელი თავში წაავლო, აიღუნა და ისე დააკვდა გახურებულ ტუჩებში, რომ ცეცხლმოკიდებულ თინას სული შეუგუბდა.

ღმერთო, დიდებულო! ეს რა ემართება თინას! რად უკანკალებს მთელი ტანი! ასე მძლავრად, რად უთრთის პატარა გული! ასე ტკბილად რად აუდუღდა სისხლი! ვინ არის ეს კაცი, რომ ასე საამურად იხუტებს გულში უჩინო თინას, ასე უხეშად რომ იზიდავს მძლავრი მკლავებით და გაგიჟებით რომ ჰკოცნის ბრმას, უპატრონოსა და საწყალ თინიკოს?! ვინ არის ეს ადამიანი, ვინ.

— სოლო, გეყოფა... დამაცა... ხელი გამიშვი... — ვნებით ჰბუტბუტებს თინა და ცდილობს წამოდგეს, გაგიჟებული სხეული არ ემორჩილება, ადუღებული მკერდი თვითონვე ეკვრის სოლოს განიერ მკერდს და გახურებული ტუჩები თვითონვე ეძებენ მამაკაცის ტუჩებს. თინა იკლაკნება, ოხრავს და ტკბილის კვნესით ჰკვნესის. სოლომ მთრთოლვარე ქალი ხელით აიყვანა და ტახტზე გადაიტანა თინა იდუმალმა შიშმა აიტაცა. ფეხები გადახლართა და ორივე ხელი სოლოს რკინის მარწუხსავით მოჰხვია. იბრძვის უჩინო თინა, იბრძვის, თავგანწირვით და გაშმაგებით იბრძვის.

— სოლო, გამიშვი!.. მამა, მამილო!.. ვაიმე დედა ვაიმე დედილო!..

რამდენჯერმე კიდევ გაიფართხალა და გაიწია; ერთხელ ძლიერად დაიკივლა, მერმე მოეშვა, მოდუნდა, უცნაური კვნესით აკვნესდა და ჩუმი ტირილით ატირდა.

სოლო გვერდით მოუჯდა და მოუალერსა:

— ნუ სტირი, ჩემო თინიკო, ნუ! აბა რა გატირებს, ქალო? მე ქმარი და შენ ცოლი, მორჩა და გათავდა! არ გინდა? მითხარი, არ გინდივარ?

თინამ პასუხად ორივე ხელი მოჰხვია, აწითლებული პირ-

სახით განიერ მკერდში ჩაეხუტა, ჩუმი სიცილით გაიცინა, სიცილი ქვითინში აურია და უხილავ ქმარს ბანჯგვლიანი მკერდი სიხარულის ცრემლით დაუსველა.

V

სოლო თინას სანახავად ორ-სამ დღეში ერთხელ ამოდის. ზოგჯერ რომ დაიგვიანებს, თინა აიბურძგნება და აიმრიზება:

— ნანუა, მომშორდი!.. ღრინა, დამეკარგე აქედან!.. მამილო, თავი დამანებე!.. რა ვქნა, რას ჩამაცივდი, რა გინდათ ჩემგან! — წუწუნებს თინიკო და თან მოუსვენრად ტოკავს და უაზროდ დაბორიალებს. ზოგჯერ გულის ტკივილს ველარ უძლებს და ბავშვურ ტირილს მოჰყვება. თომა ხან ალერსით ამშვიდებს. ხან ოდნავ შეუტევს, ხან კიდევ ქვეით გაიხედავს და ზოგჯერ თინასაც გაახარებს:

— მოდის, მოდის! წადი, გენაცვა, წადი და დაუხვდი.

თინა ლიანდაგზე გადის, ხელგაშვერით მისდევს გზას და ზარის ხმით ჰკივის:

— სოლო-ო! სოლიკო-ო-ო! სადა ხარ, სოლიკო-ო?

— მოვდივარ, თინიკო-ო, მოვდივარ! — ხმას აძლევს სოლო და დამტვრეული ფეხებით ცელვას უხშირებს. ხუთი წუთის შემდეგ ხელიხელჩახვეული ქალ-ვაჟი სადარაჯოსკენ მოდიან და ყრომანეთს საყვედურსა და მოკითხვას აღარ აცლიან.

სოლო ხელცარიელი არ მოვიდოდა და დანიშნულს მუდამ მცირე საჩუქარს მოუტანდა: ხილს ან ტკბილეულს, ხელსახოცს ან ჩუსტებს, ბუზიკას ან ჩითეულს. წვრილმანი საჩუქარი თინას ცაში იტაცებდა, ანცი ბავშვივით აცქმუტებდა. სიხარულის კისკისით აცინებდა და ისე აგიჟებდა, რომ თომაც და სოლოც თინას, ნანუას და ღრინას ძლივსღა დაამშვიდებდნენ ხოლმე.

— სოლო, ქორწილი როდის გვექნება? — იკითხა ერთხელ თინამ.

— იმ კვირას ქალაქში ფულს მივიღებ, კაბა-კუბას გიყიდი და მეორე კვირაში ქორწილსაც გავმართავთ. — უპასუხა სოლომ. — მერმე ქალაქში წაგიყვან და ექიმს გაგასინჯებ, ვინ იცის, იქნება თვალისჩინი დაგიბრუნდეს?

თინამ სასიხარულო ტაში დაუკრა:

— მაშ ორ კვირაში ჯვარს დავიწერთ, არა? მერე ექიმი... თვალი ამეხილება... თვალი, თვალი! ღმერთო, მიშველე!.. მაშილო!.. სოლიკო!

ცეცხლმოკიდებული თინა ძლივს დამშვიდდა. მერმე ისევ ქორწილი გაიხსენა:

— მაშ ორ კვირაში ჯვარს დავიწერთ?

— ჯვრისწერა? ჰმ... ჯვრისწერა გადავარდა, ჩემო თინიკო. ახლა სხვა წესია. დავთრებში ჩაგვწერენ, მერე ხელს მოვაწერთ და... ქუდი ჰერსა! მორჩა და გათავდა!

— მაშ მე ჯვარს არ დამწერენ? მაშ ზარებს არ დამირეკავენ? — იწყინა და გაიკვირვა თინამ. — არ მესმის... მე რაღად უნდა გამოვრჩე ჩემ ტოლებსა?

დიდხანს იმსჯელეს. თომაც მოიშველიეს. თინა ეკლესიისკენ იწევდა, რადგან ასე ჰქონდა ჩაგონებული ტოლ-ამხანაგებისგან და განსვენებულ დედისგან, სოლო კი ამბობდა:

— მეტი ხარჯია, თავი დაანებე. ახლა მაგის თავი ვისა აქვს! მღვდელიც გადავარდა და ეკლესიაც.

არც თომას უნდოდა „უწესო ქორწილი".

დავის გადაჭრა გადასდეს.

— აბა, მშვიდობით იყავით, თინიკო! — უთხრა სოლომ. — ქალაქში მივდივარ. ერთ კვირაში აქა ვარ, ნუ მოიწყენ.

ერთმანეთს გადაეხვივნენ და დაჰშორდნენ.

ის კვირა ტაატით და ზლაზვნით გავიდა. მეორე დღე რომ დაიწყო, თინა დაიბურა. ის დღეც რომ დაღამდა, თინიკო მოიღრუბლა, დაბნელდა და აიშალა. მამლის ყივილამდე ტრიალებდა ლოგინში და ოხრავდა, ვერც თვითონ ისვენებდა და არც თომას აძინებდა.

— მოითმინე, შვილო. — ამშვიდებდა თომა — ათასი საქმეა, ათასი ხალხი ტრიალებს, ალბათ დროზე ვერ მოიცლო ფელი. მოვა, არ დაიკარგება.

გარინდული თინა ხის სკამზე იჯდა, ნანუას და ღრინას აღარ იკარებდა, ორივეს წკეპლით ერეკებოდა, ხან კაპასობდა და ხან კიდევ ცრემლიან თვალებს იწმენდავდა. თომაც იქვე ტრიალებდა და გზას გასცქეროდა. თომა რომ გზას გაჰყვებოდა და ზევით წავიდოდა, თინა წკეპლას აიღებდა, ლიანდაგს დაადგებოდა და ქვევით წამოვიდოდა. თავჩაღუნული ღრინა უკან გამოჰყვებოდა. თინა მოდიოდა და იძახოდა:

— სოლო!! სოლიკო!. სადა ხარ, სოლიკო-ო-ო?.

ტელის აწქილის ძირში რომ დასძლევდა, ისევ მოტრიალ-ღებოდა, ლოისასაყით თავს ჩაჰღუნავდა და კვნესით და ტი-რილით თავის ქოხს დაუბრუნდებოდა. მეოთხე დღე რომ მი-ილია, თინიკომ შუაღამეს დარდს ველარ გაუძლო და ქვითინი ამოუშვა. თომამ ჭრაქი აანთო, თინას გვერდით მოუჯდა და მოუალერსა:

— კარგი, გენაცვალოს მამაშენი. თავს ნუ იკლავ, მოვა, ხვალ ან ზეგ მოვა.

— არ მოვა... აღარ მოვა. — სლუკუნებდა საბნის ქვეშ შემძვრალი თინა. — გული ცუდს მეუბნება... წავიდა, სულ წავიდა, ან ავად გახდა ან მოკვდა.

— მოკვდა კი არა, ის არ გინდა! ხალხი აგრე ადვილად რომ იხოცებოდეს, ჩვენც ცოცხლები აღარ ვიქნებოდით.

— ან კვდება, ან მოკვდა. — დაიჟინა თინამ.

— არც კვდება და არც მოკვდა-მეთქი. დღეს ერთმა კაც-მა მითხრა, სოლო ქალაქში ვნახეო, ორ-სამ დღეში ამოვაო. — ჩაჰკრა პატარა ტყუილი თომამ.

— სტყუი, სტყუი! — უმალვე გაუგო თინამ. — ეგ რომ მართალი ყოფილიყო, წეღანვე მეტყოდი.

— დამავიწყდა. — წაილუღლუღა თომამ. — დღეს კაკე შემხვდა. ყბაჩა დღეს ან ხვალე ყავლს გაათავებს და დაბრუნ-დებაო.

— მერე რომ დაბრუნდება?

— დაბრუნდება და... ყბაჩა ყოჩაღი ბიჭია, სოლოს ათჯერ სჯობია. უფრო ახალგაზრდაც არის და ლამაზიც. არ გინდა ყბაჩა? არ მოგწონს?

— არ მინდა. დაიკარგოს!

— კარგი, კარგი. შენ იცი. ისევ სოლოს მოუცადე. აი ნა-ხავ, თუ ხვალ ან ზეგ არ დაბრუნდეს. დაიძინე, გენაცვალოს ჩემი თავი, დაიძინე.

როცა დარდით გაბრუებულმა და უძილობით გალეულმა მამაშვილმა თვალები მიჰლულეს, მამალმა მეორედ იყივლა.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთ მატარებლიდან თომას წე-რილი გადმოუგდეს. ძლივსძლიობით წაიკითხა და გაიგო, რომ სოლო ავად გამხდარიყო და რკინის გზის სამკურნალოში და-წოლილიყო.

წითელი სხვას ხელით იყო [illegible] გა-
ხარდა სოლოს ავადმყოფობა.

„ისევ ეს სჯობია, თორემ ვინ იცის, ჩვენს დროში რა არ ხდება. ქალს შეაცდენენ და მერმე თავს დაანებებენ ხოლმე. ახლა კი ცხადია, რომ სოლო უეჭველად დაბრუნდება თუ მორჩა“, — გაიფიქრა და თინა დაამშვიდა.

— აი, შვილო, ხომ გეუბნებოდი, დანიშნული დაგიბრუნდება-მეთქი, სოლო ავად გამხდარა. მორჩება და დაბრუნდება, შენ კი გეგონა ვითომა...

სოლო ავად გამხდარა! ღმერთო, ღვიძებულო! ავად გამხდარა!.. ლოგინში წევს!.. მორჩება და დაბრუნდებაო. მაგრამ, ვინ იცის, მართლა მორჩება? მართლა დაბრუნდება? სოლო თინასავით უპატრონოა, მარტოა... მაშ მომვლელიც არ ეყოლება. წყალსაც არავინ მიაწოდებს. საბანს არავინ გაუსწორებს, თავზე ხელს არავინ მოუსვამს და ტკბილ სიტყვასაც არავინ არ ეტყვის. ნუ, თომა, ნუ აჯერებ თინას, ვითომ სოლოს ექიმიც ჰყავდეს და მომვლელიც. ტყუილა ამშვიდებ თინას. ტყუილად აჯერებ სოლოს დანიშნულს. სოლოს რომ ექიმი და მომვლელი ჰყავდეს, თინა მაინც ვერ მოისვენებს. ექიმიც და მომვლელიც უცხონი არიან. უცხო ექიმი უცხო სოლოს მაინც ვერ მოუვლის თინასავით, დანიშნულივით... ერთგული ცოლივით, ამიტომ. —

— მამილო, ქალაქში მივდივარ.

— რას ამბობ, ქალო! სად უნდა წახვიდე? ვისთან უნდა მიხვიდე არც ნაცნობი გყავს და არც თვალი გიჭრის.

— მაშ შენც წამოდი, მამილო. შენ წამიყვანე, ჩქარა წავიდეთ, ჩქარა!.. დღესვე... ეხლავე.

არა, თომა საქმეს თავს ვერ დაანებებს. სამსახურიდან დაითხოვენ და ულუკმაპუროდ დასტოვებენ.

— მერე რა? თუნდ აგრეც იყოს! რა დროს ლუკმა პურია!

თომა, გაიგე და შეიგნე, რომ სოლო ავად არის-მეთქი! ვინ იცის, რა დაემართოს; ვინ იცის, იქნება აღარც მორჩეს. მაშ რაღად გინდა ლუკმა პური, თუ თინას სოლო აღარ ეყოლება, თუ თინა ახლავე დაქვრივდება?! ოოჰ, თომა, თომა! რა უგულო კაცი ყოფილხარ! ქვა გქონია გულის მაგივრად, ქვა! მაშ თინას დედა რომ ავად გამხდარიყო უცხო ქვეყანაში, მაშინაც იტყოდი, მორჩება და დაბრუნდებაო? არა მცალიანო, სამსა-

ხურიდან დამითხოვენო და უპუროდ დავრჩებიო?! სთქვი, რას იტყოდი მაშინა? რად გაჩუმდი, სთქვი და გაათავე! არ წახვიდოდი? ვითომ? დაიჯეროს თინამა? მაშ არც თინას გაჰგზავნი სოლოსთან და არც შენ გაჰყვები? კეთილი და პატიოსანი. კარგი, გეყოფა! თინა გაჩუმდება... აღარ იტირებს... აი ხომ ხედავ, აღარ სტირის. თინა შენი მორჩილია, თომა; ნუღარ უჯავრდები, ნუღარ სტუქსავ თინიკოს. მართლა, სად უნდა წავიდეს უშენოდ უჩინო ქალი? ბრმა თინა ძლივს ჩადის წყლის მოსატანად და გარშემო ძლივს უვლის პატარა ქოხს. იმის სამყაროს ძლივს ექნება ასი ნაბიჯის სიგრძეც და სიგანეც. ქალაქში როგორ უნდა წავიდეს მარტოდმარტო! როგორ უნდა იპოვნოს ბრმა ქალმა იმოდენა ხალხში, სოლო კაჟარაშვილი! კარგი, თომა, გაჩუმდი, დამშვიდდი, თინაც გაჩუმდება და მოთმინებით მოუცდის სოლოს მორჩენას და დაბრუნებას. სჯერა თინას, სჯერა, რომ ერთ-ორ კვირაში სოლო ამოვა და საქორწილო ფარჩის კაბას, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, ბეჭედს, ბაღდადს, ჩიხტიკოპს და საქორწინო ტკბილეულს ამოიტანს.

VI

იმავ საღამოს თინას ერთი ახალგაზრდა გლეხი წაადგა თავთ:

— გამარჯობა, თინიკო!

თინამ უმალვე იცნო კეკეს ბიჭის ხმაც და მისი ხელიც.

— გაგიმარჯოს ყბაჩა!

ყბაჩა გვერდით მოუჯდა თინას და ყრმობის მეგობარი სიყვარულით და ალერსით მოიკითხა. თინა უგულო პასუხს აძლევდა. ყბაჩამ თინას ხელი ხელში წაავლო, მიიზიდა და მიიკრა. თინამ არაფერი არ იგრძნო: წინანდელივით ტანში ჟრუანტელმა აღარ დაუარა, აღარც სისხლი აუდუღდა და გულიც აღარ აუჩქროლდა. გუნებაში ორივენი ერთმანეთს შეადარა და გადასჭრა: „არ ვიცი, სხვაფრივ რანაირები არიან, მაგრამ ყბაჩას ხმა ზარსა ჰგავს, სოლოს კი — ღრინას მიუგავს“.

— თინიკო, მართლა თხოვდები? — ეკითხება ყბაჩა.

— თინა გამოცოცხლდა:

— ვთხოვდი, მამ! შენ რომ დამიგრწყე და სადღაც გადაიკარგე, მამ რა გეგონა!

— მამ მე დავიგვიანე?

— დაიგვიანე, მამა!

— ვინ არის შენი დანიშნული?

— ქალაქელი ბიჭია, სოლო კაჭარაშვილი. მალე ჯვარსაც დავიწერთ და ქალაქში დავსახლდებით.

— შენთვის სულ ერთი არ არის ქალაქში დასახლდები თუ სოფელში?

— სულ ერთი რათ იქნება! სოლო ამბობს, შენ თვალებს ექიმს ვაჩვენებო, იქნება რამე გეშველოსო.

— ვინ იცის, იქნება მართლა გეშველოს. თუმცა მართალი უნდა გითხრა, მე ჯერ არ გამიგია, რომ თორმეტი წლის ბრმას თვალისჩინი დაუბრუნდეს. ეხლა სად არის სოლო?

— სოლო ქალაქშია. ავად გამხდარა. მართლა, ყბაჩა, ერთი რამ უნდა გთხოვო. შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ქალაქში წამიყვანე. ოღონდ სოლო მაჩვენე და, მერე რაც გინდა მთხოვე.

დიდხანს ეხვეწებოდა ყბაჩას, კისერზე ეხვეოდა, ხან ტიროდა, ხან იღიმებოდა და ათას უცნაურ რასმეს ჰპირდებოდა. მაგრამ ყბაჩა უარზე იდგა, რადგან მეორე დღესვე სურამში უნდა დაბრუნებულიყო. ერთს კვირაში ყაველს გაათავებს, ფულს მიიღებს, დაბრუნდება და თავის მეგობარს თუნდა მეორე დღესვე წაიყვანს ქალაქში. ბოლოს, ყბაჩა რომ ვერ მოისვენა, თინა აიმრიზა და აღრინდა:

— დამეკარგე! წადი აქედან! აღარც შენი ძმობა მინდა და არც ქალაქში წაყვანა. სანამ შენ დაბრუნდებოდე, ვინ იცის რა უქემართოს სოლოს, წადი, დაიკარგე-მეთქი!

ყბაჩა წავიდა და დაიკარგა.

მეორე დღეს თომამ ბორჯომის მატარებელი აატარა. მერმე ნამტირალ თინას ლოყებზე ხელი მოუსვა, იმედიანი სიტყვებით დაუმშვიდა გული და გზის დასათვალიერებლად წავიდა.

თომას ფეხის ხმა რომ მისწყდა, თინა დაფაცურდა. ჩითის კაბის ქვეშ პერანგი ჩაიცვა, თავსახვევი მოიხვია და ჭრელ ხელსახოცში კიტრი, ყველი, პური და მჟავე ვაშლი შეახვია. მამ ხელცარიელი ხომ არ მიუვა ავადმყოფ ქმარს! თინამ ის ალა-

გიც იცის, სადაც თომა ორიოდე გროშს ინახავს. განჯინის კუთხიდან ფული ამოფხიკა, წკეპლას ხელი დაავლო და ლიანდაგს დაადგა. ღრინაც გამოჰყვა.

— ღრინა, დაბრუნდი! ღრინა, დამეკარგე! — უყვირის თინა ძაღლს, მაგრამ ღრინას თავის მეგობრის რისხვა არ ესმის, ოდნავ შესდგება, კუდს მოიქნევს, მერმე თავს ჩაჰღუნავს და ქვეით მიმავალ უჩინოს გაუბედავად მისდევს ფეხდაფეხ.

მიდის უჩინო თინა. ქვეიდან ხვნეშით და ოხვრით მოდის მატარებელი. უსინათლო ქალმა გზას გადაუხვია, მატარებელი გაატარა და ისევ ლიანდაგზეავიდა. ორი საათის შემდეგ ბათომის მატარებელმა უნდა ჩამოიაროს, დიდხანს იარა თინამ ბორძიკით და სავსავით. ბოლოს ვიღამაც ხმა მისცა:

— ქალო, სად მიხვალ?

— ქალაქში... ქალაქში მივდივარ შენი ჭირიმე. რომელი ხარ, მითხარი, სადა ვარ? სად უნდა ავიღო ბილეთი?

— წამო, გიშველი.

უცნობმა მკლავში ხელი გაუყარა და სადგურის ბაქანზე გაიყვანა.

— ვინა ხარ, ქალო? ვისი ხარ? — ეკითხება სადგურის ვამგე.

— თომასი ვარ.

— ჩვენი თომასი?.. თინა, შენა ხარ? მერე, სად მიხვალ მარტო?

— ქალაქში? მერე თომამ იცის? მარტო გამოგიშვა?

— იცის. — პირველად ამბობს ტყუილს თინა. — გამომიშვა, თვითონ არ სცალიან... ქმართან მივდივარ... როგორ ვიპოვნო.

მატარებელში ჩასვეს და ვიღაცას დაბარეს:

— თუ ძმა ხარ, გიორგი, ამ ქალს ყური უგდე. ქალაქში ჩამოსვი და გზა ასწავლე. არაფერი აწყენინო, ჩვენი თომას ქალია.

თინას თანამგზავრი და მფარველი ვიღაც გიორგი გაუთავებელს ლაპარაკობს, თინას ათას უცნაურს ეკითხება, თვითონაც უამბობს, თან ისე ეკვრის და ეხახუნება უჩინო ქალს, როგორც სოლო ეკვროდა ხოლმე. ვაგონში ყაყანი და ჟრიამული ისმის. თინას უცებ ღრინა მოაგონდა:

— მართლა, ღრინა!.. ჩემი ღრინა სად არის? ღრინა!. ღრინა!

ღრინა დაიკარგა. თინას ცრემლი წასკდა. გიორგიმ თინა ღრინას საძებნელად გაიყვანა. ტალანში გაჩერდნენ და კარებს მიეყუდნენ. ვაგონში ყაყანი და ჟრიამული ისმის. თინას უცებ ღრინა მოაგონდა: გიორგიმ ძალადობას მოუმატა. თინა გაჯავრდა და გაკაპასდა.

გიორგის მკლავებში ფართხალებდა, იკლაკნებოდა, ხელებს იქნევდა და ყვიროდა:

— გამანებე-მეთქი თავი! ხელი გამიშვი, შე ოხერო. მენა!

თინას პატარა მუშტი გიორგის ცხვირპირს მოჰხვდა.. ქალი გასხლტა, ხელის ფათურით შევარდა ვაგონში და ატირდა.

— ნუ სტირი, ქალო, შენ ქმარს როგორმე ვიპოვნით. აი ჩავედით კიდევაც. — უთხრა ვიღაც უცნობმა.

მატარებელი გაჩერდა. უცნობმა თინა ბაქანზე გადმოიყვანა. ხელი გაუშვა და დაიკარგა.

ისმის ორთქლმავალთა კივილი, ზარების წკარუნი, ხალხის ნოჩქოლი, ქალაქის ოხვრა, გუგუნი და ჟრიამული. თინას ხან ერთის მხრიდან გაჰკრავენ ხელს, ხან მეორე მხრიდან წააწყდებიან.

— მიშველე-ეთ... წამიყვანე-ეთ... გზა მაჩვენეთ. — ბუტბუტებს გაბრუებული და უცხო ქვეყანაში დაკარგული ქალი.

ბაქანზე ხალხის ხმა და ჟრიამული შენელდა.

— მიშველე-ეთ... გზა მიჩვენე-ეთ. — კვლავ ეხვეწება სივრცეს უსინათლო სოფლელი ქალი.

— რა გინდა, ქალო? ვის ეძებ? — ჰკითხა ერთმა.

— ქმარს ვეძებ. მიშველე. აგრემც გიშველის მაღალი ღმერთი.

— ვინ არის შენი ქმარი? რა ჰქვიან? სად არის?

— სოლო ჰქვიან, გენაცვალოს ჩემი თავი, სოლო ჰქვიან, ორივე ფეხზე კოჭლია... გზაზე მუშაობდა. ახლა ავად არის.

— ჰეი, ბიჭებო, ვინ იცნობთ სოლოს? — დაიყვირა უცნობმა.

პასუხად ხარხარი და ოხუნჯობა გაისმა:

— მე ვიცნობ, მედუქნეა. — სთქვა ერთმა.

— ხარაზია. — დაუმატა მეორემ.

— ჩვენი უბნის კომისარია. — გაიცინა მესამემ.

— არა, გენაცვათ, არა! — ამბობს თინა. — მუშაა, უბრალო მუშა.

— თავი გაანებეთ თქვე სალახანებო! — დაიყვირა ვიღაცამ და თინას ხელი წაავლო. — წამო, წამოდი. მე ვიცნობ. გი-[illegible]ენი და ჩაგაბარებ. მომყევი.

აი ადამიანიც ეს ყოფილა! რა ღვთისნიერი კაცია! რა გულკეთილია! თურმე ამ ვეებერთელა ქალაქშიც მოიპოვება პატიოსანი ადამიანი. თომა კი მუდამ იმას ამბობდა, ქალაქი ჯიბგირებით და სალახანებით არის სავსეო.

დიდხანს იარეს. ხან მარჯვნივ შეუხვიეს, ხან მარცხნივ გაუხვიეს, მერე პალატა ეზო გადასჭრეს და პატარა ოთახში შევიდნენ.

— სამკურნალოში დღეს ვეღარ წავალთ, საცაა დაღამდება. — ამბობს უცნობი. — დაჯექი და დაისვენე.

უცნობი დატრიალდა. სუფრას ამზადებს და ლაპარაკობს. თინას ვინაობა გამოჰკითხა და თავისიც უამბო.

— აბა, ახლა ცოტა პური ვჭამოთ. მოდი დაჯექი... აი აგერ. აი პური... აი ყველი. ეს კიტრია, ესეც თევზი... ჭამე გე-[illegible]ვა, ჭამე, თორემ გზაში მოგშივდებოდა. აბა ერთი ღვინოც და[illegible]ლე.

სჭამენ და მუსაიფობენ. უცნობი ახლოს უზის თინას და ბავშვივით უვლის, საჭმელს აწოდებს, ღვინოს ასმევს და გაუთავებლივ ჰყბედობს. ჭამა რომ გაათავეს, უცნობმა თინა ტახტზე გადაიყვანა, გვერდით მიუჯდა, მკლავი მოჰხვია და კოცნა დაუწყო. თინას არყის, თამბაქოს, ოფლისა და ზეთის სუნი აჩრჩობს. ებრძვის უცნობს და ბუტბუტებს:

— დამანებე თავი... არ მინდა... ქმარი მყავს... თავი დამანებე-მეთქი! ხელი გამიშვი!

უცებ უცნობი გაგიჟებული ხარივით დაეძგერა.

— მიშველე-ეთ! მიშველე-ეთ! — დაიკივლა თინამ და მძლავრ მკლავებს გაუსხლტა. ოთახში ჯერ სკამი გადავარდა, მერმე ჭურჭელმა დაიწკარუნა. გაწეწილი ქალი ჯერ ერთ კედელს წააწყდა, მერე მეორეს, შემდეგ კარს მიაგნო და ეზოში გავარდა.

— მიშველე-ეთ! ვინა ხართ ადამიანი, მიშველეთ!

— ვინა ხარ, ქალო? ამ სახლში რა გინდა? — მოესმა ბებრული ჩიფჩიფი.

— გამიყვანეთ აქედან, გამიყვანე-ეთ... შენი ჭირიმე, მიშველე-ეთ. — სტირის და იხვეწება თინა.

იმ ბებერმა ქუჩაში გაიყვანა და თავი მიანება.

— ჰეი, ჰეი, ხაბარდა! — დაუყვირა მეეტლემ და გაქანებული ცხენები ბრმა ქალს ძლივს ააცდინა.

საყვირმა მძლავრად ჩასძახა ყურში და ვიღაცამ ბოხი ხმით მიაყოლა:

— ბრმა ხომ არა ხარ, შე ოხერო, შენა!

თინა მარჯვნივ გასხლტა და უკვე შეყენებულ ავტოს დაეჯახა.

— ბრმა ვარ, შენი ჭირიმე, ბრმა. მიშველეთ რამე, გამიყვანეთ, — წუწუნებდა თინიკო.

თინას გარშემო ლაპარაკი ატყდა. ვიღაცამ ხელი წაავლო და ტროტუარზე აიყვანა. აქეთ-იქიდან გამოკითხვა დაუწყეს. ვინ არის? რა ჰქვიან? სადაურია? რა უნდა ქალაქში? როდის ჩამოვიდა?

— წამო, შე უბედურო, წამოდი. მე გიშველი. — ეუბნება ერთი. არა, თინა მამაკაცს აღარ ენდობა და არც გაჰყვება. ყველანი ჯიბგირები არიან და ჰარამზადები ყოფილან, ყველანი თინას ტანს ეტანებიან და ჭუჭყიან სიტყვებს ეუბნებიან. აქ დარჩება თინა. ღამეს ქუჩაში გაათენებს. გინდ გასჭყლიტონ, თუნდ მშიერიც მოკვდეს. სირცხვილს ისევ სიკვდილი ურჩევნია.

სდგას კედელთან აბუზული და სტირის.

რად სტირის ქალი? თქვენი საქმე არ არის, თავი დაანებეთ. აღარც თავის სახელს გეტყვისთ და არც იმას — სადაურია, ვის ეძებს და სადა ცხოვრობს. გაანებეთ თავი თინას, გაანებეთ, აღარც თქვენი მადლი უნდა და ტკბილი სიტყვა.

ბოლოს ქალის ხმა მოესმა:

— ქალო, რა გატირებს?

— შენი ჭირიმე, მიშველე-ე!

ქალს ორივე ხელით დაებღაუჭა და სხაპუნით უამბო თავისი ვინაობა და დარდი. იმ ქალმა ხელი წაავლო და წაიყვანა, თან ალერსით ეუბნებოდა:

— შე უბედურო, მარტო რომ მოდიოდი ქალაქში, რას ჰფიქრობდი? უცხო კაცს ახალგაზრდა ქალი რად მიენდევი?

მართალია, ბრმა ხარ, მაგრამ არც ტანი გაკლია და არც სილამაზე.

— რა ვიცი, გენაცვალე, გავბრიყვდი და წამოვედი.

— წამოვედი! წამოვედი! აგიღია თავი და მარტო დადიხარ ამოდენა ქალაქში. აქეთ მოდი... არ წაიქცე... აქ კიბეა... მარჯვნივ მოუხვიე. აი მოვედით. შემოდი, ნუ გეშინიას:

დედაკაცმა ოთახში შეიყვანა და სკამზე დასვა. მერე პირსახე დააბანინა, ჩაი დაალევინა, კიდევ მრავალი რამ გამოჰკითხა და ბოლოს უთხრა:

— ეხლა დაიძინე. შენი სოლო აქვე ახლოს იქნება. ხვალ დილით წაგიყვან და გაჩვენებ.

— რა ვქნა,ის მაინც მითხარი, შენი ჭირიმე, ვისთანა ვარ? — ჰკითხა თინამ.

— მარიამი მქვიან. დანარჩენს მერე გიამბობ, თუ კიდევ მოგაგონდი.

— ეგ რა ბრძანე, შენი ჭირიმე, თუ კიდევ მოგაგონდიო! მე ისეთი უმადური არა ვარ, რომა...

— კარგი, კარგი. მადლობა მერე იყოს, როცა სოლოს გიპოვნი და როცა თვალისჩინიც დაგიბრუნდება, ეხლა კი დაწექი და დაიძინე.

დაღლილ თინას უმალვე დაეძინა. მეორე დილით მარიამმა ერთხელ კიდევ დააბანინა პირსახე, თმა დაუვარცხნა, პური აჭამა, მერე ხელი წაავლო და წაიყვანა.

დიდხანს იარეს და ბოლოს ერთ შენობაში შევიდნენ.

— სოლო კაჭარაშვილი აქ არის? — ესმის თინას მარიამის ხმა და მამაკაცის პასუხი:

— აქ არის.

თინას გული აუჩქროლდა.

— იმის სანახავად მოვედით. შეიძლება?

— შეიძლება. იქ მიბრძანდით. აი ეს კაცი გაგაცილებთ.

დიდხანს იცადეს და ბევრი იარეს. ხან კიბეზე ავიდნენ, ხან მარცხნივ შეუხვიეს, ხან მარჯვნივ გაუხვიეს და ბოლოს სადღაც შესდგნენ. თინას უცნობის ხმა ესმის:

— აი აქ არის. აგერ იმ ლოგინზე წევს.

ჯერ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მერე თინამ ორივე ხელი წინ გაიშვირა და მთრთოლვარე ხმით ჩაიჩურჩულა:

— სოლო... სოლიკო... სადა ხარ?.. მიშველე, კაცო, მოვდივარ.

— თინა! თინიკო! — იქვე გვერდით მოესმა თინას.

თინამ ხელების სავსავით იპოვნა სოლოს ხელები და დანიშნულს ქვითინით და სიცილით ჩაუვარდა მკლავებში.

VII

სამივენი რკინის ტახტებზე სხედან და ბაასობენ. სოლომ რომ თინას თავგადასავალი გაიგო, ჯერ ძალიან გაჯავრდა, მერე კი მოლბა და სთქვა:

— რა ძალა ჰქონია სიყვარულს! ბრმას თავი აგრლია და ქალაქში მოეხეტები. ქალო, ე ღვთისნიერი დედაკაცი რომ არ შეგხვედროდა, რა დაგემართებოდა?

თინა უცნობ დედაკაცს გადაეხვია:

— რა ვიცი. ალბათ ჩემი ბედი ყოფილა, რომ მარიამს შევხვდი. ამის მადლი სიკვდილამდე არ დამავიწყდება. სიკეთეს გადავუხდი, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა.

— შენი ხელის მომართვა ის იქნება, თუ თვალისჩინი დაგიბრუნდება. — სთქვა მარიამმა.

— მართლა, — მოაგონდა სოლოს, — რაც უნდა იყოს, დროზე მაინც ჩამოხვედი, რაღა სამერმისოდ გადავდოთ! მოდი შენი თვალები ახლავე ვაჩვენოთ ექიმს.

თინას გული აუჩქროლდა.

— გენაცვალოს ჩემი თავი, სოლიკოჯან! ეგ კი სულ აღარ მომგონებია. ი ექიმი მაჩვენე, ვინ იცის... რა ვიცი...

ვიღაცეები მოიშველიეს და დაფაცურდნენ თინას ხელი წაავლეს და სადღაც წაიყვანეს, ექიმმა თინიკო სკამზე დასვა, თვალები გაუშინჯა და ჰკითხა:

— ხედავ რამეს? სულ არაფერს? რამდენი წელიწადია რაც თვალისჩინი წაგერთვა?.. მაშ თქვენს ოჯახში ბრმა არავინ არ ყოფილა?

მერე ლოყაზე ხელი მოუცაცუნა და სთქვა:

— თვალებზე ბისტი გაქვს გადაკრული. უნდა აღრევე გეწამლა. მაინც მოგარჩენ, ყოჩაღად იყავი.

მარიამმა და თინამ მხიარული ჟრიამული ასტეხეს და ექიმს ხვეწნა დაუწყეს.

მერე მარიამმა უთხრა ექიმს:

— ეს ქალი თქვენი ავადმყოფის ცოლია, რომელიც ეხ-ლაც აქ არის.

— მართლა?

— ჰო, გენაცვალოს ჩემი თავი. სოლოს ცოლი ვარ, სო-ლოსი. ის აქა წევს, ახლაც ავად არის.

თინა გაიყვანეს, კიდევ დიდხანს ატარეს და ერთ დედაკაცს გადასცეს.

— აბა, თინიკო, მშვიდობით იყავი. ზეგ რომ მოვალ, თვა-ლები ახილული უნდა გქონდეს. — უთხრა მარიამმა და წავი-და.

თინას ვინაობა გამოჰკითხეს და სადღაც ჩასწერეს. ხელში რაღაც ქაღალდი მიაჩეჩეს, კიდევ დიდხანს ატარეს, კარგად გაჰბანეს, საცვალი გამოუცვალეს, გრძელი ხალათი ჩააცვეს და დააწვინეს.

თინა გამოტილი წევს. ისმის თავდაჭერილი ლაპარაკი, ჩურ-ჩული და ჩუსტების ფლასტუნი. თინასაც უნდა ოთახში გავ-ლა და პაასში ჩარევა, მაგრამ ვერა ჰბედავს. ვიღაც დედაკა-ცი მოუჯდა გვერდით და გამოელაპარაკა.

— შენი ჭირიმე, — ეხვეწება თინიკო უცნობს, — ერთი გამაგებინე. ძალიან მეტკინება, ე თვალებს რომ გამიჭრიან?

— თვალები უნდა გაგიჭრან? უი დამიდგეს თვალი! — შე-შინდა უცნობი.

სხვებიც ჩაერივნენ და აყაყანდნენ. ყველანი გასაჭირელად იყვნენ მომზადებულნი, ამიტომ აჟივილდნენ და ერთმანეთს შეუქეთეს. ოთახში ვიღაცა შემოვიდა, აშლილნი დაამშვიდა და თინას უთხრა:

— დამშვიდდი, ქალო. სულაც არ გეტკინება. ჩვენთვის ეგ საქმე ისე ადვილია, როგორც შენთვის ერთი მწვადის შეჭ-მა.

აქეთ-იქით გაიცინეს. მერე ყოველივე მიწყნარდა.

„ნეტა რას შვრება ეხლა მამაჩემი? — ჰფიქრობს თინა. — ხლზათ ქვეყანა გადააბრუნა, დარბის და მეძებს. იქნება დამე-დევნა კიდევაც. იქნება ახლაც დარბის“.

მართალია, მარიამმა და სოლომ პირობა მისცეს თინას, დღესვე წერილს მივწერავთ თომას და დავამშვიდებთო, მაგ-

რამ სანამ თომა წერილს მიიღებდეს, საწყალს თავისი დაემართება.

„ერთიც ვნახოთ, თვალხილული მივადექი მამას. — ოცნებობს თინიკო და იღიმება. — რა სეირი იქნება! კაკეს ბიჭს ყბაჩას თვალები დაუდგება. სურამში რომ გაიქცა, მაშ რა ეგონა! თვალები რომ ამეხილება, ყბაჩა პირს დააღებს და დამედევნება, მაგრამ"...

მაგრამ გვიანღა იქნება. ყბაჩას სოლომ დაასწრო. მართალია, სოლოზე ამბობენ, ფეხები დამტვრეული აქვსო, მაგრამ ამას არა უშავს რა. თინას ვერც კი წარმოუდგენია ფეხდამტვრეული ადამიანი.

სოლო დადის, მაშ თინას მეტიც არა უნდა რა. როგორც ეტყობა, სოლო ყბაჩაზე უფრო ღონიერი უნდა იყო. გარდა ამისა, ყბაჩა უბრალო სოფლელი ბიჭია, სოლო კი უფრო ნავალიც არის და გამოცდილიც.

თინა ოცნებას გაჰყვა. თითქო თვალები აეხილა. ყბაჩა და სოლო იმის გულისთვის დავობენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ორი დღე და ღამე გავიდა. დილით თინას ჯერ ჩაი დაალევინეს, მერე მკლავში ხელი გაუყარეს და წაიყვანეს.

— გამარჯვება, თინა! — იცნო თინიკომ ექიმის ხმა. — როგორა ხარ? როგორ მოგწონს აქაურობა?

— კარგად, შენი ჭირიმე, ძალიან კარგად.

— აბა დღეს შენი ბედი უნდა ვსაცოდოთ.

თინა ამ წუთს ორ თვეს ელოდებოდა. გუშინ და გუშინწინ ეს წუთი იმედის და შიშის შამფუროვით უტრიალებდა თავში და გულს უდაღავდა, ახლა კი, როდესაც საოცნებო საათმა ჩამოჰკრა, თინიკოს პატარა გულმა შიშს და სიხარულს ვეღარ გაუძლო.

— შენი ჭირიმე... დამაცადე... ჯერ მითხარი... — ბუტბუტებდა თინა და ექიმის ხელებს ეძებდა.

— რა უნდა გითხრა, ქალო? სთქვი, რა გინდა?

— ჯერ მითხარი, თუ საქმე კარგად წავიდა, დღესვე დავინახავ თუ...

— დღესვე კი არა, ახლავე დაინახავ. აბა ჩაიცვი.

სანამ თინას სხვა რაღაცას აცმევდნენ და ამზადებნენ, ექიმი გულს უმაგრებდა.

— თუ ბედი გაქვს... შენ ნუ გეშინია... არ გეტკინება. ოდნავ იგრძნობ... ყოჩაღად იყავი...

თავი გადაუწიეს და ხელები დაუჭირეს.

თინამ მარცხენა თვალში ტკივილი იგრძნო — ერთხელ, ორჯელ, სამჯერ...

და უცებ — ღმერთო, დიდებულო! — აკანკალდა და მთრთოლვარე ხმით შეკივლა:

— ვხედავ!.. ვხედავ!.. ვხედავ!..

— მადლობა უფალსა. — ბუტბუტებს დამხმარე ქალი.

— დავინახე! დავინახე! სოლიკო, სადა ხარ? მამილო, დავინახე! — მდუღარედ ისვრის თავზარდაცემული თინიკო.

— ცოტა კიდევ... მოიცა, კიდევ მოიცა... ბედნიერი ღელვით ღელავს ექიმიც და ჩქარობს. — გაახილე თვალი, გაახილე.

— მადლობა უფალსა! მადლობა უფალსა! — ისევ ბუტბუტებს ასისტენტი ქალი და ნერვიულად ფუსფუსებს.

თინას თვალში თეთრმა ჩაანათა. გაუძლისმა ნეტარებამ თავში დაჰკრა და ფეხებამდე ჩაურბინა. თინამ წამწამები აახამხამა და თვალი მოჰკრა თეთრ კედელს, თეთრ ჭერს, თეთრ ექიმს და იმის ჭაღარა პირსახეს, შავს ხელთათმანში გახვეულ ხელს, მოღიმარე ტუჩებსა და გაბრწყინებულ თვალებს, თვალი მოჰკრა, გაიწია და ექიმს სახელოში წასწვდა.

— შენი ჭირიმე... შენ გენაცვალე.... მითხარით, გამაგებინეთ, ეს რა არის?.. ეს რა ფერია?..

— თეთრია, თეთრი. აბა კიდევ გაახილე თვალი.

ახლა კი იცის თინამ, რაც ყოფილა თეთრი ფერი, იცის! ხელმეორედ გაიწია და ექიმს ისევ ხელში წასწვდა.

— ეს... ეს რაღა ფერია?

— ეს შავია, შავი. აბა, გეყოფა. დაუჭირეთ ხელი. გაახილე თვალი, გაახილე-მეთქი!

ახლა თინამ ესეც იცის, ახლა კი ესმის თომას სიტყვები: „შავი ის არის, რასაც ახლა ჰხედავო".

თინა წყვდიადს ჰხედავდა, შავს და განუჭვრეტელ სიბნელეს. აი თურმე რა ფერისა ყოფილა შავი! ერთი წამით დაჰხუჭა თვალი და შეჩვეული ფერი კვლავ დაინახა — შავი და საზარელი სიბნელე, არაფერი, არარაობა. ისევ გაახილა თვალი და ისევ თეთრი კედელი, თეთრი ექიმი და მისი „პირის-

ფერი პირსახე“ დაინახა — შუბლშეკრული, პირმოღუშული, მწმუნვარე და თითქმის სასტიკი.

— ახლავე... ახლავე... ერთხელ კიდევ, ერთხელაც. ნუ ინძრევი. — ბუტბუტებს ექიმი და გაფაციცებით მუშაობს. მერე თვალებზე ბამბა დაადო და სთქვა:

— აბა ახლა მეორეცა ვსცადოთ.

თინამ კვლავ იგრძნო ტკივილი და სუსტად შეჰკივლა, მაგრამ ტკივილი უმალვე დაივიწყა.

— ვხედავ!.. ვხედავ!.. ამ თვალითაც ვხედავ! გენაცვალე მაგ ხელში!.. შენი ჭირიმე, ექიმო!..

და თვალახელილი თინიკო მეორე თვალითაც ჰხედავს იმავე ჭერს, იმავე კედელს, თეთრს ექიმს, შავ ხელთათმანს და ექიმის გაბადრულ პირსახეს.

— ახლავე... ახლავე... — გავათავებ. — კვლავ ბუტბუტებს ჭაღარა ექიმი.

მერე ორთავე თვალი შეუხვია, წამოაყენა, ათრთოლებული მკლავი წელზე მოჰხვია და მამობრივი სიხარულით უთხრა:

— აბა, ჩემო თინიკო, ეს დღე არ დაივიწყო. დღეს მეორედ დაიბადე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ხომ გიხარია? რა დაგემართა, თინა? რა გემართება, ქალო?

— დღევანდელი დღე როგორ დამავიწყდება!.. როგორ დამავიწყდება, რომ შენ... თქვენ... მე... მე...

სათქმელი ვეღარ გაათავა, ხმა აუკანკალდა, თვითონაც ათრთოლდა, ხელებით ექიმის ხელები მოსძებნა და ექიმის მკერდზე აქვითინდა.

VIII

თვალებაკრული თინა თერთმეტი დღე იწვა სამკურნალოში. მეთორმეტე დღეს ექიმმა ერთხელ კიდევ დაიბარა და უთხრა:

— აბა თინიკო, შენი დღე მოვიდა, ვადა გაგითავდა. დღეს სამუდამოდ უნდა ავხსნა თვალსახვევი. თქვენებიც აქ არიან. გარეთ გიცდიან. აბა, ერთი! ორი, სამი!

და უცებ მოჰგლიჯა თვალს თვალსახვევი.

თინა ისე აირია და დაიბნა, თითქოს ეს-არის ახლა დაიბა-

და. თვალებს ახლად გაღვიძებული ბავშვივით იფშვნეტავდა და უცნაურ ღიმილით ათვალიერებდა ოთახს, ცის ნაჭერს, მომღიმარე ექიმს, ასისტენტს და სათნოების დას.

— ხომ კარგად ჰხედავ ყველაფერს? — ეკითხება ექიმი.

— კარგად ვხედავ, გენაცვალე, კარგად. მაგრამ...

— პირველად რომ გაგიჭერი თვალი, ალბათ, მარტო ჩემი ხალათის ფერი და კედელი დაინახე, ახლა კი...

— ახლა ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს... თქვენც გხედავთ, თქვენს პირსახესაც.

— ეს რა ფერია? — მიუთითა ექიმმა კედელზე.

— თეთრი. — უპასუხებს თვალახელილი თინა და, თვითონაც თეთრებში ჩაცმული, რეტიანივით დაბარბაცებს და უცნაურად იღიმება.

— ეს?

— შავი.

— ესა? — და ასისტენტმა პირსახეზე დაიდო თითი.

— ეგა? — და უცებ გაზეპირებული სიტყვა მოაგონდა: — ბირისფერი.

— ყოჩაღ! — მოიწონა ექიმმა და ცარცწასმული ფანჯარა გამოაღო. — აბა, თინიკო, აქ მოდი.

თინამ ფანჯრიდან გაიხედა და შთაბეჭდილებისაგან დაღლილ-დაოსებულმა ორივე ხელი ფანჯრის რაფას დააბჯინა. ახლად თვალახილულის წინ დიდუბე, ვაკე, საბურთალო, მთაწმინდა, ზედაზენის ქედი, დიღმის მინდორი და ასნაირად შეღებილი მთების გრეხილი, დიდი ქუჩა და ჭრელი ქალაქი გადაიშალა.

— თქვენი ჭირიმე-ე-ე, ეს რა არის! ეს რა ამბავია! — ბუტბუტებს თინიკო და ისევ თვალებს იფშვნეტავს. — ეს რა არის... ეს რა ამბავია!

ექიმმა თინას მკლავში ხელი წაავლო და გამოაფხიზლა.

— ეს არის ცა. — უთხრა ექიმმა და თითი ზევით ასწია.

— ცა... ცისფერი ცა! — მოაგონდა თინას.

— აგერ ცაზე თეთრი რომ მოსჩანს, ღრუბელია. იქიდან მოდის წვიმაც და თოვლიც.

— წვიმა და თოვლი! მე კი მეგონა, რომა...

და თინას მოაგონდა ცალთვალა დევი, რომელიც ოდეს-

ლაც ქვეყანას საცერით რწყავდა და ბამბით ჰფენდა, გრილი ნიავი ჰქროდა. თინა შუბლს იგრილებდა და ისევ ცალთვალა დევს იგონებდა, რომელიც ვითომ მთაზე იდგა და ქვეყანას ქარს უგზავნიდა. ცას შეხედა, თვალები დაჰხუჭა და კვლავ გაიხსენა იგივე დევი, რომელსაც ხელში დიდი მუგუზალი ეჭირა. გაიხსენა და სიხარულით გაიცინა.

— რას იცინი? მოგწონს? ახლა ხომ ჰხედავ როგორი ყოფილა ეს ქვეყანა?

— ვხედავ, ვხედავ! აჰა-ჰა! რა კარგი ყოფილა!

— აი ბალი.

— ჰო, ბალი... მწვანე ბალი.

— ეგეც გცოდნია? აგერ დედაკაცი მიდის, რა ფერისაა იმის კაბა?

— კაბა? კაბა... არ ვიცი, ეს კი არ ვიცი.

— წითელია, წითელი.

— ეგ არის წითელი? რა ლამაზი ფერი ყოფილა-ა-ა...

— აბა, თინა, ახლა კი წავიდეთ. თქვენები გიცდიან.

— მართლა, ჩვენები! სად არიან? შენი ჭირიმე, მაჩვენე, ჩქარა მაჩვენე, ჩქარა!

— აი ეს ქალი გაგიყვანს. მე აქ უნდა დავრჩე. აბა მშვიდობით იყავი, თინიკო, არ დამივიწყო.

თინას ცრემლი წასკდა. ტუჩებით დასწვდა ექიმის ხელს და აბუტბუტდა.

— მადლობელი ვარ, ექიმო, მადლობელი... მშვიდობით, ენაცვალოს ჩემი თავი მაგ მარჯვენას... გენაცვალოს... გენაცვალოს.

სათნოების დას გაჰყვა და გავიდა. გზადაგზა აქეთ-იქით იხედებოდა, ყველაფერს გაოცებით შინჯავდა, ჰხარობდა და წამდაუწუმ ეკითხებოდა თანამგზავრს:

— რა ვქნა, ეს რა არის?.. ამას რა ჰქვიან?.. ეს რისთვის არის? ხალხით გაჭედილ დიდ დარბაზში რომ შევიდა, დაიბნა და შესდგა. ქალები და კაცები ბუზივით ირეოდნენ. თინა ყველას აცქერდებოდა და თავით ფეხებამდე ათვალიერებდა. ნეტა ვინ არის იმის მამა? რომელია ყბაჩა? სად არის მარიამი? სოლიკო სადაა? უცებ აქეთ-იქიდან რამდენიმე ხმა მოესმა:

— თინა! თინიკო! შვილო!

სამი მამაკაცი და ერთი დედაკაცი მისცვივდნენ. მოეწვივნენ და დაჰკოცნეს. თინას ოთხივე ხმაზე იცნო.

— მამა, მამილო!.. სოლო, სოლიკო!.. შენა ხარ?.. ყბაჩა, შენც აქა ხარ? მარიამ, ჩემო დედავ... ჩემო დედილო!

მაშ ეს არის თინას მამა? ეს არის თომა?! აი ეს კაცი — გამხდარი, მობუზული, ჭაღარა და დაგლეჯილ მაზარაში გახვეული?! საწყალი მამილო! საბრალო თომა! მოდი, გენაცვალოს თინიკო, მოდი! მოდი და ერთხელ კიდევ ჩაეხუტე შენისთანა საბრალო თინიკოს.

— ღმერთო, ამას რას მოვესწარი!.. ეს რა ვნახე! ეს რა ბედი მეწვია! — ბუტბუტებს თომა და დაღარულ პირისახიდან სიხარულის ცრემლს იწმენდავს.

ოთხივე შემოეხვია. მხიარულმა ყაყანმა და ქრიამულმა თინა გააბრუა. მათი კითხვა, პასუხი და მილოცვა თინას თავში ფუტკარის ბზუილივით აირია. მათს ლაპარაკს ყურს ვეღარ უგდებდა. ჯერ ოთხივე თავით-ფეხამდე ჩაათვალიერა, მერმე ახლად ახელილი თვალები ორს მამაკაცს ჩააშტერა და უნებურად დაიწია უკან. ორივენი იმის წინ იდგნენ: დაბალი, ხნიერი, კუზიანი, პირდამწვარი, გონჯი სოლო და ახალგაზრდა, მოსხლეტილი, გრუზა და ლამაზი ყბაჩა.

ღმერთო, დიდებულო! ეს რა გაგიჩენია! ლამაზი და გონჯი, მშვენიერი და მახინჯი, ახალგაზრდა და ბებერი? აქამდე თინამ არც ერთი იცოდა, არც მეორე ახლა კი უცებ იგრძნო და უჩვეულო სიხარულით აინთო. მაგრამ იმავე დროს აფართხალებულ გულზე მძიმე ლოდი დააწვა და თვალახელილი ქალი ჩასდრიკა. ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი! მაგრამ რისთვის მოგინდა ამოდენა წყალობაში ასეთი შხამი რომ ვაურიე და თინიკოს გაუძლისი ბედნიერება რომ შეუწელე?!

და მოდრეკილმა და შენელებულმა ქალმა უნებურად დაჰხუჭა თვალები და ოდნავ წაბარბაცდა. სოლო დროზე მიეშველა: წელზე გრძელი ხელი მოჰხვია და მიიზიდა.

— დაიღალე განა, თინიკო! დაჯექი, აი აქ დაჯექი. — უთხრა სოლომ და გრძელ სკამზე დასვა.

— ცუდი ფერი დაგედო, შვილო. — მიეშველა თომაც. — ცუდად ხომ არ გახდი?

— არა უშავს რა, — ჩაერია მარიამაც, — ახლავე გაუვლის. ამოდენა ხალხის დანახვა დაჰლილიდა, დაისვენე, გენაცვა, და-

ისვენე. დახუჭე თვალები, დახუჭე სანამ არ დაისვენებ, ნუ გაახილავ.

თინამ თვალები მიჰლულა, დარეტიანებული თავი თომას მკერდზე მიადო და გაინაბა.

ირგვლივ ისევ ყაყანი და ჟრიამული სდგას, თინას კი მხოლოდ თავის გულის ფართხალი კვნესა ესმის. მილულულ თვალებს ზოგჯერ ოდნავ გაახილავს და ქურდულად ყბაჩას გადაავლებს, რომელიც იქვე სდგას, უცნაურად იღიმება და თინას ნაღვლიანი თვალებით ჩასცქერის.

ბოლოს ყველანი წამოდგნენ და ქუჩაში გამოვიდნენ. მარიამმა და სოლომ თინიკო შუაში ჩაიყენეს, მკლავებში ხელები გაუყარეს და წამოიყვანეს. სოლო ისე ქანაობდა მოშლილ თეძოებზე, ისე სცელავდა მოგრეხილ ფეხებით და ისე ეხეთქებოდა დასუსტებულ დანიშნულს, რომ თინამ ველარ გაუძლო: სოლოს ხელი გამოაცალა, მამას მეორე მხრივ მოუარა და ის ხელი თომას წაავლო. შთაბეჭდილებით დათენთილი ქალი, ლასლასით მოდიოდა, გაოცებულ თვალებს აცეცებდა, წამდაუწუმ ჩერდებოდა, აქეთ-იქით იხედებოდა, მგზავრებს ჩაციებით შინჯავდა და ხმამაღლა კითხულობდა:

— ეს ვინ არის?.. ეს რა რის?.. ამას რა ჰქვიან?.. ეს რა ფერიაʔ..

თვითმავალი შეუბმელი ვაგონი და გაქანებული ავტო რომ დაინახა, ჯერ პირი დააღო, მერმე გამოცოცხლდა, გადიკისკისა, მუხლებზე ხელები დაირტყა და წამოიძახა:

— რა ვქნა, ეს ქვეყანა რა ყოფილა! თქვენი ჭირიმე, ერთი მეც ჩამსვით ამ ურემში რადა!

ხუთი წუთის შემდეგ გაბადრული თინიკო ტრამვაის „ურემში“ იჯდა, გულიანად იცინოდა და ხანგამოშვებით თანამგზავრებს ეუბნებოდა:

— რა კარგია!.. ვენაცვალე, ვინც ეს ურმი მოიგონა!.. ნეტა აღარ ჩამოვიდეთ აქედანა.

ბოლოს მაინც ჩამოვიდნენ. თინა კვლავ დაიღალა და მოეშვა. მიუხვ-მიუხვიეს, ერთი პაწაწა ეზო გადასჭრეს და მარიამის ბინაში შევიდნენ. თინა ტახტზე ჩამოჯდა, კედელს მიეყუდა, თვალები მიჰლულა და გაინაბა. იმის თავში ათასი გრძნობა და შთაბეჭდილება აირია და აიხლართა. მარიამის ბავშვები გარს შემოეხვივნენ. ოთახი ყაყანით და ჟრიამულით გაიტენა.

უცებ თინამ კედელში ვიღაც ქალს მოჰკრა თვალი. ისიც ტახ-ტზე იჯდა და თინას შესცქეროდა. თინა შეინძრა. ის ქალიც შეირხა. თინამ თმა გაისწორა. იმ ქალმაც უმალვე აიყარა შა-ვი ბეწვგალი. უყურებს თინა და ჰფიქრობს:

„რა ვქნა, ეს ქალი ვინ არის? რატომ აქამდე ვერა ვნახე? როგორ გაწოლილა მეორე ოთახში! რა ლამაზია! ნეტავ მეც შენისთანა ლამაზი ვიყო და...“

გაუღიმა. უცნობმა ღიმილი დაუბრუნა. თინამ თავი დაუკ-რა. იმანაც სალამი დაუბრუნა. თინა წამოდგა და იმ ქალისკენ წავიდა. ისიც მოდის და იცინის. ერთმანეთს ხელები გაუწო-დეს და... უცებ თინიკო კედლის სარკეს წააწყდა.

სიცილმა და ყრიამულმა თინაც და იმის ოთახიც გააშტე-რეს.

— რა ვქნა, ეს რა ამბავია? — ბუტბუტებს თინიკო და სარ-კეს ხელებს უცაცუნებს. — ეს ვინ არის? ეს ვინ არის?

ძლივს გააგებინეს და დააჯერეს. თავის ლამაზი თავი რომ დაინახა, გაუხარდა და აკისკისდა. საკუთარი თავს დიდხანს უღიმოდა, ეკოხტავებოდა და ელამუნებოდა. სიცილით რომ დაიღალა, ისევ ტახტზე ჩამოჯდა და შავ თვალებზე ლული ჩა-მოიფარა.

— აბა, თინიკო, მე და თომა საქმეზე წავალთ. — ჩახლე-ჩილი ხმით უთხრა სოლომ. — ადრე ვერ დავბრუნდებით. შენ მოისვენე, თორემ ძალიან დაღლილი ხარ. სადილისთვის დავ-ბრუნდებით და მერე ქალაქის სანახავად წავალთ. მარიამიც გა-მოგვყვება. შენთვის ბევრი რამე გვაქვს სახყიდელი.

თინამ თვალები გაახილა. იმის წინ კვლავ სოლო და ყბაჩა იდგნენ უმალვე ისევ დახუჭა თვალები და წაიჩურჩულა:

— კარგი, წადით.

— ნუ გეშინიან, თინიკო, — სთქვა ყბაჩამ დაბალი ხმით. — მეც შენთან დავრჩები, არ მოგაწყენ.

თომა, მარიამი და სოლო წავიდნენ. ეზოში ბიჭები ბურთს დასდევნენ. კატა თინას მუხლებზე ასკუპდა. თინამ თვალები გაახილა. ჩაცუცქული კატა მკერდზე, მიიკრა მოულოდნელად ატირდა და აჩურჩულდა.

— ნანუა... ჩემო ნანუა...

— რა გატირებს, თინიკო? — რბილი ხმით ჰკითხა ყბაჩამ და თინას გვერდით მოუჯდა. — რა გატირებს, ქალო?

თინას სდუმს და კატას თბილი ცრემლით ასველებს.

— არ გესმის? რა დაგემართა-მეთქი, თინიკო? აბა ერთი შემომხედე. და ხელში ხელი წაავლო.

— არაფერი, თავი დამანებე! — წამოიძახა თინამ.

და იმის ხმაში ბრაზი მოისმა, ხოლო თვალებში ისარმა გაიელვა.

ყბაჩა გაოცდა:

— მაინც? არ მეტყვი?

და თინიკო მოიზიდა.

— გამანებე მეთქი-თავი! — უფრო მეტის სიბრაზით დაიძახა თინამ და ხელიდან თავის ხელი გამოსტაცა.

ყბაჩა გაშტერდა. მერე წაილუღლუღა:

— არ მესმის... ხომ არაფერი გაწყეინე, ქალო?

თინამ კატა გადააგდო, თვალები მოიწმინდა და ყბაჩას გაკვირით გადაჰხედა. მერე ხელები პირსახეზე აიფარა და ამოიკვნესა:

— ღმერთო ჩემო! განა ისე გაძნელდა ჩემი ჩამოყვანა ქალაქში? შენც და მამასაც რამდენჯერ გთხოვეთ, რამდენჯერ შეგეხვეწეთ.

— ვერ მოვიცალე და...

— ვერ მოიცალეს! ჩემთვინ ერთი კვირითაც ვერ მოიცალეს! მაშ სოლომ როგორღა მოიცალა? შენ გეკითხები, სოლომ როგორღა მოიცალა-მეთქი?

— იმიტომ მოიცალა, რომა... მე... მე არც მჯეროდა, რომა ექიმი შენს თვალებს უშველიდა.

— სოლომ რაღად მოიცალა-მეთქი? სოლომ რაღად დაიჯერა?

— იმიტომ რომა... სოლო ქალაქელია, ჩვენზე მეტი ესმის. მენა ერთი სოფლელი კაცი ვარ... ბნელი გლეხი ვარ. ახლა ბარემ მეცა მჯერა, მაგრამა...

— მაგრამ რაო?

— მაგრამ ისა რომა...

ყბაჩა იშმუშნებოდა, ხელებს იფშვნეტავდა და ქალამნებს დასცქეროდა. მერმე უცებ გასწორდა, ორივე ხელით თინას ხელს დასწვდა და აბურტყუნდა:

— იცი რას გეტყვი, თინიკო? მენა, რომა... დედა არ მომკვდეს, მართალს გეუბნები... მენა შენს მეტი არავინ არ მდო-

მეზია... შენს იქით გზა არა მაქვს. მოჯამაგირედაც იმიტომ წავედი, რომ ცოტა ფული მეშოვნა და მერე შენი თავი მეთხოვნა... ქალაქშიც ჩამოგიყვანდი, ექიმსაც ვიპოვნიდი... მოგარჩენდი... მე მოგარჩენდი, მე!.. ახლა კი... ახლა ხომ არ დაგვიგვიანე?

— დაიგვიანე. — ხელისგულს ჩასჩურჩულა თინამ.

— დავიგვიანე, მაგრამ... თინა! მამაჩემის სულსა ვფიცავ, რომ... რომ სოლო შენი ღირსი არ არის.

თინამ ალანძული პირსახე უფრო ღრმად ჩაიმალა ხელებში.

— სოლო შენ ვერ მოგივლის. — განაგრძო ცხარედ ყბაჩამ. სოლოს შენი ხნის შვილები უნდა ჰყავდეს, ის კი შენისთანა ქალს ირთავს! აბა მითხარი, სად არის სამართალი!

თინა უცებ გასწორდა, ყბაჩას მოუბრუნდა და კვლავ ბოაზით მიახალა:

— მერე, მე? რა ჩემი ბრალია? სად იყავით? რად ჩამაგდეთ იმის ხელში? რა ჩემი ბრალია-მეთქი?

— ჩემი ბრალია, ჩემი! — წამოიძახა ყბაჩამ და თინას მხრებში დასწვდა და მკერდზე მიიხუტა. — სულ ჩემი ბრალია, ჩემი! — გაბზარული ხმით განიმეორა რამდენჯერმე. — დიდხანს ვიფიქრე: დედაც წინ გადამეღობა. შენი ნახვაც კი დამიშალა, მაგრამ შენ მაინც გულში მყავდი...

— მართლა?.. ვითომ? — ყბაჩას მკერდს ჰკითხა თინამ.

— დედა არ მომიკვდება მართალს გეუბნები, თინა! თინიკო! ჩემო გოგონავ...

ორივეს ტუჩებმა ერთმანეთი თვითონვე მოძებნეს და ჩაეჭუტნენ. ორივეს სული შეეკუმშა და თავბრუ დაესხა

უცებ თინა მკლავებიდან გაუსხლტა და კედელთან აიტუზა. ყბაჩაც წამოდგა და აბუტბუტდა:

— შენა... შენ ნუ გეშინიან. სოლოს მე მოურიგდები... მე მოგაშორებ.

— არა, არ მინდა... სოლოს თავი დაანებე.

— რას ამბობ, თინა! მაგას როგორ ამბობ? მაშ ეხლა... მაშ ეს რა იყო?

— არ ვიცი... ერთხელ დამემართა... მეტი აღარ მინდა... აღარ იქნება, წადი, მომშორდი!

— მაშ მე აღარ გინდივარ?

— მინდიხარ... არა, აღარ მინდიხარ... აღარ მინდიხარ-მეთქი? წადი, მომშორდი!

— მაშ ის გონჯი ბებერი მე მამჯობინე. რაღა!

— ტყუილია, სტყუი! სოლო არც გონჯია, არც ბებერია, სოლო ჩემი ქმარია.

— ქმარია თუ დანიშნული?

თინა აილანძა. თავი დახარა და განიმეორა:

— წადი მომშორდი...

— თინა... თინიკო!.. ჩემო გოგონი!

— არა, არა! ნუ მოდიხარ... ნუ მოსვალ.

უცებ ხმა მოულბა და მოუდუნდა. ნაცემი ბავშვივით შეანათა აცრემლებული თვალები და შეემუდარა:

— ყბაჩა... ჩემო ძმობილო... ჩემო კარგო ყბაჩავ წადი... წადი და დაიკარგე სადმე... ნუღარ დამენახვები, მე სოლოს ცოლი ვარ.

ყბაჩა შეტორტმანდა:

— სოლოს ცოლი? ცოლი თუ დანიშნული?

—, ოჰ, ცოლი ვარ, ცოლი. წადი. დამივიწყე. სოლო ჩემი ქმარია... სოლო ისეთი კაცი ყოფილა, რომა... სოლომ თვალები ამიხილა...

— მაშ... რაკი აგრე ყოფილა... — აყოყმანდა ყბაჩა და ქუდს ხელი დაავლო.

— ჰო, გენაცვალოს თინა, ჰო! აგრეა... წადი, მომშორდი.

— მაშ წავალ...

— წადი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი... წადი და დამივიწყე... ნუღარ გამიხსენებ და ნურც შენს თავს გამახსენებ.

თავჩაქინდრული ყბაჩა ნაბდის ქუდს სჭმუჭნიდა და კვლავ ბუტბუტებდა:

— მაშ წავალ... რაკი აგრე ყოფილა, წავალ... მეტი რა გზა მაქვს, უნდა წავიდე... წავალ...

და ბოლოს ძლივს ამოიხრიალა:

— მაშ მშვიდობით იყავი... შენ იცი... ჩემი ცოდოც შენა... შენ იცი...

— შენი ცოდოც მენა და ჩემიცა... აგრე იყოს.

თავი ასწია და კარებს გაჰხედა. ყბაჩა უკვე გასულიყო. თი-

წამ ფანჯარაში გაიხედა: ყბაჩამ სწრაფი ნაბიჯით გადასჭრა პატარა ეზო და კუთხეში შეუხვია.

ბოლოს ცოლმა ჯერ კარებისკენ დაიწია, მერე შედგა, მოტრიალდა და ხელები თვალებზე აიკრა, უცებ პირქვე დაეცა ტახტზე და აქვითინდა, თან სლუკუნით ბურტყუნებდა:

— ყბაჩა, რად დაიგვიანე?.. რად დაიგვიანე, ბიჭო!.. რად დაიგვიანე, შე ურჯულოვ... შე ჩემი ცოდვით სავსევ, შენა!

1 — 10. III. 1925 წ.

მუსუსი

I

სირბილაანთ მიხამ სამხედრო ბეგარა მოიხადა და ისევ თავის სოფელს დაუბრუნდა.

ეს ამბავი იმავე საღამოს კარით-კარს მოედო. გასათხოვარი ქალები ამბობდნენ:

— ქა, გაიგე? სირბილაანთ მიხა დაბრუნებულა.

— ნეტავი მართას, რომ მაგისთანა შვილი დაუბრუნდა.

— სოფელსაც გაამხიარულებს, თორემ უმაგისოდ ჩვენი ქალები ობლებივით დაბორიალებდნენ.

— მაშ ხვალ დიდი ლხინი იქნება.

— იქნება, მაშა! კარგად დასჭიმე შენი დაირა.

— ჯიღაურიანთ ფეფელო ისე მოიპრანჭება, რომაა...

— ვერ მივართვი ბადრიჯანი! იმისი მამა პეტრე ისეთი კაცი არ არის, რომ სირბილაათ ქვრივს ქალი მისცეს.

— რაღა დროს მიცემაა ქაა! იმის მამას თავდიდაანთ სიკოსთვის მიუცია სიტყვა. ამბობენ, იმ კვირას ნიშნობაც იქნებაო.

— მუსუსი არ დაანებებს. აი დაიხსომე ჩემი სიტყვა.

გათხოვილი დედაკაცები უფრო გაბედვით ტიტინებდნენ,

— დაბრუნდა ქალების მუსუსი.

— აქაურობას აიკლებს.

— ნეტა ეხლა კი ვის აიჩემებს?

— ვისაც მოინდომებს. მე შენ გეტყვი, არ აჰყვებიან!

— ჯირითის დრო გაუვიდა. წარამარა ხელის გაკვრას აღარ აპატიებენ. დღეს ან ხვალ ეგეც მოიკიდებს ერთ გოგოს და დაწყნარდება.

— ქაა, საწყალ მუსუსას რას ერჩით? ხუმრობა უყვარს, თორემ აქამდე ერთი ქალიც არ გაუფუჭებია.

— ვიცი. როგორც თავდება ხოლმე აგეთი ხუმრობა. მაგისთანა ხუმრობით გუშინ თევდორეს თეკლე დალოგინდა.

ბიჭები ფუსფუსში ქალებს არ დაუვარდებოდნენ:

— ბიჭო, ღინღილ, ფრთხილად იყავი, მოვიდა ჩვენი სულთამხუთავი.

— ვინა, მუსუსი? მე რა მიშავს, შვილოსა! მე სოფო დავნიშნე და გავათავე. ვაი ტიტესა, თორემა...

— ვინა, მენაა? ისეთი სახრე ვაჭამო ი შენ მუსუსასა რომაა...

— შენ თუ სახრე იცი, მუსუსმა ისეთი მარგილის ტრიალი იცის, რომ ერთი დაკვრით შენს ლაბა კამეჩსაც კი მოსწყვეტავს კისერს.

— მე სხვების შიში არა მაქვს. ვაი თავდიდაანთ სიკოს, რომ ფეფელოს დანიშვნა დააგვიანა, თორემ ჩვენ რა გვიშავს.

— ვინა, პეტრე ჯილაური უნიფხვო მუსუსას ქალს მიათხოვებს?!

— არ მიათხოვებს.

— არც მიათხოვებს და არც ახლო მიიკარებს.

— არც მიათხოვებს და კარგებსაც მისცხებს.

— რა იცით, რომ მუსუსი ფეფელოს დაადგამს თვალსა? იმის მეტი ქალი აღარ არის?

— იმიტომა, რომა ფეფელო მუსუსის მეზობელია და ერთად არიან შეზრდილი.

— შენ ისე სთქვი, რომ ფეფელოზე ლამაზი გოგო ახლომახლო არ მოიძებნება.

— ფეფელო წინათ სხვებს არა სჯობდა. ეხლა კი, სანამ მუსუსი ქალაქში იყო, ისე დამშვენდა და გაიშალა, რომ მუსუსი მაგას ხელს აღარ გაუშვებს.

— ეგ კი მართალია. თუ მუსუსმა ქალს თვალი დაადგა, რვა ულელი ხარ-კამეჩიც რომ მიაბა, ხელიდან ველარ გააგდებინებ.

მეორე დღეს სოფლის ნაპირას გახურებული ლხინი იყო. დაირას ბრაგუნი გაჰქონდა. ბუზიკა ჭყვიტინებდა, გოგო-ბიჭები ტაშით ხელებს იმტვრევდნენ. იქვე მახლობლად ბავშვებსაც ცალკე წრე გაემართათ და უფროსების დაირა-ბუზიკას აჰყოლოდნენ.

უცებ ქალებში ჩურჩული, წივილ-კივილი და სიცილი ატყდა:

— მუსუსი! მუსუსი!

— მუსუსი მოსულა. მუსუსი!

სირბილაანთ მიხა ქალებს ვენახიდან მიეპარა და ისე დაე-რია კაბებს, როგორც მგელი ფარეხს. თავჩაღუნული მუსუსი ქალებში მთვრალი დათვივით დაბორიალებდა, ხან ერთ ქალს მიასკდებოდა, ხან მეორეს გაჰკრავდა ხელს, ხან მესამეს წაე-ტანებოდა საკოცნელად და მეოთხესაც დაღუნული თავით ეტა-კებოდა. დაფრთხალი ქალები ჟივილხივილით აწყდებოდნენ ერთმანეთს. შორით დაბრუნებულ ხუმარას ძველებურად დაუხ-ვდნენ — მხიარული მუშტებით, მეგობრული სილებით და და-ძმური ლანძღვით:

— უი, შენ კი გაგისკდა ეგ გოგრა თავი, აჰა!

— მეხი კი დაგაყარე მაგ ჯაგარა თავში, აჰა!

— დაიკარგე, შე წუნკალო, შენა!

ქალები წიწილებივით გაიფანტნენ. ბიჭებმა მხიარული ყა-ყანი ასტეხეს:

— მუსუს, გამარჯვება!

— მუსუს, გეყოფა, ბიჭო!

— მუსუს, გამოდი, ბიჭო, ერთი ჩვენც დაგვენახვე.

დაირა და ბუზიკა ერთი წუთით გაჩუმდა. თავდიდაანთ სი-კომ და მისმა საბედომ ფეფელომ ცეკვა შესწყვიტეს და შუა წრეში შესდგნენ. ფეფელო ქალებისკენ წამოვიდა და მუსუს-მაც სწორედ ამ დროს მოჰკრა მას თვალი. ორი ნახტომით აეტუ-ზა წინ, ორივე ხელი გაშალა და დაიძახა:

— დაირავ, დაჰკა!

დაირა ისევ აბრახუნდა, ბუზიკაც კვლავ ატიკტიკდა, ხო-ლო გოგო-ბიჭებმა ისე ააბრაგუნეს ხელები, რომ ტაშის ხმა სოფლის ბოლო უბანსაც კი მისწვდა.

ფეფელო მიმინოსავით ვავარდა. მუსუსი ქორივით დაედევ-ნა. თავდიდაანთ სიკო ჯერ ნაწყენ ბატივით გაჰყვა ორივეს, მერმე ჩამორჩა, მიიხედ-მოიხედა და, თავჩაღუნული, სათამა-შო წრიდან გავიდა.

— ვაი! ვაი! — დაიძახეს აქეთ-იქიდან და [illegible] ქალ-ვაჟს სანავარდო ადგილი მისცეს.

— ერთი დახე! ერთი დახე ამასა! — წამოიძახა ერთმა.

— [illegible]ოს! — ვერ უყურებთ ამასა! — [illegible] მეორემაც და ყველანი აყაყანდნენ:

— ე რეები უსწავლია მუსუსის?

— შეხე, რა სცოდნია [illegible]!

— ერთი დახე, როგორ ათამაშებს ფეხებსა!

მუსუსი ადრეც კარგი მოცეკვავე იყო, მაგრამ ეხლა ყველას პირები დააღებინა. ისეთი რხევით უვლიდა განიერ წრეს და ისე მარდად ათამაშებდა ფეხებს, როგორც უწინდელი გაწკეპილი აზნაური, რომელსაც თავისი დღეები ფეხების ქნევაში დაელია.

მუსუსი აჩრდილივით დასდევდა თანშეზრდილ ფეფელოს და გაოცებით დაჭყეტილ თვალებს ერთის წუთითაც არ არიდებდა თვრამეტი წლის ქალს.

ანცი, გიჟმაჟი და თხელი ფეფელო ორიოდე წელიწადში უცნაურად გარდაქმნილიყო, თითქო ხელმეორედ დაბადებულიყო. დაბალი ტანი აეყარნა და დასრულებულიყო. თეძოებში გაშლილიყო და მკერდი გაესწორებინა. ღვედის სისქე ნაწნავებად დაწნული შავი თმა მუხლებზე სცემდა. თხელ ჩითში შეხვეული აფუვებული ძუძუები ერთოლვით ეხებოდა. შავგვრემანი, ალანძული და მეტყველი პირსახე სწრაფად ნაფურცლი წიგნის სურათებივით ეცვლებოდა.

უცნაურ ცვლილებით და ღელვით გარდაქმნილი მუსუსი იმ წიგნის წაკითხვას ვერ ასწრებდა. მისი თვალი და გული ფეფელოს მოქნილმა ტანმა და შავმა თვალებმა მიიჯაჭვეს — შავი ქლიავისოდენა თვალებმა. სადაც უწინდებურად ერთად ჩაწნულიყო ცეცხლის ელვა, ქალური ჟინი, ცუღლუტობა და სიხარული.

„ჩემია, ჩემი! — გადასწყვიტა გულში მუსუსმა და იმავე წამს ფეფელოს წასჩურჩულა:

— ჩემო ფეფელო, ჩემო გოგონა! როგორა ხარ?

ფეფელომ მადლიერი თვალები შეანათა და მკლავებიდან გაუსხლტა.

— ტაშ-ტუშ! ტაშ-ტუშ! — ჰქუხდნენ გოგო-ბიჭები. მუსუსი უმალვე წამოეწია ქალს, მკლავი კვლავ ფრთასავით გადააფარა კისერზე და ისევ ჩასჩურჩულა:

— განაცვალე მაგ თვალებში, გოგონი!

ფეფელომ ჩუმი სიცილით ჩაიცინა, ლოლნაშოვანი თვალებით და თეთრ-წითელ კბილ-ტუჩებით მუსუსს ცხელი ღიმილი შეასხა და ისევ განზე გაუვარდა.

მიხა-მუსუსი მესამეჯერ მიაფრინდა და ყურში ჩაუწვეთა:

— ჩემი ხარ, გოგონი, ჩემი!

პასუხად ისევ სასიხარულო სიცილი მოესმა და თანხმობის ცეცხლმა დასწვა.

დაირა, ბუზიკა და ტაშიც დაიღალნენ. დაუღალავი და ალმურმოდებული მუსუსი კი ისევ დასდევდა წითლად ალეწილ გოგოს და ჩუმი ხმით ჩასძახოდა:

— ჩემო ფეფელო!.. ჩემო პეპელავ!.. ჩემო გოგონი!.. ჩემი ხარ, ჩემი! ჩემი!

ალანძული და ოფლის მარგალიტებით შეპკურებული ფეფელო ბოლოს ქალებში შეერია და მიიმალა, ხოლო მუსუსმა ქუდი მოიგლიჯა, რამდენჯერმე შემოტრიალდა, შესდგა და დაიძახა:

— აქა მშვიდობა! გამარჯვება ქალებო, გამარჯვება ბიჭებო!

— გაგიმარჯოს, მუსუსი, გაგიმარჯოს! მშვიდობაში შენი დაბრუნება!

და ყველანი ყაყანით, კიჟინით და ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ თავიანთ პირველ ხუმარას, მოლხინეს, მოჭიდავეს, მომღერალსა და მოსარჩლეს.

შემდეგ ერთმანეთი მოიკითხეს და ჩაათვალიერეს. ბიჭებმა მუსუსს ქალაქის ამბები გამოჰკითხეს და სოფლისაც უამბეს. ზოგი ძველებურად შეელაზღანდარა, მაგრამ მუსუსი აღარ აჰყვა. წეღანაც ძალიან მიჰქარა, რომ უწინდელივით ქალებს დაუქროლა და წიწილებივით დაჰფანტა. გაიფიქრა:

„აღარ შემშვენის, ნაქალაქარი ვარ. მასხრობა არაფერს აღარ მომიმატებს. კიდევაც დამაკლებს და აღარც ფეფელო მომიწონებს".

ფეფელოს სახელი ბოლოს ახსენა, ნამდვილად კი მხოლოდ ფეფელო ახსოვდა და მარტო იმის ფიქრში იყო, რომ იმ ქალის თვალსა და გულში დაებუდა და ფეხი მოეკიდა.

ერთხელ კიდევ გადაჰხედა ქალებს. ფეფელო აღარა ჩანდა. ოდნავ გაიღიმა და გულში კიდეც გაუხარდა. იცის, კარგად იცის მუსუსმა ძველი ხერხი. ადრევაც ასე ეშმაკობდნენ: ლხინის გათავებამდე არ დარჩებოდნენ. ჯერ ფეფელო და მისი ბიძაშვილი თეკლე გაიპარებოდნენ, მერმე მუსუსი გაჰყვებოდა და თეკლეს ღობეს მიადგებოდა. ფეფელო თეკლესთან უცდიდა, იქიდან ერთად წავიდოდნენ, ორღობეებს ჩაჰყვებოდნენ და განგებ გზას ვაიგრძელებდნენ.

ფეფელო და თეკლე ეხლაც ერთად გაპარულან.

მუსუსი განაპირდა და თავდიდაანთ სიკოს პირისპირ შეეხეჩა. აჰხედ-ჩაჰხედა და თავით-ფეხებამდე გაზომა: იგივ დონდლო, უნდილი, ავყია და ჭიანი დარჩენილიყო.

— გამარჯვება, მუსუსო!

— გაგიმარჯოს, სიკო. მაგრამა... მე ზოგისთვის მუსუსი ვარ, შენთვის კი მიხა გახლავარ.

— ვითომ რათაო? — იწყინა სიკომ. — ქალაქში რომ იყავი იმიტომა?

— იმიტომა თუ ამიტომა, შენი საქმე არ არის. მე მიხა მქვიან, მორჩა და გათავდა.

და ზურგი შეაქცია. მერმე ისევ მიბრუნდა. ბატის და ქორის თვალები ერთხელ კიდევ დაეტაკნენ ერთმანეთს. ღერღეტმა ქორს ვერ გაუძლო და პირი იბრუნა.

„ვაი, დედასა! სად არის სამართალი?! — გაიფიქრა მუსუსმა.

— ამან უნდა წამართვას ფეფელო?! მე ღატაკი ვარ, ეს კი სიმდიდრით პირველი კაცია სოფელში. მაგრამა, დედა არ მომიკვდება“...

თავი დაღუნა, მიუხვ-მოუხვია, ვენახი გადასჭრა და თეკლეს ღობეს მიადგა.

წინ ფეფელო გამოეგება და ორივენი უსიტყვოდ დაადგნენ მიყოუებულსა და ნაცად გზას.

ფეფელო თავჩაღუნული მიდიოდა. პირსახეზე ღიმილის ჭავლი უციმციმებდა. ყბედი მუსუსი უცებ დამუნჯდა. აღარ იცოდა, საიდან დაეწყო, რა ეთქვა და როგორ ეთქვა.

ბოლოს, ორღობეში რომ შევიდნენ, ფეფელომ ალმაცერად აჰხედა და გადიკისკისა.

— რა გაცინებს, გოგო? — ეკითხება მუსუსი.

— ქალაქმა დაგამუნჯა? — შესციბა ფეფელომ.

— ქალაქმა კი არა, შენ დამამუნჯე.

— მენა?! მე დაგამუნჯე? — უკვირს გოგოს.

— ჰო, შენა, შენ დამამუნჯე.

— როგორ, ბიჭო? რით დაგამუნჯე?

— იმით დამამუნჯე, რომა .. რომ... იმიტომ რომა...

აირია, აბორძიკდა და ალუღლუღდა. ბოლოს, სიტყვას რომ თავი და ბოლო ველარ უპოვნა, გაწითლდა და გაჩუმდა.

ისევ ფეფელო მიეშველა. ერთხელ კიდევ გაიკისკისა, მკლავში მხარი გაჰკრა და ჩაიფრუტუნა:

— მართლა დამუნჯებულხარ! ახა-ხა-! იხი-ხი!

მუსუსი მოიღრუბლა, შესდგა, და ფეფელოს მკლავში მოუჭირა ხელი:

— ფეფო... ფეფელო! ჯერ ეს მითხარი, სიკოს შენგან რა უნდა? მითხარი, ი ფხაჭას რა უნდა-მეთქი შენგან?

დუმილის შემდეგ ფეფელომ თავის მკერდს უპასუხა:

— რა ვიცი... ჩემი თავი უნდა... ალბათ ჩემი თავი ენდომება. მაგან ხომ არ დაგაღონა?

— შენა?.. შენ რა უთხარი? რა ნება მიეცი?

გოგომ თავი ასწია, თვალი თვალში გაუყარა, გაიცინა და ჰკითხა:

— აბა, თუ ბიჭი ხარ, გამოიცანი.

ფეფელოს პასუხი მუსუსმა მისივე თვალებში, პირსახეზე და ხმაში ამოიკითხა. ამოიკითხა და გაიბადრა:

— უარი უთხარი, არა?

— მაშ არა და...

— უჰ, შენ კი გენაცვალე მაგ თვალებში, აჰა!

— ისე ცივად გავაბრუნე, რომაა...

— ჩემო გოგონი, ჩემო პეპელავ! მოიტა ერთი...

— ნუ გაგიჟდი, დაგვინახავენ.

— დედაშენი ტასო რას ამბობს?

— არც იმას უნდა ფხაჭია.

— პეტრე?

— მამაჩემი? აბა რა გითხრა. მამას შენც კარგად იცნობ — სიკო მდიდარიაო. მარტო ის არის შენი ტოლიო და.. დასტური მისცა.

— ნიშნობა როდის იქნება?

— არც როდის. რა ვქნა, როგორა მეკითხები შენა? განა ვინა ვგონივარ, რომ ი ცინგლიანს გავყვე?

— უჰ, შენი ჭირიმე, შენი, ფეფელო! აგრე, გენაცვალოს მიხა, აგრე! ისე დაუხვდი, როგორც კაცი, დანარჩენი მე ვიცი; ხომ იცი, შენს იქით გზა არა მაქვს და არც არავის დავანებებ. ჩემი ხარ, ჩემი!

მიყრუებულ ალაგს შესდგნენ და მიიხედ-მოიხედეს, არავინ არ მოსჩანდა. ორივე მკლავი თავისთავად ჩაეხლართა, ორი

ჭკერდი ერთმანეთს მიეკრო და ცხელმა ტუჩებმა ერთი-მეორე თვითონვე მოსძებნეს, ორივეს სული შეუგუბდათ, ერთი წუთით ამოისუნთქეს და ხელმეორედ შეერთდნენ.

— კარგი... გეყოფა... გაათავე... დაგვინახავენ. — აბუტბუტდა ფეფელო.

მაგრამ მუსუსმა ვერ გაათავა. ერთხელ კიდევ მოითქვა სული და ერთხელ კიდევ დასწვდა ფეფელოს ტუჩებს.

— კარგი, ბიჭო... გეყოფა-მეთქი! მგონი ვიღაცა მოდის. გამიშვი... გონს მოდი... ვიღაც მოდის-მეთქი! — იძახოდა შეშინებული ქალი და მუსუსის მკლავებში ფართხალებდა.

მაგრამ მუსუსი გონს ვერ მოსულიყო.

— დაიცა, დამაცა... ერთი კიდევ... ერთხელ კიდევ — ჰბურტყუნებდა მიხა და ხარბად ეტანებოდა შიშისაგან გამოფხიზლებულ ფეფელოს.

ალერსი ბღლარძუნად გადაიქცა, ბღლარძუნი — ბრძოლად.

— ხელი გამიშვი-მეთქი, შე გიჟო შენა! — აუმაღლა ხმა ფეფელომ. მაგრამ გვიანღა იყო: ბადრიანთ მელანა მათ გვერდით აიტუზა და გესლით აჩიფჩიფდა:

— გაამოს, შვილებო, გაამოს!

— ბარაქალა დღევანდელო ქალ-ვაჟებო, ბარაქალა! ერთი დამიხედეთ ამ უნამუსოებს, აჰაა! დილაადრიან შუა სოფელში ჩახუტებულან და აღარავის არ ერიდებიან, იიიჰ!

გაწეწილი ფეფელო გამოსხლტა და, აწეწილი, თვალცრემლიანი და თავჩაღუნული, სირბილით მიეფარა ღობეს, ხოლო გაფითრებული და მოსულიერებული მუსუსი ნელ-ნელა ფხიზლდებოდა: მორთოლვარე ხელით თვალებს იფშვნეტავდა და გაოცებით შესცქეროდა გაკაპასებულ მოხუცებულს, რომელიც გამხმარ კლანჭებს თვალების წინ უტრიალებდა და დუჟებს პირში აყრიდა.

— უუი შე ამოსავარდნო, შენა! შე კინტოვ, შენა! უნამუსო! სალახანა! ჯიბგირო! მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე! შხამად დედაშენის ამაგი შენზე, შხამად! შავი ქვა და ნაცარი ცხელი მაგ მურდალ თავსა, აჰა! ევენი გასწავლეს, ქალაქში? დაიცა... დამაცა... მალე ნახავ, როგორ მოგჭრი მაგ ტურტლიან თავს მთელ სოფელში, ნახავ! უნამუსოვ! ყაჩაღო! სალახანავ!

დედაბერმა ღობეს გადაალაჯა, ერთხელ კიდევ მოტრიალდა, ქოქოლა მიაყარა და ერთხელ კიდევ მიაძახა.

— აი გაგიხმეს ეგ მურდალი ხელები, აჰა, შხამად ამოგივიდეს საწყალი მართას რძე, შხამად! დაგიბრმავდეს ეგ თვალები, აჰა!

გატრიალდა და ლასლასით წავიდა, თან ხელებს იქნევდა უკბილო პირს აცმაცუნებდა:

— უნამუსო!.. კინტო!.. ჯიბგირო! პირშავო!.. ყაჩაღო!..

შერცხვენილი მუსუსიც მოტრიალდა და ბარბაცით წამოვიდა.

საღამოს ჟამზე მართა სოფლიდან დაბრუნდა, პირზე ხელი მიიდო და შვილს უთხრა:

— შვილო, ეს რა დაგემართა?

— რა დამემართა, დედი? — ვითომ ვერ გაიგო მუსუსმა.

— ის დაგემართა, რო საქვეყნოდ მოიჭერი თავი. ბადიაანთ მელანამ მთელ სოფელს მოსდო შენი და ფეფელოს ამბავი.

— მოსდო და მოსდოს! კისერიც მოუტეხია! მერმე რაო?

— მერმე ისა, გენაცვალოს ჩემი თავი, რომ გასათხოვარ ქალს თავი მოსჭერი.

— ფეფელოსა? მერმე რაო? ფეფელო ჩემია.

— ვინ მოგცემს ფეფელოს, რომ აგრე დაიჩემე? პეტრეს აღარ ეკითხები?

— პეტრეს შენა ჰკითხე.

— ვკითხავ, გენაცვალოს დედაშენი, მაგრამ რა გამოვა?

— რაც გამოვა, მერმე ვნახავ.

— ფეფელო სიკომ უნდა დანიშნოს. პეტრეს პირობა აქვს მიცემული.

— ვერ დანიშნავს.

— რატომ ვერ დანიშნავს?

— იმიტომ, რომ... ფეფელოს არ უნდა.

— ვიცი, რომ არ უნდა, სიკომ ბელგა მოუტანა, მაგრამ ფეფელომ არ აიღო. დღესაც ი ბელგა ტასოს უდევს სკივრში.

— არც აიღებს. ფეფელო ჩემია-მეთქი, მორჩა და გათავდა! ვნახავ, ვინ დამიდგება წინ.

მართას თან უხაროდა შვილის სიმტკიცე და ჟინი და თანაც შიშით იქნევდა თავს.

— ღმერთმა ჰქნას. რომ შენს ბედნიერებას მოვესწრო, შვილო, მაგრამ პეტრე სხვა კაცია და შენისთანა ღარიბს ქალს არ მისცემს.

— ესლა ღარიბების დროა. მოვტეხავ!

— პეტრეს ვერ მოსტეხავ, კერპია, ჯიუტია.

— იმაზე კერპი მე ვარ. შენ ცოტა დამაცადე და დანარჩენი მე ვიცი.

წამოდგა და მგლის ნაბიჯით გამოვიდა.

სთქვა: „შენ ცოტა დამაცადე, დანარჩენი კი მე ვიციო", მაგრამ მუსუსმა ნამდვილად არ იცოდა საქმეს საიდან მოუვლიდა, პეტრეს როგორ მოსტეხავდა და ლამაზ ფეფელოს რომელი გზით შემოიყვანდა თავის გაფხეკილ ოჯახში.

II

მუსუსის ქოხი პეტრეს ქვითკირის სახლს ისე ჰქონდა ისე ჰქონდა მიკრული, როგორც სანაგვე ყუთი თეთრსა და სუფთა კედელს. უკან ორივე სახლს ბაღები ჰქონდათ: მუსუსს ერთი დღიური, პეტრეს კი — ხუთი დღიური. ბაღებსაც და ეზოებსაც მიჯნად ძეძვის ღობე ჰქონდა გავლებული.

მუსუსი ბაღში გავიდა და ღობეს ჩაჰყვა. დერეფანში პეტრეს ცოლი და ფეფელო საქმობდნენ. ფეფელომ მუსუსს თვალი მოჰკრა. ჯერ თვალებით დაუბღვირა, მერმე გაუღიმა და პირი მიიბრუნა. როცა ერთხელ კიდევ მოიხედა, მიხამ თავის ქნევით და თვალებით ანიშნა ვენახისკენ, თვითონაც იქით წავიდა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ორივენი ჩატეხილ ღობეს ორივე მხარეს მიადგნენ.

— არც კი გრცხვენიან, — იბუტებოდა ფეფელო. — სოფელში თავი მომჭერი.

— არაფერიც არ მოგჭერი. — ღიმილით იმართლა თავი მიხამ. — შენ ჩემი ხარ. ამას ხვალვე მთელ სოფელს მოვდებ ჩემი ხარ და ამიტომ...

— შენი ვარ, მაგრამ ი დედაკაცთან რად შემარცხვინე? მთელ სოფელს მოსდო.

— მაშ ჩვენი საქმე იმას გაუკეთებია.

— ეგ ჩვენი საქმე კი არა, ჩემი შერცხვენაა.

— შენ ეს მითხარი, პეტრემაც გაიგო?

— ღმერთმა დაგიფაროს. რომ გაეგოს.

— დედაშენმა ტასომ?

— გაიგო.
— მერმე რაო, რა გითხრა?
— ძალიან დამტუქსა. ჯერ თქვა: ი მუსუსი ძალად დაგიწყებდა კოცნასაო და დაგემუქრა, პეტრეს უნდა ვუთხრაო, მე გამოვტყდი და ვუთხარი, რომ... რომ მე... მე თვითონვე მივეცი-მეთქი ნება.
— ყოჩაღ, ქალო. გენაცვალე მაგ ყანყრატოში! — ყელზე ხელი მოუკაცუნა. — მერმე, მერმე?
— ჯერ დამიჯერა, მერმე მომადგა და ისე გამხადა, რომა... მე ჩემ სიტყვაზე შევდექი და აღარ ჩამოვედი.
— უჰ, შენი ჭირიმე, შენი, პეპელაჯან!
— ნელ-ნელა მოლბა და ჩემს მხარეს გადმოვიდა.
— მართლა გადმოვიდა?
— მართლა, მაშა! ვენაცვალე დედაჩემსა, ესმის ქალის გულის ანბავი.
— მეც გენაცვალე ტასოსა! სცოდნია დედისერთას ყაიდა. დედები შვილებს აჰყვნენ. ორივემ დასტური მისცა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ კერპი პეტრე გარდაუვალ ღობესავით აიტუზებოდა ღარიბი მუსუსის და მზითვიან ფეფელოს შუა.
რას აპირებს მიხა-მუსუსი? ჯერ არ იცის. ბოიფიქრებს. პეტრეს ფეფელოს თავს მოსთხოვს, მაგრამ თუ პეტრე მართლა გაჯიუტდა, მუსუსი სხვა მხრივ მოუვლის. საიდან მოუვლის? მოუვლის, მაგრამ როგორ და საიდან, ეს მერმე გამოჩნდება.
— ვიცი, რომ მამაშენი ჯიუტი კაცია, მაგრამ არც მე ვარ დონდლო. — გამოუცხადა მან თავის საბედოს.
„ჯიუტი კაცი“ — ცალთვალა პეტრე — სწორედ ამ დროს გამოვიდა ვაზებიდან. მარგილივით მაღალი და გამხმარი ბებერი იყო. თავზე ჭრელი ხელსახოცი ჰქონდა აკრული, ხელში ორთითი ეჭირა. ადამიანისთვის თუნდაც პირისპირ რომ შეეხედა, გაშლილ ხელს უეჭველად წარბზე მიიდებდა და ახელილ თვალს დაიჩრდილავდა. ლაპარაკში მეტად ძუნწი იყო და სიტყვას არავის არ ეტყოდა, რომ ზედ ერთი კოკა შხამი არ დაეყოლებინა.
შვილს და მუსუსს მოულოდნელად წაადგა. ერთი ხელით თვალი დაიჩრდილა, ნაოჭად გადაქცეული. გაცრეცილი ტუჩები ააცმაცუნა და გადმოაგდო:

— იიი, თქვე ცინგლიანებო, თქვენა! რეებს მიჰქარავთ აქა?

— არაფერი, მამილო, აი მიხა ქალაქიდან დაბრუნდა და... ამბები მოიტანა. — აურ-დაურია ფეფელომ და თავი ჩაღუნა.

— გამარჯობა, ძია პეტრე! — მხიარულად მიესალმა მუსუსი.

პეტრემ მუსუსს ხმა არ გასცა, ფეფელოს მხარში ხელი წაავლო, მიატრიალა და ერთადერთი მოწამლული სიტყვა მიუგდო:

— დაიკარგე!

ფეფელომ იცოდა მამის მოკლე სიტყვების ძალა და ამიტომ უმალვე დაიკარგა. სანამ ფეფელო სათივეს მიეფარებოდა, პეტრე ქალის ზურგს შესცქეროდა და გათეთრებულ ტუჩებს აცმაცუნებდა. მერმე მუსუსს მოუტრიალდა, ზიზღით გაზომა თავით-ფეხებამდე და იმასაც ერთი სიტყვით მიუგო:

— წაეთრიე!

მუსუსი თავის ბაღში იდგა და არ წაეთრია, მან გამხმარ პირსახეში გაუღიმა პეტრეს და მისი მოლბილება სცადა:

— როგორა ხარ, ძია პეტრე?

პეტრემ პასუხი არ გასცა.

— როგორც გეტყობა, ისევ ცოჩაღად ყოფილხარ. — განაგრძო მუსუსმა.

პასუხად ისევ დუმილი, ტუჩების ცმაცუნი და ზიზღი მიიღო.

იქვე სათივესთან ძეძვი ეყარა. პეტრე დინჯად მიტრიალდა, ორითითით ერთი კონა ძეძვი აიღო და მუსუსის ცხვირისწინ დინჯად ჩამოაცვა ღობის მარგილს. მერმე მეორედ და მესამედაც მიტრიალდა, კიდევ ჭუთი კონა ჩამოაცვა, თან ისეთი ბრაზით უტკეპდა ორითითს იმ ძეძვს, თითქოს გველს ჰკლავდა. [illegible] ღობე თავის სიმაღლეზე აიმაღლა, ორითითი მ[illegible] გადაგდო და [illegible] მიეფარა სათივეს.

[illegible] მუსუსიც [illegible] დ[illegible]. პეტრეს [illegible] და [illegible] ს[illegible].

ხიდ[illegible] და პეტრე [illegible]. [illegible] დროს მეორე [illegible] ფეფელო [illegible]. [illegible] და [illegible], ღობის გადაღმა მუსუ-

სის თავი დაინახა და გაუღიმა. გაუღიმა და ცერათითით გაამხნევა: ნუ გეშინიან, მაგრა ვდგევარ სიტყვაზეო.

— ყოჩაღად, ფეფელო, ყაჩაღად! — მიაძახა მიხამ და თვითონაც სოფლის გზაზე გავიდა.

ფეფელო ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა თეკლესთან, ალბათ ავყია სიკოს ემალებოდა. შორიდან ერთხელ კიდევ მოიხედა და გაიღიმა. ცერა თითით ერთხელ კიდევ გაამხნევა და ნაბიჯს მოუჩქარა.

სახლიდან ფეფელოს დედა ტასო გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა და მუსუსს ჰკითხა:

— მიხა, ფეფელოს ხომ არ გაუვლია ამ გზაზე?

— არა, არ გაუვლია.

— დიდი ხანია, რაც აქ სდგეხარ?

— ერთი საათი იქნება.

ტასო შებრუნდა და ეზოში რამდენჯერმე გაისმა მისი ხმა.

— ფეფო!.. ფეფელო!.. ქალო, ფეფელო!

III

ის ღობე კიდევ ორ ალაგას იყო ჩატეხილი. ფეფელო და მუსუსი ხან ერთ ჩატეხილ ალაგს მიადგებოდნენ და ხან მეორეს.

ტასო ჰბუზღუნებდა, მართა კი თავის მიხას ეხმარებოდა და ზოგჯერ გადაკვრით იტყოდა ხოლმე პეტრეზე:

— ი პირშავი ბებერი ტყეში მიდის.

ან კიდევ:

— ი წუწკი ყანაში წავიდა.

იმ დღეს „წუწკი“ სიმინდის სათოხნელად წავიდა, რომელიც ვენახის ბოლოს ჰქონდა.

მუსუსი უმალვე ღობეს ჩაჰყვა და ჩატეხილ ალაგიდან მეზობლის სახლს გადაჰხედა. იმ ჩატეხილს მალე მეორე მხრიდან ფეფელოც მოადგა.

— ფეფელო, გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, მიხო!

— როგორა ხარ, გოგონა?

ორივემ მიიხედ-მოიხედეს. მერმე ღობეზე გადაეყუდნენ და ერთმანეთს ტუჩებით მიესალმნენ.

— გოგონი, როგორა ხარ-მეთქი?

— ეჰ, ნუღარა მკითხავ... ამოიოხრა ფეფელომ.

ერთხელ კიდევ გადაეყუდნენ და გული ისევ ტუჩებით მოი ოხეს.

მუსუსი მხრებში წასწვდა ფეფელოს.

— გეყოფა... გამიშვი, თორემ მაშინდელი ამბავი არ და გემართოს.

— ნუ გეშინიან, — დაამშვიდა მუსუსმა, — მაშინ მართლ რაღაც ახირებული ამბავი დამემართა. ეხლა თავს შევიმაგრებ ერთი კიდევა და...

და ერთმანეთს ერთხელ კიდევ გადასწვდნენ.

მერმე მუსუსმა ჰკითხა:

— მიამბე რაღა, ფეფელო, პეტრე რას ამბობს?

— ძალიან ჯავრობს და მემუქრება.

— რას ამბობს, რა მინდაო?

— იცის ჩვენი ამბავი. მოიშალეო, თორემ ძალით გაგათხოვებო.

— ძალითაო? მერმე, სიკო გაჰბედავს ძალით შენს წაყვანას?

— ვერ გაჰბედავს. ესეც იცის. ამიტომ ამბობს, ვინმე თავზე ხელაღებულს გაგატანო.

— თუ ანგრეა, ჩემზე ხელაღებულს სადღა იშოვნის?

— დედამაც ანგრე უთხრა, მაგრამ მამამ აიჩემა: ოღონდ სირბილაანთ მიხა ნუ იქნება და ვინც უნდა იყოსო: თუნდ თათარიო, თუნდ ოსიო და თუნდაც ჯანდაბაო. დრო მიდის და ვინ იცის რა მოიგონოს ბებერმა. შენ ვერაფერი მოიგონე?

— კაცი უნდა გაუგზავნო.

— უარესად გაანჩხლდება. მაინც სცადე. თორემა...

მიხამ სიტყვა აღარ გაათავებინა: ღობეზე გადაიწია და ჩაეხუტა. ჩაეხუტა და უცებ მწარედ დაიკვნესა. დაიკვნესა და ჯველნაკბენივით მოსწყდა ფეფელოს. იფნის სახრემ ბეჭები კხელი შამფურივით აუწვა.

— იიიჰ, შე ცინგლიანო, შენა! — შხამიანი სიხარულით დაიყოლა სახრეს პეტრემ და აკანკალებული ხელი ერთხელ კიდევ ასწია.

მუსუსი დროზე გაუსხლტა, პეტრე კი სახრეს ჰაერში აცანცარებდა და ჩიფჩიფებდა:

— ანდე, შეჭამე? იიიჰ, შე წუწკო, შენა! აქეთ მოდი, აქეთ მოიწი, შე უნიფხოვ, შენა! მოიწი, მოიწი-მეთქი, ორიოდე კიდენ უნდა გაჭამო, შე სალახანავ, შენა!

— რას მერჩი ძია პეტრე? ისეთი რა მოხდა, რომ ანგრე რიგად გამიმეტე? — ღიმილით ჰკითხა მიხამ, თან ნაკრავ ალაგს იფხანდა და ტკივილისგან იღრიჯებოდა.

— ერთი დახე! ერთი დახე ამ ცინგლიანსა! — გაიკვირვა პეტრემ. — შენ ჰეი, წუნკალო! თავი დაანებე ი გოგოსა, თორემააა...

— ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. — იმართლა თავი მუსუსმა.

— ერთი დახე, ერთი დახე ამ ნაცარქექიასა!

— რაღათა ვარ ვითომ ნაცარქექია? ბიჭი არა მჯობია ამ სოფელში. პირველი მოჭიდავე მე ვარ და...

— ერთი უყურე ამ ქარაქუცას ამასა! იიიჰ, შე ტუტრუცანავ, შენა! ჭიდაობით უნდა არჩინო შენი ცოლი?

— ისე ვთქვი, თორემაა... მუშაობაშიც ვერავინ ვერა მჯობნის.

— ზედ არ გეტყობა?! იიიჰ, შე მასხარავ შენა! აქეთ მოიწი-მეთქი, ორიოდეც რომ გაჭამო, მაშინღა მოხვალ ჭკუაზე, შე უნიფხო, შენა!

— არც ანგრეა საქმე, ძია პეტრე! ამას წინათ გითქომ ჩვენზე სირბილაანთ ოჯახი რა ოჯახიაო, ერთი ვაჟკაცი გარეთ მუშაობსო, მეორეს ჯერ რძე არ შეშრობია პირზეო. მართალია, ჩემი ძმა თედო ი სამუშაოზეა წასული, მაგრამ სამაგიეროდ მე დავუბრუნდი სახლსა. ხუთიოდე წელიწადში ოჯახს ფეხზე დავაყენებ და...

— იიიჰ, შე წუწკო, შენა! შენი აშენებული ოჯახი შენვე დაგემგვანება. დამეკარგე აქედან, შე უნიფხოვ, შენა! მეორედ არ დაგინახო ი გოგოსთანა, თორე მაგ თავს წიწილასავით მოგწყვეტავ. წადი, წაეთრიე!

პეტრე გაბრუნდა და ისე წავიდა, თითქო სხვისი ფეხები ჰქონდა მიბმულიო.

— ძია პეტრე!.. ერთი სიტყვა კიდევ უნდა გითხრა... ძია პეტრე, ძია პეტრე!

„ძია პეტრე“ მოტრიალდა, მუსუსს თვალებით შეასხა გესლი და გადმოანთხია:

— იიიჰ, შე წუწკალო, შენა! დაიკარგე-მეთქი! წაეთრიე! იიიჰ, შე უნიფხოვ, შენა!

ისევ გატრიალდა და წავიდა.

მუსუსი კი ზურგს იფხანდა და ჰფიქრობდა.

ცოტა ხნის შემდეგ პეტრემ ორთითი გამოიტანა და ძეძვი ასწია. შორიდან შხამიანი ბებერი მოძრავ საფრთხობელას ჰგავდა, რომლის თავზედაც ძეძვის კონა ჩამოეცვათ.

კარგახანს იარა იმ ფშუტურამ და კარგახანს ისმოდა მისი ორთითის ბრახუნი და ძეძვის ლაწუნი. ბოლოს ორგან ჩატეხილი ღობე ამოავსო და წავიდა.

ფეფელო ისევ თეკლესთან გაქცეულიყო.

IV

მუსუსი მასხრობის გუნებაზე აღარ იყო, მაგრამ სხვებმა გაამასხარავეს. სოფელში ვერ გაივლიდა, რომ აქეთ-იქიდან სიცილი არ აეტეხათ.

— ბიჭო, მუსუსი, როგორ იყო, რომ იმ ორღობეზე მელანამ შენ და ფეფელო ძლივს გაგაშველათ?!

— მუსუსი, ერთი გვითხარი, რა გემო აქვს პეტრეს სახრესა?

ზოგნი კი თავიანთ მიხას ესარჩლებოდნენ და შველას აძლევდნენ:

— ბიჭო, მუსუსი, მოდი მოვიფიქროთ რამე.

— რა მოვიფიქროთ?

— ი ცინგლიან სიკოს მაგისთანა ქალი არ უნდა გავატანოთ.

— არც გავატან, მაგრამ პეტრე როგორ დავიყოლიოთ?

— არც როგორა. ქალი ხო შენ ნებაზეა?

— ჩემ ნებაზეა.

— აბა მოვიტაცოთ.

— [illegible] ანგრიე [illegible], მაგრამ არ ივარგებს. სად უნდა წ[illegible]?

— [illegible]?

— ეგ ძალიან ადვილია. მაგრამ [illegible] ისევ შინ არ უნდა დავ-

ბრუნდე? პეტრე ისეთი კაცია, რომ ან მე მომკლავს, ან თავს შემომაკლავს. სხვა გზა უნდა ვეძებოთ.

— კაცები მიუგზავნე. ცდა ბედის მონახევრეაო.

მეორე დღეს შათირაანთ თევდორემ ძალიან შორით მოუარა პეტრეს. ჯერ სიტყვა ხევსურეთის ბილიკივით გააგრძელა და დახლართა და ბოლოს, როგორც იყო, მიხას სახელი ახსენა. პეტრე შეიშმუშნა, პირი აამცაცუნა და თევდორემ მოკლედ მოუჭრა:

— თევდორევ, თუ სტუმარი ხარ, ე არაყი დალიე, მაგრამ სირბილაანთ წუწკზე ხმა აღარ ამოიღო, და თუ მაჭანკლობა გიკისრია, ეხლავე მომშორდი.

— კაცო, პეტრე, რათ იწუნებ ანგრე რიგად ი ბიჭსა?

— უნიფხო მასხარას ქალს არ მივცემ.

— მასხარა კი არა, მხიარული ბიჭია.

— მასხარაა, ლაზღანდარა, ქარაქუცა. ი ცინგლიანი თხუნელა ქალის შემნახველი ირ არის.

ტყუილად ცდილობს თევდორე. პეტრე უარესად კაჟდება და ბრაზდება. როგორ, დიდმა პეტრემ, პეტრე ჯილაურმა მასხარას უნდა მიათხოვოს ქალი? სირბილაშვილებს უნდა დაუმოყვრდეს? იმოდენა ჯაფით ნაშოვნი ქონება სირბილაანთ მიხას უნდა დაულოცოს? უწინამც კუბოში ჩაწოლილა ბებერი პეტრე, სანამ ლაზღანდარა მუსუსს თავის ქონებას და ფეფელოს დაუთმობდეს. არა, პეტრეს თავის ერთადერთი ქალი უნიფხო მიხასთვის არ გაუზრდია!

— შენს დედაკაცს მაინცა ჰკითხე. მარტო შენ ნუ აიღებ ქალის ცოდოსა.

— ვინც თავის ცოლს ჰკითხავს ჭკუასა, იმას ქალზე მეტი ჭკუა არა ჰქონია.

— ფეფელოს შენი სიკო არ მოსწონს.

— მერმე, ფეფელოს ვინა ჰკითხავს?

— ფეფელოს მიხა ჰყვარებია.

სიყვარულის გახსენებაზე პეტრე ფეხზე წამოიჭრა და ისე აიშალა, რომ სიმწარისგან კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა და ვრძელ ჩხირთითებს აფათურებდა ჰაერში. მერმე ისევ შხამი და ბალღამი გადმოანთხია:

— იიიჰ, შე ტუტრუცანავ, შენა! შენც იმ ქალა-ბიჭებს აჰ-

ყოლიხარ? წადი, დამეკარგე აქედანა! იიიჰ, შე უნამუსოვ, შენა! წადი-მეთქი, გაეთრიე აქედანა!

— შე კაი კაცო, რათა მლანძღავ სტუმარსა? შენი ხნის კაცი ვარ და არ მერგება. მე წავალ, მაგრამ ერთს მაინც გეტყვი.

თევდორე წამოდგა. პეტრემ თოხს დაავლო ხელი და ვენახისკენ წავიდა.

— ერთი რამე მაინც უნდა გითხრა. — პეტრეს ზურგს ეუბნებოდა თევდორე და ქუდს ხელში სჭმუჭნიდა. — ყური მიგდე, პეტრე!

მაგრამ პეტრე გზით მიდიოდა.

— ისე მოკვდები, რომ ქალის ცოდოს და ქვეყნის წყევლას თან წაიღებ. — მიაყოლა პეტრეს ზურგს თევდორემ. — ჩემს გალანძღვას კი არ შეგარჩენ.

პეტრემ არც კი მოიხედა, ეზო გადასჭრა და სათივეს მიეფარა.

V

პეტრე და ტასო ფეფელოს სოფელშიც აღარ უშვებენ. რამდენჯერმე თავის ბიძაშვილ თეკლესთან გაიარა, მაგრამ ეხლა ვეღარც იქ მიდის. დედას თავის ქალი კაბის კალთაზე ჰყავს მიკერებული. როცა ტასო გავა სოფელში, ფეფელოსაც თან წაიყვანს. თუ ფეფელო მოინდომებს ნათესავების ნახვას, დედაც უკან მისდევს.

გაჰყარეს ფეფელო და მუსუსი.

ფხაჯა-სიკოს ეთქვა: სანამ ქალი თანახმა არ გახდება, არ წავიყვანო.

ელის მას აქეთ ბებერი პეტრე ფეფელოს თანხმობას. წარამარა ბუხღუნებს და ქალს ზიზღის მორევში აბანავებს:

— იიიჰ, შე ქარაფშუტავ, შენა! ჭკუა თვალში გქონია. გეტყობა ნამდვილი ქალი ჰყოფილხარ.

ფეფელო მართლა ნამდვილი ქალი იყო ხასიათით, თვალით, ჭკუითაც და სისხლითაც. პეტრეს კი ჰსუროდა, რომ ყინული ცხელი ყოფილიყო, ცეცხლი კი — ცივი. რომ ფეფელოც პეტრეს ჰგვანებოდა. რომ საგულეს თვრამეტი წლის ცხელი და

ქალური გულის მაგივრად ფეფელოსაც სამოცი წლის ჩვარი სდებოდა.

დღე არ გავიდოდა, რომ მამას ფეფელოსთვის არ მიეგდო:

— აღარა გნახო ი ცინგლიანთანა, თორემააა...

და ზოგჯერ მუქარასაც დააყოლებდა:

— რაკი სიკოს ყადრი არა გცოდნია, შენს თავს ვინმე ლეკს, ოსს, ან თათარს მივუგდებ! გადი, გაეთრიე, შე ქარაქუცავ, შენა! დაიკარგე, შე ციმფიავ, შენა!

ფეფელოს ნატვრაც ეს იყო: წავიდოდა და დაიკარგებოდა, მაგრამ ეზოს მაინც ვერ გასცილდებოდა.

პეტრემ ბევრჯერ დაავლო ხელი სახრეს, მაგრამ ტასო ფრთხილად იყო. მამა-შვილს უმალვე შუაში ჩაუვარდებოდა, მოქნეულ სახრეს საკუთარ ხელებსა და ზურგს შეუშვერდა და გასათხოვარ ქალს არ დააკვრევინებდა.

პეტრე ბრაზით მუნჯდებოდა, სახრეს ამტვრევდა და იქაურობას შორდებოდა, მაგრამ შორს არსად მიდიოდა. იქვე ახლო სადმე დაბორიალებდა და ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა ცოლ-შვილს, ბებერ მელას ეშინოდა ცოლის ღალატის, მუსუსის შემოპარვისა და ფეფოს „გაფუჭებისა“.

მუსუსს ძილი გაუფრთხა. დღედაღამ პეტრეს სახლ-კარს დასტრიალებდა და თავის საბედოს უთვალთვალებდა.

მუსუსმა პეტრეს ცივი უარი შეიტყო, იმავე დღეს სამჯერ შემოუარა გარშემო სანატრელ ბუდეს, მაგრამ ფეფელოს თვალიც ვერ მოჰკრა. მერმე ისევ ვენახში შევიდა და ღობეს დაჰყვა.

ღობეში ერთი ბალის ხე იდგა. ის ხე მისას და პეტრეს სანაჭევროდ ითვლებოდა. როცა ბალი დამწიფდებოდა, ერთად მოჰკრეფდნენ ხოლმე და მოსავალს შუაზე გაჰყოფდნენ.

მუსუსი იმ ხეზე აცოცდა. პეტრეს კარ-მიდამო ხელისგულივით მოსჩანდა. კარგა ხანს იჯდა ხის ტოტზე და ფეფელოს გამოჩენას ელოდებოდა. [illegible] კიდევაც გამოჩნდა. მუსუსმა რამდენჯერმე დაუსტვინა [illegible] ახალი მუსუსი დაინახა და [illegible].

ეცებ მუსუსმა პეტრეს მოჰკრა [illegible] ფეფელოს ხელის ქნევა [illegible] ცოცდა და მიიმალა.

ათიოდე წუთის შემდეგ მუსუსს ვენახიდან ჩახაჩუხი მოესმა. ყური არ ათხოვა, მერმე ვენახში გავიდა და დაინახა: ბალის ხე თრთოდა და ზანზარებდა.

მიხა პეტრეს მიუხვდა და თვითონაც ათრთოლდა. კომბალს ხელი დასტაცა და გაიქცა:

საწამ მიირბენდა, ხის ჭაჭუნი მოესმა, შესდგა, ზევით აიხედა და დაინახა: მაღალი ხე შეტორტმანდა, ჯერ ნელ-ნელა გადმოიხარა, მერმე შხუილით წამოვიდა და ლაწალუწით ჩამოწვა მუსუსის ვაზებში.

მიხა რამდენიმე ნახტომით მოჭრილ ხესთან გაჩნდა. ხის ძირას ლობე აყრილი დაუხვდა. ხე შიგ ძირში იყო მოჭრილი.

— პეტრე, ეს რა ჰქენი, კაცო?

ბეტრეს ცული მხარზე გაედო და არხეინად მიდიოდა.

— კაცო, პეტრე, ეს რა ჰქენი-მეთქი?

პეტრე დინჯად მოტრიალდა და დინჯადვე უპასუხა:

— მეორედ აღარ ახვალ მაგ ბალზე.

— ნახევარი ხომ ჩემია და მე რატომ არ მკითხე?

— შენისთანა ბღარტს რომ კითხვა დავუწყო, შენსავით უნიფხვო დავრჩები.

— ე ზარალი რომ მომაყენე?

— ე ხე შენი იყოს, შუაკაცებს დაუძახე. რამდენსაც იტყვიან ორჯელ მეტს მოგცემ. ახლა კი დამეკარგე მანდედანა!

ცული დააგდო, ორთითი აიღო და აშლილი ლობე ხელახლა შეავსო.

მუსუსმა ესეც მოითმინა, გულში კი სთქვა:

„ეხლა კი გავიგე შენი ხერხი. მეტი გზა არა მაქვს. კარგი ჭკუა დამარიგა ტიტემ, ოღონდ როგორმე ხელთ ვიგდო ფეფელო თუნდაც ხუთი წუთით და... მერმე რაღას იტყვი? სიკოც მაშინვე მომშორდება“.

VI

მაგრამ ფეფელო ხელთ ვერ იგდო. პეტრეს არ ეძინა. ფეფელოს სადარაჯოდ თავის ცოლი ტასო არ იკმარა და შორეულ სოფლიდან ერთი გუშაგი გამოიწერა — თავისი ქვრივი დაი სოფიო — ისიც პეტრესავით პირქუში, აშარი, ანჩხალი და უკმეხი.

უწინაც პეტრეს მეზობლობას ცეცხლის მეზობლობა სჯობდა, ეხლა კი დორბლიანი მოხუცი დღედაღამ შარზე იდგა და განგებ ჩხუბის საბაბს ეძებდა.

მუსუსი უსიამოვნებას ერიდებოდა, რადგან იცოდა, რომ დამწყვდეულ ფეფელოს ნახვისთვის უფრო ციხის დარაჯის მიძინება სჯობდა, ვიდრე მისი გახელება.

„უნდა ავჩქარდე, — გადასწყვიტა მუსუსმა, — თორემ ხიფათი მატულობს. ან უცებ გაათხოვებს ან გაჰგზავნის სადმე“.

და სიფხიზლეს მოუმატა. იმავე საღამოს მეზობლის კარმიდამოს შემოუარა და საბძელთან სიბნელეში პეტრეს წააწყდა.

— იიიჰ, შე წვინტლიანო, შენა! — მიაძახა მაშინვე პეტრემ და შინდის ჯოხი მოუქნია.

მუსუსი ჯოხს გაუსხლტა. პეტრე ჩანჩალით და ხრინწიანი ყვირილით დაედევნა:

— აქ რას დაწანწალებ, შე წუწკო, შენა!

გაქცეულ მუსუსს ის ჯოხი წვივებში სდრუზა და მიაყოლა:

— იიიჰ, ანდე! შეჰამე?! მოგვხდა?! იიიჰ, შე ღამის ქურდო, შენა!

აკოჭლებული მუსუსი შინ დაბრუნდა. მართამ ჰკითხა:

— რა დაგემართა, შვილო?

— არაფერი, სიბნელეში წავიქეცი.

მეორე დილით მართამ უთხრა:

— გადი, შვილო, ი ვენახში ვიღაცის ღორი შემოსულა. გადი, გააგდე.

მუსუსი ფეხათრევით გავიდა. პეტრეს დიდი ღორი ღრუტუნით გაიქცა, ღობეს გაჰყვა, ლაწალუწი ასტეხა და დაიკარგა. ღობის ძირში მუსუსი ღორის ნარღვევს წააწყდა. ჩაფიქრდა და უცებ გაიღიმა, თითქოს რაღაცას მიჰკვლიაო. ჭიგო ამოიღო და ნარღვევი გააფართოვა.

თეკლესთან გაიქცა, რაღაც უთხრა და დაბრუნდა თეკლეც შორიახლო გამოჰყვა.

მუსუსი ძართან აიტუზა, თეკლე კი ფეფელოსთან შევიდა. ისევ მალე გამოვიდა, მუსუსს თავი დაუქნია და ისევ თავის გზას გაუდგა.

მუსუსმა ის დღე ძლივს დააღამა.

[illegible] ორი [illegible], მუსუსი ფრთხილად წამოდგა და ფეხაკრეფით გავიდა. ღორის მიერ გატეხილ ადგილს მიაგნო, დაწვა და თავი ხვრელში შეჰყო. ეკალი თავსა და პირსახეს სჩხვლეტავდა. დაჩხვლეტილ ხელებით ნარს იშორებდა და თითო გოჯით მიიწევდა. ძლივს გაძვრა და ძირში ჩაცუცქდა.

პეტრეს ძაღლი ყეფით გამოექანა, მაგრამ მუსუსი იცნო, კუდის ქნევით მიესალმა და თვითონაც იქვე ჩაუცუცქდა.

ქამი ტაატით მიიზლაზნებოდა. სათივეს გვერდით ცხენმა დაიჭიხვინა. იქვე ძროხამ დაიბღავლა. საქათმეში და სოფელში მამლებმა პირველი ყივილი ასტეხეს. მერმე ყოველივე მისწყდა.

უცებ სათივეს უკნიდან კარების ფრთხილი ჭრაჭუნი მოისმა.

მუსუსმა ყურები სცქვიტა. ისეთი სიჩუმე იწვა, რომ მას საკუთარი გულის ცემაც კი ესმოდა.

ძაღლი მხიარული წკმუტუნით გაიქცა და რამდენიმე წუთის შემდეგ სათივეს ძირში ქალისა და ძაღლის ლანდები გამოჩნდა.

ფეფელომ ნაბიჯს უმატა, მერმე გამოიქცა და მუსუსს მკლავებში ჩაუვარდა, მაგრამ იმავე წუთს წელანდელი ჭრაჭუნი განმეორდა. უფრო ნელი და ფრთხილი.

— ვაიმე, გამიგეს! — წაიჩურჩულა ფეფელომ. — გამიშვი... გამიშვი-მეთქი, ბიჭო! არ გესმის? გამიგეს-მეთქი, მოდიან.

ხელიდან ძლივს გაუსხლტა და გაიქცა.

— ხვალ ამ დროს, ფეფელო! — ჩურჩულით მიაძახა მუსუსმა და თხუნელასავით შეძვრა ხვრელში და თან ოდნავ ლაწუნიც ასტეხა. სამშვიდობოს რო გავიდა, ყური მიუგდო და ფეფელოს ბუტბუტი შემოესმა:

— რა ვქნა, რა გინდათ ჩემგან? გარეთაც არ გამოვიდე?

სიავიოს ჩიფჩიფი კი ველარ გაიგო.

VII

მეორე დღეს მუსუსი ხან ვენახს დაეძგერა, ხან სიმინდს სთოხნიდა, ზოგჯერ ურემს აკოწიწებდა და ხან კიდევ უსაქმოდ დაჰბორიალებდა.

— შვილო, რა დაგემართა? რა ხარ დღეს აგრე მოუსვენარი? — ჰკითხა მართამ.

— არაფერი. — მიუგდო მიხამ და სათივეს ეცა.

ის დღეც ძლივს დაღამა. სანამ შუაღამე მოატანდა, მუსუსს მღელვარებისგან კინაღამ გული წაუვიდა. რამდენჯერმე წამოდგა და ნახევარი დოქი წყალი დასცალა. თავპირი მაინც ვერ დაიცხრო. ისე ეწვოდა, თითქო ცეცხლი ჰქონოდა მოდებულიო. გულისტეხას რომ ველარ გაუძლო, დერეფანში გავიდა, ანთებულ თავპირზე წყალი გადაისხა, ოდნავ გაგრილდა და რამდენიმე წუთის შემდეგ გუშინდელ ხვრელს მიადგა.

დიდხანს იდგა ღობის ძირში და მშიერი მგელივით სუნავდა ჰაერს.

სრული სიჩუმე იდგა. ხიფათი არსად მოსჩანდა. მუსუსმა დაიჩოქა და თავი ხვრელში შესდო, მერმე გაწვა და მხრებიც შეიტანა. კიდევ გაიწია და თეძოებამდე შეძვრა. თავი უკვე მეორე მხარეს გაიტანა. ერთი კიდევ გაიწია და...

და უცებ რაღაცამ დაიჩახუნა.

მუსუსმა ოდნავ დაიგმინა და უკვე გაიწია, მაგრამ ხელები გაშვერილი დარჩა.

— იიიჰ, შე წუნკალო, შენა! ანდე! დაგიჭირე ტურასავით თუ არა, შე წუწკო, შენა?! — მოისმა სათივესთან ქოფაკის შხამნარევი სიხარული.

ხელებგაშლილი მუსუსი უკან-უკან იწევდა. თევზივით ფართხალებდა და თავპირს ეკლით იკაწრავდა, მაგრამ ამაოდ: პეტრეს მახეს ორფეხა ნადირი მაგრად ჰყავდა ჩაბღუჯული. რკინის სალტეები ძაღლის კბილებივით ჩაეჭიდა მაჯებში. რამდენსაც გაიწევდა მუსუსი, რკინის ძაღლიც წვეტიან კბილებს იმდენად უფრო მაგრა უჭერდა.

სიხარულისგან აყეფებული პეტრე თავს [illegible] ხ[illegible]თებდა და ჩიფჩიფებდა:

— ანდე! ანდე, შე მყრალო, შენა! იიიჰ, [illegible] ნა! ალარც ეხლა მოიშლი სხვის ქალების [illegible] ხი!.. ნუ ფართხალობ, შე წუნკალო, შენა!

ერძელი და განიერი [illegible] რები მიწაში ჩაყრილი [illegible] მიაბ[illegible].

პეტრეს ხმაზე ძაღლიც მოვარდა და ანჩხლი ყეფით თავთ დაადგა მუსუსს.

— ეხლა დამაცა... დაიცა... ისეთი სეირი გაჩვენო რო შე-ნი მოწონებული. — დაემუქრა პეტრე და ძუნძულით გაიქცა.

გახაბული მუსუსი მიწაზე ფიცარივით იყო პირქვე გაკრუ-ლი. ორთითით მიჭერილი კისერი უკვნესოდა. ღვედებივით გაჭიმული ხელები დაუდუნდა, ყურებში წივილი და შხუილი აუვარდა. ცხვირ-პირი მიწით გაეტენა და სულის მოთქმაც გა-უძნელდა. ჯერ გაქაჩულ ნადირივით ოდნავ ბღუოდა, მერმე ხრიალი ამოუშვა, ბოლოს კი მიიბნიდა და მიყუჩდა.

თავთ ძაღლი ედგა და იღრინებოდა, მუსუსს თითქო სცნობ-და კიდევაც და ვერცა სცნობდა. მერმე ძაღლიც გაჩუმდა, მუ-სუსის თავი დაჰსუნა, იცნო, იქვე ჩაწვა და ისიც მიხასავით გაინაბა.

ქვრივი სოფიო — პეტრეს გუშაგი — კარით-კარამდე დარ-ბოდა და იძახოდა:

— ქაა, ქურდი დავიჭირეთ! არ გინდათ ნახოთ? მოდით, სეირი ნახეთ! მელიასავით ხაფანგშია გაბმული.

ქალს ჭრაქი მოჰქონდა. პეტრეს თვალცრემლიანი ფეფე-ლო მოჰყავდა. სამივენი ღონემიხდილ მუსუსს წაადგნენ.

— აბა, ნახე შენი [illegible]. — სთქვა პეტრემ და ფეფე-ლო წინ წამოაყენა.

— ეს პირშავი, შენა, ამეთი მეგობრობა გაგვიწიე? მარ-თლა [illegible] შემოიპარე? — ჰკითხა მუსუსს ტასომ და ჭრა-ქი თავთან დაუდგა.

— ტყუილია, ტყუილი! — ამოიკვნესა ფეფელომ. — ესა, ქურდი არ არის.

— მაშ რითვინ შემოიპარა ჩემ ეზოში? — შეუტია ფეფე-ლოს პეტრემ. — თქვი, რითვინ შემოიპარა-მეთქი?

— მე რა ვიცი... აბა საიდან მეცოდინება? — ბორძიკით წაიჩურჩულა ფეფელომ და არ იცოდა რა სჯობდა, მუსუსის ქურდობა თუ საკუთარი თავის შერცხვენა.

ამასობაში ათიოდე მეზობელიც მოვიდა.

— ეოიპააა! ე კარგი კაპუეტი დაგიჭერიათ! — სთქვა ერთ-მა.

— ბიჭოს! ე რა მსხვილფეხა ნადირი გაბმულა! — გაიკვირ-ვა მეორემ.

— ბიჭო, მუსუსი, ე როგორ დაგემართა, შენ უნამუსოვ, შენა! — უსაყვედურა მესამემ.

მუსუსი სდუმდა. არც ინძრეოდა და არც ხმას იღებდა.

ვიღაცამ სთქვა:

რა ვქნა, რატომ ხმას არ იღებს? ემანდა არაფერი არ დემართოს ამ ბიჭსა.

— ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება. — გაამხნევა მთქმელი პეტრემ. მიწიდან ორთითი ამოაძრო და მუსუსს შეუტია: — შენ ჰეი, ცინგლიანო, აქეთ გამოდი!

„ცინგლიანი“ არც კი გაინძრა.

— ბიჭო, შენ გეუბნები! აქეთ გამოძვერი-მეთქი!

მუსუსმა თავი ოდნავ შეანძრია.

— ყური ნუ მოიყრუე, შე თხუნელავ, შენა! — შეუტია პეტრემ და ორივე ხელით კისერში დასწვდა. დასწვდა, გამოსწია და ცხვირ-პირით მიწა ააქექინა. გამოიტანა და გულაღმა გადააბრუნა.

მუსუსს პირსახე შეთხუპნული ჰქონდა და თავს ისე აკანტურებდა, თითქოს კისრის ძარღვები დაწყვეტილი ჰქონდაო, და პირსაც უწყლო თევზივით აღებდა.

— ვაი მე, დედილო!.. ვაიმე!.. — წაიბუტბუტა ფეფელომ და ჩაიჩოქა.

— წყალი! ჩქარა წყალი! — დაიძახეს აქეთ-იქიდან და აფუსფუსდნენ.

ტასო ფეფელოს მიეშველა, სოფიო წყლისთვის გაიქცა. მუსუსმა თვალები გაახილა და ისევ დახუჭა.

— იიიჰ, შე ქურდო, შენა! — გადაასხა შიშნარევი მხამი პეტრემ. — შენ უნდა მოსტყუო? გეუბნებით, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება-მეთქი.

— კაცო, პეტრე, ე ხელები მაინც აუხსენი. — უთხრა ერთამა.

— აუხსენი, აუხსენი! — ურჩიეს სხვებმაც, — სულ ერთია ვერსად ვერ გაიქცევა.

პეტრე მოლბა. ხაფანგი გახსნა და მაჯებიდან რკინის კბილები მოაშორა.

— კეკემ წყალი მოარბეინა. ფეფელოს და მიხას პირსახეზე შეასხეს და ორნივ მოასულიერეს.

— ალბათ ორთითმა უყო. — განმარტა ერთმა. — ისე ჩაუჭირა ყურის ძირებში და კისერში, რომ სისხლი შეუგუბა.

მეორემ ფეფელოს გაჰხედა და წაიბუტბუტა:

— ჰაი დედასა! რა ძალა ჰქონია სიყვარულს!

ტასომ და სოფომ გონმოსული ფეფელო წაიყვანეს.

— აბა, ეხლა გვითხარი, შე წუწკო, შენა, რის მოპარვას აპირებდი? — დაიწყო გამოძიება პეტრემ.

მიხა სდუმდა და პეტრეს გაშტერებულ თვალებს არ აშორებდა.

— თქვი-მეთქი, შე ყაჩაღო, შენა! — კვლავ შეუტია პეტრემ, — რა უნდა მოგეპარნა?

— სთქვი, ბიჭო, სთქვი! სთქვი, ნუ გრცხვენიან, რა უნდა გაგეტანა აქედან? — ჰკითხეს აქეთ-იქიდანაც.

— არაფერი. — ძლივს ამოიხრიალა მიხამ და წამოჯდა.

— როგორ თუ არაფერი? მაშ რითვინ შემოიპარე?

მუსუსი სდუმდა.

— თქვი-მეთქი, შე ძაღლის ლეკვო, თორემ ძალით გათქმევინებ! — შეუტია პეტრემ და ორთითი კვლავ კისერში ჩაუჭდია.

მუსუსი კვლავ სდუმდა.

— დაანებე თავი, პეტრე! — სთქვა ერთმა და ორთითი მუსუსის კისერს მოაშორა. — სულ ერთია ვერსად წაგივა. მერმე იტყვის.

— წამო, წამოეთრიე! — დასწვდა მიხას კისერში პეტრე. — წამოეთრიე-მეთქი, შე უღლიერო ბღარტო, შენა! იიიჰ, შენი ქოქი კი ამოწყდეს აჰა! ადექი-მეთქი!

მუსუსმა წამოიწია, მაგრამ ტანი ვერ აიტანა. ერთი გლეხი იღლიაში შეუჯდა და წამოაყენა.

მუსუსმა წეღან თვალი მოჰკრა ფეფელოს და ეხლაც თვალი მოავლო იქაურობას, მაგრამ ფეფელო არსად აღარ იყო. ფეხები ძლივს აითრია და წელმოწყვეტილივით გაჰყვა ორ კაცს, რომელნიც იღლიებში ჰყავანდა შემსხდარი. საბძელში შეიყვანეს და კარები გადაურაზეს. ისე იყო დაბეჟილი და დათენთილი, რომ უმალვე ბზეზე მიწვა და ბურანში წავიდა.

ისიც კი ვერ გაიგო, რომ ხუთიოდე წუთის შემდეგ პეტრე ბუტბუტით დაბრუნდა, იქაურობა ჭრაქით მოანათა, მერმე გარედან კარებს ბოქლომი დაადო და წყევლა-მუქარით გავიდა.

VIII

მეორე დილით პეტრემ მუსუსი ძლივს გააღვიძა.

— იიიჰ, შე ტურავ, შენა! ადექი! აათრიე ე დასამიწებელი თავი!

მუსუსი უმალვე გამოფხიზლდა და წუხანდელი ამბავი გაახსენდა.

— რა გინდა ჩემგან?

— ის მინდა, რომ იმ ქალს თავი უნდა დაანებო.

— მერმე?

— მერმე არაფერი. ადე და ი ქარაქუცას პირში უთხარი, თავს განებებ-თქო. მერმე აქედან ორიოდე კვირით დაიკარგე, სანამ ქორწილს არ გავათავებ.

— თუ არ წავედი?

— თუ არ წახვედი, ძალით წაგიყვანენ. ქურდი ხარ. ხელებს შეგიკრავთ და ციხეში გაგგზავნით.

— მე ქურდი არა ვარ.

— წუხანდელი?

— წუხანდელი? წუხელი... შენც იცი, საქურდავად არ მოვსულვარ.

— მეც ვიცი რისთვისაც მოდიოდი. მაგრე იტყვი სამართალში?

— რატომ არ ვიტყვი? — თუ არ გამიშვებ, აგრე ვიტყვი.

— იიიჰ, რა მურდალი ყოფილხარ! თითქო ფეფელო მიყვარსო, შე წუწკო, შენა! მაშ ი ქალს არ დაინდობ? საქვეყნოდ თავს მოსჭრი?

— თუ შენ არ მინდობ, არც მე დაგინდობ. სულ ერთია ჩვენი ამბავი ქვეყანამ იცის.

პეტრეს ეს გარემოება გაზომილი არა ჰქონდა. ტუჩები ააცმაცუნა, ატოკდა და ჰკითხა:

— მაშ აგრე იტყვი? მაშ არც ქალს ანებებ თავსა?

— არ ვანებებ.

— მაშ კარგი. შენი ოხტიდან მაინც ამოვალ დაიცა... დამაცადე... აქ მომიცადე...

და ბურტყუნით წავიდა კარებისკენ.

მუსუსმა რამდენიმე ნახტომით გზა უჭრა:

— იცი რას გეტყვი, ძია პეტრე? აქამდე შენი პატივი მქონ-

და და ვამბობდი: უმფროსი კაცია, დაუთმობ-მეთქი. ეხლა კი გათავდა. ეხლა შენ შენთვინა და მეც ჩემთვინა. ვინც ბურთი გაიტანოს, მინდორიც იმისი იქნება.

და კარებისკენ გამოსწია. პეტრე კალთაში მისწვდა.

— სად მიხვალ, შე ყაჩაღო, შენა! შენ დაჭერილი ხარ და აქედან ვერსადაც ვერ წახვალ.

მუსუსმა კალთას ხელი გააშვებინა.

— ვინა, შენა? შენა ხარ ჩემი დამჭერი? როცა მაგის ნებას მოგცემენ, მაშინ დამიჭირე. ჯერ კი იქნება მე დავაჭერინო შენი თავი ჩემი დამწყვდევისთვინა.

პირღია პეტრე ბრაზის ცახცახმა აიტანა.

კარებში მართა გამოჩნდა. თავთ ქოქოლა დაიყარა და აწუწუნდა:

— უი მე, შვილო, ეს რა ამბავია ჩემ თავზედა?! ქურდობას გაბრალებენ?

— კარგი, დედი, კარგი. არაფერსაც არ მაბრალებენ. წამო, წავიდეთ.

მაგრამ წასვლა აგრე ადვილი არ იყო. სოფლის ბიჭები აქეთ-იქიდან სიცილით და ლაზღანდარობით მორბოდნენ.

— ბიჭო, მუსუსი, ე რა დაგემართა?

— ბიჭო, ხაფანგით დაგიჭირეს წუხელი?

სიცილი ხითხითად გადაიქცა.

— ე რა დიდი ნადირი დაუჭერიათ, და!

— ვინ დაგიგო, ბიჭო, ი მახე, პეტრემ თუ ფეფელომა?

— ფეფელოს რომ დაეგო, ეს ორფეხა მგელი აქ კი არ ეყოლებოდა დამწვდეული.

მუსუსი ამხანაგების სიცილს აჰყვა.

— ეხლა კი წავიდა შენი დრო, — უთხრა თანდილამ და მხარზე ხელი დაადო. — ე ხელები ალბათ ისე დაგიდუნდა, რომ პალოდაც წაგაქცევს.

და მუსუსს მოულოდნელად გამოჰკრა [illegible]. მუსუსი გულ-[illegible] [illegible]. [illegible] სიცილი [illegible].

მუსუსი უმალვე წამოიჭრა, თვალის დახამხამებაზე თანდილას საყელოში ჩასწვდა და კისრულით წამოიღო. თანდილამ ორივე ფეხები [illegible] ჰაერში და ტომარასავით გაიშალა.

მუსუსი ისევ წამოვარდა, პავლეს მოგვერდი ჰკრა, ისე მოისროლა სამ ნაბიჯზე, რომ პავლემ ბოყინი ამოიღო. მერმე

დანარჩენებსაც დაერია: თომა გარეთა სარმით გაშალა. ცუცქა შიგნითა სარმით მოსტეხა, ცხვირა ჩოქელათ გადაიტანა, როცა წამოდგა, პირისპირ სიკოს წააწყდა, შესდგა, პირი მოიღუშა, თავით-ფეხამდე გაზომა და გაყინული ხმით ჰკითხა:

— შენ რაღა გინდა აქა?

სიკო გაშრა და აირია.

— მენა?

— ჰო, შენა, შენა!

— მე არაფერი... ისე მოვედი. სხვები მოდიოდნენ და მეც წამოვედი.

— გეგონა მუსუსას ხელები დაამტვრიეს და ეხლა მეშველებაო? ვერ მოგართვი!

ერთხელ კიდევ ახედ-დახედა და გამოტრიალდა. გამობრუნდა და დაინახა: მხარზე კოკა-შედგმული ფეფელო საბძელთან იდგა და მუსუსს გვერდულად გამოსცქეროდა. პეტრე ფეფელოსკენ მთვრალივით მოდიოდა, სახრეს აცანცარებდა და პირს ჩიფჩიფით აცმაცუნებდა:

— იიიჰ, შე უნამუსოვ, შენა! რას უცქერი ი წვინტლიანსა იმას! ... დაიცადე... დამაცადე...

მუსუსმა პეტრესკენ გაიწია, მაგრამ ფეფელომ მამის ბუტბუტი დროზე გაიგო, მიბრუნდა და სირბილით მიეფარა საბძელს.

პეტრემ წამოსული მუსუსი დაინახა, სახრე ჰაერში აღმართა და დაემუქრა:

— იიჰ, შე ყაჩაღო, შენა! დაიცა... დამაცა... მე შენ გაჩვენებ სეირსა!

— ფეხებსაც ვერ მომჭამ! — მიაძახა მუსუსმა და გაიცინა.

სხვებმაც გადაიხარხარეს. ცხვირამ მუსუსს მკლავში ხელი გაუყარა და სთქვა:

— წამო, მუსუსი, წამო ჩვენთან.

— წავიდეთ, წავიდეთ. — მიაძახეს სხვებმაც.

და პეტრეს კალოდან დაიძრნენ. მიდიოდნენ, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ.

მოშხამული ბებერი კი ისევ იმ ალაგას იდგა, ჰაერში სახრეს აცანცარებდა, უკბილო პირს აცმაცუნებდა და ჩიფჩიფებდა:

— იიიჰ, თქვე სალახანებო! იიიჰ, თქვე ციმციებო, თქვენა!.. დაიცადეთ... დამაცადეთ.

და მერმე საბძელთან ატუზულ სიკოს მიუბრუნდა:

— წამო, საქმე გავათავოთ, თორემაა...

იმავ საღამოს, როდესაც დაბნელდა, თეკლე სირბილაანთ სახლში შეიპარა და მიხას ჩურჩულით უთხრა:

— ბიჭო, მიხა, ხვალ დილით ფეფელოს ათხოვებენ.

— რას ამბობ, თეკლე?!

— ჰო, ბიჭო, ჰო! ხვალ დილით ჯვარს გადასწერენ. ფეფელომ შემოგითვალა: თუ შეგიძლიან რამე, მიშველეო.

მუსუსი ამას არ მოელოდა. იცოდა, რომ პეტრეც და სიკოც ფეფელოს თანხმობას უცდიდნენ და იმედიც ჰქონდათ, რომ დღეს თუ ხვალ ქალს მოსტეხავდნენ.

მუსუსმა ისიც იცოდა, რომ მისი ფეფელო არ მოიდრიკებოდა და ნებაყოფლობით მიხას სიკოზე არ გასცვლიდა. ამიტომ მიხა გულმშვიდად იყო და ბედის წყალობას იმედით და მოთმინებით ელოდებოდა.

მუსუსი მოჭრილივით ჩამოჯდა თონის ნაპირზე.

ეხლა კი გაიშალა კვანძი. ბედის ღიმილი მარტო ღიმილად დარჩა. მუსუსი მოტყუვდა. ხვალ ფეფელოს ავყია სიკოს ჩაასარებენ. გათავდა ტკბილი სიზმარი. მაშ ასე: ამიერიდან მიხა აბლოც ვეღარ მიეკარება ფეფელოს, ვეღარ ჩაეხუტება განიერ მკერდში.

— რას მეტყვი, ბიჭო?

მუსუსი დამწვარივით წამოხტა.

რას უტყვის თეკლეს მისა? ეხლავე გინდა პასუხი? ერთი წუთითაც არ შეიძლება დაყოვნება? ჰო, ჰო, იცის მისამ, რომ დაგვიანება აღარ შეიძლება, თორემ... მაშ ასე: თეკლე! შენ შინ დაბრუნდი და პასუხს იქ მოუცადე. მუსუსი მადლობელია, დაო თეკლე, ერთგულ დობისთვის. მიხა ხელმოკლე ბიჭია, მაგრამ შენ სამსახურს მაინც არ დაივიწყებს. კარგი, კარგი. მაშ მადლობაზე მერე ვილაპარაკოთ, ეხლა კი შინისკენ გასწი. მიხაც იქ მოდის.

და ცოტა ხნის შემდეგ მუსუსმა თავისი ძმა-ბიჭები იპოვნა:

— ბიჭებო, თქვენი თავი დამჭირდა.

— გვიმსახურე, მუსუსი!

— ხვალ ფეფელოს ათხოვებენ.

— მართლა, ბიჭო?

— რას ამბობ, კაცო? აკი სიკომ შეუთვალა პეტრესა, სანამ ქალი ნებით არ წამომყვება, მე მაგის წამყვანი არა ვარო?

— აგრე შეუთვალა, მაგრამ პეტრემ დღეს თურმე მზითევი მოუმატა და დაითანხმა.

— მუსუსი, არ დასთმო! — დაიძახა ერთმა.

— არც დაანებო, ბიჭო, თორემ დუნიაზე თავი მოგეჭრება. — მხარი მისცა მეორემაც.

— მოვიტაცოთ! — გამოსთქვა საერთო სურვილი მესამემ.

— მეც მაგითვინ მოვედი. — სთქვა მუსუსმა. — ძმა ძმისთვინაო და ამ დღითვინაო.

ნახევარ საათს ფიცხად და აღგზნებით იჩურჩულეს და მერმე სიბნელეში გაიფანტნენ.

IX

მამლებმა მეორედ იყივლეს. სამგზავროდ დამგზავრებული მუსუსი პეტრეს საბძელში დაბორიალებს და ფეფელოს უცდის. ფეფელომ დრო უნდა იხელთოს, შინიდან გამოიპაროს და საბძელთან მოვიდეს. აქედან ხუთიოდე წუთში ფშატის ჭალაში ჩავლენ, იქ სამი ძმა-ბიჭი უცდის ცხენებით და საგზალით. შესხდებიან და უმალვე შეერევიან ბუჩქნარს, მერმე ტყეში შევლენ და ისე მიიმალებიან, რომ მთელი სოფელიც ვეღარ იპოვნის.

ყოველივე მზად არის, ოღონდ ფეფელო გამოვიდეს. ფეფელოც მოვა, უეჭველად მოვა. აქამდისაც მოვიდოდა, მაგრამ იგვიანებს. საცაა ინათლებს. ალბათ ფეფელოს მარტოს არ უშვებენ ეზოში, ალბათ ასე იქნება, თორემ აქამდე...

იქნება ფეფელომ მართლა ვერ მოახერხოს ასიოდე ნაბიჯის მანძილზე გამოპარვა?! იქნება მართლა ასე დატრიალდა მუსუსის საქმე? მერმე, რა უნდა ჰქნას მუსუსმა? როგორ მოიქცეს? რა გზას დაადგეს? თუ აგრეა, მაშ ორივენი დაღუპულან. მაშ მათი სიყვარულიც და სიცოცხლეც მორჩენილა და გათავებულა!

შიშისგან და მოუთმენლობისგან ანთებული მუსუსი ხშირ-

ხშირად გამოდის კალოზე და ღობეს გასცქერის. იქიდან უნდა გამოჩნდეს ფეფელო. მაგრამ მთვარიან ღამეში ფეფელოს მაგიერ მუსუსმა ორი მამაკაცის აჩრდილი დაინახა. იმ აჩრდილებმა საბძელს აუარეს და სიკოს ბაღის თავში მიიმალნენ. ალბათ იქვე სადმე არიან ელაც. ამ ალაგს ფშატის ხევისკენ მიმავალი მუსუსი ვერ ასცდება. ორივენი სიკოს ბიძაშვილები არიან. პეტრემ და სიკომ ალბათ ალღო აიღეს და ერთი ღამით აქა-იქ დარაჯები დააყენეს.

მამლებმა მესამეჯერ იყივლეს. ცოტა ხანიც გავიდა, ცას მტრედისფერმა დაჰკრა, სოფელი ჯერ შეიშმუშნა, მერმე ნელნელა აფუსფუსდა. ბეღურა-ჩიტებმა ყივილ-ჩივილი ასტეხეს. ბატებმა ყიყინით გასწიეს რუსკენ. სადღაც ურმის ჭრიალიც გაისმა და სოფლის ბოლოს ნახირის ბღავილიც ატყდა.

მაშ ყოველივე გათავდა! დაიღუპა მუსუსი! დროა თვითონაც გავიდეს საბძლიდან, თორემ...

უცებ ღობის ძირში თეთრი კაბა აფრიალდა. მორბის თავჩაღუნული ფეფელო. მორბის გაშალებული, თმაგაშლილი და მისი მარდი ფეხები დილის სინათლეზე სწრაფად მოელვარებს.

მუსუსს სიხარულის ჟრუანტელმა ჩაუარბინა. უმალვე გამოვიდა საბძლიდან და ფეფელოს გზა უყელა.

ჩქარა, ფეფელო, ჩქარა! სირბილს მოუმატე, მოუმატე, თორემ საცაა მთვარე გაჩნდება. შავ ყორნებსა და ავ ალქაჯებს არა სძინავთ. აგრე, გენაცვალოს მუსუსი შვლის ფეხებში, აგრე!

მორბის გაწეწილი და თავჩაღუნული ფეფელო. მორბის და თეთრ კაბას მოაფრიალებს. მორბის და...

და უკანიდან შავი ყვავის ჩხავილი მოსდევს:

— მიშველეთ, ქაა!.. გაიქცა! გაიქცა!.. სადა ხარ, პეტრეეე!.. მიშველეთ, ქა-ა-ა, მიშველე-ე-ეთ!.

აჰა, ფშატის ხევისკენ! მოუმატე ნაბიჯს, ფეფელო, მოუმატე! მიჰყე ძირს, მიჰყე! არ ჩამორჩე, არ წაიქცე, თორემ... საცაა ორღობეც გათავდება... ხევიც აქვეა... ცხენები... ჭალა... ტყე, აჰა, ფეფელო, მიჰყევი მუსუსს, მიჰყე! აგრე, გენაცვალოს მისი თავი, აგრე!

აი ორღობეც თავდება. მაგრამ — [illegible]! — ეს რა ამბავია?! [illegible] და [illegible], სიკოს ბიძაშვილები, ორი-

ღობის ბოლოში ატუზულან! გზა გადაუჭრეს და თოფები მოიმარჯვეს.

— უი მე, დამიდგა თვალები!

— ნუ შეშინდი, ფეფელო! დავბრუნდეთ! აბა გამოიქეცი!!

პირი იბრუნეს და უკანვე გაიქცნენ. ქვევით ისევ სოფიოს ჩხავილი ისმის. იწეწება და იგლიჯება. გზა ჯერ თავისუფალია. თუ დიდ გზაზე გავიდნენ, შესაძლოა იქიდანაც ჩაუხვიონ ფშატის ხევისკენ. აბა, აჩქარდით! გასწით!

კალოზე რომ ჩაირბინეს, გზის თავშიც ორი ლანდი გამოჩნდა: სიკო და პეტრე ყვირილით და მუქარით მორბოდნენ:

— იიიჰ, თქვე წუწკებო, თქვენა!

— დედას გიტირებ, მუსუსო, დედასა!

ფეფელომ დაიკვნესა:

— ვაიმე, დედა! დავიღუპენით!

შესდგა და პირსახეზე ხელები აიფარა. მუსუსმა მაჯაში ხელი დასტაცა და აითრია:

— აქეთ წამოდი, აქეთა! ჩქარა, ჩქარა!

ერთი წუთის შემდეგ მოდუნებული ფეფელო საბძელში შეაგდო, თვითონაც მიჰყვა, სქელი კარები მიაჯახუნა და ურდული გაუყარა.

იმავე წამს კარებს გარედან ოთხი კაცი დაეტაკა.

ერთმანეთს აღარ აცლიდნენ:

— იიიჰ, შე ცინგლიანო, ეხლა სადღა წამიხვალ?

— ბიჭო, მუსუსი, კარები გააღე! სულ ერთია ხელში მყევხარ.

— ბიჭო, მუსუსი, დაგვნებდი!

სოფიო, ტასო, მართა და ხუთიოდე მეზობელიც მოცვივდნენ და საბძელში ჭუჭრუტანებიდან იცქირებოდნენ.

ფეფელო ბზეზე ჩამოჯდა და შერცხვენილი პირსახე კალთაში ჩაიმალა. მუსუსი დიდ კუნძს დაეჭიდა, კარებთან მიაგორა, შეუყუდა გაამაგრა.

გარეთ ყივილ-ხივილი და ყაყანი მატულობს. სოფლელები მორბიან და საბძელს ფუტკარივით ედებიან.

— იიიჰ, შე წუნკალო, შენა! — ჩიფჩიფებს პეტრე — კარებს რომ ამაგრებენ, ვითომა რა მინდაო?

— ალბათ საბძელში უნდა დასახლდეს.

— ოღონდაც, ოღონდაც, რომ დავსაწლდები! — მიაძახა შიგნიდან მუსუსმა. მერმე ერთი გრძელი ჭიგო მოიმარჯვა და გარეთ გასძახა:

— აბა, ვისაც მკლავი აქვს, შემოვიდეს!

მტერთა ბრაზი და მოსარჩლეთა სიხარული ერთად შემოესმა მუსუსს:

— ერთი დახე ამასა!.. ერთი დახე, ამ წუწკსა, ამასა! კიდევაც რომ იმუქრება! — დაიძახეს ზოგიერთებმა.

— ანგრე, შენი ჭირიმე, ანგრე! — მიაძახეს მეორეებმა.

მიხას გული მიეცა. გამხნევდა და გაიჭიმა.

— აბა, რომელია მანდ ვაჟკაცი? ვისაც თავი მოსძულებია, ჯერ ის შემოვიდეს.

კარებთან აღშფოთების კიჟინმა იფეთქა.

— ჯერ ნეფე შემოვიდეს, ნეფე! — გასძახა მუსუსმა. — ბიჭო, სიკო, უკან ნუ დგები. შემოდი, თუ ბიჭი ხარ, შემოდი და შენი დედოფალი წაიყვანე. ისე გაგაგორო, როგორც წიწილა, შე ფუტუროვ, შენა!

— უუჰ, შენი ჭირიმე, შენი! — მოესმა მეორე მხრიდან მუსუსს მეგობართა ყივილი — ანგრე, გენაცვალე, ანგრე!..

მერმე ერთმანეთში აირია მტერთა და მოსარჩლეთა მუქარა, გამხნევება, ყაყანი და წივილი.

ერთნი გაიძახოდნენ:

— კარები შეამტვრიეთ!

— დაიჭირეთ ეს ყაჩაღი ესა!

— დრითა ლაგამი ამოვდოთ ამ მუსუსას, ამასა!

— სოფელი აიკლო....

— ქალები გარეთ ვეღარ გამოსულან...

— გზას აღარავის არ აძლევს ეს წუწკი, ესა...

მეორე ბანაკი პირველს კრიჭაში უდგა:

— თავი დაანებეთ!..

— რა გინდათ მაგ საწყლისგან? ერთმანეთი მოსწონთ. რას გადაეკიდეთ მაგ უბედურებს?

— დროება გამოიცვალა: ვისაც ვინ მოსწონს იმას გაჰყვება.

— შევარცხვინე სიკოს ვაჟკაცობა, აჰა!

— ხო ხედავს, რომ ქალს არ მოსწონს და მზითვის გულისთვის თავს რად ირცხვენს?

— ისედაც თავსაყრელი აქვს.

— ეგ ობობა მეტისმეტად გაიბერა!

— მსუნაგი!.. ხარბი!.. გაუმაძღარი!.. დროა ცოტა ქონი ჩამოვათალოთ!

— მაგის ქონეზას რო პეტრეს ქონება მიემატოს, ყველას შეგვჭამს.

— რა ბევრს ალაპარაკებთ! მიდი!.. დაჰკა!..

კიჟინას და ყაყანს უმატეს, ერთმანეთზე მიიწიეს და ჰაერში კომბლები და სახრეები აღიმართა.

სოფლის ხელისუფალნიც ჩაერივნენ. მოჩხუბრებს შეუტიეს და გააშველეს. მერმე იჩურჩულეს და გადასწყვიტეს: სანამ ქალი გათხოვილი არ არის, დედ-მამის მორჩილი უნდა იყოს, ძალადობა და მოტაცება არ შეიძლება. ამიტომ ფეფელო დედ-მამას უნდა ჩავაბაროთო.

კვლავ ყაყანმა და ჟრიამულმა იფეთქა. ხალხის უმრავლესობა ხელისუფლებას მიემხრო. მიხას მომხრე ათიოდე ახალგაზრდა დაიბნა და ნელ-ნელა მიყუჩდა.

სოფლის მეთაური კარებს მიადგა. ახალგაზრდები ჭუჭრუტანებს ეცნენ.

— ბიჭო, მუსუსი, კარები გააღე! — დაუძახა სოფლის მეთაურმა.

— არ გავაღებ! — მტკიცედ უპასუხა მუსუსმა.

აქეთ-იქიდან ძმა-ბიჭებმაც გაამხნევეს:

— უჰ, შენი ჭირიმე, შენი!..

— არ გაუღო, არ გაუღო!

— ანგრე, გენაცვა, ანგრე!

ხელისუფალმა ერთხელ კიდევ უბრძანა:

— ან კარი გააღე, ან ქალი გამოუშვი.

— არც კარს გავაღებ და არც ქალს დაგანებებთ. — ისევ გადაჭრით უპასუხა მუსუსმა.

მეგობრებმა ისევ შესძახეს:

— ანგრე, მუსუსი, ანგრე!

— არ დანებდე, ბიჭო, არ დანებდე!

— მაშ თუ ანგრეა, — გააფრთხილა სოფლის თავმა, — კარებსაც დავამტვრევთ და შენც დაგიჭერთ.

— ფეხებსაც ვერ მომჭამთ! — გამოსძახა მიხამ და კეტი

მოიმარჯვა. — ჯერ სიკო მოუშვით, სიკო! ფხაჭავ, სადა ხარ, შე ხამძო. შენა!

— აქა ვარ, შე ყაჩაღო, აქა! — ხმა მისცა გადიდგულებულმა სიკომ.

— შენ შემოდი, შენ ქალაჩუნავ, შენა!

— გამიშვით, მაგის დედა და მამა!

სიკო გათამამდა და კარებს დაეჯახა.

კეტმომარჯვებული მუსუსი ძეგლივით იდგა და მომწვანო თვალებს აბრიალებდა.

სიკოს სხვებიც მოეშველნენ და კარებს ერთად დაეძგერნენ.

კვლავ ჟრიამული და ალიაქოთი ატყდა.

მუსუსის დედა მართა გარშემო ურბენდა საბძელს და წუწუნებდა:

— ბიჭებო, უშველეთ!.. უშველეთ, თქვენი ჭირიმე, თქვენი!.. ქალებო, თქვენც ხმა ამოიღეთ, გენაცვალეთ, თორემ აქ სისხლი დაიღვრება.

პეტრეს დაი სოფიო მართას კუდში დასდევდა და კაჭკაჭივით ჩხაოდა:

— ქაა, ეს სადაურია! ძალაზეა? ქალს არ ვაძლევთ, მორჩა და გათავდა! ე ბიჭ-ბუჭები გააჩუმეთ, თორემ ყველას ციხეში დავალპობთ.

საბძლის კარები მხრებით ვერ დასძრეს. პეტრემ ურმის ღერძი მოიტანა და გესლით აჩიფჩიფდა:

— იიიჰ, შე გველის წიწილავ, შენა! ეხლა რაღას იტყვი?.. მომეცალეთ, გზა მომეცით...

სიკომ და სოლომ ის ღერძი გააქანეს და კარებს დააჯახეს, კარებმა დაიკვნესა. ირევლივ უნებური სიჩუმე ჩამოვარდა.

მუსუსმა თავი ჩაჰქინდრა და კეტი დაუშვა. ფეფელო კვლავ განაბული იდგა. მუსუსის მოდუნება მეგობრებსაც გადაედო და აქეთ-იქიდან გულნატკენი ხმები მოისმა:

— საწყალი მუსუსი...

— ეჰ, ბედი არა ჰქონია...

— ან რას უნდა გახდეს ერთი ბიჭი?

ღერძი ერთხელ კიდევ დაეტაკა და ერთი ვიწრო ფიცარი შეანგრიეს აქეთ-იქიდან კვლავ დაუძახეს:

— ბიჭო, მახე! გაალე კარები, სანამ არ შეგვიმტვრევია.

— ბიჭო, მუსუსი, ნუ ახირდი!

მუსუსი მოტყდა. ან რას გაიტანდა იმოდენა ხალხში? ორიოდეს თავს გაუჩეხავდა, სიკოს უეჭველად გააგორებდა. მაგრამ მერმე? შეჰკრავდნენ და დაამწყვდევდნენ. ეხლა კი ყოველივე გათავდა. იმედის ყუნწიც აღარა მოსჩანს. სადაც არის სამუდამოდ გაჰყრიან ფეფელოს. პეტრე-- ფეფელოს ჯერ სცემს და მერმე იმ ავყია სიკოს ხურჯინივით გადაჰკიდებს.

— დაიცა, გეყოფა! — შეუტია სიკოს სოფლის მეთაურმა. — თვითონვე გააღებს.

და ისევ მუსუსს მიუბრუნდა:

— ბიჭო, მიხა! ხუმრობა გეყოფა. კარები გააღე, თორემ ერთს მოვაწვებით და მეტიც არ უნდა.

მუსუსმა თვალები მოიფშვნიტა და მხრებში გასწორდა. ანაზდად გაიღიმა და თვალები ისე ააბრიალა, თითქო ახალი რამე მოავონდა და გასაქცევი გზა იპოვნაო.

უცებ მიტრიალდა, ფეფელოს დაუჩოქა და ცხარედ აჩურჩულდა:

— ...მეტი გზა არა გვაქვს... ჰო, ჰო, აქვე... ეხლავე...

უცებ ბზეზე გადააგორა გულაღმა და შეებრძოლა.

გარეთ კივილის შადრევანმა ამოხეთქა. ვინც განზე იდგა, ისიც საბძლის წნელებს ეცა და ზედ მიაკვდა!

დედაკაცები აკრუხდნენ. ქორისგან დამფრთხალ ქათმებივით დარბოდნენ, ხელებს თავპირსა და მუხლებში იცემდნენ და ჰკაკანებდნენ:

— უიმე, დამიდგა თვალები! ეს რა ამბავია, ქაა!

— ვაი, სირცხვილო! ქააა, ამაზე მეტი შერცხვენა კიდენ იქნება?

— გააფუჭა! გააფუჭა! — ჰბუტბუტებდა გულწასული ტასო.

— უშველეთ, კაცებო, უშველეთ! — გაჰკიოდა ფეფელოს მამიდა სოფიო და ხელებს ასავსავებდა. — უშველეთ, თქვე ულმერთოებო, თორემ დაიგვიანებთ.

— უიმე, დამიდგა თვალები!

— უიმე, მომიკვდა თავი!

გიჟური ხარხარი, სირცხვილის წკმუტუნი, აღშფოთების ღმუილი, მიშველების ძახილი და გამხნევების კიჟინი გაერთიანებულ ღრიალად გადაიქცა და მთელ სოფელს მოედო.

ახალგაზრდების ქრიამულმა დედაკაცების წივილი და მამაკაცთა ღმუილი შთანთქა.

— გაიმარჯვა! გაიმარჯვააა!

— გათავდა! გათავდა!

— განგებ შვრება, განგება, სიკოს შერცხვენა უნდა, თორემა...

— ვერ მოახერხებს, ვერა!

ხელისუფალს საბძლის წნელში ჩაეყო თავი და იძახდა:

— დაჰკარით!.. გასტეხეთ, თორემ დაიგვიანებთ! ჩქარა, თორემ დაიგვიანებთ!

სიკომ და სოლომ ხუთიოდეჯერ დაჰკრეს ღერძი. კარებს ჭაჭაჭუჭი გაჰქონდა, მაგრამ მუხის ფიცარი არა ტყდებოდა.

სოფლის მეთაურმა წნელებიდან ამოიღო ცხვირ-პირი, მოტრიალდა, ხელი ჩაიქნია, ღრმად ამოიოხრა და უიმედოდ გადმოაგდო:

— გათავდა... დაიგვიანეთ.

სიკოს და სოლოს ღერძი ხელიდან გაუვარდათ. თევდორემ სიკოს პირში მიახალა:

— ეხლაც წაიყვან ფეფელოსა?

სიკომ ნათესავებს გადაჰხედა. ყველანი თავჩაღუნულები იდგნენ, თითქო ქურდობაში დაიჭირესო. სიკომაც თავი ჩაჰქინდრა. მერმე მოტრიალდა და ლასლასით წავიდა. ნათესავებიც კუდამოძუებულ მგლებივით გაჰყვნენ.

პეტრე სიძეს ჩანჩალით გამოუდგა. დიდხანს აცმაცუნა პირი და მერმე ხრინწიან მამალივით ამოიხრიალდა:

— კაცო, სად მიხვალ?

სიკო მოტრიალდა.

— მე გატეხილი ქოთნის მუშტარი არა ვარ. — გადმოუგდო მწარე ღიმილით და ისევ გატრიალდა.

პეტრე მიწაში ჩასაძვრენ სოროს ეძებდა, მაგრამ იგი არსად არ იყო და ისევ საბძლისკენ წამოვიდა. გზაც იქით ჰქონდა. გაფითრებული მოხუცი ცახცახით მოათრევდა სხვის ფეხებს, მთრთოლვარე თითს აკანკალებდა და ზაფრანისფერ ტუჩებს შოშიას ბღარტივით აცმაცუნებდა:

— დაიცადე... დამაცადე... — ისეთი ნელი ჩურჩულით იმუქრებოდა, რომ თავის ხმა თვითონაც ძლივს ესმოდა.

მუსუსი კალოზე იდგა. გარშემო სოფელი ფუტკარივით ეხვეოდა.

მართამ, თეკლემ და ორმა ახალგაზრდა ბიჭმა ფეფელო ძალით გამოიყვანეს საბრძლიდან. პირსახეზე ხელსახოცი ჰქონდა აფარებული. ტიროდა და ხელებს იქნევდა.

— ძია პეტრე, დაგვლოცე! — გადასძახა მუსუსმა სიმამრს.

პეტრემ დიდხანს აცანცარა თავი და თითი, მერმე ბებერი ყვავივით ამოიხრიალა:

— მაჯობე... წაიყვა. მაგრამ მზრთევს ვერა ნახავ.

— არც მინდა, ძია, არ მინდა.

— არ გინდა? მაშ კარგი. ტიტველმა შიშველი აიკიდა და მესამე მათხოვარა გააჩინესო. დამეკარგეთ, თქვე ცინგლიანებო, თქვენა! თვალით აღარ დამენახოთ, თორემაა...

წავიდა და ბიჭების ლაზღანდარობა და ხარხარი გაიყოლა.

— აბა, ბიჭებო! — დაიძახა თანდილამ. — ნამდვილი ნეფე-დედოფალი წავიყვანოთ.

და მაყრული შემოსძახა.

უმალვე ოციოდე ხმაც მიეშველა.

შუაში ნეფე-დედოფალი ჩაიყვანეს და მაყრულის სიმღერით მუსუსის სახლისკენ გასწიეს:

— მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს წითელი ხოხობიიი...

მათი ახალგაზრდული გუგუნი სოფელს აზანზარებდა, სიხარული, სიცილი და ლაღი ოხუნჯობა კარით-კარამდე ისმოდა.

ახლად ამოსული მზეც იცინოდა და მაყრიონს თვალებში ჩასცქეროდა.

1925 წ.

მართალი აბდულა

I

— აბდულ ქერიმ! — მიუბრუნდა სასამართლოს თავმჯდომარე აბდულას. — ხომ გაიგეთ: თქვენ მეურმეების გაძარცვას გაბრალებენ. სოფელ ჯანდრის მახლობლად თქვენ იარაღით დაუხვდით ვორონცოვკელ მალაკნებს, წაართვით ფული, ქალაქში ნაყიდი საქონელი, ერთი კაცი ხანჯლით დასჭერით და ერთიც მოჰკალით.

— ალაჰ! — ამოიოხრა აბდულამ.

— თქვენ სამნი იყავით. ორი ამხანაგი ჯერაც არ დაგისახელებიათ. მეორე დილით კვალი სოფელ სარვანში მოვიდა. თქვენ სარვანელი ხართ-არა?

— ბალი აღა, აბდულა სარვანელია.

— კვალი თქვენი სახლის დერეფანში შევიდა. ახლა გვიამბეთ, როგორ მოხდა ეს ამბავი?

— მე არ ვიცი, ვალაჰ, არ ვიცი! — წრფელის გულით დაიყვირა ახოვანმა აბდულამ და გაქონილი მჯიღი განიერ მკერდზე დაიბაგუნა. — ვალაჰ, არ ვიცი!

— კეთილი. იმავე დღეს მილიციამ თქვენს დერეფანში, გიდრის ქვეშ, წართმეული საქონლის ნაწილი იპოვნა — აი ეს ჩითი, პირსახოცი და ახალი რუსული ქუდი. ეს როგორღა მოხდა?

— ღმერთმანი არ ვიცი! ვალაჰ ბილმერამ, — ისევ წამოიძახა აბდულამ, თან უიმედოდ გადახედა ხალხს და მათს თვალებში უნდობლობა ამოიკითხა.

— კეთილი და პატიოსანი, აბდულ ქერიმ ოღლი! გაძარცულმა მალაკნებმა გიცნეს და ხელი დაგადეს. ამაზე რაღას იტყვით?

— ვალაჰ, იანლიშდლარ! ვალაჰ, იალანდი! კურან აჰკი, იალანდი! — ღმერთმანი შესცდნენ! ღმერთმანი ტყუილია! ყურანის მადლს ვფიცავ, ტყუილა-მეთქი!

— აბდულ ქერიმ, გვიამბეთ, ის დღე ის ღამე სად გაატარეთ?

აბდულა ძლივს ამტვრევდა ქართულს. სადაც გაუჭირდებოდა, თათრულს ჩაურევდა და თარჯიმანს მოშველიებდა ხოლმე. — იმ დღეს დილით აბდულამ ბოსტანი მორწყო. მისმა მოხუცმა დედამ, ზოვრამ, ახლა აგერ იქ ხალხში რომ ზის ჩადრმოხვეული და კოკოშიანი, ბოსტანში „მასონი“ მიუტანა. მერმე აბდულა შინ დაბრუნდა და თავის „სოლს ფათმას გაუჯავრდა“, რადგან ფათმამ აბდულას საყვარელ ლურჯას წყალი გვიან დაალევინა.

— აბდულას ერთი მოჯამაგირე ჰყავს — ალი ყურბანი. იმ დღეს მოჯამაგირე ქოჩში გაჰყვა აბდულას საქონელს, რომელიც ლელვარის მთებში გაისტუმრა საზაფხულოდ. მხოლოდ ამიტომ დაავალა აბდულამ ფათმას „სხენის“ მოვლა (აგერ ფათმაც იქა ზის, ზოვრას გვერდით), თორემ აბდულა სხვა დროს ასეთ საქმეს ცოლს არ მიანდობდა, ვინაიდგან მას ისე უფრთხილდებოდა, როგორც საკუთარ თვალებს.

— განა ცოლის გაგზავნა წყალზე სირცხვილია? — ღიმილით ეკითხება თავმჯდომარე.

— არა, სირცხილი კი არ არის, სახიფათოა. შეიზლება ლამაზი სოლიც დაგვეკარგოს და ლამაზი სხენიც. ოქროს ოქრო ვერ მოუვლის, ორივეს მოიტასებენ.

დარბაზში იცინიან.

— მერე, მერე?

— შემდეგ ფათმას შეურიგდა: „სოტა აკოსა, ერთი ბატარა ფირუზი უფეშქაშა და ხრამზე სავიდა არხში წყლის გამოსაკვანად“, ხოლო საღამოზე ისევ შინ დაბრუნდა.

— მინდვრიდან ნახირი მოვიდა. აბდულას ერთი მოზვერი დააკლდა, თათარმა „ქოხი საილო და სავიდა“. სად არ იყო იმ ღამეს აბდულ ქერიმი, სად-არ ირბინა, სად არ იხეტიალა! ალგეთის და ხრამის ნაპირები მოირბინა, ჯანდრის მიდამოებიც მოიარა, მარნეულშიც ავიდა და საჰკალ-თუთანის გორამდისაც კი „სავიდა“, მაგრამ მოზვერი ვერ იპოვა.

— მთელ ღამეს „სვიმდა“. აბდულა „ზალიან“ დასველდა და რიქრაქზელა დაბრუნდა. კარები დედამ გაუღო. არც ფათმას დასძინებოდა. ჰკითხეთ აბდულას „ანას“ და „არვადს“ — დედას და ცოლს. ორივენი აქ არიან, აგერ იმ კუთხეში სხე-

დან. ისინი გეტყვიან სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს. ვინაიდგან —

— ვალაჰ, ეი ბოხ, არც ერთის პირს ჯერს ტყუილი არ მიჰკარებია. მეორე დღეს მილისია მოვიდა და დამიჩირა, მაგრამ, ვალაჰ, მანიმ სუჩუმ იოღდი! — ღმერთმანი, მე ბრალიანი არა ვარ, ღმერთმანი, აბდულამ არაფერი არ ვისი! ეი ბოხ, ნეტ! მაია ნეტ!

აბდულამ სათქმელი სთქვა და გაჩუმდა.

— მოწმე ხომ არა ჰყავს სარვანელ თათარს?

— არა, აბდულას „მოსმე“ არა ჰყავს. იმ ღამეს მარტო დაეხეტებოდა მინდვრებში. ან რა საჭიროა „მოსმე?“ აბდულამ ათჯერ „დაიფისა“. თუ გნებავთ, ყურანზედაც დაიფისებს. „დაუძახეთ“ მოლას, მოიტანეთ ყურანიც. აბდულა ტყუილუბრალოდ არ „დაიფისებს“-მეთქი, აბდულა პატიოსანი კაცია! ჰკითხეთ სარვანელ მოლას, თუნდა იქაურ ხელისუფლებს, თუნდ დანარჩენ ბორჩალოელებსაც.

— მოწმეს დაუძახეთ. — სთქვა მოსამართლემ და ერთხელ კიდევ აავლო თვალი გრუზა თათარს, რომელიც ხარის თვალებს ანათებდა, თეთრ კბილებს აელვებდა, გაღეღილ მკერდზე კვლავ მუშტს იბაგუნებდა და სამს ენაზე გაიძახოდა:

— ღმერთმანი არა! ვალაჰ, მანიმ სუჩუმ იოლდი! ეი ბოხ, მაია ნეტ, ეი ბოხ! ეი ბოხ!

მერმე დიდ დარბაზს გადაავლო თვალი და გაჩუმებულ ხალხში რომ ვერა ჰპოვა გამოძახილი, წელმოწყვეტილივით დაეშვა, გრძელი ხელები გაასავსავა, მუხლებზე დაირტყა და მორჩილად შეჰღაღადა:

— ალაჰ, ალაჰ! სუია დუშტუნ, სუდა დუშტუნ! — თუნდ სამართალში ჩავარდნილხარ, თუნდ წყალში ჩავარდნილხარ.

სამმა მალაკანმა აბდულ ქერიმს დაბეჯითებით დაადო ხელი და სამივენი მტკიცედ გაიძახოდნენ:

— ეს არის, სწორედ ეგ არის!.. კარგად გვახსოვს... ძალიან კარგად გვახსოვს.

— კარგად დააკვირდით, არ შეცდეთ. — რამდენჯერმე ურჩია რუსებს მოსამართლემ. — უბრალოდ არ დაიდო ცოდო, სინდისი არ დაიმძიმოთ.

— ეს არის, სწორედ ეს არის. — მაინც გაიძახოდნენ მალაკნები... ეს ჩითიც ჩვენია, ეს პირსახოციც და ეს ქუდიც...

ქალაქში ვიყიდეთ, შინ მიგვქონდა. ბევრი საქონელი წაგვართვეს, მაგრამ დანარჩენი დაკარგულია.

— ეი ბოხ ნევ! ეი ბოხ! — პირში შესძახოდა მათ აბდულა. მაგრამ მოწმენი ისევ თავიანთ ნათქვამს იმეორებდნენ.

ბრალმდებელმა და დამცველმაც ბევრი ილაპარაკეს, მერმე აბდულას უკანასკნელი სათქმელი ათქმევინეს.

ეხლა რაღა სთქვას აბდულამ? სათქმელი უკვე ნათქვამია, ამიტომ, რაკი საბუთი აღარ აქვს, იქნება ფიცმა და შეძახილმა მაინც გასჭრას:

— ღმერთმანი არა! ვალაჰ, მანიმ სიჩუმ იოლდი! ეი ბოხ ნეტ! აი ბოხ! ეი ბოხ! — ერთხელ კიდევ წამოიძახა, ისევ აიბაგუნა მკერდი და სკამზე ჩამოჯდა.

მოსამართლენი სათათბირო ოთახში გავიდნენ.

ორნი ჩადრიანი „კიზი" — ზოვრა და ფათმა — მოაჯირთან მივიდნენ, აბდულას ჩურჩული დაუწყეს და თანაც თეთრ კბილებს აელვებდნენ. ზოვრას ზურგზე ლურჯი ბოხჩა ჰკიდია. იმ ბოხჩიდან აბდულას ერთი წლის ვაჟის შავი თავი მოსჩანს. ის თავი მაიმუნივით იღრიჭება, გოჭივით ჭყივის და ისე მიიწევს მამისაკენ, რომ ლამის ბოხჩიდან ამოვარდეს. აბდულამ შვილი კნუტივით აიტაცა, ათიოდეჯერ დალოშნა, აათამაშა, მკერდზე მიიკრა და გაუცინა.

ორმა დედაკაცმა და მათმა ერთამ დიდხანს ილაპარაკეს, ერთმანეთს გაუცინეს, მოუალერსეს, იმედი მისცეს და გული გაუმაგრეს.

— ყოჩაღ, ოლუნ, ყოჩაღ! ყორხან. ბეგიუნ ჩიხარამ. — ყოჩაღად იყავით, ნუ შეშინდებით. დღესვე გამოვალ, დღესვე, — უთხრა უკანასკნელი სიტყვა აბდულამ და წამოდგა.

მოსამართლენი უკვე გამოდიან. თავმჯდომარე დიდხანს კითხულობს განაჩენს, რომელიც ასე თავდება:

— ...მიიღო რა მხედველობაში... რადგან... ვინაიდან... ამიტომ აბდულ ქერიმ ოღლის ათი წლით დაპატიმრება მიესაჯოს.

მოსამართლენი კვლავ გაბრუნდნენ და გავიდნენ. აბდულა გახევებული შეჰყურებდა მიმავალ ზურგებს. მერმე მობრუნდა, ხალხს თვალი გადაავლო, სასოწარკვეთილი ღიმილით გაიღიმა და ათრთოლებული ხმით წაიბუტბუტა:

— ალაჰ, ბუ ნა ხაბარდი?! — ღმერთო, ეს რა ამბავია!

ზოვრამ კოკოშიან თავში წაავლო ხელები და დაიკვნესა, ფათმამ შეჰკივლა და ქმრისკენ გაიწია. პაწაწა ვალის ჰყვიტინმა დიდი დარბაზი გასტენა, ხოლო აბდულა ხარის თვალებს უაზროთ აცეცებდა და ისევ იმ კარს გასცქეროდა, სადაც მოსამართლენი მიიმალნენ. მსაჯულები რომ ვეღარ დააბრუნა, დარაჯებს მიუბრუნდა, მკერდზე მუშტები წაიშინა და ცხარე ხმით აყვირდა.

— ვალაჰ, ბილმერამ!.. ღმერთმანი არ ვისი! ეი ბოხ მაია ნექ! ეი ბოხ! ეი ბოხ!

II

ერთი საათის შემდეგ აბდულა ორი დარაჯის თანხლებით შუა ქუჩაში მიაბიჯებს, ხელებს განივრად იქნევს და ხანგამოშვებით ბურტყუნებს:

— ალაჰ ბუ ნა ხაბარდი?

ფათმა და ზოვრა ჩუმის მოთქმით მისდევენ და ზოგჯერ რამდენიმე სანუგეშო სიტყვას მიუგდებენ ხოლმე. ბოლოს, ორთაჭალის საპატიმროს რომ მიადგნენ, აბდულა მოტრიალდა, დარაჯებს გაუსხლტა, დედა, ბავშვი და ცოლი ვანიერ მკერდზე მიიხუტა და აბუტბუტდა.

ბორჩალოელ თათარს ენა დაება, ტუჩები აუცახცახდა, კისერი მოედრიკა. დიდი თავი ორივე დედაკაცს დაუდო მხარზე და თავის შვილივით ატირდა. დედაკაცებიც მოეხვივნენ და აკივლდნენ. დაფეთებულმა დარაჯებმა დედაკაცებს პატიმარი ძლივს მოჰგლიჯეს და დიდ შენობას რკინის პირში შეუგდეს.

პირველად დაემართა აბდულას ქალური სენი: პირველად იტირა საქვეყნოდ და პირველად დაანახა ადამიანს თავისი ცრემლი. აბდულა ვაჟკაცია, ნამდვილი თათარი ვაჟკაცი. ვინმეს რომ გაეგო მისი ქალური ტირილი, მთელ ბორჩალოში სახელი გაუტყდებოდა და საპატიმროშიც თავი მოეჭრებოდა. თათარმა კი იცოდა, რომ საპატიმროში კარგი ვაჟკაცის სახელს უფრო მეტი სახელი ქონდა, ვიდრე ბორჩალოში, ამიტომ, როცა ტალანში დაბრუნებულ ტუსაღს ჩხრეკავდნენ, მან ფიცხლად შეიშრო თვალები და ნაძალადევად გაიმაგრა გული.

დიდს ეზოში რომ გავიდა, აქეთ-იქიდან ტუსაღების კივილი მოესმა:

— აბდულ, ხოშ გელდი! აბდულ, როგორ გადარჩი?

აბდულამ შავ წვერ-ულვაშში თეთრი კბილები გააკრიალა და პირსახეზე ჯვარცმულის ღიმილი აისახა, მერმე ორივე ხელი ასწია, ათივე თითი აფშიკა და გაბზარული ხმით დაიძახა:

— ონ ილ! ათი სელისადი, ათი!

ყივილ-ხივილი მაშინვე მოისხიპა და მთელი შენობა ერთი წუთით გაინაბა.

აბდულას ყველანი იცნობდნენ და ათწლიან განაჩენს არ ელოდნენ, რომელიც ზურგმაგარმა თათარმა იმ დღიდან ამ შენობისოდენა ტვირთივით აიკიდა.

თავჩაღუნულმა აბდულამ ეზო გადაჭრა, მეხუთე სართულზე აიჭრა და მაღალ ფანჯარას ეცა. მისი საკანი იქ არის. იქიდან ხელისგულივით მოსჩანს ნავთიანი სამგორის მინდორი, სოღანლუღის მიდამოები, შავნაბადის ქედი, მირზოევის უწინდელი ბაღი და სასახლე.

აი, ორთაჭალის ბაღ-ბოსტნებიც, გველივით დაკლაკნილი მტკვარიც, შორეული რკინის ხიდიც და ბორჩალოს გზაც, რომელიც საპატიმროს გვერდით გადის და შავნაბადას სერის ძირში იკარგება.

ამ გზაზე უნდა გაიარონ ზოვრამ და ფათმამ, ისინი ურმით დაბრუნდებიან სარვანში. აბდულა რკინის მოაჯირს ჩაებღაუჭა და გაშეშდა. ბორჩალოელთა რამდენიმე ურემმა გაიარა. ბოლოს აბდულას ურემიც გამოჩნდა. ტუსაღმა თავის წითელი ხარები, ტანმაღალი მოჯამაგირე ალი ყურბანი და გასუდრული ცოლი და დედა იცნო.

ურემი საპატიმროს გაუსწორდა. ზოვრა და ფათმა აქეთ იხედებიან. ალბათ, აბდულას ეძებენ, მაგრამ ვერ ჰპოულობენ. ტუსაღი უფრო აიწევს, მოაჯირში ხელს გაჰყოფს, ჭრელ ხელსახოცს აიქნევს და მძლავრი ხმით დაიძახებს:

— ჰაი, ანა-ა-ა!.. ფათმა-ა-ა!

დედაკაცები ურემში წამოიჭრებიან და აკივლდებიან:

— აბდულა-ა-ა-ა!.. აბდულა-ა-ა!

— სალამა-ათ! სალამა-ა-ათ! — მშვიდობით! მშვიდობით! — წასამოწარკვეთით ბღავის ტუსაღი.

— სალამა-ათ, აბდულა, სალამა-ა-ათ! — ისმის აღუღებული პასუხი.

გარედან დარაჯი ჰყვირის, მაგრამ აბდულას აღარაფერი არ ესმის: კვლავ წითელ ჩვარს იქნევს, მოაჯირს ანჯღრევს და გრგვინავს:

— სალამა-ათ, ანა!.. სალამა-ა-ათ, ფათმა! სალამა-ათ!

გალავნის ძირში თოფმა იგრიალა და ტყვიამ კედლის მტვერი თათარს პირსახეში შეაყარა.

სიფათმა აბდულა უარესად გააანჩხლა: კვლავ ორივე ხელით ანჯღრევს რკინის მოაჯირს და გაафთრებული დაჰკივის მსროლელ გუშაგს:

— ჰაი ქოფა-ოღლი! ით! დონღუზ! ვურ! გენა ვურ, გენა! — მამაძაღლო! ღორო! მესროლე! კიდევ მესროლე, კიდევ!

ტუსაღები აბდულას ეცნენ, ძალით მოგლიჯეს მოაჯირს და ფანჯრის რაფიდან ძლივს ჩამოათრიეს. მაგრამ აბდულა უარესად გამწარდა, გამხეცდა. ლომივით იბრძვის, დაჭრილივით ჰღმუის, ჰგმინავს, ჰბღავის, ტუსაღებს ბავშვებივით ჰფანტავს. ფანჯრის რაფაზე დათვივით მიბობღავს და დარაჯს გასძახის:

— ით! დონღუზ! ვუ-ურ!

დარაჯო, ესროლე, ერთხელ კიდევ ესროლე და მოჰკალი საწყალი თათარი! რას გაჩუმებულხარ?! რას შესცქერი გაკვირვებული უბედურ აბდულას?! ნუ დაგიღია პირი! ესროლე-ძეოქი, ისედაც მომაკვდავი აბდულა ქერიმი, უცებ გაათავე.

— ანა-ა! ფათმა-ა-ა! . ეალი-ი!

ტუსაღებო! მეგობრებო! „ზმებო და ყარდაშებო!“ თქვენ რაღა დაგემართათ?! რას ჩააცივდით თქვენს „იოლდაშს?!“ ეჭიდებით, რად ებრძვით?! ხელი გაუშვით ბეჩავ აბდულას! თავი უნდა შეაკლას გუშაგს. აღარა სურს თათარს მკვდარი სიცოცხლე, ისიც ოთხ კედელში, უდედოდ, უცოლოდ, უშვილოდ.

ათი წელიწადი! ათი გაუთავებელი და გულდამლევი წელიწადი! ვიღა შეინახავს თათრის ცოლ-შვილს? ვინ მოუვლის საქონელს? ვინ მოუხნავს მინდვრებს? ვიღა მისცემს „ქომაგს“ აბდულას ოჯახს?! დაინგრევა თათრის ბუდე, გატიალდება სახლ-კარი, დაილევა „ქულფათი“ და საქონელი! დაიღუპა აბ-

დულ ქერიმი! დაიღუპა მისი ახალგაზრდობა და გათავდა მისი სიცოცხლეც!

ერთხელ კიდევ ავარდა ფანჯარაზე და გზას გახედა. აღარც ზოვრა, აღარც ფათმა, აღარც ვალი. ურემი ტყავეულობის ქარხანას მიეფარა. პატიმარმა მოწყვეტილი ტანი ძლივსღა ჩამოათრია, ტახტზე კუნძივით მიეგდო და თავპირი ჭრელი და გაქონილი ხელსახოცით დაიფარა.

III

დღეს დღე მისდევს და კვირას კვირა — აბდულას მომავალივით გრძელი, ბნელი და სევდიანი..

აბდულა დარდს მუშაობაში ახრჩობს. რიჟრაჟით საღამომდე სამზარეულოში მუშაობს: შეშას აპობს, ცეცხლს ანთებს, ხორცსა სჭრის და ქვაბებს ხეხავს. საღამოზე ადრე წვება, მაგრამ შუაღამემდე ძილს ვეღარ იკარებს: უძიროდ იხრავს, ჰძიმედ ქშინავს. მოუსვენრად ტოკავს და ზოგჯერ ძილში-უცნაურ რამეს გაჰკივის.

სიტყვაზედაც მეტისმეტად გაძუნწდა; თითქმის დამუნჯა. მხოლოდ შაქროს ენდობა აბდულა.

შაქრო ძველი ტუსაღია. სატუსაღოში დაიბადა, იქვე გაიზარდა და, ალბათ, იქვე მოკვდება. შაქრო აბდულას „ჰმა-ბიჩია, კარგი ვაჟკასია, ყოჩია, ნამდვილი ფაშაა, ფალავანია“. ტუსაღები „აღას ნოქრები“ არიან, აღა-შაქროს ემსახურებიან, ხარკს აძლევენ, ყველაფერში ემორჩილებიან და მუდამ პირში შესცქერიან.

აბდულა და შაქრო დიდი ხანია „დაზმობილდნენ“. ზოგჯერ განზე გავლენ, ან ერთ ტახტზე ჩამოსხდებიან და ხანგრძლივ მუსაიფს გააბამენ..

— ზალიან მტკივა გული, ზმაო შაქრო. — სჩივის აბდულა — ღმერთმანი, აბდულა უბრალოა! ვალაჰ, მართალია!

შაქროს „ყარდაშის“ უცოდველობა სჯერა და ესმის „იოლდაშის“ ტანჯვა, ამიტომ მას ტუსაღური ნუგეშით ამაგრებს და მომავალი თავისუფლებით ამხნევებს.

— აბდულ ყორხმა, ნუ გეშინიან, ორ წელიწადში გარეთ იქნები.

და ნუგეშ-ბაასი ჩუმი ბაიათით თავდება:.

— ჰაი ბალამ, ბალა-ა-ამ...
აზიზიმ ვაი დარდიმ,
ვაი დარმანიმ ვაი დარდი-ი-იმ.
ელლარ ვაი აქტი, გულ დარდი,
მან გულ აქტიმ ვაი დარდ-იმ... ვაი ჯარდიმ...“

თათრის სიმღერა სტირის, ჰკვნესის და უნუგეშო მოთქმით ჰგლოვობს. თათარი შაირს ოხვრით იწყებს და გმინვითათავებს. ზოგჯერ გაინაბება და ქონიან თათს ქურდულად მოისვამს თვალებზე, ზოგჯერ კი რაღაც ცეცხლით აღუღდება და ბურტყუნებს:

— ვისი ვინ დამღუპა. ისის აბდულამ, ისის! მაგრამ...

მაგრამ აბდულა ჯერჯერობით სდუმს: ნათესავის გაცემა „სირცხვილია“. ესეც რომ არ იყოს, აბდულას საბუთი არა აქვს, სხვის დანაშაულს ვერ დაამტკიცებს და ტყუილად შერცხვება. ამიტომ სდუმს აბდულა, ამიტომ იხრჩობს გულში დარდს და ბედის განაჩენს ელოდება.

სწამს აბდულას ბედი და მისი ულმობელი სამართალი. ალაჰ კი არა სწამს თათარს. სანამ ათ წელიწადს მიუსჯიდნენ, დღეში ნამაზლიკს — პაწია ხალიჩას — ხუთჯერ გაიშლიდა, პირს მექასკენ მიიბრუნებდა და სალოცავს ბუტბუტით იტყოდა ხოლმე. ახლა კი ალაჰმა და აბდულამ ერთმანეთს ზურგი შეაქციეს. რატომ არ უშველა ალაჰმა აბდულას?! რატომ არ გამოიჩინა ძალა და სამართალი? რას ერჩოდა ალაჰ „სასხალსა“ და უწყინარ აბდულას? რა დააშავა საწყალმა თათარმა ისეთი რამ შეუნდობარი, რომ ასე სასტიკად დასაჯა ალაჰმა?

არა, არარც ცაში ყოფილა ალაჰ და არარც აქ ჰქონია ძალა.

აბდულა რომ დარდს გაიხსენებს და შაქროს რომ გულის ტკივილს შესჩივლებს, ოხვრას მუქარით და აფეთქებით ასრულებს ხოლმე: დიდი საბერველივით აქშინდება; მკერდზე მუშტებს აიბრახუნებს, გაქონილ თითს ბორჩალოსკენ გაიშვერს და დათვივით ბურტყუნებს:

— ყურუმსაღ მუსტაფა! ყაჩაღ მუსტაფა! დაისადე... და-

---

* ჩემო ტურფავ! ვაი მოვკრიფე. ვაი ნუგეშო, ვაი დარდო! სხვებმა დარდი დათესეს და ვარდი მოჰკრიფეს, მე კი ვარდი დავთესე და დარდი მოვკრიფე.

ასადე აბდულას, დაასადე! აბდულამ შენი სოლშვილს სისხლი უნდა დალიოს და შენი ხორსი ზაღლს უნდა აჭამოს... დონღუზ!.. ით!.. ქოფა-ოღლი!

აბდულას შავი ვარამი რომ ერევა, ტუსაღები თათარს ფეხაკრეფით უვლიან და მასთან ლაპარაკსაც ერიდებიან. მაგრამ ყველამ არ იცის აბდულას ხასიათი. ზოგჯერ ვინმე ტუსაღი უდროოდ აუხირდება და მეშაბათესავით ჩამოეკიდება. აბდულა აბეზარს ერიდება, იღრინება და გულში ბრაზის შადრევანს იგუბებს. მაგრამ ზოგჯერ ის შადრევანი უნებურად ამოხეთქავს, ბორჩალოელი თათარი ყუმბარასავით სკდება, და საერთოდ წყნარსა, ჩუმსა და უწყინარ აბდულას მაშინ ვერავინ იმაგრებს.

უცებ სადმე ღმუილი, ხრიალი და ღრიალი იფეთქებს. თათრის ნახტომი ფოცხვერის კამარას ჰგავს. სეტყვასავით ისმის ლაწუნი, ბაგუნი, რახუნი და აბდულას შეძახილი:

— ჰაი ანასინი!.. დონღუზ! ით! ქოფა-ოღლი!

იმსხვრევა ტახტი, სკამი, ჰურჰელი, კბილები და ნეკნები. ტუსაღები ფუტკარივით ეხვევიან აბდულას და ჩაბღუჯულ მსხვერპლის გამოგლეჯას ლამობენ. აბდულა ამ ქვეყნის აღარ არის. ვეღარას ხედავს, აღარც ტუსაღების ჟრიამული ესმის და აღარც ნაკბენს, დანაკრავსა და ნაღრძობსა ჰგრძნობს.

მარტო შაქრომ იცის აბდულას მოსულიერების ხერხი. როგორმე მისწვდება ხოლმე და ყურში ჩასძახებს:

— აბდულ, გეყოფა — აბდულ, იეთარ!

აბდულა რომ შაქროს ხმას გაიგებს, მაშინვე მოუშვებს რკინის მუხრუჭებს და მიბნედილ-დასისხლიანებულ ზვარაკს შვებას მისცემს. მერმე პირქვე მიწვება და ყველას ცოდვას ნანობს — საკუთარსაც სხვისასაც.

IV

აბდულა უსმელ-უჭმელი დარჩება, ოღონდ ფანჯარაში აფოფხეთ. ოღონდ გარეთ გააწყდეთ. იქიდან უზარმაზარი ქვეყანა მოსჩანს.

ნავთიანიდან გამოსული მატარებელი გველივით მისრიალებს. ნეტა სად მიდის იგი, ბაქოში თუ ბორჩალოსკენ? ზოგჯერ მარჯვნივ მიუხვევს, ხიდს გადასჭრის, შავნაბადას კლდეს

თან თითქოს ხვრელში შეცურდება და თან აბდულას აკვნესებულ გულსა და ადუღებულ სულს გაიყოლებს.

ორი საათის შემდეგ ის მატარებელი ალგეთის გადასჭრის და სარვანს გვერდით ჩაუვლის. იქნება ზოვრამ და ფათმამაც დაინახოს რკინის „შაითანი“ და როგორმე მიიღონ აბდულას მხურვალე სალამი, რომელსაც იმ მატარებელს გააყოლებს ხოლმე.

ოოჰ, ნეტავ თათარი ახლა ერთ ვაგონს ჩამოეკონწიალოს! ჟანდარს რომ გასცდებიან, აბდულა გაქანებული ვაგონიდან ისკუპებს, სარვანში სირბილით შევარდება და თავის ცოლშვილს ისე ჩაეხუტება, როგორც რკინის მოაჯირს, რომელსაც ახლაც ისე აწვება, რომ ლამის გაჰგლიჯოს და იმ საკნიდან შორეულ მატარებელზე გადაჰფრინდეს.

ალაჰ, ალაჰ! ოღონდ გალავანს გადააცილე აბდულა, თორემ სარვანისკენ სხვა გზასაც იპოვნის. აგერ ის შარა გზაც იქით მიდის. აი ბორჩალოელი ურმებიც იქით მიიზლაზნებიან. აჰა, მარნეულელთა ურმებიც... აი ჟანდარელი თათრებიც... აგერ მარაბდელი ქართველებიც. იცნობს აბდულა, იცნობს ყველა ბორჩალოელს! ან რად უნდა აბდულას ურემი და შარაგზა?! ტუსაღი შავნაბადას ქედს აყვება, საპატიმროდან ასი ნაბიჯის მანძილზე რომ იწყება, მერმე კუმისის ტბასთან ჩაირბენს, იქიდან იაღლუჯას სერს გადასჭრის და პირდაპირ სარვანში ჩავა.

აგერ ბოსტანში სამი კაცი მუშაობს, ქარხნის კარებთან ქალ-ვაჟი არშიყობს. გზაზე ბავშვი მირბის, უკან ძაღლი მისდევს. სოღანლუღისკენ ხუთი ყვავი მიჰფრინავს. ოოჰ, რა ბედნიერები არიან ყველანი! ნეტავი თქვენ, ბოსტნის მუშებო, ქალვაჟო და ბავშვო, რომ თავისუფლები ხართ! ნეტა თქვენც, მუშებო, რომ ბორჩალოში მიდიხართ, რომ ამაღამ თქვენს ოჯახში მიხვალთ და თქვენს ცოლ-შვილს საჩუქარსაც მიუტანთ. ნეტა თქვენც, უკუდო ძაღლო და შავო ყვავებო! თქვენს აბდულაზე ბედნიერები ხართ, ათჯერ და ათასჯერ უფრო ბედნიერები, ვინაიდან ფეხები და ფრთები შეკრული არა გაქვთ და თავისუფლად შეგიძლიანთ თუნდ მარცხნივ გაფრინდეთ, თუნდ მარჯვნივ გაიქცეთ, თუნდ იმღეროთ, თუნდაც იჩხავლოთ, ჰყეფოთ, ან ყირამალა დასდგეთ და იკოტრიალოთ.

აბდულა კი...

აბდულას გულიანად ბაიათის თქმაც კი აკრძალული აქვს

და გულაჩქროლებული თათარი ისე ჩუმად ჰკვნესის და ჰგო-დებს, რომ თავის გულის ოხვრა თვითონაც ძლივს ესმის:

— ჰაი ბალამ, ბალა-ა-ამ...
ელლარ ვაი იჰქტი, გიულ დარდი,
მან გიულ იჰქტიმ, ვაი დარდი-ი-იმ...
ვაი დარდიმ... ჰაი ბალამ, ბალამ...

V

დღე არ გავა, რომ ასიოდე ტუსაღს ნათესავები და მეგობრები არ მოუვიდნენ და გემრიელი საჭმელი არ მოუტანონ. მარტო აბდულა დაივიწყეს ალაჰმაც, ნათესავებმაც, მეგობრებმაც, აბდულა ამის გამო გაუძლისი დარდით დარდობს, მაგრამ არავისზე გულნატკენი არ არის, რადგან არც ბორჩალოა ახლო და არც ბორჩალოელებს სცალიანთ, რომ აბდულას სანახავად სამიოდე დღე დაჰკარგონ.

აბდულას „ანა და არვადი“ — ზოვრა და ფათმა — სამ-ოთხ თვეში ერთხელ ჩამოვლენ. რკინის მოაჯირს აქეთ-იქიდან ორ-მოციოდე ტუსაღი და მათი ნათესავი მიეკვრება და ისეთს ყაყანსა და წივილ-კივილს ასტეხენ, რომ ერთმანეთის ნალაპარაკევი ზოგჯერ სულაც არ ესმით.

თათარი რომ ზოვრას და ფათმას დაინახავს, რკინის მოაჯირს ისე მძლავრად მიაწვება და ისე გაჰყვირის ხოლმე, რომ ლამის ჩარჩოებს გაანგრიოს და თავის ხმის გარდა აღარავის არა გააგებინოს რა. აბდულა რომ ძლივს მოსწყდება მოაჯირს და საკანში დაბრუნდება, მოტანილ სანოვაგეს შაქრისაც გაუნაწილებს და კვლავ აბურტყუნებდა:

— ჩემი ლურჯა გაუყიდნიათ... სამოსი სხვარი ყაჩაღებს მოუტასნიათ.

ან კიდევ:

— ორი ზროხა მომიკვდა... ოჯახი ხელიდან სავიდა, ზმაო შაქრო. სულ სავიდა, — „გეთტი!“

გარეთ უხილავი ხელი მუშაობს, ქალაქელი მუსლიმანები მაჰმადის წესს ერთგულად ასრულებენ: შესაწირავს აგროვებენ და კვირაობით პატიმარ თათრებს უგზავნიან, აბდულა თავის წილს შაქროსაც უნაწილებს და ეუბნება:

— ჩამე, ზმაო შაქრო, ჩამე. ალაჰ აღარ არის, მაგრამ კეთილი ხალხი ამ ყურუმსაღ ქოყანაში კიდევ ბევრი ყოფილა.

ერთი „სელისადი“ გავიდა. ოქტომბერში აბდულას დაუძახეს, ათასი რამ გამოჰკითხეს და მერმე „გამოუსხადეს“, რომ აბდულას პატიმრობის ვადა „სამი სლით შეუმსირეს“.

„ექვსი სელისადი-ღა დარჩა აბდულას, მხოლოდ ექვსი! ექვსჯერ უნდა მოვიდეს ზამთარი და ექვსჯერ გამოზაფხულდეს, მერმე კი... მერმე აბდულა აგერ იმ გზას დაადგება, სარვანში ჩავა, მუსტაფას მიადგება და...

რას ეტყვის აბდულა მუსტაფას? როგორ გადაუხდის სამაგიეროს? არა, აბდულა ამას ვერავის ვერ ეტყვის, ვერავის — გარდა შაქროსი, თავის „ზმისა და ყარდაშისა“.

მუსტაფამ ჯერ იაროს და „ისხოვროს“ დუნიაზე. „ექვსი სელისადი“ არც იმდენად ბევრია, რომ აბდულამ ვერ გაუძლოს. არა უშავს რა, „მოისადოს ყურუმსაღ მუსტაფამ, მოისადოს!“

და თვითონ აბდულაც იცდის და ითმენს.

კიდევ გავიდა ერთი გრძელი და გაუთავებელი წელიწადი. ოქტომბერში კიდევ ერთხელ „დაუზახეს“, კიდევ ერთხელ „გამოუსხადეს, რომ აბდულას კიდევ სამი სელისადი დაუკლეს, ახლა ორი წელიწადიღა დარჩა მას, ორად-ორი, მხოლოდ ორი!“

ალაჰ, შენ უშველე აბდულ ქერიმ ოღლის!

აგერ ექვსი თვე იქნება რაც აბდულას აღარც თავის ჯალაბი უნახავს და აღარც მათი ამბავი გაუგია. ბოლოს ერთხელ კიდევ მოვიდა სანატრელი დღე: აბდულა მოაჯირთან მიუშვეს.

— ფათმა! ყურბან ოლემ სანა! ნეჯასან?—შენ გენაცვალე, შენა! როგორა ხარ; „მარალიმ“ — ჩემო შველო, ჩემო ქურციკოფათმა, მარტო რად მოხვედი? სად არის ზოვრა? რატომ აბდულას „ანა“ არ ჩამოვიდა? რაო, რა სთქვი? ავად არის? იქნება.... ფათმა, ნუ დაუმალავ აბდულას! მართალი უთხარი. რაღა, მაშ ზოვრა...

— ალაჰ, ალაჰ! მაშ ზოვრა მოკვდა?.. როდის? როგორ? მაშ ზოვრა რომ ალაჰს აბარებდა სულს, მართლა აბდულას სახელს ახსენებდა?

ალაჰ, შენ უშველე ახლა აბდულას დანგრეულ ოჯახს და გააძლიებინე მხოლოდ ორი წელიწადი, ორად-ორი! მერმე თვითონ იცის სარვანელმა თათარმა. თვითონვე მოუვლის ფათმა-

საც და ვალისაც, თვითონვე მიუძღვნის საზღაურს მტერსაც და მოყვარესაც.

— ფათმა, ყურბან ოლემ სანა, ფათმა! გენასვალოს აბდულა! შენც მოითმინე ორიოდე წელიწადი, მხოლოდ ორი! მოითმინე და შენს აბდულას ერთგულად შეუნახე შენი ქალური ნამუსი. მოჯამაგირე ალი ყურბანი გიშველის. გაჰყიდე, რაც გასაყიდი დაგრჩა, ოღონდ ოჯახს ნუ დაუნგრევ აბდულ ქერიმს და საქვეყნოდ ნუ მოსჭრი თავს, თორემ აბდულას უშენოდ ცოცხალი თავი რაღად უნდა!

— ფათმა! მარტო ნუ ხარ ოჯახში. ალი ყურბანი ვაჟკაცია... აბდულას შენი ერთგულება სჯერა, მაგრამ ხომ იცი, სოფელი ჭორიანია. აბდულას მამიდა გადმოიყვანე და მოიშველიე.

— რა სთქვი მარალიმ? უკვე მოიყვანე? მაშ ერთად ცხოვრობთ? ჰაი ყოჩაღ, ფათმა-ქალო, ყოჩაღ! ყურბან ოლემ სანა ფათმა, ყურბან!

რაო, წასვლის დროც მოვიდა? დარაჯო, სოტა კიდევ მოისადე! აბდულა დაობლებულია, აბდულას დედა მოუკვდა, დედა! ჯერ არ გაუთავებია ლაპარაკი. ჯერ ბევრი აქვს დასარიგებელი და სათქმელი.

— მოისა, კასო, მოისადე-მეთქი! ოოჰ დონღუზ! ით! ქოფაოღლი! ფათმა, ყურბან ოლემ სანა! ვალი, სალამათ! სალამა-ა-ათ!

და მოაჯირს მოგლეჯილი თათარი ისე მიიზლაზნება, თითქო მის კამეჩისებურ კისერს რკინის ვეება უღელი დაადგესო.

VI

ნუთუ აბდულას ოჯახის დედაბოძი გამოეცალა? ნუთუ იმის კერას წყალი დაესხა? ნუთუ მართლა ინგრევა აბდულას ბუდე?

ფათმა ყოჩაღი ქალია, მაგრამ მაინც ქალია. ამქვეყნად შურიანი ხალხიც ბევრია. უპატრონობით ისარგებლებენ და აბდულას ქონებას ნაჭერ-ნაჭერ დაიტაცებენ. აი, აკი უთხრა დღესაც ფათმამ: ათი ცხვარი, ერთი დეკეული და მრავალი წვრილმანი კიდევ დაიკარგაო. რაღა დარჩა ახლა აბდულას? ერთი კამეჩი, ორი ზაქი, ერთი ძროხა, სამი დეკეული, ერთი ვირი და... ვეებერთელა დარდი. ცხადია, ტუსაღის ოჯახში უბე-

დურება ჩასახლდა და სანამ არ ამოიკვეთს ფეხს, მანამ თვითონ აბდულა არ გააგდებდეს.

— ალაჰ, თუ სადმე ხარ, ახლა გამოიჩინე შენი ძალა და ახლა უშველე აბდულას! ალაჰ! ალაჰ!

დრო ზლაზვნით და ფოფხვით მიდის, თითქო კიბო მისჩოჩავსო, და თათრის სულსაც ნალოსავით მიათრევს.

საპყრობილის მიდამოები ერთხელ კიდევ დაითოვლა და ერთხელ კიდევ აბიბინდა.

წინათ აბდულას ორიოდე თვეში ერთი წერილი მაინც მოსდიოდა ფათმასგან და სამ-ოთხ თვეში თვითონაც ჩამოდიოდა ქალაქში, ახლა კი აგერ ექვსი თვეც გავიდა, რაც აღარც წერილი მოსჩანს და აღარც ფათმა.

რა დაგემართა, ფათმა კიზი-ქალო, შენც ზოვრას ხომ არ გაჰყევი? იქნება ავადა ხარ? იქნება მოგიტაცა ვინმემ? რას დადუმებულხარ და საწყალ აბდულას რად აწამებ?

არც მულა იძლევა პასუხს, არც აბდულას მეორე ბიძაშვილი სოიუნი.

ერთხელ კიდევ დაუძახეს აბდულას და ერთხელ კიდევ „გამოუსხადეს, ერთი სელისადიც მოგჩრესო“.

ძმაო შაქრო, ერთი უშველე აბდულას! „შენი ჩირიმე, შაქრო, კარგად დასთვალე, როდის გავა აქედან „შენი ყარდაში“ ქერიმი? რა სთქვი? ხუთ ი თვის შემდეგო?

— ალაჰ, ილ ალაჰ! ძთავრობავ, ჩოხ საღოლ, ჩოხ! ალაჰ სანა იახშილიღ ვერსინ. — დიდი მადლობელი ვარ, დიდი! ღმერთმა სიკეთე მოგსეს მთავრობავ!

შაქრო, ახლა ერთი „სერილი მისცერე“ ჯანდარის სადგურის დარაჯს მიხა კიკალიშვილს, რომელიც ფათმას გადასცემს, რაკი სარვანელი მულა აბდულას პასუხს „არ აზლევს, მიხა ფათმასთან სავა, სერილს საუკითხავს და პასუხსაც დასერს“. მიხა აბდულას „ყონაღია“, მისი „ზმა ბიჩია, კარგი იოლდაშია. აბა დაჯექი და ასე დაისხე“:

„ფათმა, ჩემო ფათმა! ექსი თვე სავიდა და შენი სერილი არ მოდის, არს შენს მიხვედი. ფათმა, ავად გახდი თუ აბდულა დაივისხე? ორი სერალი მოვსერე, მაგრამ პასუხი არ არის. არ ვისი, ვიტირო თუ ვავისინო. როსა შენ მაგონდები, თვალები სრემლით მევსება. ფიქრმა ზალიან შემასუხა. იქნება აბდულა დაივისხე? იქნება სხვა „ქიში“, სხვა ქმარი იპოვნე? ეხლა

სისილიც მინდა, რადგან ზალიან გახარებული ვარ. ხუთი თვე დამრჩა. მერე სარვანში მოვალ და ისევ დავისხებ სისოხლეს. შენც გიხარიან განა! გაიხარე, გენასვალოს აბდულა, გაიხარე და გაისინე.

მაგრამ ეხლა გული მაინც ზალიან სუდად მაქს. რატომ შენგან ხაბარ-ამბავი არ მოდის? რად დამივისხე? როგორ არის ჩემი შვილი ვალი? ჩემა საქონელი და ოჯახი? ფათმა, ჩემო ფათმა! ეს სერილი რომ აილო, ჩქარა სამოდი ქალაქში და სოტა ფულიც მოიტანე. თუ ვერ სამოხვედი, ერთი „ბალაჯა“ პატარა სერილი მაინც გამოგზავნე, თორემ აბდულას დარდისგან აღარ ეზინება. თუ ორ კვირაში შენ არ ამოხვედი, ან ერთი სერილი არ დასცერე, შენი აბდულა ჯავრით მოკვდება.

ფათმა, ასჯერ აკოცე აბდულას მაგივრად ბალაჯა ვალის, აბა სალამათ ოლ; ფათმაჯან! ალაჰმა ხეირი მოგცეს. მშვიდობით, ფათმა, მშვიდობით! შენი ქიში აბდულ ქერიმ ოღლი“.

აბდულა „სერილს“ ელის. მოლოდინის ორიოდე კვირა თითქოს ურმით მიდის და აბდულას გულიც თითქოს იმ ურმის თვალზეა გაკრული. ორ კვირას ორიც მოჰყვა. სულმდუღარე აბდულა კი ვერც საჯდომს პპოულობს და ვერც დასაწოლს. სარვანელი თათარი დარეტიანებული პირუტყვივით დაბორიალებს და ხელების ქნევით ეკითხება თავის თავს:

— ალაჰ, ბუ ნა ხაბარდი? ალაჰ, ბუ ნა ალამათდი?

ვეღარც შაქროს ნუგეშში სჭრის და ვეღარც მისი „ზმაბიჩური სისილი“.

აბდულა მოიღუშა და ზამთრის ღამესავით დაბნელდა. შაქროს პატიმრობის ვადა გაუთავდა.

— მშვიდობით, ძმაო აბდულ, მშვიდობით!

— სალამათ, ზმაო შაქრო, სალამათ! შენი იოლდაში და ყარდაში აბდულა არ დაივისხო.

შაქრომ აბდულას თავის ბინა ასწავლა, გული გაუმაგრა, „ზმაბიჩურად“ გადაეხვია და წავიდა.

— სალამათ ოლ, ზმაო შაქრო, სალამათ!

იმავე დღეებში აბდულამ საპყრობილის გამგეს უთხრა:

— მეს მინდა ავჩალაში სავიდე და ვიმუშაო.

აბდულას ოთხი თვეღა ჰქონდა დარჩენილი, ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ აბდულაც ჰაზესში გაჰგზავნეს სამუშაოდ.

ახლა თათარი თითქმის თავისუფალია. დადის, მუშაობს და

იქაურობას ათვალიერებს. მუშა-ტუსაღებს მხოლოდ დაღამებისას დასთვლიან, ფიცრულ შენობაში ჩაჰკეტავენ და მერე დილით ისევ სამუშაოდ გამოუშვებენ.

ერთხელ ტუსაღების დათვლის დროს აბდულ ქერიმის სახელიც რომ ამოიკითხეს, მისი ჩვეულებრივი პასუხი — „აქა ვარ“ — აღარ გაისმა. მიიხედ-მოიხედეს, მოიკითხეს, მოსძებნეს და გაიკვირვეს.

აბდულა გაიქცა? ასეთი მშვიდი და პატიოსანი ტუსაღი გაიქცა? ისიც რა დროს! სამი წელიწადი დალია და სამ თვეს გაეპარა?

ისევ მოიკითხეს, მოსძებნეს, ქაღალდი დასწერეს და დამშვიდდნენ.

VII

შუაღამე გადასული იყო. სადგურ სანდარს მატარებელი მიუახლოვდა. მიმავალი მატარებლიდან თავახვეული ვინმე გადმოხტა და სიბნელეს შეერია. ერთი საათის შემდეგ მისი აჩრდილი სოფელ სარვანში შეიპარა.

გველივით მისცურავს აბდულა. აგერ მისი ბიძაშვილის მუსტაფას სახლიც.

— ჰოი, ყურუმსაღო, ჰოი, ყაჩაღო მუსტაფა!

აი სოიუნას მიწურიც. აჰა აბდულას პაწაწინა ბოლჩაც. აბდულას სახლში ალბათ ყველას სძინავს. როგორ გაოცდება ფატმა! როგორ გაიხარებს ვალი! როგორ ჩაიხუტებს სამი წლის დაქვრივებულ ფატმას!

ჩქარა, აბდულ, ჩქარა! დაბალ ღობეზე ვეფხვივით გადახტი, გაიხრეშული ბაღჩა გაირბინე, გომურს მოუარე და...

ღმერთო, დიდებულო! ალაჰ ძლიერო! ეს რა ამბავია?! ბუნა ხაბარდი!

ქვითკირის პატარა შენობას აღარც სახურავი აქვს, აღარც აივანი, აღარც კარები და აღარც ჩარჩოები. კედლებიც დანგრეულია. მხოლოდ ბუხარიღა მოსჩანს შავადშავ ღამეში, როგორც სქელი და გარუჯული სვეტი. აღარც საქათმეა სადმე, აღარც ბეღელი, აღარც სათივე. მარტო ბოსელიღა დარჩენილა, ისიც ალბათ იმიტომ, რომ მეზობლებს გამხმარი წნელის მოტაცება დაჰზარებიათ.

აბდულამ ტირტმანით შემოუარა მოშლილ ბუდეს, მერმე დანგრეულ ღობეს გადაალაჯა და სოიუნას მიწურს მიადგა.

— სოუნ, გარეთ გამოდი, სსუ... ნუ ჰყვირი!.. ჩუმად ილაპარაკე... აბდულა გეძახის, აბდულა, ვეღარ იცანი? აბდულ ქერიმია, შენი ბიძაშვილი.

— საიდან გაჩნდი, აბდულ?

რა დროს ეგ არის! უთხარი, სოიუნ, ჩქარა უთხარი აბდულას, რა დაემართა იმის ოჯახს? რად დაინგრა მისი სახლ-კარი? სად არიან ფათმა და ვალი?

სოიუნა ბორძიკით ლაპარაკობს. სიტყვებს ეძებს და ძლივს პოულობს.

— დაიცა, სული მოვითქვა და გეტყვი.

ახლა ყური მიუგდე აბდულ: საწყალი ზოვრა რომ მოკვდა, ფათმა მარტოდმარტო დარჩა. ფათმას ნათესავი ქვრივი დედაკაცი მოეშველა, მაგრამ მალე ისევ არახლუში დაბრუნდა. მერმე...

— ნუ შეგეშინდება, აბდულ! დაიცა, ხელი გამიშვი... რა გემართება?

— ჩქარა სთქვი, ჩქარა! — თეზ ელა, თეზ!

— მერმე სოფელში ხმა გავარდა, ვითომ შენი მოჯამაგირე ალი ყურბანი და ფათმა...

— ჰა, ხმა ამოიღე! ნუღარ მაწვალებ!

— ვითომ ისინი ქიში და არვადი გამხდარიყვნენ.

— ვაიმე!

— ამბავი გამართლდა... ფათმა დაორსულდა.

— ალაჰ!

— ფათმას ვაჟი ეყოლა... რა დაგემართა, აბდულ? ხელი გამიშვი-მეთქი.

— ღმერთო, დიდებულო!.. სთქვი და გაათავე!

— როცა შენი წერილი მოვიდა და გაიგო, რომ შენ მალე უნდა გამოსულიყავი „ყალადან“, ფათმამ საქონელი გაჰყიდა და გადაიკარგა. ამბობენ, ალი ყურბანმა ყაზახში წაიყვანაო... აბდულ, გამაგრდი! კარგი ვაჟკაცი ხარ და აყალმაყალს ნუ ასტეხავ. ორიოდე წელიწადში წელს მოიმაგრებ და ერთ ლაჰაზ „ყიზის“ კიდევ იშოვნი.

რა სთქვა აბდულამ? თოკიო?

— თოკი რად გინდა, აბდულ?.. რაო?.. კეთილი. სოიუნას თოკი აქვს, ახლავე გამოგიტან, მაგრამ...

მაინც, ნეტა რად უნდა აბდულას თოკი?

— აბდულ, ამ დროს სად მიდიხარ? სოიუნას სახლში შედი, დაიძინე და ხვალ დილით...

— თოკი-მეთქი, ჩქარა!

ხუთი წუთის შემდეგ თოკი მხარზე გადაიგდო და ბიძაშვილს მიუგდო:

— სალამათ, სოიუნ.

მეტი არაფერი სთქვა და სწრაფი ნაბიჯით შეერია წყვდიადს.

ცოტა ხნის შემდეგ მუსტაფას მიწურის ბანზე აჩრდილი აცოცდა.

იმ აჩრდილმა ბანის კოჭს თოკი გამოაბა, მეორე ბოლო სანათურში ჩაუშვა და თხუნელასავით ჩაძვრა შიგნით.

მცირე ხანიც გავიდა. იმ მიწურიდან ჯერ ხანგრძლივი ბუტბუტი, მუდარა და „ალაჰს“ ხსენება მოისმა. მერმე სანათურიდან დედაკაცების, ბავშვებისა და მუსტაფას უიმედო ღრიალი, გმინვა და ხრიალი ამოვარდა.

ხმაურობა რომ შესწყდა, იმ მიწურიდან მუსტაფას გომურში ერთი აჩრდილი გასხლტა. ორი წუთის შემდეგ გომურიდან უბელო ცხენი გრიგალივით გამოვარდა და ლანდი-მხედარი სანდარისკენ გაიტაცა.

მუსტაფას დერეფნიდან სოფელს ღედაბერის გაბმული ღრიალი მოედო. მერმე სოფელში ყივილ-ყვირილი ასტყდა. აქეთ-იქიდან ჭრაქებით გამოცვივდნენ, ყველაფერი გაიგეს და ჩოჩქოლი და ყაყანი მორთეს, მაგრამ ცხენის თქარათქური უკვე მიმწყდარიყო და ლანდიც შორს სადმე ვამქრალიყო.

VIII

მზე უკვე ამოვიდა, როდესაც სისხლში მოსვრილმა თათარმა აქაფებული ცხენი ორთაჭალის საპყრობილეს მიაგდო.

— ჰეი, ზმობილო, კარი გააღე!

ასტყდა სირბილი, ჩოჩქოლი და ტელეფონის წკარუნი.

ვინ არის აგრე მძლავრად და ასე ადრე რომ არახუნებს რკინის კარს და დაჟინებით მოითხოვს, შემიშვითო?

— აბდულა ვარ, აბდულ ქერიმი, თქვენი სინანდელი ტუ-

სალი, რომელიც ზემო ავჩალიდან გაიპარა. კარი გააღეთ, რა-ღას მასდევინებთ, რა ამბავია!

აქვს თუ არა აბდულას პროკურორის ქაღალდი?

— რომელი ქაღალდი! რა დროს ქაღალდია! აბდულამ ხუ-თი კაცი მოჰკლა, ხუთი!

აბდულა პირდაპირ ბორჩალოდან მოდის. აი საბუთიც: აბ-დულა სისხლით არის გასვრილი. ქალებისა და ბავშვების სის-ხლით! აჰა, შეხედეთ! გასინჯეთ! დარწმუნდით!

— კარი გააღე, ზმობილო, გააღე-მეთქი, თორემ სავალ და მერე მეზებეთ.

სანამ ქალაქიდან ბრალმდებელი და გამომძიებელი არ მო-ვიდნენ, აბდულა „ჩემი სიწეში" არ შეუშვეს. დაკითხვა და ოქ-მის წერა ორ საათს გაგრძელდა. მერმე სისხლით გათხუპნული თათარი ეზოში გავიდა და შექუჩებულ ტუსაღებს შესძახა:

— გამარჯობა, იოლდაშლარ! გამარჯობა, ამხანაგებო, ზმე-ბო! აი თქონი აბდულა დაბრუნდა... ეხლა აბდულ ქერიმ ოღ-ლი ყაჩაღია, დიდი ყაჩაღი! ხუთი კაცი მოვკალი, ხუთი! — და თათარმა ხუთი სისხლიანი თითი წითელი კელაპტრებივით აფა-შიკა. — ერთი კასი მუსტაფა მოვკალი, იმისი ლამაზი სოლი — ზეინაბი, იმის დედა და ორი „ბალაჯა" ყმასვილი, სულ ხუთი კასი, ხუთი!

სათქმელი ხრიალით სთქვა, თავი ჩაღუნა და თავის წინან-დელ საკნისკენ ბარბაცით გაემართა.

რამდენიმე თვის შემდეგ აბდულა ისევ იმ დარბაზში იდგა, სადაც სამი წლის წინათ „ათი სელისადი აიკიდა".

დიდი ოთახი ისევ ხალხით არის სავსე, მაგრამ კუთხეში აღარც კოკოშიანი ზოვრა მოსჩანდა და აღარც ალთვალა ფათ-მა ანათებს დარბაზს. მარტოა ახლა აბდულ ქერიმი, მარტოდ-მარტო! მხოლოდ „ზმობილმა" შაქრომ გაიხსენა და მოვიდა. შორიდან ცერა თითი აჩვენა იოლდაშს და გული მოუმაგრა.

მოსამართლენი ისევ იმ ოთახიდან გამოვიდნენ და ისევ იმ მაგიდას მიუსხდნენ.

— აბდულ ქერიმ ოღლი, თქვენი ამბავი გვიამბეთ.

აბდულა წამოიწია და მოაჯირზე დაეყრდნო. ჯერ შორიდან დაიწყო, მერმედ უბრალოდ უამბო სამი წლის ტანჯვა და ბო-ლოს უკანასკნელ ამბავს მიადგა.

— მე ავჩალაში მუშაობდი. გაქსევა არ მინდოდა, ვალაჰ,

არ მინდოდა. სამი თვე დამრჩა, ქალაქში ერთი ძმა ბიჭი და კარგი გიურჯი ყარდაში მქონდა. — და შაქროსკენ მიიხედა. — ერთხელ იმ ყარდაშმა შემომითვალა: ძმაო აბდულ, შენი საქმე სოფელში ძალიან ცუდად არისო, გულმა ველარ გამიძლო. ვთქვი: წავალ, ხაბარს გავიგებ და მეორე დღესვე დავბრუნდები-მეთქი. წავედი, მაგრამ... ალაჰ, შენ ისი აბდულას გულის ჟავრი. აღარს სახლი, აღარს ცოლი, აღარს შვილი! ჩემი ცოლი ფატმა და ჩემი შვილი ვალი ჩემმა ნოქარმა ალი ყურბანმა მოიტაცა და ყაზახში წაიყვანა. ცოტა საქონელიც მქონდა. ძროხა და კამეჩიც გაჰყიდეს და წაიღეს. სახლიც მეზობლებმა დაანგრიეს, აბდულას კი შავი ბუხარი, ცოტა ქვა და ბევრი ცრემლი დაუტოვეს. აბდულა დაიღუპა. დაინგრა ჩემი ოჯახი! მერმე ვთქვი: აბდულ ქერიმ, რაღად გინდა ასეთი სიცოცხლე? ვისთვის უნდა იცხოვრო ეხლა? ვისთვის უნდა მოისხვიტო ცელი? მერე ვთქვი: აბდულ ქერიმ! ვინ დაღუპა შენი ცოლ შვილი? ვინ დაანგრია შენი ოჯახი? ვინ წაგიყვანა სიხეში? შენმა ბიძაშვილმა მუსტაფამ, მუსტაფა ხალილ ოღლიმ! ვთქვი და წავედი.

— აბდულ ქერიმ, სანამ სოიუნასგან გაიგებდით თქვენი ოჯახის ამბავს, მუსტაფას მოკვლა გქონდათ თუ არა გულში?

— ღმერთმანი არა! ვალაჰ, არ მინდოდა!

— განაგრძეთ.

— როგორ წავედი — არ ვიცი. თოკი წავიღე და ბანიდან ჩავედი. მუსტაფას ძალიან ეძინა. ზეინაბმა გამოიღვიძა და ჩრაქი აანთო. ვუთხარი: ზეინაბ, თუ დაიყვირე, მუსტაფას მოვკლავ-მეთქი. მერმე მუსტაფაც გავაღვიძე, ყელზე ხანჯალი დავადე და ვთქვი: მუსტაფა, მითხარი, ურუსებს როგორ წაართვი საქონელი და შენი ნაცვლად აბდულა როგორ გაგზავნე-მეთქი სიხეში? მუსტაფამ თქვა: აბდულა, შენი მოზვერი ჩონ მოვიპარეთ და განგებ საძებნელად გაგზავნეთ.

— ვინ ჩვენ? მუსტაფას გარდა ვინ იყვნენ?

— არ ვიცი. მუსტაფა არა თქვა.

— განაგრძეთ.

— მუსტაფა თქვა: ჩონ ვიცოდით, რომ აბდულა მოზვერის საძებნელად წავაო. მერე ჩონ სხვენებით წავედით მარნეულისკენ, სამ ურუსს საქონელი და ფული წავართვით და წამოვედით. წვიმიანი ღამე იყო. მილიცია კვალი მოიტანდაო, ამი-

ტომ მე კვალი ავრიე, შენი სახლში მოვიტანე, ის სოტა მოტასებული საქონელიც დავაგდე და სავედიო.

— იმ რუსებმა რაღად დაგადეს ხელი?

— იმიტომ, რომ მე და მუსტაფა ბიზაშვილები ვიყავით. ისე ვგავდით ერთმანეთს, როგორც ორი უკვესცხი. ზოგჯერ სოფელში მე მუსტაფას მეზახოდნენ და მუსტაფას კი აბდულას ეზახოდნენ.

— მერმე, მერმე?

— აბდულას თავში სისხლი მოეკიდა. მომაგონდა ზოვრა... ჩემი სასხალი დედა... ყავრით მოკვდა... მომაგონდა ჩემი შვილი ვალი... ჩემი სოლი ფათმა-ქალი... ჩემი საქონელი და დანგრეული ოჯახი მომაგონდა და... მუსტაფას ყელში ხანჯალი მივესი...

— მერმე რა მოხდა?

— მერე.. .არ ვისი, აღარ მახსოვს.

— მუსტაფას დედა როგორღა მოჰკალით?

— არ ვისი, ღმერთმანი, არ ვისი.

— მუსტაფას ცოლი?

— არ ვისი... ვალაჰ აღარ მახსოვს! — ხმა აუწია თათარმა.

— ბავშვები? რატომ ბავშვები მაინც არ დაინდეთ?

— არ ვისი-მეთქი... ვალაჰ აღარ მახსოვს... აღარაფერი არ მახსოვს... ღმერთმანი, არ მახსოვს, — გამწარებით გაჰკივის თათარი.

— მოწმეს დაუძახეთ.

მუსტაფას შინ ერთი მოხუცებული ნათესავი ქალი ჰყავდა. ის ქალი ბნელ კუთხეში წოლილიყო და ისე გადარჩენილიყო, რომ აბდულას მისი იქ ყოფნა ვერც კი გაეგო. ახლა კი გაახსენდა: როცა რომ აბდულამ სარვანიდან ცხენი დასძრა, ვიღაც დედაკაცმა საზარელი ბღავილით გააღვიძა მთელი სოფელი. ახლა იმ დედაბერმა აბდულას ნალაპარაკევიც და მუსტაფას ნათქვამიც დაადასტურა.

— აბდულ ქერიმ ოღლი! თქვენ უკანასკნელი სიტყვა სთქვით.

— იოლდაშებო! მოსამართლენო! აბა რა უნდა სთქვას აბდულამ? თავის ამბავი გვიამბო და წრფელი გული გადაგიშალათ. თქვენ ყველაფერი გაიგეთ და დაინახეთ. დამალული აღარაფერი აქვს აბდულას, ეხლა კი...

— ეხლა თქონი საქმე თქონ ისით. მაგრამ ერთი ბარაქაც მომესით: აბდულას სისოხხლე გათავდა. მე სხოვრება აღარ მინდა. ან სხალში გადამაგდეთ, ან თოფი მესროლეთ, ან ხეზე ჩამომკიდეთ. ყოლაფერი კარგი იქნება. ოღონდ სიხეში ნუღარ ჩამაგდებთ. ვალაჰ, სიხე სხალზე — უარესია. ღმერთმანი, ისევ ტყვია სჯობია! იოლდაშებო, ყარდაშებო... ზმებო... ამხანაგებო! მე სიხე აღარ მინდა... ღმერთმანი აღარ შემიზლიან!

და ბორჩალოელი თათარი ერთხელ კიდევ შერცხვა: მოაჯირზე დაემხო, მძლავრი გულით აქვითინდა და დასაკლავი ხარივით აბღავლდა:

— სიხე აღარ მინდა, არ მინდა-მეთქი!

ისევ იგივე მოხდა, რაც სამი წლის წინათ იყო: მოსამართლენი გავიდნენ. ახლა სარვანელი თათარი მარტოდმარტო იჯდა. აღარც დედა ელამუნება მაშინდელივით. არც ცოლი უღიმის თეთრი კბილებით, აღარც შვილი ეტანება მოშავო თათებით.

ერთი საათის შემდეგ მოსამართლენი ისევ იმ კარებში გამოჩნდნენ. თავმჯდომარემ უწინდელივით გრძელი განაჩენი წაიკითხა:

— რადგან... ვინაიდან... აბდულ ქერიმ ოღლის ათი წლით დაპატიმრება მიესაჯოს. ხოლო რადგან... ვინაიდან... და მიიღო რა მხედველობაში, რომ... დაადგინა: სასჯელი პირობითად ჩაითვალოს.

აბდულამ მხოლოდ „ათი წელიწადი“ გაიგო: წატორტმანდა, ხელები გაასავსავა და ყელგამოჭრილივით ამოიხრიალა:

— ალაჰ, ბუნ ნა ხაბარდი?.. იოლდაშებო, ეს რა ამბავია?

— აბდულ ქერიმ ოღლი, თავისუფალი ხართ. წადი და პატიოსნად იცხოვრეთ.

ერთ მეხს — „ათ წელიწადს“ — მეორე მოჰყვა: „წადი და იცხოვრეო“. აბდულას მუხლები ჩაეკეცა.

ეს რა სთქვა იოლდაშმა მოსამართლემ? აბდულა თავისუფალია?! აბდულა სავიდეს?! მაშ... მაშ სიხე აღარ იქნება?

— აბდულ, დღეს ჩემი სტუმარი ხარ, — ეუბნება შაქრო ყარდაში.

— ალაჰ ილ, ალაჰ!

აბდულამ სიამის მეხს ვეღარ გაუძლო და ქვითინს ხარხა-

რი დააყოლა. შემდეგ გრძელი წელები ფრთებივით გაშალა და დათვივით აბუტბუტდა:

— იოლდაშლა-არ!.. ყარდაშლა-არ! ზმებო!.. ამხანაგებო! აბდულა სასხალია... აბდულა უბრალოა. აბდულა მართალი კაცია! ჩოხ იოლდაშებო!.. ყარდაშებო!.. მადლობელი ვარ. მადლობელი!.. ჩოხ საღოლ, ჩოხ! სალამათ, ყარდაშებო, სალამათ!

სალამათ და მშვიდობით, მართალო აბდულავ!

1921 წ.

სარჩევი

რომანი

კვაჭი კვაჭანტირაძე 6

მოთხრობები

ჩანჩურა 366
ტყის კაცი 381
ჭამბალო და ყაშა 410
ყბაჩამ დაიგვიანა 503
მუსუსი 544
მართალი აბდულა 583

მხატვრები: დავით დუნდუა, თამაზ შარიფაშვილი
მხატვრული რედაქტორი ლერი ლვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ზინა გვიმრაძე
კორექტორები: ლალი ბოლქვაძე, ესმა ყარყარაშვილი,
ნანა ებრალიძე
გამომშვები ნელი მანაგაძე

დაეცა წარმოებას 17.07.95; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.1
საბეჭდი ქაღალდი 84X108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 31,92; პირ. საღ.-გატ. 31,92;
სააღრ.-საგამომც. თაბახი 32,1; ტირაჟი 5 000 შეკვ. № 28838

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „საქართველო",
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი". თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 3. №